K 215 910
3

# ალექსანდრე ყაზბეგი

ქართული კლასიკური მწერლობა

# ალექსანდრე ყაზბეგი

## თხზულებათა სრული კრებული

ოთხ ტომად

გამომცემლობა
«საბჭოთა მწერალი»

899.9621(081)

# ალექსანდრე ყაზბეგი

## თხზულებანი

ტომი მეორე

K31.348/3

1948
თბილისი



ა. ყაზბეგი

# ციკო

გაცალკევებით, ერთს გორაკზედ, სოფელს ფხელშეში, რომელიც თითქოს არეულა უსწორმასწოროდ და ოღროჩოღროდ ამართულს მთებში, სდგას პატარა ორსართულიანი სახლი, თავისივე პატარა ეზოთი და უკან დიდის, მაგრამ დანგრეულის, შენობით. ეს შენობა თავდება ოთხკუთხად აყუდებულის კოშკით, რომლის სათავიდგანაც სათოფურებს მკაცრის მუქარით პირი დაუღრენიათ. როგორც ეტყობა, როდესღაც ეს ყოფილა სადგური რომელიმე გამძლავრებულის და, მაშასადამე, კარგის შეძლების მქონე კაცისა, მაგრამ ეხლა კი ჟამთა ვითარებას და ხანს იმისთვის თავის შეუბრალებელი დაღი დაუსვამს: დიდი სახლი ჩანგრეულა და კოშკიც, რამდენსამე ადგილას გაბზარული, ერთს მხარს გადმოზნექილა.

იმ დროს, რომელსაც შეეხება ჩვენი მოთხრობა, ამ პატარა სახლში იჯდა სამი დედაკაცი და ვახშამსა სჭამდა.

ყველაზედ უფროსი იმათში, შავთვალა, ოთხმოც წელს გადაცილებული იქმნებოდა. ის იყო მოხუცებული, ცოტად წელში მოხრილი, და მოსრულობა უმტკიცებდა, რომ ოდესმე ახოვანის და წერწეტის ტანის მქონე უნდა ყოფილიყო. იმისი ჩაცვივნული და ამღვრეული თვალები, გამხდარი, დაღრეჯილი და მოგძელო პირისახე, თხელი ტუჩები ამტკიცებდნენ, რომ არაერთხელ ენახა გაჭირვება და მწუხარება, რომელთან ბრძოლასაც თავის ნიშნებით დაეხაზა, დაესერა ამ ადამიანის გული და სახე.

ეს გახლდათ ბებია ლამაზის, ცქრიალა ციკოსი, იმ ციკოსი, რომელზედაც დღეგამოუშვებლივ მოხევე მწყემსებისგან ახალ-ახალი ლექსი გამოითქმოდა, რომელსაც ახალ-ახალი ქება შაესხმოდა. ციკო იყო შუა ტანისა, მაგრამ განსაცვიფრებელის სისწორით შეყრი-

ლი და ისე წვრილი, რომ კაცი იტყოდა — ბეჭედში ამოძვრებაო. მშვენიერს თეთრს სახეზედ ვარდსავით უღვიოდა ლოყები და პატარა ტუჩებს იქიდგან მოჩანდა ბროლის მსგავსი თეთრი ბრწყინვალე და სწორე კბილები. ლურჯი, ჟუჟუნა თვალები, რომელთაც გარს მცველად შავი გრძელი წამწამები შემორტყმოდა, ყველას იზიდამდა და ანატრებდა — გამძლარიყო იმათის ცქერით. ქერა, მაგრამ მბრწყინავი და რბილი თმები, რომელიც ხშირს ნაწნავებად ეყარა მხრებზედ, ბევრს მოხევის ქალს შურს აღუძრავდა. ამას დაუმატეთ იმის მხიარული ხასიათი და თამაშობის ცოდნა, განთქმული ხელსაქმე — და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბევრს მოხევეს დაუფთხობდა ძილს იმაზედ ფიქრი.

მესამე დედაკაციც იყო შუა ხნისა, გამხდარი და მაღალის ტანისა. იმის გაცრეცილი პირისახე და სიცოცხლეს მოკლებული თვალები ამტკიცებდნენ, რომ დიდი ხანია ავადმყოფობას დაუგდია და შეუბრალებელს სენს შეუპყრია მთელი იმისი აგებულება. ეს გახლდათ ციკოს დედა ხაზუა.

როდესღაც ამ ოჯახობას წარმოსადეგი, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცები აღვიძებდნენ მუდმივის ლხინით და არ აკლებდნენ სტუმარს და მოკეთეს; მაგრამ შავთვალას ქმარი გაიტაცა თავისუფლების სურვილმა და, აბრაგად გავარდნილმა, ჩიმის ციხესთან დალია სული ყაზახებთან ბრძოლაში.

იმისი ორი შვილი შეიქმნა მსხვერპლი ოსმალებთან ბრძოლისა; მესამეც, ბეგარაზედ გაგდებული რუსის ჯარებისათვის გზების საკეთებლად, თოვლმა დამარხა.

ამის შემდეგ ამ სახლობას შეადგენდა მარტო ეს სამი დედაკაცი, რომელთაგანაც უფროსს ახსოვდა ის დრო, როდესაც ჯერ საქართველო რუსეთს არ შეერთებოდა, შუათანას — რაოდენიმე სიხარული ქმარ-მაზლებთან და უმცროსს კი — მარტო გაჭირვება, ბეგარა, უსამართლობა და რაც ყველაზედ საზიზღარი იყო იმისთვის, რუსების სახლში ჩაყენება, რომელთ ჩვეულებრივი დაურიდებლობა, გარყვნილი ოხუნჯობა და ლაქლანდარობა ამღელვარებდა, აშფოთებდა იმის თავმოყვარეობას.

შავთვალა და ხაზუა კერის პირას ისხდნენ, გაეშალათ ხონჩა, რომელზედაც ეწყო ნაცარში გამომცხვარი ხმელი ქერის პური (გუდუნა), რამდენიმე თავი ხახვი და წყალში გახსნილი მარილი. იქვე გვერდით ედგათ პატარა კოკა კაპრით.

ციკოს გრძელის ახალუხის კალთები უკან გადაეკეცა, ჩაეგდო განიერს მეშის სარტყელში. სიფაქიზისთვის ჩამოეფარა ყულანა (ფართუკი) და ისე მისჯდომოდა კერას. ცეცხლზედ ჩუხჩუხებდა სა-

კიდელზედ ჩამოკიდებული ქვაბი, რომლის ყურისთვისაც ქალს ხელი გაევლო და შეუჩერებლივ ანძრევდა.

შავთვალამ აიღო პური, გასტეხა და, ღმერთის ხსენების შემდეგ, უკმაყოფილოდ წამოიძახა:

— აბა, რაი უნდა უყო ამას?.. ქვასავით გამხმარა და ჩემთვის კი აღარც კბილებია, აღარც ღრძილები.

— მარილწყალში ჩააწე და დალბების, — უპასუხა ხაზუამ.

მოხუცმა დაუწყო მარილიან წყალში ჩაწება პურის, მაგრამ ნაცარში გაქვავებულს, რა გაალბობდა ისე ჩქარა? ამისთვის ამოღების შემდეგ, მოხუცმა გამშრალის ტუჩებით ბავშვსავით წუწნა და წოვა დაუწყო ამ უცნაურს საჭმელს.

— ციკო! — მიუბრუნდა შავთვალა ყმაწვილ ქალს.

— რაი გინდა?

— კარტოხას თუ არ ხარშამ?

— არა, ხინკლებია. — ამ სიტყვაზედ ციკომ ხელი შეაჩერა.

— ნუ გაჩერდი, ქალავ, ერთურთს მიეკვრიან, — დასძახა დედამ.

— ნივრის ხინკლები! — უკმაყოფილოდ წარმოსთქვა მოხუცმა.

— რაი ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება?!... ღვთის მადლმა, ცოდობრალის მეტი არც რაია!... ცხოვრება ბარადაა, რომ ყველაფერი იშოვების... აბა იქ რას გაიჭირვებენ მარხოჩი?!... ლებიო, მწვანილი, ნიგოზი, ზეთი, ღვთის მოწყალება ყველა იშოვების.

— კარტოხაი მოგიხარშო?—ჰკითხა ციკომ:—აი აქვე ჩავყრი.— უჩვენა ქვაბზედ.

— არა, ქალაისი, ნივრიანი არ მინდა.

— ცეცხლში ჩაგიფლა?

— შენ იცი.

ის იყო ციკო წამოდგა კარტოხის მოსატანად, როდესაც კარები ვიღამაც დაარახუნა, ციკო შესდგა და ისე დარჩა რაოდენსამე ხანს.

— ვინ იქნება ამ შუაღამისას?

— ვაიმე დაღუპულმა! — დაიძახა ციკომ: — რუსები თუ მოიყვანეს დასაყენებლად!

— რუსები იქნებიან, მაშ ცხო ვინა?

კარებიდამ მოისმა კიდევ ბრახუნი და კაცის ხმა:

— შინ არავინაა, თუ რაია?

— ვინა ხარ, რაი გინდა? — ჰკითხა ხაზუამ და წამოიწივა კარისაკენ.

— მე ვარ, გააღე!

— პავლიაი არის, — წასჩურჩულა დედას ციკომ: — ყაზახი პავლიაი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პავლიას რაი უნდა ამ შუაღამისას?

— რუსებს მოიყვანდა დასაყენებლად.

— პავლიაუ, შენა? — გასძახა ხაზუამ.

— ჰო, მე ვარ.

— რაი გინდა?

— გააღე კარი!

— თუ საქმე გაქვს, მანდედანაც გვეტყვი, კარს რაისთვის გავაღებ?

— საქმე მაქვს, მაშა...

— რაი საქმე?

— გააღე და მაშინ გაიგებ.

— დედაისი, ნუ გაუღებ! — შეეხვეწა ციკო.

— გააღე რაი-ღა! — არ ისვენებდა პავლია.

— რაისთვი გავაღო? არ გავაღებ!

— ხელმწიფის სამსახურის კაცს როგორ შეგიძლიან კარი არ გაუღო? — მოისმა მეორის ხმა.

— რას თავს იგდებთ, ვიღაცანი ხართ?! — შეუტია მოხუცმა: — ამ შუაღამისას რაი კარების გაღებისაა?

ცოტას ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობოდა, რომ გარეთ მყოფნი რჩევაში იყვნენ.

— ხაზუავ! — ბოლოს მოისმა პავლიას ხმა.

— რაი გინდა?

— დუქანი გატეხეს და მთელი სოფელი ამბობს, რომ ქურდებიც და ნაქურდალიც თქვენს სახლში არის დამალულიო... მე ვეუბნები, რომ თქვენ ისეთი ხალხი არა ხართ, მაგრამ არ მიჯერებენ... გააღე, დეე თითონ დარწმუნდნენ, რომ თქვენი სახლი ქურდების ბინა არაა.

— ბეჩა! ადრევე იტყოდი, შე ცოდვიანო! — მისცა ხაზუამ პასუხი და გაჯავრებულმა ხელი გაავლო კარების ურდულს.

— რაიო? — იკითხა მოხუცმა.

— დუქანი გაუტეხიათ და ეჭვი ჩვენზედ მოაქვთ.

— გაუღე, გაუღე!.. ნახონ თავიანთ ბედნიერის თვალით, ნახონ.

ხაზუამ ძლივს მოასწრო კარების გაღება, როდესაც ხუთი შეიარაღებული კაცი შემოვარდა, მივარდა პირდაპირ ციკოს, რომელიც შიშით კედელთან მიკუნჭულიყო. ერთი ამ ხუთთაგანი იყო მთიელი გუგუა, რომელიც ციკოს სიყვარულს შეეპყრა და სხვებთან ერთად იმის მოსატაცად მოსულიყო.

გულგახეთქილი მოხუცი და ხაზუა კარებში ჩაუდგნენ.

— ჩვენს ლეჩაქებს ეცით პატივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქუდები გხურავთ, მანდილები ხომ არა.

— ნამუსი აღარ გაქვსთ, აჰუ!

ერთიერთმანერთს არ აცლიდნენ მოხუცი და იმისი რძალი.

შემოსულებმა პასუხი არ მიუგეს, მისცვივდნენ ციკოს და წივილ-კივილით კარებისკენ წაიყვანეს.

ციკოს დედა დაებღაუჯა იმათ, მაგრამ ჩქარა მოიშორეს თავიდგან და ხელის კვრით იქვე მდგარს გოდრებზედ გადარეხვეს.

მოხუცმა, რა ნახა, რომ ხვეწნა აღარ გადის, მთის ხალხში შემოღებული უკანასკნელი საშუალება იხმარა; მოიხადა თავიდგან მანდილი და წინ ფეხებ ქვეშ გაუშალა.

— ჩემს მანდილს დასდეთ პატივი!

ამ შემთხვევაში, მთიელთ ჩვეულებით, ორი მოსისხლე რომ ერთმანერთზედ იარაღით მისული ყოფილიყო, იმათ მძვინვარების წასაქეზებლად იქვე მოკლული ძმა, ან შვილი გდებოდათ, — მებრძოლთ ფეხქვეშ მერდინის ჩაგდების შემდეგ ისინიც კი ხელს აიღებდნენ ერთმანერთისაგან, მაგრამ პავლიას და იმის ამხანაგებს კი ეს წმინდა სახალხო ჩვეულება სამასხარაოდ და სასაცილოდ ეჩვენა; თითონ გუგუა კი იქამდის გაეტაცა ციკოსთან შეერთების სურვილს, რომ გონებადაბნეულს ვერ მოეაზრა, რას სჩადიოდნენ იმისი ამხანაგები, რომელნიც გარყვნილნი მებატონე ლუდუშაურთან და ნაჩალნიკ-დიანმბეგებთან გდებით, საჭიროდ აღარა სთვლიდნენ ძველი, წმინდა სახალხო ჩვეულება უმანკოდ და შეურყევლად შეენახათ. იმათ გადალახეს მოხუცის მერდინი და ხარხარით გააქციეს ქალი, რომელსაც ყვირილით და ჩხავილით მოხუცი უკან მისდევდა... ისინი შესხდნენ ცხენებზედ, რომელნიც იქავე ეყენათ და წუთზედ თითქოს ჩაინთქნენ ღამის უფსკრულში; მოხუცს კი თავის ძველი დრო მოაგონდა და გასაგმირავის ხმით დაიძახა:

— სოფელო! მდევარი, მდევარი!.. მტერ მოგვდგომია კარს!

ხალხი ისევ ძველებურად, ისევ მარდად, საჩქაროდ და შეიარაღებული გამოცვივდა სახლებიდგან, მაგრამ, რა შავთვალას მიუახლოვდნენ და გაიგეს მიზეზი იმის მწუხარებისა, ყველანი უცებ გაჩუმდნენ.

— კაცები ვერ იცან, ვინ იყვნენ? — ბოლოს ჰკითხეს იმას.

— ჰაი, ჰაი, რომ ვიცან!.. ერთი პავლია, მეორე მიხეილა, ყაზახები, ორნიც ლუდუშაურიანთ ბიჭები და ერთიც ზალიანთ გუგუაი... არიქა, გასწიეთ!.. აი, ასე წავიდნენ... — ეუბნებოდა მოხუცი და გულდაწყვეტილი უყურებდა ხალხს, რომელიც იარაღით ხელში იდგა და ვერა მოეხერხებინა-რა.

— თუ დიაცები გახდით?... ქუდებს რაისთვი-ღა ატარებთ?..

რაისი გეშინიანთ — ისინი სულ ხუთნი არ არიან!.. თითოს თითო ტყვიაზედ მეტი რაი შეუძლიან?..

— რაი, ვქნათ, შავთვალაისი, ძალა აღმართსა ხნავს!.. რაი გაგვივა ღუდუშაურებთან, ხემწიფის სწორი ხალხი არიან... პავლიაა და—ყაზახია...

— ზოგი ყაზახია, ზოგი ღუდუშაურიანი!.. — წამოიძახა ერთმა მოწიფულმა ბიჭმა: — ჩვენ კი აღარ გვეცხოვრების მაგათაგან და!.. სული მოგვებჯინა ყელში!..

— მართალს ამბობ, ღვთის მადლმა! — მოუწონეს სხვებმა.

— წავიდეთ, გავწყდეთ, ის გვირჩევნია ამ ცხოვრებას!

— მოიცა-ღა, ეფხიაუ! — შეაყენა ერთმა.

— მოცდისა აღარაა, ვისაც გული გერჯისთ, მომყევით!—დაიძახა იმან და გასწია, მაგრამ დანარჩენები ისევ იქ იდგნენ და ვერ გაებედნათ შებმა დიდს ბატონთან და ხემწიფის სამსახურში მყოფ ყაზახებთან.

— მაშ მე მომეცით იარაღი! — დაიძახა შავთვალამ და ერთს გამოსტაცა ხანჯალი: — მომეცით თქვენი ქუდი. თქვენ კი დიაცის მანდილი დაიხურეთ და ისე იარეთ.

— მოიცადე, მოიცა, შავთვალაუ!.. დროება გამოიცვალა, რაი უყოთ!.. უსამართლოება გაძლიერდა, ნამუსი და სირცხვილი აღარაა...

— რაი დროება გამოიცვალა, რას რატრატებ!.. ძალიანი და ავი ხალხი უწინაც იყო და ეხლაც არის, მხოლოდ უწინ ხალხს პირი ჰქონდა, უსამართლოს და ძალის დამტანს მალე მაგიერს გადუხდიდნენ... კაცი ნამუსისთვის სცხოვრებდა და ნამუსისთვის სიკვდილისაც არ ეშინოდა, თორემ დრო რაია! დრო კი არა, თქვენ დაიღუპეთ, თქვენ დიაცებად გახდით... ფუი თქვენს ნამუსს! — მიაფურთხა მოხუცმა, რომელიც თითქოს გასწორდა წელში და გაჰყვა პირველს მდევარს.

ხალხს შერცხვა, რამდენიმე ყმაწვილი ბიჭი გამოუდგა მოხუცს, იმათ გამოეკიდნენ კიდევ რამდენიმე და, ცოტა ჩოჩქოლის შემდეგ, მთელმა სოფელმაც იგრიალა და პირველებს გაჰყვნენ.

## II

დიდი ორსართულიანი სახლი, უხერხულად და უშნოდ აშენებული, როგორც ყველა ძველი მებატონის სახლები, გაჭიმულიყო ერთს პატარა მინდორზედ, რომელსაც სამკუთხივ ტყე ჰქონდა შემორტყმული და იმის იქით კი სოფელი იწყებოდა. გარს შემოვლებული მაგარი გალავანი სათოფურებით ნამდვილად საომრად იყო მოწყობილი და თუმცა ეხლანდელ ზარბაზნის ძალას ვეღარ გაუძ-

ლებდა, მაგრამ უწინდელ დროში კი სწორედ აუღებელ სიმაგრედ ჩაითვლებოდა.

ეს გახლდათ სახლი თავადის გორჯასპ ღუდუშაურისა, რომელიც ხელმწიფის წყალობას და თავის ქცევას ისე დაემსხვილებინა, ისეთი ქონი მიეკრა იმის შეძლებისა და აგებულებისათვის, რომ კისერს ძლივს-ღა იბრუნებდა.

რასაკვირველია, გორჯასპის, გვამის გასიების გვარად, ძალაც წესიერად ემატებოდა. ამ მიზეზით თითქმის მთელი მთის ხალხი ხელთ ჩაეგდო და ამათი ბედ-იღბალი იმის გაღიმებაზედ, თუ წარბის შეჭმუხვნაზედ იყო დამოკიდებული.

სამსახურში ცხოვრება იმან ჯერ თოლმაჯობით დაიწყო, მერე დიამბეგობით; და ადგილით თუმცა ამაზედ მაღლა არ წასულა, მაგრამ ჩინები, წყალობა და საჩუქრები კი უწყვეტლივ ემატებოდა. ან რად უნდოდა ადგილის გამოცვლა, როდესაც მთელი მთის ხალხი უსამართლო ძალდატანებით დაამშვიდეს, დაამონეს და დღემდის აღსრულებინებენ იმას, რის გაგონებაც კი ყველასათვის შესაძრწუნებელი არის. *

გორჯასპ სცხოვრებდა, ჰყვლეფდა სხვებს და თითონ კი იმოსებოდა, სუქდებოდა და პატივი და ძალა ემატებოდა.

ყოველი ბედნიერი დღე ყალნის (ხარჯი) გადასახადად დაიდვა იქაურის ხალხისთვის, და ისიც ყოველის უარის უთქმელად უზიდავდა: ცხვარს, ხბორებს, ბატკნებს, ყველს, ერბოს, ფულს, — ყველაფერს, რაც კი სახლში მოეპოვებოდა და ეს ყველა გორჯასპის სახლში ჩაინთქებოდა.

გორჯასპ მემკვიდრეობით მთის კაცი არ იყო. იმან თავისი სამსახური ერთს მთის მებატონესთან დაიწყო და, როგორც ზევითა ვსთქვით, თუმცა თოლმაჯად ირიცხებოდა, მაგრამ საქმით კი დიდის ბატონის ბაზიერობას აღასრულებდა და, როდესაც ხევის მებატონე სანადიროდ გაბძანდებოდა თავის ქორ-მეძებრებით, ურიცხვის ცხენოსნებით და ქვეითა ხალხით, ბატონი გორჯასპ შევიდოდა ბუჩქებში, შეიყვანდა მეძებრებს და ხმის ჩახრინწიანებამდის გაჰკიოდა: „შავო ძაღლო, შენ მაცხონე! შავო ძაღლო, შენ მაცხონე!.. მანდ არისა!.... მანდ არისა!.... გაგეპარა, შენ ნუ მომიკვდე!... ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..." ხან მოუწვრილებდა და ხან მოუმსხვილებდა ხმას, იმისდა გვარად, რა რიგი მეძებარი იდგა იმის წინ და რა გვარად იქნევდა კუდს.

დროება გამოიცვალა, გორჯასპ შეიქმნა ხევის ბატონი და თი-

* იხილე „დროება" 1880 წლისა: „მოხევეები და იმათი ცხოვრება".

თონ ისიც კი, რომელსაც გორჯასპ მეძალლეთა ჰყავდა, შეიქმნა ამ ბაზიერის ქვეშევრდომი და სხვებისამებრ დაედო მისი ყალანი.

გორჯასპმა იყიდა, თუ ისე იშოვნა, პატარა მიწა. იმ მიწამ მიიზიდა მეორე, მეორემ — მესამე, და ამგვარად კარგად და რგვლად შემოიზღუდა იმის სამფლობელო. მამულს მიემატა ყმები და გახურდა მუშაობა...

ამ ხალხს გარედ გორჯასპს მიეხვია კიდევ ერთგვარი ხალხი, რომელიც არც მოჯამაგირედ ჩაითვლებოდა, არც ყმებად და არც სხვა მოხელე ხალხად. თუმცა იმათ ღვთისგან განაჩენი არა გააჩნდათ-რა, არც გორჯასპისაგან ეძლეოდათ რამე, მაგრამ ყოველთვის კი გამოპრანჭულნი, ცხენებით და ჯიბეში საკმაო სახარჯოთი დაბძანდებოდნენ, საიდამ რას შოულობდნენ, სად რას პოულობდნენ — გადაწყვეტით ვერავინ გიპასუხებდათ, მაგრამ ავი ენები კი ყურში ერთმანერთს წასჩურჩულებდნენ, რომ „ამა და ამ ღამეს გორჯასპის ბიჭებმა ესა და ეს მგზავრი გაცარცვეს; ესა და ეს დუქანი გატეხეს და სხვა“. რასაკვირველია, რომ ეს ყველა გორჯასპის უხილველად ვერ მოხდებოდა, არც წილდაუდებელი დარჩებოდა ჩინებული და სახელოვანი მებატონე, რომელსაც საქმე ისეთის ცბიერებით მიჰყვანდა, რომ ყველანი ფიქრობდნენ — გორჯასპის მთიდგან მოშორება და მთის ხალხის არეულება ერთი იქნებაო.

ერთს საღამოს, სწორედ იმ საღამოს, როდესაც ზემო თავში აღწერილი შემთხვევა მოხდა, გორჯასპ თავის ბალკონზედა ბძანდებოდა და შეექცეოდა ჩინებულს ჩაის, დანით საჭრელს ნაღებს და მობრაწულს ნაზუქს, რომლისთვისაც კვერცხსა და კარაქს სიყვითლის ფერი მიეცა.

ეხლა გორჯასპს დაენებებინა სამსახურისთვის თავი და სტკბებოდა შინაურს განსვენებაში.

იმისი ცოლი, გატყლარჭული, გასიებული გომბიო, გაწითლებულის და მუდამ ოფლიანის სახით და ხელებით, გატყლარჭულის და ჭყატანას თავსაკრავით შუბლზედ, იქვე „იდო“ სავარძელში, რომელშიაც ძლივს ჩატეულიყო და ყოველ წამოდგომაზედ სავარძელი თან უნდა აჰყოლოდა და ბიჭებს უნდა გაენთავისუფლებინათ მძიმე ტვირთისაგან ნაზი ქალბატონი.

ამას დაუმატეთ პატარა ტანი, მოშვებული ხორცი, რომელიც მთელს ტანზედ ნაკუთ-ნაკუთად ეკიდა, დიდი და წითელი პირისახე, დიდრონი ჭროლა მუდამ გაჭყეტილი, წარბებგაცვივნული თვალები, — და თქვენ შეგეძლებათ დაახლოებით წარმოიდგინოთ საპატიო კნეინა ლუდუშაურის სურათი.

იქვე ბძანდებოდა გამხდარი, გალეული, პატარა ტანის კაცი, პა-

ტარა ურიულის წვერით და გრძელის თხელის ცხვირით. ეს გახლდათ ახალი დიამბეგი, რომელიც ხლებოდა გორჯასპს. იმისი მიხრა-მოხრა, იმისი პასუხები, მუდამ ცმუკვა და მოკრძალვით ლაპარაკი ამტკიცებდა, რომ განუსაზღვრელს თაყვანს სცემდა გორჯასპის ღირსებას და აშკარად ეშინოდა, რომ სახლის პატრონს არ მოეწადინა იმის ჭიასავით გასრესა, მიწასთან გასწორება, რომელიც ისე ადვილად შეეძლო იმ დროს იმ ადგილების ღმერთს.

— საშინელი მხეცი ხალხი გახლავსთ ეს მთის ხალხი... — დაიწყო დიამბეგმა და ჭიაყელას მსგავსი გრძელი კისერი გადაიგდო გვერდზედ.

— ოო, საშინელი! — წამოიძახა ბოხ ხმაზედ სახლის პატრონმა.

— ვერაფერი ჩამიგონებია.

— მაგათ მათრახი, მათრახი და მათრახი!.. — მისცა რჩევა ისევ ხალხის უფროსმა.

— მათრახი, მაშა!.. მთის ხალხი ბრიყვია, გაუზდელი, თუ ერთხელ ნება მიეცი, თავზედ წამოგვასხდებიან, — დაუმატა ქალბატონმა და გადისვა ხელსახოცი შუბლზედ, რომელზედაც ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

— აი, ამასწინად, ბატონო, — დაიწყო ისევ დიამბეგმა, — ხომ მოგეხსენებათ, ხალხი ბეგრით შეშასა ზიდავს, აძლევენ კვიტანციებს, მემრე იმ კვიტანციებს ჩემთან წარმოადგენენ და მე უნდა მივიღო ფული ხალხის დასარიგებლად... მომივიდა კვიტანციები, — აღარ მახსოვს რამდენის საქენისა გახლდათ, — მივიღე ფული სამას სამოცდახუთი თუმანი და ხალხს დავურიგე...

— სულა? — იკითხა გორჯასპიმ.

— დიაღ, — შიშით შეხედა დიამბეგმა: — ბოლოს, წარმოიდგინეთ, ამიტყდნენ, რომ სამას სამოცდახუთი თუმანი კი არა, შვიდას ოცდაათი თუმანი გვერგებაო!

— ბიჭოს! — გაკვირვებით წამოიძახა გორჯასპიმ.

— სწორედ აგრე გახლდათ, თქვენმა სიცოცხლემ.

— საითგანაო, რა ვიცითო?

— რა მოგახსენოთ!.. ერთი მაგოდენა ფული კიდევ გვერგებაო... გადამეკიდნენ და აღარ მომეშვნენ... „ნუ დაგვღუპავთო, რად გინდათ ჩვენი ცოდვაო.“

— ცუდად მოქცეულხართ, — გააწყვეტინა მებატონემ.

დიამბეგი გაფითრდა და ენადაბმულმა ძლივს-ღა ამოიღო ხმა:

— რ-რ-რ-როგორ?

— ისე, რომ ნახევარი მიგიცია!

— უცნაური კაცი ხარ! მაშ სულ ხომ არ მისცემდა? — დაუმატა ცოლმა.

— ნახევარი კი არა, სულ მივეც, კნეინავ...

— არა, მაგას კი რად ამბობ?.. მე ხომ ვიცი, რამდენიც გამოდის ფული... ჭეშმარიტად, რომ ცუდად მოქცეულხარ, — წარმოსთქვა გორჯასპიმ.

დიმბეგმა ჩაღუნა თავი, ტუჩებმა თრთოლა დაუწყო, მთლად გაიწურა, დარწმუნდა, რომ დამალვა აღარა ხერხდებოდა.

— მაშ რა უნდა მექნა? — წარმოსთქვა იმან.

— რა უნდა გექნა?.. სულაც არ უნდა მიგეცა.

დიმბეგი ერთბაშად გაცოცხლდა, ის სრულებით სხვა საუბარს მოელოდა და ერთბაშად, დახე ბედს, რა სიტყვები გაიგონა!

— სულაც არ უნდა მიმეცა? — გაკვირვებით და მოცოცხლებით იკითხა იმან.

— რასაკვირველია...

— ეგ როგორ შეიძლებოდა?! — წამოსცდა დიმბეგს, რადგანაც სხვადასხვა მოსაზრებამ თავდავიწყებამდის მიიყვანა.

— ალბათ, შეიძლებოდა, რომ ჩემი ქმარი გეუბნებათ! — შებღვირა ცოლმა.

დიმბეგმა იგრძნო, რომ სისულელე წამოროშა და ისევ მოიკუნტა.

— აი როგორ!.. ჯერ არ უნდა გამოგეცხადებინა, რომ ფული მოვიდა... რამდენიც უნდა ეთხოვათ, შენ უნდა გეპასუხნა: „ჯერ არ მოსულა, მე რა გიყოთ, ხომ იცით რუსები არიან და დღეს-ხვალობა იციან-თქო..." მერე მოსწყინდებოდათ სიარული... მასუკან დაიბარებდი ერთს ათიოდე კაცს, ნაცვალს და მიღების ბარათს ჩამოართმევდი... მაგაზედ ადვილი რა არის?

— როდი მომცემდნენ! — ცოტა თვალების მაღლა აწევით და ხმის კანკალით გაბედა დიმბეგმა.

— განა იმას ეტყოდი, რომ ეს ფულის მიღების ბარათიაო?.. უნდა გეთქვა: ეს პროტოკოლია ამა და ამ საქმეზედ; თუნდა ეტყოდი, რომ სახემწიფოდ მიწა უნდა გამოგვიღეს-თქო... იმათ კითხვა არ იციან და, რა მიწის სახელს გაიგონებდნენ, მთელი სოფელიც კი ხელს მოაწერდა, არამც თუ რამდენიმე კაცი.

— დიაღ, დიაღ...

— ნახეთ, რომ შესაძლებელი ყოფილა! — ნიშნის მოგებით დაუმატა ცოლმა.

— აბა, კნიაზ გორჯასპისთანა ჭკუა მე ვინ მომცა? — დაიმდაბლა თავი დიმბეგმა, რომელსაც ისე შენანდა გლეხებისთვის მიცემული

სამას სამოცდახუთი თუმანი და გულმა მწუხარებით დაუწყო ძგერა.

— რა მომივიდა, რა მომივიდა! რაზე დავიღუპე თავი! — ჰფიქრობდა ისა და იწყევლიდა თავის უტვინო გოგრას. მთრთოლარე ხელმა რამდენჯერმე გაიწია თავში შემოსაკრავად, მაგრამ დიამბეგმა შეიკავა, რათა ამგვარის საქციელით თავადისადმი ღირსეული პატივისცემა და ზრდილობა არ დაერღვია.

— აი ეგრე უნდა, ჩემო კარგო, თორემ ყოველთვის გახრეკილი დარჩები!... ვინც იშოვის რასმე, მაღლებშიაც იმასა აქვს პატივი, შემწესა და მშველელსაც ის იშოვის; ვინც შენსავით მოიქცევა, იმას მალე ამოუსმენ პანჩურს. ოო! შეძლება და ფული დიდი რამ არის!.. ფული საპონსა ჰგავს... ურემი რომ ჭრიჭინს დაიწყებს, საპონს ამოსცხებენ და გაჩუმდება; ვაი იმას, ვისაც ღერძის გასაჩუმებელი საპონი ვერ უშოვნია.

ამ დროს ბიჭი შემოვიდა, ყურში რაღაც წასჩურჩულა ბატონს, რომელიც წამოდგა და სახლში შევიდა.

— როცა მაგისთანა საქმე გქონდეთ, ჩემს ქმარს უნდა ჰკითხამდეთ, — დაიწყო კნეინამ ცოტა სიჩუმის შემდეგ და მოიწმინდა ჩამოშვებული ტუჩები, რომლის ნაპირებშიაც დორბლი მოსდგომოდა.

— ამის შემდეგ უთქვენოდ საქმეს როგორ-ღა დავიჭერ!

— აბა, რაზედ დაკარგეთ ისე უბრალოდ სამასი თუმანი?

— სამას სამოცდახუთი! — ოხვრით გაუსწორა დიამბეგმა.

— წეღან კარგად გითხრათ ჩემმა ქმარმა: ფული საპონსა ჰგავსო...

— სწორედ, სწორედ თქვენ ნუ მომიკვდებით!

— რა გენაღვლებოდათ სამოცი თუმანი საპნად წასულიყო და სამასი თქვენ დაგრჩენოდათ?

— ასი წასულიყო, ჯანი გავარდნოდა, ორასი... დანარჩენი ხომ მე დამრჩებოდა!

— რას ბძანებთ? — გააგრძელა კნეინამ: — გამოუცდელობა ძნელია.

ისინი ამ ტკბილს საუბარში იყვნენ; ღირსეული კნეინა არიგებდა დიამბეგს, რჩევას აძლევდა და სიფრთხილით არწმუნებდა, რომ იმისი ქმარი ჭრიჭინა ღერძია, რომელსაც საპნის ამოცხება უნდა და ამის შემდეგ ფიქრი აღარ უნდოდა, ყველაფერი რიგზედ წავიდოდა.

სანამ მქადაგებელი მაგალითებით ამტკიცებდა თავის საუბარს, და მოწაფე განსაკუთრებულის ყურადღებით მოისმენდა იმის სიტყვებს, გორჯასპთან კაბინეტში შემოვიდა ორი მთლად შეიარაღებული ყმაწვილი კაცი და მდაბლად თავი დაუკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა!

— გაგიმარჯოსთ, გაგიმარჯოსთ! რა გინდათ?

— შენი დღეგრძელობა.

— სხვა?

— აი რა, შენი ჭირიმე... ეს ზალიაშვილი გუგუაი გახლავთ

— ჰო, მერე?

— ამას მეტად მოსწონს ერთი ქალი, იმის გატაცება უნდა, შენი ჭირიმე, და შენს დაუკითხავად ვერ გაუბედნია.

— კარგი, კარგი! — ცოტა ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა გორჯასპიმ. — მერე ქალი რას ამბობს?

— იმ ქალს სახლში კაცი არავინა ჰყავს. ერთი ბებერი სულაყეფებული დედაკაცი. ბებიაია იმ ქალისა და ის არ სჩადის, თორემ რამდენჯერ ვითხოვეთ, — იცრუა უცნობმა.

— თუ შენი წყალობა გვექნა, ჩვენ სხვა არა გვინდა-რა.

— წყალობა წყალობაა, მაგრამ თუ ქალი არ ისურვებს?

— ქალს ვილა ჰკითხავს, შენათ ჭირაიმე, უწინდელი დრო ხომ აღარაა, რომ თემობით გამოგვეკიდნენ?...

— მართალია, მაგრამ თუ ქალს არ უნდა, ძნელია.

— შენ რაი გაგიჭირდება, ხემწიფის სწორი კაცი ხარ! შენს სამსახურსაც არ შევირჩენთ.

— კაცები გყავსთ ვინმე? — მოლბა მებატონე, რა სამსახურზედ ლაპარაკი ჩამოვარდა.

— გვყავს, შენი ჭირიმე, — უპასუხა უცნობმა და უბისაკენ წაიღო ხელი.

გორჯასპიმ მსუნაგად თვალი გააღევნა და, რადგანაც იცოდა, ამ მოძრაობის შედეგი რაც იქნებოდა, — უფრო მხიარულად დაუმატა:

— მაშ საქმე გაჩალხული ყოფილა! წადით და მოიტაცეთ, — მისცა დასტური მებატონემ.

— მოვიტაცებთ, შენი ჭირიმე, მაგრამ შენი წყალობაც გვინდა... — ამ სიტყვებთან ერთად უბიდგან ამოიღო ნაკუწში გამოკრული რაღაცა, გამოხსნა და მიართვა გორჯასპის.

— ეს რა არის? — ღიმილით იკითხა იმან, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რაც იყო.

— შენი სამსახური, შენი ჭირიმე, შენი სამსახური... ცოტასათვის ნუ გაგვიწყრები და კიდევ შენ ხელთ გახლავართ... კიდევ გემსახურებით.

— რადა სწუხდებოდით, რადა? — მიცემული საჩქაროდ იჯიბა გორჯასპიმ და დაუმატა: — განა უამისოდ კი არ შეგეწეოდით.

— სულ შემწე ხარ და სულ მწყალობელი, შენი ჭირიმე!.. ხევს

შესით უდგია სული, ღვთის მადლმა!.. ცოტასათვის ბოდიშს ვიხდით, სულ ცხრა თუმანი გახლავს და კიდევ გაგიწევთ სამსახურს.

— კარგი, კარგი... ჩემს ბიჭებსაც გამოგაყოლებთ, დიანბეგიც აქ არის, იმის ყაზახებიც წაიყვანეთ და მაგას კი მე თითონ მოველაპარაკები.

— შენი წყალობა მოგვცა ღმერთმა, ჩვენც არ დავკარგავთ სიკეთეს.

ამითი გაათავეს ლაპარაკი და მკითხველმა კი თავიდგანვე შეიტყო, რომ ციკო ამ ხალხმა მოიტაცა.

## III

გუგუა იყო შეძლებულის კაცის შვილი და, მაშასადამე, რაოდენადმე სხვებთან შედარებით განებივრებული; ლამაზი, მოხდენილი, გულკეთილი, გუგუა მთის ხალხის ჩვეულებაზედ იზდებოდა. მთელი საღამოები და უქმი დღეები მამა-ბიძანი უამბობდნენ მთის ხალხის წარსულს ცხოვრებას, იმათ ხასიათსა და ჩვეულებაზედ, თემის პირის სიმაგრეზედ და ღალატის სისაძაგლეზედ. ამის გარეც, იმის აღზრდაზედ დიდი მოქმედება ჰქონდა თემის ყრილობას, იმათს გადაწყვეტილებას და სხვაგვარს სახალხო ყრილობას, რომელზედაც სათემოდ ლაპარაკობდნენ საერთო საქმეზედ, ხალხის ბედ-იღბალზედ. მართალია, გუგუას დროს ხალხზედ ზრუნვა გადავიდა თვითეულს პირზედ, რომელიც უმაღლესის მთავრობისგან ინიშნებოდა; მართალია, სახალხო ყრილობა თანდათან უფრო იშვიათად ხდებოდა და ჰკარგავდა თავის ფერს და ხალხზედაც ისეთი მოქმედება ვეღარ ექნებოდა, როგორც ადრე, — მაგრამ გუგუას ხასიათზედ მაინც დიდი შთაბეჭდილება იქონია.

გუგუა ადრე დაობლდა, დარჩა მარტო მოხუცის დედის ხელში და, როგორც უპატრონოს, ნაცვლებმა და იასაულებმა ძალა მიაყარეს. ამგვარი ცხოვრება კი იმისთვის ახალი სკოლა იყო, რომელმაც თავის ხასიათი დაადო. ის შეეჩვია ხვეწნას, მიფერებას, რათა თავიდგან აეცდინა მეტისმეტად ულმერთო და უსამართლო მუშაობა. ცოტა ხანს შემდეგ მოუნდა ცხვრის პატრონობა, რადგანაც იმათ მწყემსს, რომელსაც ცხვარი ჰყავდა დაზიარებული, ვადა გაუვიდა.

მეცხვარობაში შეეჩვია სიფრთხილეს, ვაჟკაცობას და ამხანაგისთვის თავის გადადებას, რადგანაც უამისოდ მეცხვარის ცხოვრება შეუძლებელია; იმათ საერთო ინტერესი, აუცილებელი ერთმანერთის მიშველება იქამდის აერთებს, რომ ღალატი და ამხანაგებისთვის თავის შენანება შეუძლებელი ხდება, რადგანაც, მუდამ სხვის აღგი-

ლებში მხეტებელნი, მარტო საერთო ძალით და ერთპირობით იცავენ თავს და უამისოდ გაცალკევებულნი, შეიქნებოდნენ სხვადასხვაგვარის ძალის დამტანის ხალხის მსხვერპლად.

თავის მეცხვარეობაში გუგუას აგონდებოდა ის უსამართლობა და ძალა, რომლითაც თავის სიობლეში ისე აწვალებდა მოხელე ხალხი; აგონდებოდა თავისი დედა, რომელიც არაერთხელ ატირებულა მდუღარე ცრემლით იმ ხალხის უსამართლობით, და გული ემღვრეოდა და ნელხელა ხდებოდა იმათ მტრად. ის გაჰრეკავდა ცხვარს საძოვარზედ, მთელი დღე მარტო დასტრიალებდა თავს და ამგვარი სიმარტოე კი ყოველთვის ამუშავებს კაცის გონებას. ამ გონების მუშაობაში თავში იბეჭდება ის გადაწყვეტილება, რომელიც იმისმა ჭკუამ გამოიკვლია, და ამგვარს გამოკვლევაზედ არა მცირედი მოქმედება ჰქონია წარსულს ცხოვრებას, წარსულს შთაბეჭდილებას. ერთს ზაფხულის დღეს, გუგუა მოვიდა თავის სოფელში, რათა ხატში. წაეყვანა დოლის თავი, რომელიც მწყემსებს საზოგადოდ თავის ხატისთვისა ჰყავთ გადადებული.

ის მოირთო, მოიკაზმა, გაურია ბატკანი მწყემსს, რომელსაც ხატში უნდა მიერეკა იმ სოფლის ბატკნები და თითონაც გაუდგა მთას, სადაც ნადირობით აპირობდა სალოცავ ადგილს გასვლას.

გუგუა გავიდა ნარიანის ჩონჩხებში სწორედ იმ დროს, როდესაც ამაყად ამართულს გათეთრებულს ყინვარს მზის უკანასკნელი სხივების გვირგვინი დაედგა და თავის სიმაღლიდგან სიამაყით გადმოსცქეროდა გამხეცებულს თერგს, თერგიც ათას ნანჩქარებს ისროდა ქვიდგან ქვაზედ, ქაფდებოდა, იკვრებოდა ბურთსავით, განიბნეოდა წვრილს ნამად და გამაცოცხლებელს ფარდახტად ედებოდა ყნოსიერს, ხავერდის მსგავსს, ნაზის ფერადით აჭრელებულს, ბალახიანს ველებს, — გაჰქონდა რაღაცა მედიდური, თითქოს ერთხმად გადაქცეული გრიალი, რომელიც ხან ამაღლდებოდა და ემსგავსებოდა გამძვინვარებულის ლომის ხმას, ხან შეყვარებულის ნაზ ჩურჩულად გადაიქცეოდა. იმისდა გვარად თუ ქარი საიდგან და რა ძალით დაჰბერავდა, რა რიგად დატრიალდებოდა ხვეულს და უსწორ-მასწორო მთებში. ეს იყო რაღაც ამაყი, მედიდური ხმა, გათამამებული ღრიალი, ღრიალი, რომელშიაც გამოისმოდა ათასგვარი დამყვავებელი და გულის აღმძრავი ნაზი ხმები.

გუგუა დაყრდნობილი თავის თოფზედ, მოხიბლული მშვენიერის სურათებით და ნეტარების აღმძვრელის ხმებით, გაჰყურებდა მთებს, სტკბებოდა და ნაზს, მარტო მთის ხალხისაგან ნაგრძნობს, ნებიერებას ეძლეოდა.

ის ამ გატაცებაში იყო, როდესაც ცის ტატნობაზედ. ერთს ფი-

წალო კლდის წვერზედ, გამოჩნდა ხარ-ლაღი, რომელიც იქამდის გამოიზნიქა კლდეზედ, რომ კაცი იფიქრებდა — გადმოვარდნას აპირებსო; მაგრამ პატიოსანი პირუტყვი თითქოს ერთბაშად გაქვავებული დარჩა და შუბლი მიუშვირა გამაგრილებელს ნიავს. შეუჩვევარ თვალს ის, უეჭველია, ქვისგან გამოკვეთილი ეგონებოდა, ისე გაუნძრევლად და გადმოხრილი იდგა. ცოტა ხანს შემდეგ წყნარად გაიქნია თავი, გადახტა მეორე კლდის კინწიროზედ და ხელისგულის ოდენა ადგილზედ ოთხივე ფეხი ერთად მიტანილი შესდგა. იქიდგან გადმოხტა მესამეზედ, მეოთხეზედ და ამგვარად დაიწყო ვარჯიშობა იმ მარტო შესახედადაც გულისგამხეთქს კლდეებზედ, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა თავის სიმარდე და ფეხის ძარღვების სიმაგრე.

გუგუა გასცქეროდა და მოელოდა, რომ სათოფედ მოახლოვდებოდა, მაგრამ ხარ-ლაღი იმ ადგილს არა შორდებოდა. მოხევე წამოდგა, მოეფარა მთას და მალვით სათაური ისე წამოუარა, რომ ან ჯიხვს არ დაენახა, ან ქარს სუნი არ მიეყარა იმისგან. მონადირე გადაწვა კლდეზედ და ისე დაინახა ჯიხვი, რომელსაც ვარჯიში მოსწყენოდა, გასულიყო კლდის ნაპირად, ამოედო სამი ფეხი ქვეშ, მეოთხე კი პირდაპირ გაეშვირა და ისე დაწოლილიყო. ნისლი, რომელიც წყნარად მოცურამდა მთის წვერზედ, მიახლოვდა ჯიხვს და ნახევრად გახვია შიგ. პირუტყვს ეტყობოდა, რომ იმას ასიამოვნებდა გრიალი ნოტიო ნიავი, რომელიც ნისლის აუცილებელი თანამგზავრია, და ამის გამო სიამოვნებით იწვდიდა კისერს და აგებებდა თავს მომავალს ნისლს. გუგუამ გადუშვირა თოფი, მაგრამ შენანდა პირუტყვი, რადგანაც არ უნდოდა სიამოვნება მოეკლო იმისთვის. მაგრამ დაჰბერა ქარმა და თეთრის გაპენტილის ბამბასავით ნისლი საჩქაროდ წამოვიდა. მოხევეს შეეშინდა, რომ ნისლი ჯიხვს არ გადაჰფარებოდა და იმისთანა ხარ-ლაღი ხელიდგან არ გამოეცალა. გავარდა თოფი, შეხტა ჯიხვი და რამდენჯერმე გადატრიალდა ჰაერში, გადმოვარდა კლდეზედ და ჩაიჭედა ქვების შუა ხევში.

— კვლავ უფრო! — შემოესმა გუგუას, რომელმაც მოიხედა და შორი-ახლო დაინახა ყაზახი პავლია.

— გამარჯვება, პავლიაუ! — მხიარულად დაუძახა გუგუამ, რომელმაც გასროლის შემდეგ თოფს წმენდა დაუწყო.

— ძალუამ ჯიხვი მოჰკალ!.. მეც მაგას ვეპარებოდი, მაგრამ ღმერთმა შენ მოგცა, — უთხრა ახლადმოსულმა.

— ჩემი თოფი ყირიმია, შვიდღარიანი, — ამაყად უპასუხა გუგუამ.

— თოფიც კარგი გქონია და თვალიც მარჯვე, ღვთის მადლმა!...

ბავლიამ და გუგუამ დააწყეს თოფები, გაიკეთეს წრიაპები,

რადგანაც ჯიხვთან ჩასასვლელი გზა მეტად ძნელი იყო და ზამთრიდგან დარჩენილი ყინულიცა ჰქონდათ გასავლელი. აიღეს ჯოხები და ზედ დაბჯენით, ჩქარის სირბილით ჩაიარეს ისეთი ადგილი, რომელიც ამ ადგილებს შეუჩვევარს კაცს გაუსვლელად ეჩვენებოდა.

პავლიამ წამოიკიდა ნადირი და ორნივ თავის თოფებთან ამოვიდნენ; იქ მოაგროეს გამხმარი ბალახი და ცეცხლი მოუკიდეს, რათა იმის შუქზედ ხალხს გაეგო, რომ მონადირეებს ხარ-ლალი მოუკლავს, და ეს კი სასახელო იყო, რადგანაც ხარ-ლალები ისეთს მთის წვერებში დადიან, სადაც ყველა მთის კაციც ვერ შეჰბედავს. მონადირეებმა დაისვენეს რაოდენსამე ხანს, შექანქლეს გულ-ღვიძლის მწვადები და გასწიეს ხატობას. ჯიხვი ისევ პავლიას ეკიდა, რადგანაც იქაურ მონადირეთა ჩვეულებით, იმასაც ნანადირევში წილი უნდა ჰქონოდა, როგორც ნადირობის დროს შეხვედრილს. იმათ გადიარეს რამდენიმე ქედი და გავიდნენ ერთს ვაკე მთაზედ, რომლის ერთს მხარეზედ ამართულიყო პატარა გორაკი და ამაზედ აეშენებინათ უბრალო ჰაჭების გალავანი და შუაში პატარა ნიში წვერის სპარს-ანგელოზის სახელობაზედ. გალავნის იქიდგან გადმოჩანდა დროშები, რომელთაც მსუბუქი ნიავი აფრიალებდა. ვაკეზედ მოჩანდა მრავალი ხალხი სხვადასხვა ფერს ტანისამოსში. ერთს ადგილს შეყრილიყო ყმაწვილი ხალხი და გაემართა ტაშფანდურა, მეორე ადგილს დაებათ ფერხული და ასე ატარებდნენ დროს. ზოგიერთებს მიჰყავნდათ ნიშთან ბატკნები, იქ ჰკლამდნენ დეკანოზები, დაამწყალობებდნენ, ღმერთს შეავედრებდნენ პატრონს და სისხლში ამოვლებულის თითით ჯვარს გაუკეთებდნენ შუბლზედ, მერე პატრონები დაავლებდნენ საკლავს ხელს და რბოლით ჩაათრევდნენ საარაყე ქვაბთან, სადაც მლოცველთათვის საერთოდ სადილი მზადდებოდა.

გუგუას და პავლიას თვალი შეჰკრეს და უფრო ყმაწვილი ბიჭები იმათკენ ძახილით გაიქცნენ.

— მონადირენი, მონადირენი! ხარ-ლალი მოუკლავსთ! — და რა მიუახლოვდებოდნენ, შესძახებდნენ: — კვლავ უფრო!

ისინი მივიდნენ ერთს ადგილს, მონახეს თავიანთი ბინა, ჩამოხსნეს პავლიას ჯიხვი, რომელსაც მოსჭრეს რქები და ხატს ხვეწნით და მუხლის ყრით მიართვეს. მერმე გამოვიდნენ მოთამაშეები და დაუწყეს ყურება.

— შეხედე-ლა, შეხედე! — წაჰკრა მკლავი პავლიამ თავის ამხანაგს.

— რაია? — იკითხა გუგუამ.

— თოლები სადა გაქვს? — გაიკვირვა პირველმა და დაუმატა: — ციკოს ვერ ჰხედავ?

— აბა სადაა? სადა? — იკითხა გუგუამ და გულმა ძალზედ ძგერა დაუწყო.

იმას არ ენახა ციკო, მაგრამ იმდენჯერ გაეგონა იმისი ქება, იმაზედ ლაპარაკი, სიმღერა, რომ, როგორც მომეტებულს წილს მოხევეთ ყმაწვილკაცობას, იმასაც ნეტარებად მიაჩნდა ციკოს დანახვა, იმისი გაღიმება და შეხედვა.

— აგერ! — გაუშვირა ხელი პავლიამ.

გუგუამ შეხედა და გაშტერებული დარჩა. იმას თვალწინ წარმოუდგა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ქალი, რომელიც თამაშობდა ერთს ყმაწვილ ბიჭთან. ციკო თამაშობდა ბავშვურის თავდავიწყებით და აშკარად ეტყობოდა, რომ მთელი იმის არსება ამ წუთის სიამოვნებას შეეპყრო. ციკო დარბოდა, ეცლებოდა თავისთან მოთამაშეს, შეხედავდა გვერდზედ და გაუძვრებოდა მკლავებ ქვეშ, რათა გაშორებული შემდგარიყო და იქიდგან წყნარის გრაციით სავსე მოძრაობით გაეჯავრებინა, აეღელვებინა. ის გარბოდა, კაცი მისდევდა, გზას უკრავდა, ყოველის ღონისძიებით ცდილობდა თამაში შეეშალა ქალისთვის და მოულოდნელად წინ დახვედრით დაემორჩილებინა ცქვიტი გოგო. მაგრამ ციკო განთქმული მოთამაშე იყო, იმისი ხელში ჩაგდება აგრე ადვილი არ იყო. ორნივ ცდილობდნენ მოეღალათ ერთმანერთი, მაგრამ, თითქოს განგებ გასაჯიბრებლად გამორჩეულნი, ვერც ერთი ვერა სჯობნიდა; ვინ იცის, რამდენს ხანს გაგრძელდებოდა ეს თამაში, თუ ერთბაშად ერთის მხრიდგან ყვირილი არ მოსმენოდათ და არ გაეგონათ ქადაგი.

— ქადაგი ავარდა!

ხალხი გაიქცა იმ ადგილისკენ, სადაც ერთი შუახნის კაცი დაჩოქილი ეჭირათ რამდენსამე ქუდმოხდილს კაცს, რომელნიც ღმერთს ეხვეწებოდნენ, რომ შეიბრალოს ავარდნილი ქადაგი და ათქმევინოს — რა სურდა ამ ხალხისგან დიდებულს წვერის სპარს-ანგელოზს? ამ კაცებს მაგრად ეჭირათ ქადაგი, რადგანაც ის აწყდებოდა აქეთ-იქით, შეუწყალებლივ სცემდა მუხლის კვერებს დედამიწას და შესაძრწუნებელის ხმით გაჰკიოდა: „მე ვარ წვერის სპარს-ანგელოზი, მე ვარ წვერ-ჰკიდარის სპარს-ანგელოზი!.. დაჰკარგეთ სარწმუნოება განა?.. მინდოდა ცეცხლი გადმომეგდო, მაგრამ წმინდა გივარგი ჩაგვიდგა შუა! წმინდა გივარგი ჩაგვიდგა შუა!..“ შეშინებულმა ხალხმა არ იცოდა, რაზედა წყრებოდა სპარს-ანგელოზი და ამისთვის ყველამ ქუდები მოიხადა, ყველანი დაეცნენ მუხლებზედ და დაჩოქილნი წმინდა გივარგის ევედრებოდნენ, რომ შეიბრალოს და დაიხსნას სპარს-ანგელოზის რისხვისგან.

ციკოც, სხვათა შორის, მოსულიყო აქ და დაჩოქილი შეჰყურებ-

და ქადაგს, როდესაც იგრძნო, რომ ხელი ვიღამაც წაჰკრა. იმან მოიხედა უკან და დაინახა გუგუა, რომელსაც იმის უკან დაეჩოქნა.

— ბედშაო, ხელს რას იკვრევინებ? — შებღვირა და შებუზღუნა ციკომ.

— აქეთ მოიხედე, ქალაისი! რას უცქერ მაგას! — უპასუხა გუგუამ და ჩაუცინა.

— რაი გაღრიჯებს?

— მიხარიან და ისა.

— მიხარიან და ისა! — დაღრეჯით გაუკირცხლა ციკომ და დაუმატა: — რაი გახარებს?

— შენი ნახვა, ცხო რაი?

ქალმა კიდევ შებღვირა და ისევ ქადაგს დაუწყო ყურება და გუგუა კი გაშტერებით უყურებდა იმას.

— ქალაუ! — კიდევ წაჰკრა ხელი გუგუამ.

— დამეხსენ, აგრემც დაგიბრმება თოლაი!

— ღვთის მადლმა, რომ მე შენ აღარ მოგეშვები!

— სანამც გიკვნესია!

— ჩემი უნდა იქნა.

— მაგას ნახამ, — უპასუხა ქალმა, წამოდგა და სხვებს გაერია.

გუგუამ გახედა ქალს და მთლად აერეოლდა. შეჰკრა მიმავალს თვალი და იგრძნო, რომ იმისი მოშორება შეუძლებელი ხდება. გადასწყვიტა, რომ ბედს იმისთვის დაუწერია ეს ქალი და, სიკვდილადაც რომ დაუჯდეს, თავს აღარ დაანებებდა. ის ამ ფიქრებში იყო, როდესაც ხელი წაჰკრა პავლიამ და ხარხარით უთხრა:

— რაი?.. თუ არ მოგედო?

— მომედო, ღვთის მადლმა, და ძალზედ მომედო!

— კარგია განა?

— ოჰ! — მეტი ველარა უპასუხა-რა გუგუამ და ჩაჰკიდა თავი.

ამ დღიდგან დაიწყო გუგუას მოუსვენებელი მდგომარეობა, და პავლია კი ყოველის ღონისძიებით ცდილობდა გაეხურებინა აღძრული გრძნობა. ერთს დღეს გუგუა დაღონებული და მწარედ შეწუხებული იჯდა დუქნის კარებთან და ელოდა ბიჭს, მარილი გამოეტანა, რომელიც საქონლისთვის მთაში უნდა წაეღო.

— რას დაღონებულხარ, გონჯო! — შეეხუმრა პავლია, რომელიც იქ მივიდა.

— რაი ვქნა, აბა? — მხრების აწევით უპასუხა გუგუამ და შეიწვია დუქანში. პავლია, როგორც ყაზახი, მუქთად სმასა და ჭამას დაჩვეული, სიამოვნებით შეჰყვა და დაიწყეს სმა. სტაქანი მოჰყვა სტაქანს, ჩარექა — ჩარექას, ორნივ შეწითლდნენ, ორნივ შეზარხოშდ-

ნენ. ღვინის ძალამ ორთავეს ენა გაუხსნა, ორთავეს მოაწადინა რაღაცა ვაჟკაცობის სახელის გამოჩენა და ამის შემდეგ პირველი აზრი იყო ციკოს მოტაცება. ისინი გამოვიდნენ, იშოვეს ორიოდე ამხანაგი და გასწიეს გუგუას სახლში, სადაც პურის ჭამაზედ და ქეიფში გარდასწყვიტეს ეს განზრახვა აესრულებინათ.

## IV

გუგუამ მოტაცებული ქალი აშკარად და დაუმალავად გაატარა მთელი სოფელი, მიიყვანა თავის სახლში და იქ კოშში შეიყვანა, სადაც ჩაიკეტა კარები.

ციკომ, რომელსაც პირველსავე შემთხვევაზედ გული შემოჰყროდა. როდესაც გონს მოვიდა, სანთლის შუქზედ გაარჩია, რომ ის იწვა ჩალაზედ და გუგუა ელერსებოდა.

პირველი გრძნობა, რომელმაც გულში გაურბინა, იყო წარმოუთქმელი ზიზღი, ამ ძალდატანებისგან აღძრული.

ის წამოვარდა ფეხზედ და შეშინებული მიიკუნჭა კედელთან.

გუგუა მხიარულის და მოღიმარის სახით წავიდა იმისკენ.

— არ მომეკარო! — შეჰყვირა ციკომ.

— რაი-და არ მოგეკარო, ჩემი ხარ, ჩემი ყველავ, ჩემი!

— რაისთვი ვიქნები შენი?.. — მე შენ არ მიყვარხარ.

— რაისთვი, რაი დამიშავებია?

— იმისთვი, რომ გონჯი ხარ.

— ქალაუ! ჩემი დღენი შენთვის დამილევია, შენთვის ჩამომდნარვარ, და, ღვთის მადლმა, თავსაც აღარ დაგანებებ.

— რაი გინდა ჩემგან, რაი?..

— შენი სიყვარული.

— დაგიბრმა თოლი!

— შემიყვარე, ნუ მლევ!

— არაუ!

— ერთი მაინც მაკოცე.

— არაუ, არაუ!

— მაშ თუ არა-და, ძალად გაკოცებ, — უთხრა გუგუამ და მოხვია ხელები.

ციკოს გულმა დაუწყო ცახცახი და თავისი თავი დაღუპულად ჩასთვალა.

— აჰუ! მაგის მეტი კაცობა აღარ გაქვს?... რაი სახელია ქალის ძალადობა?

გუგუას შერცხვა და ხელები უნებურად ჩამოუცვივდა.

— მაშ შემიყვარებ? — ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა იმან.

ციკოს თავში გაუელვა აზრმა, რომ აქ ეშმაკობის მეტი არა გამოდგებოდა-რა და ამისთვის უპასუხა:

— აბა რაი ვიცი!.. მაწვალებ-და... — ამ დროს პირველად შეხედა ქალმა გუგუას თვალებში და გაერჟოლდა.

იმის თვალებიდგან გამოკრთა რაღაცა უხილავი ცეცხლი, რომელმაც ერთბაშად მოხიბლა ციკო, ააერჟოლა, სიტყვა გაუწყვიტა პირში. გუგუამაც იგრძნო, თუმცა გამოურკვევლად, ეს ძალა და აშკარად ამჩნევდა, რომ რაღაც ცვლილება ხდებოდა იმის გულში. ციკოს სიტყვებმა თავბრუ დაახვიეს გუგუას, თვალთ დაუბნელეს და იმედმა სასიამოვნოდ ციგლიგი დაუწყო.

— მაშ, რომ არ გაწვალო, შემიყვარებ? — წყნარად და გულის ცემით წარმოსთქვა იმან.

— რაი ვიცი, — თავდაღუნვით უპასუხა ქალმა.

— ციკო! ყური მომიგდე... მე შენ ეგრე მიყვარხარ, ეგრე, რომ თუ გაჭირდა, შენც მოგკლავ, თავსაც მოვიკლავ და შენ კი აღარავის დაგანებებ... მე შენი ძალდატანება არ მინდა, მიყვარხარ, მებრალები კიდეც, გამოგიტაცე და ეხლა შენმა სიტყვებმა იმედი მომცეს. მე მინდა შენც გიყვარდე და ამად დავიცდი... ეს იცოდე, აქედგან კი არსად გაგიშვებ... როცა შეგიყვარდე, მითხროდე.

— აგრე, — ცახცახით უპასუხა ქალმა.

ამას შემდეგ გამოსასვლელად გამობრუნდა გუგუა და ციკომ თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ კაცმა რა კარს მიაღწივა, გამობრუნდა ისევ, წარმოდგა რამდენიმე ნაბიჯი და შედგა.

— ქალაუ, ერთაი კოცნაი რაი გაგიხდა?... ერთაი მაკოცე.

— არა, არა, დღეს არა!

გუგუამ ხელი ჩაიქნივა, გამობრუნდა და გამოვიდა გარედ.

საკვირველი საქმე შეემთხვა ამ დროს ციკოს გულს... როდესაც გუგუა გამოდიოდა, ყოველი იმის ფეხის გადადგმა რაღაცა უცნაურის მღელვარებით ასურვებდა იმის დარჩენას. ეს სურვილი თანდათან ემატებოდა და, როდესაც კარები გარედგან გადარაზა, ქალი იმ მდგომარეობამდის მივიდა, რომ კინაღამ დაიყვირა:

— დაბრუნდი, მე შენი ვარ!

ციკომ თავი შეიკავა, შესდგა რაოდენიმე ხანი და გაშვერილი ხელები ისე დარჩა. ცოტა ხნის შემდეგ, წყნარად გადაისვა შუბლზედ ხელი, წყნარად ჩამოუვარდა ეს ხელი და წყნარადვე ჩაიკეცა იმავ ადგილას, რომელზედაც იდგა. რაოდენიმე ხანი ისე გაშტერებული იჯდა, მერე მოერია თვალებში ცრემლი, გადმოეკიდა ქუთუთოებზედ, გადმოვარდა მარგალიტსავით ერთი ცრემლი, მეორე, იმას მოჰყვა მესამე, მეოთხე, — და ქალმა დაიწყო ტირილი.

ისა სტიროდა ცხარედ, გადმოსდიოდა მშვენიერ თვალთაგან ნაკადულად ცრემლები, მაგრამ, რომ გეკითხნათ, რისთვის სტიროდა, — აწუხებდა, თუ ამშვიდებდა ეს ცრემლები, — თითონაც ვერ გიპასუხებდათ.

ეს იყო ნამი ყმაწვილის ქალის გულში პირველად აღძრულის გრძნობისა, რომელიც ამღელვარებს გულს და კი არ ატყობინებს — რა მოსდის, რა ემართება, რისთვის იქცევა ასე და სხვა რიგად არა?

ციკომ ნახა ყმაწვილი კაცი მშვენიერი, წამოსადეგი, რომელიც აშკარად თავგანწირულებამდის მისულიყო, რომელიც თავს არ იზოგავდა იმისთვის; ნახა რომ ძალდატანებით გაუპატიურება არ ისურვა და სიყვარულს კი იქამდის მიეყვანა, რომ კიდეც მოეტაცა. როგორც გინდათ სთქვით, ეს ყველა, მთის ქალის შეხედულებით, ღირსება იყო. მემრე შეხვდა იმის თვალებს და ამ თვალებიდგან რაღაცა უხილავი ძალა გამოჰკრთა, რომელმაც, იმისვე უნებლიედ, დაიმონავა, დაიმორჩილა და ნეტარების ჟრიანტელი დაუტარა სხეულში. ამისთვისაც პირველი გრძნობა ისე ჩქარა, ერთბაშად შეიცვალა მეორე სრულებით მოპირდაპირე გრძნობად.

ციკო გაიტაცა გუგუაზედ ფიქრმა და აშკარად წარმოუდგა იმისი სახე თვალწინ.

ეხლა ის ციკოსთვის ლამაზიც იყო, მარდიც, მშვენიერიც; იმის თვალების შესადარი თვალები აღარ დაიბადებოდა, იმის ტუჩებისთანა ტუჩები აღარ გაჩნდებოდა. ერთის სიტყვით, ციკოს გული მოუთმენლად ელოდა იმის მოსვლას.

## V

კარგად მონათდა, როდესაც შავთვალას წინამძღომლობით მთელი სოფელი ჩამოვიდა ღუდუშაურის კარებთან და იქ შეგროვდა ერთს პატარა მოედანზედ, სადაც ლაპარაკი და ხმაურობა ასტეხეს.

ყველაზედ მომეტებულად ყვიროდა შავთვალა, რომელმაც სიმწარით აღარ იცოდა, რა ექნა.

ამ სოფლის კაცი, ქალი თუ დედაკაცი, არა ჩვეულებრივის შემთხვევით გაკვირვებულნი, მორბოდნენ და გროვდებოდნენ ხალხის გარშემო.

— რა ამბავია, რაი მოხდა? — ჰკითხავდნენ ერთმანერთს.

— რაი-და რაი ამბავია, ზალიანთ ქალი მოგვტაცეს! დღეს ან ჩვენ უნდა გავწყდეთ, ან ისინი.

ჩამოვიდა უფროსი ხალხი, გამართეს მოციქულობა, დაუწყეს ხალხს მშვიდება და მოკეთეებმა მიიწვიეს მოკეთეები.

იმათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ თუ ჩხუბი მოხდებოდა, ორი სოფელი ერთმანერთს შეაწყდებოდა და ამის შემდეგ კი არა ერთის დედა ატირდებოდა. ამის გამო ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ აღელვებულის ხალხის დაწყნარებას. მაგრამ შავთვალას თავგადადებული საქციელი ყველას აფრთხილებდა და ალაგიდამ ფეხს არ აცვლევინებდა.

მოიჯრა გულგახეთქილი დიამბეგიც, რომელიც ტკბილის ძილიდგან გამოაღვიძეს და შეატყობინეს, რომ მთელი სოფელი, ფხელში, შეიარაღებული ჩამოსულა და ღუდუშაურიანთ კარებთან შეყრილაო.

— რა ამბავია, რა არის? — იკითხა იმან მოსვლის უმალ.

— რაი-და რა ამბავია! — მივარდა შავთვალა: — უსამართლოება, ქვეყნის დაქცევა, ძალა!.. ცხო რაი-და ამბავი უნდა იყოს! აგრემც უკუღმართ გაუბრუნდების სიცოცხლე!

— გამაგებინე, რას ამბობ?

— წუხელის ქალი მომტაცეს!.. შემომიცვივდნენ ერთ ქვრივოხერს, უპატრონო დედაკაცს და ქალი გამიწბილეს, იმ პირქუშებმა და საზიზღარ ამოსაცვეთებმა... ნუ მისცეს კეთილი ზეცირმა მამამ ჩემის ცოდვით!

— ვინ მოგტაცა, რას ამბობ?

— ღუდუშაურიანთ და შენა!.. სხვას ვის შეეძლო, ვინ გაბედავდა?

— როგორ თუ მე?

— შენი პირქვედასამხობი ყაზახები და ღუდუშაურიანთ კაცები იყვნენ ჩემი ნამუსის ამხდელნი.

— კარგი, კარგი, ნუ იწყევლები!

დიამბეგმა დაუძახა ყაზახებს, იკითხა და გაიგო, რომ ზალიანთ ბიჭს გუგუას მოუტაცნია ქალი, ეხლა ციხეშია გამაგრებული და არავის ნებდება.

— დაიჭირეთ, მოიყვანეთ აქ! — უბრძანა დიამბეგმა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ამ ბრძანებას ვერავინ შეასრულებდა.

— როგორ დავიჭიროთ, შენი ჭირიმე, რომ კაცს არ იკარებს.

— როგორ თუ არ იკარებს!... ეხლავ ცოცხალი თუ მკვდარი აქ მომგვარეთ!

— ციხეში არის, შენი ჭირიმე, და საით მივუდგეთ? თოფი იმას არ მიეკარება და ხმალი.

დიამბეგმა გაიარ-გამოიარა და მიუბრუნდა მოხუცს.

— ხომ გაიგონე? შენის ქალისთვის კაცებს ხომ არ შევახოცე.

— ჰაი, ჰაი, რომ უნდა შეახოცო!... მაშ რის მოსამართლე ხარ?

— კარგია, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

— თუ უფროსობის თავი არა გაქვს, თავი მაინც დაგვანებე, თუ გეშინიან, ჩვენ გვითხარ და ჩვენ თითონ გავუსწორდებით.

— გიბძანებ, რომ ეხლავ გაჩუმდე.

— რაისთვი გავჩუმდე, სამართალს ვითხოვ.

— მომაშორეთ ეს დედაკაცი, — ბრძანა დიამბეგმა, მაგრამ ხელი არავინ გასძრა.

— ქრთამი მოგიტანეს, და იმად თუ მითხოვ?.. ეგაა განა თქვენი სამართალი?.. წავიდეთ, ხალხო, გავწყდეთ!

დიამბეგი მზად იყო შუაზედ გაეგლიჯა დედაკაცი, მაგრამ ხალხი შემოეხვია ყვირილით:

— გავწყდეთ, გავწყდეთ!

დიამბეგი შეშინდა და გონება დაეკარგა; აღარ იცოდა რა ექნა და რითი დაემშვიდებინა ხალხი, როდესაც ამ გაჭირვებიდგან გამოიყვანა მოულოდნელმა შემთხვევამ.

— ნუ გამიწყრები, შენი ჭირიმე, ერთი სიტყვა უნდა მოგახსენო! — ქუდის მოხდით და დაბლად თავის დაკვრით უთხრა ერთმა მოხუცმა სოფლელმა.

— სთქვი.

— თუ ქალი თითონ წამოჰყვა, რას ემართლებით? ადათია და წესი... მთის ხალხში თუ ქალი თითონ წაჰყვა, ცხო კაცი ვერ გაერევის მაგ საქმეში... არა, სოფელო? — მიუბრუნდა სოფლელებს მოხუცი.

— ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა! — იყო საერთო პასუხი.

— მაშ მივგზავნოთ კაცები, შევიტყოთ, თუ ქალი ნებით გამოჰყოლია, გუგუაი ბრალდებული არ არის და, თუ არა — მაშინ ცხოა... სანამ არ გავიგებთ, რაისთვი უნდა შევეხოცნეთ ერთურთს?

— ძალიან კარგი! — მოიწონა ყველამ.

— გოჩიაუ! — მიუბრუნდა შავთვალა მოლაპარაკე მოხევეს: — შენი სიტყვა ღვთის სიტყვაა, ღვთის მადლმა, მაგრამ ქალი რომ დააშინონ, რაიც უნდათ, იმას ათქმევინებენ... მომცენ ჩემი ქალი, წამოვიდეს, დამშვიდებულს ვკითხამ და თუ გუგუაი ინდომა, გაძლევ ღმერთს თავდებად, მე იმას არ გამოვსწირო.

— ეგეც მართალია, ეგეც ღვთის სიტყვაა, — უპასუხა გოჩიამ და დაუმატა:

— შავთვალავ! თავად ღმერთი ლაპარაკობს შენის პირით, მაგრამ, ღვთის მადლსა, მოიგონე, რომ ეს სოფლელები სულ შენი მოკეთეები არიან, ნუ მოიწადი ამათ ერთმანერთის შელევას. მშვიდობიანობას არცრაი არა სჯობს.

— ჰაი, ჰაი, რომ არა სჯობს, მაგრამ ვინ გვაყენებს მშვიდობიანად?.. ხალხი, თუ სამართალი?... ყველა, აქ ვინც არის, ჩემი სისხლი და ხორცი არის, ყველა ჩემი გულითადი მოკეთეა, — ვინც ეგენი გასწიროს, ღმერთმა ის გასწიროს; მაგათ მოღალატეს — ღმერთმა უღალატოს! მაგრამ ნამუსისთვის კი უნდა გაწყდნენ, თუ დიაცები არ არიან, თუ მანდილი არ ხურავსთ.

— ჰაი, ჰაი, რომ გავწყდებით! კმარა ამდენი მოთმენა!

— გამოარჩიეთ კაცები და გაგზავნეთ, სხვა ლაპარაკი უბრალოდ დროს დაკარგვა იქნება, — დაუმატა დიამბეგმა და გაბრუნდა შინისკენ გახარებული, რომ ასე ადვილად მორჩა.

ამის შემდეგ აარჩიეს ორი მოაზრებული ფხელშელი, ორიც იმ სოფლელი, რომელშიაც ეს საქმე მოხდა, და გაგზავნეს შუაკაცად გუგუასთან.

— გუგუაუ, ჰააა გუგუაუ!

შორიახლო რომ მივიდნენ ციხესთან, შესძახეს შუაკაცებმა.

— რაი გინდათ? — ციხიდგან გადმოსძახა გუგუამ.

— მშვიდობა! — მისცეს პასუხად: — შუაკაცებად მოვდივართ.

— შუაკაცი ღმერთთანაც მიიგზავნების, რა გინდათ?

— ვაჟკაცი ვაჟკაცს უნდა ჰგვანდეს, ქუდოსანს მოფიქრება უნდა ჰქონდეს.

— ცხო რაი-ღა?

— თუ ეგ ქალაი ძალად გყავს წამოყვანილი, დაანებე თავი, ნუ დაღვრი უსამართლოდ სისხლს, ნუ წახვალ თემის წინააღმდეგ!..

— ქალი თავის ნებით არის წამოსული, მე ძალად არ ვიჭერ... ჩამომეხსენით, რაი გინდათ ჩემგან?

— ეგრე არ იქნების, თუ მართალს ანბობ, ქალი გვაჩვენე.

— ქალს ვერ ნახავთ.

— გუგუაუ, გუგუაუ! მამათ ეგრე უქნიათ და პაპათ; შენც ნუ გასტეხ იმათ წესს...

— მამათ და პაპათ! იმათ ჰაი, ჰაი რომ აგრე უქნიათ, მაგრამ ეხლა, რაი-ღა გვაქვს იმათი? სადღაა ან ნდობა, ან ძმობა, ან მეგობრობა?.. თემის პირი დიდი ხანია გატყდა და წვერის სპარს-ანგელოზმა მოჰკითხოს იმის გამტეხს. მე ბრალი არა მაქვს.

— აჰუ, მშიშარაი ყოფილხარ, — დასძახა მეორე შუაკაცმა და ამ სიტყვებმა აანთეს გუგუა, რომელმაც თოფს გაავლო ხელი, მაგრამ თავი ჩქარა შეიმაგრა.

— ღმერთს მადლობა უთხარით, რომ შუაკაცს ხელი არ ეხლების, თორემ წითლად შეგიღებავდი მაგ ტარაველს.

— მაშ რაისთვი არ გვიჩვენებ ქალს?

— იმად რომ შენისთანა კაცებს არ ვენდობი!.. მაგრამ წამოდით, შემოდით ციხეში!

— იარაღი ავიხსნათ, — უთხრეს ერთმანერთს შუაკაცებმა.

გუგუამ ხელი ჩაიქნია.

— გქონდესთ... მე გიჩვენებთ, რომ მშიშარაი არა ვარ და, თუ თქვენს სიტყვას უღალატეთ, კიდევ მოვახერხებ პირში სიტყვა გაგიწყვიტოთ.

ამ სიტყვების შემდეგ ის მოეფარა კედელს, ჩქარა ჩაირბინა კიბე და გაალო კოშკის კარები.

შუაკაცებმა მაინც მოიხსნეს იარაღი, დააწყეს ციხის კართან და ისე შევიდნენ.

— აქა მშვიდობა! — შესვლის უმალ წარმოსთქვეს იმათ.

— რაისთვი არ გვიღებდი კარს, ჩვენ როდის გიღალატებთ?

— რაი ვიცი, თქვენი ჭირიმეთ! მტერი მოკეთისგან ვეღარ გაურჩევია კაცსა, ისეთი დრო შეიქნა, — უპასუხა ზრდილობიანად მოხევემ და შეიწვია შიგნით. ისინი ჩამოსხდნენ სკამებზედ და ცოტა სიმის შემდეგ უფროსმა შუაკაცმა დაიწყო:

— გუგუაუ!.. ღმერთს არ მოეტყუების, ჭკვიანი ბალღი ხარ, გვიჩვენე ქალაი.

— რაისთვი გინდათ ქალაი? გეუბნებით, ნებით წამომყვა, ცხო რაი-ღა გინდათ?

— თითონ ქალს უნდა ვკითხოთ, შენი ჭირიმე! თითონ ქალს თუ არ უნდა შენი თავი, ძალად დაჭერა როდის იქნების?

გუგუას ეშინოდა, რომ ციკოს უარი არ ეთქვა იმის ცოლობაზედ და ყველაფერი არ შეეტყობინებინა, ამისთვის არ უნდოდა ქალის ჩვენება, მაგრამ სხვადასხვა საბუთებზე, მამა-პაპის მაგალითებზე და თემის წესზე უარი ვეღარა სთქვა და გულის კანკალით დაყაბულდა ქალის ჩვენებას.

— იარეთ, — უპასუხა იმან და გაუძღვა წინ.

იმან შეიყვანა წნელით გაყოფილს ოთახში, სადაც ციკო იყო და იქ დაანება შუაკაცებს თავი. თითონ კი ზეით სართულში ავიდა, საიდგანაც სხვა ხალხს უთვალთვალებდა.

სტუმრებს ციკო ფეხზედ წამოუდგა, იმათაც ზრდილობიანად მოიკითხეს და ტახტზედ ჩამოსხდნენ.

ბოლოს შეატყობინეს თავიანთის მოსვლის მიზეზი და ჰკითხეს: ძალათი იყო მოტაცებული, თუ თავის ნებით წამოჰყვა?

— ნუ გეშინიან, თუ ძალად მოგიტაცეს, ეხლავ გაგიყვანთ აქეთით.

ციკომ, რომელიც აქამდის ჩუმად იდგა მუნჯსავით, ერთბაშად წამოიძახა:

— ძალად არ წამოუყვანივარ, ჩემის ნებით გამოვყევ.

— მაშ სახლში დაბრუნება არ გინდა?

— არა, — უპასუხა მოკლედ.

— ქალაუ, იქნება გეშინიან და იმად იძახი მაგას.

— რაისი უნდა მეშინოდეს?

— თუ ძალად ხარ წამოყვანილი, მთელი სოფელი აქა ვართ. ღვთის მადლმა, გავწყდეთ, ის გვირჩევნიან, სანამ სალექსოდ საქმე გაგვიხდეს.

— არა, ჩემის ნებით გამოვყევ, ჩემის ნებით არ დავბრუნდები, ჩემის ნებით ვრჩები აქ.

შუაკაცებმა შეხედეს ერთურთს, გადაუგდეს ერთმანერთს თავები.

— ქალაუ, წამოდი შენი მამის სახლში და იქიდგან გამოგათხოვებნ.

— არ წამოვალ, — იყო მოკლე პასუხი.

— აბა რაი-ღა გვეთქმის? — წარმოსთქვა ერთმა.

— არც-რა, — უპასუხეს სხვებმა.

ამ სიტყვების შემდეგ ისინი წამოდგნენ, დალოცეს სასძლო, ისურვეს იმათ ბედნიერება და გამოვიდნენ გარეთ, სადაც გუგუა მოეგება.

გუგუაც გულის კვნესით მოელოდა შუაკაცების გამოსვლას, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ციკო ძალდატანებით იყო წამოყვანილი და ყველაფერს გაუმჟღავნებდა ამ კაცებს. იმაზედაც დარწმუნებული იყო, რომ ეს კაცები ამის შემდეგ წაიყვანდნენ ქალს და ამითი გათავდებოდა იმის ბედნიერების იმედი.

მართალია, წუხელის თითქმის იმედი მისცა ციკომ, მაგრამ რა არის ამისთანა დროს გამოგლეჯილი სიტყვა, როდესაც შიში და მღელვარება, ვინ იცის, რას არ წარმოათქმევინებს კაცს?

რა უნდა ეთქვა, რა უნდა ექნა, რომ ამ მოსულს კაცებს ხელი მოეკიდნათ ამ ქალისთვის და წაყვანა დაეპირებინათ? ნუთუ დაენებებინა და გულხელდაკრეფილს ეცქირა, თუ როგორ მოაშორებდნენ იმას, ვინც ისე ძნელი დასათმობი იყო?! იმ ქალის წაყვანა ძალდატანებით რომ მოენდომებინა ვისმე, მაშინ გუგუა აჩვენებდა, რომ ის მოხევე იყო და მოხევესთან ჯერედ კიდევ ძნელია ძალის ხმარება, მაგრამ აქ შუაკაცები იყვნენ, ბჭეები, ხალხისგან დანიშნულნი, რომელთაც ხალხისაგან დადებული წესი უნდა აესრულებინათ და

ხალხის დებულების წინააღმდეგობა კი შეუძლებელი, წარმოუდგენელი იყო იმისთვის.

მართალია, ამ ბოლოს ხანებში ხალხის ჩვეულებანი და დებულებანი შეირყა, გამოიცვალა, მაგრამ თითონ ხალხისაგან საუკუნოებით შეთვისებული წყობილება ისე მალე ვერ განქრება იმათში და ახალი ნამყნობი, თავს მოხვეული წყობილება, ისე საჩქაროდ ვერ აღორძინდება. ეს ყველაზედ აშკარად გუგუაზედ სჩანდა, რომელიც ჯერ ვერ გაერყვნა სხვა გვარტომობის ახალს დებულებას, რომელიც უცხო, გაუგებარი და შეუთვისებელი იყო იმისთვის, როგორც სხვა მთის ხალხისთვის. გუგუა აღზრდილიყო მამაპაპის წესზე, შესჩვეოდა იმათ შეხედულობას, მიმართულებას, ჩვეულებას და თითონაც სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი ეს ჩვეულება.

წუხელის, მართალია, მეტისმეტმა სიყვარულმა თავისდავიწყებამდის მიიყვანა იგი, დედაკაცის მერდინი გადაალახვინა, მაგრამ დღეს სანანურადა ჰქონდა გამხდარი და ათასჯერ იწყევლიდა თავს და ნანობდა თავის მოქმედებას.

პირველსავე ჩამოსვლაზედ იმან თვალი გადაავლო შუაკაცებს და გაშტერებული დარჩა, რომ ციკო იმათ შორის არ დაინახა. იქამდის აღელდა ამ ამბით, რომ კითხვაც ველარ გაებედნა, რადგანაც ეშინოდა, რომელიმე პასუხით იმისი ნეტარების იმედი არ დაერღვიათ. მაგრამ კითხვა აღარ მოუნდა, რადგანაც შუაკაცებმა თითონვე უთხრეს:

— კეთილი იყოს, კეთილი! ყოჩაღ, რომ შენს ტოლ-სწორებში პირნათლად დარჩი!

გუგუა გაწითლდა მეტის სიამოვნებით, თუმცა ძნელადა სჯეროდა თავისი ბედნიერება.

დარცხვენილმა და თავდაღუნულმა სტუმრები კარებამდის მიაცილა, საჩქაროდ გამობრუნდა და გულის ძგერით შევარდა ციკოს ოთახში.

— ციკო! მართლა? — შედგა კარებთან გუგუა.

ციკომ წყნარად შემოხედა და, რა ისევ ის აღმაშფოთებელი, თვალთაგან გამომკრთალი ძალა იგრძნო, გაწითლდა, ველარ გაუძლო ამ ძალას და თავდაღუნულმა ცახცახი დაიწყო. ის წარმოუდგენელის წადილით რაღასაც მოელოდა.

გუგუა უსიტყოდ მიხვდა თავის ბედნიერებას, ერთის გადახტომით მიუახლოვდა ქალს და ჩაიკრა გულში.

პირველმავე ტუჩების მიკარებამ ციკო თავისდავიწყებამდის მიიყვანა და თითონაც ძალზედ მკერდს მიეკრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI

როდესაც შუაკაცები ხალხთან მივიდნენ და შეატყობინეს ქალის სურვილი, იმათ წყნარ-წყნარად დაიწყეს დაშლა და თავთავიანთ მოკეთეებში წავიდნენ. შავთვალას არა სჯეროდა, რომ იმისი შთამომავალი, იმისი სისხლი და ხორცი ისე ადვილად აიტანდა თავის სახლის უპატიურობას.

— ხალხო, ხალხო! დაიცადეთ! ეგ ეგრე არ იქნების!... ქალი ჩემთან უნდა წამოსულიყო და იქ ეთქვა — უნდა თუ არა? ძოღან აგრე გადასწყვიტეთ, აგრე სთქვით.

ხალხი ისევ მობრუნდა.

— მართალს ანბობს შავთვალაი — აგრე გადასწყვიტეთ... რაი იქნენ შუაკაცნი?

მოვიდნენ შუაკაცები და შეატყობინეს, რომ ქალი არ იჯერებს მამის სახლში დაბრუნებას და იმათ ძალის დატანება კი არ შეეძლოთ და არცა ჰქონდათ ნება.

— ბედშავი, დაუშინებიათ! — წამოიძახა შავთვალამ: — ხალხო! სამართალს ვითხოვ, ქალი უნდა წამოვიდეს ჩემთან.

— შავთვალაუ, ნუ ატეხილხარ, ღვთის მადლსა! ქალს თავად უნდა დარჩენა, თორემ იმის ძალად დამჭერი არვინაა, ღმერთი იყოს შენი თავდები.

— აბა მაშ მე მაჩვენეთ ქალი.

— შავთვალაუ! — დაიწყო ერთმა მოხუცმა: — მოიხედე-ღა, რაი გითხრა! სანამ ხალხს ეგონა, რომ ქალაი ძალად გაიტაცეს, ძალად ჰყავსთ დამწყვდეული, მთელი სოფელი წამოვიდა მდევრად და, ღვთის მადლმა, ვაჟკაცობასაც იქმოდა, მაგრამ, რაკი გაიგო, რომ ქალი ნებითაა წამოსული, მაგათი საქმე აღარაა... ეხლანის თუ კი ქალაის ნახვა გინდა, შედი, როგორც მოკეთეებისას, და ნახე. სოფელს რაი-ღა საქმე აქვს?.. არა სოფელო, ეგრე არაა?

— ეგრეა, ეგრე! ღვთის მადლმა!

— მშვიდობიანობა ჩამოვარდა, წმინდა გივარგიმ შფოთი მოგვაცილა და შენ ისევ ხელახლად გინდა აშალო? დავიშალნეთ, წავიდეთ, სოფელო!

— წავიდეთ! — დაიძახა ხალხმა და რამდენსამე წუთს შემდეგ ის ადგილი დაცარიელდა. დარჩა მარტო შავთვალა; დაღონებულს მწარედ დაღმეჭოდა პირისახე და აშკარად ეტყობოდა, თუ რა მწუხარებასა ჰგრძნობდა იმისი გული და რა დამცირებულად, დამდაბლებულად ითვლიდა თავსა.

ხალხი, რომელსაც ეს ქვრივ-ოხერი და უპატრონო დედაკაცი

ძალდატანებული ეგონა, თავის მოვალეობად სთვლიდა გამოსარჩილებოდა, იმისი უპატიურება თავის უპატიურებად მიეღო და თავშეუწყალებელი, იარაღით ხელში მოსულიყო სამაგიეროს მოსათხოვად, მაგრამ, რა გაიგეს, რომ აქ ძალდატანება არ მოქმედებდა და ქალი ნებით მისდევდა, ნებით რჩებოდა გუგუასთან, სოფელმა თავი დაანება, ჩამოეცალა.

შავთვალა იქამდის აღელვებული იყო ამ შემთხვევით, რომ თავის მერდინის გადალახვაც კი ვერ შეატყობინა ხალხს, რომელიც, უეჭველია, ყურადღებას მიაქცევდა ამ შემთხვევას, სათემოდ სასირცხვილო საქმეს, და კმაყოფილებას მოსთხოვდა გუგუას; მოხუცმა მიიხედმოიხედა, იმას უნდოდა დაეძახნა: „მაშ ჩემის მერდინის გაწბილებაც არაფერია?“ მაგრამ დაინახა, რომ გვიან-ღა იყო, რადგანაც ხალხი დაიშალა და ხელახლად იმათი შეყრა, ხელახლად საჩივარი, იქნება, ცილის წამებადაც ჩაეთვალათ.

ის იდგა დაღონებული და ჰფიქრობდა, რითი გადაეხადა გუგუასთვის ამგვარი დამცირება, რომელიც ყველაზედ მეტად საწყენია იმ მხარის მთის ქალებისთვის.

— არა, ჩემი ქალაი ვერ შეიყვარებს იმას, ვინც ეგრე გაგვაუპატიურა..... სოფელმა თავი დამანება, მე თავად წავალ მარტოკაი..... დეე, მომკლას მაინც!..

ამ სიტყვებით შავთვალამ აიღო თავი, მივიდა პირდაპირ კოშკთან და კარი დააბრახუნა.

გუგუა ვერ გამძღარიყო თავის ციკოს ალერსით და განუწყვეტლივ გატაცებით ჰკოცნიდა, მაგრამ კარების ბრახუნზედ ერთბაშად წამოვარდა უკმაყოფილოდ, რადგანაც ამ ნეტარების წუთებს უწყვეტდნენ, და მივიდა კარებთან.

— ვინა ხარ?

— მე.

— შავთვალავ, შენა? — საჩქაროდ წამოიძახა გაკვირვებულმა გუგუამ და კარები გააღო. ის არა გზით არ მოელოდა შავთვალას ასე ჩქარა ნახვას.

— ჩემი ქალი სადაა? — წარბებშეჭმუხვნილმა შესვლის უმალ იკითხა შავთვალამ.

— საწოლაში, — ანიშნა ხელით გუგუამ.

შავთვალამ ხმა გაუცემლივ, შეუხედლივ, გასწია ციკოს ოთახისკენ, და გუგუა კი ისე გაშტერებული დარჩა კარებთან.

იქამდის გარისხებული ეჩვენა მოხუცის სახე, რომ გუგუამ უკან გაყოლაც ვეღარ გაბედა.

ციკო გამოექანა მოხუცის მოსახვევად, მაგრამ იმან ხელის მიგებებით შეაყენა.

— ქალაუ! ძალად გიჭერენ განა? — ჰკითხა მოხუცმა მკაცრად.

ქალი მთლად ააცახცახა ბებიის მკაცრმა სიტყვებმა და თავჩაღუნული, ხმაამოუღებელი დარჩა.

— არ გესმის?

კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— იარე, წამომყევ და, ვინც წინ დაგვიდგება, იმასაც ვნახამთ.

ქალმა შეხედა შეწუხებულის თვალით, მაგრამ მაშინვე დაღუნა თავი.

ციკო წყნარად გაეშვებინა და ნიავსავით წყნარის ხმით წარმოსთქვა:

— ვერ წამოვალ, დედაისი.

მოხუცი შეკრთა, აკანკალდა და დაუწყო ყურება.

— მაშ მართალია? — წყნარად და ძლივს სულის მოქცევით იკითხა იმან: — მაშ შენის ნებით იყო ეგ ყველა? შენ დაარიგე, რომ მოსულიყვნენ მოსატაცად? შენ უთხარ, რომ სათემოდ პირქვე დაემხოთ ჩვენი სახლი, შენ გინდოდა, რომ სათემოდ ლეჩაქი მოეხადათ ჩემთვის?

მოხუცებულს მღელვარებისაგან ხმა პირში უწყდებოდა და სულს ძლივს იქცევდა.

ციკო ჩუმად იდგა და წყნარად ტიროდა.

— სთქვი, მითხარ!... თქმა უფრო ადვილი არაა მოქმედებაზედ? მითხარი-მეთქი, რაღას ერიდები?... ვისი გეშინიან?... მე ერთი მოხუცებული, უპატრონო დედაკაცი... დედა შენი ავადმყოფი... მამაბიძანი აღარა გყავს და ვისიღა უნდა გეშინოდეს?.. მითხარ! — მისწვდა ხელში მოხუცი და ძალზედ დაუწყო ნძრევა.

— რაი გითხრა, რაი ვქნა! — ბოლოს წარმოსთქვა ციკომ.

— მართალი, მართალი! შენა გყვანდა შეპირებული გუგუაი?

— დედავ, დედაისი! — დაუპირა მოხვევნა ქალმა, მაგრამ მოხუცმა ხელის მიშველებით შეაყენა.

— შენ აღარა გყავს დედა, შენ აღარა გაქვს მამის სახლი!

— ვაიმე დაღუპულს! — დაიწყო წყნარად ტირილი ციკომ.

— რაისთვი სტირი, რაი გაწუხებს? მამა-ბიძანი ამოყარე საფლავით და არა სტიროდი, ეხლა რაი-ღა გატირებს?

გუგუა, რომელსაც გულმა ვეღარ გაუძლო და შემოვიდა იმათ ლაპარაკზედ, წყნარად წამოდგა წინა და უთხრა:

— შავთვალაუ! ზევით ღმერთი იყოს შენი თავდები და ქვეს-

კნელს დედამიწა, რომ მაგ ქალას არა სცოდნია ჩვენი მოსვლა, არა ჰქონია პირობა შეკრული...

— მაშ შენი ვაჟკაცობა იყო?.... მარტო შენი აზრი იყო ამ მოხუცის მანდილის გადალახვა?... წადი, იარე მაგ ნამუსით, სახელად ვეყოფა!

— შენს ღმერთს აპატივე, შემინდე! შენის ქალის სიყვარულმა დამაბრმავა.

— ვაჟკაცს ვაჟკაცობა ყველგან უნდა ეტყობოდეს. შენ დიაცი ყოფილხარ.

— წმინდის გივარგის თავით გეხვეწები....

— ვაჟკაცმა განა მარტო თოფის ხლა უნდა იცოდეს? — გააწყვეტინა მოხუცებულმა.

— რაი ვქნა, რაი?...

— არც-რაი, — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ შავთვალმ. — შენ ხომ ანბობ, რომ ქალამ არ იცოდაო და ძალად წამოვიყვანეთო, ახლა აი მე მოვედ პატრონი, მომეცი ჩემი ქალი... უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, ან მამა-ბიძანი ცოცხალი ჰყოლოდა, მწარედ გაგიშავებდნენ დღესა, მაგრამ მე ერთი ოხერტიელი, უპატრონო დედაკაცი ვარ, მე რაი შემიძლიან იმის მეტი, რომ ჩემი ქალი მოვითხოვო.

— რაი ვქნა, რაი გითხრა... საით გაგაგებინო ჩემი გულის ცეცხლი?... ციკოს არ ვუყვარდი და ის მიკლავდა გულს, იმად მოვიტაცე, მაგრამ ეხლა, ეხლა სულ სხვაა... ეხლა ღმერთმა მოწყალის თვალით გადმომხედა, ეხლა ციკოს უყვარვარ და რაღად გინდა ორი კაცის ბედნიერება დაშალო?... უყვარვარ-მეთქი და რაღ უნდა დაგანებო?.. ალბად ღმერთსაც აგრე უნდოდა.

— ღმერთს კი არა, მაცდურს... მოვნე შეგჩენიათ და ისაა!

— მე მიყვარს ეგ ქალაი... ღმერთზედ მეტად მიყვარს! უმაგისოდ არ შემიძლიან და რაი ვქნა.

მოხუცმა თავი ჩაჰკიდა და რაოდენიმე ხანი ისე დარჩა.

— რასაც არ ეშველების, დათმობა სჯობს... რა ვუყოთ, რაი-ღა ეშველების? — წარმოსთქვა იმან.

— მაშ აღარ სჯავრობ? — სიხარულით წამოიძახა გუგუამ.

— მეტი რაღა გამეწყობის! მაგრამ ქალას დღეს წავიყვან. თუ მართლა შერთვა გწადის, ხვალ მოდით, მორეკე შუაკაცები, ითხოვეთ და ისე მოგცემთ.

პირველში გახარებული გუგუა ამ სიტყვებმა ისევ ჩააფიქრეს. „მერე რომ აღარ დამანებონ, რაი-ღა მეშველების?“ — იფიქრა იმან.

— არა, მაგას ვერა ვიქ!—წყნარად და ოხვრით წარმოსთქვა გუგუამ.

— რაისთვი ვერა? თუ კი ქალაი თავის ნებით წამოგყვა, თუ კი უყვარხარ, რაისთვი ვერა?

— მე ვერ მოვშორდები მაგას!.. თუ გინდა ჯვარს დღესვე დავიწერ.

— ნუ გუგუავ, ნუ!... მაგის მამის სახლის შერცხვენა შენი შერცხვენა იქნების, თუ მართლა მოკეთეობა გინდა, გამიგონე.

— რაისთვი?.. რაიც მოხდა — მოხდა, რაი-ღა ეშველების?... რომ არ მომხდარიყო, ჰაი, ჰაი, რომ კარგი იქნებოდა, მაგრამ რაკი მოხდა, ჯვარისწერის მეტი აღარა გაეწყობის-რა.

— ეგრე არ იქნების.... შენ სათემოდ გაგვაწბილე, თავმერდინი გადაგვილახე, სანამ სახვეწრად არ ამოხვალ, ქორწილიც არ იქნების.

— სახვეწრად — მერეც მოვასწრობთ....

ციკო, რომელიც აქ იდგა და მონაწილეობას არ იღებდა ლაპარაკში, გაფიქრებინებდათ, რომ იმაზედ არავითარი მოქმედება არა ჰქონდა ამათ საუბარს და გადაწყვეტილებას; მარტო ხელები უკანკალებდა, სრესდა შალის ნაპირებს და უგრძნობლად სწყვეტდა მის ფოჩებს. ამაზედ შეატყობდით, რომ ეს თვალთათვის გაჩუმება და მონაწილეობის მიუღებლობა იმის ყურებს — გაგონებას და გულის გრძნობას არ უშლიდა. ბოლოს ციკო წამოდგა და გადაწყვეტით, თუმცა ხმის კანკალით, წარმოსთქვა:

— მე არ წამოვალ, დედაისი!.. მე მიყვარს გუგუაი, უმაგისოდ ერთი წუთიც ნუ მამყოფოს უფალმა.

გუგუამ ველარ გასძლო ამისთანა ბედნიერება, თავდავიწყებულმა ძლიერი მკლავები მოხვია და დაუწყო კოცნა.

თავზარდაცემული შავთვალა კი გაშტერებულსავით დარჩა რამდენიმე ხანი, მერე მძიმედ ამოიოხრა და ხმის კანკალით წარმოსთქვა:

— მაშ აგრე, ციკო?.... კარგი, კარგი! — ამ სიტყვებით გამობრუნდა და წყნარად გაემართა კარისაკენ. ციკო და გუგუა ერთად გამოექანენ.

— დედავ, დედაისი!

მოხუცმა მოიხედა და ხელის შეგებებით გააჩერა ისინი. იმის გამხმარს ლოყებზედ ორ ნაკადულად ცრემლები ჩამოედინა.

— რაისთვი ირჯები?... მე შენი აღარა ვარ და შენ ჩემი.

ციკო შესდგა, მოხუცმა კი გაიარა კარი.

ცოტა ხანს შემდეგ, გუგუა წყნარად მივიდა ციკოსთან და ალერსიანად უთხრა:

— ნუ სჯავრობ, ხვალ-ზეგ ქორწილი გვექნების და ეგენიც შეგვირიგდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII

ამ საღამოს თავადი ღუდუშაური თავის კნეინით იჯდა ბალკონზედ და გაყურებდა მდინარის გაღმა მინდორს. ეს მინდორი როდესღაც სასოფლო საძოვარი იყო და მით უფრო მარჯვე, რომ საძოვრად გაშვებულს საქონელს პატრონი თვალით უყურებდა.

თავადი ღუდუშაურიც სარგებლობდა ამ საძოვრით, როგორც სოფლის ერთი მეკომურთაგანი და დიდს შეღავათს აძლევდა მას ამ საძოვრის სიახლოვე, რადგანაც მრავალის მიმსვლელ-მომსვლელ სტუმრების ცხენებზედ აღარა ეხარჯებოდა-რა...

დიდი ხანი იყო რაც ღუდუშაური კბილებს აკრაჭუნებდა ამ მიწისთვის და ისე ხელში ჩაგდებას უპირებდა, როგორც სხვა მიწები ჩაეგდო, მაგრამ რამდენჯერმე საჩივარმა უბრალოდ ჩაუარა და რაკი დარწმუნდა, რომ ამ მიწას ვეღარ დაისაკუთრებდა, იმითაც დაკმაყოფილდა, რომ სხვებთან ერთად სარგებლობა შეეძლო.

მაგრამ აი რაოდენიმე ხანი იყო, რაც ეს ადგილი სოფელმა კომლზედ გაიყო, სათიბლად შემოღობა და დაიყორუღა. ამისათვის მებატონე ეხლა ცდილობდა, რომ ისევ საერთო საძოვრად გარდაექცია.

კარგა ცდის შემდეგ, იმან შეაგულიანა დიამბეგი, რომ იმ სოფელში მდგომ ჩაფრებისა და რუსის ყაზახებისათვის ეს ადგილი საძოვრად გამოეთხოვა მართებლობისაგან და შეეტყობინებინა, რომ აქამდის საძოვრად ეს მინდორი იყო, მაგრამ ეხლა სოფელმა რუსის ყაზახების ჯიბრით სათიბად დაიყო და ამითი მოუსპო ყოველი საშუალება ცხენების შესანახად. ამას დაუმატეს, რომ სოფელი მეტად ქურდობს და ამ ყაზახების თავიდგან მოცილება უნდათ, რათა უფრო თავისუფლად იავაზაკონო.

შეადგინეს ეს ქაღალდები, მოაწერინეს ყაზახებს, სოტნიკს, დიამბეგს ხელი და გაუგზავნეს გუბერნატორს, რომელიც დარწმუნდა სიმართლეს, და დღე-დღეზედ პასუხს მოელოდნენ.

— უყურე, როგორ უვლიან? — დაიწყო კნეინამ, რომელმაც დაინახა, რომ სათიბეში ვიღაცა კაცი ქვებს არჩევდა.

— მოუარონ, მოუარონ! ეგ უკეთესია, მოვლილი დაგვირჩება, — უპასუხა მებატონემ.

ამ დროს დიამბეგი გამოჩნდა გალავანში და ღრეჭითა და თავის კვრით წამოვიდა მებატონისკენ.

პირველის მისალმების შემდეგ კნეინამ ისურვა შეტყობა, — თუმცა გოგოებს დიდი ხანია რაც დაწვრილებით ეამბნათ, — რითი გათავდა ზალიაშვილის საქმე.

— უბრალოდ, სრულებით უბრალოდ!—მისცა პასუხი დიმბეგმა: — ქალი თავის ნებით წამოჰყოლია ბიჭს და ფხელმელები კი გარეკეკ...

— ძალიან კარგად გიქნიათ. თუ კი ქალსა და კაცს უნდათ ერთმანერთი, სოფელი რა შუაშია?

— ბრიყვი ხალხი გახლავთ, კნეინავ. მაგათთანა ჯიუტი ხალხი ჩემს ყურს არ გაუგონია, თქვენმა მზემ.

— მა რა იქნება გლეხკაცობა? — გაიტყლარჭა კნეინა.

— სანამ კაი-კაი მათრახები არ ავაყვირე, მანამ არ დაიშალნენ, — იცრუა დიმბეგმა.

— აგრე, აგრე, თორემ გლეხკაცობამ თუ ერთხელ ლღვირი წამოიყარა, ძნელი-ღაა იმათი დამორჩილება, — დაუმატა მებატონემ.

— იქამდის უგუნურები არიან, რომ თქვენს ფანჯრებთან შეყრილიყვნენ და მოჰყოლოდნენ ერთს ყვირილს!

— ისეთი გულგახეთქილი წამოვარდი იმათ ხმაურობაზედ, რომ რაღა გითხრათ. სულელები!

— აკი მოგახსენებთ,—უპასუხა კნეინას დიმბეგმა და მიუბრუნდა ლუდუშაურს: — ბატონო, ქაღალდები ხომ მომივიდა!

— რა ქაღალდები?

— საძოვრის თაობაზედ.

— რას ამბობ! — სიხარულით წამოიძახა მებატონემ.

— თქვენმა სიცოცხლემ.

— აქამდის როგორ არ მეუბნებოდი?.. აბა სად არის? რას იწერებიან?

— აი აქ გახლავთ,—უპასუხა დიმბეგმა და გადმოშალა ქაღალდები, რომელიც ხელში ეჭირა: — იწერებიან, რომ სოფელს გამოუცხადე, ღობე გადაშალონო და, თუ ნებით არა ქნეს, მაშინ ცხენები ძალით გადაიყვანეთო.

— ეგ საუცხოვოა! — სიხარულით და ხელების სრესით წარმოსთქვა მებატონემ.

— ახლაც იფარფარონ! — დაუმატა კნეინამ.

— განა ეჭვი გქონდათ, რომ ასე არ გათავდებოდა? — ჰკითხა დიმბეგმა.

— არა, მაგრამ...

— მოიცა, აბა ერთი წაგვიკითხე.

დიმბეგმა აიღო ქაღალდები, ჩაახველა, ამოიწმინდა ყელი და გაწურილებულის ხმით წაუკითხა, რითაც კი სიტყვით-სიტყვამდე სრულდებოდა მებატონის სურვილი.

— ახლა რას აპირებთ?

— ხვალ უნდა ხალხს გამოვუცხადოთ.

— რა საჭიროა ხვალამდის მოცდა?... დღეს შაბათია, უქმე, მთელი სოფელი ერობაში იქნება, დაიბარეთ ნაცვალი და გამოუცხადეთ!

— ეგ ძალიან კარგი იქნება.

— მოიცადეთ... ბიჭო, ბიჭო! — ბიჭი შემოვიდა.

— ნაცვალს დაუძახე!

— ნაცვალიც და ურიადნიკებიც აქ გახლავან.

— მაშ შემოიყვანე!

ბიჭი გავიდა და მაშინვე შემოიყვანა ნაცვალი და ჩაფრებისა და რუსის ყაზახების ურიადნიკები. დიამბეგმა შეატყობინა ნაცვალს— რა ქაღალდიც მოუვიდა გუბერნატორისგან და გაისტუმრა. ყაზახების ურიადნიკებს კი უბრძანა, რომ სახვალიოდ იარაღი დაემზადებინათ, რადგანაც, თუ სოფელი ნებაყოფლობით არ დაუყაბულდებოდა, ცხენები ძალით უნდა გადაერეკათ საძოვარზედ. ამას დაუმატა, რომ თუმცა მზად უნდა იყვნენ, მაგრამ იარაღის ხმარებას კი უნდა გაუფრთხილდნენ. როცა მარტონი დარჩნენ, მებატონემ პირველმა დაიწყო ლაპარაკი.

— აქ კამანდაცა დგას, იმათი სალდათებიც რომ მზად იყვნენ, ცუდი არ იქნებოდა... არაფერი კი არ იქნება, მაგრამ მეტს სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

— დიაღ, მაგრამ კამანდის უფროსმა რომ არ დაგვანებოს ჯარი?

— თქვენ უნდა უთხრათ, რომ თქვენს თავზედ იღებთ პასუხისგებას და დაგყაბულდებათ.

— მერე, რომ მოხდეს რამე? — დაფიქრდა დიამბეგი.

— რა უნდა მოხდეს, რას ამბობთ?... მხოლოდ შესაშინებლად ვამბობ, თორემ რა უნდა მოხდეს?

— მე ისე მოგახსენეთ, თორემ მართლაც რა უნდა მოხდეს?

— სწორედ, რომ არაფერი!... ძალა რომ გექნებათ, თქვენც უფრო თავისუფლად იმოქმედებთ. გესმით?

— როგორ არ მესმის.

— მე რომ საოსეთოში ვიყავ ნაჩალნიკად... — დაიწყო ღუდუშაურმა და უამბო ისეთი შემთხვევა, რომლისათვისაც დახვრეტა ცოტა იყო იმისთვის, მაგრამ იმის თავგადასავალს ცალკე მოთხრობად გიამბობთ როდისმე და ეხლა კი შევხედოთ ერობას, სადაც ხალხს გამოეცხადა ნაცვლისაგან მთავრობის ბძანება.

ავიდა თუ არა ნაცვალი, ხალხი მისცვივდა და დაუწყო კითხვა:

— რაისთვი მოსულა დიანბეგი, რაი უნდა, რაი გკითხა? — ნაცვალმა შეატყობინა დიამბეგის ბძანება და ეს ხმა ისე შე-

საწუხებელი და შესაძრწუნებელი იყო იმათთვის, რომ პირველში სიტყვა ვეღარავინ მოახერხა და რაოდენიმე ხანი ისე გახევებულებსავით დარჩნენ. მართლადაც, საშინელი იყო იმათი მდგომარეობა. მთის მინდვრის გარჩევა, რომელიც სავსეა რიყით, ღორღით და წვრილის ქვით, რომელზედაც ცელები იმსხვრევა, იმისი შემოღობა, წყლის გამოყვანა, მცირედი მუშაობა არ არის და მცირედი ოფლი არ დაეღვარათ იმ საცოდავებს; ძლივს მოეპოებინათ თითო ხელისგულის ოდენა ადგილი, რომელსაც, ჭირითა და ოფლით თავდასარჩენს ლუკმას ჰგლეჯდნენ, და ამდენის გაჭირვების ამტანნი დღეს იმ ცოტა ადგილებსაც და თავის ოფლსაც უნდა გამოსალმებოდნენ.

— არ იქნების ეგა! — გრგვინვასავით გაირბინა ხალხში ერთხმად.

— გავწყდებით და ეგ არ იქნების!

— დედა შეერთოს ცოლად, ვინც თავი არ დააკლას ზედა.

— სოფელო! ყველანი წამოდით ხვალა, ყველანი... ან გავწყდეთ და ან ჩვენსას ნუ დავანებებთ, — დარბოდნენ ყმაწვილი ბიჭები.

ბოლოს, როდესაც ცოტად დამშვიდდნენ, გადასწყვიტეს, რომ, თუ მართლა ეგეთი ძალის დატანება მოინდომეს, უსისხლოდ არ დაანებონ და იმ გადაწყვეტილებით დაიშალა სოფელი, რომ ხვალ ყველანი ერთად შეიყარნენ.

გათენდა დილა. დიამბეგს იახლა ნაცვალი და ორი მოხუცი კაცი, რომელთაც სოფლის გადაწყვეტილება შეატყობინეს. ამაზედ მეტად გაჯავრდა დიამბეგი, გალანძღა შუაკაცები და გარეკა: უბრძანა რუსის ყაზახებს და ჩაფრებს, რომ შეიარაღდნენ, წაიყვანონ ცხენები სათიბეში, გადაარღვიონ ღობე და საძოვრად შეუშვან.

თითონ დიამბეგმა კი მიიღო სარდლობა ჯარზედ, რომლის უფროსიც დააყაბულა გაჭირვებაში მიშველებოდა.

ის იყო ყაზახები მიახლოვდნენ სათიბს, გადასჭრეს წნელის კარები და შეუშვეს ცხენები, როდესაც სოფელში გაისმა ხმა:

— არიქა, სათიბი გაატიალეს!

ამ სიტყვებზედ გამოცვივდა ხალხი და ლანძღვითა და ყვირილით გაქანდა სათიბისკენ.

რა ყაზახებმა და ჩაფრებმა დაინახეს აღელვებული სოფელი, რომელიც ასე მედგრად მოდიოდა იმათკენ, გამოიქცნენ და ხიდი შეუკრეს, რომელზედაც გამოსვლა ძნელადღა შეიძლებოდა. სოფლელები მოვიდნენ მეორე მხარეს და შესდგნენ. მოპირდაპირეებს მარტო ხიდი-ღა აშორებდა.

ისინი ლანძღავდნენ ერთმანერთს, ექადოდნენ და თოფებ-გაშვერილნი ერთმანერთს მოელოდნენ.

ესენი ამ მდგომარეობაში იყვნენ. ვერც ერთი მხარე ვერა ჰბედამდა ხიდზედ შედგომას, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საწადელს მიუღწეველნი, ტყვიით გაციებულნი, წყალში გადაცვივდებოდნენ.

თუ რომ ვინმე თავზედ ხელაღებული და მეტად გაცხარებული გაქანდებოდა, იმას იჭერდა გარეშე ხალხი, რომელიც იმ დროს იქ შეემთხვა.

დედაკაცები და ბავშვებიც იქ შეიკრიბნენ, ისინიც ილანძღებოდნენ უშვერის პირით და კაცებს აქეზებდნენ.

ამ დროს გამოჩნდა ბატონი დიამბეგი ჯარით და მივიდა ხალხთან, რომელსაც თოფის კონდახებით ცემა დაუწყეს.

ხალხი პირველში გაიფანტა და არეულად, წალმა-უკულმა გარბოდა.

ამ დროს გამოჩნდა გუგუა, რომელსაც ერთ ხელში თოფი ეჭირა და ისე მორბოდა.

— დედა შეირთოს ცოლად, ვინც მაგათ გაექცეს! — დაიძახა ძლიერის ხმით და თითქო ამ ხმამ ძალა მოუმატა ხალხს: ისინი შესდგნენ.

— ჩემთან მოკვდეს, ვინც დიაცი არაა! — დასძახა კიდევ გუგუამ და ერთს წუთში რამდენიმე კაცი შეიყარა იმის გვერდით.

გუგუას წინამძღოლობით ხალხი ასცდა ხიდს, რომლის ზევით ფონი იყო, აქ გაცვივდა წყალში და ყაზახებს უკანიდგან მოუარა. ამ შემთხვევით გულგახეთქილი ყაზახები გამოცვივდნენ სალდათების მხარეს.

სამი ყაზახი, რომელთაც ხიდზე გასვლა ვერ მოასწრეს, იქვე თავგაჩეხილები დაეცნენ.

ცხენები გამორეკეს მაშინვე და წყალში გაღმა გარეკეს.

დიამბეგმა უბძანა ჯარს იმ ფონზედვე გასვლა, რომელზედაც ხალხი გავიდა. იქიდგან დიამბეგი, სალდათები და ყაზახები, აქედგან ხალხი დაერივნენ ერთმანერთს და დაუწყეს უწყალოდ ცემა. კამანდის უფროსი, რომელიც ამ შემთხვევას არ მოელოდა და ნება მისცა სალდათების წაყვანისა, თავშიშველი, გულგახეთქილი მორბოდა მოჩხუბრებისკენ, მაგრამ დედაკაცებმა და ბავშვებმა ჩქარა ქვებით გააქციეს.

ჩქარა ხალხმა დასძალა და წყნარ-წყნარად უკან დააწევინა სალდათებს და ყაზახებს, რომელთაც იარაღის ხმარება აღკრძალული ჰქონდათ.

ბოლოს, მებრძოლნი ერთბაშად გაიშალნენ, და მოვიდა სალდათების წალმა-უკუღმა სირბილის დროც.

ამ დროს გუგუა შეხვდა დიამბეგს, რომელიც ბავშვსავით შეიპყრო, წამოაქცია და დასძახა:

— ძაღლო, ძაღლო! რაისთვი დაღვარე სისხლი? ძაღლი ხარ და ძაღლურს ნიშანს დაგადებ!

ამ სიტყვებით მოსწია ყურს, რომელიც ხელში შერჩა. დიამბეგმა სიმწარით დაიყვირა და გულსშემოყრილი იქვე დაეცა. არავინ იცის, რითი გათავდებოდა ეს ამბავი, თუ მახლობლად მდგარს სოფლებს არ შეეტყოთ და მაშველებლად არ ჩამოსულიყვნენ. ხალხი კარგა ხანს მღელვარებდა, ვერ ისვენებდა და ბოლოს წყნარ-წყნარად, მეზობლებისაგან დამშვიდებული, დაიშალა. ამ დღის მსხვერპლნი შეიქნენ სამი მოკლული ყაზახი, ხუთი დაჭრილი ჩაფარი და რვაც ძალზედ გალახული სალდათი; სოფლის მხრიდგან კი შვიდს კაცს ჰქონდა გატეხილი თავი და ერთიც მძიმედ დაჭრილი იყო მხარში და ბარძაყში.

რაღა თქმა უნდა, რომ სათიბის კარები ისევ გაამაგრეს და თავიანთი მამული არავის დაანებეს.

## VIII

ერთს საღამოს გუგუას სახლებიდგან სანთლის შუქი გამოდიოდა და ტაშ-ფანდურის ხმა მოისმოდა. მრავალი ხალხი შედიოდ-გამოდიოდა იმის სახლში და ეს მოძრაობა ამტკიცებდა, რომ იქ რაღაც მხიარულება უნდა ყოფილიყო. ეს გახლდათ ქორწილი, — გუგუა და ციკო ბედნიერდებოდნენ.

ისინი ამ მხიარულებაში იყვნენ, როდესაც მოისმა ზარების წკრიალი და პატარა საგზაო ტარანტასი გაჩერდა ღუდუშაურის კარებთან.

დაფაცურდნენ ყველანი. თითონ ამაყმა მებატონემაც კი იკადრა კარებთან ჩაბძანება, და ტარანტასიდგან გადმოხტა მაღალი, უშნოდ აწოწილი და ძალზედ გამხდარი კაცი. იმისი ჭროღა თვალები და გამოქნილი პირისახე, მელური მიხრა-მოხრა აშკარად ამტკიცებდა იმის ეშმაკურს, გამოქნილს და გამოცდილს ხასიათს. საზოგადოდ პირისახის იერი მაშინვე დაგარწმუნებდათ, რომ ის ყოველგვარს სიმცირეს იკისრებდა თავის სარგებლობის გულისთვის. ადგილ-ადგილ გამხდარი პირისახის შეშუპება ამბობდა, რომ ის საკმაოდ ემონებოდა ბახუსს და არა იშვიათად შედიოდა მასთან მუსაიფში.

ეს გახლდათ გამომძიებლად დანიშნული სოფელ გადაღმის „ბუნტის“ თაობაზედ.

სახლის პატრონი და სტუმარი მეგობრულად შეიყარნენ და მიესალმნენ ერთმანერთს, როგორც ძველი ნაცნობები.

სახლის პატრონმა შეიწვია შინ და პირველადვე ლაპარაკი სოფლის ბუნტზედ ჩამოვარდა.

— რა დაგემართათ, ივან ივანიჩ! გელით, გელით და აღარ იქნა თქვენი მობძანება.

— საქმეები მქონდა, საქმეები, კნიაზო! რასა იქთ, სამსახურის კაცს ყოველთვის საქმეები აქვს, თორემ მეც მინდოდა ცოტაოდნად მთის წმინდა ჰაერით მესიამოვნა, — უპასუხა სტუმარმა და მივიდა ფანჯარასთან, რომელიც ღია იყო.

— ჰიუჲ, ჰიუჲ! რა ჰაერია-და! ნამდვილი სიცოცხლეა.

— სწორედ, რომ კარგი ჰაერია.

— ახლა... რა ანბავია თქვენში? კნეინა ხომ მშვიდობით ბძანდება?

— გმადლობთ, სცოცხლებს ღვთის მოწყალებით... ჩვენის ანბისა რაღა მოგახსენოთ!... ხალხი გაირყვნა, აღარა ესმით-რა, ნამეტნავად ამ უკანასკნელის შემთხვევის შემდეგ.

— მოიცადეთ, ჩვენ მოვაკვეცთ ფრთებსა, — დაემუქრა გამომძიებელი.

— სიტყვას აღარ გვათქმევინებენ... სწორედ აღარ გვეცხოვრება, ივან ივანიჩ! მთელმა სოფელმა პირობა შეჰკრა, რომ აღარც მოჯამაგირედ დაგვიყენოს ვინმე, აღარც იმუშაონ, აღარც გაგვიკეთონ რამე! და... თუ ვინმე სოფლის პირი გასტეხა, მთელის სახლობით იშორებს სოფელი!

— როგორ თუ იშორებს?

— ისე, რომ აღარც ხმასა სცემენ, აღარც ცეცხლს აძლევენ, აღარც წყალს! ერთის სიტყვით, სრულებით გააცალკევებენ.

— ვერ უყურებთ იმათ!

თუ ეხლა არ გადახდათ, ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ და გადავსახლდეთ აქედგან.

— რასა ბძანებთ, ბატონო! ეგ როგორ შეიძლება!

— მა რა ვქნათ? რომ აღარ გვეცხოვრება?... გამოგზავნიან თითო ჩიტირეკია დიანბეგს, გამოუცდელს, უსუსურ ბავშვს და მა რა მოგვივა?

— მოითმინეთ და ნახავთ, რასაც ვუზამთ! ერთი უბძანეთ, ნაცვალი დამიბარონ.

სახლის პატრონი მივიდა კარებთან და ბრძანება გასცა.

— დღეს მთელი სოტნა ყაზახები მოვლენ, — დაუმატა გამომძიებელმა, — და ეგზეკუცია უნდა ჩავაყენოთ სოფელში.

— ეგ ჩინებულია! — გაეხარდა მებატონეს.

— მოთავეები ვინ არიან? ერთი მიბძანეთ.

მებატონემ დაუსახელა თოთხმეტი კაცი, რომელთ რიცხვში გუგუას სახელიც იყო გარეული.

გამომძიებელმა ჩასწერა.

ამ დროს ბიჭი შემოვიდა და შეატყობინა, რომ ვიღაცა აფიცერი კითხულობს გამომძიებელსაო.

— უთუოდ სოტნის უფროსია.

— სთხოვე, აქ შემოვიდეს, — დაუმატა სახლის პატრონმა.

შემოიყვანეს უფროსი, რომელიც გამოეცხადა გამომძიებელს და შეატყობინა, რომ ის იმის განკარგულების ასასრულებლად არის დანიშნული და ნაბრძანები აქვს აღასრულოს ყოველივე მისი ბრძანება. მერმე მიესალმა სახლის პატრონს და, ბოლოს, ჰკითხა: — სად არის დიანბეგი, რომელმაც ყაზახები უნდა დააბინაოს სოფელში?

ამ სიტყვებზედ შემობრძანდა დიამბეგის მოადგილე (ნამდვილი საავადმყოფოში იწვა) და ჩაფრების ურიადნიკი ხმლებ-ჩამოკანკურებულები, გამოეცხადნენ გამომძიებელს, რომელმაც მოითხოვა მაშინვე ჩაწერილის პირების დატუსაღება.

ნაცვალი, ურიადნიკი და რამდენიმე ყაზახი ავიდნენ სოფელში, სადაც ხალხი ზალიაშვილის სახლში შეყრილიყო.

— გამომძიებელი მოვიდა და ამა და ამ კაცებს იბარებს, — გამოუცხადა ნაცვალმა.

— გუგუას ქორწილი აქვს, საით წამოვა?

— არა უშავს-რა, — დაიწყო გუგუამ: — ხალხმა იმხიარულოს, ჩვენ ჩავალთ, გვკითხვენ და ისევ ამოვალთ. — ბოლოს თავის ხელით ჩამოიხადა გვირგვინი, გადასცა იქვე მდგომს ბიჭს და პირველი გამოვიდა სახლიდგან.

ისე დარწმუნებული იყო სოფელი თავის სიმართლეში, რომ ეგონა უეჭველად სასტიკად გადაახდევინებდნენ, როგორც დიამბეგს და ჩაფრებს, თითონ ლუდუშაურსაც, რომელსაც უთუოდ ციმბირში გაგზავნიდნენ, რადგანაც, იმათის აზრით, ლუდუშაურის ბრალი იყო ყოველისფერი და თითონ უმაღლესის მთავრობის განკარგულებაც კი ლუდუშაურისა და დიამბეგის მოგონება ეგონათ.

იმათ ვერ წარმოედგინათ, რომ მთავრობას ერთის კაცის გულისთვის მთელის სოფლის ამოღრჩობა მოეწადინა და სოფლის სურვილი, თხოვნა და შევიწროება უყურადღებოდ დაეგდო.

რაწამს დაბარებულნი ჩამოვიდნენ გამომძიებელთან, იმან მისცა

ბრძანება იმათის დაჭერისა და ძლიერის ყარაულის დაყენებისა, გამოძიება კი მეორე დღეს უნდა დაეწყო.

გამოძიების დროს თოთხმეტ კაცს გარედ კიდევ ხუთი კაცი იპოვა მოჯანყეთა მეთაურად და დაიჭირა.

გავბა გამოძიება, ჩვეულებისამებრ, მოუსვენარი და მოუსვენებელი, რომელიც მთელს ხალხს აცდენდა ამისთანა ყელის-ჭრა მუშაობის დროს.

მთელი სოფლის ხალხი დილიდგან სადამომდე გამომძიებლის კარებთან ეყარა და ხან ერთს იბარებდნენ, ხან მეორეს.

გათავდა გამოძიება. სოფლელთა იმედებმა უბრალოდ ჩაიარა, რადგან დაჭერილები ქალაქში გაგზავნეს და რუსის ყაზახები კი ჩაუყენეს სახლში.

ციკო უდროოდ და ცოცხალის ქმრის ხელში დაქვრივებული, რასაცა ჰგრძნობდა — მკითხველს თითონ შეუძლიან წარმოიდგინოს...

ციკოსთვის დადგა მოუსვენარი და სამწუხარო დღეები; გულის კანკალით მოელოდა თბილისიდგან ხმას თავის სატრფოს შესახებ.

## IX

გაიარა დღემ, კვირამ, თვეებმა, მაგრამ დაჭერილების შესახებ გადაწყვეტილება არა მომხდარა-რა. ისინი ციხეში ისხდნენ და ელოდნენ იმ დღეს.

სოფლის კაცებს, რომელნიც რამდენჯერმე ჩავიდნენ ქალაქში, ჩაუტანეს ტუსაღებს ფული და ითხოვეს, რომ გადაეწყვიტათ რითიმე იმათი საქმე, შრომამ უბრალოდ ჩაუარა და საქმემ იოტისოდენადაც არ წაიწია წინა.

ციკოს მდგომარეობა მით უფრო გულსაკლავი იყო, რომ მამის სახლმა აღარ მიიკარა და მარტოდ, უნუგეშოდ უნდა ყოფილიყო.

ერთს დღეს ციკო წყაროზედ წასულიყო, წყაროსთვის მიედგა ტაგანა გასავსებლად და თითონ კი ფიქრს გაეტაცა.

იმას თვალწინ წარმოუდგა ათვისი სიყმაწვილე, მამა-ბიძები, რომელნიც ისე ანებივრებდნენ; მოაგონდა დაობლება, მუდამ ტირილი, და ვაება თავის დედისა და ბებიისა, მოაგონდა ის საღამო, როდესაც მოიტაცეს, მერე — რამდენიმე წუთის ბედნიერება მოულოდნელის შემთხვევით დარღვეული. ნუთუ იმიტომ უარჰყო დედა, ბებია, მამის სახლი, რომ ეს დღე დასდგომოდა?.. ციკომ წყნარად ტირილი დაიწყო.

ხალხი მიდიოდ-მოდიოდა, შესდგებოდა იმის წინ, დაღონებით შეხედავდა, შეიბრალებდა და თავიანთ გზასვე გაუდგებოდა. ციკო

ვერა ხედავდა ვერავის, რადგან იქამდის შეეპყრო თავისთავის უბედურებას, რომ ამ ერთის გრძნობის მეტი სხვა ყოველივე დახშოდა და თავის საქმეს ველარ ასრულებდა.

წყალთან მივიდა რამდენიმე კაცი, ხელ-პირი დაიბანეს და იქვე ქვებზედ ჩამოსხდნენ.

— ცხო, რაი-ღა ანბავია ქალაქში? — იკითხა ერთმა.

— მთელი ქალაქი იწოდა იმათ ცოდვით.

ციკო გამოფხიზლდა, მოიწმინდა თვალები და მივიდა ტაგანის ასაღებად, მაგრამ, რა ქალაქზედ ლაპარაკი შემოესმა, გაჩერდა და ყური დაუგდო.

— ისეთი ცოდო-ბრალი იდგა, ღვთის მადლმა, რომ... რაიღა გუგუაი და მახუტაი ჩამოაღრჩეს, ცხვები კი საციმბიროთ გაამგზავრეს...

— ურჯულოები, ურჯულოები! — დაიძახა მეორემ, მაგრამ ციკომ ველარა გაიგო-რა, რადგანაც გუგუას ჩამოღრჩობის ხსენებაზედ გულიდგან თითქოს რაღაც მოსწყდა, წაბარბაცდა, თვალთ დაუბნელდა და უსულოდ იქვე დაეცა.

უცხო კაცები მისცვივდნენ, ბევრი აბრუნეს, მაგრამ გონს ველარ მოიყვანეს.

ციკო ძლივს-ღა ფეთქამდა, თუმცა ხელებს აწყვეტდა აქეთ-იქით და ხანგამოშვებითი პირისახის დაპრანჭვა აშკარად ამტკიცებდა, რომ ან სატანჯველი სურათები წარმოუდგებოდა თვალწინ, ან არადა წარმოუთქმელი ტკივილები აწუხებდა.

კაცებმა ასწიეს და ხელდახელ წაიღეს შინ, საიდგანაც შეატყობინეს იმის დედას და ბებიას, რომელნიც იმ წამსვე ჩამოვიდნენ ქალთან.

იმათმა მზრუნველობამ ქალი არამც თუ წამოაყენა, არამედ დღე და ღამე სულ წყვეტებაში და ბოდვაში ატარებდა. ციკოს ხან საღრჩობელა ელანდებოდა და იმაზედ ლაპარაკობდა, ხან შეიარაღებული კაცები, ხან ვითომ საპყრობილეში აგდებდნენ და უზარმაზარის გაზებით ხორცსა ჰგლეჯდნენ... წყვეტებისა და ტანჯვის შემდეგ მოულოდნელად წამოიკივლებდა და ტკივილის ძალა აშკარად გამოეხატებოდა პირისახეზედ, რომელიც ისე დასწმენდოდა, რომ წმინდა სანთელს დამსგავსებოდა.

იმის გულმაგარი ბებია, რომელიც ისე მკაცრად ექცეოდა ციკოს კარგადმყოფობის დროს, ეხლა მოხუცებულურის გულისტკივილით და გულჩვილობით თავს ევლებოდა. იმას აღარა შურდა-რა თავის ქალისთვის, რადგანაც უკანასკნელს დღეში ჰხედავდა, მაგრამ რა გაეწყობოდა. ხაზუასაც დააწყებინა ისევ ცხელება და ისიც მეორე

ქვეშსაგებელში ჩაწოლილი განუწყვეტლივ კვნესაში იყო. მაგრამ ხაზუას თავის სატკივარი ისე არ აწუხებდა, როგორც თავის ნაშობის იმ დღეში ყოფნა: დედა თავის შვილს უკანასკნელს დღეში ჰხედამდა და სისუსტე კი ნებას არ აძლევდა—მოეარა და მშობლიური მზრუნველობა გაეწია. ერთს ღამეს ციკო თითქოს უფრო დამშვიდებული იყო, დაქანცულს მოხუცსაც ძილი მოეპარა და იქვე მიეძინა. შუაღამის დროს ციკომ წამოიწია და კარგად მყოფსავით ფეხზედ წამოდგა. მარტო თვალების ამღვრევაზედ შეამჩნევდით, რომ სრულს გონზედ არ იყო.

ციკომ შეუმჩნევლად გაალო კარები და ბუტბუტით გასწია გარედ, იმის წამოჰარხლებული ლოყები და გამშრალი ტუჩები აშკარად ამტკიცებდნენ, რომ საშინელი სიცხე უხარშამდა და უდაგამდა გულ-მუცელს.

ის მიდიოდა წყლისკენ შეუჩერებლივ და მოუაზრებლივ. ხანდისხან რაღასაც წამორომავდა ხოლმე უთავბოლოდ გუგუაზედ, რომლის სახელიც ამ ტანჯულს არ ავიწყდებოდა.

აი მიახლოვდა წყლის ნაპირს; შესდგა, თითქოს იგრძნო, რა საშიშიც იყო კიდევ ერთის ბიჯის გადადგმა, ეშველა!.. აღარ გადავარდება წყალში... ერთბაშად შეკრთა, წადგა წინ ნაბიჯი, ისევ შედგა და დაიწყო ცახცახი:

— მეშინიან, მეშინიან!.. მომდევენ, დაჭერას მიპირებენ... რა უნდათ ჩემგან... ულმერთონო, ურჯულონო! ვერ დამიჭერთ, ვერა!..— და საშინელს კივილთან ერთად, ერთბაშად გადაეშვა კლდეზედ და პირდაპირ შუა წყალში ჩავარდა...

ამ დროს შემთხვევით იქ ორმა გლეხმა გამოიარა. ეს ამბავი რომ დაინახეს, გაექანნენ მისაშველებლად, მაგრამ გვიან-ღა იყო. იმათ მისვლაზედ წყლიდგან ქალმა ამოიყურყუმელავა, მაგრამ ცოცხალი კი აღარ იყო...

დამღრჩვალი გამოიტანეს ნაპირას და იქ დაასვენეს.

ჩქარა ჩამოვიდა მთელი სოფელი, რომელთ შორის მოხუცი შავთვალაც გულგახეთქილი მოდიოდა.

იმან დაინახა თუ არა ქალი, საშინელის წივილით ზედ დაეცა და მწუხარებამ მსწრაფლად სული ამოართვა.

ასე გათავდა ამ ოჯახობის ცხოვრება, გაქრა იმათ სახლში სანთელი, აღარავინ მოაგონებდა, თუ ოდესმე იმ სახლობაში კერა ნთებულიყო.

დარჩა მარტოკა საბრალო დედა, რომელსაც გამოულეველმა მწუხარებამ ჯერ კინაღამ სული ამოხადა და მერე ჭკუიდგან შეშალა.

საბრალო ხაზუა დადიოდა ხევში და ხან ვისა ჰკითხავდა და ხან

ვისა: — ჩემი ქალი ხომ არ გინახავთ? მე ვიცი, რომ ქალი მყვანდა... რა იქნა, რა?.. ციკო, ციკო!—საშინელის და შესაზარის ხმით გაჰკიოდა იგი: — მომტაცეს, მომგლიჯეს, მოჰკლეს!.. არა, აქ იქნება სადმე... სისხლი! — დაიძახებდა ცახცახით და ერთს ადგილს მიაჩერდებოდა.

— სისხლი! — შეშინებით გაიმეორებდა და მწუხარება დაუპრანჭავდა სახეს. — მოჰკლეს, მოჰკლეს! — დაიყვირებდა და დაიწყებდა ძროხასავით ღრიალს, ღრიალს ისეთის ხმით, რომელიც ყველა კაცს შეაზარებდა იმის მდგომარეობას.

სიკვდილმა შეინანა ეს საცოდავი, მაგრამ რისთვის?

[1883]

# ნინო

სოფელს გერგეტში, ქვემო უბანს, რომელსაც გვერდით ხევი ჩამოუდის და მოვარდნის დროს არა იშვიათად სახლებს მიუვარდება ხოლმე და აზარალებს მცხოვრებლებს, ყველაზე საშიშ ადგილს იდგა ერთი პატარა, ძველი და ნახევრად დანგრეული სახლი. პირველსავე ნახვაზედ თქვენ დარწმუნდებოდით, რომ ამ სახლის პატრონები შეძლებულები არ უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც ამისთანა საშიშს ადგილს ვერ მოსცილებოდნენ და სახლიც ვერ გაეახლებინათ. იქნებოდა ღამის ცხრა საათი, შუაგულს ზამთარში, როდესაც ამ სახლში კერაზედ ცეცხლი ოდნავ ბჟუტავდა, უფრო თვალის მოსატყუებლად, სანამ გასათბობად; კერას გარს შემოხვეოდა რამდენიმე ბალღი და ორი — ერთი ახლად მოწიფული და ერთიც კარგა მოხუცებული ქალი. იმათი ნაკონკი ტანისამოსი, აქა-იქ მიჩხლართულ-მოჩხლართული სხვადასხვა ფერის ძონძებით, ვერ ალსრულებდა თავის დანიშნულებას და ძლივს უფარავდა ხორცს. ყველგან ნაკლულოვანება აშკარად გიჩვენებდათ იმათ ბედშავობას და მწუხარებას. ოთახში ბნელოდა, რადგანაც მბჟუტავი ცეცხლი საკმაო სინათლეს ვერ აძლევდა. ყველანი გაჩუმებულიყვნენ და რაღაც სევდიანს მწუხარებას მოეცვა. ათასში ერთხელ ბავშვები, შიმშილით და სიცივით შეწუხებულნი, თუ დაარღვევდნენ სიჩუმეს და იმათ პასუხად დედისგან გამოისმოდა გულ-დასაწყვეტი, ნაღვლიანი კვნესა, რომელიც აშკარად ამბობდა: „ნეტა მე ვიქცე შეშად, რომ გაგათბოთ, ნეტა მე ვიქცე პურად, რომ გაგაძღოთ"!...

ეს გახლდათ მახია გოდერძიანთი, თავისი მოზრდილის ქალით ნინოთი და სამის პატარა ვაჟით, რომელთ გაჭირვებაც უკანასკნელს სამზღვრამდის მისულიყო.

მახიას ქმარი ადრე მოუკვდა და სრულიად უპატრონოდ დარჩა და სულს მარტო მეზობლების გულკეთილობით-ღა იბრუნებდნენ.

მახია უყურებდა თავის ნაშობებს და გული სდნებოდა, რადგანაც ხედავდა თავის შვილებს გაჭირვებაში, ხედავდა იმათ შიმშილს, წყურვილს და სიცივეს, უნდოდა ეშველა რითიმე, მაგრამ რა შეეძლო ქვრივს, უპატრონო მოხუცს, როდესაც სახლს ისეთი არავინა ჰყავდა, რომელსაც შრომის ოფლით მოერწყო ოჯახობა და სისხლით ლუკმა ეშოვნა!

— დედავ!—დაიწყო ფშრუკუნი ერთმა ბალღმა:—მცივა, მცივა!

დედამ შეხედა შეწუხებულის თვალით და პირისახეზე აშკარად დაეტყო ის მწარე მტანჯველი მოქმედება, რომელიც იქონია ამ სიტყვების გაგონებამ.

— გაჩუმდი, — წყნარად წარმოსთქვა მოხუცმა: — აი, კვერს ამოვიღებ და გათბები.

— ოჰ, კვერს!.. არ მინდა კვერი, ცეცხლი მინდა! — ჰკივეულად გაიმეორა ბალღმა.

— სუ-ღა, სუ, იყუჩე!.. აგერ მგელი ყმუის! — იეშმაკა დედამ, რომელსაც უნდოდა ბავშვების ყურადღება სხვა საგნისთვის მიექცია და გაერთო რითიმე.

ბავშვები მართლა გაჩუმდნენ და დაუწყეს ყურის გდება, მაგრამ გარედგან მარტო ქარის ზუზუნი და წივილი მოისმოდა და გამხრალი გაყინული თოვლის რაკა-რუკი ფიცრის კარებზედ. აშკარად ეტყობოდა, რომ გამძაგებული ქარი ებრძოდა ყველას, რაც კი წინ შეხვდებოდა და თუ თან ვერ გაიტაცებდა, სუსხავდა და აყინულებდა.

— არ არის მგელი, პური მშია, მცივა!.. — ასტყდნენ ისევ ბავშვები.

— სუთ და „ლექსს" (ზღაპარს) გიამბობთ, — უთხრა ნინომ, რომელმაც ის-იყო გადასწია ნაცარს და გამოსაცხობლად ჩაფლულს „გუდუნას" „არციკანით" წყნარა დაუწყო სინჯვა.

ბავშვები მიეხვივნენ დას, რომელმაც ისე იცოდა იმათი გართობა. ის-იყო ნინომ პირი გააღო, რომ დაეწყო „ლექსი", როდესაც მოისმა კარებში რაკუნი და მოულოდნელობამ ყველა ერთბაშად შეაკრთო, ყველას პირში სიტყვა გაუწყვიტა.

ჩამოვარდა სიჩუმე, მოისმა კიდევ რაკუნი და ჩახრინწიანებული, უსიამოვნო ხმა.

— გაწყდით, თუ რაი მოგსვლიათ?.. რაისთვი ხმას არა მცემთ?..

— ვინა ხარ? — იკითხა მახიამ.

— მე ვარ.

— შენ ვინა ხარ?.. რაი გინდა ამ დროსა?

— ნაცვალია, — წასჩურჩულა დედას ქალმა.

— გააღე და გაიგებ... ჩქარა, გავიყინეთ! — აშურებდა გარედ მყოფი.

მოხუცი წამოდგა, გაანთო „ჩირაღი“ (კვარი), ბუტბუტით მივიდა კარებთან და გასწია ურდული. ოთახში შემოვიდა ნაბდით და ყაბალახ-მოხვეული კაცი, რომელსაც თოვლი დაზდებოდა და გძელს უშნო ულვაშებზედ ყინულები ჩამოჰკიდებოდა. იმან გადიგდო ბაშლუყი და შეიბერტყა ნაბადი.

— უჰ, ჰუ, ჰუ! ძალუმ არ ცივა!.. — წარმოსთქვა შემოსულმა და სიფრთხილით გადისვა ულვაშებზედ ხელი.

— მოგიკვდა ჩემი თავი! ჩვენ კი არაყიც არ მოგვეძევ! — უთხრა მახიამ და დაუმატა: — აბა რითი-ღა გაგათბო, შეშაც აღარა გვაქვს!

— მე შეშა არ მინდა, — შეიჰმუხა წარბები მოსულმა, რა გაიგო, რომ „ჩასაცეცხლები“ ასცდა: — აი, რუსები მოვიყვანე თქვენთან დასაყენებლად.

— რუსები?! — ელდა-ნაკრავსავით წარმოსთქვა დედაკაცმა და გაფითრებული გაშრა.

— ჰო, რუსები, სტეფანწმინდას აღარ დაეტია და აქ მოვიყვანე.

— ბედშაო ჩემო თაო! კაცი არავინა გვყავს და არა ცხო, საით ჩავიყენოთ ცხოთა კაცები?

— დედაისი, ნუ დავაყენებთ! — ხვეწნით მოეხვია ნინო მახიას.

— ჰაი, ჰა, რო არ დააყენებდით, თუ თქვენს კითხვაზედ იყოს. — ჩაიცინა ნაცვალმა და მერე უფრო მკაცრად დაუმატა: — ხემწიფეს სამსახური უნდა, მაშ რაი გეგონათ?

— ბარემდის, თუ შეგვეძლოს, მაგრამ ბეჩავები, ღარიბები ვართ...

— თქვენთან ლაპარაკისთვის არ მცალიან, — გააწყვეტინა ნაცვალმა, გაბრუნდა კარისაკენ და დაუძახა სალდათებს, რომლებიც ბარტყა-ბურტყით და ყაყანით შემოვიდნენ.

დედაკაცმა გაიშვირა ხელები მიმავალის ნაცვლისაკენ, რომელმაც რუსებს დაუჩვენა ეს სახლი და გაბრუნდა, უნდოდა რაღაცა ეთქვა, შეხვეწნოდა, მაგრამ სიტყვა ველარ მოეხერხებინა.

ბავშვებმა რა გაიგონეს რუსის სახელი, მაშინვე ნინოს მიეკუჭნენ, თითქმის ზედ გაეკრნენ და შეშინებულები გამოიყურებოდნენ.

სალდათებმა მიიხედ-მოიხედეს, რამდენჯელმე დაურიდებლად, რუსულის წესით შეიგინენ სახლის მოუწყობლობაზედ და მიეხვივნენ კერას, საიდგანაც გათოშილი ბავშვები გაიქცნენ.

სალდათები დასხდნენ, დაიხადეს ფეხთ და ოფლისა და უწმინდურების გამო ფეხზედ სახვევებს დაუწყეს შრობა, მაგრამ ჩამწვარი შეშა მალე ჩანელდა და სიცივემ თავისი ძალა მალე აგრძნობინა.

— როგორა დგანან ამ ჯოჯოხეთში? — დაიწყო ერთმა სალდათმა.

— „ბუსურმანები“ არიან და რა საკვირველია, — უპასუხა მეორემ და მცოდნე კაცის კილოთი დაუმატა: — ბუსურმანები მხურვალენი არიან, იმათ როდი შესცივათ.

— აგრე უნდა იყოს, თორემ ჩვენი დედაკაცი თუ ფეჩის თავზედ კარგად არ გამოცხვა, რა გააძლებინებს?

— ეგ ყველა-ყველა, მაგრამ განა შეშა არ გვეკუთნის? — იკითხა ერთმა, რომელიც აქამდინ ჩუმად იყო.

— რასაკვირველია, გვეკუთნის, — უპასუხეს იმას.

— ვისგან გვეკუთნის, მართველობამ უნდა მოგვცეს, თუ სახლის პატრონმა?

— რასაკვირველია, სახლის პატრონმა, ამიტომ რომ ეგ „მუჟიკია“, მუჟიკი უნდა ემსახუროს ხელმწიფეს, ჩვენ კი ხელმწიფის კაცები ვართ.

— აი, ეგ მართალია, — მოუწონეს დანარჩენებმა: — რასაკვირველია, მუჟიკი სალდათს უნდა ემსახუროს, რადგანაც სალდათი ხელმწიფის კაცია. მუჟიკი რაა? ფუ! — გადააფურთხა მოლაპარაკემ: — ამის მეტი არაფერია.

— მაშ რატომ არ მოაქვს შეშა იმ ეშმაკის ფეხსა? — წარმოსთქვა მეორემ და მიუბრუნდა მახიას: — ეი, დედაკაცო, შეშა მოიტანე!

მახიას ესმოდა, რომ იმას ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ვერ გაეგო, თუ რას ეუბნებოდნენ, რადგანაც რუსული არ იცოდა და თუნდაც სცოდნოდა, მაინც ვერ დააკმაყოფილებდა იმათ სურვილს, რადგანაც ერთი „წკირი“ არ მოეძევებოდა სახლში.

— რა ეშმაკსავით დაგიჭყეტია თვალები? — შეუტიეს იმას: — შეშა, შეშა! „ცეცხლი“!

— ცეცხლი? — მიხვდა დედაკაცი: — საით მოგიტანოთ ცეცხლი?

— არა, არა! — გაბრაზებით და დაცინვით „გაუკირცხლეს“ მოხუცს: — თავში ქვა შემოიკარ და იშოვე.

— წმიდის გივარგის მადლმა, არა გვაქვს, — შეჰფიცა მახიამ, თითქოს რუსებს ესმოდათ იმისი ლაპარაკი.

— რას უყურებთ მაგას, ჩვენ თითონ მოვნახოთ და დავანთოთ, — არჩიეს სალდათებმა: — საცა იქნება, ვიპოვნით.

სამი სალდათის გარდა ყველანი წამოცვივდნენ და გაცვივდნენ ღერეფანზედ, მაგრამ იმათ ვერა იპოვეს-რა. ბოლოს, ბევრი ძებნის შემდეგ, იმათ თვალი შეჰკრეს ერთს ურემს, რომელიც იქავ ეზოში ეგდო, და ყველანი სიხარულით და ყიჟინით მიეხვივნენ.

— აი, შეშაც ვიშოვეთ, შეშაც!..

მახია, რომელიც გამოჰყვა და კარებიდგან უყურებდა, მიხვდა იმათ აზრს და გაექანა ხვეწნით:

— ღვთის გულისთვის!.. ნუ დამღუპამთ!.. ცხოთა ურემია, შეშის მოსატანად მათხოვეს!..

მაგრამ სალდათები, დარწმუნებულნი, რომ შეშა უნდა მიეცა ვისმე, აღარ არჩევდნენ, რასა შვრებოდნენ; იმათ მხოლოდ ერთი ის-ღა ჰქონდათ აზრში, რომ ჩქარა დააგუგუნებენ ცეცხლს და გათოშილს, გაყინულს სხეულს გაითბობენ, სხვა რა ენაღვლებოდათ?..

არც ხვეწნა, არც მუდარა, არც თავის შებრალება აღარ გადიოდა! ისინი მისცვივდნენ „ურას“ ძახილით ურემს და რადგანაც ცული ვერ ეპოვათ, ხელებით დაუწყეს მტვრევა.

ამ ხნის განმავლობაში სახლიდგან მოისმა გულის გამგმირავი წივილი, რომელმაც მახია გააბრუნა სახლისკენ, სადაც შესვლის უმალ თვალ-წინ წარმოუდგა საშინელი და შემაძრწუნებელი სურათი:

ორიოდე სალდათი, რომელიც სახლში დარჩენილიყვნენ, მისცვივნოდნენ ყუთებს, სენას და იქაურობას აბრუნებდნენ და აქოთებდნენ! ერთიც მივარდნოდა ლამაზ ნინოს და თავის დახეთქილს და უმსგავსო ხელებში სჯიჯღნიდა!.. შეშინებული ქალი გაფითრებულიყო და წივილ-კივილით ფართხალობდა, თავს არიდებდა უმსგავსო ტუჩებს, რომლიდგან ოტკის სუნი ამოსჩქროლდა. ქალი მაგრა მიეკრა მკერდში და დორბლიანის და მხეცურის წადილით დამახინჯებული ტუჩებით ლოშნიდა...

მოხუცს გული მოუკვდა ამ დანახვაზედ, მისწვდა ქმრის დაჟანგებულს ხანჯალს, გააძრო ქარქაშიდგან და ანგარიშ-მიუცემლად თუ რასა შვრებოდა, ძალზედ ჩასცა გამხეცებულს სალდათს, რომელიც ღრიალით: მიშველეთ, მომკლეს! გასისხლიანებული იქვე დაეცა. იმის ყვირილზედ შემოცვივდნენ სხვა სალდათები, დაუწყეს მახიას უწყალოდ ცემა და მაგრად შეუკრეს ხელ-ფეხი. ხმაურობა შეესმათ სოფლელებს და შეცვივდნენ სახლში, რომ მახია ხელიდგან გაეგდებინათ გაბრაზებულის სალდათებისთვის.

— ნინო, ნინოს უპატრონეთ! — ძლივს წარმოსთქვა მახიამ და გულშემოყრილი იქვე დაეცა.

ხალხმა ბევრი ეძება ნინო, რადგანაც ის სახლში აღარ იყო,

ბევრს ეცადა, მაგრამ თითქოს ღამის უფსკრულს შთაენთქა, — ვეღარსად იპოვა.

ასე სამწუხაროდ გაუთენდა მახიას მეორე დილა, რომლის შემდეგაც იმის თვალს ცრემლი არ შეშრობია და გულს არ მოჰკლებია კვნესა... ჩქარა ისიც შეიბრალა ღმერთმა და მწვალებლების ხელიდგან სამარემ დაიხსნა.

ზამთარი შეიცვალა გაზაფხულით, მიწა აჭრელდა, მთიდგან თოვლები ზვავებად მოსხლტა. ყველგან გამდნარი თოვლი სხვადასხვა სისხო ნაკადულად ნიაღვდა. ყველგან ხალხი სამუშაოდ ემზადებოდა და ღიმილით მოელოდა ზაფხულს.

ერთს დღეს რამდენიმე კაცს საქონელი ჩაერეკათ ხევში წყალის დასალევად, მაგრამ, რადგანაც გზა ზამთარში ძალზედ „ჩაეჩუმქრა“, თოვლი უშლიდა გავლას, იმათ ნიჩბებით დაუწყეს გზას წმენდა. ერთბაშად ნიჩაბი თოვლის ქვეშ რაღაცას მოედო და მუშამ დაიძახა:

— მიშველეთ, თოვლის ქვეშ რაღაცაა და არ ვიცი კი რაია!

ყველანი მიეხვივნენ, გადმოთხარეს და ერთბაშად მწარის მწუხარებით დაიძახეს:

— ნინო!

დიაღ, ეს გახლდათ საბრალო ნინო, რომელიც იმ უბედურს ღამეს შეშინებული გამოვარდნილიყო, ქარიშხალს გზა აერია და ხევში გადავარდნილი თოვლს დაემარხა. პატარა ძაღლს, რომელიც იმას განუშორებლივ თან დაზდევდა, ეხლაც არ ეღალატნა და პატრონთან ერთად დამარხულიყო!..

მაგრამ, ღმერთმა იცის, რა ერჩივნა ნინოს: სამუდამოდ განსვენება, თუ ცხოვრება, რომელიც ვინ იცის კიდევ რამდენს განსაცდელს შეამთხვევდა?..

[1883]

# ბერდია

რუსეთისკენ მიმავალი გზა, ამ ორმოციოდე წლის წინად, მიდიოდა გუდამაყრის ხეობაზედ, გადადიოდა ზამთარში ძნელს გასავლელს ბურსაჭირის მთაზედ და ჩადიოდა სნოს ხეობაში.

სწორედ ჩასავალში, თითქმის განგებ მგზავრთ მოსასვენად, ერთს მთიულს გაემართა სახლი, მოეწყო, რამდენადაც მოწყობა შეეძლო, და იქ დამდგარიყო.

ამ სახლს მაშინდელი მგზავრები, ვისაც ერთხელაც არის იქ გავლა შეხვედროდა, კარგად იცნობდნენ და ყველანი „სვიმონას სახლს“ ეძახდნენ.

ყველა გაჭირვებული, შეწუხებული ბუქისა და თოვლისგან, გულის ძგერით მოელოდა იმ სახლის დანახვას, სადაც გულუხვი სვიმონას მასპინძლობა საარაკოდ ჰქონდათ გამხდარი.

თვითონ სვიმონა იყო ხანში შესული ქვრივი, რომელსაც ერთი ქალის მეტი არა გააჩნდა-რა, მაგრამ ეს ქალი ისეთი ლამაზი და ნაზი იყო, რომ ბევრს განებიერებულს ბატონს ძილი გაუფთხო და გაშმაგებული საწამლავი გულში ჩაუსხა.

ლამაზი და ცქრიალა, ყმაწვილი და სიცოცხლით სავსე „ათერია“ (ასე ეძახდნენ იმ ქალს) სცხოვრობდა თავის მამასთან მარტოობაში, მაგრამ იმან მოწყენა არ იცოდა, რადგანაც სახლში იმოდენი მუშაობა იყო, რომ მოსაწყენად არც კი ეცალა.

ერთს ზაფხულის საღამოს, როდესაც მთელი მთა ზურმუხტის მსგავსის საფენით არის ხოლმე მოფენილი და ზედ აჭრელებული ყვავილები კოხტად თავს უხრიან და ეალერსებიან ერთმანერთს, ათერა გავიდა მინდორზედ, რომ მოერეკა თავისი თხები, რომელნიც მარტო ძაღლის ანაბარად იქვე მახლობ სძოვდნენ ხოლმე.

ძაღლი კარგი და გამოცდილი, თხები დაჩვეულნი, საძოვარიც მდიდარი და წყლით შემკული — თავისუფლად გაშვებული საქონელი შორს აღარ მიდიოდა... მაგრამ წარმოიდგინეთ ათერას გაკვირვება, როდესაც იმან ჩვეულებრივ ადგილს თხები ვეღარ იპოვა!..

ქალმა მოირბინა იქაურობა, მაგრამ ვერც ძაღლი და ვერც თხები ვერა ნახა. სცადა დასტვენა, დაძახება ძაღლისა, რომელსაც პატრონის ხმაზედ უეჭველად უნდა დაეყეფა, მაგრამ გარდა მთებისგან ქალის რამდენჯერმე გამეორებული ხმისა არა მოესმა-რა.

— რაი-ღა მეშველების, მამაიც შინ არაა! — წარმოსთქვა იმან და დაფიქრებულმა ტუჩებით ყვავილის ფურცლებს დაუწყო გლეჯა.

გადგა რამდენიმე ნაბიჯი, თითქოს რაღამაც გაუელვა თავშიო და შესდგა ისევ. მერე ერთბაშად გატრიალდა სახლისკენ, შევიდა შინ და რამდენიმე წუთის შემდეგ დამბაჩით ხელში გამოვიდა, კარებში კიდევ შესდგა, კიდევ რაღაზედაც დაფიქრდა, რაღაცა წაილუღლუღა და გაიღიმა. ამის შემდეგ გულადად და ძაღლის ძახილით გასწია მთისკენ.

ქალი ეძებდა თხებს მთის ხვეულებსა და ხევებში, ადიოდა მთის წვერებზედ და ისე გაერთო ამ საქმით, რომ დაღამება ვერც კი შეამცნივა.

ერთბაშად იმას მოესმა ცხენის ფეხის ხმა, რომელიც იმისკენ მოდიოდა და ამან გამოიყვანა თავდავიწყებისაგან. ათერამ მაღლა აიღო თავი და შეამცნივა, რომ მთვარე კარგად მაღლა წამოსულიყო და გედსავით მიცურავდა სივრცეში.

— ტიალები, სად გიდილუპნენ? — წამოიძახა ათერამ გულ-ნაკლულად და გამობრუნდა გზისკენ, საიდანაც შინ უნდა დაბრუნებულიყო.

ის გავიდა გზაზედ და მხედარიც მოახლოვდა, მაგრამ, კაცმა რა თვალი შეჰკრა ქალს, შეაყენა ცხენი, გაივლო თოფს ხელი და შესძახა:

— ვინა ხარ! „მოვნე“, თუ ძე ხორციელი?

— მოვნე რად ვიქნები?.. წმინდა გივარგიმ დასწყიას მოვნე, ჩემთან რაი ხელი აქვს? — უპასუხა ქალმა.

— მაშ ვინა ხარ ამ შუაღამისას? — დააცქერდა კაცი, მაგრამ პასუხი აღარ დააცადა და გაკვირვებით წამოიძახა: — აბაიმე!.. ათერაი!..

— ბერდიაუ, შენა? — ჰკითხა ქალმა, რა ხმაზედ იცნო.

— ჰო, მე ვარ, მაგრამ შენ აქ რაი გინდა, ათერაისი, რაი გინდა ამ შუაღამისას?

— თხები დავკარგე და იმათ დავეძებ.

— სვიმონაი სადღაა, რომ ამ „უქმურის“ დროს შენ გამოუგზავნიხარ?

— შინ არაა. სავაჭრო ჰქონდა რაიმე და ძაუგს წავიდა.

— ძაუგსა? — რაღაცა ჩაფიქრებით და თითქოს რიღაცის გონებით იკითხა ბერდიამ და დაუმატა: — როდის წავიდა?

— დღესა.

— მამაი რომ ძაუგს წავიდა, მოჯამაგირე განა იქ არ იყო, ის რად არ გამოგზავნე?

— ისიც სტეფანწმინდამდინ ჩაჰყვა მამას და ხვალამდი ვერ ამოვა.

— ბედშაო! — შეიბრალა ბერდიამ: — მარტოაი დაუგდიხართ!

— ერთის ღამით რაი მიშავს?

— არ გეშინიან?

— რაისი უნდა მეშინოდეს?.. გზები წამხდარია, ცხოთა კაცი ვერ მოვა და ჩვენებური კი ჩემი ძმაა.

— ეგ აგრეა, ღვთის სიტყოა, მაგრამ რაი ვიცი, ავი კაცი ბევრია.

— ჩვენ კი დაგვეკვეთა ცხელი ტყვია?.. ავ-კაცსაც ისე დავუხდებით, როგორიც თავად არის.

— ჰო, ჰო, ჰო! ძალუმ გულადობ და, რომ მოსულიყო ვინმე, მგონია გოდორში ჩამძვრალიყავ.

— აბა, ეხლა რაი ვთქვა და, როცა მოვა ვინმე, მაშინის გაიგებ.

ამათი ლაპარაკი კარგა ხანს გაგძელდა, რადგანაც ათერა ქვაზედ ჩამოჯდა და ბერდიამ კი ცხენი მიუშვა საძოვარზედ.

ღამე იყო მშვენიერი, ყუჩი და თბილი; მთვარეს კაშკაში გაუდიოდა და გამონაკრთობს შუქს ნაზად ითრთოლებდა. ყვავილებს აეშვათ თავიანთი სურნელება და სასიამოვნოდ ატკბობდნენ კაცის ყნოსვას.

ყველგან სიცოცხლე, ყველგან ბუნების ძალა გამოიჩენდა თავს და მათს მაყურებელსაც მოაწყურებდა სიცოცხლის გრძნობას.

ათერა იყო ყმაწვილი და ლამაზი, ბერდიაც ვაჟკაცი და იმ ხანში, როდესაც გული თანასწორს ძგერას ვერ ახერხებს: ხან წარმოუთქმელის სიჩქარით გაუდის ძაგა-ძუგი და ხან მოუსვენრადა ირთის, როგორც მტრედი ქორის კლანჭეებში.

ორნივ მარტონი და უმოწმოდ იყვნენ. მარტო მთვარე თითქოს განგებ წასაქეზებლად ესროდა სხივებს. რაღაცა გამოურკვეველი მოუსვენარი წადილი უმღელვარებდა იმათ გულს და აღუშფოთებდა სისხლს.

იმათ ერთბაშად სიტყვა გაუწყდათ, გაჩუმდნენ და ერთმანერთს შესცქეროდნენ, მაგრამ თითქოს ორთავ ეშინოდათ, რცხვენოდათ,

თუმცა კი დანაშაული არა ჰქონდათ-რა. ორნივ გრძნობდნენ, რომ ამ ცქერით ედემის სიამოვნებას ეძლეოდნენ და ორნივ ცდილობდნენ თვალი მოეშორებინათ, მაგრამ მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა, განშორებაც არ უნდოდათ და გულის ცახცახით მოელოდნენ, რომ ვინმე დაარღვევდა ამ იდუმალებით სავსე გაყუჩებასა.

რაოდენიმე ხანმა ასე გამოიარა, ასე უყურებდნენ ერთმანერთს ბოლოს, ორთავ მოულოდნელად თავები მოეხარათ და იმათ იგრძნეს ერთმანერთის სუნთქვა, რომელიც ცხელ ოშხივრად სცემდა პირისახეზედ და თუმცა ძალზედ სწვავდა, მაგრამ — სასიამოვნოდ. დაჰბერა მსუბუქმა ნიავმა და ათერას ნაწნავი გაშლილი მოხვდა ბერდიას სახეს. იმან მწარედ დაიკვნესა, იქამდინ ძრიელი გრძნობა აღეძრა გულში; გაერყოლდა, გაშალა მკლავები და დაავიწყდა მთელი ქვეყანა...

მხოლოდ, როდესაც გონს მოვიდა, მაშინ შეიძლო ანგარიშის მიცემა, მაშინ იგრძნო და დაინახა, რომ ათერა გულს ეკროდა, ჰკოცნიდა და მდუღარე ცრემლები, ცრემლები ნეტარებისა თვალთაგან გადმოსდიოდა.

ასე გამოცხადდა ამ ორის მთიელთ სიყვარული, რომელიც თუმცა წინადვე ბჟუტავდა, მაგრამ აქამდის არც ერთს არ გამოეთქვა, არ შეემცნევინა ერთმანერთისთვის...

იმათ მისცეს ერთმანერთს ფიცი, რომ დაქორწილდებოდნენ და გასწიეს შინისკენ, რადგანაც ღამე თხებს მით უფრო ძნელად იპოვნიდნენ, რომ ახლო-მახლო არსად სჩანდა და შორს სიარულის დრო აღარ იყო.

— ამაღამ მეც თქვენსა წამოვალ? — დაეკითხა ბერდია, რომელიც სიხარულით „ცას ასულიყო“.

— შენ იცი, — მხრების აწევით უპასუხა ათერამ და დაუმატა: — მეცა და ჩემი სახლიც შენი არაა?

ისინი გავიდნენ შინ, გაანთეს ჩირაღი, სჭამეს პური და გამოეთხოვენ ერთმანერთს, რომ ბერდია გარედ დაწოლილიყო, რადგანაც წესი არ იყო მარტო ქალთან უცხო კაცის დარჩენა და ათერას კი კარი მაგრად უნდა ჩაეკეტა...

არ გაიარა ნახევარმა საათმა, როდესაც მოისმა ზარების წკარაწკური და ჩქარა სახლის კარებთან მოგრიალდა ტროიკა: სამი კაცი გადმოხტა და მიუბრუნდნენ ბერდიას, რომელიც იმათ მიეგება:

— სვიმონას სახლი ეს არის?

— დიაღ, ეს გახლავსთ, მაგრამ პატრონი შინ არაა.

— რა უშავს, ჩაის დავლევთ და წავალთ.

ბევრი ელაპარაკა, ბევრი ეღიჯინა ბერდია, მაგრამ მოსულები

ისე გულ-მოდგინედ ეხვეწებოდნენ, რომ მოხევე სტუმართ-მოყვარეობამ დასძლია და კარი გაალებინა ათერას.

ახლად მოსულები შევიდნენ სახლში; ორი იმათგანი იყვნენ აფიცრები, მესამეც „დენშიკი", რომელიც მოუდგა ბარგის შემოზიდვას, გახსნა სამგზავრო „მარანი" და დადგა სამოვარი.

სანამ სამოვარი მოდუღდებოდა, სალდათმა ბატონებს მიართვა რომი, შამაია, ზურგიელი, ხიზილალა და სხვა. ბერდიამ კი შემოუტანა მშვენივრად მობრაწული ერბო-კვერცხი, რომელსაც ათერა განსაკუთრებითი გემოვნებით აკეთებდა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — შეაქეს აფიცრებმა და მიაწოდეს მთელი სტაქანი რომი, რომელიც იმ ხანებში ბოთლი აბაზადა ფასობდა.

— ნურას უკაცრავად, თქვენი ჭირიმე!... სახლის პატრონი არაა შინ, თორემ უკედ დაგიხვდებოდათ, — მოიხადა ბოდიში ბერდიამ და, რა გამოწვდილი რომით სავსე სტაქანი დაინახა, თავის დაკვრით დაუმატა: — თქვენ მიირთვით, თქვენა, ჩემთვის რაისთვი იხარჯებით.

— დალიე, დალიე, არა უშავს-რა.

ბერდიამ გამოართვა, მოიყუდა და ნახევრამდის დალია.

— ოჰ, ჰო, ჰო, ჰოი! — ტუჩების მოწმენდით წარმოსთქვა იმან: — ძალუმ მცხარე არაა!

— დალიე, დალიე, არა გიშავს-რა, — უთხრა ერთმა აფიცერთაგანმა.

— არაუ, შენი ჭირიმე, აღარ შემიძლიან.

— დალიე-მეთქი, გეუბნები,—უფრო ბრძანებით, სანამ თხოვნით ჩასციებოდნენ მგზავრები.

ბერდია სასმელს თითქმის არა სვამდა, მაგრამ უარი ვეღარ მოახერხა, თუმცა გრძნობდა, რომ თვალები უჭრელდებოდა და ყურებში რაღაცა ხმაურობა ესმოდა. მაინც დაცალა სტაქანი, მაგრამ თავს ბრუ დაეხვია და რამდენიმე ხანს იქვე ჩაჯდა.

— არა გრცხვენიან? — უთხრა აფიცერმა, როდესაც ბერდია წამოდგა, — როგორი ვაჟკაცი ხარ, რომ ერთის სტაქნით დაითვერ?

ბერდიამ იწყინა ეს სიტყვები და სასმელმა რაღაცა ვაჟკაცობის გამოჩენა მოასურვა.

— ვინ დაითრო, მე?.. — წარმოსთქვა იმან და გაუშვირა ხელი: — მოიტა, კიდევ დავლიო, მოიტა... აი დედი-ჩემი ღმერთსა!

— არა, გეყოფა, შენ ეხლაც მთვრალი ხარ, — დასცინა ისევ იმ უფროსმა.

— აბა მომეცით თუ მთვრალი ვარ!.. ერთი სტაქანი საით დამათრობს!.. მომეცით, მომეცით-მეთქი! — გაჭირვეულდა მოხევე.

— დაუსხი, — უბძანეს ბიჭს, რომელმაც აასრულა ბატონის ბრძანება, მაგრამ მაინც შენიშნა:

— არ მოკვდეს კია.

— „ურია წყალს მიჰქონდაო და გზაც ის იყოო“, — შენიშნა ბატონმა და დამშვიდებით გადისვა ულვაშებზედ ხელი.

ბერდიას თვალები უჰრელდებოდა, მაგრამ გონება ჯერ არ დაეკარგა და თუმცა იმათი ლაპარაკი ვერ გაიგონა, მაგრამ მიხვდა, რომ იმას შაეხებოდა. ბერდიას ეგონა, რომ უცხო ტომის ხალხი დასცინის და დასამტკიცებლად, რომ ის მთვრალი არ იყო, ერთ მოწაფებაზედ გამოცალა მეორე ჩაის სტაქანი; მაგრამ მაშინვე წაბარბაცდა, შესდგა, წაბარბაცდა და გაიშალა შუა ადგილას, სადაც ძალზედ ხვრინვა ამოსტეხა.

უფროსებმა შეჰხედეს დამთვრალს კაცს და დაიწყეს სიცილი. იმათთვის სამასხარაო დროს გასატარებელი იყო ეს შემთხვევა და საცოდავს ბერდიას კი პირისახე ეპრანჭებოდა, რადგანაც სასმელს შეუჩვევარს სტომაქს უწყალოდ ჰბუგავდა რომის ძალა.

— თავ-მოჭრილსავით არ დაეცა! — სიცილით და ხარხარით მეათედ წარმოსთქვამდა ერთი აფიცერთაგანი.

— ძალიან კი გულადობდა და! — უპასუხებდა მეორე.

სალდათი გავლა-გამოვლაზედ შურით შეჰხედავდა ბერდიას საზიზღარს მდგომარეობას, რომელსაც ქაფი მოსდგომოდა პირში და ტუჩებიდგან გადმოსდიოდა. ოტკას შეჩვეულს სალდათს აშკარად ეტყობოდა, რომ ნატრობდა ამ მდგომარეობაში ყოფნას და ჰფიქრობდა: ვინ ბედნიერი ეღირსება ერთხელ ეგრე დათრობას!

იმას თუმცა სასმელი ყოველ დღე ხელში ჰქონდა, მაგრამ ბატონი აფიცრებისა ეშინოდა; კარგად იცოდა, რომ იმათ სამართალი მოკლე აქვსთ და დათრობისთვის ცხვირპირს სისხლში გაუთქვეფდნენ.

— ეს ყველა ძალიან კარგი, მაგრამ ხვრინვით კი თავი მოგვაწყინა, — შენიშნა უფრო ხანში შესულმა უფროსმა.

— დიაღ, სასიამოვნო არ გახლავსთ, — უპასუხა მეორემ.

— ეი, ივან, — დაუძახა დენშიკს და უჩვენა ბერდიაზედ: — გაათრიე გარედ და იქ სადმე მიაგდე — ხვალამდინ გამოიძინებს.

ივანე მივიდა, ბევრს ეწვალა, ბევრი ანძრია, მაგრამ ვერც გამოაღვიძა და ვერც მოერია.

— რა მოგივიდა? — შეუტია უფროსმა.

— ძალიან მძიმეა, ვერ მოვერიე.

— გააღვიძე! — უბძანა ბატონმა.

— ეი, კაცო, კაცო! — რამდენჯერმე ფეხის წაკვრით ჩასძახა სალ-

დათმა და მერე ისევ უფროსებს მიუბრუნდა: — არ იღვიძებს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

— მიხაილ ივანიჩ! — მიუბრუნდა უმცროს აფიცერს: — უშველეთ, თორემ ამაღამ მოსვენებას არ მოგვცემს.

მიხაილ ივანიჩი, სამხედრო სამსახურში გაწრთვნილი და გაჩვეული უარუყოფელს მორჩილებას, მიეშველა სალდათს, თუმცა კი გულითა სურდა ამ საქმის აღმასრულებლად სხვები ჰყოლოდა.

იმათ რის ყოფით გაათრიეს ბერდია, გაიტანეს მინდორზედ, რათა სახლიდგან მოშორებული დაეგდოთ, რომ თავის ხვრინვით ნაზი ბატონი აფიცრები არ შეეწუხებინა და თითონ ისევ შემოვიდნენ.

— ეხლა მოსვენებით დავიძინებთ, — წარმოსთქვა უფროსმა.

— რასაკვირველია, ბატონო პოლკოვნიკო.

— მოამზადე ქვეშსაგები და ჩაიც ააჩქარე. — მიუბრუნდა უფროსი სალდათს, რომელმაც აჩუხჩუხებული სამოვარი სტოლზედ დადგა.

პოლკოვნიკი და მიხაილ ივანიჩი მოჰყვნენ ჩაის სმას და ჩქარა ფუნჩზედ გადავიდნენ და დიდმა ხანმა არ გაიარა, რომ ორთავ თვალები აემღვრათ და, წინადვე ცოტა გადაკრულებმა, ეხლა ენა-არევით დაიწყეს ლაპარაკი.

ესენი ამ ქეიფში იყვნენ, როდესაც ათერა თავის ოთახში ჩაკეტილი იყო. ბერდიას დათრობა ისე სწრაფად მოხდა, რომ რამდენიმე ოთახს მოშორებულმა ქალმა ვერა გაიგო-რა. ხრიალსა და ბრახუნს კი ბარგის შეტან-გატანას მიაწერდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ბერდია ფხიზლად უყარაულებდა და სტუმრებსაც რიგზედ დაუხვდებოდა; ამისთვის დამშვიდებული ათერა სრულს და უზრუნველს განსვენებას ეძლეოდა.

პოლკოვნიკმა მოიწადინა მწვადი და უბრძანა სალდათს:

— სამწვადეს ვერსად ვიშოვნით?

— არ ვიცი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— გასწი, გაშინჯე სახლი, მთის ხალხი ხორცს ყოველთვისინ ინახავენ, თუ ახალი არა — ლორი მაინც ექნებათ.

სალდათი ქუსლებზედ გატრიალდა, აიღო სანთელი და, რა კარს გასცილდა, გინებით და ლანძღვით დაუწყო ოთახებში ხორცს ძებნა, მაგრამ ვერასა პოულობდა. ამისთვინ შევიდა მეორე ოთახში, რომელიც ცარიელი დახვდა და მიაწვა იმ კარს, სადაც ათერა ჩაკეტილი იყო.

— ოთახი შიგნიდგან არის ჩაკეტილი, — იფიქრა იმან. — ჰგავს შინ კიდევ ვიღაცა ყოფილა, და დააბრახუნა კარები. ათერა, დარწმუნებული, რომ ბერდიას მეტი არავინ მივიდოდა იმის ოთახთან,

წამოვარდა და სწრაფად კარი გააღო. ქალმა დაინახა რუსი და მოულოდნელობისგან გაშტერდა; რუსიც ისე გაკვირდა, რომ კინაღამ ხელიდგან სანთელი გავარდა. მშვენიერი, ყმაწვილი და წერწეტი ქალი, ანგელოზის სახის მქონე, ამ იდუმალს მარტოობაში იმის წინ იდგა.

ათერამ ცოტ-ცოტად რუსული იცოდა და მოახერხა კითხვა, თუ რა ენებებოდა დაუპატიჟებელს სტუმარს.

— ბატონს სამწვადე უნდა, გექნებათ რამე.

— სამწვადე როგორ არა გვაქვს, აი ეხლავ, — გაბრუნდა ქალი და ჩამოუჭრა მთელი „გავა-დუმიდგან“ საუკეთესო ნაჭერი.

მაგრამ ეს ყველა ისე საჩქაროდ მოხდა, რომ ათერამ იმის გამოკვლევაც კი ვერ მოასწრო, თუ რუსი რად მოვიდა სამწვადის სათხოვრად, მაშინ როდესაც ბერდია იქ იყო.

ის დაფიქრდა ამ საგანზედ, მერე წარმოსთქვა: „წყალზედ თუ გაგზავნეს, რუსს გზა არ ეცოდინებოდა“.

სალდათი კი შევიდა თავის ბატონებთან ღიმილით და ღრეჭით.

— იშოვე? — წარბების შეკვრით ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— დიაღ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

— აბა მაჩვენე.

სალდათმა მიიტანა სამწვადე სანთელთან, პოლკოვნიკმა გადაატრიალ-გადმოატრიალებინა და პირში ნერწყვ-მოსული კმაყოფილი დარჩა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — შეაქო იმან: — აბა, ჩქარა შეწვი... შამფურები ხომა გაქვს?

— გახლავსთ, — უპასუხა იმან, მაგრამ ადგილიდგან არ იძროდა. პოლკოვნიკმა შეხედა.

— რაღა გაცინებს? — წარბებ-შეჭმუხვნით ჰკითხა.

— არაფერი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— როგორ თუ არაფერი?

— ისეთი ლამაზი „ხაზიაიკა“ ჰყოლია...

— ვისა ჰყოლია? რას ანბობ?..

— აი, კაცი რომ დაათვერით, იმას.

— მართლა? — ერთად წამოიძახეს პოლკოვნიკმა და მეორე ოფიცერმა, რომელთაც შუბლი გაეშალათ და სახე გაუღიმდათ.

— მართლა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

— ჰა... რას იტყვი? — ჰკითხა უფროსმა უმცროსს აფიცერს.

— ჩინებული შემთხვევა არის, პოლკოვნიკო, სხვა რა მოგახსენოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორედ, რომ ჩინებულია, ჩინებული, — გაუბრწყინდა თვალები და მსუნაგს კატასავით მოილოკა ტუჩები.

— მართლა ლამაზია?.. — ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხეს სალდათს.

— ნახატი სურათი გახლავსთ, სწორედ ნახატი!

— მაშ წადი, აქ მოიყვანე.

— რომ არ დამიჯეროს?

— ბალვან! — დაუყვირა პოლკოვნიკმა და დაუმატა: — მაშ რის სამხედრო კაცი ხარ, თუ კი ქალსაც ვერ დაიმორჩილებ, ვერ მოიყვან?

— ყვირილს დაიწყებს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— თუნდა ჭერი აჰყაროს!.. გასწი, ეხლავ მოიყვანე, გესმის?

— მესმის, — ჩვეულებისამებრ გატრიალდა რუსი და გავიდა.

აფიცრები მხიარულად მოელოდნენ ლამაზ გოგონას, რომელიც იმათის აზრით უეჭველად მოვიდოდა, რადგანაც ისეთი ბედნიერება ეღირსა, რომ ბატონმა აფიცრებმა იკადრეს იმასთან ქეიფი...

ათერას, რომელიც თავის ოთახში მიგდებულიყო საგებელზედ, ძილი გაფრთხობოდა და აღარ ეძინებოდა. ისა ჰფიქრობდა თავის ბერდიაზედ, რომლის მშვენიერებაც თვალ-წინ ეხატებოდა; ჰფიქრობდა იმ სანატრელს დროზედ, როდესაც შეუერთდებოდა იმას და მოხევის ქალები შურით დაუწყებდნენ ყურებას.

ის ამ ფიქრებში იყო, როდესაც სალდათმა შეაღო კარები; ათერა მწრაფლად ფეხზედ წამოვარდა და შეხედა სალდათს, რომელსაც პირი ულიმდებოდა.

თვალები საზოგადოდ გამოსთქვამენ ადამიანის გულის პასუხს და უმეტეს ნაწილში აგებინებენ აზრს. ათერამაც რაღაცა უკაცური, ბოროტი სურვილი ამოიკითხა რუსის თვალებში და თავისავე უნებურად ჟრუანტელმა სხეულში გაურბინა.

— რა გინდა? — ჰკითხა ქალმა უფრო ანგარიშ-მიუცემლად, სანამ მოაზრებით. სალდათმა ჩაახველა, ჩაიცინა კიდევ და თავის გადაქნევასთან ერთად უთხრა:

— წავიდეთ.

— სადა? — გაკვირვებით იკითხა ათერამ.

— იქ, — თვალით ანიშნა სალდათმა აფიცრების ოთახისკენ.

ქალი გაშტერებული უყურებდა, რადგანაც ვერ გაეგო, რას ითხოვდნენ იმისგან, ან ასე გულმოდგინედ სად ეპატიჟებოდნენ.

— შენ ნუ გეშინიან, — დაიწყო ისევ სალდათმა: — ეგენი კარგი ბატონები არიან, უბრალოები კი ნუ გეგონება!.. ფული ბევრი აქვსთ, სულ ოქროებს მოგცემენ.

ათერა მიხვდა, სადაც და რისთვისაც ეპატიჟებოდნენ და იქამდინ აინთო ამ შეურაცხყოფობით, რომ მთლად გაფითრდა და კანკალი დაიწყო; სიტყვაც კი გაუწყდა პირში და თითქოს ყელში რაღაც მოებჯინა, რომელიც თითქმის აღრჩობდა.

— დაუნდობლებო! — ბოლოს ძლივს შესძლო იმან წარმოთქმა: — პურ-მარილისა მაინც არ გეშინიანთ, რომ მაგას მეუბნებით?..

— პურ-მარილი? — გაიცინა რუსმა: — პურ-მარილი ხალხს უფრო არ აახლოებს?

— რაისთვი ღმერთი თოლთაგან არ წამოგაყრეინებთ, რაცა ხეთქეთ?.. არამი იყოს ჩვენი პურ-მარილი თქვენზედ!.. გამეცალე, მომშორდი!..

— ძალიან ჩქარი ხარ, გოგოვ!.. — უთხრა სალდათმა და ხელები გაიშვირა ქალისკენ.

ათერა აინთო და მთლად დაიბნა, იმან დაჰკარგა მოაზრება, რაკი სალდათის ხელი მიეკარა. რუსს უნდოდა ძალათი წაეყვანა.

— გამიშვი! — დაიყვირა ათერამ და გამოუსხლტა ხელიდგან: — რას სჩადი, შე ცოდვით სავსევ, თავი მაინც აღარ გებრალება?

— წამოდი, კარგია! — ხმა აუმაღლა ბატონის ბრძანების ერთგულად აღმსრულებელმა.

— მაშ ეგრე? — დაიძახა ქალმა და მისწვდა დამბაჩას, რომელიც წინედ კედელზედ ჩამოჰკიდა.

— აბა, გაბედე-ლა და მაშინ ნახამ შენს დღეს.

სალდათს გაეცინა ამისთანა მუქარაზედ: იმას არ ესმოდა ქალისაგან თავის დაცვა, რადგანაც იმის შეხედულებით ქალი უნდა მორჩილებდეს კაცს და ბედნიერებად მიაჩნდეს, როცა მასთან არშიყობას კადრულობენ. ამისთვის რუსმა გაშალა მკლავები და მოხვევნას უპირებდა, მაგრამ ამ დროს იელა და გრიალის ხმა მოისმა.

სალდათი შეხტა როგორღაც უცნაურად, გაფითრდა და დაბარბაცდა. კიდევ წუთი და პირიდგან სისხლი წასქდა, რომელიც თქრიალით გადმოსდიოდა.

დაბარბაცდა კიდევ, სახე დაპრანჭა, დაეცა და სულის ბრძოლაში თრთოლა დაიწყო.

ათერას დამბაჩის ტყვიას გული გაეხვრიტა გაუთლელი რუსისთვის.

აფიცრები, რომელთაც მიესმათ სროლის ხმა, შეცვივდნენ იმ ოთახში, სადაც სალდათი სისხლის მორევში სცურავდა და გაშტერდნენ.

ისინი მისცვივდნენ ათერას, რადგანაც იმას დამბაჩა ჯერ კიდევ

ხელში ეჭირა და ეს კი აჩვენებდა, ვინც დამნაშავე იყო სალდათის სიკვდილში.

— შენ მოკალ განა, შე ეშმაკის ნაშობო! — დაუყვირა პოლკოვნიკმა.

— მე, — მოკლედ და დამშვიდებით უპასუხა ათერამ.

— ვერ უყურებთ ამ ურცხვს? — დასჭყივლა კიდევ პოლკოვნიკმა და დაუბრახუნა ფეხები.

— ურცხვი კი არა, ნამუსიანი ვარ... ურცხვს უფალი ახდევინებს.

— რად მოკალ, რას ემართლებოდი?

— იმად, რომ უნამუსონი ხართ, იმად, რომ პურ-მარილსა გმობთ, იმად, რომ უღონო დედაკაცს არ გაიხოლიებთ.

— გაჩუმდი! — დაიღრიალა კიდევ პოლკოვნიკმა და მოუქნია ხმალი, რომლითაც ცალი ნაწნავი ჩააჭრა და მხარში ძალზედ დაჰკოდა.

— მეტი რაი შეგიძლიანთ, მშიშარეებო, თუ არ დიაცის წვალება?.. ბერდიაი ამოიყრის ჩემს ჯავრსა, ბერდია!

პოლკოვნიკი, რომელსაც ისეც თვალები უჭრელდებოდა, მეტად გაცოფდა ამ სიტყვებზედ და მოიქნია მეორედ ხმალი, რომელმაც მკერდი გაუპო მოხევის ქალს.

ათერა დაბარბაცდა და დაეცა.

— აი ძაღლო, ძაღლო!.. იღბალი გქონია, რომ დამბაჩაი დავცალე, თორემ მწარედ გაგიშავებდი დღეს!..

აფიცერი, რომელიც რაღაცა გამტერებაში იდგა, მივარდა პოლკოვნიკს და გამოჰგლიჯა ხელიდგან ხმალი.

— რათა ჰპილწავთ თქვენს წმინდასა და პატიოსანს იარაღს მაგ უწმინდურზედ? — ამ სიტყვებთან დაჰკრა ფეხი ათერას, რომელიც თანდათან სისხლიდგან იცლებოდა და სუსტდებოდა.

— ეგ ჯალათის ღირსია და იმან უნდა მოაკვდინოს ღირსეულის სიკვდილით.

— ჰო, შენ მართალი ხარ... შენ ყოჩაღი აფიცერი ხარ! — უპასუხა პოლკოვნიკმა და კბილების ღრჭიალით დაუმატა: — მოღალატეს ხვედრი თოფია, გადამხდევინებელი — ჯალათი.

მაგრამ ათერას ჯალათი აღარ ეჭირებოდა, რადგანაც თანდათან სუსტდებოდა და სიცოცხლე აკლდებოდა.

აფიცერმა კიდევ რამდენჯერმე ფეხი წაჰკრა და შეაფურთხა. ათერამ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, წამოწია, დაიძახა: — ბერდიავ! ვერ ხედავ, რას სჩადიან? — და დაეცა, რომ თავის დღეში აღარ წამომდგარიყო!..

იმავე ღამეს გაგზავნილმა იამშჩიკმა, რომელსაც ცხენები იქ ეყენა, მოიყვანა დიამბეგი, ყაზახები და სხვა მოხელე ხალხი, რომელთაც მაგრა შეჰკრეს ბერდია, როგორც მოღალატე და ბუნტი კაცი, რომელის სალდათის სიკვდილში ერია. რამდენიმე ხანს შემდეგ კი ბერდია ანძალზედ ჩამოჰკიდეს, რადგანაც „ხელმწიფის კაცის სისხლს“ ხომ ვერ შეარჩენდნენ!

ასე გათავდა ამ უბედური ოჯახის საქმე, საიდგანაც მარტო ათერას მოხუცი მამა დარჩა, რათა რამდენიმე წელიწადი გულს ცეცხლმოდებულს ფანდური ეკრა და მდუღარე ცრემლის დენით თავისი დანაკლისები მოეგონა... არ ერჩივნა ამ უბედურს, რომ ისიც სადმე შუბით ყოფილიყო განგმირული?

[1883]

# ციცია

ერთსს ზაფხულის დღეს ბურსაჭირის ფერდოზედ ცხვარი თეთრად შეფენილიყო და ძოვით ყინულიან წვერებისაკენ, სადაც ბატკნებს უნდა ეთამაშათ, მიდიოდა. ყმაწვილი მწყემსი, ახლად წვერულვაშ აშლილი, გასულიყო მაღალ ქედზედ და იქიდგან გასცქეროდა თავის „საყორელ“ პირუტყვებს.

ქვეით ღელე ორსა თუ სამს ვერსზედ ვაკედ მიდიოდა და ზედ ანკარა მთის წყალი გველსავით მიიკლაკნებოდა.

ბურსაჭირის მეორე მხარესაც ჯერ მწვანე ზურმუხტის ფერი ველიანი მისდევდა და თავდებოდა ზოგან ჩონჩხებით, ზოგანაც სიპი კლდეებით. აქა-იქ გადმოსჩქეფდა რძესავით თეთრი ნაკადულები, რომელიც გაცოფებულს მხეცსავით ეცემოდა ჩამოლესილს კლდეებს და წვრილს ნამად იფრქვეოდა.

წყნარი ნიავი იშვიათად ჰბერავდა და აგრილებდა მზისგან გახურებულს ადგილებს. ერთს ადგილს, ლაჟვარდოვანს ცაზედ, გაჩერებულიყო ღრუბლის პატარა ნაჭერი, რომელიც ხან იკარგებოდა და ხან ისევ სხვადასხვა გვარ სურათად გამოჩნდებოდა.

ერთს ადგილს, ცის ტატნობაზედ, გამოჩნდა ბუზისოდნად შავი ნიშანი, რომელიც ცოტა ხანს უნძრევლად, გაშეშებულსავით იდგა.

ცოტა ხანმაც გაიარა, შავი საგანი შეინძრა და ცაზედ აშკარად გამოჩნდა არწივის სახე, რომელიც წყნარის, მაგრამ ძრიელის მოძრაობით დანავარდობდა.

მწყემსმა დაუწყო ყურება და შეშურდა ფრინველის თავისუფლება.

იმ წუთებში ბექიას, — ასე ეძახდნენ მწყემს, — ფრინველად გადაქცევა უნდოდა; ის არა კმაყოფილდებოდა თავის მდგომარეობით, ნატრობდა იმ ძალას, იმ მდგომარეობას, რომელსაც საშუალება მიე-

ცა ყველგან, ყველგან, სადაც კი მოიწადინებდა, გაფრენილიყო, მისულიყო, თავ-დასცემოდა.

იმასა სურდა — მისულიყო თავის სოფელში, ზევიდგან მოეკრა თვალი თავის ციციასთვის, მოეტაცნა და წასულიყო ისე შორს, შორს, რომ კაცის ხმა ვერ მისწდომოდა. ბექია ამ ფიქრებში იყო, როდესაც არწივი ერთბაშად დედამიწისკენ შურდულივით დაეშვა და რაღასაც ძალზედ დაჰქროლა.

მწყემსმა გაიხედა იმ მხარეს და დაინახა შეშინებული კურდღელი, რომელსაც ყურები დაეცქვიტა და გარბოდა ბუჩქებისკენ, სადაც თავის შეფარებას აპირებდა.

დაგერშილი არწივი, კურდღელს მოშორებით თითქმის სრულად დაეშვა დედამიწაზედ და ისე გაჰქროლა თავის მსხვერპლისკენ, რომელსაც წუთით-წუთზედ უახლოვდებოდა.

აგერ წამოეწია, გაშალა კლანჭები და იმ წუთში, როდესაც წელში გავლებას უპირებდა, კურდღელმა „უქცია“, გახტა გვერდზედ და აიცდინა არწივი, რომელმაც გამალების გამო თავი ვეღარ დაიმაგრა და გაშორდა.

ბექია გატაცებით და გულის ძგერით უყურებდა ამ სურათს, გულით შესტრფოდა ფრინველთ მეფის სიმარდეს, სიამაყით და მედიდურობით სავსე მოძრაობას, მაგრამ კურდღელიც ებრალებოდა, თანაუგრძნობდა იმის მდგომარეობას, ამიტომ რომ კურდღელი თუმცა „ბეჩავია“, მაგრამ ისიც „ღვთის გაჩენილია“.

ამისთვის, როდესაც პატარა პირუტყვი თავის მტარვალს გასხლტა, ქშენა-შეწყვეტილმა მწყემსმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა.

მაგრამ ბექიას სიხარული დიდხანს არ გაგრძელდა, რადგანაც არწივმა თავი შეიმაგრა, გადმოხედა ჩასისხლებულის თვალებით და, რა დაინახა კურდღელი, ისევ გამოეკიდა უფრო მომეტებულის სიკაპასით და სიჩქარით. ჩქარა წამოეწივა თავის მსხვერპლს, რომელმაც ისურვა წინანდელი ეშმაკობის ხმარება, მაგრამ ჰაერში აფრენილი ძირს აღარ დაცემულა: არწივის კლანჭებმა წელში მაგრად ჩაავლეს და ისე ძალზედ მოუჰჭირეს, რომ დაკნავლებასთან ერთად სული აღმოხდა.

თავმოწონებულმა არწივმა აიწია მაღლა, ამაყად გადმოხედა იქაურობას და მერე დაეშვა მიწაზედ, სადაც ძიძგნა დაუწყო თავის ნანადირევს.

ბექიამ გაივლო თოფს ხელი, წამოეპარა არწივს, გაუმიზნა და თავგახვრეტილი იქავე გააგორა.

— ჰეე!.. ეგეც შენ! — დაიძახა იმან და გადმოიტრიალა თოფი, რომლის ტუჩიდგანაც ჯერ კიდევ ბოლი ამოდიოდა. მას უკან წუნა-

რად მოიხია ჩოხის კალთიდგან ნაჭერი, წყნარადვე ამოიღო თოფის ისარი და დაუწყო წმენდა.

იმას ეს საქმე ჯერ არ გაეთავებინა, როდესაც მოესმა ხმა:

— ბიჭაუ, ჰა, ბიჭავ! *

ბექიამ მიიხედა იქით და გააკრჯოლა: მთის წვერზედ იდგა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ქალი, რომლის მშვენიერებაც მთის კაცზედ ბევრით უფრო გემოგახსნილსაც მიიზიდავდა.

ბექია ჯერ გაფითრდა, მერე გაწითლდა და რაოდენიმე ხანი მოუნდა, სანამ ამ ქალისაკენ გასწევდა.

როდესაც მწყემსი მიახლოვდა, ქალმა მოიხსნა გუდა და ნიავსავით წყნარის ხმით უთხრა:

— აი, ჯერი მოგიტანე.

ბექიამ გამოართო გუდა, მაგრამ კარგახანს ქალს ვერ შეხედა და ვერც ლაპარაკი დაუწყო.

— მამამა, ბატკნებს უყურეო, სიცხეში ყინულზედ არეკოდეო თორემ დაიხაშმებისო, — დაიწყო ისევ ქალმა.

— აგრე, — ძლივს მოახერხა მწყემსმა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— აბა, ახლა კი წავალ, — დაიწყო ქალმა: — თუ არას დამაბარებ?

— ბედშაო ჩემო თაო! — დაფაცურდა ბექია: — სად წახვალ?.. მოიცადე, დაისვენე... თხებს მოგიწველ...

— არ მინდა, შენაი ჭირაიმე, წავალ.

— ნუღა, ციციაისი, ნუ!.. დარჩი ბატარა ხანს, პური ერთად ვჭამოთ.

— მეჩქარების და რაი ვქნა?

— ჯერ ადრეა, შინ კიდევ მოასწრობ, — თითქმის ხვეწნით უპასუხა მწყემსმა. ციციამ ხმა აღარ ამოიღო და იქავე ჩაიკეცა.

გახარებული ბექია გაექანა ხელადისკენ, დასცა ხელი და გასწია თხების მოსაწველად.

## II

ციციას მამა ქორღუყო შეძლებული კაცი იყო; იმასა ჰყვანდა ორი ათასამდე ცხვარი, ამის შესაფერი მსხვილფეხი საქონელი და თუმცა ხვნა-თესვას მაგდენად არ მისდევდა, მაგრამ მაინც კარგადა სცხოვრებდა და სტუმარს წესზედ ისტუმრებდა.

ქორღუყო მთის ხალხის შეხედულებით ბედნიერი იყო, რადგა-

* მთაში ქალი კაცს სახელს ძნელად დაუძახებს, საზოგადოდ ბიჭობით ელაპარაკებიან.

ნაც განსაკუთრებითი გაჭირვებას არ ხედავდა და შეძლებაც ნებას აძლევდა ყოველგვარი მოხელენი „თავმოქონილი“ ჰყოლოდა, მაგრამ თითონ ქორღუყო კი არა ერთხელ დაფიქრდებოდა ხოლმე, რადგანაც მემკვიდრედ ლამაზი ციციას მეტი არვინა რჩებოდა, და ქალი კი რა მემკვიდრე იყო, როდესაც „ცხოთა შვილს უნდა წაეყვანა?“

ამისთვის მოხევე ჰფიქრობდა, რაკი ამ უბედურებას თავიდგან ვერ აიცდენდა, ზედსიძედ ისეთი კაცი შემოეყვანა, რომელიც იმის შეძლების ღირსი და კარგი გვარისა ყოფილიყო. რასაკვირველია, სასიძოს საცხოვრებელიც უნდა ჰქონოდა, რომ ობლობით და შეუძლებლობით დაჩაგრული არა ყოფილიყო.

ქორღუყომ კარგად იცოდა, რომ ყველაზედ მეტი ჯაფა და უსამართლობა შეუძლებელს ეყრება, რადგანაც მდიდარს თავის გამოსყიდვა ყოველთვის შეუძლიან. ისიც ესმოდა, რომ უსამართლოება შეუძლებელს ყოველთვის უფრო მოხრის, მოსტეხავს და გააბრაზებს. მომეტებულს შემთხვევაში უსამართლობით გაბრაზებული, დაჩაგრული გადახდევინებას დაეძებს, მაგრამ, რადგანაც გარედ ყველა ერევა, თავის ბრაზს შინ ჯალაბობაზედა ყრილობს...

ქორღუყომ ყველა ეს გამოცდილებიდან იცოდა და არ უნდოდა თავისი ქალი საწვალებლად ვისთვისმე მიეცა.

მაშ სიძედ ვინ უნდა ამოერჩივა? რასაკვირველია, ისეთი კაცი, ვინც შეძლებისა და ძალის მქონებელი უნდა ყოფილიყო. იმასაც თვალი შეუვარდა შეძლებული მეზობლის შვილს მახუტაზედ, მაგრამ ქალი, უეჭველია, სხვასა ჰფიქრობდა, რადგანაც, რა მამა ამ საგანზედ ლაპარაკს ჩამოუგდებდა, ციცია გაწითლდებოდა, მოეხვეოდა ყელზედ და ეტყოდა:

— არა, მამაისი, მე ჯერ გათხოვება არ მწადის.

— რაისთვი არა, რაისთვი? — ჰკითხავდა მამა.

— შენთან მინდა ვიყო, — უპასუხებდა ციცია და უფრო ძალზედ მოეხვეოდა.

ქორღუყო სიამოვნებით გაიღიმებდა, რადგანაც ამ საქციელში განუსაზღვრელს სიყვარულს ხედავდა; გულითა ხარობდა, რომ თავის ნაშობი ისე გულმხურვალედ ეკიდებოდა; მომბალი ამ ალერსით, ჩუმდებოდა, დღითი-დღე გადაიდებოდა გათხოვებაზედ ლაპარაკი.

## III

საქმეები ამ მდგომარეობაში იყო, იმათი ცხოვრება ჩვეულებისამებრ მიდიოდა, როდესაც ერთს საღამოს ქორღუყო თავის გალავნის კართან ქვაზედ იჯდა და დროს გასატარებლად ჩხირსა სთლიდა. იქვე იდგა სარქალი და ახალი მწყემსის დაჭერაზედ ელაპარაკებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაი ჰქვიან? — ჰკითხა ქორღუყომ.

— ბეჟიი, — უპასუხა სარქალმა.

— კარგი მწყემსი კია?

— მწყემსი — რაი-და თქმა უნდა, ცხორსა და ბატკანს ხმაზედ იცნობს.

— როგორა დგება?

— ორმოც ცხვარს იზიარებს.

— თუ ივარგა, ფასი ბევრი არაა, — გადასწყვიტა ცხვრის პატრონმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — აბა დაუძახე.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც ბეჟია ერთი კაცის თანადასწრებით მოურიგდა ქორღუყს და ამ დამსწრეს ერთი მანეთი სამოწმო მისცა. ეს იყო ნიშანი, რომ იმათი პირობა დამტკიცდა.

— ციციაუ! — დაუძახა სახლის პატრონმა, და კარებში გამოჩნდა ქალი.

— რაი გინდა?

— აი, ახალი მწყემსი დავიყენეთ, — უთხრა მამამ და გააგრძელა: — შინაური არაყი გვქნების, მოგვიტანე, დავლოცოთ.

ქალმა შეხედა მწყემსს, გაწითლდა, ჩაღუნა თავი და კარებს ხელი გაავლო.

ამ ხანში ბეჟიამაც გახედა ციციას, მაგრამ იმანაც მაშინვე ჩაღუნა თავი და მზისგან დამწვარი პირისახეზედ მასაც თითქოს სიწითლე დაეტყო.

— რაი-და მოგივიდა? ვერ გაიგონე? — მოაგონა მამამ ქალს, რომელიც იმავ ადგილზედ იდგა.

— ეხლავ, ეხლავ! — უპასუხა ქალმა და საჩქაროდ გაბრუნდა.

რამდენიმე წუთს შემდეგ ქორღუყო, სარქალი, ბეჟია და მოწმად მოყვანილი კაცი შინაურის არყით ერთმანერთს ლოცავდნენ.

ციცია იქვევ იდგა წყნარად და ჩუმად თავდახრილი, გაწითლებული უსხამდა არაყს. ათსში ერთხელ ელვასავით სწრაფად მოჰკრავდა იქ მყოფებს თვალს და ისევე დაბლა დახრიდა.

როდესაც ეს უბრალო ჩვეულება გაათავეს და ცოტაოდენად შეზარხოშდნენ, ქორღუყომ წამოიძახა:

— აბა, ბეჟიაუ, ღმერთს არ მოეტყუების, თუ ბეჯითად მოიქეც, მარტო ჯამაგირზედ არ დაგაყენებ, საქონელი პირუტყვია, ენა არა აქვს, იმათი ღალატი ღმერთსაც ეწყინების და კაცსაც.

— რაი ლაპარაკი უნდა, შენი ჭირიმე, ცხორს საით ეღალატება, ეგრე მოუვლი, ღვთის მადლმა, როგორც ჩემს ორ თოლს.

— მოუვლი-და, მეც კაცი ვარ, ქუდი მხურავს — შენს ამაგს უბრალოდ არც მე ჩავაკლებ.

ისინი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ერთი მოხუცებული კაცი მოვიდა და მძიმედ თავის დაკვრით წარმოსთქვა:

— საღამო მშვიდობისა.

იქ მყოფნი ფეხზედ წამოუდგნენ და მდაბლად თავის დაკვრითვე უპასუხეს:

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, ბიძიაუ!..

— გარდმოხე, დაჯექი, — მიიპატიჟა ქოროღუყომ.

მოხუცმა მადლი გადიხადა და ჩამოჯდა.

— ბეჟიაუ, — დაიწყო ახლად მოსულმა: — აქ რას აკეთებ?

— ცხორი დაიზიარა, მწყემსად დამიდგა, — უპასუხა სახლის პატრონმა.

— კეთილი, კეთილი, — უპასუხა სტუმარმა და დაუმატა: — ძალუმ მწყემსი გიშოვნია, ღვთის მადლმა.

ცოტა ლაპარაკის შემდეგ ბეჟია და სარჭალი ცხვარში წავიდნენ და მოწმად დასწრებული კაციც გამოესალმა. ეხლ წინ მარტო მასპინძელი და ბოლოს მოსული სტუმარი-ღა დარჩა.

ისინი ლაპარაკობდნენ შინაურს საქმეებზედ და ერთმანეთს სდიდნენ, თუ რა ღღეს გაეკეთებინათ თიბვის თავი, რადგან ბალახი ძალიან მოწეულიყო და თიბვის მეტი დაგვიანება ბალახს თუ არ დააკლებდა, ადარას უშველიდა.

ამ დროს ციცია გამოვიდა კარებზედ და მოხუცმა სტუმარმა თვალი შეჰკრა.

— გამარჯვება, ციციაუ! რასა იქ, როგორა ხარ? — მიესალმა ბიძია.

— დამირჩა შენი თავი, აბა რაი მიჭირს? — თავდახრით და წუნარად უპასუხა ქალმა და წასვლა დააპირა, მაგრამ მოხუცმა ხელი გაავლო და თავისკენ მიიზიდა.

— მოიცა-ღა, მოიცა! სად მიეჩქარები! — უთხრა და გულკეთილად დაუწყო ყურება: — იზდები, ლამაზდები, მთის ვარდსავით იშლები...

ამ სიტყვების შემდეგ მიუბრუნდა ქოროღუყოს და დაუმატა:

— რაისთვი არ ათხოვებ? დროს მოსული ქალის გათხოვების დაგვიანება ცოდოა, ცოდოა, ღვთის მადლმა!

გათხოვების ხსენებაზედ ქალი გაწითლდა და ხელი გააშვებინა.

— მოიცა-ღა, მოიცა! სად გარბი? — დაუმატა მოხუცმა, მაგრამ ქალი საჩქაროდ შეეფარა გალავნის კედელს და ამის გამო ბიძიამ თავის საუბარი ისევ მამას მიმართა: — რაისთვი არ ათხოვებ?

— აბა რაი უყო, ბიძიაისა, არ მიჯერებს, თორემ ბარემ გავათხოვებდი... უთხარი რამე, ურჩიე, შენი სიტყო სჯერა...

— ქალი ნიადაგ სულ უარზედა სდგას!.. იქმნება ისეთზედ ელაპარაკები, ვინც ქალს არ მოსწონს?

— არა, ღვთის მადლმა! ვინც უნდა, აირჩიოს. ერთ ბედჩავსა და ღარიბს, ვისაც ოჯახობის ყადრი არ ეცოდინება, არ მივცემ, და ცხო ვინც გინდა, იყოს.

— შენ კი ცოტა გაქვს, რომ კიდევ მდიდარს ეძებ?.. უფალმა ყველაფერი მრავალი მოგცა, რაი-ღა სიმდიდრე გინდა?.. მაგ სიტყვებით ღმერთს აწყენ, ღვთის მადლმა!..

— რაი ვქნა, შენაი ჭირიმე, ბიძიავ, უფალმა მაგ ერთი ქალის მეტი არა მამცა-რა ზედსიძედ ისეთი კაცი შემოვიყვანო, ვინც ღარიბი და დაჩაგრული?.. ეგეთი კაცი ვერც სახლს მოუვლის და იმ ქალა-შავასაც სიცოცხლეს გაუმწარებს.

— კაცი ნახე, ქორღუყო, კაცი!.. ცხოვრებას კი ნუ ეძებ... განა ღარიბი კი დაწყევლილია? ბედჩაო, ჩემო თავო! ისინი კი ღვთის გაჩენილები არ არიან?

— ღმერთს სითი შევცოდო, ნიადაგ ღვთის გაჩენილები არიან... მაგრამ მოკეთე ბევრი მყავს, სტუმარი ბევრი მიდის, ღვთის მადლმა, დიანბეგი, ნაჩალნიკიც მეწვევიან ხოლმე, იმათ დახვედრა უნდა, გაძღოლა... აბა ღარიბობით გულგატეხილს, დაჩაგრულს, იმათი გაძღოლა სითი შეუძლიან.

— ეჰ, ჰე, ჰე, — ამოიოხრა მოხუცმა და თავი ჩაჰკიდა.

— ქალს იმად ათხოვებ, რომ დიანბეგებს დაუხვდე?.. იყუჩე, ქორღუყო, ღვთის მადლსა! სალექსოდ თავს ნუ გაიხდი.

ქორღუყოს შერცხვა, რადგანაც დიამბეგების სტუმრობას ნამუსი ჯერ კიდევ სრულიად ვერ ამოერეცხა იმის გულიდგან.

— აბა მაშ მირჩიე, ვინაა ისეთი, რომ შენი გული ელხობოდეს?

— ვინაა?.. მაგას რაი კითხვა უნდა?.. გაახილე თოლები და დაინახავ, — გაცხარდა მოხუცი და დაუმატა: — აი თუნდა ბეჟიაი, დღეს რო მწყემსად დაიყენე.

— რაიო? — გაიკვირვა ისე ქორღუყომ, რომ ფეხზედაც კი წამოვარდა: — ჩემს მოჯამაგირეს უნდა მივცე ქალი?

— რად არა?!.. კაი ბიჭია ღვთის მადლმა! მუშა, მშვიდობიანი, მორჩილი, ვაჟკაცი; ცხო რაი-ღა გინდა?

— ლუკმისთვის ცხოთა კარს მოსიარულეს უნდა მივცე?

— კარგია-ღა, ქორღუყოს! უბრალოდ ლაპარაკს თავი დაანებე... რაი ბედენაა, ცხოთა კარს დადის, თუ თავის სახლში ზის? გლეხკაცი მუშაობისთვის არის გაჩენილი, სადაც გინდა იყოს, გულხელდაკრეფილი ვერ დაჯდების.

— არა, ბიძიაისი, მაგაზედ ნუღარას მეტყვი. ჩემს ქალს ისევ ჩემის ხელით დავმარხავ და მოჯამაგირეს კი არ მივცემ.

ამ სიტყვებთან ერთად მოისმა ეზოს კარის ჭრიალი. მოლაპარაკეთ მიიხედეს და მარტო კაბის გაფრიალებას შეჰკრეს თვალი.

IV

ციცია, რომელიც წეღან გაეშვებინა, ჭისკარს მოჰფარებოდა, ყურს იქიდგან უგდებდა და გულის ძგერით მოელოდა, თუ რითი გადაწყდებოდა მისი ბედ-იღბალი.

მოლაპარაკეთ ყოველის ხმის ამოღებაზედ ისა თრთოდა, კანკალებდა, ხან გაცივდებოდა, ხან ცეცხლსავით აინთებოდა. უკანასკნელი სიტყვები მას ლახვრად მოხვდა გულში, წააბარბაცა და, თუ იქავ კარი არ შეხვედროდა, დაეცემოდა.

ერთს წუთს გაშტერებული ქალი, მალე მოვიდა გონს და გულადუღებულს ცრემლები გადმოსკდა თვალიდგან.

ციციას და ბექიას კარგა ხანია უყვარდათ ერთმანერთი და თუმცა დაახლოვებულნი იყვნენ, მაგრამ გადაწყვეტილი კი ჰქონდათ, რომ ერთმანერთს არ უღალატებდნენ, ერთურთისთვის იყვნენ გაჩენილნი.

იმათ ლაპარაკითაც კი არ ულაპარაკნიათ ამ საგანზედ. სიყვარულმოდებული გული ჰგრძნობდა, რომ ერთმანერთს თანაუგრძნობდნენ და ერთმანერთის თვალის შეკვრა სხვებისთვის შეუმჩნევლად რჩებოდა, მაგრამ იმათთვის კი აშკარა ლაპარაკი, კითხვა და პასუხი იყო. ჩუმის, სხვისთვის შეუმცნეველ გრძნობის გაცვლა-გამოცვლა ისე უალერსებდა იმათ, ისე სანუგეშოდ და სასიამოვნოდ ეჩვენებოდა, იმდენს იმედს და სიამოვნებას ჰპირდებოდა, რომ ნებაუნებლივ მოუფიქრებლად ერთმანერთისკენ მიიზიდავდა, ერთმანერთს აძებნინებდა.

ამ დროს, როდესაც აზრი, გონება, სული, გული, მთელი არსება საყვარელის საგნის დაახლოვებით არის მოცული, როდესაც ყოველ ჟამს და ყველგან სატრფო გეხატება, რას შესტრფი, რას ეალერსები, ჰხედავ ის აქვე არის, შენს გვერდით იქნება, ყოველ დღე ნახავ, ყოველ დღე დასტკბები მის ხილვით, ყოველ დღე თრთოლით მოელოდები იმ წუთს, როდესაც ეტყვი: „შენი ვარ!...“ — ღმერთო, რა სიამოვნება უნდა იყოს?! და ამ მდგომარეობაში მყოფი ერთბაშად ჰხედავ რაღაცა ძალას, უფლებას, რომლის ნებაზედაც არის დამოკიდებული შენი ბედნიერება; როდესაც ჰხედავ, რომ ეს ძალა შეეხო სწორედ ამ საგანს, გესმის, რომ იმის გადაწყვეტილება ბოლოს ახლოვდება და... ერთბაშად ეს ძალა შეუბრალებელს გადაწყვე-

ტილებას წარმოსთქვამს, — ღმერთო, რა ძნელი უნდა იყოს მისი მოსმენა!? — სწორედ ამ მდგომარეობაში იყო ციცია, სწორედ ეს სატანჯველი გამოიარა, როდესაც ქორღუყომ წარმოსთქვა: „ჩემს ქალს ისევ ჩემის ხელით დავმარხავ და მოჯამაგირეს კი არ მივცემ!“

ციციამ შესტირა და გაიქცა შინისკენ, სადაც დაეცა ტახტზედ.

ისა სტიროდა გამწარებული და გულჩათუთქული, როდესაც ერთბაშად წამოხტა, მოიწმინდა თვალები და რაღაცა უჩვეულო გაბრაზებით წარმოსთქვა:

— მაშ კარგი, ვნახავ ვისაც მიმათხოვებთ!

## V

სწორედ იმ დღეს, როდესაც ციციას მთაში ვხედავდით, ქალის მისვლამდის ბექიას ერთი ყმაწვილი ბიჭი ელაპარაკებოდა, და მკვდრისფერ-დადებული მწყემსი კი ჩუმად მოისმენდა იმის საუბარს.

— მამაი, — ეუბნებოდა უცნობი, — როგორც შენგან დაბარებული ჰქონდა, მივიდა ქორღუყოსთან... პირდაპირ შენთვის კი არ ეთხოვა ქალი, მაგრამ ეგრე გამოკითხვა დაეწყო.

— მერე? — მოუთმენლად ჰკითხა ბექიამ.

— უარს ამბობსო.

ბექია გაშრა და ხელებიც კი ჩამოუცვივდა.

— უარს ამბობსო? — განიმეორა იმან უგრძნობლად და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — მაშ რაიღა მეშველება?

— მამამა, ნუ გეშინიანო. იქნება კიდევ დავაყაბულოთო.

— ტყუილი-ღაა! — უიმედოდ გაიქნია თავი ბექიამ: — ქორღუყო ეგეთი კაცი არაა, რომ დღეს ცხო თქვას და ხვალ ცხო.

— რას დაღონდი, ბედჩაო! თუ მამამ არა ქნა, გავიტაცოთ!.. ქალი ხომ უარს არ იქნების?

— არ ვიცი, ღვთის მადლმა.

— ჯერ ქალთანაც არ მოგილაპარაკნია?

— არა.

— აბაიმე-და! მაშ შუაკაცობა საით უნდა მოხერხდეს?

— არ ვიცი, არა!.. მიყორს, ვდნები, ვილევი იმისთვის და ცხო აღარა ვიცი-რა.

— გონს მოდი, რაებს უბნობ? — გაიკვირა უცნობმა და დაუმატა: — დამშვიდდი, ბექია, ის ქალაი აქ ამოვა, მწყემსებისთვის ჯერს ის ეზიდების ხოლმე, ნახევი, მოელაპარაკე, უთხარ და, თუ ის დაათანხმე, ცხო ადვილია... ადვილი, ღვთის მადლმა!.. აბა ახლა კი მეც

წავალ, თორემ ცხორი ტიელად დავყარე... ვაჟკაცს კაცობა უნდა ეტყობოდეს, გულს ნუ გაიტეხ.

ამხანაგებმა გადაწყვიტეს, რომ ყველაფერი მართლადაც ქალზედ არის დამოკიდებული და მამისგან უარის გამოცხადება ჯერ კიდევ იმედის გადასაწყვეტი არ არის, და გაშორდნენ ერთმანერთს.

სწორედ ეს დრო იყო, ბეჟია და ციცია ერთმანერთს რომ შეხვდნენ.

ბეჟია და ციცია კარგა ხანს ისხდნენ ჯამებით ხელში და ნელნელა ხვრეპავდნენ ახლად მოწველილს რძეს, რომელიც აქაფებულიყო და ჯერ კიდევ ოშხივარი ასდიოდა; წინ გაშლილს გუდაზედ ახლად გამომცხვარი, ქარვასავით ყვითელი მჭადები ეყარა.

სამხრობდნენ, მაგრამ ვაი იმ სამხარს! რა პურის ჭამა უნდა ყოფილიყო, როდესაც ორი გული, ტრფობით ავსებული, მიიზიდავდნენ ერთმანერთს, თრთოდნენ, ფანცქალებდნენ და კვნესით მიესწრაფებოდნენ ერთმანერთთან შესაერთებლად?!

ისინი სვამდნენ რძეს, სჭამდნენ პურს, მაგრამ გასაძღომად კი არა სჭამდნენ და სვამდნენ: ისინი ერთის გრძნობით მოცულნი იყვნენ, ერთის წადილით შეპყრობილნი და ხელები და პირი კი ანგარიშმიუცემლად მოქმედებდნენ.

კარგა ხანმა გაიარა ამ თრთოლარე მდგომარეობაში, კარგა ხანს იტანჯნენ ორნივ, როდესაც ბეჟიამ წყნარად და მოულოდნელად წამოიძახა:

— ქალაუ! მართლა მამა-შენი არ სჩადის? — და დაღუნა თავი.

ციციამ „ბანაკი“ დასდგა, მთრთოლარეს ხელებით „ყულანას“ მისწვდა და იმისი ძენძით თითქოს გულის მოძრაობა უნდა დაეყენებინა.

— ქალაუ, მითხარ ღვთის მადლსა.

— მართლა, — წყნარად უპასუხა ციციამ.

ბეჟიას ცივმა ოფლმა დაასხა და გატაცებით წამოიძახა:

— მაშ რაი-ღა ვქნა, საით გადავარდე?

— გამიტაცე, — ისევ წყნარად უპასუხა ქალმა.

ბეჟია პირველში გაშტერდა ამ სიტყვებზედ. თუმცა, მართალია, გატაცებას თითონვე ჰფიქრობდა, მაგრამ დღემდის არ იყო დარწმუნებული, რომ ქალს უყვარს, რომ დასთანხმდება და დღეს პირველსავე სიტყვებზედ ქალი გატაცებას თითონვე ეუბნებოდა.

— რაი? — იკითხა იმან ხმის კანკალით და აღგზნებულის თვალებით დააცქერდა: — რაი სთქვი?

— გამიტაცე, — ისევ მტკიცედ, გარდაწყვეტით და კამათად განიმეორა ციციამ.

— მამ, გიყორვარ, გიყორვარ? — ახლოს მიწევით წარმოსთქვა ბეჟიამ და ათრთოლებული ხელი, თითონვე არ იცოდა, როგორ მოხვია წელში.

ქალი ჩუმად იყო და ცახცახი კი ამტკიცებდა, რომ კითხვა ადარ ეპირებოდა.

— მითხარ, მითხარ, ღვთის მადლსა! — ეხვეწებოდა ბეჟია და თანდათან იზიდავდა თავისაკენ.

ქალმა პასუხის მაგიერ წყნარად შეხედა, შეხედა ერთს წამს, სწრაფად, და ეს საკმარისი იყო, რომ ბეჟიას დაეძახა: „ჩემო ყველავ!" და გიქსავით მიეკრო გულში.

ქალი არ ეწინააღმდეგებოდა და ეკროდა გულში. ორთავე ერთგვარი ცეცხლი მოსდებოდათ, ორთავეს თავი დაეიწყებოდათ, ორნივ ერთის გრძნობით ანთებულიყვნენ — და ეს გრძნობა იყო სურვილი ერთმანერთში გადაექციათ, ერთს მეორესთვის ჩაედგა თავისი სული და ორის საგნიდგან ერთს განუშორებელს საგნად გარდაქმნილიყვნენ.

თავდავიწყებულს შეყვარებულებს ჯერ დღის მიწურვა წამოესწროთ და ჩქარა მთვარემაც მოჰფინა იქაურობა ნაზის, კაცის ამაღელვებელის სხივით.

ციცია მეტად უგვიანდებოდა. ეს დაგვიანება პატრონებს არამც თუ მოაძებნინებდა ქალს, არამედ მის სახელს ბოროტი ენა ცუდადაც შეეხებოდა და ეს კი მთელს გვარეულობას აუწმენდელ ჩირქად მოეცხებოდა; მაგრამ რა საქმე აქვს ხალხთან სიყვარულით აღვზნებულს გულს, როდესაც სატრფოს ხელშია, როდესაც მის მკაღებით თრთის, კვნესის, ხარობს და იტანჯება?!

შეყვარებულებსაც ყოველისფერი გადავიწყებოდათ და მისცემოდნენ მხოლოდ ერთს გრძნობას, რომელიც ისე სასიამოვნოდ უციგლიგებდა.

## VI

შემობინდდა, როდესაც ქორღუყო მეათედ გამოსულიყო გარეთ და გასცქეროდა იმ მთას, საიდგანაც ციცია უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ისევ უკმაყოფილოდ გადააფურთხებდა და დაიძახებდა:

— რაი მოუვიდა იმ ქალი-შაეას?!

ქორღუყო უკანასკნელად გავიდა გარეთ, უკანასკნელად გახედა მთის ბილიკს და დაღონებულმა თავი ჩაჰკიდა. იმას ეშმოდა, რომ ქალს რაღაცა შეემთხვა; მშობლის გულს წარმოუდგა ათასი გვარი გაჭირვება და განსაცდელი, იფიქრა მდევარზედაც, მაგრამ სევდით მოცული გული ისევ შეიმაგრა და გადასწყვიტა, რომ არავისთვის დაეძახა, არავისთვის შეეტყობინებინა თავისი უბედურება.

დაღონებული შემოვიდა სახლში, აიღო სასწრაფო, თოფს ფალია გაუსწორა, წყნარად გამოვიდა გარეთ, გადარაზა კარი და გასწია მთისკენ.

ის მიდიოდა დაღონებული, აღელვებული და, როდესაც თვალწინ წარმოუდგებოდა ხალხისაგან გაკიცხვა და ყბაში აღება, გულზედ რაღაცა ჭახრაკსავით მოუჭერდა და ცივს ოფლს დაასხავდა.

„ხვალ გაიგებს ყველა, რას არ მოიგონებენ, ლექსსაც კი გამოვითქმენ!.. ნეტა ისევ მოკვდეს, კლდეზედ სადმე გადავარდეს, სანამ სახლს გამიწბილებდეს, სალექსედ საქმეს გამიხდიდეს.“

ასე ამბობდა, ასე ჰფიქრობდა მოხუცი, რომლისთვისაც სახელის გატეხა ყოველგვარს უბედურებაზედ მომეტებული იყო.

მოხუცი გაუდგა წითლოვანის ბილიკს, რომელსაც პირდაპირ იმ ადგილს უნდა მიეყვანა, სადაც იმისი ცხვარი იდგა. ის მიდიოდა ჩვეულებრივის, წყნარის, მაგრამ მტკიცე და გამოზომილის ნაბიჯით, როგორც მთაში ყველანი დადიან, და სიფრთხილით გასცქეროდა მთვარის შუქზედ ათასგვარ სურათად გადაქცეულს ქვებს და ცხვირწამოწვდილს კლდეებს.

ღამე იყო ყუჩი, გაჩუმებული, თითქოს თვით ბუნებაც დღის სიცხით დასუსტებულიყო და ძილად მივარდნილიყო. მარტო მთიდგან გადმონადენი წყაროები წყნარად ჩუხჩუხებდნენ, თითქოს მიძინებულს არემარეს „ლექსს“ (ზღაპარს) მოუთხრობდნენ. ქორღუყოს თავის ცხოვრებაში ბევრი ევლო, ბევრი ენადირნა, ბევრი ერთიერთმანერთზედ სასიამოვნო სურათები ენახა და, ამგვარ ბუნებაში აღზრდილი, თითონაც იმის კვალობაზედ მოქნილიყო. ქორღუყო სულით და გულით პოეტი იყო და მასთანავე საზოგადო მთის ცრუმორწმუნება არ ასცდენოდა.

მოხუცმა გახედა „ყორას“ და ერთბაშად შესდგა: თვალწინ წამოუდგა მაღლად და სწორედ ამართული კლდე, რომელიც თავის სიმაღლით და სისწორით განესხვავებოდა დანარჩენს ახლომახლო მყოფებს. წვრილი და სპეტაკი ნისლი ზედ შუაზედ გარს შემოხვეოდა და თითქოს მთა შუაზედ გადაეჭრა. ნისლს შერეოდა მთვარის ნაზი შუქი და მოლურჯოდ გაესპეტაკებინა. მოჭრილივით მთის წვერი თითქოს მიწას მოშორებოდა და ღრუბელზედ იდგა. ზედ წვერზედ გაბრწყინებულიყო ნათელი ვარსკვლავი, რომელიც თითქოს მთიდგან ამოდიოდა და ფართოდ და ნათლად გაეშალა ბრწყინვალე კუდი, რომელიც ბოლოში ორად იყოფებოდა.

ქორღუყო შესდგა და გატაცებით, ანგარიშმიუცემლად მშვენიერ სურათს დაუწყო ყურება, მაგრამ ერთბაშად შეკრთა და ცივმა ოფლმა დაასხა: ყურებმა შხუილი დაუწყეს, და თმა ტყრშიალით აღმა წავიდა.

— „რას მოასწავებს ეს ვარსკვლავი?“ — ერთბაშად გაუელვა თავში და, ვინ იცის, რამდენმა მღელვარე აზრმა გაურბინა. მოხუცმა წყნარად მოიხადა ქუდი და ის იყო ხელი მიიტანა პირჯვრის გადასაწერად, როდესაც მოისმა: „ბჰუუ“! ათრთოლებული ხელიდან ქუდი გავარდა. მოხუცი შეკრთა ბუს ხმაზედ, რომლის გაგონება ყველა მთის კაცისგან რაიმე უბედურების ნიშნად მიიღება.

— გაგატიალოს ღმერთმა, — დაიძახა ქორღუყომ და შეჰხედა იმ ადგილს, საიდგანაც უსიამოვნო ხმა მოისმა.

ერთს წამოწვდილ კლდის ცხვირზედ გაარჩია ბუს სახე, რომელიც ცის ტატნობაზედ აშკარად იხატებოდა; იმის უზარმაზარი თავი ღამის სივრცეში ერთი-ორად დიდად მოსჩანდა.

მოხევე გაცივდა და გულსევდიანმა მიუშვირა თოფი, მოხევე დიდხანს ილებდა ნიშანში, რადგანაც იმის რწმუნებით, თუ დააცდენდა, ეს აუცილებელი უბედურების ნიშანი უნდა ყოფილიყო, როდესაც ფრინვლის მოკვლა კი უბედურების თავიდან აცილების იმედს აძლევდა.

კარგა ღირღიტის შემდეგ მოხუცმა ამოიღო ნიშანში და, როდესაც ფეხთან თითი მიიტანა და ჩახმახს დაცემინებას უპირებდა; ერთბაშად გაისმა ისევ უსიამოვნო ხმა და შემკრთალმა ქორღუყომ თოფი შეანძრია, სასხლეტს უდროოდ წამოედო თითი და ტყვიამ ჰაერში გაიტანა გრიალი.

ქორღუყოს მოესმა ფრთხიალი, და წუთის შემდეგ დაინახა ცის სივრცეში შეშინებული ფრინველი, რომელსაც ტყვია დასცდენოდა და უფრო უშიშარს ადგილს ეძებდა.

ის გაფრინდა გაღმა ხევში, სადაც თოფი ველარ მისწვდებოდა და მოჰყვა თავის უსიამოვნო ძახილს, — მოხუცი კი, დაღონებული და დარწმუნებული, რომ უბედურება თავს დასტრიალებს, ცოტა სიჩუმის შემდეგ დაეშვა მუხლებზედ, რომ ცხარედ და გულმხურვალედ შავედრებოდა ხევის ანგელოზებს.

ცოტა ხანს შემდეგ მოხუცი წამოდგა, ამოიოხრა და დაიძახა:

— რაიც მომივა, ყველა უფლის ნებაა! — გასტენა ისევ თოფი და გასწია ცხვრის ბინისაკენ, სადაც მშვიდობიანად მიაღწივა და დაბინავებული ცხვარი და მწყემსი დახვდა.

## VII

სანამ მოხუცი ცხვრის ბინაში ავიდოდა, ციცია და ბექია მყუდროებაში მიმსხდარიყვნენ და, რადგანაც ღამეს ცვარი გაეგდო და აგრილებულიყო, ბექიას ციცია, როგორც ბარტყი, ისე შეეფარები-

ნა თავის ნაბდის ქვეშ და, მგონი, მთელი თავისი სიცოცხლე მიეცათ, რომ მათთვის არავის დაეშალა, არავის დაერღვია ეს ბედნიერება.

ისინი ამ ყოფაში იყვნენ, როდესაც იმათაც თვალი შეჰკრეს კუდიან ვარსკვლავს, და ორთავ გული აუძგერდათ. რა არის, რას ნიშნავს ეს არაჩვეულებრივი ბუნების მოვლენა?.. მაგრამ, როცა კაცს გული მხიარულადა აქვს, როდესაც სიყმაწვილე და გრძნობა ალაღებს, მაშინ ყოველი მოვლენა უკეთესად და საბედნიეროდ აიხსნება შეყვარებულების აზრით ეს იყო „წვერის სპარს-ანგელოზი", რომელიც ვარსკვლავად გამოეცხადა და ციდგან კურთხევას უგზავნიდა იმათ შეუღლებას. ბექიამ გახარებულს და დამტკბარს ქალს მოხვია ძლიერი ხელები და აცახცახებული გული მიიკრა მკერდზედ, — მიიკრა და განუწყვეტლივის კოცნით რაღაც მოკლე ტკბილს სიტყვებს ჩასჩურჩულებდა.

ერთბაშად მოისმა თოფის ხმა და ორნივ ფეხზედ წამოცვივდნენ, ორნივ გამოვიდნენ ტკბილის თავდავიწყებიდგან, ორთავ თავიანთი მოვალეობა მოაგონდათ: ქალს — მოვალეობა შვილისა თავის მშობელთან და მწყემსს — თავისი ცხვარი, მისგან უპატრონოდ დაგდებული. წუთში ორნივ გამოფხიზლდნენ, ორნივ გონს მოვიდნენ.

— დალუპულმა, რაღა მეშველების, დამიგვიანდა!

— ჩემო ყველავ!—სიყვარულიანად წამოიძახა ბექიამ—ახლა წახვალ და, უფალმა იცის, როდის-და გნახამ?

— ნუ გეშინიან, ბეჩაო ჩემო თაო!.. მალე ამოვალ!..

— ამოდი, ამოდი, ციციაისი, თორემ ლოდინით ჩამოვდნები.

— აგრე, აგრე, — წარმოსთქვა ციციამ და გაბრუნდა შინისაკენ. ბექია გაუდგა უკან, მაგრამ ციციამ შეაყენა.

— ნუ-რა გინდა-რა, მე თავად ჩავალ.

— რას უბნობ? — გაიკვირვა მოხევემ: — მარტო საით წახვალ?

— რაი მიშავს? აქ მოკლე ბილიკია, ღელეზედ ბატარა ჩასახდომია — და შინაც ჩავალ.

ცოტა ლაპარაკს უკან ორნივ შეთანხმდნენ და ტკბილის ალერსის შემდეგ გამოესალმნენ ერთმანერთს, მაგრამ ბექია მაშინვე მობრუნდა და შეაყენა.

— ციციაუ!

— რაი გინდა?

— რაი ვქნა, რომ ასე მიყორხარ?

— რაი გიყო? — გახარებულმა და მორცხვობით უპასუხა ქალმა.

— შენ რომ დამივიწყო?

— აუ! — საყვედურით წამოიძახა ქალმა და წყენით შეხედა.

— ღვთის მადლს, ნუ სჯავრობ... უშენოდ არ მეცოცხლებისს!.. შემომფიცე, რომ არ მიღალატებ.

— ღმერთი იყოს შენი თავდები!.. ბეჩაო, შენც რომ დაგივიწყო, რაიღამ უნდა მაცოცხლოს?

— ჩემო ყველავ! — მეტი ველარა მოახერხა-რა ბექიამ და ისევ გულში ჩაიკრა. რამდენიმე წუთს შემდეგ ორნივ თავ-თავის გზაზედ მიდიოდნენ: ქალი წყნარად კლდეზედ ჩადიოდა, და ბექია კი ასუ-ლიყო ბინაში, სადაც ცხვარს გარს უვლიდა.

ქორღუყოს გზაში აცდენის მიზეზი სხვადასხვა ბილიკზედ წასვ-ლა იყო.

## VIII

ასვლის უმალ ქორღუყოს ძაღლი ყეფით გამოექანა, მაგრამ, რა პატრონი იცნო, გაჯავრებული ღრენა ერთბამად ალერსიანს წკმუ-ტუნზე შესცვალა და სიხარულით და ეშმაკობით დაუწყო ალერსი, თითქოს შეცდომისათვის ბოდიშს ითხოვდა.

ძაღლის ყეფაზედ ბექიაც წამოვარდა და ხმის მიცემით ძაღლს ამხნევებდა.

— ბექიავ!..

— ვინაა, ვინ ჰკივის?

— მე ვარ.

— აუ! — გაიკვირვა ბექიამ, რომელმაც მოხუცი ხმაზედ იც-ნო: — ქორღუყო, შენ?

— ჰო, მე ვარ. — მიახლოვდა ქორღუყო.

— რაი „ანბოვი“?.. ამ შუაღამისას საით მოსდიხარ?

— შინითა.

— ასე რაისთვი დაგიგვიანია? — ჰკითხა ბექიამ და გამომცდე-ლის თვალით შეხედა.

ციციას სიტყვით იმან იცოდა, რომ მოხუცი შინ იყო, და უკვირ-და — ამ დროს რამ წამოიყვანაო.

— რაი ვიცი, მომწყინდა რასმე და წამოვედ, — უპასუხა მოხე-ვემ და მივიდა ცეცხლა-პირას, სადაც ჩაჯდა და ჩიბუხს დაუწყო ქე-თება.

რაოდენიმე ხანს ორნივ ჩუმად იყვნენ, ორნივ მისცემოდნენ თა-ვიანთ ფიქრებს, რომელთაც ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ ერთმანერთისთვის დაემალათ, მაგრამ ერთი მეორის გულის პასუხის გაგება მეტისმეტად უნდოდათ. ორნივ უთვალთვალებდნენ, უდა-რაჯებდნენ ერთმანერთს, როგორც ორი მოსისხლე, და ყოველ მოძ-რაობას, ყოველ ამოქშენას და სიტყვას, ყოველ შემოხედვას ზომავ-

დნენ და სწონავდნენ, რომ იმით მაინც დაახლოებით შეედგინათ აზრი გულის მოძრაობაზედ.

მოხუცს უნდოდა ეკითხა თავის ქალზედ, ეს კითხვა გულს უმღელვარებდა, სტანჯავდა, უნდოდა ჩქარა გაეგო, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. იმან დაიწყო ძალზედ წევა ჩიბუხისა, რომელსაც გაშმაგებით სწოვდა.

— რაი მამივიდა, რომ საგძალი ვერ წამოვიღე, ხვალ ნადირობ წავიდოდი, — ისე დაიწყო მოხუცმა, თითქოს იმის გულში არა ხდებოდა-რა და ეს სიტყვები უბრალო დანანება იყო.

— საგძალი? — იკითხა ბექიამ: — მე მოგცემ.

— გაქვს კი?

— ჰაი, ჰაი, რო მაქვს, — ჯერი დღეს ამომიტანეს, — უპასუხა მწყემსმა და ჩუმად დაუწყო ყურება.

ამ სიტყვების გაგონებაზედ მოხუცს ოდნად ხელი აუთრთოლდა და თვალებში ცეცხლსავით ელვარება გამოჰკრთა; თუმცა იმავ წუთს თავი შეიკავა, ბექიამ მაინც შეამჩნივა ეს მოძრაობა და მიხვდა, რომ მოსვლის მიზეზი ციცია ყოფილა.

— კი, — გაიფიქრა იმან: — მაშ ქალა-შავაი აქ ყოფილა, აქედგან რაი-ღა იქნა?

— მართლა, ეგ კი დამავიწყდა, დღეს უნდა ამოეტანათ ჯერი... თუ არ დაგიგვიანეს? — დაუმატა ქორღუყომ ცოტა სიჩუმის შემდეგ და დაუწყო ყურება.

ბექია დარწმუნდა იმის კითხვების აზრსა და იმგვარად მოჰყვა ლაპარაკს, რომ მოხევეს ყველაფერი გაეგო, მაგრამ თითონ თავი ისე ეჩვენებინა, ვითომც მოხუცის აზრს ვერ მიმხვდარიყო.

— არა, შენაი ჭირაიმე, რაისთვი დამიგვიანებდნენ?... მზე ჯერ კიდევ მაღლა იყო, რომ ჯერი მომივიდა, — თავად ციციამ ამომიტანა... დღეს ცხო დედაკაცებმაც ამოუტანეს ჯერი... ღმერთმა უშველოსთ, ხილობ წავიდნენ და მეც მომიტანეს.

— ხილობაო? — სიხარულით იკითხა მოხუცმა და პირი გაუღიმდა; იფიქრა: — „მაშ იქ მოუგვიანდებოდათო“.

ამის შემდეგ გადასწყვიტა, რომ ღამეს აქ გაათენებს და შინ მეორე დღეს დაბრუნდება.

იმათ დაიწყეს ლაპარაკი ცხვარზედ, ბატკნებზედ, ამათ ლაღობაზედ და ყინულზედ თამაშობაზედ. ორნივ სიამოვნებით ლაპარაკობდნენ ამ პირუტყვების ცხოვრებაზედ, რომელიც მთის კაცის სარჩოს შეადგენს და ორნივ „თოლსავით“ უფთხილდებიან.

ცოტა ხანს შემდეგ, თავ-თავიანთ ნაბდებში გახვეულნი, ტკბილად და დამშვიდებით ხვრინავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IX

სანამ ესენი ტკბილს ძილში იყვნენ, ციცია გულის ძგერით უახლოვდებოდა თავის სახლს და ფიქრობდა, ასე დაგვიანებისთვის მამის წინაშე რითი გაემართლებინა თავი?

აგერ მივიდა კარებთან, გულის ძგერით შესდგა და კარისთვის ხელი ვერ გაევლო. შეიხედა სარკმლიდგან, სახლში ბნელოდა. ყველაფერი მშვიდობიანად ეჩვენა. კარიდგან გამობრჭყვინავდა ერთი ნაპერწკლის ოდენა ცეცხლი, რომელსაც შეხვეულის ნაცრიდგან თავი ამოეყო და წმინდა ჰაერის მიკარებით ძალზედ გაღვიებულიყო. ეტყობოდა — დასაწვავი მასალა კიდევ შერჩენოდა.

ციცია მივიდა ისევ კართან და ნახა, რომ კარი შიგნიდგან ურდულგაგდებული იყო, და წყნარად შეყო ხელი. წყნარადვე დაუწყო გაღება. ამ დროს სახლში რაღაცამ გაიხრიალა, ეტყობოდა თაროდგან ბაკანი გადმოვარდა. „ტიალი კატა! უთუოდ იმან გადმოაგდო“, — იფიქრა ციციამ პირველის შეკრთომის შემდეგ და წყნარად გააღო კარი. ამ დროს ქალს მოესმა რაღაცა ფაჩიფუჩი, თითქოს თითის წვერებზედ დადიოდა ვინმე და შესდგა კარებში.

— ვინა ხარ? — შეშინებულის ხმით დაიძახა ქალმა, მაგრამ რადგანაც ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, დამშვიდებულმა დაუმატა: „მთელი ღამე სულ ეგე დაეხირება ტიელი კატა!“

„მაგრამ მამა სად იყო?.. თითქოს ფხიზლად იცის ძილი... ან რამ დააძინა, რომ ჯერ ქალი არ მოსვლოდა“? — ფიქრობდა ციცია და ცოტა ხანს შემდეგ წარმოუდგა, რომ, უეჭველია, წუხელის სტუმრები ყოფილან, მოხუცი შეზარხოშებულია და არყისგან დაძალადებულს ტკბილად დასძინებია.

ქალს გაეხარდა ეს შემთხვევა, რადგანაც იმ ღამეს იმისთვის მამის შეხვედრაზედ ძნელი არა იყო-რა. ხომ ჰკითხავდა: სად იყო, რად დაიგვიანა?.. რა უნდა ეპასუხნა ქალს?.. მოეტყუებინა?.. მაგრამ ქორღუყომ ისე ჩაციებით იცოდა ყურება, თითქოს თვალების გულში გაყრა უნდაო... რომ შეემჩნივა სიცრუე?..

ციციამ წინადვე გადასწყვიტა, რომ რაც უნდა მოსვლოდა, მართალს არ ეტყოდა, არ ეტყოდა მისთვის, რომ ვინც უყვარდა, მამა იმას არ აძლევდა თავის ქალს და თავს ახვევდა იმას, ვინც თითონ მოხუცს უნდოდა. მამა არ სთანხმდებოდა ქალის აზრს და ქალს, სიყვარულით გაშმაგებულს, ეგონა, რომ მამას ეს მტრობით მოსდიოდა. და ციცია წყნარად მივიდა, გადმოიღო საბან-გობანი და ის იყო დაუწყო შლა, როდესაც კიდეც ვიღაცის ფეხის ხმა მოისმა და აშკა-

რად გაიგონა ურდულის გაყრა. ეხლა ეჭვი აღარ იყო, რომ სახლში ვიღაცა იყო და ქალი შიშმა გაჰყინა, იმავ ადგილას გააცია.

— მამავ, შენა? — იკითხა ქალმა და პასუხი ვერ მიიღო: — ვინა ხარ? — კიდევ წამოიძახა რამდენიმე ხანს შემდეგ, მაგრამ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, პასუხი მაინც ვერ მიიღო.

ქალი მთლად აცახცახდა და კერისკენ გაქანდა, სადაც ჩირაღის განთება უნდოდა. ამ დროს ერდოდგან პატარა კენჭი ჩამოვარდა და კერას დაეცა; ნაცარი, წვრილ ღადარში არეული, მაღლა მტვრად ავარდა და ოდნავ განათებულ სახლში ქალმა ვიღაცა უცნობი კაცი აშკარად გაარჩია.

ქალს მეტად შეეშინდა და ძალზედ დაიყვირა:

— მამავ, მამავ, ვიღაცანი შემოსულან! — მაგრამ პასუხის მაგიერ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— დავიღუპე! — იფიქრა ქალმა და სენისკენ, სადაც ყველით სავსე „კასრები“ (ბოჩკები) იდგა, წავიდა.

ქალმა იფიქრა, რომ იქ ყველაზედ უკეთესი დასამალი იქნებოდა და მიიკუნჭა იმათ შუა.

არ გაიარა დიდმა ხანმა, რომ მოისმა ხმაურობა, თითქოს წიწკებს ამტვრევენო, მერე ბერვა და სახლი ჩქარა განათდა კერაში აპრიალებულის ფიჩხით.

ოთახში გამოჩნდა ვიღაც შეიარაღებული კაცი, რომელსაც ყაბალახით ისე ჰქონდა შეხვეული თავ-პირი, რომ თვალების მეტი არა უჩანდა-რა.

ძველი, დაგლეჯილი სახლებმოხეული ჩოხა აშკარად ამტკიცებდა, რომ ეს ან ძალიან ღარიბი უნდა ყოფილიყო, ან ოზდანი, ე. ი. ისეთი კაცი, რომელსაც შეძლება ჰქონდა და მაშინდელის ჩვეულებით ტანისამოსით კოხტაობას ზიზღით უყურებდა. კარგი ცხენი და კარგად მოწყობილი იარაღი, ეს იყო მათი იდეალი და ამ მხრით, მართლადაც წუნს ვერ დასდებდით. ამგვარი ოზდნები ისევ ის ძველი რაინდნი იყვნენ, გაცვივდებოდნენ აბრაგად და მოუსვენარი გული სად არ დაახეტებდათ ყოველგვარის ფათერაკის საძებნელად.

მართალნი, გულადნი, ესენი იყვნენ იმ გმირების დანარჩენნი, რომელნიც მრავალნი გროვდებოდნენ შამილის გარს და ქვეყანას ისე აოცებდნენ თავიანთ თავგანწირულებით, მოუღალაობით, ვაჟკაცობით.

უცნობი მივიდა კედელთან, სადაც ჩირაღი შეამჩნივა, ჩამოიღო ის და ცეცხლი მოუკიდა, მასუკან წავიდა, დაუწყო ქალს ძებნა, რომელიც კასრებს შუა მიკუნჭული იპოვა.

ციცია მთლად ცახცახებდა, როგორც ციებაში მყოფი კაცი და მიშისაგან ადამიანის სახე აღარ ედო.

უცნობმა მოჰკიდა ხელი და გამოიყვანა კერასთან.

— ქალო, ნუ გეშინიან, — უთხრა იმან დამტვრეულის ქართულის ენით და კილოზედ დაეტყო, რომ ეს კაცი ქისტი უნდა ყოფილიყო.

ქალი ცდილობდა ხელი გაეშვებინებინა, მაგრამ მაგრად მოჭერილი ხელი არ უშვებდა.

— ბატარაი დაიცადე, — უთხრა უცნობმა და წყნარად ჩამოიშალა ბაშლუყი.

— მიყურე, მოგწონვარ? — ჰკითხა უცნობმა და ამაყად, თუმცა სიყვარულიანის თვალით, დაუწყო ყურება. მართლადაც, რომ უცნობის სახე ისეთი მარილიანი და სასიამოვნო იყო, რომ მის მიმზიდველობას ქალი ძნელად გაუმაგრდებოდა, მაგრამ ციციას თავი ვერ აელო და შიშით გონება იქამდის დაჰფანტოდა, რომ რა მოსდიოდა, ისიც ვეღარ გაეგო.

— ქალაუ! — დაიწყო უცნობმა: — ძოლან, ეფხიაი რომ მოკვდა, სატირალზე ვიყავ... იქ გნახე, „დადაით" რომ შემოდიოდი... ხელებით რომ შემოიკარ ემ ლოყებზედ, მაშინ დავიფიცე შენი თავი, რომ სწორედ მაგ ადგილს მე უნდა გაკოცო.

ამ სიტყვებით კაცმა მოხვია ხელი და ათრთოლებული ქალი მიიკრა გულზედ, მიიტანა ტუჩები ახალს და ნაზს ლოყებთან, რომელზედაც ოდნავი ხაიათი, ნაზი ბუსუსი უშვენებდა პირისახეს, და დამთვრალსავით გაუმაძღრად ჩაეწება.

ციცია ფართხალებდა დაუპატიჟებელის კაცის მკლავებში, იგრიხებოდა, ცახცახებდა, როგორც წნორის ფურცელი, მაგრამ კაცს ძკლავები მაგრად მოეხვია და ქალის ყოველს შენძრევაზედ ნეკტრის სიამოვნებასა გრძნობდა და თავი ავიწყდებოდა.

— მითხარ, მითხარ, გიყვარვარ თუ არა! — ვინ იცის მერამდენედ, ჰკითხავდა ციციას.

მაგრამ გაჩუმებული ქალი მარტო თრთოდა, კანკალებდა, პასუხის თავიც კი აღარა ჰქონდა.

— იქნება სხვა გიყვარს ვინმე? — ერთბაშად დაიძახა უცნობმა და თვალები ცეცხლით აენთო: — თუ ეგრეა, ის მოკვდება!.. შენ მე მიყვარხარ და ჩემი უნდა იყო.

ამ სიტყვებით მოხვია ქალს ხელი, აიყვანა გონება მიხდილი ციცია და გამოვიდა გარეთ.

იქ დაუსტვინა რამდენჯერმე და პასუხადაც სტვენა მოესმა.

რამდენიმე ხანს შემდეგ მოვიდა იმ გვარადვე ჩაცმული კაცი,

რომელმაც ორი ცხენი მოიყვანა, და რაღაცა ანიშნეს ერთმანერთს. ცოტა ხანს უკან ორნივ ქვეითკენ მიაქროლებდნენ ცხენებს, — რაღა თქმა უნდა, რომ ციციაც თან ეყოლებოდათ.

კიდევ რამდენიმე წუთიც, და ორნივ ჩაინთქნენ ღამის სივრცეში.

## X

მწყემსი და ცხვრის პატრონი მეორე დღეს დილით ადრიან ადგნენ, პირები დაიბანეს, ახსენეს ღმერთი და აშალეს ცხვარი.

ქორღუყო მიაცილებდა ცხვარს, რომელიც საძოვრად შეიფინა მთაზედ და „ერთმანერთის შურას“ წინ გადარბოდა. პატრონი მისდევდა და სიყვარულიანად უყურებდა „დაჩემებულს“ * ყოჩებს და ქეჩებს, რომელნიც ამაყად გამოდიოდნენ, თავის ქნევით და ფრუტუნით მიდიოდნენ პატრონთან და აქავებულს რქებს ხელზედ ხრეშას დაუწყებდნენ.

ცხვარმა მიაღწივა კაი ბალახიანს, მთლად გაიშალა და „გაწამდა“. პატრონი და მწყემსი წინ გავიდნენ, დასხდნენ და დაიწყეს საუზმის ჭამა.

მზემ წვერი ამოჰყო და სხივებით შეეთამაშა ყინულიანს მთის წვერებს, რომელიც აქამდის ლურჯად მოჩანდა და ეხლა კი ვერცხლსავით ბჟყვინვა და ლაპლაპი დაიწყო, დაჰბერა დილის ნიავმა და ზოგიერთს ადგილს გაჩენილი ნისლი შეაღელვა, დასწყვიტა და რხევით გააქანა თავქვე მინდვრებისკენ.

ქორღუყომ გაათავა პურის ჭამა, ბეჟიამ აალაგა ნასუფრალი, დანარჩენი მჭადები ჩააწყო გუდაში და წამოიკიდა.

— აბა, ახლა კი წავალ, — წამოდგა ქორღუყო და დაუმატა: — ღვთის მადლს, ბატკნებს გაუფთხილდი, სიცხეს არ დააზაშმინო... ჩქარ-ჩქარა აბანე, რომ ქვიშა არ ჩააკვდეს, თორემ გახდის კიდეც და მატყლსაც ჭუჭყი შესჭამს.

— ნურა გეჯავრება-რა.

— შენ იცი, შენა! ღვთის თვალი შიგა ტრიალებს, ბატკანი სულ კიტრებსავით დარგვალებულა და, ეხლა რომ დავაზარალოთ, სირცხვილიც იქნება.

— ეგეთ ბატკნებს ჩამოვლალავ, ღვთის მადლმა, რომ სულ შურით უყურებდნენ.

---

* ყველა ცხვრის პატრონს ამორჩეული ჰყავს რამდენიმე ყოჩი, რომელიც ცხვარში ან მატყლით და ან ჭიდაობით ირჩევიან.

— მშვიდობით იყავ, ჯვარიმც გეწერება წმინდის გივარგისა! — გამოეთხოვა და გამობრუნდა პატრონი.

როდესაც ცოტა გზა გამოიარა, უკან მიიხედა, თითქოს ერთხელ კიდევ უნდა დამტკბარიყო სურათის მშვენიერებით და საყვარელი პირუტყვებისთვის უკანასკნელი მშვიდობა ეთქვა.

ქორღუყომ დაინახა, რომ ბექია ჯოხს დაჰყუდებოდა და ისე დაღონებული უყურებდა, ისე, რომ მოხუცსაც კი შეებრალა. ყმაწვილ მწყემსს თითქოს ცრემლებიც კი მორეოდა თვალებში და აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაცა ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ვერ გაებედა.

ქორღუყო მიხვდა მწყემსის გულის მოძრაობას, მიხვდა იმის წადილს, იცოდა, რომ ამ წუთებში ბექიას ფიქრები ციციას შეეხებოდა, უნდოდა — მისულიყო, ენუგეშებინა, მაგრამ რა უნდა ეთქვა, რა ნუგეში მიეცა?!

ისა, რომ ღარიბი ხარო და ამისთვის ვერ მოგცემ ქალსაო!

მოხუცს მეტად შენანდა ბექია, რადგანაც თავის ყმაწვილკაცობა მოაგონდა, როდესაც ადუღებული სისხლი ხან მთას მოახვედრებდა, ხან ბარს. ქორღუყომ არჩია — გამობრუნებულიყო და ხმა არ გაეცა. იმან იფიქრა: „უყვარს, მაგრამ გადაავიწყდება“.

ბექია კი ამ ხანში ჰფიქრობდა: „რაისთვი არ მაძლევენ, როდესაც ჩვენ ერთურთი გვიყვარს, უერთმანერთოდ სიცოცხლე არ შეგვიძლიან?.. ეს ხომ იციან, თავს არ დავანებებ, მაშ ის ნებით რაისთვი არ უნდათ, რასაც ძალით ავასრულებთ?“

არ გაიარა წუთმა, და ეს ფიქრები სხვა ფიქრებმა შესცვალეს: „პირდაპირ ვეტყვი, იღბალსა ვცდი და, თუ უარი მითხრა, მაშინ ღმერთია მოწყალე“.

მწყემსი გაბრუნდა მიმავალ ქორღუყოსკენ, დაუძახა, რომ მოეცადნა, და წყნარად გასწია იმისკენ.

ქორღუყო შედგა და ბექიას მიახლოებაზედ ჰკითხა:

— რაი გინდა?.. შინ თუ არას დამაბარებ?

— არა, — მოწყენით უპასუხა ბიჭმა.

— მაშ რაი გინდა?

ბექიამ თავი ჩახარა და არ იცოდა, საიდგან დაეწყო. ეტყობოდა პირველი სიტყვა მეტად უძნელდებოდა.

— მითხარ, რაი-ღა! — წარმოსთქვა მოხუცმა, თუმცა გულში კი ღმერთს ეხვეწებოდა, რომ ბექიას ლაპარაკი არ დაეწყო.

— გეტყვი... — ძლივს მოახერხა ბექიამ და ისევ სიტყვა გაწყვიტა.

— ბიჭაუ! ყური შენკენა მაქვს... ისეთი სათქმელი რაი იქნება, რომ ვერ მოგიხერხებია?.. კაცი თუ არ შემოგაკვდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა.

— მაშ რაია?

— ქორღუყო!

— რაი?

— შენი ქალი მიყვარს, — საჩქაროდ და ხმის კანკალით წამოიძახა მწყემსმა.

ქორღუყო მოელოდა ამ ლაპარაკს, მაგრამ ასე ერთბაშად კი არა: ისა ჰფიქრობდა, რომ მწყემსი შორიდგან დაიწყებდა და წესიერის პასუხისათვის კარგა ხანი დარჩებოდა. წარმოიდგინეთ იმის გაოცება, როდესაც ბექიამ პირდაპირ საქმიდგან დაიწყო.

ახლა მოხუცს მოუნდა გაჩუმება და კარგა ხანმა გაიარა, სანამ პასუხს მოახერხებდა.

— გიყვარს? — ისეთ რიგად ჰკითხა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა.

— მიყვარს, ღვთის მადლმა, და ძალუმაც მიყვარს!.. რაისთვი არ მაძლევ?

— მოიცა-ღა, ბიჭაუ, ყური მომიგდე: დიდს ოჯახს დიდი მოვლა უნდა, მე მაგ ქალა-შავას მეტი არც რაი არა მყავს. ვინც მაგას შეირთავს, ოჯახსაც ის უნდა დაჰპატრონდეს. შენ საით შეგიძლიან ოჯახის გაძღოლა?

— ქორღუყოისი, გლეხნი ვართ... ოჯახი კარგი გაქვს... ღმერთს არ მოეტყუება, მაგრამ სახლის მოვლა და რიგის მიცემა მეც ვიცი... ან რაი გახდა ოჯახი?.. ქალს მე უყვარვარ და ცხოს საით მისცემ?.. შენს ქალს შენის ხელით გამოსჭრი ყელსა?.. ან ვინ იქნების ისეთი თავზედ ხელაღებული, რომ საცოლე წამართვას?.. ღვთის მადლმა, იმას მზის შუქი მოწყენილი ექნება!

ამ სიტყვებზედ ბექია გაიმართა წელში და თვალებმა ისე დაუწყეს ელვარება, რომ მკაცრი პასუხისთვის მომზადებულმა ქორღუყომ, რა წამს შეხედა, მაშინვე თავი შეიკავა, სიტყვა გადაუბრუნა და წყნარად უთხრა:

— იყუჩე, ბალღო!.. ბატარაი დაიცადე... გავიცნათ ერთმანერთი.

— მაშ იმედი მქონდეს? — ხელების გაშვერით და სიხარულით წამოიძახა მწყესმა.

— ვაჟკაცს იმედი ნიადაგ უნდა ჰქონდეს... — უპასუხა მოხუცმა და გულში კი სხვა გრძნობამ გაურბინა.

იმან იფიქრა, რომ, რადაც უნდა დაუჯდეს, თავის ქალის სიყვარულს ბექიას გულიდგან ამოჰგლეჯს.

— ახლა კი წადი და ცხორს მიხედე... მეც მიგვიანდების... მშვიდობით.

ამ სიტყვებით გამობრუნდა ქორღუყო და ჩქარა მახლობელ ბეგს ჩაეფარა.

ბექია კი დაფიქრებული გაბრუნდა და ვერ გადაეწყვიტა: ქალის მამამ იმედი მისცა, თუ უარი უთხრა?

## XI

მზეს კარგად მოეარა, როდესაც ქორღუყო სამშვიდობოს გამოვიდა და თავისი სახლი დაინახა. წუხანდელი შიში სრულიად გადავიწყებოდა და იმის ადგილი ბექიასათნ ლაპარაკზედ ფიქრს დაეჭირა.

ბექია იყო ყმაწვილი, კარგი თვალტანადი, მხარბეჭიანი და მოსული; ბექიას ადვილად შეეძლო მთის ქალის გულის დამორჩილება. რა უნდა ეთქვა მოხუცს, თუ იმის ქალიც მწყემსს თანაუგრძნობდა, თუ ისიც ბექიას სიყვარულს გამოუცხადებდა? იმას ბევრი მაგალითი ჰქონდა თვალწინ მამის უარი როგორ ფუჭად ჩაივლის ხოლმე და დედ-მამის ჟინიანობა ქალს რამდენს უბედურებას შეამთხვევს.

მაშ რა ექნა გულნატკენს მამას, როგორ მოქცეულიყო, რომ იმის აზრით ულირსი კაცი სიძედ არ გახდომოდა?

ბევრს, ძალიან ბევრს ფიქრობდა ქორღუყო, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას მიადგებოდა და ეს გადაწყვეტილება მწუხარედ ულრღნიდა გულს, უცნაურად ულრეჯდა სახეს.

ქორღუყო მოხუცი იყო, თავისქეიფა, რამოდენადმე ჟინიანი და შინ ბრძანებლობას დაჩვეული. მაშასადამე, იმისი სურვილი ქალის შესახებ უეჭველად უნდა აღსრულებულიყო; აუსრულებლობა სასირცხვილოდ, შეურაცხყოფად მიაჩნდა.

ის იყო სახლის ზღურბლზედ გადასდგა ფეხი, როდესაც გადაწყვეტით წარმოსთქვა: „ჯერ დაყვავებით და, თუ არ იქნა, მერე ძალით“.

ამ სიტყვების შემდეგ შეეჭმუხნა წარბები და პირზედ შეურყეველი გადაწყვეტილების ნიშანი დაედო. ტუჩებმოკუმილს ლოყები ჩაუცვივდა, პირის კანი ძალზედ გაეჭიმა და ლაწვები ამოსჯდომოდა. ამ კაცის შეხედულება, უწინ სასიამოვნო, ეხლა რაღაცა შეუბრალებელს, უწყალო სახეს წარმოადგენდა, რომელსაც საყვარელი ქალის ალერსიც კი ველარ შესცვლიდა.

ამგვარად შევიდა სახლში, ამგვარად უპირებდა თავის ქალს შეყრას, მაგრამ წამოიდგინეთ იმისი გაოცება, როდესაც შინ არავინ დახვდა.

პირველი გაკვირვების შემდეგ, იმან მკაცრად და მოუთმენლად

დაუძახა ციციას, რომელიც „სენაში“ ეგულებოდა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. გაიმეორა ქალის სახელი, — ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ამ წუთში მკაცრი გამომეტყველი სახე ერთბაშად აღშფოთებულ სახედ შეიცვალა, მოხევეს გული აუტოკდა და კიდევ ციციას დაუძახა. ეხლა ხმა შესცვლოდა და მოისმოდა მზრუნველი მშობლის ალერსი, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მიიღო.

— სად წავიდოდა ის ქალა-შავა?! — გაოცებით წამოიძახა და დაუწყო ოთახს თვალიერება.

— მოსულა კი, აქა ყოფილა... მაშ რა იქნებოდა? — ამბობდა მოხუცი და უცნაურად უცემდა გული.

— ბეჯითად, მხალის დასაკრეფად ყანაში გავიდოდა, — უფრო გულის დასამშვიდებლად, სანამ დარწმუნებით, იძახდა მოხევე, მაგრამ მოუსვენარი გული თითქოს ილეოდა, რაღაცა უბედურებას უქადდა.

ქორღუყომ მიაყუდა თოფი, ჩამოჯდა „მარტოშკამზედ“ და ჩაჰკიდა თავი. წუნარ-წუნარად წარმოუდგა წუხანდელი სურათები, კუდიანი ვარსკვლავი, ბუ; გული უფრო აუფანცქალდა და მოუსვენრად ქალს ძებნა დაუწყო. გაიარა საათმა, ორმა, სამმა, მოვიდა გლეხების სადილობაც, მოვიდა, მაგრამ ქორღუყომ ციცია ვერსად ნახა.

რამდენი ხანიც გადიოდა, იმდენი მეტად მღელვარებდა მოხუცი და არ იცოდა, რისთვის მიეწერა ციციას საქციელი. თავის დღეში არ მომხდარიყო, რომ ქალს ოჯახობისთვის თავი დაენებებინა და მამა უსადილო დაეგდო.

— მაშ რა იქნა? — იძახდა ქორღუყო და ერთბაშად თავში რაღაცა აზრმა გაუელვა და წამოიძახა:

— დაუნდო დიაცო! მამის მოსვენებას ცხოთა კაცთან ალერსი ირჩივე?.. მაშ, თუ აგრეა, ღვთის მადლმა, ორნივ მოკვდებით!

ეხლა მოხუცი დარწმუნდა, რომ ბექიას იმის ქალი სადმე ქოხში ჰყავნდა დამალული და მოხუცს ატყუებდა, როდესაც ეუბნებოდა — ხილსა ჰკრეფდნენ და მერე შინ წამოვიდაო.

ამ მოსაზრებასთან ერთად გაბრაზდა, ცეცხლით აენთო თვალები და გულმოსულმა საჩქაროდ თოფს წამოავლო ხელი.

ის იყო გარეთ გავიდა და ბექიასთან წასვლას აპირებდა, რათა მწარედ დაებნელებინა მისი მზე, როდესაც გალავნის კარს ვიღაც შეიარაღებული კაცი მოვიდა და მოხდილის ქუდით პირიდგან წურწურით ჩამონადენი ოფლი მოიწმინდა. ეტყობოდა, რომ მას ჩქარა ევლო და ძალზედ დაღალულიყო.

— მადლი უფალს, რომ შინ დამიხვდი, ქორღუყო, — დაიძახა უცნობმა და ლაპარაკზედ ოსობა დაეტყო.

— რაი ანბავი? — საჩქაროდ იკითხა ქორღუყომ, რადგანაც მოსულის სახე მზრუნველობას და აღშფოთებას ამტკიცებდა.

— რაი-და რა, შენი ქალი გაიტაცეს! — ერთბაშად მიახალა მოსულმა.

ამ სიტყვებს მოხუცზედ ისეთი გავლენა ჰქონდა, რომ თავბრუდახვეულმა სიტყვა ვეღარ მოახერხა და რაოდენიმე ხანს გაბრუებული იდგა.

— მაშ გაიტაცეს! — წყნარად წარმოსთქვა მან.

— გა. — უცნობმა მოკლედ უპასუხა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — რას დაღონდი, საქმეს შველა უნდა.

— მართალი ხარ, თემურყო, მართალი!.. საქმეს შველა უნდა და მეც, გეფიცები, რომ ჩემს თავს დავდებ და მაგ სირცხვილს არავის შევარჩენ!.. მაგრამ მიამბე, მიამბე ჩქარა, ვინაა ჩემი ყელის გამომჭრელი, ჩემი ნამუსის ამხდელი?

XII

ოსმა თემურყომ, რომელიც ლარსის ხეობაში იდგა და ჩვეულებრივის თვალთმაქცობით ორივე მხარეს იცოდა კუდის მოქნევა, ზარდაცემულს მოხუცს წყნარად და მაცდურად დაუწყო ნუგეშის მიცემა.

— მიამბე, მიამბე, ღვთის მადლს, ვინ მომტაცა ქალი, ვინ მოიწადინა სისხლის ჩამოგდება?.. მითხარ, და, რასაც ენით დამისახელებ, სამთხრობლოდ მოგცემ.

მოხუცი კარგად იცნობდა თემურყოს, კარგად იცოდა ოსის წესი, იცოდა, რომ სტუმარი არც მოხუცის მამის სიბრალულს მოუყვანია, არც მეგობრობას, და იმის საგანი მარტო სარგებლობა უნდა ყოფილიყო.

— აბა, რას მომცემ? — პირდაპირ და უსირცხვილოდ იკითხა ოსმა.

— რაი ვიცი, ფასი შენ უნდა სთქვა.

— ცხენის მთხრობლობაში ათ თუმანს აძლევენ და ეგ ხომ შენი ბმობია?

— რას ითხოვ, სთქვა და გაათავე! — წრბეგშეჭმუხვნით უთხრა მოხუცმა.

— ორმოცდაათი „შიშაქი“ და ხუთი ყოჩი.

— სამოცი იყოს, ოღონდაც ჩქარა სთქვი.

ოსს თავბრუ დაესხა ამ გვარი საშოვრის იმედით და ქუდის მოხდით წამოიძახა:

— ვო, ხიუ სანიბა! შენ ააშენე ქორღუყოს ოჯახი!.. ამბობდნენ და მართლაც კაციც შენ ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია...

— კარგი, კარგი, — გააწყვეტინა ქორღუყომ: — მიამბე.

— მაშ ყური მომიგდე, — წარმოსთქვა ოსმა და იდუმალებით აქეთ-იქით მიიხედა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ყურს არავინ უგდებდა.

— გათენება მოღწეული იქნებოდა, როდესაც გალავნის კარიდგან ძახილი შემომესმა... ვიკითხე, ვინ იყვნენ, და დამიძახეს: „მე ვარ, მე, სულთი ჯახოტ!“

— სულთი ჯახოტ!.. ჩეჩენი, განთქმული ვაჟკაცი! — გაკვირვებით წარმოსთქვა მოხუცმა.

— ჰო, სულთი... გამოვედ, ვკითხე, რა გინდა-მეთქი, და მითხრა, „ცხენი მოგიყვანეო... ძაუგისკენ კი გზა არა აქვსო, ყაზახებს წავართვი, იცნობს ვინმეო და ქალაქში კი შეგიძლიან გაყიდოო“. მადლობა ვუთხარ, შინ მოვიპატიჟე, მაგრამ არ შემოვიდა, ჩქარობდა... მერე მითხრა: „შენც სამსახური უნდა გამიწიოო, წყალდიდობაა, ფონი გეცოდინება, და უნდა გამომყვეო“. აბა, სტუმარი იყო, უარს საით ვეტყოდი?.. წავყევ, მივედით ქვევით ჭალაში და იქ კი გავიგე, რომ შენი ქალი გაეტაცათ... რაღას ვიზამდი, ვუშველე წყალში გასვლა და მე კი შენთან გამოვეშურე... პურმარილს როგორ ვუღალატებდი?

მოხუცი ყურს უგდებდა თემურყოს გაჩუმებული და ხმაგაკმენდილი. იმას კარგად ესმოდა რა ძნელს საქმეს გადაჰკიდებოდა. სულთი ჯახოტ, განთქმულის ვაჟკაცობის გარდა, თავის ქვეყანაში იყო, იქ ნათესაობა, ნაცნობები, შემწენი ეყოლება და, იქაური ქვა, ხე, წყალიც კი იმას ხელს გაუმართავდა, და რა უნდა გაეწყო მარტო მოხუცს?.. რა რიგად უნდა შებრძოლებოდა ყველაფრით მოწყობილს და საუკეთესო პირობებში მდგარს კაცს!.. სამართალი?.. მაგრამ იმ ხანში სამართალი სიტყვა იყო და მბრძანებელი კი ძალა და უსამართლობა. ვინც ძლიერი იყო, შემწე ჰყვანდა, მართალიც ის იყო. მაშ მოხუცს რა მოელოდა ცხოთა ადგილს?

ამ მწარე ფიქრებში იყო, როდესაც დამამშვიდებლად გულში გაურბინა ბეჟიას სახელმა და თითქოს იმედი მიეცა. მართლადაც, ვის უნდა შესტკივნოდა იმასავით გული?

ქორღუყომ მაშინვე დაიბარა ორი თავისი ნათესავი, აუწყა თავისი უბედურება, ჩააბარა სახლი და გასწია ბეჟიასკენ, რომელთანაც ერთად ციცის გზას უნდა გასდგომოდა.

## XIII

როდესაც სულთი ჯახოტმა ციცია გაიტაცა, ისინი გავიდნენ ლარსის ჭალაში და ერთს საიმედო ადგილს ჩამოხდნენ.

სახელმწიფო გზაზედ წასვლას ვეღარ ბედავდნენ, რადგანაც თენდებოდა კიდეც და ფარულად ვეღარ გაივლიდნენ და ამას გარდა აშინებდათ ურიცხვი ყარაულები, რომელთაც აქ ყოველთვის გზები შეკრული ჰქონდათ. იმათ სჭირდებოდათ წყალში გასვლა, ჯარიახზედ გავლა და იქიდგან დიდს ჩეჩენში გადავიდოდნენ.

სანამ ხსენებულს ჯარიახის ჭალას მიაღწევდნენ, სულთი ჯახოტს თავის ამხანაგით და მოტაცებულის ქალით სიფრთხილით უნდოდა სიარული, რადგანაც დარიელის ვიწრო ხეობა ყარაულებით იყო გამაგრებული და სახელმწიფო გზაზედ გავლა შეუძლებელი ხდებოდა. მთის ხალხს ნაწვნევი ჰქონდა ყაზახების მოპყრობა და ამისთვის იმათ ხელში ჩაცვივნას, იმას რჩებოდნენ, რომ ხდეზედ გადასულიყვნენ, ან საქვეითო ბილიკზედ გაევლოთ, რომელიც იქვე დარიელის ფიწალო კლდეზედ იყო გაჭრილი და გზად მარტო შეჩვეული მთის ხალხისთვის ჩაითვლებოდა.

რაკი ისინი მოახლოვდნენ დარიელის იმ ადგილს, სადაც ღამის გუშაგთ კაცის დამცირება, წვალება და სიკვდილი დროს-გასატარებელ საქმედ გაეხადათ, ცხენები ღორღებში შეაბრუნეს, მონახეს სიმაგრე და იქ გამაგრდნენ.

— მურთუზ! — წყნარად დაუძახა სულთიმ ამხანაგს და რაღაცა ანიშნა.

მურთუზა წყნარად ჩამოხტა ცხენიდგან, სადავე გადაუგდო სულთის, მსწრაფად წამოიკეცა ჩოხის კალთები და ქვების შუა გველსავით გაძვრა.

რამოდენიმე ხანმა გაიარა სიჩუმეში. მხედარი და ცხენები გაუნძრელად იდგნენ და ქვისგან გამოჭრილს სურათებს დამსგავსებოდნენ. ერთაშად მოისმა შრიალი, კენჭების შენძრევის ხმა და იმათ წინ, თითქოს მიწიდგან ამოსული, მურთუზა ამოჩნდა.

— დამთვრალან, — მოკლედ და მრავალმნიშვნეულად წამოიძახა იმან.

— სვამენ?

— სვამენ, აღარა გაეგებათ-რა.

— მაშ რომელზედ წავიდეთ?

— პირდაპირ.

— რომ გაგვიგონ, გამოგვეკიდებიან... ქალი გვყავს თანა.

— ვერ გამოგვეკიდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცხენები ხომ ჰყავთ?

— არა.

— არა? — გაიკვირვა სულთიმ და დაუმატა. — თოფები?

— არა.

სულთი ბევრს ლაპარაკს აღარ მოჰყვა, რადგანაც იმისთვის თავდადებულის მურთუზასი სრული რწმუნება ჰქონდა.

— მაშ ცოტა შევისვენოთ და ღმერთი ვახსენოთ.

— დაცდის დრო აღარ არის.

— დასუსტდა, — უჩვენა ციციაზედ თვალით.

— სამშვიდობოს დაისვენებს.

მკითხველებს, უეჭველია, გაუკვირდებათ, რომ ღამე გუშაგად მდგარი ყაზახები უიარაღოდ და უცხენებოდ დარჩნენ. აი საქმე როგორ იყო.

როდესაც მურთუზა ამხანაგებს მოშორდა, სიფრთხილით და ქვების უკან ფარებით მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ცეცხლი მოჩანდა, იმას თვალწინ წამოუდგა რამდენიმე ბარული ურემი, რომელზედაც რუმბებით ღვინო ეწყო. ესენი იყვნენ კახელები, რომელთაც ძაუგში ღვინოები გასასყიდად მიჰქონდათ. აქ ყაზახებს დაეყენებინათ იმ აზრით, რომ გზაში არავის გაეცარცვათ, დაეყენებინათ და გულკეთილს მეურმეებს თავიანთ მფარველებისთვის ჭაშნიკი მიერთმიათ. ჭაშნიკი ყაზახებს მეტად გასტკბობოდათ, კიდევ მოეთხოვათ და მეურმეებს უარი სირცხვილად ჩაეთვალათ. ეთხოვათ მესამედ, მეოთხედ და, ბოლოს, გაუმაძღარ სტუმრებს მასპინძლისათვის თავი მოებეზრებინათ და უარი მიეღოთ.

მშვიდობიანობის დამცველებმა მეურმეების საქციელი შეურაცხყოფად ჩასთვალეს და მურთუზა სწორედ იმ დროს მივიდა, როდესაც ყაზახებსა და მეურმეებს შორის ერთი ორომტრიალი გაიმართა.

რა ლაპარაკი უნდა, რომ რიცხვით ცოტა მეურმეები ყაზახებს ჩქარა უნდა დამორჩილებულიყვნენ და ამისთვის ალალბაში რამდენიმე ამხანაგით ხელებშეკრული იქვე თავლაში შეამწყვდიეს, და თითონ კი რუმბებს დაეპატრონნენ.

დანარჩენი მეურმეები გასულიყვნენ განზედ და გულხელდაკრეფილნი უყურებდნენ გალექებულს ყაზახებს, რომელნიც ხან ერთის რუმბიდან ავსებდნენ ვედროებს, ხან მეორედან.

როდესაც ყაზახებმა საკმარი ღვინო ჩამოასხეს, შემოუსხდნენ ცეცხლა-პირას, დაუძახეს ყველა ამხანაგებს და მოჰყვნენ სმას იქამდის, სანამ ძალლი პატრონს ველარ იცნობდა და სიარულის მაგივრად ბობღვას არ დაიწყებდნენ.

მურთუზამ ზიზღით შეხედა, წამოუარა იმ მხარეს, სადაც თოფე-

ბი სამ კუთხად აეყუდებინათ, და სამი-ოთხი გზობის შემდეგ წყნარად და შეუმჩნევლად ღორღებში გაუფანტა.

იქიდგან გაძვრა ცხენებში, რომელნიც ერთს პატარა მინდორზედ სძოვდნენ, მიეპარა ყარაულს, რომელსაც ჯამით ღვინო თან გაეტანა და ნასვამი ყაზახი წინ წაიგდო.

ყაზახს უნდოდა დაეყვირნა, მაგრამ ძლიერმა თითებმა ძალზედ მოუჭირეს ყელში და ყვირილის მაგიერ, მარტო ხრიალი გამოისმა.

— ხმა არ ამოიღო, თორემ დღეს გაგიქრობ, — უთხრა მურთუზამ და ცხენის ბორკილით, რომელიც წელში ჰქონდა, ხელ-ფეხი შეუკრა და თითონ ცხენები თავქვე დაირეკა.

როდესაც ცხენები კარგად ჩააცილა, მიაბრუნა წყლისკენ და მალე მეორე მხარეს გარეკა; თითონ კი სულთისთან ამოვიდა. ისინი ორნივ ამხედრდნენ. სულთი ჯახოტმა ქალი წინ შემოისვა, ახსენეს ღმერთი და თითო დაჭყივლების შემდეგ პირდაპირ გზას გაუტიეს.

გალექებულმა ყაზახებმა მარტო თავების წამოყოფა შესძლეს, მაგრამ ღვინის ძალით გაბრუებულები მაშინვე დაეცნენ.

## XIV

სულთი ჯახოტმა, მურთუზამ და ციციამ მშვიდობიანად გაიარეს ყველაზედ საშიში ადგილი, ოსის თემურყოს შემწეობით იპოვნეს ფონი, გავიდნენ წყალ-გაღმა და იქ დაისვენეს.

თემურყოს მისცეს დაპირებული ცხენი და გამოისტუმრეს, თითონ კი გააჩაღეს ცეცხლი და ქორლუყოს სახლიდგან წამოღებული გავა-დუმის მწვადები დაურთეს.

ციცია თუმცა გონს მოსულიყო და ესმოდა, რომ საყვარელს აშორებდნენ, მაგრამ ყველაზედ იმედი გადასწყვეტოდა და ხმაამოუღებლივ მუნჯსავით იჯდა. იმის პირიდგან ვერც თხოვნას, ვერც ხვეწნას, ვერც საჩივარს კაცი ვერ გაიგონებდა.

ისე გაქვავებულსავით იჯდა და მარტო პირისახის მოძრაობაზედ და შუბლის შეჭმუხვნაზედ შეატყობდით, რომ ადამიანია და მისი გული მოძრაობს.

სულთნ ჯახოტ ქალს სიყვარულიანად შესცქეროდა, აშკარად ეტყობოდა, რომ შეალერსება, ნუგეშისცემა უნდოდა, მაგრამ ამხანაგის ერიდებოდა და ამისთვის ისიც გაჩუმებულიყო და ჩუმად ყალიონსა სწევდა.

მურთუზა სამწვადეებს ჩასცივებოდა, თითქოს მთელი გრძნობა იმათ მიეპყრო, და გაშმაგებით ატრიალებდა. ისიცა გრძნობდა, რომ

თავისის იქ ყოფნით შეყვარებულს ავიწროებდა, მაგრამ ისე ერთბაშად, უმიზეზოდ ვერ მოსცილებოდა, რადგანაც ამხანაგის წყენისა ეშინოდა.

თავჩაკრული ცხენები, რომელთათვისაც აღვირები წამოეყარათ, იქავ ძლიერს ბალახსა სძოვდნენ და ფრუტუნებდნენ.

— აბა, ვახშამი მზად არის, — დაიძახა მურთუზამ და ხურჯინიდგან პურსა და ყველს დაუწყო ამოლაგება.

ყველაზედ უწინ საჭმელი ციციას მიუტანა და წინადვე მომზადებულს „ბუარას“ ფართო ფოთლებზედ დაუწყო. მერე მოუჯდა თავის ამხანაგს და დაიწყეს ვახშმობა.

რამდენადაც მურთუზა მადიანად და გამგელებული სჭამდა, იმდენად იმის მეგობარი ხელს არაფერს ჰკიდებდა, თითქოს პურ-ნაჭამი ყოფილიყოს და მსუქანს ვახშამს გული კიდეც აესუყებინოს.

— შეჭამე რამე, — ურჩია მურთუზამ.

— არ მშიან, — მოკლედ უპასუხა ამხანაგმა.

— მაინც შეჭამე... მგზავრობაში დრო უნდა დააფასო, თორემ ისეთს ადგილს მოგშივა, სადაც ველარას ვიშოვით.

სულთიმ აიღო რამდენიმე ლუკმა, გაძიძგნა, მაგრამ მაშინვე თავი დაანება, რადგანაც ყელში არ ჩასდიოდა.

ისა ხედავდა, რომ ციციას საჭმელისთვის ხელი არ ეხლო და ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა; სულთის გულს უთუთქავდა ციციას მოწყენა და რაღა საჭმელისა სცხელოდა.

შეყვარებული ჩეჩენი ღმერთს ევედრებოდა, რომ იმის ამხანაგს ჩქარა გაეთავებინა პურის ჭამა და თავიდგან მოშორებოდა; მაგრამ მურთუზა თითქოს გასჯიბრებოდა და სიტყვა მიეცა, რომ არ გამძღარიყო: დამშეული ძალზედ ილუკმებოდა და ხორცგაცლილს ძვლებს აქეთ-იქით ისროდა.

ბოლოს, ისიც გაძლა და ძალზედ ამოიქშინა; ქონიანი ხელები ტყავის პაჭიჭებზედ გაიწმინდა და წამოდგა.

— ცხენებს ცოტა იქით გადავრეკ, — დაიწყო იმან, — იქ უფრო შალდაყი ბალახია.

— შენ იცი, — უპასუხა გახარებულმა სულთიმ.

მურთუზამ, როგორრცა სთქვა, ისეც აასრულა: ცხენები დაირეკა და იქავ მახლობელს ბეგს გადაასცილა.

სულთიმ, რომელიც წუთს წინედ ამხანაგის მოშორებას ნატრობდა, ეხლა აღარ იცოდა, რა ექნა, და კარგა ხანმა გამოიარა, რომ ისევ იმ ადგილს დაფიქრებული და დაღონებული იჯდა.

ციციას გახედავდა თუ არა, შეამჩნევდა მწუხარებას და მკვნესავი გული იმ ღმობიერებამდის მიდიოდა, რომ მზად იყო ქალი უკან

დაებრუნებინა, თავის სახლშივე მიეყვანა, ოღონდაც მისი სახე გაღიმებული ენახა.

ციციამ მეტად ბევრი მღელვარება გამოიარა, რომ არ დასუსტებულიყო. მგზავრობამაც არა მცირედ დაღალა და დასვენება ეჭირვებოდა.

ქალს ძილმა დასძლია, წყნარად მიესვენა ხეს და თვალები დახუჭა. სულთიმ ველარ მოითმინა, ნელა მივიდა და ქალის თავთან დაჩოქილმა სიყვარულიანის თვალებით ჩაცივებით დაუწყო ცქერა.

ციცია წყნარად სუნთქავდა და ცხვირის ნაზი ნესტოები ებერებოდა. გაცრეცილ სახეზედ ერთბაშად ფერმა შეითამაშა და თხელმა ტუჩებმა მომხიბლავად გაიღიმეს: ეტყობოდა ბურანში წასულს ქალს, რაღაცა სასიამოვნო სურათი ეხატებოდა. ამ წუთებში ციცია მეტად ლამაზი, მეტად მიმზიდველი იყო, და ძნელად დარჩებოდა ისეთი კაცი, რომელსაც ეს სურათი ენახა და ედემის სიამოვნება არ ეგრძნო, გონება არ არევოდა და დამთვრალსავით გაბრუებულს თავი არ დავიწყებოდა.

სულთი გიჟდებოდა, იბნეოდა და ანგარიშმიუცემლად, მოუაზრებლად ქალისკენ თავი თავისთავად ეხრებოდა. მეტის სიამოვნებით ისიც ხან წითლდებოდა და ხან ისევ ფერსა ჰკარგავდა, თვალებს ქუქუნი და ელვარება ემატებოდა, გული ძალზედ მოძრაობდა და ქშენა უძლიერდებოდა.

მეტად მომხიბლავი იყო ციცია, რომ ჩეჩენს თავის შემაგრების ძალა შერჩენოდა. ის მიიზიდა რაღაცა უხილავმა ძალამ და თითონაც არ იცოდა, რა რიგად და რა დროს ქალის ტუჩებს დაეკონა.

ქალი შეკრთა, წამოიწია და ზიზღით ხელი ჰკრა სულთის, რომელიც პირველის წუთის სიამოვნებაში იყო და ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო.

— რას სჩადი, უნამუსო?

— იმას, რომ მიყვარხარ! — უპასუხა სულთიმ ქართულად, რადგანაც ქართული კარგად იცოდა.

— გიყვარვარ და მაწვალებ კი!... ფუი შენს კაცობას!

— იალაჰ! — წამოიძახა სულთიმ: — მე კი არ ვიტანჯები?... ღვთის მადლმა, მეც ვიტანჯები, შენზედ მეტად ვიტანჯები!..

— ჩემზედ მეტად? — მწარედ გაიღიმა ქალმა.

— ჰაი, ჰაი, რომ შენზედ მეტად!.. შენ რაი გიჭირს, ბედნიერო! — დაუმატა სიჩუმის შემდეგ: — რასაც გინდა, იმას მიზამ... მაგრამ მე, მე რაღა მრჩება?.. წუხილი?.. წუხილი მთელს სიცოცხლეს?

— იყუჩე, ბიჭაუ!.. მაგით ვერ მომატყუებ... შენი ტყვე ვარ,

ძალა გაქვს, რაიც გინდა, ის მიყავ, მომკალ, თუ გინდა, — მაგრამ არ შეგიყვარებ, მეზიზღები.

— რაისთვი, რაი დაგიშავე? — წარმოუთქმელის მწუხარებით წამოიძახა სულთიმ და ისე დაღონდა გმირის მსგავსი ვაჟკაცი, ისე შეწუხდა, რომ ცრემლებიც კი მოერია.

— რაისთვი მომხადე ლეჩაქი, რაისთვი სალექსედ გამიხადე საქმე, რაისთვი მომიტაცე?..

— იმისთვის, რომ მიყვარხარ!.. ისე მიყვარხარ ღვთის მადლმა, რომ ჩემსავით არავის ეყვარები.

ქალის გული მგრძნობიარეა, სულთის სიტყვებმა ციციას მიჯნური მით უფრო შეაბრალეს, რომ განთქმული ვაჟკაცი, რომელიც ათასჯერ პირზედ ღიმილით სიკვდილს წინ შეგებებია, დღეს ციციას წინ შეშინებული, აღელვებული, ფერწასული იდგა და თვალებში ცრემლი მორეოდა. ჩეჩენი სულს ძლივს-ღა იქცევდა, ხმა უკანკალებდა და პირში სიტყვა უწყდებოდა.

— ქალაუ! — ეუბნებოდა სულთი: — პირველად როცა განახე, ვიფიქრე — ლამაზია და ჩემი უნდა იქნას-მეთქი, მაგრამ ქრისტიანი იყავ და ვიცოდი არ მომცემდნენ. რაი-ღა მრჩებოდა, თუ არ მოგიტაცებდი?.. ვფიქრობდი, შენც შეგიყვარდებოდი, რჯული კი საყვარლებს ვერ გააშორებს... ამად მოგიტაცე, ამად წამოგიყვანე და ეხლა კი ვხედავ, რომ მოვსტყუვდი!..

— რაი გიყო, რაი ვქნა?

— მითხარ, რაისთვი მაწვალებ?.. ცუდს რასა ხედავ ჩემში, მითხარ და გამოვიცვლები...

სულთი შეჩერდა და ქალის პასუხს ამაოდ მოელოდა: ციციას თავი დაეღუნა და მთრთოლარე თითებზედ ეტყობოდა, რომ ძალზედ მღელვარებდა. ქალს კეთილი გული ჰქონდა და სულთი მკაცრის პასუხით მომეტებულს მჭმუნვარებაში არ უნდა ჩაეგდო.

ქალის სიჩუმემ სულთის მომეტებულად ფერი წაართვა: ისა ხედავდა, ბედნიერება ისე ახლო იყო და მისთვის კი შეუძლებელი ხდებოდა.

— მითხარ, ქალაუ! — ძლივს წარმოსთქვა იმან: — მითხარ, რას ითხოვ ჩემგან და აღვასრულებ, ოღონდაც შემიყვარე!

პასუხად ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. სულთი სრულიად გაფითრდა და ცივმა ოფლმა დაასხა... იმის აზრით, ამ ქალთან დაშორება სიკვდილს შეეთანაბრებოდა, თვით სიკვდილზედაც მომეტებული იქნებოდა.

ჩეჩენმა ქუდი მაღლა შეიწია და ჩოხის კალთით შუბლიდგან წუნარად მოიწმინდა ოფლი.

— იქნება, — დაიწყო იმან ხმის ცახცახით და თითქმის ჩურჩულით, — იქნება რჯული გაბრკოლებდეს?.. თუ აგრეა, რჯულსაც კი გამოვიცვლი, მოვინათლები...

ციციამ შებრალებულის თვალებით შეხედა და პირისახეზედ დაეტყო, რომ ისიც სულთიზედ ნაკლებად არ იტანჯებოდა, მაგრამ სანუგეშო პასუხი კი ვერ მოეხერხებინა.

— მითხარ, მითხარ! — მოუსვენრად ჩასჩურჩულებდა და ხმა ელეოდა.

— რაი გითხრა... რაი ვქნა? — მწარედ და ნაღვლიანად წარმოსთქვა ციციამ.

— იქნებ ეგეც ცოტაა? — წამოიძახა სულთიმ: — მაშ რაღა მეწამლება, რაი-ღა მეშველება?.. ის მაინც მითხარ — ამ კლდიდგან გადავხტე, და გადავხტები.

როდესაც ციცია მოიტაცეს, ეგონა, რომ პირველს ავაზაკებს შეხვდა, რომელნიც არც ხვეწნას, არც მუდარას არ შეისმენდნენ, არც იმის ყმაწვილქალობას შეიბრალებდნენ; ეგონა, რომ წაიყვანდნენ, მოხდიდნენ ლეჩაქს, გააწბილებდნენ, — და საქმით სულ სხვა გამოვიდა. სულთიმ, მართალია, გაიტაცა, ძალათი წაიყვანა, მაგრამ როდესაც უპატრონო ხელში ჰყვანდა, როდესაც ყოველი თავისი განზრახვა შეეძლო აესრულებინა, — გამძვინვარებული, გრძნობით დამთვრალი კაცი იმის წინ წყნარად და მოწიწებით იდგა და, ვიზედაც ძალის ხმარება შეეძლო, იმასვე მოწყალებასა სთხოვდა.

მეტად ჩქარი იყო ცვლილება, რომ ამ საქციელს ქალზედ მოქმედება არა ჰქონოდა და სიბრალულს არ აეტანა. მაგრამ რა უნდა ექნა?... ბევრი აგონდებოდა, ბევრი უყვარდა და ახალის წყობილებით ჯერედ გაურყვნელს გულს ორის ერთად სიყვარული კი ვერ მოეხერხებინა.

— სულთი! შენ ძმა და მე და, — ერთბაშად წამოიძახა ქალმა.

— ო-ოხ! — მწარედ ამოიკვნესა ჩეჩენმა და თავი ჩაჰკიდა: — არ გებრალები?

— მებრალები, ღვთის მადლმა! მაგრამ ცხო მიყვარს.

— ო-ოხ! — კიდევ ძალზედ ამოიოხრა სულთიმ და თითქოს გული თან ამოაყოლა.

კარგა ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, ვეღარცერთს ლაპარაკი ვეღარ მოეხერხებინა. თვით სუნთქვაც კი თითქმის შეუწყდათ და მარტო გულის ხანგამოშვებითი აჩქარებული ცემა მოისმოდა.

ერთბაშად გამოისმა ქვითინი, მწარე მღელვარე, აღგზნებული, მაგრამ ეს იყო ერთს წუთს, ერთს წამს. ეს იყო სულთისგან თავის თავზედ ძალდატანება, რომელსაც გრძნობა უნდა გადაემტვრია. მა-

სუკან ერთბაშად შესდგა, გასწორდა წელში, მოიწურა თვალები და რამდენჯერმე შუბლზედ და პირისახეზედ ხელი ჩამოისო, თითქოს მით მწუხარე აზრები თავიდგან უნდა მოეშორებინა.

მერე მივიდა ციციასთან და წყნარად დამშვიდებულმა, თუმცა წარმოუთქმელის ნაღვლიანის ხმით უთხრა:

— დაო, მითხარ, საით წაგიყვანო?

ციცია სიხარულით დაიბნა, დაიყვირა და სულთის გადაეხვია.

ქალის მიკარებამ სულთის თავი დაავიწყა ერთს წამს, მხოლოდ ერთს წამს გრძნობამ გაიტაცა და მთრთოლარეს ხელებით მიიკრა ძალზედ აღელვებულს გულთან. თავი წყნარად მოეხარა, ტუჩები შეალერსებას აპირებდნენ, მაგრამ იმ წამში შეკრთა, უკან წაბარბაცდა და თავშეკავებულმა ხელების მიშველებით ქალი შეაყენა.

— დაო, მითხარ, მითხარ, საით წაგიყვანო?

## XV

ამ შემთხვევის შემდეგ ცოტა ხანმა რომ გაიარა, ორნივ რაოდენადმე დამშვიდდნენ.

ციციამ უამბო თავის თავგადასავალი და ბევრი მღელვარების შემდეგ გამოუცხადა, რომ მას საქმრო ჰყავს, მაგრამ, რადგანაც ის ღარიბი არის, მამა ქორწინების ნებას არ აძლევს, გააგებინა, რომ ბექია მოტაცებას უპირებდა და ერთმანერთთან ფიცი ჰქონდათ მიცემული.

იფიქრეს და მოიაზრეს, რომ იმ ღამეს იქ დარჩენილიყვნენ, მეორე დილით ახლო სადმე სოფელში გასულიყვნენ და იქ მასპინძელი ეშოვნათ, ციცია მასპინძლისას უნდა დარჩენილიყო და სულთი კი ბექიას მოსაყვანად წასულიყო.

ასე იმისთვის გადასწყვიტეს, რომ უკან გასვლა გაჭირდებოდა, რადგან წარსული შემთხვევა დარიელაში მყოფს გუშაგებს ერთი ორად უფრო გააფრთხილებდა.

საღამომ მოაღწივა, როდესაც ბეგიდგან ჯერ ცხენები ამოჩნდა და მერე მურთუზას მხარ-ბეჭი. ის წყნარად მოიზლაზნებოდა და ისე მოერეკებოდა ცხენებს. ზურგზედ იმოდენი ხმელი ბალახის ტვირთი წამოეკიდნა, რომ პირველში გეგონებოდათ თივა თავისთავად მოძრაობსო.

ამოსვლის უმალ მურთუზა შესდგა და ბინისაკენ გამოიხედა. იმან დაინახა, რომ ხის გვერდით სულთი და ციცია მშვიდობიანად და წყნარად მიმსხდარან და ერთმანერთს ესაუბრებიან.

— გარიგებულან, — იფიქრა იმან და შეფერხდა.

უნდოდა დრო მიეცა შეყვარებულებისთვის განშორებულიყვნენ, რადგანაც გარეშე პირთან ახლად დაქორწინებულნი ერთმანერთს უნდა მორიდებოდნენ.

მურთუზამ აიღო თავი და გაკვირვებულმა დაინახა, რომ ისინი სრულიადაც არა ჰფიქრობდნენ ერთმანერთის მოშორებას.

— ტიალი სიყვარული! — წყნარად წარმოსთქვა ჩეჩენმა: — რას არ აქნევინებს კაცს?.. თავი იქამდის დავიწყებიათ, რომ ვერც კი მამჩნევენ.

ჩეჩენმა დაიწყო შტვენა, ქვების სროლა, ხმაურობა, ვითომც ცხენებს ერეკებოდა და საქმით კი მიჯნურების ყურადღების მიქცევა უნდოდა, მაგრამ სულთი გაუნძრევლად იჯდა, პირდაპირ მიმავალს ამხანაგს უყურებდა და ადგილის გამოცვლას არც კი ჰფიქრობდა.

მურთუზამ კიდევ შეხედა და გაკვირვებულმა დაუწყო ყურება, თითქოს შეტყობა უნდოდა, რა მიზეზი არღვევინებს მამა-პაპის ჩვეულებას. ბოლოს, მოსწყინდა ასე დგომა, არამცირედი ბალახის სიმძიმემაც შეაწუხა და წყნარად გასწია ბინისაკენ.

— სად მოგიგროვებია ეგ ბალახი? — შორიდგანვე დაუძახა სულთიმ, რომელიც ჯერ კიდევ გაცრეცილი იყო, მაგრამ თავი კი სრულიად დაემორჩილებინა.

— ქვევით ღელეში... ამაღამ ეცივება და ძირს დავიგებთ.

მურთუზას პირდაპირ არ უნდოდა ეთქვა, რომ ბალახი ციციას საგებლად მოიტანა.

— დაუ! — ხმამაღლა, ისე მაღლა მიუბრუნდა ციციას, რომ მურთუზას ყურსაც მისწვდომოდა: — მურთუზას ეგ ბალახი შენთვის მოაქვს, მაგრამ დაირცხვა და პირდაპირ ველარა სთქვა.

მურთუზა ამ სიტყვებზედ ერთბაშად შესდგა, გაშტერდა და წუთს შემდეგ ტვირთი მიწაზედ დააგდო.

ის წყნარად მიუახლოვდა მოსაუბრეთ და სულთის მიუბრუნდა.

— ყურმა თუ არ მიმტყუნა?

— არა... და-ძმად გავიფიცენით.

მურთუზა გაბრუნდა ციციასკენ, მივიდა, მარცხენა ხელით ხელი გამოართვა, მარჯვენათი მოიხადა ქუდი და, ღმერთის სახელის ხსენების შემდეგ, უთხრა:

— სულთი ჩემი ძმადნაფიცია, თქვენ და ძმად გაფიცულხართ... დღეის იქით ჩემი დაცა ხარ... მოღალატეს გაჭირვებაში ღმერთმა უღალატოს!

ამ სიტყვების შემდეგ ითთონვე დაუმატა „ომენ“ და გააგრძელა:

— მურთუზა დღეის იქით შენ გეკუთვნის, გამოიყენე, თუ რამმე დაგჭირდეს.

ქალმა მადლი გადუხადა და ყველანი ხელახლად გაჩაღებულ ცეცხლს შემოუსხდნენ.

ჩქარა ჩავიდა მზე და დღის სიცხე ღამის სიომ შესცვალა, მთვარე ნაზად, მედიდურად ამოვიდა და მოალერსე სხივი მოჰფინა არემარეს. ფრინველები, რომელნიც ტკბილის ჭიკჭიკით დღეს ესალმებოდნენ, გაჩუმდნენ და იმათ ადგილას ტურების წკავწკავი და მგლების ყმუილი გაისმა, თითქოს მზის ჩასვლაზედ ბუნებაც სხვა ახალის ცხოველებით შეიცვალა.

ამისთანა ღამეს შეყვარებული გული ალერსს ითხოვს, ვაჟკაცი — მამაცობას, მაგრამ იქ მყოფნი უწინდელის მღელვარებით ისე დაწყვეტილნი იყვნენ, რომ ფიქრის თავიც კი აღარა ჰქონდათ.

მაგრამ მურთუზას მაინც ერთი არ ავიწყდებოდა და ეს ერთი იყო — სურვილი ჩქარა პური ეჭამა.

ახლადდართული სამწვადეების სუნი ტრიალებდა ჰაერში და შიდას ულვიძებდა. ამასვე შველოდა წმინდა ჰაერი, რომელსაც ყვავილთ სურნელება შერეოდა, თითქოს ესენიც თავის მოარშიყე მთვარეს გუნდრუკს უკმევდნენ.

მურთუზას სურვილი ჩქარა აღსრულდა და მწვადები მომზადდა. იმან გაშმაგებით ხელი გაუსვა და ჰკვირობდა, რომ მისი ამხანაგები ასე გულგრილად ეკიდებოდნენ გემრიელს და მსუქანს „გავა-დუმებს“.

როდესაც ვახშამი გათავდა, სულთიმ მურთუზას შეატყობინა თავის გადაწყვეტილება ციციას დაბრუნების შესახებ და რჩევა ჰკითხა. მურთუზა ჩაფიქრდა და ცოტა სიჩუმის შემდეგ წამოიძახა:

— შენი წასვლა არ იქნება.

— რად არა?

— იმად, რომ აბრაგად ხარ გავარდნილი, ვინც მოგკლავს, ან ცოცხალს დაგიჭერს, ჩინი და ფული აქვს დაპირებული.

— მერე რა?

— ავი კაცი ქვეყანაზედ ბევრია, — გამოცდილებით უპასუხა მურთუზამ.

— მაშ იმათის შიშით გარეთ აღარ უნდა გავიდე?

— რად არა, მაგრამ ძალად თავის ფათერაკში გაბმა რაი ხელსაყრელია?

— მაშ რა ვქნათ?

— მე წავალ.

— შენა?.. შენც ჩემს მდგომარეობაში არა ხარ?..

— რას უბნობ? — ცოტა შეტევით და ოხვრით წარმოსთქვა მურთუზამ და წარბებშეჭმუხვნილმა დაუმატა:

— მე რა შენთან ჩასათვლელი ვარ? დავრჩები, ცხვრის ტყავი ვარ, მოვკვდები თხისა...

ყველანი გაჩუმდნენ, რადგანაც მურთუზას სახეზედ წარმოუთქმელმა მწუხარებამ თავისი ბეჭედი გამოსახა. აშკარად ეტყობოდა — რომელიმე სურათი წარსულის უბედურებისა თვალწინ წარმოსდგენოდა და გულს უღრღნიდა, უთუთქამდა. ცოტა მჭმუნვარების შემდეგ კიდევ როგორღაც გაშმაგებით ამოიოხრა, გადიქნია თავი და ნაღვლიანად დაუმატა:

— მე სასიცოცხლო აღარა ვარ, არა!.. — იდუმალებით გაათავა და მერე თითქოს მხიარულად წამოიძახა! — მე წავალ, მე ფიქრი არ მინდა...

მურთუზამ დაიწყო ძალდატანებული ხუმრობა და სიცილი; მაგრამ ღმერთო ჩემო, რა ნაღველით იყო გავსებული ყოველი სიტყვა, როგორ მომეტებულს მწუხარებას გამოსთქვამდა ყოველი ღიმება!..

სულთიმ და ციციამ იგრძნეს მურთუზას უბედურება, იგრძნეს, რომ იმ გვარს მდგომარეობაში მყოფის კაცის ნუგეშინის ცემა, როგორშიაც მურთუზა იყო, — მომეტებულად მოუწამლავადა სიცოცხლეს. ამისთვის სრული სიჩუმე ჩამოვარდა და ცოტა ხანს შემდეგ გადაწყდა, რომ მურთუზას სურვილი აღესრულებინათ.

ამხანაგები წამოდგნენ, მოიტანეს მურთუზასგან მოტანილი ხმელი ბალახი და ციციას გაუშალეს.

ყველანი გამოესალმნენ ერთმანერთს და მიწვნენ დასაძინებლად: ციცია ბალახით მომზადებულს რბილს საგებელზედ და სულთი და მურთუზა კი — „ყისინებში“ გახვეულები მწვანე ველზედ.

## XVI

როდესაც კაცი იმ ცხოვრებას გამოუდგება, რომლითაც ჩვენი ორი გმირი სცხოვრობდნენ, მუდამ წყვეტება და დაღალვა, მუდამ ბრძოლა და გრძნობით მღელვარება და ამის გამო წარმოუთქმელი, მოუსვენარი ცხოვრება — აჩვევს მიწოლასთან ერთად დაძინებასაც, მაგრამ დღევანდელი დღე სრულიად განსაკუთრებულის შემთხვევებით სავსე იყო, რომ ძილს ვისთვისმე თვალები დაეხუჭა და ტკბილის განსვენებისთვის მიეცა.

ყველანი გაჩუმებულიყვნენ, და მათთვის მიებაძა ბუნებასაც. მშვიდობიანობას არღვევდა ცხენების იშვიათი ფრუტუნი, წყაროს ტკბილი ჩუხჩუხი, რომელიც იქვე ჩამოჩხრიალებდა და გაყუჩებულს ხალხსა და ბუნებას წყნარს ნანას ეუბნებოდა.

მთვარე წყნარად, ნათლად და მედიდურად საითკენღაც მიეშურებოდა, თითქოს ეშინოდა სხვა ქვეყნების დატკბობაც არ დაჰგვიანებოდა, სხვა ადგილების გაბრწყინვებაც არ დასცდენოდა.

წყარო ამაოდ ეუბნებოდა წყნარსა და ტბილს ნანას, მთვარე, უბრალოდ ესროდა დამატკბობელს სხივს, ტყუილად დაჰქროდა დამამშვიდებელი ნიავი, ჩვენს მგზავრებს ძილი გასტეხოდათ და ყველანი თავთავის საგონებელს წაეღო.

საზოგადოდ დამშვიდებული მურთუზა, ისეთს მოუსვენებლობას ჰგრძნობდა, რომ იმ ადგილს, სადაც იწვა, ვეღარ დადგა, დაღონებული წყაროს პირს ჩავიდა და იქ ცივის წყლით გახურებულის პირისახის და შუბლის გაგრილება უნდოდა.

სულთი წამდაუწუმ ტრიალებდა და, როგორც უნდა დაწოლილიყო, მაინც მოსვენებას ვერ ეღირსა. ციცია თუმცა არ ინძრეოდა, მაგრამ ძილი არ მიჰკარებოდა და ბექიაზედ ფიქრი ათასგვარს საიმედო სურათებს უხატავდა.

ასე გაატარეს მთელი ღამე და დილაზედ ყველანი დათენთილები ადგნენ; ყველას ეტყობოდა, რომ წარსულს ღამეს ძლიერი სულიერი ბრძოლა და მღელვარება გამოევლოთ.

ისინი შესხდნენ ცხენებზედ და გასწიეს ჯარიახის მთის წვერებისკენ, სადაც სოფელი არწია, მართლა არწივის ბუდესავით, კლდეს მიჰკროდა და იქიდგან მედიდურად გადმოსცქეროდა გველივით დაკლაკნილს ბილიკს და აქაფებულ წყლის ჩანჩქერებს.

როდესაც სოფელს მიუახლოვდნენ, შეხვდნენ პატარა ბიჭებს, რომელთაც ახალუხზედ შემოეკრათ ქამარი და უეჭველად ან ხანჯალი, ან დამბაჩა წელთან გაგდებული ჰქონდათ. ზოგნი ცხვრებსა და თხებს მწყემსობდნენ, ზოგნიც მეგობრებთან ჩამოსულიყვნენ დროს გასატარებლად. ამათ, რაწამს მგზავრებს თვალი შეჰკრეს, დაიწყეს იქითკენ ყურება და „ერთმანერთის შურას" ცდილობდნენ თავიანთ შორსმხედველობა გამოეჩინათ და მგზავრებს ხან ვის სახელსა სდებდნენ, ხან ვისას.

— ეს ანზორა არის, — იძახდა ერთი.

— არა, ბიჭი, არა, ჩერ-ბიჟიანთ სოსლანა არის, — აწყვეტინებდა მეორე.

ისე გართულიყვნენ სტუმრების სახელის შეტყობის სურვილით, რომ, მათდა შეუმჩნევლად, ერთი-ერთმანერთს წინ ურბენდნენ და თანდათან მომავალთ უახლოვდებოდნენ.

ბავშვებს უხაროდათ სტუმრების მოსვლა, რადგანაც სტუმართან ერთად სოფელში თითქმის დღეობა დაიწყებოდა. მასპინძლისას თავს მოიყრიდნენ ახალგაზდობა, ქალი თუ კაცი, ილხენდნენ, ითამაშებ-

დნენ, იმხიარულებდნენ! ღმერთო, რამდენი დროს გატარება და სიამოვნება მოელოდა ბავშვებს!

როდესაც მხედრები მოახლოვდნენ, ერთმა თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ახალგაზდამ ერთბაშად წამოიძახა:

— სულთი ყოფილა! — და გაქანდა მომავლებისაკენ.

იმას გაჰყვნენ დანარჩენები და, რა მიუახლოვდებოდნენ, ხელის მაღლა აღებით მიესალმებოდნენ, მშვიდობას ეტყოდნენ.

— გამარჯვება, „ბორგი", გამარჯვება, — ღიმილით უპასუხებდა სულთი.

ბოლოს, მიუბრუნდა ერთს ბალღს და ჰკითხა:

— ჯან-ჩორ შინ არი?

— ჰაი, ჰაი, რომ შინ არის, — უპასუხა პატარა ბიჭმა და დაუმატა: — ამ კვირია ჩვენი ხატობაა და არაყსა ჰხდის.

— მაშ კაი დროს მოვედით, ჩვენც დაგვალევინებს, — შეეხუმრა სულთი.

— დიალერ (ღმერთმანი), დაგალევინებთ! — უპასუხა პატარამ და საჩქაროდ დაუმატა: — თქვენზედ უკეთესს ვის დაალევინებს?

ასე ლაპარაკით ავიდნენ სოფელში, სადაც წინადვე მისულს ბალღებს სტუმრების მოსვლა კიდეც შეეტყობინებინათ და ჯან-ჩორის სახლთან რამდენიმე ყმაწვილი კაცი მოგროვილიყვნენ.

მისვლის უმალ ისინი მოეგებნენ, მოესალმნენ და უშველეს ცხენებიდგან ჩამოსვლა.

რაკი დედაკაცებმა გაიგეს, რომ ვიღაცა ქალიც მოსულა, მაშინვე გამოეგებნენ და ციცია ქალების საწოლში წაიყვანეს.

ჯან-ჩორ მოხუცებული, მთლად გათეთრებული, სასიამოვნო სახის მოხუცი იყო. მოაზრებული და გამოცდილი, ყველასგან პატივცემული შექმნილიყო და, სადაც ჩეჩენში ძნელად გასათავებელი საქმე მოხდებოდა, სარჩევლად და საბჭეოდ ჯან-ჩორი უნდა ამოერჩიათ.

— ჩემი ბუხარი გაჩაღდა, ჭერმა გაიხარა, თქვენი სტუმრობა რომ გაიგო, — მიგებებით და მხიარულად დაიწყო ჯან-ჩორამ, რა მგზავრებს მიუახლოვდა.

— დიდი ხანია ჯან-ჩორას სახლი ყველასთვის საიმედო თავშესაფარია... ჩვენ ვამაყოფთ, რომ შენისთანა მასპინძელი გვყავს.

— სტუმარი ღვთისაა, რაცა მაქვს, ისაც ღმერთს მოუცია... აი სახლი და მე კი თქვენი სტუმარი...

ამის შემდეგ მოხუცი მიუბრუნდა იქ მყოფს უმცროსებს და დასჰყივლა:

— აბა, ბიჭებო!...

უმცროსებმა სტუმრები შეიყვანეს სასტუმროში, შემოსხნეს იარაღი, ქამრები, გაუსხნეს ახალუხისა და ჩოხის ღილები, რბილად დაუგეს ტახტებზედ და სულთი და მურთუზა ზედ დასხეს.

მასპინძელთაგანი მარტო ჯან-ჩორ მოუჯდა გვერდით, დანარჩენები მოშორებით და მოწიწებით ჩამომწკრივდნენ. აქ ყველა უმცროსი მორჩილი იყო, ყველა უფროსს მასპინძელს პირსა და თვალში შესცქეროდა, რომ დალაპარაკებამდის გაეგო და აესრულებინა, რაც უფროსს, ან სტუმარს ესიამოვნებოდა, ნებავდა.

ციცის მოეხვივნენ დედაკაცები და, თუმცა ზრუნვით თავს არ აწყენდნენ, სიყვარულიანად კი ექცეოდნენ. გაიმართა ჩვეულებრივი განუწყვეტელი ლხინი და სადილი მხოლოდ ვახშმით შეიცვალა. სიმღერა — ცეკვით და თამაშობით.

მეორე დღეს დილით, როდესაც ჯან-ჩორ სტუმრებთან შემოვიდა, ჩვეულებრივის მისალმების და მოკითხვის შემდეგ, სულთიმ უამბო თავიანთი თავგადასავალი და გამოუცხადა, რომ ციცია მისი დობილია და მოიტაცეს მამისგან, რათა საყვარელს კაცთან აქორწინონ.

— ეხლა მურთუზა მიდის იმის მოსაყვანად, — დააბოლოა სულთიმ, — რას გვირჩევ?

მოხუცი რამდენსამე ხანს გაჩუმებული იყო და თავჩაკიდებული ღრმა ფიქრს წაელო. თუმცა სულთი ცდილობდა თავისგან ციცის სიყვარული მასპინძლისთვის დაემალა, მაგრამ მოხუცის გამჭრიახე თვალისთვის ჭეშმარიტება ფარული არ დარჩა.

ის მაშინვე მიხვდა, რომ სულთის ციცია უყვარდა, მაგრამ ჩვეულებრივის რაინდულის შეხედულობისთვის თავისი გრძნობა შეეწირა.

კარგა ხანმა ლაპარაკში და რჩევაში გაიარა; ჯან-ჩორას არაფრით არ შეუმჩნევინებია, რომ სულთის გულის მოძრაობას მიუხვდა.

ბოლოს, მოვიდა დრო და მურთუზას შეკმაზული ცხენი მასპინძლის უმცროსებმა მოუყვანეს.

გალავნის კარებთან რამდენიმე შეიარაღებული ყმაწვილი ბიჭი იდგა და თავიანთ შეკმაზული ცხენების სადავეები უნაგირის ტახტებზედ შაეყარათ. ესენი ემზადებოდნენ — სტუმარი თავიანთ მაზრას მშვიდობიანად გაეცილებინათ, რადგანაც სტუმრის ყოველ შემთხვევის პასუხისმგებელი საზოგადოდ მთის ჩვეულებით მასპინძელი არის.

დაჩვეული ცხენები, ყურებ-დაცქვეტილნი, მხიარულად იდგნენ, თითქოს სასიამოვნო მგზავრობას მოელოდნენ და თითქო დარწმუ-

ნებულნი იყვნენ, რომ მათი პატრონები მათს სახელს არ შეარცხვენდნენ.

მურთუზა შეჯდა ცხენზედ, უმცროსმა გამოტანილი თოფი მიაწოდა, რომელიც სტუმარმა საჩქაროდ გადიგდო მხარზედ, მოსწია ალვირს და ცხენიც შეიკრა, შეიკუმშა და ყოველი ძარღვი სხეულზედ აშკარად დაეტყო; თვალები გაუბრწყინდა, ცხვირის ნესტოები გაუგანიერდა და, გათარაშებას მოწადინებული, მთლად აჟრჟოლდა. მათრახის გატყლაშუნებაზედ ცხენი ყალხზედ შედგა, გადახტა, შეჰკრა რამდენიმე კამარა და ისარსავით გაქანდა.

იქ მყოფებს ეტყობოდათ — მურთუზასგან ცხენის ხმარება მოეწონათ, და სიამოვნების ნიშნად რამდენჯერმე დასჭყივლეს. ვინც გასაცილებლად მომზადებულნი იყვნენ, ისინიც ამხედრდნენ და გამოეკიდნენ სტუმარს.

ცხენებს შესახურებლად ყველამ თამაშობა დააწყებინა და იმაზედ უსიამოვნესს კაცის თვალი ვერას ნახავდა, როგორც ამ სიცოცხლით და თავგანწირულის სიმამაცით სავსე დროს გატარებას. მხედრები, წელში გამართულნი, თითქოს ცხენებს მისწებებოდნენ და პატიოსანის პირუტყვის ყოველ მოძრაობაზედ სინარნარით ირხეოდნენ. ცხენები ხან გაქანდებოდნენ, ხან ერთბამად შესდგებოდნენ, ხან სწრაფად შემოტრიალდებოდნენ, და პატრონები კი ხან გვერდზედ გადაწვებოდნენ და წვრილ ქვიშას იტაცებდნენ დედამიწიდგან, ხან უკან გადიზნიქებოდნენ და მიწას ბექებსა სცემდნენ.

გამოაქროლა ერთმა ბიჭმა ცხენი, კარგა მანძილზედ დაუწინაურდა სხვებსა და ჩოხიდგან ამოღებული მასრა მიწაზედ დააგდო.

იმას გამოჰყვა მეორე, რომელიც რაოდენადმე წინ წაზნექილიყო და მარცხენა ხელი ბუდიან თოფის კონდახზედ ედო. ერთბამად, ელვასავით სწრაფად, წარმოიტრიალა თოფი, რომელიც მარჯვენა ხელის მოშველების შემდეგ ბუდიდგან ისარსავით გამოსხლტა და ჰაერში გაიკრიალა. მხედარი წელში გაიმართა, გასწორდა და შეჰყივლებით რამდენჯერმე გადაატრიალა. აშკარად ეტყობოდა, რომ ის იმ წუთებში ჰგრძნობდა სიცოცხლეს, ძალას და თავისუფლებას,—გრძნობდა, რომ იყო ლამაზი, მომხიბლავი, კაცის თვალის გამტაცებელი...

რაწამს იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც მასრა ეგდო, ლაზათიანად, წარმოუთქმელის გრაციით გადიხარა ცხენიდგან, უმეტესის მოხდენით, წყნარად და მოანგარიშებულად გადაიტანა თოფი, დაუპირდაპირა მასრას და თოფის გავარდნასთან ერთად ჰაერში გაითანტა მასრის ნამსხვრევები.

მხედარი ისევ სწრაფად გაიმართა ცხენზედ, სახეზედ მედიდუ-

რობის სიამოვნება დაეტყო და თოფის ღვედში ისე გაავლო მკლავი, რომ მარცხენა ხელით ამ იარაღის ტუჩი დაეჭირა. ამოიძრო მასრა და გადააგდო და დანარჩენებს, რომელთაც ისეთის თვალით შეხედა, თითქოს ეუბნებოდა: „აბა, ახლა თქვენა სცადეთ თქვენი ბიჭობა!“..

თითონ კი გამოაბრუნა გახურებული ცხენი, წყნარად წამოვიდა ამხანაგებისკენ და თოფს წმენდა დაუწყო.

გამოხტა მეორე ცხენი, შეჰკრა რამდენიმე კამარა და ისარსავით გაქანდა მასრისკენ. ის მიდიოდა ძლიერი და ამაყი, თითქოს გრძნობდა, რომ მისი პატრონიც სირცხვილს არ აჭმევს, და არც მოსტყუვდა.

ამათ გაჰყვა მესამე მხედარი, ამას მეოთხე — და ამგვარად გაიმართა თოფით ვარჯიშობა, რომელსაც მთის ხალხი ბავშობიდგანვე ეჩვევა და საუკეთესო „ქამანდრებად“ გამოდიან.

ამ დროს გატარებით მასპინძლებმა მურთუზა თავის მიჯნას გააცილეს და გამოემშვიდობნენ თერგის პირს, სწორედ იმ ადგილს, სადაც ფონი იყო.

## XVII

შებინდდა, როდესაც მურთუზამ დარიელის კლდეებს მიაღწია და, ღმერთის ხსენების შემდეგ, შევიდა იმ ორ კლდეს შუა, სადაც გზა თითქოს ვეშაპის დაღებულს ლაშში შედის და აქეთ-იქით კლდეები თითქოს განგებ ჩამოლესილა.

მზე ამ ადგილებში საზოგადოდ ადრე ჩადის, და მურთუზა კი, ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც იქ მივიდა.

ნათელი მთვარე ღრუბლებს მოჰფარებოდა, თითქოს ხალხის უსამართლობა ისე მოსწყენოდა, რომ თვალის დასვენება მოესურვა.

გაიარა რამდენიმე წუთმა და იმის ყურამდინ მიაღწია ცხენის ფეხის ხმამ, რომელიც კლდეების გამო ერთი-ორად ძლიერდებოდა.

მურთუზამ შეაყენა ცხენი, რაოდენადმე კისერი გაიძაბა, თავი წინ წახარა და ხელი ყურთან მიიტანა. ასე დარჩა რაოდენიმე ხანს; მთლად სმენად გადაქცეულს უნდოდა შეეტყო, რომელი მხრიდგან მოისმოდა ცხენის ფეხის ხმა.

ცოტა ხანს შემდეგ ის გასწორდა და დაიძახა:

— ცხენები რუსული ნალებით არიან დაჭედილები, — ეჭვი არ უნდა, ყაზახები იქნება...

ძლივს გაათავა ეს სიტყვები, როდესაც მოისმა სიმღერა, და მურთუზამ კარგად გაარჩია „ჩიბარი, ჩიბარი, ჩიბარი, ჩიბარარი“! ის ხმა, რომელზედაც ყაზახები ჩეჩნურს თამაშობენ ხოლმე.

მურთუზამ ცხენს წყნარად გაუქნია მათრახი და გაჰქუსლა და-რიელისკენ, სადაც იმედი ჰქონდა მიაღწევდა ხდის ხეობას და იქ-კი კლდესა და ტყეებში კარგად დაიმალებოდა.

ის მიაჭენებდა ცხენს და, ეტყობოდა, უკან მომავალს ყაზახებს ვერ შეემჩნიათ, რადგანაც არ გამოჰკიდებოდნენ და ისევ. თავიანთ ჩიბარისა მღეროდნენ.

მურთუზამ მიაღწია ვიწრო გასავლის ბოლოს და რამდენიმე ნა-ბიჯის შემდეგ სამშვიდობოს გავიდოდა, მაგრამ ერთბაშად მოესმა რიხიანი ხმა:

— ვინ მოდის?

მურთუზამ ალვირი მოსწია ცხენს, რომელიც მსწრაფლად შესდ-გა და უკან მიაწყდა, თითქოს საშიში მდგომარეობა იმანაც იგრძნო.

— ვინ მოდის? — განიმეორა იმავე ხმამ და ცოტა სიჩუმის შემ-დეგ გავარდა თოფი, რომლის ხმაურობაზედაც სხვა ყაზახებიც გა-შიშვლებულის თოფებით მოცვივდნენ.

მურთუზამ, რომელსაც ტყვია ასცდენოდა, ცხენი გაიტრიალა, მაგრამ ჩქარა ისევ შეყენება მოუნდა, რადგან მომავალი ყაზახები დაინახა.

იმათაც თოფის ხმაზედ სიმღერისთვის თავი დაენებებინათ და იქითკენ მოაჭენებდნენ ცხენებს, სადაც თოფის ხმა გაეგონათ.

ჩეჩენი დარწმუნდა, რომ ორივ გზა შეეკრათ, ორ კლდეს შუა ხაფანგში მომწყვდეულსავით დარჩა და თავგანწირულის ბრძოლის მეტი აღარა გაეწყობოდა-რა.

შეჩვეული მუდამ განსაცდელს და გაჭირვებას, ის მაინც არ დაი-ფანტა, თუმცა მისი მდგომარეობა საკმაოდ საშიში იყო. იმან შეამ-ჩნია რამდენიმე ლოდი, რომელიც ზევით მთიდგან ჩამოცვივნულ-ყვნენ და გზის ნაპირს ეყარნენ. საჩქაროდ ამ ქვებისკენ გაიბრუნა ცხენი და მოეფარა. ცხენი და კაცი ისე გაინაბნენ, ისე ამოეკვრნენ ქვებს, რომ კაცის თვალი დღეც ძნელად შეამჩნევდა, არამთუ იმის-თანა ბნელს ღამეს, როდესაც გზაც კი აღარა სჩანს და მხედარი მხოლოდ ცხენის ინსტინქტს-ღა ენდობა.

ყაზახები თავ-პირის მტვრევით მოაჭენებდნენ, მოეშურებოდნენ თოფის ხმაზედ, „დროს გასატარებელს“ ბრძოლას მოელოდნენ.

ისინი მიახლოვდნენ იმ ლოდებს, რომლების უკანაც მურთუზა იყო მიმალული და თოფს-ხელ-გავლებული შეჭმუხვნილის სახით მტარვალებს მოელოდა; მაგრამ ყაზახები ამ ადგილს გაუსწორდნენ და ისე გასცდნენ, რომ ლოდებიც ვერ შეამჩნიევს, არამც თუ კაცი, და გაქანებულებმა გასწიეს წინისკენ.

მურთუზას ჯავრი მოუვიდა იმათ უმეცრებაზედ და დაცინვით

წამოიძახა: — „ბედჩავებს ინდოურებსავით აუღიათ თავი და მიდიან!“

მერე ერთაშად გაურბინა თავში, რომ იმისგან ისე წასვლა, რომ ნიშანი ვისთვისმე არ დაედო, სირცხვილი იქნებოდა და ცხენ-დაცხენ გაუშვირა თოფი, რომელიც წუთს შემდეგ გავარდა და ყაზახებში არეულობამ ჩეჩენი დაარწმუნა, რომ ნიშანწაუღებელი არა ბრუნდება.

მასუკან მარდად გამოაბრუნა ცხენი, ჩვეულებისამებრ ვაჟკაცურად დასჭყივლა და გაქანდა იმავე მხარეს, საიდგანაც მოვიდა.

ყაზახებმა იგრძნეს თავიანთი შეცდომა, გამოიბრუნეს უკან ცხენები და დაედევნენ მურთუზას, რომელიც იმათგან კარგა მანძილზე დაშორებულიყო და უშიშრად მიაჭენებდა ქარისგან ფაფარგაშლილ ცხენს.

ჩეჩენი არა იშვიათად გადაიხრებოდა წინ და, როგორც მიჯნური თავის საყვარელს, ისე ეალერსებოდა ცხენს, ამხნევებდა და ტკბილს სიტყვებს ეუბნებოდა.

— გასწი, ჩემო ცხენო, გასწი!.. ხედავ, უკან მოგვდევენ?.. გაიჭიმე, განზედ გაშალე უკანა ფეხები, ეგენი როგორ მოგვეწევიან?!

ცხენსაც თითქოს ესმოდა პატრონის სიტყვები და ყურებდაცქვეტილი მართლა იჭიმებოდა, განზედ მიჰქონდა უკანა ფეხები, რომ წინებისთვის არ დაეშალა.

ყველაფერი რიგზედ მიდიოდა, მურთუზას ცხენს ყაზახების ცხენები არამც თუ ვერა ჰკრეფავდნენ, არამედ წუთითწუთზედ უფრო შორდებოდნენ და პატრონებს ჯავრითა ჰხოცდნენ.

ერთბაშად მოისმა გრიალი, მურთუზას ცხენი გვერდზედ გადაიქცა და პატრონს, რომელიც ხაფანგში გაბმულს დაემსგავსა, ფეხზედ დააწვა. მურთუზამ მეტის ტკივილით დაიკვნესა და ამაოდ ცდილობდა ფეხის განთავისუფლებას, რადგანაც ცხენი, რომელმაც რამდენჯერმე გაიბრძოლა, უფრო ძალზედ დააწვა და ისევ უძრავად დარჩა: მთიდგან ჩამოგორებულს ქვას მისთვის ბოლო მოეღო.

ყაზახების ცხენების ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა და მურთუზა ჰგრძნობდა, რომ იმისმა ჟამმაც დაჰკრა, და თავზედ იმედი გადაიწყვიტა.

— ოჰ, ღმერთო! რა უხეიროდ ვკვდები! — წყნარად და ჯავრიანად წარმოსთქვა იმან და მაშინვე დაუმატა: — ერთი, ერთი ვერ გავიმძლავრე წინ!

ის დარწმუნებული იყო, რომ ყაზახები მოვიდოდნენ თუ არა, მაშინვე შეუწყალებლად ასჩეხდნენ და ამითი უნდა გათავებულიყო მისი არსებობა.

როდესაც კაცი აუცილებლად სიკვდილს მოელის, იმას ერთს წუთში გაურბენს წარსულის ცხოვრების სურათები, და მურთუზასაც თვალწინ ეხატებოდა ათასფეროვანი წარსული ერთმანეთში გადახლართულის სიტკბოებით და მწუხარებით.

ბოლოს, მურთუზამ ძალზედ ამოიოხრა და წყნარად წამოიძახა:

— ძმაო, მაპატიე, შენი სისხლიც ვერ ავიღე! *

ამ სიტყვების გათავება ვერც კი მოასწრო, როდესაც ყაზახების გაქანებული ცხენები ერთბაშად შესდგნენ, რადგანაც გზა ჩამოვარდნილს ქვას და ცხენის ლეშს შეეკრა.

ისინი შესდგნენ, ჩამოვიდნენ ცხენებიდგან და თოფებმიშვერილები მივიდნენ ჩეჩენთან, რომელსაც ხანჯალთან ხელი მიეტანა და მეტის განძრევის თავი კი აღარა ჰქონდა.

— გაჩერდი, არ გაინძრე, თორემ მანდვე მოგკლავთ! — დაუყვირეს ყაზახებმა და შესდგნენ, რომ ფისით გასანთლული მაშხალა აენთოთ.

— აი, — მწარის ღიმილით უპასუხა მურთუზამ, — განძრევის თავი მქონდეს, მე გიჩვენებდით, და ეხლა დღე თქვენია!.. მოდით, გიაურებო, ამკაფეთ, რაღას უყურებთ?!

ყაზახები ყოყმოობდნენ, რადგანაც ბნელში კარგად ვერ გაერჩიათ — თუ რა ხდებოდა იმათ თვალწინ და ელოდნენ მაშხალის ანთებას, რომელსაც ერთი ყაზახთაგანი მყრალის სპიჩკით უკიდებდა.

როდესაც მაშხალა გაჩაღდა და ეს ადგილი გაანათა, იმათ თვალწინ წარმოუდგათ მიწაზედ გაშოტილი კაცი, რომელსაც განძრევის თავი აღარა ჰქონდა; ყაზახები სიხარულით მისცვივდნენ.

— აი, შე წყეულო, ბუსურმანო! გაები?.. შეჰკარით! — გამოსცა ერთმა ბრძანება და სხვებიც მისცვივდნენ.

ჩეჩენს აჰყარეს იარაღი, შეუკრეს ხელები და ისე ძალზედ წაუჭირეს, რომ სისხლისგან ძალადატახებული ხელის თითები დაასკდა და სისხლმა, ჯერ წვეთ-წვეთად, მერე თქრიალით, დენა დაუწყო.

უეჭველია, რომ ჩეჩენი წარმოუთქმელს ტკივილსა ჰგრძნობდა, რადგანაც ტუჩებს იკვნეტდა, რომ სამარცხვინო ჩივილი არ წამოსცდენოდა.

თუმცა თოკები ძალზედ ჰქონდა მოჭერილი, მაგრამ ამ პატარა ჯარისუფროსმა უბძანა კიდევ მეტად მოეჭირათ.

— გაუჭირეთ, გაუჭირეთ, ძაღლებო! ჩემგან ვერც საჩივარს,

---

* მურთუზას თავგადასავალს მკითხველს როდისმე ეუამბობთ.

ვერც ხვეწნას ვერ გაიგონებთ! — ამაყად წარმოსთქვა ჩეჩენმა და ღმერთის ხსენების შემდეგ ისევ ტუჩს გაივლო კბილები.

მურთუზას გაუბჟუვდა ხელები, ნელნელა გრძნობას ჰკარგავდა, სისხლი ჯერ კიდევ არ შესწყვეტოდა.

— შეგიხვეწებთ კი არა, მეტსაც გიზამთ, — დაუყვირა ყაზახმა და მათრახის ტარი კბილებში ისე წაჰკრა, რომ სისხლმა გადმოასხა.

— შეკრული კაცის ცემაც ვაჟკაცობაა? — უთხრა მურთუზამ და დაუმატა: — წადით, თქვენ დედაკაცებთან დაიკვეხეთ, სახელად ეგეც გეყოფათ.

— გაჩუმდი! — უბძანეს იმას.

მურთუზა მოელოდა რომ, რაწამს ყაზახები მოვიდოდნენ, უეჭველია, მოჰკლავდნენ და თუმცა ეს არაფერი სანუგეშო იყო, მაგრამ გათავდებოდა მაინც!. ეხლა იმან დაინახა, რომ მოსტყუვდა, რადგანაც ის შეკრეს და თოკის წვერი ერთს ცხენს გამოაბეს კუდზედ. აშკარა იყო, რომ ის ცოცხალი მიჰყავნდათ, ასე სამარცხვინოდ ჩაატარებდნენ ძაუგის ბაზარში, მერე ეყოლებოდათ, ვინ იცის რამოდენი ხანი, პყრობილად და იმ ხალხში პყრობილობას კი ათ-ხელად სიკვდილს ირჩევდა კაცი: ყოველ დღე დამცირება, ყოველ დღე ლანძღვა-გინება, ყველასაგან ბატონობა მეტად ძნელი ასატანი იყო. ჩეჩენმა იფიქრა, რომ ურჩობით და პასუხობით იქამდის მიიყვანდა ყაზახებს, რომ მოჰკლავდნენ.

— არ გავჩუმდები! — უპასუხა იმან.

— აი, თუ არ გაჩუმდები! — დაუყვირა ყაზახმა და დაუშინა მათრახები.

ყაზახები ამხედრდნენ, მაგრამ რაწამს ცხენები დაიძრნენ, მურთუზა დაწვა და გავლას არ აპირებდა. გაიწია ცხენმა, ჩეჩენი აითრია და ეს, თუმცა წარმოუთქმელს ტკივილსა ჰგრძნობდა, მაინც ფეხზედ არ ადგა.

ვერც ცემამ, ვერც რჩევამ ჩეჩენზედ ვერ იმოქმედეს და ფეხი ვერ გაადგმევინეს, ყაზახებს კი უნდოდათ მურთუზა ცოცხალი ჩაეყვანათ, რადგანაც იმისთანა კაცის ცოცხლივ დაჭერა არა მცირედი სასახელო და თავმოსაწონად საკვეხური იყო.

ბოლოს, რომ ველარა გააწყეს-რა, დაოსებული ჩეჩენი ერთს ყაზახს ცხენს უკან შემოუსვეს და ამგვარად გასწიეს ძაუგისკენ.

## XVIII

ეხლა შეგვიძლიან ცოტა ხანს ჩეჩნებს და ციციას თავი დავანებოთ და მივმართოთ ბექიას, რომელთანაც ქორღუყო შინიდგან წავიდა, რომ საერთო უბედურება შეეტყობინებინა.

ყმაწვილმა მწყემსმა ცხვრის პატრონს შორიდგანვე თვალი შეჰკრა და გაკვირვებით დაუწყო ყურება, რადგანაც ჩქარს სიარულზედ მოხუცს რალაცა მღელვარება შეამჩნია.

ქორღუყოს ქუდი მოეხადა, თავი წინისკენ წაეღო და იმ ნაბიჯით მიაბიჯებდა, რომლითაც მდევარში მიდიან და მთაში „მგლის ძუნძულს“ ეძახიან.

ბექიას თითქოს გულმა რალაცა უბედურება უგრძნო და ძალზედ ძგერა დაუწყო. სუნთქვამ მოუმატა და, რა ადგილზედაც იდგა, იმავ ადგილს გაშეშდა.

ქორღუყო მიუახლოვდა და ჩვეულებრივი სალამი არ მისცა. ეს ცუდი ნიშანი იყო და ბექიაც გაჩუმებული მოელოდა მოხუცის სიტყვას.

— ბექიაუ, დავიღუპეთ!

— რაი მოხდა, ჩქარა ღვთის მადლსა! — მიაშურა მოხევემ.

— სალექსედ გამიხდა საქმე!

— აუ! მითხარ, რაი ამბავია, რალასა მლევ?!

— ქალაი გაიტაცეს!

— გაიტაცეს? — წამოიძახა ბექიამ და დაბარბაცდა.

ის ამბავი ისე შეუძლებელი, ისე მოულოდნელი იყო მწყემსისთვის, რომ თავზარდაცემულს თვალთ დაუბნელდა, თავსბრუ დაესხა და წაქცევას ლამობდა.

რაოდენსამე ხანს ასე გაშტერებული იდგა, თითქოს გონების მოკრეფა უნდოდა, მერე ანგარიშმიუცემლად მისწვდა თავის ყელს, თითქოს იქ რალაცა უშლიდა, მოიხადა ქუდი და შუბლზედ რამდენჯერმე გადისვა ხელი. ბოლოს, დაბნევით, რადგანაც ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, წარმოსთქვა:

— რაი სთქვი?.. იხუმრე განა?.. ბეჩა, რაია მაგისთანა ხუმრობა?! — საყვედურით გაათავა.

— გონს მოდი, ბალღაუ!.. რაი ხუმრობისაა, ღვთის მადლსა?.. განა ვინც ხუმრობს, ესეთი სახე აქვს, აბა შემომხედე! — ნაღვლიანად უთხრა მოხუცმა.

— მაშ არ ხუმრობ? — შეხედა ბექიამ და დარწმუნდა, რომ მოხუცი მართლა არ ხუმრობდა, რადგანაც ფერი ზაფრანად გადაჰქცეოდა: — ვინ გაიტაცა, სადა, როდის?

— წუხელის, მე რომ აქ ვიყავ.

— მითხარი, ჩქარა, მითხარ, ვინ გაიტაცა-მეთქი? — თოფის ხელის გავლებით აჩქარებდა მწყემსი, რომელიც იმავ წამს გასაქცევად მოემზადა: — მითხარი-ღა, და ჩემთან შეყრის შემდეგ ნახავს, მზე კიდევ ამოუვა!

— იყუჩე, ბალღაუ!.. შორს გაიტაცეს, აგრე მალე ვერ მისწვდები...

მოხუცმა დაწვრილებით უამბო ციციას თავგადასახადი და სულთისგან გატაცება, შეატყობინა თავის სურვილი ცხვრების გაყიდვის შესახებ და შეჰფიცა, რომ, თუ ბექია ციციასთვის თავს გადასდებდა და სირცხვილს არ აჭმევდა, თავის საცხოვრებელს და მასთან თავის ქალს იმას მისცემდა.

მოხუცის სიტყვები ბექიას ყურს სწვდებოდა, ესმოდა რაღაცა ლაპარაკი, მაგრამ თავის საკუთარ ფიქრებს ისე შეეპყრო, ისე დაემონებინა, რომ ქორღუყოს ლაპარაკის აზრი აღარ ესმოდა.

მწყემსი იწოდა მხოლოდ ერთი სურვილით, მხოლოდ ერთზედღა ჰფიქრობდა, და ეს იყო წადილი, რაც შეიძლებოდა ჩქარა შეჰყროდა იმას, ვინც ისე გაბედულად საყვარლის თავს ეცილებოდა.

ბექიას ფერი იმისდაკვალად მისდიოდა და მოსდიოდა, თუ რა გვარს მოაზრებას შეეპყრო მისი გონება, რაგვარი ფიქრი გაუელვებდა თავში, რა რიგი სურათი ეხატებოდა თვალ წინ.

ისინი ჯერ კიდევ ამ ყოფაში იყვნენ, და ციციას გატაცების ხმა საჩქაროდ მთელს ხევს მოდებულიყო და თითონ ქორღუყოს სარქლის ყურამდინაც მიეღწია, რადგანაც ამ უკანასკნელმა ბექიას ციციასთან დამოკიდებულება იცოდა, ეს მწყემსი უყვარდა გულით და სულით, აფასებდა მის ბიჭობას და ისიც იცოდა — ამ შემთხვევას რა მოქმედებაც ექნებოდა შეყვარებულზედ, გზიურ გამოსწია იმისკენ, რომ რითიმე ენუგეშებინა.

როდესაც ის ბექიას მოუახლოვდა, დაინახა ქუდმოხდილი თმაგაწეწილი მოხუცი, რომელიც მწუხარებას შეეპყრო და გულის ნაღველს სახე უცნაურად დაეღრიჯა.

დაინახა ბექიაც, რომელსაც პირისახე სამარის ფრად გადაჰქცეოდა, თვალები ცეცხლებრ ანთებოდა და სადღაც შორს, შორს მისჩერებოდნენ, თითქოს იქ რაღაცა განსაკუთრებულს შესანიშნს სურათს მიეპყრო.

მოხევეები ყოველთვის ისე ფრთხილნი არიან, რომ კაცი შეუმჩნევლად ძნელად მიეპარება; ეხლა კი სარქალი ისე მივიდა, რომ ვერც კი დაინახეს.

— რას სჩადით, რაი მოგსვლიათ?! — შეუტია მისვლის უმალ.

ორივ აქ მყოფები შეჰკრთნენ ამ ხმაზედ და თითქოს გონს მოვიდნენ.

— არ გრცხვენისთ!.. — დაიწყო ისევ სარქალმა: — დიაცებ ხომ არ ხართ, მანდილოსნებ?.. წვერ-ულვაშს ატარებთ, ქუდებ გხურავთ!.. ვოქები ხართ!

— რაი-ღა ვოჟები! — მწუხარებით წარმოსთქვა მოხუცმა: — სახლი გამიწბილეს, ულვაში შემირცხვინეს, ქუდი მომხადეს!

— სუ-ღა, ჩე! — შეუტია სარქალმა: — უმტერო ვოჟი რაი კაცია, რაი ქუდოსანი?!. გონს მოდით!.. მტერს პასუხის გაცემა უნდის, გალაღებულს — გადახდა...

— უნდის, უნდის, ღვთის მადლმა, და მეც გადავუხდი!.. ეგრე გადავუხდი, რომ ჩემი გამჯავრე გაჩენას იწყევლიდეს! — მუქარით წარმოსთქვა ბეჟიამ და თოფს ისე მაგრა მოუჭირა თითები, ისეთ რიგად შეანძრია, რომ მნახველი უნებლივ წარმოსთქვამდა: „ბეჟია მართალს ამბობს, იმასთან ხუმრობა არ გამოდგება!“

სარქალი მთიელი იყო, ბავშობიდგანვე მწყემსებში გაეტარებინა დღენი და ამისთვის სულით და გულით შესჩვეოდა იმ რაინდულს და, იქნება სამართლიან წესსაც, რომელიც შეურაცყოფისთვის უეჭველს გადახდევინებას ითხოვს, — და, თუ ბრძოლაში მოკვდებოდა, იმისი აზრი ამ სიმღერას ეთანხმებოდა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

ამისთვის იმას მოეწონა ბეჟიას სიტყვები, მივიდა იმასთან და მხარზედ ხელის დაკვრით უთხრა:

— ბიჭაუ, შენი იმედი მქონდა და არც მოვტყუვდი!.. არა, ღვთის მადლმა!.. წადი, მაგრამ სამართლიანი იყავ, უსამართლო ვაჟკაცი დიაცს ეთანაბრება! — მერე მიუბრუნდა მოხუცს და უთხრა: — რას აპირებ, რაი გინდა ჰქნა?

— რაი ვქნა? — დაღონებით წარმოსთქვა მოხუცმა: — ყმაწვილი ვიყო, მე ვიცოდი, და ეხლა კი ცხო აღარა მრჩება-რა—საცხოვრებელი გავყიდო, ნაჩალნიკები შევაჯერო და მტერს ისე გადავუხადო.

— რას უბნობ, ღვთის მადლსა! რაისთვი გინდა ნაჩალნიკები?.. რას გაგიკეთებენ?—დაიწყო სარქალმა: — ღვთის მადლმა, დაანებე იმათ თავი, თორო სარჩო-საბადებლიდგან ცარიელი დარჩები!.. ცარიელს, აგრემც შემეწევა სამება.

— ბარემ, ბარემ, შენაი ჭირაიმე, ბარემ აგრე მოვიქცეოდი, რო პატრონი ვინმე მყვანდეს!.. უფალს ერთაი ვაჟაი მაინც მოეცა... — აღარ გაათავა მოხუცმა და ჩაიქნია ხელი.

— ვაჟაი?.. აი ვაჟაი!.. — და უჩვენა სარქალმა ბეჟიაზედ: — ამაზედ უკეთესი ვილა გეყოლება.

მოხუცმა დაღონებით შეხედა, მაგრამ ხმა არ ამოიღო. იმას მოაგონდა, რომ წელან ბეჟიას ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, მაგრამ ის ხმას არა სცემდა, არც ერთი საიმედო სიტყვა არ ეთქვა. ქორღუყომ იმის სიჩუმე უარად ჩასთვალა და მის შემწეობაზედ იმედი გარდაიწყ-

ვიტა. ბექია კი, რომელიც გონს ძლივს მოსულიყო და მოხუცის უწინდელის სიტყვებიდგან აღარა ახსოვდა-რა, ჰკვირობდა, რომ ამისთანა გაჭირვებაში ქორღუყო არას ეუბნებოდა; ყმაწვილმა ბიჭმა ეს ისე ჩასთვალა, რომ მოხუცს თავის ქალის საქმეში იმის გარევა არ უნდოდა, და თავმოყვარეობამ სრულიად გამოაფხიზლა.

— „მაშ ციციას საქმეში ვინ უნდა გაერიოს? თუ არ ბექიას, ვის ეკუთვნის მისთვის ზრუნვა?“ — გაურბინა მას გუნებაში და მაშინვე გარდასწყვიტა, რომ ციცია იმასავით არვის უყვარდა და მისთვის ზრუნვა ბექიასავით არავის ეკუთვნოდა. ყმაწვილმა მოხევემ წყნარად ამოიოხრა, გადიგდო თოფი მხარზედ და სწრაფის გამოსალმების შემდეგ გაბრუნდა გზისაკენ.

— სად მიხვალ? — შეაყენა სარქალმა.

— რაი გინდა, სადაც უნდა მივდიოდე, მე ჩემი გზა მაქვს და თქვენ თქვენი!

— მოიცა-და, ვაჟაუ!.. ჩვენც გაგვაგებინე, რას აპირებ?

— ღვთის მადლმა, მე თავად არ ვიცი,— წარმოსთქვა ბექიამ და მართალსაც ამბობდა, რადგანაც, რა რიგად უნდა ემოქმედა, თითონაც არ გადაეწყვიტა.

— წავალ და, როგორც ღმერთი მაგონებს, ისე მოვიქცევი, — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იმან და გაემართა თავის გზას.

ყველა მეცადინეობა, რომ დაებრუნებინათ, თხოვნა, ხვეწნა, ძახილი ამაოდ დარჩა, რადგანაც ბექია ჩარბოდა მთის ბილიკზედ და ისე გადაეფარა გორას, რომ უკანაც აღარ მოუხედნია.

მოხუცი გაშტერებული და დაღონებული, თითქოს მძიმე ტვირთ ქვეშ, მოხრილიყო და საცოდავად გამოიხედებოდა.

— მაგანაც თავი დამანება! — ბოლოს, ოხვრით წამოიძახა იმან და მომეტებულის მწუხარებით დაუმატა: — მე კი მაგისი ისეთი იმედი მქონდა!.. ახლა ვიღა დამრჩა?!

სარქალმა წყნარად ცისკენ ხელი აიშვირა და დარწმუნებით წარმოსთქვა:

— ღმერთი!

## XIX

გაიარა რამდენიმე დღემ და მოხუცი ქორღუყო ნაჩალნიკისას ჩავიდა, რათა თავისი მწუხარება შეეჩივლა და საჭირო შემწეობა ეთხოვნა.

უმეტეს წილს ნაჩალნიკებისას, მთისას, აუცდენად ნაზირვეზირი უნდა ჰყვანდეს და მათის საშუალებით ხალხთან არიგებდნენ საქ-

ძეს, აღმოაჩენდნენ დამნაშავეთ და ღირსეულთ ღირსეულს მიუწყავდნენ.

რასაკვირველია, ხსენებულს ხალხის მმართველსაც ასეთივე ნაზირი ჰყავნდა და მისი საშუალებით ხალხთან დამოკიდებულება უადვილდებოდა.

ეს ნაზირი გახლდათ ერთი გალატაკებული აზნაურშვილთაგანი, რომელიც გვარიშვილობას გაებერა და შინ კი სულის მოსაბრუნებელი ლუკმა არ გააჩნდა. ამგვარს კაცს საზრდოს მოსაპოებლად შრომა ეჭირებოდა და აზნაურს „აპრაკუნეს“ კი (ხალხი მეტს სახელს აძას ეძახდა), ნაჩალნიკის ვეზირსა, ეს ვერ მოეხერხებინა, რადგანაც მუდამ სხვათა კარს გდებას და ბავშობიდგანვე უსაქმურობას გაერყვნა.

შიმშილით რომ მომკვდარიყო, ჩხირს ვერ გადააბრუნებდა და, თუ ვინმე რომელსამე საქმეს ურჩევდა, ის წყენით თავის გვარიშვილობას მოაგონებდა და დაუმატებდა: „რა ვქნა აბა?!. მე რომ ერთი გლეხი ვყოფილიყავ, ყველაფერს ვიკადრებდი, მაგრამ აზნაურშვილი ვარ და მეთაკილება, მრცხვენიან“!..

ასე ამბობდა, ასე სჯიდა აზნაური „აპრაკუნე“ და ბევრჯერ მსმენელში თანაგრძნობასაც კი აღძრავდა, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ თავის წოდებით გაამაყებული „აპრაკუნე“, რომელსაც გვარიშვილობაზედ ასეთი სიამაყით სავსე შეხედულება მუშაობის ნებას არ აძლევდა, თავის დღეში არც ერთს მუქთა სადილს, წირვა-ქელეხს, ქორწილს და მეჯლიშს არ მოსცდებოდა. იქ მასხარობდა, პამპულობდა და ოღონდაც კარგი სადილი არ დაეკარგა და თუნდ სახლის პატრონის სასაცილოდ გამხდარიყო, მუდამ ღვინით გაქცენთილი, არას ინაღვლიდა. სიმღერით ხმა-ჩახრინწიანებული, მუცელგადმოგდებული და პირისახე შეშუპებული მეზობლისგან მეზობელთან დადიოდა, რომ კარგად გამაძღარიყო. შინაობისთვის ის თავს არ იწუხებდა, იმისთვის სულ ერთი იყო, თავის სახლობა გამაძღარიყო, თუ მშრალა დაობებული პურით ხახას და ყელს იკაწრავდა.

ასეთს მდგომარეობაში გახლდათ „აპრაკუნე“, როდესაც ხსენებულმა ნაჩალნიკმა ის ერთს მეჯლისში ნახა და დროს გასატარებლად მიიწვია.

ნაჩალნიკს მით უფრო მოეწონა „აპრაკუნე“, რომ ცოტათი რუსულად ჯილჯილებდა და, მაშასადამე, თარჯიმანის ადგილის დაჭერაც შეეძლო, და ჯამაგირის შუაზედ გაყოფას უსაქმო აზნაური კი სიხარულით დასთანხმდა.

ნაჩალნიკი ამ შემთხვევისა ძალიან მადლიერი იყო და სიამოვნებით ჰფიქრობდა იმ დროზედ, როდესაც წვეულებას გამართავდა და სტუმრებს „აპრაკუნეს“ მასხრად აგდებით გაართობდა.

მაზრის უფროსი ამ ფიქრში იყო, როდესაც მასთან მოვიდა სახლის პატრონი და მოწიწებით მოახსენა.

— თქვენო „ვისოკოროდიევ“, არ გინახავთ „აპრაკუნეს“ მაიმუნობა?

— როგორ თუ მაიმუნობა? — იკითხა ნაჩალნიკმა და ყელში ჩაიცინა: — უეჭველია, ჯერ კიდევ ბევრს ნიჭს გვაჩვენებს.

— მაიმუნს აჯავრებს, თქვენო „ვისოკოროდიევ!“ გნებავსთ ვათამაშოთ?

— ძალიან სასიამოვნო იქნება, ძალიან... მაშ მაიმუნსავით თამაშობს?.. ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — კიდევ ჩაიცინა უფროსმა.

სახლისპატრონმა დაუძახა ერთს ყმაწვილს, წასჩურჩულა რაღაც და რამდენიმე წუთს უკან სამი კაცი შემოვიდა და თან ხალხი შემოჰყვა. ორს იმათგანს რაღაცა ნაბდის ნაგლეჯის ქუდები დაეხურათ. ერთს ხელში აელო ცარიელი ვედრო, ძალზედ უტყაპუნებდა და დასძახოდა: „ჩოლახ, ჩოლახი გელდი, ნარიბაბანი გელდი“. მეორეს ერთ ხელში სახრე აელო, მეორეში თოკის წვერი, რომლის ბოლოც „აპრაკუნეს“ კისერზედ მობმული ჰქონდა.

ეს ამაყი აზნაური გვარიშვილობის და შთამომავლობის დამცველი, მართლადაც, რომ სასაცილო სურათს წარმოადგენდა. ჩაცუცქებულს, ხელები როგორღაც უცნაურად დაჰგრძელებოდა, თვალის ზევით ქუთუთოები ალმა შეებრუნებინა და ეს უსიამოვნო სანახავი მეტხორცი გეგონებოდათ, სახე უცნაურად დაჰპრანჭოდა და, ისეც გადმოშვებული ღიპი, ეხლა უმეტესად გადმოეგდო.

ასე თამაშობდა აზნაური „აპრაკუნე“, ართობდა ნაჩალნიკს და სტუმრებს, რომელნიც გულ-წრფელად ხარხარებდნენ, სცემდნენ ტაშს და ჰკვირობდნენ „აპრაკუნეს“ ნიჭიერებას.

ამ ნიჭიერმა წარმოდგენამ „აპრაკუნე“ სრულიად დაუახლოვა ნაჩალნიკს და სამუდამო ლუკმა-პურის იმედი მისცა.

„აპრაკუნე“ ნაჩალნიკის პირველი საყვარელი და დროს გამატარებელი შეიქნა... არც ერთი სადილი, არც ერთი წვეულება მაზრის უფროსის სახლში ისე არ გაიმართებოდა, რომ „აპრაკუნე“ დროს გასატარებლად არ მოეყვანათ და არ ეპამპულებინათ.

რაოდენსამე ხანს ასე მიდიოდა ჩვენი „აზნაურის“ ცხოვრება; მაგრამ „აპრაკუნემ“ ერთბაშად სხვა უფრო ღირსეული ნიჭიც გამოიჩინა და ნაჩალნიკის მარჯვენა ხელი შეიქნა: ის გახდა მომჩივართ და მოსამართლეთ შორის მომრიგებელი, იმის ხელით ირიგებდა ხალხის მმართველი საქმეს და მდიდრულ საჩუქრების გადაცემ-გადმოცემაში „აპრაკუნესაც“ ნამცეცები რჩებოდა.

ai სწორედ ეს ის „აპრაკუნე“ გახლდათ, რომელიც პირველი შეხვდა ქორლუყოს და მის სალამზედ ამაყად ჰკითხა:

— ვინა ხარ, რა გინდა?

ქუდ-მოხდილი ქორლუყო ახლოს მივიდა, მდაბლად დაუკრა თავი და მოახსენა:

— აბაიმე, შენაი ჭირაიმე, ველარ მიცან?.. შენ და ნაჩალნიკი ბურსაჭირს რომ იყავით, სადილი მე არ გაგიმართეთ? — მოაგონა მოხუცმა.

— ბურსაჭირს? — ჩაფიქრდა „აპრაკუნე“, თითქოს მართლაც აღარ ახსოვდა და ქორლუყოც აღარ აგონდებოდა.

— დიახ, შენაი ჭირაიმე.

— მოიცა, მოიცა!.. წარსულს ზაფხულს... ჰო, რაღაცა მახსოვს, — წარმოსთქვა თარჯიმანმა.

— ჰო, შენაი ჭირაიმე, სწორედ წარსულს ზაფხულს,—უპასუხა მოხუცმა და გაუკვირდა, რომ იმისთანა მასპინძლობა ასე ჩქარა დავიწყებია.

— ვინ იცის, რამდენსა გვპატიჟობენ, ყველას ხომ ვერ დავიხსომებთ,—მოიხადა ბოდიში, მაგრამ იმ გვარად, თითქოს ეუბნებოდა: „პურის ჭმევა ჯერ კიდევ ისეთი დასახსომებელი არა არის-რა. სხვა რამ გვიჩვენე“.

— აბა ნიადაგ, შენაი ჭირაიმე, ხემწიფის სწორი კაცები ხართ, მართლადაც, ვინ იცის, რამდენს გპატიჟობენ — საით დაგახსოვდებოდათ!

— შენ უსაქმოდ არ გაირჯებოდი?

— აბა საით, შენაი ჭირაიმე!.. საქმე რომ არა მქონოდა, ცხორს ტიალად როგორ დავყრიდი?

„აპრაკუნეს“ იამა ქორლუყოს სიტყვები, რადგანაც იცოდა, რომ მოხუცი შეძლებული იყო და კაი საშოვარის იმედი ჰქონდა. დაუწყო გამოკითხვა, მაგრამ ისე უგულოდ, თითქოს მომჩივარს სრულიადაც ყურს არ უგდებდა. ამითი მთიულს აშკარად აჩვენებდა, რომ მოსმენისათვის მარტო ლაპარაკი არა კმარა და სხვა კიდევ რაღაცა არის საჭირო.

— ჰო, რას ამბობდი? — თითქოს ფიქრიდგან გამოსულმა, ჰკითხა „აპრაკუნემ“.

— იმას, შენაი ჭირაიმე, რომ ქალი მომტაცეს! — გაკვირვებით გაუმეორა მოხუცმა.

თარჯიმანმა ვითომც ვერ შეამჩნივა გაკვირვება და იასაულს დაუძახა, რომელიც იქვე საიასაულოსთან გამოჩნდა.

— ბერო!

— შენი ჭირიმე! — მოვიდა იასაული.

— ცხენები კარგად გაწმინდე, სადილს შემდეგ მინდა გავისეირნო.

— ბატონი ბძანდებით.

— ჰო, მერე?.. ქალი მომტაცესო? — მოუბრუნდა ისევ მოხუცს.

— მომტაცეს, შენაი ჭირაიმე, მომტაცეს და პატრონი კი აღარავინ მყავს!..

— აკი გასჩენია პატრონი, — ვითომც იოხუნჯა „აპრაკუნემ“, უხეიროდ გაიღიმა და ისევ იასაულს მიუბრუნდა: — ნაჩალნიკის ცხენი დაჭედეს?

— არა, შენი ჭირიმე.

— როგორ თუ არა? — გაწყრა აზნაური: — როგორ შეიძლება!.. მე არ გიბძანეთ, რომ უეჭველად დააჭედინეთ-მეთქი?.. აბა, ახლა ნაჩალნიკს რა პასუხი მივცე?

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ნალბანდთანა მყვანდა, მაგრამ ცხენს ნალი არ მოუვიდა ფეხზედ — მეტად დიდი ქაჩები აქვს.

— წადი ეხლავ, უთხარ ნალბანდს, რომ საცა იქნება მაგ ცხენისთვის ნალები იშოვოს, თუნდა მიწიდგან ამოთხაროს, მამა არ წამიწყდეს — ტყავს გავაძრობ... გესმის?.. გასწი, ჩქარა.

— ბატონი ბძანდები! — სთქვა და გაბრუნდა იასაული.

ქორღუყო მიხვდა „აპრაკუნეს“ საქციელს და იფიქრა — როგორ დაეწყო, როგორ ეთქვა. „აპრაკუნემაც“ შეუტყო ქორღუყოს აზრები და გაფაციცებული წყნარად და ჩუმად თვალყურს ადევნებდა.

— შენაი ჭირაიმე, ბატონო!.. მამაპაპითვე ჩვენი მწყალობელი ბძანებულხარ... შენ გვიპატრონე და ნურც ჩვენ შეგვინანებ, რითიც გინდა, გვიმსახურე.

„აპრაკუნეს“ ქორღუყოს სიტყვები გულზედ ქონად წაეგლისა, მაგრამ მაინც შემჩნევა არ უნდოდა და საჭიროდ სთვლიდა, ცოტა ხანს კიდევ ეწვალებინა. იმან კარგად იცოდა, რომ მოხუცი ხელიდგან არ წაუვიდოდა და რამდენადაც მეტს აწვალებდა, იმდენად სასყიდელიც მეტი იქნებოდა.

— საკვირველი ხალხი ხართ, ღმერთმან იცის... ქალს საქმრო ამოურჩევია, გაჰყოლია და შენ კი ნაჩალნიკსაც აწუხებ და მეცა!.. სხვებისთვის ქალის გათხოვება ბედნიერებად ჩაითვლება და შენ როგორი კაცი ყოფილხარ?

— [illegible], შენაი ჭირაიმე, რომ გამეთხოვებინა, მაგრამ მომტაცეს, სახლი გამიწბილეს, ქუდი მომხადეს!.. მიშველე რამე, შენი მუხლების ჭირაიმე, და თუნდა ყმად დაგეწერები.

— კარგი, კარგი... მიამბე, ვინ მოგტაცა? — ჰკითხა თარჯიმანმა მას შემდეგ, როდესაც ქორღუყოს ხვეწნით გული იჯერა.

მოხუცი მოჰყვა და თავიდგან ბოლომდის გააგებინა თავისი უბედურება.

— მაშ სულთიმ მოგტაცა?

— დიაღ, შენაი ჭირაიმე.

რაოდენიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნამდვილად იცი, რომ ჩეჩენში წაიყვანეს?!

— ვიცი, შენაი ჭირაიმე! მთხრობელიცა მყავს.

„აპრაკუნე“ ჩაფიქრდა, თითქოს ძნელი მოსააზრებელი საქმე გაუჩნდა.

— მაშ მთხრობელიცა გყავს?

— მყავს, შენაი ჭირაიმე.

— ძნელი საქმე ყოფილა, ძალიან ძნელი, — წარმოსთქვა თარჯიმანმა და, ბოლოს, დაუმატა: — ჩეჩენში რომ არ გაეტაცნათ და ჩვენს მაზრაში ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ვიცოდით, მაგრამ ეხლა აბა რა გიყოთ?

— ორივ ერთი არ გახლავს, ჩემი გამჯავრებელი თუნდა იქ იყოს, თუნდა ჩვენში?.. ყველგან ერთი „ზაკონი“ არ არის?

— ერთია, მაგრამ ახლა იქ მიწერ-მოწერა გაიბმება: ვინ არისო, სადაურიაო, რამდენის წლისააო, როდის მოიტაცესო და სანამ ეს გათავდება, შენ შენი დაგემართება.

— მისწერე, შენაი ჭირაიმე, ნუ მოგვიძულებ, აგრემც ღმერთი გადღეგძელებს!.. თუ შენ მოინდომებ, გასაჭირი აღარა იქნება-რა.

— ხარჯიც დიდი მოგივა... ხომ იცი, საქმეს მიყოლა უნდა... დაიღუპები.

— იყოს, დავიღუპო! — ხელის ჩაქნევით უპასუხა მოხუცმა — დავიღუპო, ოღონდაც ჩემი გამჯავრებელი მეც გავაჯავრო.

— მე კი იმას გირჩევდი, თავი დაგენებებინა და შენ იცი.

— თავი დამენებებინა! — გაუკვირდა ქორღუყოს: — რას მიბძანებ, შენაი ჭირაიმე?..

— მაშ არ იშლი, არა?

— არა, შენაი ჭირაიმე! მაინც არ დავიშლი, ეგრემც შემეწევა წმინდა გიორგი, რომ ამ მოხუცების დროს ლუკმა პურიც გამიწყდეს.

— ხარჯი მოგივა, ბიჭო!

— მომივიდეს.

„აპრაკუნე“ ისევ ჩაფიქრდა და ბოლოს უთხრა:

— კარგი, რა გაეწყობა?.. ისე ითხოვ, რომ თავს უნდა შევიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არიქა, შენაი მუხლების ჭირაიმე.

— მაგრამ, ხომ იცი, ნაჩალნიკს პატივისცემა ეჭირვება.

— მიმსახურე, შენაი ჭირაიმე!.. შენ კი მითხარ, და რითიც გინდა, იმითი გემსახურები.

— მაშ, პირდაპირ ვილაპარაკოთ.

— ჰო, შენაი ჭირაიმე! — თავისუფლად ამოიოხრა ქორღუყომ. რაკი „სამსახურზედ“ მივარდა საქმე, გაურიგებელი არ დარჩებოდა.

— გლეხები ვართ, იმოდენა ჭკუა ვინ მოგვცა, რომ ყველაფერი ვიცოდე?.. გვასწავლე, შენაი ჭირაიმე, გვიბძანე და მეც თავს არ შევირცხვენ; მიბძანე, მიპატრონე, მადლია შენთვის... ნაჩალნიკი რუსია, თუ შენ არა, აბა რაი უნდა გავაგებინო.

— კარგი, კარგი... აბა პირდაპირ მითხარ, თან ფული მოგიტანია რამე?

— ჰაი, ჰაი, შენაი ჭირაიმე... ისე როგორ გიახლებოდით.

— რამდენი?

— შვიდიოდ-რვა თუმანი გახლდებათ.

— შვიდიოდ-რვა, — ჩაფიქრდა „აპრაკუნე“ და წარბები შეიჭმუხნა, რადგანაც ფული ეცოტავა.

— დიახ... ხომ არ გეცოტავებათ, პირდაპირ მიბძანე, შენაი ჭირაიმე, — შეეხვეწა მოხევე.

— შენ კარგად იცი, რომ მე გროშსაც არ გამოგართმევდი, — დაიწყო „აპრაკუნემ“, — ჩვენის მხრის კაცი ხარ... მაგრამ ნაჩალნიკს ეგრე ცოტას ვერ მივუტან, უბრალო ვინმე ხომ არ არის!

— უბრალო რად იქნება — ხემწიფის სწორი კაცია.

— მაშ რვა თუმანი როგორ მიეტანება?

— ხელად ვერ მოვახერხე, შენი რისხვა არა მაქვს!.. კიდევაც ვემსახურები.

— არა, ეგრე არ იქნება, თუ საქმის გარიგება გინდა... ხუმრობა ხომ არ არის?.. ჩეჩენში გაუტაცნიათ შენი ქალი და იქიდგან უნდა გამოვიყვანოთ.

— ადვილი საქმე არ არის, თავადაც ვიცი, — უპასუხა მოხუცმა და დაჯავრიახდა.

— მაშ რამდენი ეყოფა?

„აპრაკუნემ“ იცოდა, რომ ქორღუყო შეძლებული კაცი იყო და ამისთვის მძიმედ აკიდება დაუპირა.

— ასი თუმანი მაინც.

— უჰ! — ამოიქშინა ქორღუყომ, რომელსაც ცივმა ოფლმა დაასხა: — მაგოდენი არ შემიძლიან.

— მაშ რა გეგონა?.. მიდიხარ საქმის გასარიგებლად და ფულის

დახარჯვა კი გეძნელება? — გაუწყრა „აპრაკუნე“. — მომშორდი თავიდგან.

მოხევემ ხვეწნა დაუწყო, რომ ბატონს გული მოებრუნებინა.

კარგა ხანს ხვეწნასა და ვაჭრობის შემდეგ ისინი ორმოცდა-ათ თუმანზედ დადგნენ, მაგრამ ერთი აწუხებდა ქორღუყოს: იმას უნდოდა ქალალდი ეხლავ მიეღო და ფული მასუკან ჩაებარებინა, „აპრაკუნე“ კი ფულს ხელში სთხოვდა.

დაღონდა ქორღუყო, რადგანაც ასე საჩქაროდ ამოდენა ფულს ვერ მოაგროვებდა, და საქმე კი გძელდებოდა.

„აპრაკუნე“ ჯერ ჰფიქრობდა, რომ ქორღუყოს ფული თანა ჰქონდა და არავითარი პირობის მიღება არ უნდოდა, მაგრამ როდესაც წინაალმდეგში დარწმუნდა, მაშინ მდიდარის საშოვრის ხელიდგან გაშვებისა შეეშინდა. ვინ იცის, იქნება მთას იქით რომ გადასულიყო, ქორღუყო დამშვიდებული დაჰკვირვებოდა საქმეს, სასყიდელი მეტად დიდი სჩვენებოდა და სულაც აღარ გადმოსულიყო.

— მებრალები, მე და ჩემმა ღმერთმა! — ერთბაშად მოტკბა მზრუნველი: — მებრალები და მინდა შეგეწიო რითიმე...

— არიქა, შენაი მუხლების ჭირაიმე და, თუ კაცი ვარ, მეც გადაგიხდი.

— აქ ერთი ვაჭარი არის, იმისგან ისესხე.

— როდი მენდობა.

— მე დაგიდგები თავდებად.

— თუ კი მაგ სიკეთეს მიზამ, ვინ პირძაღლი ლუკმას-ღა გასტეხს, რომ შენი სახელი ღმერთს არ შეავედროს. — ამის შემდეგ „აპრაკუნემ“ დაიბარა ის ვაჭარი, რომელიც ამგვარი საქმეებისათვის ჰყვანდა არჩეული, კარგა ხვეწნის შემდეგ „აპრაკუნემ“ ვაჭარი ვითომც დაიყაბულა — ორმოცდაათი თუმანი ესესხებინა, და ქორღუყოს თამასუქი ჩამოართვეს. ამის გარეთ კიდევ ცალკე პირობის წერილითაც შეეკვრნენ, რომ, თუ დანიშნულ ვადაზედ არ გაუსწორდებოდა, ყოველ გადაცდენილ დღისთვის ათი თუმანი ჯარიმა უნდა გადაეხადა.

გონებაშეხურებული მოხევე არა გრძნობდა, თუ რა მახეს უგებდნენ და მით უფრო სიხარულით და იმედიანად პირობაზედ ხელს აწერდა, რომ საქმეში აზნაური „აპრაკუნე“ ერია. „აპრაკუნე“ გვარისშვილი იყო და მის დაღუპვას როგორ მოისურვებდა.

ქორღუყომ ფული იშოვნა, ნაჩალნიკმა ინახულა და დაყვავებით მოექცა და ქალალდი დაუწერეს კავკავის ნაჩალნიკთან, რომელსაც მოხუცისთვის შემწეობა უნდა ამოეჩინა.

ფული, რასაკვირველია, ნაჩალნიკს პირდაპირ არ ჩაჰბარდა და გადაეცა „აპრაკუნეს“. ამასვე მიართვა ქორღუყომ გასამჯელო დანარჩენი რვა თუმანი და გახარებული ქორღუყო გაუდგა თავის გზას.

## XX

სწორედ იმ ღამეს, როდესაც ბექია მოშორდა თავის დამქირავებელს, ოსის თემურყოს სახლთან მივიდა ვიღაცა კაცი და მაღალის ხმით მასპინძელს დაუძახა.

თემურყო წამოხტა და სმენას მიეცა, რადგანაც მომსვლელის ვინაობა ხმაზედ უნდოდა შეეტყო, მაგრამ ეს სურვილი ამაოდ დარჩა.

— ვინ იქნება ამ შუა-ღამისას? — მასპინძელი თავის თავს ეკითხებოდა და საჩქაროდ ტანთ იცვამდა.

გარედგან უცნობმა მისი სახელი გაიმეორა და ხმაში მოუთმენლობა დაეტყო.

თემურყომ ღილებიც კი აღარ გაიკრა, ხანჯალს და დამბაჩას დასცა ხელი და საჩქაროდ გამოვიდა გარედ.

— ვინა ხარ, რაი გინდა?

— სტუმარი.

— სტუმარი ღვთისაა, — იმ ხმით უპასუხა თემურყომ, თითქოს ამბობდა: „ცარიელს სტუმარს რა თავში ვიხლი?“

თემურყოს ბევრი სტუმრები მოსდიოდა, მაგრამ მათგანი ისეთები უყვარდა, რომელთაც გამორჩებოდა რასმე, და ახალმოსული კი, როგორც ეტყობოდა, მარტო მასპინძლობას სთხოვდა.

— შემოდი, რაღას უყურებ? — კარები გააღო და უგულოდ შემოიპატიჟა სტუმარი.

— სამაგისოდ არ მცალიან, აქ გამოიხედე, — მოისმა ისევ უცნობის ხმა.

ოსს შუბლი გაეშალა, რადგანაც გაიგო, რომ ეს კაცი საქმისთვის მოსულიყო და, მაშასადამე, საშოვარზედაც იმედი მიეცა.

თემურყომ, ფეხი გადაადგა ეზოს „ბჭეს“, თუ არა, გაღეღილს მკერდზედ იგრძნო ცივი რკინა და გაიგონა, თუმცა წყნარი, მაგრამ ბრძანებითი, ხმა:

— ხმა არ ამოიღო და მომყევ.

თემურყომ შეამჩნია ვიღაცა სახემოჰმუხნული ყმაწვილი კაცი, თან დაინახა დამბაჩის ტუჩი, რომელიც ხორცში თითქოს ჩასჭედოდა და შეშინებულს ცივმა ოფლმა დაასხა და ხელებჩამოცვივნული მთლად გაფითრდა.

— მომყევ! — ბრძანებით გაიმეორა უცნობმა და ისე წაიყვანა, რომ სიარულში დამბაჩის ტუჩი არ მოშორებოდა.

როდესაც ისინი სახლებს იმდენად გაშორდნენ, რომ მათი ლაპარაკი აღარავის მისწვდებოდა, უცნობი შესდგა და ოსიც შეაყენა.

— ერთი საკითხი მაქვს და შენი სიცოცხლე შენს პასუხზედ იქნება დამოკიდებული... ეცადე, მართალი მითხრა, — მკაცრად დაიწყო უცნობმა.

— მკითხე და გეტყვი, — უპასუხა ოსმა და დაუმატა: — რაისთვი არ გეტყვი? გეტყვი, ცემა მზემ.

— მე რომ ფული მქონდეს, მოგისყიდდი და ყველას მართალს გათქმევინებდი, მაგრამ იცოდე, ფული არ გამაჩნია და სიცრუისთვის იმით გაგისწორდები, რაცა მაქვს, — უთხრა ისევ უცნობმა და უჩვენა დამბაჩაზედ.

— ვაი, სენ ცემო თაო!.. — ოსმა თავი მოიკატუნა: — თუ კი რამე ვიცი, საით დაგიმალავ? სტუმარი ხარ მოსული.

უცნობმა ზიზღით შეჰხედა.

— საით წავიდა სულთი?

— სულთი? ვინ სულთი?

— ვინც ციცია, ქორღუყის ქალი, მოიტაცა.

— არ ვიცი, ღმერთმანი.

— მოგკლავ! — დაემუქრა უცნობი.

ოსმა შეხედა და მთვარის შუქზედ სტუმარს შეამჩნია, რომ არა ხუმრობდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ უნებლიედ წამოაძახა:

— სენ ვინა ხარ?

— ციციას საქმრო, ბექია! — მოკლედ უპასუხა მოხევემ.

— ციციას საქმრო! — გაუკვირდა ოსს.

— ჰხედავ, რომ უნდა შევიტყო, ციციას რა უყვეს?.. სახუმროდ არ მოვსულვარ, მოთმინებაც მიწყდება... გირჩევ, რომ ჩქარა მითხრა.

— გეტყვი... ჯარიახზედ ჩეჩენში წავიდნენ... მაგრამ ჯერ, მგონი, ჯარიახიდგან არ წასულან და იქ მასპინძლისას არიან.

— ფონი სად არის? — იკითხა ბექიამ.

— წყალი პატარაა, ეხლა ყველგან ფონია, — უპასუხა ოსმა.

— აბა, მშვიდობით, თემურყო, მაგრამ თუ მომატყუე, მთა მთას არ ასცდება.

— არა, ცემა მზემ!.. რად მოგატყუებდი? ქორღუყო ცემი მოკეთეა, იმის სახლში ბევრჯელ მიჭამია პური.

— პურ-მარილის მგმობელს კი ღმერთი ხელს არ მოუმართავს.—

უთხრა ბეჟიამ და ამაყად, თავის დაქნევით, თოფი გადაიგდო მხარზედ.

ბეჟია გაბრუნდა და ისე გასწია, რომ უკან აღარც კი მოუხედავს. იმის გულში იმ აზრსაც კი არ გაურბენია, რომ წუთს წინ ისე დამცირებული ოსი ეხლა თავისუფლად დარჩა, იარაღი ხელში ჰქონდა და შერცხვენისათვის მწარედ გადახდა შეეძლო.

ოსი კი იმავ ადგილას დარჩა დაფიქრებული, კარგა ხანს უყურებდა მიმავალს მოხევეს, რომელიც ძნელგასავალ მთის ბილიკზედ თითქოს მიირხეოდა.

ბოლოს, ოსმა ჩაიქნია ხელი და მწარედ ამოიოხრა.

— რაი მიყო მაგ „მოხნიამ"!?. მაგრამ, რჯულის მადლმა, მეც გადავუხდი!

ის გაბრუნდა, შეკაზმა საჩქაროდ ცხენი და გაქანდა ჯარიახისკენ, სადაც სულთისთვის განსაცდელის მოახლოება უნდა შეეტყობინებინა.

ოსის ფიქრით ამ სამსახურისთვის სულთი უსაჩუქროდ არ დააგდებდა და მოხევესაც თავის დამცირებისთვის გადუხდიდა.

## XXI

ოსი ჭენებით ჩავიდა გზაზედ, აქ ცხენი შეაყენა, რაღაზედაც დაფიქრდა. ცოტა ხანს შემდეგ პირდაპირ წყალში გასვლის მაგიერ, რომელზედაც ჯარიახისკენ მოკლე გზა მიდიოდა, იმან ცხენი თავქვე დაიბრუნა და მდინარის ნაპირს დაჰყვა.

— შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო, — წუნარად წარმოსთქვა ოსმა და მაშინვე დაუმატა: — თუ იმ „მოხნიას" შევხვდი, დღეს გამიმწარებს!

ამ მოაზრების გამო იმან გამოირჩია შორს მოსავლელი ბილიკი, რომ ბეჟიას გზაში არ შეხვედროდა, და უზრუნველად გასწია.

ამ ხანში ბეჟია გასულიყო წყალს, გაევლო კარგა მანძილი ხვეული ბილიკებისა და იმ ადგილს, სადაც ორი გზა ერთად იყრება და გამოქვაბული კლდე ქვეშ სადღაც უფსკრულში დაკლაკნილს თერგს გადაჰყურებს, დაისვენა.

ბეჟია ბავშობიდგანვე მთების სხვადასხვა მედიდურს სურათებს შეჩვეული იყო და გრძნობით ალსავსე გული ერთი ორად ასურვებდა ბუნებით დატკბობას, მისგან დაყვავებას. აქ კი იმოდენი სიცოცხლე იყო, ისეთი სურათები იხატებოდა, ისე ნაზად გადაჰფენოდა ამ მედიდურს სურათებს მთვარის ნაზი სხივი, რომ გაუტაცებელი ძნელად ვინმე დარჩებოდა.

დარიელის ვიწროებში გაშმაგებული მდინარე, სადაც „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, მთანი ბანს ეუბნებიან“, სადაც აგორებულნი ზვირთნი მედგრად ეცემიან მოწინააღმდეგე კლდეებს და ჰაერში შეტყორცნილნი მეტის სიბრაზით გრგვინვით წვრილს ნამად გაიმქვრევიან, — აქ, ჯარიახის პირდაპირ, ჯერ კიდევ გაშფოთებულის გულით და ბუტბუტით მიჰქანვენ, თუმცა მის მდინარებას წინ აღარა ეფეთება-რა.

ამ ადგილს თერგი დაჰრილს ლომსავით ბრდღვინავს, მაგრამ, კლდეებს გამომცდარი, თითქოს თავის გამარჯვებას გრძნობს.

აქ თერგის მოწინააღმდეგე მთებსაც თითქოს უგრძვნიათ ღირსეული მებრძოლის ძალა და, განზედ გასულნი, მის მამაცობას შორიდგან შაბაშს ეუბნებიან.

ამ ადგილებში კაცის გული ხარობს, თავისუფლებასა ჰგრძნობს და სიამოვნებით უჭვრეტს მთვარის ნაზს სხივებს, რომელნიც თრთოლით ეკამკამებიან და შესტრფიან საალერსო სურათებს.

ბექია უყურებდა ამ ადგილებს, გასცქეროდა თავის სამშობლოს წყალს, და გულში უთრთოდა რაღაცა გრძნობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს კმაყოფილებასა მოასწავებს და ნაკლულევანებასაც. იმის თვალები ბრწყინავდნენ, რადგან ბუნება თითქოს ალერსით ეუბნებოდა: „ჰხედავ რა ედემია?.. დასტკბი, დასტკბი, უბრალო ოცნებაზედ დროს ნუ ჰკარგავ!“ მაგრამ გული ტოლს ითხოვდა, მასთან ალერსს და მარტოობის უბედურებას აშკარად ჰგრძნობდა.

ბექია დააცქერდა ერთს ფერდობს, რომელიც ჯერ ჩამოლესილი კლდით იწყებოდა და ქვეშ თერგი ზედ ეგრიხებოდა. კლდის თავზედ იყო პატარა ველი, რომელზედაც ბელადს ხარ-ლაღს გამოეყვანა თავის პატარა ჯოგი და იქ განისვენებდა; იმის იქით დაიწყებოდა უკან გადაზნექილი ტყიანი მთები, საიდგანაც ჭიანჭველა-ნაჭამის დათვის ბრდღვინვა გამოისმოდა და ირმებს განსვენებას უფრთხობდა. ისინიც ცქვიტობდნენ, კრთებოდნენ და გაფრთხილებულს ხარ-ლაღს კი კისერი გაეწოდა წინათკენ, რომ სუნით ეგრძნო განსაცდელის მოახლოვება.

მთა თავდებოდა უსწორმასწორო სხვადასხვა სურათებათ ამართულის კლდეების, რომელნიც მთვარის შუქით სხვადასხვა ფერად დაფერილიყვნენ.

ბექია იქამდის გაიტაცა ოცნებამ, რომ იმას სრულიად გადაავიწყდა თავის მდგომარეობა, თავის არსებობაც კი და მიეცა მარტო სულის მოძრაობას.

სწორედ იმ ადგილს, სადაც ირმები იყვნენ, ჯოგის შუაში წარმოუდგა ქალის სურათი, რომელიც ჯერ ბუნდად, თითქოს ნისლშე-

მოხვეული მოჩანდა, მერე ნისლმა წყნარ-წყნარად გადიყარა, სურათი გაბრწყინდა ჩვეულებრივის სხივით, და მოხევემ აშკარად გაარკვია თავის სანატრელი ციციას სახე.

ის იდგა მედიდურად, მხიარულად ირმის ჯოგს შუა, პირისახე უცინოდა და ნაზის თვალებით უყურებდა ნაზსავე და მოხდენილს პირუტყვებს. ესენი არამც თუ არა ჰკრთებოდნენ ქალის იქ ყოფნით, არამედ მიდიოდნენ მოხევის ქალთან, შუბლს ახრეშდნენ ციციას ხელს და ისიც მოხდენილს, თითქოს წმინდა სანთლისგან ჩამოსხმულს, თითებს პირუტყვებს თავზედ უსვამდა, უალერსებდა და გაბაულ კისერზედ სიყვარულიანად ხან ერთს ეხვეოდა, ხან მეორეს.

ბეჟია გატაცებით უყურებდა იმ სურათებს, რომელთაც მოეცვათ, შეეპყროთ მთელი მისი არსება, გულით სურდა, თითონაც ჩარეოდა, მონაწილე გამხდარიყო საერთო ბედნიერებისა, მაგრამ გულის წუხილით ხედავდა, რომ თითქოს ფეხები ვიღასაც შეეკრა იმისთვის და განძრევის თავი აღარა ჰქონდა!

გონებამიხდილი, აღელვებული, გაბრაზებული, ის ყვიროდა და ციციასკენ ხელებს იშვერდა, მაგრამ პასუხად მარტო მხიარულის სიცილი, სიცილი ბედნიერებით დაკმაყოფილებულის კაცისა ესმოდა. მოხევემ წამოიწია და დიდის წვალების შემდეგ ძლივს წამოიჩოქა, ხელები ციციასკენ გაიშვირა და აღელვებულის ხმით დაიძახა:

— ციციაუ, ციციაუ!.. დავდნი, დავილიე შენის ძებნით!..

ამ სიტყვებზედ ისევ სიხარულით სავსე, ბედნიერი კაცის სიცილი მოესმა. ბეჟია მეტად გაფითრდა, გულმა დროგამოშვებით, უსწორმასწოროდ ძალზედ თრთოლა დაუწყო... ის ხან შესდგებოდა, მოიკუმშებოდა, მით გზას შეუკრავდა მომდინარე ადუღებულს სისხლს, ხან გაიწევდა განზედ, და გზამიცემული სისხლი გაქანებით გულს ძალზედ აათამაშებდა.

— მომხედე! — დაიწყო ისევ იმან: — მე ვკვდები, ვიტანჯები და შენ კი იცინი, ხარობ! მე გული მიკვდების და არ მინდა, რომ შენ მხიარული იყო!

ამ სიტყვებზედ ქალმა გამოხედა, თითქოს წარბები უსიამოვნოდ ცოტაოდნად შესჭმუხვნოდა და უკმაყოფილოდ წარმოსთქვა:

— მე რა, რომ შენ იტანჯები?.. შენ შენი ჯავრი გაქვს და იჯავრე, მე რაღად მიწამლავ სიამოვნებას! — უთხრა ციციამ, მოუბრუნდა ერთს ხარ-ლაღს და ალერსი დაუწყო.

ბეჟიამ დაიკვნესა იმის სიტყვებზედ, რადგანაც აღძრული გრძნობის გამოსათქმელად სიტყვა ველარ ეპოვა.

მართლადაც, ძნელი საგრძნობელი უნდა იყოს, როდესაც შეყვარებული ჰგრძნობს, რომ მისი საგანი უიმისოდაც ბედნიერია.

ბექია, მწუხარებით მისუსტებული, ძალ-ღონე მოკლებული და იმედგადაწყვეტილი, გასცქეროდა ქალს და ნატრობდა ერთს ირმად მაინც გადაქცეულიყო, რომ ციციას შეალერსება ღირსებოდა.

სწორედ ამ დროს, როდესაც ციცია თავის ხარ-ლაღს უალერსებდა, მეორე მხრიდგან ამოჩნდა მეორე ხარ-ლაღი, რომელიც ხან გამოშვერილი თავის ქნევით, ფრუტუნით, ხან კისერ-მოღერებული და ყურებ-დაცქვეტილი, მოდიოდა. ირემს თვალები გაღუებულს ნახშირს დამსგავსებოდა. ის მივიდა ახლოს, შესდგა და მედგრად შეხედა იმ ირემს, რომელსაც ციცია ეალერსებოდა. მაგრამ ამ დროს მოიხედა ციციამ, დაინახა ახლად მოსული ირემი და ღიმილით, ხელებგაშვერილმა იმისკენ გასწია. ირემმა სიხარულით თავი დახარა, თვალები თითქოს ცრემლებით აევსო და შიგ მადლობის გრძნობა გამოეხატა. ციციამ გადახვია კისერზედ ერთი ხელი, მეორეთი დაუწყო თვალებს ფშვნეტა და ალერსიანი ჩურჩულით მიიტანა თავის ნაზი ლოყები ირმის ყბებთან. ირემი მთლად ცახცახებდა, თითქმის წარმოუთქმელი ბედნიერება ეგრძნო, და გრძნობას ისეთი ძალა დაეტანებინა, რომ თავის მდგომარეობა მარტო თრთოლით-ღა გამოეთქვა.

ერთბაშად მოისმა სტვენის მსგავსი ქშიტინი, რომელმაც ბედნიერი ნადირი შეაკრთო. იმან აიღო თავი და დაინახა გაშმაგებული თავის მოწინაალმდეგე ხარ-ლაღი, რომელიც მედგრად უყურებდა მას; აშკარად ეტყობოდა, რომ ის საბრძოლველად იწვევდა: ისარსავით გალესილი რქები დაეხარა, მოწინაალმდეგესთვის დაეპირდაპირა და შეკუმშული გადახტომას აპირებდა. მეორე ხარ-ლაღიც გასწორდა, გაიქნია თავი და განზედ გახტა, რამდენჯერმე დაიფრუტუნა და შეკუმშული ისიც მოემზადა მოწინაალმდეგეს დასახვედრად. ორნივ ერთმანერთს მედგრად უყურებდნენ, თითქოს თვალებით ერთმანერთის გაგმირვას აპირებენო.

ის იყო გადმოხტნენ ერთმანერთთან შესატაკებლად, როდესაც ცხენის ფეხით შეძრული ქვა ერთბაშად ხრიალით თავქვე ჩაგორდა.

ამ ხმაურობაზედ ბექია წამოხტა, მოიფშვნიტა თვალები და ძალზედ ამოისუნთქა.

— უჰ, ჰუ, ჰუ!.. რაი მომეჩვენა,—წამოიძახა იმან და თოფს ხელი გაავლო. ცხენის ფეხის ხმა იმის ყურს გარკვევით მოსწვდა და რადგანაც, ვინ იცის, ვის შეხვდებოდა — მტერსა თუ მოყვარეს, დასახვედრად მოემზადა.

მოლოდინში ბექიამ რამდენჯერმე მოისვა უბეზედ ხელი და გამტერებით ცას დაუწყო ყურება, რომელიც სრულიად მოწმენდილი იყო.

— რა ამბოვია? — გაკვირვებით წარმოსთქვა იმან: — წვიმა კი არ ყოფილა, და მე კი მთლად დასველებული ვარ?!

მერე მოაგონდა სიზმარი, მოაგონდა ბრძოლა, წვალება, რომელიც ძილის დროს გამოიარა და მიხვდა, რომ წყვეტებაში ოფლი მოსვლოდა.

იმას დრო აღარა ჰქონდა — ამ საგანს დაჰკვირვებოდა, რადგანაც ცხენის ფეხის ხმა თანდათან მოახლოვდა და მომავალს კი, მტერი იქნებოდა თუ მოკეთე, დახვედრა უნდოდა. გაიარა ცოტა ხანმაც და მთვარის შუქზედ გაარჩია ცხენოსანი, რომელიც ნაბადში გახვეულიყო და პირუტყვს წყნარად მათრახის ცემით აჩქარებდა. ვინ იქნება, რომ ასე ჩქარობს? — გაურბინა ბექიას თავში და მოიწადინა ყველაფრის შეტყობა.

მოხევე გადახტა და ზედ გზის პირას ქვას გაეკრო. ცხენოსანი კი დანდობილად მოდიოდა და თან ბექიას უახლოვდებოდა.

ერთბაშად ცხენი უკან მიაწყდა, რადგანაც მოხევემ გადახტომასთან ერთად ჯილავში ხელი წაავლო და ცხენს ისე ძალზედ დაჰკრა, რომ პატრონსანმა პირუტყვმა ტკივილისგან უკანა მუხლებით ჩაიკეცა. უცნობი იარაღს მისწვდა, მაგრამ გვიან-ღა იყო, რადგანაც ბექიას დამბაჩის ლულა გულზედ დასდებოდა.

— არ გაინძრე, თორემ მოგკლავ! — დასჭყივლა მოხევემ და უცნობიც დამორჩილდა, რადგანაც ჰხედავდა, რომ მოხევეს ჩახმახის დასხლეტის მეტი აღარა უნდოდა-რა, რომ თავისი მუქარა აღესრულებინა. უცნობი გაფითრდა ამ ხმაზედ. ეს იყო ოსი თემურყო, რომელსაც ბექიასთან შეყრა არაფრად ესიამოვნა.

— რაისთვი მომკლავ, — უპასუხა იმან, — განა იარაღი მოკეთისთვის არის?

— თემურყო?! — კითხვით და გაკვირვებით წამოიძახა ბექიამ.

— მე ვარ... მადლი უფალს, რომ მოგეწიე. შენ მოგდევდი და მოწევის იმედი გადამიწყდა... ნახე ცხენი როგორ გავაოფლიანე... თუ სისხლი არ „ვუყარე“ (გამოუშვი) მხრებში დაადგება.

მოხევე იქამდინ გაშტერებულიყო, რომ სიტყვა ვეღარ მოეხერხებინა. რამდენიმე საათის წინად იმან თემურყო შინ დააგდო, მკაცრად მოექცა, არამეგობრულად, დარწმუნებული იყო, რომ ოსი გულნატკენი დარჩა. მაშ სად მიდიოდა ასე გამალებული, საით მიეშურებოდა, რად გაეოფლიანებინა ცხენი?

— მე მომდევდი? — იკითხა მოხევემ, თითქოს თავის თავს ეკითხებოდა და მერე დაუმატა: — უფალმა იცის, მართალს უბნობ, თუ ტყუილს.... მაგრამ მაინც მჯერა შენი სიტყვები... ჩამოხე ცხენიდგან

და შემოდი ქოხში. — ამ სიტყვებით მოაშორა დამბაჩა და წელში გაიგდო.

— რაისთვი არ გჯერა?.. ქორღუყოს პურმარილი მომაგონდა და მარტოდ შენი დაგდება არ მოვინდომე... ცხოთა ადგილას, ცხოთა ქვეყანაში რას გააწყობ? მე კი ნაცნობები ბევრი მყავს...

— იარე, იარე ქოხში და იქ გიამბობ, — უთხრა ბექიამ და ის იყო გაბრუნდა, როდესაც გავარდა დამბაჩა და მოხევე მკლავს მისწვდა, რადგანაც თემურყოს ტყვიამ რბილ ხორცში გაუარა.

— ძაღლო, ძაღლო, დაუნდო ძაღლო! — სიმწარით და სიბრაზით წარმოსთქვა ბექიამ და კბილების ღრჭიალით გაუმიზნა თოფი თემურყოს, რომელსაც ცხენი გაებრუნებინა და მიაჭენებდა. რამდენიმე წამმა ნიშნის ამოღებაში გაიარა, ყველა „გაჩქურებულიყო"... საერთო სიჩუმეს მარტო ცხენის ფეხის ხმა არღვევდა, რომელიც ქვიან ბილიკზედ ტაშის ცემასავით მოისმოდა.

ერთბაშად გავარდა თოფი და ტყვიამ თემურყოს ქუდი მოხადა. თემურყო ტყვიამ წინისკენ გადაიქნია, მაგრამ ისევ გასწორდა, გადაჰკრა ცხენს მათრახი და ცხვირ-წამოწვდილს კლდეებს მოეფარა. ბექიამ დაინახა ტყვიის დაცდენა და ოხვრით წამოიძახა:

— გატიალდი, რაიღაც თოფი ხარ!.. აჰუ, შენც შემარცხვინე!

ამ სიტყვებით შორს გადააგდო თოფი და მკლავს დახედა, რომლიდგანაც სისხლი თქრიალით გასდიოდა და მოვლა ეჭირებოდა.

— მადლი უფალს, ძვალს არა სჭირს-რა! — წარმოსთქვა იმან გასინჯვის შემდეგ. საჩქაროდ გაიძრო ტანისამოსი, ქამრიდგან შესხნა სამარილედ გაკეთებული ბატის ფეხი და ორივე მხრიდგან იარა მარილით ამოჭედა. ამის შემდეგ პატარა ჩანთიდგან გაწეწილი კანაფი ამოიღო და ძალზედ ამოსრისა ძველს ქონში, რომელსაც სადუმეში ყველა მთიელი ატარებს. გაქონილი კანაფი ფილთასავით გააგრძელა და იარის პირებში „სანახავად" მისცა; პერანგის სახელით მაგრა შეიკრა იარა და წავიდა თავის ქოხში, სადაც გათენებას მოუთმენლად ლოდინი დაუწყო.

## XXII

ალიონის აწევასთან ერთად ბექია გამოვიდა კარზედ, ჩავიდა წყაროსთან და იარა, რომელიც მარილს მთლად მოეშუშა, კარგად მობანა; მერე ისევ გაქონილი კახაფის ფილთა გაიკეთა და ნაპირებზედ ნერწყვით დასველებული მრავალძარღვას ფოთლები გადააფარა, რომ ჰრილობას ხავარი არ აეკრიფა.

ბევრი სისხლის დენას მოხევე არა მცირედ დაესუსტებინა და იმისი მაგარი აგებულება შიმშილს აგრძნობინებდა. გასინჯა გული,

რომელშიაც გამხმარი მჟადისა და ყველის ნამტვრევები ეყარა და იმითი ისაუზმა, დალია წყალიც და წყნარად შეუდგა მთასა.

ბექიას ხშირად დასვენება სჭირდებოდა, რადგანაც სისხლმოკლებული გული ჩქარ-ჩქარად აუჩქროლდებოდა და დასუსტებული ძარღვები ცახცახს დაუწყებდნენ ხოლმე.

ის თანდათან გაიმართა, მუხლები გაუმაგრდნენ და ნაბიჯიც გაუსწორდა. მოხევე არ იყო განაზებული, და სიცოცხლის ძალა ადვილად შეელოდა ძალის აღდგენას. შეკრული ხელი, სისხლში ამოსვრილი ტანისამოსი და ფერმიხდილობა ამტკიცებდა, რომ მოხევე კარგად ვერ იყო, თორემ სხვაფრივ ვერას შეატყობდით. ჩვეულებრივი დაღონება, ტკივილის უეჭველი შედეგიც არ იხატებოდა მის სახეზედ.

ერთბაშად უკანიდგან მოესმა ცხენების ფეხის ხმა და მოიხედა, — რამდენიმე მხედარი, მორთულ-შეკმაზულები მხიარულად მოდიოდნენ.

ბექიამ ადვილად გაარჩია, რომ ესენი მთის ქისტები იყვნენ და წამოწევის უმალ მიესალმა.

მომავალთ მადლი გადუხადეს და პირველსავე შეხედვაზედ შეამჩნიეს, რომ მგზავრი დაჭრილი უნდა ყოფილიყო.

ქისტებმა შეაყენეს ცხენები, ჰკითხეს ვინაობა და იმის დამჭრელის სახელი.

— ლარსელმა თემურყომ დამჭრა, — უპასუხა მოხევემ.

— ოსმა? — ჰკითხეს იმათ.

— ოსმა.

— ოსი იქნებოდა, სტუმარს კაცს აქ სხვა ვინ დასჭრიდა! — წარმოსთქვა ერთმა, ცხენიდგან გადმოხტა და ბექიას უთხრა: — მოდი, ცხენზედ შეჯექ.

— არა მიშავს-რა, ასეც კარგადა ვარ.

— მოდი, მოდი — დაჭრილი ხარ.

— მოიცა, ჭრილობა ვუნახოთ, იქნება კარგად ვერა აქვს შეკრული, — დაუმატა მეორე ქისტმა და მივიდა მოხევესთან.

ყველანი ჩამოხტნენ და მივიდნენ დაჭრილთან, გაუსინჯეს შეკრულობა და მოიწონეს.

— მარილი არ ჩაიყარე? — ჰკითხა ერთმა.

— ჰაი, ჰაი, რო ჩავიყარე.

— მარილი კარგია, ცოტას დაგწვავს, მაგრამ სისხლს მაშინვე შესწყვეტს და დაბეჟილს ხორცსაც მოშუშავს.

ამ სიტყვების შემდეგ ისევ მოხევეს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— პური თუ არ გშიან?

— პური კი მშიან, — უპასუხა ბექიამ.

ერთი უმცროსთაგანი გაბრუნდა, ამოიღო ხურჯინიდგან პური, შოხარშული კვერცხები, ქათამი და დანარჩენებს მოუბრუნდა:

— თქვენც პატარას თუ არ შენაყრდებით?

ყველამ თანხმობა გამოაცხადა. ცხენების ალვირები ისე გადააცვეს უნაგირის ტახტებს, რომ გაქცევა არ შესძლებოდათ და ქვებზედ ჩამოსხდნენ. უმცროსმა მოიტანა საჭმელი, პატარა ჭურჭლით შინაური არაყი და ერთს სიპს ქვაზედ „სიფრო“ მოაწყო.

ყველანი სთავაზობდნენ ბექიას, მზრუნველობით ექცეოდნენ, რადგანაც მოხევე სტუმარი იყო და ამასთანავე დაჭრილიცა.

პურის ჭამაზედ ბექიას კითხვით თავს არავინ აძულებდა, თუმცა ყველას გულით შეტყობა უნდოდა — ან რა საქმე ჰქონდა, ან რისთვის დაეჭრათ.

ბექია ისე უამბობდა თავის ამბავს, რამდენადაც თითონ საჭიროდ სთვლიდა, მაგრამ მის გულში ჩახედვას არავინ ცდილობდა. მოხევემ შეატყობინა, რომ ის ოსმა ღალატით დასჭრა, გააგებინა, რომ ერთს ჩეჩნელთან, რომელიც ეხლა ჯარიახში არის, მტრობა ჩამოუვარდა; უთხრა, რომ მასპინძელი არა ჰყვანდა და ამით გაათავა. მგზავრების შორის სამნი იყვნენ ჯარიახელები, და მასპინძლის ხსენებაზედ სამთავ შემდეგის სიტყვებით მიაშურეს:

— სტუმარი ღვთისაა, ჩვენსა წამოდი.

ბექიამ მადლი გადაიხადა, მაგრამ მასპინძლებს იმაზედ დავა გაუხდათ, თუ სტუმარი ვის უნდა დარჩენოდა.

ისინი ბაასობდნენ, ცხარობდნენ და ერთმანერთს არწმუნებდნენ, რომ ყველაზედ უწინ არა მე დავპატიჟე, არა მეო. ისინი სტუმრის წაყვანას ერთმანერთს ეცილებოდნენ და სათაკილოდ სთვლიდნენ— სტუმარი მეორესთვის გაეყოლებინათ.

ბოლოს, ერთი წამოდგა და დაიძახა:

— მიდლეში აქ კი დავრჩებით, წილები იყარეთ და, ვისაც შეგხვდება, სტუმარიც იმან წაიყვანოს.

— კარგი, კარგი! — მოისმა ყოველის მხრიდგან.

— მაშ მე „გავიბუტებ“, — სთქვა იმანვე, ვინც წილის ყრა არჩია და გავიდა განზედ.

სამმა მოდავემ აირჩიეს წილები, დაუძახეს „გაბუტულს“ და მის წინ სამი სხვადასხვა სიდიდის კენჭი დასდვეს. ახლადმოსულმა გადაავლო კენჭებს თვალი და დაიწყო:

— ეს პატარაი, — უჩვენა მომცრო კენჭზედ. — უმცროსია — უნდა გაჩუმდეს; ეს კი ისეც დიდია — სტუმარი არ დააკლდების; მოდი და ისევ ამ შუათანას ჰყვანდეს.

— მე მერგო, — სიხარულით წამოიძახა ოცის, ოცდაერთის წლის ყმაწვილმა ბიჭმა და ხელი გაავლო მოხევეს, თითქოს ეშინოდა, რომ არავის წაერთო.

ორი მოდავე კი დაღონდნენ, ჩაღუნეს თავები და უსიამოვნობის ნიშნად გვერდზედ გადაფურთხების მეტი ვეღარა მოახერხეს-რა.

მოხევეს უხაროდა, რომ ამისთანა გულუხვს მასპინძლებს შეხვდა, თუმცა იმათი საქციელი სრულიადაც არ აკვირვებდა. რადგანაც ამგვარს შემთხვევაში ისიც ასე მოიქცეოდა და უკანასკნელს საშუალებამდის ეცდებოდა სტუმარი სხვისთვის არ დაენებებინა.

ცოტა ლაპარაკისა და ხუმრობის შემდეგ ისინი შესხდნენ ცხენებზედ, მასპინძელმა სტუმარი შემოისვა და გასწიეს ხატობას, სადაც წინადვე მიდიოდნენ.

მშვენივრად გადაჭიმულს მინდორზედ, რომელსაც გარს დაბურვილი ტყე შემორტყმოდა და ათასფერად შეხამებულიყო სურნელიანის ყვავილებით, ზედ შუა ადგილზედ დიდძალი ხალხი მოგროვილიყო სხვადასხვა ფერის ტანისამოსით. დღე იყო ჩუმი, წყნარი და მოწმენდილი. იქაურობა ისე მოკმაზულიყო, როგორც პატარძალი.

ხალხი მხიარულობდა, ზოგან მღეროდნენ, ზოგან ჭიანურს უკრავდნენ და კაცის დამბნედავს ეშხით სავსე ქალებს ათამაშებდნენ, ზოგან ყმაწვილი ბიჭები — გასულიყვნენ და ნიშანში თოფს ესროდნენ.

რამდენსამე ადგილს გაჩაღებულს ცეცხლზედ საარაყე ქვაბები შიგ მთელ-მთელის საკლავებით ჩუხჩუხებდნენ; ერთს ადგილას პატარა ბალღებს დაენთოთ ცეცხლი, ზედ ნედლი ღვიის ხეები დაერთოთ და სიხარულით შეჰყურებდნენ მისგან ანადენს ბოლს, რომელიც ხვევით, მაგრამ ისარივით სწორედ, მაღლა-მაღლა მიდიოდა და სივრცეში გაპენტილ ბამბასავით იშლებოდა.

პატარა ბავშვები ცეცხლის გარშემო დახტოდნენ, ხარხარებდნენ და თავიანთ ხმას საერთო ხმაურობას უერთებდნენ. დეკანოზებს* ხალხი დაემწყალობნათ და მოლურჯო ქვის კედელზედ, მთლად თეთრს სამოსელში გახვეულნი, გადმომსხდარიყვნენ და საერთო მხიარულებას უყურებდნენ.

ერთს ადგილს ხალხი უფრო შეჯგუფულიყო, შუაში რგვლად დაეგდოთ საკმაო ადგილი და ყმაწვილი ხალხი, ათასფერს ტანისამოს ჩაცმული, თამაშობდა. ჭიანური, დოლი და ტაშის ცემა შეადგენდა

* მთის ქისტებში ეხლაც ისეთივე დეკანოზები არიან, როგორც მთის ქართველებში. ნიშები, დროშები და წმინდანების სახელები დღევანდლამდის ქრისტიანული აქვთ დარჩენილი, თუმცა დროშის თავებად ჯვრები აღარა აქვთ და ან მარტო შუბს ამოუყვია წვერი, ან მერდინით არის შეხვეული.

მთელს მუსიკას, რომელსაც ხანგამოშვებით უერთდებოდა დამბაჩის სროლის ხმა და გახურებული მოთამაშის ჭყივილი.

სხვათა შორის ამ ხალხში იდგა ციციაც, რომელსაც დასცხომოდა, ლოყები გასწითლებოდა და ხანგამოშვებით თავგანწირვით თამაშობდა, რომ უპირატესობა სხვა გვარტომობის მთიელთათვის არ დაეთმო.

ყმაწვილი ჩეჩნები გაშმაგებით უყურებდნენ მოხევის ქალს, რომელსაც ხან ერთი გამოუდგებოდა სათამაშოდ, ხან მეორე, ეწეოდნენ, დაუხვდებოდნენ წინ და დაღონებით გასცქეროდნენ მსწრაფად გაბრუნებულს ქალს, რომელიც რხევით მიექანებოდა თავის მდევნელისგან.

ყოველ მოძრაობაში სიცოცხლე მოსჩანდა, ყველას გული სასიამოვნოდ სძგერდა, რადგანაც სიყმაწვილეს შეეხურებინა და ქუქუნას, მოქანცულს და მიბნედილს თვალებს აეძგერებინა.

ესენი ამ დროს გატარებაში იყვნენ, როდესაც ერთს მხრიდგან ბექია და იმისი მასპინძელი, რომელიც აქ ამოსულიყვნენ, მოვიდნენ და თამაშს ყურება დაუწყეს.

მოხევემ გადაათვალიერა ხალხი და მაშინვე თვალი ციციას შეჰკრა; შეჰკრა და პირველში გულმა გაუბრძოლა, თითქოს რაღამაც დაჰკრა, მერე ათრთოლდა და დაგიდუგით ძალზედ ქშენა დააწყებინა. ჯერ ისე დაიბნა, რომ მოსაზრებაც კი ვერ მოასწრო და გახევებულმა ხელი გულზედ მიიტანა, თითქოს ამითი მისი ჩქროლა უნდა გაეჩერებინა. მაგრამ, რა გონს მოვიდა, ჰკუა მოიკრიფა, ფერმიხდილს ლოყებზედ სიწითლე დაეტყო და თვალებგაბრწყვინვებულმა წინისკენ ფეხი წასდგა. შეხედა ციციას და ერთბამად შესდგა: იმან დაინახა ქალის კმაყოფილებით სავსე სახე და ამ ამბავმა ხელახლად შეუცვალა ფერი.

— რაი ახარებს? — გაკვირვებით წარმოსთქვა იმან და ისევ შეხედა ციციას, რომელსაც პირისახე ისევ უცინოდა.

— იცინის, მაშ ბედნიერი ყოფილა, ძალად არ წამოუყვანიათ! — მწარედ წამოიძახა, და ამ ფიქრებმა მუხლთ მოსჭრეს. ამ წუთებში მოხევეს მეტისმეტად მწარე ფიქრები დასტრიალებდნენ, რომ თავი საჩქაროდ შეემაგრებინა. ის იწოდა, ინთებოდა და გმინვით წარმოსთქვამდა: ასე ჩქარა დამივიწყა, ასე ჩქარა გასტეხა ღვთის ფიცი!

— რაი-ღა მეშველება, რაი-ღა ვქნა? — უიმედოდ ამოიკვნესა იმან და დაფანტვით გარშემო დაიწყო ცქერა, მაგრამ ცოტა სიჩუმის შემდეგ თვალებმა მედგრად გაუელვეს და განრისხებით, თითქმის ხრიალით, ყელში დაუმატა: — სულთი მომცემს პასუხს!

ამ სიტყვებზედ ისევ ციციას შეხედა და დაიძახა:

— ის სადღაა, რაისთვი გვერდით არა ჰყავს?.. რაი მეშველლების, თუ აქ არ იქნა?

ამ სიტყვებზე დაუწყო ხალხში თვალიერება და ერთბაშად სიხარულით პირისახემ გაუღიმა, და წამოიძახა:

— აპა... აგერ ისიც!.. ეხლა კი ღმერთი ჩემსკენაა!

იმან დაინახა სულთი, რომელიც მარტოკა იდგა. მარტო სულთი იდგა გაჩუმებული, გაყუჩებული, დაღონებული და საერთო მხიარულებას რაღაცა შესაბრალის მწუხარებით უყურებდა.

იმისი გაცრეცილი სახე, ნაღვლიანი თვალები და დაფიქრებული პირისახე აშკარად ამტკიცებდა, რომ მისი გული რაღაცა სევდას მოეცვა, შეეპყრო და დამონებული, მკვნესავი, საერთო სურათისგან მოეშორებინა.

— რაისთვი დაღონებულა? — გაურბინა თავში და ყურება დაუწყო.

ერთბაშად სულთიმ გაიღიმა, გაწითლდა და სიხარულის ცეცხლი გამოუკრთა თვალებიდგან, რომელნიც ერთ მხარეს მისჩერებოდნენ. ბეჟიამაც გაიხედა იმ მხარეს და წარბები შეეჭმუხნა, პირისახე სიანჩხლემ დაუმახინჯა: მოხევემ დაინახა ციცია, რომელიც ღიმილით მიდიოდა სულთისკენ, უცინოდა, რაღაცას ეუბნებოდა, რომელიც ბეჟიას ყურს სიშორის გამო ვერა სწვდებოდა, და მათი აზრის შეტყობის სურვილი კი გულ-მუცელს უკუწავდა. ის ეჭვისგან ანთებულის თვალებით ჩააცეცდა ციციას, რომელიც ჩეჩენთან მივიდა, დაადო მხარზედ ხელი და თანაგრძნობით უთხრა:

— ძმავ, რაისთვი მოგიწყენია?..

— რაი ვიცი? — ბედშავად უპასუხა ჩეჩენმა.

— მე მინდა, რო გამხიარულდე, ილხინო, ითამაშო...

— უგუნებოდ რასმე ვარ.

— ჩემთან უნდა ითამაშო, — გადაწყვეტით, თითქოს ბძანებით, უთხრა ციციამ და სულთიმაც მორჩილად შეხედა, შეხედა ისე, თითქოს ეუბნებოდა:

— მიბძანე, რაიც გინდა, განა უარი შემიძლიან?

ამ წუთებში ბეჟიამ მოთმინება სრულიად დაჰკარგა, მით უფრო რომ იმათ ლაპარაკის შინაარსი ვერ გაეგო და, ვინ იცის, რა არ წარმოსდგენოდა. მოხევემ გაივლო ხანჯალს ხელი და სულთისკენ გასწია, რომელიც ზურგშემოქცეული იდგა და მიმავალს მოხევეს ვერა ხედავდა.

ბეჟია მიუახლოვდა, გაიძრო ხანჯალი და შემდგარმა დაუძახა:

— ქურდობა კარგი გცოდნია, ღვითს მადლმა, და ახლა ვაჟკაცობა გვიჩვენე.

სულთი ერთბაშად გამობრუნდა და, რა ხანჯალამოწვდილი კაცი დაინახა, თითონაც სწრაფად გაიძრო ხანჯალი და ანთებულის თვალებით ერთმანერთი ასწონეს.

ციცია, რომელიც ბექიას დანახვამ გაანცვიფრა და განრისხებამ კი შეაშინა, იმავ ადგილს გაქვავებულსავით იდგა, სული გაექმინდა და ველარ განძრეულიყო.

წუთი კიდევ და მოწინაალმდეგები ერთმანერთისკენ გაექანენ, მიახლოვდნენ და ის იყო ხანჯლები წასაძგერებლად მიიტანეს, როდესაც მოისმა ქალის წივილი და მებრძოლთ შუა თავშალი ჩავარდა. მოწინაალმდეგენი ერთბაშად შესდგნენ და იმგვარად გახევებულნი დარჩნენ, როგორ მდგომარეობაშიაც ციციას თავშალმა მოასწრო.

სულთი და ბექია გაშმაგებით უყურებდნენ ერთმანერთს, მათი ხანჯლის წვერები თითქმის ერთურთს სწვდებოდნენ, მაგრამ წუთს უკან ჩუმად ჩამოუშვეს იარაღი, წყნარად ჩააგეს ქარქაშებში და წყნარადვე გაბრუნდნენ აქეთ-იქით.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ახლო მყოფმა ხალხმა მიშველებაც ვერ მოასწრო და უბედურება აუცილებელი იყო, თუ ციციას თავშალს დროზედ არ მოესწრო. მაგრამ რაკი პირველმა წუთმა გაიარა, მოცვივდნენ მასპინძლები, თავთავიანთ სტუმარს მიეპატრონენ, ამშვიდებდნენ მათ და, თუ საჭიროება მოითხოვდა, იმათთვის თავსაც დასდებდნენ.

— ბექიავ, არ გრცხვენის? — ერთბაშად მოხევეს მოესმა ციციას ხმა.

— კიდევ მაყვედრი? — მწარედ წარმოსთქვა მოხევემ.

— ჰაი, ჰაი რო გაყვედრი!.. კინაღამ ძმა მომიკალ, სულთი ჩემი ძმადნაფიცია.

სულთი იქავე ახლოს იდგა და ეს სიტყვები გაიგონა და სწორედ იმ დროს, როდესაც ბექიამ წამოიძახა: „ძმადნაფიცი“! იმან გაშტერებით წარმოსთქვა: „ბექიაი!“ და გაფითრდა.

ჩეჩენმა მოიხედა, დაიკრიფა გულ-ხელი და პირდაპირ მივიდა ბექიასთან:

— ბექიაუ! — უთხრა იმან: — შენი საცოლე მოვიტაცე, მოვიტაცე იმად, რომ მომწონდა... მეგონა, მაგასაც მოვეწონებოდი და მაშინ, ღვთის მადლმა, დუნია რომ ჩემი მტერი შექმნილიყო, მაგას ვერ წამართმევდნენ... მაგრამ იღბალი შენი ყოფილა, შენ უყორხარ, ღმერთს შენთვის მოუცია და ჩვენ კი და-ძმობა გვაქვს ნათქვამი... ეხლა იხმარე იარაღი, თუ გინდა, სისხლს ვერვინ მოგთხოვს... დალ-ვარე ძმის სისხლი, თუ შეგიძლიან.

— ღვთის მადლმა, მოხევეთ მტრის დახვედრაც ვიცით და ძმი-საც.

ამ სიტყვებით ისინი გადაეხვივნენ და გულში ჩაიკრეს ერთმანერთი.

ციცია კი მასპინძლებთან გაიქცა, რადგანაც საქმრო გამოაშკარავდა, და მთიელთ ჩვეულებით კი პატარძალს ხალხისა უნდა შერცხვენოდა.

## XXIII

ერთს წუთში ამ შემთხვევაზედ ხმა გავრცელდა და ყველას სალაპარაკოდ გაუხდა. სულთი და ბექია კი თავთავიანთ მასპინძლებმა და უფროსმა კაცებმა დეკანოზებთან წაიყვანეს, რათა ძმობილებს ფიცი დაედოთ.

დეკანოზებმა აიღეს დროშები და ზარების წკრიალით ხალხის ყურადღება მიიქციეს.

როდესაც ხალხი შექუჩდა და მოწიწებით სმენას მიეცა, უფროსმა დეკანოზმა კიდევ დააწკრიალა დროშა და ხმამაღლა დაიწყო ბექიას და სულთის ამბავი, რათა ყველას გაეგო, რაც მოხდა.

უკანასკნელი სიტყვები შეეხებოდა მათგან ძმადგაფიცვას და მოღალატის წყევას.

თუმცა დეკანოზმა გაათავა, მაგრამ ისევ იმ ადგილს იდგა, თითქოს რაღაცას ელოდა. მართლადაც, ხალხიდგან გამოვიდნენ სულთი, ბექია და ორი მოხუცებული, მივიდნენ დროშებთან და გაჩერდნენ. აქ ერთმა მოხუცმა სულთის გადასცა პატარა მოკლე ჯოხი და დანა.

— ქდე დასდეთ, — უთხრა იმან.

სულთიმ აიღო დანა და ჯოხი და მიუბრუნდა ბექიას:

— ვინც მე და შენში ერთმანერთს უღალატოს, იყვეს ამ ხალხში შერცხვენილი და გაუწყრეს წმინდა გივარგი.

ამ სიტყვებით იმან დააჭდია ჯოხზედ და გადასცა ბექიას, რომელმაც თითქმის სიტყვით სიტყვამდე ჩეჩნის ფიცი გაიმეორა და ამანაც დააჭდია ჯოხზედ. ეს იყო ფიცის საქვეყნოდ დამტკიცება, გადაწყვეტილებაზედ ბეჭდის დასმა, რომლის გატეხასაც იქაური მთიელი ასჯერ სიკვდილს ირჩევს.

ჯოხი მოწიწებით და მუხლის ყრით მოიტანეს ნიშთან და დროშის ძირს კედელში გაამაგრეს.

ხალხი აიშალა და მიეხვია სულთის და ბექიას, რომელთაც ახალს ნათესაობას ულოცავდნენ და აქეთ-იქით ეპატიჟებოდნენ, რომ, თუ სადილით არა, თითო კათხა ლუდით, ან თითო ყანწი არაყით პატივი ეცათ.

ამ მხიარულებაში იყვნენ, როდესაც ერთი პატარა ბიჭი მოვარდა, გაძვრა ხალხში და სულთის ყურში რაღაც უთხრა.

— ვინაა? — იკითხა სულთიმ.

— არ ვიცი, სახელს არ ამბობს... ეგეთი წვერიანი კაცია, — ბალღმა ხელები მიიტანა პირთან, თითქოს უნდოდა ენიშნებინა, მოსულს რა რიგი წვერი ჰქონდა.

სულთი გაჰყვა ბალღს, რომელმაც იქვე ახლო ტყეში შეიყვანა, სადაც ნაბადში გახვეული კაცი იდგა.

— სულთის გაუმარჯოს! — მისვლის უმალ დაუძახა უცნობმა და მოახლოვდა.

— გაგიმარჯოს უპასუხა სულთიმ, დააცქერდა და ერთბაშად გაკვირვებით წამოიძახა: — თემურყო?! რა ამბავია?

— შენს მოსაკლავად მოდიან და გამოვეშურე შემეტყობინებინა. აგერ ცხენი როგორ მოვკალ, — გაიშვირა ცხენისკენ ხელი, რომელსაც წურწურით ოფლი გასდიოდა.

— ვინა? — იკითხა ჩიჩემა.

— რა ვიცი, მტერი ბევრი გყავს.

— სად გაიგე?

— მე თითონა ვნახე.

— სადა?

— ორ-გზით ქოხში.

— სადაურები არიან?

— მოხევეა... ერთია, მაგრამ ბევრად ღირს.

— ელაპარაკე?

— ვეჩხუბე.

— მერე.

— დავჭერ.

— დასჭერ, — დაფიქრდა სულთი, რადგანაც მოაგონდა, რომ ბექაის მარცხენა ხელი ჩამოკრული ჰქონდა.

— ჰო, დავჭერ... შენ გიპირებდნენ სიკვდილს და საით მოვითმენდი.

— ბექაი თუ არ იყო?

— მგონია, ის იყო.

— მგონია კი არა, ის იქნებოდა!

— ის იქნებოდა და დიდხანს ვეღარც გამოდგება.

სულთიმ დაუწყო ყურება.

— ცხენი, ცხენი... — გაიქნია ოსმა თავი, — ისე მოვკალ, რომ ვეღარც კი გამოდგება.

სულთიმ ვეღარ მოითმინა და მკლავში მაგრად წაავლო, ხელი.

— ცხენი კი არა, შენს თავზედ იწუხე, შენს თავზედ... შენ დასჭერ ჩემი ძმადნაფიცი და სისხლი დაგემართა.

ოსი ამ სიტყვებზედ შეკრთა, უკან დაიწია, მაგრამ სულთის მაგრად ეჭირა, პირველსავე დაქნევაზედ დედამიწაზედ დაანარცხა.

ის იყო სულთის ხანჯალი უნდა გაეყარა ბეჭებში, როდესაც ყვირილზედ მოცვივნულმა ხალხმა მკლავი დაუჭირა და თემურყო გაანთავისუფლა. თემურყო წამოდგა და გაყვითლებულის, შიშით დამახინჯებულის სახითგან ცივს ოფლს იწმენდდა.

ის ჯერ გონს ვერ მოსულიყო და ვერ მიმხვდარიყო, სულთი სიკვდილს რად უპირებდა?

ხალხი ელაპარაკებოდა სულთის, ამშვიდებდა, მაგრამ სულთი მხოლოდ ერთს გაიძახოდა:

— თემურყომ ძმა დამიჭრა, მაგას ჩემი სისხლი მართებს!

მოვიდნენ მოხუცებულები და გაიმართა შუაკაცობა. გადაწყვიტეს, ბჭეები აერჩიათ, რომელთაც მთის ხალხის ჩვეულებისამებრ უნდა მოერიგებინათ.

თემურყო ეხვეწებოდა — ეშველათ რამე, იმდაბლებდა თავს და სამსახურს ჰპირდებოდა. იმან კარგად იცოდა, რომ სულთი ისეთი მტერი გაიჩინა, რომელთანაც შეურიგებლად ყოფნა საფრთხილოც იყო და საშიშიც. მაშასადამე, მორიგება ყველაზედ მომეტებულად თემურყოს ეჭირვებოდა.

ჩქარა ამოირჩიეს მოხუც კაცებში ბჭეები და ეს ხელად შეთხზული მსაჯულნი, რომელთ სიტყვაც გადაუბრუნებლივ უნდა ასრულებულიყო, პატარა ველზედ გავიდნენ და დასხდნენ. ესენი თავიანთ ძალასაც გრძნობდნენ და თავიანთ მოვალეობაც კარგად ესმოდათ. იცოდნენ, რომ იმათ სიტყვაზედ იყო დამოკიდებული საზოგადოების წევრის მათის თემობიდგან გამოკლება, გაღარიბება და სამუდამოდ დაღუპვა. ამისთვის, რაც დამნაშავის გამართლებას დაეხმარებოდა, ყოველგვარ საშუალებას აძლევდნენ — წარმოედგინა; სწონავდნენ მის სიტყვებს, ათანხმებდნენ მოწმების ნალაპარაკევს და საფუძვლიანის სჯის შემდეგ წარმოსთქვამდნენ თავიანთ გადაწყვეტილებას.

თემურყოს ყველა ცუდ კაცად იცნობდა, მაგრამ — ეხლა მისი პირადის ზნეობით არავინ ხელმძღვანელობდა, თუმცა დამტკიცებულის დანაშაულისთვის არც არავინ იბრალებდა და მკაცრად სჯიდა.

სხვათა-შორის ბექიაც მოწმად იყო მოწვეული, მაგრამ რადგანაც ის თავის დაჭრას თემურყოს აბრალებდა, ერთი მსაჯული მიუბრუნდა და უთხრა:

— მოხევეები მთაში განთქმულნი არიან... იმათ ენაც ერთი აქვთ

და სიტყვაც, ისინი სიკვდილს ირჩევენ ტყუილის თქმას!.. მაშ გაფთხილდი, მოხევევ, თემურყოზედ გულმოსულობამ ტყუილი არ გათქმევინოს... ღმერთი დიდია, ის არა სჩანს, მაგრამ ყველას კი ჰხედავს, — გაათავა მოხუცმა.

— რაისთვი ვიმტყუნებ?.. თემურყოს ჩემი სისხლი მართებს და მე თავად გარდავუხდი, — უპასუხა მოხევემ.

ამ სიტყვების შემდეგ შეუდგნენ საქმის გარჩევას და ამისთვის ამორჩეულმა ბჭეებმა გამოჰკითხეს მოწმებს, სახალხოდ გამოიწვიეს ის პირები, ვინც თემურყოს ცხოვრებაზედ რაიმე იცოდნენ და ამგვარის სახალხო ჩვენებით ოსის ზნეობაზედ აზრი შეადგინეს. მერე ყველანი მოიშორეს. მარტო ბჭეები დარჩნენ და რამდენსამე ხანს შემდეგ დროშების წკრიალზედ ხალხი ისევ შექუჩდა. ხალხი მოელოდა გადაწყვეტილებას, რომელსაც უარის უთქმელად ყველანი უნდა დაჰყაბულებულიყვნენ, მიეღოთ, როგორც ღვთისგან შთაგონებული გადაწყვეტილება.

— ხალხო! — ბოლოს წინ წამოდგა ერთი მოხუცთაგანი: — თემურყო აღმოჩნდა დამნაშავედ... ის გამოდის მუდამ მთხრობელად და ფულის გულისთვის თავის მოძმეთ აძლევს მტერს ხელში... ფულის გულისთვის ჰგმობს პურმარილს, კარს, სახლს... არ დაუნდვია არც კაცი, არც ქალი, ოღონდაც თავის გაუმაძღარი თვალი დააკმაყოფილოს... იფარავს იმისთანა ქურდებს, რომელნიც ჩვენს მოკეთე მეზობელ ხალხსა ჰქურდავენ და, ბოლოს, ჩვენთან სტუმრად მოსულის მოხევის მოტყუებით, ღალატით და დიაცურად სიკვდილიც კი განიზრახა... იყოს წყეული თემურყო! — დაიძახა მოხუცმა და დააჟღრიალა დროშა, რომელმაც მსმენელთ ტანში ჟრუანტელი გაუტარა.

მოხუცის სიტყვების გათავებაზედ ერთბაშად. სამარის მსგავსი სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მხოლოდ ერთს წამს გასწია, თითქოს ხალხის გრძნობას წინ რაღაცა აღუდგა შეგუბებულს წადილს, მერე ერთბაშად მედგრად გამოხეთქა და გრგვინვასავით გაირბინა ხალხში.

— წყეული იყოს! — მოისმა საერთო ხმა, რომელმაც ყველას გული რაღაცა გრძნობით აავსო, აათრთოლა და ააცახცახა; თემურყოს მკვდრის ფერი ედო და ძლივს-ღა სუნთქავდა.

— დღევანდელ დღეს, მთელი ერის დასწრებით, წმიდა დროშების მოწმობით, ჩვენს თქვენგან არჩეულს ბჭეებს დამნაშავე შეგვირავს, თემურყო ჩვენმა ერობამ აღარც სახლში მიიღოს, აღარც პური მიაწოდოს, აღარც წყალი, აღარც ცეცხლი... აღარც შემწეობა მისცეს, თუნდ რა გაჭირვებაც უნდა ადგეს!.. დღეის იქით თემურყო შეიქნეს მთელის სხეულიდგან მოკვეთილი ნაწილი!.. ვინც ჩვენში გა-

ტეხოს თემის პირი, ვინც ჩვენში ამ გადაწყვეტილებას გადავიდეს, წყეული იყოს!

— იყოს, იყოს! — მოისმა კიდევ.

— სამანი! — დაიძახა იმავ მოხუცმა.

— სამანი, სამანი! — დაიძახა ხალხმა, მერე წამოავლეს ჯოხებს ხელი, რომლის წვერებიც დედამიწაზედ ერთს ადგილს მიიტანეს. ძალზედ ჯოხებზედ დაწოლით შემოტრიალდა ხალხი და ჯოხის წვერები ციბრუტივით წავიდა მიწაში, რომელიც თანდათან ორმოვდებოდა. თან მიწა ითხრებოდა და თან ხალხი იძახოდა: „წყეული იყოს, წყეული!“

როდესაც ორმო საკმაოდ მოაგანიერეს, რამდენიმე ბიჭმა მოიტანეს მაღალი გძელი ქვა, ჩასვეს ორმოში და მიწის მიყრით და წყევით გაამაგრეს.

როდესაც ამ სახალხოდ შეკვრასაც მორჩნენ, ისევ ის მოხუცი, რომელიც პირველში ლაპარაკობდა, მიუბრუნდა ოსს:

— თემურყო! დღევანდლამდის ჩვენი ქვეყანა შენთვის გულუხვი მასპინძელი იყო, ჩვენი მხრის ხალხი შენთვის თავგადადებული, მაგრამ დღეის შემდეგ ჯარიახში მცხოვრებლებისთვის მკვდარი ხარ, ყოველი საქმე შენთან მოსპობილი ექნებათ... სიცოცხლე გრჩება, მაგრამ ჩვენგან ნურარც პურს, ნურარც მარილს, ნურარც ცეცხლს ნუ მოელი... ჩვენი ვაჟკაცები მთაში ყველგან შეატყობინებენ ჩვენს გადაწყვეტილებას.

თემურყო იდგა გაფითრებული, თითქმის მკვდარი; ყურებში, თითქოს ზარებს ურეკავდნენ, გონების მდინარება შესწყვეტოდა და, ზარდაცემული, მთლად გაბრუებული, იდგა. ისა ჰხედავდა, რომ მის წინ რაღაცა ხალხი იდგა, რაღაცას იძროდა, ხმაურობდა, ჰხედავდა, რომ მის გარშემო რაღაცა საზარელი და მძიმე ასატანი გახდა, მაგრამ რა იყო, რა მოსდიოდა, თითონვე ანგარიში ვერ მიეცა.

— თემურყო, კმარა, წადი!.. მზის ჩასვლამდის ჩვენს მხარეში შენი ფეხი აღარ იყოს, თორემ ვინც შეგხვდება, ნადირსავით არ დაგინდობს, — უთხრა მოხუცმა, რომელმაც დროშა დაასვენა.

— თემურყო, არ გესმის?—გაუმეორა მოხუცმა, რომელიც ძირს ჩამოვიდა და მათრახის წვერით შეეხო, თითქოს ხელით მიკარებასაც აღარ ჰკადრულობდა. თემურყო შეკრთა, იქაურობას გონებადაფანტულმა მოავლო თვალი, გადაისვა შუბლზედ ხელი და დაბარბაცდა.

— წადი, გაგვშორდი!

თემურყომ ისევ შეიმაგრა თავი, და თვალებზედ თითქოს ცრემლები გაუბრწყინდა. კაცი ძნელად იტყოდა, ამ წამებში რასა

ჰგრძნობდა: ძნელად იტყოდა — ეს სინანულის შედეგი იყო, თუ იმ გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცის მდგომარეობა, რომელიც ხალხით სავსე ქვეყანაში ყველასაგან მოკვეთილია, ყველას მოშორებული.

ოსმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვისგანმე შეწყალებას ელოდა, მაგრამ ყველას პირისახეზედ მარტო ზიზღს და შეუბრალებელს გადაწყვეტილებას ჰხედავდა. იმან დაინახა, რომ აქ მისთვის ყველაფერი გადაწყვეტილიყო და ხალხის სურვილი უარის უთქმელად, გადაუბრუნებლად უნდა აღსრულებულიყო.

იმან დაიფარა პირზედ ხელი, გაბრუნდა თავის ცხენისკენ, დაბარბაცდა, შესდგა, კიდევ დაბარბაცდა და ძლივს ღონემოკრეფილმა ლასლასით თავის ცხენისკენ გასწია. რამდენსამე წუთს შემდეგ თემურყო მიაჭენებდა ცხენს, რომ, ვინ იცის, სად გადაკარგულიყო და მოშორებოდა ამ საქვეყნო სირცხვილს და თავის-მოჭრას. ხალხი კი დაიშალა, რადგანაც დღეობა გათავდა და ციციას მასპინძლებს ძვირფასი სტუმარი მიჰყვანდათ, რომ საყვარელს ბექიასთან შეერთებინათ, ქორწილი გადაეხადათ. მხოლოდ ქორღუყოს და მურთუზასლა მოელოდნენ, რადგანაც ამ უკანასკნელის დაჭერაზედ არა იცოდნენ-რა.

## XXIV

ქორღუყო კავკავში ჩასვლის უმალვე გავიდა ბაზარში და დაღონებულმა გასწია მგზავრთა სადგურად გამართულის დუქნებისკენ. ვერ მოასწრო რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, როდესაც ვიღაცა კაცი სალდათის შინელში გახვეული და ხმალ-ჩამოკიდებული წამოეწია.

ამან რამდენჯერმე აათვალიერ-ჩაათვალიერა მოხუცი, რამდენჯერმე გაიღიმა იმის დაძველებულს ტანისამოსზედ და თივით გატენილს ვეებერთელა ჩაფხატებზედ და დაღვრემილს პირისახეზედ. მოხუცი მის ფიქრებს ისე მოეცვათ, რომ მიახლოვებულს კაცს ვერ ამჩნევდა.

— შენ ეი! დაიცა! — დაუძახა უცნობმა, მაგრამ მოხუცმა ყური არ ათხოვა.

— არ გესმის, დაიცა-მეთქი! — გაიმეორა შინელიანმა კაცმა და წინ გადაუდგა.

ქორღუყო შესდგა და გაკვირვებულმა ყურება დაუწყო.

— რაი გინდა?

— ვინა ხარ?

— მოხევე.

— იარაღი რად გაკრავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმისთვი, რო მგზავრადა ვარ, მტერი მყავს.

— შენ არ იცი, რომ ქალაქში იარაღის ტარება აღკრძალულია?

— აჰუ! — გაუკვირდა მოხუცს: — ქალაქი და სოფელი რაი ბედენაა?.. იქნება მტერი ქალაქში შემხვდეს?

— კარგია, კარგია, ნუ ყბედობ! — მბძანებელის ხმით დაუყვირა შინელიანმა: — შემოიხსენ იარაღი!

— რაისთვი შემოვიხსნი, რას რატრატებ?!

— შემოიხსენ-მეთქი! — წასწვდა ხანჯალში უცნობი.

— გონით თუ არ გამოხველ?.. რაისთვი შემოვიხსნი? — არ დანებდა ქორღუყო. უცნობმა გადმოიტრიალა ხმალი და ქარქაშიანად რამდენჯერმე ძალზედ დაჰკრა.

— მაშ არ შემოიხსნი?

მოხუცი პირველში შეჰკრთა, დაიბნა და გაექცა; უცნობი კი ცემით მისდევდა და არ უსვენებდა.

ქორღუყოს ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის, ვერ წარმოედგინა, ვინაა, ან რისთვის სცარცვავს ამას შუადღისას შუა ქალაქში?..

ვაჭრები გამოცვივნულიყვნენ და ხარხარით შეჰყურებდნენ ამ სურათს; მოხუცს შერცხვა, რომ ერთს კაცს, რომელსაც მოეწადინა ასეთის უსამართლოს ძალის ხმარება, ექცეოდა; გაბრაზებული ერთბაშად შესდგა, წუთზედ გადმოიბრუნა თოფი და შესძახა:

— მეხსენ, ღვთის მადლმა, თორემ ეხლავ გაგაცივებ!

უცნობს ფერი ეცვალა; შესდგა და ხელები ჩამოუცვივდა. ხალხმა მეტად დაიწყო ხარხარი და მოხუცი კი გაბრუნდა დუქანში შესასვლელად. ამ ხანში შინელიანი გონს მოვიდა, რაღაცა გინება და მუქარა წაიდუდღუნა და უბიდგან კალის პატარა სტვირი ამოიღო, რომელშიაც ძალზედ ჩაბერა. გაისმა უსიამოვნო სტვენა, რომელიც ჰაერში ჟღრიალით გაიფანტა. რამდენსამე წუთს უკან იმას მოსცეს ამავე გვარის სტვირებით ხმა და კიდევ ორიოდ წუთს უკან რამდენიმე კაცი, უცნობსავით ჩაცმულნი, ქორღუყოს გარს შემოეხვივნენ, დაიჰირეს და დაუწყეს უწყალოდ ცემა.

წეღან მოხარხარე ხალხში სიცილი ერთბაშად შესწყდა და ჯგუფ-ჯგუფად მიეხვივნენ მოჩხუბართ.

— მოჰკლეს, მოჰკლეს!.. რათა სცემთ, რათა? — იძახდა ხალხი, მღელვარებდა, მაგრამ ახლო კი ვერ მიჰკარებოდა, რადგანაც შინელიანები მშვიდობიანობის დამცველნი იყვნენ.

ქორღუყოს თავ-პირიდგან თქრიალით სისხლი ჩამოსდიოდა და ამ დროს ხელებს ძალზედ უკრავდნენ, რომ ბრიყვს და მოუსვენარს მოხევეს თავის საკუთრების დაცვა ველარ გაებედნა.

მოხუცმა სევდიანი თვალი მოავლო იქაურობას, შეჰხედა იქ მყოფს ხალხს და მწუხარედ, გულდაწყვეტილად წამოიძახა:

— რაისთვი მკვლენ, ხალხი არა ხართ? სამართალი აღარაა?.. აჰუ, თქვენს ნამუსს!..

ეს სიტყვები ქორღუყოს მუჯლუგუნის წაკვრამ გააწყვეტინა. ის გაიგდეს წინ, რომ სამსჯავროში წარედგინათ, როგორც ფრიად დიდი ავაზაკი, მშვიდობიანობის დამრღვევი და მმართველთა წინააღმდეგობის გამწევი.

ქორღუყოს აჰყარეს იარაღი და შეაგდეს სატუსაღოში, სადაც სამი დღე უჭმელ-უსმელი დამწყვდეული ჰყავნდათ, რადგანაც იმ ხანში ძაუგში ვიღაც „ამ ქვეყნიური ძალა“ მოსულიყო და მთელი იმ ადგილების მმართველები ორომტრიალში იყვნენ, რომ თავიანთი ცოდოები — უწმინდური ქალაქი გაესუფთავებინათ და ყველა მომღიმარის სახით დახვედროდა.

რასაკვირველია, ამ ყოფაში მყოფს მმართველებს ქორღუყოსათვის არა სცალოდათ, და ეს კი გულის კვნესით იგონებდა თავის ქალის განსაცდელს, რომელსაც იმის აზრით, ვინ იცის, რა დამცირებას აყენებდნენ.

პირველსავე დღეს დამწყვდევის შემდეგ ქორღუყო აიტანა სიბრაზემ, და გაანჩხლებულმა აღარ იცოდა, რა ექნა. აქეთ-იქით აწყდებოდა, ყვიროდა, თავს კედელს ახეთქებდა, მაგრამ ყურს არავინ უგდებდა გარდა იმ სალდათებისა, რომელთაც საპყრობილესთან გავლა მოუხდებოდათ და შეგინებით მოხუცს გაჩუმებას უპირობდნენ.

მოხუცი მოიღალა, დასუსტდა ამოდენის წყვეტებით და სულიერი ბრძოლით; იმას მოერია შიმშილი და, როდესაც მესამე დღეს მის გამოსაყვანად შევიდნენ, ქორღუყო ნახეს კარებთან წაქცეული, რომელიც მძიმედ ქშინავდა, სახე წამოსჭარხლებოდა და ხანდისხან მწარედ კვნესოდა.

თუმცა იმას გონება დაჰკარგოდა, მაგრამ ხანდისხან სახის დაღმეჭა აშკარად ამტკიცებდა, რომ წარმოუთქმელს ტკივილებსა გრძნობდა.

მოხუცი ეგდო და ხანდისხან ხელების წყვეტით ახსენებდა ციციას, ბეჟიას და სულთის სახელს, შეშინებული წამოიძახებდა რომელიმე მტარვალის სახელს, რომელიც, უეჭველია, საძაგელის, უსინიდისოს და უსამართლოს საქციელით თვალ-წინ ეხატებოდა.

მოხუცის მდგომარეობა უფროსს შეატყობინეს, უთხრეს, რომ ქორღუყო ბევრს ვეღარ გასძლებსო და სხვა.

უფროსმა თავი მოიფხანა და უზრუნველად წარმოსთქვა: „ეშმაკ-

მა წაიღოს!“ მოითხოვა ქაღალდები, რომელიც მოხუცს ზედა ჰქონდა, მაგრამ რომელიც სატუსაღოში სახარჯო ფულებთან ერთად გამქრალიყო, ჩაიქნია ხელი და ისევ გაიმეორა: „ეშმაკმა წაიღოს“! მერე მიუბრუნდა იქავ სტოლთან მჯდომ ოთხად-მოკეცილს მოხუცს მწერალს, რომელსაც ფერი ზაფრანად შეჰქნოდა და უთხრა:

— დაუწერეთ ქაღალდი, რომ სავადმყოფოში გაგზავნონ და საქმეში კი დანიშნეთ, რომ უცნობი მოხუცი, რომლის წოდებაც ვერ შევიტყვეთ, რადგანაც თითონ არც სახელი და არც გვარი არ დაასახელა და ზედ კი არავითარი ქაღალდი არ ჰქონია, იმყოფებოდა ვლადიკავკაზის პოლიციაში, საიდგანაც სავადმყოფოში გაიგზავნა, რადგანაც სიგიჟის ნიშნები ეტყობოდა.

— იარაღს რაღა უყოთ? — ჰკითხა მწერალმა.

— რა იარაღს?

— აი,—გამოსწია მწერალმა სტოლის უჯრა და დაუმატა:—ვერცხლის ქამარი, ვერცხლით მოჭედილი ხანჯალი, ვერცხლისავე სასწრაფო.

უფროსმა გადაათვალიერა იარაღი და უბძანა იქვე მყოფს პოლიციელს, რომელსაც იარაღზედ მიუთითა და უთხრა:

— ესენი ჩემს სახლში წაიღე.

მოსამსახურემ სწრაფად აასრულა ბძანება და უფროსი კი შტვენით გაბრუნდა.

— მაშ იარაღისას რას მიბძანებ? — გაიმეორა მწერალმა.

— ჰაა?! — ერთბაშად წამოუტრიალდა უფროსი და თვალები დაუბრიალა.

მწერალი შეკრთა; ისეც წელში მოხრილი, მომეტებულად მოიკუნტა და თავდახრილმა მღელვარებით წარმოსთქვა:

— იმას მოგახსენებთ, იარაღისას რას მიბძანებთ?

— რა იარაღისას? — მკაცრად იკითხა უფროსმა და ხმაში წყენა დაეტყო.

— მოხუცის იარაღისას, ბატონო!

— ახლა მაგაზედ გამართეთ მიწერ-მოწერა!.. ჩასწერეთ, რომ მოხუცი ქუჩაზედ უგრძნობლად იპოვეს და არავითარი იარაღი ზედ არა ჰქონია... გაიგე? — მიუბრუნდა მწერალს, რომელიც გაშტერებული შეჰყურებდა.

— დიაღ, დიაღ, გავიგე, — თავის დაკვრით მისცა პასუხი.

უფროსმა გაიარა კარი, ჩაჯდა ფაიტონში და, ვინ იცის, საითკენ გაუტია, მწერალი კი ჩაუჯდა თავის ქაღალდებს, რომ სისწრაფით და გადაუბრუნებლად ქაღალდზედ გამოეყვანა თავისი ბრძანებელის სურვილი.

## XXV

ქორღუყოს ავადმყოფობა გაუძნელდა, რადგანაც არც მოვლა და არც წამლობა წესიერი არა ჰქონდა, რა სავადმყოფოს მოწამლული ჰაერი კი არამცთუ მობრუნებას არა შველოდა, არამედ დღითი-დღე უფრო-და-უფრო ასუსტებდა.

ბეჟია და სულთი მოუთმენლად მოელოდნენ მურთუზას და ქორღუყოს, რომელთ მოუსვლელობაც ქორწილს აბრკოლებდა.

იმათ ვერ აეხსნათ მოხუცის ასე დაგვიანება, რადგანაც არ იცოდნენ არც იმის დაჭერა და არც ავადმყოფობა.

გაიარა მთელმა კვირამ ამ მოუსვენარს მოლოდინში, მაგრამ მოხუცისა იმათ ვერა გაიგეს-რა და ამისათვის გადასწყვიტეს ქორწილი უმათოდ გადაეხადათ და ჯვარი კი მაშინ დაეწერათ, როდესაც მოხევე და ციცია შინ დაბრუნდებოდნენ.

როგორცა სთქვეს, ისეც მოახერხეს. დაინიშნა ქორწილის დღე, მასპინძლებმა დახოცეს საკლავები, მოიპატიჟეს სტუმრები, და მეფე-პატარძალი შეაუღლეს მოხუცთ უბრალო ლოცვით.

ყველანი მხიარულობდნენ, მღეროდნენ, თამაშობდნენ და ერთმანერთს ეხუმრებოდნენ.

სულთიც სხვათა შორის, მღერობდა და თამაშობდა, მხიარულებდა და სვამდა, მაგრამ თუ თვალყურს გაადევნებდით, ადვილად დარწმუნდებოდით, რომ ეს ყველა თვალთათვის ხდებოდა, მარტო სხვების მოსატყუებლად, რადგანაც მის სახეს ხანდისხან მხიარულობის ფარდა აეხდებოდა და მის მაგიერ მჭმუნვარება გარდაეკროდა, გულიდგან მწარე კვნესა აღმოხდებოდა. მთლად გაფითრებული შეხედავდა ციციას მხიარულს, დარცხვენილს სახეს, უთრთოლდებოდა ტუჩები და თვალებში ისეთი სევდა გამოეხატებოდა, ისეთი, რომ კაცს გულს გაუძეძგავდა.

მაგრამ სულთის სულიერი ძალა იქამდის ძრიელი ჰქონდა, რომ, გრძნობისგან დამონებული, ისევ საჩქაროდ შეიმაგრებდა თავს, შეაყენებდა მის უნებლივ აღძრულს და ათრთოლებულს გულს და ყველაზედ მეტს მღერას, თამაშობას და მამაცურს ჰყივილს ასტეხდა.

ასე გაატარეს მთელი ღამე და მოაღწია იმ ჟამმაც, როდესაც ბეჟია და ციცია უნდა გამოსალმებოდნენ თავიანთ გულუხვს მასპინძელს, რომელიც სტუმრის დახვედრას რაღაცა საღმრთო მოვალეობად უყურებდა.

ქალი ჩასვეს წინადვე ჩარდაღით გადახურულს ურემში, სადაც ჩაუგეს გობნები, ბალიშები და ჩაულაგეს ის საჩუქრები, რომელნიც ჩენის ქალებს პატარძლისათვის მიეცათ. გვერდს მოუყენეს მისთ

ძმადნაფიცი სულთი და გამოისტუმრეს. ბეჟიას კი სასოფლოდ მორთვეს შეკაზმული ცხენი, მოუდგნენ ძმა-ბიჭები გვერდს და სიმღერით გაჰყვნენ უკან.

გაუპოხავი ურემი ჭრიჭინით მოგორავდა ვიწრო და უსწორმასწორო გზაზედ და მთაში დაჩვეული ფეხმაგარი ხარები კი სიფრთხილით მიდიოდნენ, რომ ურმის თვალი კლდის ნაპირს სადმე არ გადასცდენოდა.

სულთი დაღვრემილი, შეწუხებული მისდევდა ხარებს და მწარედ ეხატებოდა გაყრის სურათი, რომელიც თერგთან მიახლოვების უმალ უნდა მომხდარიყო...

იმას კარგად ესმოდა, რა ძნელი გამოსაცდელი ცხოვრებაც მიერგო, ესმოდა რა უბედურიც შეიქნებოდა ციციასთან დაშორების შემდეგ, მაგრამ სულთი მთიელი იყო, ბავშობიდგანვე გმირული ქცევა ყურში ჩაწვეთებული ჰქონდა და მისი ღალატი არ ესმოდა, ვერც კი წარმოედგინა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო.

იმას უნდოდა ციციასთან დალაპარაკება, მისი ხმის გაგონება მთიელისთვის მთელი სამოთხე იყო, მაგრამ თითქოს პირზედ კლიტედადებულს სიტყვა ვერ მოეხერხებინა... რამდენადაც ლაპარაკი სურდა, იმდენად სიტყვა უწყდებოდა და სურვილი მწარეს ბოლმად გულს აწვებოდა, ეხვეოდა, როგორც გველი, და რკინის თალებსავით ძალზედ უჭერდა.

ციციაც გაუნძრევლად იჯდა და თავის ძმად-ნაფიცს აშკარად ამცნევდა უბედურებას. ისიც ითნებოდა სურვილით — ხმა გაეცა, ენუგეშებინა ჩეჩენი, რადგანაც ეს იმის ვალი იყო, როგორც მისი დისა, მაგრამ რა ეთქვა, რითი დაეყვავებინა, როდესაც აშკარად ხედავდა, რომ სულთის გულის მოძრაობა სრულიადაც და-ძმური არ იყო.

— სულთი, რაისთვი არას მეტყვი? — ძლივს დაიწყო ქალმა.

— აბა რაი გითხრა ბედ-შავმა? — უპასუხა ჩეჩენმა.

— ხვალ დილით ერთურთს გავშორდებით, — დაიწყო ქალმა და სიტყვა გაუწყდა, რადგანაც აღარ იცოდა, რითი უნდა გაეგრძელებინა.

— ეგ მე თავადაც ვიცი, — მიუგო პასუხი მთიელმა და დაღონდა.

— როდის მოხვალ ჩვენსა? — ცოტა სიჩუმის შემდეგ ისევ ციციამ დაიწყო.

— არც როდის.

— რაისთვი არა, ბიჭავ?!

სულთიმ დაღონებით შეხედა, თვალებში თითქოს ცრემლი წამოერია და წყნარად, თუმცა გარკვევით, უპასუხა:

— იმისთვის, რო მიყორხარ.

ციცია შეკრთა, შეეშინდა და გაჩუმდა.

— გაიგე? — იმავე ხმით იკითხა სულთიმ და ხარებს შოლტი გადაჰკრა, თითქოს გული ამითი უნდოდა მოეფხანა.

ჩამოვარდა ისევ სიჩუმე, თუმცა იქ მყოფების გულები კი ჩუმად არ იყვნენ და ძალზედ ფართხალებდნენ, თუმცა მათი ფართხალის მიზეზი სრულიად სხვადასხვა იყო.

არ გაიარა რამდენიმე ხანმა, როდესაც მაყრიონი წამოეწივა სულთის, უთხრეს, რომ ურემი აეჩქარებინა და, რადგანაც ბინდდებოდა, ხარები თერგის პირს გამოეშვა, სადაც ღამე უნდა გაეტარებინათ და მეორე დღეს ცოლ-ქმარი მარტონი უნდა გაესტუმრებინათ, რადგანაც იმ ხანში თერგს გაღმა გასვლა ქისტებს უხათაბალოდ ვერ ასცდებოდა და ამისთვის ბეჟიასთან აშკარად და საქვეყნოდ სიარული არ შეეძლოთ.

## XXVI

ბინა თერგის პირს მშვენიერს ვაკეს მინდორზედ ამოერჩიათ და გაჩაღებულს ცეცხლს გარშემო შემოსხდომოდნენ. ყოველთვის მხიარული ყმაწვილი ხალხი ლაქლანდარობით დროს ატარებდა და სიცილით ერთმანერთს სხვადასხვა ამბავს უამბობდა. მარტო სულთი არ ეკარებოდა იმათ და ყოველს წუთს რომელსამე საქმეს იმიზეზებდა, რათა მხიარულებას მოშორებოდა, მაგრამ დანარჩენები არ უსვენებდნენ, წამდაუწუმ ეძახდნენ და გამხიარულებულნი ვერ ითმენდნენ დაღონებულის ცქერას.

სულთი დადიოდა დაღვრემილი და გუნებაში ლანძღავდა იმათ, ვინც თავს არ ანებებდა, რომ თავის გულის მოძრაობას დაჰკვირვებოდა, გამარტოებულს მოეფიქრა, შემდეგში რა რიგად მოქცეულიყო.

ჩქენმა ვეღარ გასძლო ბედნიერებთან ახლოობა და ამისთვის ცხენები და ხარები დაირეკა და შორის საძოვრად გარეკა.

რა წამს თავი გამარტოებულად დაინახა, თავისუფლად ამოისუნთქა და სიხარულით ქვაზედ ჩამოჯდა. იმას ეგონა, რომ შეიძლებდა ფიქრების მოშორებას, მაგრამ ამაოდ ცდილობდა სხვა საგანს დაჰკვირვებოდა, რადგანაც განუწყვეტლივ ციცია ეხატებოდა თვალ-წინ, გული იმასთან შაერთებას ითხოვდა და რაღაცა შურის მსგავსი გრძნობა უნებურად ათქმევინებდა:

— ბეჟია ბედნიერი რად არის, როდესაც მე არა ვარ?.. რაისთვი შემიყვარდა ციცია, განა საქალეთი მაგაზედ ჩამოწყდა?..

ამბობდა, ლაპარაკობდა, ფიქრობდა, ყოველს ღონისძიებას ხმარობდა დაემტკიცებინა თავის თავისთვის, რომ ციცია უნდა გადაე-

ვიწყა, მაგრამ მისი სახე მაცდურად უღიმოდა, იწვევდა, უალერსებდა და იზიდავდა.

ერთბაშად იმას რაღაცა აზრმა გაურბინა, გადისვა შეჭმუხვნილს შუბლზედ ხელი და ერთის ცხენისკენ წავიდა.

— უნდა გავიქცე, მოვშორდე, თორემ ველარ შევძლებ, — წამოიძახა იმან, მაგრამ ის იყო ცხენს ხელი გაავლო, როდესაც მოესმა:

— სულთი, ბინაში გეძახიან.

ჩეჩენი შეკრთა და ცხენის ფაფარი ხელიდგან გაუშვა.

— ვინ მეძახის?

— ციცია.

— ციცია? — წარმოსთქვა იმან და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — რაისთვი?

— აბა რაი ვიცი?

სულთი ისევ გაჩუმდა, დაფიქრდა, მერე აიქნია თავი და გულში გაურბინა სიტყვებმა:

— მინდოდა გავქცეოდი, თავად დამაყენა... დეე მოხდეს, რაც მოხდება!

ამ სიტყვებზედ იმან ჩამოიფხატა ქუდი, შეიჭმუხნა წარბები და ბინისკენ გასწია.

მოქეიფეებთან სულთი სწორედ იმ დროს მივიდა, როდესაც ბექიას სავსე წიწანა შინაურის არაყით ტუჩებთან მიეტანა და ის იყო დაცლას აპირებდა.

— მოხვედ და მოსვლა გვიამა, დანახვა შენის სახისა, — მოსვლის უმალ ბექიამ ჩეჩენს შესძახა, წამოუდგა ფეხზედ და თასი მიაწოდა.

ჩეჩენმა დაღონებით შეხედა გამხიარულებულს მოხევეს და ერთბაშად აინთო, თვალები გაუბრწყინდა.

სულთიმ გაუშვირა ხელი, რომელიც ძალზედ უცახცახებდა, გამოართვა თასი და დასალევად ტუჩებთან მიიტანა. ამ დროს შეჰკრა თვალი ციციას, რომელიც თითქოს საყვედურით მისჩერებოდა, და ჩეჩენმა რაღაცა უცნაური ძალა იგრძნო, რომელმაც ჟრუანტელივით გაურბინა ტანში და მწვავად აგრძნობინა თავის ძალა. იმან საჩქაროდ გადაჰკრა სასმელი, ჩოხის სახელით მოიწმინდა ტუჩები და იმ სახით შეხედა ციციას, თითქოს ეუბნებოდა: „რა გენაღვლება — დავლიო, სასმელი გულსა მწვავს, გრძნობას მიბრუებს“.

ყველა ცდილობდა გამხიარულებას, სიმღერას, ოხუნჯობას, მაგრამ, როგორც ხანდისხან მოხდება ხოლმე, ეხლა არა ხერხდებოდა-რა და საერთო სიმხიარულე ვერ ჩამოვარდნილიყო, ყველა იქ მყოფი დაიწყებდა თუ არა სიცილს, ერთბაშად შეუწყდებოდა; დაიწყებდა

ლაპარაკს — ბოლომდის ვერ მიაღწევდა; დაიწყებდა ოხუნჯობას და როგორღაც უმადლოდ, უმარილოდ გარდაექცეოდა.

თითქოს ყველა რაღაცა უბედურებას, უსიამოვნო შემთხვევას მოელოდა.

ცოტა ხანმაც გაიარა, ციცია წამოდგა და ურმისაკენ წავიდა. იმას მეტისმეტად მოსწყინდა ამგვარი სურათი, მეტად გული გადაელია და სულთის საბრალო მდგომარეობას ვეღარ გაუძლო. ქორწილის შემდეგ ჯერ სამს დღეს არ გაევლო და იქაურის ჩვეულებით პატარძალთან ქმარი ჯერ ვერ დარჩებოდა და იმაზედ ზრუნვა ძმის, ანუ, უკეთა ვსთქვათ, ძმობილის მოვალეობა იყო. ამისთვის სულთიც ცოტა ხანს შემდეგ წამოდგა და ურმისკენ წავიდა, დანარჩენები კი იქავ ცეცხლის პირს წამოწვნენ, თავიანთ ნაბდებში მაგრად შეხვეულნი, ცოტა ლაპარაკის შემდეგ მალე ხვრინვა ამოუშვეს.

ციციასაც მისძინებოდა თავის ურემში, რადგანაც გზას და ათასგვარ ფიქრებს მეტად დაექანცა, და ღონემოკლებულს სხეულს მოსვენება ეპირვებოდა.

არ ეძინა მარტო სულთის, რომელიც აჩრდილსავით დაეხეტებოდა ურმის გარშემო, მღელვარებდა, ჰფიქრობდა და განუწყვეტელის ოხვრით ღამის მშვიდობიანობას არღვევდა.

ის მალ-მალ გახედავდა თერგის თეთრს ზოლს, რომელიც გველსავით იკლაკნებოდა და რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ იმის და ციციას შუა უნდა ჩამდგარიყო.

ჩეჩენი რამდენჯერმე მივიდოდა ურემთან, ახდიდა ფარდაგს და უნდოდა სატრფოს, რომელსაც სამუდამოდ შორდებოდა, უკანასკნელად დალაპარაკებოდა, უკანასკნელად გაეგონა თავის მტანჯველი და დამატკბობელი ხმა, მაგრამ ქალს ისე ტკბილად ეძინა, ისეთი ანგელოზი სახე მოჩანდა მთვარის შუქზედ, რომ სიამოვნების დარღვევა ვერ გაებედა. სულთი გაშმაგებით ჩასცქეროდა სანატრელს სურათს და თვალი ვერ მოეშორებინა. ისა სტკბებოდა, ითვრებოდა ქალის ცქერით, გადაეიწყებოდა მთელი ქვეყანა, თავისი მწუხარება, მომავალი და სრულს ბედნიერებას-ღა გრძნობდა.

ერთბაშად ქალი შეინძრა, ნაზი ტუჩები კმაყოფილების ღიმილით გაეხსნა, თითქოს სატრფოს კოცნას ელოდნენ. ჩეჩნის მხურვალე ბუნებას მარტო ეს ღა ეპირვებოდა, რომ დამთვრალს, გონებამიხდილს, გაბრუებულს მუხლები ჩაჰკეცოდა და ალგზნებულის ტუჩებით ციციას ტუჩებს შესწებებოდა.

ქალმა გაახილა თვალები, იგრძნო სულთის სახე, რომელიც მას დაჰკონებოდა და საჩქაროდ წამოვარდა. ხელის მიშველებით მოიშორა კაცი და წყნარად წარმოსთქვა:

— აჰუ!.. ფიცს უღალატე!..

სულთი უკან მიაწყდა, თითქოს ლონივრად რაღაცა დაეკრათ და დარეტიანებულიყო, დაბარბაცდა, გადისვა შუბლზედ ხელი. ჯერედ კიდევ გონს არ მოსულიყო, რომ წამოიძახა:

— რაი ვქენ, რაი დამიშავებია?!. — მაგრამ მაშინვე გონს მოვიდა და დაუმატა: — ჰო, მართალი ხარ!.. ტყუილი კაცს შეარცხვენს... თავი ვეღარ შევიკავე, სირცხვილია ქუდოსნისთვის...

აქ სულთი შესდგა, რადგანაც ძალზედ აძგერებული გული და მეტად აჩქარებული ქშენა თითქმის აღრჩობდა და სიტყვას უწყვეტავდა.

— მაგრამ რაი ვქნა, რაი ჩემი ბრალია?.. რაისთვის ხარ ეგეთი ლამაზი! — ციცია უყურებდა გაშტერებით, სიბრალულით; ისა ხედავდა გაშმაგებულს ლომს, რომელსაც მძვინვარება ვეღარ შეეყენებინა, ვეღარ დაემორჩილებინა.

— რაი გიყო, რაი ვქნა? — ხელების მტვრევით და დაფანტვით წამოიძახა ციციამ.

— რაი უნდა ჰქნა? — მწარედ წარმოსთქვა ჩეჩენმა: — განა ვითხოვ რასმე?! რაი შენი ბრალია, რომ ამ იღბლით დავიბადე, ამისთანა ვარსკვლავზედ გავჩნდი?! არა, ღვთის მადლმა, არც ვისი ბრალი არაა... ბედნიერად იმისთვის გაჩენილხარ, რომ შენით მე უბედური შევიქნე.

— ყური მომიგდე-და, ბიჭავ!.. — დაიწყო ციციამ და ხმაში კანკალი დაეტყო: — რაიც არ იქნების, იმის დავიწყება სჯობია...

— დავიწყება?.. არა, ღვთის მადლმა, აგრე არაა!.. რაიც არ იქნების — ნუ იქნების და შენს თავს სამარის მეტი ვერც ვინ ვერ დამავიწყებს... წავალ, მოგშორდები, მაგრამ შენს სახეს კი გულში ვატარებ... მაგასაც ხომ ვერვინ დამიშლის?.. მშვიდობით, დაუ!.. ხომ და ხარ ჩემი?

— ჰაი, ჰაი, რო ვარ, მაგრამ რას აპირობ?

— ღვთის მადლმა, მეც არ ვიცი!

— სად მიხვალ, ის მაინც მითხარ.

— დუნია დიდია!..

— რაისთვი ჩვენთან არ წამოხვალ?

— იმად, რომ შენ ვეღარ გიცქერ. მშვიდობით... მშვიდობით, დაუ! — დაუმატა ბოლოს, ჩაიკრა ერთს წუთს გულში და ღამის სივრცეში მოჩვენებასავით განქრა.

მთელი ღამე ციციამ მოუსვენრად გაატარა, რადგანაც სულთის უბედურებასა ჰგრძნობდა და იმის მომავალი ათასგვარს სამწუხარო სურათად ეხატებოდა.

ალიონის აწევასთან ერთად გამოიღვიძეს კაცებმაც და შეიტყეს სულთის წასვლა, რომელმაც საკმაოდ გააკვირვა იმის ამხანაგები.

პირველი გამოკითხვის შემდეგ იმათ შეაბეს ხარები, გამოესალმ-ნენ ბეჟიას და ციციას და „შეშიბზეს“ დალევის შემდეგ განშორდნენ. ბეჟია გაემართა ხევისკენ, და ჯარიახლებმა კი თავის მთებისკენ გას-წიეს.

## XXVII

ბეჟიამ სოფელში მისვლის უმალ შეიტყო ციციას მამის წასვლა და ნათესაობის რჩევით ჯერ ჯვარი დაიწერა, ცოლი დააბინავა და მერე ქორღუყოს საძებნელად ძაუგს გასწია.

იქ კარგა ძებნის შემდეგ შეიტყო, რომ მოხუცი რაღაცა უსია-მოვნობის გამო დაეჭირათ, მაგრამ ამის შემდეგ რა შემთხვეოდა, კარგა ხანს ვერ გაიგო.

დაიყენა „თოლმაჯი“, რომელიც ვექილობასაც უწევდა და, რად-განაც ბეჟია კარგს მსუქანს ლუკმად მიაჩნდა, მოხუცის ძებნის მა-გიერ ვექილი მოხევის ცარცვას და გზიდგან გადაგდებას და საქმეე-ბის აწეწას შეუდგა.

ქორღუყო ძებნაში თითქმის მთელმა თვემ გაიარა. მაგრამ ბე-ჟიას ჯერ ვერა გაეგო რა და ფული კი საკმაოდ მიეფლანგა.

ერთს დღეს მოხევე ბაზარში დაღონებული დადიოდა, როდესაც ვიღამაც ხელი გაავლო და დაუძახა:

— აჰუ, ბეჟიავ! შენს სოფლელებსაც ვეღარ სცნობ?..

ბეჟიამ მიიხედა და დაინახა ერთი ხანში შესული დედაკაცი, რო-მელსაც ზურგზედ რაღაცა ბოხჩა ეკიდა.

— აჰუ, მახიაი!.. აქ რას აკეთებ?

— სიბედშავესა, — მხრების აწევით უპასუხა დედაკაცმა.

— არა, ღვთის მადლს, მითხარი.

— რაი გითხრა?.. სიღარიბემ შემაწუხა და ბალღები ძაუგში გა-საკვებად ჩამოვრეკე... „ბალნიცაში“ სარეცხსა ვრეცხავ და, ღმერთ-მა უშველოსთ, ორორ გროშს შრომის ფასს მაძლევენ.

— ბეჩაო ჩემო თავო, მთელს როტაში რაღამ შეგიყვანა?.. საქმე ცხოგან ველარ იშოვე?

— აჰუ, ჩემო ყველავ!.. რაღა საქმეს ვიშოვნიდი?.. გზაზედ სა-მუშაოდ ვერ დავდგებოდი და ცხო საქმე კი ჩვენში არაა...

— შენი ქმარი სადღაა?

— ზოვმა ჩაიტანა.

— ო-ო, ბედშავი!.. მეწყინა, უფალს არ მოეტყუების, მეწყინა...

— დამირჩა შენი თავი!.. აბა რაში გიამებოდა, ჩემო ყველავ!.. ორანი ცხორანი მყვანდა, ისიც იმის სამარხად მომინდა, ერთა ძრო-ხაი მყვანდა, ისიც ჭირმა მომიკლა და დავრჩი ცარიელი!.. ღმერთი

ხომ ნიადაგ საწყალ კაცზედ გაიმარჯვებს... — დაჩაგრულის ხმით გაათავა მოხევის დედაკაცმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა.— სულ არ დამავიწყდა... ბედშავი ქორღუყო.

— რაი ქორღუყო? — მოუთმენლად გააწყვეტინა ბეჟიამ.

— არ იცი?.. ავადაა და აქ სავადმყოფოში წევს.

— სავადმყოფოში?!

— ჰო... არცავინ პატრონი იმისთვის, არც მომკითხავი.

ისე მოულოდნელი იყო ბეჟიასთვის ეს სიტყვები, რომ სიტყვა ველარ მოეხერხებინა. მერე ერთბაშად გაავლო დედაკაცს ხელი და გასწია.

— წავიდეთ, წავიდეთ, ღვთის გულისთვის, ჩქარა წავიდეთ... მიჩვენე.

## XXVIII

კარგა წვალების შემდეგ ბეჟიას ძლივს ეღირსა ქორღუყოს ნახვა, რომელიც ისე დასუსტებულიყო, რომ განძრევის თავი აღარა ჰქონდა.

პირველსავე შესვლაზედ, მოხუცმა სიხარულით ხელები გაიშვირა, ჩაცვივნული და სიცოცხლეს მოკლებული თვალები გაუბრწყინდა და სიხარულით წამოიძახა:

— ბეჟია!

მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა, შეიჭმუხნა შუბლი და მწყემსს ჩაციებით ცქერა დაუწყო, თითქოს ანგარიშსა ჰკითხავდა, ციციას უბედურების გაგონებას მოელოდა.

ამ ცოტა ხანში მოხუცი ისე გამოცვლილიყო, ისე დასჭკნობოდა ჯერედ კარგადმყოფი სახე და ფერი ისე დაჰკარგოდა, რომ ბეჟია გაშტერებული ხმა-ამოუღებელი კარებში გახევებულსავით დარჩა.

მოხუცმა ეს სიჩუმე თავის ნაშობის უბედურებად ჩასთვალა და გულჩვილობა უნდოდა დაემალა, თუმცა შეწუხებულს მშობლის გულს თვალებში მორეული ცრემლები ამხელდა.

ქორღუყომ რამდენჯერმე საკითხავად პირი გააღო, მაგრამ ხმის ამოღების მოახლოვებასთან ერთად გულის დუღილი უძლიერდებოდა და ცრემლად დაღვრას ლამობდა. ამისთვის შესწყვეტდა ხოლმე ლაპარაკს, პირს დაუწყებდა ცმაცუნს და აშკარად ეტყობოდა, რომ ტუჩების ძალზედ მოკუმასთან ერთად ცრემლებსა ჰყლაპავდა.

— რაი მოგსვლია?! — ბეჟია პირველი მოვიდა გონსა.

— ავად ვიყავ — იმედგადაწყვეტით უთხრა მოხუცმა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, სვენებით, დაუმატა: — რაისთვი ხარ ყუჩად, რად

არას მეუბნები? თუ გგონია — ავის გაგონებას გულ ველარ აიტანს?! ნუ შიშობ... სთქვი... ზღვაში წვეთი რაი იქნების?

— რას უბნობ, ღვთის მადლსა! — მიაშურა ბეჟიამ: — ციცია კარგადა, ნამუსიანად...

— რაი? — წამოიწია მოხუცმა და მთლად სმენად გადაქცეული მთრთოლარე ხელს დაებჯინა.

მოხუცს გაგონილი არა სჯეროდა და ეგონა სმენა ღალატობდა.

— შინაა-მეთქი... ნამუსიანი დაბრუნდა...

— ნამუსიანი? — გაკვირვებით წამოიძახა მოხუცმა და რაღაცა აზრებისგან გატაცებულმა დაუმატა: — სულთი...

— სულთი, სულთი ძმად გაეფიცა...

— ძმად გაეფიცა?! — დაფანტვითვე წარმოსთქვა მოხუცმა და მხოლოდ რამდენიმე ხანს შემდეგ მიხვდა სასიხარულო სიტყვების მნიშვნელობას.

მოხუცი წამოვარდა, გიჟსავით მოეხვია სასიხარულო ხმის მომტანს და დაუწყო კოცნა და ხვევნა.

ამ აღტაცებულს მდგომარეობაში ისიც შეიტყო, რომ ბეჟია უკვე მისი სიძე შექმნილიყო, და მოხუცი თითქმის გაგიჟდა.

დასუსტებული მოხუცი, რომელსაც მღელვარებამ ძლიერად გაულევიძა ძალ-ღონე, მალე დაიქანცა, მოსწყდა და მიღუშვილი მიესვენა ბეჟიას ხელებს...

## XXIX

ბეჟიას, ბევრი წვალების შემდეგ, ძლივს ჩააბარეს მოხუცი, რომელიც მთაში წაიყვანა და ციციას მზრუნველობით და წმინდა ჰაერის შემწეობით ჩქარა მოვიდა ღონეზედ, გამოკეთდა და გამხიარულდა.

გამოდგა, რომ სიღარიბეში აღზრდილი ბეჟია სახლს უფრო უკეთ უვლიდა, სანამ ქორღუყოს ეგონა. ციცია მომეტებულის მზრუნველობით ექცეოდა თავის მოხუცებულს მამას, სანამ წარსულ დროს, და მოხუცის სახეს კი ყოველთვის კმაყოფილების სიამოვნება დასთამაშებდა.

ერთს დღეს მთელი სახლობა შინ იყო და განსაკუთრებით მხიარულად იყვნენ.

ციცია ბატკნის ყელის მატყლის საჩოხე ტოლსა ჰქსოვდა, ბეჟია კი ელაზღანდარებოდა და არ უსვენებდა. ყმაწვილი ქალი წითლდებოდა და რცხვენოდა, თუმცა გულით უნდოდა — სასიამოვნო ალერსი გაგძელებულიყო. მოხუცი ბედნიერებით და კმაყოფილებით უცქრავდა ფანდურს და შესცქეროდა შვილების ბედნიერებას.

ფანდურთან ერთად, თუმცა მიხრწნილის, ხნიერებისგან დაღლილის, მაგრამ გრძნობიერის ხმით „ხარისა და კაცის“ ლექსს დამღერდა. ერთბაშად კარებიდგან მოისმა ძახილი, რომელმაც ბეჟია წამოახტუნა, და სტუმარს მიეგება.

რამდენიმე ხანს შემდეგ სახლში შემოვიდა მამასახლისი, რომელიც მიუბრუნდა ქორღუყოს და უთხრა:

— პრისტავი მოვიდა და გიბძანებსო.

— პრისტავს ჩემგან რაი უნდა?

— მიკიტნის ვალი რაიმ გმართებია და ის უნდა გამოგართვას.

— რომელი მიკიტნისა?

— აბა, რაი ვიცი.

— იარე იქა, — ჩაურთო ბეჟიამ, — და იქ გაიგებ.

— რაი ვქნა, მე არც ვისი ვალი არ მმართებს!

ამ სიტყვებით მოხუცმა გასწია პრისტავისკენ, რომელიც „აპრაკუნე“ ალმოჩნდა და ქორღუყოს მოუთმენლად ელოდა.

— ბიჭო, ეგრე უნდა?.. — მისვლის უმალ წარბებშეჭმუხვნილმა წარმოსთქვა „აპრაკუნემ“.

— რას მიბძანებ, შენი ჭირიმე? — უპასუხა გაკვირვებულმა მოხევემ.

— ვალების აღება იცი და გასწორება კი არა? — შეუტია „აპრაკუნემ“ და მაშინვე დაუმატა: — აძლევ ფულს, თუ არა?

— ქვეშეს რომ ვისესხე იმ ფულსა ბძანებ? — გაკვირვებით იკითხა ქორღუყომ: — ის ფული აკი ჩავუტანე!.. შენი რისხვა არა მაქვს, რაწამს ძაუგით მოვედ, მაშინვე ჩავუტანე და მივეც... მოწმებიცა მყვანან.

— მიეცი და ბარათი კი არ გამოართვი? — დაცინვით შეხედა პრისტავის მოადგილემ.

— ბარათი არ გამომირთმევია, შენი ჭირიმე... ბარათი თან არა ჰქონდა.

— გაჩუმდი! — შეუტია მბძანებელმა: — ვის ატყუებ ერთი მითხარ?.. ვინ არის შენი მოსატყუარი?

— არა, შენი რისხვა არა მაქვს.

— კმარა-მეთქი! — კიდევ შეუტია „აპრაკუნემ“ და მამასახლისს მიუბრუნდა.

— სადა ჰყავს ცხვარი, მიჩვენე... უნდა ავუწერო.

ქორღუყომ ბევრი იფიცა, ბევრი იცა თავში, მოიყვანა მოწმები, რომელნიც ფულის გასწორების დროს დასწრებოდნენ, მაგრამ ამაოდ, — არავინ უჯერებდა. „აპრაკუნემაც“ ძალიან კარგად იცოდა, რომ მოხუცი ნამდვილად გასწორებოდა ამ ვალს, რადგანაც მიკიტ-

ნისაგან ის ფული თითონ მიიღო, და ეხლაც, თუმცა მიკიტნის სახელით მოქმედებდა, მაგრამ სარგებლობა კი მარტო თითონ უნდა რგებოდა.

— შენი ჭირიმე, ბატონო, ნუ დაგვღუპამ!.. მარტო ე ორიოდ ცხორანი არის ჩვენი საცხოვრებელი და, ეგეც რომ წაგვართვა, რაღა ეშმაკმა უნდა გვაცხოვროს?

— როგორ თუ წაგართვა?.. ეგ რა მითხარ, როგორ გამიბედე?.. — გაცხარდა „აპრაკუნე“ და, ბოლოს, დაუმატა: — იქნება მართალს ამბობდე, მაგრამ რაკი ბარათი არ გამოგირთმევია, კანონი ფულის ანგარიშში მოწმებს არ იღებს... ფული სულ შტრაფებით ათას სამას თუმნამდინ არის... უნდა გადაიხადო, მეტი ღონე არ არის.

— რაი? — იკითხა ზარდაცემულმა მოხუცმა: — ათას სამასი თუმანი?.. ათას სამასი თუმანი საით მოვიდა?.. სულ სამოც თუმნამდინ არ მემართა?

— მართალია, თავნი ვალი ეგ ყოფილა. შენ ორ კვირას შემდეგ უნდა გადაგეხადა და დაგიგვიანია... ეხლა შტრაფებით და პირობის, ბარათის ძალით სულ ათას შვიდასი თუმანი შესდგება.

მოხევე გაფითრდა და პირში სიტყვა გაუწყდა; რაღა ეთქვა, როგორ შეხვეწნოდა თავის მსაჯულს, რომელშიაც თავის დაუძინარს და მასთან უსამართლო მტერსა ჰხედავდა. ქორღუყო, გრძნობდა, რომ მშვიდობიანის ცხოვრების იმედი მოხუცების დროს ოცნებად გადაქცეოდა. დღეიდგან ღარიბდებოდა და ლუკმის საშოვნელად ხელგაშვერილი მაწანწალა უნდა შექმნილიყო. იმან შეიხედა მაღლა, მერე მოავლო იქ მყოფს ხალხს თვალი, თითქოს ნუგეშის მიმცემს ეძებდა ვისმე, მაგრამ ვერავის პოულობდა. გაყუჩებული, დაჩუმებული ხალხი ძალას დაემორჩილებინა და პირში სიტყვა გაეწყვიტა.

მოხუცი ბევრით უფრო ადვილად აიტანდა, რომ საქონელი „დურაღს“, ჭირს ანუ სხვა რომელსამე შემთხვევას გაეწყვიტა, მაგრამ სრულიად სხვა მოქმედება ჰქონდა, როდესაც სამართალი, კანონი და მასთან იმათი ამსრულებელნი, მშობლის ზრუნვის მაგიერ, უგულო დედინაცვლად გადაჰქცეოდნენ და შეუწყალებლად ეკიდებოდნენ. მოხევეს გონება აერია, თავს-ბრუ დაეხვია და შინ წასასვლელად გაბრუნდა. მაგრამ პირველისავე ნაბიჯის გადადგმაზედ ყურებმა წივილი დაუწყო, თვალთ დაუბნელდა, და დაბარბაცდა. შესდგა, გაიარაკიდევ რამდენიმე ნაბიჯი და გონებამიხდილი იქავ მინდორზედ გაიშალა.

ხალხი მოეხვია მოსაბრუნებლად, მაგრამ მოხუცი თვალებს უაზროდ ატრიალებდა და გახევებული ენა სიტყვების მაგიერ მარტო ლუღლუღს ახერხებდა.

„აპრაკუნე“ კი მამასახლისით, მცოდნე დამსწრეებით და ყაზახებით წავიდა მთაში, სადაც ცხვარი ასწერა და ქვეშეს ვაჭრობით (ტორგით) გასასყიდად გაგზავნა.

ის იყო „აპრაკუნე“ ძლივს მორჩა თავის საქმეს, როდესაც იმასთან მივიდა ბექია. ბექია მოხუცისა და პრისტავის ლაპარაკს არ დასწრებოდა და ეს ამბავი მხოლოდ მაშინ გაეგო, როდესაც ნაბადზედ დასვენებული მოხუცი კარებზედ მიეყენებინათ.

ბექიამ ყველაფერი გაიგო და გულმა ველარ გაუძლო რომ „აპრაკუნესთან“ არ მოელაპარაკა.

— სად მიგყავთ ცხორი? — იკითხა მისვლის უმალ.

— გასასყიდად, — მკაცრად უპასუხა „აპრაკუნემ“.

— მოკვდეს ბექია, თუ აგრე დაგანებოთ, — შესჭყივლა იმან და ცხვარს წინ გადაუდგა.

„აპრაკუნეს“ გაუკვირდა მოხევის სითამამე და გასწია იმისკენ.

— შენ როგორა ბედამ, რომ ხემწიფის კანონს წინ უდგები?

— ხემწიფის კანონს კი არა, შენს უსამართლობას, შე ულმერთო, შენა!

„აპრაკუნე“ აიფხორა და გაექანა.

— არ მოხვიდე, ღვთის მადლმა, თორემ სისხლი მოდგა ყელში!..

„აპრაკუნემ“ შეხედა, შენიშნა, რომ ბექია არ ეხუმრებოდა, მისვლა ველარ გაბედა და შორიდგან შეუტია:

— ვის უბედავ, შე ჭკუადაბნეულო?!

— აბა მოდი და გიჩვენებ!

„აპრაკუნემ“ თვალით ანიშნა ყაზახებს, რომელნიც გამგელებულსავით ელოდნენ უფროსის ბძანებას. ისინი მისცვივდნენ სწრაფად, მაგრამ ბექიასაც თვალი ფრთხილად ეჭირა. იგი მარდად უკუგახტა და გამიშვლებული თოფი მოუღერა იმან, ვინც ყველაზედ მეტად ეტანებოდა.

— ძაღლო! შენ რაი სარგებელი გაქვს, რომ მოიბძვი? — შესძახა მოხევემ და „აპრაკუნეზედ“ უჩვენა: — ეგ მოვიდეს, ეგა: ფული მაგას ერგების და ჯაფაც მაგან უნდა გასწიოს.

ყაზახები რაოდენსამე ხანს შეჯგუფდნენ და შემკრთალთ ბიჯი ველარ გადაედგათ, მაგრამ რაკი ცოტაოდენად დამშვიდდნენ და ნახეს, რომ მხოლოდ ერთს კაცთანა აქვთ საქმე, შერცხვათ და ხელახლად შეუტიეს.

გავარდა თოფი და ერთი ყაზახი დაეცა. მაგრამ დანარჩენები ვერ შეაყენა ამ შემთხვევამ და სისხლის დანახვზედ თითქოს უფრო გაკაპასდნენ.

ბექიამ იგრძნო, რომ თოფი აღარას უშველიდა, რადგანაც გატე-

ნას ველარ მოასწრობდა, და ამისთვის შორს გასტყორცნა, გაიძრო ხანჯალი და სისხლმოწყურებულსავით გამოექანა.

ხალხი მოეხვია, შეჯგუფდა, თითქოს ბურთად შეიკრაო, და რაოდენიმე ხანს მარტო კვნესა, ლანძღვა და იარაღის ერთმანერთზედ შეჯახების ხმა ისმოდა.

გაიარა წუთმაც და ხალხი ისევ გაიშალა მინდორზედ. დარჩა მარტო სამი ყაზახი და ბექია, რომელიც გუფთასავით აეჩეხათ.

ყველასათვის სიკვდილის უკანასკნელს წუთებს უსიამოვნოდ დაემახინჯებინა პირისახეები; ბექიას სახეზედ რაღაცა მაყვედრებელი ღიმილი დასთამაშებდა; ნახევრად გაღებული ქუთუთოებიდგან გამოიყურებოდნენ სიცოცხლეს მოკლებული და ერთს ალაგს მიჩერებული თვალები, რომელნიც თითქოს ხალხს მუქარას სთხოვდნენ ამ ულმერთო საქციელისთვის.

ცოტა ხანს შემდეგ დახოცილებს ყარაულები მოაყენეს, რათა გამომძიებელის მოსვლამდის არავისთვის დაენებებინათ და „აპრაკუნე" დანარჩენის ყაზახებით და ცხვრით გამარჯვებული ქვეშისკენ წავიდა.

დამშვიდებულს სინიდისს იმისთვის ერთხელ არ წაუჩურჩულებია ყურში, რომ დღევანდელი სისხლის ღვრა იმას ედებოდა კისრად.

მართალია, ერთხელ-ორჯერ შენანების მსგავსმა გრძნობამ გაურბინა გულში და წამოიძახა:

— რაზედ მოაკვლევინა თავი?!. — მაგრამ მაშინვე პირადი ანგარიში გაერია საქმეში და დაუმატა: — სამსახურიდგან კი არ გადამაყენონ?!. — მაგრამ ჩქარა ისევ დამშვიდდა და ღიმილით დააბოლოვა: — ყველასთვის თუ ჩვენ გადაგვხდა, ერიჰა!..

ამ სიტყვებით „აპრაკუნემ" ცხენს მათრახი გადაუქნია და შეუდგა ანგარიშს, — ცხვრის გასყიდვით რაოდენს სარგებელს ნახავდა, იმათი ნაფასური ვალს აუდგებოდა თუ არა და ქორღუყოს გასასყიდი ხომ აღარა მოეპოებოდა-რა?..

მოხუცი კი იტანჯებოდა წარმოუთქმელის ტკივილებით, რადგანაც თავის ნაღველი ვერ წარმოეთქვა და, რასაცა ჰგრძნობდა, გულში უნდა დაეტრიალებინა, გულში უნდა დაემარხა.

ყველაზედ მეტად გულს უწამლავდა ციციას ცქერა, რომელიც თუმცა არა ტიროდა, არა წიოდა და კიოდა, მაგრამ მთლად ჩამომდნარიყო, თვალები ჩასცვივნოდა და გულში დატრიალებულს ცეცხლს ზეზეურ ჩამოეხმო.

მოხუცმა დიდხანს ვერ შესძლო უბედურის ცქერა, ხაიათსავით გაწვრილებული გული ამ უკანასკნელს უბედურებას-ღა ელოდა, რომ გაწყვეტილიყო და მოსვენება ცივს გაყინულს სამარეში ეპოვა.

ციცია დარჩა სრულიად უპატრონო, გაღარიბებული, ულუკმაპურო. ამ დღიდგან იმის გულს მოსვენება აღარ უპოვია, გონებას გულმწვავი ფიქრები აღარ მოშორებია, და სახეს აღარ შეხვედრია ღიმება.

დადიოდა სოფელში სახლიდგან სახლში, სადაც გულკეთილი მეზობლები ცდილობდნენ მის გართობას, გამხიარულებას, მაგრამ მათი მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა.

შავად და ბნელად მიდიოდა უდროვოდ დაობლებულის დღეები, რადგან წარსულშიაც და მომავალშიაც მხოლოდ იმოდენა მწუხარება ეხატებოდა.

ერთს ზამთრის დღეს ცა ძალზედ შექმუხვნილიყო, გაბადრულიყო და არემარე მთლად შავად მოებურა. მზის ჩასვლას უფრო ძალზედ და სევდიანად ჩამოებნელებინა. ჩრდილოეთის ქარი წივილით და ზუზუნით მოჰქროდა, დედამიწიდგან ჰგვიდა წვრილს ხორხოშელას მსგავსს თოვლსა, ატრიალებდა ჰაერში და წარმოუთქმელის ძალით აყრიდა ყველას, რაც კი წინ შეხვდებოდა. წუთი არ გავიდოდა, რომ მთის წვერებზედ მიყრილი თოვლი სიმძიმეს არ დაეძლია, არ გადმოშლილიყო და კაცის დამაყრუებელის გრგვინვით და ქუხილით ხევებზედ არ დაქანებულიყო.

სწორედ ამ დროს, იქნებოდა შუაღამე, როდესაც ციცია კერას პირს იჯდა და გათოშილს ხელებს თბილს ნაცარს უშვერდა. იმის გაცრეცილი სახე, ჩქარ-ჩქარი ცახცახი აშკარად ამტკიცებდა, რომ მეტისმეტად სციოდა და ვერ გამთბარიყო. ფარღალალა ერდოდგან და ჩამონგრეულის ბანიდგან განუწყვეტლივ თოვლი ჩამოდიოდა და კიდევ უფრო ამცივნებდა ისედაც გათოშილს ციციას.

ერთბაშად კარები შეინძრა და წყნარი კაკუნი მოისმა. ციცია შეკრთა, შეშინებული წამოხტა და იკითხა:

— ვინ ხარ?

— ძმა.

ამ ხმაზედ ციციას გადაავიწყდა ყოველისფერი და საჩქაროდ გაქანდა, გააღო კარი და ტირილით კისერზედ გადაეხვია ახლად შემოსულს კაცს, რომელიც ნაბადსა და ყაბალახში შეხვეული იყო.

— ქალაუ! რაი უყავ ჩემს ძმასა?

— მოჰკლეს.

— აქამდინ რად არ შემატყობინე?

— ვიღა მყვანდა, ვის გამოვგზავნიდი?

მოსულმა გადიგდო ყაბალახი და მწარედ ამოიოხრა.

— ვის მოვთხოვო იმისი სისხლი? — ჰკითხა ახლადმოსულმა.

— აბა, რაი ვიცი!.. ამბობენ — პრისტავმა მოკლაო.

— სადაა პრისტავი?

— არ ვიცი.

— რაისთვი არ იცი?.. მტერს ეგრე ადევნებ თოლყურსა? — წამოაყვედრა ახლადმოსულმა.

— სულთი!.. — დაიწყო ქალმა და ხმაში კანკალი დაეტყო: — მიჩვენე და მანახვე ჩვენი მოსისხლე და კბილებით დავგლეჯ, ფჩხილებით გავუფათრავ მკერდს, რომ გული ამოვუღო, დავეწაფო, გავძღე იმის სისხლით.

— მაშ წავიდეთ, ჩქარა, წავიდეთ!.. სისხლი გადახდილია... სულთი ჩეჩნელია და დიდხანს სისხლს არავის შეარჩენდა.

— მართლა? — სიხარულით წამოიძახა ქალმა.

— სულთის ენაც ერთი აქვს და სიტყვაც; სულთი ტყუილს არ გეტყვის. — ამ სიტყვებზედ ქალი ხელახლად გადაეხვია ჩეჩნელს და კმაყოფილების ტირილით ჩაეკრო გულში.

ამ მიკარებამ სულთის გაუღვიძა შეწყვეტილი გრძნობა, მოაგონა, რომ მისთვის ბედნიერება კიდევ შესაძლებელი იყო. იმან ჩაიკრა ქალი გულში, ძრთოლით დაეკონა ტუჩებზედ და წყნარად ჩასჩურჩულა:

— წავიდეთ, სიცოცხლე კიდევ შესაძლებელია.

ამ სიტყვებზედ გამოხვია ნაბადში, აიყვანა ხელში და გავარდა გარედ, სადაც შეკმაზული ცხენი იდგა; ერთს წამზედ მოაჯდა ცხენს, შემოისვა ქალი უკან და სწრაფად მოჩვენებასავით განქრა სივრცეში, ვინ იცის საითკენ!

ამ შემთხვევის მეორე დღეს, სოფელი ს—ის სასტუმროში ერთი ალიაქოთი იყო. ხალხი შედიოდა და გამოდიოდა, ყველანი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, ლაპარაკობდნენ და რაღაზედაც ჩოჩქოლობდნენ: — „მოჰკლეს, მოჰკლეს“, — ისმოდა განუწყვეტლივ.

— ვინ მოჰკლეს? — იკითხა ახლადმოსულმა.

— აი დიანბეგი იყო, თუ პრისტავ, „აპრაკუნე“.

— ვინ მოჰკლა?

— აბა რაი ვიცი. — მიიღო პასუხად.

[1883]

# მტრედი

თქვენ იცით, ჩემო პატარა მკითხველებო, კოშკი რა არის? ზოგს იქნება გენახოსთ და ზოგს კი უეჭველია არ გინახავსთ და ამისთვის აგიხსნით.

უწინ, როდესაც უფრო მომეტებული შიშიანობა იყო ხოლმე, როდესაც ხალხი ერთმანერთთან ისე მშვიდობიანად ვერა ჰსცხოვრობდა, როგორც ეხლა, საჭიროდ ხედავდნენ ისეთი შენობა გაეკეთებინათ, სადაც ძრიელის მტრებისაგან თავის დაფარვა შესძლებოდათ.

ამისთვის იკეთებდნენ ხვრელებს, ხვრეტდნენ კლდეებს, აშენებდენ გალავნებს და სხვა.

კოშკებიც ერთი ამ გვარ შენობათაგანი არის და აკეთებენ მაღალს, ძალიან მაღალს — ან რგვლად მოყვანილს, ან ოთხ კუთხა შენობას.

უწინ, აი, ამისთანა შენობაში მტერს ემალებოდა ხალხი; მაგრამ ეხლა კი კოშკების უმეტესი წილი ცარიელები ყრია და შიგ სხვადასხვა ფრინველები ბუდეებს იკეთებენ.

ჩვენს სოფელშიაც ერთი ამისთანა კოშკი იდგა, რომელშიაც ხალხი აღარ სცხოვრებდა.

მხოლოდ განთიადის დროს, რა წამს ალიონი აიწევდა, მოისმოდა წყნარი, ტკბილი და ალერსიანი ღუღუნი და, ცოტა ხანს შემდეგ, გამოჰფრინდებოდნენ ლამაზი სხვადასხვა ფერის მტრედები. ზოგი მათგანი გაეშურებოდა საჭმლის მოსანახად და პირით მოჰქონდა, თავისის ბარტყებისთვის, ზოგსაც პირითვე მოჰქონდათ წიწკები, ჩხირები და თივა, რადგანაც ისინი ჯერ ახლად იყვნენ დაფრენილები და ბუდის გაკეთება ეჭირვებოდათ. ზოგნიც ნაზად ეალერსებო-

დნენ თავიანთ საყვარელს ბარტყებს, ერთმანერთს კისერ გადახვეულნი ნაზად ჩაღუღუნებდნენ.

აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ, მათ მშვიდობიანობას ვერვინ არღვევდა და სიხარულით ეგებებოდნენ მზის ბრწყინვალე სხივებს.

ზოგს კიდევ გაეშალათ ფრთები და მაღლა, მაღლა აფრენილიყვნენ, სადაც დაჰფრინავდნენ და ნავარდობდნენ, ერთი მეორეს მისდევდნენ და ზოგნიც მალაყს გადადიოდნენ. ხანდისხან, როდესაც ფრენის აჩქარება უნდოდათ, ისე ძალზედ იქნევდნენ ფრთებს, რომ ერთმანერთს ხვდებოდა და ტაშის ცემის ხმა გამოისმოდა. მერე ბურთსავით შეიკვრებოდნენ, და ფრთაშეკრებილნი შურდულსავით წამოვიდოდნენ თავქვე თავის კოშკისკენ, რომელსაც, დაუახლოვდებოდნენ თუ არა, ერთბაშად რამდენჯერმე გაშლილის ფრთებით ჰაერში იმ გვარად მოუსვამდნენ, რომ ჩქარა სიარული შეეყენებინათ და კოშკს მაგრად არ მოხვედროდნენ.

კოშკის კარები ხალხს ამოექოლა, რადგანაც ამ მშვენიერს ფრინველებს თავი იქამდის შეეყვარებინათ, რომ მათს აღშფოთებას დიდს ცოდვად ჰსთვლიდნენ; პატარა ბავშვებს კი თვალი სულ იმათკენ ეჭირათ და გულით უნდოდათ მათი წვალება, რომელსაც ისინი ალერს ეძახდნენ.

მტრედები ამათგანაც დაცული იყვნენ, რადგანაც, როგორც ზევითა ვსთქვით, კოშკის კარები ამოქოლილი იყო და სხვაფრივ მათთან შესვლა სრულიად შეუძლებელი ხდებოდა.

მართალია, ამ ნაზს და საყვარელს ფრინველებს ქორი, მათი დაუძინარი მტერი, გამოერეოდა ხოლმე, მაგრამ ბევრს ვერას აკლებდა, რადგანაც მტრედებიც მარდები იყვნენ და ქორს ზეიდგან მოექცეოდნენ და ისე მაღლა წავიდოდნენ, რომ მათი მტერი იმ სიმაღლეზედ ვერ ასულიყო და შერცხვენილი უნდა გაბრუნებულიყო საითკენმე, ან არა და, თავიანთ კოშკში ჩაემალებოდნენ და, სანამ განსაცდელი ასცდებოდათ, იქ ისხდნენ.

მაგრამ ეს იყო ზაფხული, როდესაც მთელი ბუნება ხარობს, როდესაც მიწას ზურმუხტის მსგავსი მწვანე საფენი ეფინება და ათას გვარ ფერადოვანის, კეკლუცის და სურნელიანის ყვავილებით იმკობა; ის დრო, როდესაც ყველა მცენარე, ყველა სულდგმული ხარობს, იცინის, ხურდება და წყნარის ნიავით სულს იბრუნებს და რაღაც სიხარულით გულს უთამამებს, ულაღებს. საერთო მხიარულება და ხარხარი, საერთო დროს გატარება შეიცვალა, რადგანაც მოწმენდილი ცა შეიჭმუხნა, მზის სხივებს მოაკლდა სითბოება და ჩქარ-ჩქარად ღრუბელში მალვა დაიწყეს. ყოველ დღე ჰაერი ირეო-

და და მთის წვერებს შავი, სქელი ნისლი ნაღვლიანად ჩამოაბნელებდა. ბალახმა ფერი იცვალა და მხიარულის მწვანეს მაგიერ დანაღვლულსავით გაყვითლდა, გახმა და მოიფშვნიტა. ლაზათით სავსე შემოსილს ხეებს, ფოთლები ჩამოჰცვივდა და გაშიშვლებულნი მტრისაგან გაცარცულს დაემსგავსნენ. დაჰბერა ჩრდილოეთის ცივმა ქარმა და ყოველისფერი მოაყინულა. ბუნების საერთო სურათმა ფერი იცვალა: კაცის თვალის დამყვავებელი სევდის მომცველად შეიქნა; სიტყვით — ზამთარი ახლოვდებოდა. ყველა ფრინველები, გარდა „ჰკებისა", რომელნიც ავდრის წინა-მორბედნი არიან და ჰაერის არევასთან ერთად ისინიც ირევიან და უსიამოვნოს ჩხავილით, ისეც სევდიანს გულს, მომეტებულს სევდას აჰვევდნენ.

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ, ცა ტყვიის ფრად მოიქცა და ხანგამოშვებით ქონვა დაიწყო. ქარი უბერავდა ძალზედ, შტვენით და ზუზუნით, თითქოს რაღასაც ემუქრებოდა, უბედურებას ექადდა.

ერთბაშად ქარი შესწყდა... ჩამოთბა... ჩამოვარდა თოვლის ფერფლი. მოჰყვა მეორე, მესამე და დაიწყო თოვლის გუნ-გუნდად სროლა. რამდენიმე წამში მთელს დედამიწას — მთას, ბარს და ხეებს — თეთრი ზეწარი გადაეფარა. რამდენადაც თოვლის მოსვლის წინა დღეები მთაში საძაგელია, იმდენად სასიხარულო და სასიამოვნო პირველი თოვლი, რომელიც ურიცხვს „ყურვილებს", კაკბებს, შურთხებს და ჯიხვებს ჩამორეკს ხოლმე მთის წვერებიდგან.

ბალღები დარბიან, ყვირიან, ესვრიან ერთმანერთს შეკუმშვილს თოვლს, ხარხარით გორაობენ, მთლად გალურჯებულნი არიან, მაგრამ შინ წასვლას მაინც არ ჰფიქრობენ.

ბალღებმა გამართეს მახეები, გადაშალეს თოვლი და ისე ჩადგეს, რომ ჩიტები ადვილად მოტყუებულიყვნენ. ზედ ცოტა სასუქიც მოაყარეს, რომ იმის სიმხურვალეს თოვლი გაედნო და შავად დარჩენილს ადგილს ჩიტები მიეზიდა და დაეწყოთ ჩვეულებისამებრ ქექა, რომ შიგ უფრო ადვილად გაბმულიყვნენ.

გაიარა ცოტა ხანმა და მოტყუებული ჩიტები ასობით მიეხვივნენ იმ ადგილს, სადაც შავად მოჩანდა. ჩაერივნენ ჰკები, მტრედები, ყურვილები და მსუნაგად დაიწყეს ქექა.

ერთს წამს შემდეგ გაფრთხნენ, მაგრამ რამდენიმე ყურვილა და ერთი მტრედი იმავ ადგილს დარჩნენ, რადგანაც მახეში გაბმული ფეხები ველარ გამოეხსნათ და იმათი მოცადინება მარტო ფთხრიალით თავდებოდა.

— დილილმე! — სიხარულით წამოიძახა ერთმა პატარა ბიჭმა და გაექანა მტრედს. — დავიჭირე, დავიჭირე!

იმას გამოუდგნენ სხვა ბიჭები.

გიგლა — ასე ეძახდნენ მახის პატრონს — მივიდა, გამოხსნა მტრედი და ალერსიანად დაუწყო კოცნა და ხელის დასმა.

— გვაჩვენე, გვაჩვენე! — ეხვეწებოდენ მტრედის პატრონს სხვა ბიჭები, მაგრამ გიგლა პატიოსანს ფრინველს ვერა სთმობდა და სიყვარულით ხან ყელში იკრავდა, ხან ლოყაზედ. საწყალ მტრედს კი შეშინებოდა და გული ძალზედ უფართხალებდა.

— უი, საწყალი!.. გული როგორ უცემს! — წარმოსთქვა გიგლამ, რომელმაც მკერდზედ ყური დაადო მტრედს.

— მაჩვენე, მაჩვენე რაია?

— აჰა!... არ, გაგიფრინდეს კი!

— არა, ბეჩავ!... განა პატარაი ვარ!...

მტრედმა გადაცემის დროს გაიბძოლა, მაგრამ გიგლამ ძალზედ მოუჭირა ხელები და იმედ გადაწყვეტილი, შეშინებული მტრედი „გაჩქურდა.“

გიგლამ წაიყვანა მტრედი, ჩასვა კალათაში და მთელი ზამთარი ისე ჰყვანდა.

## II

გაიარა ცივმა და ყინულიანმა ზამთარმა, თოვლი წყლად იქცა და მთებიდგან ჩამოიწურა. მზემ ისევ მხიარულად გამოიხედა, გადმოჰფინა თბილი სხივი და ზამთარში მიძინებული, დასუსტებული მცენარენი გამოაღვიძა. ჰაერში დატრიალდა ზაფხულის სუნი და ბუნებამ გაიღვიძა. ამწვანდა ისევ, ყვავილები ისევ გადიშალა, შეხამდა სხვადასხვა ფერად და კეკლუცად, ნაზად, თითქოს რიდასიცა რცხვენოდათ, კეკლუცად თავები მოეხარათ... ყველაფერი ხმაურობდა, ყველგან რაღაცა მხიარულება, სიცოცხლით სავსე ხმაურობა ისმოდა. ჩიტები ჟღივ-ჟღივებდნენ, გალობდნენ, უსტვენდნენ, თითქოს ბუნების ძალას ქებას ასხამდნენ. ყვავილები ცხოვრების საერთო სიცოცხლეს უკან არ ჩამორჩენოდნენ — თავიანთის სურნელებით გუნდრუკს უკმევდნენ.

კოშკშიაც ისევ ტკბილი ღუღუნი გაისმა და მტრედები წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ, რომ ბუნების მშვენიერებით დამტკბარიყვნენ.

მარტოკა ერთი მტრედი არ იღებდა სხვების მხიარულებაში მონაწილეობას. ის გაცალკევებულიყო, გასულიყო მარტოდ და დაღონებული, მობუზული კოშკის ნაპირზედ დამჯდარიყო, იმისთვის არც ამხანაგი, არც ტოლი, არც მხიარული ღუღუნი და სხვა მტრედთან შეალერსება, თითქოს იმ თაბუნს სრულიადაც არ ეკუთნოდა, არა ჰქონდა მათთან საქმე და თავის საკუთარი ვარამი გასჩენოდა: დაჯ-

დებოდა მობუზული, აიბურძგნიდა ბუმბულს, აიშვერდა ერთს ფეხს და თვალებ დახუჭული მთელის საათობით გაუნძრევლად რჩებოდა.

თუ აფრინდებოდა, იმის მოძრაობა იყო წყნარი, დადუნებული და მხოლოდ საკვების მოსანახად. ის არც მაღლა წავიდოდა, არც ნავარდობდა სხვა მტრედებსავით, არც შორს მიდიოდა: თითქოს ყველაფერი მოსწყენოდა. მივიდოდა წყლის დასალევად და ისევ მაშინვე მოჰფრინდებოდა, რომ არჩეულს ადგილზედ დამჯდარიყო და მისცემოდა ჩვეულებრივს განსვენებას.

ერთს დღეს გიგლამ თავის სახლის ბანზედ გამოიყვანა იმ ზამთარს დაჭერილი მტრედი, შეაბა თოკი ფეხზედ, მეორე წვერი მოაბა ბუხარს და, მთელი ზამთრის ტყვეობის შემდეგ, ასე დააგდო ჰაერზედ. მტრედმა რამდენჯერმე გაშალა ფრთები, შეიბერტყა და გახარებულმა გაფრენა დააპირა, მაგრამ იმავ წამს ისევ ჩამოვარდა, რადგანაც თოკმა არ გაუშვა. ჩამოვარდა და დაღონებით დაიწყო წყნარად სიარული.

კოშკი, რომელშიაც მტრედები ბუდობდენ, ძალიან მაღალი იყო და მთელს სოფელს თავს დაჰსცქეროდა. ერთბაშად კოშკზედ მყოფი მტრედი შეინძრა, საჩქაროდ გადმოეშვა სიმაღლიდგან, რამდენჯერმე ფრთა ფრთას შემოჰკრა და წუთზედ იმ ბანზედ მოვარდა, რომელზედაც დაბმული მტრედი იყო.

უეჭველია, იმათ იცნეს ერთმანერთი, რადგანაც პირველსავე შეყრაზედ ერთმანერთს ტკბილად შეღუღუნეს და ნისკარტებით ერთმანერთს მიუახლოვდენ. აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინი, დიდი ხნის უნახავობის შემდეგ, ხელახლად შეყრას ხარობდნენ. ახალმოსული მტრედი ტრიალებდა, იბრუნებდა კისერს, როგორღაც სხვანაირად ღუღუნებდა და ამ დროს ღაბაბი ებერებოდა.

კარგა ალერსის შემდეგ, ახლადმოსული მტრედი აფრინდა, მაგრამ სრულიად სხვა რიგად, სანამ უწინ. ეხლა იმას ძალა, იმედი, სიხარული ეტყობოდა.

დაბმულმა მტრედმაც გაყოლა მოინდომა, მაგრამ თოკმა ისევ დაიჭირა და უკან ჩამოაგდო. ახლადმოსული მტრედი ისევ მობრუნდა, ისევ დაუწყო ალერსი და ღუღუნი, თითქო გასაქცევად აქეზებდა.

დაბმულმა მტრედმა რამდენჯერმე ჰსცადა გაფრენა, მაგრამ ეს მოცადინეობა მუდამ ამაოდ რჩებოდა, რადგანაც თოკი არ უშვებდა.

მტრედმა უკანასკნელად სცადა აფრენა, მაგრამ დაკვლანჭილი თოკი როგორღაც მოედო კისერზედ და წაუჭირა ყელში.

მტრედმა ფართხალი დაიწყო და ყოველ განძრევაზედ თოკი უფრო ეჭირებოდა, სუნთქვას უშლიდა.

თავისუფლად მყოფი მტრედი გაექანებოდა, თითქოს შველა უნდოდა, მაგრამ მეორე მტრედის ფართხალი აშინებდა და უკან იწევდა.

ცოტა ხანმაც გაიარა და თოკმა ისე წაუჭირა მტრედს ყელში, რომ საწყალი გაერეოლდა, რამდენჯერმე გაახილა დახუჭული თვალები, თითქოს უკანასკნელად უნდა დამტკბარიყო თავის მეგობრის ხილვით, რამდენჯერმე გააღო პირი და სული დალია.

მეორე მტრედმა ბევრი უღუღუნა, ბევრი უარა გარს, რამდენჯერმე ნისკარტით მისი აყენებაც კი ჰსცადა, მაგრამ ამაოდ.

ამ დროს ამოვიდა გიგლა, ნახა თავისი მტრედი დამხრჩვალიყო და ტირილით ჰსურდა მოებრუნებინა, მაგრამ ტყუილად.

ამ დღის აქეთ ხელახლად დაობლებული მტრედი იმ ადგილს აღარ შორდებოდა, სადაც მისმა მეგობარმა სული დალია. ეხლა ეს მტრედი უფრო დაღონებულიყო, უფრო დაზარმაცებულიყო და თითქოს სიცოცხლეც კი მოსწყენოდა.

საჭმელ-სასმელი არ აკლდა, რადგანაც ზაფხული იყო, მაგრამ იმას არა ემატებოდა რა და დღითიდღე სუსტდებოდა, სდნებოდა და ილეოდა. ყოველი იმისი მოძრაობა თითქოს ძალდატანებული იყო.

ასე ატარებდა თავის სიცოცხლეს იმ დღემდის, სანამ ბედმა არ შეიბრალა და მწუხარება სიკვდილით არ მოუსპო.

[1883]

# განკიცხული

18... წელს აღარ მახსოვს რა თვე იყო, გავიგე, რომ ერთი ჩემი ბებერი ბიძათაგანი ცოლს ირთავს და იმისმა ორმა კარგად ხანში შესულმა დებმა მოიგლიჯეს თავები და მოთქმით დაიწყეს ტირილი ამ შემთხვევაზედ, რადგანაც ცოლის შერთვამდის ძმა ხელში ეჭირათ და იმის კარგს შეძლებას სურვილისამებრ ფლანგავდნენ, მაშინ, როდესაც ცოლის შერთვის შემდეგ ნება-უნებლივ უნდა მოესპოთ თავიანთი თავისუფალი და უპატიოსნო ცარცვა და ყვლეფა.

მაგრამ ვიდრე ჩვენს მოთხრობას გავაგრძელებდეთ, მე მსურს გაგაცნოთ ის პირები, რომლებზედაც დავიწყე ლაპარაკი. ბატონი პორფირუშკა გელასიანი, მდიდარი მებატონე, გასუქებული, ლაზათიანის ღიპით, ორმოცდაათი წლის კაცი, სწორედ ის გახლდათ, რომელიც ცოლს ირთავდა.

რგვალი მსუქანი სახე, შეღებილი თმა-ულვაში, სულელური სახის გამომეტყველება და მოკაკული გრძელი ცხვირი ვერავის მიიზიდავდა, მაგრამ კარგი შეძლება ხდიდა იმას ერთს საუკეთესო საცოლეთ, რომელსაც ბევრი დედები ნატრობდნენ თავის ქალებისთვის.

ამისმა მომდევნო გაუთხოვარმა დამ, საკმაოდ გამოქნილმა და უქმრობისაგან გაბრაზიანებულმა, მაგრამ ბევრით უფრო ჭკვიანმა თავის ძმაზედ, მალე ჩაიგდო ხელში უხასიათო პორფირუშკა და ისე ჰყვლეფდა, როგორც კი შაეძლო.

სანამ და გვერდთა ჰყვანდა, იმან თავისი სურვილი არ იცოდა, რადგანაც ყველაფერი დაზედ იყო დამოკიდებული და ამის მბძანებლობით გარდაწყდებოდა ხოლმე ყოველივე საქმე.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ პორფირუშკას გული ჯერ ვერავის შაეპყრო, და ისე თავისუფლად დადიოდა. მაგრამ პორფირუშკას დამ, სოფიომ, მოიწადინა სოფელში გასეირნება და სწორედ ამ დროს ძმა

გაუბეს მახეში. იმას ისე გადასწერეს ჯვარი, რომ სოფიომ ველარაფრის მოხერხება ველარ მოასწრო.

ჩემი დამოკიდებულება პორფირთან იყო შემდეგი: მე ვიყავი იმისი ნათესავი, საზაფხულოთ მოსული რუსეთიდგან, სადაც ვსწავლობდი უნივერსიტეტში. მე ვიყავ სულ ოცის წლისა და, მაშასადამე, არა სრულწლოვანი, ამისთვის აპეკუნად მყვანდა დანიშნული პორფირუშკა. მე დავობლდი ხუთის წლისა და მას აქეთ პორფირუშკას განკარგულების ქვეშ იყო ჩემი მამული, რომელსაც ისე შაეჩვია ჩემი ბიძა, რომ თავის საკუთრებად სთვლიდა.

პორფირმა და სოფიომ მოიანგარიშეს, რომ სრულებით მეტია ჩემთვის რისიმე ძლევა, და ამჯობინეს მთელის შემოსავლით თითონ სარგებლობა. თუმცა მე სახელმწიფო ხარჯით ვიყავ უნივერსიტეტში და გაკვეთილებიც მქონდა, მაშასადამე, ფული არა მჭირდებოდა, მაგრამ მაინც რაღაცა ბუნებითვე კრძალული ხასიათისა გამო ბიძა ჩემს მორიდებით ვექცეოდი; თუნდა სირცხვილიც იყოს, უნდა გამოვტყდე, რომ მეშინოდა კიდეც.

რაწამს ხმა მოვიდა პორფირის ნიშნობისა, სოფიომ მაშინვე გაჰკრა და ჩაიჭრა ქალაქში, რათა ჩაეშალა ეს თავისთვის უსიამოვნო საქმე, მაგრამ გვიან-ღა იყო, პორფირისთვის ჯვარი უკვე გადაეწერათ.

მე მინდოდა მომელაპარაკნა ჩემს ბიძასთან მამულებისა და შემოსავლის შესახებ, რადგანაც საძზღვარს-გარეთ წასვლას ვაპირებდი და ამისთვის გავსწიე ქალაქს, სადაც პორფირუშკა სცხოვრებდა.

მე შეველ სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი სადილზედ სხდებოდნენ. ყველანი წამოიშალნენ და მომეგებნენ. აქ იყვნენ რამდენიმე ნათესავი სოფიოსი დედის მხრით, თავზედ ხელაღებული აფიცრები, სოფიოს მომდევნო და ელენე, თავდასიებული და თმაგაპურძგნილი ბიძა ჩემი და ერთი ყმაწვილი ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალი, განსაცვიფრებელის მშვენიერი სახისა.

სოფიომ მომკიდა ხელი, მიმიყვანა იმასთან და წარმადგინა:

— ეს ჩემი ბიძაშვილია, — უთხრა იმას და მომიბრუნდა მე: — ესეც ჩვენი ახალი რძალი. სჭამს და სვამს ისე, როგორც სხვა მომაკვდავნი. ლაპარაკიც იცის, სიცილიც; ხანდისხან ფორტეპიანზედაც უკრავს.

ყველამ ხარხარი დაიწყო ამ სიტყვებზედ. ქალი მთლად აინთო და თითონ მეც შევამჩნივე, რომ გავწითლდი ამ უცნაურის წარდგენით; თავი დავუკარ და ხელზედ ვაკოცე.

— აი, ხედავ! გაწითლებაცა სცოდნია, — დაუმატა სოფიომ.

— შენ უფთხილდი, არშიყობა არ დაუწყო, თორემ... — აღარ გა-

ათავა სიტყვა სოფიომ და მე მთლად ავენთე, ეხლა აღარ შემიძლიან მოვიგონო, რა წამოვროშე იმ დროს, მაგრამ რომ ეს სისულელე უნდა ყოფილიყო, დამტკიცდა საზოგადოების განუწყვეტლივი ხარხარით. ბოლოს, როგორც იყო, დავსხედით. ახლად ჯვარდაწერილს ქალს თავი დაანებეს, ის გადაავიწყდათ, ვითომც იქ აღარ იყო, და ყურადღებას თუ მიაქცევდა ვინმე, — ეს იყო დასიცილი იმის გამოუცდელობისა.

მარიც, — ასე ეძახდნენ ჩემს ძალუას, — წითლდებოდა და იცინოდა იმათთან ერთად, მაგრამ გამოცდილი თვალი კი აშკარად შეამჩნევდა, რა რიგად ამცირებდა, სწყინდა ეს დასიცილი.

პორფირიუშკა თავჩაღუნული სჭამდა და თითქოს ვერ ამცნევდა, რა რიგად სწყდებოდა გული იმის ცოლს. მე გაშტერებული შევცქეროდი ამ ცხოვრებას და კარგად ვერ გამეგო: მარი მართალის გულით იცინოდა და ვერ მიმხვდარიყო, რომ მასხარად იგდებდნენ, თუ იმის სიცილი მარტო ფარდა იყო თავის უბედურებისა, რომელიც არავისთვის უნდოდა ეჩვენებინა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ თანაგრძნობელს ვერ იპოვიდა?

გათავდა სადილი, პორფირიუშკა წავიდა თავის კაბინეთში მოსასვენებლად, სოფიო და იმისი და თავიანთ ოთახში წავიდნენ, სადაც გაჰყვნენ აფიცრები, მარი კი დარჩა მარტოდ სასტუმრო ოთახში. მე ზალაში ვიპოვე რაღაცა გაზეთი და დავიწყე კითხვა.

ჩემს უნებლივ, გავიხედე სასტუმროში, სადაც მარი იჯდა, და დავინახე იმისი დაფიქრებული სახე, რომელსაც მწუხარების ბეჭედი დასტყობოდა. მე ჩუმად დავუწყე თვალიერება.

ის კარგა ხანს მისჩერებოდა ერთს ადგილს და ისე გაშტერებით უყურებდა, თითქოს რიღასიც ამოკითხვა უნდოდა იქიდგან. ბოლოს, კრძალულის ოხვრით აიღო ხელი, გადაისვა შუბლზედ, წამოდგა წყნარად და რხევით შევიდა თავის ოთახში.

მე გავადევნე თვალი და, რა კარი მიიხურა, გადავწყვიტე, რომ უბედური უნდა ყოფილიყო.

რად მისთხოვებია პორფირს? ნუთუ მაგისთანა ყმაწვილი, ლამაზი, ცქრიალა შესაფერს ქმარს ვერ იშოვიდა? — გავიფიქრე მე და გავწიე ჩემს ოთახში, რომელიც სოფიომ დამინიშნა სადგურად. მე მივწექ, რადგანაც უძილოც და დაღალულიც ვიყავ, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. თვალწინ სულ მარი მედგა, იმისი დაღონებული სახე, რომელიც ისე ცხოვლად შთაიბეჭდა ჩემს გონებაში, ენის წვერზედ სულ ერთი და იგივე სიტყვები მიტრიალებდა: რად მისთხოვდა პორფირს? რად ექცევიან ასე უცნაურად, რასა გრძნობს მარი? და სხვა...

მე მსურდა შემეტყო, დავკმაყოფილებულიყავ ამ კითხვების გადაწყვეტით და ეს სურვილი იქამდის ძლიერი იყო, რომ დაწოლის ნებასაც აღარ მაძლევდა, მაგრამ, რამდენადაც მეტად შევდიოდი ამ უდაბნო გარდახლართულს აზრებში, იმდენად მეტად მწყურდებოდა ჭეშმარიტების შეტყობა.

საღამოზედ პორფირს მოუყვანეს ფაიტონი და კლუბში წავიდა, სოფიო და იმისი და თავის ნათესავებით — მუშტაიდში სასეირნოდ; შინ დარჩა მარტო მარი, რომელიც თითქოს ამ სახლს არ ეკუთვნოდა, და — მე, რომელსაც იმ თავითვე არავითარს ყურადღებას არ მაქცევდნენ.

მე გამოველ სასტუმროში და იქ დამხვდა მარი, რომელსაც ფანჯარა გაეღო და გასცქეროდა მშვენივრად მოკაშკაშე ღამეს. სასტუმროში სანთლები არ ენთო და მთვარის შუქი ზოლ-ზოლად შემოწოლილიყო ფანჯრებიდგან.

— ძალუა, თქვენა ხართ? — ვკითხე მე.

— მე ვარ, — მიპასუხა იმან და, არ ვიცი, მე ისე მომესმა, თუ ხმაში მართლად ნაღველი დაეტყო.

— მე კი მეგონა, რომ თქვენც სასეირნოდ წაბძანდით.

— მე მაგათთან არ დავდივარ.

— რატომ?

— ისე.

ამის შემდეგ რამოდენიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამ ზაფხულს ხომ არსად აპირებთ?

— არა. ჩემი ქმარი პეტერბურღში მიდის, მე კი აქ ვრჩები.

— დიდს ხანს დარჩება?

— საქმეზედ არის დამოკიდებული. იქნება სამი, ოთხი თვე მოუგვიანდეს.

— მერე არა სწუხართ, რომ ასე ჩქარა დაშორდებით?

— ვსწუხვარ, ძალიანა ვსწუხვარ. — მწარის ღიმილით წარმოსთქვა იმან.

— არა, ხუმრობა გაშვებით?

— მე არა ვხუმრობ.

— რასაკვირველია, მარტოობა შეგაწუხებსთ.

— მე ხალხში ყოფნა არ მიყვარს.

ამ სიტყვების შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მე ვგრძნობდი, რომ ეს ქალი უბედური იყო, ვგრძნობდი, რომ ამისი უბედურება მაწუხებდა მე და მინდოდა, რითიც იქნებოდა, მეშველა, მაგრამ რითი, როგორ?

— ძალუა, თქვენ დაღონებული ხართ რაღაზედაც.

— მართალია.

მე მოველოდი, რომ ის დამიმალავდა, გაიბმოდა ლაპარაკი, დამიწყებდა რწმუნებას, რომ მე ვცდები და მან კი ერთბაშად ასე მომიჭრა სიტყვა. მე აღარ ვიცოდი, რა მეთქვა.

— შეუძლოდ ხომ არა ბძანდებით?

— არა.

— მაშ რა მოგსვლიათ?

— არაფერი.

— მაგრამ იცით რა? — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო იმან: — წადით, ბიჭს უთხარით, ფაიტონი მოიყვანოს და სასეირნოდ წავიდეთ.

— ბატონი ბძანდებით, — ვუპასუხე მე და გახარებული, რომ, ცოტაც არის, გაერთობოდა, ფაიტონისთვის გავგზავნე ბიჭი.

ჩვენ ჩავსხედით და გავსწიეთ მუშტაიდისაკენ, სადაც ორი წელიწადი იქნებოდა, რაც არ ვყოფილიყავ. ეს ადგილები მე სამოთხედ მეჩვენა გაყინულს რუსეთში ყოფნის შემდეგ. ჩემი რძალი ჩუმად იყო და მეც ხმა ვერ ამომეღო, თუმცა ლაპარაკის სურვილი კი დიდათ მქონდა.

— რა მშვენიერი საღამოა. — დაიწყო ბოლოს მარიმ.

— ჩინებული... რაც რუსეთში წაველ, მას აქეთ პირველადა ვარ აქა და, არ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა სასიამოვნოდ მიალერსებს ეს ბუნება.

— შემიძლიან წარმოვიდგინო, ამისთვის რომ მეც მასიამოვნებს... მეც პირველადა ვარ ასე თავისუფლად.

ამ დროს ჩვენ შევდიოდით დაბურვილს ხეივანში, სადაც მთვარის შუქს უშლიდა ხეების ფოთლები. მე ვიგრძენ, რომ მარი შეკრთა ამ დროს და თითქოს შეშინებული მომეკრა.

— რა არი, ხომ არ გეშინიანთ?

— ჰო, მეშინიან.

— რისა?.. მე რევოლვერი მაქვს თანა.

— მეც ვიცი, რომ არა მოხდება-რა, მაგრამ პირველად კი როგორღაც შემეშინდა.

ჩვენ ორჯერ თუ სამჯერ შემოვუარეთ ბაღს და დავბრუნდით შინ სრული კმაყოფილი ერთმანერთისა: მე დარწმუნებული, რომ მარი სილამაზესთან ჭკვიანი და მოაზრებულიც ყოფილა, და ის კი — რომ იპოვა კაცი, რომელიც არ დასცინის იმას და სიამოვნებით ივლის, ისეირნებს და დროს გაატარებინებს.

პირველსავე საღამოდგან ჩვენ იქამდინ დავახლოვდით, რომ იმან ნება მომცა ძალუას მაგივრად სახელი დამეძახნა. როდესაც შინ მო-

ვედი, ჯერ არავინ დაბრუნებულიყო და დროს გასატარებლად ავიღე რაღაცა წიგნი, რომელსაც ხმა მაღლა დავუწყე კითხვა. მარი, კუშეტკაზედ წამოწოლილი, ყურს მიგდებდა. ეს წიგნი იყო შვეიცერის რომანი, და კითხვამ იქამდინ გაგვიტაცა, რომ სოფიოს შემოსვლა ვერ შევამჩნიევთ.

ის მოსულიყო, თავს დამდგომოდა და ისე ჩამომცქეროდა წიგნში.

— წიგნსა კითხულობთ?

მე შევხედე და დავინახე აშკარა ბოროტი ღიმილი.

— შვეიცერის რომანი... ამაღლებულ გრძნობაზედ! — ისევ იმ ღიმილით გააგრძელა იმან და დაუმატა: — მაგრამ უბრალოთა ჰკარგამ დროს, მარისთან გრძნობაზედ ლაპარაკი ტყუილი შრომაა, რადგანაც მაგას თევზსავით გაყინული სისხლი აქვს.

მე არ ვიცი რა გრძნობაზედ ლაპარაკობ შენ? — უპასუხა მარიმ: — მაგრამ იმოდენა კი შემიძლიან, რომ წაკითხული გავიგო.

— რომანები! — და სიცილით წარმოსთქვა სოფიომ.

— აქ გასაკვირველი არა არის-რა, — ველარ მოვითმინე მე, — თუ ძნელად გასაგებ წიგნებს არ კითხულობს: მარი ჯერ კიდევ იმდენად ყმაწვილია, რომ მოასწრობს სწავლას და, თუ შენ მეტი იცი მარიზედ, რატომ არა ცდილობ — უშველო, აუხსნა.

— რა, შემოგჩივლა კიდეც?

— ვინა, მე?.. მე შევჩივლო ვისმე შენზედ? — მხრების აწევით და ისეთის სიამაყით წარმოსთქვა მარიმ, რომ სოფიო მოხარშულს ქარხალს დაემსგავსა.

— ჩივილი როგორ შეგიძლიან, უფროს მულზედ ჩივილი! — ხუმრობათ გადააკეთა სოფიომ.

მარიმ ისეთის ზიზღით შეხედა, რომ ჩემთვის სრულიად გამოაშკარავდა იმათი ურთიერთობა.

სოფიო გაბრუნდა და გავიდა.

კარგა ღამემ გაიარა, როდესაც ვახშამი ვჭამეთ და დასაძინებლათ წავედით ჩვენ ჩვენს ოთახში.

ისიყო სერთუკის ღილები გავიხსენ, როდესაც კარები გაიღო და ჩემს ოთახში შემოვიდა სოფიო.

მე თუმცა არ მიამა იმისი მოსვლა, რადგანაც მარტოდ დარჩენა მინდოდა, მაგრამ ხათრით ველარა უთხარი-რა.

— აბა ლევან! მითხარი, მიამბე შენი ყოფა-ცხოვრება.

მე გაკვირვებით შევხედე იმას, თითქმის მთელი თვე სოფელში ერთად გავატარეთ და ამგვარი კითხვა იმას ჩემთვის არ მოეცა.

— დაიცადე, რა დროს ძილია.

— როგორ თუ რა დროსია, ორი საათი სრულდება... ხვალაც დღე გათენდება და, თუ გსურს, ხვალ ვილაპარაკოთ.

სოფიომ თითქოს ვერ გაიგონა ჩემი სიტყვები, მივიდა და მოიკეცა ჩემს ლოგინზედ! მეც რაღა მეთქმოდა? ნება-უნებლივ დავჯექ და მოუთმენლად ველოდი, რომ გამეგო, რა უნდოდა ჩემგან.

— როგორ მოგეწონა ჩემი რძალი? — პირდაპირ დაიწყო ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— საუცხოვო რამ არის, — გატაცებით წარმოვსთქვი მე.

— ჰო, არა უჭირს-რა... ცოტა გონება გაუხსნელია, თორემ...

— მე ვერ შევნიშნე, სწორედ გითხრა, — გავაწყვეტინე მე: — ასეც კი მგონია, რომ ბევრს თავის ხნის ქალზედ მეტად აქვს გონება გახსნილი.

— არა, მაგაში კი შემცდარი ხართ.

— არა მგონია.

— საითგან ექნება გონება გახსნილი ინსტიტუტკას? რა უნახავს?

— აი, ეგ კი აღარ ვიცი.

— რა სწავლას აძლევენ ინსტიტუტში?

— ამბობენ, რომ ბევრს არაფერს.

— მაგანაც სრულიად არა იცის-რა, — დამტკიცებით წარმოსთქვა იმან.

— რასაკვირველია ის არ ელოდინება, რაც ცხოვრებაში გამოსადეგს, მაგრამ ცოტა ხელის შეწყობა და კითხვა ჩქარა მომამზადებდა მაგასაც.

— მომამზადებდა თუ არა, მაგისი არ ვიცი, მაგრამ ჩემი ძმის შესაფერი კი არ არის.

— ეგ მართალია, სწორედ, რომ შესაფერი არ არის, ქალი ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისაა, კაცი კი ორმოცდაათს გადაჭარბებული.

— ეგ კიდევ არაფერი—ქმარი ყოველთვის უფროსი უნდა იყოს, მაგრამ უნდა იცოდე, რა უთაური და მფანტავია.

— მფანტავიც?—გავიკვირვე მე.

— საშინელი.

— ცუდი ზნე ჰქონია!

— სწორედ დაღუპავს ჩემს ძმას.

— არა მგონია, იმას ისეთი ლაგამი აქვს ამოდებული, რომელიც ცხოვრებაში ბორძიკის ნებას არ მისცემს.

— რა ლაგამი, რას ამბობ?

— შენი გამოცდილება. — მე მაჯაერებდა იმისი სიტყვები, ვეღარ მოვითმინე და მკაცრად ვუპასუხე.

— დამცინი თუ?.. მართლადაც, მე რომ არა ვყვანდე, მგონი, ლუკმა ვერ შეეჭამათ.

— მეც მაგას არ ვამბობ... მაგრამ იცი, რა გითხრა: მეძინება, ღმერთმანი! ზოგიც სახვალიოთ გადავსდოთ, თორემ მასალა შემოგველევა.

— რა უცნაური რამა ხარ? — წამოდგა სოფიო: — დაიძინე და ხვალითგან ჩემს მფარველობის ქვეშ უნდა მიგიღო, ყველგან უნდა წაგიყვანო, ყველას უნდა გაგაცნო...

— მაგისაგან კი გთხოვ დამიხსნა... მე არც ვისმე გაცნობა მინდა, არც ვისი დამეგობრება.

— ეგ რაღა იცი, რომ არავის მიეკარები?

— რისთვის, ერთი მითხარ? რა მინდა? რა მაქვს საერთო იმ ხალხათნ, სადაც შენ დადიხარ, რომ მეც ვიარო?

— კარგი ერთი! — შემომელაქუცუხა სოფიო, მაკოცა შუბლში და გავიდა.

— ძლივს! — წამოვიძახე იმის გასვლასათნ ერთად და თავისუფლად ამოვისუნთქე და ჩავწექ ქვეშსაგებში.

## II

დღეები გადიოდა, მაგრამ ცვლილება არა ხდებოდა-რა: ყოველდღევე ის დასიცილი, მასხარად აგდება მარისა, პორფირუშკასგან გულგრილობა.

მარი იქამდისინ ჩუმს ტანჯვაში და მწუხარებაში იყო, რომ კაცს გულს მოუკლავდა. როდესაც ხედავთ, რომ ბრძოლა აშკარაა, გამოცხადებული, რომ კაცი პასუხს აძლევს თავის მოწინააღმდეგეს, მაშინ ის ისე შესაბრალი არ არის. მაგრამ აქ ბრძოლა დაფარული იყო და მებრძოლთ შორის ერთ მხარეს მიელო ყოველ წუთს ჯავრება, წინააღმდეგობა, ჩხვლეტა თავის მოპირდაპირესი, მეორეს კი გაჩუმებული მოთმინება აელო ფარად. მაგრამ რომელი მოიღალებოდა, რომელი სძლევდა, რომელი გაიმარჯვებდა, — ეს ძნელი გადასაწყვეტი იყო, თუმცა სოფიოს მომხრეებიცა ჰყვანდა. მარის ოდესმე რომ შაემჩნევინა, რომ სოფიოს სიტყვები სწყინდა, სჩაგრამდა, სოფიო უფრო გაზვიადდებოდა, უფრო მომეტებულად დაუწყებდა დევნას და ჯავრებას. ეს კარგად ესმოდა მარის და ამისთვის ის თვალთათვის გულგრილად მიიღებდა ხოლმე სოფიოს საქციელს, მაშინ როდესაც დიდი გავლენა კი ჰქონდა იმის თავმოყვარეობაზედ.

მე სრულებით თავი დამანებეს, თითქოს იქ არც კი ვიყავ. სოფიომ ერთხელ, ორჯელ სცადა ჩემი მიმხრობა, დამორჩილება, მაგრამ შესც-

და — როგორ მივემხრობოდი იმ ადამიანს, რომლის მოქმედებაც ისე საზიზღრად მეჩვენებოდა? მასუკან სცადა მასხარად ავეგდე, მაგრამ რამდენიმე წესიერმა დახვედრამ ამასაც თავი დაანებებინა.

მე და მარი სრულებით დავმეგობრდით, ყველგან ერთად ვიყავით, ერთად ვკითხულობდით, ერთად ვსეირნობდით.

მარი სრულებით გამოიცვალა: ეხლა იმასა ჰყავანდა მეგობარი, რომელთანაც შაეძლო ლაპარაკი, რომლისთვისაც შაეძლო მიენდო გულის პასუხი და მით შაემსუბუქებინა თავისი მდგომარეობა და მოეპოვა საბრძოლველად მომეტებული ძალა.

ერთ საღამოს მარი იჯდა სასტუმროში და ნახევარ-ხმად მღეროდა რაღაცა რომანსს.

მე, ნახევრად მიწოლილი დივანზედ, ყურს ვუგდებდი. ამ დროს შემოვიდა პორფირიუშკა, რომელიც ჩუმად მივიდა მარისთან და მოხვია ხელი, ცოლი წყნარად გაეშვებინა და საკოცნელად მომზადებულმა ქმრის ტუჩებმა ჰაერში გამოიღეს ხმა.

— მარტოკა ხარ? — ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა იმან.

— ეგ, ვგონებ, ორივ ერთი უნდა იყოს შენთვის.

— სად არის ლევან? ის ყოველთვის შენთან არის ხოლმე?

მარიმ ისე რიგად შეხედა, თითქოს ეუბნებოდა საყვედურს, მაგრამ პასუხი კი აღარ მისცა.

— აქა ვარ, — დავიძახე მე და წამოვდექ ფეხზედ.

— აქა ხარ! — თითქოს გაუკვირდა იმას და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — მეც არა ვსთქვი, როგორ მოხდა-მეთქი, რომ თავი დაგინებებია.

იმის სიტყვებში ნაღვლიანი ხმა ისმოდა და ძალდატანებული სიცილი.

— მარტო ეგ არის ჩემთან, და ეგეც გინდათ მომაშოროთ?

— ვინ გითხრა, მარი, ვინ?.. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენ დამეგობრდით... მე ლევანს დიდათა ვმადლობ, რომ დროს გატარებინებს.

— მესმის, ვიცი, რომ გიხარიან. — წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა მარი.

როდესაც ჩვენ მარტონი დავრჩით, კარგა ხანს ვერც ერთმა ხმა ვერ ამოვიღეთ.

— ლევან! — ბოლოს, მითხრა იმან და ხმა აუკანკალდა.

— რას მიბრძანებ?

— გებრალებოდეს მარი! ეგ ყმაწვილია, კეთილი, და მე კი ვხედავ, რომ მაგის გაბედნიერება არ შემიძლიან. მაგას მხიარულება,

ხტუნაობა, სიცოცხლით სავსე ცხოვრება უნდა და მე, მე კი სამარისკენ გავბრუნებულვარ.

— რათა ბრძანებთ მაგას, ბიძა-ჩემო?.. თქვენ ჯერ კიდევ არა გიჭირსთ-რა. — ვანუგეშე ბიძა-ჩემი, რომელიც იმ წუთში ისე სევდიანად, ისე უბედურად მეჩვენა.

— ეგ მე თითონ მესმის, მე თითონ ვიცი... მაგრამ გეხვეწები გაართე, — დაღონებით წარმოსთქვა ბიძაჩემმა და გამომართვა ხელი, იმდენი პატიოსნება და ნაღველი გამოითქმოდა ამ სიტყვებში, რომ მეც გული ამიდუღდა.

— რაც კი ჩემგან შეიძლება...

— ჰო, ჰო, რაც კი შენგან შეიძლება, ნუ დაიზარებ, ნუ. — ამ სიტყვებით ის გაბრუნდა, მივიდა კარებამდინ და მობრუნდა ისევ უკან: — მთელი დღეა შინ არის, ფაიტონი მოაყვანინე და სასეირნოდ მაინც წადით.

— ბატონი ბრძანდებით.

— იქნება ფული არ გქონდეს?

— როგორ არა, მაქვს, — ვუპასუხე მე, თუმცა ჯიბეში რამდენიმე აბაზის მეტი არ მედო.

— სოფიომ მითხრა, რომ სახარჯო არა გაქვს, აი, წაიღე. — მითხრა იმან და ბუმაჟნიკიდამ ამოღებული ოთხი ოცდახუთ მანეთიანი სტოლზედ დადო და თითონ კი გაბრუნდა.

როგორ? სოფიო ზრუნავდა ჩემს სახარჯოზედ, სოფიო ფიქრობდა ჩემთვის? ბიძაჩემი ფულს მაძლევდა?.. სწორედ რომ გაშტერებული დავრჩი და მიზეზიცა მქონდა, რისთვისაც უნდა გავშტერებულიყავ.

პირველად ვხედამდი ბიძაჩემს ისე, პირველად იმეტებდა ფულს ჩემთვის, მართალია, ჩემს საკუთრებას, მაგრამ მაინც ფულს, პირველად ვგრძნობდი, რომ ის მართლა უბედური იყო და ესმოდა თავის მდგომარეობა, რომელიც სტანჯამდა იმას.

შემოვიდა გოგო, რომელმაც ლამპა შემოიტანა...

— ქალბატონი რას აკეთებს? — ვკითხე მე.

— წიგნსა კითხულობს.

— სთხოვე აქ გამობრძანდეს.

— თქვენ თითონ შებრძანდეთ?

— შეიძლება?

— რატომ. იმათ არა სძინავსთ. გოგო გავიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ მე მივედი მარის კარებთან.

— შეიძლება შემოვიდე?

— შეიძლება.

მე შევაღე კარები და შევჩერდი. ჩემს თვალს წარმოუდგა მშვენივრად მოწყობილი ოთახი. ყველგან სისუფთავე, ყველგან სიფაქიზე თქვენსავე უნებლივ მიგიზიდავდათ და რაღაცა სინაზით გიალერსებდათ.

მარი ნახევრად მიწოლილიყო ქვეშსაგებზედ და წიგნს კითხულობდა. მე რომ შევველ, მუხლებზედ ჩამოიღო წიგნი და დაღონებულის თვალებით დამიწყო ყურება.

— რა მოწყობილი სადგური გქონიათ! — წამოვიძახე შესვლის უმალ.

— მარტო ეს ოთახი მეკუთვნის საკუთვრივ მე. აქ არავის არა აქვს ნება შემოსვლისა.

— მაშ მეც წავიდე? — ვთქვი და მეც დავაპირე გამობრუნება.

— არა, შენ სხვა ხარ... შენს მეტი მეგობარიც არა მყავს.

— წავიდეთ, მარი, გავისეირნოთ ფაიტონით.

— რამდენი საათია? გვიან ხომ არ იქნება.

— არა, ჯერ სულ შვიდი საათია.

— მეზარება, — გაზმორებით წარმოსთქვა იმან და რამდენიმე წუთის შემდეგ დაუმატა: — წავიდეთ.

ჩვენ ჩავსხედით და გავწიეთ მუშტაიდში, მარტო იმ ერთ თბილისის სასეირნო ადგილს, სადაც მთელი ქვეყანა დადის და მუდამ ერთმანერთს ათვალიერებს; ვინ ვისთან იყო, ვინ რა სთქვა, ვინ ვისთან როგორ იჯდა და როგორ უყურებდა, რომ აქედგან მოემზადებინა დროს გასატარებელი მასალა — სასტუმროს ჭორები.

საღამო იყო ჩინებული, და ჩვენ ჩამოვხტით მტკვრის პირს, ბესედკასთან და შევედით შიგ.

— დღეს ისე მკაცრად რად მოექეც შენს ქმარს? — წარმოვსთქვი მე და დაუწყე ყურება.

— ჩემს ქმარს... ქმარი კი არაა — ჩვარია.

— მარი, მაშ არ გიყვარს?

— არა.

— რისთვის სთხოვდებოდი?

— უცნაური კითხვაა!.. თითქოს ქალები სთხოვდებოდნენ... ისინი კი არა თხოვდებიან, იმათ ათხოვებენ!

— როგორ თუ ათხოვებენ, ამიხსენით.

— ვინ მისცა, შენ გაზდას, ქალს ის უფლება, რომ თავის ნებაზედ ამოირჩიოს ქმარი?

— ძალად გათხოვება ვის შეუძლიან?

— აბა ჰკითხე გათხოვილებს?... ბევრს გამოურჩევიათ თავის გუნებაზედ ქმარი? ბევრი გათხოვილა თავის სურვილით?... არა, ლევან,

შენ ჯერ არ იცი, რა მდგომარეობაში არიან ჩვენი ქალები... ბევრჯერ საქრმოებს პირში ეუბნევიან: არ მინდიხარ, ნუ მირთამო, მაგრამ ისინი მაინც თავს არ ანებებენ, დედ-მამანი მაინც ათხოვებენ.

— ძალად გათხოვება როგორ შეუძლიანთ, სხვა რომ არა იყოს-რა, ღვდელი ჯვარს არ დასწერს.

— ნეტა ვიცოდე, რა უფლებით ითხოვ ·ქალებისგან მაგ ბრძოლას?... რა სწავლა მიგიციათ, რა მომზადება, რომ იმათ შეიძლონ ცხოვრებაში ბრძოლა... ისინი იზრდებიან მონობის ქვეშ, ეჩვევიან სხვის ბრძანების ასრულებას და გათხოვებაც ბრძანებით ხდება!...

— აი თუნდა მე, — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო იმანვე მწარედ და ნაღვლიანად, — გამოველ თუ არა ინსტიტუტიდამ, მაშინვე შემომეხვივნენ: დედა, ძალუები, მამიდები და პაპიდები, დამიხატეს ჩემი ბედნიერი და მდიდრული ცხოვრება, უკეთუ პორფირს მივთხოვდებოდი, განსაციფრებელის, თავბრუსდამხვევის ფერადებით და თითქმის დამაყაბულეს. როდესაც საქმრო ვნახე, პირველი ნახვიდგანვე შემზიზღდა და ვუთხარ, რომ თითონ ეთქვა ჩემს შერთვაზედ უარი, რადგანაც ჩემი ნათესაობის და განსაკუთრებით ჩემი დედინაცვალის შიშით ძე თითონ ვერ გამებედნა. უარის მაგივრად პორფირმა მიჩივლა ჩემ დედინაცვალთან, რომელმაც დაარწმუნა, რომ სიყმაწვილით მომსვლია ის ლაპარაკი. მე დამტუქსეს, მიბრძანეს, ჩამაცვეს და ჯვარი გადამწერეს. მომეტებული წილი ქალებისა სულ ასე თხოვდებიან. არც განსაკუთრებითი ბრძოლა, არც მკაცრი უარი, რადგანაც ზოგნი დამონებულნი არიან, ზოგთ ბავშურის გამოუცდელობით მარტო გათხოვება მიაჩნიათ ცხოვრების საგნად.

მარი ლაპარაკობდა გატაცებით, რწმუნებით და ლაპარაკში აშკარად ეტყობოდა ის ნაღველი, რომლიც ეგრძნო იმას. მე გაშტერებით ყურს ვუგდებდი, რადგანაც არ მოველოდი იმისგან ასეთს დამყარებულს და დალაგებულს ლაპარაკს.

— მარი! — ვუპასუხე მე, რომელმაც არ ვიცოდი, რა გრძნობით ხელვმძღვანელობდი: — გეფიცები, რომ ბიძაჩემს უყვარხარ.

— იქნება, მაგრამ მე არ მიყვარს... ის მეტად მჩვარია, რომ ქალს უყვარდეს... მაგრამ ნუ მეუბნები მაგას, იმასაც არ ვუყვარვარ.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ უყვარხარ.

— რითი? იმითი ხომ არა, რომ ამგვარის თავისუფლებით ვსარგებლობ?... თუ ეგ არის, მაგაშიაც მოტყუებული ხარ, რადგანაც ეს თავისუფლება მე გამოვგლიჯე ძალით, გამოვგლიჯე იმიტომ, რომ უხასიათოა და კაცი, საითაც უნდა, იქით გააბრუნებს.

— არა, მე სულ სხვაზედ ვამბობ.

— სხვა რა იქნება? თუ ხანდისხან მოისურვებს ჩემს მოხვევნას, ვგონებ, საზიზღარი არ ვიყვე... თუ ეშინიან ჩემი თავის დანებებისა და უნდა თავის საკუთრებად მიყუროს, მანდაც თავის თავის სიყვარულია და არა ჩემი. იმას ეშინიან, რომ სხვა არ ვარჩიო იმის თავს და ამის მეტს ის არასა ჰგრძნობს... იმას რომ ვუყვარდე, ის რომ პატივსა მცემდეს, განა ნებას მისცემს ვისმე, რომ მასხარად ამიგდონ?

— შენ თითონ ამბობ, რომ ჩვილის ხასიათისა არისო.

— დიაღ, და მაგგვარ ხასიათს არც შეუძლიან სიყვარული.

— ის ზრუნავს შენთვის, ცდილობს, რომ გასიამოვნოს.

— დიაღ, და ერთხელ ის კი ვერ გაუბედნია უთხრას თავის დას— ჩემს ცოლს ნუ აწუხებო.

— აი დღესაც იმანა მთხოვა, რომ გასართობად წამომეყვანე.

— იმანა გთხოვა? — დამაკვირდა მარი.

— ნამდვილად.

— არ მესმის, რა მიზეზი უნდა იყოს? ის თავისთავად ვერ გაბედავდა მაგას და სოფიოს ბრძანება რად გამოსულა მაგგვარი.

— როგორ თუ სოფიოსი? — ვიკითხე და თითქოს მეც ეჭვი შემივიდა.

— არ იცი, რომ ის სოფიოს ნებადაურთველად მაგას ვერ გაბედავდა? — ჩამოვარდა სიჩუმე. ორნივ საგონებელში ჩავარდით. რამდენსაც მეტსა ვფიქრობდი, იმდენად მეტად ვრწმუნდებოდი, რომ მართლა სოფიოს ნებადაურთველად ვერ მოხდებოდა ეს საქმე. მართლადაც, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი, იქნება სოფიოს მოსწყინდა ალალმართალი ქალის წვალება და ცდილობდა, მოენანია თავისი დანაშაული?

მე რომ ამ ფიქრში ვიყავ, ფაიტონით ვილაცანი გვიახლოვდებოდნენ; როდესაც ჩვენ გაგვისწორდნენ, ფაიტონი შესდგა და აშკარად გავიგონე:

— Влюбленная парочка!..

მე შევკრთი ამ სიტყვებზედ და სანამ მოვისაზრებდი რასმე, ფაიტონი გაქრა.

— სოფიო იყო! — ხმის კანკალით და საჩქაროდ წამჩურჩულა მარიმ.

— შეუძლებელია! — ვუპასუხე მე, თუმცა ფაიტონში მჯდომი, ტალმაში გახვეული ქალი, მეც სოფიოდ მეჩვენა.

— გარწმუნებ, სოფიო იყო! — და ცოტა სიჩუმის შემდეგ დამუქრებით დაუმატა: — დიაღ, მე მიყვარს ლევან და ვნახოთ — ეგ მზვერაობა რას გიშველით!.. — მე მთლად ამანთეს ამ სიტყვებმა და აქამდის ვერ გამეგო, რა გრძნობა უფლობდა ჩემს გულში. მე ვიწო-

დი მთლად, მაგრამ აშკარადა ვგრძნობდი ნეტარების ცეცხლს, რომელიც ბედნიერებით ავსებდა ჩემს გულს და წასაქეზებლად უღუტუნებდა მთელს ჩემს არსებას.

— გინდა გიყვარდე? არ მიღალატებ? — ხელის გამოშვერით მითხრა იმან.

ღმერთო, რა მომივიდა იმ წამს? რა ნეტარების ნექტარი დაიძრა ჩემს ძარღვებში? მე თავსბრუ დამესხა, თავდავიწყებამდინ მივედი და, როცა გონს მოვედი და ვიგრძენი მარის გახურებული ტუჩები ჩემს ტუჩებს შეწებებული, მაშინ გავიგე, რომ მე გაგიჟებით მიყვარდა ეს ქალი და მივხვდი, რომ იმაზედ გადაენასკვა ჩემი ბედიღბალი.

მე უსიტყვოდ ვხარობდი, ვტიროდი, ვკოცნიდი, და პასუხად ესევე მეძლეოდა. მე ვიყავ ბედნიერი და ბედნიერად ვხედამდი მარის, რომელიც გულის ძგერით და კრძალვით მკერდზედ მეკვროდა.

დიდხანს გაგრძელდა თუ არა ეს სამოთხის სიტკბოება, მე არ ვიცი; მხოლოდ ერთბაშად გულში ლახვარსავით რაღაცამ მიჩხვლიტა და შევსდეგ, ერთბაშად გამოვფხიზლდი.

მე მომაგონდა, რომ მარი იყო გათხოვილი და, მაგასთან ჩემის ბიძის ცოლი და ესა კმაროდა, რომ მოწამლულიყო ჩემთვის მთელი სიტკბოება. გულზედ მომიჭირა რაღამაც ძალზედ და ისე დამაღონა, რომ, მეგონა, გავგიჟდებოდი.

— რა მოგივიდა? — მკითხა მარიმ ალერსიანად.

— არაფერი. — დაღონებით ვუპასუხე მე.

— ვერ მოვასწარ ჩემს სიცოცხლეში ერთხელ ნამდვილი გრძნობის გამოთქმა, იმ გრძნობისა, რომელიც გულმა თავისუფლად, სხვების შეუწევნელად წარმომათქმევინა და, აჰა, შენც დამიღონდი. — საყვედურით მითხრა იმან. — ნუ მოიწყენ, მე არ მინდა ეგა.—მომხვია კისერზედ ხელები.

ღმერთო! რა ჯოჯოხეთი იგრძნო მაშინ ჩემმა გულმა? მე, რომელსაც გაგიჟებით მიყვარდა, რომელსაც როგორც სიყვარული, ისე სიყმაწვილე, ნებას მაძლევდა, მიზიდამდა ამ ქალის სატრფიალოდ, — მეორეს მხრით ხელებს მიკრავდა ნათესაობის და პატიოსანის კაცის მოვალეობა.

— მარი, წავიდეთ შინ, ეხლა დრო არის.

— ასე ჩქარა მოგწყინდა ჩემთან ყოფნა? მოკლე მანძილი ჰქონია შენს გრძნობას!

— მე, მე მომწყინდა?.. არა, არა, მარი, მაგრამ მოიგონე, ვინა ვართ, რანი ვართ ერთმანერთისა და გაიგებ — რამდენად უბედური ვარ! — წამოვიძახე მწუხარებით.

— მართალი ხარ, — წყენით წარმოსთქვა იმან: — მე ბიძიშენის

ცოლი ვარ, რომელსაც აკუთნა ჩემი თავი კანონმა და საყდარმა, შენც ჩემი მაზლისწული... დრო არის წავიდეთ, ჩემო მაზლისწულო, თორემ კიდევ ვისიმე ფაიტონი გამოივლის, კიდევ ვისიმე ბოროტი თვალი შეგვნიშნავს.

მარი წამოდგა და გასწია. მე რაოდენსამე ხანს ვიდეგ გაშტერებული, შემდეგ გავყევ უკან, ჩავსხედით ჩუმათ ფაიტონში და ხმაამოუღებლივ მივედით შინ.

მარი იმავ წუთს გავიდა თავის ოთახში და გამოსალმების დროს არც კი შემოუხედავს ჩემთვის, მე კი გულის კანკალით გავაყოლე თვალი.

როდესაც ის კარებამდინ მივიდა, მე ველარ გავძელ.

— მარი! — დავუძახე მე და წავდგი რამდენიმე ნაბიჯი.

— რა გინდა? — მიპასუხა იმან და შესდგა კარებში.

მე მიველ, გამოვართვი ხელი და დავეკონე. ის მღელვარებით მამიბრუნდა და მითხრა:

— ჩვენი სიყვარული ხომ არ იქნება? ჩვენ... — აქ ხმა აუკანკალდა: — ჩვენ ნათესავები ვართ...

ამ სიტყვებზედ მარი გაბრუნდა და აშკარად ვიგრძენ მდუღარე ცრემლები, რომელიც გადმოსცვივდა და ხელზედ დამეცა. ის წყნარად შევიდა თავის ოთახში, წყნარად შეიხურა კარი, რომელმაც გამაშორა იმას, ვისიც დანახვა ქვეყნად მილირდა. აღელვებულის გულით, დამსხვრეულის გრძნობით, მე შეველ ჩემს ოთახში, სადაც სრულს მწუხარებას მივეც თავი.

მე ვხედავდი, რომ მარი ვაგლახად შემიყვარდა, რომ ის შეიქმნა ჩემის სიცოცხლის საჭიროებად, რომ რაღაცა უხილველს ძალას შევეპყარ და შეუბრალებლად მაერთებდა მასთან, მაშინ, როდესაც გონება იძახდა, რომ ის ნათესავია ჩემი, რომ ის სხვას ეკუთვნის და მაშასადამე მე ნება აღარა მაქვს ვისარგებლო, დავსტკბე მასთან ბედნიერებით.

ათასჯერ ვეუბნებოდი ჩემს თავს, რომ ის არავის ცოლი არ არის, რადგანაც არავინ არ უყვარს, რომ იმის უნებური ჯვარის წერა არავითარ ვალდებულებას არა სდებს მას, რომ აღძრულს გრძნობას ჩვენში არც ერთი ეძებდა, არც მეორე; თითონ მოვიდა, თითონ დაიბადა ჩვენსავე უნებურად, მაშასადამე, ჩვენ არამც თუ ბრალდებულნი არ ვიყავით, არამედ კანონიერადაც უნდა ჩათვლილიყო ჩვენი გრძნობა, მაგრამ გონება მაინც რაღაცა მოვალეობაზედ ჩამჩიჩინებდა და ამაზედ ფიქრი ცივს ოფლს მასხამდა.

ბოლოს, გონებამ დაიმორჩილა გრძნობა და გულის კვნესით გადავწყვიტე ჩვენი დაშორების საჭიროება. დიაღ, ჩვენ უნდა დავშო-

რებულიყავით, რადგანაც უბედურს შემთხვევას მარის თავი სხვისთვის ერგუნებინა.

ერთხელ კიდევ გავიფიქრე გაქცევაზედ, გადაკარგვაზედ მარისთან ერთად, შორს, შორს, სადაც ნაცნობების თვალი ვერ მოგვწვდებოდა, მაგრამ მაშინვე გონებამ ისევ შემაყენა და ჩამჩურჩულა: უბედური, აიანს ნაზად აღზრდილი, ცხოვრებისთვის მოუმზადებელი ქმნილება აქა-იქ წანწალს?

ოთახი ვიწროდ მეჩვენებოდა, ჰაერი რაღაცა გახურებულ თორნის ალად, რომლით სუნთქვაც მიძნელდებოდა, სწვავდა ჩემს გულს და ფილტვებს და სუნთქვა კი ისე მინდოდა. ახ, ღმერთო! იმ დროს რას არ მივცემდი ერთს მეგობრის დამამშვიდებელს სიტყვაში, რომელიც თანამგრძნობელს ხმას გამაგონებდა! მე ისე მეჭირებოდა მაშინ თანამგრძნობელი, ისე...

მე ვეღარ გავძელ ოთახში, გამოვარდი გარეთ და გიქსავით ჩავარდი ფაიტონში.

— გასწი! — დავძახე გაშტერებულს მეფაიტონეს.

— სით მიბძანებ?

— წადი, წამიყვანე, სადაც გინდა, მხოლოდ შორს, შორს. — მეფაიტონემ დაჰკრა ცხენებს და გავქანდით. გახურებული გონება არ ილალებოდა, ახალ-ახალი მოაზრება მებადებოდა ერთი ერთმანერთზედ გულს სადაგი, ერთი ერთმანერთზედ უფრო მწვავი, ხან ერთი-ერთმანერთზედ უფრო სანტრელი, ხან სამწუხარო.

მარიმ მითხრა, რომ უყვარვარ, რომ თანამიგრძნობს, — ეგ განა ცოტა ბედნიერება იყო ჩემთვის?.. მაგრამ გაუმაძღარი კაცის წადილი, თუ ბუნება, მაინც მეტს თხოვდა და მაინც მე მინდოდა, როგორც ძუნწს, არავისთვის არ გამეყო ეს თანაგრძნობა, არავის შეეხედა მარისთვის, მარტო მე დავმტკბარიყავ იმის მშვენიერობით, მარტო მე დავრჩენილიყავ იმასთან.

გონება მომელალა, ვეღარ ჰბადავდა სრულს, დალაგებულს სურათებს; მხოლოდ რაღაცა გაუთავებელი უთავ-ბოლო ფიქრები მიელავდა თავში და დაუწყობლად ერთი შესცვლიდა მეორეს. ბოლოს, ეს ყველა აირია ერთმანერთში: დაწყვეტილ-დაქანცულს რა მომდიოდა, არ მესმოდა, საფეთქლები ძალზედ მიცემდა, სისხლი თავში აწვარდნოდა, შუბლი გახურქას ლამობდა. მე ეხლა მგონია, რომ ის წამები სიგიჟესთან დაშორებული არ უნდა ყოფილიყო.

— ბატონო, მოვედით. — ფაიტონი დააყენა და მითხრა მეფაიტონემ.

— სადა?

— მცხეთას.

— ჰა!.. მცხეთას? ჰო, კარგი... ოჰ, რა რიგად მტკივა თავი.

— აქ კარგი წყარო გახლავს, იქ ჩაგიყვანოთ?

— ძალიან კარგს იზამ, ძალიან.

მისვლის უმალ მე მივუშვირე ყინულსავით ცივ წყაროს გახურებული თავი, რომლიდგანაც ოშხივარი ავარდა. ეს წყალი ისე მიამა, ისე მომასვენა, რომ იმ ხანში უკვდავებად მეჩვენა.

გათენება იყო, როდესაც მცხეთის სტანციას მივმართეთ, მაგრამ მაშინვე გამოვაბრუნებინე ფაიტონი და გავწიეთ ს. მცხეთას, სადაც ძველადგანვე ერთი ნაცნობი გლეხკაცი ძყავდა, რომელთანაც აუცილებლივ ჩამოხტებოდა ხოლმე მამაჩემი და იმის სიკვდილის შემდეგ მეც არ ვღალატობდი. ყოველთვის სანადიროდ წამოსული იმასთან უნდა ჩამომხდარიყავ. ეს გახლდათ ქიტესა ნინიკაშვილი, მოსული, წამოსადეგი გლეხ-კაცი, კარგი მოჭიდავე, კარგი მომღერალი და კარგი მასპინძელი. იქ ყველანი ზეზედ დაგვხვდნენ, როგორც მუშა ხალხი. ჩვენს მისვლაზედ ნინიკა გამოვიდა და ყურება დაგვიწყო. იმან ვერ მიცნო მე, რადგანაც ორი წელიწადი იყო, რაც არ ვენახე.

— ვინ გინდათ?

— ქიტესა, ველარ მიცან?

— ველარ, შენი ჭირიმე.

— მე ვარ ლევან... — და ვუთხარი ჩემი გვარი.

— ლევან!... — ქუდის მოხდით წამოიძახა: — რამოდენა ვაჟკაცი შექნილხარ!... მობძანდი, მობძანდი შენი ჭირიმე. — ქიტესამ შეგვიწვია.

— სხვა, რასა იქ, ჩემო ქიტესო? სახლობა ხომ მშვიდობითა გყავს?

— ვცხოვრობთ ღვთისა და შენის მოწყალეობით... მამაჩემი გარდაიცვალა... ხომ არას მიირთმევთ?

— არა, ჩემო ქიტესო! ღამენათევი ვარ, თუ შეიძლება, ცოტა ხნას წამოვწვები.

— კარგი, შენი ჭირიმე, კარგი... მოისვენეთ, მე ერთი ფაცრებს მოუვლი, იქნება ცოცხალი თევზი ვიშოვნო.

— მანდ ცხენებია, ისიც დააბინავე.

— დიაღ, შენი ჭირიმე! თქვენ მოისვენეთ და ყველაფერი მზად იქნება.

ქიტესამ გაშალა საგებელი ნახევრამდი მიწაში ჩადგმულს სახლში, სადაც საკმაოდ გრილოდა და დღის სიცხე კაცს ვერ შეაწუხებდა. მე ისე, ტანისამოსიანი, მივწექ და, დაღალულ-დაწყვეტილს წარსული ღამის მღელვარებით, ჩქარა დამეძინა.

იმედი მქონდა, რომ მოსვენებული ძილი აღადგენდა დაკარგულს

და დასუსტებულს ძალას, მაგრამ თვალების დახუჭვის უმალ, გონებაში შთაბეჭდილი სურათები ისევ წარმომიდგა. ღმერთო! კაცი რამდენჯერ არის ბედნიერი სიზმარში, ცხადათაც რომ ისე იყოს, გაბედამდა ვინმე, რომ ცხოვრებისთვის ჯოჯოხეთი დაერქვა?

მე წარმომიდგა მარი, მარი ყმაწვილი და თავისუფალი, თეთრი, სპეტაკის ტანისამოსით. დამშვიდებულის ანგელოზის სახე მიელო. ის იჯდა ჩემს გვერდით მოღიმარის სახით, მიალერსებდა, იყო ბედნიერი და მეც მაბედნიერებდა თავის მხიარულებით! ჩვენ უზრუნველად ვკოცნიდით ერთმანერთს, ვეხვეოდით და სიტყვას გრძნობისთვის ადგილი დაეთმო. ყოველი შეხედვა, ყოველი მოძრაობა, ყოველი შეალერსება ღირდა მთელს საუკუნოებად, რომლის განმავლობაშიაც, განუწყვეტლივ რომ გელაპარაკათ, ერთი შეხედვის ოდენს ვერ გამოსთქვამდით.

მე მოვხვიე მარის მღელვარებისაგან ათრთოლებული ხელები და დავუწყე გატაცებული ხანგრძლივი კოცნა, თითქოს ტუჩებით ჩვენ გვინდოდა ერთმანერთისათვის გადაგვეცა ჩვენი სიცოცხლე. მემრე განვშორდებოდით და დაუწყებდით ერთმანერთს თვალებში ყურებას და ერთმანერთის თვალებიდამ ამოგვქონდა ნეტარების უკვდავება. მარი ჩქარჩქარად წითლდებოდა ბავშურის უმანკოებითა, ლოყებში მომდგარი სისხლი ჩემს აღსაშფოთებლად უთამაშებდა. ყოველი იმისი სუნთქვა მიმატებდა სიცოცხლეს და სიხარულს, არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავ ამ მდგომარეობაში, როდესაც გარედგან შემომესმა ხმაურობა. მე გავახილე თვალები და გულსაკლავი ჭეშმარიტება დავინახე. განჰქრა ძილი და მასთან სანეტარო სიზმრები და ოცნება!

მე ვლანძღავდი ორს მოჩხუბარს კაცს, რომელთ ხმაურობამაც მე დამიფრთხო ტკბილი ძილი და არ დამაცალა რამდენადმე მომეტებულად დავმტკბარვიყავ ტკბილის მოჩვენებით.

— ძალიან კი გეძინათ, შენი ჭირიმე... უთუოდ კაი სიზმრებში ბრძანდებოდით, პირი სულ გიღიმოდათ. — მითხრა ქიტესამ, რომელმაც კარი შემოაღო.

— ჰო, მართალია, არ ვიცი, ღმერთმანი... — ვუპასუხე მე დაფანტვით, რადგანაც ჯერ კიდევ გული ცემისაგან არ შეჩერებულიყო, წარსული სურათები სრულიად არ გამქრალიყო.

ჩვენ ჩქარა დავსხედით პურის საჭმელად, მაგრამ ვაი იმ პურის ჭამას! ყელში და პირში თითქოს ნაღველა მქონდა გამოვლებული, რიგიანმა ღვინომაც კი ვერ მომიყვანა გუნებაზედ. დაღონებული ვილებდი ლუკმას, ჩავიდებდი პირში და ბევრჯელ ისე დამრჩებოდა, სანამ ჩემი მასპინძელი არ მომაგონებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონმა მოგვიწყინა, უთუოდ არ უამა.

— არა, ჩემო ქიტესო! შეუძლოდა ვარ როგორღაც.

ეხლა მე მომინდა წარმოუთქმელის წადილით ჩქარა დაბრუნება ქალაქში, ჩქარა ნახვა მარისა, და ეს წადილი ისე ძიელი იყო, რომ არავითარს საბუთებს არ შეეძლო იმათი დაკავება. რათა? რისთვის?... რას მოველოდი მარის ნახვით?... განა ეშველებოდა ჩემს წყლულს?

მე ყურში გამიწიოდა ერთი და იგივე ხმა: „ჩვენ ხომ ნათესავები ვართ, ის ხომ სხვას ეკუთვნის!“ და ამ სიტყვებით სწყდებოდა ჩემი ბედნიერება მომავალს ცხოვრებაზედ.

საჩქაროთ ვჭამეთ პური, საჩქაროთ შევაბმევინე ცხენები და მზე გადაწვერილი იყო, რომ გამოვედით მცხეთიდამ.

გზაში გადავწყვიტე, რომ, ჩასვლის უმალ, მოველაპარაკები ბიძაჩემს, მოვთხოვ ფულს და გავწევ სამზღვარს-გარეთ, სადაც ხანსა და რაოდენიმე გართობას უნდა გადაევიწყებინა აღძრული გრძნობა.

ასე ამბობენ, რომ ხანი აჩლუნგებს ყოველგვარ გრძნობასაო და მეც ვეთანხმებოდი ამას.

მე დავბრუნდი სწორედ სანთლების ანთების დროს. ყველანი შინ იყვნენ და პურის საჭმელს ოთახში ჩაისა სვამდნენ. მე გაველი ჩემს ოთახში, სადაც შემომესმა ხარხარი და სიცილი უზრუნველის ხალხისა, რომელიც უწინდებურად ოხუნჯობდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა. მე წარმომიდგა იმათ შორის მარი, მოწყენილი, გაჩუმებული, რომელსაც, უეჭველია, შეეხებოდა ეს დასიცილი. უეჭველია, სოფიო მეც არ მივიწყებდა, და მძიმე ჭახრაკმა გულს მწარედ მომიჭირა.

ჩემს ოთახში შემოიხედა მარის გოგომ და ორაზროვანის ღიმილით მკითხა:

— მობრძანდით?.. მადლობა ღმერთს! ჩვენ კი გვეგონა ცხრა მთას იქით გადაიკარგაო.

— მე მიზეზი არა მქონია, ცხრა მთას იქით გადავკარგულიყავ.

— არა? — გაგრძელებით იკითხა იმან.

— რასაკვირველია, რომ არა.

გოგომ შემომხედა და ჩუმად ჩაიცინა.

— ქალბატონი სად არის? — ვკითხე მე ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— შინ არა ბძანდება.

— მაშ სად არის?

— კრუჟოკში წაბძანდა.

— კრუჟოკში? — გამიკვირდა მე.

— დიაღ.

გოგო გავიდა, მე დავფიქრდი და ახალმა ფიქრმა გამგმირა. მა-

რის საზოგადოება არ უყვარდა, მარი არსად დადიოდა, რისთვის წასულა კრუჟოკში? ვისთან?

სანამ მე ამ მოსაზრებაში ვიყავ, პორფირი შემოვიდა.

— აქამდინ სად იყავ?

— მცხეთას.

— მცხეთას რას აკეთებდი?

— ისე, გასართობად წაველი.

— მარტოკა?

— დიაღ, მარტოკა.

— არც კი გრცხვენიან!... მარი რატომ არ წაიყვანე?

მე შევხედე იმას გაკვირვებით, მაგრამ აღარა ვუპასუხე-რა, თუმცა ენაზედ გამოსალანძღავი სიტყვები მიტრიალებდა.

ის, ყოვლად ბრმა, გამოსულელებული კაცი, ცდილობდა, რომ იმის ცოლს დავახლოვებულიყავ, დავრჩენილიყავ მარტოდ! ნუთუ არ ესმოდა, რა ძნელი იყო ჩვენთვის მარტოდ დარჩენა? ნუთუ ვერა ჰხედამდა, რომ ჩვენს გულში აღძრულიყო რაღაცა გრძნობა, მით უფრო საშიში, რომ მარი იყო ყმაწვილი, მშვენიერი და მასთან სძაგდა, ეზიზღებოდა თავისი ქმარი? რისთვის მაგდებდა ამ საშიშარს მდგომარეობაში? იქნება ცოლის თავიდამ მოშორება უნდოდა და მარის დასამცირებელი საბუთები სურდა ხელში ჩაეგდო?

ამ სიტყვებმა თავში გამიელა და უფრო საზიზღარად მეჩვენა პორფირუშკა.

— რატომ თქვენ თითონ არ დასდევთ, არ დაგყავსთ სასეირნოდ? — ვკითხე ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— მარის რომ იმის მეათედად ვუყვარდე, როგორც შენ უყვარხარ, წუთს არ მოვშორდებოდი. — მიპასუხა იმან ისევ ოხვრით და მერე დაუმატა: — აი წუხელისაც, სულ ტირილით გაატარა ღამე.

ამ სიტყვებმა მე ამაჟრჟოლეს. როგორ, მარი სწუხდა, მარი ტიროდა ჩემთვის, და მე კი ვშორდებოდი? ის მეძლეოდა ხელში და მე კი გავრბოდი?.. მაგრამ... ეს უფრო მეტი საბუთი იყო, რომ რაც კი შეიძლებოდა ჩქარა მოვშორებოდი. კარგა ხანს ვიყავ გაჩუმებული, ვიდრე სიტყვას მოვახერხებდი და, ბოლოს ძლივს წარმოვსთქვი:

— ალბათ, მიზეზი ჰქონდა რამე.

— მეც ვიცი, რომ უმიზეზოდ არ იტირებდა, და მიზეზი კი შენ იყავ.

— მე?

— დიაღ, შენ... მარი ყმაწვილია, უთუოდ შენ აწყენინე რამე და ამას გამოუწვევია იმისი ტირილი.

— ბიძაჩემო, მე არ მესმის თქვენი მოქმედება, თქვენი ლაპარაკი.. რას ითხოვთ, რა გინდათ ჩემგან?

— მარი მებრალება, შენც გებრალებოდეს. — ისეთის ხმით მითხრა იმან, რომ გული სევდით გამევსო.

— თუ გებრალებათ, — გატაცებით ვუპასუხე მე, — მაშ რატომ არ ცდილობთ, ცოტათიც არის, შეუმსუბუქოთ თავისი მდგომარეობა. თქვენ კარგათა ჰხედავთ, რომ იმას პირში დასცინიან, მასხარად იგდებენ, და თქვენ კი გაჩუმებულხართ და ყური მოგიყრუებიათ?

— მე... მე რომ დამნაშავე ვარ იმასთან... ეგ მეც მესმის, მაგრამ რა ვქნა? სოფიო... სულ სოფიოს ბრალია...

— სოფიოს როგორ შეუძლიან, თუ თქვენ ნებას არ აძლევდეთ.

— ო-ო, შენ არ იცნობ იმას?... — წარმოსთქვა პორფირიუშკამ და დაიფარა პირზედ ხელები: — იმას ჩემი დაღუპვა შეუძლიან.

— არ მესმის.

— არც არის საჭირო... მე მხოლოდ გთხოვ, გებრალებოდეს მარი, ნუ შორდები, იყავ იმასთან.

— თქვენ იცით, რას ითხოვთ ჩემგან?... მაგრამ იცი თუ არა, ეგ სულ ერთია... მე არ შემიძლიან დარჩენა, მე სამზღვარგარედ უნდა წავიდე.

— რა გინდა სამზღვარგარედ? აქ დარჩი.

— ყოვლად შეუძლებელია.

— მე გთხოვ.

— სამწუხაროდ, უარი უნდა გითხრათ. — ვუპასუხე გარდაწყვეტით და რამდენიმე წუთის შემდეგ განვაგრძელე:

— მე, დიდი ხანია, მაგაზედ მინდოდა მომელაპარაკნა... თქვენ კარგად იცით, რომ წასვლისთვის საჭირო ხარჯი არა მაქვს. თქვენა ხართ ჩემი აპეკუნი და უნდა გამაგებინოთ, რა მაქვს და რა არა.

— მე, მართალია, აპეკუნი ვარ, მაგრამ აგრე საჩქაროდ, უცბად სწორედ გითხრა... მე არ მეგონა ანგარიშს მომთხოვდი, — აირია პორფირი.

— მე ანგარიშს კი არა გთხოვთ, მე მინდა შევიტყო, რის დახარჯვა შემიძლიან, რომ ისე დავიჭირო საქმე.

— დახარჯვა, დახარჯვა... წელიწადში რომ ვსთქვათ... სულ ბევრი, სულ ბევრი... — დაფიქრდა პორფირი და მერე ერთბაშად დაუმატა: — არა, ეგრე ჩქარა ვერ გიპასუხებ, ერთი კვირა დამაცადე.

— ძალიან კარგი, მაგრამ დღეს უნდა გადავიდე თქვენი სახლიდგან.

— რას ამბობ! — შეეშინდა პორფირს: — უნდა გადახვიდე, მთელი ქვეყანა ააყაყანო, საჩივარი დამიწყო?...

მე გაკვირვებით შევხედე იმის გაფითრებულს პირისახეს, რომელიც შიშს დაემახინჯა და უნებლივ გამეცინა.

— ვინ მოგახსენათ, რომ საჩივარს დაგიწყებთ...

— მაშ რად გადადიხარ?

— აქ ვერა ვთავსდები, — ვუთხარ და მე თითონ გავწითლდი ამ სიტყვაზედ.

იმან დამიწყო ხვეწნა, მუდარა, რომ ყელი არ გამომეჭრა იმისთვის და არ გადავსულიყავ. ჩვენ ამ ლაპარაკში ვიყავით, როდესაც შემოვიდა მარი და რაოდენიმე ხანს შევსწყვიტეთ ლაპარაკი.

ის იყო ჩაცმული შავს უბრალოდ მორთულს კაბაში, რომელიც ისე მოსწყობოდა იმის ნარნარ წელს. იმისმა ნახვამ გამაკრთოლა.

— თითქო კრუჟოკში იყავით? — მისალმებით ვკითხე მე.

— წავედი, მაგრამ აღარ შეველ... უკან დავბრუნდი...

— წარმოიდგინე, ლევანი მიდის! — თითქმის ტირილით შესჩივლა პორფირმა თავის ცოლს.

— სად?... მართალია? — მომიბრუნდა მე.

— დიაღ, — თავდახრით ვუპასუხე, რადგანაც თვალები ვერ გამეშტერებინა იმის თვალებისთვის, რომელიც ისე მწარედ მწვავდნენ.

— რამდენს ვეხვეწები, რომ დარჩეს და არ მიჯერებს... სთხოვე, მარი! — დაეღრიჯა ქმარი.

— თქვენა გნებავთ, რომ დარჩეს? — ჰკითხა ცოლმა წყნარად, მაგრამ მტკიცედ.

— დიაღ, მინდა.

მარიმ შეხედა ზიზღით და მომიბრუნდა მე:

— რად მიდიხართ?

— საქმეები მაქვს, წიგნი მომივიდა... — ავირიე მე.

— ნუ წახვალთ.

მე რაღაცა წამოვილუღლუღე, თუმცა გულმა გადასწყვიტა, რომ დავრჩებოდი, რადგანაც მარის წადილი ჩემს უნებურ ჩემი მბრძანებელი გამხდარიყო.

— დარჩით. — განიმეორა იმან.

— თქვენა გსურთ?

— დიაღ, მე მსურს, მე მინდა და დარჩებით კიდეც. — ამ სიტყვების შემდეგ პასუხის მოუცდელად ის შევიდა თავის ოთახში, მე კი გაშტერებული, აღელვებული და დამონებული ვიდექ!

— დარჩები? — მკითხა პორფირმა, რომელიც მოთმინებას მაკარგვინებდა.

— დავრჩები, დავრჩები!.. ვიფიქრებ... მაგრამ... — ველარ გავათავე ჩემი სიტყვები და დაღონებული ქეშსაგებზედ ჩამოვჯექ.

პროფირუშკას ჩემს სიტყვებზედ თითქოს ფერი ეცვალა... გაჩუმებულს, ხმაგაკმენდილს მოეპყრო ჩემკენ თვალები და ჩაციებით მიყურებდა. მე თავი ველარ ამელო, ველარ შემეხედა იმისთვის.

პორფირუშკამ გადაისვა შუბლზედ ხელი, ამოიოხრა, მოვიდა ახლოს და წყნარად ჩამჩურჩულა:

— შემიბრალე, საქვეყნოდ ნუ გამხდი!

ამ სიტყვების შემდეგ წყნარად გაბრუნდა და გავიდა.

— რა უნდა ჩემგან, რასა მთხოვს ეგ კაცი! — წამოვიძახე და ჩემსავე უნებურად დავიწყე ტირილი, მწარედ, მდუღარედ, ქვითინით. დავრჩი, მაგრამ რისთვის?... როდემდის?.. რა მომელოდა?..

## III

მეორე დღეს ძალიან ადრე გამეღვიძა, თუმცა გათენებამდის ძილი არ მომკარებია და ის ხანიც, რაც თვლემაში ვიყავი, რაღაცა დამასუსტებელი მდგომარეობა იყო, ვიდრე მომასვენებელი. სახლში ჯერ არავინ ამდგარიყო; ახლად ამოსულის მზის სხივები ზოლ-ზოლად შემოწოლილიყო და ფარდებისაგან დაბნელებულს ოთახში მხიარულად თრთიდა. წვრილი, სხვა დროს თვალისთვის შეუმჩნეველი, მტვერი, საგნების ნაძენძი და ფერფლი ირეოდა, სხვადასხვა ფრად მზის შუქზედ ბჯყვრიალებდა. სხვა დროს ეს სურათი მთელის საათობით მიიქცევდა ჩემს ყურადღებას, მთელის საათობით შევცქეროდი იმ წმინდას და ხაიათს ნაძენძებს და ფერფლებს, რომლებიც დასდევდნენ ერთმანერთს, შესთამაშებდნენ მზის სხივებს, იქნება სიცოცხლესაცა ჰგრძნობდნენ; მაგრამ ეხლა კი მაშინვე თვალების დახუჭვა მომინდა, რადგანაც სისხლი თვალებში მომწოლოდა, თავი დამძიმებოდა და შუქი უსიამოვნოდ მოქმედებდა.

მე თვალები ისევ დავხუჭე, მაგრამ წარმოუთქმელმა თავის ტკივილმა ჩქარა ზეზედ წამომაგდო. იქვე იდგა ტასტი და ალთაფა ცივის წყლით, რომელიც სწრაფად თავზედ მოვიქციე და სიგრილემ თითქოს რაოდენადმე მომასვენა. საჩქაროდ ჩავიცვი ტანისამოსი და გავწიე მუშტაიდისკენ, სადაც ჯერ მოძრაობა არ დაწყებულიყო და ვერ მოესწრო იმ უსიამოვნო მტვერს ჰაერში ავარდნა, რომელიც ისე შემაწუხებლად გივსებთ და გიხლანძავსთ ყელს და ფილტვებს.

დილა მშვენიერი, ყუჩი და თბილი იყო; ამგვარი დღეები სწორედ ბედნიერთათვის იყო გაჩენილი, მაგრამ ჩემს დაჩაგრულს გულსაც რაღაცა სიამოვნებას უღვიძებდა. ბაღში ჩიტების ჭიკჭიკის მეტი არა მოისმოდა-რა. ისინი დახტოდნენ ერთი შტოდგან მეორეზედ, მხიარულებდნენ, ხანდისხან კიდეცა კინკლაობდნენ. აშკარად ეტყო-

ბოდათ, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ და ნებაცა ჰქონდათ ამ ბედნიერებისა. მწვანედ გადაშლილს ხეებსაც შტოები გაეშვირათ და ერთმანერთში ისე გადახლართულიყვნენ, თითქოს საერთო ფერხული დაებათ, შეერთებულთ თავიანთი ბედნიერება ერთმანერთისთვის უნდა გადაეცათ, ერთმანერთში გადაეტანათ თავის სიცოცხლის ძალა.

ჯერ სიცხეები არ დამდგარიყო და, მაშასადამე, ჩინებული ჰაერი ტრიალებდა. ჩემს გარშემო ყველა სცოცხლებდა, ყველა ხარობდა, ყველა ჰგრძნობდა, რომ გაჩენილია, რომ სიტკბოება არის ქვეყანაზედ და კიდეცა სტკბებოდა. ყველას ეპოვნა თანამგრძნობელი, ყველას ჰყავდა თავისი ცალი, უკანასკნელი კოღოებიც კი მხიარულობდნენ და თამაშობდნენ!..

იმათ შორის ვიდეგ კაცი, მათზედ მეტის აზროვნობით, მეტის გრძნობით, მეტის მოაზრებით, გვირგვინი დანარჩენ ქმნილებათა შორის, და მე კი ვერ მომეწყო იმათსავით ცხოვრება...

მხოლოდ მე ვიდექ განმარტოებული, დაჩაგრული, მარტო მე ვერავისთვის გადამეცა გულის მოძრაობა და შურით ვუყურებდი ბედნიერს ქმნილებათა, რომელნიც უბრალო ფიქრზედ დროს არა ჰკარგავდნენ, სარგებლობდნენ მით, რაც ეძლეოდათ!... ვინ არის მართალი: ისინი თუ მე?... სიმართლისას კი ვერას გეტყვით, მაგრამ ისინი რომ ჩემზედ ბედნიერები იყვნენ, მაგაში ეჭვი არ იყო...

დავდუმდი, დავფიქრდი და, სწორე გითხრათ, საფიქრელიცა მქონდა.

მე მივედ სწორედ იმ ბესედკასთან, სადაც წინალამეს მე და მარი ვისხედით, და დავუწყე მტკვარს ყურება, რომელიც წყნარად მოდუდუნებდა. ზემოდგან მოგდებულს ქაფს თევზები შემოსთამაშებდნენ და ხანდისხან მთელს ადლზედ მაღლა ხტოდნენ.

აქ დავჰყევ საკმარისი ხანი და გადავწყვიტე, დავმორჩილებულიყავ ჩემს ბედს, რომელსაც სიამოვნება არც წარსულში ეჩვენებინა და არც მომავალში მიქადდა. გადავწყვიტე, რომ ჩემს გრძნობას რამოდენადაც უნდა გაეზიდა, დამცირებამდის არ მივსულიყავ, არ მეღალატა იმ შეხედულებისათვის, რომელიც ხალხს სინიდისის მოვალეობად მიულია; გადავწყვიტე აღძრული გრძნობა გულში მომეკლა, გულში დამემარხა.

მე მახსოვს ეს წუთი, რომელმაც ერთბაშად მთელი არსება გადამიბრუნა, რომელმაც მხიარულის, გაბედულის კაცისაგან დაღონებულად, მოწყენილ და ბედის მონად მაქცია.

ამგვარად დავბრუნდი შინ, როდესაც კარებში სოფიო შემხვდა და პირველსავე შეხედვაზედ თავი დამახრეინა. იმის სახე რაღაცა

დამცინველს და სიბოროტით სავსე ღიმილს გამოხატავდა. იმის თვალები თითქოს სიხარულით მეუბნებოდა: „გაები მახეში, მოგახრჩვინეს თავი?“ და თითქოს ამ სიტყვების ჭეშმარიტებას მეცა ვგრძნობდი, ვგრძნობდი ისე ძლიერად, რომ ხმა ველარ ამომელო.

— აჰ! ლევან! — წარმოსთქვა იმან და შესძგა: — სად მიხვალ, შინ არავინ არის.

— დაღალული ვარ, მინდა დავისვენო. — ვუპასუხე მე.

— დაღალვა... ჰა, ჰა, ჰა,!... — გადიხარხარა იმან და დაუმატა: — შენს ხანში დაღალვა განა შესაძლებელია?

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაგ დროში კაცის სისხლი სდუღს და გადმოდის... იმიტომ, რომ შენს ხანში კაცი რამდენსაც მეტსა მოქმედობს, იმდენად მეტადა სწყურდება მოძრაობა.

— მაშ მე სხვებს არ ვგვანებივარ.

— მხოლოდ ერთი შემთხვევა არის, რომელიც ყმაწვილ კაცს მოსწყვეტამს ხოლმე.

— რა შემთხვევა?

— სიყვარული. — მომიჭრა იმან სიტყვა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — შენც ხომ არავინ შეგყვარებია?

ამ სიტყვებმა გალესილს დანასავით გამისვა გულზედ და მწარე ტკივილი მაგრძნობინა. პასუხის მაგივრად დაღონებულის თვალით შევხედე და, უეჭველია, შიგ შესამჩნევი საყვედური გამოითქმოდა, რადგანაც სოფიო გაწითლდა. იმას აშკარად ესმოდა, რა სატანჯავიც იყო ჩემთვის ამ სიტყვების გაგონება და აშკარადვე სჩანდა, რომ განზრახ მეუბნებოდა.

ფიქრში ელვასავით სწრაფად გამირბინა: „რას მემართლება?“ და მაშინვე შეიცვალა შემდეგის სიტყვებით: „თითქო ამბობენ — ქალი გულჩვილია, მისი გული ადვილად ჰგრძნობს სხვის გულის პასუხსაო?“

— წავიდეთ, გავისეირნოთ. — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ სოფიომ და დაუმატა: — დასვენებას კიდევ მოასწრობ.

გამომიშვირა ხელი და მეც უარი ველარ მოვახერხე. ჩვენ გავედით ბაღში, სადაც მთელი ქალაქის მცხოვრებნი გამოფენილიყვნენ და დასეირნობდნენ. მე და ჩემი თანამგზავრი კარგა ხანს დავდიოდით გაჩუმებულნი და, ბოლოს, ერთს ადგილს ჩამოვსხედით.

— პორფირმა მითხრა, რომ სამზღვარსგარეთ წასვლას აპირებ, მართალია? — მკითხა სოფიომ და დამაცქერდა.

— მართალია.

— რად მიდიხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უცხო ენები მინდა შევისწავლო.

— ჯერ უნივერსიტეტი გაგეთევებინა?

— უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ისეთი მიზეზები მაქვს, რომელიც მიშლის მაგ სურვილის აღსრულებას.

— მიზეზები? — შემომხედა სოფიომ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — უთუოდ იქ... შეგიყვარდა ვინმე და დაბრუნება იმიტომ აღარ გინდა?

— შენ სულ ერთი მიზეზი გაქვს! — ვეღარ მოვითმინე და შევუტიე.

სოფიომ ისევ ენა მოიკვნიტა და ჩაჩუმდა.

— მაშ სამზღვარგარეთ უეჭველად წახვალ?

— ასე ვფიქრობ...

— ხარჯი?... სამზღვარსგარეთ ცხოვრება იქმნება ადვილი გგონია?

— არა, ადვილი არ მგონია, მაგრამ ჩემი შემოსავალი, ვფიქრობ, მეყოფა.

— შემოსავალი?... რა შემოსავალი?.. მამულისა?

— დიაღ, მამულისა.

— თუ მაგის იმედი იქონიე... — აღარ გაათავა სოფიომ.

— მაშ სხვა რის იმედი უნდა მქონდეს?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ მამული რომ კუჭს ვერ გაგიძღობს, მაგაზედ კი დარწმუნდი... რა შემოდის ჩვენის მამულებიდგან, შენს გაზრდას, რომ კაცმა იმის იმედით სამზღვარსგარეთ წასვლა გაბედოს.

მე გაგონილი მქონდა, რომ კარგი მამულის პატრონი ვიყავ, მაგრამ ჩვენებური კარგი მამული, კარგი შეძლება კარგად ვიცოდი, რაც იყო. ყველა ყვირის ჩინებული სახლი მაქვს, საუცხოვო შეძლებაო და როდესაც ამგვარს სახლობას ეწვევი, კვერცხისთვის მეზობლებთან გზავნიან, თითოობით თორნის პურს სესხულობენ. ჩემი „კარგი მამული“, მართლადაც, რა უნდა ყოფილიყო, რა შემოსავალი უნდა მოეცა?

— მართლა, — სოფიო, დავიწყე მე: — სულ ის მინდა რომ გავიგო, რა მაქვს და რის დახარჯვა შამიძლიან, და დღემდის ვერა გამიგია-რა... მე მარწმუნებენ, რომ ჩინებული მამული მაქვს, მაგრამ გარეშე ხალხის ლაპარაკი, შენც ხომ იცი რამდენადაც დასაჯერია; დიდად დამავალებ, რომ ნამდვილი გამაგებინო; ჩემი შემოსავალი ზედმიწევნით უნდა იცოდე, რადგანაც სულ სოფელში სცხოვრებ.

— რასაკვირველია, ვიცი და სწორედ იმიტომაც გეუბნები, რომ არ გეყოფა-მეთქი... ვიცი, — არამც თუ არ გეყოფა, შენი შემოსავალი სახსენებლადაც კი არა ღირს.

— მაინც, დაახლოვებით, წელიწადში რა მექნება?

— ძალიან რომ გააბევრო, ძალიან... წელიწადში ოცდახუთ, ოცდაათ თუმნამდის თუ შემოვიდა, დიდი საქმეა!

— რას ამბობ! — გავიკვირვე მე.

— მაშ რა გეგონა?... — დამაცქერდა სოფიო და შემდეგ დაუმატა: — ეგეც ისევ მოჯამაგირეებზედ მიდის... საზოგადოდ ყველანი აგრე ვართ, — თუ, ცოტაც არის, ვისმე დიდი მამული აქვს, იმოდენა ვალი აწევს, რომ სარგებელს ვერ ასვლია და, ვისაც თითო ნაჭერი მიწა უგდია, ისინი შიგ მამულში დგანან, უკანასკნელს გლეხსავითა მუშაობენ და ისე ძლივს გამოდიან... მადლობა ღმერთს, რომ ჩემი პორფირუშკა სამსახურშია, თორემ ცარიელი პურის შოვნაც კი გაგვიჭირდებოდა.

— რა ვქნა, შენს ძმას ხომ კარგი მამული აქვს, ცხოვრება იმას რაღად უნდა უჭირდებოდეს?

— შინაური საქმე არავინ იცის და იმიტომ ჰფიქრობენ, რომ ბევრი გვაქვს... ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემს ძმას უბედურება რამ შაემთხვას, თორემ სამოწყალენი დავრჩებით.

ამ სიტყვებმა მწარედ იმოქმედეს ჩემზედ. პირველი ფიქრი, რომელმაც თავში გამირბინა, იყო მარის მომავალი.

მართლადაც, პორფირუშკას რომ უბედურება რამ შემთხვეოდა, მარის რა მოუვიდოდა, როგორ იცხოვრებდა?...

მე გადამავიწყდა სოფიოც, იმასთან ლაპარაკიც, ადგილიც, სადაც ვიყავი; თითონ ჩემი თავიც კი აღარ მახსოვდა და მარტო ეს ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში.

უეჭველია, დიდ ხანს ვიჯექ გაჩუმებული, რადგანაც სოფიო წამოდგა და ღიმილით მითხრა:

— კარგა ჩაფიქრება გცოდნია!... სრულიად არ ემსგავსები ახალგაზრდას... წავიდეთ შინ, თორემ სადილად დავიგვიანებთ.

სოფიო გამიძღვა წინ, და მეც გამოვუდექ ზარმაცად და ზლაზვნით.

როდესაც შინ დავბრუნდით, სადილი გაშლილი დაგვხვდა და მარტო ჩვენ-ღა გველოდნენ.

მარი სასტუმროში კუშეტკაზედ მიწოლილიყო და რაღაცა მხატვრობას სინჯავდა. სახეზედ რაოდენიმე ფერმკრთალობის მეტს ვერას შევამცნევდით. ჩემს მისალმებაზედ იმან აიღო თავი და ღიმილით მითხრა:

— დარჩი?

— მაშ რა უნდა მექნა? — უპასუხე.

— შენ უკეთ იცი. — წყნარად და გარკვევით წარმოსთქვა იმან.

— მე აღარა ვიცი-რა, აღარა მესმის-რა! — ვსთქვი და იქვე სკამზედ ჩამოვჯექ.

ამ სიტყვებზედ მარი თითქოს შეკრთა და ცოტა სიჩუმის შემდეგ მითხრა:

— აღარა გესმისთ-რა, აღარა იცით-რა?... საკვირველია! — მხრების აწევით დააბოლოვა მარიმ სიტყვა.

მე შევხედე მარის, რომელსაც ხმაში რაღაცა სიბრაზე ეტყობოდა და პირისახეზედ მწარე სატანჯველის ბეჭედი დასდებოდა. უეჭველია, რაღაცა ვარამი მწარედ უთუთქავდა გულს.

— მარი, მართალს გეუბნები, — მწარედ დავიწყე მე, — მართალს ვამბობ... ველარა გამიგია-რა ჩემი თავბედისა... მე ვგრძნობ, რომ უბედური ვარ და უბედურად დავრჩები ჩემს სიცოცხლეში... ყოველი ნუგეში მოსპობილი მაქვს... შენ მაინც შემიბრალე!

— შეგიბრალო?... რისთვის?... იმისთვის ხომ არა, რომ უკანასკნელი ნუგეშიც წამართვი?... შენ ამბობ, რომ „უბედური ვარო“, შენ, თავისუფალი კაცი, რომელსაც ყოველ მხრივ გზა ხსნილი გაქვს, საითაც უნდა, იქითკენ წახვალ, და მე?... მე რაღა უნდა ვსთქვა?... მე რაღა უნდა ვსთქვა-მეთქი, საბრალო ტყვემ, რომელიც ძალით დაუბორკილებიათ, დაუბორკილებიათ ისეთის ძალით, რომელსაც სიკვდილის მეტი ვერა მოსპობს-რა?! ერთადერთი სანუგეშო ის-ღა მქონდა, რომ შემეძლო ყველგან განმარტოებულს ყოფნა; შემეძლო ამ დროს საკუთრივ ჩემს თავს, ჩემს ფიქრებს მივცემოდი და, ამით მაინც არის, ჩემი მდგომარეობა შემემსუბუქებინა, და ეხლა?... ეხლა რაღა არის?.. მოხველი შენ და ეს ნუგეშიც წამართვი... წამართვი და, როდესაც ყველა ამას ჰხედავ, შენს უბედურებაზედ ლაპარაკობ, უმადურო!

— მარი! — ველარ გავძელ და გავუშვირე ხელები: მე მინდოდა ჩამეკრა გულში, დამეკოცნა, დამეყვირა საქვეყნოდ: „მარის მე ვუყვარვარ, მე უნდა მეკუთვნოდეს“!.. მაგრამ მარის გამოშვერილმა ხელებმა შემაყენა; ცივმა ოფლმა დამასხა, რადგანაც მომესმა:

— დამშვიდდი!... მე ქმრიანი ვარ და... შენი...

იმან ველარ გაათავა სიტყვები; კარებში გამოჩნდა პორფირუშკა და ჩახრინწიანებულის ხმით წარმოსთქვა:

— სადილი მიირთვით.

## IV

გაიარა რამდენიმე კვირამ და მე ისევ თბილისში ვიყავ, ისევ პორფირუშკას სახლში ვცხოვრობდი. ყოველ დღე ვემზადებოდი წასვლას, მაგრამ ადგილიდგან ვერ დავძრულიყავ. ბედნიერებაზედ

იმედმოსპობილი დავმორჩილდი ჩემს ბედ-იღბალს და თითქოს შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას. გადავსწყვიტე, რომ უბედურად გაჩენილი, უბედურად უნდა მომკვდარიყავ და ამისთვის ქვეყანაზედ აღარცა-რა მახარებდა-რა, აღარც არაფერი მიზიდავდა. წავიდოდი სადმე თუ დავბრუნდებოდი, ყოველთვის მარტო უკმაყოფილებასა ვგრძნობდი. მადა სრულიად დამეკარგა, დამიწყო სიცხის ძლევა და მთლად ჩამოვხმი... შემიყვარდა მარტოობა, რადგანაც ჩემს სიმარტოეში მე ვეძლეოდი ჩემს სანეტარო ფიქრებს და თვალებდახუჭვილს მარის სახე ცხოვლად მეხატებოდა თვალწინ. ხალხი, ცხოვრება, ქვეყანა, სიტყვით, ყოველისფერი ამაო შეიქნა ჩემთვის და ამის შემდეგ ჩემთვის თვით სიცოცხლემაც კი დაჰკარგა თავისი ფასი. მხოლოდ მარიღა მიბრუნებდა სულს, ის-ღა მაკავშირებდა ამ სოფელს, იმას ვხედავდი, იმით ვსუნთქავდი და მარტოობაში შემეძლო იმაზედ ოცნება. ისეთს მდგომარეობაში ჩავარდი, რომ მარიზედ ფიქრი ერთს წუთს მოგეშორებინათ ჩემთვის, მე ველარ გეტყოდით — ცოცხლებში ვერიე, თუ მკვდრებში.

თითონ მარიც საკვირველად გამოიცვალა: გახდა, გაყვითლდა და საკვირველი გულ-ჩვილი შეიქნა. ორი სიტყვა რომ გეთქვათ, მაშინვე ტირილს დაიწყებდა. ისიც ჩემსავით დამშვიდებულად გეჩვენებოდათ, კითხვაზედ ჩემსავით გიპასუხებდათ, რომ „არა სტკივა-რა", მაგრამ ორნივ კი ავად, ძალიან ავად ვიყავით, ორნივ ერთის სენით ერთის სატკივრით. კარგა დრომ გაიარა, რაც მოვსპეთ ჩვენს გრძნობაზედ ლაპარაკი, რადგანაც დავრწმუნდით, რომ ამგვარი ლაპარაკი უმიზნო იყო. ეხლა, როდესაც მარტონი შევიყრებოდით, ან ერთ-ერთი ხმა მაღლა წიგნის კითხვას დავიწყებდით, ან არა ჩუმად ვისხედით და უიმედოდ შევცქეროდით ერთმანერთს. საკვირველი ეს არის, რომ ამგვარს ცქერას ყოველთვის თანდათან შევყავნდით რაღაცა აღმაშფოთებელს, მოუსვენარს მდგომარეობაში. მე აშკარად ვგრძნობდი და, უეჭველია, მარისაც ესევე არ ასცდებოდა, რაღაცა უხილავს ძალას, რომელიც გამოკრთოდა მარის თვალებიდგან, უერთდებოდა ჩემს თვალებს და ეს ძალა მატკბობდა, მივლიდა მთელს სხეულში და რაღაცა გამოურკვეველს, დამასუსტებელს მდგომარეობაში მაგდებდა. ასე მიდიოდა ხანი, როდესაც ერთს საღამოს მე და მარი ვისხედით სასტუმრო ოთახში, სადაც პორფირი შემოვიდა. იმან შეხედა ჯერ მარის, მერე მე, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, რამდენჯერმე შესდგა, ამოიოხრა და შუბლზედ ხელი გადაისვა.

— ქალო, რათა ხარ დაღონებული?... რა მოგდის? — დაიწყო, ბოლოს, პორფირიუშკამ. მარიმ ზიზღით შეხედა და მკაცრად უპასუხა:

— ეგ თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ.

პორფირუშკამ კიდევ შეხედა, წყნარად დაჯდა სკამზედ და სალაპარაკოდ მოემზადა.

ცოლ-ქმარ შუა უსიამოვნო ლაპარაკი ჩამოვარდა და საჭიროდ დავინახე მოვშორებოდი, მაგრამ პორფირუშკამ არ გამიშვა.

— დაიცადე, სად მიხვალ?.. მე მინდა, რომ ამ ლაპარაკის დროს დაგვესწრო, — მითხრა იმან და მიუბრუნდა მარის.

— სწორე გითხრა, მე ვერ მიმხვდარვარ.

— ვერ მიმხვდარხარ? — აღელვებით უპასუხა მარიმ: — ძალიან ცოტა მიხვედრილობა გქონიათ!...

ის გაჩუმდა რამდენიმე ხანს, რადგანაც სულის მოქცევა უჭირდებოდა და, ბოლოს, გარკვევით დაუმატა:

— როგორ ვერ მიმხვდარხართ, რომ მძაგხართ, მეზიზღებით!?... ამას გეტყვით ყოველთვის, გეუბნებით ეხლა და გეუბნებოდით ჯვარისწერამდის... გაფრთხილებდით, გეხვეწებოდით, მაგრამ თქვენ არ გაიგონეთ გულწრფელი სიტყვები... გეუბნებოდით, ცოლობას ვერ გაგიწევთ-მეთქი, და მაშინ თქვენ ხარხარებდით გამოუცდელი ქალის ლაპარაკზედ. ამ ლაპარაკს ეძახდით უბრალო ტიტინს, რომელიც ინსტიტუტში წიგნებიდგან ამომიკითხავს, მარწმუნებდით, რომ ეგ ყველა გაივლის, ყველაფერი კარგად და რიგიანად მოეწყობა! — არ დავიჯერე შენი სიტყვები, მაგრამ შენ მაინც არ დაიშალე, ჩემის დედინაცვლის შემწეობით ძალად დაიწერე ჯვარი და ეხლა კი მეუბნები, რომ ვერ გამიგია შენი შეწუხების მიზეზიო?!... აბა მითხარ, ვინ იყო მართალი: შენ, შენის გამოცდილებითა, თუ მე, რომელსაც გამოცდილების მაგიერ წრფელი გრძნობა მალაპარაკებდა.

— მარი, შემიბრალე, შემიწყალე!... — წარმოსთქვა პორფირმა, რომელიც მოკუნტულიყო სკამში, ძლივს-ღა იქცევდა სულსა და საცოდავად გამოიყურებოდა.

— გვიან-ღა არის შებრალება, როდესაც გამაუბედურე მეც და შენი თავიც... ან რაღა შემიძლიან, რითი გიწამლო, რითი უნდა გიშველო, შველაც რომ მინდოდეს?!...

— მაშ საქვეყნოდ არ გამხდი?..—წამოვარდა გახარებული პორფირუშკა.

მარიმ შეხედა და მწარედ გაიღიმა.

— ხედავთ, — წარმოსთქვა იმან სიმწარით: — ხედავთ, რას მეუბნება?... რაზედა სწუხს?!... საქვეყნოდ გახდომისა, ქვეყნის ლაპარაკისა ეშინიან!... ღმერთო ჩემო!... შენ ქვეყნის ლაპარაკი გაშინებს, ის ვალაპარაკებს და მე რაღა უნდა ვსთქვა, რომ მომავალ ბედნიერებაზედ ფიქრიც კი მომისპე, მოსვენება წამართვი.

— რა გინდა, რა ვქნა, მარი?... თუ შენი მტერი ვიყავ, ჩემი თავი მაინც აღარ მებრალებოდა?... იმედი მქონდა... ყმაწვილი იყავ, მეგონა, გამოიცვლებოდი, შემეჩვევოდი.... შევცდი, მოვტყუვდი...

— თუ მაგ სიტყვებს მართლა ჰგრძნობ, შეცდომის გასწორება კიდევ შეგიძლიან, — მიაშურა ცოლმა.

— როგორ?

— გავიყარნეთ! — ერთბაშად წამოიძახა მარიმ და დაუწყო ყურება.

— გავიყარნეთ!? — წარმოსთქვა პორფირმა და მთლად დაიბნა.

— რას მეუბნები, მარი?

— იმას, რაც შენს სინდისს წინადვე უნდა ეთქვა.

— არა, მარი... ეგ არ შემიძლიან... იცხოვრე, როგორც გინდა... მოეწყე, როგორც გესიამოვნებოდეს... მხოლოდ მაგას კი ნუ ითხოვ ჩემგან, არ შემიძლიან!

— მაშ როგორ ვიცხოვრო, როგორ მოვეწყო?.. გავიჩინო საყვარლები, გატყუო შენცა და მთელი ქვეყანაც?... ვიცრუო ვითვალთმაქცო?... მაგგვარად ცხოვრებასაც მე ვერ მოვაწყობ. მე ვიცი, ყოველისფერს მაპატიებდი, ყოველგვარს გარყვნილებას არ შეიმჩნევდი, თუ ქვეყნისთვის და ხალხისთვის დაფარული იქნებოდა, თუ იმათ სალაპარაკოდ საბუთი არ ექნებოდათ... მაგრამ მე ეგ არ მინდა, მაგას არ ვითხოვ შენგან... ადამიანი ადამიანურს ცხოვრებას მოვითხოვ, იმ გვარს ცხოვრებას, რომელზედაც უფლებაცა მაქვს, და უნდა მომეცეს...

— ღმერთო ჩემო, რაებს მეუბნება?... — სხვა ველარა მოახერხარა შეშინებულმა პორფირუშკამ და მომიბრუნდა მე: — გესმის, რაებს ამბობს? უთხარ რამე, ჩააგონე... მაგას არ ესმის, რასა სჩადის, რას ითხოვს?

— ბიძაჩემო, თუ ერთმანერთის გაბედნიერება ვერ შეგიძლიანთ, — წარმოვსთქვი მე: — რასაკვირველია, გაყრა სჯობს. — ამ სიტყვებმა პორფირზედ ისე იმოქმედეს, თითქოს მდუღარე წყალი გადაგესხათ. ის მთლად აინთო, გაწითლდა, თვალებში სისხლი მოერია და ყელში ხრიალით დაიწყო:

— შენც ხომ არ გაგიჟდი?!. რაებს მეუბნები?... თავი დავანებო, გავეყარო მარის? მთელი ქვეყანა ავაყაყანო?.. ჰა, ჰა, ჰა... არა, ნამდვილი გიჟი ხარ, შენცა და... ჩემი ცოლიც!

— ბიძაჩემო, ქვეყანას რას დასდევთ, რას დაეძებთ — ვინ რას ილაპარაკებს და რას იტყვის, როდესაც თქვენის მოქმედებით თქვენს მოვალეობას ალასრულებთ.

— შენ აგრე გგონია, რომ ჩვენს ცხოვრებაში ქვეყანას საქმე არა აქვს და მე კი ისე მგონია, რომ აქვს... მე ვხედავ, რომ ანგარიშში შევცდი და მზათა ვარ ჩემის შეცდომისთვის მთელი სიცოცხლე ვეწამო... შენ როგორ გგონია: ადვილია ჩემთვის, როდესაც შენ და მარის ერთადა გხედავთ, როდესაც ვგრძნობ, რომ თქვენ ერთმანერთს ამხიარულებთ, ატკბობთ, შეგიძლიანთ ერთმანერთის ბედნიერება და მე კი ყველა ეგ მოსპობილი მაქვს?... — არ არის ადვილი, მაგრამ ვითმენ; ვსთანხმდები, რადგანაც სხვა გზას ვერ ვხედავ, ვერ ვპოულობ. ვსთანხმდები და ჩემს მწარე შურს გულში ვიკლავ, გულში ვიმარხავ... სხვა რაღა გინდა, რაღას ითხოვთ ჩემგან?

— ერთმანერთის ბედნიერება შეგვიძლიან? — მწარედ წარმოსთქვა მარიმ და დაუმატა: — კარგა შემოგვხედე და გაიგებ, მართალს ამბობ თუ აქაც სტყუვდები. მართალს ამბობ, ჩვენ შეგვეძლო ერთმანერთის ბედნიერება, ჩვენ გვიყვარს ერთმანერთი და წინ შენ გვეღობები. რათა, რისთვის, რა უფლებით?... რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, რომ არა მყვარებიხარ, არ მიყვარხარ და არ მეყვარები?! რატომ არ მანებებ თავს?.

— გიმეორებ, — დაიწყო ისევ პორფირიუშკამ, — რომ ეგ აზრი შევითვისე, სამუდამოდ იმედი გადავიწყვიტე, მე ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ არაოდეს ჩემი არ იქნები და იმისთვისაც გაძლევ ყოვლისფრის ნებას, ოღონდაც ხალხი ჩუმად იყოს.

— სადამდის მიჰყევხარ დამცირებულს თავ-მოყვარეობას!.. მაგრამ გირჩევ — თავი დამანებო, თორემ გარწმუნებ, აქაც მოსტყუვდები.

— ვნახოთ! — გადაწყვეტით უპასუხა პორფირმა.

— პორფირი, მოიგონე, ჯვარის წერის წინად მე გითხარი: „ნუ იწერ ჩემზედ ჯვარს, თორემ გაგექცევი-მეთქი“. მიფრთხილდი, ეს სიტყვები ეხლა არ შეგისრულო.

— ვისთან გაიქცევი?... ამასთან ხომ არა? — უჩვენა ჩემზედ და... მომიბრუნდა მე: — გთხოვთ ცოტა ხანს მარტონი დაგვტოვო, ჩემს ცოლთან მარტოდ უნდა მოვილაპარაკო.

— დიაღ, თავი დაგვანებე, ლევან, ცოტა ხანს თავი დაგვანებე... ჩემს ქმარს, ჩემს მბრძანებელს იმედი აქვს — დამითანხმოს, დამიმორჩილოს...

მე წამოვდეგ და დაწყვეტილის გულით გაველ ჩემს ოთახში, სადაც მოუთმენლად მოველოდი, რითი გადასწყდებოდა ცოლ-ქმრის ლაპარაკი.

## V

იმ საღამოზედ მარი ველარა ვნახე, თუმცა სურვილი დიდი მქონდა. გოგომ, რომელსაც ვკითხე მარის ამბავი, მიპასუხა:

— ქალბატონი შეუძლოდ არის და მოისვენათ.

ამ სიტყვებმა უფრო ამაშფოთეს, რადგანაც გახურებული გონება ერთი-ორად გაზვიადებულად წარმომიდგენდა მას, რაც ცოლ-ქმარს შორის უნდა მომხდარიყო.

— არ შეიძლება ვნახო? — ვკითხე იმავე გოგოს.

— ქალბატონმა მიბრძანა, რომ იმათ ოთახში არავინ შევიდეს და შიგნიდგან კარები ჩაიკეტა.

ამ სიტყვების შემდეგ უფრო უმეტესად მომწადდა მარის ამბის გაგება და ეს სურვილი იქამდის ძლიერი იყო, საქმე ჩემ სიცოცხლეს რომ შეხებოდა, ვგონებ, მეტის წადილით მაშინაც ვერ ავინთებოდი.

— მე მინდა მარი ვნახო, — დავიძახე ჭირვეულად: — მე ის უნდა ვნახო!...

დღეს არ შეიძლება. — მიპასუხა მოახლემ და გაბრუნდა, მაგრამ მე წინ გადავუდეგ და შევაყენე.

— მაშო, თუ ღმერთი გწამს, თუ ერთი ბეწო სიბრალული გაქვს... — დავუწყე ხვეწნა: — ხომ ჰხედავ, რომ გავგიჟდი, გადვირიე... მე თითონ აღარ მესმის, რას ვჩადი...

— ბატონო, დამშვიდდით, ხვალაც მოასწრობთ ქალბატონის ნახვას... დღეს თავი დაანებეთ.

— დაიცა... მითხარ, მიამბე მაინც, რა მოხდა, რა მოუვიდათ.

— თითონ ქალბატონი გიამბობს, ხვალამდის მოითმინეთ. — მიპასუხა მაშომ და გავიდა.

ის ისე მეუბნებოდა: „ხვალამდის მოითმინეო“, თითქოს ხვალამდის ისე ცოტა ხანი იყო, თითქოს ხვალამდის დაცდა ისე ადვილად ასასრულებელი იყო!!.. ღმერთო ჩემო! ხვალამდის, ხვალამდის მომეთმინა, როდესაც წუთები საუკუნოებად მიმაჩნდა, როდესაც წარმოუთქმელის ძალით გულს შეტყობა სურდა!..

მე გავბრუნდი იმ გადაწყვეტილებით, რომ, რადაც უნდა დამჯდომოდა, იმავ წუთს მენახა მარი, გამეგო იმის ამბავი და მეშველა, თუ შველა რითიმე შესაძლებელი იქნებოდა.

ის იყო კარები გავაღე და გასვლას ვაპირებდი, როდესაც პორფირუშკა შემეფეთა კარებში და შევდეგ. იმის სახეს რაღაცა უცნაური სიმწვანე დასდებოდა, წარბები შეჰკროდა და შუბლი შეკუმშოდა. პატარა მოკუნტული და ბოლოში გასიებული ცხვირი ჭარხალსა-

ვით გასწითლებოდა, ტუჩები გალურჯებოდა და აქეთ-იქით კუნჭულებში ბნედამორეულ კაცსავით დორბლები გამოსჩენოდა. პატარა, შუაზედ გაყოფილი, ჩაღრმავებული, წვეტი ნიკაპი ჩამოვარდნოდა და ძალზედ უცახცახებდა; თვალებს სიცოცხლე დაეკარგათ და ერთს საგანს ველარ დაჰკვირებოდნენ, თმები აბურძგნოდა; პორფირუშკა ძალზედ ქშინავდა.

მე გაშტერებით შევყურებდი მის არეულს და უსიამოვნო სახეს, რომელიც მღელვარებას დაეპრანჭა და უფრო უსიამოვნო შექმნილიყო.

ის მომიახლოვდა, მომკიდა ხელი, მიმიყვანა სკამთან და დამსვა; მერე მიბრუნდა, მივიდა კარებთან, გაალო, ნახა, რომ არავინ იყო, და საჩქაროდ მოვიდა ისევ ჩემთან და გვერდით მომიჯდა.

— შენ წასვლას აპირებდი, — დაიწყო იმან ხმისკანკალით, — მე დაგაყენე... მაპატიე...

— რა მოგსვლიათ?

— ეგ ორივ ერთია... ნულარა მკითხავ... მითხარ, გინდა წასვლა?

— დიაღ, მინდა, მაგრამ...

— გინდა და წადი, წადი... ნუღარ დაიშლი! — საჩქაროდ დაიწყო იმან და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — მე მეგონა, შენი მოსყიდვა შეიძლებოდა, მაგრამ პატიოსანი ჰყოფილხარ.

ამ მოულოდნელმა ქებამ გამაწითლა და პირში სიტყვა გამიწყვიტა.

მე ვიჯექ გაშტერებული, დაბნეული და ხმა ვერ ამომეღო.

— მარი დაწყევლილია... მეც დაწყევლილი ვარ... შენ მაინც ნუღარ გაერევი ჩვენს საქმეში.

— ბიძაჩემო, რად იპირებთ საქმეს, რატომ არ გაშორდებით?

— იმიტომა, რომ არ შემიძლიან. — შეშინებით წამოიძახა იმან.

— ღმერთო ჩემო! მაშ ამგვარი ცხოვრება გირჩევნიათ? რა დაქინებაა?

— დაქინება არ არის...

— მაშ რა არის, თუ არ დაქინება?

— სიყვარული... — ძლივს წარმოსთქვა იმან.

მე ყურებისა არა მჯეროდა. ეს კაცი მარწმუნებდა, რომ მარი უყვარს და შეუბრალებლად კი სტანჯავდა.

— თქვენ ამბობთ, რომ მარი გიყვარსთ და საყვარლის მოსვენებისთვის თავმოყვარეობა მსხვერპლად ვერ მიგიცია?!.. სადაური სიყვარულია! — წარმოვსთქვი გატაცებით.

— მაგგვარი მსხვერპლი ადვილი გგონია... მარი რომ შენი ცოლი იყოს, დაუთმობდი ვისმე?

— თუ იმის ბედნიერებას ვერ შევიძლებდი, — წარმოვსთქვი მე და ხმა შემიწყდა, რადგანაც, მართლაც, დასათმობლად ძნელი იყო.

— მითხარ, რაღას შესდექი! — მაშურებდა პორფირ.

— გავეყრებოდი... — წარმოვსთქვი მე.

— მაშ არა გყვარებია, თორემ უიმისოდ სიცოცხლეს ვერ შესძლებდი.

— ეგ სხვა საგანია...

— როგორ სხვა?

— იქნება უიმისოდ ვერ მეცოცხლა.

— მაშ რას იქმოდი? — აჩქარდა პორფირ.

— ეხლა არ ვიცი, ეხლა ვერ გეტყვი...

— მაშ მე გეტყვი.

— მიბრძანეთ.

— თავს მოვიკლავდი.

— იქნება.

— იქნება კი არა, ნამდვილად. — დამიმტკიცა იმან და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — დიაღ, შენ მაგითი ხარ ბედნიერი, რომ თავის მოკვლა მაინც შეგეძლო და მე... მე კი არ შემიძლიან, მეშინიან... დაიფარა პორფირმა პირზედ ხელები და დაიწყო ქვითინი.

აქამდის ზიზღით ავსებული გული ისევ მომილბა, ისევ თვალწინ წარმომიდგა დავრდომილი, უხასიათო კაცი, რომელიც სიყვარულის მსხვერპლი შექმნილიყო, წვალობდა, აწყდებოდა აქეთ-იქით, რომ განთავისუფლებულიყო ამ მდგომარეობიდგან, მაგრამ გზას ვერ პოულობდა, იზნიქებოდა და იკლაკნებოდა ამგვარ მდგომარეობის სიმძიმის ქვეშ.

ჩემთვის აშკარა იყო, რომ ამ კაცს ეგრძნო თავის მდგომარეობა, ნათლად დაენახა თავისი მოვალეობა, ხედავდა თავის დანაშაულს, მაგრამ ვერაფრით ვერ შველოდა, რადგანაც სუსტი, უხასიათო ქმნილება იყო...

მე ვუყურებდი იმის წვალებას, ჯოჯოხეთის ცეცხლს, რომელიც გულში აღძროდა, ვხედავდი მთელს გენიას, რომელსაც მისი არსება შაეპყრო, და მასთან ერთად მეც ვეწამებოდი.

ყოველი სიტყვა, ყოველი მოაზრება, ყოველი საბუთი ამაოდ მიმაჩნდა, რადგანაც ამას მისი მორჩენა, მასზედ მოქმედება არ შეეძლო, მისი განკურნება არ მოხერხდებოდა.

ერთბაშად აზრად მომივიდა, რომ ამ ყოვლად საცოდავს კაცს შეეძლო თავის უბედურების მიზეზად მე დავენახე და ამ ფიქრმა გულს შემტაცა, რალაცამ რკინის თალებსავით მომიჭირა. ეს ფიქრი არ მის-

ვენებდა, თუმცა დანაშაული არა მქონდა-რა და ყოველთვის შემეძლო მეთქვა, რომ ჩემი სინიდისი წმინდა იყო.

როდესაც პორფირმა ტირილით გული იჯერა, წყნარად მოიწმინდა თვალები და მითხრა:

— შენ რომ ასე გექცეოდი, იქნება გგონია, რომ მიყვარდი?... არა, არამც თუ არ მიყვარხარ, მეჯავრები, მძაგხარ, მძაგხარ იმისთვის, რომ მარი შენთან ყოფნასა რჩეობს, შენთან დროს გატარებას... მაგრამ ნახე? ჩემს თავს იქამდის ძალა დავატანე, რომ სახლში მიგიღე, არა შევიმჩნიე-რა და, როდესაც გულის კვნესით ვუყურებდი შენსა და მარის დამეგობრებას, მე თქვენს დაახლოვებასაც კი ვცდილობდი... ვცდილობდი იმიტომ, რომ წყალწაღებული ხავსს ვეჭიდებოდი, მისგან მოველოდი შველას... მე მეგონა — თქვენი დაახლოვება მარის ქინს მოუკლავდა და ოდესმე, ერთხელ მაინც თავის ღიმილით მეც დამატკბობდა...

მე შევკრთი ამ სიტყვებზედ და პორფირმა აშკარად შემამჩნევა ეს მოძრაობა.

— რა?... შენ გინდა მითხრა, — დაიწყო ისევ სიმწარით, — რომ მე საზიზღარი ვარ, გეზიზღები?... დეე, ეგრე იყოს, გეზიზღებოდე, მაგრამ მართალს გეტყვი: იმედი ვერ გამიმართლე და ამისთვის უნდა განვშორდეთ... წადი, სადაც გინდა; იცხოვრე როგორც გინდა, ხარჯი ჩემს თავზედ მიმიღია, ოღონდაც ერთს რასმე გთხოვ, გევედრები... რაც ამ სახლში ნახე, იმაზედ ხმა არსად ამოიღო.

— გმადლობთ ზრუნვისთვის, შემწეობას არ ვსაჭიროებ... მოკლედ ვუპასუხე და დავუმატე: — რაც სხვადასხვა ხმების გავრცელებას შეეხება, ეგ ჩვეულებად არა მაქვს... მაგის გარედ მარის სიყვარული და პატივისცემა საკმაო საბუთია, რომ ჩუმად ვიყო.

— შენ პატიოსანი კაცი ხარ, იმედი მაქვს შენზედ. — გამომიშვირა ხელი პორფირუშკამ.

— მაგ ქებისთვინაც გმადლობთ, — ვუპასუხე მე და ისე გავბრუნდი, თითქოს გამოშვერილი ხელი ვერ შევნიშნე.

— მაშ როდის წახვალ?

— წასვლით არ ვიცი, როდის წავალ და თქვენის სახლიდგან კი ხვალვე გადავალ...

— ჩვენს ლაპარაკს... — ცოტა მღელვარების შემდეგ დაიწყო ისევ პორფირმა: — მარის არ შეატყობინებ?

— მაგის სიტყვას ვერ მოგცემთ. — ვუპასუხე მე და გადაწყვეტით დავუმატე: — თუ მარიმ მკითხა რამე, სიმართლეს ვერ დავუმალავ.

— მაშ მარის ნახვას აპირებ?—წყნარად და სიფრთხილით მკითხა პორფირმა.

— უეჭველად.

— რომ არ გენახა, ეჯობინებოდა. — იდუმალებით წარმოსთქვა იმან.

— იქნება, მაგრამ უნახავი არ წავალ.

ჩამოვარდა ისევ მძიმე სიჩუმე, რომელიც ყოველთვისინ ყველაზედ მეტად გულს აწვრილებს. პორფირ არ მიდიოდა, ეტყობოდა, რომ კიდევ რაღაცა ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ვერ გაებედა.

მე გულში ვნატრობდი, რომ მომშორებოდა ეს კაცი და რომელიმე ახალი უსიამოვნო ამბავი არ ეთქვა. მაგრამ ის ისევ იმ ადგილს იჯდა და მძიმედ ქშინავდა.

— მაშ არ იშლი მარის ნახვას?

— არა.

— რა მიზეზია?

— ის არის, რომ მარი მიყვარს და როდესაც საუკუნოდ უნდა მოვშორდე, არ მინდა უკანასკნელი მშვიდობა არ ვუთხრა.

— შენ გიყვარს, მაგრამ მარის არ უყვარხარ. — გველსავით გაისისინა მოხუცებულმა.

— რა უყო, თავს ხომ ძალად ვერ შევაყვარებ.

— შენ არა გჯერა და მე კი საბუთი ხელში მაქვს.

მე მოუთმენლად შევხედე ულმერთოს, რომელსაც ამ საღამოს წყნარ-წყნარად ჩემი მოწამვლა გადაეწყვიტა.

— გაქვსთ და თქვენთვისვე შეინახეთ.

— ჩემთვის სასარგებლოა, რომ თქვენც გაიგოთ, თორემ განსაკუთრებით თქვენის მოსვენებისთვის მე არ ვზრუნავ. პორფირი მართალი იყო, ის ჩემთვის არ იზრუნებდა, რა საბუთები უნდა ჰქონოდა, როდესაც დარწმუნებული ვიყავ, რომ მარის უყვარდი, რომ მარი ანგელოზი იყო, რომ მარი ტყუილს ვერ მოახერხებდა.

— დიაღ, ჩემთვის სასარგებლოა, რომ გაიგოთ, მაგრამ თუ მარის ეტყვით, ვერ შეგატყობინებთ.

— მაშ ნუ მეტყვით, ნუ შემატყობინებთ ღვთის გულისათვის.

— მაშ ის გინდათ, რომ სტყუვდებოდეთ?... არ გინდათ იცოდეთ, რომ მარი მასხარად გიგდებდათ?

— ოო, გველო, გველო! — ველარ გავძელ და წამოვიძახე: — შენ იცი, რომ უბედურებაში მარტო ის მამხნევებდა, რომ მარის უყვარვარ და უკანასკნელი ნუგეშიც გინდა წამართვა?... აბა მითხარ — რა საბუთია.

— მარის არ ეტყვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაძლევ სიტყვას, რომ არ ვეტყვი.

— მაშ წაიკითხე. — იმან უბიდგან ამოიღო ფოშტის ქაღალდი, რომელზედაც ორი მოღუღუნე მტრედი იყო დახატული და ერთი ადგილი მიჩვენა:

— წაიკითხე აი აქედგან.

მე ჩავხედე, პირველად ჩემი სახელი შევამჩნივე, დავაკვირდი წერილს და შემდეგი სტრიქონები ეწერა:

...„ეხლა აქ არის ერთი ჩემი ქმრის შორეული ნათესავი ლევან ...ძე, რომელიც ეს არის რუსეთიდგან დაბრუნებულა. იმას სიგიჟემდის შევუყვარდი და მეც ბევრს ვიცინი იმის განუწყვეტელს ოხვრაზედ... მაგრამ, ღმერთმა უშველოს, დროს კიდევ ეგ მატარებინებს, თორემ, ჩემი ქმრის ხელში აქამდის დავჭლექდებოდი“.

აქ კითხვა ველარ შევძელ, ხელები ჩამომიცვივდა და მუხლ-მოჭრილსავით დავეშვი იმ სკამზედ, რომლიდგანაც ის იყო წამოვარდი.

მეტად მძიმე ზარი დამეცა, რომ იმ დროს მოაზრება კიდევ შემძლებოდა.

მე ვიჯექ გამოშტერებული და განძრევის თავი აღარა მქონდა... ოთახი, სკამები, სტოლი, ყოველისფერი, რაც გარშემო მქონდა, ბრუნავდა და ტრიალებდა და ყურებს ხუილი გაჰქონდა. რამდენს ხანს გაგრძელდა ეს მდგომარეობა, მე ვერ გეტყვით; მხოლოდ, როდესაც პორფირმა მკითხა:

— მარის კიდევა ნახავ?

მაშინ გულდაწყვეტით შევხედე იმას და წყნარად ვუპასუხე:

— არა.

ცოტა ხანმაც გაიარა, წამოვდეგ რაცრაცით, მივედ ჩემოდანთან და ბარგს ჩალაგება დავუწყე.

პორფირ თვალს არ მაშორებდა და მე წარმოუთქმელს სატანჯველს ვგრძნობდი იმის ცქერით.

— უბედური ხარ, ლევან? — წყნარად და თითქოს თანაგრძნობით მკითხა იმან.

— დამეხსენით. — შევკრთი იმის მოკარებაზედ და გავეშვებინე.

— რას აპირებ? — ცოტა ხანს შემდეგ მკითხა იმან.

— წასვლას.

— როდის?

— ეხლავ, ემ წუთას.

ეს სიტყვები ისეთის სიმტკიცით იყო ნათქვამი, რომ წინააღმდეგი ველარა გამიბედა-რა.

— შენის მამულისას რაღას იტყვი?

— რა უნდა გითხრათ?... აქამდინაც ვცხოვრებდი უმაგისოდ და ეხლაც ვიცხოვრებ როგორმე.

— არა, რათა... — რაღაცა უნდა ეთქვა პორფირს, მაგრამ გავაწყვეტინე:

— დავანებოთ თავი მაგ უსიამოვნო ლაპარაკს!

— ხვალ ხომ კიდევა მნახავ?

— სრულიად მეტი იქნება... გთხოვთ, ახლა კი თავი დამანებოთ, საწერი მაქვს. — მე მივედ საწერ სტოლთან. პორფირი წამოდგა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა და მობრუნდა ჩემკენ. მე გულხელდაკრეფილი ვუყურებდი იმის მოზნექილს წელს და დახრილს თავს, რომელიც წყნარად აილო, შემომხედა, მაგრამ მაშინვე თავი ისევ დახარა და წყნარად გავიდა.

მარი მატყუებდა, მარი მასხარად მიგდებდა! მეტად მწარე იყო ჩემთვის ეს ფიქრები, რომ მათი აღწერა შევძლო.

## VI

მე იმავ ღამეს გადმოველ პორფირუშკას სახლიდგან, მაგრამ უკანასკნელი შემთხვევა მეტად თავზარდამცემი იყო, რომ ჩემთვის შეუმჩნევლად გაეარა: ჩავარდი ქვეშსაგებად და ორი კვირის განმავლობაში თბილისის საავადმყოფოში გრძნობადაკარგული ვეგდე.

როდესაც ერთს დღეს თვალი გავახილე, ჩემს წინ ექიმი იდგა, რომელმაც სიამოვნებით გამიღიმა და მითხრა:

— მადლობა ღმერთს, რომ გამობრუნდი...

— განა ავად ვიყავ?

— შენ სიცოცხლეზედ იმედი გადაწყვეტილი მქონდა... მაგრამ ცოტა ილაპარაკე, მოსვენება გეჭირვება, რომ სისხლი თავში არ აგივარდეს.

მე გავჩუმდი და დავფიქრიდი. საშინელს სისუსტესა ვგრძნობდი, ყოველ განძრევაზედ თავსბრუ მეხვეოდა. ექიმი გავიდა და მე დავხუჭე თვალები, რადგანაც ის სუბუქი შუქი, რომელიც ფანჯრის მწვანე ფარდებიდამ შემოდიოდა, საკმარისად მაწუხებდა.

მე მომაგონდა წარსული, რომელიც ჯერ დამსხვრეულ სურათებად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმომიდგა, მერე გონებას მიიზიდავდა რომელიმე უფრო შესამჩნევი საგანი და ამგვარად გაიზრდებოდა უშველებელს და თავის გარეგნობით შესანიშნავ მოგონებად.

მე ვგრძნობდი, რომ გული დამხაზოდა, ყოველისფერს თავის დაღი დაესვა და შიგ მაგრა შაჭედილიყო; ვგრძნობდი, რომ ყოველი მასთან მიკარება გულს გმინვას დააწყებინებდა, ააძგერებდა, მაგ-

რამ უწინდებულად კი არა, რაღაც მოტეხილად, ყრუდ. ვგრძნობდი, რომ მარიმ თუმცა მაწყეინა, დამამცირა, დამჩაგრა, მაგრამ სიყვარული მაინც არ მომსპობოდა და ეს გრძნობა თუ უწინ მჩქებს ჩანჩქერად გადმოხეთქავდა, ეხლა შიგ გულში ბალღამად გუბდებოდა, ტრიალებდა, გასასვლელს გზას ველარ პოულობდა... ბრუნავდა, ღელავდა, ქაფდებოდა და გრგვინვით აბრუნებდა თვით გულსაც, სისხლსაც და მთელ არსებასაც.

მე მწყუროდა, მწყუროდა მარის ნახვა, როგორც დაკოდვილს, უპატრონოდ, ველად დარჩენილს, რომელსაც სიცხე უშრობდა ტუჩებს და მოახლოვებული სიკვდილი უდაგავდა გულ-მუცელს.

დიაღ, მწყუროდა მისი ნახვა, მწყუროდა ისე ძლიერად, რომ დარწმუნებული ვიყავ, მის ნახვას ჩემი ფეხზედ წამოყენება შეეძლო, მაგრამ სად იყო?!.

დღეები მიდიოდა, მისდევდა ერთი მეორეს და გული უბრალო წადილით სუსტდებოდა. ექიმები მოსვენებას მირჩევდენ, თითქოს ეს ჩემ სურვილზედ ყოფილიყოს დამოკიდებული და ჩემსავე უნებურად გაჩენილის გრძნობის მბრძანებლობა შემძლებოდა.

ჩემი გამობრუნება გვიანდებოდა, თუმცა ახალგაზდობას და მაგარ აგებულობას უნდა ხელი შეეწყო. სიკვდილს მაინც ამან გადამარჩინა, მაგრამ ჯანის დაბრუნებას და აღდგენას კი მოუსვენარი მდგომარეობა უშლიდა. გაიარა რამდენიმე დღემ და ველარ გავძელ... მე მინდოდა მარის ამბის შეტყობა იქამდის ძრიელად, რომ სოფიოსაც კი სიამოვნებით ვნახავდი, პორფირუშკასაც კი სიხარულით მიეგებებოდი. აშკარად ვგრძნობდი, როგორ იწოდა გული, როგორ წყნარ-წყნარად იფერფლებოდა, — მასთან ერთად ვგრძნობდი, რომ მეც ვაკლდებოდი ამ სოფელს, მასთან დამაკავშირებელი ძალა დუნდებოდა, ხაიათდებოდა.

მე დავუძახე დედაკაცს, რომელიც მივლიდა და შევეხვეწე, რომ პორფირის სადგურში, სოფიოსთან, წერილი მიეტანა და ისიც დამყაბულდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც პასუხად ჩემივე წერილი გაუხსნელი მომივიდა და დედაკაცმა მითხრა, რომ ვიღაც „ბარიშნა“ გამოვიდა, იკითხა, ვისგან იყო წერილი და, რა თქვენი სახელი გაიგონა, უკანვე გადმომიგდოო.

დაწყვეტილი გული მეტად ნაწვალები იყო, მეტად ბევრი აეტანა, რომ ამ შემთხვევას_განსაკუთრებით რამე ეგრძნობინებინა. გულში მხოლოდ ერთს ადგილს ვიგრძენ რაღაცა დუღილი, რომელმაც დამალონა, დამადუნა: მომაგონდა პორფირის სიტყვები „შედი სამსახურში, შემწენი საკმაოდ გყავს“ და ეს სიტყვები ხმამაღლად გავიმეორე.

შემწენი, ნათესავები, მყავნდა. პორფირი იმათ შემწეობას მიქად-

და და აჰა, ამოდენა ხანს უპატრონოდ საავადმყოფოში ვილეოდი, და ერთს კაცს, ერთს სურიელს თავში არ მოსვლოდა დავრდომილისთვის მოწყალებად თვალი მოევლო!.. ღმერთო, ნეტავი ვიცოდე, ვისაც ამგვარი წუთები არ გამოუვლია, შეუძლიან დააფასოს იმ დროს, რად ღირდა მეგობრული ხელი, სანუგეშო სიტყვა!? — არა, არ შეუძლიანთ და მომეტებული წილი კიდეც იმიტომ არიან ასე გულ-მაგარნი, ასე შეუბრალებელნი.

გული ღელავდა, გმინავდა, უცრემლოდ ტიროდა და ქვითინებდა და ერთი, ერთი სულდგმული არ მოიძებნებოდა, რომ მისთვის ბანი მიეცა: რომ მისთვის თანაეგრძნო?..

ხალხი იცინოდა, მხიარულობდა, თვით იქ მყოფი ავადმყოფებიც კი პოულობდნენ სახარხარო მასალას, და მე?... მე გამოკლებული ვიყავ ამ საერთო მოძრაობას, საერთო მხიარულებას.

ესე ყოფილა დაობლებული გულის მდგომარეობა, ესეა მისი იღბალი, ვიძახდი მე და ველოდი, როდის მეღირსებოდა საავადმყოფოდგან გამოსვლა, რომ გადავკარგულიყავ შორს, შორს, სადაც ვერც აქაური ხმა მომწვდენოდა, ვერც აქაური ღრუბელი დამენახა. მაგრამ სად, სად წავსულიყავ — მე თითონაც არ ვიცოდი.

## VII

ექიმებმა გამომიცხადეს, რომ საავადმყოფოში დარჩენა ეღარას მარგებდა და საჭირო მხოლოდ წმინდა ჰაერი-ღა იყო. ამისთვის მე ისევ ჩემს ძველს სახლის პატრონთან გადაველ, სადაც რაოდენიმე ხანს ვაპირებდი დარჩენას და შემდეგ კი სოფელში გამგზავრებას; მე მსურდა — მოვშორებულიყავ ყველას, ჩავმარხულიყავ სოფლის მყუდროებაში, დაობლებული, განმარტოებული ყველასაგან, მარტოდ მივცემოდი ჩემს მწუხარებას. ასე ვფიქრობდი, ასე ვამბობდი და წასასვლელლათაც კი სრულიად მომზადებული ვიყავ, როდესაც მოულოდნელმა შემთხვევამ ეს გადაწყვეტილობა მთლად გადამიბრუნა...

ერთს დილით, როდესაც სახლის პატრონს გავუსწორდი და უკანასკნელს ბარგს ვალაგებდი, ბიჭმა წიგნი შემომიტანა, გადმომცა და დაუმატა:

— ფოჩტალიონმა მოიტანა.

მე ვუთხარ — სტოლზედ დაეგდო და იმან აღასრულა ჩემი სურვილი. მთელის ქვეყნისგან მოწყვეტილს, იმედი აღარა მქონდა, რომ ვისგანმე ისეთს წიგნს მივიღებდი, რომელსაც ჩემი გართობა მაინც შესძლებოდა.

დავკეტე ჩემოდანი, წყნარად და მოწყენილი მივედ სტოლთან და ისე ავიღე წერილი, როგორც კაცმა, რომელიც მხოლოდ თავის მოვალეობას აღსრულებდა: ჩემთვის მოეწერათ წიგნი და, მაშასადამე, უნდა წამეკითხა.

წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა, როდესაც გავხსენ წერილი და შემდეგი წავიკითხე:

„ლევან! პირველსავე ნახვაზედ შემიყვარდი იმ პირველის სიყვარულით, რომელიც კი შეუძლიან ნორჩს და ჯერეთ გამოუცდელს გულს... რა იყო ამის მიზეზი, რად ამოგირჩიე შენ და არა სხვა, ეგ მე არ ვიცი და არც გამოკვლევას გამოვუდგები. მაგრამ ამას კი ვერ დამალავ, რომ პირველად შენგან გავიგონე თანამგრძნობელი სიტყვა, პირველად შენს ნახვაზედ წამჩურჩულა გულმა: „ეს არის, ვისაც მართლა უყვარხარო, მხოლოდ ეს გაფასებს, მხოლოდ ამას ესმის შენი გულის პასუხიო!..“ წამჩურჩულა და საკმაო იყო, რომ სასიამოვნო მადლობით აღვსებული ჩემი გული, ავსებულიყო სიყვარულითაც, მით უფრო, რომ მას არაოდეს არ გაეგონა ტკბილი საუბარი მეგობრისა... ასეთ კაცად მეჩვენე პირველში და ასეთ სურათად ჩაიხატე ჩემს ოცნებაში. დრომ და შენმა საქციელმა ამ პირველის მოქმედების შემდეგ გაგხადა ჩემს უფლად, მბრძანებლად!... მას შემდეგ არ ყოფილა მსხვერპლი, რომელიც შენ მოგეთხოვა და მე წუთს დაფიქრებულიყავ მის შესაწირავად... არ ყოფილა წუთი, როდესაც შენ მოშორებოდი ჩემს ფიქრს, აზრს, გონებას... სხვა საგანზედაც კი რომ მეფიქრა, რომელსამე მედიდურს სურათს რომ დავკვირვებოდი, მისი მედიდურობა მხოლოდ შენით შეიქნებოდა, იქვე შენ მეხატებოდი, შენით ცხოველდებოდა...

„შენ შემოგტრფოდი, შენ გერწმუნებოდი, შენით ვიბრუნებდი სულს და მხოლოდ შენ იყავ ბრწყინვალე სხივად ჩამოდგომილი ჩემს ცხოვრებაში...

„შენ გადაწყვიტე, რომ ჩვენ ერთმანერთს ვერ მივეკუთვნებოდით, რადგანაც მე მაბრკოლებდა მოვალეობა ქმრიანის დედაკაცისა და შენ კი... შენ კი მოვალეობა სვინიდისიანის კაცისა!... მე გადავწყვიტე დავმორჩილებულიყავ შენს სიტყვებს, გადავწყვიტე მით უფრო, რომ შენი სიტყვები თვით ზეციდგან შთაგონებულ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა... ეს გადავწყვიტე და დავმორჩილდი ჩემს ბედს... ვკმაყოფილდებოდი მხოლოდ შენის სიახლოვით, ვკმაყოფილდებოდი შენის ცქერით, შენთან ლაპარაკით და, უმეტესს ბედნიერებას მოკლებული, ამასაც ვჯერდებოდი... ღმერთო!.. მაშინ მეტად ბედნიერი ვიყავ, რომ ჩემს გულში სხვა სურვილს ჰქონოდა კიდევ ადგილი, მეტად დამონებული წმინდა გრძნობით, რომ უმეტესზედ მეფიქრა....

მაგრამ... შენ არ განიკითხე უბედური, არ მოიწადინე ავადმყოფის განკურნება... შენ მიღალატე ულმრთოდ, უკაცურად, ბოროტად!.. სწორედ იმ დროს, როდესაც მე ისე ტკბილად და ნაზად ჩამჩურჩულებდი, როდესაც ისეთის სიტკბოებით ავსებდი ჩემს გულს, მთლად ჩემს არსებას — ბოროტად მღალატობდი, მასხარად მიგდებდი!.. რადა, რა დაგიშავე?... ის თუ, რომ წრფელის გულით შეგიყვარე, გენდე და მთელი ქვეყანა გადავივიწყე, რომ მისი ადგილი შენ დაგეჭირა?.. ძნელია, ლევან! მეტად ძნელი, როდესაც საყვარელი გღალატობს, გატყუებს, როდესაც გგონია, რომ მას უყვარხარ და სტყუებდები!.. თუ, შენზედაც სოფიომ იმოქმედა?.. იმან მიგიმხრო, მიგიზიდა, რომ ჩემი სიცოცხლე უმეტესად გაემწარებინა?.. არ მემართლებოდი, თორემ შენ იცი! ღმერთმა ხელი მოგიმართოს. თუ ამაზედ მეტს ხანს ვერ გასწევდა შენი სიყვარული, რად შემომეპარე, როგორც გველი, რად მომიწამლე ისეც დაშხამული არსება, რად წამართვი მოსვენება?.. ნუთუ მეტად არა ვღირდი?

„ნეტა რას ამბობდა შენი გული, როდესაც ერთსა და ამავე დროს მეც მათრობდი ტკბილის ტიტინით და სხვასაც წიგნებსა სწერდი, რომელშიაც ჩემს გულწრფელს გატაცებას და სიტკბოებას მასხარად იგდებდი, ფეხ-ქვეშ ლახავდი?... შენ მოჰკალ ჩემი გული, დაამცირე ჩემი ღირსება, დაამცირე ჩემს ქმარზედ უმეტესად, რომელმაც ხელიც კი შემახო, ცემით მოისურვა ჩემი დამორჩილება... შენ იმაზედ მეტად დამნაშავე ხარ, ხარ იმიტომ, რომ კაცობრიობაზედ უკანასკნელი რწმუნება შენ გამომაცალე, დამიკარგე... დამიკარგე და მეც გადავწყვიტე—გადაგიხადოთ ამ დამცირებისთვის ყველას, ყველას და... ჩემის საქციელით, ერთხელ მაინც არის, გაგრძნობინოთ...

„მაგრამ რა გაგრძნობინოთ ულონომ, მოუმზადებელმა, ყველასგან დაჩაგრულმა...

„ვათავებ ამ წერილს. უეჭველია, ისეც თავი მოგაწყინა, ან არადა, ამასაც ისე სასაცილოდ გახდი, როგორც ჩემი გულწრფელი სიყვარული გაჰხადე!..

„მაგრამ სადამდინაც უნდა მივიდეს ჩემი ცხოვრება, იცოდე, რომ მიყვარდი, მიყვარხარ და მეყვარები... იცოდე ეს ყველა და... არ იქნება, არა სთქვა, არ იქნება ერთხელ სინიდისმა არ წაგჩურჩულოს:— „შემეძლო მისი დახსნა და არ დავიხსენ!“

„როდესაც ამ წერილს მიიღებ, შორს იქნება თავის ქმრისგანაც, შენგანაც, როდეს-ღაც შენი გულწრფელი და ეხლა კი თქვენგან განკიცხული „მარი“.

მეტად მძიმე და ძნელი ასატანი იყო ეს წერილი ჩემთვის, რომ

მისი ძალა მაშინვე სრულიად მეგრძნო, მისი მოქმედება მაშინვე გამოაშკარავებულიყო.

მე ვიდეგ გაბრუებული, დაფანტული და გონება ველარ მომეკრიფა. მარტო თავი მიბჟუოდა, ტანზედ თითქოს ჭიანჭველები დაცოცავდნენ და თმა ალმა ტყრშიალით მიდიოდა. მე მეჭირა წიგნი, მაგრამ თვალებისა არა მჯეროდა.

კარგა ხანს ვიყავ ამ მდგომარეობაში, სანამ წერილის ხელახლად გადაკითხვას შევიძლებდი, სანამ მის ნამდვილს მნიშვნელობას შევიტყობდი. როგორ, მარი მე მამტყუნებდა სწორედ იმაში, რასაც თითონ იმას ბრალად ვდებდი, რამაც მომიწამლა სიცოცხლე და თავგანწირულებამდის მიმიყვანა?...

პირველი აზრი, რომელმაც თავში გამირბინა, იყო, რომ მარი ეხლაც ცრუობდა, მატყუებდა და გული უმეტესად შემიწუხა იმისმა საქციელმა, მაგრამ, რა ცოტა ხანმაც გაიარა, მე დავრწმუნდი, რომ ეს მოაზრება უსაფუძვლო იყო.

მარი მე აღარა მხედავდა, მთელმა თვეებმა გაიარა, რაც ჩვენ ერთმანერთს დაშორებული ვიყავით, იმას დიდი ხანია რაც უნდა გადავვიწყებოდი მეც და ჩემი მდგომარეობაც, თუ მართლა ისეთი ქალი იყო, როგორიც პორფირუშკამ გამაცნო... მაშ რა უნდა მეფიქრა?... არა, მარი არა სტყუოდა, მარი მართალსა მწერდა, ის მართალი იყო, გადაწყვიტა გულმა, მაგრამ გონება მაინც ბოროტად ჩამძახოდა: „ის წიგნი, რომელიც პორფირუშკამ გაჩვენა, რაღა იყო?..."

იქნება პორფირუშკამ შესთხზა, იმან მოიგონა?... მაგრამ მაშინვე დავრწმუნდი, რომ პორფირუშკას სისულელე ამას ვერ მოახერხებდა...

ამ მწარე წყვეტებაში ვიყავ და სრულიად მავიწყდებოდა სოფიო, რომელიც ყველაფერს იკისრებდა, ყველაფერს მოიქმედებდა, ოღონდაც არის მარი გაეუბედურებინა. მაშ მარის ვუყვარდი, იმასაც არ ეღალატა ჩემთვის, ყველაფერი და-ძმის საქმე იყო და მე და მარი კი იმათი ინტრიგის მსხვერპლი?.. ღმერთო, რა მემართებოდა?.. ერთბაშად თავბრუ დამეხვა, გუნება ამერია, ტვინი ირყეოდა. მე უფრო დავეცი დივანზედ, სანამ დავჯექი, გულში ადუღებული სისხლი ყელში მომებჯინა და სასულესთან მომადგა, წამიჭირა ყელში და მთლად ამაცახცახა. ტირილი მინდოდა, ცრემლები მახრჩობდა, მაგრამ გახურებულს თვალებს ნამი არ ეკარებოდა; დაყვირება მინდოდა — პირში სიტყვა მიწყდებოდა. ასე ვეგდე, რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში და რაღასაც ვლუღლუღებდი და ვკანკალებდი, როგორც პატარა ბავშვი — სული ვერ მომექცია; ცოტა ხანს შემდეგ რაოდე-

ნადმე დავმშვიდდი, თუმცა ძლიერ დასუსტებული ვიყავ, და, რა წამს წამოდგომა შევიძელ, მაშინვე გავეშურე პორფირის სახლისკენ.

იმან მომატყუა და პასუხი უნდა მოეცა. მე გადამავიწყდა ნათესაობაც, ჩემი დამოკიდებულებაც. თვალწინ ერთი-ღა მეხატებოდა: ჩემს წინ იდგა მტერი, მტერი მოქმედებით, რწმუნებით და მიმართულებით.

## VIII

პირველსავე შესვლაზედ კარებში მაშო შემხვდა და, უეჭველია, მეტად შესაშინებელი სახე მედო, რადგანაც ის ყვირილით უკან მიაწყდა.

— სად არის მარი!?

— მოითმინეთ, დამშვიდდით.—მიპასუხა გაფითრებულმა გოგომ.

მე თავდავიწყებამდის მივსულიყავ, რა დროს მოთმენაზედ იყო ლაპარაკი? მთლად ვინთებოდი.

— სად არის, სადა?... მითხარ, გაფიცებ ყელას, ჩქარა მითხარ...

— ქალბატონი წუხელ... — ველარ გაათავა მაშომ.

— წუხელ რა? — მოუთმენლად ვკითხე იმას.

— წუხელ სადღაც წაბძანდა!.. — ტირილით დაიწყო იმან.

— მაშ მართალია, ყველაფერი მართალია?

— მეც კი არაფერი შემატყობინა... — წყენით და ისევ ტირილითვე გააგრძელა იმან.

— პორფირ სადღა არის? — თანდათან ვიმღვრეოდი.

— ბატონი დღეს დილიდგანვე გავიდა და არ დაბრუნებულა.

— მაშ სოფიო მიჩვენე, ის მაინც შინ იქნება.

— არც ის გახლავს შინა.

— სად არის, მითხარ... ეხლავე უნდა ვიპოვო, ეხლავე უნდა ვნახო...

— რა მოგახსენოთ... დღეს დილით მთელს ქალაქს გაეგო ქალბატონის წასვლა.

— მერე... მითხარ, მაშო, მითხარ, ღვთის გულისთვის ყოველისფერი, ნურას დამიმალავ...

— მოგახსენებთ... თქვენ როგორ დაგიმალავთ, თქვენ, რომელიც ქალბატონს ისე უყვარდით.

— ოჰ, ღმერთო! — წამოვიძახე მოუთმენლად, რადგანაც ამ სიტყვებმა მწარე ტკივილი მაგრძნობინეს და მარის ამბის შეტყობა ისე მიგვიანდებოდა.

— დღეს დილით ბატონის და ქალბატონის ნათესაობა მოვიდა, ყველანი აქ შეიყარნენ, რომ ქალბატონმა საქვეყნოდ თავი მოგვჭ-

რაო, გარეთ აღარ გაგვესვლებაო... ცოტა რჩევის შემდეგ იმათ გადაწყვიტეს — მარი ეპოვათ და გიჟად გამოეცხადებინათ... ამისთვის წავიდენ ვისთანაც საჭირო არის, რომ ყოველისფერი მოაწყონ, მოახერხონ...

— ღმერთო, მაგათ ჩემი გაგიჟება უნდათ, მაგ უღმერთოებს! — დავიძახე მე და გავბრუნდი კარებისკენ: — ეხლავ წავალ, ყველას შევატყობინებ, გავაგებინებ, რა უღმერთობასაც აპირობენ!...

ის იყო კარებში გასვლას ვაპირებდი, როდესაც პორფირი შემეფეთა.

— ოჰო... შენც მოსულხარ? — წარმოსთქვა იმან შემოსვლის უმალ, დაიფარა პირზედ ხელები და სკამზე დაეცა.

მე მეტად ბევრი საკუთარი მწუხარება მქონდა, რომ მისთვის ყურადღება მიმექცია, მეტად ბევრი ვარამი მიტრიალებდა გულში, რომ შემბრალებოდა.

— დასტკბი, გაიხარე ჩემის უბედურებით! — წარმოსთქვა იმანვე: — გამარჯვებული შენ დარჩი. — მე მივედ ახლოს და დავაცქერდი. ის მე გამარჯვებულს მეძახოდა. რაში ხედავდა უღირსი ამ გამარჯვებას?

მე დავიკრიფე გულ-ხელი და პირდაპირ დავიწყე:

— რა უყავ მარის...

— გაიქცა. — მოკლეთ მიპასუხა იმან.

— რად მიიყვანე მანდამდის, რად მომატყუე?

— იმიტომ, რომ მე და შენ ვიბრძოდით და მებრძოლთ ყველა საშუალება ეპატიებათ. — აიღო პირისახიდგან ხელები პორფირმა, წამოდგა, თითქოს გაიმართა წელში და ისე მიპასუხა.

მე გამაშტერა ამ კაცის ურცხვობამ. ის მიყურებდა პირდაპირ, თითქოს სანაქებო საქმის ჩამდენი კაცი, რომელიც დარწმუნებული იყო თავის მოქმედების უცოდველობაში.

— მაშ ის წიგნი შენგან იყო შეთხზული?

— დიახ, — მოკლედ მომიგო იმან.

— იქნება მარისაც უჩვენე მაგგვარი წიგნი?

— შენცა და მარისაც.

— მერე აგრე ურცხვად, უსვინდისოდ ლაპარაკობ?

— დიაღ, ვლაპარაკობ... ვლაპარაკობ იმისთვის, რომ მებრძოლთ ყოველისფერი, გესმის, — ყოველისფერი მიეტევება-მეთქი, მოპირდაპირეს დასამარცხებლად... შენ და მარი კი ჩემი მოწინააღმდეგენი იყავით.

მე მაკვირვებდა პორფირი, რადგანაც იმას ვიცნობდი, როგორც დამცირებულს, მშიშარას, დავრდომილს; ვიცნობდი, როგორც უბე-

დურს, თავმოხრილს, უხასიათოს, რომელიც მუდამ თავმდაბლად გამოიყურებოდა, გაბედვით სიტყვას ვერ წარმოსთქვამდა, და დღეს კი მაღლა აეღო თავი, პირდაპირ შემომყურებდა, სიტყვას პირდაპირ გაბედვით მეუბნებოდა. ეს ცვლილება მით უფრო მაკვირვებდა, რომ დღემდის დარწმუნებული ვიყავ პორფირისგან მარის სიყვარულზე, და მის დაკარგვას ეს კაცი სასოწარკვეთილებაში ჩაგდების მაგიერ, რაღაცა გაბედულს მტკიცე გულადად შაექნა. მე მოველოდი — მენახა დაცემული, მტირალი, ქვემძრომსავით მიწაზედ მხოხავი; ველოდი — მენახა ჩემს ფეხთაქვეშ, — ვხედავდი კი ამაყად მაყურებელს, ამაყად მოლაპარაკეს. თუ, უბედურებას გაეხადა ასე გულკაეად?.. რაც უნდა ყოფილიყო, როგორც უნდა დამხვედროდა პორფირი, მაინცდამაინც მისი საქციელი მეტისმეტად საზიზღარი იყო, რომ სხვა რიგად მჩვენებოდა.

— მე მეგონა, — დავიწყე მე, — რომ თქვენ მარტო უხასიათო კაცი ხართ და თქვენს უხასიათობას გაუხდიხართ სხვების სათამაშოდ... მეგონა, რომ სწორედ ეს მდგომარეობა გხდიდათ უბედურად და, თუმცა ეს შესაწყნარებელი გარემოება არ არის, მაგრამ მაინც მებრალებოდი... მებრალებოდი, როგორც უძლური, დაცემული, რომელიც ჰგრძნობდი შენს სატკივარს, შენს მომწამლავს მდგომარეობას და ვერ გეშველა, რადგანაც ძალა არ გქონდა, ღონე ვერ მოგდევდა... ასეთს კაცად მეჩვენებოდი დღემდის და თუმცა თავის დღეში თქვენს მეგობარს ვერ დავარქმევდი ჩემს თავს, მაგრამ გულით კი მსურდა თქვენი შველა... მე ვხედავდი თქვენს სისაძაგლეს და მეგონა, რომ ეს შედეგი იყო თქვენის უძლურებისა... დიაღ, ასე გიყურებდი, ასე ვფიქრობდი დღემდის, მაგრამ დღეს, ეხლა დავრწმუნდი, რომ შემცდარი ვყოფილვარ, ვტყუვდებოდი... შენ შენს სისაძაგლეში ისე გამაგრებული ყოფილხარ, ისე შეგთვისებია ეგ გრძნობა, ისე შედულებულხარ შენს სისაძაგლეს, რომ შენის მოქმედებით კიდეც ამაყობ.

— ლევან! — მკაცრად გამაწყვეტინა იმან, მაგრამ მე მინდოდა გამეთავებინა, პირდაპირ მეთქვა, რასაც იმაზედ ვფიქრობდი.

— ნება მიბოძეთ... — დავიწყე ისევ მე.

— მე აღმიკრძალავს! — კვალად დაიწყო პორფირმა: — აღმიკრძალავს შენთვის მაგ ლაპარაკის გაგრძელება... მე არა მსურს-მეთქი, შენი გაგონება! — თითქმის დაყვირებით გაათავა იმან.

— მეც არა მსურს გაჩუმდე და ყველაფერს პირდაპირ გეტყვით. — ავიმაღლე მეც ხმა.

— შენ გავიწყდება, რომ ჩემს სახლში ხარ.

— არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც სახლის პატრონმა თავისი უფლება უნდა დაივიწყოს.

— რომ არ მოისურვონ?

— ძალით აღასრულებინებენ.

პორფირუშკას თვალები აენთო და მედგრად შემომხედა, მაგრამ იმ ჟამად ველარა მიპასუხა-რა.

— მაშ რა გინდა, რას ითხოვ ჩემგან? — ცოტა უფრო დამშვიდებით დაიწყო პორფირმა: — რისთვის მოსულხარ?

— იმისთვის რომ გითხრა: საზიზღრად მოიქეც და ამ საზიზღრობისთვის თავის დროზედ პასუხს გამცემ...

— ეხლა, ეხლა რაღა გინდა?

— უნდა მითხრა, რა უყავ მარის, სად არის მარი?

პორფირმა კიდევ შემომხედა და გარკვევით წარმოსთქვა:

— რომელის უფლებით ითხოვ მაგ ანგარიშს, ვინა ხარ და რა ხარ მარისა?

— მე?.. მე რომელის უფლებით ვითხოვ ანგარიშს?.. მე შემეძლო მაგაზედ არ მეპასუხნა, რადგანაც შენის მოქმედებით შენ თითონვე დაჰკარგე მაგ კითხვის უფლება, თუ ეგ უფლება ოდესმე გქონია...

— მე ქმარი ვარ, ჯვარ-დაწერილი ქმარი, — გამაწყვეტინა პორფირმა.

— შენ იყავ ვაჭარი, რომელმაც ძალით დაისაკუთრე მარი... მაგრამ საქმე მაგაში არ არის... შენა მკითხე და გიპასუხებ... მე მალაპარაკებს ბუნებრივი გრძნობა, გრძნობა პატიოსანის კაცისა, რომლის მოვალეობაც არის გამოესარჩლოს ყველა დაჩაგრულს, წინაღუდგეს ყოველ უსამართლობას!...

— და ამ შემთხვევაში მარტო მაგ გრძნობით ხელმძღვანელობ?

— არა. და მე ამაყად საქვეყნოდ შემიძლიან ამის წარმოთქმა... მე მიყვარს მარი და უყვარვარ იმასაც... ეს გრძნობა არის ბუნებრივი, თავისთავად დაბადებული... არც ერთი ჩვენგანი არა ცდილა, რომ ის გაჩენილიყო. მე არა მრცხვენიან ამ გრძნობისა... და სწორედ ესა მდებს მოვალეობას მით უმეტესად თავი გამოვიდო მარის გულისთვის... ეხლა, როდესაც ყველაფერი გამოაშკარავდა ჩვენს შორის, შეგვიძლიან ჩვენი ლაპარაკი გავაგრძელოთ... რა იქნა მარი?

— შენ მსაჯულის კილოთი მკითხავ მაგას... — კიდევ სცადა პორფირმა ჩემი შეყენება და დაუმატა: — თითქოს უფლება რამ გქონდეს?

— მთელი საათი გელაპარაკეთ, დაგიმტკიცეთ, რომ უფლება მაქვს... მაშ მიპასუხეთ...

— რომ არ გიპასუხოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიპასუხებთ, გარწმუნებთ, რომ მიპასუხებთ.

— არა, რას იზამთ, რომ არ გიპასუხოთ?

— მოგკლავთ, დაგახრჩობთ ეხლავ ჩემის ხელით... — გაათრებული მივვარდი პორფირს, და დავუწყე ნძრევა... — გესმის, მოგკლავ-მეთქი, დაგახრჩობ... მე თითონ არ ვიცი, რას გიზამ, მხოლოდ გათქმევინებ კი...

მე ვანძრევდი, ვატრიალებდი პორფირს და დიდი ხნის ნაავადმყოფარს, არ ვიცოდი ღონე საიდამ მეძლეოდა... იმ ხანში სიბრაზე მახრჩობდა და პორფირის სიკვდილი ისე შემეძლო, რომ ჩემი თავისთვის ანგარიში ვერ მიმეცა, რას ვშვრებოდი, რა ჩავიდინე.

— ლევან, რას სჩადი? გამიშვი... ყველაფერს გეტყვი: — შემომესმა პორფირის შეშინებული ხმა და, მსწრაფლად გამოფხიზლებულმა, თავი დავანებე.

ჩემს წინ იდგა გაფითრებული, შეშინებული კაცი, რომელსაც სახე დაჰპრანჭოდა, თმა აბურძგნოდა და წარმოუდგენლად მღელვარებდა. იმისი არეული თვალები ეხლა სრულიად სხვა სურათს წარმოადგენდა: იმათ დაეკარგათ თავიანთი სიამაყე, მედიდურობა და ჩემ წინ იდგა რაღაცა დამონებული, მოშლილი კაცი. ის მთლად ცახცახებდა. მე დავინახე, რომ მისი მდგომარეობა იმგვარი იყო, როდესაც კაცს ყველაფრის გამოთქმევინება შეეძლო. მეტად ძვირფასი იყო მარის ამბავი, რომ გვიანობას მოვყოლოდი.

— მითხარ, რა იქნა მარი? — დავიწყე უფრო დამშვიდებულმა.

— მარი საავადმყოფოშია.

— როგორ თუ საავადმყოფოში?

— მარის გაქცევას შენც შეიტყობდი.

— ვიცი.

— ის გაიქცა ვიღაცა ურცხვს და საძაგელს კაცთან... მარიმ საქვეყნოდ თავი მომჭრა მეცა და მთელ ნათესაობასაც... მთელს ქალაქში მეტი სალაპარაკო აღარა აქვთ-რა... ჩვენ ვარჩიეთ მარი გიჟად გვეცნო და ქვეყნისთვის მისი მოქმედება სიგიჟის შედეგად დაგვესახვებინა... ასე ვარჩიე მარის სახელისთვის და ჩემი სახელისთვისაც...

ისე ჩმზობდა ამ სიტყვებს პორფირ, თითქოს მართლადაც საკვირველად მოაზრებულად ემოქმედა და მართლადაც დარწმუნებული იყო, რომ მარის სახელის დასაფარად უკეთესს ვერას მოიგონებდა.

— როგორ! — ვიკითხე გაკვირვებულმა: — თქვენ კარგადმყოფი ადამიანი საგიჟეში შეაგდეთ?.. შეაგდეთ მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენს სახელს ქვეყნის ლაპარაკი არ შეხებოდა? კარგადმყოფი ადამიანი გიჟებთან დაამწყვდიეთ?.. მაგისთანა სასჯელი ინკვიზიციასაც კი არ მოუგონია!

— მაშ რა მექნა? — დაიწყო ისევ პორფირმა: — გამომეცხადებინა, რომ ჩემი ცოლი გარყვნილი, ზნეობით დაცემული დედაკაცია?.. რომ იმან შეურაცხჰყო უწმინდესი მოვალეობა ცოლისა და ურცხვად გადალახა უჩირქო სახელი ჩემი გვარისა?...

— ვინ მიიყვანა მანამდის?.. — ვკითხე მევე და მევე ვუპასუხე: თქვენმა პირუტყულმა საქციელმა... თქვენ ისურვეთ მოკვლა მისი კაცობრიობის გრძნობისა, ისურვეთ დამორჩილება ისეთის ხასიათისა, რომელიც ძალას ვერ მორჩილდება, ისურვეთ მისი დამონება, მოტეხა და, როდესაც ნახეთ, რომ შრომამ ამაოდ ჩაგიარათ, ყველაზედ საზიზღარი მოქმედება ჩაიდინეთ?.. ღმერთო ჩემო!.. კარგადმყოფის ადამიანის საგიჟეში შეგდება არც ერთს ველურს მტარვალს თავში არ მოსვლია!—მე თითონ ვგიჟდებოდი, როდესაც მარის მდგომარეობას წარმოვიდგენდი. ერთად გიჟებთან, საერთო ოთახში, მარისაც ისე უნდა მოჰპყრობოდნენ, როგორც დანარჩენებს?.. მასზედ ზრუნვა უნდა ჰქონოდა მინდობილი მოუხრელს და გაუთლელს დარაჯებს, გულგაქვავებულებს, რომელთაც უბრალო სულიერი მოძრაობის შესაკავებლად მარტო კეტის მეტი არა იცოდნენ-რა... მე ვედარა ვძლებდი იმ ოთახში, სული მიგუბდებოდა. თვით პორფირ მეჩვენებოდა რაღაც უსაძაგლეს ცხოველად, რომელიც სწამლავდა ყველას, ვისაც კი მიეკარებოდა. თვით ის ჰაერიც კი, რომლითაც პორფირი სუნთქავდა, თითქოს იწამლებოდა და საზიზღრად მოქმედებდა კაცზედ.

მე აღარ ვიცოდი, რა რიგად დამეწყო ლაპარაკი, რა მეთქვა... ერთის მხრივ დაუჯერებლად მეჩვენებოდა — ჩვენს დროში ხალხი ისე დაცემულიყო, რომ მთელი ქვეყნის გამოსულელება შეძლებულიყო, რომ მისთვის ეკისრებინათ სრულიად კარგადმყოფის ადამიანის გიჟად გამოცხადება, თუნდა ამგვარს საქციელს უბედურის სახელი უბრალო ჭორიკანაობისგანაც დაეხსნა!?

მეორეს მხრით იდგა ქმარი და რწმუნებით მეუბნებოდა, რომ მარი ნამდვილად საგიჟეში დამწყვდეულიაო, ნამდვილ გიჟად ცნობილიო!...

„უეჭველია, ეს ყველა რამდენიმე პირის მოსყიდვით მოუხერხებია პორფირს", ვიფიქრე მე და ხმამაღლა დავუმატე: — თქვენი საქციელი მეტად მკაცრია, მეტად ველური... მე მაგას ვერ მოვითმენ... მთელს ქვეყანას შევძრავ, შევატყობინებ, სადაც საჭირო არის და მარის განვათავისუფლებ...

— რას ამბობ? — შეშინებით წამოიძახა პორფირმა: — ქვეყანას უნდა გააგებინო?... მაშ შენ მარის მტერიცა ყოფილხარ და ჩემიც.

ამ კაცს სახე ისევ საქვეყნოდ ლაპარაკის და გამოაშკარავების

შიშმა დაუმახინჯმა... ისა კისრულობდა ყოველ სისაძაგლეს, ჩაიდენდა ყოველ ავაზაკობას, ყოველი ბოროტება თავსდებოდა მასთან, ოღონდაც არის ამაზე ქვეყანას არა შაეტყო-რა!

ის მზად იყო ათობით და ოცობით კაცი შაეწირა რომელიმე მოქმედების დასაფარად და ესევე მოქმედება ხვალვე გაემეორებინა დამშვიდებულის რწმუნებით, რომ მისი სინიდისი წმინდაა, თუ მის საქციელზედ ქვეყანა არ ილაპარაკებდა:

— დიაღ, მაგ შემთხვევაში მე თქვენი მტერი გახლავართ, — ვუპასუხე მე: — და ყოველის ღონისძიებით ვეცდები გამოვააშკარავო თქვენი საქციელი...

ამ სიტყვებზედ გამოვბრუნდი და გამოსვლა მინდოდა, მაგრამ პორფირი წინ გადამიდგა და ხვეწნით გამიმეორა:

— აღარც მარის სახელი გებრალება?

— მარის სახელი?... ის დამნაშავე არ არის, ყოველი მისი საქციელი შენი ჯიუტობის და ავაზაკობის შედეგია...

— ვთქვათ, რომ ეგრეა, მაგრამ... მარიზედ ხომ მაინც ილაპარაკებენ?

— დეე ილაპარაკონ, თუ მაგისთანა დამცირებულები იპოვებიან!...

— მარიც ეგრე უყურებს, ეგრე ესმის?

— ეგრე უნდა უყუროს, ეგრე უნდა ესმოდეს.

— რომ არ უყურებდეს?

— მით უარესი მისთვის... მაგრამ მარი ცხოვრებაში საკმაოდ გამოიცადა, რომ ქვეყნის ლაპარაკს ყურადღება მიაქციოს.

— ერთი ორი დღე მოიცადე... მე მივიღებ ჩემს თავზედ ზრუნვას, ჩემთანვე დავიბრუნებ და მაშინ...

— როგორ, მარი ისევ თქვენთანვე უნდა დაბრუნდეს?... თქვენ გონება დაგიკარგავსთ!..

— აქ თავისუფლად და მოსვენებით იქნება.

— მოსვენებით იქნება?! — გამაშტერა მისმა საუბარმა: — აქ, სადაც ყველა ამცირებდა, ცხოვრებას ჯოჯოხეთად უხდიდა, აქვე უპირებდნენ დაბრუნებას, რომ ყოველი დღე, ყოველი წუთი მოეწამლათ იმისთვის. და ეს კაცი კი რაღაცა მოსვენებაზედ ლაპარაკობდა... — არა, ბატონო, მარი აღარ დაბრუნდება თქვენთან. მე მივდივარ და იმედი მაქვს განვათავისუფლო მარი, იმედი მაქვს დავიხსნა თქვენის ხელიდგან და იმედი მაქვს თქვენც აღარ მოიწადინებთ მის დაბრუნებას... ამ დროს კარებში გამოჩნდა სოფიო, რომელსაც თმა აწეწოდა და თვალები არეოდა; სახეზედ ჩამონადენს ოფლს ჩამოერეცხა უმარილო და უსიამოვნოდ ზოლზოლად დაეხაზა მისი ჩაყვითლებუ-

ლი ლოყები. ის მთლადა კანკალებდა სიანჩხლისგან, — ეტყობოდა უკანასკნელი სიტყვები მის სმენასაც მისწვდომოდა.

ის იდგა გაასპიტებული, გაფთრებული და ისე მიყურებდა, თითქოს თვალებით ჩაყლაპვას მიპირებდა.

— ჩვენო დამლუპაო! — მკაცრად მომიბრუნდა: — ვინ მოგცა აქ შემოსვლის ნება?

მე შევხედე სოფიოს და იქამდის დამცირებულად მეჩვენა, რომ პასუხის ღირსადაც კი არ გავხადე. მე ისევ პორფირს მივმართე, რადგანაც მინდოდა, უბრალოდ ლაპარაკის და აქეთ-იქით წყვეტების მაგიერ, მარის განთავისუფლება უფრო მშვიდობიანად მომეხერხებინა.

— ბატონო პორფირ!.. გირჩევთ ეხლავ წამოხვიდეთ და მარი საავადმყოფოდგან გავანთავისუფლოთ... გირჩევთ, რადგანაც ამით შეგიძლიანთ თავიდგან აიცდინოთ უბრალო ყაყანი და ლაპარაკი, რომელიც თქვენ ისე გაშინებსთ.

— ჩემს ძმას ეგ არ შეუძლიან, — ჭირვეულად დაიკივლა სოფიომ, — მაგას თუ ის ლაფი, რომელიც მარიმ თავზედ დაგვასხა, არაფრად მიაჩნია, მეც შემეხება მაგათი საქმე, მე არ მივცემ მაგის ნებას!..

— თქვენ? — მივუბრუნდი სოფიოს: — რომელის უფლებით ლაპარაკობთ მაგას?..

— როგორ თუ რომელის უფლებით? — შემომიტია იმან და სიბრაზით დაუმატა:

— პორფირს თავისი თავი თითონ ეკუთვნის. მაგან თუნდა თავი მოიკლას, როდესაც საქმე პირადად მაგას შეეხება, მაგრამ როდესაც მაგისი საქციელი მთელს ნათესაობას, გვარეულობას ლაქასა სდებს, მაშინ არ მივცემ ნებას, არა... არ მივცემ-მეთქი, თუნდა მაგისთვის თავის გადადება მომინდეს.

— მარის არ უყვარდა პორფირ და ძალად შეირთო, მარის არ უნდოდა ქმართან ცხოვრება და ძალად იჭერდით... იჭერდით, — ყოველს სიმცირესაც კი აყენებდით... თქვენ გინდოდათ ის იმ სახლში დაგებორკილებინათ, სადაც ყველანი მტრად ჩამოჰკიდებოდით, სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაგექციათ და, როდესაც იმან მოიწადინა ძალით იმის მოპოება, რაზედაც უფლება უნდა ჰქონოდა და ნებით არ აძლევდით... როდესაც ძალით აასრულა თავისი განძრახვა, თქვენ ამას ლაფის დასხმას ეძახით, გეშინიან საქვეყნოდ გამოაშკარავებისა?.. თქვენი საქციელი?... თქვენს საქციელს, ზნეობით სავსე ქალბატონო, გვარეულობის სახელით დამცველო!. თქვენს საქციელს რაღა დავარქვათ?. თქვენს საქციელს, რომელიც გველობით და ბოროტე-

ბით სავსე იყო და სავსე არის... თქვენ, რომელიც მარის ცხოვრებაში წვეთ-წვეთობითასხავდით საწამლავს, რომელიც დღითი-დღე მოაზრებულის და გამუდმებულის საქციელით ამ შედეგამდის მიიყვანეთ?.. მიბრძანეთ, რა დაუძახო თქვენს საქციელს?..

— ვინ მოგცათ ეგ ნება... — დაიწყო სოფიომ, მაგრამ მევე გავაწყვეტინე, რადგანაც მისი მოქმედება გულზედ ბოლმასავით მაწვებოდა და ეხლა კი შემთხვევა მეძლეოდა ყველაფერი გამომეთქვა.

— თქვენ ჩაიგდეთ ხელში თქვენი უხასიათო ძმა, თქვენ გაიგეთ მისი სისუსტე, შეიპყარით, დაიძორჩილეთ და თქვენი სურვილის იარაღად გახადეთ, თქვენის წადილის სათამაშოდ გადააქციეთ... და რა ამოირჩიეთ დროს გასატარებლად?.. — უბედური ქალის წვალება, რომელსაც დამშვიდებულის სინიდისით სისხლსა სწოვდით, სიცოცხლეს უმწარებდით...

— გამიგონე.. — სოფიო წამოდგა წინ და ხელი მოსაკიდებლად გამოიშვირა.

— გამეცალე! — დავუყვირე მე, რადგანაც მისი მოკარებაც კი მეგონა გამაჭუჭყიანებდა, ცხელ რკინასავით დამწვავდა: — გამეცალე! გავუმეორე მე და დავუმატე: — ეხლა ყველაფერი გითხარით, ყველაფერი, რაც კი გულს მოსვენებას არ აძლევდა. ეხლა თქვენთან გავათავე და მე ვიცი, როგორც მოვიქცევი...

მე გამოვბრუნდი და ჩემს სმენამდის მოაღწია პორფირის შეშინებულმა ხმამ:

— სოფიო რა ჰქენ?!. დააბრუნე, თუ ღმერთი გწამს, დააბრუნე!..

— გაჩუმდი! — გააწყვეტინა სოფიომ და დაუმატა: — მიბრძანდეს და რაც გაარიგოს...

ამ სიტყვებზედ კარი მივიხურე და თუმცა ველარ გავიგონე, დაძმას შორის რა მოხდა, მაგრამ წარმოდგენილი კი ისე მქონდა, რომ პორფირს მთელი წამება უნდა გამოევლო.

## IX

გამოსვლის უმალ მე გავქანდი იმ საავათმყოფოსკენ, სადაც კარგამყოფი ადამიანი გიჟებთან ერთად დაემწყვდიათ. პირველსავე მისვლაზედ, საავათმყოფოს მოსამსახურემ კარი გამიღო და ღიმილით მითხრა:

— თქვენს მოწყალებას, უეჭველია, ავადმყოფის ნახვა უნდა?.. დაიგვიანეთ, ძალიან დაიგვიანეთ. — დაუმატა იმანვე.

— ვინ არის აქ უფროსი, ვის აბარია ეს საავათმყოფო? — ვკითხე მე.

— უფროსი?.. — გაიმეორა იმან ჩემი კითხვა, მოიქექა თავი და დაუმატა: — უფროსი, ბარონ ზ—იცა...

ის ლაპარაკობდა წყნარად, არა ჩქარობდა და მე კი აღარ მიყურებდა, მე, რომელიც ამბის ჩქარა შეტყობის სურვილით ვინთებოდი.

— მაშ წამიყვანე იმასთან. — მოუთმენლად წარმოვსთქვი.

— იმასთან? იმასთან არ იქნება... იმიტომ რომ „ისინი“ ქალაქში დგანან...

მე მაჯავრებდა ამ კაცის გაუგებრობა. საავათმყოფო ისე თავდანებებული როგორ იქნებოდა, რომ ერთ ერთი ექიმი მოუშორებლად იქ არ ყოფილიყო.

— ისინი განა აქამდის აქ იქნებიან?—ღიმილით გააგრძელა იმან და ამიხსნა: — ისინი განა პატარა ვინმე ბძანდებიან, ღენერალია... უმთავრესი ექიმია, ესე იგი, ნაჩალნიკი.

— მაშ აქ ექიმი არავინ არის?

— არის, მაგრამ, ეს არის ეხლა გავიდა ა-იქ, ახლოს, ნაცნობები ჰყავს და იქ ქალალდის სათამაშოდ დაჰპატიჟეს.

— ავათმყოფებისთვის თავი როგორ დაუნებებია? — წარმოვსთქვი მე: — იქნება ექიმები რა წუთში დასჭირდეთ?

— აქ რა ავათმყოფებია?.. — მოჰყვა ისევ მოსამსახურე: — სულ გიჟები არიან, ეგენი ადამიანებათაც კი აღარ ჩაითვლებიან... მაგათი ავათმყოფობა აშკარაა, ექიმი რად უნდათ... თუ ვინმე გაჭირვეულდება, ურჩობას დაიწყებს, გადავაცვამთ გიჟის პერანგს, დავასხამთ ცივს წყალს და ამითი გათავდება.

მე თვალწინ წარმომიდგა უბედური ავათმყოფების მდგომარეობა და მათ შორის მარი, ამ უგულო მხეცების ხელში, რომელთაც მათზედ ზრუნვა მინდობილი ჰქონდათ. სწორედ ვგიჟდებოდი.

— დაუძახე ექიმს, ჩქარა, საჭიროა.

— მე არ შემიძლიან. — გადაწყვეტით მიპასუხა იმან.

— შენ არა სთქვი, ექიმი აქვე ახლოს არისო, უეჭველია, ის გიბძანებდა, თუ საჭირო შევიქენ, დამიძახეო.

— დიაღ, მაგრამ მე კარებს ვერ მოვშორდები, რადგანაც, — დამიწყო იმან განმარტება, — შეიძლება რომელიმე გიჟი...

— მაშ სხვა ვინმე გაგზავნე. — გავაწყვეტინე მე: — ჩქარა, თუ ღმერთი გწამს, საჭირო საქმე მაქვს.

— აბა ეხლა ვინ გავგზანო?.. აგერ ათი საათი სრულდება მოსამსახურეებს სძინავთ.

— მაშ რა ვქნა, მითხარ მაინც, რომელს სახლშია, ვისთან.

— აი ეგ შეიძლება... აქვე გახლავთ, პირდაპირ. გაბრუნდებით

მარჯვნივ, გასცდებით ერთ ქუჩას, მეორეს... მესამეს და მეოთხეზედ მარცხნივ... მაგრამ არა, მოითმინეთ, ამერია...

— თუ ღმერთი გწამს!.. შენ ნამდვილად არა გცოდნია... გაალვიძე ვინმე, დაუძახე- ფულს ვაჩუქებ...

— წასვლა კი შეიძლება, — მიპასუხა იმან, რა კი ფულის ხსენება გაიგონა: — რატომ, წავალ, წავალ, მაგრამ აქ ვიღა დადგება?

ამ კითხვაზედ შემოეღო კარები და ოთახში შემოვიდა ექიმი. ის ცოტა გადაკრულსა ჰგვანდა, რადგანაც რაცრაცებდა და პირიდგან არყის სუნი ამოსდიოდა.

შემოსვლის უმალ იმან შემომხედა და მკაცრადა მკითხა:

— რა გინდათ?

— ერთი ავათმყოფი მოიყვანეს ჩემი ნათესავია და იმის ნახვა მინდა...

— ამ შუა ღამისას? — შემომხედა იმან: — განა არ იცით, რომ ამ დროს ვიზიტები აღკრძალულია?

— ჩემი შემთხვევა ჩვეულებრივი კი არ არის!.. თქვენ არ შეიძლება, რომ უარი მითხრათ... მხოლოდ ნება მიბოძეთ შეგატყობინოთ...

— მაშ ჩემს ოთახში მობრძანდით. — გამიძღვა წინ და ჩვენ შევედით ერთ პატარა ოთახში, სადაც მოზრდილი ლამპა საკმაოდ ანათებდა.

მე წარმომიდგა თვალწინ ლამაზი, ყმაწვილი სახე, რომელიც რაღაცა უცნაურს ხაზებს დაესერა და სრულის აპატიის ბეჭედი დაესვა.

— ვინა ბრძანდებით. — შესვლის უმალ მკითხა მასპინძელმა.

მე დავუსახელე ვინც ვიყავ.

ამ სიტყვებზედ ის თითქოს მოცოცხლდა, ერთს წუთს ჩაფიქრდა და შემდეგ ხელების გამოშვერით წამოიძახა:

— ლევან, ნუთუ შენა ხარ?

მეც დავაკვირდი და მომაგონდა ერთი ჩემი ამხანაგთაგანი, რომელიც სწორეთ უნივერსიტეტში იმ წელიწადს ათავებდა კურსს, როდესაც მე შევდიოდი. ერთმა შემთხვევამ ჩვენ მაშინ დაგვამეგობრა, მაგრამ შემდეგში ხანმა დაგვაშორა და თითქმის სრულიად გადაგვავიწყა ერთმანერთი.

წარმოიდგინეთ რა რიგად გამეხარდებოდა იმისი ნახვა, გამიხარდებოდა მით უფრო. რომ ვიქტორ — ასე ეძახდნენ იმ ექიმს — იყო პატიოსანი და საიმედო კაცი.

პირველსავე მისალმების შემდეგ მე დაწვრილებით ვუამბე მარიხ თავგადასავალი და ვიქტორმა სრულის თანაგრძნობით მიიღო ნაამბობი.

იმან შემატყობინა, რომ ნება არა მქონდა მარი ჩემთვის ეჩვენებინა, მაგრამ ეს ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ამ შემთხვევაში კანონს ვერ დაემორჩილებოდა, თუნდა იქვე ანძალზედ ჩამოეკიდნათ. მიამბო, რომ დღეს საავათმყოფოში ყოფნა იმის რიგი ყოფილიყო, იმას მიელო მარი, რომელიც სხვა გიჟებთან ერთად დაემწყვდიათ, მაგრამ უბედურის ქალის ხვეწნისთვის ვეღარ გაეძლო და ცალკე ოთახში გადაეყვანა.

ჩვენ გავწიეთ ზევით პალატებში და მივედით იმ ოთახის კარებთან, სადაც მარი იყო.

ყოველ ფეხის გადადგმაზედ, ყოველ მიახლოვებაზედ რაღაცა გვარს სიხარულს და მასთანვე მტანჯავს სიამოვნებასა ვგრძნობდი. გულს ფართხალი გაჰქონდა, თითქოს ციება მორეული ვძაგძაგებდი, კრიჭა შეკრულსავით კბილები ძალზედ მომეჭირა და ამოსუნთქვისაც კი მეშინოდა.

მარისთან ხელ-ახლად შეყრის ბედნიერება ისე ახლო იყო და მე კი ისე უბედური, ისე განდევნილი ბედისაგან, რომ თვით ამ ამოსუნთქვისაც კი მეშინოდა—ჩემს მოღალატედ არ გარდაქცეულიყო, მოახლოებული ბედნიერება არ გაეფრთხო და ნეტარება საუკუნოდ არ დამეკარგა.

კარებათნ ვიქტორი შესდგა და მითხრა:

— აი ოთახი, და მე კი თავს დაგანებებ. დილამდის აქ იყავ და ხვალ ჩვენს უფროს შევატყობინებ ამ საქმეს... თუ, ვინიცობაა, მარიხ განთავისუფლება აქედგან ვერ მოხერხდა, მაშინ სხვა გზა ვნახოთ.

ამ სიტყვებზედ ის გაბრუნდა და რამდენადაც მისი ფეხის ხმა წყნარდებოდა, იმდენად მე გული მიცემდა.

კარები, მარტო კარები-ღა მაშორებდა მარის. ეს ცოტა ბედნიერება არ იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ, იმ წუთებში რა გაუბედავი შევიქენ! რამდენჯერმე კარის გასაღებად მიტანილი ხელი ჩამომივარდა, რამდენჯერ ხელი მოვკიდე თითონ კლიტეს და გული ჩამჩიჩინებდა მხოლოდ ერთხელ გადამეტრიალებინა, ცოტა გადამეწია, მაგრამ დადუნებული და თვითმოქმედებას მოკლებული ძარღვები გაუნძრევლად რჩებოდა. გული კი ფართხალებდა და ძალზედ დუგა-დუგი გაჰქონდა.

ბოლოს, როგორც იყო, გავბედე და ძალა დავატანე ჩემს თავს: გაიღო კარი და თვალწინ წარმომიდგა მარი!.. მარი, რომელიც თეთრს თავისუფალს ტანისამოსში, გაშლილის ხშირის თმებით, ნახევრად მიწოლილი საგებელზედ და ფერმკრთალი, ანგელოზს ემსგავსებოდა!..

მე დავიბენ, წავბარბაცდი და რაოდენსამე ხანს თვალებდაბნელებული ვიდექ.

როდესაც გონს მოვედ, ჯერ კიდევ კარებს არ გავცდენოდი და მარი კი წამომდგარიყო, დაჰყრდნობოდა სტოლს და გაშტერებული შემომყურებდა.

— ლევან!—წყნარად, თუმცა მღელვარებით, წარმოსთქვა იმან:—თქვენა ხართ?.. ცხადია?..

— მარი!—მეტი ველარა მოვახერხე-რა და გავქანდი, რომ გულში ჩამეკრა.

ღმერთო, რა იგრძნო ჩემმა გულმა მარისთან მიახლოვებაზედ?.. რა მტანჯავი, მოუსვენარი და აღმაშფოთებელი სიტკბოება! მე ვეხვეოდი, ვტიროდი, ვიცინოდი... ვგრძნობდი ცეცხლს, რომელიც ძარღვებში, გულში, მთელს სხეულში დარბოდა, ვგრძნობდი მის სიმხურვალეს, სიცხეს და ძალას, მაგრამ ამასთანავე რაღაცა უმაღლეს, ციურს ბედნიერებას, სიამაყეს!.. მარი ხელში მეჭირა, ის მეკვროდა მკერდზედ, დამმორჩილებოდა და სწორეთ ამითი ვგრძნობდი ჩემს თავს მეფედ, ქვეყნის უფლად!.. იმ წუთებში ისეთი ძალა მომეცა, ვეფხვს, ლომს რომ შევყროდი, ხელდახელ შევებმებოდი და, უეჭველია, გამარჯვება მე დამრჩებოდა!.. ასე აპატიოსნებს, აამაყებს, ასეთს რწმუნებას აძლევს თურმე კაცს წმინდა უებრო სიყვარული! მარის მე ვუყვარდი,—ქვეყანა ჩალად მიმაჩნდა. ვის რას შევეპოვებოდი?! მთელს ქვეყანას, ჯოჯოხეთს, ზეცას საბრძოლველად გამოვიწვევდი...

არ ვიცი როგორ დიდ ხანს გაგრძელდა ეს მდგომარეობა, როდესაც მარი პირველი მოვიდა გონს, პირველი გამეშვებინა, და პირველმა დაიწყო.

— კმარა, ლევან! ნუღარა მტანჯავ... შენ ხომ არ გიყვარვარ და რაღად მამცირებ?

— მარი! რას მეუბნები?—გატაცებით ვუპასუხე:—თუ შენ არ მიჭვარხარ, თუ შენი დამცირება მინდა, მაშ რაღა მიყვარს, ვიღას ამაღლებას ვისურვებ?

— ვისაც წიგნებსა სწერდი, ვის წინაშეც ჩემს გულწრფელს სიყვარულს მასხარად ჰხდიდი. რისთვის მომექეც ეგრე, რა დაგიშავე?

პირველში არ მესმოდა, მარი რას ამბობდა, მაგრამ მაშინვე მომაგონდა მარის წერილი, რომელიც წინადღით მომივიდა და ყველაფერი აშკარა შეიქნა. სოფიოს და პორფირისგან შედგენილმა წიგნებმა, კინაღამ მე და მარი საუკუნოდ დაგვაშორეს.

შეყვარებულს გულს მალე სჯერა საყვარლის სიტყვა, მას უცოდველად და წმინდად ხედავს. მე და მარისაც დიდხანს ლაპარაკი არ მოგვინდა, რომ ერთმანერთი დაგვერწმუნებინა ჩვენს სიმართლეში.

ესევე გვსურდა ორთავეს და აღძრული ფიქრების გაქარვებას ეს უფრო მეტად შეელოდა.

ორთავემ სიხარულით გავიგეთ, სიხარულით დავრწმუნდით, რომ ჩვენი სიყვარული წმინდა და პატიოსანი ყოფილიყო..

— მაშ გიყვარვარ, გიყვარვარ?—მეუბნებოდა მარი და მეხვეოდა, რომ მოალერსებით გამაძღარიყო თითონ და მეც გავეძღე. ყოველ მოხვევნაზედ მისი რბილი, კუპრსავით შავი თმა ეფინებოდა ჩემს სახეს, ყოველი ბეწვი ცალკედ და ყველა ერთად ნაზად მიციგლიგებდა, სასიამოვნოდ მიღუტუნებდა და მთელს სამოთხეს გადმიშლიდა.

## X

პირველი ალერსის შემდეგ მარიმ მიამბო თავისი თავგადასავალი, რომელსაც აქვე გადმოგცემთ. „როდესაც,—დაიწყო მარიმ,—შენის დასწრებით მე და ჩემ ქმარს შუა ის უსიამოვნო ლაპარაკი მოხდა და პორფირმა გთხოვათ, რომ მარტონი დაგვეტოვებინეთ, კარგა სიჩუმის შემდეგ, იმან დაიწყო:

— მაშ არ იშლი და მაგ მასხარას ლაპარაკს აჰყოლიხარ?

— მე არავის ლაპარაკს არ ავჰყოლივარ.—ვუპასუხე მე და დავუმატე:—მე წინადვე არ მინდოდა შენ მოგთხოვებოდი, მაგრამ ვერ მოვახერხე... ეხლა კი გადავსწყვიტე, უეჭველად თავი დაგანებო.

— მერე ცხოვრებას რითი აპირებ? — მკითხა იმან და დამაცქერდა:—ეს ხომ იცი, რომ შენი სამშობლო არავითარს სავანეს არ მოგცემს?

მე ვუპასუხე, რომ რუსეთში წავიდოდი, საქმეს გავიჩენდი რასმე და ცხოვრებისთვის მოვემზადებოდი.

— ეგ სულ იმ ბიჭ-ბუჭების ლაპარაკია, რომელნიც რაღაცა ამაღლებულს აზრებს ეფარებიან და საქმით კი მხოლოდ იმასა ცდილობენ, რომ ლამაზი ქალები გვერდით იყოლიონ.

— თუ თქვენ, ოთხმოცი წლის ბებერი, მაგასვე ცდილობთ და საძრახისათ არ მიგაჩნიათ, მაგისთვის ყმაწვილ-კაცს რაღათა ჰკიცხავთ?—გაჯავრებით მივუგე და დავუმატე:—იმათთან ცხოვრება არა სჯობს?... კაცი სასიამოვნო სახეს მაინც უყურებს!

ამ სიტყვებზედ პორფირი აენთო და ჩემი პასუხიც სწორედ იმის გასაჯავრებლად იყო ნათქვამი... იქნება გამამტყუნო ამგვარ ქცევისთვის, მაგრამ რა მექნა, როდესაც ჩემსავე უნებურად მისი წყენა მწყუროდა, მისი შეურაცხყოფა მასიამოვნებდა.

— მაშ, იქნება მართლა გგონია, რომ ლევანს უყვარხარ?—დაიწყო პორფირმა და ავაზაკურის, ბოროტის თვალით დამიწყო ცქერა.

— ეგ სულ ერთია ჩემთვის,—ვუპასუხე მე და დავუმატე:—იმას თუ არ უყვარვარ, სხვა შემიყვარებს და ეს სხვა, ვინც უნდა იყოს, შენზედ უკეთესი ხომ იქნება!

ამ სიტყვებმა სრულიად გააბრაზეს პორფირ და გაანჩხლებით დაიძახა:

— იქნება შენა გგონია, რომ გეხუმრები?.. აჰა, წაიკითხე.—ამოიღო რაღაცა ქაღალდი და გადმომიგდო.

მე ავიღე ეს ქაღალდი, დავხედე და თვალებისა არა მჯეროდა... ეს იყო სწორედ ის წერილი, რომელიც შენს მაგიერ შეედგინათ, რომელშიაც ისე მასხარად მიგდებდი, ისე მამცირებდი და შეუბრალებლად ფეხქვეშ სთელავდი ჩემს გრძნობას.

კარგად იყო მოსაზრებული ეს წერილი. მართლადაც, ისე ვერა მომტეხდა-რა, როგორც შენდამი რწმუნების შერყევა... ჩემს თავს უღონოდ, დამცირებულად და მასხარად გახდილს ვხედავდი... მერე ვისგან?.. ვინც მთელს ქვეყანას მერჩია, მთელს ჩემს სიცოცხლეს შეადგენდა, ვინც მაკავშირებდა ამ სოფელს, და სიცოცხლეს შესაძლებლად მიხდიდა!...

როდესაც პორფირ ან სოფიო ჩემს დამცირებას ცდილობდნენ, ამას კიდევ ვიტანდი, რადგანაც მე თავადაც ამითვე ვუპასუხებდი, ამგვარადვე ვექცეოდი, მაგრამ წარმოიდგინე, ამ გვარი საქციელი მეგობრისგან როგორ უნდა მიმეღო?

ამ წერილზედ თავსბრუ დამეხვა და იმავ ადგილს, უსიტყვოდ, გაუნძრევლად ჩავიკეცე, ცრემლები მახრჩობდა, რადგანაც გაცხელებული თვალები იქამდის გამიხურდა, რო მომდგარს ნამს მსწრაფად აშრობდა და უკუაგდებდა.

ბოლოს პორფირ მოვიდა, მომკიდა ხელი და წყნარად მკითხა:

— ახლა რაღას იტყვი?

— არ ვიცი. — იმედგადაწყვეტით და დაფანტვით ვუპასუხე ან სხვა რა უნდა მეპასუხნა?

— გჯერა კიდე ლევანის სიყვარული?

ამ სიტყვებმა, შენმა სახელმა, სიყვარულის გახსენებამ გული რაოდენადმე მოალბო; გადმომვარდა მწვავი, მდუღარე წვეთი, მას მოჰყვა მეორე, მესამე და გზა გახსნილი ცრემლი მოსწყდა შეუწყვეტელ ნაკადულად. მე ვტიროდი, ვტიროდი გაუწყვეტლივ, მოუსვენრად და მთლად ვთრთოდი ამ ტირილის დროს.

— რას მეტყვი? — წყნარადვე გაიმეორა პორფირმა: — ამის შემდეგ ლევანის ნახვას კიდევ ისურვებ?

— არ ვიცი... დამეხსენ, მომშორდი, ოღონდაც კი მომშორდი, და, რაც გინდა ჰქენ!—ვუპასუხე გულდაწყვეტილმა და იმედდაკარ-

გულმა. მარტოდ დარჩენა მეპირებოდა, რომ მარტოდ მივცემოდი ჩემს გლოვას და მწუხარებას.

— იმ კაცმა შენ დაგამცირა,—ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო პორფირმა: — მე მოგაშორებ იმას.

მეტად შეწუხებული ვიყავ, მეტად დიდი ვარამი მაწვა გულზედ, რომ მაშინ პორფირის სიტყვების მნიშვნელობა მომეაზრა.

— წადი, წადი! რაც გინდა, ჰქენ!—ვუპასუხე იმას და იმანაც აღარ გამამეორებინა ეს სიტყვები.

პორფირ საჩქაროდ გავიდა და მე მარტოდ დავრჩი, დავრდომილი, იმედგადაწყვეტილი... ყველაფერს ავიტანდი, ყველაფერს გავუძლებდი, მაგრამ შენგან მასხარად აგდება მეტად თავზარდამცემი იყო.

პირველი აზრი, რომელიც თავში მომივიდა, იყო, რომ თავი მომეკლა, რადგანაც უშენოდ სიცოცხლე არ მესმოდა. მაგრამ, როდესაც ჩემს მდგომარეობას დავაკვირდი, დავრწმუნდი, რომ ბრძოლა კიდევ შესაძლებელი ხდებოდა და გადავწყვიტე, განმეგრძო, განმეგრძო უკანასკნელს საშუალებამდე.

მე მინდოდა ბრძოლა გამეწია ყველასთვის, ვინც კი ჩემს კაცობრიულს უფლებას ფეხით გადალახვას ექადდა, დარწმუნებული ვიყავ, რომ თუ აქ ამ ზნეობით აღჭურვილი ხალხი გარს მეხვია, ქვეყანაზედ სხვა ხალხიც იპოვებოდა, ისეთი ხალხი, სადაც სიმართლეს მკვიდრი ნიადაგი ექნებოდა, და გადავწყვიტე — მეპოვნა ეს ხალხი.

კარგა ფიქრის შემდეგ ისევ შენ წარმომიდეგ თვალწინ და პირველი სიტყვები იყო საყვედური იმ საქციელისთვის, რომელსაც პორფირასაგან მოტანილი წიგნი მიაშკარავებდა, მაგრამ მალე აზრი შევიცვალე და გუნებაში ეჭვმა გამირბინა. მე ვიძახდი: იქნება ტყუილია, იქნება ის წერილი ჩემი ქმრისაგან არის შედგენილი; ჩქარა ეს ეჭვიც განქრა და მისი ადგილი დაიჭირა რწმუნებამ, რომ შენ ეგრე მკაცრად ვერ მოიქცევოდი, მაგისთანა უკაცურს საქმეს ვერ ჩაიდენდი.

ეს იყო გონების ნაწარმოები, თუ გულისა, გადაწყვეტით ვერ გეტყვი, მაგრამ მათგან, რომლისაც უნდა ყოფილიყო, გასამარჯვებლად დიდი ბრძოლა არ დასჭირებია.

ასე იქნებოდა, თუ ისე, მომატყუებდა ჩემი გრძნობა, თუ არა, ეგ საქმის მიმდინარეობისთვის სულ ერთი იყო, რადგანაც მე ვეღარა მაჩერებდა-რა: გადავწყვიტე, რომ უნდა გავნთავისუფლებულიყავ, და ამას მივმართე მთელი გონება.

იქნება პორფირ ცოტა მეტ ღირსების მქონებელი ყოფილიყო, ცოტაოდნად კაცის პატივისცემის დამსახურება შესძლებოდა, ჩემის თავისთვის დამეტანა ძალა, გულის მოძრაობა გულშივე ჩამეკლა და

ჩემს უბედურებას დავმორჩილებულიყავ, მაგრამ, როდესაც ჩემს უღონობას აშკარად დასცინოდნენ, ჩემის გულის მოძრაობას განგებ ფეხქვეშ ლახავდნენ და მაგასთან ისე, რომ უეჭველად თავიანთის მოქმედებისთვის ჩემი ყურადღება მიექციათ,—უფრო მეტად და მეტად მაბრაზებდნენ, მეტის სურვილით მინდებოდა წინა აღვსდგომოდი.

სოფიო ისე არ გაივლიდა ჩემს წინ, რომ მასხარად ამგდები, დასამცირებელი ღიმილი არ გამოხატოდა პირისახეზედ; ისე ხმას არ გამცემდა , რომ თავის უპირატესობა არ შეემჩნევინა ჩემთვის; ისე ხმას არ ამოიღებდა, რომ მწვავად, გესლიანად არ ეჩხვლიტა!.. ყოველი იმისი სიტყვა, ყოველი იმისი ლაპარაკი, ყოველი იმისი საქციელი ჩემს შესახებ იყო ვითომც ზნეობით ამაღლებულისა, უჩირქო ყოფაქცევის ადამიანისა სულითა და ხორცით დაცემულისადმი!..

მე ვხედავდი ყველა ამას და არც თითონ ის ცდილობდა დაემალა ჩემთან, ვგრძნობდი, რომ მე იმაზე ბევრით, ძალიან ბევრით მაღლა ვიდექ და უნდა ამეტანა მისი საქციელი, რადგანაც მომხრე, თანამგრძნობელი არა მყვანდა.

სოფიო, მართალია, უწინაც ამაზედ უკეთ არ მექცეოდა, მაგრამ მაშინ ჩემი საკუთარი ოთახი მქონდა, განმარტოება მაინც შემეძლო, მაგრამ ეხლა ოთახიც კი წამართვეს!

სადაც ოდესმე ისე მიყვარდა სიმარტოვე, ოცნება, მოსვენება, სადაც შემოსვლა ვერავის შეეძლო, იქ ეხლა სოფიო თავისუფლად შემომეჭრებოდა და მთელი დღეების განმავლობაში არ მასვენებდა.

თითონ პორფირიც კი იქამდის გამოიცვალა, რომ ყოველი პატივისცემა ჩემდამი დაჰკარგა და ისე მეპყრობოდა, როგორც უფალი თავის მონას.

ყოველ ნაბიჯზედ მატყობინებდა, რომ ის ბატონია ჩემი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე, მოსვენება, ამოსუნთქვაც კი, იმაზედ არის დამოკიდებული და მაგასთან ისე მკაცრად, ისე უზრდელად, რომ კაცს ერთიორად მომეტებულად აგრძნობინებდა, ერთიორად მომეტებულად გულს უხეთქავდა.

ასე მიდიოდა ჩემი ცხოვრება რაოდენსამე ხანს და, ისეც თავ-მობეზრებულს, თანდათან უფრო მიძნელდებოდა ცხოვრება, მიგუბდებოდა სული.

## XI

ერთს საღამოს სოფიო შემოვიდა ჩემს ოთახში, წამოწვა ჩემს ლოგინზედ და მკაცრად დაიწყო:

— ახლა, როდემდის უნდა აწვალო ჩემი ძმა?

მე შევხედე იმას და ეს სიტყვები იქამდის საძაგლად მეჩვენენ რომ გაჯავრებაც კი ვერ მოვახერხე, და წყნარად ვუპასუხე:

— ეგ კითხვა მე უნდა მომეცა, მხოლოდ შენი ძმის ადგილს ჩემი თავი უნდა მეგულისხმნა, და შენვე მკითხავ?..

— კმარა სისულელე!—მკაცრად გამაწყვეტინა იმან და ამ სიტყვებმა მთლად ამანთო და უკანასკნელი მოთმინება დამაკარგვინა.

გონებაარეული მთლად ვცახცახებდი და ანგარიშმიუცემლად მივარდი სოფიოს, რომელიც ჩემს მიახლოვებაზედ ფეხზედ წამოვარდა და გაფითრდა.

— როგორ მიბედავ მაგ ლაპარაკს, ურცხვო, უსირცხვილოვ!—და მეტი ველარა მოვახერხე-რა.

უეჭველია საშინელი სახე მედო, რადგანაც სოფიომაც ველარა გაბედა-რა და მხოლოდ რაღასაც ბუტბუტებდა.

— გადი, გაეთრიე აქედგან!—დავუყვირე, და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც სოფიომ წყნარად თავი მოიხარა და ტუსტუსით გავიდა.

მე ჯერ კიდევ ვმღელვარებდი და გული ვერ მომებრუნებინა, როდესაც ისევ კარები გაიღო და, ჩემდა გასაკვირველად, ისევ სოფიომ შემოყო თავი და ისე შემოვიდა, თითქოს არა მომხდარიყოს-რა.

— მე თქვენ აღგიკრძალეთ ჩემს ოთახში შემოსვლა, რაღად მოდიხართ?

— ძალიან ბატონობაა, თქვენმა მზემ!—მიპასუხა იმან:—ჩემი ძმის სახლში შესვლას თუ გასვლას როგორ აღმიკრძალავ?

— თქვენი ძმის სახლში არც გიკრძალავთ, მაგრამ ჩემს ოთახში კი არ შემოგიშვებთ! გესმისთ, თუ არა? არ შემოგიშვებთ!

— აქ ყველა ოთახები ჩემი ძმისაა.—წყნარად გაიმეორა იმან და მოიკეცა კუშეტკაზედ.

მე მაშტერებდა იმისი თავხედობა და ასე ჩქარა იმ შიშიდგან ამ გაამპარტავნებამდისინ მისვლა! უეჭველია, პირველის შეკრთომის შემდეგ იმან გადასწყვიტა, რომ უბრალოდ შაეშინდა და მე სრულიად მოსარიდებელი არ ვიყავ.

— ჩვენგან ერთ-ერთი უნდა გავიდეს ამ ოთახიდგან.—გადაწყვეტით ვუთხარ მე და დავუმატე:—მე არა მსურს თქვენთან ერთს ოთახში ყოფნა.

— მაშ თქვენ მიბრძანდით, მიბრძანდით, სადაც გნებავსთ, და მე კი, უნდა გამოგიტყდეთ, აქაც ძალიან კარგადა ვარ.—სთქვა ესა და გასწორდა, რომ უფრო მოსვენებით დამჯდარიყო.

უკანასკნელს ოთახსაც მართმევდნენ, იქაც შემომეჭრნენ. მეტი ღონე აღარ იყო—უნდა დამეთმო და ამისთვის გამოვბრუნდი, მაგ-

რამ იმავ ადგილზედვე გავჩერდი, რადგანაც კარებში პორფირი გამოჩნდა.

— სად მიეჩქარები?—მკითხა იმან და დამიწყო ყურება.

— წარმოიდგინე, ოთახიდგან მაგდებს!—წამოიძახა სოფიომ.

— როგორ თუ გაგდებს? — შეიჭმუხნა წარბები პორფირმა.

— ასე იძახის, რომ ჩემი ოთახიაო!.. თითქოს ოთახიც და მთელი სახლიც შენი არ იყოს!

პორფირმა ამოიოხრა და მოიბუზა. სოფიოს ხმაზედ დაატყო, რომ შფოთი უნდა აშლილიყო, და ამგვარი შფოთისა კი მეტად ეშინოდა იმას.

— მარის როგორ შეუძლიან შენი სახლიდგან გამაგდოს?—დაიწყო ისევ სოფიომ, მაგრამ, რადგანაც პასუხი ვერ მიიღო, ისევ იმანვე დაუმატა:

— არ გესმის?..—იქნება შენგან აქვს ნაბრძანები?—მკაცრად და გარკვევით წარმოსთქვა სოფიომ და ლოყები წითლად წამოუკვერდა:—არ გესმის, შენ გელაპარაკები?

— რა ვქნა, სოფიო!.. მე როგორ ვიტყვი, როგორ მივცემ მაგის ნებას?—საწყლად დაიწყო იმან და მომიბრუნდა:

— რა არის, ქალო, რომ ჩემს დას მოსვენებას არ აძლევ?..

მე პასუხი ვერ მეპოვა, რადგანაც ისე უსამართლოდ მეჩვენა პორფირის სიტყვები.

მე შევხედე იმას, მხრები ავიწიე და მეორე ოთახში გაველ.

პორფირმა მოხურა კარები და და-ძმამ ჩუმად ლაპარაკი დაიწყეს: ეტყობოდათ, რაღაცა არჩევაში იყვნენ. კარგა ხანმა გაიარა, სანამ კარები გაიღებოდა და საშუალება მომეცემოდა ჩემს ოთახში დავბრუნებულიყავ.

ორნივ გამოვიდნენ, ორთავ ჩემს გვერდით გაიარეს. პორფირის თავი ჰქონდა დახრილი და აშკარად ეტყობოდა, რომ პირს მარიდებდა. ამის მაგიერ სოფიოს თავი მაღლა ჰქონდა აწეული, სახე უბრწყინავდა და რაღაცა გამომწვევი გამარჯვების კმაყოფილება დასთამაშებდა; რა კი მე გამისწორდა, შემომხედა, ტუჩები როგორღაც აუთამაშდა, დაეპრანჭა, თითქოს უნდა ეთქვა: ცოტაც დამაცადე და გიჩვენებო!

მე გავადევნე თვალი და უნებურად გავიფიქრე: „რა განუზრახავსთ, რომელის ახალ ბოროტებისთვის მიუმართავთ?“

მე დავფიქრდი ამ საგანზედ და გადაწყვეტით წარმოვსთქვი:— მაშ გგონია, რომ გამარჯვება შენ დაგრჩება?.. ვნახოთ, ვნახოთ, მართლა იმოდენი ღონე გაქვს, რომ დამძალო?

შევედი ჩემს ოთახში და ჩაცმული ჩავწექ ჩემს ქვეშსაგებში.

სანთლის შუქი მიშლიდა. მე მიყვარდა ბნელაში ოცნება და ამისთვის სანთელი გავაქრე.

კარგა ხანს არ მეძინა და სიამოვნებით შევსცქეროდი მთვარის შუქს, რომელიც გაღებულის ფანჯრებიდგან ნაზს სხივებად შემოწოლილიყო. ბაღჩიდგან, რომელიც იქავ იყო გამართული, ყვავილების სუნი ტრიალებდა და ყნოსვას ატკბობდა.

მე ოცნებას ვეძლეოდი. არ ვიცი, ყვავილების სურნელებამ მოქმედა ჩემზედ, თუ საზოგადოდ დავიღალე მთელი დღის მოუსვენრობით, თავსბრუ დამეხვა და წუნარწყნარად ბურანში წაველი. აშკარადა ვგრძნობდი, რომ არ მეძინა, თვალები ვერ მომეხუჭა, მაგრამ ბალიშისთვის თავი ვერ მომეშორებინა, ვერ გავნძრეულიყავ. მთვარის შუქს, რომელიც სახეზედ მომადგა, აშკარადა ვხედავდი, ყვავილების სუნს აშკარადა ვგრძნობდი, სკამს, სტოლს, ყოველს საგანს, რაც ოთახში იყო, ყველაფერს ვარჩევდი, მაგრამ იმათთან მისვლა რომ მომეწადინა, ვერ შევსძლებდი. ვიწექ გაუნძრევლად და ვფიქრობდი, რა მომდიოდა, რად ვიყავ ასეთს მდგომარეობაში?.. ცოტა ხანმაც გაიარა, წარმომიდგა, რომ ვკვდებოდი, და შემეშინდა. მე მინდოდა დამეყვირა, მაგრამ ამაოდ ვცდილობდი ტუჩების დანძრევას, მინდოდა გამოვარდნილიყავ და გავქცეულიყავ, მაგრამ, თითქოს საგებელზედ ვიღაცას დავეკარ... ერთბაშად ყურებმა დამიწყეს უცნაურად წივილი და ჩქარა გავარჩიე სხვადასხვა ზარის ხმა, რომლებსაც თითქოს იქავე რეკავდნენ... ცოტა ხანმაც გაიარა, და საშინლად დავმძიმდი, თითქოს ძარღვებში სისხლის მაგიერ ტყვია ჩამასხსო. გულზედ მომიჭირა; რაღაცა მახრჩობდა და ყოველს ღონისძიებასა ვხმარობდი დამეყვირნა, გავნძრეულიყავ...

ამ წვალებაში ვიყავ, როდესაც ოთახის კარები შემოეღო და იქ გამოჩნდა პორფირის სახე, რომელსაც ხალათი ჩაეცვა, თავი თეთრის ხელსახოცით გადაეკრა და ეშმაკს დამსგავსებოდა. ის შესდგა რამდენსამე ხანს, ყური დამიგდო და მას შემდეგ წყნარად გამოსწია ჩემკენ, მე მეგონა, რომ გული ამოვარდნას მიპირებდა, ისე ძალზედ მიცემდა. მე ვცდილობდი მეთქვა პორფირისთვის, მენიშნებინა, რომ არ მომკარებოდა, მაგრამ ის მაინც მიახლოვდებოდა.

ნახევრად მოკუქულს თვალებში რაღაცა უცნაური ბოროტი ცეცხლი ენთებოდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდა და ძალზედ სუნთქავდა. პირისახეზედ რაღაცა პირუტყვული წადილი უთამაშებდა და ლოყებზედ ალმური ასდიოდა.

ის მოვიდა, დაიხარა თავი და ჩაცივებით დამიწყო ყურება, ისეთის თვალით, რომელიც თითქოს შეჭმას მიპირებდა.

ბგერ პორფირის სახე შეინძრა და წყნარ-წყნარად დაიხარა. ის

მიახლოვდებოდა, ვგრძნობდი მის სუნთქვას და საშინელს ზიზღს აღმიძრავდა. კიდევ წუთიც—და გახურებული ქშენა აშკარად ვიგრძენ. წუთიც და იმის ულვაშები, ნოტიო, სველი, შაეხო ჩემს ტუჩებს... ამ წუთს აღარ ვიცი რა ვიგრძენ. უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე, საშინლად დავიყვირე და გულგახეთქილი ზეზედ წამოვარდი.

პორფირმა ხმა არ გამცა, მომხვია ხელები და ისურვა ჩემი დამორჩილება, დამცირება.

მე ვცდილობდი ხელიდგან გამოვსხლტომოდი გამხეცებულს, მაგრამ პორფირმა მაგრად ჩამავლო ხელები და ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა წავექციე.

ჩვენ ვიბრძოდით შეუდგომლად, დაუსვენებლად, მაგრამ ჩქარა ვიგრძენ, რომ ღონე მღალატობდა, და გულის ხეთქით წარმომიდგა იმის საზიზღარი სახე, დამჭკნარი ტუჩები და თამბაქოს ბოლით გაყვითლებული ულვაშები, რომელიც უნდა ხელახლად შემომხებოდა.

მე სრულიად გადავიწყვიტე ჩემს თავზედ იმედი, მაგრამ მომაგონდა, რომ ადამიანი ვიყავ, რომ ასე საზარლად მამცირებდნენ, და უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე, გავიბრძოლე და პორფირს ხელიდგან დავსხლტი.

ანგარიშ მიუცემლად ავარდი ფანჯარაში და გადავხტი.

## XII

კედელი მაღალი არ იყო და არც კი წავქცეულვარ... მაშინვე გავიქეც ქუჩისაკენ, ბაღის კედელზედ გადავიჭერ და პირველს შემხვედრს კაცს მივუბრუნდი:

— მიშველეთ, დამიფარეთ, დამიხსენით!

იმან შემომხედა, თანაგრძნობით მომიბრუნდა, მანუგეშა, მსწრაფლად ფაიტონს დაუძახა, რომელშიაც ჩავსხედით, და უთხრა:

— სასტუმროში!

ჩვენ მივედით სადღაც, მოგვცეს ოთახი და როდესაც შევედით, მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ ჩემი უცნობი სამხედრო წოდების ყმაწვილი კაცი იყო.

პირველად მაშინ ვიგრძენ სიმარტოე ყმაწვილკაცთან და პირველად ნათლად წარმომიდგა, რა საცოდავები, რა უპატრონონი ვართ ქალები!

შესვლისათანავე ჩემმა უცნობმა მოითხოვა შამპანსკი, გადიგრიხა ულვაშები და მომიბრუნდა:

— შენც ხომ დალევ, ჩემო კეკლუცო?

ეს სიტყვები მეწყინა, რადგანაც მე იმისაგან ძმობას, შემწეობას

მოველოდდი, მეგონა ადამიანი ადამიანს გამომესარჩლებოდა, მიხვდებოდა ჩემს მდგომარეობას, გამომიშვერდა სანუგეშოდ ძმურს ხელს, და ის კი შამპანსკით აპირებდა ჩემს გართობას!?.

იმისმა საქციელმა მეტად გული მატკინა, მეტად დასამცირებლად დავინახე ჩემთვისაც, იმისთვისაც და მთელის კაცობრიობისთვისაც!..

ნუთუ ყველანი ასეთნი არიან, ყველა მარტო პირუტყვული მოძრაობით ხელმძღვანელობს?! ვკითხავდი ჩემს თავს და გული სისხლით მევსებოდა, ნაღველა მისივდებოდა.

მე მოვაგონე ყმაწვილს კაცს, რომ მე, უპატრონო, დევნულმა ქალმა, იმიტომ მივმართე ამ ყმაწვილკაცს, რომ გამომსარჩლებოდა, დავეფარე უსამართლობისგან და არა იმისთვის, რომ მასთან სასტუმროში შამპანსკი მესვა.

— ე, ჩემო კარგო, — უზრუნველად მიპასუხა იმან: — ღირს მაგაზედ ფიქრი? ამ სოფლად ყოველისფერი ამაოა!.. მერწმუნე, სჯობს ყველა დავივიწყოთ.

ამ სიტყვებზედ ურცხვად მოვიდა ჩემთან და ხელის გადახვევას ლამობდა!.. მე აღარ ვიცოდი, რა მექნა ურცხვისთვის: აშკარად ვხედავდი, რომ მის წინ ხვეწნა, მუდარა, საბუთი, ყველაფერი ამაო იყო, მისთვის ქალი მხოლოდ სათამაშო, დროს გასატარებელი საგანი იყო, ისეთი საგანი, რომლის წინაშეც თავის შეკავება უბრალო დროს დაკარგვა, გამოუცდელობა იქნებოდა.

ის იყო კაცი, ყოველის იმ შეხედულებით და მიმართულებით, როგორც უმეტესი ნაწილი ამ წოდებისა.

როდესაც პორფირი ამგვეგვარად მამცირებდა და მე თავის სათამაშოდ, თავის სიამოვნებისა და გართობისათვის გაჩენილად მიყურებდა, ეს კიდევ ისე საწყენი არ იყო, როგორც ჩემი უცნობის მოქმედება. პორფირ იყო მოხუცებული, სულელი, ჭკუა და გონება გამოცლილი და მასთან ისეთი მახინჯი, რომ ყველა ქალს შეზარავდა მისი შეხედვა, — და ჩემი რაინდი კი იყო ყმაწვილი, ტკბილი მოსაუბრე და არა ულამაზო... მას ყოველთვის შეეძლო ეპოვა ისეთი ქალი, რომელიც სიხარულით მისცემდა თავის გულს, შესწირავდა სიცოცხლეს და მასთან შაერთებას ბედნიერებად ჩასთვლიდა... მაშ რადა ამოქმედებდა ამ უმსგავსს ასე საზიზღრად!..

აშკარადა ვხედავდი, რომ აქ თუ მკაცრად არ მოვქცეულიყავ, ვეღარას გავხდებოდი და ამისთვის მივიღე, რამდენადაც შემეძლო, განრისხებული სახე და მტკიცედ, გადაწყვეტით ვუთხარ:

— გთხოვთ, აქედგან გახვიდეთ.

ჩემმა ხმამ და სახემ იმოქმედა. ჩემი რაინდი აღშფოთდა, გაწითლდა და ბოლოში ხლა დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რადა, რას მიბრძანებთ?!

— გადით-მეთქი! — გავუმეორე უცნობს და მივუთითე კარებზედ.

ჩემმა სიტყვებმა გასჭრა. მთლად შერცხვენილი უცნობი წამოვარდა, ქუდს წამოავლო ხელი, ბოდიშის მოხდით გავარდა გარეთ. მე დავრჩი მარტო და ჩემს თავს წარსულის ანგარიშს ვაძლევდი, როდესაც სასტუმროს ბიჭი შემოვიდა.

— თქვენ აქ აპირებთ დარჩენას?

— ამაღამ, დიაღ.

— ბარგი არა გაქვთ-რა, არ შეიძლება.

— ჩემს ბარგთან რა ხელი გაქვსთ?

— ის ხელი გვაქვს, რომ იცხოვრებთ, იცხოვრებთ და, როდესაც ვალი დაგედებათ, ერთს დღეს ადგებით და გადახვალთ... ფული ვიღასა ვსთხოვოთ?

— გეშინიანთ, რომ გავიქცევი, თქვენს ფულს გავიყოლებ?

— არ გვეშინიან კი, მაგრამ მაგის მაგალითები ბევრი ყოფილა... აგერ, ერთი მაიორი იყო, ოცდაათ თუმნამდის დახარჯა, წავიდა და ეხლაც გარბის...

— რამდენი ღირს ნომერი?

— დღე-ღამეში სამი მანეთი.

მე გამიკვირდა ასეთი ფასი პატარას, უწმინდურს და მოუწყობელს ოთახისთვის, მაგრამ ბიჭის თავიდგან მოშორება მინდოდა. ჯიბეში რაოდენიმე ფული გამომყოლოდა და მე მივეც ნომრის ფასი, მაგრამ ბიჭი ფულს ხელში ატრიალებდა და თითქოს კიდევ რაღაცას ელოდა.

— რაღა გინდა? — მოუთმენლად ვკითხე მე: — ნომრის ქირა ხომ წინათვე მოგეც?

— ბილეთი გაქვსთ?.. სასტუმროებს სასტიკად აღკრძალული აქვს, რომ უბილეთოდ არავინ დააყენონ.

მე არ მესმოდა, რა ბილეთს მკითხავდა, რად მინდოდა ბილეთი? ცოტა ლაპარაკს შემდეგ მხოლოდ ეს გავიგე, რომ რაღაცა ქაღალდს მთხოვდნენ, ურომლისოდაც არ მაყენებდნენ.

ვუსწორდებოდი სახლის პატრონს, არასფერს ვაკლებდი და ჩემს ვინაობასთან რაღა ხელი ჰქონდათ?.. მაგრამ, რადგანაც ბიჭის მოშორება მინდოდა, სიცრუეც კი დავიწყე.

— ხვალ გადმოვიტან ბარგს და ჩემი ბილეთიც იქ არის.

— უეჭველად ხვალ მაინც მოგვეცით ბილეთი, თორემ ცუდი იქნება... მაგისთვის დიდი შტრაფი გვაქს დადებული... ხვალ უთუოდ იყოს ბილეთი.

— კარგი, კარგი, — ვუპასუხე კარის მიხურვით, გახარებულმა, რადგანაც მეტი ძალა რომ დაეტანა, სწორედ გითხრათ, იმ შუაღამისას აღარ მეცოდინებოდა, სად წავსულიყავ.

ძლივს დავრჩი მარტოკა და ძლივს მომეცა საშუალება ჩემს მდგომარეობას დავკვირვებოდი. ქმარს გამოვექეც, წამოვედ, მაგრამ რა მომელოდა? ცოტა საფიქრელი არ იყო.

ნათესავებთან ვერ დავბრუნდებოდი, სამშობლო არა მყვანდა, რადგანაც დედის ადგილი დედინაცვალს ეჭირა, მამა კარგა ხანი იყო, რაც მომიკვდა, და სხვებს კა რა გული შესტკიოდათ? ისინი ისე მიყურებდნენ, როგორც ერთს უბედნიერესს, როგორც მდიდარის კაცის ცოლს, რომელსაც ეს ცხოვრება უზრუნველ ედემად ეშლებოდა.

გარეშე პირებს?.. მართალია, ქვეყანაში კეთილი ხალხიც ბევრია, მაგრამ რა ვიცოდი, რომ პირველი შემხვედრი ზემოთ ნათქვამს უცნობზედ უარესი არ იქმნებოდა?

ძნელი იყო ჩემი მდგომარეობა, სახსარი არსადა სჩანდა, და ქმართან დაბრუნებას კი სიკვდილს ვირჩევდი.

ამ გამოუსვლელს აზრთა ხვეულებში დავფათურებდი, როგორც უსინათლო უდაბნოში, ვეძებდი გზას, საშველს და ყველგან კანონი, სამართალი და რაღაცა დებულება მეფეთებოდა, რომელიც კაცს მუშაობის საშუალებასაც კი უსპობს.

ასე გაიარა იმ ღამემ, რომ თვალი არ მომეხუჭა, და ისევ იმ ადგილს ვიჯექ, სადაც პირველად დაჯდომა შემემთხვა.

ისიყო მზემ წვერი ამოჰყო, როდესაც ჩემს კარებთან რაღაცა ხმაურობა, წყნარი ჩურჩული გაისმა და ცოტა ხანს შემდეგ ბიჭის ხმა გავიგონე:

— ჩაის არ მიირთმევთ?.. სამოვარი მზად არის.

— არ მინდა. — ვუპასუხე მე და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩურჩული გამეორდა და რაღაც წკრიალი შემომესმა და ამ ხმამ რაღაცა უსიამოვნოდ გამირბინა მთელს სხეულში. გავიგონე იმავ ბიჭის ხმა:

— მაშ კარები გააღეთ, ოთახი უნდა დავალაგო.

მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც განსაკუთრებითი შემთხვევა უნდა ყოფილიყო, თორემ ასე ადრე ოთახის დალაგება რა უნდა ყოფილიყო, და ვერც თითონ ბიჭი გაბედავდა ჩემს დაუძახებლივ შემოსვლას.

მეტი ღონე არ იყო, უნდა კარი გამეღო. მაგრამ მაშინვე უკან მოვაწყდი!.. ჩემ წინ იდგა რამდენიმე პოლიციელი და იმათ შორის — სოფიო!

— მადლობა ღმერთს, რომ გიპოვნეთ, შე გიჟო, დასაბმელო, შე-

ნა! — დაიძახა იმან შემოსვლის უმალ და მიუბრუნდა პოლიციელებს: — წამოიყვანეთ.

პრისტავი წამოდგა წინ და მკითხა:

— თქვენა ხართ მარიამ პეტრეს ასული, მეუღლე პორფირ — ....შვილისა?

— დიაღ, — ვუპასუხე მე.

— რას ელაპარაკებით? — შეუტია პოლიციელს სოფიომ: — გეუბნებით — გიჟია, და უნდა წამოიყვანოთ.

— ბატონო, ესენი სრულიად დალაგებით ლაპარაკობენ და...— დაიწყო პრისტავმა, მაგრამ სოფიომ არ გაათავებინა და დაიყვირა:

— გიჟია-მეთქი — გეუბნებით, გიჟი!.. თქვენ ლაპარაკის ნება არა გაქვთ, ბრძანება უნდა აღასრულოთ.

პრისტავმა შახედა სოფიოს, რომლის საქციელიც ამ კაცსაც კი საზიზღრად ეჩვენა, მაგრამ აღარა უპასუხა-რა და მე მომიბრუნდა:

— ნაბძანები მაქვს — დაგიჭიროთ...

მე არ მესმოდა, რასა ლაპარაკობდნენ, რისთვის მეძახდნენ გიჟს, რად მიჭერდნენ, როდესაც დანაშაული არა მქონდა-რა და დაბნეული შევყურებდი ხან ერთს და ხან მეორეს.

— რისთვის მიპირებთ დაჭერას, რა დამიშავებია?—ბოლოს ვკითხე მე.

— მაგას იქ გაარჩევენ. — მიპასუხა მბძანებელმა და დაუმატა: — წამობძანდით.

— სად წამოვიდე, რათა, რა გინდათ ჩემგან?.. მე არ წამოვალ.— დაფანტვით ვუპასუხებდი.

— არ შეიძლება, უნდა წაგიყვანოთ.

— რას ელაპარაკები? — შეუტია ისევ სოფიომ: — წამოიყვანე და რაღას უყურებ?

— როგორ წამიყვანს?..

— ძალით. — ბოროტად მიპასუხა მულმა.

— დიაღ, თუ არ დამყაბულდებით, იძულებული ვიქნები... აგრე მაქვს ნაბძანები.

— ნაბძანები? ვისგან? ჩემი ქმრისგან? განა იმას რა უფლება აქვს?...

— თქვენი ქმრისგან კი არა... — აღარ გაათავა პოლიციელმა და სიტყვა გადაასხვაფერა: — მოდიხართ, თუ არა?

— არასოდეს.

— მაშ ბოლოშს მოვიხდი, — მიბრუნდა კარისკენ და დაიძახა: — შემოდით!

რამდენიმე პოლიციელი, რომელნიც შემოცვივდნენ, მომეხვივნენ და ძალით წაყვანას მიპირებდნენ.

— რას სჩადით, როგორ მიბედავთ! — წარმოვსთქვი და გონება დაკარგული დავეცი...

ეს შეურაცხყოფა-ღა მაკლდა, რომ უკანასკნელი ძალაც მომსპობიყო...

## XIII

როდესაც გამოვფხიზლდი, ჩემი თავი საავათმყოფოში ვიხილე. დასუსტებული, უძლური ქვეშსაგებზედ ვიწექ და განძრევის თავი აღარა მქონდა.

ჩემს გარშემო ვიღაცა ავათმყოფები, გრძელის ხალათებით, ფერმიხდილნი, დადიოდნენ, საკვირველი ეს იყო, რომ ის ავათმყოფები უცნაურად იქცეოდნენ, ზოგი მათგანი უმიზეზოდ იცინოდა, ზოგი ტიროდა, იფშვნეტდა ხელებს, სცემდნენ ტაშს და, ვინ იცის, რას არ სჩადიოდნენ.

ზოგნი კიდევ დადიოდნენ წინ და უკან ღრმად ჩაფიქრებულნი და განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ რაღაზედაც ტუტუნებდნენ.

ერთი ყმაწვილი ქალი, რომელსაც თვალები ამღვრეოდა და მწარედ ჩაფიქრებული იყო, მომიახლოვდა და მომესალმა.

მერე შესდგა, შეშინებული თვალები მიაშტერა ერთს ადგილს, ცახცახმა მოუმატა და ხელი ერთს მხარეს გაიშვირა... ისეც ფერწასული, სრულიად უსიცოცხლოს დაემსგავსა და შიშით წარმოსთქვა:

— აგერ!.. აგერ... ლიზა!.. ჩემკენ მოდის... მოწამლვას მიპირობს... მეშინიან, მეშინიან... ა-ა!.. — დაიყვირა იმან ძალზედ და შემომიტია, მომწვდა და დამიწყო ნძრევა.

— შენა ხარ ლიზა, შენა?!. შენ დამღუპე, შენ მიპირებ მოწამლვას?!

მე საშინლად შემეშინდა და ყვირილი დავიწყე.

შემოცვივდნენ მცველები, სწვდნენ საცოდავს, გადააცვეს რაღაც გრძელ სახლებიანი პერანგი, რომლითაც შეჰკრეს. ავათმყოფი არა დგებოდა, იბრძოდა და ყვიროდა. მაგრამ მცველებმა ერთბაშად შეასხეს წყალი და სურათი გამოიცვალა: გაჭირვეულებული უცებ შეჰკრთა, დაიწყო ხვეწნა და წარმოუთქმელმა შიშმა სახე დაუმახინჯა, მაგრამ იმის ხვეწნას ყურს არავინ უგდებდა და გაუთლელი, უგულო მოსამსახურეები დაუდევრად მიათრევდნენ, თითქოს მათ ხელში ავათმყოფი კი არა, რამე უგულო და უსულო საგანი ყოფილიყო.

ქალს ხმა ჩაუწყდა, რადგანაც ტირილმა, წყვეტებამ და შიშმა

სრულიად ღონე გამოაცალა, და პერანგის მაგრად მოჭერილს სახლებს მეტად შეეკუმშა გულის ფიცარი, სულს აკმენდინებდა და სუნთქვას უშლიდა. ეხლა ხვეწნის მაგივრად მარტო კვნესა მწარედ ტანჯულისა მოისმოდა-ღა.

მეტად შემბრალდა უბედური, მეტად შესაწყალებელი იყო, რომ მის წამების მნახველი გაჩუმებულს მაყურებლად დავრჩენილიყავ.

მე წამოვარდი, მივედ მოსამსახურესთან და ხვეწნა დავუწყე, რომ პერანგის სახლები შეშლილისთვის, ცოტაც არის, მოეშვათ, შეემსუბუქებინათ მისი მდგომარეობა.

— რაო? — მკაცრად შემომიტია ერთმა მცველმა, დამიბრიალა თვალები და მიუბრუნდა ამხანაგს:—კუზმა, პერანგი მოიტანე ერთი, ამასაც გადავაცვათ.

ამგვარს საქციელს პირველად ვხედავდი, თუმცა მთელს სიცოცხლეში კაცობრიულად არავინ მომქცევია. აქ ისე მეპყრობოდნენ, როგორც პყრობილს, რომლის საკუთარი სურვილი, წადილი მოსპობილი უნდა ყოფილიყო და ყოველი კაცობრიული გრძნობა დახშული.

მე ჯერ კიდევ ზარდაცემულსავით ვიდეგ და გონებაზედ ვერ მოვსულიყავ, როდესაც მცველმა ხელახლად შემომიტია:

— წადი, წადი შენს ადგილზედ, თუ შენც ისევე არ გინდა...

მე დავინახე, რომ ამ უგულოს, უზრდელს და მეტადრე თავის დანიშნულებისთვის მოუმზადებელს ხალხზედ არავითარს გონივრულს და სამართლიანს სიტყვას გავლენა არ ექნებოდა და გაჩუმების მეტი არა მრჩებოდა-რა.

მე გადავწყვიტე, რომ, რაწამს ექიმი მოვა, შევატყობინებ ჩემს მდგომარეობას, გავაგებინებ ჩემს ყოფას და ჩემს განთავისუფლებას დავაყაბულებ.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც ექიმების მთელი კომისია შემოვიდა და მათ შორის ერთი გაბღინძული კაცი, მბრძანებელის კილოთი მოლაპარაკე, მოვიდა ჩემთან, მიუბრუნდა მეორე ექიმს და ხელით ჩემზედ აჩვენა:

— საინტერესო სუბიექტია!.. კაცი შეშლას ძნელად შეამჩნევს, მაგრამ ხანდისხან კი იმ სიბრაზემდის მიდის თურმე, რომ აღარავის ინდობს.

მე მივხვდი, რომ ესეც გიჟადა მთვლიდა.

— ბატონო მკურნალო, მე გიჟი არა ვარ, დამიჯერეთ... ქმარი არ მიყვარს, გამოვექეც და... — დავიწყე პირდაპირ, მაგრამ უფროსმა ექიმმა გამაწყვეტინა:

— კარგი, კარგი, ჩემო კარგო, დამშვიდდი... — ისე დაიწყო იმან, თითქოს ბავშვს ელაპარაკებოდა და მხოლოდ იმისთვის მთანხმდებოდა რომ არ გავჭირვეულებულიყავ.

— გეუბნებით, რომ გიჟი არა ვარ... სრულიად კარგადა ვარ!..

— მე არ ვამბობ, რომ გიჟი ხარ... დამშვიდდი, ჩემო კარგო!.. მოისვენე...

— არ მინდა დამშვიდება, არ მინდა მოსვენება!.. — გამაჭირვეულა ექიმის სიტყვებმა: — თქვენ ამბობთ, რომ გიჟი არა ვარ, და საგიჟეში კი მამწყვდევთ?... რა უფლებით, რომელის ძალით?

— სად არის გიჟები, რას ამბობ?.. — დამშვიდებითვე მკითხა ექიმმა, თითქოს იქამდის შევშლილიყავ, რომ ასე აშკარა მდგომარეობასაც ვეღარ ვამჩნევდი!

— განა აქ არ მოგწონს?.. დაიცადე ცოტა, მოისვენე და გაგიშვებთ.

— მე ეხლავე მინდა გასვლა, ეხლავ წავალ! — დავუყვირე მე და ეს სიტყვები ექიმმა, უეჭველია, სიგიჟის სიბრაზედ ჩასთვალა, რადგანაც გაუბრუნდა გვერდზედ მდგომს ექიმს და ჩუმად უთხრა:

— საწყალი! რა ყმაწვილია, რა ლამაზი და ასეთი უბედურება!.. ძალიან ახირებული ავადმყოფია... ღირსშესანიშნი სუბიექტია.

— მართალი გახლავსთ,—უპასუხა მეორე ექიმმა და დაუმატა:— მაგრამ მე ისე მგონია, რომ ნაზად აღზრდილის ქალისთვის მეტად ძნელი იქნება ამ საერთო სახლში.

— მაგას მართალს ამბობთ.

— მაშ, თუ მიბრძანებთ, ცალკე ოთახში გადავიყვანთ.

— თქვენ იცით. — უპასუხა უფროსმა ექიმმა და გაიარა.

ყმაწვილი ექიმი მომიახლოვდა და მითხრა:

— გინდათ ცალკე ოთახში გადაგიყვანოთ?

— მე ის მინდა, რომ გამიშვათ.

— ეგ არ შეიძლება, თქვენ ავადა ხართ.

— არა ვარ ავად, მე სრულიად არა მსურს აქ დარჩენა!

— ეგ არ იქნება, არ შეიძლება.

— მაშ გიჟადა მთვლით?!

— არა, ბატონო, გიჟად კი არა, ავადა ხართ... გადადით ცალკე ოთახში... ავადმყოფებს მოვუვლი და მეც თქვენთან მოვალ... თანახმა ხართ?

მეტი რა მრჩებოდა, რომ არ დავთანხმებოდი? მომცეს ეს ოთახი, რომელშიაც ეხლა მხედავ, და შენს მოსვლამდის რაც გამოვიარე, იმას თუ მიხვდები, თორემ მე მეასედიც ვერ გიამბე".

მარის ლაპარაკის გათავებაზედ ჩვენ შევამჩნიეთ, რომ მზეს წვე-

რი ამოეყო, და დრო მოახლოვებულიყო, როდესაც საქმისთვის უნდა წავსულიყავი.

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ პირდაპირ გუბერნატორისათვის უნდა შეგვეტყობინა ეს უწესო და უმსგავსო საქციელი და ვიმედოვნებდით — საქმე რიგიანად, ჩვენდა სასიამოვნოდ, გათავდებოდა.

ერთბამად კარებში რაკუნის ხმა გავიგონეთ და ორნივ ინსტიქტიურად შევკრთით: მე რაღაცამ უსიამოვნოდ მიჩხვლიტა გულში და, უეჭველია, მარისაც ესევე არ ასცდა, რადგანაც სიტყვა ნახევარზედ შესწყვიტა და მთლად გაფითრდა.

რაკუნი მოისმა მეორედ, და იძულებული ვიყავ კარები გამეღო.

წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც კარებში პოლიციელი გამოჩნდა და მკითხა:

— თქვენ ბრძანდებით ლევან — ძე?

— დიაღ.

— მაშ წამომყევით.

— სადა?

— წამომყევით-მეთქი! — ბრძანებით მითხრა იმან.

— კარგი, მაგრამ სად მიგყევართ?

— მაგას იქ შეიტყობთ.

— სად იქ.

— ახ! — უსიამოვნოდ და მოუთმენლად წარმოსთქვა იმან, გადიქნია თავი და დაუმატა: — თქვენთან სალაპარაკოდ არცა მცალიან და არც ნება მაქვს.

ვხედავდი, რომ ლაპარაკი ამაო ხდებოდა, უნდა დავმორჩილებულიყავ.

მივედ მარისთან, რომელიც მკვდარსავით იჯდა ლოგინზედ და დაფანტვით შემომყურებდა, გამოვართვი ხელი და გამოვესალმე.

— ნახვამდის მარი! იმედი მაქვს დღესვე მოვალ და გამოგიყვან აქედგან.

მარი შეკრთა, წამოვარდა და ისტერიკულის ტირილით გადამეხვია.

— დაიცა, სად მიხვალ!?. მეც წამოვალ!..

— არა, მარი, ნუ გეშინიან!.. ეხლა ის დრო ხომ აღარ არის, კაცი უმიზეზოდ და უკვალოდ დაიკარგოს. დღესვე ვნახავ, ვინც საჭიროა, და ყველაფერი გათავდება.

— მე კი ისე მგონია, რომ ჩვენი ნახვა უკანასკნელია! — იმედგადაწყვეტით წარმოსთქვა იმან და ისევ მომეხვია.

მე აღარ ვიცოდი, რა მექნა და რა მეთქვა. იქავ დავინახე ჩემი მეგობარი ექიმი, რომელსაც ხელი მოვკიდე.

— მარი, აი ვიქტორი აქ არის... შენ ნუ გეშინიან, თუ გინდოდეს რამე, ამას უთხარ.

— გაძლევთ სიტყვას, რომ ყოველი საშუალება ვიხმარო თქვენს საშველად. — წარმოსთქვა ვიქტორმა.

— ოჰ, ექიმო!.. გიჟი არა ვარ, ტყუილად მამწყდევენ, ტყუილად არ მიშვებენ აქედგან!.. უთხარით, დაამტკიცეთ ჩემი სიტყვები, ღვთის გულისთვის.

— შეშლილი არა ხართ, მაგას ვამბობ აქა, ვიტყვი ყველგან და გაძლევთ სიტყვას, რომ მაგისთვის მთელი ქვეყნის შეძვრა-გადმობრუნება რომ მომინდეს, კიდეც დავამტკიცებ.

— მობრძანდით, მეტად მაგვიანებთ. — ჩაურთო სიტყვა პოლიციელმა.

— გევედრებით! — მიუბრუნდა იმას მარი: — ერთი საათი, ერთი წუთი კიდევ დამაცადეთ, ნუ წაიყვანთ ლევანს... დამაცადე, ულმერთოვ, დავსტკბე მაგის ხილვით!.. რა დაგიშავეთ, რად მართმევთ, რად მაწამებთ.?!.

— წამობრძანდი. — ისე დამშვიდებით გამიმეორა პოლიციელმა, თითქოს მის წინ არა ხდებოდა-რა. მარი მომეხვია ყელზედ, ჩამეკონა გულში. მე ველარ გავნძრეულიყავ, რომ ეს ბედნიერება არ წამრთმეოდა და ისე ვიდექ. მაგრამ ვიგრძენ, რომ ვსუსტდებოდი, გული მიჩვილდებოდა.

საკვირველია, თუმცა ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ ჩქარა უნდა დავბრუნებულიყავ, ჩქარა უნდა შევყროდი მარის, მაგრამ მეც გული მეუბნებოდა, რომ ეს უკანასკნელი ხილვა იყო მარისა. საჰიროდ დავინახე — გავშორებოდი მარის, თორემ, წუთს შემდეგ რას ვიქმოდი, ახსნა ძნელად-ღა შემეძლო.

უკანასკნელად ძალზედ მოვხვიე ქალს ხელები, ძალზედ მივიკარ გულთან და ხანგრძლივის კოცნის შემდეგ ერთბაშად გავეშვებინე.

— წავიდეთ, — მივუბრუნდი პოლიციელს და გავსწიე კარებისკენ, სადაც ერთი კიდევ შევსდეგ, მოვიხედე მარისკენ და საჩქაროდ გაველ.

## XIV და XV

. . . . . . . . . . . . . . .

* ამ ორს თავს ვსტოვებთ. რადგანაც მათი დაბეჭდვა ამ ჟამად მოუხერხებლად მიგვაჩნია. (ავტორის შენიშვნა)

## XVI

სრულმა ათმა წელიწადმა განვლო, რაც ვებრძოდი ჩემს გრძნობას, სრული ათი წელიწადი გული მიდუღდა მათის გადახდის სურვილით, რომელთაც არც ჩემი ყმაწვილკაცობა შეიბრალეს, არც სამართლიანი მოთხოვნა მიიღეს მხედველობაში!.. გადალახეს ყოველისფერი, ფეხქვეშ გასრისეს, მხოლოდ იმისთვის, რომ არ ვიყავ ძლიერი და გამოცდილი, ცხოვრების გარყვნილებას არ შევჩვეოდი. ყოველის ღონისძიებით ეცადნენ — შემზიზღებოდა კაცობრიობაც და მისი დებულებაც, და შემძულდა კიდეც.

წამართვეს ყოველისფერი, მოვუძლურდი, დავეცი ჯანით, ხორცით და, როდესაც მოსვენება მეჭირვებოდა, კუნჭულიც ველარ მეპოვნა, რომ თავი შემეფარებინა, მომეგონებინა წარსული და მასზედ წყნარად ამომეკვნესა... ჩემი სახელის და გვარის წარმოთქმისაც კი მეშინოდა, რადგანაც ყველას გაკიცხვის ღირსად მიაჩნდა, ყველა ერიდებოდა მას, როგორც სახელს ბოროტის, უწმინდურის, მავნე სულისას!...

ეხლა დავდივარ სოფლიდგან სოფელს, სადაც ხალხს ჯერ იმ დამცირებამდისინ არ მიუღწევია, სადამდინაც ქალაქებში მცხოვრებნი მისულან, და იქა ვექიმობ, იქ ვუწერ საჩივრის ქაღალდებს დაჩაგრულებს, დავრდომილებს... ქვეყანა ჯერ კიდევ სრულიად არ დაცემულა, მათში კიდევ მოიპოვება გულკეთილი ხალხი და მათთვის ზრუნვა კი ღირს ზრუნვად, ისინი მანუგეშებენ, დანაღვლილს გულს შვებას აძლევენ...

ერთს საღამოს მივაღწიე ერთს სოფელს, რომელსაც უწინ ისე კარგად ვიცნობდი, მაგრამ ეხლა ყველაფერი გამოცვლილი იყო, ყველას ეცვალი თავისი ფერი, თითქოს ყოველივე გახუნებულიყო.

მთებს, მინდვრებს, ტყეებს დაეკარგათ თავისი შნო, თავისი ლაზათი, თავისი მიმზიდველობა... ნიავიც კი ველარ აგრილებდა შუბლს და გამაცოცხლებელს ნექტარს ველარა სძრავდა სხეულში. თვით წყალიც კი ველარ მოხშუოდა თავისებურად და ნაზის „ნანინას“ მაგივრად მწარედ და ყრუდ გლოვის ხმას გამოსცემდა... რა იყო, რა მომდიოდა, ნუთუ ყველაფერი გამოცვლილიყო?..

თუმცა ხეობა არ ემსგავსებოდა ვიწრო სამარეს, ოთხკუთხივ ამოჭედილს შავის მიწით და მის მაგიერ ფართო და განიერი ადგილი გადაშლილიყო, ზედ ცხოველები დადიოდნენ, ცხოვრებდნენ, მაგრამ ყველა დაღონებული, შეწუხებული, ჩათუთქვილი მეჩვენებოდა. მათ შორის ცოცხალ-მკვდარი მეც ვიყავ, რომელსაც მარტოობა, მთელი სიცოცხლე ერთგვარი, შეუცვლელი მარტოობა ხვედრად

მრჩენოდა... ხვალინდელ დღეს ისევ ის, რაც დღეს იყო, მეორე წელიწადს ისევ, რაც პირველს და ყოველთვის ასე, სულ ასე!..

სოფელში არავინა სჩანდა, თითქოს ყველა სახლებში მიკუნჭულიყო, დალალულიყო და სანთელიც კი ვერ აენთოთ, რომ მის შუქზედ რომელსამე უბედურებას არ მიეგნო!..

დაბნელებული სოფელი უფრო ჩამოებნელებინა ღრუბლიანს ცას, რომელსაც ჰმუნვის მარაგი შავად გადაჰკროდა, თითქოს ზეცასაც მოსწყენოდა ამდენი უსამართლობის ცქერა და ბნელის ზეწარი გადაეფარებინა, რომ, წუთს მაინც არის, თვალი მოეშორებინა დედამიწისთვის...

მე მივედ წყლის პირად და ჩამოვჯექ იმ კიბეზედ, სადაც ჩემს სიყმაწვილეში ყოფნა ისე მიყვარდა ხოლმე, სადაც იმდენი სანატრელი და სიცოცხლით სავსე წუთები გამეტარებინა. წყალი იმ ადგილს მედგრად დაქანებული, მერე ერთბაშად კლდეს შეწყვეტილი, აქაფებული, გრგვინვით უკუიღვრებოდა. აქვე ასწრობდა ახლად მოსული ტალღა, რომელიც წინას ეძგერებოდა, შეებრძოლებოდა და დიდ მორევად ტრიალებდა. ეს ადგილი მიყვარდა და... ჩემს ყმაწვილობაში დავცქეროდი, ვუყურებდი ხოლმე მთელის საათობით და რალაც შიშის გრძნობით თვალი ვერ მომეშორებინა ტრიალ-ტრიალით მიმდინარის წყლისთვის, რომელიც ადგილ-ადგილ ჩაღრმავებულს ჯურღმულს ემსგავსებოდა და თითქოს პირდაღრენილი მთელს ქვეყანას შთანთქმას ექადდა.

დავფიქრდი და დავღუმდი. წარსული ბავშობიდგანვე მოგონება თვალ-წინ გამიცხოვლდნენ, სხვადასხვა სურათები შესცვლიდნენ ერთი მეორეს, ის სურათები, როდესაც გული თითქოს ხან თამაშობს, ლაღობს, ჰაერსავით სუბუქი აქეთ და იქით დაჰქრის, დანავარდობს, ხან, დამძიმებული, დასუსტებული, წყნარად ირყევა და მწარე კვნესას ეძლევა.

ამ ფიქრებში ვიყავ, როდესაც ვიგრძენ, რომ მხარზედ ხელი ვიღამაც დამადო. მე შევკრთი, მივიხედე და ფეხზედ წამოვიჭერ: ჩემს უკან ვიღაცა დედაკაცი იდგა, მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა სახე ჰქონდა!... ფერმიხდილს სახე შეშინებულს უგვანდა, თვალები მოუსვენრად და უსაგნოდ აქეთ-იქით იყურებოდა, გაშლილი თმები ჩამოსცვივნოდა პირისახეზედ და ქარი თავისუფლად უწეწავდა. თეთრი განიერი კაბა მთლად გაჰკროდა გამხდარს და გაკნაჭულს ტანს, რომლისთვისაც დარდსა და ვარამს ძვლებისა და ტყავის მეტი აღარა შერჩენა-რა.

— მაშ არ მომატყუე, მოხველ?—წარმოსთქვა იმან წყნარად და იდუმალებით; მერე დაიდო ტუჩზედ ხელი და განაგრძო:—მაგრამ

სუ.... არავინ გაგვიგონოს, არავინ შეგვიტყოს... ყოველ ქვას იქით დარაჯები სხედან, ჩვენ გვითვალთვალებენ.

ამ სიტყვებზედ ის შეკრთა და შეშინებულის თვალებით აქეთ-იქით ყურება დაიწყო. ამ ხმამ პირველში, როგორღაც ტკბილად მიალერსა, წარსული, დავიწყებული სიტკბოება მომაგონა, დაფერფლილს გულში თითქოს ნაპერწკალი გააღვივა.

აღელვებული გავქანდი იმისკენ, მივარდი და მთრთოლარე მკლავები მინდოდა მომეხვია, მაგრამ მისვლის უმალ ქალმა ხელები მომაგება და შემაყენა. მერე შემომხედა და ზიზღით წარმოსთქვა:

— არა, ეს ის არა ყოფილა!.. ის ყმაწვილი იყო, ლამაზი და... ეს კი ბებერია, მახინჯი.

ამ სიტყვებმა გონს მომიყვანეს, ვიგრძენ, რა უბედურიც ვიყავ და გულში მწვავად რაღამაც გამგმირა, პირში სიტყვა გამიწყვიტა, ქალი გაბრუნდა და მე გაქვავებული შევცქეროდი, ხმა ველარ ამომეღო, თუმცა ბაგენი მითრთოდნენ და სიტყვის წარმოთქმა მინდოდა, მენატრებოდა. კარგა ხანს შემდეგ ძლივს მოვახერხე დამეძახნა:

— უბედურო... შესდექ, მომიცადე!..

ქალი შესდგა, ყური დამიგდო, მობრუნდა ჩემსკენ და წყნარად მომიახლოვდა.

— ეს ხმა?!.—წარმოსთქვა იმან იდუმალებით:—ეს იმის ხმა იყო, ის არის... მაგრამ ვინ ისა?.. ღმერთო, ყველაფერი დამავიწყდა, აღარა მახსოვს-რა... ჰო, დიაღ, ის არის, ისა,—სიხარულით წამოიძახა ჩემკენ ხელებგამოშვერილმა, მაგრამ მაშინვე ისევ შესდგა და მწარე განუსაზღვრელმა სევდამ სახე დაუპრანჭა, და წარმოუთქმელის ნაღველით დაუმატა:—არა, არა, ის არ არის!.. როგორ არა, რომ ის არის... ის არის, მაგრამ სახე როგორ შეუცვლია?.. რად შეიცვალე, რატომ არ გინდა ნამდვილის სახით მეჩვენო, ჰა?—ჩამჩურჩულებდა ცახცახით,—რა დაგიშავე, რა?.. მწარის მწუხარებით და მდუღარე ცრემლებით გაათავა.

ამ სიტყვებზედ მთელი ჯოჯოხეთი აინთო ჩემს გულში. წარსული აღგზნებულს საკირესავით მომეღო, სწვავდა გულს, ტვინს, მთელს არსებას. ამ წუთებში თითქოს დარჩენილი ძალა მთლად ერთად მოგროვებულიყო, რომ ერთბაშად ჩავებუგე.

— მარი...—წამოვიძახე უბედურმა და სიტყვა შემწყდა.

— მარი?!—შეჰკრთა ის:—ვინ დამიძახა?.. შენ იყავ? ვისი ხმა იყო? ვისი ხმა გავიგონე?

— ჩემო მარი, ჩემო!—ვცადე კიდევ ლაპარაკი, მაგრამ ცრემლები მაღრჩობდა, სული მიგუბდებოდა.

— მარი?.. ვინ მეძახის? მარი მოკვდა, მარი აღარ არის...—წყნა-

რად წარმოსთქვა ქალმა, მომიახლოვდა და იდუმალებით მითხრა:— მარი ყმაწვილი იყო—სიყმაწვილე წაართვეს, მარი ლმაზი იყო—სილამაზე მოჰპარეს, მარის ლევანი ჰყვანდა—და ლევანი მოსტაცეს... მარი ცოცხალი იყო—და სიცოცხლე მოუსპეს!.. აღარ არის მარი, საწყალი მარი!..—აქ საბრალო ქალმა ბეჩავად აიწია მხრები და დაღონებული გაჩუმდა.

— ლევან... ლევან რაღა იქნა... მარის იმანაც დაანება თავი... გაექცა... სად არის ლევან?.. სადა? იქნება შენ იცი?.. ო-ო, მითხრ, რად მიმალავ? რა დაგიშავე?!. მაგრამ რასა გკითხავთ?.. თქვენც ხომ კაცი ხართ და კაცებს კი გულის მაგიერ ქვა უძევსთ, ყველას ქვის გული აქვს.—მარი ჩაფიქრდა ცოტა ხანს და მერე წყნარად წარმოსთქვა—ჰო, ლევან ხომ წყალში დაიხრჩო, ამ კლდიდგან გადავარდა! დაიღრჩო ლევან.— სთქვა და გაჩუმდა, დაიდო შუბლზედ ხელი, თითქოს რაღაცას იგონებდა.

ვეღარა მომეხერხებინა რა, გამშრალს სიტყვა ვეღარ წარმომეთქვა. მარტო ერთს გრძნობას შევეპყარ, ერთი გრძნობა-ღა მიკუწავდა გულსა და ღვიძლსა: ეს გრძნობა ის იყო, რომ სრული უბედური ვიყავ.

ერთბაშად მარი შეკრთა და ცახცახი დაიწყო. თვალები რაღაცა ბოროტის ცეცხლით აენთო.

— ლევან!—დაიძახა იმან წარმოუთქმელის მწუხარებით:—ლევან!—განიმეორა იმან.—ლევან, ლევან!—აიმაღლა ხმა და გაჰქანდა წყლისკენ: — აგერ ლევან, აგერ!.. სად მიხვალ, სად მირბიხარ, დამიცადე... — ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც მიახლოვდა კლდის ნაპირს და ერთბაშად შესდგა.

— მეშინიან! მეშინიან! — უცებ დაიწივლა იმან და ცახცახი დაიწყო.

— მარი, მარი!— ძლივს მოვახერხე მისკენ გაქანება, მაგრამ მაშინვე უნდა შევმდგარიყავ, რადგანაც საცოდავი კლდის ნაპირიდგან ისე გადაიზნიქა, რომ იმის სიცოცხლე ბეწვით-ღა ეკიდა.

— ნუ მოდიხარ, ნუ მოდიხარ?!.—წიოდა ის.—მეშინიან, წყალი მღელვარებს, წყალისა მეშინიან!... არ მომეკარო!—დაიწივლა ქალმა და ისე გადაიზნიქა კლდეზედ, რომ მცირედი მოძრაობაც—და ვეღარა დაიხსნიდა-რა.

მე გავქავდი იმავ ადგილს და აშკარათა ვგრძნობდი, რომ სისხლი მიყინულდებოდა. მტანჯავის გულით ვუყურებდი მარის ყოველ მოძრაობას, ერთის ფეხის წადგმაც და მისი დაღუპვა აუცილებელი იყო. ყოველი სუბუქი ნიავი კაბას უფრიალებდა იმას და მე კი

გულს ნაღველით მივსებდა, რადგანაც მასთან ერთად მარის სიკვდილსა ვხედავდი.

ვხვეწებოდი, ვემუდარებოდი, რომ მობრუნებულიყო, ვტიროდი, ვკვნესოდი, გულ-ღვიძლში თითქოს ლახვარს მიტრიალებდნენ, მაგრამ შვება არ მეძლეოდა—მარი არა ბრუნდებოდა.

ის ჩაჰყურებდა კუპრსავით შავს მორევს და რაღაცას, თითქოს სატრფიალო სიტყვებს, ჩასჩურჩულებდა. მხოლოდ მაშინ შეინძრეოდა, თუ მის ყურს ხმაურობა რამ მისწვდებოდა და სცოდავად ყვიროდა: „მეშინიან, არ მომეკარო!" რამდენიმე წუთმა გაიარა ამ ჯოჯოხეთურს მდგომარეობაში, როდესაც ორი ვიღაცა კაცი მომიახლოვდნენ და, რა მარი იმისანთა განსაცდელში დაინახეს, საშველად გაექანენ.

მარიმ მოიხედა, დაინახა ისინი და გაიმეორა:

— მეშინიან, არ მომეკაროთ, არ მომეკ...—აქ ქარმა მეტის ძალით წამოჰქროლა, ქალს ფეხი დაუცდა კიდეც და გადავარდა...

წუთს შემდეგ მოუსვენარმა მდინარემ ჩაიხვია...

ცოტა ხანი და მარი ერთი კიდევ ამოაგდო, თითქოს ჩემთვის უნდა დაენახვებინა და მეტად ეგრძნობინებინა ის ჯოჯოხეთი, რომელიც მაშინ გამოვიარე, და საუკუნოდ ჩასძირა, ჩასძირა რომ თავის დღეში აღარ გამოჩენილა.

ჩემის ცოდვით სავსე კაცებმა რატომ არ გამიშვეს, რომ მარისთან ერთად ჩემი გულიც დამცხრალიყო, მეც მასთან ერთად საუკუნოდ ჩაულამულიყავ.

დავრჩი მარტოდ და უპატრონოდ, დავრჩი იმისთვის, რომ ყოველ დღე სიცოცხლე წვეთ-წვეთად მომწამლოდა, მეგრძნო, როგორ მიახლოვდებოდა სანტრელი სიკვდილი და მასთან ხანი რა მწვავად გრძელდებოდა!.. დავრჩი მისთვის, რომ, როგორც ცოცხალმკვდარს გვამს, მეხობა, მეხსნა როგორც მიწისგან დაწყევლილს, რომელიც ჩასამარხად პირსაც კი აღარ მიღებდა.

დავრჩი მაგრამ რისთვის?.. სიკვდილი არ მერჩივნა?..

ასე გაათავა, მკითხველო, თავის მოთხრობა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მოხუცმა, რომელსაც ერთს სოფელში შევხვდი, ავათმყოფს და ფრიად დასუსტებულს.

მისმა საუბარმა მწარედ ჩამაფიქრა, სანუგეშო სიტყვაც კი ვეღარ მომხერხებინა.

ის მეტად უბედური იყო, მეტად ჰგრძნობდა თავის მწუხარებას, რომ უბრალო სიტყვებს, თუნდა თანაგრძნობითაც ნათქვამს, მისთვის მნიშვნელობა-და რამ ჰქონოდა.

მე განვშორდი მას. კარგა ხანმა გაიარა მას შემდეგ, მაგრამ უძ-

ლური მოხუცი ეხლაც რომ მაგონდება, გულს შემტაცებს ხოლმე და ჩემს ყურებში მწარედ გაისმის იმისი უკანასკნელი სიტყვები:

— „გადავრჩი, მაგრამ რისთვის?.. სიკვდილი არ მერჩივნა?..“ იქნება მართლადაც ერჩივნა უბედურს...

მკითხველებს შეიძლება, სურდეთ—გაიგონ: პორფირს და სოფიოს რა მოუვიდათ?

ორმოცდახუთის წლის სოფიომ გათხოვებით გული დაიმშვიდა და პორფირუშკა კი ვიღაც გამოცდილს ქვრივს ჩაუვარდა ხელში, რომელიც საკმაოდ მეცადინეობდა მისი სიმდიდრე მარდათ გაეფლანგა.

[1884]

# ხევისბერი გოჩა

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც სოფელს ყანობს რამდენიმე შეიარაღებული ცხენოსანი და ორიოდე მარხილი მიუახლოვდა.

მხედრები სულ ყმაწვილები, ნარჩევი და ერთიერთმანერთზედ ლაზათიანები იყვნენ. ისინი მიდიოდნენ მხიარულად, სიმღერით და თოფის სროლით. აშკარად ეტყობოდათ, რომ ესენი სამტროდ არ მიემგზავრებოდნენ, რადგანაც არც სიფრთხილე ეტყობოდათ და არც ისე ბევრნი იყვნენ, რომ ასე გულადად და პირდაპირ შესულიყვნენ ხევის სოფელში, რომელიც თავისთავად მთელს, ძნელად ასაღებს სიმაგრეს წარმოადგენს.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, იმათ გამოეგებნენ იქაური ყმაწვილი ბიჭები და ორივე ცხენოსანთ გუნდი ერთმანერთისკენ ყიჟინით და თოფის სროლით გაექანნენ. ცხენები მიდიოდნენ თავბრუსდამხვევის სიჩქარით. მისი პატრონები ელვასავით ატრიალებდნენ თოფებს, ხან გადიზნიქებოდნენ, მიწას დასცემდნენ ხელს და ხან ისევ ისარსავით სწორედ გამართულნი, ნაზის გულშემტაცებელის რხევით ერთმანერთისკენ მიესწრაფებოდნენ.

აგერ მიუახლოვდნენ ერთმანერთს, ცხენების თავები თითქმის ერთმანერთს სწვდებიან, საცაა შეეჯახებიან. მაგრამ სწრაფად, თითქოს მანქანებით, ერთბაშად შეჩერებულნი, ქვისგან გამოჭრილს სურათებს დაემსგავსნენ და ჰაერში გაისმა მხიარული მისალმება:

— გზა მშვიდობისათ!

— მშვიდობითაც გვილიათ!

ამის შემდეგ მოკითხვა, სალამი ქალამი და ყველანი ერთმანერთში არეულნი, გაემართნენ გაცალკევებულის სახლისკენ, სადაც სარკ-

მლებიდგან გაჩაღებული ცეცხლის შუქი და მხიარული ტაშ-ფანდურას ხმა გამოდიოდა.

კარებთან გაცვივდა კიდევ თოფები და დამბაჩები, და ამ გრიალს შეუერთდა იქავ მოგროვილის ბავშვების ყიჟინის ხმა, და ცხენოსნები ჩამოხტნენ.

პატარები მისცვივდნენ ცხენებს, ჩამოართვეს და დაუწყეს წინ და უკან ტარება, რადგანაც გაოფლიანებულს ცხენებს ორთქლი კორიანტელსავით ასდიოდათ და სიარულში შეშრობა ეჭირვებოდათ, რომ ცივს ნიავს არ დაეკრა და არ დაეხუთა.

სტუმრები მოგროვდნენ კარებთან; შუაში ჩაიყენეს ერთი წამოსადეგი, ახალ წვერ-ულვაშ აშლილი ყმაწვილი ბიჭი, რომელსაც ნაბადი ჰქონდა წამოსხმული და გვერდს მოუყენეს მეორე ყმაწვილი ბიჭი, უფრო მდიდრულად ჩაცმული და მთლად ოქრო-ვერცხლით შეჭედილი.

ყველანი გაჩუმდნენ და ჩამოვარდა ისეთი სიმშვიდე, რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით.

ცოტა ხანიც და გაისმა წვრილი წკრიალა ხმა „ჯვარულისა“. მას მისცეს ბანი და ჰაერი დაიფარა მედიდურის, ძრიელის და ამ ერთადერთის სავაჟკაცო სიმღერის ხმით, რომელიც თავის ჰარმონიით კაცს გაიტაცებს და სმენას დაუტკბობს, ძლიერებით ძვალსა და რბილს აურთოლებს, სისხლს აუჩუხჩუხებს და სახელის გამოჩენას მოაწყურვებს. ამ სიმღერას მხოლოდ მთაში მღერიან, მხოლოდ იქაურს მედიდურს ბუნებას შეეძლო ამისთანა ჰარმონიული ხმის დაბადება!..

ამ სიმღერას მღერიან ხოლმე მხოლოდ ომში, ხატებისა და დროშების გამოსვენების დროს და ქორწილში. ეხლა ქორწილი გახლდათ. ნაბდიანი კაცი, გუგუა ფიჩიტაური, იყო სასიძო და მის გვერდით მყოფი ყმაწვილი, მდიდრულად ჩაცმული—ონისე, შვილი განთქმულის „ხევის ბერისა“ გოჩასი, რომელიც გუგუას ხელისმომკიდედ, მეჯვარედ მოჰყოლოდა.

## II

სტუმრები შევიდნენ ხალხით გამოჭედილ სახლში, სადაც უფროსი კაცები მოეგებნენ, დაულოცეს სასიძოს გზა, შემოატარეს კერა და „ხელის მომკიდესთან“ და სახლის უფროსთან ერთად კერის პირას თავში დასხეს. აშლილი ხალხიც ისევ დალაგდა, გაიმართა ისევ ლხინი და თასების გაგზავნ-გამოგზავნა ჩვეულებრივის „სმურებით.“

აქ იყვნენ მარტოკა კაცები, ქალები არსად სჩანდნენ. მათი ხმა მოისმოდა სახლის უკანა კუთხიდგან, სადაც სენა იყო გამართული. იქ გაემართათ ტაშ-ფანდურა და იქვე მიეზიდათ ყმაწვილი ბიჭები, რო-

მელნიც გატაცებით შესცქეროდნენ ლაზათით სავსე მოლეკურე ქალებს.

ყველანი მხიარულად თამაშობდნენ, მაცდურად გაუხტ-გამოუხტებოდნენ ყმაწვილ ბიჭებს, რომელსამე „შავ ბიჭს“ ეშმაკურად ჩაუკრენტდნენ თვალსა და ესეც, აღგზნებული, რაღაცა ძალით წახალისებული გაეკიდებოდა ხან წყნარად დამშვიდებულს წყალსავით მიმდინარს და ხან მთის მდინარესავით გაცოფებულს და გაშმაგებულს ქალსა.

აგერ მირბის, დამკრთალს არჩვსავით, მოხევის რომელიმე შავთვალა ქალი, იმისი სახე სრულს შიშს გამოსთქვამს, რადგანაც არწივსავით მკლავებგაშლილი კაცი მისდევს თავის მსხვერპლს. ნაზი ქმნილება თანდათან დუნდება, კაცი ეწევა, აი წუთიც და გულში ჩაიკრავს შეშინებულს, ქედანსავით აკანკალებულს ქალს, მაგრამ მოლოდინი არ უმართლდება. ერთბაშად მარდად გატრიალებული ქალი ხელიდგან ეცლება და მეორე მხარეს გამხტარი ფეხებს ათამაშებს. გულდაწყვეტილი კაცი გასცქერის და ხედავს თავის მსხვერპლს მომხიბლავის ღიმილით და მოკუკუნე თვალებით, რომელნიც იმას იწვევენ, იპატიჟებენ და თითქოს ეუბნებიან: „დამიჭირე და მე გაგრძნობინებ სიცოცხლის სიტკბოებას!“

ონისე და გუგუა, რომელთაც დღეს დარბაისლობა უნდა გამოეჩინათ, ისხდნენ გაუნძრევლად, თუმცა გული და სული გამხიარულებულ ყმაწვილებთან ჰქონდათ და ჩუმჩუმად გასცქეროდნენ იმ მხარეს, საიდგანაც ლხინის და თამაშობის ხმა მოდიოდა. გუგუა იწოდა სურვილით, რომ თავის სანატრელის ძიძიასთვის თვალი შაეკრა და ონისე კი, რომ ქორებრივი თვალი გაეყოლა ვისთვისმე გაურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო ისა, ოღონდაც არის ამის თვალებსაც ელვარება ჰქონდა, ტუჩებს მიმზიდველობა, ლოყებს სიყმაწვილის ელფერი და გულს სისხლის ამაჩუხჩუხებელი ძალა.

არ გაუვლია რამდენსამე წუთს, როდესაც ხალხი გაიპო და მათ შორის გამოჩნდა ვიღაცა მოხუცებული დიაცი. ყველანი ზეზე წამოდგნენ და მიესალმნენ მოხუცს, რომელიც პირდაპირ „ხელის მომკიდესთან“ მივიდა, ჩაიკრა გულში და უთხრა:

— აბა, ჩემო ყველავ, ჩემ ქალაშავას შენ გაბარებ... შენ უნდა მოუარო, შენ უპატრონო, იმის გამჯავრებელი შენ უნდა გააჯავრო!

— ღმერთს არ მოეტყუება, ხაზუავ, რომ, რაიც ხელიდგან გამამივა, თავს არ შევიშურებ,—უპასუხა ყმაწვილმა კაცმა და დაუმატა არა სახუმრო კილოთი:—ვინც მაგას აწყენინებს, იმას ჩემთან ექნების საქმე და, ღვთის მადლმა, ჩემთან მასხარობას კი არც-ვის არ ურჩევ.

— გუგუა ბალღია,—დაუმატა მოხუცმა,—და სოფელი კი ჭრე-

ლი... კაცის ენას რაი არ შეუძლიან, დაარიგოდე ეს ბალღი, ცხოთა ენას ნუ მიჰყვების, ქვეყანაზედ მტერი არ დაილევის და იმათ სიტყვას რო მიჰყვეს, ე მაგ ქალა-შავას ჩამომიღნობს, დამილევს...

— რაისთვი, რაისთვი ანბობ მაგას ხაზუაისი!—გააწყვეტინა ონისემ:—გუგუაი, მართალია, ბალღია, მაგრამ არაა ლოთი და ავარდნილი კაცი... ამხანაგებს თავის მარჯვენა თოლსავით უყვარსთ, ყველა თავს დასდებს მაგისთვი, ამიტომ რომ თავად გუგუაც ეგეთია მეზობლებისთვი... გუგუაი ვაჟკაცია და, ღვთის მადლმა, ჯალაბობაშიაც თავს არ შეირცხვენს.

— შენს პირს შაქარი, ჩემო ყველავ, შენს პირს შაქარი!—უპასუხა მოხუცმა და დაუმატა,—ნუ დამძრახავ, ონისეისი!.. ცას შევაბერდი, ადამიანის ჟამისა შევიქენ და მაგ ერთაი ქალაის მეტი არა გამაჩნია-რა... მაგაზედ ამომდის მზე და მთორე, მაგაზედ-ღა ვიბრუნებ სულსა.

— კარგი-ღა, ხაზუაისი, სტუმარი ნულარ შეაწუხე,—დასძახა ვიღაც მოხუცებულმა კაცმა და დაუმატა:—წაიყვანე და ბატარძალი ჩაბარე.

— აგრე, აგრე, შენაი ჭირაიმე... იარე, ონისე!—მოხუცი დედაკაცი გაუძღვა ონისეს და გუგუამ კი შურით ავსებული თვალები გაადევნა, რადგანაც იქ უნდა დარჩენილიყო და ძიძის ხილვამდის კიდევ რამდენიმე საათს უნდა გამოევლო.

## III

დაბნელებულს სენაში, რომელსაც ოდნავ ანათებდა მბჟუტავი კვარი, კასრებსა და ქილებს შუა იჯდა პატარძალი ძიძია თავის რამდენიმე ამორჩეულის მეგობრებით, რომელნიც მის გართობას ცდილობდნენ.

ძიძია იყო თექვსმეტის წლისა, მაშასადამე, ასაკზე მოსული ქალი, სრულიად გაშლილი და გადაფურჩქნული, სიტყვით, იმ ხანში, როდესაც ძარღვებში აღელვებული სისხლი ქაფდება, სდუღს და ჩუხჩუხით მომდინარეობს, როდესაც გული მიილტვის რაღაცა ჯერედ უცნობის ბედნიერებისაკენ და თრთოლით შესთამაშებს ყვავილებს და ბუნებას, სიცოცხლე ედემად ეშლება, ცხოვრება სიამოვნების ნექტარს ექადის. ის იყო ტანადი, ლამაზი, მშვენიერის დაკოკრებულის ლამაზის თხელის ტუჩებით, რომელნიც თითქოს საკოცნელად მომზადებულიყვნენ. თეთრს-ყირმიზს, ატლასის მსგავს სახეზედ დასთამაშებდა მხურვალების ნიშანი ელფერი, რომელიც თავის დღეში გატყაპულს სიწითლედ არ გადადიოდა; მოჟუჟუნე, ლურჯი ცისფერი თვალები მაცდურად უკამკამებდა და გულის გამგმირავს ისართ

ისროდა; შავი გრძელი წამწამები გარს მცველებად მოსდგომოდა და წვრილი, ხავერდისებრივი წარბები გძლად გადასჭიმოდა; სქელი შავი თმა ორს ნაწნავად თეთრ ბროლივით ყელს სუროსავით შემოხვეოდა,—სიტყვით ძიძია ნახატი მშვენიერება იყო და მისი მნახველი ვერ გასძლებდა, არ ეთქვა: „ცხონდეს შენი მშობელიო“.

ძიძიას შესტრფოდნენ ბევრნი, ძალიან ბევრნი, რამდენჯერმე მისი მოტაცებაც კი სცადეს, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მისი ბედ-იღბალი გუგუა იყო და მას დარჩა.

რაკი გუგუამ თავისად დაასახელა ძიძია, რაკი ქალმაც პირობა მისცა, იმას ისე ადვილად ველარავინ გაუბედავდა რასმე, რადგანაც ამგვარს შემთხვევაში გუგუას ხუმრობა არ უყვარდა და მალე დააბნელებდა იმის მზეს, ვინც წინ გადაღგომას მოიწადინებდა.

თუმცა ძიძია თხოვდებოდა თავისის სურვილით, თუმცა მოსწონდა თავისი გუგუა და არა ერთი ღამე გაეთენებინა მასთან ჩქარა შაერთებაზედ ფიქრით, არა ერთხელ მოზმანებოდა მისი ლომებრივი, ვაჟკაცის სახე, მაგრამ დღეს, როდესაც ის უნდა გამოსალმებოდა თავის სახლს, მეგობრებს, ჩვეულებას, როდესაც ქალობიდგან დედაკაცობაში პირველი ნაბიჯი უნდა შაედგა, გული როგორღაც აუკანკალდა და წარსული შენანდა. ამ წარსულს ის კარგად იცნობდა, კარგადა ჰქონდა იგი შეთვისებული; ის იყო ყოველთვის და ყველასგან განებივრებული, ყველას უყვარდა, ყველა უალერსებდა და, ვინ იცის, მომავალიც ამასვე მისცემდა?

ქალი ჰგრძნობდა რაღაც ინსტინქტიურს მღელვარებას და ანგარიში ვერ მიეცა თავისთავისთვის. ამ მდგომარეობას მოეპარა მისთვის ფერი, ნაზად გაეცრიცა და ამ ფერს კიდევ უფრო მეტად დაემშვენებინა მისი ანგელოზებრივი სახე.

მეგობრები ანუგეშებდნენ, ეხუმრებოდნენ, როდესაც მოისმა ხმა:

— ხელისმომკიდე მოდის, ხელისმომკიდე!—და ყველანი ზეზედ წამოცვივდნენ. ძიძიამ იგრძნო, რომ თითქოს მას გულში რაღამაც უჩხვლიტა, მთელს სხეულში გაურბინა რაღაცა უსიამოვნო გრძნობამ და ფეხზედ წამოდგომით საჩქაროდ ჩამოიფარა პირბადე.

ოთახში შემოვიდნენ ხაზუა, ვიღაცა მოხუცებული კაცი, ონისე და ყმაწვილი ქალები, რომელნიც შემოეხვივნენ ძიძიას. დაიწყეს გამოსასალმებელი სიმღერა, სადაც საგრძნობელის სიტყვებით ყმაწვილს ქალს თავის წარსულთან და მეგობრებთან ასალმებდნენ და ტირილით და კოცნით თითონაც ესალმებოდნენ.

ბოლოს, შესწყდა სიმღერა, მოხუცმა კაცმა აანთო წმინდა სანთელი, წყნარად გადიწერა პირჯვარი, მივიდა ქალთან, გამოართვა ხელი, ახსენა ხეური ჯვარ-ანგელოზები და მიუბრუნდა ონისეს:

— ონისევ! აჰა, ჩაგვიბარებია თქვენთვის ქალი წრფელი და შეურცხვენელი... დღეის ამას იქით შენ აგვირჩევიხარ ამის ძმად.—ამ სიტყვებზედ იძან გადასცა ონისეს ქალის მთრთოლარე და გახურებული ხელი.

ონისემ რაწამს ამ ხელის მიკარება იგრძნო, როგორღაც შეკრთა, დაიბნა და თითონაც გაჟრჟოლდა, თუმცა ამგვარი მდგომარეობის მიზეზი ვერ აეხსნა.

— აბა შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც დღეის ამას იქით მოუვლი და უპატრონებ... თქვენს სოფელში შენს მეტი პატრონი არვინ ეყოლების, შენ უნდა გაუწიო ძმობა.

— აბა, ღმერთს არ მოეტყუების, რომ თავს დავდებ მაგისთვის.

მოხუცი მივიდა, წყნარად ასწია პირბადე სწორედ იმ დროს, როდესაც ონისე ამბობდა:

— ეგ და, და მე—ძმა...

მაგრამ სიტყვა ნახევარზედ გაუწყდა, მთლად გათრთოლდა და მთვრალსავით წაბარბაცდა, მაგრამ თავი ისევ შეიკავა.

— რაი მოგივიდა?—მიეშველა მოხუცი.

— არც-რა, არც-რა, დამცხა, თავს ბრუ რასმე დამეხვა,—ძლივსლა წარმოსთქვა ონისემ.

— ბევრი თუ არ სვი?.. მაიტა-ლა წყალი,—მიუბრუნდა მოხუცი იქ მყოფებს.

— არ მინდა, შენაი ჭირაიმე,—უპასუხა კაცმა, რომელსაც ქალის ხელი ჯერ კიდევ არ გაეშვა, თუმცა ჰგრძნობდა, რომ ეს ხელი სწვავდა, სდაგავდა მას, უღელებდა სისხლს და გონებას აფანტვინებდა.

ონისემ მოისვა შუბლზედ ხელი, მაგრად მოიწურა ოფლი, პირდაპირ შეხედა ქალს და ხმამაღლა მტკიცედ წარმოსთქვა:

— იყოს თავდებად ზევით ღმერთი და ქვეშ დედამიწა, რომ ძიძია დასავით მეყვარება, გაუწევ ძმობას, მაგისთვის ძმაზედ უფრო მეტი ვიქნები!—ამ სიტყვებზედ ქალის ხელი კიდევ ერთხელ შეკრთა, კიდევ წყნარად გაჟრჟოლდა, ერთი შეხედა და მაშინვე თავი დახარა. წყნარმა, მაგრამ ძრიელმა ოხვრამ ონისეს სიტყვა გაუწყვიტა პირში და გული მოუსვენრად გაუფართხალა.

## IV

ონისემ იგრძნო, რომ მას ზღვასავით მოაწვა აღელვებული სისხლი, რომელიც ჩუხჩუხით ხან გულისკენ გაქანდებოდა და აატოკებდა, როგორც ზღვის ზვირთები უიალქნო ნავს, ხან თავს ეძგერებოდა და ნისლსავით ეხვეოდა, უბნელებდა თვალებს და გონებას.

ყმაწვილი ბიჭი ჯავრობდა თავის თავზედ, ჯავრობდა, რომ აღძრუ-

ლი გრძნობა ველარ შეემაგრებინა, ავარდნილი გული ველარ შეეყენებინა, ცდილობდა ქალისათვის დასამშვიდებელი სიტყვა რამ ეთქვა, მაგრამ პირგამშრალს, თითქოს ყელში რაღაცა გახირებიაო, ენას ველარ იბრუნებდა. იმან საუკეთესოდ დაინახა, მალე მოშორებოდა იმ საფრთხეს, სადაც მისი არსება ასე სწრაფად იქმნა დამორჩილებული, გული ასე მოულოდნელად გაქელილი.

ონისე გამოეთხოვა ქალსა და გავიდა სამყოფო სახლში. სადაც დანარჩენი სტუმრები მხიარულობდნენ: ყმაწვილი ბიჭები ერთმანერთს ებაასებოდნენ და მოხუცი ხალხი კი საქართველოს მომავალს მდგომარეობაზედ ლაპარაკობდა.

ჩქარა მოიტანეს სიფროები, გაავსეს „ფუნთუშებით" და მოვლილის ქედილების მსუქანის ხორცით.

რადგანაც ეს ამბავი ზამთარში ხდებოდა და იმ ღამეს კი თოვლი მოდიოდა, ამისთვის ყველანი ჩქარობდნენ, რომ პურის ჭამა მალე გაეთავებინათ და შინ დაბრუნებულიყვნენ, რათა ჩამოსულს ზვავებს სადმე გზა არ შაეკრა და ახალ ჯვარდაწერილები გარედ ცის ქვეშ არ დარჩენილიყვნენ.

საყველაწმინდო თასმაც ჩამოიარა; გვარის უფროსმა, სუფრის თავს მარტოშკამზედ მჯდომარემ, აანთო წმინდა სანთელი, ახსენა ხეური ჯვარ-ანგელოზი და მექორწინენი ღმერთს შეავედრა. მერე მოუბრუნდა ონისეს და რამდენიმე სიტყვით მოაგონა ხელისმომკიდის მოვალეობა ქალისადმი და მოითხოვა მზითვის ყუთი, რომელიც ჩააბარა მაყრებს.

არ გაიარა წუთმა და ხელისმომკიდე ხელახლად წაიყვანეს სენაში, სადაც პატარძალი უნდა ჩაებარებინათ.

ონისეს ჯერ კიდევ ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის და გაბრუებული, რაღაცა უცნაურს მდგომარეობაში მყოფი, სრულიად დაფანტული ასრულებდა, რასაც კიეუბნებოდნენ.

ის შეიყვანეს, მისცეს ქალის ხელი ხელში და მოისმა ისევ ჯვარული. ხელისმომკიდემ და ქალმა გამოსწიეს სამყოფო სახლისკენ, სადაც სიძე იყო, ამ სიმღერის ხმაზედ, რომელიც ონისეს დასაფლავების გალობის ხმად ეჩვენებოდა. იმათ გამოსვლაზედ გუგუა მთლად აინთო, ნაღვერდლად გაუბრწყინდა თვალები, შეკავებულმა სიამოვნების ღიმილმა შეუთამაშა ტუჩები და მორცხობამ თავი დაახრევინა.

ონისემ მიიყვანა ქალი და გადასცა სასიძოს, რომელმაც გამმაგებით საჩქაროდ მიაშველა თავისი ხელი. მხოლოდ საკვირველი ეს იყო, რომ ქალი თითქოს რამდენჯერმე შეკრთა და ხელისმომკიდის ხელის გაშვება ეძნელებოდა, მაგრამ გუგუამ გაავლო ხელი და ისეთ რიგად მოუჭირა, რომ ქალს ძვლებმა ჭახჭახი დაუწყეს და ტკივილო-

საგან კინაღამ შეჰყვირა. ონისე გაუძღვა წინა და მას მიჰყვა მეფე-დედოფალი, სადაც საქრმოს მარხილამდე უნდა მიეცილებინა, და იქ კი პატარძალზედ ზრუნვა ისევ ხელისმომკიდესათვის უნდა მიენდო. პირველ მარხილში ჩასხდნენ, ჩვეულებისამებრ,* მხოლოდ ხელისმომკიდე და პატარძალი. მეფე ცხენით უნდა წამოსულიყო, რადგანაც ქალს ჯვარისწერამდის ვერ მიეკარებოდა. მეორე მარხილზედ დაუწყვეს მზითევი და ამ სახით, მაყრების სიმღერით, თოფის სროლით და ყიჟინით გამოსწიეს შინისკენ.

## V

ღამე იყო ცივი და ნისლიანი, თუმცა თოვლის გამო საკმაოდ განათებული. ხანგამოშვებით ქვენა ქარი ზუზუნით უბერავდა და წვრილი, მაგრამ ხვრიში თოვლი მიმავლებს პირისახეს უწკეპლავდა.

პატარა ბიჭი, მთლად ტყავში, ნაბადში და ყაბალახში გახვეული, ცხენს მიერეკებოდა, რადგანაც თოვლს გზა ჩაეჩუმქრა და ცხენს სიარული უძნელდებოდა და გასავლელი გზა-კი ჯერ ბევრი ჰქონდათ.

მაყრიონი, გახურებული ჯირითობით და წარსულის ქეიფით, მარხილს კარგად დაშორებოდნენ და ხან ცხენების ერთმანერთზედ მიგდებით, ხან ერთისაგან მეორის ქუდის გატაცებით და გადაგდებით, მესამისაგან კიდევ გაჭენებულის ცხენიდგან გადაზნექით და ისე აღებით კიდეცა თბებოდნენ და დროსაც ატარებდნენ.

ონისე იჯდა მარხილზედ, გადაეგდო თავიდგან ყაბალახი, გადაეწია ქუდი და გახურებული შუბლი და სახე გამყინავის ქარისთვის მიეშვირა.

წმინდა ჰაერმა თუ ხანის გამოვლამ იმას თითქოს მოაზრების საშუალება მისცა და მხოლოდ ეხლა დააკვირდა თავის მდგომარეობას. მხოლოდ ეხლა იგრძნო პირველად გაღვიძებულის გრძნობის სიტკბოება და მასთან ის მტანჯავი მდგომარეობა, რომელიც ვალად სდებდა გვერდით მყოფს სატრფოს სრულიად სხვა გვარად მოჰქცეოდა.

იმას მიექცია პირი ქარისა და თოვლისაკენ, რომელთაც აღარაფერი უშლიდა და სხაპა-სხუპით სცემდა პირისახეში; ის მათგან მოელოდა რაოდენადმე შაღავათს და დამშვიდებას.

იმას ეგონა, რომ შუბლის გაგრილებისთანავე სისხლიც დაუმშვიდდებოდა და ავარდნილი გული თავისავე დონეში ჩავარდებოდა.

---

* ეს ჩვეულება ეხლა შეიცვალა: ამ ბოლოს დროს მეფე-დედოფალი და ხელისმომკიდე ერთად სხდებიან ქალის სახლიდამვე, რადგანაც ჯვარისწერა უმეტეს შემთხვევაში ქალის სამშობლოში ხდება.

მაგრამ, სამწუხაროდ, ფიქრი ატყუებდა და დაღონებული ხედავდა, რომ მის გულში აღმოუფხვრელად ჩასახულიყო ძიძიას სახე და წყნარად, ფრთხილად და სიამოვნებით არხევდა; არხევდა იმ სიფრთხილით და მზრუნველობით, როგორც მშობელი თავის პირმშოს, როგორც ყაჭის პარკს ნაზი ნიავი, რომელსაც ძვირფასის ქმნილების აღორძინება ბუნებისგანვე ჰქონდა მინდობილი.

ონისემ სიტყვა მისცა თავის თავს, რომ ქალისკენ არ მოეხედნა, არ დალაპარაკებოდა მას, რადგანაც იცოდა, რა საშიში განსაცდელი იყო მისთვის ამგვარი საქციელი.

იმას არამც თუ მიხედვისა და დალაპარაკებისა ეშინოდა, არამედ განძრევას, მომეტებულს ამოქშენასაც კი ვერა ბედავდა, რათა რომელიმე მოულოდნელობით არ შაეწყვიტა ის ხასიათი, რომელზედაც მისი თავშეკავება ეკიდა.

ძიძიაც იჯდა გაჩუმებული, თავდახრილი და ხმას არ იღებდა. ვინ იცის, იმის გულში რა მოძრაობდა, მისი აზრები რაგვარს ტალღებს აგორებდა, საითკენ და რა ძალით მიაქროლებდა, ან რომელს საგანს ჩასციებოდა, რა სურათი წამოსდგომოდა თვალწინ და გაწამებული ზედ დაჰკდომოდა.

მაყურებლისათვის მისი გული ამ წამში იყო ბნელი უფსკრული, სადაც კაცი ვერაფერს გაარჩევდა, საიდგანაც ვერას ამოიკითხავდა, და მისი გულის მოძრაობის შეტყობის მსურველი პასუხისმიუცემლად, იმედგადაწყვეტილი უკანვე უნდა დაბრუნებულიყო.

ძიძია იჯდა გამოქარგულს თხელს ახალუხში და ზეიდგან წამოგდებული ჰქონდა შალი, რომელიც ავდრისა და ქარისაგან საკმაოდ ვერ იფარავდა. ის თანდათან თოშდებოდა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა, თუმცა სიცივე ძვალსა და რბილში გასჯდომოდა და მეტად აწუხებდა.

იმის ხელისმომკიდეს ეს შემთხვევა თავში არც კი მოსვლია, იქამდის გართულიყო თავის საკუთარის მდგომარეობით. იმას ცოტა ფიქრი არ უნდოდა, რადგანაც ნათესაობამ სათემოდ ძიძიას მომავალი მის სინიდისს და მზრუნველობას ჩააბარა. ამ ქალის სახელი და პატივი, ქმრის წინაშე დაცვაც კი მისი მოვალეობა გამხდარიყო, ხოლო მთიელთ შეხედულობით, „ანაბარი მგელმაც კი იცის“ და ამ დროს, როდესაც თითონ მას შესდგომოდა მაცდურად გრძნობა, ჩასლოდა სულის საძირკვლამდის და ძვალსა და ტვინს უწოვდა, შეუბრალებლად უღრღნიდა, ონისეს ამისთანა ძნელად შესასრულებელს მოვალეობასა სდებდნენ.

ქარმა, ავდარმა და სიცივემ თავისი იმოქმედეს: ქალმა ველარ გასძლო და გაყრუოლებულს ცახცახი დააწყებინა. მის პირველსავე

მოძრაობაზედ ონისე გველის ნაკბენსავით შეკრთა და თავისავე უნებურად კისერი ქალისკენ მიეღრიჯა. იმან დაინახა თხელს ტანისამოსში ქალი და გული მოუკვდა. ძიძია, იმის ღმერთაი, სალოცავი, სიწმინდე ამ გაჭირვებაში იყო და იმას არც კი მოჰგონებოდა იმაზედ ზრუნვა!

ერთი თავის მიბრუნება, ერთი შეხედვა, ოდნათი მიკარება საკმარისი იყო, რომ თოფის წამალსავით ეფეთქა და მთელს სხეულს ცეცხლი მოსდებიყო.

— ქალაუ, მოგიკვდა ჩემი თავი!.. მთლად გათოშილხარ და მე კი არც კი მომაგონდი! — წარმოსთქვა ონისემ და ხმა ისე აუკანკალდა, რომ მღელვარება დაეტყო.

— არა მიშავს-რა, შენაი ჭირაიმე, — წარმოსთქვა ქალმა ნაზის და, ვინ იცის, რა მიზეზის გამო ცრემლმორეულის ხმით.

— ბეჩაუ, არა მიშავს-რა რაია?.. შენ რომ ავად გახდე, მე რაიღა მეშველების? — ამ სიტყვებით ონისემ აიწია ნაბადის კალთა. წამოხურა ძიძიას, რომელსაც სველი შალი მოხსნა და იქვე მარხილში ჩააგდო. შემდეგ მაგრა მოიჭუჭკა ნაბადი და ნაზს წელზედ ხელმოხვეული ქალი მკერდზედ მიიკრა. ამ ქალის მიკარებასთან ერთად ონისეს გული მეტისმეტად გათრთოლდა, შეიკუმშა და შესდგა, გათრთოლდა კიდევ, კიდევ და ერთბაშად აძაგძაგებულმა გზა მისცა გამოქანებულ ადუღებულ სისხლს, რომელიც მწვავად და სანეტარო აღმაშფოთებლად მთელს სხეულში დაიმქრა, რომელმაც სხეულის ყოველს ძარღვში დაჰკრა. ძიძიაც გაჩუმებული, გაწამებული და გაყუჩებული, თითქოს ამ კაცის მდგომარეობას შაეშინებინა, დაემონებინა, თუ გაეგებინებინა მისი გაჭირება, არ ეწინააღმდეგებოდა ონისესა. ამ კაცს დაეკარგნა მოაზრება, დავიწყებოდა თავისი თავი, თავის მოვალეობა და თანდათან უფროდაუფრო ხვევდა ხელს, უფროდაუფრო იკრავდა გულში და ყოველ მოძრაობაზედ გონებასა ჰკარგავდა.

ის შაეპყრო მხოლოდ ერთს გრძნობას, რომელიც ტკბილად ჩასჩურჩულებდა, რომ ის ბედნიერია, რომ ამ ბედნიერებას ქვეყანაზედ არა შაედრება-რა. რაღა საქმე ჰქონდა ან ხალხთან, ან ქვეყანასთან, სადღა ეცალა მათზედ საფიქრებლად. ონისეს თავი წყნარწყნარად იხრებოდა და უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, რომელსაც ძალზედ სწვავდა კაცის გახურებული ქშენა. ის თანდათან უახლოვდებოდა და ჩასჩურჩულებდა წარმოუდგენელის სიტკბოებით. ამ სიტკბოებით, რომლითაც მართლა წრფელის გულით შეყვარებულს შეუძლიან, როგორც შეყვარებულს კაცს, რომელსაც მრავალსიტყვიერება გადავიწყებია.

— გცივა, კიდევა გცივა... ჩემო ყველავ! — მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ონისე, მაგრამ ამ ორიოდ სიტყვაში ხმას იმდენი მიხრა-მოხრა ჰქონდა, ისეთის ჰარმონიით იმკობოდა, რომ აშკარად შენიშნავდით აღგზნებულს საკირეს, მის გულში ანთებულს, გამხეცებულს სიყვარულს, მის მბრძანებლად გამხდარს.

ძიძია, კურდღელსავით განაბული, კაცს მიჰკრობოდა მკერდზედ და მისი ნორჩი გული შიშგარეულის სიხარულის ფართხალით უპასუხებდა ქალის მდგომარეობას. აქამდისა ჰფარავდა თავშეკავება, ამ წუთებამდის ძალა კიდევ შესწევდა გრძნობა დაეფარა, მაგრამ ეხლა, როდესაც ონისეს თავი თანდათან იხრებოდა, როდესაც იმის სახე თანდათან უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, უკანასკნელი ჰგრძნობდა კაცის გახურებულს ქშენას, ძიძიას გაუწყდა ხასიათზედ ჩამოკიდებული მოთმინება, თვითონაც მოუთმენლად ამოიქშინა და მადრჩელი თვალები მისკენ მიაქცია.

შეპყრობილთ ერთის გრძნობით, აღგზნებულთ ერთ რიგის წადილით, რაღაცა უხილავი ძალა ერთმანერთისკენ იზიდავდა. წუთიც და სიტკბოებით დამთვრალთ-დაბნედილთ ტუჩები მათსავე გაუგებრად ერთმანერთს ჩაეწებნენ.

## VI

ვინ იცის, შეყვარებულთ ალერსი სადამდის გაგრძელდებოდა, თუ ერთს მოულოდნელს შემთხვევას არ დაეშალა, ერთს მაყარს მეტად შესცივნოდა და მოეწადინა არაყით გათბობა, ამისთვის შეეყენებინა ცხენი და მარხილს ელოდა, რომელშიაც ტიკჭორები ეწყო.

როდესაც მარხილი გაუსწორდა, დაინახა, რომ ონისეს, რომელიც თითქოს სიცივეს მოჰფარებოდა, თავი ნაბადში ჩაეყო. ამგვარი საქციელი მთის კაცს არ მოეწონა, რადგანაც მამაკაცს სიმხდალე დედაკაცისთვის არ უნდა ეჩვენებინა: ეს, მთიელთ შეხედულობით, სირცხვილიც იყო და დამამცირებელიც, და ამხანაგის საქციელი კი დანარჩენების სახელსაც იმდენად შეეხებოდა, რამდენადაც თითონ მომქმედს.

ამისთვის მაყარმა გადუქნია ონისეს მათრახი და თუმცა შეხუმრებით, მაგრამ საგრძნობლად უთხრა:

— რას სჩადი, ბუგრიანო, თუ არ გაიყინე?

ონისე შეკრთა და გაერყოლდა. იმან წამოიხედა და ჯერედ კიდევ წარსულის წუთებით დაფანტულს თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა. პირველში ისა ჰგრძნობდა მხოლოდ, რომ მას დაურღვიეს

სიტკბოება, დაუშალეს წუთის ბედნიერება. მაგრამ რადა, ვინა? ამაში ანგარიში ვერ მიეცა.

მაგრამ ამგვარს მდგომარეობაში მხოლოდ ერთს წუთს იყო. ონისე ჩქარა გონს მოვიდა და აშკარად დაინახა შეუწყალებელი ჭეშმარიტება, რომელიც უსპობდა არამც თუ ამ წუთის სიამოვნებას, არამედ მომავალს მოსვენებაზედაც კი იმედს აკარგვინებდა, და ცივი ოფლი დაასხა. წუთის წინ ის იყო შეპყრობილი მხოლოდ ერთის გრძნობით: მას უყვარდა ანგარიშმიუცემლად, ხარკს აძლევდა ამ ძალას; მაშინ ყველაფერი გადავიწყებოდა, ყველაფერი: ხალხიც, მათი მოვალეობაც, დებულებაც, თვით მოაზრებაც და მარტო ძთრთოლარე გულის ფართხალს მისცემოდა, მით უფრო სასიამოვხოს, რომ ამითვე პასუხს აძლევდნენ; — ეხლა კი ის იყო კაცი, რომელიც სჯიდა, ანგარიშს აძლევდა თავის მოქმედებაში და სწონავდა თავის მდგომარეობას.

ონისემ აშკარად დაინახა შეცდომა, აშკარად იგრძნო თავის წადილის აღსრულების შეუძლებლობა და სინანულის ნაპერწკალმა მწვავედ გაჰკრა გონებაში: — „მაშ ტყუილად თრთოდა მისი გული სანეტარო მომავლის მოლოდინით?.. მაშ ტყუილად ენთებოდა და მოუსვენრად ტოკავდა მისი გული? ამაოდ სტყუვდებოდა და ამ გრძნობითვე აღელვებულს ძიძიასაც ტყუილად იწვევდა საალერსოდ?“ ეს კითხვები სწრაფად ებადებოდნენ თავში, სწრაფადვე სცვლიდნენ ერთმანერთს და ერთს გადაწყვეტილებამდე მიდიოდა, ერთი პასუხი შეეფეთებოდა და ყურში მწარედ თითქოს ვიღაცა ჩასწივლებდა: „ტყუილად იკლავ თავს“.

— ბიჭაუ, რაი მოგსვლია, დამთვრალი თუ არა ხარ?—გასწყვიტა სიჩუმე მაყარმა, რომელსაც ონისე გაშტერებით შეჰყურებდა.

— ჰა, რაი? — წარმოსთქვა ონისემ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გაშორებოდა გულში და გონებაში ჩაჭედილს გრძნობას.

— ავად თუ არა ხარ? რას სჩადი?

— არ ვიცი, ღვთის მადლმა!.. ისე უგუნებოდ რასმე შევიქენ.

მაყარი მიუახლოვდა მარხილს, გადაიზნიქა ცხენიდან და პირდაპირ პირისახეში შეხედა ონისეს, რომელმაც თავი იქით მიიბრუნა და გაბრაზებით წარმოსთქვა:

— რას მიყურებ, რაი გინდა ჩემგან?

— არც რაი, — გაიკვირვა მაყარმა და დაუმატა: — მინდოდა მენახა, სიცხე თუ არ გქონდა, გაწითლებული თუ არ იყავი?

— ღამეში რაი უნდა დაინახო, ღვთის მადლსა? — იმავე კილოთი უთხრა ონისემ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — სიცხეცა მაქვს, თავიცა მტკივა და მიბრუვდება.

მაყარმა ისე შეხედა, თითქოს არ უჯერებდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავშეკავებულმა ცხენს მკერდზედ მათრახი-ღა გადაჰკრა, ეტყობოდა მას გონებაში რაღაცა აზრმა გაურბინა, რადგანაც სიცივეც გადავიწყებოდა და არაყიც, რომლის დასალევადაც აქ მოვიდა.

კარგა ხანმა გაიარა საერთო სიჩუმეში, ყველა თავის გულისთქმას ჩაბრუნებოდა, თავის საკუთარს აზრებს დაჰკვირვებოდა და რაღაცა უცნაურს დუმილში ჩავარდნილიყო.

ისინი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც ჰაერში გაისმა მხიარული სიმღერის ხმა და მას მოჰყვა ლექსი:

გაუსვი და გამოუსვი,
ვითომ ჰიანურიაო;
მეზობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინაურიაო.

ამ სიტყვებმა მწარედ გაკენწლეს ონისეს გული, რომელსაც სიმღერა თანდათან უახლოვდებოდა, რადგანაც წინ წასული მაყრები შემდგარიყვნენ და მარხილების მოლოდინში ლხინი დაეწყოთ.

გაიარა რამდენიმე წუთმა და გამოჩნდნენ ცხენოსნები, რომელთაც მარხილი მიუახლოვდა.

ყმაწვილი მაყრები ხუმრობდნენ ერთმანერთში, ეხუმრებოდნენ ონისესაც, მაგრამ იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ, რადგანაც პირველად მოსულმა მაყარმა შეატყობინა, რომ ონისე ავად არის და იმათი ხუმრობისა არა სცხელა.

ამისათვის მაყრები დაშოშმინდნენ, მაგრამ მარხილს კი მაინც არა შორდებოდნენ.

მხიარულება ერთბაშად შესწყდა და მის მაგიერ რაღაცა ჰმუნვით სავსე სიჩუმე ჩამოვარდნილიყო; ხვრიში, წვნიკი თოვლი განუწყვეტლად მოჰქროდა ქვენა ქარისგან გამოტაცებული და მთლად ათეთრებდა ნაბდიანს მგზავრებს.

ამგვარად მიდიოდნენ გაჩუმებული მაყრები, გულჩახურული და ჩაბნელებული ხელისმომკიდე და მიჰყავნდათ გამოუცდელი ქალი, რომლის გულსაც ნამდვილი სიყვარული პირველად ეგრძნო, მის სიტკბოება ნახევრად გამოეცადა და ის კი არ იცოდა, მისი მომავალი რას შეამთხვევდა.

რამდენიმე წუთი და ხშირს ნისლში გაიბჟუტა შუქმა და შენობების სურათები ბუნდად გამოჩნდა. კიდევ წუთიც და ყველამ შეამჩნივეს, რომ სოფელს მიახლოვებულან. მარტო ონისე იჯდა გაფითრებული, თავდაღუნული და მწარე ფიქრებისგან წაღებული ვერაფერს ამჩნევდა.

მაყრებმა იგრძნეს, რომ მაყრიონს ასე ჩუმად მისვლა არ შეჰფეროდა არც იქაურს ჩვეულებას და არც იმათ სიყმაწვილკაცეს და ამიტომ დასჭყივლა ერთმა, გავარდა თოფი და მეორე გაქანდა მახარობლად. ყველა შეინძრა, აღელდა, სიცოცხლე გამოიჩინა, ჰაერში გაისმა სიმღერა და ყიჟინა, მიმავლებს სიცოცხლე დაეტყოთ.

გამოფხიზლდა ონისეც, მაგრამ ის სრულიად განშორებოდა დახარჩენებს, იმისმა გულმა სრულიად სხვა იგრძნო. იმან იცოდა, რომ სოფელში მისვლისთანავე ჰკარგავდა სატრფოს, რომლის გამოუცდელობაც და სირცხვილიც ხალხის ჩვეულების წინააღმდეგ ვერ წაიყვანდა და მასთან ერთად დაჰკარგავდა მოსვენებასაც...

## VII

აგერ შევიდნენ სოფელში, მიუახლოვდნენ საყდარს, რომლის წინაც იდგა ვილაც წარმოსადეგი მოხუცი, გათეთრებული როგორც თოვლი, და მხიარულად შეჰყურებდა მომავალთ. იმისი კეთილი სახის გამომეტყველება დახაზული იყო რაღაცა გვარის ხაზებით, რომელნიც პირველსავე შეხედვაზედ პატივისცემას აგრძნობინებდათ და ჭკვიანი თვალები, გულკეთილობის გარეშე, მბრძანებლობით გამოიყურებოდნენ.

გათეთრებული, ლაზათიანის შეხედულებით, მბრძანებელის მიხვრა-მოხვრით და მედიდურის, მტკიცე სახის გამომეტყველებით ელოდა ხევისბერი გოჩა, მმართველი მამა თავის ხალხისა, ახალგაზდებს. იმას პირველს უნდა დაელოცა მექორწინენი და მშობლიურის ღმობიერებით ესურვა მათი ბედნიერება. ონისემ შეხედა თავის მამას, რომლის წინაშეც მთელი ხეობა თავს იხრიდა და რომლის სიტყვაც გადაუბრუნებლად სრულდებოდა, და ფერმა მეტად გადაჰკრა, პირი მომეტებულად გაუშრა.

მარხილი შესდგა, მაგრამ ონისე იქამდის დაფანტულიყო, რომ გადმოსვლაც კი ვეღარ მოეხერხებინა, სანამ მამამ არ დასძახა:

— გადმოხე, რაღას ელი?

ყმაწვილი ბიჭი ჩამოხტა ანგარიშმიუცემლივ, დადგა იქავ და, მკვდარს დამსგავსებული, გაქვავებული შეჰყურებდა ხალხს, რომელიც იმის თვალში ბუზსავით ირეოდა.

პატარძალს მიეხვივნენ დედაკაცები, ჩამოსვეს და გოჩასთან მიიყვანეს, რომელმაც მოიხადა ქუდი, ახსენა ღმერთი და უთხრა:

— გაკურთხოს უფალმა. — ხელი გამოართვა და მაშინვე დაუმატა: — ბეჩაუ, მთლად გაყინულხარ... მთლადა კანკალებ.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მიაშველა მეორე ხელიც და ქალის

ნაზს ხელებს ისე დაუწყო სრესა, თითქოს მათი გათბობა უნდოდა. მერე მოაშორა ერთი ხელი, გაუშვირა იქავ მდგომს გუგუას და საცოლეს ხელი ხელში ჩაუდო.

— უფალმა შეგაერთათ, კაციმც ნუ გაგაშორებსთ! — მტკიცედ წარმოსთქვა მოხუცმა.

ამ სიტყვებზედ ქალი თითქოს უმეტესად გაკრთოლდა და ქშენას მოუმატა, ონისე კი წატორტმანდა, მაგრამ იქავ მყოფმა ვიღაცა კაცმა დაიჭირა. ხალხმა დაიძახა ჯვარული და მეფე-დედოფალი საყდარში შევიდნენ, სადაც შემოსილი მღვდელი ელოდათ და გოჩა კი შვილს მიუბრუნდა.

— რაი მოგსვლია? — ჰკითხა იმან და გამომცდელის თვალით დაუწყო ყურება.

— არც რა, — მოკლედ უპასუხა ონისემ და თავი დაღუნა, რადგანაც მამის ცქერისათვის ვერ გაეძლო.

— რაღა არც რა, რომ ადამიანის ფერი აღარ გაძევს და ფეხზედაც ძლივს-ღა სდგეხარ?

— უგუნებოდ რასმე შევიქენ.

— უგუნებოდ? — გააგრძელა მამამ და კიდევ დააკვირდა: — მამ ქორწილში რაი გინდა? შინ წადი და დაწექ... ხელისმომკიდე სხვა იქნება ვინმე.

ამ ლაპარაკში ჩამოერივნენ გუგუას ნათესაობა, დაუწყეს ონისეს ხვეწნა, რომ ამისთანა დროს თავი არ დაენებებინა და თვისი მეგობარი გუგუა მარტოკა არ დაეგდო, მაგრამ ონისეს გაუხარდა, რომ მისთვის მეტად სატანჯავს სურათს მოშორდებოდა და თავის უბედურებას თვალით მაინც აღარ უყურებდა. გაბრუნდა და ლასლასით გასწია თავიანთ სახლისაკენ, სადაც ბნელა „საწოლში" პირქვე დაეგდო.

გოჩა კი შევიდა და ჯვარისწერასთან ერთად უყურებდა პირბადე ჩამოფარებულ ქალს, რომელსაც წამდაუწუმ აკრთოლებდა და ხანგამოშვებით ქშენას ძალზედ უმატებდა.

რამდენიმე კაცი, რომელიც გოჩასთან იდგნენ, მიუბრუნდებოდნენ მოხუცს და გულმტკივნეულად ეუბნებოდნენ:

— ბეჩავი, როგორ შესცივნია!..

მაგრამ გოჩა, პასუხის მაგივრად, შუბლზედ ხელს გადაისვამდა და ისეც შეჭმუხვნილს წარბებს მეტად შეიჭმუხვნიდა.

ჯვარისწერა ჩვეულებისამებრ მიდიოდა: ონისეს მაგიერად ხელისმომკიდედ სხვა ვიღაცა ყმაწვილი ბიჭი გამოიყვანეს. ყველაფერი მომზადდა. მღვდელი მივიდა ჯერ კაცთან და ჰკითხა: სურვილით ირთავს ამ ქალსა და ჰსურს ჯვარისწერა, თუ არა? კაცმა

გაიღიმა, შერცხვა და თავის დაქნევით თანხმობა გამოაცხადა. მერმე ამავე კითხვით მიუბრუნდა ქალსა, რომელსაც სიცოცხლის ნიშანი მარტო სუნთქვაზედ და მხრების მოძრაობაზედ ეტყობოდა.

ქალმა პასუხის მაგივრად მარტო თავი დაღუნა და მის მაგივრად სხვა დედაკაცებმა, ყოველთვის სხვის მაგიერ მოპასუხეთ, — ყაყანი დაიწყეს:

— ჰაი, ჰაი, რო სურს!... რაიღა კითხვა უნდა?.. თუ არ სდომოდა, აქ რაღად მოვიდოდა?.. — ართმევდნენ ერთმანერთს სიტყვას, მაგრამ ძიძია კი ჩუმად იყო.

— მაშ შენის ნებით იწერ ჯვარსა? — განიმეორა მღვდელმა.

— თავის ნებით იწერს, ჩემო ყველაო, თორემ მოძალადე ვინა ჰყავს! — მოისმა ისევ დედაკაცებისაგან და დაკმაყოფილებული მღვდელი შეუდგა მეშვიდე საიდუმლოს აღსრულებას.

## VIII

ჯვარისწერამ გაიარა ჩვეულებრივის მხიარულებით: მოგროვილი ხალხი, მაყრები და მეტადრე დედაკაცები არ ისვენებდნენ და ყოველთვის საჩურჩულო მასალას პოულობდნენ და, ერთხელ მომზადებულნი სამხიარულოდ, შემთხვევას არ გაუშვებდნენ, რომ არ გაეხარხარათ, თუნდა სასაცილო არ მომხდარიყო-რა.

მარტო პატარძალი იდგა ქვასავით დამუნჯებული და გოჩა, რომლის სახეც რაღაცა დამყარებულის, პატივსაცემის სხივით ბრწყინავდა. იმას აშკარად ეტყობოდა, რომ გულწრფელის რწმუნებით იყო გატაცებული და მთლად მისცემოდა თავის გრძნობას და უზენაესს გულწრფელად ევედრებოდა.

გოჩა იყო მშობელი მამა თავის ხალხისა და, მაშასადამე, იმისთანა ამაღლებულის შემთხვევის დროს, როგორიც ქორწინება არის, თავის შვილებისთვის რომ არ ელოცნა, არ იქნებოდა. ამასთანავე მას სწამდა, რომ ხალხისგან ამორჩეული, ღმერთისაგანაც ამორჩეული უნდა ყოფილიყო, რადგანაც, აღზრდილს ხალხის ჩვეულებათა შორის, ანდაზად გარდაქცეული რწმუნებაც, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა. გოჩა დარწმუნებული იყო, რომ მისს გულწრფელს ვედრებას უზენაესი შეისმენდა და რწმუნებით დაიმედებული, იმ კაცის სახე, გულმხურვალე ლოცვის დროს, რაღაცა ძლევამოსილს, ხალხის დამმორჩილებელს სურათს წარმოადგენდა.

ასეთი იყო მოხუცებული გოჩას სახე, რომლისთვისაც განუწყვეტლივ ზრუნვას, ფიქრს, გამოცდილებას და გონებრივ მუშაობას

უფრო უმეტესის პატიოსნების, ჭკუის და ადამიანობის ბეჭედი დაესვა. ეს სახე ხანდისხან იცვლებოდა იმის კვალობაზედ, თუ მისი აზრები და გონების მიმდინარეობა რა საგანს შეეხებოდა და ამგვარადვე ეცვლებოდა ფერი პირისახეზედ.

ხანდისხან რაღაცა მწმუნვარება შეუხრიდა წარბებს, შეუკრავდა შუბლს, მაგრამ ეს იყო ერთს წუთს მზეზედ გადაფარებული ღრუბელი, რომელსაც მხოლოდ წუთით შეეძლო მოჩრდილება, — მლოცველის თვალები, ცისკენ მიპყრობილნი, ისევ ძლევამოსილის, გამარჯვებულის შუქით აინთებოდნენ.

გოჩას აშკარად ეტყობოდა, რომ მისი მრავალგვარად გამოცდილი გული რაღაცა უბედურების მოახლოვებასა ჰგრძნობდა, მისი გამოცდილის თვალებისთვის შვილის ერთი დანახვა კმაროდა, რომ მის საქციელში, ავადმყოფობის მაგიერ, სხვა მიზეზი დაენახა, მაგრამ რა იყო ეს მიზეზი, საიდანა ჰქროდა ნიავი, რომელიც მას, როგორც ნადირს, სუნს აყრიდა და აკრთობდა, — მოხუცი ვერ მიმხვდარიყო.

გათავდა ჯვარისწერა, მეფე-დედოფალი წაიყვანეს სახლში, შემოატარეს კერას და გააშორეს, რათა დედოფლისთვის ქალებში მისვლით რაოდენიმე თავისუფლება მიეცათ, და ხალხი კი გოჩას თავმჯდომარეობით ვახშმად დალაგებულიყო.

რასაკვირველია, სიძეც, თავზედ ფოჩებიან გვირგვინით, იქვე შუა ადგილას დაესვათ, ტოლ-სწორები გარს შემოხვეოდნენ და ლაქლანდარობით გართულს და ბედნიერებით გახარებულს, დროს ატარებინებდნენ.

.დაიწყო საერთო მხიარულება, სმა, სიმღერა და „სმურები“; ხანგამოშვებით რომელიმე მოხუცი გადმოიღებდა ფანდურს და თითების ჩაკვრით სევდიანს სიმებსააჟღერებდა და ზედვე სევდიანად, მაგრამ საგრძნობლად დასძახებდა რომელიმე გმირის ლექსად მოთხრობილს მოქმედებას.

ამ წუთებში გამხიარულებული, აყაყანებული ხალხის ხმაურობა ერთბაშად შესწყდებოდა, ჩამოვარდებოდა სრული სიყუჩე და გულის ძგერით ყურს მიაპყრობდნენ სახალხოდ წარმოთქმულს სიტყვას, სადაც ქვეყნისთვის თავგადადება და სამსახური, სივაჟკაცე და პატიოსნება ისე უხვად ჯილდოვდებოდა და სადაც კაცის მოვალეობა ცხოვრებაში ისე ნათლად იხატებოდა და შეისწავლებოდა...

ამას ისევ შესცვლიდა „სმური“, მერე „გოგონა“ და ასე გრძელდებოდა გათენებამდის.

## IX

ამ საერთო მხიარულების დროს, როდესაც გუგუას სახლში თავმოყრილთ გულები მხიარულად ყინულზედ გამოსულს უზრუნველს ბატკნებსავით თამაშობდნენ, ონისე პირქვე ეგდო და დამძიმებული, გახურებული თავი ბალიშიდგან ვერ აეღო. მას სისხლი მოსწოლოდა თვალებში და დროგამოშვებითი ბრჭყვიალებით უელავდა, თავი ძალზედ გაჰბრუებოდა და საფეთქლებში თითქოს ჩაქუჩებსა სცემდნენ; ყურებში ხუილის ხმა გაისმოდა და ტანი ცეცხლსავით გახურებული რაღაცა მოუსვენრობაში ამყოფებდა. ჩქარ-ჩქარა და ძალზედ ქშენა აშკარად ამტკიცებდა, რომ რაღაც აწუხებდა და იმის მოშორება თითქოს მკლავების უაზრო წყვეტებით უნდოდა.

ამ მდგომარეობაში მყოფი ონისე ხან მთლად გაცივდებოდა და ცივ ოფლსავე დასხმული წამოტრიალდებოდა, წამოჯდებოდა, უსაგნოდ გაუშტერებდა რასმე თვალებს, თავი და მკლავები ჩამოუცვივდებოდა და, ნახევრად ტუჩებგახსნილი, რაოდენსამე ხანს ასე დარჩებოდა. მერე ისევ მოუსვენრად მიეგდებოდა და თვალწინ დაუწყებდნენ თამაშს სხვადასხვა სურათები, ერთი მეორეზედ უფრო საოცნებო, უფრო გასაშტერებელი, მაგრამ იმათ არავითარი გადასაბამი, შემაერთებელი ნასკვი არ მოსდევდა.

მაგრამ ეს თავდავიწყება იყო წუთისა, რადგანაც ონისემ ერთბაშად დაიკივლა და გაფითრებული ფეხზედ ჰამოიჭრა. შესდგა, წუთზედ მოიფშვნიტა გახურებული თვალები, რომლებშიაც ელვებსავით რაღაცა სჩხვლეტამდა და სიტყვებით: „არ იქნების, არ მოხერხდების!“ კარებისაკენ გაქანდა.

— სად მიხვალ? — იქავ შეაყენა ვიღაცას ხმამ და კარების ზღურბლზედ გამოჩნდა გოჩა, რომელსაც ანთებული კვარი ხელში ეჭირა.

— გოჩა! — მოულოდნელობის გამო უკან მოწყვეტით წამოიძახა ონისემ და შესდგა.

მოხუცმა შეხედა შვილსა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, შევიდა სახლში და ჩამოჯდა.

— დაიჭი, კედელში გაამაგრე, — გაუშვირა მამამ კვარი, რომელიც ონისემ გამოართვა და ბუხრიდგან გამოშვერილს ჭაჭზედ დადო.

— სად მოდიოდი? — ისევ იმ მბრძანებელის, თუმცა დამშვიდებულის კილოთი გაიმეორა ხევის ბერმა.

— არც-სადა, — ველარა მოახერხა-რა ონისემ.

— ეგ პასუხი არაა, — შეიჭმუხნა წარბი მოხუცმა, რომელსაც უნდობლობა არ უყვარდა.

— ქორწილში ვაპირებდი წასვლას...

— რაიღა ქორწილისაა, ეხლა იქ გალექებული ხალხის მეტი ვინღაა?

— მთები ჩამოთოვლა და ნადირებს ქვეით ჩამოჰყრიდა; ვამბობდი, ქორწილში ვინმე მონადირე იქნებოდა, ნამგალად გავიხდიდი და ნადირობ ერთად წავიდოდით.

ონისემ ეს სიტყვები ხელად მოიგონა, რადგანაც მამა ჩასცქეროდა და მას კი გულის გადახსნა არ უნდოდა.

— ბალღო, რას ხუმრობ?

— რაისთვი ვხუმრობ? — მოუთმენლად შეხედა ონისემ, რომელსაც გადაჰკიდებოდნენ და აღარ ეხსნებოდნენ.

— ამ ფიფქს თოვლში სანადიროდ საით გაისვლების?.. ზოვმა სადმე ჩაგმარხოს, ის თუ არ გინდა?

ონისემ ერთბაშად ვერ მოიაზრა, რომ ფიფქს თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო და ამისთანა მოუაზრებლობა, უმიზეზოდ ძალად გაჭირვების თავს მოხვევა გამოცდილს მოხევეს არ მოეწონებოდა.

— რაისთვი? — მოიწადინა შვილმა შეცდომის გასწორება: — ქარი იყო და ქედებზედ თოვლებს აღარ დააყენებდა.

მოხევემ კიდევ შეხედა და ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა:

— იყუჩე, ბალღო! შენ ცხო რაიმე გაქვს გულში.

— რაი უნდა მქონდეს? — აჩქარდა ონისე.

— არ ვიცი და მაგას არცა გკითხამ, — მტკიცედ უთხრა მოხუცმა და დაუმატა: — შენ ისა სთქვი: იცი, ვისი გორისა ხარ?

ამ სიტყვებზედ რიგი ონისეს შეხვდა, — გაკვირვებით შეეხედა მოხუცისათვის.

— ჰაი, ჰაი, რო ვიცი.

— აბა, მაშ მაგას ნუ დაივიწყებ, — თითის ქნევით უთხრა მოხუცმა და სწავლების კილოთი გააგრძელა: — ვინძლო ქვეყანა არ გააცინო...

ყმაწვილმა ბიჭმა თავი ჩახარა, თითქოს დანაშაული იგრძნოვო და ლოყები წითლად აენთო.

— აბა, მაშ წადი, — წამოდგომით გააგრძელა მოხუცმა: — წადი, სადაც გინდა, ოღონდ ჩემს სიტყვებს ნუ დაივიწყებ... გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი.

ამ სიტყვებზედ მოხუცმა კვარს ხელი დაავლო და შვილთან ერთად დერეფანში გავიდა. იქ კიდევ შესდგა, შეხედა შვილსა, თი-

თქოს რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმაამოუღებლივ გაბრუნდა და სამყოფო სახლში შევიდა.

ონისე კი რამდენსამე ხანს იმავ ადგილს დერეფანში იდგა და ანგარიშმიუცემლად ადგილიდგან ვერ დაძრულიყო.

იმას ესმოდა, რომ შვილის მდგომარეობას მამა მიმხვდარიყო, მაგრამ სადამდე მიუღწევია ამ მდგომარეობას, მოხუცს ჯერ ვერ გამოერკვია, თუმცა ესმოდა, რომ ეს მდგომარეობა მის სახელსაც შეეხებოდა.

მამა ეუბნებოდა: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო“, და სწორედ ამ სიტყვებით აგონებდა იმ მოვალეობას, რომელიც ერთს პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს და მისი საქციელი მთელი ოჯახობის გამაპატიოსნებელი, თუ დამამცირებელი არის. მაგრამ, თუნდა ასეც არ ყოფილიყო, ონისესაც კარგად ესმოდა თავისი ვალი, წუთის თავდავიწყებას საკმაო დანაშაულადა სთვლიდა, ფიცულობდა, რომ აღძრულს გრძნობას გულიდგან ამოიფხვრიდა და სწორედ ამ წადილმა წამოაძახა:

— წავალ, შევალ ქორწილში... ულვაში მაქვს, ქუდი მხურავს და გულიც უნდა დამმორჩილდეს.

ამ სიტყვებთან ერთად ის გაბრუნდა კიბისკენ, რამდენიმე გადახტომაზედ ჩავიდა ქვევით და მივიდა გუგუას სახლში, სადაც ჯერ კიდევ გაცხარებული ტაშ-ფანდური და მხიარულება იყო, თუმცა გათენებას უკვე მოეღწია.

ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონისეს, რომელიც მისვლის შემდეგ ყველაზედ მეტს მხიარულებდა, ყველაზედ მეტს მღეროდა, ყველაზედ მეტს ოხუნჯობდა...

## X

გათავდა ქორწილი. მხიარულების პირველმა დღეებმაც გაიარეს. პატარძალიც სწორებმა წაიყვანეს, ჩვეულებისამებრ, წყლის მოსატანად, იქ გაუქრეს ხაბიზგინები და უმღერეს ამ შემთხვევისთვის შემოღებული ლექსი:

ჩემო ხელისმომკიდეო,
ტაგანაი მომკიდეო...

და ცხოვრებამ მიიღო ჩვეულებრივი სახე.

ძძია გამოდგა ჩინებული, მორჩილი ქალი, რომელიც არასოდეს არა ზარობდა და საქმესა და სახლს მუყაითად ექცეოდა. მისგან არც ჩხუბი, არც წინააღმდეგი სიტყვა არ მოისმოდა და უფროსა

რძლები, ყოველთვის უმცროსების დამჩოლფოტებელნი, ძიძას ნამდვილს დასავით უვლიდნენ.

გუგუა, რომელიც შესტრფოდა თავის ცოლს, ისე შინ არ შემოვიდოდა, რომ ცოლისთვის ან ჩურჩხელის ნაჭერი, ან წითელი ვაშლი არ მოეტანა და გატაცებულის გრძნობით არ დაეკოცნა. მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ საზოგადოდ გაჩუმებული ძიძია, ყოველთვის მარტოობას ეძებდა. და მისი ფერდაკარგული, გაცრეცილი ტუჩები თავის დღეში არ გაიღიმებდა.

ყველანი ცდილობდნენ მის გამხიარულებას, შედარებით ხევის სხვა რძლებთან თავისუფლებას აძლევდნენ, დაჰყვანდათ ხატობაში და სატირალზედ, იმ ერთს თავმოსაყრელს ადგილს, სადაც მთელის წლობით დაშორებული ნათესავები და მეგობრები ერთმანერთს ხვდებიან და დიდხანს შეგუბებულს შთაბეჭდილებას სხვასთან გასანაწილებლად გზას აძლევენ. მაგრამ ძიძია მაინც ისევ ისე გულჩათხრობილი რჩებოდა, თუმცა მას ყველაფერი ჰქონდა: საჭმელიც, სასმელიც, ჩასაცმელიც; არ აკლდა არც მზრუნველები, არც მოსიყვარულე გული, მაგრამ მის არსებას რაღაცა ჩაგრავდა, რაღაცა აღონებდა და ჰღევდა.

პირველში ბევრსა ცდილობდნენ გაეგოთ, რა მოსდის საბრალო ქალსა, მაგრამ ჩქარა იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ, რადგანაც მის გულის სიღრმეში ვერ ჩასწვდნენ და გადასწყვიტეს, რომ ასეთი ხასიათისა ყოფილაო.

ამ ხანში ონისე კი ფშავს წასულიყო, სადაც დედის ძმები ჰყვანდა და იქ ნადირობაში და მეცხვარეობაში აპირობდა დროს გატარებას და ნაღველის გაქარვებას, მაგრამ, როდესაც სადმე ქედზედ გასული თავის ბედს დააკვირდებოდა, მაშინვე ძიძიას სახე განმანათლებლად ჩაეშუქებოდა გულში და სანეტარო ტკბილს მკვნესავს ოხვრაში შეიყვანდა.

ცა, ღრუბელი, ვარსკვლავი, მთვარე, ბუნების მდიდარი სურათები ონისესთვის მდიდარნი და სიტკბოებით სავსენი მხოლოდ იმიტომ-და იყვნენ, რომ მათთან ერთად ეხატებოდა ძიძიას სურათი, მათ სატრფოსთან დადარებით თავდავიწყებამდის ეალერსებოდა.

## XI

გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა და მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი ტყვიისფერი ღრუბელი, რომელიც მწუხრის ზეწარსავით აბნელებდა მთის წვერებს და ხევებს. მასთან ერთად გაჰქრნენ ჩრდილოეთის ცივი ქარებიც, რომელნიც ბაიყუ-

შურის ზუზუნით გაყინულს თოვლს აყრიდნენ დედამიწის გაცოცხლებულს სურნელოვანს ფარდაგს და სულშეხუთულს ახმობდნენ, ფშვნეტდნენ და მტვრად აქა-იქ აბნევდნენ. ბუნება შეიცვალა: მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი წყნარად მრხეველმა ნიავმა დაიჭირა, მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარენი, ბალახმა იგრძნო თავისი ძალა, წამოიწია და თეთრად გადაფარებული თოვლის სუდარი ჯერ დედამიწას ააშორა და მალე, მზის დახმარებასთან ერთად, წყლად აქცია და ქვევით ხევებში ხრიალით და უგზო-უკვლოდ გააქანა. მძიმე, უსიამოვნო ტვირთისგან განთავისუფლებულმა კავკასიის მთებმა თითქოს თმები შეიბერტყეს და დამასევდიანებელის ყინულის მაგიერ მწვანე ხავერდი გადაიფარეს. გაიღვიძეს ყვავილებმა და ნაზად თავის გადაგდ-გადმოგდებით დაუწყეს ერთმანერთს არშიყობა. გამმაგებული მზის სხივი მოუსვენრად ლამოდა მათის მშვენიერებით დატკბობას, მაგრამ მდელოთ კეკლუცნი მორცხვად პირს არიდებდნენ. მარტო დაუსვენარს ფუტკარს ვერ ემალებოდნენ და ნებას აძლევდნენ სურნელიანი ფერფლი მოეკრიფა თავის ნაზის, რბილის, ბუსუსიანის ფეხებით და გამმაგებულს ამოეწოვა აქ სანეტარო ნექტარი.

დილის ნამი მარგალიტსავით ესხმებოდა სიცოცხლით სავსე მწვანე ფოთლებს და მზისგან მეტად გახურებულს მცენარეთა რაოდენადმე აგრილებდა.

ჰაერში გაისმა გალობა და ჭიკჭიკი ფრინველებისა, რომელთაც მთელი სამოთხის ნეტარება მოელოდათ; ტკბილის ძახილით მოუსვენრად იწვევდა ამხანაგი ამხანაგს ამ ნეტარებისთვის. ყველა გაცოცხლებულიყო, ყველას გული სცემდა და მიიბრძოდა ტოლთან საფართხალოდ.

ბუნების ამ საერთო მეჯლიშს დაჰყურებდა ონისე, რომლის გულსაც ჯერ გაზაფხული არ სწვეოდა და ზამთრის ღრუბელსავით ნისლმოხვეული მწარედ ჩაბნელებულიყო.

ყველასთვის ტკბილი, გასახარებელი იყვნენ ეს მედიდური სურათები, მაგრამ ონისეს გულს კი მარტო ნაღველს აწვეთებდნენ და სიტკბოების მაგივრად ძირმწარეს აპკურებდნენ.

ონისე ოხრავდა, ქშინავდა, მოსვენება ვერ ეპოვა და დაჭრილს ლომსავით გამედგრებული გმინვით დადიოდა მთა-ბარად.

ისა სწუხდა და ღონდებოდა, უნდოდა თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო, უნდოდა თავიანთი ანკარა წყაროს ჩუხჩუხი გაეგონა, რადგანაც სხვა ქვეყნის წყალის არამც თუ გემო, არამედ ხმაურობაც კი ისეთს მოალერსად აღარ ეჩვენებოდა, როგორც ვეფხსავით გააფთრებულის, კლდიდგან კლდეზედ მხტუნავის თერგისა. ონისეს

ეხლა თავის ქვეყნის იმ ადგილების ნახვაც კი სანეტაროდ გახდომოდა, რომელნიც უწინ თვალდასანახად ეჯავრებოდა, მაგრამ თავის მხარეში მიბრუნება ვერ გაებედა, რადგანაც ეშინოდა, ღონეს არ ელალატა და მამის სიტყვები: „იცი, ვისი გორისა ხარ?.. ქვეყანა არ გააცინო“, რომელსამე უცაბედო შემთხვევას არ გადაევიწყებინა.

ონისეს იმედი ჰქონდა, რომ ძიძიასთან დაშორება გულის ცეცხლს გაუქარვებდა; ამავე აზრით ეარშიყებოდა თუშის ტანად ქალებს; იმედი ჰქონდა, რომ მათი ალერსი დააკმაყოფილებდა, მაგრამ რაწამს ტკბილს სიტყვას ვისმე ეტყოდა, რაწამს მიუახლოვდებოდა რომელსამე თვალეუეუნას, მაშინვე ძიძია მაცდურად დაებადებოდა თვალწინ და კეკლუცის, ჭკუის ამრევის ღიმილით დაუწყებდა ცქერას; დაუწყებდა ცქერას, აღუშფოთებდა სისხლს, გულს, მთელს არსებას. ის შემოსცინებდა და ამ ღიმილში გამოიხატებოდა სიტყვები: „თავს უბრალოდ აწყვეტ, ვერსად წამიხვალ“. და ეს საკმარისი იყო, რომ ანგელოზის სახე ონისეს ეშმაკად მოსჩვენებოდა.

ამგვარად ატარებდა ონისე დროსა და უიმედოდ, უბრალო ბრძოლაში ლევდა ყმაწვილკაცობის გრძნობას და ცეცხლსა.

ძნელი და მწარე იყო მისი ცხოვრება, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი ფიქრები ერთისა და იმავე გადაწყვეტილებით თავდებოდა და ეს გადაწყვეტილება იყო, რომ ძიძია არ უნდა ჰყვარებოდა და უნდა დაევიწყა.

## XII

ერთს დღეს, არხოტის ერთი მთის ძირას, სადაც თუშებს საზაფხულოდ ცხვარი ედგათ, მწყემსები შეყრილიყვნენ და სადმრთო გაემართათ. მწყემსთა შორის მრავალი მოხევეები იყვნენ, რომელთაც თუშების ცხვარი „დაეზიარებინათ“ და აქ ელოდნენ ყავლის გასვლას.

საკლავები მოხარშულიყო და მოგროვილი ხალხი ერთმანერთს ეთავაზებოდნენ, რომ რიგზედ უფროსობით დამსხდარიყვნენ; ნახევარი წილი ხალხისა კიდეც დალაგებულიყო, როდესაც ქედზედ გამოჩნდა ვიღაცა კაცი, გაშიშვლებული თოფი გადაეგდო მხარზედ, წამოეკეცა ჩოხის კალთები და გამალებული მოაბიჯებდა; მოხდილი ქუდი ხელში ეჭირა და მით ჩქარ-ჩქარად იწმენდდა შუბლსა, რომელზედაც ხვითქი გადმოსდიოდა.

როგორც ეტყობოდა, მომავალი შორის გზიდგან უნდა ყოფილიყო და უეჭველად საჭირო საქმეზედ წასული, რადგანაც ყოველ ფეხის გადმოდგმაზედ ცდილობდა ნაბიჯისთვის მოემატებინა და მით გძელი გზა შეემოკლებინა. მთაზედ მყოფმა ხალხმა მომავალს შეჰკ-

რა თვალი და ყურება დაუწყო. მთაში მგზავრი ძნელადა ხვდება, და ამისთვის ახლადმოსულისაგან ყველა ახალ ამბავს მოელის ხოლმე; ყველას იმედი აქვს რომ თავის სოფლის, თუ სახლობის მდგომარეობაზედ რასმე გაიგონებს და ამის გამო მომავალის ყოველ ნაბიჯს მოუთმენლობაში შეჰყავს მომლოდინე და გულის ძგერით ასურვებს მის ჩქარა მოახლოვებას.

სწორედ ასე იყო ეხლაც. ყველანი წამოიშალნენ და სიტყვებით: „ვინ იქნება? ძალუმ ჩქარა კი მოდის...“ — დაუწყეს ყურება.

მზე მომავლის მხარიდგან იყო და, რადგანაც მწყემსებს შუქი პირდაპირ სახეში სცემდა, ამისთვის იმათაც ხელებით მოეჩრდილებინათ თვალებისთვის და ისე გასცქეროდნენ. მაყურებელთ შორის ონისეც ერია, რომელსაც მოუთმენლობა ყველაზედ მომეტებულად დასტყობოდა და ყველაზედ წინ გასულიყო, რომ უცნობს სხვაზედ ადრე შეჰყროდა.

უცნობი ჯერ შორს იყო და ღელე ჰქონდა გამოსავლელი, რომელშიაც ჩქარა ჩაეფარა. ონისე თვალს არ აშორებდა ამ ადგილს, სადაც ის კაცი უკანასკნელად დაინახა.

მომავალმა ამოიარა ღელე, თავი ამოჰყო ფერდობზედ და ონისემ ერთი შეჰკივლა და სიხარულით მომავლისკენ შავარდენსავით გაქანდა. იცნო თავისი მეზობელი და თავისთან ერთად შეზრდილი მოხევე.

— გზა მშვიდობისა, დათაუ! — შორიდგანვე შესძახა გახარებულმა ონისემ.

— მშვიდობა მოგცეს უფალმა, — გადაუხადა სალამი დათამ.

ორნივ მიახლოვდნენ ერთმანერთს, შესდგნენ და გადაეხვივნენ. მასუკან გაშორებულნი რაოდენსამე ხანს ჩუმად დარჩნენ. ონისეს ვერ მოეხერხებინა ეკითხა რამე, რადგანაც ძალზედ მოწოლილი სურვილი ათასი ამბის ერთად შეტყობისა ნებას არ აძლევდა, რომ ერთერთიდგან დაეწყო გამოკითხვა და დათა კი თითქოს გასჯიბრებოდა და განგებ არას ეუბნებოდა.

ახლადმოსული მეტად დაფიქრებული იყო, რომ მის მხრით ეს სიჩუმე ონისეს ხუმრობად მიეღო; უეჭველია, იმას რალაცა უბედურება მოელოდა და დათა იმიტომ აგვიანებდა ხმის ამოღებას.

ონისემ შეხედა და ფერი ეცვალა.

— რაი ამბოვია, მითხარ? — თითქმის ხვეწნით და ხმის კანკალით წარმოსთქვა ონისემ და უნუგეშოდ ხელები წინ გაიშვირა, თითქოს ეშინოდა არ წაქცეულიყო.

— ამბოვი... მივიდეთ ბინაში და გეტყვით, ყველას გიამბობთ.

ონისეს, როგორც მარტო ერთს საგანზედ დაფიქრებულს, სხვა

ვერა წარმოედგინა-რა, რომ საქმე ძიძიას შეეხებოდა და ეგონა, რომ ახლადმოსული სიბრალულით არ უმქლავნებდა.

იმ წუთებში ონისე ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ დათამ იმის მდგომარეობისა არა იცოდა-რა და, მაშასადამე, მის სიბრალულსაც ვერ იგრძნობდა.

აღგზნებული გონება ფარვანად გადაჰქცეოდა, მისთვის მხოლოდ ერთს ადგილს ანათებდა სიწმინდის ლამპარი და მას დასტრიალებდა, მას ევლებოდა თავსა. სხვა საგანი არც მის გულს, არც მის აზროვნობას არ ეკარებოდა.

— მითხარი, ბალღო, ნუღარ მიმალავ, — ძლივს წარმოსთქვა ონისემ და დაუმატა: — დასაკლავს ხარს რაიღა ყურება უნდა?

ახლადმოსულმა შეხედა ონისეს და დაინახა, რომ სამარის ფერი დასდებოდა. იფიქრა, რომ ონისეს უეჭველად ეგონა, შინ რაიმე უბედურება შეემთხვა და ამისი შეეშინდაო.

— ბეჩა, რაი მოგსვლია? ყველანი მშვიდობით არიან.

— ნუ მომატყუებ, ღვთის მადლსა!

— არა, სპარს-ანგელოზის მადლმა, აბა რაისთვი მოგატყუებ.

ლაპარაკი ისევ შესწყდა. დათა გაბრუნდა მწყემსებისკენ და ონისეც ინსტინქტიურად უკან გაჰყვა.

— დათაუ, მაშ რად არ მეუბნები, რაი ამბოვია? — ისევ ეჭვმა გაურბინა გულში.

— მშვიდობის მეტი არა ვიცი-რა.

— მოიცა-ლა! — შეაყენა ონისემ, მაგრამ ლაპარაკის გაგრძელება კი ვეღარ მოახერხა; სიტყვა ძიძიაზედ უნდოდა ჩამოეგდო, მაგრამ მისი სახელის წარმოთქმა ვერ გაებედნა. დათა იდგა და ლაპარაკის გაგრძელებას ელოდა.

— რაი გინდა? — ჰკითხა იმან ბოლოს.

— მე... მე... მამაი კარგადაა? — ძლივს გაიგნო ენა. ახლადმოსულმა გაოცებით შეჰხედა.

— გონსა ხარ, ბიჭაუ, თუ არა?

— მაშ ძიამბე, მითხარ... მითხარ ყველაფერი, ყველას ამბავი, — აჩქარებით დაიწყო ონისემ და ისეთის მუდარებით შეხედა, რომ კაცს შეეცოდებოდა.

— გოჩაც მშვიდობითაა, შენი ბიძაცა, ღვთის მადლით, შენი ჯალაბობა, ყველა მშვიდობითაა. ისრე არიან, ღვთის მადლმა, თივნის ყურიც არ დაჰკლებიათ.

— მაშ რაი ამბოვია?

— რაი ამბავია და ნუგზარ ერისთავს ჩვენი ყმად გახდომა გაუზრახავს.

— რაო? — გაიკამათა ონისემ ისეთის ხმით, თითქო არ სჯეროდა.

— თუ არ დამმორჩილდითო, ლაშქრით თავს დაგესხმით და ამოგწყვეტავთო.

— სანამ ნურასა სჭამს, სანამ ხევი ვერც ამოსწყვიტოს და ვერც ყმად გაიხადოს, — ამაყად წარმოსთქვა ონისემ და შუბლი შეიჭმუხნა.

ამ ლაპარაკში მოვიდნენ სხვა მწყემსებიც.

— აბა ეგ ნიადაგ აგრე იქნების, მაგრამ ნუგზარის მოუსვენრობა სათემოდ გავარდნილია... რაკი ერთს იტყვის, თავადაც იცით, რომ უსისხლოდ აღარ დადგების...

— მაშ ხევში რას აპირობენ? — იკითხეს იქეთ-აქეთ.

— ემზადებიან... თუ ძალა მოინდომეს, უჩხუბრად ვერ მოვრჩებით: მთებში ყველგან ბიჭები გაგზავნეს, რომ საცა ჩვენი მწყემსები არიან, მოაგროვონ, მეც აქ გამომგზავნეს. მთელი მთიულეთი შეუყრია. ოსებიც მას მისდგომიან და ჩვენზედ წამოსულან... ეხლა თრუსოს ხეობაში თურმე დგანან.

— წავიდეთ, წავიდეთ! — გაისმა რამდენიმე კაცის ხმა, რომელთაც იარაღს გაივლეს ხელი, თითქოს ეხლავ ომში უნდა შერეულიყვნენ.

— ოსებს რაიღა უნდათ? — იკითხა ონისემ, რომელსაც ამ საქმემ ძიძია ერთის წუთით დაავიწყა.

— ოსები ვითომ შუაკაცობენ და საქმით. კი წყალს ამღვრევენ... თავად ჩვენთან ვერა გაუწყვიათ-რა და ახლა ნუგზარაის იმედი აქვსთ.

— აბა, ბიჭებო! გვიანობისა აღარაა! — დაიძახა ონისემ და დაუმატა: — რაიც ამბოვია, იქაც გავიგებთ.

— წავიდეთ, წავიდეთ! — მისცეს პასუხად და გაქანდნენ თავიანთ ბარგისა და თოფებისაკენ.

## XIII

გარიჟრაჟი იყო. თერგის ხეობაზედ ხშირი და ბამბასავით გაპენტილი ნისლი შემოწოლილიყო, მოებურა მთელი მიდამო სოფლები, თითქოს შიგ გახვეულიყვნენ. რამდენიმე ადგილს ნისლი ამოეგლიჯა უმაღლესს მთის წვერებს და ისე მოჩანდნენ, თითქოს ჰაერში დგანანო. მათ ზევით ლაჟვარდოვანი ცა შეწითლებულიყო მზის მოახლოვებულის შუქით. ვარსკვლავებს ეგრძნოთ დღის მოახლოვება და შემკრთალები ნაზის სხივით ძლივსღა ციმციმებდნენ.

გათეთრებული მოხუცი კავკასიისა ამაყად გადმოჰყურებდა სამების წვერს, რომელზედაც ამავე სახელის ტაძარი, ძველი და საკმაოდ მოზრდილი, გამწვანებულს ყვავილიან ველზედ წარსულის მოსაგონებელ ნაშთად დარჩენილიყო. ქვეშ მიმდგარს თანასწორ ნისლს წმინდა სახსოვარი ჩვენის წარსულისა თითქოს დედამიწისაგან განეშორებინა.

ამ ადგილიდგან ყველაფერი მედიდურად მოჩანდა, ყველას ეძინა, გაყუჩებულიყო და თვით ეს გაყუჩება რაღაცა სევდიანს დუმილს ბადავდა. თვით დაუდგრომელს ნიავსაც კი სული გაენაბა და ცელქად აღარ შესთამაშებდა კეკლუც სურნელებს. ათასში ერთხელ დამკრთალი ჯიხვის ფეხით გადმოგორებულის ქვის ხმაურობა თუ დაარღვევდა საზოგადო სიჩუმეს და შეუერთდებოდა მთებიდგან გადმონადენის ჩანჩქარის ჩხრიალს, რომელიც დაძინებულს ბუნებას მშობლიურს ნანას ეუბნებოდა.

ერთბაშად გაისმა გაგრძელებული სტვენა: ეს რომელსამე მოუსვენარს შურთხს ეგრძნო გათენების სიახლოვე ან სიზმრად ტოლი მოლანდებოდა.

გაწითლდა ყირვანწვერის თავი, მზის სხივებმა ოქროს გვირგვინი გადმოაფინეს, თეთრმა უმტვერო თოვლმა ნათლად ბრჭყვიალი დაიწყო. მას მოჰყვა კაკბის კაკანი, რომელიც გაშმაგებით ეძახდა გულის მეგობარს, რადგანაც ბუნების მშვენიერებით მარტო დატკბობა არ ესმოდა. შეფრთხა ჯიხვიც და არჩვიც, ღამემ საკმაოდ დაუღალა მარდი და მკვირცხლი ფეხები, ვარჯიშობა ეჭირვებოდათ, თეთრი, ათასფერად მოკამკამე თოვლი სათამაშოდ იზიდავდა, სასიამოვნო სურნელება ტვინს უმღელვარებდა, თავბრუს ახვევდა და დაჭარბებული სიტკბოება ფრუტუნით უნდა მოეშორებინა. შორიახლო მყოფს „დათვიას ტყეში“ შაშვმაც გრძნობით შესჭიკჭიკა ბუნების სიტკბოებას. ერთბაშად დაჰკრა ზარმა და მისი ხმა ლტოლვით და თანდათან მისუსტებით ამოვარდნილმა ნიავმა გაჰფანტა მთებში. მოისმა მეორეჯერ და მას მოჰყვა ჩქარ-ჩქარი და ხანგამოშვებითი რეკა. ეტყობოდა, სამების ტაძარში მყოფს ყარაულებსაც გაეღვიძნათ.

დილის ნიავმა დაჰქროლა, ნისლი შეარყია, შეაღელვა, მოეშველა მზის შუქიც და ნისლი აღშფოთებულს საყვარელსავით, რომლისათვისაც განთიადს მოესწრო, წყნარად მთა-მთა დაიწყო გაპარვა.

გამოჩნდა ხეობა და მასთან ერთად გველსავით დაკლაკნილი, გამხეცებული და აქაფებული თერგი. სოფლებიც მოძრაობაში მოსულიყვნენ. ყველგან ხალხი მიდი-მოდიოდა, სოფლების წინ ჯგუფ-

დებოდა და რაღაცას მღელვარებდა. ყოველს სოფელთან ხალხის შუა მოჩანდა სასოფლო დროშა, რომელიც ნიავისგან წყნარად ფრიალებდა.

ამ ხანში წმინდის სამების სამრეკლოზედ ზარების რეკა არა სწყდებოდა. ერთბაშად ხალხი შეინძრა, გაისმა „გერგეტულას" სიმღერა და გრგვინვასავით ბანის მიმცემმა ხალხმა ქუდები მოიხადა. მედროშენი დროშებით დაუძღვნენ წინა; უკან წამოჰყვა მოწიწებით ხალხი, რომელიც თავის პატივის და სახელის ნიშანს, სახალხო წმინდანს, ცეცხლშიაც წარბშეუხრელად გადაჰყვებოდა.

ყველანი სამებისკენ გაემართნენ; ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისკენ, სადაც თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო, სადაც თემის საბჭო იყო გამართული და სადაც ერთხელ ხალხისაგან გადაწყვეტილებას ყველა მთიელი ემონებოდა და განუკითხველად ასრულებდა.

მათ სამების საბჭოში მოელოდა ორის კვირით „საწმენდად გასული" ხევისბერი გოჩა და მისნი თანაშემწენი, რომელნიც ორი კვირის მარხულობაში და ლოცვაში იყვნენ, რომ სათემო „დროშის თავის" შეხების ღირსნი გამხდარიყვნენ.

დროშის თავი მათთვის სახუმრო არ იყო: მის წინაშე ნათქვამი სიტყვა ველარ გადაბრუნდებოდა, ყოველი მოხევე სიკვდილს ირჩევდა, მოშორდებოდა დედას, ძმას... გულის საყვარელსაც კი, მაგრამ ამ სათემო კავშირის ნიშნის წინ მიცემულს სიტყვას კი ველარ უღალატებდა.

არც სახუმრო საქმისთვის იყრებოდა დღეს თემობა. თავისუფალთ ყმობას უქადდნენ, დამოყვრებული მეზობლები ომს უცხადებდნენ, გაუმაძღარი ნუგზარ ერისთავი ლომსავით ბრდღვნიდა, მის განუსაზღვრელს წადილს ხალხის დამონებისას მარტო მთიულეთი ველარ აკმაყოფილებდა, მისი ბატონური მოთხოვნილება თავისუფალ მეზობლებთან ველარ თავსდებოდა, იმათი დამორჩილება უნდოდა და უნდა დაემორჩილა, თუნდა ამისთვის მოძმეთა სისხლით შეღებილიყო.

მოხევეებს ესმოდათ, რომ საქმე სახუმრო არ იყო და ღირსეულს ღირსეულად დახვედრას უპირებდნენ.

## XIV

სამების ტაძარი სდგას ყირვანწვერიდგან თავქვე მინდვრად წამოსულს ქედის ბოლოზედ, სადაც პატარა გორას მრგვლად და მოხდენილად თავი აუმართავს და თერგის მხარეს კი ერთბაშად მძიმე დაღმართად დაშვებულა სოფელ გერგეტამდის. აშენებული თლი-

ლის ქვით, საკმაოდ დიდი ტაძარი, სამრეკლო და საბჭო, რომლისთვისაც ჯერ ბუნებას შემოუვლია მაგარი კლდის კედელი და მერე ზოგიერთს ადგილებში კაცის ხელს კიდევ უფრო შეუმაგრებია, ამაყსა და სასიამოვნო სურათს წარმოადგენს.

ამ ადგილს ახლომახლოდ არა აქვს სათალი ქვა, რომლითაც ტაძარი აშენებული არის, წყალიც საკმაო სიშორეზედ ქვევით ხევში ჩამოუდის. გზად მხოლოდ ერთი პატარა ხვეული ბილიკი შესდევს, რომელზედაც ქვევითი კაციც კი გაჭირვებით ადის. ასე რომ პირველსავე შეხედვაზედ კაცი განცვიფრებაში მოდის და ნებაუნებლივ თავის თავს ეკითხება: საიდგან მოუტანიათ ამ ჩინებულის შენობისთვის მასალა, ან რითი მოუზიდნიათ?

საკმაოა ამ შენობის ნახვა, რომ კაცმა გაიგოს, რა შეუძლიან ხალხის შეერთებულს ძალას და მათს ამაღლებულს სულიერს მდგომარეობას. ტაძრის კედელში მხოლოდ ერთს ადგილს ჩატანებულია მარმარილოს ქვა, რომელზედაც ქარსა და ნიაღვარს ჯერ ვერ მოუსწვრია სრულიად ამოეშალა ზედ წარწერა და მწიგნობარს კიდევ შეუძლიან გაარჩიოს სიტყვები „...ხარი ლომა... მწყემსი თევდორე...“ — ეს ორი სახელია, რომელთაც, უეჭველია, დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ამ ხევის წარსულის დიდების აშენებაზედ. მიმავალი ხალხი შეეფინა მთის გვერდოზედ და სწორედ იმ დროს, როდესაც ხალხი შეგროვდა მინდორზედ, ტაძრის გალავნიდგან ჯერ წვერი ამოჰყო დროშის ჯვარმა და მერე მთლად დროშაც გამოჩნდა, რომელიც გაშლილიყო და წყნარად ფრიალებდა. წუთზედ მთელი ხალხი მუხლებზედ დაეცა და მიწასთან გაერთებით თაყვანი სცა სახალხო წმინდანს.

კედელზედ გადმოჩნდა ქუდმოხდილი კაცი, გძელის გაშლილის თეთრი თმით და წვერით. ხამის უმტვერო თეთრი პერანგი, რომელზედაც უბრალო თოკი ქამრად შემოეჭირა, რაღაცა საოცნებოდ მოგაჩვენებდათ მოხუცს. გაბრწყინვებული, მაგრამ დამყარებული მოხუცის სახე, ზრუნვითა და მჭმუნვარებით სავსე, ყველას გულს იგებდა და მისვე უნებურად იმორჩილებდა. ხალხს მოშორდა სასოფლო დროშები, რომელნიც ტაძრის გალავანში შეიტანეს თეთრჩოხა მედროშეებმა და რამდენიმე წუთს შემდეგ დროშის თავს გარს შემოახვიეს. ყველა გაჩუმდა, დაწყნარდა. ჰაერმაც კი იგრძნო, რომ უნდა დამშვიდებულიყო, თავი მოეხარა ამ სახალხო ყრილობის წინაშე, რომელსაც დღეს უნდა გადაეწყვიტა ხევის ბედი. მოხუცმა შეანძრია დროშა და ამ საერთო სიჩუმეში გაისმა პატარა ზარების წკრიალი, რომელმაც შეაკრთო მუხლმოყრილი ხალხი და ძარღვებში ჟრუანტელსავით გაურბინა.

— ამწყალობებენ, ამწყალობებენ! გოჩა ამწყალობებს! — ჩურჩულმა ხალხში ნიავსავით გაირბინა და შესწყდა.

გოჩამ კიდევ შეანძრია დროშა, კიდევ გააწკრიალა ზარები და პირჯვრის გადაწერით მოჰყვა წყნარად, ტკბილად და დინჯად ხალხის დალოცვას. საერთოდ ხალხის დალოცვის შემდეგ დაიწყო იმათი დამწყალობება, ვისაც სათემოდ თავი გამოეჩინა და შრომა და ჯაფა არ დაეშურვებინა თავის ხალხის კეთილდღეობისთვის. დაამწყალობა ისინი, ვინც მტრის განსადევნად მდევარში პირველი გასულიყო, დაამწყალობა ის ვაჟკაცნი, რომელნიც იარაღს გამართულს ინახავდნენ და გაათავა უფლის ვედრებით, რომ მას ხევზედ ხელი არ აეღო და ყოფილიყო მისი მფარველი ყოველს გაჭირვებაში მრავალჟამიერ.

დამწყალობების დროს გოჩას ყოველს შესვენებაზედ ხალხში გრგვინვასავით გაირბენდა: „ამინ, შენს მადლსა“. ამ ხმას მთები მისცემდნენ ბანსა და ათასგვარად შეცვლილ ხმად ჰაერში დაფანტამდნენ.

როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა, ხალხს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი.

აქამდის მშვიდად და წყნარად მყოფი ხალხი ერთბაშად შეინძრა, ერთბაშად აღელდა და უკმაყოფილების გამო კარგახანს ბორგავდა.

— გაჩუმდით! — რამდენჯერმე გაიმეორა ხმამაღლად გოჩამ და, ცოტა ხანს შემდეგ, დაიწყო:

— ღმერთი დიდია და გულუხვი!.. თავის გაჩენილს კიდეც დაარჩენს... ჩვენც არ დაგვკარგავს... რაი უნდა ჩვენგან ნუგზარას, რასთვის გვეჭირება ოჯახობაში?.. ჩვენ ვიცნობთ ქართველთა მეფეს და დღემც გაშავებია იმ მოხევეს, უკულმართადამც მოჰქცევია იმ ქართველის დედას წუთი, რომელმაც მეფის გაჭირვებაში შვილი შეიბრალოს, ხალხისთვის სახლიც, ნაშობიც არა გასწიროს!.. ვემსახურებით ჩვენთა მოძმეთა და აგრეც უნდა იყოს... მაშ ძმა რაისია, თუ გაჭირვების დღესაც ძმას არ მიეშველების?.. მაგრამ ნუგზარაი კი თავს იგდებს და, დღეს გაძრიელებულს, გაუმაძღარი თვალი ჩვენკენ მოუქცევია, ორი მეზობელი ერთურთს უნდა წაჰკიდოს, მოხევეს და მთიულნი ერთურთს შეახოცოს და თავად კი გაბატონდეს... რას იტყვით, ჯამაათნო?.. ნუგზართან ბრძოლა ადვილი არაა, მთიულთაც ძმობა დავიწყებიათ და ჩვენზედ გამოლაშქრას აპირებენ... დავმორჩილდეთ?

დამშვიდებული ხალხი ისევ შეირყა და აღელდა; გრგვინვასა-

ვით გუგუნი ხალხისა გაერთებულიყო და ჰაერს მხოლოდ ერთი მედგარი სიტყვა არყევდა.

— არა, არა, არა! — განუწყვეტლად ისმოდა ხალხში.

ერთბაშად მინდორზედ ხალხის წინ ერთი ყმაწვილი ბიჭი გამოვიდა, რომელმაც ხელით ხალხს გაჩუმება ანიშნა და დაიწყო:

— გოჩაუ! რაისთვი გვეკითხები მაგას!.. ხევმა ძმობა იცის და, ღვთის მადლმა, მოკეთედ მყოფს მეზობელისთვის ჩვენგან ყველა თავს გადასდებს... მოკვდეს ის კაცი, ვინც მოძმეს ვერ გაიტანს, შერცხვეს ის ქუდოსანი, ვინც მეზობელს ღალატად შეადგების!.. მაგრამ ის მოხევეც დაიმარხოს, ვინც ყმად გახდომა ისურვოს!.. ნუგზარაი ცხოგან გახელებულა და ჰგონია ჩვენი დამორჩილებაც ადვილ იქნების. მთიულთაც დავიწყებიათ ჩვენი კაცობა და პურმარილი: ჩვენზედ მოდიან... ერთხელ დაბადებულებს ერთხელ გვინდის სიკვდილი... გავწყდეთ, ხალხო, და ცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ!

— გავწყდეთ, გავწყდეთ, — იყო ამ სიტყვების საერთო პასუხი.

მოლაპარაკეს მიუახლოვდა ვიღაცა მოხუცი, დაეყრდო ჯოხზედ და მიუბრუნდა:

— ონისევ! ღვთის მადლმა, კარგი მამაის შვილი ხარ და თავადაც კარგი ვაჟობა გეტყობის... ჰაი, ჰაი, რომ ვაჟკაცს შერცხვენილს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიან, გაწბილებას — ცოცხლივ მიწაში ჩამარხვა... რაიც სთქვი, ღვთის მადლმა, კარგადა სთქვი და აგრეც უნდა ყოფილიყო!.. მაგრამ მთიულნი ჩვენი ძმები არიან, იმათ მაცდურად შესდგომია ნუგზარაი, ჯერ ვეცადნეთ მათთან მორიგებას და ოსებისა კი რაი მორიდება გვინდა.

ამ სიტყვებზედ ხალხი ორ დასად გაიყო. ერთი ითხოვდა პირდაპირ შებმას განურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე, მეორეს კი მოძმედ შეცდომისთვის მორიგების უცდელად შებმა არ უნდოდა.

ხალხი კარგა ხანს მღელვარებდა და არავითარს გადაწყვეტილებას არ აღგებოდა.

გაისმა ისევ ზარების წკრიალი, რომელმაც ხალხში ისევ სიჩუმე ჩამოაგდო.

— ხალხო! — დაიწყო გოჩამ, — გვიანობისა აღარაა, მტერი კარს მოგვდგომია, გამოვიდნენ თემის თავები... მტერსაც და მოყვარესაც ყველას დახვედრა უნდა... თემის კაცი! — დაიძახა იმან.

ამ სიტყვების შემდეგ ხალხიდგან გამოვიდნენ ჯგუფ-ჯგუფად ამორჩეულები და გასწიეს წმინდის სამების საბჭოში, სადაც ხევისბერის გოჩას თაოსნობით, ხევის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XV

მოთავეთ დიდხანს ლაპარაკი არ დასჭირდათ, რადგანაც ყველას წინადვე ან სიკვდილი, ან თავისუფლება ჰქონდათ გადაწყვეტილი. იქნენ ამორჩეულნი ჯარის მოთავენი, ბელადნი, ქამანდარნი და შუაკაცნი, რომელნიც მთიულებთან მოსალაპარაკებლად უნდა გაეგზავნათ.

ყველაზედ უფროსობა და განკარგულების მიცემა კი უფლებისამებრ გოჩამ მიიღო თავის თავზედ.

ამ ჩვეულებრივი მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების შემდეგ, რომელშიაც ხალხის სურვილი და წადილი გამოითქმოდა, გოჩამ შუაკაცები მთიულეთს გაამგზავრა და ყრილობა კი დაითხოვა, რათა სამის დღის განმავლობაში მომზადებულიყვნენ, მოწყობილიყვნენ და ქუდზედ კაცი სიონის მინდორზედ გამოსულიყო, რადგანაც მტერს ამ ადგილებში უპირებდნენ გზის შეკვრას.

ხალხი დაიშალა და წავიდ-წამოვიდა, გოჩას და სოფლის მედროშეთა გარდა, რომელთაც უკანასკნელად უნდა ელოცათ და ხევის კეთილდღეობა შეევედრებინათ ღვთისთვის.

მომავალ ხალხში, სხვათა შორის, ონისეც ერია და ძალზედ გამალებული მოდიოდა თავის სოფლისკენ, სადაც დიდიხნის უნახავს ძიძიასთან შეხვედრის ნეტარება მოელოდა.

ტოლ-სწორნი, რომელნიც ონისეს გარ შემოჰხვეოდნენ, არ უსვენებდნენ თუშებისა და ფშავლების ამბის გამოკითხვით. მაგრამ ონისე მხოლოდ ერთს საგონებელს წაელო და ამისთვის უსიამოვნოდ და მოკლედ უპასუხებდა.

ისინი ჩამოვიდნენ იმ ადგილს, სადაც ხევის ქალი და რძალი სამების ქედს მოსდებიყო: შავხილსა, ხახამასა და ქუბსა ჰკრებდა.

— უყურე-და, ონისევ! ქალები ცხორსავით არ მოსდებიან ამ ველსა. — უთხრა ონისეს ვიღაცა მოხევემ და გაიშვირა ქალებისკენ ხელი. ონისემ მხოლოდ იმისთვის მიიხედა იქით, რომ თავიდგან მოეშორებინა თავისმომძულებელი მოსაუბრე, რომელიც უშლიდა თავის ფიქრებს დაჰკვირვებოდა და მთლად გულის მოძრაობას ჩაჰბრუნებოდა. მაგრამ, რაწამს მიიხედა, რაწამს თვალი გადაავლო იქაურობას, გული როგორღაც შეუთამაშდა, რამდენჯერმე გაიბრძოლა და შესდგა. ონისე შეჩერდა, გაფითრდა და შუბლზედ ხელი გადისვა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ამხანაგმა, რომელმაც პირისახეზედ ცვლილება შეატყო.

— არც რაი, არც რაი... — საჩქაროდ უპასუხა ონისემ და ბოლოს დაუმატა: — ჭაჭმა ბანდული გაგლიჯა და ფეხიც გამიჭრა.

ამ სიტყვებით კოჭლობით მივიდა ქვასათნ, ჩამოჯდა და ფეხსაცმელის ხდა დაიწყო.

— მაი, მე გაგხდი, — მიუახლოვდა პირველი მოსაუბრე.

— არა მინდა-რა, შენაი ჭირაიმე, არა!.. მე თავად გავიხდი, — უპასუხა ონისემ, რომელმაც აღარ იცოდა, რა საშუალება ეხმარა, რომ მარტო დარჩენილიყო.

— ბეჩაო ჩემო თაო, — დაიწყო ისევ უცნობმა: — რას მეხათრები, ბალღი ხომ არა ხარ?.. მაი, გაგხადო! — გაიშვირა ხელები.

— არ მინდა, მე თავადაც გავიხდი, — ველარ მოითმინა ონისემ და შეუტია, მაგრამ ჩქარა ისევ თავი შეიკავა და დამშვიდებით უთხრა:

— აგერ მზე გადიწვერა, ნულარა გვიანობ... მე დაღალული ვარ და პატარას დავისვენებ.

მეორე მოხევემ შეხედა, აღარა უთხრა-რა, ჩამოიფხატა თვალებზედ ქუდი და გასწია.

ონისე კი ლორლიანებში გადავიდა და იქ ისე მიიმალა, რომ ჩამომვლელებს ვერ შეემჩნიათ, თუმცა თითონ იმათაც ხედავდა და მოხილე ქალებსაც, რომელთ შორის ძიძიაც იყო, უთვალთვალებდა.

სამებაში მყოფი ხალხი მალე ჩამოიკრიფა, რადგანაც ყველა შინ მიეშურებოდა, რომ დანიშნულის დროსთვის მომზადება მოესწრო და ზოზინობისთვის ამხანაგების სასაყვედურო არ გამხდარიყო.

ონისე იჯდა თავის საფარში და გულის ძგერით გასცქეროდა ქალებს, სადაც ხილსა ჰკრეფდნენ და თავისუფლად ერთმანერთს ელექსებოდნენ.

მარტო ძიძია განმარტოებულიყო ამ საერთო მხიარულებას და ცალკე გასული, ფერწასული და დაღონებული თავაულებლივ ხილსა ჰკრეფდა.

შორიდგან რომ შეგეხედნათ ქალებისთვის, მაშინათვე იფიქრებდით, რომ ძიძია იმათ თაბუნს არ ეკუთნოდა, იმათთან საერთო არა ჰქონდა-რა და არც არაფერი აკავშირებდა მათთან. ონისე გულამღვრეული, გონებადაფანტვით შესცქეროდა მოხევის გოგოს და ჰგრძნობდა, რომ მისი ფიქრების მიზეზი ის იყო; უნდოდა დაეძახნა: აქა ვარ, აქ მოდი, მე ვარ შენი ტოლი, მხოლოდ მე შემიძლიან შენი გახარება, მაგრამ სიტყვა პირში უწყდებოდა, რადგანაც ძიძიას ამხანაგებისთვის არ უნდოდა შეეტყობინებინა არც თავისი

სიახლოე და არც თავისი გულის პასუხი. ის ერიდებოდა ძიძიას სახელის გატეხას, მოყივნებას ქვეყანაში.

ქალები თანდათან უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც ონისე იყო დამალული, და მათს მოახლოვებაზედ კი მოხევეს ცახცახი ეკიდებოდა. ისა ჰგრძნობდა, რომ ძიძიას მოახლოვებასთან ერთად რაღაც ძალა ემატება, რომელიც თანდათან მაგრადა ჰკრავს და ჰბოჭავს მოხევის გულს, თანდათან მეტის სიმძლავრით და მედგრად იზიდავს თავისკენ.

ერთბაშად ქალები გაბრუნდნენ სრულიად სხვა მხრისკენ და ონისემ კი სიხარულით კინაღამ შეჰკივლა, რადგანაც დაინახა, რომ ძიძია დანარჩენს ამხანაგებს გამოშორდა და პირდაპირ მოხევისკენ წამოვიდა.

ონისეს ქშენამ იქამდის მოუმატა, რომ გულმა ძალზედ დაგადუგი დაუწყო და განუწყვეტლივ სულსა სტაცებდა.

ძიძია გადმოვიდა ლორღებზედ, დადგა კალათა და ჩამოჯდა იქვე მოჩუხჩუხე წყაროსთან, რომელსაც მიაპყრო სევდიანი თვალები და დაფიქრდა.

ონისე მიიბრძოდა ქალისკენ, მაგრამ რაღაცა გრძნობა ძალას ართმევდა და გაუბედაობაში აგდებდა. ხანდისხან იმ მდგომარეობამდისაც კი მიდიოდა, რომ პირმოკუმულს სუნთქვაც კი ველარ გაებედა, რათა ჰაერის მცირედის მოძრაობითაც არის მისთვის მყუდროება არ დაერღვია და ნაზი ქმნილება არ დაეკრთო.

ძიძიამ ერთბაშად ამოიოხრა, მოერია თვალზედ ცრემლები და წყნარის ზუზუნით მღერა დაიწყო. მერე მარგალიტსავით გადმოეკიდა გრძელსა და შავს წამწამებზედ ცრემლი; იმას მოჰყვა მეორე და ქალმა წყნარად ტირილი დაიწყო.

ონისემ სატანჯავს ველარ გაუძლო და ჩუმად მიუახლოვდა.

— ქალაუ, რაი გატირებს?—ნიავსავით ჩუმის ხმით ჩასჩურჩულა ონისემ, მაგრამ ეს ხმა იქამდის ძლიერად ეჩვენა ძიძიას, რომ მხოლოდ შემოხედვა მოასწრო და გაშეშდა. ძიძია იჯდა გაქვავებულსავით, შესცქეროდა ონისეს და მხოლოდ ტუჩების მოძრაობა უმტკიცებდა, რომ რიღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

— მითხარ, ქალაუ, მითხარ...—დაიწყო ისევ ონისემ და ძიძიას წინ ჩაიჩოქა: — რაისთვი მერიდები, განა შენი ხელისმომკიდე არა ვარ?

ძიძია შეინძრა, მის ლოყებს სიცოცხლის ნიშანი დაეტყო, ელფერი შეუთამაშდა, თვალებმა ბრწყინვა დაუწყეს და გაოცებულს ტუჩებზედ სიხარულის ღიმილი დაეტყო. ძიძია კარგა ხანს იყო იმ

მდგომარეობაში, როდესაც კაცს გაოცება ნებას არ აძლევს თავისი გრძნობა გამოირკვიოს. ბოლოს წინ გამოიშვირა ხელები და წყნარად, მაგრამ გარკვევით, წარმოსთქვა:

— ონისე!.. საით მოხვედი?

ონისე თანდათან უახლოვდებოდა ქალსა, რადგანაც ნახევრად მიწოლილი ხელებზედ დაყრდომილიყო და ხელები კი ცახცახით თანდათან ქალს უახლოვდებოდნენ. მოხევე შესცქეროდა ძიძიას აღგზნებულის თვალებით და აშკარადა სჩანდა, რომ ამდენი ხნის განშორებას მის გულში ტრფიალობის ცეცხლი არამც თუ ვერ გაექრო, არამედ უფრო გაეძლიერებინა და მისი გული სატრფოსთან შეყრის სურვილს უფრო გაეკაპასებინა. მისს მეცადინეობას ამაოდ ჩაევლო, რადგანაც მხოლოდ ერთი შეხვედრა ძიძიასთან, ერთი თვალის მოკვრა საკმარისი იყო, რომ ყოველისფერი ხელახლად გადაევიწყებინა და აკანკალებულის ხმით და მთრთოლარე ტუჩებით მარტო ამ ქალის სახელი შერჩენოდა, თითქოს მისთვის ქვეყანაზედ ამის მეტი სიტყვა აღარ მოიძებნებოდა...

— ძიძიაუ, ძიძიაუ!..—იმეორებდა ის მეათასედ და ხმა ისეთგვარად ტრიალებდა, ისეთგვარად გამოისმოდა, რომ მართლადაც თავის გრძნობის გამოსათქმელად უკეთესს ვეღარას მოიგონებდა.

ეს სახელი ონისესთვის მეტად ძვირფასი იყო, რომ მის თანაბარი სხვა სიტყვა კიდევ რამ ჰქონოდა, ან ისეთის ძალით წარმოთქმა შესძლებოდა. აშკარა იყო, რომ ძიძიაცა ჰგრძნობდა ამ სიტყვებს, რადგანაც გაკვირვება თანდათან შორდებოდა; მისი ნაზი სხეული ონისესკენ იხრებოდა და კეკლუცი სახე, რომელიც თანდათან მეტად ენთებოდა, მოხევეს უახლოვდებოდა.

გაიარა წუთმაც და ორი ცბუნედილი ქმნილება, ერთმანერთის სუნთქვისაც კი ერთმანერთში გადამნერგავნი, მიუახლოვდა და გაშმაგებულნი შესცქეროდა ერთმანერთს. სწორედ ამ დროს ცელქმა და მოუსვენარმა ნიავმა დაჰქროლა და ძიძიას მოგლიჯა თავშალი. ხშირი და გრუზი შავი დალალები გადმოცვივდნენ და ონისეს სახეს ციგლიგი დაუწყეს. ეს-ღა აკლდა, რომ ორთავეს უკანასკნელი ძალაც მიხდოდათ და მათი ტუჩები წუთზედ შეწებებულიყვნენ...

ვინ იცის, საღამდის გაგრძელდებოდა, საღამდის გასტანდა მათი ტრფიალი, თუ მოახლოვებული ქალების ხმაურობას შეყვარებულნი თავდავიწყებიდამ არ გამოეყვანა.

ძიძიას მოაგონდა თავისი მოვალეობა, რომელიც ხალხის რწმუნებით ხელისმომკიდეს ანათესავებდა, და ამ ფიქრმა გამსჭვალა. წარბები შეეკრა, სახე დაებრანჭა და მეტისმეტმა ტკივილმა, რომე-

ლიც გულსა და ღვიძლში უვლიდა, გააფითრა. ქალმა ხელისკვრით მოიშორა ონისე და ფეხზედ წამოიჭრა, გაბრუნდა და უკან მოუხედავად გაემართა ამხანაგებისკენ. ონისე კი იმავ ადგილს დარჩა გაწამებული და დაღონებული, რადგანაც ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა მიზეზი იყო ძიძიას ისე წასვლა.

ძიძია შეუერთდა ქალებს, რომელთაც ჩამოიარეს ღორღიანი ადგილი და ონისე კი გულის ძგერით უცქეროდა თავის სანატრელს, რომელსაც ქორწინების შემდეგ ტუჩებზედ პირველად გადაშლოდა ვარდი, თვალებში გაბრწყინვებოდა სიამოვნების ნაპერწკალი და ჯეირანსავით ყელმოღერებული კოხტად მიგოგავდა.

ონისე უყურებდა გულის ძგერით და ნებაუნებლივ გუნებაში კითხვა ებადებოდა: „ასე თავი რად დაანება, რატომ არა უთხრა-რა, ან კიდევ შეხვდებოდა როდისმე მასთან ალერსი?“

ქალები გასცდნენ და ონისეც წამოდგა ზეზედ. ის გაიზმორა, მედიდურად მიიხედ-მოიხედა და რაღაცა ძალი იგრძნო, რომელსაც თავის თავს დღემდის ვერ ამჩნევდა. ძიძიას უყვარდა—ქვეყანა თავისი ეგონა!...

## XVI

სადაც ეხლა საქართველოდგან ჩდილოეთისკენ გზა მიდის, სოფ. კობის ქვეიდგან, რაკი სამტვეროს მინდორს ჩამოსცდება, გზა გრკალსავით იხრება და სამხრივ ჩამოლესილს სიონის კლდეს სარტყელსავით ერტყმება. ზედ კლდის წვერზედ ამაყად ამართულა მაღალი კოშკი, რომელიც მედიდურად და მტრის გულის გასახეთქად სდარაჯობს იმ ხეობას. ეს ადგილი მბძანებლობს იქ გასავლელს ადგილებზედ და .მოსავლელი მხოლოდ ნაროვანის უღელტეხილიდგანა აქვს. შემკობილი მშვენიერის საძოვრით, წყალითა და ტყითა, ბუნებითვე ძნელს გასატეხს სიმაგრედ შექნილი, ხევისთვის წარსულს ცხოვრებაში ერთსა და უპირველეს სანუგეშო ადგილად ითვლებოდა. სიონის კლდის თავზედ გადაშლილიყო პატარა მინდორი და ზედ გაეშენებინათ ჭაჭით და ბასრი ქვით აგებული სახლები, რომელნიც ბუნებისგანვე გამაგრებულს ადგილს უფრო მეტად ამაგრებდნენ.

აი ეს ადგილი გახლდათ, სადაც ხევი იკრიფებოდა, რომ წარსულის დროს მტარვალის წადილს წინ გადასღგომოდა და მისი მოსისხლე სურვილი შეემსუსრა.

რადგანაც გოჩას ხევის დასაცველად მეტად ბევრი ხალხი სჭირდებოდა, ამისათვის ხევისბერმა გასცა განკარგულება, ვისაც

ხევში იარაღის ტარება შეეძლებოდა, ყველა ბრძოლის ველზედ გამოსულიყო, ხოლო რათა დედაკაცებიც უსაქმოდ არ დარჩენილიყვნენ ამ საერთო საქმეში, ვალად დაედოთ მთებიდგან, სადაც ცხვარი საწველავად ედგათ, ჯარისთვის ყველი, ერბო და რძე ეზიდათ. პური კი ყველას თავთავიანთ სახლიდგან უნდა მოსვლოდა.

ამგვარად მოზიდული ხორაგი ყველას თანასწორად ეძლეოდა, თუმცა მიმღებთ შორის ისეთნიც ერივნენ, რომელთაც საკუთარი ცხვარი სულაც არა ჰყვანდათ.

ტყვია საკმარისი ჩამოჰქონდათ ხდიდგან, გვარჯილას ჰკრეფავდნენ შიგვე სოფელს სიონში გამოქვაბულს კლდეებში, სადაც თეთრ მარილსავით მიწაზედ ეყარა და გოგირდი კი წინადვე ჰქონდათ დამზადებული. იქვე სწვავდნენ არყის ხესაც და ამგვარად ამზადებდნენ თოფის წამალსა.

მოხევენი ამაგრებდნენ აგრეთვე სიონის წინ მდებარე სამტვეროს ტყესა და საზოგადოდ ისე ემზადებოდნენ, თუ ბედი უკუღმა დაუბრუნდებოდათ, ძვირად დაესვათ თავიანთი დამარცხება.

ერთს ბნელა ღამეს, როდესაც კაცი თვალთან მიტანილს თითსაც კი ვერ გაარჩევდა, სამტვეროს თავში მოისმა წყნარი ხმაურობა რამდენიმე მომავალი კაცისა. ისინი მოუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ბილიკი ტყეში შედიოდა, მაგრამ ერთბაშად იძულებულნი იქმნენ შემდგარიყვნენ, რადგანაც გაიგონეს რამდენიმე კაცის ხმა.

— ვინაა? შესდგეს თუ თავი ებრალება.

ამ სიტყვებთან ერთად მომავალთ იგრძნეს, რომ მათ მკერდებს თოფის ტუჩები შეეხოთ.

ისინი შესდგნენ.

— ვინა ხართ? — იკითხა ისევ იმ უცნობმა, რომელიც პირველში გამოელაპარაკა.

— ჩვენა: წმინდი-სამების ყმები, — იყო პასუხი.

— სად მიხვალთ?

— გოჩასთან.

— საიდგან მოდიხართ?

უშიშრად ეპასუხებოდა ერთი მომავალთაგანი, რომელმაც დაუმატა: — ონისე, შენ არა ხარ?

— ჰო, მე ვარ, — უპასუხა ონისემ და პირისახის ახლო მიტანით ჩააკვირდა უცნობს: — აჰუ, ვეღარ გიცან, თოლიკაუ!.. მოხვედ მშვიდობით.

— მშვიდობა მოგცა უფალმა, — უპასუხა ახლადმოსულმა და დაუმატა: — გოჩა სადაა, იმისი ნახვა გვესწრაფის.

— იარეთ, — მიუგო პასუხად ონისემ და გაუძღვა წინ.

თოლიკე იყო ერთი იმ შუაკაცთაგანი, რომელნიც მთიულებთან იყვნენ გაგზავნილნი და ყოველი მოხევე გულის თრთოლით მოელოდა მათს დაბრუნებას.

რასაკვირველია, ონისესაც გულით უნდოდა შეეტყო, რა პასუხი მისცეს მთიულებმა, მოუხდებოდათ დამოყვრებულ ხალხთან ჩხუბი, თუ მშვიდობიანად მოშორდებოდნენ ერთმანერთს, მაგრამ რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო საიდუმლოება არ გამომჟღავნებულიყო, — კითხვას ვერც კი ჰბედავდა.

იმას არც კი შეუმჩნევია, რომ ამ გამოკითხვის სურვილი ჰქონდა და თავის სიმუნჯით ამ საგანზედ ამტკიცებდა, რაოდენად პატივსა სცემდა ხალხის სარგებლობას და რაოდენად ესმოდა სიჩუმის საჭიროება.

შუაკაცებიც ქვასავით გაჩუმებულები მისდევდნენ ონისეს და იმ წუთს რომ ასო-ასოდ დაეჭრათ, მინდობილს პასუხზედ საჭიროებამდე ხმას ვერ გააწყალებინებდნენ. იმათ კარგად ესმოდათ, რადგანაც საუკუნოებით შესჩვეოდნენ, ერთს მომეტებულს სიტყვას ხანდისხან რა ვნების მოტანა შეუძლიან.

ისინი მივიდნენ გოჩასთან, რომელიც მოსულთ დანახვისათანავე ფეხზედ წამოიჭრა, შეიყვანა შუაკაცები საწოლაში და დასხა უბრალო ფიცრის ტახტზედ, რომელიც ხევისბერს სარეცლადა ჰქონდა გაკეთებული.

ონისე, რომელიც იქვე იდგა, ელოდა გოჩას ბძანებას და მოხუცმაც დიდხანს არ დააგვიანა.

— ბალღო, ამათ მოჰყევ? — ჰკითხა მან ონისეს.

— ჰაი, ჰაი, — იყო პასუხი.

— კარგი, წადი, მიჰხედე შენს ამხანაგებს. ვინძლოთ, ფრთხილად იყვნეთ, — უთხრა გოჩამ და მბრძანებელის კილოთი დაუმატა: — არავინ გამოგეპაროსთ, თორემ თქვენის თოლების მეტი ვეღარა გიხსნით-რა.

— ბეჩაო ჩემო თაო! — ამაყად წამოიძახა ონისემ და მედიდურად დაუმატა: — ქუდები არ გვხურავს?! მშვიდობით. — ოდნავ თავი დაუკრა და გამოვიდა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — დალოცეს ახლად-მოსულებმა და მამამ კი თუმცა ხმა აღარ გასცა, მაგრამ ისეთის სიყვარულით გააღევნა თვალი, იმდენი სიამოვნება გამოიხატებოდა იმის სახეზედ შვილის პასუხის დროს, რომ ყველა აშკარად დაინახავდა, — მოხუცს მზე და მთვარე ონისეზედ ამოსდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XVII

ვიდრე მოხევენი სამზადისში იყვნენ და თავიანთ ადგილებს ამაგრებდნენ, ნუგზარ ერისთავიც არ იყო გულხელდაკრეფილი და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა თავისი ჯარი გაემრავლებინა, რათა აუარებელის რიცხვით ხევს თავს დასხმოდა და ერთბაშად ძლიერის შეტევით მოემტვრია მოხევეთა სიკერპე.

ის არ კმაყოფილდებოდა ოსების და მთიულების უმრავლესის ჯარით, იმას უნდოდა საქმეში ჩაერია ხანდოსხეველნი, ქართლელნი და გუდამაყრელნი, რომლებთანაც კაცები გაეგზავნა და დღედღეზედ პასუხს მოელოდა. ამათ გარდა ის მოელოდა კიდევ ლეკებს, რომელთა დაპირებაც დიდად აიმედებდა.

ნუგზარ ამგვარს საქმეებში გამოცდილი იყო, კარგად იცნობდა ხევსა. თავს არ აიმედებდა, რომ საქმე სახუმროდ გათავებულიყო, ის ვაჟკაცი და შეუბრალებელი იყო, სისხლის ღვრა მისთვის დროს გასატარებელი მეჯლიში იყო, მაგრამ მას გოჩასი ეფიქრებოდა, რადგანაც ამის მოაზრების და გამოცდილების სახელიც მთელს მთაში გავარდნილი იყო.

ერთს დილით გარიჟრაჟზედ მთიულების ურდოში შევიდა ტანად მოსული და კარგად ჩასხმული ვიღაცა წვერიანი კაცი. იმის ჯაჭვის პერანგი, თვალებით და მძიმედ ოქროთი შეჭედილი ხმალი, ოქროთივე ნაჭედი ჩაჩქანი ამტკიცებდა, რომ ის უბრალო მთიულებს არ ეკუთვნოდა და რომელიმე გამოჩენილი გვარისა უნდა ყოფილიყო. იმის ტლანქის პირისახის ნაკვთები, სქელი და რაოდენადმე გადმობრუნებული ტუჩები, მსხვილი მოგრძელო ცხვირი, განიერის ნესტოებით და პატარა, ქუთუთოებ შეშუპებული თვალები ამტკიცებდნენ მის შეუბრალებლობას და დაუდგრომელს მხნე ხასიათს. ხშირი და გაერთებული შავი წარბები ნაოჭად შეკრულს შუბლთან ერთად უფრო მომეტებულს სიმკაცრის ბეჭედს ასვამდნენ იმის ისეც უსიამოვნო სახეს და რამდენიმე ხაზი, რომელიც თვალის კილოებიდგან სხვადასხვა მხარეს შუქსავით იბნეოდნენ, აშკარად გიჩვენებდნენ, რომ ცხოვრებაში მოთმინების მიმყოლი არ უნდა ყოფილიყო. იმის მისვლასთან ერთად მთიულების ურდო შეიძრა და უფროსი კაცები მისალმებით მიეგებნენ.

ხალხი მისვლის უმალ ქუდს უხდიდა და მდაბლად თავის დაკვრით ეუბნებოდა:

— ბატონს ნუგზარს გაუმარჯოს, ბატონს ნუგზარს ვახლავართ! — და ისიც სიამპარტავნით და მედიდურად ოდნავ თავის მოხრით სალამის ღირსად ძლივსა ხდიდა.

ნუგზარ მივიდა იმ ადგილს, სადაც ურდოს შუაგულში ცეცხლის პირას ნაბადი იყო დაგებული და ზედ მოიკეცა. მთიულთა ჯარის უფროსნი გარს შორიახლო შემოეხვივნენ.

— დასხედით, სიტყვა მაქვს, — მოკლედ, მაგრამ მბრძანებლის კილოთი და ბოხის ხმით დაიწყო ნუგზარმა.

მთიულებმა მოიკეცეს ბალახიანს ველზედ და მოთმინებით ელოდნენ, რას ეტყოდა იმ ხანებში ქართლში ნათესავების შემწეობით გამძლავრებული ერისთავი.

— ხალხო! — დაიძახა ნუგზარმა და ხმაში მრისხანება დაეტყო: — გუდამაყრელებსა, ხანდოსხეველებსა და ქართლელებს უარი შემოუთვლიათ ჩვენს დახმარებაზედ, და ვფიცავ ანანურის ღვთისმშობელს, რომ მკაცრად გადავუხდი მაგ უარისთვის, გავუმწარებ სიცოცხლეს და მზეს დავუბნელებ... ვეცდები, რომ მათ სოფლებში იმდენი ყვავილი არ გაწითლებულიყოს, რამდენსაც მათი სისხლით შევღებავ, იმდენი ყორანი არ მოიპრვებოდეს, რამდენსაც შავად შევმოსავ... იმათ მოთავეებს ჩემის ხელით ამოვგლეჯ გულებს, სიამოვნებით გამოვწურავ სისხლს და ჩემი გული მაშინ დამშვიდდება, როდესაც ხელი იგრძნობს მათს უკანასკნელს ფართხალს...

აქ ნუგზარ შესდგა რაოდენსამე წამს. მისი თვალები ბოროტების ცეცხლით აინთნენ და ჩასისხლიანდნენ. მსმენელთ შორის ბევრნი ისეთნი იყვნენ, რომელნიც პირზედ ღიმილით სიკვდილს ათასჯერ პირმოცინარნი შეჰგებებოდნენ და განუწყვეტლივ ბრძოლაში გული კაჟად გადაჰქცეოდათ, მაგრამ იმათაც კი ველარ შეიმაგრეს თავი და ნუგზარის სიტყვებზედ რალაცა ალშფოთებამ უსიამოვნო ჟრიანტელად გაურბინა სხეულში. ხალხში სრული სიჩუმე იყო, ყველას სული გაენაბა.

— მაგრამ ეგ შემდეგისაა!.. მოხევეებისთვის ჩვენცა ვკმარვართ... მე არ მინდოდა ბევრი ბრძოლა, ვფიქრობდი ერთბაშად გამესრისა ისინი, მაგრამ არა უშავს-რა... ხმლის თითო მოქნევის მაგიერ, ოროლჯერ მოვიქნიოთ და ისევ ის იქნება... ნულარ ვიგვიანებთ, წავიდეთ დღესვე!

ნუგზარ, რომელიც თანაგრძნობის ყიჟინს მოელოდა, ერთბაშად შესდგა; ხალხში სიჩუმე ოდნავის შერხევითაც არ დარღვეულა. ნუგზარმა შეხედა იმათ და სახეს სიბრაზის ალმურმა გადაჰკრა.

— ხალხო, ეს რა ამბავია? — წარმოსთქვა იმან ცუდად დაფარულის თავშემაგრებით.

ამაზედაც სრული სიჩუმე იყო პასუხად. ნუგზარმა ველარ მოითმინა და მრისხანედ წამოიძახა:

— აქაც ღალატია, თუ შიში?!.. ლაჩარო, დიაცებო... ვინ გაბე-

დავს ჩემს წინ უარს?!.. ვინ არ გამომყვება? — ნუგზარ გადგა განზედ და კრებას ისეთ რიგად დაუწყო ყურება, თითქოს თვალებით შექმას უპირებდა.

მთიულთა მეთავეთ შორის გამოვიდა ერთი და პირდაპირ ნუგზარს დაუდგა.

— მე, შენი კვნესა-მე!... მე არ გამოგყვები.

ამ სიტყვებზედ ნუგზარმა თოფის წამალსავით იფეთქა, გაივლო ხმალს ხელი, მაგრამ თავი ისევ შეიკავა.

— შენა?.. შენ ამბობ მაგას?.. მაგრამ მართალი ხარ... შენი კაცობა ვის გაუგონია, შენი საქმე მანდილოსნებში ყოფნაა... წადი შინ, მოუჯექ დედაკაცებს, ბრძოლის ველზედ შენ რა ხელი გაქვს?.. შენს მაგიერ შენი ჯარი მოთავედ სხვას ამოარჩევს და, უეჭველია, ის შენზედ გულადიც იქნება.

მთიული, რომელიც მოთმინებით ელოდა ნუგზარის სიტყვების გათავებას, ერთბაშად გაიმართა წელში და მხოლოდ ხმის მცირედს ცანკალზედ შეატყობდით, რომ საწყენი სიტყვები გულამდის ჩასწდომოდა.

— ჩვენი თავი, ნუგზარაუ, მეფემ შენ ჩაგაბარა... შენი სახელი დღეს მეფის სახელია და იცი, რომ იმის სახელი გიფარავს, მთიული ქართველთ მეფის წინ ხელს ვერ გასძრავს... რად მლანძღავ?.. ჩვენგან არც ერთი არ წამოვა, არც ვინ არ მოგექომაგება... რაი გვაქვს გასაყოფი მოხევეებთან?... არა, ხალხო? — მიუბრუნდა მთიული დანარჩენებს.

— მართალია, მართალი, ღომისის მადლმა! — გრგვინვასავით გაირბინა ხალხის ხმამ. ამის ნახვაზედ ნუგზარი რაოდენადმე შეკრთა და აირია, რადგანაც ამგვარად საქმის დატრიალებას არ მოელოდა, მაგრამ, როგორც გამოცდილმა კაცმა, თავი მალე შეიკავა და უფრო დაწყნარებით ჰკითხა:

— მაშ სიტყვა რად მომეცით, რადა მპირდებოდით?

— შენ გვითხარ, რომ პირიქითელს ოსეთზედ უნდა გავილაშქროთო, გვითხარ რომ ჩვენს მეფეს ეწინაალმდეგებიანო, მოგვატყუე, რომ მოხევეებს ოსების მხარე უჭირავსთო და იმად წამოგყევით.

— მართალი არის... მოხევეებს ოსების მხარე უჭირავსთ, უნდა გადავახდევინოთ.

— ტყუილია, ტყუილი! — ერთხმად იგრიალა ხალხმა.

ნუგზარ სიბრაზით ტუჩებს იკვნეტავდა და გულით უნდოდა შეეტყო, ვინ შეატყობინა მთიულებს ეს ამბავი.

— ვინ გითხრათ რომ, ტყუილია? — ერთბაშად წამოიძახა ნუგ-

ზარმა, რომელიც იმედობდა, რომ მოღალატის სახელს გაიგონებდა.

— თავად გვითხრეს, თავად! — მოისმა რამდენიმე კაცის ხმა.

— და თქვენც დაუჯერეთ?! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — ბოროტად გაიხარხარა ნუგზარმა.

— რად არ უნდა დაგვეჯერებინა?

— იმიტომ, რომ თქვენი შეშინებიათ და უნდათ თავიდგან მოგიშორონ.

— ტყუილია, ტყუილი! — განიმეორა ხალხმა საერთოდ.

ნუგზარ მთლად გალურჯდა სიბრაზისგან, რადგანაც ამგვარ პასუხს ის დაჩვეული არ იყო. იმ წუთში იმას რომ შესძლებოდა, იქავ ყველას გასრესდა, გაანადგურებდა, მტვრად აქცევდა და ქვეყანაზედ გაჰფანტავდა, მაგრამ ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ ნებაუნებლიედ თავი უნდა შეეკავებინა.

— მაშ იმათი სიტყვა გჯერათ? — იკითხა ნუგზარმა.

— გვჯერა, ღმისის მადლმა! — მისცა რამდენიმე კაცმა პასუხი: — გვჯერა იმად, რომ მოხევის კაცები იყვნენ, შემოგვფიცეს და ჰქდე დასდეს... ჰდეს საით ეღალატების, არა, ხალხო?

— არ ეღალატების, არა!... წავიდეთ, დავბრუნდეთ შინა! — ყვიროდნენ მთიულები, რომელნიც აიშალნენ, აირივნენ და თავიანთ ბინას ხელი წამოავლეს.

კარგა ხანს გრძელდებოდა ქღავილ-ქღუილი და ჩოჩქოლი, რომელიც მხოლოდ მაშინ შესწყდა, როდესაც მთიულები პირველს ბეგობას გადაეფარნენ. დაცარიელებულს მინდორზედ მარტო ერთი კაცი-ღა დარჩა. იმისი დაღვრემილი სახე ღრმა ფიქრს წაეღო და მთლად გაფითრებულიყო.

კარგა ხანმა გაიარა, რომ ეს კაცი ასე გაქვავებული იდგა, თითქოს განძრევის თავიც აღარა ჰქონდა. მერე ერთბაშად აიქნია თავი, დაალრჭიალა კბილები და მუქარით წამოიძახა: — თქვენი ფეხი დამკარით, თუ დღევანდელი დღისთვის არ გადაგიხადეთ!

## XVIII

თრუსოს ხეობის გამოსასვლელში, სადაც თერგი ვიწრო ხეობიდგან თავს აღწევს და იშლება კობის გადაჭიმულს ვაკეზედ, ოსების უკანასკნელს სოფელს ოქროყანასთან, საკმაოდ ხალხი მოგროვებულიყო და მხიარულის სიმღერით დროს ატარებდა. თუმცა ეს მხიარულება და განუწყვეტელი ყიჟინა ამტკიცებდა, რომ შეკრებილი ხალხი რაღაცა სიამოვნებაში იყო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ისინი არც რომელსამე დღეობას შეეყარა, რადგანაც არც

ერთი ქალი არ მოჩანდა მათ შორის, და არც რომელსამე სახალხო დროს გატარებას; ყველანი თავიდგან ფეხებამდის შეჭურვილნი იყვნენ და ურიცხვი ბარგაკიდებული ცხენები ჭიხვინით ტოტებსა სცემდნენ მიწას და აქეთ-იქით მოუთმენლად მიიზიდებოდნენ.

ხალხი მოძრაობდა და რაღაცა მღელვარებაში იყო, ეტყობოდათ, რომ აქ დაბინავებას არ აპირობდნენ და მალე გზად უნდა გამართულიყვნენ.

ესენი ამ ლხინში იყვნენ, როდესაც თრუსოს ხეობის ხვეულს ბილიკზედ კორიანტელი ავარდა და მომღერლების ყურადღება მიიქცია.

ყველანი გაჩუმდნენ, გაიშალნენ და იმ ადგილს დაუწყეს ყურება, საიდგანაც მოჩანდა მტვერი. მტვერი თითქოს მოძრაობდა, ადგილს იცვლიდა და შეკრებილს ხალხს თანდათან უახლოვდებოდა.

აშკარა იყო, რომ რამდენიმე მხედარი ცხენებს მოაჭენებდა, მაგრამ ცხენების ფეხით ავარდნილი მტვერი და გზის ნაპირას მყოფი ქვები მაყურებელთ უშლიდა მომავალნი დაენახათ. ცოტა ხანმაც ამ მდგომარეობაში გაიარა და ერთს ჩამოლესილს კლდის ნაპირაზედ, ერთბაშად, თითქოს მიწიდგან ამოიზარდნენო, გამოჩნდა რამდენიმე ცხენოსანი. ამ ადგილს ბილიკი ისე ვიწრო იყო, რომ გეჩვენებოდათ, თითქოს მომავალნი კლდიდგან ცხენებს გადმოხტომას უპირებენო; ისე ჰქონდა კლდეს ცხვირი წამოწვდილი, რომ მომავალთა სურათი ცის ტატნობზედ იხატებოდა, მედიდურს და გულისშემტაცებს ოცნებად მოგეჩვენებოდა და გასურვებდათ მათთვის თვალი არ მოგეშორებინათ, მაგრამ სწრაფად გამოჩენილები სწრაფადვე ჩაიმალნენ ამაღლებულს ქედის უკან, ისე, თითქოს წუთზედ ამოჩენილნი წუთზედვე მიწამ ჩანთქაო.

თუმცა ამ სურათის ცვლილება წუთზედ მოხდა, მაგრამ შეყრილის ხალხისათვის ეს მცირე ხანიც საკმარისი იყო, რომ მგზავრები ეცნო.

— ნუგზარაი, ნუგზარაი მოდის! — დაიძახა სიხარულით ხალხმა და სიამოვნების ღიმილმა გაურბინა პირისახეზედ.

დიაღ, ეს გახლდათ ნუგზარი, რომელიც მოაჭენებდა თავის ერთგულის ოსების ურდოსკენ, სადაც პირობისამებრ ისინი უნდა მოგროვილიყვნენ, აქ შეერთებოდნენ მთიულებს და საერთო ძალით ხევზედ გალაშქრებულიყვნენ.

სიტყვა არ უნდა, რომ იმათ გულით უნდოდათ გადახდევინება იმ ხალხისა, რომელიც მათსა და ქისტეთს შუა სოლსავით შეჭედილიყო და დამეზობლებულ ხალხთათვის საშუალება მოესპო გადაუხდევინებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს დასცემოდა.

ოსებს უნდოდათ გასრესა ამ ხალხისა, რადგანაც, შუაში შექრილი, ყოველ მხრივ მტერშემორტყმული თავშეუწყვეტლივ იცავდა საქართველოს ალაყაფის კარს და მარჯვნივ თუ მარცხნივ მამულის სადიდებლად ბასრს გორდას იქნევდა.

რაღა თქმა უნდა, რომ ნუგზარის მიშველება იმათ წადილს ეთანხმებოდა და ამ ბრძოლის შემდეგ ისინი იმედობდნენ, რომ ფართო ასპარეზი დარჩებოდათ თავისუფალის ავაზაკობისათვის.

ოსებს ძალიან გაეხარდათ ნუგზარის დანახვა, მაგრამ მისგან ისე ცოტა ხალხით მოსვლა მაყურებლებს მეტად აკვირვებდა, რადგანაც ნუგზართან ერთად მთიულებსაც მოელოდნენ; ოსებმა სრულიად არა იცოდნენ-რა მთიულების შინ დაბრუნებისა, რადგანაც უკანასკნელები პირდაპირ ლომისის მთაზედ გადასულიყვნენ და ოქროყანას მოგროვილ ოსებს ველარ შეხვდებოდნენ.

— მარტო რად მოდის? საკვირველია, ღვთის მადლმა!—იძახდნენ ოსები, მაგრამ ისევ მალე მშვიდდებოდნენ ზოგიერთების პასუხით:

— ალბათ, ჯარი უკან მოდის და ეგ კი თავდარიგის მისაცემად წინ წამოსულა.

ამ სიტყვების შემდეგ ოსების ურდოდგან განცალკევდა რამდენიმე გამორჩეული მხედარი, ამხედრდა და თავსბრუ დამხვევის სისწრაფით ნუგზარის მისაგებებლად გაჰქუსლა.

ყველანი მიაჭენებდნენ სიმღერით, თოფის სროლითა და ყიჟინით და თანდათან უახლოვდებოდნენ ერისთავს, რომელსაც ამხანაგებთან ერთად მთის ბილიკებიდგან ჩამოსვლა მოესწრო და გათქვირებულს ცხენს, მთლად ოფლში გაქანებულს, მოაქროლებდა.

ოსები და ნუგზარ გაექანნენ ერთმანერთისკენ და ცხენებს ჯილავი მხოლოდ მაშინ მოსწიეს, როდესაც მათი შუბლები თითქმის ერთმანერთს შეეხო. პირდაღრენილი ცხენები უკან მოაწყდნენ, უკანა ფეხებით ჩაიჩოქეს და გაქვავებულებსავით შესდგნენ.

— და ფანდაგ რასტ! (გზა მშვიდობისათ) — მიესალმა ნუგზარ და პასუხად მიიღო:

— და ყუტა რასტ!

— სხვა?!.. როგორა ხართ, რასა იქთ?

— კარგად ვართ, ღვთისა და შენის წყალობით.

— ჯარი მოგროვდა?

— მოგროვდა; ყველანი იქ არიან, — უპასუხა ერთმა, რომელიც მოსულს ოსებში თაობდა.

— ხომ არავინ დაჰკლებია? — მზრუნველობით კითხულობდა ნუგზარ და ცდილობდა მხიარულად სჩვენებოდა, თუმცა შუბლი შესჭმუხნოდა და პირისახეზედ მწარე ღუმილის ბეჭედი დასტყობოდა.

— თუ კი შენ დაუძახებ, უარს ვინ იტყვის? — მოუქასურა ოსმა და დაუმატა: — ყველანი აქ არიან, შენი ჭირიმე, ყველას შენი სამსახურისთვის თავი გადაუდვია.

ნუგზარს სიამოვნების ნაპერწკალმა გაურბინა გულში, სახე რაოდენადმე გაუღიმდა, მაგრამ მაშინვე ისევ გაფითრდა, შუბლი შეიჭმუხნა.

— მადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო ნავრუზ!

— აბა, რა მადლობას მიბრძანებ, შენი ჭირიმე, შენი სამსახურის ღირსიც კი არა ვართ, არა, ჩემა მზემ!.. არა, ბიჭებო? — მიუბრუნდა ოსებს.

— ჰაი, ჰაი, რო აგრეა, — დაუმოწმეს სხვებმა.

ნუგზარ გაჩუმდა, რადგანაც მისი გონება მეტად სატანჯავს საგანს დააკვირდა, მისი მდგომარეობა ადვილი არ იყო, რადგანაც ოსების გულადობა მხოლოდ მთიულების დაამხანაგების გამო წარმოსდგებოდა და კარგად იცოდა, რომ, თუ იმათ მოშორებას თრიალეთის ტყეებში დაკისრებული ყოფნისა (?) —

თრუსოელები გაიგებდნენ, მათი დაჭერაც ძნელი-და იქნებოდა.

მაშ როგორ მოქცეულიყო, რომ ოსები არ შემოჰფანტოდა და მათზედ გავლენა არ დაეკარგა, როდესაც ეს უკანასკნელები ჭეშმარიტებას შეიტყობდნენ? ეთქვა ყველაფერი პირდაპირ, თუ დროსთვის მოეცადნა?

აი, ეს იყო ის მწარე ფიქრები, რომელთ გადაწყვეტასაც ნუგზარის მთელი არსება შეეპყრო და, ყოველთვის ამაყად მოსაუბრისთვის, დღეს პირში სიტყვა გაეწყვიტა.

— მართლა, შენი ჭირიმე, სულ არ დამავიწყდა! — დაიწყო ნავრუზმა.

— რა ამბავია? — მოკლედ იკითხა ნუგზარმა.

— ლეკებში გაგზავნილი კაციც დაბრუნდა!

— დაბრუნდა?! სად არის? მიჩვენე ჩქარა! — მოუთმენლად წამოიძახა ნუგზარმა და თვალები გაუბრწყინდა.

— იქ, ბინაზე არის.

— რა ამბავი მოიტანა?... მითხარ, მითხარ ჩქარა!..

— ლეკებიც ამალამ გადმოვლენო, — უთხრა ოსმა და ნუგზარ სიხარულით აინთო.

— მართალს ამბობენ, მართალს?! — დაფანტვით მივარდა ოსს, მაგრამ საჩქაროდ თავი შეიკავა, გასწორდა, გაიმართა ცხენზედ და კბილების ღრჭიალით წარმოსთქვა: — ახლა კი მე ვიცი.

ამ წუთის შემდეგ ნუგზარ ისევ გამოიცვალა და თუ წეღან რაღაცა მოლბობილი და თავმდაბლობის კილო გამოითქმოდა მის საუბარში, ეხლა სრული მბრძანებელი შეიქნა.

— მაშ გავწიოთ ბინაში და ხვალ მოხევეთა მზე დავაბნელოთ!— ეს წარმოსთქვა, შეიბერტყა, გასწორდა და გაათამაშა ცხენი მათრახის შემოკვრით. წუთს შემდეგ ისინი ოქროყანის ბანაკში გაჩნდნენ და ნუგზარ მბრძანებლობდა სრულის თავის მედიდურობით.

## XIX

ნუგზარის მოძრაობა მოხევეთათვის ფარულად არა რჩებოდა, რადგანაც ერთის მხრით ოსებს უთვალთვალებდნენ თავგამოდებული მოხევეები, რომელნიც უშიშრად ხან საიდგან მოექცეოდნენ მტრის ჯარს და ხან საიდგან, დაწვრილებით ტყობილობდნენ მათს მდგომარეობას და მოძრაობას, და ყოველ დღევე ხევისბერს გოჩას უამბობდნენ; მეორეს მხრით ენის ტანტალს დაჩვეული ოსები საიდუმლოს ვერ ჰფარავდნენ და ყოველ ამბავს სიხარულით თითო კანძ მატყლად ჰყიდდნენ.

ერთს საღამოს მზე ჯერ არ ჩასულიყო, როდესაც გოჩამ შემოიკრიბა თავისი ხალხი და დამწყალობების შემდეგ დაიძახა:

— ხალხო და ჯამაათო! ნუგზარისგან მთიულების გაშორებამ ომი თავიდგან არ აგვაცილა... მათ მაგიერ ნუგზარს ლეკის ჯარი მოსვლია... რაისთვი დაგიმალოთ, ბრძოლა გაცხარებული იქნების. ბევრის დედაი ჩაიცვამს შავსა, ბევრი მშობელი გულში ველარ ჩაიკრავს თავის ნაშობს... იმად, რომ მტერი ძლიერია და ნუგზარ კი სისხლით გაუმაძღარი... იცოდეთ, სახუმრო საქმე არაა, მაგრამ რამდენადაც ბრძოლა გაცხარდების, რამდენადაც საქმე გაჭირდების, იმდენადაც გამარჯვებას მეტი ფასი ექნების... რაი ვუყოთ, რომ ერთზედ ათი მოვა?!.. ასიც რომ მოვიდეს, მაინც გამარჯვება ჩვენი იქნების, იმად რომ ჩვენ ღმერთთანაც და კაცთანაც მართალი ვართ... ჩვენ გვიცვივიან სახლში, ჩვენ გვიპირებენ აკლებას, ჩვენს დედაკაცებს გაწბილებას და ამგვარი საქმის საწინააღმდეგოდ სიკვდილი, ღვთის მადლმა, სანეტაროც არის!.. ვინა ხართ ბედნიერი, ვის გიცემსთ ქუდოსანთ გული, ვის გერჩით მკლავი?.. ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის!

— დედამც შეურთამს ცოლადა, ვინც კარს მომდგარს მტერს გამოექცეს, ვინც სიკვდილს შეუშინდეს... მოღალატეს რისხავდეს სამება!

— ო-ომენ! — იყო საერთო გრგვინვასავით პასუხი, რომელიც ახლო მყოფმა მთებმა ბანსავით რამდენჯერმე გაიმეორეს. ხალხი აღელდა და აიშალა, გოჩას თვალებს კი ცრემლი მოერია და გულმა ველარ გაუძლო, რომ შურით არ წამოეძახნა:

— ნეტავი თქვენ, რომ ყმაწვილები ხართ, ჯანი და ღონე გერჩისთ. ნეტავი თქვენ, რომ იბრძოლებთ. ნეტავი იმას, ვინც ამგვარს საქმეში მოკვდების, სასუფევლის გზა გაკაფული აქვს.

ამ სიტყვების შემდეგ ყველანი შემოჯგუფდნენ საყდრის გალავნის კედელთან, სადაც საარაყე ქვაბებში საკლავები იხარშებოდა, რათა საერთო პურის ჭამის დროს ერთმანერთს გამოსალმებოდნენ და თავიანთ ადგილებზედ გასულნი თავის მოვალეობას შესდგომოდნენ: ვინ იცის, ხვალ ვისი მზე დაბნელდებოდა, ვისი თვალი დაიხუჭებოდა სამუდამოდ, ვისი დედა ატირდებოდა მდუღარე ცრემლით.

## XX

ბინდბუნდი იყო; დღე წყნარადა ჰქრებოდა. მზის უკანასკნელი შუქები სევდიანად ესალმებოდნენ მთის წვერებს. გაგულისებული ნისლი უშიშრად ამოდიოდა დედამიწიდგან და ოშხივარსავით ეფინებოდა მწვანე მინდორს. სოფლის სიონის სამრეკლოდან ღამის გუშაგებს თავთავიანთ ადგილებზედ გასვლა ანიშნეს. ზარის ხმა დანოტიოებულს, გაყლენთილს მძიმე ჰაერში როგორღაც მწუხარედ ყლრიალებდა. მოხევეთა გუშაგებს რაღაცა განსაკუთრებული მოუსვენებლობა ეტყობოდათ. ყველას პირისახეზედ მზრუნველობის ბეჭედი დასტყობოდა; გაფრთხილებულნი სმენად და ჭვრეტად გადაქცეულიყვნენ; მცირედი მოძრაობა არ გამოეპარებოდათ და თუ თვალით ვერ დაინახავდნენ, მოძრაობის ხმას ყურს მაინც არის მოჰკრავდნენ. ასეთია მდგომარეობა კაცისა, როდესაც იგი ალელვებულია, მოელის რასმე. მოხევეთაც გამოეცხადათ, რომ მომავალს ღამეს ნუგზარ უნდა დასცემოდა და ყველანი ემზადებოდნენ გაუფრთხილებლობით არა წაეგოთ-რა და სხვა კი ღმერთზედ და შემთხვევაზედ მიეგდოთ.

ამ საერთო მზადების დროს, გოჩას საწოლის კარები ვიღამაც შეაღო და იქავ კარებში შეჩერდა. მოხუცი ქუდმოხდილი პატარა ჯვარცმის წინ იდგა და მხურვალედ ლოცულობდა. მას მაღლა აეღო თავი და თვალები ზეცისკენ მიეპყრო. შეხურებულ გულს სისხლის ძოძრაობა აეჩქარებინა. მუდამ სწორედ დალაგებული თმა, ეხლა ძარღვთა ჟრიამულს აეშალა. გადაჭიმულს ყელზედ გამაგრებული და სისხლით გაჭედილი ნეშტვები ხნიერებისაგან მოღმენჭილს კანქვეშ ამობურცებოდა. ის ხმას არ იღებდა, მაგრამ სახის მოძრაობაზედ აშკარად ეტყობოდა, რომ გრძნობის ალს მთლად მოებურა მისი არსება, შემორტყმოდა გულსა და სისხლს უჩუხჩუხებდა.

შემოსულმა ვერ გაბედა ამ წმიდა მყუდროების დარღვევა,

ფყნარ-წყნარად თითონაც დაემორჩილა ამ სურათის ძალას, ჯერ გახევდა, მერე წყნარ-წყნარადვე თავი მოეხარა, მუხლები ჩაეკეცა და დაჩოქილი დარჩა. მან იგრძნო, რომ მოხუცის ვედრებაში მისი სახელიც ისმოდა; კიდევ ერთი წუთიც და აშკარად გაიგონა: „ღმერთო, პირნათლად ამყოფე ჩემი ონისე!“ და ამ სიტყვებზედ კარებთან მყოფი შეჰკრთა. შეჰკრთა მოხუციც მის მოძრაობაზედ; მოიხედა და დასუსტებული წყნარად წამოდგა. მივიდა შვილთან ლასლასით, დაადო თავზედ ხელი და აღელვებულმა მთრთოლარეს ხმით განიმეორა:

— ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე!.. ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს!..

ამ სიტყვებზედ მოხუცს გამხდარ ლაწვებზედ გადმოედინა მდუღარე ცრემლები, რომელნიც საჩქაროდ მოიწმინდა და გაფრთხილებით აქეთ-იქით მიიხედა, თითქოს ეშინოდა, რომ არავის დაენახა. ონისეს გულმა ველარ გაუძლო, მოხუცის მოჩვილების ხილვით თითონაც მოლბა და თვალები წვიმაში მზის მსგავსად გაუბრწყინდა. იმან იგრძნო, რა რიგად უყვარდა მამას, რა უნდა ეგრძნო მის გულს, როდესაც შვილი განსაცდელში იქნებოდა და ეს განსაცდელი კი იქავ ახლოს ზურგს უკან ედგა; რამდენიმე წუთის შემდეგ მთვარის შუქზედ მახვილი გაკრიალდებოდა და ჰაერში სტვენით და ზუზუნით წამოსული, ვინ იცის, ვის პირზედ ღიმილს გააცივებდა, ვის გრძნობის მოჩუხჩუხე წყაროს ყინვასავით მოასწრობდა.

— მამაისი, რაი გატირებს?

— ვინ იცის, რაი შეგემთხვევა, — ჩურჩულით წარმოსთქვა მოხუცმა.

— რაი უნდა შემემთხვას? — გაუმაგრა გული ონისემ, — ღმერთი მოწყალეა!... მტერს გავიბრუნებთ და თავად მშვიდობიანად დავრჩებით.

— ბძანოს უფალმა, — წარმოსთქვა მოხუცმა და ხელები აუთრთოლდა: — წადი, ონისე, დროა... ღმერთიმც იქნების შენი მფარველი... თუ სიკვდილი შეგემთხვა, ისიც უფლის ნებაა... ერთხელ ნამობი ერთხელ მოკვდების!.. მაგრამ ვაჟკაცად კი მოკვდი... ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს.

— მაგას ნახავ!

— არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო... მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთ მიწა-წყალის დაცვის დროს, მათის სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდის გაუჟღენთავს... ახლა თქვენ იცით, რასაც იქთ...

მოხუცი შესდგა, დააცქერდა შვილსა, რამდენჯერმე სცადა კიდევ რიღაცის თქმა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა და მხოლოდ ცოტა ხანს შემდეგ ხელი გაუქნია და ძლივს-ღა წარმოსთქვა.

— წადი, კარგია...

ონისე სწრაფად გამოვიდა და გაემართა დანიშნულს ადგილისკენ, მოხუცი კი იმავ ადგილიდგან თვალს ადევნებდა იმ დრომდის, ვიდრე შვილი სახლის კედლებს არ მოეფარებოდა.

მერე ოდნავ ამოიხვნეშა, გადისვა შექმუხვნილს შუბლზედ ხელი და წარმოსთქვა:

— ახლა ჯარს უნდა მივხედო.

## XXI

ონისე გასვლის უმალ გაემართა ნაროვანისაკენ, სადაც მთის ბილიკებზედ უნდა გასულიყო და თავისი გუნდის უფროსის ბრძანებით მტერზედ თვალი დაეჭირა და მათი მოახლოვება დროზედ შეეტყობინებინა.

ის მიდიოდა ჩვეულებრივის სიფრთხილით, როდესაც მის წინ რაოდენიმე მანძილზედ ქვა ვიღამაც შეანძრია. ონისე ვეფხვსავით გადახტა გზას იქით, ამოესაფრა ქვასა და ღამის მშვიდობიანობის დამრღვევს მოელოდა.

კარგა ხანმა გაიარა, სანამ ხვეულს ბილიკზედ გამოჩნდებოდა ვინმე, მაგრამ ფეხის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა, აშკარად ესმოდა. წუთიც და გზაზედ ქალი და კაცი გამოჩნდა, რომელთაც ერთი დატვირთული ვირი მოჰყვანდათ. აშკარად ეტყობოდა, რომ ესენი მწყემსები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც მთიდგან ჯარისთვის ყველი მოჰქონდათ.

ონისე დარწმუნდა, რომ მომავლები მოხევენი უნდა ყოფილიყვნენ და ის იყო თავის საფარიდგან გასვლას აპირობდა, როდესაც აშკარად გაიგონა თავის სახელი და სული განაბა.

მომავლები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და თითქოს მათ შორის უკმაყოფილება ეტყობოდა.

ორნივ გაუსწორდნენ ონისეს და დასასვენებლად ქვაზედ ჩამოსხდნენ.

— ქალაუ, — დაიწყო კაცმა, — ღვთის მადლმა, რომ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან... ჩამოვდნი, დავილიე შენის ლოდინითა და შენი გული ვერ გალხვა.

— რაი ვქნა, თუ კი არ მიყვარხარ.

— ვითმენდი და აბა... აქამომდის ზღვას დააშრობდა, რაც გულში ცეცხლი მენთებოს... მომკვდარიყავ მაინც, გზა მოგეცემოდის.

— რაისთვი თავს არ მანებებ!.. რაი გინდა ჩემგან? ძალად ხომ ვერ შეგიყვარებ?

— თავი საით დაგანებო? ცოლი ხარ, ქვეყანაში მეც ქუდი მხურავს.

— მაშ რაი გიყო?

— რაი გიყო და ცოლობა უნდა გამიწიო.

— კარგი-ღა, ღვთის მადლსა, ბიჭაუ!.. გითხარ არ მიყვარხარმეთქი და გათავდა!

კაცი გაჩუმდა რაოდენსამე ხანს და თავჩაკიდებული იყო. შემდეგ წყნარად წამოიხედა, მისი თვალები ელვარებდნენ.

— იყუჩე, ქალაუ!.. შენი თავი მაინც შეიბრალე, თუ მე აღარ გებრალები.

ქალმა შეხედა და მხრების აწევით უპასუხა:

— შესაბრალებელი რაი მაქვს! მომკლავ და გული დამშვიდდების...

— მაშ აღარ იქნების?.. არც როდის არ დამიბრუნდები, არ შემიყვარებ?

— არა.

კაცმა ხანჯლის ტარს გაივლო ხელი, მაგრამ ისევ თავი შეიკავა.

— მაშ იმისა უნდა იქნა?.. გგონია, რომ დაგანებებ?.. დაგითმობ იმას?... ღვთის მადლმა, შენც მოგკლავ, იმასაცა, ჩემს თავსაც ზედ დაგაკლავთ და შენით კი არავის ვახარებ.

· — აი, მომკალ!.. ცხვებს რაისთვი ექადი, რას ემართლები! — ქალმა მიუშვირა მკერდი და სიბრაზისაგან აღგზნებულის თვალებით დაუწყო ყურება.

კაცი აიმღვრა და წამოვარდა.

— მაშ სიკვდილი გინდა?.. კარგი, მოგკლავ, მაგრამ მოგკლავ მაშინ, როდესაც ონისეს თავს მოგიტან...

ამ სიტყვებით კაცი გადახტა გზას იქით და უგზო-უკვლოდ ონისეს ბინისკენ თავქვე დაეშვა. ქალმა დაიკივლა, მივარდა იმ ადგილს, სადაც კაცი ბეგობას გადაეფარა და მწარედ შესძახა:

— გუგუაუ, გუგუაუ!.. ნუ დამღუპავ, რას ჩადი!.. ვაიმე დაღუპულმა! — წამოიძახა იმან და გაქანდა ფრიალო კლდისკენ.

ის-იყო მიუახლოვდა კლდის ნაპირს და გადავარდნას აპირებდა, როდესაც ვიღამაც ხელი გაავლო და გულში ჩაიკრა.

ქალმა მოიხედა და ღონემიხდილმა ძლივს-ღა წარმოსთქვა:

— ონისე! — და კაცის ხელებზედ მიელუშა....

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XXII

კარგა ღამემ გაიარა. მოწმენდილს ცაზედ მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და ნაზის სხივით იქაურობას ეკამკამებოდა.

ონისე და ძიძია იმავ ადგილს ისხდნენ, სადაც ტრფიალების ცეცხლმა დასცა და დაიმონა; ორნივ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ და დაბანგულებსავით სიტკბოების ნეტარებას ეძლეოდნენ. მთვარის შუქი ნაზად შესთამაშებდა ძიძიას დათენთილს სახეს, რომელსაც ონისე არ უსვენებდა და მთვარეზედ მობრუნებულს ხან გაშმაგებით ჩასცქეროდა, ხანაც გიჟსავით ჰკოცნიდა და ეხვეოდა. ყოველი მათი ერთმანერთთან მიახლოვება, მიკარება ათრთოლებდა, როგორც მოუსვენარი ნიავი წნორის ფურცელს, და კვნესაშერეულის სიტკბოებით აღსავსე გულს აფართხალებდა. ორთავ დავიწყებოდათ სად იყვნენ, დავიწყებოდათ თავიანთი თავი და მხოლოდ ერთს-ღა ცდილობდნენ, რომ ერთი მეორეში გადაქცეულიყო.

ესენი ამ თავდავიწყებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად გავარდა თოფი და შეყვარებულები ფეხზედ წამოცვივდნენ.

ბედნიერებით გატაცებულს და თავდავიწყებულს ონისეს, მხოლოდ ეხლა მოაგონდა თავისი ვალი და სამწუხარო ჭეშმარიტებამ გულზედ მწარე ჭახრაკი მოუჭირა. მის თვალწინ წუთზედ გაირბინა მლოცავი გოჩას სურათმა, მოაგონდა იმის სიტყვები და თავმოყვარეობამ ცრემლები გადმოადინა. მას თვალწინ გადეშალა შესაძრწუნებელი სურათი მისის ამხანაგების ამოჟლეტისა, რომელნიც ონისეზედ დაიმედებულნი მიწოლილიყვნენ და უზრუნველად დაეძინათ.

ქვეით გაიმართა მკვირცხლი თოფის სროლა. თოფები ელავდნენ, ცეცხლები ენებსავით გძელდებოდნენ და გრიალით განაქრობდნენ ლომებრივ მამაცთა სიცოცხლეს.

ონისემ შეხედა ძიძიას, გული აუდუღდა და გუნებაში გაურბინა სიტყვებმა: მაცდურად მომხიბლა და მაცდურად დამღუპა!.. მშვიდობით, ჩემო ვაჟკაცობავ!

ამ სიტყვებით ის გაჰქანდა თავქვე, რომ თავის ამხანაგებთან ერთად თავი დაედო და გამოესყიდა წუთით თავის დავიწყება, მაგრამ გვიან-ღა იყო: მტერს მათი სანგალი, სიმაგრედ გაკეთებული, აეღო და მათი დროშა ონისეს დახოცილი ამხანაგების ხროვაზედ ფრიალებდა.

## XXIII

ონისე თავგადაგლეჯილი მირბოდა თავქვე და გონებადაფანტულმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა.

მტრის ლაშქარს აელო მოხევეთ პირველი სანგალი და მისი დამცველნი თითქმის მთლად გაეწყვიტა. საცოდავი გრძნობდა, რა ძვირად დაუჯდა წუთის თავდავიწყება, რომლის გამოც იმდენი მამაცი ბედის უცდელად, ბიჭობის გამოუჩენლად შეიმუსრა, და სინიდისის ყვედრებამ მწარედ დაუწყო ტანჯვა. გონება სინანულის მეტს ვეღარაფერზედ ვეღარას ფიქრობდა და დაძმარებულს გულს კი უწყალოდ რაღაცა ჰკუწავდა და ანადგურებდა.

ის გარბოდა და პირისახე გიჟს დამსგავსებოდა; ქუდი მოხდომოდა, თმა ასწეწიყო და ტანისამოსი არეოდა. ამღვრეულს თვალებს თუმცა უნუგეშოდ, მაგრამ როგორღაც უცნაურად აქეთ-იქით ატრიალებდა. კაცი ვეღარ იტყოდა, იმ წუთში რას გამოსთქვამდა მისი სახე, რადგანაც მისი აზრის ტრიალი ელვასავით მკვირცხლი იყო და წუთზედ ათას რიგად იცვლებოდა. ის მირბოდა გამარჯვებულის მტრის რაზმისკენ, რადგანაც გონება პირველი აზრის გაელვებას შეჰყრო და მხოლოდ იმას მოჰყავდა მოძრაობაში საკუთარს წადილს მოშორებული მოხევე. ეს იყო სიკვდილის წადილი და სიკვდილი უეჭველად იმ ხელით, რომელმაც მისი ამხანაგების სიცოცხლე გააქრო, იმ მახვილით, რომელიც იმისი მეზობლების უბრალო სისხლით შელებილიყო.

ის იყო ონისე იმ ჭალაში ჩავიდა, სადაც გამარჯვებული ოსები მხიარულის ვარაიდათი ფეხქვეშ ჰქელავდნენ მამულის დამცველთ პატიოსანს გვამებს და აპირებდნენ თავიანთ ბანაკისკენ გაბრუნებას, როდესაც წინ შეეფეთა რამდენიმე მოხევე, აღებულის სანგალის გუნდიდგან გადარჩენილნი.

— ვინა ხარ? — ერთბაშად ონისეს წინ გადაეღობნენ მოხევენი, რომელთაც თოფის ტუჩები დაადეს გულზედ.

— მე ვარ! — გაბრაზებით, მაგრამ თითქმის ტირილით შესძახა ონისემ, — მესროლეთ, მომკალით!... მადლია თქვენთვის!

— აბაიმე, ონისე! — წამოიძახა ერთმა და ყველამ თოფები ჩამოუშვეს.

— მადლი უფალს, ცოცხალი გადარჩენილხარ, — დაუმატა მეორემ.

ონისემ დაღონებით შეხედა, მაგრამ მაშინვე თვალები ელვასავით გაუბრწყინდა: იმას ეგონა, რომ მოლაპარაკემ იცის მისი საქციელი და დასცინის, მთლად აინთო და იწოდა უხილავის ცეცხლით, რომელიც მით უფრო ძნელი იყო, რომ არ დარჩენოდა სახ-

სარი, სადაც ძალზედ არ აღგზნებიყო და თავისი ძალა არ ეგრძნობინებინა.

— მომკალით, ღირსი ვარ, მომკალით!.. ღვთის მადლსა, ნუღარ დამინდობთ! — ემუდარებოდა ონისე და მდუღარება გადმოსდიოდა, — მომკალით, გეუბნებით, მადლია თქვენთვის!... თუ დაბრმავდით, რომ ვაჟკაცი დიაცსავითა ვტირი!..

მოხევეები გაშტერებულნი შეჰყურებდნენ ონისეს და ვერ მიმხვდარიყვნენ მის საქციელს.

— მაშ აღარ გებრალებით, აღარა?!... გინდათ ასე ვეწვალო?! მოსტყუვდით, ღვთის მადლმა! ეგრე არ იქნების... ონისე ქვეყნად აღარ ივლის, მტერს არ გააცინებს!.. გიხარიანთ, გიხარიანთ განა?! ჰა, ჰა, ჰა ჰა!—მწარედ გაიხარხარა ონისემ და გაჰქანდა მტრის ბინისკენ.

პირველის გაშტერების შემდეგ, იქ მყოფნი მოხევენი გონს მოვიდნენ, გამოეკიდნენ ონისესა და დაიჭირეს.

— სად მიხვალ, რას სჩადი, ბეჩაუ!... გონთ-გამოსულხარ, თუ რაია?!... — ეუბნებოდნენ ონისეს, რომელიც ძალზედ იბრძოდა და ცდილობდა გაშვებინებოდა.

— რაი გინდათ, რად მიჭერთ?.. სადაც ამხანაგები დამილიეს, მეც იქ უნდა ჩავეკაფვინო... მაშ, თუ ეგრეა, თავად მოვიკლავ თავსა! — წამოიძახა ონისემ და ჩახმახწამოყენებულის დამბაჩის ლულა პირში მიიცა, მაგრამ ვიღამაც ხელიდგან გამოსტაცა და სიკვდილს ასე გადაარჩინა.

იქ მყოფთ ეგონათ, რომ ონისე მეგობრების გაწყვეტას აერია და, რადგანაც გონს ველარ მოეყვანათ, ამისთვის აჰყარეს იარაღი, შეჰკრეს და თან წაიყვანეს.

— ულმერთონო, რას მემართლებით? — გულსაკლავად წარმოსთქვა ონისემ და ჯავრისაგან გამოწვეული მდუღარე გადმოედინა: — რაი გინდოდათ, მოვეკალი... ჩემი სირცხვილი თქვენ რას შეგმატებსთ?

კიდევ ბევრსა ლაპარაკობდა ონისე, რომელიც თანდათან ხუსტდებოდა და წყნარდებოდა, მაგრამ იმას ყურს აღარავინ უგდებდა, რადგან ყველანი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ და იმ ადგილისკენ მიესწრაფებოდნენ, სადაც გოჩა დანარჩენის ხალხით გამაგრებულიყო.

## XXIV

ისინი მიდიოდნენ ჯგუფად, გაჩუმებულნი, დახოცილნი. ყველას პირისახე ზაფრანად გარდაჰქცეოდა, ტუჩები მოჰკუმოდა და თვალები ცეცხლებსავით ანთებოდათ.

მეტისმეტად ძნელი იყო მათი მდგომარეობა, რადგანაც მტერთან შებრძოლებაც კი ვერ მოესწროთ და ისე უნდა დამორჩილებულიყვნენ, ან დიაცებრ გამოქცეულიყვნენ, ან არა და ცხვრებსავით კისერი მიეშვირათ, რომ სისხლით გაუმაძღარის ნუგზარის ჯარს შეუბრალებლად ხანჯალი, ან ხმალი გამოესვა.

ბრძოლას გულით მოწადინებულებს, თითო სროლაც კი ვერ მოეხერხებინათ, ისე დაეცნენ თავზედ და ვინ იცის რამდენი სალექსე ქებაშესასხმელი ბიჭი, მეზობელთ იმედი, ამხანაგებისთვის თავმოსაწონი, უცდელად გაფუჭებულიყო.

ვინც გადარჩნენ, ან იმათ რაღა მოელოდა? სათემოდ მოყივნები, რადგანაც მთაში გაუფრთხილებლობით საქმის წახდენა მასხარად ასაგდებია, დამარცხება კი — უბედურება!.. პირველ შემთხვევაში ყველასგან ზიზღი, დამცირება მოელის, მეორეში კი — სიბრალული და თანაგრძნობა.

მიმავალნი მოხევენი იქამდის დაეხოცა თავიანთ უბედურებას, რომ თავიანთ თავს იმის ანგარიშსაც ველარ აძლევდნენ, თუ როგორ მოეპარა მათ ნუგზარის ჯარი ისე, რომ მოძრაობა ვერც კი გაეგოთ.

იმათ მხოლოდ ერთი დასამშვიდებელი ის-ღა ჰქონდათ, რომ სამი კაცი შეკრული მიჰყავნდათ და მათის აზრით ესენი იყვნენ ოსების და ლეკების გზის მჩვენებლები. ამათ შემოეპარებინათ იმათი ჯარი და მოხევეთათვის გარს შემოერტყათ.

ამ დაჭერილთ შორის იყო ორი ოსი, რომელნიც თავიანთ ხალხს ადრიდგანვე გამოქცეოდნენ და ხევს შემოხიზნებოდნენ, ამათგან გაცემა და ჯაშუშობა შესაძლებელი იყო, მაგრამ მესამე დაჭერილი უხეთქამდა მათ გულსა. ის იყო მოხევე და მისი საქციელი მთელს ხევს ჩირქად ეცხებოდა.

დაღონებული, დასუსტებული და სულიერად დაცემული ონისე მისდევდა ამ ხალხს და თვალი ვერავისთვის გაესწორებინა.

— ონისე, შენც დაგიჭირეს? — ერთბაშად გაიგონა იმან, შეკრთა, მიიხედა და გაშტერდა.

იმის თვალწინ იდგა გაფითრებული და აღელვებული გუგუა, რომელიც მთლად კანკალებდა.

— გუგუა! — ბოლოს ძლივს მოახერხა ონისემ და ანიშნა შეკრულს ხელებზედ: — რაი მოგსვლია, რაისთვი შეუკვრიხართ?

— ღალატს მაბრალებენ, — ყრუდ წარმოსთქვა იმან და მეტის სიბრაზით გადააფურთხა.

ონისე ამ კაცს კარგად იცნობდა, გამოცდილი ჰყავნდა და დარწმუნებული იყო, რომ მისგან ამხანაგების ღალატი შეუძლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ამის გარედ, ამ უბედურების შემთხვევის წინედ, გუგუა ძმიასთან ერთადა ნახა, თავის ყურებით გაიგონა მათი ლაპარაკი და დაინახა, რომ სრულიად სხვა აზრით გასწია მოხევეთა ბინისაკენ. გუგუას ონისეს სიკვდილი უნდოდა, ონისე იყო მისი მტერი, მისდამი აღვსებოდა გული მძულვარებით.

„მაგრამ, იქნება“... — ერთბაშად გაურბინა ონისეს თავში: „ამ კაცს ჩემი მტრობა ედო გულში, მაგ ჯარის მშვიდობიანობა მე მქონდა მონდობილი და შურისძიების გრძნობამ მოღალატედ გახადა?“ — ონისეს წარბები შეეჭმუხნა და უსიამოვნო გრძნობა კბილებისღრჭიალზე დაეტყო. გუგუა შესცქეროდა იმას, თითქოს რაღაცა პასუხს ელოდა.

— რაისთვი არას მეუბნები? — დაიწყო ისევ გუგუამ.

— რაი-ღა გითხრა?

— მაშ არა გაქვს-რა სათქმელი? — მწარედ წარმოსთქვა გუგუამ და დაუმატა: — იყოს, მეც გავჩუმდები... უფალს მადლობა უთხარი, რომ თავს ველარსაით ვიმართლებ, თორემ, ღვთის მადლმა, მზეს დიდხანს არ გაცქერინებდი... ეხლა დღე შენია. შენი ყვავილი გაიშალა, შენი მზე გაბრწყინდა... ალბათ, უფალს ეგრე უნდა და დეე გაბრწყინდეს... სიკვდილს არ ვნანობ, მაგრამ ვაი ამითი, რომ ყველასთვის მოძმეთ მოღალატე დავრჩები.

ამ სიტყვების შემდეგ გუგუამ ჩაჰკიდა თავი, თითქოს მძიმე ტვირთი დააწვა კისერზედ, მწარედ ამოიხვნეშა: „ოჰ-ჰ!“ და განშორდა ონისეს; ონისეს გულს კი ერთი წვეთი ნაღველი-ღა აკლდა, რომ გავსებულიყო და გუგუამ დამატებით ჩაუწვეთა.

## XXV

ჯერ კიდევ დღე-ღამე არ გაყრილიყო, როდესაც სიონის სიმაგრეში მთელი ხევის ჯარი მოძრაობაში მოვიდა, მათ შეეტყოთ, რომ ნუგზარის შეერთებულს ჯარს მათი სანგალი აელო, და შიგ მყოფ მოხევეთ გუნდისაგან მხოლოდ მცირე რიცხვი-ღა გადარჩენილიყო. ყველა აღგზნებულიყო გადახდის სურვილით და თვალებანთებულნი, პირგამეხებულნი ხმამაღლად გადახდევინებას ითხოვდნენ.

— სისხლი, სისხლი! მოძმეთ სისხლი ავიღოთ! — იძახდა მთლად ხალხი და ამ სიტყვის მეტი მათგან სხვა არა გაიგონებოდა-რა. მათ შორის მხოლოდ ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც არაფერი არ ავიწყდებოდა, როგორს მდგომარეობაშიაც უნდა ჩავარდნილიყო და ყოველთვის დროსა პოულობდა საქმის ყოველივე მხრისათვის ყურადღება მიექცია.

ეს გახლდათ გოჩა და ამისთვისაც იმან დაიბარა სანგალზედ გადარჩენილი მოხევენი.

გოჩას დიდი იმედი ჰქონდა თავის შვილისა და ის კი იქ იყო; მაშ როგორ მოხდა, რომ მტერი შეუმჩნევლად დაეცა?

— მითხარით, ჩქარა მითხარით: საქმე როგორ იყო? — დაიწყო გოჩამ, რაწამს დაბარებულები დაინახა.

— რაიღა როგორ იყო, — დაიწყო ერთმა მოსულთაგანმა: — ოსი ბეჩირაი და თაფსირუყო წასულიყვნენ მტრებთან, მოსავლელი გზა ეჩვენებინათ და მტერი სანამ თავს არ წამოგვადგა, ვერა გავიგეთ-რა...

მოსაუბრე გაჩერდა და გოჩა კი მთლად სმენად გადაიქცა. მისი გული ძრთოდა და თითქოს რაღაცა უსიამოვნობას მოელოდა.

— ცხო? ცხო თუ აღარვინ ყოფილა? — იკითხა გოჩამ ცოტა სიჩუმის შემდეგ და წარბები შეეკრა.

— ბარემდის, რომ იმის მეტი არვინ ყოფილიყო!

— ცხო ვიღაა? — საჩქაროდ იკითხა გოჩამ და თვალები აენთო.

ის ჩააცქერდა მოსაუბრეს, რომელსაც მოღალატის დასახელება თითქოს უჭირდებოდა.

— ვინაა-მეთქი? — მკაცრად გაიმეორა გოჩამ.

— გუგუაი.

— როგორა, როგორ სთქვი? — ზარდაცემულსავით წარმოსთქვა მოხუცმა და ყელმა ხრიალი დაუწყო. გოჩას ეგონა, რომ სმენამ უღალატა.

— გუგუაი! — გაიმეორა მოხევემ.

მეტისმეტად ძნელი გასაგონი იყო გოჩასთვის თვისი მეზობლის დასახელება, იმ მეზობლისა, რომელიც იმის სამწყსოს ეკუთვნოდა და, მაშასადამე, გუგუას ზნეობრივს მიმართულებაში მასაც წილი უნდა სდებოდა.

— უფალო, რაი შეგცოდეთ, რომ მოძმეთ ღალატიც გვაჩვენე! — წარმოსთქვა მოხუცმა და თვალები ზეცას მიაპყრო.

მის გულს მწარედა სდაგავდა ამგვარი შეურაცხყოფა მთელის ერობისა და კარგად ესმოდა, რომ შესაძლებელი იყო ამ მაგალითს ხალხზედ მეტად ცუდი გავლენა ჰქონოდა.

მოხუცი ისევ ჩაფიქრდა, გაჩუმდა და დიდხანს ხმაამოუღებელი იდგა. იმის პირისახე ამ ხანში მთლად მოძრაობდა და ააშკარავებდა, რომ მისი გონება შეუწყვეტლად მუშაობდა და მოაზრებაში იყო.

ბოლოს მოხუცმა გადაისვა შეჭმუხვნილს შუბლზედ ხელი, რამდენჯერმე შეხედა გამომცდელის თვალით მოსაუბრეს და პირველად დაეტყო გაუბედაობა. მისი თვალები თითქოს ხვეწნასა და სა-

ყვედურს ერთად გამოსთქვამდნენ. მაგრამ რა გასჩენოდა ხევისბერს, ხევის მმართველს უბრალო მეომართან ან სახვეწარი, ან სასაყვედურო? გოჩას ერთადერთი შვილი ჰყვანდა, ონისე დაღუპულის სანგალის დამცველთა შორის იყო და ის არსადა სჩანდა... მაშ რა იქნა, რატომ არ ეუბნებოდა რასმე მოსაუბრე უბედურს მამას?.. თუ მოკვდა, რატომ მის გმირულის სიკვდილის ამბით არ ანუგეშებდა მშობლის სევდამოცულს გულს?

ყველა ეს მოხუცს სწრაფად წარმოუდგა გონებაში და მედგრად მიწყვეტ-მოწყვეტა დაუწყო მის გულსა. მოხუცმა ველარ მოითმინა და კიდევ წყნარად შეხედა, მოიკრიფა უკანასკნელი ძალა და წარმოსთქვა:

— ონისე რაიღა იქნა, რას მიფრთხილდები?

— ონისე, ბეჩავი!.. კინაღამ გაგიჟდა... ჩვენ რომ არა ვყოფილიყავით, მტერს თავს შეაკლავდა, ღვთის მადლმა.

გოჩა ამ მხრით რამოდენადმე დამშვიდდა: იმისი შვილი ცოცხალი იყო და ვაჟკაცადაც ეჩვენებინა თავი. სხვა რაღა უნდოდა?

— ეხლა სადღაა?

— ეხლა ბატარაი დამშვიდდა და ამხანაგებთანაა, — უპასუხა ისევ იმ მოსაუბრემ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — ასეთია ბეჩავი, რომ დანა პირს ვერ გაუხსნის.

მოხუცი დაკმაყოფილდა ამ კითხვებით და დამშვიდდა, რამოდენადაც მის მდგომარეობაში დამშვიდება შეიძლებოდა.

— უთხარ, დამნაშავენი დაამწყვდიონ და კარგად თვალყური ადევნონ... ჩვენც კი ღმერთი ვახსენოთ და მტერს მოძმეთ სისხლი მოვთხოვოთ, — წარმოსთქვა გოჩამ და გამოვიდა გარეთ, სადაც ჯარი უკვე მოგროვებულიყო და მოუთმენლად ელოდა მტერზედ გალაშქრების წამს.

## XXVI

გოჩას გამოსვლაზედ ხევის ჯარი წყნარად შეინძრა, გაიყო სამ რაზმად და ბელადების წინამძღომლობით მტრისაკენ გაემართა. იმათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ნუგზარისგან დაჭერილს სიმაგრეს სამ მხრივ დასცემოდნენ და საერთო იერიშის მიტანით მტრისათვის გადაეხადნათ. ყველასთვის აშკარა იყო, რომ ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ხევის მომავალი მდგომარეობა და ბედ-იღბალი.

ყველა მიდიოდა პირზედ ღიმილით, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ წმინდა მოვალეობას ასრულებდა და, თუ სიკვდილი შეემთხვეოდა, მისი სახელი ხალხში დიდხანს მოიხსენებოდა და შორს მთებში გაითქმებოდა. საქოს მოელოდა სანეტარო ხსენება და

საიქიოს — ზეციერი ჯილდო. მაშასადამე, ამგვარი რწმუნების ხალხისათვის ბრძოლა თვითმყოფელობისთვის, თავის მიწა-წყლის დასაცავად მეჯლისში წასვლას ემსგავსებოდა. ბრძოლისა და მტერთან შეტაკების სურვილს უმეტესად უცხოველებდა მოძმეთ წამების მოგონებანი, რომელიც გულს ძალზედ უმღვრევდა და სისხლისთვის სისხლს მოაწყურებდა.

მიმავალ მოხევეთა შორის ონისეც იყო, რომელსაც მხიარული, მუდამ მოღიმარი სახე ჭმუნვარებით შესცვლოდა, და ძალზედ მოკუმულს ტუჩების გამო სახის კანიც გასჭიმოდა. თვალებაღგზნებულს ღაწვები თითქოს გამობურცებოდა და სიბრაზის ნიშნად ლოყების ძარღვები ძალზედ უცემდა.

ონისეს, ბუნებითვე ვაჟკაცს და თავგანწირულს, დღეს მეტი მიზეზი ჰქონდა ერთიორად გადაქცეულიყო, რადგანაც თავის შეცდომას და თავდავიწყებას ჰგრძნობდა და უნდოდა მეტის თავგანწირვით ცოდვა რაოდენადმე შეემსუბუქებინა.

იმას ჰყვანდა ჩაბარებული რამდენიმე კაცი, რომელიც მოხევეთა ერთის გუნდის მოწინავე ჯარს შეადგენდა და მინდობილი ჰქონდა, რომ ყოველი ღონისძიება ეხმარა მტრისგან სადარაჯოდ გამოყენებულს კაცებს შეუმჩნევლად მიჰპარებოდა და ან შეეპყრო, ან დაეხოცა. ამასთანავე ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ მტრის უმთავრესს გუნდს ვერ შეეტყო, რათა მათ მოხევეების დასახვედრად მომზადება ვერ მოესწროთ.

ონისე მიუძღვებოდა თავის პატარა რაზმს და ყოველგვარად ფრთხილობდა, ბრძანება გადაუბრუნებლად აღესრულებინა. ყველაზედ წინ მიდიოდა სმენადგადაქცეული ონისე და შემდეგ მწკრივად მისდევდნენ დანარჩენები, რომელნიც სიფრთხილით აბიჯებდნენ და ფეხს თითქმის იმავე ადგილას ადგამდნენ, რომელზედაც წუთის წინედ მათი ბელადის ფეხი მდგარიყო.

რიყიან ადგილზედ მეტად დიდი გაფრთხილება და ფეხის სიმარჯვე უნდოდა, რომ ქვების შენძრევით ღამის მყუდროება არ დაერღვიათ და მით თავიანთ მოძრაობაზედ მტრის ყურადღება არ მიექციათ. ბანდულებჩაცმული მოხევენი მიიპარებოდნენ და, სანამ დედამიწაზედ მაგრად დააბიჯებდნენ, რაოდენსამე ხანს ადგილის სიმკვიდრეს ფეხით სცდიდნენ, ერთბაშად ონისე შესდგა და იმ ადგილზედვე ჩაწვა. სხვებიც ხმის ამოუღებლივ ამგვარადვე მოიქცნენ და მიწას გაკრულებმა ხანჯლები ამოიღეს.

გაიარა რამდენმამე წუთმა ამ სიჩუმეში და მოპირდაპირე მხრიდგან ხუთი კაცი გამოჩნდა, რომელნიც ამგვარადვე სიფრთხილით და გაჩუმებულნი მოდიოდნენ. ონისემ დააცალა, სანამ უკანასკნელი

გაუსწორდებოდა და, რა მოუახლოვდა, სწრაფად ფეხზედ წამოიჭრა. მასთან ერთად წამოცვივდნენ დანარჩენებიც და წუთს შემდეგ ადგილის დასათვალიერებლად გამოგზავნილი ოსები მიწაზედ ფართხალობდნენ. და რამდენადაც სისხლი აკლდებოდათ, იმდენად სიკვდილს მეტის გამწარებით ებრძოდნენ.

ყველა ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ოსებმა დაყვირებაც კი ვერ მოასწრეს. რაკი მოხევეებმა ამათგან მოიცალეს, ისევ თავიანთ გზას გაუდგნენ და ალიონის აწევასთან ერთად მტრის ბანაკს მიუახლოვდნენ. იქ ჩასაფრდნენ და ამხანაგებს ლოდინი დაუწყეს. მტრის ბანაკში სრული მყუდროება სუფევდა, რადგანაც ერთის მხრით გაზვიადებულნი პირველის გამარჯვებით და მეორეს მხრით დარწმუნებულნი თავიანთ დარაჯების სიფრთხილეში თავისუფალს, დამშვიდებულს განსვენებას მისცემოდნენ. ნუგზარ დარწმუნებული იყო, რომ მოხევენი შეშინდებოდნენ და მეორე-მესამე დღეს შუაკაცებს გამოუგზავნიდნენ. ის თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ხევის ერთი მუჭა ხალხი მასთან შებრძოლებას გაბედავდა, მით უფრო, რომ მას ახლდა საკმაო რიცხვი ლეკთა გარაზმული და კარგად შეიარაღებული ჯარი.

მოხევეთა სამივე მხრიდგან წამოუარეს და შეუმჩნევლად მტერს გარს შემოერტყნენ.

გავარდა ერთბაშად თოფი და ეს ნიშანი იყო საერთო იერიშისა.

წამოცვივდა ნუგზარის ჯარი, მაგრამ მოულოდნელობის გამო მთლად აირია და გონებადაკარგული მებრძოლნი უაზროდ დარბოდნენ. შესეული მოხევენი დროს არ აძლევდნენ, რომ გონს მოსულიყვნენ და უწყალოდ ხოცდნენ. ამ საერთო არეულობაში, მხოლოდ ერთს ადგილს მოჩანდა თეთრი ცხენი და მაზედ ამხედრებული ნუგზარ, რომელსაც ხელში ხმალი ეჭირა და მარჯვნივ, თუ მარცხნივ სხვეპამდა. მას გვერდს მოსდგომოდა რამდენიმე გამოჩენილი ლეკთა ვაჟკაცი და ღირსეულს მხარს უშვენებდნენ; აშკარად სჩანდა, რომ მათს გულში ვაჟკაცობის ცეცხლი უმეტესად ინთებოდა, ვიდრე იმ თრუსოელებისაში, რომელთაც შებმას გაქცევა ერჩიათ.

ამ საერთო არეულობაში ონისე დამთვრალსავით დადიოდა და ვისაც კი შაეყრებოდა, მზისთვის დიდხანს აღარ აცქერინებდა. ის ეძებდა გაცხარებულს ბრძოლას და, სადაც იგი გაჩნდებოდა, სწრაფად შუაგულში მოექცეოდა, თუმცა სიკვდილის მძებნელი მოჯადოებულსავით ყველგან უვნებლად რჩებოდა.

მისი სიმამაცე, გულადობა და თავგანწირულება მაყურებელთ აოცებდა და ქებას წარმოათქმევინებდა.

ერთბაშად გორაზედ გამოჩნდა გოჩა, რომელსაც თეთრი თმა

გაშლოდა და ნიავი უმღელვარებდა. დროშის თავი, რომელიც ხელში ეპირა, სანუგეშოდ ფრიალებდა და წვერზედ გაკეთებულს ოქროს ჯვარს კრიალი გაჰქონდა.

გოჩას ცხენი ამაყად და მედიდურად მიაბიჯებდა, თითქოს ჰგრძნობდა, რომ მისი მხედარი ხალხისაგან იყო არჩეული და მას არც ერთხელ თავის ამრჩევთაგან საყვედური არ მიეღო.

მოხუცმა შეუტია ცხენსა და გააქროლა იმ მხარისკენ, სადაც ნუგზარ რამდენიმე კაცით ჯერ კიდევ იბრძოდა.

— აბა, ბიჭებო!.. მომყევით, ვისაც გული გერჩისთ! — დაიძახა გოჩამ და ხალხი სწრაფად შეჯგუფდა, ბურთსავით შეიკრა ნუგზარის გარშემო.

ავარდა კორიანტელი; ყველა მტვრით დაიფარა; მზის შუქიც კი თითქოს მიბნელდა. აქამდისინ მოყიჟინე, ეხლა გაჩუმებულიყვნენ და მყუდროებას მხოლოდ კბილების ღრჭიალი, იშვიათი დაკვნესება და იარაღის ჩახა-ჩუხის ხმა დაარღვევდა.

ხანდახან ნიავისაგან გაფანტულს მტვერში გოჩას დროშა გამოჩნდებოდა, რომელიც ისევ უვნებლად ფრიალებდა და მებრძოლთა გულებს ფოლადად უწრთობდა. ერთბაშად შეკუმშული ხალხი როგორღაც წამოტრიალდა, გაიშალა და ასტყდა ისევ ყიჟინა.

ქარმა გაჰფანტა ბრძოლის მტვერი და წუთს წინედ სიცოცხლით სავსე მებრძოლთაგან კოშკად აშენებული დახოცილები-ღა გამოჩნდა. მათ შორის იდგა გოჩა, დაღონებული, გაფითრებული და სევდიანი თვალები ზეცისკენ მიეპყრო. შორს გზაზედ მტვერი მოჩანდა და იმის შუა ხანდისხან გამოჩნდებოდა ხოლმე ნუგზარ და რამდენიმე ცხენოსანი, რომელიც სიკვდილს რაღაცა მანქანებით გადარჩენოდნენ.

## XXVII

ხალხი დაწყნარდა; დაასაფლავა თავიანთი დახოცილები, მაგრამ ჯერ არ იშლებოდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ნუგზარ ასე მალე ვეღარ მოუბრუნდებოდა და საკმაოდ დაფრთხობილს ოსებს ისე ადვილად ვეღარ დაიყოლიებდა მოხევეებზედ გასალაშქრებლად.

ამ გორაკის ერთს ადგილას რგვალად შემოწყობილს ქვებზედ მოგროვილიყვნენ თემის და ჯარის თავები. იქვე მისულიყვნენ დეკანოზები სასოფლო დროშებით და ხევისბერს გოჩას გარს შემოხვეოდნენ. ეს წრე მხოლოდ ერთის მხრით იყო გახსნილი და იქ დანარჩენი ხალხი მოგროვებულიყო, ყველას პირისახეზედ რაღაცამ ჭმუნვარება ეტყობოდა; კაცი ვერ გაარჩევდა, ეს იყო გლოვა

თავიანთ დაკლებულობისა, თუ რომელიმე უსიამოვნობის მოლოდიხი. გოჩას და მასთან ერთად თემის უფროსებს თავები ჩაეკიდათ და ხმაამოუღებელნი რაღაცა ფიქრს ეძლეოდნენ. მეტისმეტი მძიმე მდგომარეობა იყო, სურათი შავად და ბნელად მოცულიყო, მაყურებლის გული ჰკვნესოდა მოლოდინით.

ერთბაშად გოჩამ აიღო თავი და იქაურობას სევდიანი თვალი მოავლო. ონისე, რომელიც ხალხში იდგა და გოჩას შეჰყურებდა, გაქრეოლდა, თვალი ველარ გაუსწორა მოხუცს და თავი დახარა.

გოჩა დააკვირდა ონისეს, მაგრამ ჩქარა ისევ თვალი მოაშორა და წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა:

— მოიყვანეთ დამნაშავენი.

ხალხი შეინძრა, გაიპო ორად და თემისაგან არჩეულის მსაჯულების წინ წარსდგნენ ორი ოსი და გუგუა.

ხალხი ცახცახით უყურებდა ამ სურათს და მოელოდა იმ წუთს, როდესაც უზენაესის უფლება უნდა მიეღო და ვინ იცის რა უნდა გადაეწყვიტა.

— გაუხსენით ხელები,—ბრძანა გოჩამ და მისი ბრძანება მსწრაფლად აღსრულდა.

მის შემდეგ გოჩამ, ხევისბერმა, იდაყვი დაიდო მუხლზედ, ხელით თავი მიიბჯინა და, მთლად სმენად გადაქცეული, ისე დარჩა.

თემის თავებიდგან ყველაზედ უფროსი წამოდგა, გავიდა შუა ადგილას, დაიჩოქა და წარმოსთქვა:

— ხალხო და ჯამაათნო!... სმენა იყოს და გაგონება... აი, თქვენს წინა სდგას ორი ოსი... ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ესენი ჩვენს თემობაში მოვიდნენ, შეგვაბრალეს თავი და შეგვატყობინეს, რომ თავიანთ ხალხში აღარ ეცხოვრებათ, რადგანაც კაცი შემოჰკდომოდათ და სდევნიდნენ... ჰაი, ჰაი, რომ ნებისნებად კაცის სიკვდილი არ ვარგა, ცოდოც არის, მაგრამ როცა კაცს გაუჭირდების, არამც თუ ცხოსა, თავსაც კი მოიკლავს ხოლმე... კაცის შემოკდომა უბედურებაა და უბედურები ითხოვდნენ ხევისაგან ლუკმა პურსა და თავშესაფარსა... ხევი ჩვეული არაა სტუმარს დაემალოს, მთხოვარაი არ განიკითხოს; ხევმა მისცა მათ ბინა, აუშენა სახლი, დაუთმო სახნავები, ხევმა იძმო და მოსვენებული ცხოვრება მისცა... ამათ რითი-ღა გადაგვიხადეს მადლობა?.. ჩვენს მტერს უჩვენეს მოსავლელი ბილიკები, ჩვენს ჯარს მოულოდნელად თავს წამოაყენეს და ვინც ამათ ლუკმა მიაწოდა, საკიდელი ჩამოაკიდებინა, ისინი ღალატით გააწყვეტინეს... რას იტყვით, ხალხო და ჯამაათნო!... ყველა შეგატყობინეთ, ყველა გაგაგებინეთ, სახუმრო არ არის კაცის სიკვდილი.

მოხევე წამოდგა, დაუკრა ყოველს მხარეს თავი და თავის ადგილას დაჯდა.

— იმართლეთ თავი, თუ შეგიძლიანთ, — წარმოსთქვა გოჩამ, რომელსაც მდგომარეობა არ შეუცვლია.

მაყურებელნი მოუსვენრად ტოკავდნენ, მაგრამ საქმეში კი არ ერეოდნენ. ოსების დანაშაული მეტად აშკარა იყო, რომ კიდევ თავის მართლებას მოჰყოლოდნენ და ამისათვის დაეცნენ მუხლებზედ და ტირილით ეხვეწებოდნენ პატიებას, მაგრამ მსაჯულნი მათ მუდარისადმი ყრუდა რჩებოდნენ. ისინი შეჯგუფდნენ გოჩასთან, ცოტა ხანს რაღაცა არჩიეს და ისევ თავთავიანთ ადგილას დასხდნენ. მცირე სიჩუმის შემდეგ, გოჩამ აიღო თავი და წარმოსთქვა:

— ორნივ ჩაქვავდეს!

ამ სიტყვებმა ხალხში ჟრიამულად გაირბინა და ოსებს ფერი სრულიად დააკარგვინა. ერთი მათგანი მიუახლოვდა გოჩას, რომელმაც გადაწყვეტილების წარმოთქმის შემდეგ ისევ თავი ჩაჰკიდა და ღრმა საგონებელში წავიდა.

— გოჩავ, გემუდარები! — დაიძახა ოსმა: — ყმად გაგიხდები, ოღონდაც დამიხსენ.

— ჩაქვავდეს! — იმავ ხმით გაიმეორა გოჩამ.

— მაშ უნდა მომკლან, ჩამაქვაონ?!. — დაიძახა ოსმა და ფეხზედ წამოვარდა: — დეე მომკლან, მაგრამ შენც აღარ გაცოცხლებ!

ამ სიტყვებთან ერთად, ოსის ხელში გაიელვა ხანჯალმა, რომელიც ჩოხის ქვეშ ჰქონოდა დამალული. ხალხი ერთბაშად მიაწყდა იმ ადგილს, ბურთსავით შეიკუმშა და როდესაც გაიშალა, გოჩა ისევ ისე მედიდურად იჯდა. ადგილიც კი არ შაეცვალა მოხუცს. მხოლოდ ზიზღი აღძროდა თვალებში, რომელნიც იქავ ჩახოცილს ოსებს დაჰყურებდნენ.

## XXVIII

როდესაც ოსებისგან მოიცალეს, გოჩა ისევ ჩაფიქრდა და წყნარად და დამშვიდებით წარმოსთქვა:

— მოიყვანეთ გუგუა.

რამდენიმე კაცი მიუახლოვდა გუგუას, გაუხსნეს ხელები და წინ წააყენეს. პირველსავე განძრევაზედ მოხევეს თვალთდაუბნელდა, წატორტმანდა, წაიბარბაცა, მაგრამ მაშინვე თავი შეიმაგრა და შედგა.

ბრალდებული გუგუა მთლად გაფითრებული და პირგამშრალი იდგა ხალხის წინ და უაზროდ თვალები ერთის ადგილისკენ მიექცია.

ხალხი სწყევლიდა, ლანძღამდა და ერთმანერთს თითით უჩვენებდა ამ ავაზაკზედ. როგორც წეღან, ეხლაც გამოვიდა ერთი თემის თავთაგანი და შეუდგა გუგუას გამტყუნებას.

აღმოჩნდა, რომ როდესაც მტერი მოხევეთა ბინაზედ იერიშით მოდიოდა, გუგუა მათ წინ მოუძღოდა და, უეჭველია, ნუგზარის ჯარს გზას უჩვენებდა.

— გაიმართლე თავი, თუ შეგიძლიან, — უთხრა გოჩამ და გაჩუმდა.

გუგუამ ამოიხვნეშა, მოავლო იქაურობას თვალები და ონისე, რომელიც ისევ იმ ადგილზედ გაქვავებულსავით იდგა, დაინახა. გუგუას თვალები გაუბრწყინდა, პირისახე გაუწითლდა, გაიბრძოლა. იმისაკენ, დატორტმანდა და თავი შეიმაგრა. გუგუა მობრუნდა მსაჯულებისკენ და მწუხარებისაგან დაღრეჯილი სახე შეაქცია. ბოლოს მოიგლიჯა ქუდი, რომელიც თითქოს თავსა სწვამდა და დედამიწაზედ დაახეთქა.

— სთქვი, თუ სათქმელი რაიმე გაქვს! — გაიმეორა გოჩამ და ხმამ მხოლოდ ერთს ადგილას უღალატა, ერთგან გაისმა დანქლრეულს სიმაღ.

— რაი ვსთქვა, რაი გითხრათ?.. — მწარედ წარმოსთქვა გუგუამ: — უფალმა იცის, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ მტერის წინ მომძღოლი მნახეს და ვინ დამიჯერებს?.. რაისთვი-ღა მაწვალებთ, რაისთვი მალაპარაკებთ?.. მომკალით და თქვენც მოისვენებთ!

— ბაღლო, სიკვდილი ძნელი არაა... — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ გოჩამ და ხმაში აღგზნებული სიყვარული დაეტყო: — მაგრამ გულს არა სჯერა, რომ ხევის მიწაწყლის კაცი,- ხევის ძუძუთი გაზდილი, მოძმეთ უღალატებდა, ამხანაგთ გაჰყიდიდა, მიწას შეარყევდა და ცას ჩამოანგრევდა!.. გული სამუდამოდ იკვნესებს, სევდა არ დაელევის, ნისლს ვეღარ გაიცლის, თუ მართლა მოძმეთ გამსყიდავად გიცნო.

გუგუას ამ სიტყვებმა გული მოულბო, იმან დაინახა, რომ მოხუცის გული მშობლიურის მზრუნველობით ექცეოდა და გულით უხდოდა პატიოსნებით სავსე კაცი მაინც დაერწმუნებინა, რომ მართალი იყო.

— გოჩავ, უფლის მადლმა, დიდებულის წვერის სპარსანგელოზის მადლმა, ვფიცავ ყმაწვილკაცობის სიყმეს, ვფიცავ შენს სახელსაც, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ თავს ვერაფრით ვიმართლებ და უნდა დავისაჯო, უნდა მოვკვდე.

— მტრის ჯარში საიდგან გაჩნდი?

— საიდგან?.. გინდა ყველაფერი მათქმევინო?.. თავი დამანებე,

გოჩავ!.. ნუ მალაპარაკებ!.. ხომ ხედავ, რომ ლაპარაკი მიძნელდება?.. ყოველთვის გულკეთილს, დღეს ჩემი წვალება რაისთვი-ღა მოგიწადინია?

— ჩემი გულიც არ არის მოსვენებული, გუგუავ, უწყის უფალმა!.. ყოველ სიტყვაზედ, ყოველ კითხვაზედ ლახვარი მიტრიალებს გულში, მაგრამ თემი და მისი საქმე შენზედაც დიდია და ჩემზედაც... მაშ გვითხარ ყველაფერი.

— გითხრათ?.. კარგი!.. — წამოიძახა მოხევემ და საჩქაროდ მიბრუნდა იმ მხარეს, სადაც ონისე იდგა.

საცოდავს სახე მთლად დაჭპრანჭოდა და მძიმე ტვირთს თითქოს ოთხად მოეხარა. გაყვითლებულს პირისახეზედ სიცოცხლის ნატამალი აღარ ეტყობოდა. გუგუა ისევ შესდგა, შეიმაგრა თავი და მსაჯულებისკენ გამობრუნდა.

— გამიგონეთ... სიკვდილისა არ მეშინიან, თუნდა გამამართლოთ კიდეც, ღვთის მადლმა, თავს აღარ ვიცოცხლებ. რაისთვი-ღა მინდა ერთხელ გაწბილებული სიცოცხლე!.. მაშ გამიგონეთ... ყველას მართალს გეტყვით, — მე მთიდგან მოვდიოდი და, როდესაც ჩამოვივაკე, მტერს შევეფეთე... გამოვიქეც, რომ საფარში შემეტყობინებინა, მაგრამ მტერი ფეხდაფეხ მომდევდა და ველარ მივასწარი... ისინი თოფს არ მესროდნენ, რომ ხმაურობაზედ ჩვენი მდევარი არ გამოსულიყო და მე კი თოფ-ტყვიას ჩახმახი მომეშალა... ჩვენებმა მტრის ჯართან დამინახეს და მოღალატე გამხადეს... თუ ვსტყუოდე, მიწამც გამისკდეს... და თან ჩამიტანოს!

— მთაში რაი გინდოდა? — ჰკითხა ერთმა მსაჯულთაგანმა.

— საქმე მქონდა.

— მარტო იყავ?

გუგუამ არა უპასუხა-რა და ამისთვის კითხვა გაუმეორეს:

— მარტო იყავ?

მოხევე ებრძოდა თავის გრძნობას და არ უნდოდა იმ ქალის სახელი მოეყივნებინა, რომელიც მაინც კიდევ ქვეყანას ერჩივნა.

— რაი ბედენაა, მარტო ვიყავ, თუ არა? — ბოლოს წარმოსთქვა გუგუამ და დაუმატა: — თქვენთვის იმის გამოკითხვა იყო საჭირო, რომ გაგყიდეთ, თუ არა... მე გეუბნებით, რომ არ გამიყიდნიხართ, არ მიღალატნია თქვენთვის, ჩემს გაჩენაში გულშიაც არ გამივლია თქვენი წინააღმდეგობა, მოწამე ღმერთია!.. ცხოს ნუღარას მკითხავთ, პასუხი არ მიშველის და სიკვდილის წინა წუთებს კი მომიწამლავს!

ამის შემდეგ გუგუა გაჩუმდა, დაიკრიფა გულ-ხელი და გაჩუმე-

ბული დადგა. ყოველ კითხვაზედ ის მუნჯად რჩებოდა და მისი სიჩუმე მძიმე ლოდად აწვებოდა ონისეს.

ხალხი გაჩუმებული იყო და სულგაკმენდილი ელოდა თემის მოთავეთა გადაწყვეტილებას, რომელნიც გოჩას შემოხვეოდნენ. კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე მოთავენი რჩევაში იყვნენ.

ერთბაშად გაიშალა კრება, და მსმენელთ გულის ძგერამ უფრო იმატა. მოუთმენლობამ უკანასკნელს სამზღვრამდის მიაღწია. ყველამ თავთავისი ადგილი დაიჭირა და საერთო სიჩუმის დროს წამოდგა გოჩა.

— ღმერთო, მოგვიტევე, თუ ვცდებით რამიმე!.. რაც შენ გვაგონე, იმას წარმოვსთქვამთ... ხევის მშვიდობიანობა მოითხოვს, რომ გუგუა გაწირული, მოშორებული იყვეს თემისაგანაც სოფლისგანაც და ნათესაობისაგანაც... მარტო იმის ცოლს ეძლევა ნება თან გაჰყვეს... დღეის შემდეგ, არც ვის არა აქვს ნება მას მიაწოდოს ცეცხლი, თუ უცეცხლოთა ნახა, მიაწოდოს წყალი, თუ მწყურვალი ნახა, მიუშვიროს პური, თუ მშიერი ნახა... ყველას სახლის კარი დახშული უნდა იყოს მისთვის, ყველა დამუნჯებული უნდა იქმნეს მისთვის პასუხის მისაცემლად, ყველა დაყრუებული უნდა იყოს მის ხვეწნის გასაგებად... ხევის ჯვარ-ანგელოზნო, თემის პირის გამტეხს და გადამბრუნებელს შენა რის...

— შესდეგ! — ერთბაშად ვიღამაც ხელი გაავლო გოჩას და სიტყვა გააწყვეტინა.

ხალხმა გაკვირვებით შეხედა ხევისბერის ხელის შემხებს, ნამეტნავად იმ დროს, როდესაც მას ხევის სიწმინდე, დროშის თავი, ხელში ეჭირა. მათ თვალწინ ონისე იდგა.

— შესდეგ, ხევისბერო! გუგუა მართალია! — დაიძახა ონისემ, რომელსაც თმა აჰბურძგნოდა და თვალებში სისხლი ისე მოსწოლიყო, თითქოს წამოცვივნას აპირებენო.

ხალხი აიშალა, აირია და ყაყანი დაიწყო, გოჩამ შეარყია დროშა და ზარების ხმასთან ერთად ხმამაღლად მბრძანებლის კილოთი დაიძახა:

— იყუჩეთ! — და ამ ხმის გაგონებაზედ ერთბაშად ყველა გაჩქურდა.

— სთქვი, რას ამბობდი?

— გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასაჯავთ... გუგუას და მე მიზეზი გვაქვს ერთმანერთის მოსისხლენი შევქნილიყავით... ეგ ძთიდგან რომ მოდიოდა, ბილიკებზედ* იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოღალატობას ტყუილად სწამობთ...

— ეგ ვილამ გიამბო? — ერთბაშად წამოიძახა გუგუამ და ეშვისაგან თვალები აენთო.

— ჩემის ყურით გავიგონე... როდესაც შენ ლაპარაკობდი, მე გზის იქით ვიყავ, ჩასაფრებული... რაიღა დავმალო?.. მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომეპარა!.. გუგუა უბრალოა! — ლაპარაკობდა გაჩქარებით და აღელვებით ონისე და მთლად კანკალებდა. ონისეს სიტყვები ხალხს მეხსავით მოხვდა და გაშტერებული შესცქეროდა.

ზარდაცემული მოხუცი მთლადა ცახცახებდა და კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო.

ბოლოს ძალზედ ამოიხვნეშა, მოისვა შუბლზედ ხელი და ყვედრებით წარმოსთქვა:

— მაშ ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასგამ მოძულებულო, დედმამის საფლავიდგან ამომგდებო!.. რა სასჯელი არის, რომ შენ გადაგიწყვიტოთ!.. — ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი მსაჯულებს მიუბრუნდა: — მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, გადასწყვიტე, თემო!

კარგა მღელვარებისა და ჩოჩქოლის შემდეგ თემის თავნი მიუახლოვდნენ გოჩას და წყნარად წარმოსთქვეს:

— გოჩავ! შენს შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია...

— მით უფრო მეტი საბუთია, რომ მკაცრად გადახდეს... კაცს ულვაში ნამუსისთვის გამოუა... ონისე ეხლავე მკვდარია... მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა!

— გოჩაუ, — სცადეს მოხუცის შეყენება, მაგრამ პირგამეხებული ხევისბერი ცეცხლებსა ჰყრიდა თვალთაგან.

— უნდა მოკვდეს, მოკვდეს შეუბრალებელად... და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ სამართლიანად მოექცეთ... მე მიყურეთ... — მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შვილისკენ და შესძახა:

— მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!

ამ სიტყვებთან ერთად იელა ხანჯალმა და ონისემ მიწაზედ ფართხალი დაიწყო; მოხუცის მახვილს შვილისათვის გული ორად გაეპო. ეს მოძრაობა ისე სწრაფად მოხდა, ისე საჩქაროდ, რომ უბედურების შეყენება ველარავინ მოასწრო.

ხალხი შეძრწუნდა და ახლო ველარ მიჰკარებოდა მოხუცს, რომელსაც ძარღვები ძალზედ ულმეჭავდნენ და უცნაურად უთამაშებდნენ სახეს.

— გოჩა! — ცოტა ხანს შემდეგ ვილამაც ხელი გაავლო მოხუცს.

— ჰაი? — ანგარიშმიუცემლად წამოიძახა მოხუცმა და მოიხედა.

მის წინ იდგა გუგუა.

— გოჩავ! — განიმეორა იმან ხმამაღლა: — წეღან გითხარ, რომ დამნაშავე არა ვარ-მეთქი, მაგრამ ერთხელ მაგგვარის ცილის წამების შემდეგ აღარ ვიცოცხლებ-მეთქი... ვაჟკაცი ერთხელ გადაფურთხებულს ველარ ალოკავს... მშვიდობით გოჩავ, მშვიდობით ხალხო! — ამ სიტყვებთან ერთად მან გაიძრო დამბაჩა, მიიცა ლულა პირში და ტვინი ჰაერში შეასხა...

მოხუცმა მხოლოდ ამოიკვნესა, მიიხედ-მოიხედა შეშინებულის თვალებით და შეკრთა. ბოლოს დააწყებინა ცახცახი და გასისხლიანებული ხანჯალი, რომელიც ხელში ეჭირა, შორს გადასტყორცნა... რაოდენსამე ხანს ისე ჩუმად იდგა. დაესხა თავსბრუ და ჩაიკეცა, ის დაეკონა შვილს და რამდენჯერმე წყნარის ხმით წარმოსთქვა:

— შვილო, შვილო! — და ზედ გაეკრო.

კარგა ხანს დასტიროდა ონისეს გაყინულს სხეულს; ბოლოს წამოიხედა, გარეგნად დაიწყო აქეთ-იქით ყურება და ერთბაშად შეშინებული წამოვარდა.

— შორს, შორს!.. — დაიძახა იმან და ჰაერში ხელები გაიშვირა: — სისხლი, ხანჯალი... შვილი, შვილი! რა იქნა ჩემი შვილი! — ძალზედ შეჰკივლა და ვეფხვივით ღრიალი დაიწყო...

გაიარა კარგა ხანმა, ხევი დამშვიდდა. ცხოვრებამ ჩვეულებრივი მდინარეობა მიიღო.

მხოლოდ სამტვეროს ტყე გადაიქცა ყველასთვის მოსარიდებლად, რადგანაც იქ ჩასახლდა ჭკუაზედ შემცდარი გოჩა და გამვლელ-გამომვლელს თავის შვილზედ ამბის კითხვით არ უსვენებდა. ის ყველას ეპატიჟებოდა თავის სახლში და უამბობდა, რომ შვილს მოელოდა შორის გზიდგან. მერე დაუწყებდა მუქარას, რომ შაეტყობინათ, რა მოუვიდა ონისეს, და ბოლოს შემზარავის ღრიალით გაათავებდა.

ასე მიდიოდა მოხუცის დღეები იმ დრომდის, სანამ ერთს ზამთარს თოვლს ვიწრო ხევში არ ჩაეჩუმქრა.

რაც შეეხება ძიძიას, ის იმ ღამიდგან, რაც ონისეს განშორდა, აღარავის უნახავს. *

[1884]

---

* ეს მოთხრობა სიტყვით-სიტყვამდე მიამბო ფრიად მოხუცმა მოხევემ ღინჯა ხუცესმა.

# ელეონორა

ყმაწვილი და ცქრიალა, ცოცხალი და განაზებული, მშვენიერი და კეკლუცი ელეონორა იყო ქალი მდიდარის მებატონის ვახტანგ ხელთუბნელისა და იმ დროს ყმაწვილ კაცებისთვის საოცნებო საგნად გამხდარიყო. ვისაც ან სახელი, ან გვარიშვილობა, ან შეძლება ნებას აძლევდა, ყველა ელეონორას ხელს დაეძებდა, ყველას სანატრელადა ჰქონდა გამხდარი მასთან შეუღლება და მისდა მოსაწონებლად ათას გვარს შემთხვევას აძებნინებდა. მაგრამ ელეონორა, გაამაყებული თავის მშვენიერებით და გაამპარტავნებული მამის მდგომარეობით, რომელიც თავის ქვეყანაში ყველაზედ უფროს გვარად, ხალხის მმართველად და ყველაზედ შეძლებულად ითვლებოდა, ხარხარებდა თავის არშიყებზედ, მისაზიდავად შესთამაშებდა, უმეტესად ულვივებდა სიყვარულის ცეცხლს და არცერთს კი არ მორჩილდებოდა. მშვენიერის გარშემო ურიცხვი ყმაწვილი კაცები, ძილსა და მოსვენებას მოკლებულნი, ოხვრასა და სულისკვეთებაში იყვნენ, მაგრამ ტყუილად ღნებოდნენ, ტყუილად ცდილობდნენ. მათ მხურვალე სიტყვებს, აღგზნებულს საქციელს და ცეცხლისმფრქვევს თვალებს ელეონორას გული ვერ მოელბოთ და გარს შემოზღუდული ყინული ვერ გაელხოთ.

ელეონორა, ბუნებით არშიყი, რაწამს პატარა ლამაზ ყმაწვილ კაცს დაინახავდა, მაშინვე თავბრუს დამხვევის ღიმილით გაუცინებდა, ხავერდის მსგავსის შავის თვალებით შეეუყუნებდა, მუსიკის მსგავსის ხმით შეეხუმრებოდა და, როდესაც კაცი იგრძნობდა ნექტარის სიტკბოებას, როდესაც მთლად გაეხვეოდა რბილსა, სასიამოვნოს და მტანჯველ, დამატკბობელს ბადეში, მაშინ, მაშინ და-

გებოდა ქალის სასიამოვნო წუთები და ალტაცებით უყურებდა მსხვერპლის მოუსვენარს თრთოლას და ცახცახს, თითქოს მის სატანჯველში რაღაცა დამატკბობელს სიამოვნებასა ჰგრძნობდა.

ამ წუთებში ელეონორა ემსგავსებოდა ძუ ვეფხს, რომელიც თავის ტოტებ ქვეშ დამორჩილებულს მსხვერპლსა ჰგრძნობდა და მის ულონო, შემაძრწუნებელს თრთოლას ალტაცებაში მოჰყავნდა.

ყმაწვილკაცთ შორის, რომელნიც ელეონორას ფარვანასავით თავს დასტრიალებდნენ, იწოდნენ, იბუგებოდნენ და გაშორება კი ვერ მოეხერხებინათ, ლევან კრეჭიაშვილიც იყო. თუმცა ამ უკანასკნელს არც გვარიშვილობა, არც შეძლება და არც შეხედულობა ნებას არ აძლევდა, რომ ამ ქალის მოლხობის იმედი ჰქონოდა, მაგრამ ელეონორას სახე გულში მაინც ღრმად ჩასჭედოდა. ეს ყმაწვილი ვახტანგ ხელთუბნელის აზნაური გახლდათ და მაშასადამე თავის მებატონის ქალის შერთვის იმედი სრულიად გადაწყვეტილი ჰქონდა. თუნდა ასეთი მდგომარეობაც არ ყოფილიყო, ფეოდალურის მებატონის და მისი აზნაურის შუა უზარმაზარი მთაც არ აყუდებულიყო, მაინც ელეონორას თანაგრძნობის იმედი არ უნდა ჰქონოდა, რადგანაც იყო ტანად დაბალი და მრგვალი, მოძრაობა რაღაცა უხერხული... და პირისახე უსიამოვნო.

გაბანჯგლული წვერ-ულვაში, დიდი თავი, ორივ თვალებით დაელმებული ლევან ელეონორას გულში უფრო სიცილს აღძრავდა ხოლმე, როცა კი შეხვდებოდა; ქალს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ იმასაც მოდებული ჰქონდა მისი ტრფიალების ალი და უწყალოდ ხმებოდა.

ლევან ჰგრძნობდა თავის მდგომარეობას და ცდილობდა გულიდან ამოეგლიჯა მაცდურად ჩასახული სურათი, მაგრამ მწუხარებით ხედავდა, რომ მეცადინეობა ამაო იყო და ყოველ დღე მეტად და მეტად მის გულს ელეონორას თვალები იმორჩილებდნენ, წუნარწუნარად ასხამდნენ საწამლავს და დღეს უმწარებდნენ.

ლევანის მდგომარეობა მით უფრო უარესი იყო, რომ ის ვახტანგის სახლში კარისკაცად ითვლებოდა და განუწყვეტლივ ხედავდა თავის გამბრაზებელს ქალბატონს, რომელიც გონებას აფანტვინებდა და თანდათან ჯოჯოხეთის ცეცხლს უძლიერებდა. ხედავდა... მაგრამ ვერ მოშორებოდა.

ლევან გაჩუმდა, გაჩქურდა, მთლად ჩაბრუნდა თავის გულში და ასე უჩივლელად, დამალულის იხვრით დღეებს ატარებდა.

არა იშვიათად ელეონორა დაუძახებდა, ელაპარაკებოდა და ვერ ამჩნევდა იმ სევდას, რომელიც საცოდავს გულს უღრღნიდა.

ელეონორა ეტყოდა: „კრეჭიაშვილო, კაკალი დამიკუწე“, და

ლევანიც, თუმცა წყნარის ოხვრით, მაგრამ გახარებული წავიდოდა ქალბატონის ბრძანების აღსასრულებლად; იმასა ჰქონდა საშუალება ეს საქმე თავისზედ უმცროსებისთვის შეეკვეთნა, მაგრამ კაკალი ელეონორას უნდოდა და მისთვის მუშაობას სხვას როგორ მიანდობდა, როგორ დაუთმობდა? ლევან შესტრფოდა, შეჰკანკალებდა, უალერსებდა ყოველს გამოღებულს კაკლის გულს, ათას საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა, რადგანაც მათ ელეონორას ბაგენი შეეხებოდნენ და ეს კი საკმარისი იყო, რომ კრეჭიაშვილისთვის კაკალი სიწმინდედ გადაქცეულიყო.

თავმოწონებული თავადისშვილები ელეონორას წინ კრეჭიაშვილს მასხარად იგდებდნენ და, როგორც მასზედ უფროსნი, დაურიდებლად ასაქმებდნენ და ამცირებდნენ. კრეჭიაშვილი ჰგრძნობდა თავის მდგომარეობას, უდუღდა გული, სწყევლიდა თავის გაჩენის დღეს და ამ წამებას მაინც ვერ მოშორებოდა.

ასე უნუგეშოდ მიდიოდნენ დღენი ლევანისათვის, რომელიც ძაღლსავით შესჩვევოდა თავის პატრონს, ითმენდა ყოველსავე უსამართლობას, დამცირებას, სატანჯველს და მაინც ძაღლსავითვე ერთგულად იქცეოდა.

კრეჭიაშვილს უყვარდა ელეონორა და ოღონდაც ხანდისხან მისთვის თვალი მოეკრა, მისი ხმის გაგონებით ერთსა და იმავე დროს დატკბარ-მოწამლულიყო და სხვა რაღა უნდოდა?

## II

ვახტანგ ხელთუბნელის სოფელი ისეთს ადგილას იყო, რომ ერთის მხრით ედემად ჩაითვლებოდა, მეორეს მხრით მიუდგომელს სიმაგრედ. გარს უდაბურ ტყით შემოზღუდულს, ველთანს, მალობს, გარეშემო საკმაო სახნავები, სათიბები და საძოვარი ჰქონდა და სურათის დასაშვენებლად თითქოს განგებ სამის მხრით ჩამოეყვანათ წმინდა და ანკარა წყალი; ტყის იქიდგან მთა ისევ მაღლდებოდა, ერთი მეორეზედ შენდებოდა, მერე მოჩანდა სხვადასხვაფრად ჩამოქვიშრული კლდეები, რომელთაც ვერცხლის გვირგვინად, მთის წვერებს, უმტვერო თეთრი ყინული დასდგომოდა. იქ იყო საზოგადოდ საქართველოსი და განსაკუთრებით კახეთის დაუძინარის მტერის ასლან გირეის ადგილები, საიდგანაც ეს მთის არწივი ხან სად დაეცემოდა, ხან სად. იკლებდა კახეთს და, სადაც კი გაივლიდა, განადგურების კვალს სტოვებდა, სისხლის ზოლს გაატარებდა.

ყველანი ძრწოდნენ ასლან გირეისაგან, რადგანაც მისმა გულმა სიბრალული არ იცოდა და, დიდსა თუ პატარას, ვენახს თუ ყანას, სიბრაზით სწვამდა და ანადგურებდა.

მარტოდ-მარტო ვახტანგის სოფელი ჩალმეთი, რომელიც ლეკებს კრიჭაში ჩასდგომოდა, არ უშინდებოდა და მტერს გულის ჯავრს ამოუყრელს არ აგდებდა.

ასლან გირეი იყო ყმაწვილი თვალტანადი, წამოსადეგი და შავარდენსავით მარდი. მისი ვაჟკაცობა კაცებს სანაქებოდ ჰქონდათ გამხდარი და სილამაზე და მოხდენილობა კი ქალებს — საოხვრელად.

ერთს დღეს ვახტანგს კაცი მიუვიდა, რომელიც ასლან გირეის გამოეგზავნა. ვახტანგ მოაზრებული კაცი იყო და ამასთანავე მისდევდა მთის ჩვეულებას და, რასაკვირველია, მოსული, როგორც სტუმარი და მაგასთან შუაკაციც, დიდის პატივით მიიღო.

ჩვეულებრივის სადილის და მოლხენის შემდეგ, ვახტანგმა სტუმარს მოსვლის მიზეზი ჰკითხა.

— ასლან გირეის შენი ნახვა ჰსურს, — უპასუხა სტუმარმა.

— ასლან გირეი განთქმული ვაჟკაცია, — უპასუხა მასპინძელმა, — მის სტუმრობაზედ უარი არ მეთქმის... მასთან არც ბრძოლისა შემრცხვება, არც მასპინძლობისა... სად არის?

— აქვე ახლოს, ტყეშია დაბანაკებული.

— მაშ აჩქარდი, აჩქარდი და სთხოვე მობძანდეს...

სტუმარი, რომელსაც მასპინძელმა რამდენიმე ცხენოსანი გაატანა, გაეჩქარა ლეკებისკენ და ვახტანგ კი დააფიქრა ამ დაუდგრომელის სტუმრობამ, რომელსაც სისხლის დაუღვრელად გატარებული დღე უბედურს დღედ მიაჩნდა.

ვახტანგმა კარგად იცოდა ასლან გირეის ხასიათი. იცოდა, რომ ის გულით ეძლეოდა ბრძოლის შემთხვევასა, იცოდა რომ ჩხუბი მისთვის მეჯლისი იყო და ამის გამო მეტად არ დაინახა, რომ თავისი ხალხი მოემზადებინა და თუ ასლან გირეი სტუმრის წმინდა მოვალეობას გადასცდებოდა, პურმარილს უღალატებდა, მასპინძელსაც თავისუფალი მოქმედების ნება მიეცემოდა და მაშინ... მაშინ ლეკს მწარედ უპირებდა გადახდას.

## III

ყველაფერი მზად იყო ვახშმისთვის; ელეონორა დაცქრიალებდა მორთულ-მოკაზმული და მოუთმენლად მოელოდა სახელგანთქმულს სტუმარს. იქავე იყვნენ ათიოდ ყმაწვილი თავადისშვილი, რომელნიც მნათობს შესტრფიალებდნენ.

ერთბაშად მოისმა ცხენის ფეხის ხმა, რომელიც შესდგა ვახტანგის გალავნის კარებზედ და მცირე ხნის შემდეგ ვახტანგ და ასლან გირეი ერთმანერთს შეხვდნენ.

— მასპინძელო, ბედნიერი ვარ, რომ შენ ჭერს ქვეშ მეღირსება ღამის გათევა,—მდაბლად თავის დაკვრით და ზრდილობიანად წარმოსთქვა ლეკმა.

— შენისთანა სტუმარი სახლსაც ახარებს და მასპინძლის გულსაც... — უთხრა ვახტანგმა და მიიპატიჟა: — შემოდი სახლში და ნახე გამხიარულებული ბუხარი, რომელიც მასპინძლის გულს დაგანახვებს.

ყველანი შევიდნენ უცხოდ მოწყობილს სახლში, სადაც მართლა სასიამოვნოდ გაჩაღებულს ბუხარს გუგუნი გაჰქონდა. ელეონორა სტუმარს კარებში მიეგება.

— მნათობო! — წამოიძახა ლეკმა და თვალები ცეცხლად აღეგზნო: — შენი ქება ცის კიდურამდის გავარდნილა და მართლაც ღირსი ყოფილხარ ამ ქებისა!.. ალალი იყოს შენზედ ის ძუძუ, რომელსაც გაუზრდიხარ, ალალი იყოს ის თვალი, რომელსაც შენს აკვანზედ ძილი გაუტეხია, გაუმარჯოს იმ მკლავს, რომელსაც შენი რწევა არ დაზარებია! მთის ვარდო, დიდს ხანსამც გიცოცხლია.

ამ ქებაზედ ელეონორა აინთო, გაწითლდა და ჩვეულებრივი გაბედულება დაკარგა და... ამისთვის მამა მოეშველა.

— გულითა ვხარობ, რომ ჩემს სახლში ჩემს სტუმარს ყველა გულით ასიამოვნებს.

ამ სიტყვების შემდეგ ისინი დასხდნენ ვახშმად და ელეონორას თამადობამ ლეკს მაჰმადის წესი გადაავიწყა და გამხიარულებულმა, გაცეცხლებულმა თვალებმა კი ღვინოზედ ძლიერად იმოქმედა.

## IV

გათავდა ვახშამი და ყველანი თავთავის საწოლებში წავიდნენ; მაგრამ სანამ ძილი თვალებს დაუხუჭავდა, ყველანი ჯერ კიდევ მეჯლისის შთაბეჭდილებით სიამოვნებდნენ, ყველას პირი უცინოდა და რაღაცა აღტაცებაში იყო. თვით ასლან გირეი ისე იყო თავბრუდასხმული, რომ ვეღარც დაწოლა მოეხერხებინა, ვეღარც დაძინება და სიფხიზლე და ზეზე ყოფნაც აწუხებდა, ძალზედ აჩუხჩუხებული სისხლი ალმადალმა მიექან-მოექანებოდა, თან დაჰქონდა ელეონორას სახელი და ლეკის გულს მოუსვენრად აფართხალებდა.

ასლან გირეი პირველადა ჰგრძნობდა იმ უხილავს ძალას, რომელიც ქალის წინაშე თავს ახრევინებდა. აქამდის ასლან გირეისათვის ლამაზი ქალი ზეცისგან მამაკაცის ჯილდოდ იყო დანიშნული, შეადგენდა კაცის საკუთრებას და ამ უკანასკნელს უფლება ეძლეოდა, სურვილისამებრ ქინის სათამაშოდ გაეხადა. მას სხვა რიგად არ ესმოდა ქალი და მისდამი ვერც სხვა გრძნობას წარმოიდგენდა.

ამისთვის, როდესაც ნაზ ქმნილებას თვალს სადმე მოჰკრავდა, თუმცა მაშინვე გაუარშიყდებოდა, მაგრამ ეს არშიყობა იყო უმაღლესისა უმდაბლესისადმი, რომელსაც საბედნიეროდ უნდა მიეღო მამაკაცისაგან მოწონება და არშიყობით გაბედნიერება.

ელეონორას ნახვამ ასლან გირეი ერთბაშად დაიმორჩილა, თავი მოახრევინა და მედიდურობის მძებნელი მებატონე დაბორკილებულ მონად გახადა.

უწინ ასლან გირეის ქალის შესახებ მხოლოდ ბრძანებლობა ესმოდა, ეხლა კი სხვა სანატრელი აღარა ჰქონდა-რა ოღონდ ელეონორას ბრძანების აღმსრულებელი შექმნილიყო.

ბუნებითვე შთამბეჭდავი და მოუსვენარი ხასიათი ყმაწვილის, სიცოცხლით სავსე მთიელისა, ეხლა უმეტესად აღელდა, როგორც მთის მდინარე ცხარე მზისაგან და წარმოუთქმელის სისწრაფით ვინ იცის საით გაქანდა.

ის მიწვებოდა, თუ წამოიჭრებოდა, თვალს გაახელდა თუ დახუჭავდა, — ყველგან ელეონორას სახე ეჩვენებოდა; ის უდგა თვალწინ და რა სიტყვის წარმოთქმაც უნდა სდომებოდა, ტუჩები, მისდა უნებურად, პირველად ცქრიალას სახელს წარმოსთქვამდნენ. ისედაც აღგზნებულს და გახურებულს გონებას ახლა კიდევ ღვინის ძალა ემატებოდა და ასლან გირეი თანდათან გონებას ჰკარგავდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ლეკთა ყმაწვილი მებატონე ამ ალტაცებაში იყო, მუდამ მხიარულის ელეონორას სახეც რაღაცა მჭმუნვარებას შეეპყრო და მისი სწრაფად ერთი საგნიდან მეორეზედ გადამსვლელი აზროვნება ერთს საგანს დაჰკვირებოდა.

ქალს უკვირდა თავისი არაჩვეულებრივი მდგომარეობა და ჯერ კიდევ ვერ გამოერკვია, რომ მისი ნაზი, ცქრიალა და პაწაწა გული მიჯნურობის ისარს გაემსჭვალა.

ელეონორას აგონდებოდა ასლან გირეი, რომლის სიტყვებიც ისე ტკბილად და ნაზად უმეორდებოდა ყურში და ამოდა ცდილობდა ჩვეულებისამებრ ყმაწვილი ლეკის საქციელში სასაცილო რამ ეპოვა. რაწამსაც სცდიდა წადილის აღსრულებაში მოყვანას, რაწამს ლეკის სახეს ჩხრეკას დაუწყებდა, სასაცილოს მაგივრად, თვალ-წინ წარმოუდგებოდა ლეკის ნაზი და თხელი ტუჩები მომხიბლავის ღიმილით, გაცხოველებული პირისახე და ჟუჟუნა ცეცხლის მფრქვევი თვალები — წარმოუდგებოდა და, მასხარად აგდების მაგივრად, სულის შემტაცებელს მდგომარეობაში აგდებდა.

ელეონორა თავის ოთახში მარტოკა იყო, რადგანაც საქართველოში მხოლოდ ვახტანგ ხელთუბნელსა ჰქონდა თავისქეიფა ქალისთვის ცალკე ოთახი.

ოთახში ბუხარს გუგუნი გაჰქონდა არა იმდენად სითბოსათვის, რამდენადაც გასანათებად და გულის გასამხიარულებლად. ელეონორა იწვა ტახტზედ და პირისფერ ადგილიანი დიბის საბანი მხოლოდ მკერდამდის ჰფარავდა. მოუსვენარს წყვეტებას ერთს ადგილს საბანი რაოდენადმე გადაეგდო და ნაზი პატარა ფეხი გამოეჩინა. რბილს ბალიშზედ მიწოლილს ქალს ღამის თავსაბურავი მოშლოდა და ხშირი, კუპრსავით შავი, ელვარე დალალები ბალიშს უსწორ-მასწოროდ შეჰფენოდნენ. ერთი მათგანი გაპარულიყო და ბროლ-ფიქალს ყელს შემორტყმოდა; მოვის პერანგის საკინძი გახსხოდა და გაპენტილ ბამბის მსგავსი მკერდი გამოეჩინა. სახეს წადილთან შეერთებული დაქანცვა დასტყობოდა, ნაზი მარჯანისებრი ტუჩები გაშრობოდა და მოუთმენლად ჰქშინავდა.

ქალს თვალები ნახევრად დახუჭული ჰქონდა, მაგრამ გრძელს შავს წამწამებიდგან ორ ნაღვერდალსავით ბრწყინავდა სიცოცხლის შუქი. შუბლი ოდნავ შეჰკროდა და მიმზიდველს მნათობს მრისხანების იერი გადაჰკროდა. ელეონორა უებრო იყო, ამჟამად მას ბატკნის გამძვინვარება შეეძლო და გამედგრებულის ლომის დამორჩილება.

ამ დროს მოისმა რაღაცა ხმაურობა და ელეონორამ ერთბაშად თვალები გაახილა, წამოიწია, მაგრამ ისევ მალე დამშვიდდა, რადგანაც ოთახში არავინა სჩანდა.

ჩამოვარდა სიჩუმე, ელეონორა ისევ უწინდელს მდგომარეობაში ჩავარდა, ისევ ძველმა ფიქრებმა გაიტაცა. გამეორდა ისევ ის ხმა, მაგრამ ახლა უფრო მომეტებულის ძალით და გამუდმებით.

ქალი შეკრთა და ქვეშსაგებში სწორედ იმ დროს წამოჯდა, როდესაც კარები შემოეღო და იქავ ვიღაც კაცი გაქვავებულსავით გაჩერდა.

— ასლან გირეი! — შეშინებით წამოიძახა ელეონორამ და წარბები სიბრაზით შეეჭმუხნა.

— მომიტევე, მაპატივე, — მღელვარებით, თუმცა ზრდილობიანად, წარმოსთქვა ლეკმა და ერთი ნაბიჯი გადასდგა.

— არ გაბედო! — მკაცრად და ბრძანებით შესძახა ქალმა და კაციც გაშეშდა. — უბედურო! ვინ მოგცა ეგ უფლება?

— სიყვარულმა, — მოისმა წყნარად და ნიავსავით მთრთოლარედ.

ლეკი იდგა თავდახრილი. აღელვებული და ძლივსა სუნთქავდა. ფერი განუწყვეტლივ ეცვლებოდა და გაფითრებული სახე წამდაუწუმ ალისფრად ელებებოდა. თვალები გალეებულს ნაკვერჩხალს დამსგავსებოდა, თუმცა მაღლა თავის აღება და პირდაპირ შეხედვა ვერ გაებედა...

ელეონორაც გაჩუმებულიყო, რადგანაც პირველის აღშფოთების შემდეგ მიტევების გრძნობამ შეიპყრო.

— წადი, ეს გამბედაობაც საკმარისია!

პასუხის მაგივრად ასლან გირეიმ ისე საწყლად და შესაბრალისად შეხედა ქალს, თითქო ამ სიტყვებით გული მახვილით გაუწონესო.

— არ გესმის, ვერ გაიგონე? — გაიმეორა ქალმა, მაგრამ იმასაც სიბრალული დაეტყო და ხმა რამდენსამე ადგილს გაუწყდა. მან იგრძნო, რომ ბრძანების კილო ცუდად დაფარულის მორჩილების ხმად გადაექცა და სწორედ იმ დროს, როდესაც სიტყვებით ლეკს წასვლას უბრძანებდა, ნაზსა და მთრთოლარე ხმაში სულ სხვა წადილი შეინიშნებოდა.

ამ ხმამ ელექტრონულ ძალასავით გაურბინა ასლან გირეის მთელს არსებაში და აგრძნობინა, რა განუსაზღვრელ ბედნიერებაში ჩავარდა ასე მოულოდნელად. მთიელი გაკრთოლდა, უანგარიშოდ გაიშვირა ხელები და, თავდავიწყებულმა, მკლავებში შეშინებულის და ათრთოლებულის ქალის სხეული იგრძნო.

ქალი შეეპყრო ჯერედ გამოუცდელს ძალას, რომელსაც დაესუსტებინა, მოედუნებინა და საკუთარ ძალღონეს მოკლებული უანგარიშოდ სხვის უფლებისთვის დაემორჩილებინა.

ელეონორა იმ წუთების განმავლობაში ავად იყო, მაგრამ ეს ავადმყოფობა მეტად ტკბილად და სასიამოვნოდ ეჩვენებოდა და ამიტომ არ შეეძლო სრულიად არ მისცემოდა.

გაშმაგებული ლეკი შეეხო მის ტუჩებს, დააკვდა ზედ და სუნთქვა შეუწყდა.

ქალი ერთბაშად შეკრთა, გაინძრა და, თავდავიწყებულმა, ხელის კვრით მოიშორა. ელეონორა გამოფხიზლდა და ეს გამოფხიზლება ვეფხის გამოფხიზლება იყო. გამწარებულს ლომსავით თავის აქნევით თმა უკუ გადაიყარა და თვალნი მეხის მსროლელთ დაემსგავსნენ.

ლეკი თუმცა ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყო, მაგრამ ქალის მრისხანება ეგრძნო, შეშინებოდა და დამორჩილებული თავდაღუნული დამნაშავესავით იდგა. გამედგრებულს ქალს ეგრძნო შეურაცხყოფა და ლეკის გამბედაობით გაბრაზებული თავის სისუსტეზედაცა ბრაზობდა. ელეონორას პირისახე ამ წუთებში განრისხებულს ცას დამსგავსებოდა.

კარგა ხანს იდგნენ ასე გაჩუმებულნი: ნაზი ქმნილება — მრისხანე ანგელოზად და მხნე და შეუპოვარი კაცი კი — დამორჩილებულს ნორჩს შტოსავით, რომელსაც მედგრად ამოვარდნილი გრიგალი უწყალოდ ჰხრიდა და ზნექავდა.

ელეონორამ ამოისუნთქა, ხელი მიიტანა გულთან, ყელთან და შეიკუმშა, თითქოს ვეფხს მსხვერპლისკენ გადახტომა განუზრახავსო. ბოლოს გაიშვირა ხელი და მბრძანებელის მოძრაობით ლეკს კარები უჩვენა.

ასლან გირეი წელში წაიკლაკნა, თითქოს ელექტრონული ძალა იგრძნოვო და მომუდარე თვალით ელეონორას შეხედა. ქალს შეწყალება არ ეტყობოდა.

— შემიბრალე, — წყნარად წარმოსთქვა ლეკმა.

— აჰ! — მოუთმენლად წამოიძახა ელეონორამ და დაუმატა: — აი კარები.

— ელეონორა!..

— კმარა! — გააწყვეტინა ქალმა და ლეკმა სიტყვის გაგრძელება ველარ გაბედა.

რამდენსამე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. ასლან გირეიმ კიდევ რამდენჯერმე სცადა შეეხედნა ქალისთვის, მაგრამ თვალი ვერ გაუსწორა. ქალმა წადგა რამდენიმე ნაბიჯი და გადაწყვეტით წარმოსთქვა:

— გადი აქედგან!

ასლან გირეი შეკრთა, შეიძრა და, შეპყრობილი, დამორჩილებული უხილავის ძლიერებით, ბრძანებას დაემორჩილა. ლეკი ჯერ შეიძრა, შემდეგ კარებისკენ წყნარად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ბოლოს თითქმის გაიქცა.

გაიქცა, მაგრამ, როდესაც კარს მიაღწია, შედგა, მობრუნდა და ცალ მუხლმოდრეკილმა ხელები გაიშვირა.

— ელეონორა! ნუ იქნები უწყალო! რა დაგიშავე?

— შენ შეურაცხყავ უმანკო ქალის სახელი.

— შენის სიყვარულით!

— ისარგებლე ქალის სისუსტით?

— ელეონორა, მიყვარხარ! — ისე წამოიძახა ლეკმა თითქოს ამ სიტყვებს სული ამოატანაო.

— მით უარესი შენთვის! — შეუბრალებლად წარმოსთქვა ელეონორამ და დაუმატა: — მე კი თავის დღეში არ მიყვარები. — ლეკი გველ-ნაკბენსავით წამოვარდა, წატორტმანდა ქალისკენ, შესდგა და მთლად გაფითრებულმა ცახცახი დაიწყო.

— მაშ... ვინ გეყვარება? — ძლივს წარმოსთქვა ლეკმა.

— ვინც პირველი შემხვდება, მხოლოდ შენ კი არა.

— მე მოვკლავ, დავახრჩობ იმას!

— მაგასა ვნახავთ. — ქალმა ამაყად გაიღიმა: — კმარა!.. მომშორდი.

— კარგი, ელეონორა, კარგი!... გინდა ჩემი ტანჯვა და ვასრულებ შენს ბძანებას. მაგრამ იცოდე — ისე მიყვარხარ, ისე, რომ სხვას ასე სიყვარული არ შეუძლიან.

— პაჰაჰა! — მოისმა საწამლავ-გარეული სიცილი. — არცა ვსაჭიროებ... სამაგიეროდ მე მეყვარება, მე დავატკბობ და სამოთხის ნეტარებას მივცემ.

— და მე?

— შენ?.. შენ კი — ჯოჯოხეთს, გესმის?.. ჯოჯოხეთს გაგრძნობინებ!.. გაგახმობ, დაგაჭკნობ, დაგლევ და შენი მდგომარეობა მხოლოდ სიცილს მომგვრის.

— კმარა, გეყოფა!.. მივდივარ, მაგრამ მაინც ჩემი იქნები... პირველს, რომელსაც შენი ღიმილის სიტკბოება გაუვლის გულში, მასთან ერთადვე ჩემი ხანჯალიც შიგ გადუტრიალდება... ვისთვისაც გაელვარებას დააპირებს შენი თვალები, იმაზედ ავატირებ ქვეყანას, ვისაც ჩახვევას დაჰპირდები, მას ცივი სამარე ჩაიხვევს... გახსოვდეს, ელეონორა!.. ამას გეუბნება ასლან გირეი და კიდეც აღასრულებს!.. მშვიდობით.

ამ სიტყვებისათანავე გაიღო კარი და ლეკი ღამის სივრცეში შთაინთქა, ქალი კი რაოდენსამე ხანს გაშტერებული დარჩა იმავ ადგილას.

ბოლოს ამოისუნთქა, წყნარად გადაისვა შუბლზედ ხელი და წარმოსთქვა:

— მაშ მაშინებ?.. მემუქრები?.. ვნახოთ!

მეორე დღეს დილით, როდესაც ყველანი ადგნენ და სახლის უფროსმა ბიჭს განკარგულება მისცა, რომ სტუმრისთვის სამაგალითო ლხინი გაემართათ, პასუხად მიიღო, რომ სტუმარი გათენებისას წავიდაო.

გაშტერებულმა სახლის პატრონმა არ იცოდა, რისთვის მიეწერა ასლან გირეის ასეთი საქციელი. ელეონორას კი, წარსულის ღამით დაქანცულს, ძლივს მისძინებოდა, მაგრამ წარსულის შემთხვევის შთაბეჭდილება, ეტყობოდა, გონებიდგან ჯერ არ ამოშლოდა.

ნაზს სახეს მრისხანე ღიმილი დასჩნეოდა და წარბები შესჭმუხნოდა.

უეჭველია, სიზმარში იყო, რადგანაც იმის ტუჩები იძროდა, თითქოს ვიღასაც ელაპარაკებაო.

— მემუქრები?.. მაშ ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს! — წარმოსთქვა იმან და ღრმა ძილს მიეცა.

## V

კარგა ხანმა გაიარა რაც ასლან გირეის ამბავი აღარ ისმოდა. მისი მოულოდნელი სტუმრობა და იდუმალად გაპარვა ყველას გადაავიწყდა ხელთუბნელის სახლში. თვით ელეონორასაც კი თითქოს აღარ აგონდებოდა და, ჩვეულებისამებრ, თავის მოარშიყეებზედ ხარხარებდა.

თუმცა ეს ქალი კარგა ხანს მალავდა თავის მდგომარეობას და ვერავინ ამჩნევდა ცვლილებას, მაგრამ რაოდენსამე ხანს შემდეგ ელეონორას ფერმა დაუწყო კრთობა და ჩვეულებრივ უზრუნველობა მოუსვენარს მღელვარებად გადაექცა.

ეს მდგომარეობა პირველად კრეჭიაშვილმა შეამჩნია და გული გაემსჭვალა. მან არ იცოდა მიზეზი ელეონორას ცვლილებისა და სიყვარულისაგან აღგზნებულმა წარმოიდგინა, რომ ქალის გულს ტრფობის ალი მოსდებოდა.

კრეჭიაშვილი აქამდის მხოლოდ იმის გამო იტანჯებოდა, რომ თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა მნათობის თანაგრძნობას; მაგრამ, ამის სამაგიეროდ, კიდევ ის ამშვიდებდა, რომ თუ ბედნიერებაზედ თითონ იმედი ჰქონდა გადაწყვეტილი — სხვასაც არ ეძლეოდა ეს იმედი.

საკუთრივ მხოლოდ თავის თავზედ და თავის ბედნიერებასა და სიამოვნებაზედ მზრუნავი კრეჭიაშვილი რაკი თითონ უბედური იყო, აღარც ის უნდოდა, რომ სხვა გაბედნიერებულიყო. ასეთს კაცადა ხდის სიყვარული ყველას, ვინც მეტის-მეტად გატაცებულია მისგან და სწორედ ამ მიზეზით იმედგადაწყვეტილს კრეჭიაშვილსაც ტანჯვა გაუორკეცდა.

ერთბაშად ელეონორა გამოიცვალა, დაჰკარგა ჩვეულებრივი მხიარულება და ყოველთვის მოცინარ ტუჩებზედ ეხლა რაღაცა მწუხარების ბეჭედი დაეტყო. ქალმა თანდათან ჭინიანობა დაიწყო და მიზეზიცა ჰქონდა, რადგანაც მთელს ღამეებსა სტეხავდა და ძილი აღარ ეკარებოდა. მადადაკარგულისთვის სასიამოვნო და საყუათო საჭმელი ველარ ეპოვათ.

მამას ელეონორას ცვლილება უკვირდა, სწუხდა და ხან ერთის ხატის მიზეზს მიაწერდა, ხან მეორე ხატისას. ხოცავდა საკლავებს, უყენებდა კურატებს, ავლევდა შანებს, მაგრამ არაფერი შველოდა. სადაც კი განთქმული მკითხავის სახელს გაიგონებდნენ, მაშინვე იმასთან გააქანებდნენ კაცსა, ჩამოასხმევინებდნენ ფთილებს და აანთებინებდნენ წმინდა სანთლებს. მაგრამ ყოველივე ამაოდ რჩებოდა. ქალი ვერ გამოებრუნებინათ.

ერთს დღეს, ხელთუბნელმა დაუძახა კრეჭიაშვილს და უთხრა:

— რომ გაჭირდეს, ლეკებში ვერ გახვალ?

— რატომა, შენი ჭირიმე!.. იქ ძმობილები ბევრი მყავს და ფიქრი არა მაქვს.

— მაშ ხვალ დილითვე წადი. პირიქით ერთს ლეკს აქებენ, ამბობენ, რომ იმისთანა ექიმი ჯერ არ დაბადებულაო, — ეგების მოიყვანო.

— მოვიყვან, უეჭველად მოვიყვან, შენი ჭირიმე, — უპასუხა კრეჭიაშვილმა და დაუმატა: — სახელი ხომ არ მოგეხსენებათ?

— მურთუზ-ალის ეძახიან.

— მურთუზ-ალისა? კარგად ვიცნობ, ბატონო... ერთხელ დაჭრილი გახლდით, ის დამაყენეს ექიმად და მომარჩინა... დალოცვილი მარჯვენა ჰქონია, შენი რისხვა არა მაქვს.

— როგორ?

— როცა ჭრილობას მიხვევდა, ტკივილიც კი არ მესმოდა, არა, შენი რისხვა არა მაქვს!.. და სხვას რომ ხელი ეხლო, სულ გენია მომეკიდებოდა ხოლმე.

— კარგი ხელი ჰქონია.

— კარგი, კარგი, ბატონო!

— ეგების იმან მაინც არგოს რამე ჩემს ქალსა, თორემ, ღმერთმან იცოდეს, მოსვენება აღარა მაქვს... მკითხავები გინდა და ეს არის, სალოცავები გინდა და სად არ ვიყავით, მაგრამ მაგის გამობრუნება აღარ იქნება! — დაღონებით წარმოსთქვა ხელთუბნელმა და ჩაჰკიდა თავი.

— ნუ შესწუხდები, ბატონო, ღმერთი მოწყალეა, კარგად შეიქნება, — ანუგეშა აზნაურმა.

— ჩვენ კი ჩვენი დაგვემართა და!.. აბა, ნუღარ იგვიანებ, წადი, მოემზადე და ხვალ გათენებისასვე გაუდექ გზასა.

— გათენებას რაღას მოვუცდი? — ეხლავე წავალ... მშვიდობითა ბძანდებოდეთ.

ამ სიტყვებზედ კრეჭიაშვილი გაბრუნდა თავის სახლისკენ, სადაც, მომზადების შემდეგ, ლეკის მთებს გაუდგა და ვახტანგ კი ძალზედ ჩაფიქრდა.

## VI

სწორედ იმ დროს, როდესაც კრეჭიაშვილი თავიანთ სახლს გასცდა, მეორე მხრიდგან სოფელში სამნი შეიარაღებულნი ცხენოსანნი შემოვიდნენ და პირდაპირ ხელთუბნელის სახლისკენ გასწიეს. მივიდნენ კარებთან, სადაც ბიჭები გამოეგებნენ და ცხენებიდგან

ჩამოსვლა უშველეს. შემდეგ, ერთი მოსამსახურეთაგანი მოსულებს სასტუმროსკენ გაუძღვა და მეორე კი ბატონის შესატყობინებლად წავიდა.

რამდენსამე წუთს შემდეგ სასტუმროში სამფეხას, რგვალს და პატარა სტოლს გარს შემოსხდომოდნენ მასპინძელი და სამი სტუმარი, რომელთაგანაც ერთი კარგად ხანში შესული იყო და წვერულვაში ძალზედ გასთეთრებოდა, ხოლო დანარჩენი ორი კი ოცდათექვსმეტ, ორმოც წელს მიღწეულები იქნებოდნენ. სამნივ წმინდად და ფაქიზად ჩაცმულნი, თავიდგან ფეხებამდის იარაღში ისხდნენ და მიხვრა-მოხვრასა და ქცევაში მთიელთათვის მინიჭებული ზრდილობა ეტყობოდათ. როდესაც პურის ჭამა გაათავეს, სუფრა აალაგეს და ჩიბუხის წევა დაიწყეს, ყველაზედ უფროსმა სტუმარმა სიჩუმე გასწყვიტა...

— ვახტანგ... კარგად იცი, რომ ჩვენი კაცი და მეტადრე ჩემსავით მოხუცი შორის მთებიდგან უსაქმოდ არ გადმოვიდოდა... დიდხანს სიჩუმე და გაუგებლობაში ყოფნა შენც შეგაწუხებს და ჩვენც... ღვთის მადლმა, შენს სახლში კაცს ერთის წლის ყოფნაც არ მოსწყინდება, მაგრამ საქმეს გათავება უნდა...

— ეგრე ლაპარაკი იმას ხომ არ ამტკიცებს, რომ რიგზედ ვერ გაგიმასპინძლდით და ჩემთან ყოფნა მოგწყინდათ? — იკითხა ვახტანგმა.

— შენი პურმარილის ხმა შორს არის განთქმული... შენი მასპინძლობა კაცს დროს ავიწყებინებს, მაგრამ საჩქარო საქმეს ჩქარა გარიგება უნდა.

— მეტი ღონე არ არის, უნდა მოვისმინოთ, — უპასუხა მასპინძელმა.

— ძნელი საქმეა, ვახტანგ! მაგრამ მეტი ღონე არ არის!.. თქმა გვიჭირს და სიჩუმე კი არ შეგვიძლიან!

— მითხარით, ყური თქვენსკენა მაქვს.

— ასლან გირეის იცნობ?

— ასლან გირეი გამოჩენილი ვაჟკაცია, იმის სახელი შორს არის გავარდნილი, ასლან გირეის ვინ არ იცნობს?!

— სახელს გარედა შეძლებაც კარგი აქვს და გვარიშვილობაც...

— ეგეც ვიცი.

— ყმაწვილია, წარმოსადეგი...

— შავარდენსა ჰგავს.

— არაფერში დასაწუნი არ არის.

— მართალს ამბობ.

— მაშ, მოდი და შენი ქალი მიეცი, — ერთბაშად გაუთავა მოხუცმა.

— რაო? — გაკვირვებამ წამოახტუნა კიდეც სახლის პატრონი: — ასლან გირეი ქალსა მთხოვს?!.

— რად გაგიკვირდა? — იკითხა მოხუცმა.

— იმიტომ, რომ ჩვენ სრულიად სხვადასხვა სარწმუნოებისანი ვართ... ჩვენი სჯული სარწმუნოების გამოცვლის ნებას არ გვაძლევს და, თუნდა ეგეც არ იყოს, ჩემს ქალს ისე შორს როგორ გავათხოვებ?.. მე მაგის მეტი არა მყავს-რა!

— სიყვარული არც სარწმუნოებას უყურებს და არც მანძილს... ასლან გირეის უყვარს შენი ქალი და უნდა მისცე, თუ შენი ქალიც თანაუგრძნობს.

— არა, ასლან გირეის ქალს არ მივცემ, სტუმარნო!... მობძანებულხართ ჩემთან, დიდი მოხარული ვარ... სტუმარი ღვთისაა!.. ისიამოვნეთ, იმხიარულეთ... ჭირმა მომიკლას ის საქონელი, რომელიც თქვენთვის დასაკლავად დავიშური... დამიძმარდეს იმ ქვევრის ღვინო, რომელიც სტუმრისთვის მოსახდელად შევინახე!.. ბძანდებოდეთ აქა, ბძანდებოდეთ სანამ ჩემი ჭვარტლიანი ჭერი არ მოგწყინდეთ. მხოლოდ მაგ ქალის თხოვნას კი თავი დაანებეთ... ეგ არ მოხდება, არ იქნება და უბრალოდ ერთმანერთს თავს შევაწყენთ.

— შენს ქალსაც რომ უყვარდეს, მაშინ რაღას იქ? — სცადა კიდევ შუაკაცად მოსულმა.

— ჩემს ქალსაც რომ უყვარდეს, რომ დაჭლექდეს, რომ მომიკვდეს კიდეც, მაინც ლეკს არ მივათხოვებ.

— ლეკსა! — გულის ტკენით წარმოსთქვა მოხუცმა: — რა მიზეზია?

— მიზეზი ის არის, რომ ლეკი სხვა სარწმუნოებისაა, სხვა თემობისა და სხვა მიწაწყლისა...

— ვახტანგ, ნუ სჩქარობ... ასლან გირეი განთქმული ვაჟკაცია, გაბედული და სიყვარულს კი თავდავიწყებამდის მიუყვანია...

— მაშინებთ? — ყურთმაჯების შეყრით წამოიძახა ვახტანგმა და წარბები შეიჭმუხნა.

— არა, მაგრამ უსიამოვნობა არც გვინდა და არც კარგი არის. ასლან გირეის შენი ქალი მეტად მოსწონს, მეტად უყვარს, რომ ეგრე ადვილად თავი დაანებოს...

— ნუ დაანებებს, თუ ძალათი არ დაანებებინეს თავი! — გაჯავრდა ხელთუბნელი.

— რომ მოიტაცებს? — ჰკითხა მოციქულმა.

— მაგასაცა ვნახავთ... — ქუდის ჩატეხით და ჩაცინებით წამოიძახა ვახტანგმა და ანგარიშმიუცემლად ხანჯალს ხელი გაივლო.

— ვახტანგ, ჭკვიანი კაცი ხარ, მოიფიქრე, კარგად მოიფიქრე! — თითქმის ხვეწნით ეუბნებოდა ლეკი.

— ჰე, ჰეი, სტუმარო!.. ჩემი ჩალმეთი ეგრე არ წახდება, რომ აქედგან ქალი ლეკმა გამტაცოს!

— მაშ სისხლი დაიღვრება! — წამოიძახა მოხუცმა და ხელი ჩაიქნია.

— რა მენაღვლება?.. თუ სისხლი მოსჯარბებია ვისმე, გამოვუშვებთ.

ლაპარაკი შესწყდა. შუაკაცები და მასპინძელი რაღაცა ალტაცებაში იყვნენ და ერთმანერთს თვალითა სწონავდნენ.

მოხუცი არ იცნობდა ვახტანგსა და მისი მტკიცე ლაპარაკი მოეწონა. გამოცდილი მთიელი დარწმუნდა, რომ ხელთუბნელის და ახირებულ ასლან გირეის შუა საქმე უსისხლოდ არ გათავდებოდა და ამისთვის ერთხელ კიდევა სცადა საქმე მშვიდობიანად გაეთავებინა. მაგრამ რაწამს მოხუცი სალაპარაკოდ მოემზადა, ვახტანგმა სიტყვა გააწყვეტინა:

— მაშ, აქამდის სად იყო, თუ ჩემი ქალის მოტაცება უნდოდა?

— აქამდის მთები შეკრული იყო... ასლან გირეი, როგორც დათვი ყაფაზაში, ისე იყო მთების იქით მომწყვდეული; ეხლა გაზაფხულდა, გზები გაიხსნა და ასლან გირეის კი დიდი ჯარის შეყრა შეუძლიან.

— კარგი, სტუმარო, კარგი... როცა შინ მიხვიდე, ასლან გირეისას, უთხარი: წელს პირ-აქეთ არ გადმოვიდეს, თორემ, ვფიცავ დამბადებელს, ცოცხალი ვეღარ წავა!

ამითი გათავდა იმათი ლაპარაკი, რადგანაც მოხუცს ვერც ენამჭევრობამ უშველა და ვერც გამოცდილებამ. შუაკაცი იძულებული შეიქნა უკან გაბრუნებულიყო. ვახტანგიც დარწმუნდა, რომ ასლან გირეის მშვიდობიანად ვეღარ მოშორდებოდა, რადგანაც მთის მებატონისთვის სისხლის ღვრა მეჯლისი იყო.

## VII

ელეონორას პირველსავე ნახვაზედ შეუყვარდა ასლან გირეი; იმასთან შეხვედრამ კინაღამ იმ თავისდავიწყებამდის მიიყვანა, რომ სიყვარულს თავის სახელი შესწირა და განუწყვეტელს სინანულში ჩავარდა. მაშინ ქალს თავმოყვარეობამ უშველა და გონს-მოსულმა ლეკის გაბედულება შეურაცხყოფად ჩასთვალა და, როდესაც იმედ-

გადაწყვეტილი ასლან გირეი მთაში თოვლებმა მოიმწყვდია და ქალს თავის ხმა ვეღარ მიაწვდინა, ელეონორას თავმოყვარეობამ უფრო მეტის ძალით თავი იჩინა. ქალმა ლეკის სიჩუმე მიაწერა გულგრილობას და დარწმუნდა, რომ არა ვყვარებივარო. ლეკის საქციელი — საწოლში შესვლა — გარყვნილის კაცის გაბედულებად ჩასთვალა და ფიცი დასდო — გადაეხადა, მაგრამ დრო გრძელდებოდა, ქალმა მოსვენება დაჰკარგა და გაავთრდა. ერთის მხრით იმას ვერ წარმოედგინა, რომ ყმაწვილის კაცის დამორჩილება და დაჩაგვრა ვერ შესძლებოდა და მეორეს მხრით იტანჯებოდა იმ მოგონებით, რომ თუნდ ერთის წუთით მაინც თავდავიწყებამდის მივიდა, და გრძნობას გამარჯვების ნება მისცა.

აი, ეს იყო მიზეზი, რომელმაც ისე შესცვალა ელეონორას ხასიათი და მხიარული, კარგადმყოფი ქალი ბრაზიან ავადმყოფად გადააქცია. ვიდრე ქალი აქ ასე სწვალობდა და მოუსვენრობა ძილსა და კარგადმყოფობას აკარგვინებდა, — პირიქით, მთებში, ასლან გირეისათვის თოვლებს გზა შეეკრათ და საყვარლის ნახვის სურვილს გაეშმაგებინა. ისა ბრდღვინავდა, როგორც დაჭრილი ლომი, მოიბრძოდა თავის დამკოდველისკენ, და შეუბრალებელი ბუნება კი გზას არ აძლევდა.

როდესაც მზემ პირი მოიბრუნა და იქაურობას სიმხურვალე მოუახლოვა, თვალ-გადუწვდენელის მთებიდგან თეთრად გადალესილი თოვლი ჯერ აჭრელდა და შემდეგ წყლად გამოქანდა. გზები გაიხსნა და მისვლა-მოსვლა შესაძლებელი შეიქნა. ბუნება გაცოცხლდა და გამხიარულდა, ჩიტებმა სიხარულით ჟივილ-ხივილი დაიწყეს. ყვავილები გადიშალნენ, ყველაფერი შეიძრა. მოძრაობაში მოვიდა. მასთან ერთად შეიძრა ასლან გირეის გულიც, სიხარულით ფართხალი დაიწყო და სატრფოსკენ მედგრად გაიზიდა!.. ასლან გირეიმ საჩქაროდ შეჰყარა ხალხი, წამოიყვანა შუაკაცები და სწრაფად მთას გადმოვიდა.

ასლან გირეი იმ განზრახვით მოდიოდა, რომ ცოლად ეთხოვა ხელთუბნელის ქალი და თუ ვინიცობაა უარს ეტყოდნენ და არ მისცემდნენ, მაშინ უეჭველად მოეტაცნა, თუნდა ამისთვის ნახევარ ჯარის სიცოცხლის შეწირვაც დასჭირებოდა.

აი, სწორედ ეს მიზეზი იყო, რომ ასლან გირეი თავის ხალხით დაბანაკდა სოფელს ჩადმეთთან მახლობლად მდებარე ტყეში და იქიდგან ხელთუბნელს შუაკაცები გაუგზავნა. თითონ ასლან გირეი გულის კანკალით ელოდა იმ წუთს, როდესაც გაგზავნილები დაბრუნდებოდნენ და შეატყობინებდნენ სანატრელს, თუ სავაგლახო პასუხს.

VIII

ხელთუბნელი გამოცდილი კაცი იყო და, როდესაც საჭიროება მოითხოვდა, გვიანობა არ უყვარდა. რაწამს შუაკაცები გაისტუმრა, მაშინათვე განკარგულება მოახდინა, რომ ყველა ახლო-მახლო სოფლები გაფრთხილებულიყვნენ, რადგანაც დღე-დღეზედ ლეკების თავს დასხმა მოელოდათ. თითონაც გაამაგრა ციხე-გალავანი და საკმაო სურსათი შეზიდა, რადგანაც კარგად ესმოდა, რომ, თუ ასლან გირეიმ თავისი განზრახვა გაამართლა და ჩალმეთზედ გამოილაშქრა, ცოტა ჯარს არ წამოიყვანდა. არც იმით ატყუებდა თავსა, რომ ბრძოლა სახუმრო იქნებოდა. იცოდა, რომ ასლან გირეის ხუმრობა არ უყვარს და მისი ბრძოლა ბევრს მამაცს დააკვნესებდა, ბევრს გაუყინავდა ტუჩებზედ მომდგარს ღიმილს.

როდესაც ყველაფერი გამართა და წამოიძახა ეხლა თუნდა მთელი ლეკეთი მოვიდესო, გასწია ქალის საწოლისკენ.

ელეონორა დაფიქრებული და დაღონებული ქვეშაგებში იჯდა. იმის ფუნჩულა ლოყები ჩამომდნარიყვნენ და ვარდისთვის საშურველ ელფერში სიყვითლე შეჰპაროდა. კანი ძალზედ გასთხელებოდა და ქარვას დამსგავსებოდა. შვილდად მოყვანილი წარბები შუბლთან შეჰკუმშოდა და უფრო მეტად მოხრილიყო, თითქოს ისრისგან გაძაბულს ლარს მეტის-მეტად მოეწიაო.

მამის შესვლაზედ ქალმა უნუგეშოდ აილო თავი, შეხედა და ისევ ძირს დაუშვა თვალები.

ვახტანგ წყნარა მივიდა, აკოცა შუბლზედ და იქავ ტახტზედ ჩამოჯდა.

— ელეონორა, ჩემო ნუგეშო! როგორა ხარ?—ჰკითხა ვახტანგმა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— არ მეძინება, — უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ქალმა.

— რა მოგდის, რა გიკრთობს ძილსა?

ქალი თითქოს გაკრკოლდა, ერთი წარბი შეუთამაშდა და უპასუხა:

— ვითომც ეგ სულ ერთი არ იყოს?

— კარგი, კარგი შვილო, ნუ ჯავრობ, — ზრუნვით უთხრა მამამ და გაჩუმებულმა ყურება დაუწყო.

— იცი რა გითხრა, შვილო? — სიჩუმის შემდეგ ფრთხილად დაიწყო ვახტანგმა.

— არ ვიცი. — მოკლედ მიუგო ავადმყოფმა.

— ჩემთან ლეკები იყვნენ სტუმრადა.

ელეონორამ ყურები აცქვიტა და ხმა ამოიწმინდა, თითქოს მღელვარებამ ყელში ხრინწი მოჰკიდაო.

— ლეკები?!.

— ჰო, შვილო.

ჩამოვარდა სიჩუმე. ელეონორას ქმენამ მოუმატა და ბოლოს გაბრაზებით წარმოსთქვა:

— რა ვუყოთ, რომ იყვნენ? შენთან ლეკები ყოველთვის დადიან.

— არა, წარმოიდგინე რად იყვნენ და?

— უთუოდ სასყიდელი ექნებოდათ რამე, — იმედგადაწყვეტილსავით წარმოსთქვა ქალმა.

— არა

— ეჰ... რაში მეკითხება, მამავ, შენი ჭირიმე, ვინ ან რისთვის იყვნენ?

— არა, გამიგონე ერთი და...

— რა უნდოდათ?

— შენა გთხოულობდნენ!—ჩაცინებით და გაკვირვებით წარმოსთქვა მამამ.

ელეონორას მსწრაფად ლოყები აენთო, თვალები გაუბრწყინდა და ტუჩებმა ცახცახი დაუწყო. იმას ეგონა, რომ სმენამ უღალატა.

— რა სთქვი, მამავ?

— შენა გთხოულობდნენ-მეთქი!

ქალმა წამოიწია, კიდევ რამდენჯერმე ხმა ამოიწმინდა და ბოლოს ძლივს მოახერხა:

— ვისთვის?

— კიდეც ეგ არის, რომ ვისთვის? — გაბედულად დაიწყო ვახტანგმა, რადგანაც დაინახა, რომ ქალი სალაპარაკოდ გამოიწვია:— ასლან გირეისთვის.

ქალი მთლად აინთო, დაიფარა თვალებზედ ხელი და ძალზედ აღშფოთებული ვეღარ დამშვიდდა, სანამ ტირილი არ დაიწყო.

საცოდავმა მამამ აღარ იცოდა, რა ექნა, ან რისთვის უნდა მიეწერა ელეონორას ტირილი.

— რა მოგივიდა, შვილო!.. შენ შემოგევლოს ჩემი თავი!.. რასა სტირი? ლეკზედ როგორ გაგათხოვებ? — ეუბნებოდა დაფანტვით.

ელეონორამ ერთბაშად თვალები მოიწურა, გასწორდა და ჰკითხა:

— ჩემთვის ნუ სწუხარ, მამავ... მერე რა პასუხი მიეცი?

— რა პასუხს მივცემდი?.. უარი შევუთვალე.

— უარი! — გახარებით წამოიძახა, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა: — კარგი გიქნია.

— მა რა გეგონა, შვილო? ვიღაცა ლეკს მიგაგდებდი და სულით ხორცამდის დაგკარგავდი?

— კარგი, ძალიან კარგი გიქნია!

— არა, ნეტავი იცოდე, რითი მაშინებდნენ?

— რითი?

— მოგტაცებთო.

— ოჰო!.. მაგას კი ვნახამთ, — რაღაცა მუქარით წარმოსთქვა ქალმა.

— რასა ვნახამთ, შვილო! თუ მართლა მოსვლა გაბედეს, ისე გავუხდით საქმეს, რომ თავის ბედს თითონვე იწყევლიდნენ.

— ომს გაუმართავთ?

— ომს კი არა, ცას დავცემთ თავზე.

ამ ლაპარაკის შემდეგ ქალმა მამა დაითხოვა, რადგანაც ძილის სურვილი მოიმიზეზა და მარტო დარჩა.

რაწამს მამის შემდეგ კარები მიიხურა, ქალი წამოვარდა და რაღაცა ქინიანის, გაბრაზებულის სიხარულით წამოიძახა:

— მამ შენც მოგხვედრია გულში ისარი?!. ახლა კი მე ვიცი, ვიცი როგორც გადაგიხდი ჩემის შეურაცხყოფისთვის.

რამდენსამე დღეზედ ამ შემთხვევამ ელეონორა ფეხზედ წამოაყენა და კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ კარგამყოფის ქალის გვერდით თხუთმეტამდის ყმაწვილი კაცი ოხრავდა და იფუფქებოდა.

## IX

ერთს საღამოს ხელთუბნელის სახლში წვეულება იყო და ყმაწვილი კაცები შეყრილიყვნენ. მრავალს მათგანს გეეგოთ, რომ ასლან გირეი ელეონორას ნოტაცებას აპირებდა და წამოსულიყო, რომ გმირულის თავგამოჩენითაც არის მოელბო ქალის გაქვავებული გული.

ელეონორა, რომელიც ბრძოლის მოახლოვებამ გააცოცხლა, ჰგრძნობდა თავის ძალას, ესმოდა მიზეზი ამ ხალხის შეგროვებისა და მედიდურად, მბრძანებლად თავს დაჰყურებდა მისგან ვალიმების მონატრეთა.

თავის დღეში ელეონორა არა ყოფილა ისე ეშხიანი, ისე ლამაზი, ისე მხიარული, როგორც ამ საღამოს, თავის დღეში მას არ უგრძვნია ის ძალა და გავლენა ყმაწვილ ხალხზედ. გამხიარულებული, ლოყებ-წამოწითლებული, თვალგაღვივებული, ელეონორა,

პირზედ მომხიბლავის ღიმილით გონებას აკარგვინებდა იქ მყოფებს და სანეტაროდ უხდიდა მისთვის თავის დადებას. ხელთუბნელიც შესცქეროდა თავმოწონებულს ყმაწვილებს, აჭრელებულს ფერად-ფერადის ქულაჯებით, გამოწყობილებს და შეიარაღებულს და გუნებაში მუქარით მოიწვევდა თავზედ ხელაღებულს ასლან გირეის.

— მობძანდეს, მობძანდეს გონებადაბნეული ლეკის ბატონი და ნახავს, რასაც მიიღებს.

გაიმართა ვახშამი და კუპრსავით სქელი ლალისფერი კახური ავსებდა ჯიხვებს. მას დამწვარი გული ალტაცებაში მოჰყავნდა და დამუნჯებულს მოჰიკჰიკედ გადააქცევდა. ცხელ-ცხელ ბეჰს უშობელის დეკეულისას ოშხივარი ასდიოდა და ჰაერში მადის გამღვიძებელს სურნელებას ატრიალებდა; მთელ-მთელი ცხვარი წამოგებული სამკაპიანს შამფურზედ, წითლად მობრაწულიყო. სადღეგრძელო ისმოდა და მას მოჰყვებოდა საერთო სუფრული. ხმა მედგარად გუგუნებდა, გრიალებდა, კაკანებდა და წკრიალებდა. არამც თუ ხალხი, თვით ჰაერიც კი სთვრებოდა, იბნიდებოდა და მედიდურის, ტკბილის და დამყვავებელის ხმით მოუსვენრად თრთოდა და მღელვარებდა. შესწყდებოდა საერთო სიმღერა, ხმაურობას შეჩვეულს ყურს უბრალო ლაპარაკი ჩურჩულად-და ეჩვენებოდა; ან არა და სიმღერისაგან გრძნობით აღსავსე გული გაწამებულს სიმუნჯეში რჩებოდა. ამ საერთო სიჩუმეში მოისმოდა წყნარი და ტკბილი ჩონგურის ხმების ჟღერა და მას მოჰყვებოდა მკვნესავი, სევდით და გრძნობით სავსე „ჭმუნვის მახვილი, გულსა მსობია“-სებრივი ხმა.

მეჯლისმა განთიადს მიაღწია, ქეიფი გაიბა; ელეონორას ძილი დავიწყებოდა და ყმაწვილ ხალხს საჯიბროდ აქეზებდა.

ერთბაშად გაიღო კარები და კრეჭიაშვილი, სამგზავროდ ჩაცმული და შეიარაღებული შემოვიდა, თამადამ შეჰკრა თვალი და შესძახა:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — მისცეს ბანი ყველამ.

ახლად-მოსულმა ზღურბლზედ ფეხის გადმოდგმა ძლივს მოასწრო, შესდგა ერთბაშად და თავდახრილმა, როგორც ბნელიდგან ერთბაშად სინათლეში გასულმა კაცმა, თვალებზედ ხელი დაიფარა.

იმან წაიბარბაცა რამდენჯერმე, ამაოდ სცადა თავის შეკავება და იძულებული შეიქნა კედელს მიჰყუდებოდა.

ყველანი გაშტერებულნი უყურებდნენ მასა და კრეჭიაშვილის ამგვარი მოქმედების მიზეზი ვერ აეხსნათ.

როდესაც კრეჭიაშვილმა პირისახიდგან ხელები აილო და მომეჯლისეთ შეხედა, სახე მკვდარს დამსგავსებოდა და ტუჩები თრთოლით რაღაცასა ბუტბუტებდნენ. მაშინ რომ მის პირთან ყური ახლო მიეტანათ, უეჭველია გაარჩევდნენ სიტყვებს: „რარიგად მიყვარს, ღმერთო, ჩემო, რარიგად“!

კრეჭიაშვილმა პირდაპირ, თუმცა უიმედოდ, ელეონორას შეხედა და მომხიბლავი ღიმილი დაინახა; პირველად იგრძნო კრეჭიაშვილმა, რომ ბედნიერება მისთვისაცა ყოფილა, რადგანაც ქალის ღიმილი თანაგრძნობად ჩასთვალა; ამ კაცმა რამდენჯერმე მოიწურა ჭირის ოფლი, რომელიც სახეზედ ხვირთქლად გადმოსდენოდა, შეიბერტყა და ფარულის ოხვრის შემდეგ წამოიძახა:

— ბატონებო, ლეკები გვიახლოვდებიან, წუთით-წუთზედ დაცემას გვიქადიან!

მხიარული მეჯლისი აიშალა, ყველანი წამოცვივდნენ და კარებისაკენ გაეშურნენ.

— შესდექით! — ერთბაშად გაისმა ელეონორას მბძანებელი ხმა, და ამ ხმაში რაღაცა ძლიერი ზარდამცემი ძალა იყო.

ყველანი იმავ ადგილზედ გაქვავდნენ, სადაც კი ქალის ხმამ უწია.

— ყმაწვილებო! — დაიწყო ელეონორამ: — ყველა თქვენგანი შემომტრფის და მარწმუნებს რომ ვუყვარვარ, მე არ ვიცი ვის დავუჯერო... ასლან გირეიმ შეურაცხყოფა მომაყენა და ვინც მის თავს მომიტანს, მხოლოდ ის შეიქნება ჩემის ქმრობის ღირსი!... აბა, ვის უნდა ელეონორა, ვის შეუძლიან მისთვის თავის გადადება?.. სცადეთ!

ამ დროს მოისმა თოფის ხმა, ნიშანი ლეკთა მოსვლისა და ომის დაწყებისა; ყველანი გარედ გამოცვივდნენ.

## X

პირველსავე თოფის გავარდნაზედ ხელთუბნელის ციხის კარი დაკეტეს და მეთოფურნი ბურჯის თავებზედ გადმოდგნენ. ყველა მოელოდა, რომ ლეკების შემოსვლისათანავე დაინახავდნენ ცეცხლწაკიდებულს ყანებს და სახლებს, ცამდის აწეულს კვამლსა და ალსა.

იმათ არა მცირედ გაუკვირდათ, როდესაც ამ არეულობის მაგიერ დაინახეს დაწყობილი და დალაგებული ლეკის ჯარი, რომელიც მშვიდობიანად მოდიოდა, ჩავიდა მახლობლად მყოფს ხევში და იქ ჩასაფრდა.

ცოტა ხანმაც გაიარა და ლეკთა რაზმიდგან გამოვიდა რამდენი-

მე კაცი. ისინი წამოვიდნენ ციხისკენ და, როდესაც შუა გზას მიაღწიეს, შესდგნენ და თეთრის ყაბალახების ქნევა დაიწყეს. ციხეში მყოფნი მიხვდნენ, რომ მათთან მოლაპარაკება უნდოდათ.

ამავე დროს ციხიდგანაც ხელთუბნელი რამდენიმე კაცით გამოვიდა და ლეკთა შუაკაცებს მიუახლოვდა. ხელთუბნელი თავის ხალხით ლეკებთან მივიდა, მაგრამ ჩვეულებრივის „გამარჯვების“ მაგივრად, ერთმანერთს მხოლოდ მცირედის ხელის აქნევით მიესალმნენ.

— ხელთუბნელო! სისხლს ნუ დავღვრით, — დაიწყო ერთმა ლეკმა და დაუმატა: — ასლან გირეიმ დამაბარა: „ჩემს სიცოცხლეში იარაღით ხელში სამტროდ მისულს შერიგებაზედ ლაპარაკი არ დამიწყვიაო და ეხლა კი შენი ქალის სიყვარული ამ ჩვეულებას მაცვლევინებსო“.

— თუ ბრძოლა არ გინდათ, მშვიდობიანად გაბრუნდით, — უპასუხა ხელთუბნელმა.

— კარგი, მაგრამ ერთის პირობით.

— თუ გსურთ, ხალხი გააბრუნეთ და თქვენ და ასლან გირეი კი სტუმრად მეწვიეთ... ჩემი სახლის კარები ღიაა.

— ხელთუბნელო, შენს მასპინძლობას ვიცნობთ, მხოლოდ დღეს სტუმარ-მასპინძლობაზე ლაპარაკი მეტია.

— მაშ რა გინდათ?

— ასლან გირეი მხოლოდ ერთის პირობით გაბრუნდება.

— რა პირობაა?

— თუ თითონ ქალი მის ცოლობას უარსა ჰყოფს და ეს უარისყოფა ნებაყოფლობით იქნება.

— ჩემი ქალი უარსა ჰყოფს! — სიხარულით წამოიძახა ხელთუბნელმა, რადგანაც შემთხვევა ეძლეოდა უსისხლოდ გაეთავებინა საქმე.

— კარგი, მაგრამ უნდა დავრწმუნდეთ, — უპასუხა ლეკმა.

ხელთუბნელი აიტკიცა.

— მე ენაც ერთი მაქვს და სიტყვაც! — თავშეკავებულის სიბრაზით წარმოსთქვა ციხის პატრონმა და უფრო დამშვიდებით დაუმატა: — მაგრამ მობძანდით... სტუმარი ყოველთვის სანატრელია, შუაკაცი ხელშეუხებელი.

— კიდევ ერთი სიტყვა.

— ბძანეთ.

— ასლან გირეი შენს სახლს მშვიდობიანად მოშორდება, მხოლოდ ვინც გინდა შეიქნეს ელეონორას ქმარი, მასთან მტრობას კი არ მოსპობს.

— ეგ თავის ნებაა, — დაუქნია თავი ხელთუბნელმა და მიიწვია: — მობძანდით, რომ თქვენის თვალით და თქვენის ყურით დარწმუნდეთ, რასაც ნახავთ და გაიგონებთ.

ამ სიტყვების შემდეგ მასპინძელი და შუა-კაცები ციხისკენ წავიდნენ, სადაც იქ მყოფთ თავად-აზნაურთ დასწრებით ქალს უნდა გადაეწყვიტა — მოხდეს ბრძოლა, თუ არა.

## XI

ციხეში ერთი მშვენიერი მოედანია და მოედანზედ შეიყრებოდა ხოლმე ხალხი, როდესაც მოსალაპარაკებელი საერთო საქმე გაუჩნდებოდათ. აი, სწორედ ამ ადგილს შეიყარა ხელთუბნელის ციხეში მყოფი თავად-აზნაურობა, ლეკის შუაკაცები და აქ უნდა გამოეცხადებინა თავისქეიფა ელეონორას თავის გადაწყვეტილება. ყველანი მეტად აღელვებულნი იყვნენ და გულის ცახცახით მოელოდნენ საქმის გათავებას.

ერთბაშად ხალხი გაიპო ორად და მათ შუა გამოჩნდა ელეონორა, მოღიმარის სახით, ცოტათი ფერმკრთალი და ტუჩებ-მთრთოლარე.

ყველანი გაჩუმდნენ, როგორც ქარიშხლის წინედ ჰაერი, რომელიც ერთბაშად გრგვინვად გადაქცევას აპირებს. ხელთუბნელი წინ წარსდგა, მოჰკიდა თავის ქალს ხელი და უთხრა:

— შვილო! შენს სათხოვნელად მოსულა ლეკი ასლან გირეი... აქ მყოფი შუაკაცები შენს პასუხს ელიან... სთქვი: გიყვარს ლეკი თუ არა?

ამ სიტყვების შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი სმენად გადაიქცნენ.

— ძალიან! — გარკვევით წარმოსთქვა ქალმა და ამ ხმასთან ერთად მოისმა გაკვირვებული ხალხის ყვირილი და არეულობა.

არავინ არ მოელოდა ამისთანა პასუხს და რაღა თქმა უნდა, რომ მის მოარშიყეთ საკმაოდ გულს დასწყვეტდა.

— ელეონორა! — გაოცების შემდეგ დაიწყო მამამ: — რა სთქვი?.. ეგ პასუხი ხომ არ წამოგცდა?

— არა, — მტკიცედ და მკაფიოდ გაიმეორა ქალმა და გატაცებით დაუმატა: — მე მიყვარს ასლან გირეი, მიყვარს ძალიან და ამის დამალვას საჭიროდ არა ვხედავ... მხოლოდ ამასვე დავუმატებ: როგორც უნდა მიყვარდეს ასლან გირეი, როგორც უნდა ვგიჟდებოდე მისთვის, მას არ გავყვები, ჩემს უფლად არ გავხდი...

გახარებული მამა მიუბრუნდა შუაკაცებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ გაიგონეთ, ბატონებო!

— მოიცა, მამავ, — შეაყენა ქალმა, — ჯერ არ გამითავებია.

— სხვა რაღა გინდა, — ხელთუბნელი ისევ აღშფოთდა.

— მე არ მივსთხოვდები არც ასლან გირეის, არც სხვა კაცს, რომელიც სიყვარულს თავის ვაჟკაცობით არ დამიმტკიცებს... ასლან გირეის გარდა კიდევ ბევრნი შემომტრფიან, ბევრნი დაეძებენ ჩემს თანაგრძნობას და მათგან, — აქ ქალმა ღიმილით და თავბრუსდამხვევის სიკეკლუცით გადახედა იქ მყოფებს, — მათგან ბევრი მომწონს, ძალიან მომწონს... არა მსურს ვინმე დავჩაგრო... ვისაც ჩემი თავი სურს, თითო-თითოდ შეებნენ ასლან გირეის და ვინც გამარჯვებული დარჩება, თუნდა მახინჯიც იყოს, ვფიცავ ზევით ღმერთს და ქვეშ დედამიწას, ის, მხოლოდ ის მივიღო ჩემს უფლად, ჩემს მბრძანებლად...

— რას ამბობ, რასა? — მივარდა მამა.

— მამავ! ნუ მიშლი... ქვეყანაზედ არ არის, ძალა, რომელმაც ჩემი გარდაწყვეტილება შესცვალოს. — შუაკაცებო, თანახმანი ხართ?

— დიაღ, კეკლუცო!.. ასლან გირეი შენის გულისთვის მთელს ქვეყანასაც კი შეებმის.

ქალი მიუბრუნდა იქ მყოფს ხალხსა და ჰკითხა:

— ვისა სურს ჩემი შერთვა, ვისა ჰსურს ბედის ცდა, გამოდით ცალკე.

იქ მყოფ ყმაწვილ კაცებ შორის თორმეტი ისეთი ჭაბუკი გამოვიდა, რომელთა შეყრილობა და მოყვანილობა მტრის თვალსაც კი მიიტაცებდა. კრეჭიაშვილი, რომელიც იქავე იდგა, შეჰკრთა, აენთო თვალები და რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა ცალკე გასულს ყმაწვილის კაცებისკენ, მაგრამ მაშინვე შეფერხდა და თავი შეიკავა.

შუაკაცები განშორდნენ და წავიდნენ ასლან გირეისთვის შეეტყობინათ საქმის სასიამოვნოდ გათავება.

## XII

გარიჟრაჟდა. ცას ფერი ჰკრთომოდა და ლაჟვარდს სივრცეში მოახლოებული მზის შუქი ნათლად კამკამებდა. გაფრინდა მერცხალი, გაშალა ფრთები, გაინავარდა და სიხარულის ჭიკჭიკით ჰაერი შეათრთოლა. ბანი მისცეს დანარჩენმა ფრინველებმა და მზის სხივების ამოსვლას ქების გალობით ელოდნენ. შეიძრა ბუნება, გაცოცხლდა ყველა სულდგმული; ყველამ საბედნიერდღეო სახე მიიღო, თითქოს იძახდა ვინმე: „ქვეყანა ედემია, დასტკბი, სულდგმულო“...

დაჰკრა სიცოცხლის სიმებმა და მათმა ხმამ მიაღწია ასლან გირეის გულსაც.

ერთბაშად ლეკთა ჯარიდგან გაისმა სტვირის ხმა და უბედურობის მოქადნე ზუზუნად მოეფინა. ასლან გირეის მოაგონდა, რომ ბედნიერებამდის შორს იყო და ჯერ კიდევ ძნელი გასავლელი მანძილი ედო, სანამ გულს მოჰქანცამდა ელეონორას მკერდზედ ძგერით, სანამ ტუჩებს აგრძნობინებდა ციურის სიტკბოების მიკარებას, ერთის სიტყვით — სანამ დადგებოდა წამი სრულის თავდავიწყებისა.

სტვირმა მეორედ უსიამოვნოდ გაიჟღრიალა ჰაერში და ასლან გირეი კიდევ შეჰკრთა. შეჩვეული ხმა, რომელსაც მისი ჭმუნვა-მოცული გული მრავალჯერ გაერთო, სევდა გაექარვებინა, დღეს გლოვის ზარად ეჩვენა, გლოვის ზარად, რომელიც უბედურს ასალმებდა ქვეყნის მშვენიერებასთან.

ასლან გირეი შეიპყრო რაღაცა უხილავმა ძალამ, შეანანა თავი, დასცა მუხლებზედ და ხელ-ცისკენ-გაპყრობილს თვალთაგან ორი, მხოლოდ ორი ცრემლი გადმოსწურა. ორი ცრემლი, მაგრამ, ღმერთო! რა ცრემლები იყვნენ ისინი! დამწვარმა გულმა, წუთით შერყეულმა ხასიათმა თხოვნაც კი წარმოათქმევინა იმ კაცს, ვინც არ იცოდა, რას ჰქვიან თხოვნა!

— ღმერთო, ერთის წამის ბედნიერება, მხოლოდ ერთის წამისა! — წარმოსთქვა იმან და წამოიჭრა ზეზედ, რადგანაც ციხიდგან საყვირის ხმა მოისმა.

ასლან გირეი წამოდგა, გაიჭიმა, გაიზმორა და ბრძოლის წადილით აცახცახებული მკლავები მიაწყვიტ-მოაწყვიტა.

მისი ნაბიჯის გადადგმა ემსგავსებოდა ლომის სიამაყეს, თვალთა ელვარება — ვეფხის გაუმაძღრობას.

— დრო მოვიდა და ვნახავთ ელეონორა ვის დარჩება! — წარმოსთქვა იმან და წავიდა თავის ჯარში.

გაიღო ციხე და გამოვიდა დარაზმული ხალხი, რომელთაც წინ მიუძღოდნენ თორმეტამდის შავარდენის მსგავსნი, ჩაბარვალებულნი და თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებულნი ვაჟკაცნი. ზოგს მათგანს ახლად აშლოდა წვერ-ულვაში და სახეზედ სიცოცხლის იმედი უთამაშებდა. ზოგსაც გაბრწყინვებულს თვალებში სიხარულის ცეცხლი უთრთოდა და მედგრად მოელოდა ბრძოლის რიგს. ესენი გახლდნენ ელეონორასთვის თავგანწირულნი, რომელთაც ფიცი დაედოთ ან ამ ქალის სიყვარული დაემსახურათ, ან მისი სურვილისთვის თავი გაეწირათ. გამოვიდა ლეკის ჯარიც. ორივე გუნდი ერთი მეორის პირდაპირ მოშორებით დადგა; ამ ხალხის შუაში მოედანი

გაიმართა და მასზედ მალე გაიელვა ორის მოპირდაპირე მხრიდგან ორმა შავარდენმა, ორმა ლომებრივ მოყვანილმა ყმაწვილმა. იმათ შემოურბინეს მოედანს, შებღვირეს ერთმანერთს, თითქოს თვალით ზომავდნენ, გაექანნენ და ისევ უკან გახტნენ, თითქოს თვალთაგან გამომკრთალმა ცეცხლმა ორივ უკუ გადაჰყარაო. ბოლოს, დაუპირდაპირდნენ ერთმანერთს, მიუახლოვდნენ და ვეფხისავით სწრაფის ნახტომით ხანჯალ-შემაღლებულები შესდგნენ.

ელეონორას, რომელიც ციხის გალავნიდგან გადმოჰყურებდა, ტუჩები ულიმოდა, თვალები ანთებოდა, და რაღაც აუხსნელის აღტაცებით მოელოდა საქმის გათავებას. ამ წუთებში ის ვეფხვს ემსგავსებოდა, რომელიც სისხლის წყურვილის სიამოვნებას ცამდის მიჰყავდა.

აგერ დაიძრა ხანჯლები, წავიდა, — ვინ იცის ვის სიცოცხლეს გააქრობს მახვილის წვერი! ლეკმა მარცხენა ხელი გააქანა, სწვდა ქართველს ხანჯლიანს ხელში და იმავ წუთს თავის ხანჯალი გულში ტარამდის ჩაუსვა...

ქართველი დაბარბაცდა და ხრიალით დაეცა დედამიწაზედ... ქალმა თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა...

ვერ მოასწრო ქართველმა წაქცევა, როდესაც მისი ადგილი მეორემ დაიჭირა და ლეკს მედგრად შეუტია. მაგრამ გამოცდილმა ასლან გირეიმ, მას პირველის ოდენი ხანიც კი არ დააცალა და მეორე ქართველიც ამხანაგს ზედ დააკლა.

ასე გაგრძელდა ომი იმ უკანასკნელ ქართველის სიკვდილამდის, რომელთაც ელეონორას შერთვის ფიცი დაედოთ... ლეკები გაზვიადდნენ, გაამაყდნენ. მათი წინამძღოლი უძლეველი შეიქნა; დღეს შემთხვევას მისთვის თორმეტი ქართველი დაემორჩილებინა.

ხელთუბნელი კი მკვდარსავით იდგა და თავის უბედურებას ღვთის წყრომას აბრალებდა.

ელეონორას მთლად ფერი დაჰკარგოდა და თუმცა ასლან გირეის სიმამაცე მას თანდათან იტაცებდა, იმორჩილებდა, მაგრამ სიამაყე ნებას არ აძლევდა გამარჯვება მისთვის დაეთმო.

მაგრამ რა ამბავია?.. მის გვერდით გამოჩენილის გვარისა აღარავინ იყო და გამარჯვება ასლან გირეისა რჩებოდა.

ქალმა მიიხედ-მოიხედა, შეამჩნია რამდენიმე კაცი და მათ შორის კრეჭიაშვილიც, რომელიც ხანჯალზედ ხელ-გავლებული კბილების კრაჭუნით გაჰყურებდა ლეკის გამარჯვებას.

— კრეჭიაშვილო! — უთხრა ელეონორამ; — ვინც ასლან გირეის თავს მომიტანს, იმისი ცოლი შევიქნები.

კრეჭიაშვილმა შეხედა, გაჟრჟოლდა და გაფითრებული, ხმა ამოუღებლად გადახტა.

გაგულისებული ლეკი იჯდა და მოწინააღმდეგეს ელოდა. როდესაც კრეჭიაშვილს შეხედა, წყნარად წამოდგა და ჰკითხა:

— შენ რაღა გინდა?

— მოძმეთ სისხლის აღება.

— თუ ელეონორას თავის დასაკუთრება? — დაცინვით შეხედა ლეკმა.

— ერთიცა და მეორეც, — სიბრაზით წარმოსთქვა კრეჭიაშვილმა.

— მოძმეთ სისხლის აღების სურვილი გეპატიება, და ელეონორას კი არ დაგანებებ.

— ვნახავთ! — შესძახა ქართველმა და ეძგერა. პირველსავე მივარდნაში ორნივ მარცხენა ხელებით ერთმანერთს მარჯვენა ხელებში მისწვდნენ და ორთავ ხანჯლები ჰაერში გაკავებულები დარჩათ. კარგა ხანს იდგნენ ასე და ერთმანერთს აწვებოდნენ. ეტყობოდა, რომ ორი ღირსეული ძალა შეყრილიყო და ვერც ერთს ვერ დაეძლია. მეტის ძალდატანებისაგან ორთავ სახე დაჰპრანჭოდათ, ძარღვები მომდგარის სისხლისაგან ამობურცოდათ. ორთავეს თვალებში სიკვდილი და შეუბრალებლობა ეწერათ, ორთავენი პირიდგან სიბრაზის დორბლსა ჰყრიდნენ. კაცი გადაწყვეტით ვერ იტყოდა, ვინ გაიმარჯვებდა. მაყურებელთ სული გაენაბათ, მთლად ჰვრეტად გადაქცეულიყვნენ.

ერთბაშად მებრძოლნი შეიძრნენ, წამოტრიალდნენ და კრეჭიაშვილის სარმით ძირს დაცემული ლეკი თავისვე ხანჯლით იქნა განგმირული.

ლეკების მხრივ სიბრაზისა და ქართველების მხრივ სიხარულის ყიჟინამ ჰაერი შეარყია.

ლეკებმა ველარ მოითმინეს, გაისვეს ხმლებს ხელი, მაგრამ წინ მიგებებულმა ქართველებმა მცირე ზარალის შემდეგ მალე გააბრუნებინეს პირი და ტყეში შეჰფანტეს.

გამარჯვებულმა ქართველებმა კრეჭიაშვილი სიმღერით და სიხარულით ციხეში შეიყვანეს.

ყველა ეგებებოდა მას, გამარჯვებას ულოცავდა და ქებას ასხამდა. ყველა ისე გახარებული იყო, რომ წუთის სიამოვნებას დახოცილების გლოვაც კი გადაევიწყებინა.

მარტო კრეჭიაშვილს ჩაექიდა თავი და დაღვრემილი პირი არ უღიმდებოდა. საკვირველი იყო მისი მდგომარეობა: ამ კაცს, რომელსაც ერთად-ერთი სანატრელი ელეონორასთან შეერთება გახ-

დომოდა, რომელსაც დღეს მიეღწია თავის წადილისთვის, — უბრალო გახარებაც კი ვეღარ მოეხერხებინა. ციხის გალავანში შესვლასთან ერთად მას მოეგება ელეონორა, გაბრწყინვებული თავის მშვენიერებით და, რაწამს კრეჭიაშვილს შეხვდა, ხელის აშვერით უთხრა:

— მე ღვთის წინაშე აღთქმა მქონდა, რომ ვინც ასლან გირეის მოჰკლავდა, ჩემი ქმარი შეიქმნებოდა... წამიყვანე.

კრეჭიაშვილმა შეხედა დაღონებით, მაგრამ მაშინვე დახარა თავი და გაჩუმებული დარჩა.

ყველა გაშტერდა ამის ნახვით. ელეონორა აინთო და არ იცოდა, რისთვის მიეწერა ამ კაცის საქციელი.

— კრეჭიაშვილო! — მკაცრად დაიწყო ისევ ქალმა: — ვერ გაიგონე ჩემი სიტყვები?

კაცმა მოიხადა ქუდი, ამოიხვნეშა, მოიწმინდა შუბლი და წელში გასწორებულმა შეჰხედა:

— გავიგონე, მაგრამ უარსავყოფ! — მტკიცედ წარმოსთქვა იმან.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე, ყველამ სული გაქმინდა და ამ ამბის გათავებას მოელოდა. ერთბაშად აიღო კრეჭიაშვილმა თავი, ამაყად გადახედა ხალხს და ჰაერი მსაჯულის უკანასკნელმა სიტყვამ შეარყია.

— ელეონორა! — დაიწყო კრეჭიაშვილმა: — ქალი, რომელიც ამდენს მოძმეს გასწირავს თავმოყვარეობისათვის, ქართველის ცოლობის ღირსი არ არის!.. მე უბედური ვარ, რომ მიყვარხარ, ვიცი, რომ ჩემის გადაწყვეტილებით სიცოცხლეს მოვიწამლავ, მაგრამ შენი ქმარი კი არ შევიქნები.

ამ სიტყვების შემდეგ ის წყნარად გაბრუნდა; ხალხი გაიპო შუაზედ და გზა მისცა.

ელეონორა გაექანა და კრეჭიაშვილს ფეხებ-ქვეშ ჩაუვარდა.

— იქით!.. არ მომეკარო! — შეშინებით წამოიძახა იმან და მტკიცე ნაბიჯით წავიდა კარებისკენ. მერე ერთბაშად შესდგა, გამობრუნდა, მოხედა ელეონორას და წარმოუთქმელის გრძნობით დაიძახა:

— საზიზღარი ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ!.. მიყვარხარ და უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიან!..

ამ სიტყვებით ერთად ჰაერში გაელვებულმა ხანჯალმა ორად გააპო კრეჭიაშვილის გული.

[1884]

# მოძღვარი

გუდამაყრის ხეობას, თითქოს განგებ, გაუპია კავკასიის მთების უმთავრესი ძარღვი და ვიწროს ხეობად შიგ შეჭედილა; ეს ხეობა ავდარსა და ნიაღვარს დაუხრამავს, მაღლობებიდგან ჩამონადენს ქვასა და ღორღსა უშველებელის ლოდებით გაუვსია და მეტისმეტად ძნელს გასავლელად შეუქნია. ხშირი და დაბურვილი ტყე, რომელიც ხეობას აქეთ-იქით ფერდობებზედ მისდევს, გახლართულა სხვადასხვა მხვევის მცენარეებით და ყოველი მოძრაობა უფრო მეტად გაუძნელებია. ხეობა თავდება თვალშეუწვდენელის ფრიალოთი, რომელიც, თითქოს განგებ, გზის მოსასპობლად სიგანეზედ გაჰხირებია და იქაურობას მუქარით და ამაყად გადმოჰყურებს. პირველისავე შეხედვით, ეს ადგილი იქამდის მკაცრად, გულისდამხურავად და სევდამომცველად გეჩვენებათ, რომ ნებაუნებლივ გაღონებთ და ამგვარის მდგომარეობის მიზეზი კი ვერ აგიხსნიათ. მუდამ დაბურული, დაღვრემილი და შეკუმშილი ბურსაჭირის ფრიალო ნისლს არასოდეს არ იშორებს და იმ ერთადერთს ბილიკსაც ჰფარავს, რომელიც ქარსა და ავდარს გაუკვლევია; მკაცრი, მედიდური, შავად და ბნელად გადმოიყურება უზარმაზარი ფრიალო და, თითქოს განრისხებული, ყველას ექადის, ვინც კი მიკარებას გაუბედავს. ხშირი ბურუსი, მეტისმეტად ვიწრო ბილიკი და ნესტი ფრიალოს წვერებს ანოტიოებს, შლის და ურიცხვს ხალხს და საქონელს იმსხვერპლებს ხოლმე, მაგრამ, თუ ასეთის უსიამოვნოს შთაბეჭდილების მომხდენია ეს ფრიალო, ამის სამაგიეროდ, რაწამს გადასავალს გადასცდებით, თვალწინ მთელი ედემი გადაგეშლებათ. თქვენ დაინახავთ საკმაო მანძილზედ გადაჭიმულს ღელეს, ნაზისა და სურნე-

ლოვანის ბალახითა და ყვავილით შემკულს. ვაკე ტაფობა, იმ საშინელის, გულის დამნაღვლებელის გზის შემდეგ, კეკლუც პატარძალსავით მორთული მიგიწვევს და მიგიზიდავს, თავბრუდამხვევის ალერსით შემოგხარით ნაზითა და დამყვავებელის ჰაერით; ვერცხლის გველსავით მინდორზედ დაკლაკნილის მდინარის ჩუხჩუხს ტკბილს დამამშვიდებელს ნანათ მოგასმენთ.

ბურსაჭირის ველე ედემია, რომელიც კაცს დახურულს გულს გაუღებს, ჯავრს გაუქარწყლებს და სევდას აშორებს. ძნელად შესძლებს მგზავრის გული, როგორც უნდა მიეშურებოდეს, რომ აქ წუთს არ შესდგეს, წუთს არ გაგორდეს მწვანე მინდორზედ და მეტის სიამოვნებით დაქანცული თავი წუთს თვალის მოტყუებას არ ძისცეს...

ბურსაჭირის ღელე ზაფხულობით უნდა ნახოს კაცმა, რომ სრულიად გაიგოს და იგრძნოს მთის ბუნების სიტკბოება, მისი მშვენიერება და ის წარმოუთქმელი ნეტარება, რომელსაც ადამიანს გაუღვიძებს!.. ალტაცებაში მოჰყევხართ ხავერდოვანს მწვანეს, სურნელოვანის ყვავილების ყნოსვა გათრობსთ და ტკბილის ძილისკენ მიგიზიდავთ, მაგრამ თვით თვალებდახუჭულსაც კი განუწყვეტლივ ედემის კეკლუცნი გეჩვენებიან, გიალერსებენ და სიცოცხლის სიტკბოებას გაგრძნობინებენ!

ამ ღელეს, თითქოს განგებ, დასამშვენებლად ორ ჯარად მისდევს უზარმაზარი, ცამდის ამართული მთები, რომლებიც ამ წალკოტს დარაჯად შემოსდგომია, რომ უღირსი არ მიაკაროს და უწმინდურის ფეხით არავის გააქელვინოს.

აი ასეთია საზაფხულო სადგური სნოსა და გუდამაყრის ხეობის მეცხვარეებისა, რომელთაც ლაღ ბუნებასთან ერთად თავადაც გული ულაღდებათ და წმიდა ადგილების სიყვარული ძვალსა და რბილში უჯდებათ...

ზაფხული იყო. ბურსაჭირის ღელეში ურიცხვი ცხვარი იდგა. მწყემსებს ჯალაბობა საწველად მიეყვანათ და ურიცხვს ყველსა და ერბოს ამზადებდნენ. ბუნებისგან დაყვავებული და გამხიარულებული მთიელები სიცოცხლის სიტკბოებას ეძლეოდნენ. ყველა მხიარულებდა, ყველა ხარობდა, ბუნების მშვენიერებით აღძრული გული მოუსვენრად ფართხალობდა, გალაღებული საქონელი თამამად დაფუნდრუკებდა. ნამით გალვიძებული ყვავილები მზის შუქს ეკრძალვებოდა; გამძაგებული ფუტკრები მინდვრის კეკლუცთ თავს ევლებოდნენ და წყნარი ნიავი მათ ცელქად შესთამაშებდა, მზის შუქი ცას აწითლებდა და ოქროსფერად მოჰფენოდა ურიცხვს გოლიათებს. ყვავილის კოკრებს, ახლადგამონასკულებს, ოდნავ გადა-

ეხადათ მწვანე პირბადე და გაღიმებული სახე მორცხვად გამოეჩინათ. აქა-იქ მთის წვერებზედ მოჩანდნენ მწყემსები და ამ განთიადს მიეგებებოდნენ სიმღერით, ან ჩამავალის მზის შუქს ესალმებოდნენ. ქალები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ხილის საკრეფად და მწყემსებს შავი ჟუჟუნა თვალები ისრად სხივს ესროდნენ. წყალზედ წასულნი მხიარულის ლხინით ერთობოდნენ და მაღლა გაჰკიოდნენ:

სიცოცხლეა გაზაფხული!

ყველგან მოძრაობა, ყველგან გრძნობა თავისი არსებობისა; ყველგან სიცოცხლის ნიშნად აღშფოთებული მოუსვენრობა და დაუცხრომელობა!... სიტკბოების მჭმუნვარება, შერეული გამოურკვეველს წადილს, ყველგან ისე აფერადებდა სიცოცხლეს და იმდენის სიტკბოებით ავსებდა!

ყველა თვალმოჟუჟუნე გოგოს გული სძგერდა გაცხოველებული, გამთბარი შავ ბიჭის ალერსით, ყველა შავ ბიჭას ეგრძნო სანეტარო გულისძგერა; ბაგენი სიმღერას წარმოსთქვამდნენ, ხელები ტაშსა სცემდნენ და გული დათამაშობდა; ეს ყველა უერთდებოდა ბუნების მოკმაზულობას და საერთო მეჯლიშისთვის მომართულიყო.

ამ საერთო შეხამებას, თითქოს განგებ, უფრო მეტის განსხვავების გამოსაჩენად, განშორებოდა ერთი ყმაწვილი ქალი, გასაოცარის სილამაზისა და დაობლებული მარტოდ გასულიყო.

იმას ვერც ქალებში გარეულს ნახავდით, ვერც რომელსამე ფარეხში, ანუ ბინაში; ვერც ამხანაგთან და ტოლებთან! განცალკევებული დღე ღორღებში იმალებოდა, რადგანაც ტანისამოსი შემოსძარცვოდა და ხალხისა რცხვენოდა, რომ არ დაენახათ. თავის სამალავიდგან, ტყის ნადირსავით, მხოლოდ მაშინ გამოძვრებოდა, როდესაც სხვები, მუშაობით მოღალულნი და დღის სიტკბოებით დამტკბარ-დასუსტებულნი, განსვენებას ეძლეოდნენ. ღამის სტუმარი გამოვიდოდა მთვარის შუქზედ, მავნე სულსავით დაფათურებდა მინდვრად, წყლის პირად და, დღის შუქს მოკლებული, მთვარის სხივებით კმაყოფილდებოდა.

ქალი იქნებოდა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა, მაშასადამე, იმ ხანში, როდესაც მთაში არც ერთი გული უტოლოდ არა რჩება და ეს კი მარტო, სრულიად მარტო, უგზო-უკვლოდ დადიოდა. სიყმაწვილესთან ერთად იყო ლამაზიც და ტანადიც, სიტყვით, ერთი იმ მთის ყვავილთაგანი, რომელსაც წუთს მოარშიყე არ აკლდება და ათობით და ოცობით თავმომწონე ბიჭებს მის დაპატრონებისათვის დაუფიქრებლად თავს გადაადებინებდა, საცხოვრებლიდგან ხელს აღებინებდა და ათასი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, სუყველას ერ-

თად მის ქუქუნას, თუმცა სევდიანს თვალებს შეაწირვინებდა. მაგრამ მისთვის არც მზრუნველი, არც პატრონი, არც გამფრთხილებელი... ისიც კი არავინ იცოდა, რითი სცხოვრებდა, რითი იკვებებოდა და სულს რითი იბრუნებდა!

აგერ მთვარემ ამოჰყო წვერი და, როდესაც ყველა ბინებში მიიძინეს, თვით ძაღლების ყეფის ხმაც კი შესწყდა, ქვის ძირიდგან მოჩვენებასავით გამოძვრა დასუსტებული და ჭმუნვარებამოცული ქალი. გაწეწილი თმა, დაფიქრებული სახე, ნაფლეთ-ნაკონკები, ტანისამოსის მაგივრად, უპატრონოს სწორედ ალს ამსგავსებდა.

გამოსვლისათანავე მიიხედ-მოიხედა, ამოიოხრა და მდინარესკენ გასწია; იქ დაჯდა, დაიბანა ხელები და პირი; დაღონებულმა გახედა მთვარის შუქით მოფენილს მთებსა და დაფიქრდა.

წუთის სოფელო! უფალმა
შეგამკო ათასგვარადა,
ერთი რო კარგად მოაწყე,
ცხოს რად არ აგდებ ფარადა!..

წარმოსთქვა მწუხარის ხმით უცნობმა და მთვარეს დააკვირდა. ვინ იცის, ამ დროს რა ოცნებამ წაიღო უბედურის გონება; ვინ იცის, რა სურათები ეხატებოდა თვალწინ; ვინ იცის, რა წარსული გამოევლო და კიდევ რას მოელოდა ცრუ და მუხთალის ბედისაგან... იმის სახეს ეტყობოდა, რომ ყოველი მოგონება, ყოველი წარმოდგენილი სურათი მძლავრს სიცხეს აღუძრავდა, უწყალოდ უკუწავდა ვულ-მუცელს და მდუღარე ცრემლად გადმოელვრებოდა. ცოტა ხანმაც გაიარა და ქალმა დაიწყო მოთქმით ტირილი, მაგრამ ისეთის მოთქმით, რომელიც ქვას გახეთქავდა და მიწას აადუღებდა.

— ბეჩაუ! დაბრმები ამდენის ტირილითა! — მოისმა ხმა. უცნობი შეკრთა, გაჩუმდა და ზეზედ წამოდგა.

ახლადმოსული იყო წამოსადეგის ტანისა, შუახნის დედაკაცი, გაბედულის, მაგრამ კეთილის სახით. ამხანაგად ჯოხისა, ხანჯლისა და ერთის ძაღლის მეტი არა ჰყვანდა-რა.

— რაისთვი ადექ?.. იჯექი, იჯექ!.. მეც ბატარას დავისვენებ, თორემ კარგადაი მთა მაქვს ასასვლელი... — დაჯდა ახლად მოსული და უცნობიც მოისვა გვერდით; მოიხსნა გუდა, ამოალაგა პური, ყველი და ხორცის ნაჭრები, მაგრამ მეორე ქალი ხელს არ ჰკიდებდა.

— აიღე, ქალაუ!.. აიღე, შე ბედშაო!.. შეჭამე ბატარაი, თორემ დაილევი, მოკვდები და სულს მავნეს მისცემ.

— უფალმა გილხინას... შენგან არ ვიკვებები?.. ცხო რაი მაშავეიაჲ? — წარმოსთქვა ყმაწვილმა გოგომ და დაუმატა: — ძალად კი

არ მოვიკლავ თავსა, მაგრამ ჩემთვის რა ბედენაა სიკვდილ-სიცოცხლე! სიკვდილი მომასვენებდა მაინც.

— სუ-და, სუ! უფალს ნუ აწყენ!.. აიღე და ჭამე.

— ჯერ არ მშიან.

— რაი გეშიება, რომ მთელი დღე და ღამე ტირი? — უსაყვედურა დედაკაცმა, აიღო ჯამი, ამოამსო წყალი და მისცა. — მოიბანე თვალები და ბატარაი კიდეც დალიე... გულს გიპოვნის და მადასაც გაგიხსნის.

გოგომ რჩევა მიიღო, მოიბანა თვალები, დალია წყალი და მეორე დედაკაცმა კი ჯაყოთი ხორცის ჭრა დაიწყო.

— მეც შენთან ვივახშმებ, რადგანაც პური არ მიჭამია...

— როგორი მკერდია!.. აიღე, ქალაუ, აიღე! — უთავაზებდა ხან ერთს ნაჭერს და ხან მეორეს.

დალონებულმა ლუკმა აიღო, ჩაიდო პირში, დაღეჭა, დაღეჭა და გადმოყარა.

— ოჰ, ჰო, ჰო! როგორი მწარეა! — წარმოსთქვა იმან და ისევ წყალს დაეწაფა.

— კარგია-და, ჩე! რამ გაამწარა? აბა მე მიყურე, როგორა ვჭამ? — უთხრა მოულოდნელმა მასპინძელმა, რომელიც მართლა ისე ილუკმებოდა, თითქოს მთელი კვირა არა ეჭამა-რა. — ერთაი, ერთაი ლუკმა შეჭამე და მერე თავად მოგინდებაის.

გოგომ გაუგონა, ძალა დაატანა თავისთავსა და, მართლა, რამდენიმე ლუკმის ჩაყლაპის შემდეგ, მადა გაეხსნა.

ორთავ ჭამა დაიწყეს და პურის ჭამის დროს არც ერთს ხმა აღარ ამოუღია, მასპინძელს — შიშით, რომ ქალი არ შეეკრთო, და სტუმარი კი ბუნების მოთხოვნილებას თავდავიწყებამდის მიეყვანა.

როდესაც ორთავ საკმარისად გული იჯერეს და შიმშილი მოიკლეს, ახლადმოსულმა უთხრა:

— მაი, ქალაუ, ჩვენს ბინაში წამოდი!..

— ვერ წამოვალ. — ბეჩავად უპასუხა ქალმა და ცრემლები მოერია.

— რაისთვი ვერა, რაისთვი?

— იმისთვი რომა... — ქალი ჯერ შესდგა, შემდეგ საჩქაროდ დაუმატა: — რაი დაგიმალა... შენ არსად გამცემ... და მოწყალებას არ მომაკლებ... თემს მოშორებული ვარ.

— თემსა! — წამოიძახა დედაკაცმა და უკან მიიწყდა, თითქოს უწმინდურის სიახლოვესაც კი შაეძლო გაემურტლა და რამდენსიმე ხანს დააცქერდა, სანამ სიტყვას მოახერხებდა.

— რაისთვი? — ბოლოს ძლივს იკითხა იმან.

— იმისთვი, რომ... ნუ, ჩემო ყველავ! ნუ მათქმევინებ.

დედაკაცი გაჩუმდა, ჩაფიქრდა რამოდენსამე ხანს და ბოლოს ჰკითხა:

— ვისის გორისა ხარ?

— რად გინდა?

— არც რადა, ეგრე გკითხე... რაი გქვიან, არც მაგას მეტყვი?

— რად არა, თუ ღვთის ფიცს მომცემ, რომ არავის გააგებინებ ჩემს აქ ყოფნას.

— არა, აგრემც შვილები შემრჩების.

— მაყვალა.

— მაყვალაი? — წამოიძახა დედაკაცმა და გაფითრდა. — ვიცი, ვიცი, ვინცა ხარ... ღვთის ფიცს გაძლევ, ქალობამც გამქრობია, თუ გაგცე... მაგრამ მაი, დედაის გულო, ჩამოდი ჩვენს ბინაში და ეგრე შეგინახავთ, ეგრე დაგმალავთ წმინდის გივარგის მადლმა, რომ მზის შუქმა ვერ დაგინახოს, ნიავი ვერ მოგეკაროს.

— არა, შეხაი ჭირაიმე... უბედურს გზას მე დავადექ და შენც უბედურობაში ვერ გაგრევ.

— მე რაისთვი გამრევ?.. წამოდი... ერთაი შვილაი მყავს და ის ჩემს უნებურს საქმეს ვერ დაიჭერს... თუ გაგვიგეს, ორანი ცხორანი გვყვანან და, ღვთის მადლმა, მაგ საქმეზედ გადავაგებთ და შენ კი მასპინძლობას გაგიწევთ.

— გიშველოს უფალმა! ღვთის მადლმა, შენმა სიტყვებმა გული მოალბო, სული მოასვენა, — უპასუხა მაყვალამ და დაუმატა: — სამანი ჩამისვეს... დამწყევლეს, დამკრულეს მეცა და ისიც, ვინც ხელს მომაწვდის... სოფლის ყბად აღება, ძნელია... აპა, გატყობინებ და, თუ გინდა, ლუკმასაც ნულარ მომაწვდი...

დედაკაცი დაფიქრდა და დაღონდა; მეტად ძნელი იყო ამ სიტყვების გაგონება, მთაში აღზრდილი ადამიანი, რომელსაც წყევლისაც და ლოცვისაც სრული რწმუნება აქვს, რომელსაც სჯერა, რომ ხმა ღვთისა ხმა ერისა არის, — ძნელად იკისრებდა ამისთანა განსაცდელში ჩავარდნას. იქამდის იმან არ იცოდა, ლუკმას ვის აწვდიდა; ისა ხედავდა ყოვლად უსავანოს, უნუგეშო ქმნილებას, რომელსაც სულის მოსაბრუნებელი არა ჰქონდა და ლუკმას აწვდიდა; მაგრამ ეხლა რა უნდა ექნა? ეხლა, როდესაც გაიგო, რომ მისგან მიღებული თემისგან განდევნილია, მისგან გაკითხული, შეწყნარებული — ხალხისგან შეჩვენებული ყოფილა?! არამც თუ მხოლოდ დამნაშავეს სახელი იყო სამანში ჩატანებული, არამედ იმისიც, ვინც გახდევნილს წყალს მიაწოდებდა, ლუკმას გაუშვერდა.

დედაკაცს ეტყობოდა, რომ მის არსებაში ორს მოპირდაპირე

გრძნობას ბრძოლა ჰქონდა და არ იცოდა, რომელს მიჰკედლებოდა. ერთის მხრით რწმუნება, რომ თემის დებულება უნდა შეესრულებინა და მის დარღვევისთვის პასუხისმგებელი უნდა შექმნილიყო კაცისაცა და ღმერთის წინაშეც; მეორე მხარეს კი უბედური, რომელსაც მშველელი ხელი ეჭირვებოდა, უამისოდ ადამიანი იღუპებოდა და ქრისტიანი სული იკარგებოდა!.. მეტად ძნელი იყო გადაწყვეტა, მეტად ძნელი იყო უცნობისთვის არჩევა. ქვრივი ჯათია ობლისშვილისა მთელს გუდამაყარში გულკეთილობით განთქმული იყო, მისი მოძღვარი პირველს ქრისტიანად სთვლიდა და მართლაც რომ ქრისტიანული თავგანწირულებაც საკმარისი ჰქონდა.

— რა ვუყოთ, მაყვალაისი! — ბოლოს დაყვავებით უთხრა ჯათიამ. — ხალხი ცოდვილია და მხოლოდ ღმერთი — შეუცდომელი... ქრისტიანს ეგრე ვერ დაგაგდებ, წავიდეთ.

— ბეჩაო, ჩემო თავო! და ხალხში განა თავათ-და გამოვყობ თავსა? — უპასუხა ქალმა და მწარედ დაუმატა: — მაყვალაი მოკვდა ხალხისთვის, მაყვალაი აღარ არის.

— ნადირი შეგჭამს, ცხო რომ არა იყოს-რა. ეგრე საით იცხოვრებ. ეხლა კარგი... ცხორი აქაა, სანამ აქ ვიქნები, როგორც ღმერთს ვერ ვუღალატებ, ისე შენა... შენს კერძს არ მოგაკლებ, მაგრამ ზამთარს, ქალაუ! ზამთარს რაღასა იქ?.. ცხორი წავა და რამ უნდა დაგარჩინოს?

— უფალმა იცის. — მხრების აწევით უპასუხა ქალმა და დაუმატა: — თუ იმას უნდა — დამარჩენს, თუ არა და კაცისგან ხელით ვერ შაეფარების.

ბევრს ეცადა ჯათია, ბევრი ეწვალა, მაგრამ მაყვალა თავისას გაიძახოდა. ის ვერ მიეკარებოდა ხალხს, ის თავს ვერ გამოჰყოფდა იმათში, ვინც საუკუნოდ თავი მოსჭრა, ვინც სამუდამოდ მანდილი მოხადა.

ასე მიდიოდა მათი ცხოვრება მთელს ზაფხულსა. ჯათია თანდათან რწმუნდებოდა, რომ ქრისტიანის ამ დღეში ჩაგდება ღმერთის მოსაწონი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ვერც ხალხს ამტყუნებდა, რომელიც სასტიკის მაგალითებით ნამუსის და პატივის დაცვას ცდილობდა. მხოლოდ ერთი ვერ გადაეწყვიტა: მან არ იცოდა, ჰქონდა უფლება, რომ ხალხისაგან განწირულისათვის მოწყალე ხელი მიეშვირა, თუ არა; და ამისთვის, როდესაც კი მაყვალასკენ გაემგზავრებოდა, ყოველთვის პირჯვარს გადაიწერდა და წყნარად წარმოსთქვამდა:

— უფალო, გული საშველად მერჯის და, თუ ცოდოს ჩავდივარ, შენ მაპატიე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II

ზაფხულმა გაიარა და მშვენიერ, მწვანით მოსილს ბუნებას ფერი ჰკრთომოდა. დაჰბერა ჩრდილოეთის ქარმა, ყვავილებმა თავები დახარა, ბალახი მოიშუშა, მოდუნდა და დამჩვარდა; მწყრებმა, დიდი ხანია, თბილს ქვეყნებს მიმართეს და აღარც მერცხლების ჭიკჭიკი ისმოდა სადმე. მხიარული, მოღიმარე ცა ტყვიისფრად შეიცვალა და მოჭმუხვნილ-მობურული სატირლად ემზადებოდა გასუქებული, გათქვირებული საქონელიც გაჩუმებულიყო და მხიარული ბღავილი აღარსად ისმოდა. ათასში ერთგან ყოჩი ყოჩს თუ დაჰკრამდა სადმე, რომ შეცივებული სხეული შაეთბო და გათოშილი სისხლი მოძრაობაში მოეყვანა. მწყემსებიც კი ძალზედ იჭუჭკებოდნენ ნაბდებში და დაბუზვილებს თავპირის გამოჩენა ეზარებოდათ. ღელეში ნისლი ჩამოწვა კუთ-კუთად და შავად ჩამოაბნელა იქაურობა; ყველაფერი დაღონდა, ყველას მგლოვიარის სახე დაედო, გული ჩაიხურა; ჰაერი დანესტიანდა, დამძიმდა და წყაროს მხიარულს ხმაურობას აყრუებდა. ღამეები გადიდდა, ნადირი ცხვარს ეტანებოდა უფრო მეტად და ძაღლები აღარ ისვენებდნენ. გამოდარებული, მოწმენდილი ჰაერი სწრაფად აიშლებოდა ხოლმე; აქა-იქ გაჩნდებოდა ნისლი, რომელიც თითქო მიწიდგან იზრდებოდა და ბოროტის ხელის მახვილსავით მთის წვერებზედ მიცურავდა, გამოჩნდებოდა მეორედგან და გაიძაბებოდა, მესამედგან მტვერსავით აღმა ავარდებოდა და ერთბაშად ტრიალს და რევას დაიწყებდა. ორპირი ქარი ერთმანერთს გრიალით შაეჯახებოდა და მედგრად ერთმანერთს მოხვედრილი, ორს თავგადადებულს ფალავანსავით, მოუტრიალდებოდა ერთმანერთს. ისმოდა სტვენა, ზუზუნი მოუსვენარი ქარისა. და მას უერთდებოდა გახარებული ხარხარი მავნე სულისა. ძალდატანებული კლდე იშლებოდა და დაბლა გრიალით მოდიოდა; ავდრის წინამორბედი ჩქები და ყვავები ტრიალებდნენ და უსიამოვნო ჩხავილით სევდით გულსა ჰბურავდნენ. ტკბილი, სასიამოვნო, კაცის გულის დამყვავებელი ბუნება თითქოს სოდომათ გადაქცეულიყო, სადაც მთელის ქვეყნის მაცდურნი მოგროვებულიყვნენ, გაემართათ მეჯლიში და საჯოჯოხეთო ხმაურობით დროს ატარებდნენ.

აიყარა ცხვარი და გასწია ჯერ სოფლებში ჩასასვლელად და შემდეგ ზამთრისთვის უფრო თბილს ადგილებში გასამგზავრებლად. ყველანი ცდილობდნენ, რომ მგზავრობაში წინ მოქცეულიყვნენ, რადგანაც ბურსაჭირის გასავლელი ვიწრო იყო, დიდი სიფრთხილე უნდოდა და გავლის დროს მეტად აგვიანებდა; ზამთარი კი ახლოვდებოდა და მუდამ ჩაკუმშული ნისლი ამ ფლატო ფრიალოებს არა

შორდებოდა, ყინქლლავდა და ავდარს ექადებოდა. გაიკრიფა ყველას ცხვარი, გარდა ჯათიასი, რომელიც როგორღაც გვიანობდა. ბოლოს, ისიც დაიძრა და დაცარიელდა გაცხოველებული ადგილები. მხიარული ხმაურობა შესცვალა სავაგლახო, უსიამოვნო, გულის მომწყვლელმა ხმაურობამ.

ცხვრის აყრის დროს, ჯათიამ წამოავლო ხორაგით გაჭედილს გუდას ხელი, წამოიკიდა ზურგზედ და შვილს უთხრა:

— თქვენ გასწიეთ და სანამ ბურსაჭირის გასავალში მიხვალთ, მეც მოგეწევით.

— კარგია-ღა, ჯათიაისი, წამოდი! — უპასუხა მზრუნველობით შვილმა: — რაი დაგრჩენია აქა, რომ იგვიანებ?..

— სუ-ღა, იყუჩე! — შეუტია დედამ: — თავად ვიცი, რაიც დარჩენია, შენ ცხორს მიხედე.

— მარტოკა რჩები ამ ჯოჯოხეთს ადგილსა და, ვინ იცის, რაი შეგემთხვას.

— ნუ სდარდობ.

— მაი, მეც აქ დავრჩები შენთან და მერე ერთად წავიდეთ. — არ უსვენებდა შვილი.

— შენ რაიღა უნდა გამირიგო, რო დარჩე? — ამაყად ჰკითხა დედაკაცმა და დოინჯი შემოიყარა.

— რაი ვიცი, ნადირს მაინც მოგაშორებ.

— ვაი!.. — ჩაიცინა დედაკაცმა და ხანჯალს ხელი გაივლო, რომელსაც არა შორდებოდა: — შერცხვეს ჩემი ქალობა, თუ შენისთანა შვილი არ შევკარ!

ამ სიტყვებზედ შვილსაც გაეცინა და თავისათვის წაიბუტბუტა.

— ეხლა ამბობ ეგრე, თორემ აბა ერთი გაგჭირვებოდა... ეგრე გამოიქცეოდი, პირისმზის მაღლმა, რო...

— ვინა, მე? — შეუტია დედაკაცმა, წაავლო ხელი და დასჭყივლა: — გამაგრდი, შე ლაჩარო, გამაგრდი! — მიიქნ-მოიქნია, გამოჰკრა ფეხი და მიწაზედ გაშხლართა. შემდეგ წამოაყენა და შეხუმრებით უთხრა:

— ბეჩაო! მაგის გული გქონდა?

— ლიჭყია და ფეხი მომისხლტა, — ცოტა არ იყოს დარცხვენით უთხრა შვილმა. ჯათია, მართალია, დედა იყო, მაგრამ მაინც დედაკაცი და დედაკაცისაგან ვაჟკაცის გალახვა... ადვილი არ იყო.

— ბეჩაო, ჩემო თავო! სულ მშრალი ადგილი სად მოგინახა? — სიტყვა მოუჭრა დედამ და დაუმატა უფრო მეტის მზრუნველობით: — კარგია, წადი, თორემ მეც მიგვიანდების.

შვილმა აღარა უთხრა-რა, გაბრუნდა ცხვრისაკენ და დედამ კი ღორღებიანს ადგილისკენ გასწია.

ჯათია მივიდა იმ ადგილს, სადაც ქალის სადგური იყო, მაგრამ იქ ველარავინ მოახელა. ეტყობოდა, რომ ქალს ქოხისთვის თავი დაენებებინა.

— ბედშავი! — თანაგრძნობით წარმოსთქვა დედაკაცმა და დაუმატა: — სიცივისთვის ველარ გაუძლია და წასულა სადმე.

ის იყო გამობრუნებას აპირებდა, როდესაც თავში გაუელვა აზრმა და ხმამაღლად წარმოსთქვა:

— იქნება არ წასულა და მე დამემალა. ეს ხორაგი მაინც იმის სახელზედ არის წამოღებული, დეე აქ იყოს; საკმელ-სანთელი თავის გზას არ დაჰკარგავს.

ამ სიტყვებით გუდა მოიხსნა, დააგდო იქა და თითონ კი გამოვიდა; მიიარ-მოიარა იქაურობა, მრავლისაგან მრავალი ეძება, უძახა, უყვირა, მაგრამ მაყვალა არსად გამოჩნდა.

მზე გადიწვერა და თოვლი წამოვიდა, დედაკაცი მეტს ველარ დაიგვიანებდა და გულმხურვალედ წარმოსთქვა:

— ღმერთო, დიდებულო სამებავ! ნალვარევისა და წმინდა გივარგი, პირისმზის მადლო, თქვენ დაიხსენით საწყალი მაყვალი განსაცდელისაგან! თქვენ მოუმართეთ ხელი და ნუ დალუპავთ ბეჩავსა!

ამ სიტყვებით გამობრუნდა და ბურსაჭირის ფრიალოსკენ გასწია.

ის იყო ჯათია ქედს გადაეფარა, როდესაც მოპირდაპირე ღორღებიდგან ვიღამაც ამოჰყო თავი და მომავალს ცქერა დაუწყო. ეს იყო მაყვალა, რომელიც ჯათიას დამალვოდა, რომ არ გადაჰკიდებოდა და დასუსტებული, სულიერად დავარდნილი ქალი არ დაეძლია, არ დაეთანხმებინა და თან არ წაეყვანა. მაყვალას კარგად ესმოდა, რა პასუხისგებაშიაც ჩააგდებდა თავის გულკეთილს მასპინძელს და სიკვდილი არჩია ღვთიურის ადამიანის გაწირვასა. იმან ამოჰყო თავი და გამოაჩინა ფერმიხდილი, უკანასკნელს ნუგეშს მოკლებული პირისახე. უბედურს ტუჩები გალურჯებოდა და ძალზედ უთრთოდა, თითქოს რილაცის თქმა უნდოდა; სევდიანი თვალები ჩასცეცებოდა მიმავალს, და ყოველს ფეხის გადადგმაზედ ქალიც წამოიწევდა ხოლმე, თითქოს მასაც ვილაცა ეზიდებაო; ერთი ხელი მიეტანა მკერდთან და ისე ძალზედ მოეჭირა, რომ თითები ხორცში ჩაესვა, მას თითქოს უნდოდა გაშმაგებულის გულის ბრძოლა შაეყენებინა და ნება არ მიეცა ბუდიდგან ამომხტარიყო. თვალები ჩასცვივნოდა და თვალის ძირები ჩალურჯებოდა, ქარს თმა გაეწეწა და მთლად მომაკვდავისთვის დაემსგავსებინა.

ერთბაშად დაჰქროლა ქარმა, ნისლი წამოაყარა და მაყვალას თვალთათვის ჯათია სამუდამოდ დაჰფარა. ქალი მისწვდა ყელს, რადგანაც თითქოს რაღამაც წაუჭირაო, თმები ტყრშიალით აღმა წავიდა და თავში ავარდნილმა სისხლმა გონება დაუბნელა, დაბარბაცდა, დაეცა და მდუღარე ცრემლები ნაკადულად გადმოედინა.

— წავიდა, განქრა!.. და მასთან მოისპო ჩემი სიცოცხლის იმედიც! — წარმოსთქვა წყნარად და მეტის გამწარებით ქვას თავის წყვეტება დაუწყო...

გაიარა ხანმა, დაოსდა, დასუსტდა და მიილუშა. ადამიანი უბედურებას მალე ეჩვევა. გამწარებული სიცოცხლე გულს უთვისდება; რაც უწინ შეუძლებელად ეჩვენება, უბედურობაში ვეღარ ამჩნევს. მაყვალაც ასე იყო. მეტად ბევრმა მწუხარებამ შეიპყრო, მეტად ბევრმა ცრემლმა დაღალა მისი გული, მეტისმეტად ძლიერმა ცეცხლმა ჩასწვა, ჩასთუთქა და ჩაფერფლა ისე, რომ გრძნობა სრულიად დაჩლუნგებოდა. მეტად ძნელს მდგომარეობაში იყო მაყვალა, რადგანაც ყინვარში, ტანისამოსის ნაფლეთები მაყვალას კანს ვერა ჰფარავდა. მეტად ძნელი იყო მარტოობა ამ გულის მომწამლავს, სევდით სავსე ბუნებაში, სადაც ყოველს წუთს უნდა მოელოდნა, რომ ან დათვი დაჰფათრავდა, ან მგლების კერძად შეიქნებოდა და ან კიდევ, რაც უფრო ძნელი იყო, თოვლში გაზვეული მიწასაც კი ვეღარ ეღირსებოდა სამარედ!.. ასეთი იყო მაყვალას მდგომარეობა, მაგრამ იმან უკანასკნელად თვალები მოიწურა, უკანასკნელად ამოიხვნეშა და თავის ქოხისკენ გასწია, რომ ქარს მაინც არის მოჰფარებოდა და სულიერს ტკივილთან ხორცის გამწარება მაინც შაემსუბუქებინა. ამგვარად გაატარა რამდენიმე დღე; მაგრამ ყინვა გაძლიერდა, ზამთარი გაბრაზდა და გაშმაგებული სიცივე კი ყოველისფერს აყინულებდა. ქალი წარმოუდგენელს ტკივილებსა ჰგრძნობდა, საჭმელი შემოელია და ერთბაშად სული გაუტკბა, მასთან განშორება გაუძნელდა და დაფიქრდა თავის საშველად მოეხერხებინა რამე. ხევსა და მთიულეთს ვერ გავიდოდა, რადგანაც თემს მოშორებული იყო და არ მიიკარებდნენ. მაშასადამე, სულის მობრუნება მხოლოდ ქართლში-ღა შაეძლო, სადაც იპოვიდა რომელსამე გულკეთილს ოჯახობას, თავის ჯანს და ყმაწვილქალობას შეალევდა და მოუსვენარის შრომით ლუკმა-პურს მოიპოვებდა, მოიპოვებდა იქამდის, სანამ სიკვდილი თვალებს სამუდამოდ დაუხუჭავდა და მწარე ხვედრს მოაშორებდა. როგორც იფიქრა, ისეც გადასწყვიტა: მოემზადა, ჩაიცვა, რაც კი მოეპოვებოდა და გაუდგა გზასა; თოვლი საკმაოდ მოსულიყო, ქარს ნამქერის მთები აეშენებინა და დასუსტებულს სიარული უჭირდებოდა. წინ ჯოჯო-

ხეთად მოჩანდა ბურსაჭირის ფრიალო, რომელსაც ნისლი შემოხვეოდა და შავბედათ ჩამობნელებულიყო. რამდენიმე ყორანი თავზედ დასჩხაოდა, უკანასკნელად ესალმებოდნენ აუცილებლად დასალუპავად განწირულს მსხვერპლს, მაგრამ, რამდენადაც ქალს გაჭირვება ხვდებოდა, იმდენად ძალა და გადარჩენის წადილი ემატებოდა, იმდენად მეტის მხნეობით ებრძოდა წინ გადაღობილს გაჭირვებას.

ქალი თუმცა დაიღალა, დასუსტდა, მაგრამ ბურსაჭირის გასავალს მშვიდობიანად მიაღწია. კიდევ ცოტაც, და სამშვიდობოს ვაიდოდა. მაგრამ ერთბაშად ქარმა დაჰქროლა, ბოროტად დაჰზუზუნა და ყოველის უბედურების ერთად ქადილით სველი, უსიამოვნო თოვლი სახეში მიაყარა; ქალს სული შესტაცა, თვალთ დაუბნელა და ჰაერის ამოსუნთქვის ნება აღარ მისცა. ნისლი უფრო ჩამოწვა და ჩამოიხურა; ჩამობნელდა, ჩამოცხა და მოისმა ჭექა-გრიალი. აქამდის დაჩუმებული ადგილები, ეხლა დამაყრუებელის ხმაურობით გაივსო, რადგანაც ქარისაგან მიყრილი თოვლი მთას ველარ ეკიდებოდა და, გამოსხლეტილი, შურდულსავით დაბლა ხეობისკენ მიქანავდა. ქალი მოეფარა ერთს კლდეს, რომ ზვავს სადმე ქვეშ არ მოეტანა. გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო, რადგანაც ყოველი მეცადინეობა, რომ ფეხი გადაედგა, ამაოდ რჩებოდა, რადგანაც წამდაუწუმ თოვლს აყრიდა და შიგა ხვევდა. თბილოდა, მაგრამ ქალი ყრიანტელსა გრძნობდა, ხორცი ეწოდა; დასუსტებულს თითქოს ძალა ელეოდა. ერთბაშად ქალს ყურებმა შხუილი დაუწყო, სისხლი თითქოს უფრო ჩქარა დაეძრა და რაღაცა გვარს გამტერება-გამოყრუებაში ჩავარდა. შემდეგ იგრძნო სასიამოვნო სითბო და მოუძლურება; ისე რიგად მოეშვა, თითქოს ტანი დაეშალაო და მოდუნებულს თვალები დაეხუჭაო. ქალს თავში გაუელვა, რომ იღუპებოდა, შეინძრა, შეშინებულმა თვალები გაახილა, მაგრამ იმავ წუთს ბურანსსავით რაღაცა მოეხვია და წყნარ-წყნარად თვალები ისევ დაუბნელდა. წუთიც, და კლდეს მიყუდებული ქალი ხვრინავდა; ქარი კი მოუსვენრად თოვლს აყრიდა, თითქოს ნაზი არსების სიცივისგან დაფარვა უნდაო.

## III

ხალხში რწმუნებაა, ვითომც გამძვინვარებული ბუნება მხოლოდ მაშინ შესდგება და გაყუჩდება, როდესაც ვისმე იმსხვერპლებს. მართლაც, დღეს ამის შემდეგ, ბურსაჭირშიაც სიცივე მოტყდა, ქარი ჩავარდა და განთიადთან ერთად ნისლი გაიმქრია. ცა მო-

იწმინდა და მზის შუქებმა იქაურობა გაანათა. გასაოცარს სურათად გადაქცეულიყო იმ ადგილების მდებარეობა. უფსკრულად ჩახეთქილი ხეობანი თოვლით ამოვსებულიყო და ყინვას გადაესალა. ჩამოსულის ზვავების მთები აშენებულიყო და ისეც დაღრონჩოლროებული ადგილი ეხლა უფრო არეულიყო. მთლად თეთრად მოქცეულს ადგილების შუა, აქა-იქ ამოეხეთქა კლდეებს, რომელთაც თოვლი ვერ მიჰკარებოდა და შავად ამართულნი, წარსულის ღამის შავისა და ბნელის შემთხვევათა მოწმად დარჩენილიყვნენ. ყველაფერი გაჩუმებულიყო, ყველა დადუმებულიყო თითქოს ყველას თავი მოეხარა მედიდურს ბუნების წინაშე.

ერთს ადგილს რაღაც შეინძრა და წუთს შემდეგ ვიღაცა კაცი გამოჩნდა. ის მოდიოდა წყნარად და დაფიქრებული, ფეხებზედ თხილამურებ-გაკეთებული მტკიცედ მოაბიჯებდა, მოხუცებულს სახე სარწმუნოებით და გონივრული გულკეთილობით უბრწყინავდა. თეთრი, ბროლსავით წვერი, ხანისაგან რაოდენადმე შეჰყვითლებოდა და მკერდზედ რბილს აბრეშუმსავით ეყარა. მოხუცი ტანადი, ძარღვიანი და კარგად შეკრული კაცი იყო. თუ სახეზედ ეტყობოდა, რომ მას მცირე მწუხარება არ ენახა, სხეული უმტკიცებდა, რომ მისი კარგამყოფობა და ჯანი ბევრს ყმაწვილს კაცს სანატრელად გაუხდებოდა. ის იყო ჩაცმული ამ ადგილების შესაფერად; თბილი ტყავი, რომელიც გარედგან თოკით ჰქონდა შემოჭირებული და ამგვარივე ბატკნის ტყავის ბანჯგვლიანი ქუდი. ხელში ეჭირა ნიჩაბი და გზას მოიკვლევდა.

გვერდით მოსდევდა გონიერი, მოწითანო ძაღლი, რომელსაც უშველებელი ტუჩები თითქოს განგებ მოჰმუროდა.

მოხუცი არა ჩქარობდა, სინჯავდა და ათვალიერებდა იქაურობას, თითქოს ვიღაცას მოელოდა და თავისთვის უკმაყოფილოდ რაღაცას ლაპარაკობდა.

ეს გახლდათ გუდამაყრის ხეობის მოძღვარი, რომელსაც ხალხში ცხოვრება დამძიმებოდა, გამოსულიყო ბურსაჭირის გამოქვაბულში და თავის დღეებს იქ ღვთის ლოცვაში ატარებდა და გაჭირებულს მგზავრებს შემწეობას აძლევდა ხოლმე.

— ტიალო! გონჯი ღამე იყო, — წარმოსთქვა ონოფრემ და დაუმატა: — თუ ამაღამ არავინ იმსხვერპლა, კარგი იქნების! — ამოიოხრა იმან.

ამ დროს ძაღლმა ყვავი დაინახა, რომელიც იქვე გზაზედ ჩამომჯდარიყო და გლოვის ზარად ჩხაოდა. გამოუდგა, მაგრამ ყვავი გაფრინდა და ძაღლი კი მივიდა იმ ადგილს, სადაც ყვავი იჯდა, შესდგა, დასუნა ადგილს და მწარედ შეჰყმუვლა.

— ჰა, ყურშა, ჰა! — დაუძახა მოძღვარმა, მაგრამ ძაღლი არა ბრუნდებოდა და არც ყმუვილსა შლიდა.

— ტიალო, რა გაყვირებს, რაი ნახე? — წარმოსთქვა ონოფრემ და გზა გააგრძელა.

ერთბაშად ძაღლმა ისევ ყმუილი გააბა; მოძღვარი შესდგა და ყური დაუგდო, მაგრამ მაშინვე ღიმილით წარმოსთქვა:

— ვერანა, ჯერ ლეკვია და გული მხიარული აქვს! ყვავს რა დააჭერინებდა?

მაგრამ ძაღლი მაინც არ ისვენებდა, მწუხარეს ხმით ყმუოდა.

— რაი მოსვლია? — წამოიძახა ისევ ონოფრემ და თავისთვის დაუმატა:

— გზა თუ ველარ გამოიგნო? — გახედა იმ მხრისკენ, საიდგანაც პირუტყვის ხმა მოესმოდა: — აქა, ყურშა, აქა, აქა! — დაუძახა კიდევ იმან.

ძაღლი სწრაფად მოიჭრა, მოუსვენარად და წკმუტუნით მივარდა პატრონს, დაუწყო ხელების ლოკვა, ლაქუცი და განუწყვეტლივ ხტოდა. გონიერი თვალები პატიოსანის პირუტყვისა გრძნობით გაბრწყინვებულიყო და აშკარად ეტყობოდა, რომ პატრონისათვის რაღაცის შეტყობინება უნდოდა; მაგრამ რადგანაც ყურშა ჯერ ლეკვი იყო, ონოფრეს არსად გამოეცადა და მისი მოქმედების ალღო ვერ აელო, ამისთვის ვერ მიმხვდარიყო, ძაღლს რა სწადოდა, რას ითხოვდა იმისაგან. პატრონმა დაუძახა, დაუყვავა და რამდენჯერმე ხელის გადასმის შემდეგ, დარწმუნებული, რომ ძაღლიც გაჰყვებოდა, თავის გზას დაუბრუნდა. როდესაც ყურშამ დაინახა, რომ პატრონს ვერა გააგებინა-რა და დამშვიდებული შინისკენ მიდიოდა, გაქანდა და კალთაზე პირი წაავლო.

— თუ არ გაცოფდა ეს ტიალი! — ნიჩბის მოქნევით დაიძახა მოხუცმა და ძაღლი მოიშორა.

ყურშა წკმუტუნით უკან გაიქცა, მოიხედა და ჩაცუცქდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ჰქვიანს პირუტყვს რაღაცა აწუხებდა და გადაეწყვიტა პატრონს აღარ გაჰყოლოდა.

მოხუცი გაბრუნდა მისკენ, ძაღლი გამხიარულდა, წამოხტა და აცქვიტა ყურები და, სიამოვნების ნიშნად, კუდის ქნევა დაიწყო. მოძღვარმა შაჰხედა და ჰკითხა ხელის გაშვერით:

— იქითკენ წავიდეთ?

ძაღლი დათამამდა, გახარებულმა მხიარული ყეფა დაიწყო და და უკან გაბრუნებული გაიქცა.

— მეტი ღონე არ არის, უნდა გავყვე! — სთქვა მოძღვარმა და უკან გამოუდგა.

ყურში გარბოდა კუდის ქნევით და მალმალ მოიხედავდა უკან.

ამგვარად იმათ გაიარეს რაოდენიმე მანძილი. ძაღლი ერთს ადგილს შესდგა, დასუნა თოვლს, შეჰყმუვლა და თავდავიწყებით ფეხებით თხრა დაუწყო.

მოძღვარი გაფითრდა, გადაიწერა პირჯვარი და ფეხი გააჩქარა; მისვლის უმალ ნიჩაბი მოიმარჯვა და რამდენჯერმე ამოქნევის შემდეგ, კიდევ უფრო მეტად გაფითრებულმა წამოიძახა:

— ბეჯითად ვიღაცა ჩაუჩუმქრავს!

იმან თვალი შეჰკრა ძაღლსა, რომელიც მოუსვენარის წკმუტუნით გარს უვლიდა და მადლობის გრძნობა ანიშნა. ყურშამ გაიგო პატრონის მოძრაობა, თვალები გაუღიმდა, კუდი გაიქნია და სიამოვნებით ტუჩები მოილოკა.

ონოფრეს მუშაობა ბევრს ხანს აღარ მოუნდა, რადგანაც თოვლი ჯერ ფიფქი იყო და ნიჩაბს ადვილად ემორჩილებოდა, ერთბაშად გამოჩნდა საგულის ბოლო და მოძღვარმა საჩქაროდ ხელი წაავლო.

— ბეჩა! დედაკაცი ყოფილა. — შეწუხებულის ხმით წარმოსთქვა იმან, წამოსწია და თოვლს გამოაშორა. დედაკაცს ხშირი ეძინა და ძალზედ ხვრინავდა.

— კარგი, რომ თოვლს დაუფარამს, თორემ ბეჯითად გაიყინებოდა!

მოხუცმა ნაბადი საჩქაროდ გაშალა, ზედ ქალი დააწვინა, გააძრო ტანისამოსი და ჩოხის კალთიდგან მოხეულის ნაჭრით თოვლით სრესა დაუწყო; გათოშვილი არ იღვიძებდა, თითქოს სრულს განცხრომაში არისო და, როგორც ეტყობოდა, მახაცის შალით ხეხას სრულიად ვერა ჰგრძნობდა. ონოფრე ისე გაცხარებული მუშაობდა, რომ ამ შუაგულს ზამთარში ხვითქი გადმოსდიოდა და გათოშილს იქამდის თავი არ დაანება, სანამ კანი მთლად არ დაუწითლა და დაუღუღუდა; შემდეგ, სადუმიდგან ამოიღო ბატის ქონი, წაუსვა მთლად სხეულზედ დაძინებულს და თავის ტანიდგან გახდილ ფართოს ტყავში ჩაათბუნა. რაოდენიმე ხნის განმავლობის შემდეგ, წელიდგან არყით სავსე პატარა ტიკჭორა მოიხსნა, ამოიღო რქის კოვზი და ზედ რაოდენიმე წვეთი დაასხა; მივიდა ქალთან, პირი დანით გაუღო და შიგ ჩაუსხა. გათოშილი შეინძრა, დაიკვნესა, წუთით ახელილი თვალები ისევ დახუჭა და ძილს მიეცა.

— ბედშავი! ძალუმ არ შეწუხებულა! — წარმოსთქვა მღვდელმა და დაუმატა: — მზე გადიწვერა და აქ დგომისა აღარაა, თორემ ღამე აცივდების.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მიიტანა თოკი, დაშალტა ავათმყო-

ფი და ტვირთსავით წამოიკიდა ზურგზედ. მოხუცმა გასწია თავის სახლისკენ ისე, ვითომ არავითარი სიმძიმე არ მიჰქონდა და მალე მიაღწია თავის ქოხს, სადაც ავათმყოფი რბილად აწეწილს თივაზედ დააწვინა, თბილად დახურა და კერაში ცეცხლი დაანთო.

როდესაც ქალმა პირველად თვალები გაახილა, დაინახა ცეცხლის შუქი და ისევ დახუჭა, რადგანაც თავი სიზმარში ეგონა, მაგრამ პირველსავე განძრევაზედ ისეთი წარმოუდგენელი ტკივილები იგრძნო, რომ მაშინვე დაიკვნესა და იქაურობას დაფანტვით თვალიერება დაუწყო.

— სადა ვარ? — წყნარად წარმოსთქვა იმან და უნდოდა ხელი შუბლზედ გადაესვა, მაგრამ მაშინვე ჩამოუარდა, რადგანაც მთლად შეშუპებოდა, დაბუჟებოდა და მოძრაობაში ვეღარ მოეყვანა.

— შენს სულიერს მამასთან, შვილო, რომელიც ზეციერმა მეუფემ შენს საშველად გამოგზავნა!

ქალმა ყური დაუგდო ამ სიტყვებს, უამა და სანუგეშოდ ეჩვენა, რადგანაც გრძნობით და გულმხურვალედ იყვნენ წარმოთქმულნი.

— სულიერი მამა... — თავისთვის განიმეორა ქალმა, ძლივს გახსნა შეშუპებული ქუთუთოები და ჯერ კიდევ ანგარიშმიუცემლად დაუწყო ყურება.

— რა ამბავი იყო, რა შემემთხვა?.. — იკითხა ისევ წყნარად და დასუსტებულის ხმით.

— არაფერი, შვილო, არაფერი, — მზრუნველობით უპასუხა ონოფრემ: — თოვლს ჩაემჩუქრე და უფალმა გადაგარჩინა... ემთხვიე, შვილო, ემთხვიე წმინდა ჯვარსა, რომელმაც დაგიხსნა განსაცდელისაგან.

მოძღვარმა ტუჩებთან მიუახლოვა ჯვარი, რომელიც კედლიდგან ჩამოიღო, ქალმა წამოიწია, მაგრამ, მასთან მიკარებისავე უმალ, უკან გადავარდა და გულგასაგმირის მწუხარებით წარმოსთქვა:

— არ შემიძლიან!

ქალს გაახსენდა ყოველისფერი, მოაგონდა თავის წარსული და სიწმიდის შეხებისთვის თავისი თავი ღირსად ვერა სცნო.

მოძღვარმა შეხედა და შუბლი შეეჭმუხნა: ის მიხვდა, რომ უბედურს რაღაცა ამძიმებდა, და პირჯვარი გამოისახა.

— მეუფეო, მოხედენ დავრდომილთა და მიეცი ძალი, რათა ადიდონ სახელი შენი! — მოძღვარმა ჯვარი ისევ მიუახლოვა და დაუმატა: — ემთხვიე, შვილო, მან განუტევა ხორცი და დაანთხია სისხლი მოსატაევებელად ცოდვათა.

ქალმა იგრძნო რაღაცა სითბოება, რწმუნება, რომელიც თითო-

ნაც ვერ გაეგო — რისგან ხდებოდა. ძალამოცემულმა წამოიწია და სასოებით ემთხვია ჯვარსა. სინანულის ცრემლები გადმოედინა თვალებიდგან და გულს თითქოს შვება მიეცა.

მოძღვარმა ჯვარი თავის ადგილას დაასვენა, დაიჩოქა მის წინ და ციურის ცეცხლით აღგზნებული თვალები ჯვარცმას მიაპყრა. ამ წუთში მოხუცი რაღაცა აღტაცებაში იყო, მის სახეს თითქოს ღვთიური ძალა გადმოფენოდა და რწმუნების მედიდურობა აშკარად დასტყობოდა. ისა ლოცულობდა ჩუმად, მოკლედ, მაგრამ გულმხურვალედ. მასა სჯეროდა, რომ იმ წუთში ზეციერი მამა მასთან არის, მოუსმენს და მიიღებს მის შუამავლობას. როდესაც მოხუცმა ლოცვა გაათავა, მივიდა ავათმყოფთან და უთხრა:

— შვილო, ვალი ქრისტიანისა აღვასრულეთ, ახლა დრო არის ხორცზედაც ვიზრუნოთ. ცოტა შეჭამე რამე.

— არა მშიან, მამაო.

— თავს ცოტა ძალა დაატანე, — უპასუხა მოძღვარმა და დაუმატა: — აგერ ხორცი შემოვდგი და ცოტა წვენი შეჭამე.

ქალი დამორჩილდა, მაგრამ მალე ისევ თავი დაანება, რადგანაც მადა სრულიად დაჰკარგოდა.

აქამდის ონოფრეს ამ ქალისთვის ვინაობა არ უკითხავს, რადგანაც ეშინოდა, რომ მწარის მოგონებით უმეტესს სატანჯველში არ ჩაეგდო. ეხლა, როდესაც რაოდენადმე დაასვენა, მიუახლოვდა და მზრუნველობით ხელი თავზედ დაადო.

— როგორა ხარ, შვილო?

— უკეთა, მამა, უკეთა, — უპასუხა ქალმა: — მაგრამ ყოველი ასო მტკივა, ხორცი მიბჟუის და ისე მჩხვლეტავს, თითქოს ეკლებზედ ვწევარო.

— რაკი ტკივილსა ჰგრძნობ, ეგ კარგია, შვილო. ნუ გეშინიან, უფალი მოგხედავს, უფალი, იმისმა მადლმა... მაგრამ ვინა ხარ, საიდგან? ჯერ რომ არაფერი გითქვამს?

— ვინა ვარ? — მწარედ ჩაიცინა ქალმა და დაუმატა: — ბეჩავი.

— პატრონი არავინა გყავს?

— მყავანდა, როდესღაც მყავანდა, მაგრამ... — ქალმა მწარედ ამოიოხრა.

— მაგრამ რა?

— ეხლა აღარა მყავს.

— ბურსაჭირში ამისთანა დროს რაღამ მიგიყვანა?

— სიბეჩავემ, — მხრების აწევით უპასუხა ქალმა და თვალებზედ ცრემლები მოერია.

— შვილო! — ცოტა სიჩუმის შემდეგ თანაგრძნობით დაიწყო

ისევ ონოფრემ: — გიძნელდება შენი ვინაობის თქმა და აღარც მე გკითხამ... იყავნ, ვინც უნდა იყო, ეგ ჩემთვის სულ ერთია... ჩემი ვალია, სული თუ ცოდოთი დამძიმებული გაქვს, ვეცადო მის შემსუბუქებას... მაგრამ შემსუბუქება ძალდატანებულის გამოთქმით ვერ მოხერხდება... დრო მოვა, იგრძნობ და შენანებული უფლის წინაშე ცოდვათა აღიარებ, ჭმუნვით დატვირთულს გულს გაანთავისუფლებ!.. ეგ მოვა თავის დროზედ და ამისთვის ეხლა თავი დავანებოთ... ეხლა ხორცი დაგდუნებია, მას მოსპობია ძალა და ეხლა მას ეჭირვება მოვლა და ზრუნვა!.. დარჩი აქა... ეს სადგური უფალმა მამცა და ამის ჭერქვეშ ყოფნა ყველა გაჭირვებულს და შეწუხებულს შეუძლიან...

ამ უბრალო კაცობრიულმა და გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვებმა ქალი აღტაცებაში მოიყვანა და რწმუნების სითბოება გულში გაუღვიძა. მან დაინახა, რომ ქვეყნად დარჩენილიყო კიდევ კაცი, რომელიც ადამიანათა სთვლიდა, ფეხქვეშ არა ჰქელავდა მის პირადობას და გველსავით სულის საძირკვლამდის არ უძვრებოდა, რომ მთელი მისი არსება აერია, მოეწამლა და დაეშხამა.

— გიშველოს უფალმა! — წარმოსთქვა ქალმა და მადლობის გრძნობამ გული აუდუღა, სიტყვები შეაწყვეტინა. — დაჩაგრულს დამიყვავე... იმედდაკარგულს ნუგეში მეცი... გული სულსა ლევდის და, ღვთის მადლმა, შენმა სიტყვებმა მოაბრუნა!.. ბეჩავს ტკბილი სიტყვა გამაგონე და ღმერთი, ღმერთი გადაგიხდის.

ქალს ცრემლები გადმოედინა, მაგრამ ეს ცრემლები იყო სიტკბოებისა, დაჩაგრულის გულისგან პირველად შეწყალების გრძნობისა, რომ სადაც შეცოდებაა, იქ შენანებაც შესაძლებელია. შემდეგ მიილუშა, ისევ ძილი მოეკიდა და მოძლვარმაც თავი მიანება.

მოხუცმა იცოდა, რომ შერყეულის და აღშფოთებულის სულის დამშვიდებას განსვენებისთანა არა უშველიდა-რა...

## IV

ეხლა, ვიდრე ჩვენს მოთხრობას გავაგრძელებდეთ, საჭიროა უფრო დაახლოვებით გაგაცნოთ მაყვალა და მისი ამ დღეში ჩავარდნის მიზეზი შეგატყობინოთ.

მაყვალა იყო ქალი ერთის მოხუცებულის გლეხკაცისა. ჰყვანდა ამორჩეული საქრმო და, თუმცა მამამ ჯერ არა იცოდა-რა, გულითა სჯეროდა, რომ მის ქორწინებას არა დაუშლიდა-რა; მომავალი ტკბილად ეალერსებოდა და სიტკბოების სრული იმედი ჰქონდა. მაგრამ ბედმა უმუხთლა, იმედი არ გაუმართლა და ერთბაშად, მი-

სავე მოულოდნელად ყმაწვილქალობა მოუკლეს და სრულიად სხვა პირზედ გაათხოვეს.

მისი ქმარი გელა გოდერძიშვილი იყო წამოსადეგი ვაჟკაცი, ყმაწვილი და ბუნებითვე ბევრის სიკეთით სავსე, მაგრამ, რადგანაც ფასანაურში დიამბეგთან იასაულად მსახურობდა და იმ დროში კი იასაული დიდი ძალის მქონებელი იყო, რაოდენადმე გარყვნილიყო, გალოთებულიყო და გათამამებულიყო. ამ მიზეზით თავს მეზობლებს არ უდარებდა და ბევრჯელ ისეთს უსამართლობას ჩაიდენდა ხოლმე, რომელსაც სხვა გარემოებათა შორის არასოდეს არ გაბედავდა.

გელას, მართალია, თუმცა მოსწონდა მაყვალა, მაგრამ სხვა პირობაში ჩაყენებული მის შერთვას არ გაბედავდა, რადგანაც ქალი ჯვარისწერამდი გულწრფელად გამოუტყდა, რომ მას სხვისთვის უცემდა გული, მაგრამ თავმომწონე ბიჭი ეხლა სხვარიგად უყურებდა თავის მდგომარეობას და ამპარტავნად იძახდა:

— მე იასაული ვარ, ხემწიფის სამსახურში მყოფი კაცი და სხვა მოხევესთან უნდა ჩავითვალო?.. არ დავანებებ მაგ ქალშავას, ვინც უნდა იყოს და რადაც უნდა დამიჯდეს.

ქალის მამისთვისაც მოხუცებას ჭკუა გამოელია, ქამთა ვითარებას გამოეთაყვანებინა და მისი შეხედულობით გელა მართლა მეზობლებზედ ბევრად უკეთეს პირად გამხდარიყო. ამასთანავე მოხუცს სმა უყვარდა და, თითონ საშუალებას მოსპობილი, გელას შემწეობით ხშირად გალექებული დადიოდა. ამგვარად იასაულმა მოხუცი მალე მოისყიდა და უფრო მალე გადააწყვეტინა, რომ ქალი მას მისცეს და ერთს დღეს თხუთმეტის წლის მაყვალას, მის უნებურად, გელაზედ ჯვარი კი გადასწერეს.

ამ შემთხვევის შემდეგ მოხუცი გადაიცვალა და მაყვალა სრულს ობლად დარჩა გელასთან; ბედისგან დაჩაგრულს ქალს ქმარი არ უყვარდა, მაგრამ რაკი ბედის ჩალხი ამგვარად დაუტრიალდა, დაემორჩილა თავის ხვედრს და ერთგული ცოლი, ოჯახის მომვლელი და პატივის დამცველი დედაკაცი შეიქნა.

გელა სრულიად დააკმაყოფილა ქალის ქცევამ და გაამაყებულმა, რომ ცოლს თავი მოახრევინა, სრულს მორჩილებაში მოიყვანა, — ისევ თავის იასაულობას მიჰყო ხელი და შინ მხოლოდ იშვიათად, ბატონად, მობძანდებოდა ხოლმე; აქ დაიწყებდა ცოლზედ ბრძანებლობას, რომ მორჩილებას არ გადაჩვეულიყო და, როდესაც ალერსითაც დასტკბებოდა, ქალსაც საკმაოდ აწვალებდა და ატირებდა, დაკმაყოფილებული — ისევ თავის სამსახურს დაუბრუნდებოდა ხოლმე.

რამდენიც მეტი ხანი გადიოდა, იმდენად გელა უსამართლობას ეჩვეოდა და მეტად აწვალებდა თავის ცოლს, რომელსაც ნებას არ აძლევდა, რომ მის სახლში ყოფნის დროს დამჯდარიყო, გაეკეთებინა რამე და იძულებულსა ხდიდა ათასი გვარი, ერთიმეორეზედ უსაფუძვლო, სურვილი ხმაამოუღებლივ აღესრულებინა. გელა სანამ ფასანაურში ჩავიდოდა, გაიცნობდა ბატონებს, ამათ ცხოვრებასა, ქალებთან დამოკიდებულებასა და არშიყობასა ნახავდა, — ნამდვილი მთის კაცი იყო, მთიელის რწმუნებით და შეხედულებით; მაშინ ქალი იმისთვის იყო პატივსაცემი ქმნილება, ცოლი — მეუღლე კაცისა, რომელიც თავის მოთავეს გვერდს უნდა მოსდგომოდა, მასთან ერთად ეშრომნა, ემუშავნა და, მაშასადამე, ოჯახობაშიაც იმის თანაბარივე უფლება ჰქონოდა. ეხლა სრულიად სხვა იყო! მან გაიგონა ბატონების ლოთობის და ჰარიალალე-თარიალალოს დროს, რომ ქალი მხოლოდ კაცის სასიამოვნოდ იყო გაჩენილი, ნახა რომ ცხოვრებაში მართლა ამ მიმართულებით ხელმძღვანელობენ; არაყთან და ღვინოსთან ერთად საქმითაც იგემოვნა ამგვარი ცხოვრების სიტკბოება — და ფრიად მომთმენი, ხასიათ-გაუფუჭებელი ერთბაშად შეიცვალა, ახლა ნაგემოვნებს დაემორჩილა.

ყოველ ჟამს ხედავდა ქეიფს, ქალებთან არშიყობას, დროსგატარებას, გელას გზავნიდნენ შუაკაცად, უყურებდნენ თავიანთ საკუთარს პირად, აღარას უმალამდნენ; გელა იყო ლამაზი, წამოსადეგი, ქალებმა მალე აგრძნობინეს, რომ ის ბევრით უფრო სასიამოვნოა, სანამ სიყმაწვილის წვენგამოლეული მისი უფროსები, და გელამაც აღარ დაიგვიანა, ამ მდგომარეობით ისარგებლა...

მაყვალა მარტოკა სცხოვრებდა და ყველაზედ ძნელი მის ცხოვრებაში ის იყო, რომ, რასაც გელა გარეთა ხედავდა, ის შინ შემოჰქონდა, რა ცხოვრებითაც გარეთა სცხოვრებდა, იმ ცხოვრებას ოჯახობაში ითხოვდა. უხეირო სმა, უწმაწური ლაპარაკი, უსამართლოება მეზობლებთან, ყველას საკმაოდ აძულებდა მთიელის თავსა.

გელა გოდერძიშვილს საკმაო ცხვარი ჰყვანდა და მომვლელი ეჭირვებოდა, რადგანაც სახლში ერთის ბიძის მეტი, და ისიც ძალზედ მოხუცებულისა, არავინ დარჩენოდა. ბოლოს ეს ბიძაც მოუკვდა და გელა იძულებული შეიქნა სამსახურიდგან გამოსულიყო, რადგანაც ოჯახობას პატრონის თვალი ეჭირვებოდა.

ამ დღიდგან ყმაწვილი ბიჭი სახლს დაუბრუნდა, მოუდგა ცხვარსა და თუმცა ცხოვრების გამოცვლა რაოდენადმე უძნელდებოდა, მაგრამ მეცხვარეებში მაინც თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. გელას დაესწავლა რაოდენადმე „შალთაი-ბალთაი“, იცნობდა სხვადასხვა ძალის მქონეთ, იყო მათგან მიღებული, რადგანაც მოხევის შემწე-

ობით სხვადასხვა ბნელს საქმეებს ირიგებდნენ, — და ეს კი გოდერძიშვილს საშუალებას აძლევდა, ბილეთიც სხვებზედ ადრე მიეღო და მგზავრობის დროსაც გაჭირვებაში მოძალეთ სხვებზედ მომეტებულს სიტყვა-პასუხით დახვედროდა.

ნაიასაულარს ყველანი ხელსა ჰკიდებდნენ, ცდილობდნენ საქმე მასთან დაეჭირათ, რადგანაც ამგვარად ყოველ შემთხვევაში საქმე უფრო იაფათაც უჯდებოდათ და მალეც უთავდებოდათ, მაგრამ ძასთან ძმური კავშირი არავისა ჰქონდა, რადგანაც თავის წინ წაწევას ამხანაგებს მეტად ძვირფასად უსვამდა და თავის ღირსებით მეტად ამპარტავნებდა, მეტად თავი მოსწონდა.

მხოლოდ ერთადერთი უბედურობა აზრაზებდა, გულს უხეთქამდა და საქმისთვის ვერა ეშველა-რა: მაყვალა ისევ განზედ გასდგომოდა, ვერ დაემორჩილა, ვერ მიეზიდა მისი გული და სიყვარული კი განუსაზღვრელი ჰქონდა. ვერც ჯავრობით, ვერც ცემით, ვერც ალერსით, ვერ მოემხრო ცოლის გული, რომელსაც სიცოცხლე იქამდის გამწარებოდა, რომ ყოველის ღონისძიებით ცდილობდა ქმარი გაეჯავრებინა.

საქმემ იქამდის მიაღწია, რომ მაყვალა გაექცა კიდეც, გავიდა თავის სამშობლოში და, თუმცა ახლო ნათესავი არავინა ჰყავნდა, მაინც მოახერხა წმინდის სამების საბჭეოში თემის ყრილობა მოეხდინა. თემის ყრილობამ განიხილა საქმე და მათი განშორება გადასწყვიტა, რადგანაც აღმოჩნდა, რომ მაყვალა ძალად გაეთხოვებინათ; მაგრამ იმ ხანში თემობა ირღვეოდა, მის გადაწყვეტილებას ის საშუალება აღარა ჰქონდა, რომ თავისი წევრებისთვის ძალა დაეტანებინა — გადაწყვეტილება აღესრულებინათ. იმ ხანებში ნაჩალნიკ-დიამბეგობა ჩამოვარდნილიყო და კანონი კი იძახდა: „ცოლ-ქმარის განშორება შეუძლებელიაო!“

რასაკვირველია, გელა არ დამორჩილდა თემის გადაწყვეტილებას, რადგანაც მისდამი პატივი დაეკარგა და იცოდა, მშველელები სადაც და როგორც ეპოვნა.

მთიელი კრებიდგან გამოვიდა მუქარით და, ცოტა დროს გავლის შემდეგ, ცოლი კანონმა ხელახლად ქმარს დაუბრუნა.

მაყვალა, ბუნებითვე მხიარული, მოცინარი და მალხაზი, დამშვიდდა, გაჩუმდა და თითქოს თავის ბედს დამორჩილდა. თუმცა ამგვარმა ძალდატანებულმა ცხოვრებამ ქმრისადმი სიმძულვარე ვერ შეუცვალა, მაგრამ, ოჯახობის სახელის დამცველი, სახლის უფროსის ბძანებას წარბშეუხრელად ასრულებდა.

ამ დღიდგან გელა დარწმუნდა, რომ ცოლი სამუდამოდ დაიმორჩილა, მოაქკვიანა და მისთვის სრული უფალი შეიქნა. ამისთვის

თვით ალერსსაც კი ბრძანების კილოთი აღსრულებინებდა, არამც თუ ტრფიალს ანუ სხვა რომელსამე სამსახურს.

ონისე, რომელიც იყო მაყვალას გრძნობის საგანი, ქალის გათხოვების შემდეგ თავს მოტყუებულად სთვლიდა და გულმოკლული, ცხვრიდგან შინ აღარ შემოდიოდა. აღუღებულს, აღგზნებულს გულს სიცოცხლე მოჰკლებოდა, თუ ჩამწვარ-ჩადაგულს ფერფლი გადაჰფარებოდა, — ვეღარაფერსა ჰგრძნობდა.

მართალია, მცირეს იმედით გულმა გაუფართხალა, როდესაც მაყვალა ქმარს გაჰქცეოდა, მაგრამ რაკი კანონმა დაუბრუნა, რაკი მაყვალა დამშვიდდა და ქმრის წადილს დაემორჩილა,—ონისეც დაღონდა, გული ჩაეხურა და იმედი სამუდამოდ მოესპო. მან წარმოიდგინა, რომ გამხეცებული გრძნობა შეაყენა, წადილი დაიმორჩილა და მოსვენებულს ცხოვრებას შესძლებდა; მაგრამ ფიცი კი დასდო, რომ ცოლი თავის დღეში არ შეერთო და ქალს არასოდეს არ ნდობოდა.

## V

ერთს ზაფხულის საღამოს, როდესაც გელამ ბერწი ცხვარი მთაში გაისტუმრა და მეწველი კი შინ დააგდო, რადგანაც ყინულების მახლობლად საკმარისი ბალახი ჯერ არ იქნებოდა, — ეს კაცი კარებთან ჩამოჯდა და ყალიონი გააკეთა. შემდეგ ამოიღო ტალკვესი, აბედი და კვესება დაიწყო; კარგა ხანი ეწვალა, მაგრამ შრომამ ამაოდ ჩაუარა, რადგანაც ცეცხლი ვერ გააჩინა.

— დედაკაცო, ცეცხლი! — ბრძანებით დაიძახა იმან.

მაყვალამ ერცისკანათი ცეცხლი გამოიტანა, მისცა და ის იყო გაბრუნებას აპირებდა, როდესაც ქმარმა შეაყენა: — მოიცა.

ქალი გაშეშდა; გელა ჩიბუხს წყნარადვე უკიდებდა და ცოლს ხანგამოშვებით წყნარ-წყნარად შესცქეროდა.

— ქალაუ, აქ დაჯექ, — ბოლოს გაწყვიტა ქმარმა სიჩუმე: — რაიღაც უნდა გითხრა...

— რაი გინდა? — უპასუხა მაყვალამ უკმაყოფილოდ და დაუმატა: — მწყემსებისთვის ჯერი მიგვიანდების.

— აქ დაჯექ-მეთქი! — გელამ ხმა შეუმაღლა, თუმცა ტუჩები რწმუნებით ულიმდებოდა.

— არ მცალიან-მეთქი! — იმავე ხმით უპასუხა ქალმა, მაგრამ ადგილიდგან არ დაიძრა: — მითხარ, რაი გინდა და წავალ.

— დაჯექ, დაჯექ, ქალაისი! ჯერს კიდევ მოასწრობ, — ხმა მოიტკბო კაცმა, მოხვია ხელები და თავისკენ მიიზიდა.

ქალმა წინააღმდეგობა არ უჩვენა, მორჩილად მიჰყვა და, როდესაც გვერდს მოუჯდა, ქმარმა მხიარულად შეხედა.

— ძალუმი ხარ, ღვთის მადლმა! — წამოიძახა იმან და გრძნობით აკოცა.

მაყვალამ აქაც ხმა არ ამოიღო, მაგრამ გაწითლდა, წარბები შეიჭმუხნა და ის ადგილი, რომელსაც კაცი შეეხო, მკლავით მოიწმინდა. ქმარმა შეხედა, შეამჩნია მაყვალას ეს მოძრაობა და ჩაიცინა, გაშალა მკლავები, მოეხვია და ძალზედ მიიზიდა.

— კარგია-და ჩე! — ველარ მოითმინა ქალმა, გაიბრძოლა, მაგრამ გელამ არ გაუშვა.

— დაჩუმდი, ჩემო ყველავ! რაისთვის არ გინდა, რომ გაკოცო? — ალერსით ეუბნებოდა გელა, მაგრამ ქალი მაინც არა ნებდებოდა და სახეს არიდებდა.

ბოლოს ქმარმა თავი მაგრად დაუჭირა, სახე გადმოუბრუნა და გაცხარებისგან ალგზნებულს ტუჩებში აკოცა.

— ფუი! — გადააფურთხა ცოლმა და მოუთმენლად დაუმატა: — ეგ რაი-და იცი?

— მაშ რაისთვის იწმენდ? — ნიშნისმოგებით მიუგო მთიელმა და პირზედ კმაყოფილების ღიმილმა გაუთამაშა.

— იმად, რომ მეჯავრები! — ველარ მოითმინა მაყვალამ.

გელამ შუბლი შეიჭმუხნა და წყნარად, თუმცა მტკიცედ და გარკვევით, უპასუხა:

— ღვთის მადლმა, რომ შემიყვარებ.

ამ სიტყვებმა ცოლი უფრო გააბრაზა და განრისხებით შებღვირა.

— ეგრე ნუ მიყურებ, ნუ, ღვთის მადლმა, თორემ კიდევ გაკოცებ. — ისევ გაუღიმა მთიელმა და თვალები შეუთამაშდა.

უბედურმა ამოიოხრა, რადგანაც არ იცოდა, ამ კაცის ალერსს როგორ მოშორებოდა.

— კარგი, კარგი, ნუ ჯავრობ, თორემ გეუბნები, რომ კიდევ გაკოცებ-მეთქი! გა, აგრემც შემეწევა სამება!

— არ ვჯავრობ, არა! — ძლივს წარმოსთქვა თვალებში ცრემლმორეულმა მაყვალამ და უფრო მოთმინებით გააგრძელა: — ბეჩა, მითხარ, რაისთვის მეძახოდი, ცომი გამიცივდების.

— კოცნა მომწადდა და იმად! — გაიხარხარა ნაიასაულარმა.

— დამიბრმეს თოლი!

— რა, არ მოგწონს?

— გამიშვი, გამიშვი! — ისევ გაიბრძოლა ქალმა.

— ქალაის გახარებამ, ტყუილად იბრძვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაი გინდა ჩემგან?

— მითხარი: არ მოგეწონა-მეთქი?

— ოჰ! — მოუთმენლად მოსცა პასუხი და სრულიად გაჯავრდა.

— არ მომწონს, არა! ახლა?

— რაისთვის არა? კაი კოცნა ვიცი?!

გელას ესმოდა, რომ ამ საქციელით საყვარელს ქალს აბრაზებდა და ამ საქციელში რაღაცა განსაკუთრებულს სიამოვნებასა ჰგრძნობდა.

— მაი, ერთსაც გაკოცებ და ისე გეტყვი, რაიც მინდოდა.

— არაუ! — მაყვალამ სახეზედ ხელები დაიფარა.

— ჩემო ყველაუ!

— არაუ, არა-მეთქი!

— აი თუ არა! — კაცი ისევ ძალზედ მოეხვია, მაგრამ, რაწამს ქალი გულთან მიიკრა, მისი სიახლოვის სიტკბოება იგრძნო, ერთბაშად ხელები ისევ გაუშვა და ორნივ ზეზე წამოცვივდნენ.

ეზოს კარები ვიღაცა კაცმა შემოაღო, ცოლ-ქმრის არშიყობას თვალი შეჰკრა, შემკრთალი ისიც იმავ ადგილას გაჩერდა და თავი დაჰხარა.

ყველანი აჩქარდნენ, დაიბნენ და კარგა ხანმა გაიარა, სანამ ხმის ამოღებას მოახერხებდნენ.

— საღამო მშვიდობისა, გელაუ! — ბოლოს სტუმარმა ძლივს მოახერხა.

— ონისეუ! შენა?.. გამოიარე, გა!.. რაისთვის-ღა დადექი? — მიეგება მასპინძელი.

მაყვალაც გონს მოვიდა, მსწრაფლად გაბრუნდა და, ჭარხალსავით გაწითლებული, სახლში შევარდა. სტუმარი შემოვიდა და მასპინძლისგან ნაჩვენებ ადგილზედ დაჯდა.

ორნივ გაჩუმებულნი იყვნენ და ჯერ კიდევ პირველის შთაბეჭდილებიდგან ვერ გამორკვეულიყვნენ. ონისესთვის, მისდა უნებურად, მოწმად დასწრობას, თუ სხვა რომელიმე გრძნობას თავი ჩაეხრევინებინა და სახე ხანდარჩოდ გარდაექცია; გელა ჯერ კიდევ ისევ საყვარლის ლაზათიანობის შთაბეჭდილების ქვეშ იყო და რწმუნებით გუნებაში იმეორებდა: „სტყუის, უყვარვარ!“

ონისე არაბული გელას მეზობელი იყო, მაგრამ მის სახლში მაყვალას შესვლის შემდეგ აღარ გაეჭაჭანა. ეს ბიჭი, ბევრით ყმაწვილი გელაზედ, წარმოსადეგობითაც და სილამაზითაც მასპინძელს ბევრად სჯალდობდა. ამასთანავე გამბედავი, პირდაპირი და პატიოსანი სტუმარი მთელს სოფელს ხელიხელ საგოგმანებლათა ჰყავნდა გამხდარი.

ონისეს, მართალია, გელასოდენი შეძლება არა ჰქონდა, მაგრამ შრომა უყვარდა, მუყაითობა იცოდა, მთელს სიცოცხლეს ცხვარში ატარებდა და გლეხკაცის კეთილდღეობა კი მხოლოდ ამაზედ არის დამოკიდებული. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ონისეს ყოველთვის გელაზედ მეტი შოვნა შეეძლო, სტუმარსაც და მტერსაც უკედ უხვედებოდა და თემობასაც მეტს ემსახურებოდა. ეს ლამაზი ყმაწვილი და მოხდენილი სწორედ ის არაბული იყო, რომელსაც მაყვალა სიყმაწვილითვე გულში ისე ჩასჭიდოდა, რომ თვით ჯოჯოხეთის ცეცხლსაც ვეღარ ამოებუგა და ქვეყნის ნიაღვარს ვეღარ წაელეკა.

სტუმარ-მასპინძელი დასხდნენ, მაგრამ რადგანაც ერთმანერთს ეხათრებოდნენ, შეყრის მიზეზზედ ლაპარაკის დაწყებას ერთმანერთს აცლიდნენ.

— მაი, ეახშმად აქ დარჩი, — მოიწვია მასპინძელმა.

— დამირჩეს შენი თავი!.. ბარემ მეც მინდოდა შენთან ყოფნა, მაგრამ ხელმარტოობას რაი ეუყო?.. ცხორი ტიალად დამრჩა და მელეპების.

— კარგია-და ჩე!... ცხორს რაი უნდა?.. მწყემსები იქ არა ჰყავს? — უთხრა მასპინძელმა და თხოვნა გაუმეორა: — დარჩი, ღვთის მადლსა!

— ვერა, ღვთის მადლმა, ვერ დავრჩები... შენთან ბატარაი საქმე მქონდა და მთიდამ იმად ჩამოველ.

— რაი საქმე? — ჰკითხა გელამ და ახლო მიუჯდა: — აბა სთქვი.

— მითხრეს — მინდვრად ბინის დასაჭერად მიდისო და ამხანაგობამ გამომგზავნა — ადგილი ერთგან დავიჭიროთო.

— კარგი და კეთილი, — გაეხარდა მასპინძელს, რადგანაც ონისესთანა გაბედულის და გამოცდილის მწყემსის მეზობლობა ძვირად დასაფასებელი იყო: — რაისთვის არა?.. თქვენთან ნამგალობა (ამხანაგობა) ღვთის წყალობაა...

— თავადა ხარ ეგეთი, გელაისი, და ცხოს ნუღარ აქებ!.. ენა იცი და სამართალი, შენთან ვის გაუჭირდების?

— ან ხვალ ვაპირებ წასვლას; თუ შენც წამოხვალ, დაგიცდი.

— მე რაისთვის-და წამოვიდე?!.. შენზედ უკეთესად ადგილს ვერ აარჩევ და ვერ მოურიგდები.

— არა, ონისეისი, თავად წამოდი, თავად ნახე შენის ბედნიერის თვალებითა, თავად მოათოლიერე და ასე ემჯობინების.

— მეტი კაცი — მეტი ხარჯია... ფულს მოგცემ, წადი და ღვთის ბედობაზედ სადაც დაიჭერ, ჩვენც შენთანა ვართ.

— როგორც გინდა, შენაი ჭირაიმე, ეგეც შენი ნებაა, როგორც გინდა. — ბოლოს დაეთანხმა მასპინძელი.

— ეგრე, გელაისი!.. დაიჭირე ადგილი და, თუ გინდა ნამგალათ წამოვალთ, თუ გინდა-და, ცხვარს დაგირევთ.

— დავრიოთ, ონისეუ, დავრიოთ! ეგ ემჯობინების, ერთერთზედ უფრო გული შეგვივარდების, — უპასუხა გელამ და მხიარულად დაუმატა: — ახლა კი უვახშმოდ აღარ გაგიშვებ, ღვთის მადლმა.

— ნუ-ღა, გელაისი! ცხორი უპატრონოდ არის, და პატრონს მოშორებულ საქონელს კი მავნე დაეპატრონების!

— ცხორს რაი გაუჭირდების? ეგეთი მწყემსები გყვანან, ღვთის მადლმა, რომ ცაში ფრინველს არ გააჭაჭანებენ და ქვესკნელს ჭიანჭველას. უვახშმოდ არ გაგიშვებ, წმინდის გივარგის მადლმა!.. ბეჩაუ, გზა მაინც დამილოცე... დედაკაცო, დედაკაცო, საყვარელს სტუმარს საყვარლად დახვედრა უნდა, მოგვიმზადე, რაც უფალმა მოგვცა.

ონისემ ჩააბარა ბეის მისაცემი და სახარჯო ხვედრი ფული და ვახშმად დასხდნენ.

პირველის ორიოდ ყანწის გამოცლის შემდეგ სტუმარს მოაგონდა წინანდელი დღეები, მოაგონდა, ოდესმე რა სიტკბოება უგრძვნია, რა იმედს უქადოდა მომავალი, და თვალწინ ათასფერად გამოესახა ის სანეტარო წუთები, როდესაც მაყვალას თავისად სთვლიდა, მისგან სულის გაცოცხლებას მოელოდა, გულის სიტკბოებას; მოაგონდა და გული შეეკუმშა, თითქოს ძალზედ რაღამაც მოუჭირაო. დაღონდა, დაფიქრდა და მოიღვრიმა. ეხლა ობლად, სრულიად ობლად მიაჩნდა თავისი თავი და მერე იმისთანა ობლად, რომელსაც თავის სიცოცხლეში ტოლი არ გამოუჩნდებოდა, საალერსო, გულის დამყვავებელს სიტყვას არ გააგონებდა.

მასპინძელმა დაღონება შეამჩნია და მხიარულებას მოუმატა, რომ სტუმარი გაერთო, ამისთვის შინაურს არაყს მოუმარჯვა, სადღეგრძელოები მოუხშირა, მაგრამ ერთხელ გულჩახურული ონისე ვეღარ გამობრუნებულიყო. ერთბაშად გელა წამოდგა და სტუმარს უთხრა:

— ბატარა ხანს შეექეცი და მეც ეხლავე მოვალ.

— გვეყოფის, ღვთის მადლმა! — უთხრა ონისემ და დაუმატა: — მეც მეტი აღარ შემიძლიან.

— კარგია-ღა, ძმობასა, ნუ მოჰყვები! ბატარაი დაიცადე და ეგეთი მხიარულება გავმართოთ, რომ მკვდრებიც კი სამარიდგან აღგნენ ჩვენს საცქერლად.

— ნუ-ღა, გელაისი! დრო გადავიდა, ჯალაბობასაც ეძინება!— შეხედა მაყვალას, რომელიც იქვე კერასთან იჯდა.

— გესმის, მაყვალაუ! — დაუძახა ქმარმა: — სტუმარს გულდახურული რაისათვი ეჩვენე?

— არა, ღვთის მადლმა!.. სტუმარი ღვთისაა და, თუ კი ჩვენს სახლს იკადრებს ვინმე, უფალს მადლობას ვაძლევ.

— თუ ეგრეა, — წამოიძახა ისევ გელამ: — წმინდის გივარგის მადლმა, მზის ამოსვლას ლხინით უნდა დავხვდეთ... ბატარაი მომიცადე. — გაათავა მასპინძელმა და საჩქაროდ კარი გაიარა.

ადვილი იყო გელასათვის თქმა: „მზის ამოსვლას ლხინით უნდა დავხვდეთო!“ მაგრამ იმათთვის, ვისაც თავიანთი თავი ცოცხლადვე სამარეში ჩაუმარხავთ, ვისაც გული შავით შეუმოსავთ და სამუდამოდ დაკარგულს იმედზედ გლოვა დაუწყებინებიათ, იმათთვის მზის სხივების ლხინით დახვედრა საკმაოდ გასაჭირი უნდა ყოფილიყო.

რაც ონისეს და მაყვალას ერთმანერთი არ ენახათ, კარგა დროს გაევლო და ამ ხანში ორთავეს ხალველი გულში ეგროვებინათ; აღძრულის გრძნობის მალვას შეჩვეულიყვნენ და ამისთვის ეხლა, როდესაც მარტონი დარჩნენ, მეტად ძნელს მდგომარეობას გრძნობდნენ. ორთავეს ეძნელებოდათ ლაპარაკი და ორთავეს კი იმდენი სათქმელი ჰქონდათ, ორნივ, — როგორც ყოველთვის შეყვარებულები არიან ხოლმე, — ერთმანერთს ემდურებოდნენ და საყვედურის თქმა უნდოდათ, ყელში მომდგარი სიტყვა მხოლოდ პირს გააღებინებდა, მაგრამ მეტისმეტი აღელვება მაშინვე ხმას გააწყვეტინებდა და ისევ ისე გაჩუმებული დარჩებოდნენ.

მაყვალა ჰფიქრობდა, რომ ონისეს გული უეჭველად სხვას შესთამაშებსო, რადგანაც მას მოშორებოდა და უბედურების დროსაც მშველელი ხელი არ მიეწოდა; ონისე კი ჰფიქრობდა, რომ, თუ მაყვალას თანხმობაც არ ყოფილიყო, გელაზედ ძალად ვერ გაათხოვებდნენ და, მაშასადამე, ვიზედაც გათხოვდა, ის სხვაზედ მეტად უნდა უყვარდესო.

ასე ისხდნენ ორნი, თავდაღუნულები, აღშფოთებულები, თითქოს ერთმანერთს გაბუტვიანო და მხოლოდ გახშირებული ოხვრა-ღა ამტკიცებდა, რომ წარმოუთქმელს მოუსვენრობაში იყვნენ.

კარგა ხანმა გაიარა, როდესაც ონისე ერთბაშად შეჰკრთა და თითონაც არ იცოდა, როგორ წამოიძახა:

— ქალაუ! ბევრი ხანია არ მინახიხარ... შენი ანბავი არ გამიგია, მიანბე, როგორა ხარ?

— რაი მიჭირს, — მწარეს ღიმილით და ამოოხვრით მიუგო მაყვალამ და მხრები აიწია: — სახლი მაქვს და ქმარი მყავს.

— მაშ ბედნიერი ხარ? — იკითხა ონისემ ერთბაშად, შეხედა, ხმა აუკანკალდა, მაგრამ, რაწამს ქალის სახე დაინახა, ისევ მოჰყვა და წყნარად დაუმატა: — ინებოს უფალმა!.. ჩემთვის ყველა განქრა, ყველა მოკვდა და სიცოცხლე გამწარდა!.. შენ მაინც იყავ ბედნიერი.

ქალმა შეხედა და გულში თითქოს რაღაცა აუდუღდა; თბილად, მოუსვენრად ალმა წამოვიდა, სასულესთან ცახცახი დაუწყო. ათრთოლებულის თითებით მისწვდა საკინძეს და ანგარიშმიუცემლად ჩამოიწყვიტა. მას ეგონა, რომ პერანგმა ძალზედ წაუჭირა, სული შესტაცა და ამოსუნთქვის ნებას აღარ აძლევსო.

ბოლოს ონისემ აილო არყით სავსე ყანწი, ამოიოხრა და დალია; დალია ისე, რომ ქალმა აშკარად შეამჩნია, გულის გაბრუება უნდოდა და ნაღვლიანად შეჰხედა.

— რას მიყურებ? — ჰკითხა ონისემ და ამღვრეულის თვალებით ცქერა დაუწყო.

— მაგდენს რაისთვი სვამ? მოგკლავს. — თითქმის ხვეწნით წარმოსთქვა მაყვალამ და ყულანის ბოლოს ძენძა დაუწყო.

— მომკლავს-რა, — გულგრილად წამოიძახა ყმაწვილმა და შუბლზედ ხელის დადებით დაუმატა: — გებრალები?

— აუ! ადამიანი არა ვარ?

— ხარ, ღვთის მადლმა, ხარ.

ორნივ ისევ გაჩუმდნენ და თავი ჩაღუნეს, მაგრამ ონისემ ველარ გასძლო და უთხრა:

— ქალაუ! მითხარ რამე.

— აბა, რაი გითხრა? — ბეჩავად მიუგო მაყვალამ.

— უწინ ბევრს მელაპარაკებოდი! ბევრს მპირდებოდი!

— ეგ უწინ იყო და ეხლა კი ცხოი.

— თუ ასე იქნებოდა, რაისთვი ამებ-გამები?.. რაისთვი მომიხიბლე სიცოცხლე და გზას. იქით გადამაგდე!.. არ გიყორდი და მასხარად მხდიდი, განა?.. შენს ღმერთს რაღას ეუბნებოდი?..

— ონისეუ!.. — დაიწყო ქალმა, მაგრამ კაცმა გააწყვეტინა.

— შენ დამივიწყე, მაგრამ მე კი ისევ ისე მიყორხარ, ღვთის მადლმა! ისევ ისე, როგორც ღმერთი!..

მაყვალას ეს-ღა აკლდა, რომ ნაღველს წვეთიც მომატებოდა და მდუღარე ნაკადულად გადმოსდენოდა; იმას ეგონა, რომ ონისეს დიდი ხანი იყო, რაც გულიდგან ამოეღო, გადაეგდო, დაევიწყებინა და ეხლა კი ესმოდა, რომ მოტყუებული იყო, სიცოცხლის სიტკბოების იმედი კიდევ შესაძლებელი იყო.

— ბიჭაუ, იცუჩე! — მოუთმენლად წამოიძახა ქალმა და მწარედ გააგრძელა: — იყუჩე, ღვთის მადლმა, თორემ თავს მომაკვლევინებ.

— რაისთვი?.. ვინც გიყორდა, შეირთე... ვინც გძულდა — მოიშორე... თავი რაზედ-ღა უნდა მოიკლა?..

— იყუჩე, გეუბნები! — ქალმა კიდევ უთხრა და ტირილი გაბრაზებად გადაექცა.

ონისე გაურჯოლდა, აღელდა და თავდავიწყებაში ჩავარდა. გრძნობამ გაიბრძოლა და აქამდის შეჩერებული მოთმინება გადმოხეთქა. საბრალომ იგრძნო, რომ თავს ველარ იმაგრებს და ძალის მოსაპოვებლად ისევ არაყს მიმართა; მაგრამ ველარ მოასწრო ყანწის ტუჩებთან მიტანა, როდესაც ქალი ზეზე წამოიჭრა და გამწარებით მივარდა.

— კარგია, გეყოფის!

— რათ მიჯავრდები? შენს სადღეგრძელოსა ვსვამ, — უთხრა ონისემ.

მაგრამ ძლივს მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც იგრძნო კისერზედ მოხვეული ქალის ნაზი ხელები და თვალთ დაუბნელდა.

— ნუ სვამ, ნუ! შენაი ჭირიმე... თავს ნუ იღრჩობ... არ მინდა, ბიჭაუ! გაიგონე-მეთქი, არ მინდა! — წყნარად და ტკბილად ჩასჩურჩულებდა მაყვალა; თრთოდა, ინთებოდა, ზედ ევლებოდა.

ონისეს გადაავიწყდა ქვეყანა, გადაავიწყდა სტუმრის მოვალეობა მასპინძლისადმი, გადაავიწყდა თავის თავიც და მხოლოდ ერთმა გრძნობამ შეიპყრო, ერთმა წადილმა დაიმორჩილა. მას ესმოდა, რომ მაყვალას უყვარდა, უანგაროს ტრფიალებით ელერსებოდა, ესმოდა მისი გულისძგერა და წუთის თავდავიწყებას მისცემოდა.

ონისეს თვალები აემღვრა, სისხლი აუდუღდა, აუჩუხჩუხდა, მკლავები გაეშალა და წუთს შემდეგ ძვირფასს ქმნილებას გულში ძალზედ იკრავდა, ნექტარის სიტკბოებას ჰგრძნობდა.

ორთავეს სიტყვა გაუწყდათ, სულთქმა გაუძნელდათ და, მის მაგიერად ხანგამოშვებითი ალმფოთების ქშენა-ღა ისმოდა...

არავინ იცის, ეს საღამო რითი გათავდებოდა: ქალს ცოლის მოვალეობის გრძნობა გაეღვიძებოდა და ტრფიალისგან აღგზნებულს ცეცხლის ჩაქრობას მოახერხებდა, თუ, თავდავიწყებული, ბუნებრივს მოძრაობას მონად გაუხდებოდა, ყველას დაჰკარგავდა, დასთმობდა, ფეხქვეშ გაჰქელავდა, ოღონდაც ონისე შერჩენოდა?!

ამ თავდავიწყებაში, სულისა და გრძნობის კვეთებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად გარედგან სიმღერის ხმა მოესმათ.

ორნივე შეჰკრთნენ და შეშინებულნი სმენათ გადაიქცნენ. მათ აშკარად გაიგონეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟკაცსა ცოლის სიავე
შუა გზას მოაგონდება;
წავალის საგონებელში,
გზას იქით გადავარდება...

ონისე და მაყვალა გაიყარნენ; მაყვალა გაწითლებული სენაკში შევარდა და კაცი კი აღელვებული გრძელს სკამზედ მიეგდო; კარები ერთბაშად გაიღო და სახლში გელა და რამდენიმე მომღერალი შემოცვივდნენ.

გაიმართა ლხინი, ტაშ-ფანდურა და მასპინძელი, დაპირებისამებრ, სტუმრებთან ერთად მზის სხივებს მხიარულის „გოგონათი“ მიეგებნენ.

მზემ კარგად მოიარა, როდესაც გელას, გამხიარულებული სტუმრები ვახშმიდგან აიშალნენ, ჩვეულებისამებრ გამოსამშვიდებელი თასები გამოცალეს და გაიყარნენ, რადგანაც მასპინძელი ჩეჩნისკენ უნდა გამგზავრებულიყო და სტუმრებს კი თავთავიანთ საქმისთვის მიეხედნათ.

როდესაც გელა განთავისუფლდა და მარტოკა დარჩა, გამობრუნდა სახლისკენ და შესვლის უმალ მზადება დაიწყო.

მაყვალა ამ დღეს როგორღაც გულმოდგინედ შველოდა და ემსახურებოდა, თითქოს რაღაცა დანაშაულსა ჰგრძნობდა, შენანების ნიშნად ქმრის მიშველებით დანაშაულის გამოსყიდვა უნდოდა.

როდესაც სახლის პატრონმა სამგზავროდ ჩაიცვა, შემოიკრა იარაღი და ცხენი შეკმაზა, ცოლს შემდეგი სიტყვებით მიუბრუნდა:

— ქალაუ! ძალიან კი მშველი მამზადებასა და, არ ვიცი, ჩემი წასვლა გიხარიან, თუ გონს მოხვედი?

ქალმა პასუხი არ მისცა; მხოლოდ ოდნავ გაწითლდა და თავი დახარა. კაცი დააკვირდა კარგა ხანს და შემდეგ ისევ წარმოსთქვა:

— გული რასმე მებრძვის, მეუბნება, არ წავიდე, მაგრამ არ დავდგები... ვინძლო სახლს გაუფრთხილდე, მტერი არ გაიცინა. — ამ სიტყვებთან ერთად მათრახს დაავლო ხელი და განაგრძო: — აბა, მშვიდობით... მაი, ერთაი მაკოცე და გახსოვდეს, რომ თუ სათემოდ შემარცხვინე, შენის თოლების მეტი ვერა გიხსნის-რა!

ქალი არ გაიხძრა და არც თავი აიღო; მხოლოდ ქვეითა ტუჩის ცახცახზედ დაეტყო, რომ ქმრის სიტყვებმა გულზედ უკბინა.

— არ გესმის, ქალაუ? — ქინიანად და ენის არევით გაუმეორა გელამ და მათრახი გადუქნია: — არ გესმის, ადამის გვერდო?

ქალი დაიკლაკნა ტკივილისაგან, მაგრამ არც შეჰკივლა და არც ცრემლი გადმოაგდო; ამის სამაგიეროდ წარბები ძალზედ შაეჰმუხ-

ნა, თვალები გაუბრწყინდა და სახეს მუქარის გამომეტყველება დაეტყო.

— ნუ იმუხვნამ წარბებსა, ნუ-მეთქი!—მკაცრად დაუმატა გელამ და მათრახი კიდევ რამდენჯერმე გადაჰკრა:

— დედაკაცი და ცხენი ერთია — მათრახი კი ორთავესთვის გაჩენილი!

— კმარა, გეყოფა! — წყნარად უპასუხა ქალმა და დაუმატა: — ღვთის მადლმა, მათრახით თავს ვერ შემაყვარებ.

— ჰა, ჰაი! — ჩაიცინა კაცმა და ამავე კილოთი მიუგო: — ჯანს კი არ გაგაგდებინებ?

— ნუ-ღა, ნუ!.. ნუ ეცდები, თორემ განანებ! გა, აგრემც შემეწევა ზედა-ნიში!

— აი, თუ მანანებ! — დაუჰყივლა არყისგან შეხურებულმა გელამ და ისევ მათრახი შეუმაღლა.

— მაშ თუ აგრეა, შენმა სულმა ზღოს! — უპასუხა ქალმა და სწრაფად გარედ გავარდა.

გელა არ მოელოდა, რომ ცოლი გაქცევას გაბედავდა და ამისთვის, მცირე გაოცების შემდეგ, რამდენჯერმე მაღლად დაუყვირა:

— მაყვალაუ, მაყვალაუ, დაბრუნდი, ღვთის მადლმა, თორემ სისხლს გარწყევინებ!—მაგრამ მის სიტყვებზედ არავინ შემობრუნდა, რადგანაც ქალი მეზობლებისას დამალულიყო.

გელა გავიდა გარედ, შევიდა ბოსელში, ყველგან ეძება ცოლი, მაგრამ ვერსად იპოვნა და კარგა გულის ბრუნების შემდეგ გადასწყვიტა:

— სად ჯანაბას წავა, აქავ არ უნდა დაბრუნდეს?

ძლივს გაათავა მოხევემ ეს სიტყვები, როდესაც მასთან წამსვლელი მთიელები მოვიდნენ და გელა ისე გაუდგა, რომ მაყვალა აღარ უნახავს.

## VI

წარსულს ღამეს, როდესაც სიტკბოება ასე მოულოდნელად ქმრისა და სტუმრების მხიარულებამ შეუწყვიტა მაყვალას, მათმა ქეიფმა და დროს გატარებამ საშუალება მისცა თავის მდგომარეობას დაჰკვირვებოდა. პირველმა თავდავიწყების წუთებმა გაიარა და ძათი ადგილი ცხოვრების სინამდვილემ დაიჭირა, თვალწინ წარმოუდგა წარსული და მძიმე ლოდათ გულს შეძოაწვა. ქალს მოაგონდა მწარე და ძნელად ასატანი წუთები ძალად გათხოვებისა, მოაგონდა ცრემლით გატარებული ღამეები, როდესაც თავის მოკვლას

და ეშმაკისთვის სულის მიცემას მხოლოდ სასწაულით გადარჩენილიყო, მოაგონდა მთელის წლობით მგლოვიარე გულის კვნესა და, ბოლოს, ის საიმედო შუქი, რომელიც ჩაბნელებულს ცხოვრებას თემის გადაწყვეტილებამ მიაყენა და სულმა თითქოს ნეტარებით ორთოლა დაუწყო; მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდა, რადგანაც თვალწინ ისევ ძალა და უსამართლობა წარმოუდგა; მოაგონდა თემის გარდაწყვეტილების ფეხით გადალახვა და ქმართან ძალად დასახლება; მწარე და სევდიანი დღეები, როდესაც ისე დასამცირებლად უნდა აღესრულებინა უხიაკი კაცის ბრძანება და მის მოთხოვნის წინაშე თავი მოეხარა; მოაგონდა და გული ჩაეთუთქა, რადგანაც ეს მოგონებანი მომავლისთვისაც არაფერსა ჰპირდებოდა. ონისესთან შეყრამ გააგებინა, რომ იმის საოცნებოდ გულის ამძგერებელს არამც თუ ჯერ არ დავიწყებოდა, არამედ პირველის შეყრის წუთების ძალით უცემდა გული, გრძნობა საკირესავით ანთებული ჰქონდა და სისხლი მთის ჩანჩქარსავით სცემდა და უდუღდა, მაგრამ რა გამოვიდოდა ამ სასიხარულო წუთებიდამ?.. მაყვალა რამდენჯერმე მოატყუა იმედმა, მოატყუა იქაც კი, სადაც მის მოსარჩლედ მთელის თემის ძალა გამოვიდა და ამის შემდეგ რაღა იმედი უნდა ჰქონოდა მარტოდ-მარტო ონისეს ბრძოლისა, თუნდა შეყვარებულს გულს სატრფო ლომადაც წარმოედგინა?

ეს ფიქრები მოუვიდა თავში და გულს სევდამ ჭახრაკად მოუჭირა, მწარედ კვნესა დააწყებინა; მაყვალამ იგრძნო, რომ მათი შეყრა უბედურების მეტს არას მოასწავებდა და წუთის სიტკბოების გრძნობამ მხოლოდ ძველი ჭრილობანი, ძველი იარები აუშალა. ისა სწუხდა ონისესთან შეყრას, სწყევლიდა და ჰკრულამდა იმ წუთს, როდესაც ამ ბიჭა შავს გელასთან ნამგალაობის წადილი მოსვლოდა და ნახევარს სიცოცხლეს მისცემდა, რომ ეს საღამო იმის ცხოვრებიდამ ამორეცხილიყო.

ქალმა გადასწყვიტა, ყოველი საშუალება ეხმარნა, რომ ონისე, რაც შეიძლებოდა, ჩქარა დაევიწყნა, დაშორებოდა და ისიც დაერწმუნებინა, რომ აღარ უყვარს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დიასახლისი სტუმრებს თავს არ დასტრიალებდა და შეყვარებულის თვალი ძვირფას საგანს ველარ ხედავდა. აღასრულებდა ამ გარდაწყვეტილებას, შესძლებდა აღძრულს გრძნობასთან ბრძოლას თუ არა, ამის თქმა ძნელია, მხოლოდ ის კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მაყვალას წადილი გულწრფელი იყო და იქნება, სხვა პირობათაშორის რომ ყოფილიყო, თავში არც კი მოსვლოდა ეს განზრახვა.

ქმართან გამოსალმების დროს გელას მოუფიქრელმა საქციელმა გუნება სრულიად შეუცვალა, ჯავრის ამოსაყრელად ონისესთან გა-

ქცევა მოაფიქრებინა, მაგრამ, რაკი შინ დაბრუნდა, ქმარი იქ აღარ დახვდა, ცოტა ოდნად დამშვიდდა და ისევ ოხვრით წარმოსთქვა:

— იმ თავით ამ თავამდე უბედურს გზას ვადგევარ, ჩემს საქმეში ბიჭაი რაისთვი-ღა გავაბა?... არა, ღვთის მადლმა!.. მეტად მიყორს და იღბალს არ დავუკარგავ!..

ამ სიტყვებით მაყვალა პირველს გადაწყვეტილებასვე მიუბრუნდა და მტკიცედ შეუდგა მისთვის ძნელად აღსასრულებელს საქმეს — ონისეს გულიდგან ამოღებას.

ასე მიდიოდა დრო, ქვეყანა ჩვეულებრივ საქმეს დასდგომოდა და ერთმანერთის შურასით თიბა გაეხურებინათ; ამ საერთო ჰარმონიას მხოლოდ ონისე განშორებოდა, რადგანაც აღარც სამუშავოდ ეცალა და აღარც სახლის მისახედად.

ამ ბიჭის ყმაწვილკაცობა მეტად დაჩაგრულიყო, მის გულს მეტად ბევრი სევდა და მწუხარება გამოევლო, მეტად ბევრი ეკვნესა ობლობასა და სიმარტოეში, რომ ბედისაგან გაღიმებას სრულს თავდავიწყებამდის არ მიეყვანა. მართლადაც, წარსულის წუთების სიტკბოება მეტად ტკბილი და ძლიერი იყო, რომ არამც თუ ამ ნეტარების კარგა ხანს მომლოდინე, არამედ პირველად შემხვედრიც არ დაეტკბო, არ მოეხიბლა და შეტოკებული გული აღარ დაესვენებინა. გონებას ეხვეოდა მეტისმეტი ნათელი და ოცნება კი უხატავდა გაბრწყინებულს სურათებს; მკაცრის ყინვის შემდეგ ერთბაშად და მოულოდნელად დამყვავებელი ტკბილი სითბო ეგრძნო და ერთბაშად იმდენი სანუგეშო იმედები გაღვიძებოდა, რომ აზროვნებას, გარდა მაყვალასთან შეთამაშებისა, მასთან ბედნიერების წარმოდგენისა, აღარაფრისთვის არ ეცალა.

მართალია, ძოხევეს გახურებულს გონებაში ათასში ერთხელ ელვასავით აზრი გაურბენდა, რომ გელასთან სახუმრო ბრძოლა არ მოუნდებოდა, მაგრამ ეს ფიქრი იყო წუთისა, რომელიც ისევ ისე სწრაფად ჰქრებოდა, როგორც იბადებოდა; ამ ფიქრს სწრაფად შესცვლიდა .მაყვალასთან შეერთების იმედი, და ეს საკმარისი იყო წელში გამართულს ყოველისფერი გადავიწყებოდა, თავი მაღლად აელო და, გამხნევებულს, არამც თუ მარტოკა გელა, არამედ მთელი ქვეყანა ბრძოლად გამოეწვია. ამ წუთებში ონისე სატრფოს მფლობელადა ჰგრძნობდა თავისთავს და ეს საკმარისი იყო, რომ გულს გამარჯვების ბუკისთვის ეკრა და ლხინე გაათებული ეგრძნო; მაყვალა მისი იყო და თავს ქვეყნის მფლობელად სთვლიდა! ვინ იქნებოდა ისეთი თავხედი, რომ შესცილებოდა?!.

შეყვარებულს ასეთი ფიქრები მოსდიოდა და სიცოცხლეს ათასგვარად უფერადებდა; ყოველს საგანს ბუნებაში ფასი დასდებოდა

და ათასის მხრით, საალერსოდ, დამატკბობელად ეხატებოდა: ალერსის დროს შეყვარებული გული სატრფოს სიახლოვეს ითხოვდა, მაგრამ დღეები გადიოდა ოცნებაში და სატრფოს კი ვერსად შეხვედრიყო, ვერსად შეალერსებოდა და გაღიმებული გული მოუთმენლად გასძახოდა: „ტოლი მინდა, ტოლთან შაერთება მწადის!“

იძახდა და არ ისვენებდა: მოთმინებას თანდათან ძალა ელეოდა და მისი ძახილი მალე შეუყენებელს აღუღებულს და მჩქეფარეს წადილად გადაიქცა.

— სად ვნახო, როდისა, როგორ? — მეათასედ იმეორებდა ონისე, მაგრამ შემთხვევა არ ეძლეოდა, რომ წადილი აღსრულებოდა, რადგანაც ქალი შინ შეკეტილიყო და წყალზედაც კი აღარ გამოდიოდა.

ონისეს ვერ წარმოედგინა, რომ ქალი ერიდებოდა, და მისი უნახაობა კი მასთან შეხვედრის წადილს თანდათან უფრო უძლიერებდა.

პირველ ხანში ჯერ კიდევ მოაზრება შთააგონებდა, რომ მაყვალასთან პირდაპირ სახლში მისვლას, შეიძლებოდა, ქალის სახელისთვის ჩირქი მოეცხო, მაგრამ ამ ფიქრებსაც შეყრის წადილმა მალე დასძლია და საზრუნველად მხოლოდ მისი ნახვა შაექნა; მასთან ალერსი, სადაც უნდა და როგორც უნდა მომხდარიყო, მოთხოვნილებად გადაექცა.

— დღეს თუ ხვალ ხომ ჩემი უნდა იქნას, — იფიქრა იმან და ამას მოჰყვა შემდეგი გარდაწყვეტილება: — მაშ რაი ბედენაა, სადაც უნდა შევხვდე?

სთქვა ესა, თოფს ხელი დაავლო და აღგზნებული ატაცებულსავით გარედ გამოვარდა.

მთვარე ის-იყო მთის წვერიდგან ამოშუქებულიყო და ღრუბელს ნახევრად შეჰფარებოდა. ღამის მნათობის მოარშიყეთ, რაკი სატრფოს მიახლოვება ეგრძნოთ, მორცხვად შეწითლებულიყვნენ და მნათობისთვის გული გადაეშალათ, რომ ჩაბნელებული სახე სხივით გაეშუქებინათ; წყნარი ნიავი ნაზად მოქროდა და სიფრთხილით არხევდა მთის კაკლუცებს; სურნელებას სტაცებდა და მიდამოს ყნოსვის დამატკბობელის ჰაერით ავსებდა; მდინარე ამ ადგილს მდორეთ მოდიოდა და, გამედგრებულის ღრიალის მაგივრად, წყნარად და ტკბილად მოდუღუნებდა. ნაპირებზედ იდუმალად შემოჩქეფული ტალღები უკან იდუმალადვე მიქანავდა და წვრილის კენჭებიდგან ჩაწურული წვეთები გრძნობით აღსავსეს ჩუხჩუხით კეკლუცად ესალმებოდა.

ბუნება ონისეს მდგომარეობას უფრო ხელს უმართავდა, თით-

ქოს განგებ ამ ღამეს, ისე მოწყობილიყო, რომ გაბრძოლებულის გულისთვის წადილის გამღვიძებელი ნექტარი მეტად გაეძლიერებინა.

მოხევემ ძალზედ ამოისუნთქა და წმინდას, სურნელოვანის ჰაერის მიკარებასთან ერთად, გულმაც მეტად გაიფართხალა. მოიხადა ქუდი და შუბლი გამგრილებელს ჰაერს მიუშვირა, მაგრამ აღუღებული სისხლი მეტად შეჰხურებოდა, რომ შვება მისცემოდა და ჩქარის სიარულით, თითქმის სირბილით გელას სახლისკენ გასწია.

კარგა გვიან იყო და საწოლიდან შუქი აღარ გამოდიოდა; ეტყობოდა სოფელში ყველას დასძინებოდა და წარსულის დღის შრომის შემდეგ ყველა ტკბილს განსვენებას მისცემოდა.

ონისეს სულმა შესტაცა, გულმა ძგერა მოუხშირა და თითის წვერებზედ შემდგარი გაძაბული წინ წყნარად მიიპარებოდა. თვალწინ მას ეხატებოდა სოფლისგან გახცალკევებული სახლი გელასი, სადაც ამდენი ხნის მოუსვენრობის მიზეზი იმყოფებოდა.

აღგზნებული თვალებით, შეწითლებული ლოყებით, ხმაგაკმენდილი ონისე, ისეთის სიფრთხილით და მოწიწებით მიდიოდა ამ სახლისკენ, თითქოს უწმინდესს ადგილს გულმხურვალე მლოცველი უახლოვდებაო; ყოველი ბიჯის გადადგმა უახლოვებდა საგანს და ყოველი მიახლოვება კი სანეტარო მოლოდინით აცახცახებდა.

მოხევემ მიაღწია დერეფანს და შესდგა, რომ სული მოექცია, რადგანაც გული ისე მაგრად უცემდა, რომ ძალზედ გავლებულის ხელით ოდნავაც ვერ შაეყენებინა.

ბოლოს მიუახლოვდა სარკმელს და მოუთმენლად სარკმელში შეიხედა. ოთახში ბნელოდა და ვერა დაინახა-რა. მხოლოდ კერაში ჩახვეულს ცეცხლში, რომელიც მთლად ჩანაცრებული იყო და შუქი ფერფლს დაებნელებინა, ერთს ადგილს ნაპერწკალი ბრწყინავდა. ონისე დააკვდა სარკმელს და რაოდენსამე ხანს გაწამებული, სულგაკმენდილი და კრიჭაშეკრული უყურებდა, მაგრამ მაინც ვერა გაარჩია-რა. ბოლოს აიღო კენჭი და კერაში გადააგდო; ნაცარი გაიფანტა, ნაპერწკალები აცვივდა და ოდნავ გაშუქებულს კერის პირს გამოჩნდა ერთადერთი ლოგინი, რომელშიაც ვიღაცა იწვა და ძილი იქამდის გახშირებოდა, რომ ვერც ქვის გადაგდების ხმაურობამ გამოაღვიძა და ვერც ცეცხლიდამ აცვინულმა ნაპერწკლებმა.

ონისე მოშორდა სარკმელს, წყნარად მივიდა კარებთან და ურდულს სიფრთხილით წვალება დაუწყო. ეტყობოდა, კარებს კედა კარგადა ჰქონდა გამაგრებული, რადგანაც მთიელის მეცადინეობა ამაოდა რჩებოდა და ურდული არა მორჩილდებოდა.

ცოტა ხანმაც გაიარა ამ მეცადინეობაში და ერთბაშად ხმაურობა მოისმა, თითქოს მძიმე, მაგარი რაღაცა ჰაჰით მოკირწყლულს კარების ზღუდეს დაეცაო. აშკარა იყო, ურდულის გასამაგრებელს შუკუნაში კარების დამკეტს კედის ბოლოში ქვა ჩაეჭედა, რომ კარები ველარ გაღებულიყო და ხმაურობა ამ ქვის ჩავარდნის გამო იყო.

ამ ბრახუნზედ ოთახში მწოლი შეკრთა და შეშინებული წამოჯდა. კარგა ხანს ყურისგდების შემდეგ გაიღიმა და დამშვიდებით წამოიძახა:

— კატა ტიალამ ძილი გამიფრთხო! — გადაიწერა პირჯვარი, ისევ მიწვა და ისევ ღრმა ძილში შევიდა.

ონისემ ჩარჩოსა და კარის ფიცრის შუა ხელი შეყო და ურდულს ისევ წვალება დაუწყო. კედა შეინძრა, მიიწია უკან და კარები წყნარის ჭრიალით შაეღო.

სახლში მწოლარემ, რაკი ძილი ერთხელ დაჰკრთობოდა, ხმაურობა მაშინვე გაიგო და მიხვდა.

— ვინა ხარ? — დაიძახა შეშინებულის ხმით და საჩქაროდ საგულე გადაიცვა.

— სუ! სუ! ნუ ჰკივი! — მოესმა იმას პასუხად.

ამ ხმაზედ ქალი გაერეოლდა, რადგანაც ონისე იცნო, მაგრამ გონება მაინც არ დაეფანტა და მტკიცედ უთხრა:

— კაია-ლა ვილაცა ხარ, თავს ნუ იგდებ, ღვთის მადლმა, თორემ უნიშნოდ არ გაგიშვებ!

— სუ-ლა, სუ მაყვალაისი!.. — ნიავსავით წყნარის, თუმცა ალგზნებულის ხმით უპასუხა დაუპატიჟებელმა და მიხურულს კარს ურდული ისევ გაუმაგრა.

— ბეჩაო! ღმერთი აღარა გყავს?! — იმავე კილოთი გაიმეორა ონისემ და წყნარად კარისკენ გასწია.

იქამდის ძლიერი იყო ეს ხმა, იმოდენა ტანჯვა და მუდარა გამოითქმოდა ამ მოკლე სიტყვებში, იქამდის უბედურად, შესაწყალებლად გეჩვენებოდათ ეს კაცი, რომ ქალს გული მოულბო და ენა ჩავარდნილმა სიტყვა ველარ მოახერხა.

მოხევემ ქამარზედ ჩამოკიდებულის ჩანთიდამ ამოიღო გრძელი და წვრილი წმიდა სანთლის სანათებელი, რომელიც რგვლად იყო ერთმანერთზედ დახვეული, უპოვა თავი, გამოშალა რაოდენადმე, ცეცხლზედ აანთო და კედლიდგან გამოშვერილს ქვაზედ დადგა და გულხელდაკრეფილმა ცქერა დაუწყო ქალს.

ქალმა შეხედა, სცადა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ სწრაფად ისევ თავი დახარა და მთრთოლარეს თითებით ნაწნავის წვერებს

ძენძნა დაუწყო. ონისე მთლად გაფითრებულიყო და ისეთი სახე დასდებოდა, თითქოს მსაჯულისგან გადაწყვეტილებას მოელისო.

— ბიჭავ, რად მოხველ, რაი მოგსვლია! — ოდნავ გასაგონარის ჩურჩულით ჰკითხა ქალმა.

— რად მოველ — ეგ თავადაც კარგად იცი და რაი მომსვლია — მაგას კი გეტყვი.— ონისემ შეისვენა, მძიმედ და ხანგრძლივად ამოისუნთქა: — ის მომსვლია, რომ მაწვალებ და გზას კი აღარ მაძლევ!..

— რაი გზა მოგცე, რაი გინდა ჩემგან? — ხმის კანკალით კითხვა გაუმეორა მაყვალამ.

— დავდნი, დავილიე, ქალაუ! და გადაწყვეტილს კი არას მეუბნები... მითხარი, რას მპირებ? მითხარ, ღვთის მადლსა!

— ბიჭაუ! — თავდავიწყებით წამოიძახა ქალმა და ხელები ონისესკენ გაიშვირა, მაგრამ მაშინვე თავი შეიმაგრა და ხმა ჩაუწყდა.

— სთქვი-და, სთქვი! — მიაშურა მოხევემ და რამდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა.

ქალმა ღონე მოიკრიბა, სრულს თვითმფლობელობაში შევიდა და ხელების მიშველებით შეაყენა.

— მოიცა-და!.. რას სჩადი? — უთხრა იმან და დაუმატა: — რაისთვი მოხველი ამ შუაღამისას... რაისთვი გამიტეხე სახლი?..

— იმადა, რომ მიყორხარ! — ისეთის ხმით შესძახა ბიჭმა, რომ მის გამგონე ქვაც კი დადნებოდა.

მაყვალა შეკრთა და წნორის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო, მაგრამ მაინც უპასუხა:

— რაი ვქნა, ონისეისი!.. შენ გიყორვარ, მაგრამ!..

— მაგრამ რაი-და? — გაფითრდა ონისე და ნაკადულსავით ცივმა ჭირის ოფლმა ხვითქად გადმოჰხეთქა.

— მაგრამ ისა, რომ მე არ მიყვარხარ.

— რაი სთქვი?! — წყნარად და გაგრძელებით იკითხა კაცმა და ხმა ჩაუწყდა.

ქალის სიტყვები მთიელს თავში ზარსავით დაეცა და ფეხებამდის ზრიალით გაურბინა.

— რაი სთქვი? — გაიმეორა იმან: — მაშ ეგრე?.. არ გიყორვარ?.. მაშ რაისთვი-და მკოცნიდი, რაისთვი-და მეხვეოდი... რაისთვი-და მხიბლავდი და იმედს მაძლევდი?..

— მებრალებოდი და იმად.

— გებრალებოდი? — მწარედ ჩაიცინა ონისემ. — მაშინ გებრალებოდი, მაშინ, როდესაც გული ჩადნა, ჩაიწვა, გაბრუვდა... მაშინ

გებრალებოდი და სიბრალულით ცეცხლი ხელახლად მომიდე?.. ეგ იყო სიბრალული!.. აჰუ! მაყვალაუ!.. მავნე, მაცდური ყოფილხარ და არ დაინდობ...

— რაისთვი სჯავრობ?.. ღმერთმა და ხალხმა ცხოს მაკუთნა და უნდა დავმორჩილდე...

— სტყუი!.. ღმერთმა და ხალხმა კი არა, ძალამ გაკუთნა, და შენც დამორჩილდი... მოკვდე — ის არ გირჩევნიან? ქვის გული გქონია, ღვთის მადლმა!

ქალს გული ამოუჯდა და იგრძნო, რომ სუსტდებოდა. ჰგრძნობდა, რომ ეს კაცი მეტად უყვარდა და მასთან შაერთება ათასს უსიამოვნობას მოახვევდა თავსა და სწორედ ამისათვის ცდილობდა თავის გადაწყვეტილებისთვის არ ეღალატნა.

— კარგი, ონისეისი!.. რაიც გინდა დამარქვი, ოღონდაც წადი, მომშორდი!..

— წავალ, მაყვალაუ, წა! რაისი გეშინიან? შენი ბედია, რომ დიაცი ხარ და დიაცზედ ძალას ვერ მოვიტან!.. მაგრამ იცოდე, იცოდე, ღვთის მადლმა რომ, ჩემის გაგდებით გელასა და ჩემში, თუ ორთავეს არა, ერთერთს მაინც ჰკლავ!.. იყოს... რაიც მოგვივა, მოგვივიდეს, ჯანაბას ჩვენი თავი!.. შენ იყავ მშვიდობითა...

ამ სიტყვებით ონისე გამობრუნდა და წყნარის ნაბიჯით კარისკენ გასწია.

მაყვალა კი ერთს ადგილს მეხდაცემულსავით იდგა და განძრევაც ველარ მოეხერხებინა. აქ ქალს უნდოდა მთიელთან გაშორებით მისთვის მოსალოდნელი განსაცდელი აეცილებინა, ამ აზრით მსხვერპლად მოჰქონდა თავისი თავი, გრძნობა, მოსვენება და ათასრიგად წამებული გული და ერთბაშად დაინახა, რომ ამით განსაცდელს არამც თუ ვერ აშორებს საყვარელს კაცსა, არამედ გაბრაზებას მეტის ძალით უცხოველებს და ფათერაკს თავსა ჰხვევს.

— ონისევ! — გაქანდა ქალი, სწორედ იმ დროსა, როდესაც ონისემ ურდულს ხელი გაავლო.

ამ ერთ სიტყვაში იმდენი მდუღარე, აღშფოთებული გრძნობა გამოისმა, რომ მთიელი შეკრთა, გაერუოლდა და თავისავე უნებურად კისერი მოეღრიჯა.

— რაი-ღა გინდა? — ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა იმან: — ერთხელ მითხარ: არ მიყორხარო — და ცხელი ტყვია გულს გამოტარე... ერთი ჭრიალობა არ გინდა მაკმარო?..

ამ სიტყვებით გამობრუნდა, გადიწია მკერდი და გამწარებულმა წარმოსთქვა:

— აჰა, ნულარ შესდგები!.. მომკალ და გაათავე!

მაყვალა შესდგა, ჩაღუნა თავი და წყნარად წარმოსთქვა:
— არა, არა... შენთვის გონჯი არ მინდა... არა, ღვთის მადლმა!.. მაგრამ, წადი, წადი! — ჩაიქნია ხელი.
ონისე გამობრუნდა.
— ქალაუ! რაისთვი-ღა მაწვალებ?.. კატა რომ თაგვს დაიჭერს, მოჰკლავს, ათამაშებს, გულს მოიჯერს და გადააგდებს, და შენა? შენ კი აღარცა მკლავ და აღარც თავს მანებებ!.. ღმერთი მაინც აღარა გყავს?.. კაცი უნდა ყოფილიყავ, რომ გადამეხადა!
— ბიჭაუ! ღვთის მადლმა, სატანჯავადაც მებრალები... — ონისეს სახე გაუბრწყინდა, იმედმა გული გაუშუქა და ფართხალი დააწყებინა.
— მაშ გებრალები? — წამოიძახა იმან და სმენად გადაიქცა.
— მებრალები, მებრალები ისე, რომ თავის სიკვდილით შენი დახსნა რომ შემეძლოს — მოვიკლავდი...
— მაშ გულს რაღად-ღა მიკლავ, ცეცხლს რაღად მიდებ?!
— გასათხოვარი რომ ვყოფილიყავ, ცამც დამტეხოდა, თუ შენს მეტი ქმარი მესურვა, თუ გულში ცხო კაცის სახე ჩამესვენა... მაგრამ ეხლა რაი გიყო?.. ქმრიანი ვარ და თემს ყბად ვერ ავვლებინები... წადი, ონისეისი... იცხოვრე, იცხოვრე მშვიდობიანად... ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ... რაი გიჭირს, ბედნიერო... ვინ გეტყვის უარსა?.. მთა სავსეა ყვავილებით და მოწყვიტე, რაც მოგეწონოს... იყავ მშვიდობიანად, ბედნიერად და შენის ბედნიერებით მეც მომასვენე.
— მაშ მაგად მომაბრუნე? — ჩაახველა მთიელმა და დაცინვით დაუმატა: — ქალაუ! იმისი თუ არ გეშინიან, რომ ქმარს მოგიკლავ?
— იმისი მეშინიან, რომ შენ არ მოგკლან! — გაიშვირა ქალმა იმისკენ ხელები.
— მაშ წავიდეთ, გავიქცეთ! — აღგზნებულის ხმით წამოიძახა ონისემ.
— ნუ, ონისეისი, მაგას ნუ გამაგონებ!... მანდილს ვერ მოვიხდი.
— გველო, დაშხამულო გველო! — ხელის კვრით მოიშორა ქალი: — ნეტავ შემეძლოს, თავი გაგისრისო!
ამ სიტყვებით ონისემ ხელი ხანჯალს გაიკრა და სახეში აირია; ყელში ხრიალი დაიწყო და თვალებიდამ ნაწინწკლები გადმოსცვივდა, პირისახეზე ალმური აედინა. მაგრამ ეს იყო წუთის თავდავიწყება, რადგანაც წუთის შემდეგ ის მისწვდა თავის ყელს, ხელები ძალზედ წაიჭირა და რაოდენსამე ხანს ასე გაწამდა.
— არა, შენ არა, შენ არა... — ბოლოს მწარედ წარმოსთქვა იმან: — შენი რა ბრალია! ბედმა ცხოს მისცა შენი თავი და მეც

იმას მოვეკვლევინები. მშვიდობით, მაყვალავ! შენ მაინც იყავ ბედნიერი.

ამ სიტყვებით მწარედ მოივლო მკერდს ხელი და მთვრალსავით ბარბაცით გარეთ გამოვარდა.

მაყვალა ონისეს სიტყვებმა შეაშინა, ძალა მოუსპო და მუხლებზედ დასცა. კარგა ხანი მოუნდა, სანამ გონს მოვიდოდა. როდესაც ზეზე წამოდგა, მოისვა თვალებზედ ხელი, წყნარად მიიხედ-მოიხედა, — ოთახი დაცარიელებული იყო და ოდნავ მბჟუტავს წმინდა სანთელს ღამის წყვდიადი სუდარასავით გარს ეხვეოდა.

## VII

გაიარა, დღემ, მაგრამ მაყვალა წარსულის შემთხვევით ისევ ისე გაბრუებაში იყო, გონება ვერ მოეკრიფა. არ ესმოდა, რას ელოდა, რას იდგა და რა უნდოდა. ერთს დილით ის წამოდგა და განსაკუთრებითი სიმძიმე იგრძნო. სული ეხუთებოდა, გული მოუსვენრად ტოკავდა და თვით ფიქრიც კი შეგუბებოდა და მოძრაობა აღარა ჰქონდა. გული უცემდა წყნარად და ძალა-მოკლებულად; ძარღვები მოსდუნებოდა და თითქოს მოძრაობის თვისება დაეკარგა; თვალებში სიცოცხლე აღარ ეტყობოდა და დახრილი უსაგნოდ მიწას მისჩერებოდა. გაცრეცილი, სიცოცხლეს მოკლებული, გახევებული იდგა. ერთს ალაგს და ქვისგან გამოჭრილს უსულო საგანს დამსგავსებოდა. მხოლოდ ათასში ერთხელ შეცივების ჟრიამულს გრძნობდა და ოდნავ გათრთოლდებოდა ხოლმე.

ერთბაშად ყურებში რაღაცამ ხმაურობა დაუწყო, თითქოს მდინარის მოძრაობის ხუილი არისო და გონება თითქოს გაუნათლა, აშკარად იგრძნო, რომ გულიდგან რაღაცა მწარე და უსიამოვნო, დაიძრა, რომელსაც თანდათან სითბოება და მოძრაობა ემატებოდა; მის მოძრაობასთან ერთად მოგონებანი უცხოველდებოდა და გულს გრძნობიერება უბრუნდებოდა. ქალმა ერთბაშად ძალზედ ამოისუნთქა, შეკრთა და დაბლა დაშვებული თვალები მაღლა აიღო, კიდევ წუთი ასეთის გაშტერებისა და ერთბაშად შეჰკივლა:

— მაშ დავიღუპე?!. არა, ღვთის მადლმა, არა, მე მოვკვდები და ონისე კი იცოცხლებს!

ამ სიტყვებზედ გიჟსავით გამოვარდა გარეთ და გარბოდა იქითკენ, საითკენაც ონისეს წასვლა ეგულებოდა.

ქალი მიისწრაფოდა შეუყენებლივ, აღშფოთებული და სახეზედ ალმური გადასდიოდა. თავს შალი გადავარდნოდა და გაშლილი თმები ქარს გაეწეწა.

ხანდისხან ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გადაუბმელად წამოიძახებდა: „ონისე თავს შეაკლავს... ონისე მოკვდება... მე რაღად მინდა სიცოცხლე?!“ და ისე რიგად ამოიკვნესებდა ხოლმე, რომ კაცი იტყოდა: გული თან ამოაყოლაო!

რამდენადაც მაყვალა დღემდის ცდილიყო, რომ გულწრფელი სიყვარულის გრძნობა შაეყენებინა, რამდენიც მეტი და სასტიკი მოთმინება დაეხვედრებინა გულის მოძრაობისთვის, იმდენად მეტის ძალით გაბრძოლებულიყო მის დაუკითხავად აღძრული გრძნობა. ყოველი მეცადინეობა მაყვალასი, ყოველი მოაზრება, რომელსაც გრძნობის მოძრაობას წინ უყენებდა, გადმოხეთქა გაშმაგებულმა წადილმა და თან წარიტაცა ქალის ნება.

მაყვალას რამდენსამე დღის წინად შაეძლო კიდევ სატრფო, საყვარელი კაცი გაებრუნებინა, შაეძლო დაერწმუნებინა, რომ არ უყვარდა, მოეხერხებინა პირდაპირ ეყურებინა იმის ტანჯვისა და ტკივილისთვის და, თუმცა ეს ყველა ქალისთვის მეტად მძიმე სატანჯავი, მეტად ძნელი ასატანი იყო, მაგრამ ბრძოლიდგან მაინც გამარჯვებული გამოსულიყო. ეხლა, როდესაც ონისეს მოშორდა, როდესაც სატრფოსთან განშორების სიმწვავე იგრძნო — გაქვავებული გული მოულბა, გონება დამორჩილდა გრძნობას და სულმა იმისკენ გაიბრძოლა, რომელიც ქალის არსებობის უმთავრესს საგანს შეადგენდა.

ეხლა მაყვალა მთლად გრძნობას დამონებოდა, ეხლა მზად იყო ყველასთვის პირდაპირ, უშიშრად ეთქვა: „მე ვეძებ ონისეს, მასთან შაერთებისა არა მრცხვენის, ამიტომ რომ მიყვარს, ნამუსზედაც კი მეტად მიყვარს!“

მაყვალა მზად იყო მთელი თავისი სიცოცხლე მიეცა, ოღონდაც კი ეს კაცი დაენახა, ჩაეხვია ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოესწრო ეთქვა: „ჩემო ყველავ!“ და მერე თუნდა სული დაელია.

იქამდის ძლიერად გაშმაგებულიყო ეს ქალი, იქამდის შაეპყრო წადილს, რომ სრულს თავდავიწყებას მისცემოდა და სწორედ ამისთვის ვერ შეამჩნია ვიღაცა მწყემსი, რომელიც იმისკენ მოდიოდა.

უცნობი უყურებდა დედაკაცს, რომელსაც თმა გასწეწოდა, სახე შეშლოდა და გიჟს დამსგავსებოდა.

— აბაი-მე! — დაიძახა მწყემსმა: — რაი მოსულია? ბეჩავი, გაგიჟებულა თუ! — წარმოსთქვა შენანებით და დაუმატა: — მაი, დაიჭერ, თორემ კლდეზედ საღმე გადავარდების და ცოდო-ბრალში გამხვევს.

ამ სიტყვებთან ერთად უცნობი კაცი მივიდა ქვასთან, ამოეფა-

რა, რომ დედაკაცს ვერ დაენახა და უფრო გულდანდობილად ხელში ჩავარდნოდა.

თავის საფრიდგან უყურებდა გაკვირვებული მეცხვარე მომავალს ქალსა, რომელიც მისკენ მოისწრაფებოდა.

ერთბაშად მწყემსი შეკრთა და წამოზეზევდა. სახეზედ აშკარად გაკვირვება დაეტყო.

— აუ!... მაყვალაუ არაა?... ისაა, ღთის მადლმა! — ცოტა სიჩუმის შემდეგ წამოიძახა კაცმა და დაუმატა: — რაი მოსვლია?

მწყემსს ფერი ეცვალა, გაფითრდა და იქამდის დაიფანტა, რომ თავის განზრახვა სრულიად გადაავიწყდა. გამოვიდა პირდაპირ და ქალისკენ გასწია.

— მაყვალაუ, მაყვალაუ! რაი მოგსვლია, ბეჩაო! — შორიდგანვე შესძახა კაცმა.

მაგრამ ქალი მეტად გართული იყო თავის საკუთარის ფიქრით, რომ ან ამ კაცის სიტყვები გაეგონა, ან თითონ ის შაემჩნია და ამისთვის პასუხმიუცემლად გასცდა.

მწყემსი რამდენჯერმე გადახტა, წაავლო ქარისაგან გაფრიალებულს საგულეში ხელი და დასჭყივლა:

— ქალაუ! რაი მოგსვლია?

მაყვალა შეკრთა, შეკივლა და შესდგა. მიიხედ-მოიხედა ამღვრეულის თვალებით და ერთბაშად კაცს მოეხვია.

— ბეჟიაუ, ბეჟიაუ! მითხარ, ღვთის მადლსა, რაი იქნა? — კაცმა არ იცოდა, რასა ჰკითხავდა.

— ვინა?

— ისა, ისა... აქეთ წამოვიდა... შენა ნახამდი... მითხარ, აგრემც შეგეწევა ღმთისა!.. — აჩქარებით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნებოდა ქალი და მის სიტყვებში მთელი მუდარა გამოითქმოდა.

— აუ, რას სჩადი! გამაგებინე სწორედ, ვისა კითხულობ და გეტყვი! — შეუტია კაცმა.

— ონისეს, ბიჭაუ, ონისეს!.. აქეთ წამოვიდა.

— თქვენს ნამგალასა?

— ჰო, ჰო, ბეჟიაისი!.. მითხარი, რა იქნა?

— ვნახე. — უთხრა კაცმა და კიდევ გაკვირვებით შეხედა, რადგანაც ქალისაგან უცხო კაცზედ ამგვარი კითხვა მთიელს ეუცხოვა.

— რაი იქნა, რა?

— ცხორში მიდიოდა. ეგეთი ლხინობდა, ღვთის მადლმა, რომ გეგონებოდა ქორწილიდგან მოდისო.

ქალი შეკრთა, გაფითრდა და ერთბაშად გაჩუმდა, თითქოს ცივი წყალი შეასხესო.

— ლხისობდა? — რაოდენიმე სიჩუმის შემდეგ წყნარად, მაგრამ გულტკივნეულად, იკითხა ქალმა.

— ჰო, ლხინობდა... რაისთვი არ ილხინებდა?.. ცოლს ირთავს.

— ცოლს ირთავს? — კიდევ აჩქარდა ქალი.

— ირთავს.

მაყვალა ისევ გაჩუმდა და ფერმა თამაში დაუწყო. რამდენსამე ხანს ხმა ველარ ამოელო და ისე გაყუჩებული იდგა, რომ სრულიად დამშვიდებული გეჩვენებოდათ. ბოლოს ერთბაშად თვალები აღეგზნო, სახეზედ გაბრაზება დაეტყო და სიანჩხლით წამოიძახა:

— სტყუი, სტყუი! ღვთის მადლმა.

კაცი არ მოელოდა ასეთს პასუხს და დაიფანტა.

— ბეჩაუ! რას ჯავრობ?.. არ ვსტყუი, აგრემც შემეწევა პირიმზე.

— აბა ვინ გითხრა, ვინა? — ჯერ კიდევ ვერ შაეკავებინა ქალს თავი.

— თავადა... ეგეთი ლამაზიაო, რო ციდგან ვარსკვლავს ჩამოიყვანსო...

ქალს სიტყვა გაუწყდა, პირი გაუშრა და ფერი სრულიად წაუვიდა.

— თავად გითხრა? — წყნარად წარმოსთქვა იმან და მხოლოდ მაშინ მოაგონდა თავშალი გაესწორებინა.

— თავად მითხრა... რაი იყო?

— არც-რა! — მაყვალამ სრულიად შეიმაგრა თავი და თავშალი კიდევ გაისწორა; შემდეგ ისე რიგად გაბრუნდა, რომ მარგალიტად გადმოკიდებული ორი ცრემლი მოსაუბრისგან დაემალა.

— უფალმა ხელი მოუმართოს... რაისთვი ან აქამდე არ შეირთო?.. სარჩო კარგი აქვს და ქონება. — დაუმატა ქალმა წყნარად და დამშვიდებით, მაგრამ ხმაში მაინც მწარე ნაღველი დაეტყო და შინისკენ გამობრუნდა.

ბეჟია დაედევნა უკან და ჯერ კიდევ ვერ აეხსნა ნახულის მიზეზები.

— მაყვალაუ! — ერთბაშად გაწყვიტა სიჩუმე მწყემსმა.

— რაი გინდა? — უპასუხა ქალმა და ხმაში უკმაყოფილება დაეტყო.

იმ წუთში სიცოცხლეს მისცემდა, ოღონდაც მარტო დარჩენილიყო, რომ შეგუბებულის ნაღველისთვის გზა მიეცა და ტირილით გული მოეჯერებინა. იმას კი ბეჟია მოსდევდა და, როგორც ეტყობოდა, ლაპარაკსაც აპირებდა. ქალს უნდოდა ეს კაცი თავიდგან როგორმე მოეშორებინა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა, რადგანაც ბეჟია იმათი მწყემსი იყო და ცხვარს უსაქმოდ არ მოშორდებოდა.

— ღვთის მადლსა, მითხარი: წელან რაი მოგსლოდა?

— რაი მომსლოდა?! — შეუტია მაყვალამ და მწყემსს ხმა ჩააწყვეტინა.

— არა, ეგრე გკითხე. — ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა იმან.

— რაში გეკითხების, რაი მომსვლია? — უთხრა ქალმა და სიტყვა გადააბრუნა: — ცხვრიდგან რაისთვი მოსულხარ.

— ჯერი აღარ გვაქვს, მწყემსები მშივრები ვიხოცებით.

— რაისთვი არ ჩამოხვედით, ვისი ბრალია?

— აბა რაი ვიცი? სარქალმა სთქვა, რომ თავად ამოგვიტანენო და წველასაც ველარავინ მოვცდით.

— აბა საით ამოგიტანდით? სახლში ჩემს მეტი არვინაა და ცხენი კი მთაშია გაშვებული... დაფქულიც აღარა გვაქვს, რაი უნდა გიყოთ?.. — მზრუნველობით დაუმატა ქალმა.

— არ ვიცი და პური აღარა გვაქვს.

— სულ აღარა გაქვსთ?

— ეგაი! — გადუღო ხელი ბექიამ და დაუმატა: — ნამცეცაიც აღარა გვაქვს.

— მაშ ეხლავე წადი მთაჩიგა და ცხენი ჩამოიყვანე; მეც ამაღამ წისქვილს მინდს აუგებ და ხვალ კი პურს გამოვაცხობ.

— აგრე, — მოკლედ უპასუხა ბიჭმა და მაშინვე გაბრუნდა.

— მოიცა, შინ ჩამოდი, პური შეჭამე, დაისვენე და ისე წადი.

— არ მშიან.

— რაისთვი არა, რაისთვი? — შაებრალა მაყვალას, როდესაც წელანდელი მკაცრობა მოაგონდა და დაყვავებით შენანება უნდოდა.

— ეხლა ვჭამე.

— მთიდამ მამლის ყივილამდის ვერ ჩამოხვალ და მშიერი მოკვდები, თან მაინც წაიღე!.. წისქვილში მინდის გატანასაც მოშველი.

მწყემსი დასთანხმდა და ორნივ, ცოტა სიარულის შემდეგ, შინ მივიდნენ. თუმცა მაყვალასთვის მეტისმეტად ძნელი იყო იმ წუთებში არამც თუ მუშაობა, არამედ ხელის განძრევაც კი, მაგრამ მთიელი ქალები აღზრდამ შეაჩვია — უპირატესი ყურადღება სავალდებულო საქმისთვის მიექცია და ამისთვის დაწყვეტილის გულით მოუდგა სრავალის კეთებას.

ყოველი მოძრაობა, ხელის ყოველი აღება, ტაბაკის ყოველი აქნევა აბრაზებდა, აანჩხლებდა და გულში მწვავად გაისმოდა, მაგრამ მისი ხელი არ შემდგარა და ტომარა ჩქარად ივსებოდა გადატაბაკებულის სიმინდით.

საღამოსთვის მინდი მზად იყო; ბექიას შემწეობით ქალმა მძიმე

ტვირთი ზურგზედ წამოიკიდა და გასწია პატარა წისქვილისკენ, რომელიც იქავ სოფლის მახლობლად იყო აშენებული.

მწყემსიც გამოემშვიდობა და მიმართა იმ მთას, სადაც ცხენებს საზაფხულო საძოვარი ჰქონდათ. ღამე თანდათან ახლოვდებოდა და მიწას ბნელს სუდარაში ხვევდა. ქვემოდ ხეობიდგან მზის შუქის ჩაქრობით გახარებული ნისლი წყნარად მოიპარებოდა, თითქოს საგულოს უმოწმოდ ხილვას ლამობდა; ყელმოღერებული გოლიათნი იდუმალებით სავსე სიჩუმეში ნეტარებას მოელოდნენ.

ამ ხნის განმავლობაში ონისეს მდგომარეობაც უკეთესი არ იყო: განშორდა მაყვალას დარწმუნებული, რომ გულიდამ ამოიგლეჯდა ამ ქალის სახეს და, თუ ამას ვერ მოახერხებდა, სიკვდილით მაინც მოიშორებდა ვარამს.

ასეთის რწმუნებით გამოვიდა ონისე და რაკი ეს გარდაწყვეტილება მიიღო, თითქმის რამოდენადმე დამშვიდდა.

ონისეს ეგონა, რომ ყველაფერი გათავდა და უკვირდა, ასე ადვილად დაძლევა თავის გულისა, — მაყვალას მომხიბლავის თვალების გადავიწყება. მცირე ხანში აღმოჩნდა, რომ ეს მდგომარეობა იყო ძალდატანებითი გრძნობის შეჩერება, რომელსაც მცირედი შემთხვევა უნდოდა, რომ სისხლი ისევ ასდუღებოდა და შეერთების წადილს შეუყენებლად გაებრძოლა.

ერთხელ ის იჯდა მწყემსებში და ვახშამსა სჭამდა. ყველანი ჩვეულებისამებრ ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ და მხიარულობდნენ. ონისე, თუმცა ლაპარაკში მონაწილეობას არ იღებდა, მაინც იმათ არა შორდებოდა და გაჩუმებული ყურს უგდებდა.

ერთბაშად მოისმა ფანდურის ხმა და ყველანი გაჩუმდნენ. მეფანდურემ ჩაჰკრა, ჩაჰკრა ძალებს, რამდენჯერმე ჩააკვნესა ფანდური და მგლოვიარის გულის დამღონებელად ლექსი დასძახა.

ის ამბობდა გრძნობით, ხერხიანად და ძლიერს აღგილებზედ ხმას ხან მედგრად ატრიალებდა, ხან შეწყვეტამდის ასუსტებდა, როგორღაც გულში ჩაბრუნებულს რამოდენსამე ხანს აკანკალებდა.

შინაარსი ლექსისა იყო შემდეგი: „ერთი მონადირე მთაში ჯიხვებზედ სანადიროდ წასულიყო, ერთს ფიწალოზედ გადმოვარდნილიყო და კლდეზედ ბანდულის საბანდით ჩამოჰკიდებოდა. მონადირე თავის ძაღლსა სთხოვს, რომ სოფელში წავიდეს და საკუთრივ, მარტოდმარტო იმის საყვარელს შეატყობინოს მონადირის გაჭირვება. ძაღლი საყვარელს არ ენდობა, თუმცა პატრონის სიტყვას მაინც ატყობინებს და იმ ქალის გარედ მონადირის დედასთანაც მიირბენს.

„საყვარელი ქალი თავის სატრფოზედ ამბობს: „თვალიმც დაუდგება, თუ მთაში სიარული არ იცოდა, რაისთვი მიდიოდა?“ დე-

და კი ხმაამოუღებლივ ლოგინს წამოიკიდებს და გაფითრებული, მფეთქავის გულით შვილისკენ გაქანდება.

„შეიტყობს სოფელიც და მდევარი მიდის; მათ შორის გაჭირვებაში მყოფის საყორელიც მოსჩანს. მას გვერდით მისდევს კოხტა ბიჭი, რომელიც იგრიხება და იპრანჭება. ქალი ხშირად გახედავს ხოლმე და თვალს ჩაუკრენტს. ბოლოს ყველა მიაღწევს იმ ალაგს, სადაც კაცის გულის შემზარებელი სანახავი იყო. ფრიალო კლდეზედ კაცი თავქვე გადმოკიდებული იყო. გამოშვერილს ჭაჭზე საბანდი მოსდებოდა და ის-ღა იმაგრებდა; წუთით წუთს ყველა მოელოდა, რომ საბანდი გაწყდებოდა და კაცი სულით ხორცამდის დაიკარგებოდა. დედას მდუღარება გადმოსდის, მკვდარს დამსგავსებია, სული ამოსვლას ლამობს. რბილად უშლის საგებელს და იმედობს, რომ თავის ერთადერთს ნუგეშს ამითი მაინც გადაარჩენს. მოვარდება ყმაწვილი ქალი, რომელიც გაჭირვებაში მყოფს უყვარს, გაუშლის მერდინს და შესძახებს:

— „დიაცო, არ გრცხვენის შიშისა?! გაინძერ, საბანდი გაწყდება და მერდინით დაგიჭერ“. მონადირეს საყვარელი რწმუნებას აძლევს, ენდობა ქალის სიტყვასა, შეინძრევა და, გადმოვარდნილი, ტვინგანთხეული, მიწას გაეცხობა. გამოსალმებასთან ერთად დედას სული ამოხდება და ყმაწვილს ქალს კი ქედზედ კოხტა ბიჭთან ხელიხელს გადახვეულს დაინახვენ“.

ჩაჰკრა უკანასკნელად მეფანდურემ სიმები, ამოიოხრა და დაიძახა:

— თქვენი გამარჯვებისა იყოს!

ყველას სული გაეკმინდა, განაბულიყო და მხოლოდ ფანდურის შეწყვეტასთან ერთად თავისუფლად ამოსუნთქვა ძლივს მოახერხეს.

— დედისთანა ტყუილია, ღვთის მადლმა! — დაიძახა ვიღამაც, სხვებმაც კვერი დაუკრეს და ლაპარაკი გახურდა.

მხოლოდ ონისე იჯდა ისევ ისე გაუნძრევლად და სახე მწარედ შეჭმუხნოდა. ეტყობოდა, მის გულში ამ ლექსებს საკმაო ნაღველი მოეგროვებინა და სავაგლახო დუმილით მოეცვა.

კარგა ხანი იჯდა ისე გაჩუმებული, ხმაამოუღებლად. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ ონისე არ გაინძრა.

— მაშ უღალატა? — ბოლოს მწარის ოხვრით წარმოსთქვა და დაუმატა: — იქნება მეცა მღალატობს და სხვა შეუყვარდა?.. რაისთვი, რადა? განა ჩემსავით სიყვარული შეუძლიან ვისმე?! არა, არა, ღვთის მადლმა! — გულის გასაგმირად წარმოსთქვა და აღგზნებულმა ცეცხლმა ორი, მაგრამ მეტად ცხარე, ცრემლი თვალთაგან გადმოსწურა.

ონისემ გააპარა ხელი, გაავლო თოფსა, წყნარად წამოდგა და იმ წუთიდგან ბინაში აღარ მოსულა.

ათასში ერთხელ, ველად გავარდნილს ნადირსავით, თვალს თუ მოჰკრავდა ვინმე, თორემ სალაპარაკოდ ხომ ველარავინ დაუახლოვდებოდა.

## VIII

ონისე, სრულიად გაგარეულებული, მთებში დადიოდა და ძე ხორციელს აღარ ეკარებოდა. ყოველი მისი ფიქრი, ყოველი სურათი დაბადებული აღელვებულის ოცნებისგან, ყოველი ამოსუნთქვა მაყვალას შაეხებოდა და იქამდის ტკბილი იყო, რომ გარეშე პირის მიკარება ცოდვად მიაჩნდა.

მთელი სიცოცხლე მოხევისა ამ ქალზედ ფიქრად გადაქცეულიყო და, როგორც ძუნწს ეშინიან, რომ მის სიმდიდრეს სხვა პირი არ მიეკაროს, ისე ონისეც განზე გასულიყო და მარტოდმარტო ხსნიდა გრძნობის კიდობანს, მარტოდმარტო, უმოწმოდ იხედებოდა შიგა.

ყოველთვის, როდესაც კი მოუვლიდა ჟინი მაყვალას დასაკუთრების, ხან გამედგრებულის მრისხანებით, ხან ნიავსავით ნაზის დაყვავებით შაეხებოდა სატრფოს; გადაჯდებოდა რომელსამე ქედობაზედ და შორს მანძილზედ გამოჩენილს მიდამოს, ხან განრისხებულის, ხან წყნარის და ედემის სიამოვნება მოდებულის სახით დიდ ხანს გასცქეროდა, გასცქეროდა ისე, რომ კაცი იტყოდა: „შორს გამოხატულის სურათების შესწავლაში არისო, ცდილობს მეტის დაკვირვებით უკლებლად შთაიბეჭდოს ყოველი მათი ხვეული, ყოველი მათი ხაზიო“. მაგრამ ონისე იმ დროს სინამდვილეს ვერა ხედავდა, მისი გონება შორს, შორს გაფრენილიყო და თვალწინ მხოლოდ მაყვალას სახე, — ხან გულკეთილს ანგელოზად, ხან გამედგრებულს, უწყალოს მაცდურად — ეჩვენებოდა.

ზევრჯელ შეხვდებოდა ხოლმე ისეთი წუთები, როდესაც ოცნება სასყიდელ მოულოდნელად უანგარო კეკლუცს წარმოუდგენდა; წარმოუდგენდა კეკლუცს ქმნილებას, რომელიც გაღიმებულ გულს ხოლოდ ციურის სიტკბოებისათვის-ღა მომართავდა. იმ წუთებში ონისე იყო ბედნიერი, სტკბებოდა ამ სანახავით და აღარ ეცალა სხვა რომელსამე მოაზრებას მისცემოდა; მის არსებაში სხვა გრძნობისთვის ადგილი აღარა რჩებოდა; მაგრამ, რამდენადაც წარმოუთქმელს ბედნიერებას ამ მდგომარეობაში პოულობდა, იმდენად მეტის ძლიერებით გულს გალახვრავდა ოცნებაში გონების ჩარევა.

მისთვისვე გამოურკვევლად მეტისმეტად ძლიერი შთაბეჭდილე-

ბა მოეხდინა მწყემსის სიმღერას და ამ დღიდგან ხშირად თავში გაურბენდა ფიქრი: „იქნება ქმარსაცა ღალატობს და მეცა?!“

რაკი ამ საგანს შაეხებოდა, ეს ფიქრი იქამდის მძიმეს ლოდათ დააწვებოდა მთელს მის არსებას, რომ ვეღარ უშლებდა და მოღუნული, მთლად გასრესილი ბეჩავად, ღონე მოკლებულად გამოიხედებოდა; თითქოს გველი შემოხვევიაო, იდუმალი ძალა ისე ღრღნიდა, გულს უხოკდა და სისხლსა სწოვდა.

თუმცა ამგვარს, ძნელად ასატანელს და გასაძლებს ბრძოლაში იყო, მაგრამ უბედურებას ჯერ კიდევ ვერ დაემორჩილებინა და წუთის დასუსტების შემდეგ ამაყად თავაღებული წამოდგებოდა, გაიძართებოდა წელში და მედგრად წარმოსთქვამდა: „მაყვალა მიყვარს და ჩემი უნდა იქმნას!“ და ამ სიტყვებში სჩანდა წარმოუთქმელი ძალა, ძალა შეუყენებელი და შეუდრკენელი.

აშკარა იყო, რომ მის გრძნობას გაბრძოლების დროს წინ ვერაფერი გადუდგებოდა, ვერავითარი მოაზრება ვერ შეაყენებდა და მის მოსპობას მხოლოდ ყველაფრის მომსპობელი სიკვდილი-ღა შესძლებდა.

ერთს დღეს ონისეს გული მეტისმეტად ჩაჰბუროდა, ჩაბნელებოდა და ციევს, ვიწრო სამარეღ გადაჰქცეოდა; ისეც ოდნავ ის ფეთქით კვნესის გამომთქმელს, თითქოს გარს რკინის თაღი შემოსჭირებოდა და თანდათან ჭახრაკის მობრუნებით კვნესის ნებასაც აღარ აძლევდა. უგუნებოდ შექმნილს გონება ერეოდა, თვალთ უბნელდებოდა და სიცხისაგან გამშრალი პირი უნაღვევლდებოდა. განუწყვეტელმა წადილმა მოქანცა, დაასუსტა და მოთმინება გაუწყვიტა. მისუსტებულ სხეულს მოსვენება დასჭირდა, თვალს ლული მოერია და თავისავე უნებურად მოეხუჭა. ის მიეცა რაღაცა უანგარიშობას, როდესაც ცნობიერებამ ძალა დაკარგა და რაღაცაგვარს გამოურკვევლობაში ჩავარდა. მას, მართალია, თვალები მოეხუჭა, მოსვენება ეჭირვებოდა და ტკბილი განცხრომა რაოდენსამე შვებას მისცემდა, ძილი თუმცა თავს დასტრიალებდა, გარს ეხვეოდა, მაგრამ სრულიად ვერ დაემორჩილებინა. ის იყო გამოურკვევს ბურანში და ვერც გაეღვიძა. ვერც ძილისათვის მიეცა თავი. ამ მდგომარეობაშიაც უგუნებლობა და უცნაური თავის მოსაბეზრებელი მდგომარეობა არა შორდებოდა. კარგა ხანმა გაიარა ასეთს გამოურკვევლობაში, როდესაც ბუნებამ თავისი მოითხოვა. მთიელმა იგრძნო ოდნავ გულზე რევასთან ერთად მცირედი თავბრუს ხვევა და ჯერ ჭამოსადგომად წამოიწივა, მაგრამ მაშინვე ისევ დაეცა, გადმოიშხლართა და ძილმა ძლივს დასძლია.

ონისეს დაეძინა იმ ტკბილის ძილით, რომელიც შეუძლიან გა-

მოსცადოს ძლიერს, სხეულით კარგადმყოფს, მაგრამ ისეთს კაცსა, რომელიც მოქანცულა და მის ბუნებას დაკარგულის ძალის აღსადგენად მოსვენება მოუთხოვნია.

დილიდგან დაძინებულს მოხევეს მზის გადახრამდის ისე ეძინა, რომ ერთის გვერდიდგან მეორეზედ არ გადაბრუნებულა, ხელი არ გაუქნევია. მხოლოდ პირისახეზედ ხანდისხან მჭმუნვარება დაეტყობოდა ხოლმე, შუბლი ნაოჭად შეეკროდა და მწარედ ამოკვნესასთან ერთად, ტუჩები მოძრაობაში მოჰყვანდა. ეტყობოდა, რომ სიფხიზლის დროს აღძრული სურათები გონებაში მტკიცედ ჩასჭედოდა და ძილშიაც აღარა შორდებოდა.

რამდენიც ხანი გადიოდა, პირისახე წყნარ-წყნარად უმშვიდდებოდა, შუბლის ნაოჭი ეშლებოდა და ქშენა უწყნარდებოდა, თანასწორი უხდებოდა. წუთიც და სახეზედ სიამოვნების ბეჭედმა შეუთამაშა; ტუჩებმა ოდნავ გაუღიმა და გულაღმა ამობრუნებულმა მარჯვენა მკლავი თავქვეშ ამოიდო. მთიელმა კიდევ გაიღიმა, სახე მთლად გაუბრწყინდა და გულით გადიხარხარა. ეტყობოდა, რომ მის ჩაბნელებულს გულს ნათელი სხივი ჩაშუქებოდა და წყვდიადით სავსე, სევდიანი უფსკრული ნათლად გაეშუქებინა. მეტისმეტი სიტკბოება დაეტყო ონისეს სახეზედ, მაგრამ ეტყობოდა, რომ ნაგრძნობი მეტად ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მან ძილი შეუკრთო და თვალი გაახილებინა. ონისეს სახე ჯერ კიდევ უღიმოდა და აშკარადა სჩანდა, რომ სიზმრისგან აღძრული სიტკბოება ჯერ არ განქრობოდა; თვალების ახილებით აღძრული ნეტარება არ უნდოდა გაეწყვიტა; ასე დარჩა რაოდენსამე ხანს, მაგრამ მალე თვალები გახილა, საჩქაროდ ფეხზედ წამოდგა და შუბლზედ ხელის გადასმით, უკმაყოფილოდ წამოიძახა:

— ტიალი! აღარ დამეძინა.

შემდეგ ამოიოხრა წყნარად და იქავ ახლოს ჩამომდინარს ანკარა წყაროსთან პირის დასაბანად და გახურებულის შუბლის გასაგრილებლად მივიდა.

როდესაც ცივი წყალი საკმაოდ ისხა თავზედ და სახეზედ, საკმაოდ გაგრილდა, ჩოხის კალთით შეიმშრალა პირი, რამდენჯერმე გადაისვა სველს თავზედ ხელი, მივიდა მთიდგან ჩამოგორებულს ქვასთან და ჩამოჯდა.

რამდენსამე ხანს, მოწყენილი, რაღაცა ფიქრებს ეძლეოდა და თავისათვის ჩუმად ლაპარაკობდა; ბოლოს წყნარად, სევდიანად შემღერა:

მთაო! გადმიშვი, მაღალო,
რას ნისლი მოგიხვევია?

შენს იქით ჩემი საგულო
ცხოს ვისმე ჩაუხვევია!..

წარმოსთქვა ეს და უკანასკნელს სიტყვებთან ერთად თვალები ცეცხლად აენთო.

— ცხოს ვისმე?! — ერთბაშად წამოიძახა იმან და წამოვარდა. სახეს ალმური ავარდა, შუბლი შაეჭმუხნა და წუთს წინედ სასიამოვნო, დამშვიდებული სახე გამეხებულს ელვას დაემსგავსა.

— არა, ღვთის მადლმა, მაყვალაუ! თუ მე არა, ცხოსაც ვერ ერგები!... მე ცხოზედ მეტად მიყვარხარ და საუკუნოდ ჩემი ხარ.

როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა:
ერთხელ სჯობია სიკვდილი,
სულ მუდამ დაღონებასა!

— სჯობიან, სჯობიან, ღვთის მადლმა! — წამოიძახა იმან და თავქვე დაეშვა.

ის მიდიოდა გაჩქარებული, მგლურად და პირზედ ხვირთქლი გადასდიოდა. სახეზედ დასტყობოდა, რომ რაღაცა განზრახვა გადაწყვეტილებად გადაჰქცეოდა და მისი გაჩერება, წინ გადაღგომა ვეღარავის შაეძლო.

ის-იყო ცხვირ-წამოწვდილს კლდეს მიაღწია, სწორედ იმ ადგილს, სადაც სარტყლად შემოჰხვეოდა და კაცის თვალისთვის იფარებოდა, როდესაც მეორე მხრიდგან მომავალი კაცი წინ შემოეფეთა.

— ონისეს გამარჯვება! — შესძახა კაცმა და გაკვირვებით შეხედა, რადგანაც ონისეს პირისახეს არეულობა შეატყო.

— ბექიაუ, შენა? — შესდგა ონისეც და მიესალმა მგზავრსა, თუმცა გულში კი ათასგვარად სწყევლიდა ასე უდროოდ შეფერხებისათვის.

— საით გამგზავრებულხარ? — ჰკითხა ცნობისმოყვარულმა ბექიამ.

— არსად, მომწყინდა რასმე და ნადირობ წამოვედ.

— ოჰო! — გაიკვირა ბექიამ და მაშინვე დაუმატა: — ჯიხვის თავი, ჯიხვის თავი! * ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

თუმცა ბექია ასე ლოცავდა, მაგრამ ჩაციებულს გამომცდელს თვალებზედ ეტყობოდა, რომ ონისეს სიტყვები არა სჯეროდა.

---

* სანადიროდ მიმავალს მონადირეს ყველა შემხვედრი ამ სიტყვებს ეუბნება ხოლო მომავალს: — „კვალად უფრო, კვლავ უფრო“.

— ქვეითკენ რაღად მიდიხარ? — ვერ გასძლო მეცხვარემ და ჰკითხა.

— გაღმა მთაში ვაპირობ ნადირობას.

— რაისთვი, რაისთვი? აქა სჯობია...

— აქ მწყემსები დადიან და ნადირი დამკრთალია.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს... ნეტა არ შეგხვედროდი მაინცა გზა შეგიშალე.

— რაისთვი?.. იღბლიანი ბიჭი ხარ და შენთან შეხვედრა გონჯი არაა.

— იღბალი მოგცას უფალმა. — უპასუხა ბექიამ და გააგრძელა: — უნძრახი რკინის ბეჭედი არა გაქვს?

— რაიო?

— უნძრახი რკინის ბეჭედი-მეთქი.

— რად მინდა?

— აუ, რად მინდა, რაიღაა?.. კარგია, ჩემო ყველავ, კარგი.

— რაისთვი?

— აი გიამბობ... დიდ პარასკევს მჭედელი ადგების, ხმას არავის გასცემს; არც არას შესჭამს, არც არას დალევს, ეგრე უზმოზედ, უნძრახად დააყრის ქურას ნახშირსა, გაალუვებს, გამოსჭედს ბეჭედსა და, ვინც იმას ატარებს, ვეღარც მავნე, ვეღარც ავი თოლი უზამს რასმე.

ონისე მოუსვენრად იდგა და მოუთმენლად მოელოდა ამ ამბის გათავებას, რომელიც აქამდის ათასჯერ გაეგონა.

— მშვიდობით, ბექიაუ! — საჩქაროდ უთხრა ონისემ, რაწამს მწყემსი გაჩუმდა.

— აუ, ბეჩავ! რას მიეჩქარები?.. ბატარა ხანს დავსხდეთ... მეც დაღალული ვარ და შენც დაისვენებ.

— არ მცალიან, მიგვიანდების.

— ბატარა ხანს, ჩემო ყველავ, ბატარა ხანს... ვილაპარაკებთ რასმე... დროსაც გავატარებთ და დავისვენებთ კიდეცა.

— სად ყოფილხარ, რომ აგრე დაღალულხარ? — ჰკითხა ონისემ თავმომბეზრებელს მოსაუბრეს.

— აი, აქ ჩამოვსხდეთ, გიამბობ. — უჩვენა ქვაზედ, რომელიც იქავ გზის პირზედ ეგდო: — აი ასე... ეხლა ყველას გეტყვი...

ბექია დაჯდა; ონისემაც მოშორება ვეღარ მოახერხა და გვერდს მოუჯდა.

— ჯერ თხები დასწყიას წმინდამ გივარგიმ, თხა ხომ ეშმაკია... კლდეში გასულიყვნენ, იქ დარჩენილიყვნენ და განთიადისას ჩამოსარეკად გამგზავნეს... ჩამოველ იქიდგან და გზიურ შინისკენ გა-

მაგდეს, ჯერი ემდენაი აღარა გვქონდა! — ფრჩხილი კბილზედ ამოიკრა და ცოტა ხანს გაჩუმდა: — ჩაველი შინა და ცხენ ტიალაც მთაში გაეშვათ საძოვარზედ. ეხლა მთაში მივდივარ, უნდა ჩამოვიყვანო.

როდესაც ონისემ გაიგო, რომ ბექია შინიდამ მოდიოდა, ყურები აცქვიტა, რადგანაც იცოდა, რომ ეს კაცი მწყემსად გელას უდგა და „შინას“ იმის სახლს ეძახოდა.

აქამდის მზად იყო ფულით მოეშორებინა თავიდგან, მაგრამ — რაწამს გაიგო, რომ მას მაყვალა ენახვებოდა, იმისი ამბის შეტყობინება შაეძლო, — მზად იყო მწყემსთან თუნდა შუალამემდის დარჩენილიყო. მაყვალა ონისესთვის დაუფასებელი იყო, მწყემსს მის სიახლოვეს ესუნთქა, ონისესთვის ამ წუთებში ბექიაც ფასდაუდებელი შექნილიყო.

— რა ღმერთი გაუწყრა, — მოუთმენლად იძახდა გულში ონისე: — ერთი, ერთადერთი სიტყვა არა სთქვა მაყვალაზედ.

მაგრამ, თითქოს განგებ, ბექია ამ საგანზედ გაჩუმებულიყო და ძაყვალას შესახებ ლაპარაკის დაწყობისთვის კრიჭა შეჰკროდა.

ყბედად გადაქცეული მწყემსი გაუჩერებლივ რატრატებდა მოშლილს წისქვილსავითა და ერთადერთი მარცვალი არ გადმოეგდო იმ თესლისა, რომელსაც ისე მშიერად მოელოდა ონისე.

— მაშ შინ იყავ? — ძლივს მოახერხა მოხევემ.

— შინა.

— საწყალო, რამდენი უწვალებიხართ?

— აბა, რაი უყოთ? — ბეჩავად უპასუხა ბექიამ: — ჯერ გლეხის გაჩენა სთქვი და მერე — მოჯამაგირისა!.. სადაა ჩვენთვის მოსვენება?.. შინ ძალზედ დაღალული მივედ, მინდოდა დამესვენა, მაგრამ მაყვალას ხათრი ველარ გაუტეხე.

— მაყვალას? — ჰკითხა ონისემ, ოდნავ გაწითლდა ამ ქალის სახელის გაგონებაზედ და მღელვარების შესაყენებლად წყნარად ხმა ამოიწმინდა.

— ჰო, მაყვალასა... რაც გინდა სთქვი-და, იმისთანა ჩვენს თემში არვინაა, ღვთის მადლმა! იმას კაცი ხათრს ვერ გაუტეხს.

— შენ იმაზედ როგორღაც ლაპარაკობ! — ღიმილით, მაგრამ ცუდად დაფარულის მღელვარებით, ვითომც შაეხუმრა ონისე და ხმაში კანკალი დაეტყო.

— რაისთვი არ ვილაპარაკებ? ღვთისნიერი ადამიანია... კაცს იმას არ ეტყვის, რომ თოლ ზევით წარბი შეხრილი გაქვსო... მერე გული?.. ხასიათი?!.. სწორედ უფლის ნათლულია...

— მაშ კარგი გულისაა? — თანდათან მღელვარება ემატებოდა მოხევეს.

— ჰმ, — ჩაიგმინა ბექიამ: — კარგი და ავეთი!.. კაცი იმის ქებას საით იტყვის?.. მაგრამ ბეჩავი! სახლში ხელმარტოა და ჯაფა ბევრი ეყრების.

— ბევრსა მუშაობს? — მზრუნველობით იკითხა მთიელმა.

— ოჰ, ჰო, ჰო! — გაიოცა ბექიამ და ტაში გაჰკრა. — მაგის შრომის ამტანის კაცის მნახველი არა ვარ!

— ბეჩავი! — ველარ გასძლო ონისემ და თავდავიწყებული გაქრქოლდა.

— მა რაი იქნება, შენაი ჭირაიმე! სახლი, დიდი საცხორებელი და საქონელი ბალახთ უმრავლესი, თითონ კი მარტო!... გაძლოლა არ უნდა?... — გადაუხარა თავი და ისევ თითონვე დაუმატა: — უნდა, უნდა ღვთის მადლმა!.. მაგრამ რაი გაცახცახებს? — ერთბაშად გაწყვიტა ბექიამ და მოლაპარაკეს მიუბრუნდა.

ონისე შეკრთა და თავის შემაგრება სცადა. გაიგო, რომ ბექიამ აღელვება შეამჩნია და მაყვალას სახელი კი მისთვის მეტისმეტი სიწმინდე იყო, რომ ვისთვისმე სალაპარაკოდ პირში მიეცა.

— არც-რაი... ისე რასმე გამაქრქოლა.

— თუ არ გაცივებს?

— მთაჩი ციებას რაი ხელი აქვს, მაგრამ მცივა კი. — მოიბუზა ონისე და ნაბადი წამოიჭუჭკა.

— იქნება ბარად იყავ სადმე და იქიდამ მოგყვა. — გადაეკიდა ისევ ბექია.

— იქნება. — მოკლედ უპასუხა ონისემ და მოიწადინა, მაყვალას შესახებ თუ ბექიას ეჭვი რამ აელო, სრულიად გაექარვებინა.

— მაშ ლამაზიც არის? — წყნარად იკითხა და ბრთხილად შახედა.

— ვინა?.. მაყვალაი? ციდგან მოწყვეტილი ვარსკვლავია, ღვთის მადლმა.

ამ სიტყვებზედ ონისეს გულმა ისე გაუთამაშა, რომ, ყოველის მეცადინეობის წინაალმდეგ, ხმამაღალი ოხვრა მოსტაცა.

ბექიამ კიდევ შეხედა და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— რაი მოგდის?

— ბარად დამცადა! — ფრთხილად ჩაილიმა იმან და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — მე კი არ მომწონს ეგ თქვენი მაყვალაი და არ ვიცი...

— რაიო? — იკითხა ბექიამ გაკვირვებით და გარდიხარხარა: — უგონოთ თუ არა ხარ? რას რატრატებ? — კიდევ მეტის გაკვირვე-

ბით დაუწყო ცქერა: — ქალი ქვეყანას აგიჟებს და ამას კი არ მოსწონს! — გაიკამათა ბექიამ.

— ჰო-და არ მომწონს, რაია?

— აუ! — სხვა ველარა მოახერხა-რა ბექიამ და გაჩუმდა.

— ქმარი არ მოსულია? — კარგა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ფრთხილად ონისემ.

— არა... სადაც საზამთროდ ადგილი ეგულებოდა, მზეს გაუბუგავს და მოუშუშია... ახლა ქვევით წასულა ბინის დასაჭერად.

— ცოლი სულ მარტოდაა?

— სულ.

— ეგეთს ცოლს თავს მარტოდ რად ანებებს?

— რაი უნდა?.. ვაჟკაცის ოდნობა შეუძლიან.

— იქნება, მაგრამ მარტო ქალი ბეჩავია.

— სულ მაგას რომ მოუჯდეს და საქმეს აღარ მიხედოს, ისეც არ გამოდგების. მაყვალას ფიქრი არ უნდა, — იმას ვერავინ გააჯავრებს. — მტკიცედ უპასუხა ბექიამ და დაუმატა: — აი ეხლა სულ მარტოდმარტო წისქვილში მინდს უდგას.

ამ სიტყვებზედ ონისე გველის ნაკბენსავით წამოვარდა და გაფითრებულს თვალები ცეცხლად აენთო.

— რაი სთქვი! — გაგრძელებით წარმოსთქვა იმან და მოსაუბრეს მკლავში ხელი მაგრად მოუჭირა.

ბექიაც წამოდგა და შეშინებულმა დაფანტვით წამოიძახა:

— რაი ვსთქვი?

— მართალია, რომ მაყვალა მარტოდმარტო წისქვილში არის?.. სთქვი, სთქვი ჩქარა! — ონისე ძლივს-ღა სუნთქავდა, ძლივს-ღა ახერხებდა სიტყვებს და ხმა იქამდის აღელვებოდა, რომ ყელში ძლივს-ღა ხრიალებდა. ის ანჯღრევდა ბექიას ანგარიშმიუცემელად და ღონიერის, ძარღვიანის ხელებით მკლავებს ამტვრევდა, შედარებით ბევრად უფრო სუსტს მწყემსსა.

ბექია გველსავით იკლაკნებოდა შიშისა და ტკივილისაგან; სახე უცნაურად ელმიჭებოდა და არ იცოდა ონისეს გამედგრება რითი აეხსნა.

— მართალს ვამბობ, მართალს, ღვთის მადლმა! — შესაბრალის ხმით იძახდა მემცხვარე, რომელიც გულში სწყევლიდა თავის მოუსვენარს ენას, რომ ამ გაჭირვებაში ჩააგდო.

— მარტოა, სრულიად მარტოდმარტო?

— მარტოდმარტო.

— კარგი... — გაუშვა ხელი ონისემ და მედგრად ამოიოხრა: — წადი ეხლა, წადი და ვინძლო პირზედ კლიტე დაიდო... ეცადე არა-

ვისთან წამოგცდეს, რაც აქა ნახე, თორემ, ღმერთი იყოს შენი თავდები, შენის ორის თოლის მეტი ვერა გიხსნის-რა.

— აუ, ბეჩაო, რაი დაფიცება მინდა!.. — უთხრა განთავისუფლებით გახარებულმა ბექიამ: — მიწამც ჩამიტყდების, თუ ძე ხორციელმა ჩვენი შეხვედრა გაიგოს.

— აბა, მე კი გაგაფრთხილე და შენ იცი. — არეულად ლაპარაკობდა ონისე.

მწყემსმა წამოკრიფა გუდა-ნაბადი, წამოიკიდა და შორიახლოდგან შესძახა:

— მშვიდობით, ონისევ!.. ნუ გეშინიან, ჩემგან ვერავინ რას გაიგებს.

ამ სიტყვებით გაბრუნდა, გაიღიმა და თავისუფლად ამოიხვნეშა. ერთბაშად მოესმა:

— დაიცა ბატარაი.

— რაი გინდა? — გაუბედავად წარმოსთქვა ბექიამ და შესდგა.

ონისე ჩქარის სიარულით მიუახლოვდა იმას და ნახევარხმად დაუწყო:

— ნამდვილად წისქვილშია?

— წისქვილში.

— ეხლაც იქ არის?

— იქა.

— მარტოკა არის?

— მარტო.

— არც არავის მიელის? — დააცქერდა ონისე ისე, თითქოს უნდოდა ბექიას გულის საძირკვლამდის ჩაეღწია.

— არა, ონისევ, გეფიცები ზევით ღმერთსა და ქვეშ დედამიწას!.. ბეჩაო, მაყვალაი განა ეგეთია?

— კარგი, კარგი, მაგრამ რა იცი, რომ იქაა?

— მე თავად მივიყვანე... საფქვავი იმას ეკიდა და შემბრალდა... მერე მე გამოვართვი და ნახევარ გზიდან მე მიუტანე.

— მშვიდობით, ბექიავ!.. მშვიდობით! — საჩქაროზედ დაუმატა ონისემ და უფრო საალერსოდ ხვეწნით გააგრძელა: — ძმობას გაფიცებ... გაფიცებ, რაც კი საფიცარი გაქვს, დაივიწყე დღევანდელი საღამო... ვითომ არც კი გინახივარ, სიტყვა არ გაგიგონია ჩემგან...

— აბა, ონისე, ღვთის მადლმა, გამოგიტყდები... წელან რომ გაჯავრებულს მისტუმრებდი, ყველას ვეტყოდი, ყველას გავაგებინებდი, მაგრამ ეხლა... ეს ტყვიამც გინახავს ჩემს გულში, თუ გაგცე.

ამ სიტყვებთან ერთად ბექიამ მასრიდამ ტყვია ამოიძრო და გადასცა.

— ონისე მოკვდეს და შენ იცოცხლე! — სიხარულით წამოიძახა მთიელმა და თავისი ტყვია სამაგიეროდ მისცა.

ამ უბრალოს, მაგრამ მტკიცე ჩვეულების შესრულების შემდეგ ორი ძმა გაიყარა, ორი ძმა, რომელიც ველარც ჭირში და ველარც ლხინში ერთმანერთს ველარ უღალატებდნენ; ერთმანერთისთვის გაჭირვებაში თავს დასდებდნენ, სანამდის ერთმანერთის ღალატს შეუდგებოდნენ.

წუთს შემდეგ ცხვირ-გამოწვდილმა კლდემ განაშორა ისინი და ორივენი თავის საგონებელს მიეცნენ.

## IX

შუაღამე იქნებოდა, როდესაც ონისემ სნოს ხეობის დაღმართს ძოალწია იმ დროს, როდესაც ზევით მთვარე გაკაშკაშებულიყო, ქვევით ნისლი შემოჭედილიყო და, მთვარის შუქით განსპეტაკებული, თეთრს ბამბასავით გადაშლილი იყო. ონისე ჩამოსცდა აღმართს და ნისლში გაეხვია. მთვარე აღარა სჩანდა, მაგრამ ბურუსს სხივი მაინც აშუქებდა და სასიამოვნოს ფერს აძლევდა. ჰაერი, რაოდენადმე დანოტიოებული, ქარს მოძრაობაში მოჰყვანდა და მთიელს გახურებულს შუბლს დაყვავებით უალერსებდა.

ბუნების სურათებს თეთრი ფარდა გადაჰფარებოდა და კაცის თვალისთვის დაემალა სხივით დაშვენებული გოლიათნი. ათასში ერთგან, სადაც კი ნიავი ძალზედ დაჰქროლავდა, თეთრი საბურველი გაწყდებოდა და მის შუა თითქოს იმ წუთას მიწიდგან ამოიზრდებოდა უზარმაზარი, შავი, თვალშეუწვდენელი მთა, რომელიც გარს შემოხვეულს სითეთრეში მეტად და მეტად საოცნებო ხდებოდა.

სადმე, მაღლად აშვერილს კლდის წვერზედ, ჯვირგვინად მოდგმულნი მნათობნი გაიკამკამებდნენ, გაიბჟუტამდნენ და დარცხვენილს პატარძალსავით პირბადეს ჩამოიგდებდნენ. ნისლი ხან აიწევდა, თითქოს მიწის მიკარებისა დარცხვენიაო, ხან გაუმაძღრად დაეშვებოდა, თითქოს მინდვრის კეკლუცთ მიუზიდიაო.

ამ ბუნების სურათების მოუსვენარს ცვლილებათა შორის ჩქარის ნაბიჯით მოაბიჯებდა ონისე და მოუთმენლად გასცქეროდა იმ ხეობას, რომელიც ხან შორს მანძილზედ გამოუჩნდებოდა და გულს მეტად აუცახცახებდა, ხან ისევ ნისლში წაიხვეოდა და, თითქოს მანქანება, თვალ-წინიდგან მოსტაცებდა.

აგერ ქარმა დაჰქროლა, ბურუსი შეარყია, შეაღილვა და მალე ისევ დარეული ნაგლეჯ-ნაგლეჯად მაღლა ასწია. ონისეს თვალწინ

გამოუჩნდა სნოს მდინარე, რომელიც ვაკე ადგილას წყნარად, დამშვიდებული მიიკლაკნებოდა. მის ნაპირებზედ შავად მოჩანდა აქაიქ გაბნეული კარკუჩის პატარა წისქვილები, რომელთაც ღამის გამო უბრალო ქვებიდგან ძლივს გამოარჩევდით.

ონისემ შეჰკრა მათ თვალი და გულმა ძლიერად ფანცქალი დაუწყო, ის მიდიოდა გაჩქარებული, რაც კი ძალა და ღონე ჰქონდა, თავს აღარ „სწყალობდა", მაგრამ მას მანძილი მეტად გრძლად ეჩვენებოდა, მოძრაობა — მეტად წყნარად და ზარმაცად, საგანი მისი მისწრაფებისა იყო ერთი ამ წისქვილთაგანი; მაგრამ, იქ რას მოელოდა რა დაჰხვდებოდა და რა რიგი გრძნობა აღეძროდა, თითონაც არ იცოდა. მეტად ტკბილი იყო წუთი სატრფოსთან შეყრის მოლოდინისა, მაგრამ ბედისგან დაჩაგრულს, ვინ იცის, ეხლაც რა ექადოდა.

იქნება იმ დროს, როდესაც ასეთი წმინდა და ნათელი შუქი ონისეს გულს ჩაჰფენოდა, მაყვალას ეს ჟამი სხვის დასატკბობელად ამოერჩია, სხვა გაებედნიერებინა და ონისეს გულში საწამლავის ჩასხმით სხვის ვარდი გადაეშალა?!

ონისეს უნდოდა, უნდოდა, როგორც ქალს გათხოვება, როგორც თევზს წყალი, ფრინველს ჰაერი, რომ ჩქარა მიეღწია თავის მგზავრობის საგნისთვის, ჩქარა მიახლოვებულიყო იმ პატარა ქოხსა, სადაც მისი ედემის ვარდი ღუოდა, სადაც თვლემაში მისი გვრიტი კრთებოდა, მაგრამ იმავე დროს წარმოუთქმელი შიში გულს ათას ნაწილად უძიძგნიდა, მუხლთ ეჰრებოდა, ეკეცებოდა და სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. რამდენიც მეტს უახლოვდებოდა წისქვილს, იმდენად აღძრული გრძნობა უძლიერდებოდა და ატეხილს ქარიშხალსავით გულს აქეთ-იქით აწყვეტებდა. ღელავდა მისი სისხლი, ღელავდა აზრი, გონება! ღელავდა სული და გული და ამ ძღელვარებას თან მოსდევდა გამედგრებული ქარიშხალი, რომელიც უწყალოდ სწვავდა და აღძრულს ცეცხლს უძლიერებდა.

აგერ, წისქვილის სარკმლიდამ შუქიც გამოკრთა. მთიელს მოხვდა პირისახეში და შეაკრთო. ონისე შესდგა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ქშენა დაიწყო. აღარც გული უსვენებდა, აღარც სულთქმა აცლიდა. რაღას. შემდგარა შეშინებულს ლაჩარსავით? ტყვიისა ხომ არ ეშინიან, რომელსაც შაეძლო მისი სიცოცხლის წაღება? ან იქნება ბასრის ხანჯლისა, სიცოცხლის ისე ადვილად გამქრობელისა? თითქოს ონისემ შიში არ იცოდა?!

არა, ონისეს სიკვდილისა არ ეშინოდა, ონისე პირზედ ღიმილით დახვდებოდა განსაცდელს, ხარხარით დახვდებოდა იმ თავხედს, რომელიც შებმას გაუბედავდა, მის წინააღმდეგ გამკლავებას მოი-

სურვებდა!.. აქ სხვა მიზეზი იყო. აქ შეხვდებოდა ქალი, შეჭურვილი ისრის მაგივრად ჟუჟუნა თვალთა ელვარებითა, ქამანდის მაგივრად — მომხიბლელ ბაგეთა ღიმილით და ფარის მაგიერ — შეურყეველი თავშეკავებით, რომელმაც ისე დასცა, დათრგუნა და ძალა მოუსპო, რომელმაც მოსწამლა, მოხიბლა და მონად გაიხადა.

კარგა ხანი იდგა ონისე და ისე ცახცახებდა, რომ კბილს კბილზე აცემინებდა. რამდენჯერმე სცადა ფეხის გადადგმა, მაგრამ გაუნძრევლად იმავ ადგილზედ დარჩა. ბოლოს გადისვა შუბლზედ ხელი, შემდეგ მისწვდა მკერდსა და ძალზედ მოუჭირა, თითქოს მით აღშფოთებულის სისხლის შეჩერება უნდოდა, ამოიოხრა და გაბედა.

შესდგა თითის წვერებზედ, განაბა სული და წყნარად, სიფრთხილით შუქისკენ გასწია.

ონისე მიიპარებოდა, მიიპარებოდა ისეთის გაფრთხილებით, როგორც პატარა ბავშვი, რომელიც ჩიტს ეპარება დასაჭერად და ეშინიან მოულოდნელის განძრევით არ შევაკრთოვო.

კარგა ხანს შემდეგ, ბიჭმა მიაღწია წისქვილის კედელს და ხელი მიაშველა, რომ არ წაქცეულიყო, რადგანაც თავს ბრუ დაეხვა და თვალთ დაუბნელდა.

ონისე მალე მოვიდა გონსა და, თუმცა შუბლი თითქმის სარკმელთან ჰქონდა მიტანილი, მაგრამ შეხედვა ვერ გაბედა; დაშვებული თვალები ვერ აემართა, თუმცა მაყვალას სახეს ოცნება მაინც ცხოვლად უხატავდა.

კარგა ტანჯვისა და წვალების შემდეგ, ონისეს მოულოდნელად მოეღრიჯა კისერი, სახე მიუახლოა სარკმელს და გაჭამდა.

მის თვალებს წარმოუდგა მაყვალა სრულის თავის მშვენიერებით. პატარა წისქვილში, გაჩაღებულს ცეცხლის წინ ქალს გაეშალა ნაბადი და ზედ დამჯდარიყო. საგულე-გახსნილს პერანგის ღილიც გახსნოდა, საყელო ჩამოვარდნოდა და ბროლ-ფიქალ-განიერი მკერდი გამოსჩენოდა. უკან დადებულს საფქვავით სავსე ტომარაზედ მოღალული თავი მიენდო და წმინდა სანთლისაგან ჩამოსხმულის მსგავსი ყელი გამოსჩენოდა. ლურჯი ძარღვები თეთრისა და ნაზის კანის ქვეშ გველსავით შეხვეოდა და თითქმის იქამდის მჭვირვალი შექმნილიყო, რომ თვით სისხლის მოძრაობაც კი სჩანდა. მოლულულს თვალებს დარაჯად მოხვეოდა გრძელი და გიშერსავით შავი წარბები; ოდნათ გახსნილს პატარა თხელს ტუჩებს იქიდგან ბროლის სითეთრის წყობილი კბილები გამოსჩენოდა. სწორე და მოწყობილი ცხვირის ნესტოები, რომელთაც ცეცხლი წითლად აშუქებდა, სუნთქვის დროს ოდნავ თრთოდნენ; ღვთიური ბეჭედი მის

მიმზიდავს და ნაზს სახეს დასდებოდა და ამტკიცებდა რაოდენსამე ხისუსტეს, მოდუნებას, მოქანცულობას.

ქალს სახე გაღიმებული ჰქონდა და ზედ რაღაცა სამაცდურო, მომხიბლავი ძალა დასთამაშებდა. გიშრის შავი ხუჭუჭნი ხშირს დალალებათ მაღალს და ჭკვიანს შუბლს გვირგვინად მოსდგომოდა; ოდნავ ბუსუსიანს, კარგამყოფს ლოყაზედ ერთს ადგილს მოწყობილი ხალი სიყმაწვილის და სიცოცხლით სავსეს ელფერებით შემკობილიყო, ერთი ხელი ჩაეგდო უბეში და გულთან მაგრად მიეტანა, თითქოს მის რწევას ლამობდა, მეორე — მუხლზედ ჩასცურებოდა და უმტვერო ქალალდსავით თეთრის პერანგიდგან ძლივს გაირჩეოდა. ცეცხლის შუქზედ ქალი მეტად დამშვენებულიყო და ციურ-საჯოჯოხეთო მიმზიდველობა დასთამაშებდა.

ონისეს აბრაზებდა მისი ცქერა, გონებას აკარგვინებდა, წარმოუთქმელს სატანჯველს აგრძნობინებდა, მაგრამ თვალი ვერ მოეშორებინა. რამდენადაც წელან პირველი შეხედვა გასჭირებოდა, იმდენად ეხლა სანეტარო სურათის თვალის მოშორება უძნელდებოდა; ყმაწვილი ბიჭი ჩასჩერებოდა, სთვრებოდა მისის ცქერით და რაღაც აუხსნელს ალტაცებაში შესულს მისი ჰვრეტა თანდათან მეტის ძალით სწყურდებოდა, ქალს არ ეძინა, მაგრამ რაღაცა მილუშვაში ჩავარდნილი, ეტყობოდა, ოცნების თავდავიწყებაში შესულიყო, მისი ფიქრი თითქოს სანატრელს, დამატკბობელს სურათებს შესთამაშებდა და გუნების მოძრაობა სახეზედ უაშკარავდებოდა.

ქალი ერთბაშად შეკრთა, გაახილა თვალები და აშკარად დაეტყო, რომ ეს შეკრთომა შეშინებისა არ იყო, რადგანაც მაყვალამ სიამოვნებით გაიღიმა, გაიზმორა და წინ გადმოცვივნული ნაწნავები უკან გადიყარა. შემდეგ წყნარად გადაისვა შუბლზედ ხელი და მძიმედ ამოიოხრა.

მის განძრევასთან ერთად ონისესაც თითქოს გულში რაღამაც გაჰკრა, ისიც შეკრთა, აღელდა და წარმოუთქმელის ძალით იგრძნო მასთან მიახლოვების, შეალერსების წადილი.

მაყვალამ ორივ ხელი ისევ თავ-ქვეშ ამოიდო, მიესვენა ტომარას და თავის სამფლობელო ოცნებაში შევიდა.

გაიარა წუთმაც და ქალმა ნაზის ხმით დაამღერა:

მოფრინდი, ჩემო მერცხალო,
დამიჭიკჭიკე ბანზედა.
თითქოს ჰფიცავდი: მიყვარხარ!
მაშ რაღად დახვალ განზედა?

ქალმა ველარ გაათავა ეს სიტყვები, რომ კარებში ბრახუნი მოისმა.

მაყვალა შეკრთა, გაჩუმდა და სულგანაბულმა ხმა ველარ ამოიღო, განძრევაც კი ველარ მოახერხა.

მოისმა უფრო ძლიერი ბრახუნი და მოუთმენელი ხმა, რომელიც წამდაუწუმ სწყდებოდა:

— მაყვალაუ, მაყვალაუ!

მაყვალა წამოხტა და მფეთქავის გულით კარებთან მოვიდა.

— არ გესმის, ქალაუ!.. — აცახცახებულის ხმით დაიძახა კიდევ ონისემ.

— ვინაა, რაი გინდა?

— მე ვარ, მე... გამიღე კარი...

მაყვალა გაჩუმდა და აღარ იცოდა, რა ეპასუხა.

— გამიღე, ღვთის მადლმა, თორემ ჩემს სისხლში გაგრევ.

— ვინა ხარ, ბიჩა! — უპასუხა შეშინებულმა მაყვალამ, ურდულს ხელი გაავლო, მაგრამ ისევ შესდგა.

— მე ვარ, ონისე.

— რაი გინდა ამ შუაღამისას? — უთხრა ქალმა და, თუმცა ჰგრძნობდა, რომ დიდს უარს ველარ მოახერხებდა, მაგრამ მაინც დაუმატა: — არ გაგიღებ, არა.

— ქალაუ!.. ღმერთი აღარ გყავს? მეჩვენე, მეჩვენე ერთხელ კიდევ და, ღვთის მადლმა, ჩემის ლეშით ყორნებს გავაძღობ... გააღე, გააღე-მეთქი!..

ისეთის გაშმაგებით და გამუდმებით ითხოვდა ონისე კარის გაღებას, ხმაში იმდენი თავგანწირულება და გადაწყვეტილება ეტყობოდა, ისეთი გაბრაზება, რომ ქალს შაეშინდა.

— ონისევ!

— ოჰ! — მოუთმენელად შეჰყვირა კაცმა და ხმაში დაეტყო, რომ გულს მწვავი რკინა მოხვედროდა: — გააღე, გააღე... ერთს გნახავ... წავალ... მოგშორდები... შენს უნახავად ნუ... ნუ მომაკვლევინებ თავსა... გამიღე... მე სასიცოცხლო აღარა ვარ... ქალაუ, გააღე-მეთქი!...

მაყვალას გული ამოუჯდა და შეშინებულს ეგონა, რომ ონისეს ცოცხალს ველარ ნახავდა. ხელი ერთბაშად აუცახცახდა, გონების დამორჩილება დაეკარგა, და პატრონისავე დაუკითხავად, ანგარიშმიუცემლად, ურდული უკან გაცურდა.

გაიღო კარი და ონისე დამთვრალსავით რაცრაცით შევარდა, დაბარბაცდა და კედელს მიეყუდა. გაცრეცილი სახე სულთმობრძავისა შეჰქნოდა. კრიჭის შეკვრის გამო, ღაწვები ამოსჯდომოდა და ძალზედ გახილებულის თვალებიდგან ცეცხლებსა ჰყრიდა.

გონებადაფანტული ქალიც იდგა გაჩუმებული და ადგილიდგან

ვერ დაძრულიყო; თავი დახარა, თვალები დაეშვა და წნორის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო.

ორნივ ისე იდგნენ გახევებულს საგნებსავით, თითქოს მოძრაობის ნიშიც კი დაეკარგათ. აქამდის ორნივ ისეთის ძალით მიიზრძოდნენ ერთი ერთმანერთისკენ, რომ ქვეყანაზედ ისეთი ძალა არ გაჩნდებოდა, რომელსაც მათი ერთმანერთისადმი ლტოლვილება შეეყენებინა და ეხლა კი, როდესაც ერთმანერთისგან ასე ახლოს იდგნენ, ამოსუნთქვაც კი ველარ გაებედათ. ონისე უყურებდა მაყვალას, რომელსაც აღშფოთების გამო საგულის შეკვრაც კი დაეწყებოდა და გაჩუმებული თითქოს ელოდა, ლაპარაკი ქალს დაეწყო.

მაყვალა ჰგრძნობდა კაცის თვალების ძალას, რომელიც მოუსვენრად უციგლიგებდა და აღშფოთებაში შეჰყვანდა; სიამოვნების ჟრიამულს უტარებდა მთელს სხეულში და, თუმცა თვალები დაშვებული ეჭირა, გრძნობა მხედველობად გარდაქცეოდა, თითქოს ხედავდა ონისეს უწყალოდ დაღონებულს სახეს, რომელშიაც იმდენი სიყვარული, ხვეწნა და მუდარა გამოითქმოდა, ისე ბეჩავად გამოიცქირებოდა.

ქალსაც მეტისმეტად უძნელდებოდა ლაპარაკის დაწყება და ან კი რა უნდა ეთქვა?.. ესაყვედურა, რომ მოვიდა? მაგრამ როგორ ესაყვედურა, როდესაც მისი ნახვა ისე ძვირად ულირდა, ისე ნატრობდა, რომ ხატსა თუ ჯვარს, ყველა სალოცავებს ამ ბედნიერის წუთებისთვის ხვეწნით თავს აძულებდა! გრძნობისთვის ნება მიეცა და გული ტოლთან შესაერთებლად გაშვებას ვერა ჰბედავდა, რადგანაც სწორედ დღეს შეატყობინა ბექიამ, რომ ონისე მხიარულად არის და ცოლს ირთამსო. ქალის თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა. რომ ნაბიჯი გადაედგა.

ერთბაშად კეკლუცი შეკრთა, უკანასკნელი ბეწვიც, რომელზედაც მოთმინება ეკიდა, შესწყდა და წყნარად, თუმცა ცეცხლწაკიდებულის სიძლიერით, წარმოსთქვა:

— რისთვის მოსულხარ?—და გულმა ცახცახი დაუწყო, მთლად სმენად გადაიქცა.

— მიყვარხარ და იმადა. — მოკლედ და მტკიცედ წარმოსთქვა კაცმა. ამის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ქალის გულს ნექტარის სიამოვნება აგრძნობინა ამ სიტყვებმა და გაღვიძებულმა იმედმა რამოდენადმე გაათამამა, თუმცა აზროვნება ჯერ მაინც ვერ მოეკრიფა და ლაპარაკის ანგარიში ვერ მიეცა.

— დიაღ, გიყორვარ? — ელვასავით შესტყორცა ჟუჟუნა თვალების სხივი და გაწითლებულმა მაშინვე ისევ თავი დახარა.

ონისემ რამდენიმე ნაბიჯი წადგა, გაიმართა წელში, იგრძნო —

ბრძოლის ველი მას რჩებოდა და სახე გამარჯვებულის ძლევამოსილობით გაუბრწყინდა.

— ქალაუ! ორნივ ვიტანჯეთ, ვეწვალეთ და ვერ დავივიწყეთ ერთურთი. ერთურთი ვნახეთ და შეგვიყვარდა ერთმანერთი. ჩვენის ნებით არ მომხდარა ესა და ვერც ჩვენის ნებით გავიყრებით... ვეცადე, ქალაუ! ვეცადე, ღვთის მადლმა, რომ გულიდამ ამომეღე, შენი სიყვარული ფესვიანად ამომეგლიჯა, შენი სახე ცხელის რკინით ამომებუგა გულიდგან, მაგრამ, დავღნი, დავილიე და აჰა, მაინც შენთან მხედავ.

ონისე ლაპარაკობდა წყნარად, გარკვევით და სრულის ცნობიერებით. აშკარად ეტყობოდა, რომ ეს სიტყვები ამოდიოდა გულის საძირკვლიდგან, სადაც აღგზნებულის, ალაპლაპებულის სიყვარულის ცეცხლით ხალასდებოდა და იწმინდებოდა.

ქალი შეაპყრო მათს ძალას და კაცის ყოველ სიტყვას, ყოველ ხმის მოტრიალების გავლენას აშკარადა ჰგრძნობდა. ქალი სდნებოდა და ზედ ეგლისებოდა, უხმოდ ეთანხმებოდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

ონისემ მოხვია ხელები, მიიზიდა მკერდთან, მაგრად და ძლიერად მოუჭირა მკლავები, ჩახედა თვალებში და წყნარად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— ქალაუ!.. ჩემო ყველაუ!.. მითხარი!.. უკანასკნელადა ვარ შენთან და მითხარ, მითხარი: საით წავიდე, რაი ვქნა? იქნები ჩემი, თუ არა?!. — აქ კაცს სიტყვა გაუწყდა, ხმა აუკანკალდა და ჩუმად წარმოსთქვა: „არა?“ — ქალი უფრო მიხვდა, სანამ გაიგონა ეს სიტყვები.

ამ ხანში მაყვალა გაჩუმებულიყო, განაბულიყო, როგორც კურდღელი, რომელიც არწივის კლანჭების მიახლოვებასა ჰგრძნობს და სუნთქმაც კი შესწყვეტოდა.

— მითხარ, ქალაუ! მითხარ! — კიდევ ძალზედ მიიზიდა კაცმა.

მაყვალამ იგრძნო. რაღაცა სითბოება, სისუსტესთან არეული, თითქოს ტანში მოიშალა, გონება დაებნა და უხილავის ძალის გავლენის ქვეშ მყოფმა დაიკვნესა, წნელსავით გადმოიგრიხა და ორივე ხელი ყელზედ მაგრად გველსავით შემოაჭდო. პასუხად აღგზნებული, ხანგრძლივი კოცნა კაცისა გაისმა...

— მაყვალაუ! — თავბრუს დახვევით წამოიძახა ონისემ, ბუმბულსავით ხელში აიტაცა, ძალზედ მიიკრა გულთან და დაოსებულს გიჟსავით კოცნა დაუწყო...

კერაში აბჟუტებული ცეცხლი ჩაქრა; წისქვილში სინათლე წყნარ-წყნარად სუსტდებოდა, ღამის უფსკრულს დაეძალა მისი

მუქი და შთანთქმას ექადოდა. ნაღვერდალს ფერფლი ეფარებოდა და მიდამო იდუმალებით ივსებოდა; ყველაფერი გაჩუმებულიყო, გაყუჩებულიყო და სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო.

ამ საერთო იდუმალების დროს ათასში ერთხელ გაისმოდა შეყვარებულთა კოცნის ხმა, რომელნიც ერთმანერთს ზევით ღმერთს აძლევდნენ თავდებად და ქვეშ დედამიწას, რომ საუკუნოდ შაერთდებოდნენ, რომ ერთმანერთით ისულდგმულებდნენ.

X

პირველი დღეები მათის ტრფიალებისა წარმოუდგენელის სიამოვნებით მიდიოდა; ერთმანერთისთვის გაჩენილნი, დიდის ლოდინის შემდეგ, ერთად შეყრილიყვნენ და ეს მდგომარეობა მეტად თავდამავიწყებელი იყო, რომ მათ სხვა რისთვისმე მოეცალათ.

ისინი შეიყრებოდნენ ხოლმე ყოველღამ გლეხების ვახშმობის დროს და ალგზნებული სიყვარული წუთს არ აძლევდა თავისუფალს, რომ თავიანთ მდგომარეობას დაჰკვირვებოდნენ, მომავლისთვის მოაზრებას შესდგომოდნენ.

ასეთია კაცის სიცოცხლის გაზაფხული! მისი სტუმრობა ისე ძნელია, ისე იშვიათი, რომ, როდესაც ეწვევა ვისმე, ყველას და ყველაფერს გადაავიწყებს.

დრო მიდიოდა და გელას მოსვლაც ახლოვდებოდა, მაგრამ შეყვარებულნი ამ მხრივ ისე დამშვიდებულნი იყვნენ, თითქოს რომელიმე უბედურება არამც თუ მოსალოდნელია, არამედ შეუძლებელიც.

ერთს საღამოზედ ონისე, ჩვეულებისამებრ, დანიშნულს დროზედ მოვიდა და კარებშივე, მისალმებასთან ერთად, ქალი გულში ჩაიკრა.

— რაისთვი დაიგვიანე? — წყნარად და ალერსიანად ჰკითხა ქალმა.

— არ დამიგვიანებია! — აკოცა კაცმა და ხელი გაუშვირა ერთს ვარსკვლავზედ: — აგერ, გახედე...

მაყვალამ შეხედა, გაიღიმა და თვალები აუქუქუნდა. ვარსკვლავს ჯერ დანიშნულს ადგილამდის არ მიეღწია და, მაშასადამე, ონისე კვლავინდელზედ უფრო ადრეც კი მოსულიყო.

— რაი ვიცი, — კეკლუცად შაეალერსა ქალი: — მე კი ისე მეგონა, რომ გათენება მოვიდა მეთქი.

— ჰაი-ჰაი! — ჩაიცინა კაცმა და უალერსა: — ძალუმ ეშმაკაი კი ხარ, ღვთის მადლმა!

— რაისთვი, რაისთვი!—თავს ევლებოდა მაყვალა და ცდილობ-და ონისეს სიახლოვით დამტკბარიყო.

ორნივ შევიდნენ სახლში და გრძელს სკამზედ ჩამოსხდნენ. ქა-ლი მიეყრდო მკერდზედ და თავი კეკლუცად მხარზედ მიანდო. ონისე ჩაფიქრდა და სახეზედ რაღაცის მოსაზრება დაეტყო, ქალმა შეხედა და ეს მდგომარეობა კაცისა გაუკვირდა; რამდენსამე დღის ბედნიერებამ გადააჩვია იმ აზრს, რომ ადამიანს მოწყენაც შეუძ-ლიან. მაყვალას ბევრი მწუხარება გამოევლო, ბევრი ვარამი ეწვნია, მაგრამ საყვარელ კაცთან დაახლოება წამლად შერგებოდა, დაკოდ-ვილს გულს მკურნალს მალამოდ დასდებოდა და გამხიარულებულს გადავიწყებოდა მწარე დუმილისაგან აღძრული უსიამოვნოება.

— ონისეს უყვარს, და ეგეც უყვარსთ... — ფიქრობდა ქალი — ცხო რაი-ღა უნდა, რაი-ღა აღონებს?

— ბიჭაუ! — ვეღარ გასძლო ქალმა და ხმამაღლა წამოიძახა.

— რაი გინდა?

— ნუ დაღონდი, ღვთის მადლმა, თორემ ტირილს დავიწყებ.

ონისემ სიყვარულიანად შეხედა და სახეზედ მადლობის ბეჭედი დაეტყო.

— შენთან რაი დამაღონებს, მაყვალაისი?! ბნელს გულში მზის შუქად ჩამესახე და რაი-ღა დამაღონებს!

— მაშ რაისთვი გაჩუმდი? რაისთვი არას ლაპარაკობ?..

— ისე დავფიქრდი რასმე.

— არ მინდა ფიქრი, არ მინდა ჯავრი! — ქინიანად წამოიძახა ქალმა და დაუმატა:—მელაპარაკე, მელაპარაკე გაუწყვეტლივ, შენ-თან ლაპარაკი მწადის!

— ჩემო ყველავ!.. რაი გიყო, რითი გიალერსო, ისე, რომ შე-ნის სიყვარულით გავძღე!

— აბა რაი ვიცი! — უპასუხა გაღიმებულმა ქალმა.

— შენ საით-ღა გადაგიხადო, რა მოვახერხო, რომ თავის დღე-ში არ გაწყენინო, არ დაგაღონო?

— თავად ნუ დაღონდები, და მეც სულ მხიარულად ვიქნები.

ონისემ ამოიოხრა და ისევ ჩაჰკიდა თავი. ქალმა შეხედა და შეუ-ბუზღუნა.

— რაია, რა? ჩე!

— მაცალე მაყვალაისი, საფიქრებელი მაქვს რამე.

— რაი-ღა გაფიქრებს?

ონისემ შეხედა ყმაწვილს ქალს, რომელსაც ქვეყნის ვარამი გამოევლო, მაგრამ ისევ ისე გამოუცდელი დარჩენილიყო.

— ისა მაყვალაისი, რომ დღეს ამბოვი მომივიდა.

— რაი ამბოვი? — საჩქაროდ ჰკითხა ქალმა და სახე შაეცვალა.

— გელაი მოდისო.

— გელაი? — შეკრთა ქალი და ფერი წაუვიდა: — ვინ გითხრა?

— ჩეჩნით მწყემსები მოვიდნენ და იმათა სთქვეს. ამ დღეებში გაჩნდებაო.

ქალი გაჩუმდა, ჩაგონდა და შუბლი შაეჭმუხვნა. ეტყობოდა, რომ ამ ხმამ ლახვრად გაურბინა გულში. კაცსაც თავი ჩაეკიდა და ღრმა საგონებელში წასულიყო.

— ქალაუ! — ბოლოს აიღო თავი ონისემ და მიუბრუნდა მაყვალას: — სიყორულმა ყველა გადაგვავიწყა... მოემზადე, უნდა წავიდეთ.

— რაი მომზადება მინდა?

— რაი ვიცი? — ან შესაკერი გექნების რაიმე, ან გამოსაჭრელი. ბევრს კი ნურას გამოუდგები, თორემ ველარ მოასწრობ.

— მე არც რაი არ მინდა...

— მაშ როდის წავიდეთ?

— თუნდა დღესვე.

— ახლა არ იკითხავ, სად მივალთ?

— რაი კითხვა მინდა?

— იქნება გულმა ცხოგან დაგთხოვოს?

— შენთან ყველგან სამოთხეა.

— მაყვალაისი! აგეთი კარგი რამა გშობა? — მოეხვია ვაჟი და დაუმატა: — ზეგისთვის მეც მზად ვიქნები და ვახსენოთ ღმერთი!..

— თუნდა დღესვე-მეთქი.

ამ ლაპარაკის შემდეგ ისინი კიდევ რამდენსამე ხანს დარჩნენ ერთად და ალერსში გართულნი საქმეს აღარ შეხებიან. გარიჟრაჟმა მოაღწია, როდესაც ონისე მაყვალას გამოეთხოვა, კარი გამოიარა და მთაში მოსამზადებლად წავიდა.

იქ უნდა ცხვარი გაეყიდა, ფული მოეგროვებინა და ისე გადასახლებულიყო, რომ პირველში, სანამ მოეწყობოდა, ოჯახს გაიჩენდა, მაყვალასათვის გაჭირვება არ ეჩვენებინა.

სანამ ეს კაცი მთაში ავიდოდა და ცხვარს დაინახავდა, სანამ გული ლაღადა ჰქონდა და სრულიად დამშვიდებული აზროვნებდა; მაგრამ, რაკი ცხვარი დაინახა, რაწამს შეჰხედა ფერდოებს, სადაც ფარა ისე მშვენივრად შეფენილიყო, გულმა აღშფოთება აგრძნობინა და მოუსვენებლობაში ჩააგდო.

მთიელი მხოლოდ ამ წუთებში მიხვდა, რა მწვავი მოქმედება ჰქონდა იმ ადგილების განშორებას, სადაც ბავშვობიდგანვე აღზრდილიყო, იმდენი მწუხარება და სიტკბოება ენახა. ის დაბადებიდ-

განვე შესჩვეოდა იქაურს ბუნებას, შესთვისებოდა ყოველ მთას, ყოველ ღელეს, ყოველ კუნჭულს, მათ შორის მისცემოდა გულის მღელვარებას და თვით მოაზრება, ჭკუის მუშაობაც კი უამათოდ არ ესმოდა და ეხლა მათთან გამოსალმებას, იქნება საუკუნოდაც, ემზადებოდა. ამ ადგილების წყალს ონისეს სმენისთვის სრულიად სხვაგვარი, მშობლიური და დამყვავებელი გავლენა ჰქონდა; უზარმაზარს, სხვისთვის მხოლოდ ჩამოფხეკილს; უნაყოფო კლდეებს ონისესთვის გამცოცხლებელი, სულის ჩამდგმელი ძალა ჰქონდა და თვით ცხვრის უბრალო დაბღავლებაც კი შეჩვეულს ყურს დამამშვიდებელს ნანად მოესმოდა.

ყველაფერს, სრულიად ყველაფერს, — დაწყებული მედიდურის ლაჟვარდოვანის ციდგან, ამაყის და დიდებულის მთებიდგან, უკანასკნელს მცირედს ნატამლამდის, სიტყვით, ყოველისფერი, რაც კი ამ მთაში მოიპოებოდა, ონისესთვის დაუფასებელი იყო, მის არსებაში ადგილი ეჭირა და მათთან განშორება ეთანხმებოდა ნახევარის სიცოცხლის განწირვას. მაგრამ საქმეში მაყვალა იყო ჩარეული და ეს საკმარისი იყო!.. იმის დასაკუთრებისთვის, შერჩენისთვის მთელი სიცოცხლეც რომ დასჭირვებოდა, წუთს არ შესდგებოდა, დაუფიქრებლად მისცემდა.

ონისეს აგონდებოდა, რომ ცხვარი უნდა გაყიდოს და საუკუნოდ განშორდეს იმ მშვენიერებით სავსე პირუტყვებს, რომელზედაც იმდენი ამაგი ჰქონდა, რომლების ყარაულობაშიც იმდენი ბნელი და ჯოჯოხეთი ღამეები გაეტეხა, ათას ფათერაკს წაჰკიდებოდა და გული მიეშვირა მოუსვენარის, დაუცხრომელის, მტრად გადაკიდებულ კაცთა, თუ მხეცთათვის.

ჰგრძნობდა მათ მოშორებასთან ერთად გულის მრავალს ტკბილად დამყვავებულ გრძნობათა მოშორებასაც, მაგრამ საქმეს მოეტანა, შემთხვევა ითხოვდა და უნდა განშორებოდა...

ონისემ დაუძახა მწყემსებს, გამოუცხადა, რომ ცხვარსა ჰყიდის, რადგანაც ფული ეჭირვება და სთხოვა, რომ მუშტარი მოეკითხათ. ეს ამბავი ყველას გაუოცდა, ყველას ეწყინა და პირში სიტყვა გაუწყვიტა. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუ ონისეს განსაკუთრებით რამ არ შემთხვეოდა, ცხვარს არ გაჰყიდდა და, თუმცა გულით უნდოდათ ამგვარი განზრახვის მიზეზის გაგება, მაგრამ კაცის სულის საძირკველში ჩახედვა, გაქექა ვერ ეკისრათ.

ყველამ, ვისაც კი ეს ხმა მისწვდა, გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა გამოუცხადა ონისეს და ყველას სიტყვებში ეტყობოდა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ერთს უპირველეს უბედურებად მიაჩნდა.

თუ ონისეს მეცხვარეები ასე მოიქცნენ და ონისეს მოქმედების წინააღმდეგობა ვერ გაბედეს, დანარჩენმა ხალხმა საქმეს სხვარიგად შეხედა.

იმ დროში ხალხისთვის ერობას ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თემობას თავის საზოგადოება ერთს ოჯახად მიაჩნდა და ყოველი თვითოეულის წევრის უბედურება საერთო ზარალად, საერთო დასაკლისად მიიღებოდა. მაშინ თემობა თავის მოვალედ ხადიდა — დაეცვა სარგებლობა თვითოეულის წევრისა, ეზრუნა მისთვის და ყოველ შემთხვევაში გამოსარჩლებოდა. თემი თვითოეულს წევრს ისე უყურებდა, როგორც შემადგენელს ნაწილს მთელის ერობისას და მის ტკივილში საერთო ტკივილი გამოითქმოდა. ამითივე უხდიდა თვითოეული წევრიც, რადგანაც თემს განშორებული, განცალკევებული ცხოვრება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა და მის მფარველობის ქვეშ მყოფი კი დაჩაგრული არავისგან დარჩებოდა. ყველა წევრმა იცოდა, რომ მის მოსარჩლედ მთელი თემობა იყო. მისი შეურაცხყოფა — მთელის თემობის შეურაცხება იყო, და ამისთვის გული ამაყდებოდა, ძალა თავს ველარ ახრევინებდა.

როდესაც თემმა შეიტყო ონისეს განზრახვა, მან მოისურვა თავის წევრის ანგარიშის მოთხოვა და გამოჩენა იმ უფლებისა, რომელიც პირად მის შინაურს საქმეებშიაც კი ერეოდა.

უფროსები შეიყარნენ არა მარტო იმ აზრის ხელმძღვანელობით, რომ მათ ჯალაბობას ერთი შეძლებული ოჯახი აკლდებოდა, არამედ იმ მოაზრებითაც, რომ ერთის მოქმედება სხვებისთვის სამაგალითოდ არ გამხდარიყო და ერთხელ შერყეული საერთო ოჯახობის მშვიდობიანობა მრავალთა მოშორებით სრულიად არ შესუსტებულიყო. ამგვარად, მთიელის განზრახვას ორის მხრით ეხებოდა თემობა და, თუმცა თვითეულის საკუთრების შეხების უფლებას არ აცხადებდა, მაგრამ თავს მოვალედ ხადიდა ყოველი საშუალება ეხმარა თავის წევრისთვის გუნება შაეცვალა და მიღებულის განზრახვის უსაფუძლობა დაენახვებინა.

ონისე მწყემსებთან ლაპარაკობდა, როდესაც მასთან ბექია მოვიდა და შეატყობინა, რომ ვაკე მთას თემის უფროსობა შეყრილა და გიბარებსო.

— იარე. — მაშინვე უპასუხა ონისემ და გაბრუნდა; მაგრამ ისევ შესდგა და მწყემსებს მიუბრუნდა:

— ღვთის მადლსა, მუშტარი მოიკითხეთ, ლოდინის დღე აღარა მაქვს.

ამ სიტყვების შემდეგ გამობრუნდა და სიარულში ბექიას დაელაპარაკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თემი რაისთვი შეყრილა?

— რაი ვიცი!.. ამბობენ, შენს საქმეზედ შეიყარაო.

— რა საქმეზედ?

— ცხორსა ჰყიდისო.

— მერე, იმათ რა?

— აბა რაი ვიცი!.. არ გავასყიდინებთო.

— აბაი! — გაიკვირვა ონისემ: — ჩემს ცხორს საით არ გამასყიდვინებენ!?

— მართლა ჰყიდი? — ჰკითხა ბეჟიამ.

— მართლა.

— აუ! — სხვა ველარა მოახერხა-რა მეცხვარემ და გაჩუმდა.

— რაია?

— ისა, რომ ცხორს საით-ღა გაჰყიდი?

— რაისთვი არა?

— არ ვიცი, ღვთის მადლმა! მაგრამ, აი მე ბატკანი რაია, ბატკანი?.. გასასყიდათ იმასაც ველარ გამოვიმეტებ...

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ ნაამაგდარევია... კაცს თუნდა შვილი გაუსყიდია, თუნდა ცხვარი... რაი ბედენაა, ორივე გაგიზრდია, ორივეზედ ამაგი გაქვს.

— მაშ სტუმარს ცხორს რომ დაუკლამ ხოლმე, რატომ შვილს არ დაუკლამ? — მწარედ ჩაიცინა ონისემ.

— შვილი საით დაიკვლება?.. შვილი ადამიანია.

— მაშ თითქო ერთიაო?..

—ერთი არაა, მაგრამ სიტყვაა და კაცი იტყვის... — ბრძენის კილოთი წარმოსთქვა ბეჟიამ: — ღმერთისაგან ეგრეა დადებული, შენაი ჭირაიმე, რომ ცხორი დაიკვლების და სტუმარი კი ღვთისაა, თორემ რაზედაც ამაგი გაქვს, უფლის მადლმა შვილში არ გამოირჩევა.

ამ ლაპარაკით მიაღწიეს ვაკე მთას, სადაც საკმაო ხალხი მოგროვილიყო, რგვლად შემომსხდარიყო მწვანე მინდორზედ და გახურებული სჯა ჰქონდათ.

ონისე მისვლის უმალ მიესალმა, მშვიდობა შეუძრახა და ფეხზედ წამოდგომილებს უთხრა:

— დასხედით, დასხედით, თქვენაი ჭირაიმე! მე რაი ღირსი ვარ, რომ ფეხზედ ამიდგეთ.

— რაისთვი არა? კაი ოჯახის შვილი ხარ და კაი გორისა! — უპასუხა ერთმა უფროსთაგანმა და ხალხი დალაგდა.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე და რაოდენსამე ხანს გასტანა. ათას-

ში ერთხელ მეზობელი თუ მიუბრუნდებოდა მეზობლის თავსა და ჩუმად რასმე წასჩურჩულებდა, თორემ ხმამაღლა დალაპარაკებით, ან უხეიროს თავაწყვეტილის სიცილით მყუდროობა არვის შეურყევია.

ყველანი ისხდნენ ჩაფიქრებულნი, თავჩაკიდებულნი და იმ მწუხარე გამომეტყველებით სახეზედ, რომელიც მგლოვიარე, მოსამძიმრე გულს დაეტყობა ხოლმე.

— აბა, ფარეშაუ, დაიწყე! დღე მიდის, გვიანდების და ლოდინისა აღარაა. — მიმართა რამდენმამე მოხევემ, ყველაზედ უფროს, თმა-გათეთრებულს მოხუცებულს.

ფარეშამ ჩაახველა, გადაისვა ულვაშებზედ ხელი და დაიძახა:

— სმენა იყოს და გაგონება!.. ონისევ, აქ მოდი.

მოხევე გამოვიდა უნცროსებიდგან, რომელნიც კრებისგან შორი-ახლოს იდგნენ, მოწიწებით მივიდა თემობასთან, შევიდა მათ შუა და გაჩუმებული, მოკრძალებით დადგა.

წელან, როდესაც ონისე მოვიდა, ყველას ისე შეხვდა, როგორც სწორი; არავინ უპირატესობას არ იჩენდა; თუ ონისე ვისმე განსაკუთრებითს პატივს აძლევდა, ეს იყო მხოლოდ ჩვეულებრივი ზრდილობა ხნიერებით უფროსისადმი და სხვა არაფერი. ეხლა კი სრულიად სხვა იყო: შეყრილს თემობას ძლევამოსილი დიდებულება დასტყობოდა, ამაყად და უფლების მქონებლად გამოიხედებოდა მათი ყრილობა. ონისეც ჰგრძნობდა ამ ძალას, ემორჩილებოდა მის დიდებას და სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ის წევრია ამ საერთო ოჯახობისა, არის მასთან შაერთებული და მისგან დამოკიდებული; ჰგრძნობდა, რომ ამ ხალხს გავლენა, უფლება აქვსთ მის პირადობაზედ და ემორჩილებოდა საუკუნოებითვე ხალხის სისხლსა და ძვალში გამჯდარს ადათსა და წყობილებასა.

— ონისეუ! — დაიწყო ფარეშამ: — ხალხში ხმა არის, რომ ცხორსა ჰყიდი, — მართალია?

— მართალია, — წყნარად წარმოსთქვა ონისემ.

— მაშ ოჯახსაც მოშლი?

— მო, თქვენაი ჭირიმე!

ამ სიტყვების შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და ხმამაღლივი ლაპარაკი შესწყდა. მხოლოდ ისმოდა ხალხში წყნარი ჩურჩული, რომელიც გრგვინვასავით დაჰქროდა და გამოურკვეველს შრიალად გამოისმოდა.

— ონისეუ!.. თემობა კარგად გიცნობს, — ბოლოს დაიწყო ისევ ფარეშამ და გააგრძელა: — გიცნობს და გაფასებს კიდეც... ღვთის მადლმა, კაი ბიჭი ხარ, მაგრამ გონჯიც რომ ყოფილიყავ, მაინც

გულში ექნებოდი, გულიდგან ვერ ამოგიღებდა... ჩვენი სისხლი ხარ და ჩვენი ხორცი... თავადაც გესმოდა ესა და მეზობელი გაჭირვებაში არ დაგიგდია, რომ არ გეშველა!... სტუმარი არ გაგიშვია, რომ მასპინძლობა არ გაგეწია!... თემს არ გასჭირებია ისე რომ მდევრად პირველი შენ არ გვენახე, არ გაგიტეხია ხალხის პირი და, დაუზარებელს მუშას, მუდამ ვაჟკაცად გიცხოვრია...

მოხუცს ლაპარაკში ხმა უკანკალებდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ მისი საუბარი იყო წმინდა, ცბიერება გაურეველი და გულით ნაგრძნობი. აშკარადა სჩანდა, რომ ონისე მართლადაც თავის მოსაწონი იყო თემობისთვის, და ეხლა, ღირსეულს, საქვეყნოდ აჯილდოებდნენ თემობის წარმომადგენელნი.

მოხევემ იგრძნო უძლიერესი საჩუქარი. ჰგრძნობდა, რომ თავისი ხალხი, თავისი სისხლი და ხორცი აფასებდა მას და ერთგულს სამსახურს არ უქარწყლებდა.

მოსაუბრეს ლაპარაკის შეწყვეტა დასჭირდა; ონისემ ისარგებლა მის გაჩუმებით და მეტისმეტად ბედნიერების გრძნობით ატირებულმა გულმა ქუდი მოახდევინა და წამოაძახა:

— ხალხო!.. თქვენამც შემოგევლებისთ ონისეს თავი! ონისე მოკვდეს და თქვენ იცოცხლეთ!.. ღვთის მადლმა! მაგ სიტყვების ღირსი არაა ონისეი!.. რაი მიქნია, რა მიმსახურია... ყველა თავადა ყოფილხართ ჩემი შემწე, ჩემი მომშველებელი... ღმერთს ლუკმაპური მოუცია და ეგ სულ თქვენი წყალობაა!.. თქვენი, აგრემც შემეწევის უფალი!..

— მოიცა-და! — გააწყვეტინა ფარეშამ: — ჰაი, ჰაი, რომ თემობა ბევრს შაგეწია! ჰაი, ჰაი, რომ კაცი თემობას დაშორებული ვერ იცხოვრებს!.. რასა იქმ მარტო კაცი? მარტო კაცი ბეჩავია!.. ბიჭაუ! თემობა შვილად გიყურებს... და თემობამ იცის, რომ გაჭირვება მოგდგომია და თავისიანს უნდა, გიშველოს... თუ გაჭირვება არ გქონდეს, ოჯახს არ მოშლიდი... რაი მოგივიდა, უთხარ შენს ძმებს.

ონისე გაფითრდა და ფერი ზაფრანად გადაექცა. თემობა, ის თემობა, რომელსაც სულით და გულით ემორჩილებოდა, ითხოვდა, რომ გული გაეხსნა, — და წადილს ვერ უსრულებდა. უნდა მოეტყუებინა?.. რა უნდა ექნა? ხალხი პასუხს ელოდა.

— ხალხო, თქვენი ჭირიმე! — ბოლოს დაიწყო ონისემ: — თავი მომიტანია სახვეწრად... რასაცა მკითხავთ, იმას ვერ გეტყვით და, სანამ მოგატყუებდეთ, თქვენგან ჩაქოლვას ვირჩევ!..

ჩამოვარდა ისევ წყნარი ჩურჩული და ერთმანერთის დაკითხვა.

— კარგი... — დაიწყო ისევ მოთავემ: — კაცს გული დახურული იმადა აქვს, რომ შიგ ყველამ ვერ ჩაიხედოს... თემობა ითხოვს,

რომ ოჯახობა არ მოშალო, სახლი არ გაანადგურო, ხალხს ცუდ მაგალითი არ უჩვენო და მით ცხვებსაც გონჯი საქმე არ აჩვენო.. რას იტყვი ამაზედ?

— მაგაზედ? — იკითხა გახარებულმა ონისემ: — აი რასა... სადაც უნდა ვიქნა, ღვთის მადლმა, რომ ჩვენის თემობის ყურმოჭრილი ყმა ვიქნები... მაგათი ღალატი თუ გულჩი გავიტარა, ფეხქვეშ მიწამც ჩამნგრევია, მეზობელთ ცრემლიმც ნუ მღირსებია.. მაგრამ რაი ვქნა? აქ ცხოვრება არ შემიძლიან...

— დარჩი, დარჩი! — გაისმა რამდენიმე ხმა.

— რაი ვქნა, როგორ ვქნა?.. თუ გინდათ, თუ გამოგადგებით რაღმე, მითხარით და აქვე თავს მოვიკლავ!.. ღვთის მადლმა ეხლავ!..

— რაისთვი, რაისთვი! — შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი.

— ჩუმად!—გააყუჩა ფარეშმა და ონისეს მიუბრუნდა:—სთქვი, რას უბნობ?

— თემობა ძმას მეძახის, უნდა სამსახური გამიწიოს... თანახმა ვარ... მართალს ამბობთ, ძმა ვარ თქვენი და თქვენი სამსახურიც უნდა მივილო!

— სთქვი, რაი გინდა?

— სთქვი, სთქვი.

— ათას სჭარბია, იმდენაი ცხორი მყავს... ოცანი ძროხანი მეყოლების... შვიდაი ცხენაი... შუაზედ გავყოთ... ნახევარს გავყიდი... მეც ცხოვრება მინდა... ნახევარიც თემობისთვის მიმიცია... გაეყოს იმათ, ვინც ბეჩავად არის.

— არ იქნების, არა, ღვთის მადლმა! — აღელდა ხალხი და კარგა ხანს ხმაურობდა.

ბოლოს მშვიდობიანობა ისევ ჩამოვარდა, და ერთმა თემის ყრილობის წევრთაგანმა დაიწყო:

— ონისეუ! სულ კარგი ხარ და სულ კეთილი... ღვთის მადლმა, ხალხს რომ უჭირდეს, საქონელს კი არა, სულსაც არ შეიშურვებ... ცხორიც შენია, ძროხაცა, ჩემო ყველავ!.. ცხენიცა... ყველა შენის ოფლით არის მონაგარი, ყველა შენის შრომით ნაშოვნი... უფალმა მოგახმაროს ისე, როგორც გინდოდეს, შეგარგოს, როგორც დედის ძუძუ!... განა შენი საქონელი გვინდა?... არა, ღვთის მადლმა! ძმა ხარ და შენი თავი გვენანების, თორემ საქონელი რაია?... აი თემობა, — აიშვირა ხელი მოხუცმა: — თემობა ეს ხუთი თითია... რომელიც გინდა მომჭრა, ტკივილი გულს მოხვდების, გულს შეაღონებს... ონისეუ... ონისეისი!... ნუ წახვალ, ნუ მოგვშორდები!.. გთხოვთ, 'ძალას' კი არ გატანთ.

კარგა ხანს გრძელდებოდა ეს ლაპარაკი, რომელიც გულს უთუთქამდა მოხევეს, მაგრამ ღვთის ფიცი, მიცემული მაყვალასადმი, და მის წინაშე მოვალეობა, რომელიც თავის თავზედ მიიღო, მეტად მძიმე ტვირთი იყო, რომ ამ კაცის გადაწყვეტილების შერყევა ვისმე შესძლებოდა.

ხალხმა გადასწყვიტა, რომ ონისეს გზა მისცენ და ჩამოეხსნენ, რადგანაც უეჭველი იყო, რომ ამ მოუდრეკელობისთვის მეტად მძიმე მიზეზები უნდა ჰქონოდა.

— ონისეუ! — უკანასკნელ სიტყვად დაიწყო ფარეშამ: — არიშლი, მისდიხარ და ჩვენი გული კვნესით გესალმების!.. უფალმა მშვიდობათ გამყოფოს, ნუ დაგავიწყოს შენი მიწაწყალი, შენი მოძმენი... ნუ დაგავიწყოს შენი სალოცავები, შენი დედმამის ძვლები... გახსოვდეს, რომ იმათი სული და შენ მოძმეთ გული სიხარულით შეიძრევა, თუ კიდევ დაბრუნდი, თუ შენი სიახლოვე იგრძნო... ნუ დაივიწყებ ძუძუს, რომელმაც გაგზარდა, ნუ დაივიწყებ გულს, რომელიც შენმა მოშორებამ აალელვა!... გახედე მთებსა! — გაუშვირა მოხუცმა ხელი და თვალებში ცრემლები გაუბრწყინდა: — აქ უცხოვრიათ შენს მამაპაპათ, აქ მოუკლიათ სევდა, აქ ალძგერებიათ გული... აქ უცოცხლიათ და აქ დახოცილან... შეხედე და ნუ დაივიწყებ!.. შენია, შენი! — მოხუცი გადაეხვია და მდუღარე ნაკადული თვალთაგან გადმოსცვივდა.

## XI

როდესაც ონისე ყველას გამოესალმა, ყველა დაჰკოცნა, გამწარებულის გულით იგრძნო, თემობისთვის რა ძნელი იყო ერთის დაკარგვა და იმ ერთისგან შეჩვეულის ცხოვრების გამოცვლა.

ონისე ვერც იმას დააყაბულეს, რომ დარჩენილიყო და ვერც იმას, რომ ნახევარი საქონელი მამაპაპის სულის მოსახსენებლად თემის ბეჩავთათვის არ დაეგდო.

ხალხი დაიშალა, და ონისემ თავის ცხვრისკენ გასწია. იქ ელოდნენ მუშტრები, რომელნიც მოხევის ნათესაობასთან ყოფილიყვნენ შესატყობლად და ნების მისაღებად, რომ იმათი ნათესავის ცხვარი ეყიდათ. *

ცხვრის პატრონმა საქონელი შუაზედ გაჰყო, შემდეგ ნახევარი

* მთაში ჯერ ეხლაც უცხო პირი რომ უცხოსაგან ყიდულობდეს რასმე, სანამ გამსყიდავის ნათესაობა ნებას არ დართავს, ხელსაც ვერ მოჰკიდებს.

თემისთვის ჩააბარა რამდენსამე ამორჩეულს კაცს და ნახევარში კი მუშტრებს ფული გამოართვა.

ორად გაყოფილი ფარა ჯერ კიდევ იქ იდგა, როდესაც ონისე დაღონებული შეჰყურებდა. მის გულს მწარედ გაჰქონდა დაგადუგი, სევდით იბურებოდა და ემღვრეოდა. კაცი ცხვარში უნდა ყოფილიყო აღზრდილი, რომ მისი გულის მოძრაობა გაეგო, მისი გრძნობა შაეგნო. ცხვარი დაიძრა, და ონისე ჩომბახს დაყუდებული, ხმაგაკმენდილი თვალს ადევნებდა. ცხვრების გამოსვლისათანვე მას აგონდებოდა წარსულის ცხოვრებიდგან სხვადასხვა შემთხვევანი. აგერ გამოიარა პირჭროლა შიშაქმა და მას მოაგონდა მისი დაობლება ბატკნობაში. მოაგონდა, როგორა ზრდიდა ხელზედ და როგორ ანებივრებდა; აგერ კიდევ ის ჰედილა, რომელსაც მშვიდობიანობის დამცველნი წართმევას უპირებდნენ და უსამართლობას კინაღამ თავი შეაკლა. აგერ ის ვაცი, რომელიც „ძაუგში“ გასასყიდს ცხვარს ქეჩად გააყოლა და ვიღაცა ღიპიანმა შარი მოსდო, რომ ისიც ვითომ გასყიდული იყო.

მოაგონდა ონისეს ამ ქეჩისთვის თავის გამოდება, საჩივარი და ხარჯი... მოაგონდა უსამართლობით დაჩაგრულის ადამიანის ვარამი. მოაგონდა, რომ თავის საკუთრების შესარჩენად თხუთმეტ ჰედილამდის გაიღო. აგერ იმ ბოქაყოჩმაც გამოიარა, რომელიც ონისეს საჭიდაოდ დაჰყვანდა და დამარცხებით პატრონი არც ერთხელ არ შეურცხვენია, მოაგონდა მისი ხალისი ბრძოლის ველზედ, მისი კამარა და გრგვინვის მსგავსი ჯახუნი, რომელსაც მთიელი ალტაცებაში მოჰყვანდა! ყველას, ყველას მათგანს ონისეს წარსულში რომელიმე დამოკიდებულება ჰქონდა. ყველასთან მისი ცხოვრება რომელიმე შემთხვევით გადაბმულიყო. ყოჩმა იცნო პატრონი, იცნო ის კაცი, რომელთანაც იმდენჯერ სახელით ევლო; პირუტყვი თითქოსა ჰგრძნობდა თავის სამსახურს, მან გამოსწია ონისესკენ, თავალებული, გაამაყებული და მედიდურად მოაბიჯებდა; დიდსა და ხვეულს რქებს, რომელიც შუბლთან თითქოს ერთმანერთს შეერთებოდა — წყნარად, ამაყად იქნევდა. როდესაც პატრონს მოუახლოვდა, აიღო თავი მაღლა, გაიძაბა კისერი და ზემოთა ტუჩგაწვდილი სიამოვნებით ჰაერს იზიდავდა; შემდეგ სრულიად მიუახლოვდა კაცსა და მუხლზედ რქების ხრეშა დაუწყო, თითქოს ბრძოლის ჟინმა მოუარაო.

მოხევემ დიდხანს უალერსა გაამაყებულს ყოჩსა, რომელსაც, თითქოს ესმოდა, რომ პატრონს საუკუნოდ ესალმებოდა და უკანასკნელის ალერსით უნდოდა დამტკბარიყო.

ცხვარი კარგა განშორდა იმათ, და ონისემ დაინახა, რომ ყოჩის მეტს ხანს დაჭერა არ იქნებოდა, და გააგდო. პირუტყვმა გადასდგა

რამდენიმე ნაბიჯი, ამგვარი მოპყრობა პატრონისა თითქო ეუცხოვა, იუკადრისა, შესდგა, მოიხედა, დაიცქვიტა ყურები და ისეთის სიყვარულიანის, სევდამოცულის თვალებით შემოხედა მთიელს, რომ უკანასკნელმა ვეღარ გასძლო, ჩაიქნია ხელი და საჩქაროდ გამობრუნდა.

მალე მოაჯდა ონისე ცხენსა, მეორე დაიჭირა ხელში და ჩქარის სიარულით, გლეხების ვახშმობის დროს, გელას სახლს მოუახლოვდა. აქ ჩამოხტა, ორივე ცხენის აღვირები ერთი მეორის ტახტაზედ ისე გადააცვა, რომ პირუტყვებს გაქცევა ვეღარ შეეძლოთ, და თითონ შენობისკენ გასწია. მისი აზროვნება შაეხო მაყვალას სიახლოვეს, წასვლისთვის გაფრთხილებას, და მძიმედ დაწოლილი ლოდი თითქოს გულიდგან ჩამოეხსნა.

დღეიდგან მაყვალა მასთან მიდიოდა, მას ეკუთნებოდა, მისგან ვეღარავინ გაჰყრიდა, და ამ, ძლივს მიღწეულმა, მთელის სიცოცხლის წადილმა მეტად სიტკბოებით შესთამაშა გულსა, რომ ყველაფერი არ გადავიწყებოდა.

ონისე მიდიოდა გულდაგულ, დარწმუნებით, თუმცა სმენად და ჭვრეტად გადაქცეული, რომ თუ ფათერაკი რამ წაეკიდებოდა, მოუმზადებლად არ შეხვედრიყო.

ის იყო მიახლოვდა გალავნის კარებს და ზღრუბლზედ ფეხის გადადგმას აპირებდა, როდესაც ხელი ვიღამაც გაავლო და წყნარად უთხრა:

— მოიცა, სად მიხვალ?

ხმა მოლაპარაკესი იყო აღელვებული, თუმცა წყნარი და ნაზი. ონისე შეკრთა და უკან მოაწყდა.

— მაყვალაუ! შენა? — გაკვირვებით იკითხა მან.

— სუ-უ! მე ვარ, — უპასუხა ქალმა.

— რაი ანბ...

— სუ-უ! — გაიმეორა ქალმა და ხმის გასაკმენდათ პირზედ ხელი დააფარა.

ონისე გაჩუმდა, რადგანაც ქალი ამას ითხოვდა და გაშტერებულმა ყურება დაუწყო.

— ამაღამ ვერ წავალთ. — მოკლედ, ნიავსავით წყნარის ხმით წასჩურჩულა მაყვალამ.

— რად არა? — ერთბაშად ფერი ეცვალა კაცსა და ცივმა ოფლმა დაასხა.

— არ იქნების.

— არ იქნების კი არა, ეხლავ, ამ წუთას!.. გვიანობისა აღარაა. — მტკიცედ უთხრა მთიელმა და შუბლი შეიჭმუხნა.

— ამალამ ნუ, ჩემო გულო, ამალამ ნუ! — თითქმის მუდარით გაიმეორა ქალმა და ხმა შიშისაგან აუკანკალდა.

ონისეს წარბები შეეჭმუხნა და ქალს ისე დააკვირდა, თითქოს თვალი გულის საძირკვლამდის უნდოდა ჩაეწვდინა.

— ქალაუ!.. რად არა?—მტკიცედ და ბრძანების კილოთი ჰკითხა კაცმა.

მაყვალა ჩუმად იდგა და პასუხის მაგივრად მთრთოლარეს ხელებით ნაწნავის წვერებს სძენძავდა.

— ქალაუ! — მოჰკიდა ონისემ ხელი და ძალზედ მოუჭირა: — არ გესმის? მითხარ-მეთქი, რად არა? ან აქ რაისთვი დამაყენე, წავიდეთ სახლში. — გაბრუნდა ონისე.

— სად მიხვალ, სადა? — ერთბაშად შეაყენა გულგახეთქილმა ქალმა.

— შინა, — უპასუხა კაცმა.

— შინ რაი გინდა, რაი საქმე გაქვს?.. მოიცადე აქა და ეხლავ გამოვალ, ეხლავ წავიდეთ!.. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნებოდა ქალი.

ონისემ მიუახლოვა პირისახეს თავი და მთვარის შუქით განათებულს ცქერა დაუწყო. ქალმა თავი დახარა და თვალები მოარიდა.

ონისეს სახე დაეპრანჭა, გული გემსავით გაქანდ-გამოქანდა და ყელში მომდგარმა სისხლმა ძალზედ წაუჭირა.

— მაყვალაუ! — ბრაზმორეულად წარმოსთქვა იმან და ხელი სახლისკენ გაიშვირა: — ვინაა?

— გამიშვი ბეჩაო... არც ვინა.

— არც ვინა? — მწარედ იკითხა იმან: — არც ვინა, და სახლში კი არ მიშვებ?

— რაი გინდა, გამიშვი და ეხლავ წავიდეთ; ცხო რაი-ღა გინდა?

— ვინ არის-მეთქი იქა, ვინა?

— მე ხომ მოგდევ და ცხო რაი-ღა გინდა?

— ისა, რომ ამალამ ან იმის სისხლი უნდა გაშრეს და ან ჩემი!.. ფუი, მავნევ, მაცდურო დიაცო!

ამ სიტყვებით ქალი ხელის კვრით მოიშორა და გაბრაზებულმა სახლისკენ გასწია, მაგრამ მაშინვე უკან მოაწყდა, რადგან სახლის კარებიდგან გაიგონა:

— ბიჭაუ, გულადად კი მოხვალ, შენმა გაზდამ, და უკან როგორ-ღა გაბრუნდები, არ ვიცი.

მოლაპარაკეს მთვარის შუქი არა სწვდებოდა, და გელამ ველარ იცნო, ვინ იყო; მაგრამ თოფი, რომელიც უცნობმა გადმოიტრიალა, კარს გადმოსცდა და შუქზედ გაკრიალება დაინახა. ონისეც გად-

მოხტა უკან, ამოეფარა იქავ მდგარს ურემს და წუთზედ თოფი გაუმიზნა. იმ წუთს ის ხედავდა მხოლოდ მტერს, რომელმაც გულს საყორელი მოსწყვიტა, სული დაუკოდა და მხოლოდ გადახდევინების წადილს-ღა ჰგრძნობდა. მის თავში ამის მეტს ფიქრს არ გაურბენია, ამის გარედ დანარჩენს მოაზრებას ადგილი აღარა ჰქონდა.

ორი მტერი, ორივ გამგელებული, ორივ აღგზნებულის წადილით გულში, იდგნენ ერთმანერთის პირდაპირ და ერთმანერთს აღგზნებულის თვალებით ზომავდნენ.

გონდაკარგული მაყვალა იქავე ეგდო და ძლივს-ღა ფეთქამდა.

— დიაცო! გამოდი გარედ, — დაუძახა ონისემ: — დავინახოთ ერთურთი და, ვისიც მზე გაშავდების, ნახავ.

— ბიჭავ, შენმა გაზრდამ, განვშორდეთ ერთმანერთსა, ის ემჯობინების.

— მშიშარაუ, მშიშარაუ!.. აჰუ!.. შერცხვეს ის კაცი, ვისაც იარაღი ხელში უჭირავს და შერიგებას უბნობს.

— მაშ შენმა სულმა ზლოს.

ამ დროს მოისმა ორი ჩახმახის ფეხზედ ერთად შემოყენება, და წუთის სიჩუმე ჩამოვარდა. ყველაფერი გაჩუმდა, და თითქოს კიდეც ჩამობნელდა. მოისმა გრიალი,—და ორის მოპირდაპირე მხრიდგან ორი ცეცხლი ენებსავით გამოგრძელდა, ორი ტყვია გაქანდა ორის მზის ჩასაქრობლად. დაჰბერა ქარმა, შემოფანტა შემოხვეული კომლი და ორში ერთს გაჰხვრეტოდა მკერდი და სისხლში გათხვრილი მიწაზედ ფართხალობდა; მეორე დამშვიდებული თავს ადგა და თოფსა სწმენდავდა.

დაჭრილი იყო ონისე, ხოლო ზეზე იდგა გელა. გამარჯვებულს პირი ულიმდებოდა და სულთმობრძავს სიამოვნებით დაჰყურებდა,

მაყვალა, რომელიც თოფის ხმაზედ გონს მოსულიყო, სტრფოს ზედ დაჰკდომოდა. გელამ შეჰკრა თვალი და ხელი წაავლო.

— ურცხო! ჩემთანაც აღარა მალამ?.. — დასჭყივლა იმან და დაუმატა: — მაინც ეგ გიყვარდა და შენც მაგას გაგაყოლებენ.

ის იყო ხანჯალი შეუმაღლა, როდესაც სოფლიდგან, ვისაც თოფის ხმა გაეგონათ, მოცვივდნენ და ცოცხალ-მკვდარი ქალი ქმარს ხელიდგან გააგდებინეს.

ონისე წაიყვანეს და ექიმი დააყენეს; ძლივს დააშოშმინეს ორი გვარეულობა, რომელიც სისხლის საძიებლად იარაღით გამოვიდა. მაყვალა კი ამ დღიდგან განქრა და მისი ამბის გამგები აღარავინ ჩნდებოდა. გელაც სადღაც გადაიკარგა, რადგანაც სისხლი დაედო და, თუ სადმე მოასწრობდნენ, მზეს გაუშავებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XII

უბედურის შემთხვევის შემდეგ კარგა ხანმა გაიარა — და თუმცა აღარც ონისე, აღარც გელა და აღარც მაყვალა საქვეყნოდ აღარ გამოდიოდნენ, მაგრამ ხალხი ჯერ კიდევ მღელვარებდა, საუბედურო შემთხვევაზედ ლაპარაკობდა.

განადგურდა ონისეს სახლ-კარი, მაგრამ გელას შეძლებასაც უკეთესი დღე არ დაადგა, რადგანაც ამას სისხლი „დაემართა“ და იძულებული იყო დაჭრილის გვარეულობას მორიდებოდა; ორივე გვარეულობა შეიარაღებული დადიოდა, რადგანაც ყველა მათგანი უსაბაბოდაც უსიამოვნობას მოელოდა. მათ შორის თემის მდგომარეობაც სახუმარი არ იყო, რადგანაც ორი ოჯახობის განადგურების გარედ, კიდევ სხვა მრავალი უსიამოვნობა მოელოდა, და უბედურების ასაცდენად მთელი სოფელი დარაჯათ უნდა გადაქცეულიყო, რომ მოწინააღმდეგეთ ერთმანერთში ჩხუბი და აუცილებელი მკვლელობა არ მოსვლოდათ.

მთელს თემობაში კაცი არ იყო, რომელიც ზიზღით არ მოიხსენებდა სამივე დამნაშავეს, რომელთა მოქმედებაც ხალხის ღირსებას, დებულებას და წესს ისეთს შეურაცხყოფას აყენებდა, ისე სამარცხვინოთ არღვევდა. დამნაშავეთ საქციელს ხალხი აი რა თვალით უყურებდა:

გელა, მართალია, წინააღუდგა თემის დებულებას, და მათი გადაწყვეტილების შემდეგ ცოლი ძალად მოიყვანა, მაგრამ, ალბათ, მაყვალას ნებაც იყო, თორემ ქმართან არ დადგებოდა, და მაშინ თემი გამოესარჩლებოდა. ეს ქალი ქმართან მშვიდობიანად სცხოვრებდა, მის პირისაგან უბრალო საჩივარიც კი არავის გაუგონია და აქედგან შემდეგი დასკვნა გამოჰყვანდათ: ალბათ, ერთმანერთის კმაყოფილი იყვნენ, ერთად ცხოვრება შესაძლებლად მიაჩნდათო.

მაგრამ ამასთანავე იცოდნენ, რომ გელა იყო ლოთი, ჭირვეული და, საზოგადოთ, ადამიანის უსამართლოდ მწვალებელი, ცოლს არამც თუ დიდს ჯაფას აყრიდა და მთელის თვეობით თავს ანებებდა, არამედ ლანძღავდა უშვერის პირით და ხშირად კიდეცა სცემდა. ამ საქციელმა ქალი გაწბილებამდის მიიყვანა, დალუპა სახლი და ბოლოს მეზობლის, მოძმის სისხლიც კი დაალვრევინა. ქალი, მართლა-და, ცუდს მდგომარეობაში იყო, ძნელი გასაძლებელი ცხოვრება დასტეხოდა, მაგრამ, ხალხის რწმუნებით, არავითარი უფლება მაინც არა ჰქონდა ოჯახობისთვის ამგვარად ეღალატა. მათ თემის ხმის ძალის იმედი კიდევა ჰქონდათ და იძახდნენ: „მაყვალას ქმართან გაყრის უფლება აქვს და შაერთება ვისთანაც მოისურ-

ვებსო, მხოლოდ ქმართან ყოფნის დროს მოტყუება და ღალატი არც ღმერთისაგან და არც კაცისაგან არაოდეს არ ეპატიებათ".

ონისეზედაც ამბობდნენ, რომ მას, მართალია, ქალი უყვარდა და „სიყორული" კი კაცს გზას იქით გადააგდებსო, მაგრამ წვეროსანს ულვაშ იმადა აქვს და ქუდი იმად ჰხურავს, რომ ნამუსის ყურმოჭრილი ყმა იყოსო. ონისემ შეურაცყო თემის ზნეობრივი რწმუნება და თემი არ მოუთმენდა.

ხალხი ამ რწმუნებით იყო და გადაწყვეტილება დამნაშავეთ შესახებ გულში ნათლად და გარკვევით ჩასჭედოდა; მათ უყურებდნენ, როგორც ერთის ხიდგან მოწყვეტილს და შორს გატყორცნილს შტოსა, რომელთანაც აღარაფერი კავშირი, აღარაფერი საერთო არ მოიპოებოდა.

გელა, სადღაც წასული, იმალებოდა. ონისე თუმცა უკედ შექმნილიყო, მაგრამ მაინც ჯერ ვერ ამდგარიყო და გარედ ვერ გამოდიოდა, მაყვალა, კი ეხლავე ყველას დაშორებოდა, რადგანაც ნათესაობის სახლის კარიც დახშული შექნილიყო ლეჩაქ-მოხდილის ქალისათვის.

ერობაში, ხატობაში, მთაში, თუ ბარში, ყველგან ისმოდა სიმღერა, ლექსები ამ შემთხვევის შესახებ; ყველა ამაში ხალხის შეუწყალებლობა გამოითქმოდა იმ პირთა მიმართ, ვინც თემოსნობის დიდების დარღვევა და შეურაცხყოფა მოიწადინა.

ხალხი, დღემდის გაბრაზებული, მწუხარებით იგონებდა ამ შემთხვევას და მღელვარებდა.

მაყვალა იმალებოდა ციხის ნანგრევებში, მაგრამ არ შეიძლებოდა, რომ ხანდისხან არ გამოსულიყო, ერთხელ-ორჯელ შეხვდნენ, დაინახა ხალხმა და მისი გაბრაზება იქამდის მივიდა, რომ თემის ყრილობამ საქვეყნოდ განშორება მოითხოვა, რადგანაც მათი სოფელთან სიახლოვეც კი შეურაცყოფად ჩასთვალეს; ამას ზედ დაერთო მეორე შემთხვევა, რომელმაც სრულიად გარდასწყვიტა უბედურთა საქმე.

ზედანიშის ჯვარობა იყო და დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. დიდი და სწორე ტაფობა, სადაც ეს ხატობა იმართებოდა ხოლმე, ხალხს ნებას აძლევდა სხვადასხვა თამაშობა გაემართა და ვარჯიშობაში თავი გამოეჩინა.

აქ იმართებოდა ნიშანში თოფის სროლა, ფარხმალობა,* გუდურ-გუდურა, „ქვის გადაწევა", ცხენების თამაშობა და სხვა ათასი ვარჯიშობა, სადაც სიმარდე და მოსაზრებული ხერხიანობა თავს გამოითქვამს.

* იმ ხანში ფარი და ჩაჩქანი ჯერ კიდევ არ მოსპობილიყო ხევში.

ერთს ადგილს შეიკრიბნენ ყმაწვილი ბიჭები და მოისმა: „ქუდის გატაცება, ქუდის გატაცება ვის გინდათ?“ მიაწყდა იქით ხალხი და თამაშობის მსურველნი წყვილ-წყვილად გავიდნენ. ერთი წყვილი განშორდა ყველას და მასთან რიგ-რიგად მიდიოდნენ დანარჩენი წყვილები. მისვლის უმალ წინად გასულებთაგანი ერთი იტყოდა: „არჩევანი მე“, მეორე დაასახელებდა ერთ-ერთს შემდეგ მისულთაგანს, და ამგვარად მოთამაშენი გაიყოფდნენ თამაშობაში მონაწილეობის მიმღებთ. აიღეს ერთი სიპი რგვალი კენჭი და, ზედ დაფურთხების შემდეგ, მშრალი მხარე ქვისა ერთმა მიიღო თავის ნიშნად და დასველებული მხარე — მეორემ. შეაგდეს მაღლა, რომელი გვერდიც, სველი თუ მშრალი, ზეიდგან მოჰყვებოდა, იმ გვერდის ამრჩევ ბიჭებს ქუდი უნდა დაეცვათ და მეორეს კი გაეტაცნა.

— თქვენია, თქვენია! — დაიძახა ერთმა მხარემ.

— დასხედით, დასხედით! — მოისმა მეორეს ხმა, და თამაშობა გაჩაღდა.

პირველ ნაწილმა მოთამაშეთა ცალ მუხლზედ ისე დაიჩოქეს, რომ ზურგი ერთმანერთსა ჰქონდათ შექცეული. ხალხი გაიშალა, გზა დაუგდო და მოთამაშეთ მეორე ნაწილმა დაუარა. ამათ ქუდი უნდა გაეტაცნათ და საკმაოდ მოშორებულს დანიშნულ ადგილზედ მიეტანათ, ხოლო მსხდომთ ან ქუდი არ უნდა დაენებებინათ, ან დაეჭირათ მისკენ გაქანებული მტაცებელი და, თუ ვინიცობაა, გაიტაცებდნენ, მსხდომნი წამოუცვივდებოდნენ, გამოუდგებოდნენ და ერთმანერთის მიშველებით უნდა წაერთვათ.

კარგა ხანს გრძელდებოდა თამაშობა, ბიჭები მხიარულად და ყიჟინით დარბოდნენ, გაიტაცებდნენ ქუდსა, იჭერდნენ გაქცეულებს. მსხდომნი იცვლებოდნენ და მაყურებელნი მხიარულის ყიჟინით აქეზებდნენ.

მოთამაშეთ შორის, რასაკვირველია, გელას და ონისეს გვარეულობის ბიჭებიც ერივა და თუმცა ერთმანერთს ნამდურავები ხმას არა სცემდნენ, მაგრამ საერთო თამაშობაში მონაწილეობას მაინც იღებდნენ.

თამაშობა წესზედ მიდიოდა, ერთბაშად მოისმა ყიჟინა და ზეზედ მყოფებმა იერიში მიიტანეს. ყოველის მხრიდგან მედგრად ეტანებოდნენ დაჩოქილებს, მაგრამ ისინიც ფრთხილად იყვნენ და მოწინააღმდეგეთ მარდად ექცეოდნენ. ვარსკვლავსავით მოსწყდა ვილაცა ახალუხა თხუთმეტ-თექვსმეტის წლისა, შეჰკრა რამდენიმე კამარა და, თვალის დახამხამებასთან ერთად, ქუდ მოტაცებული მიქროლამდა; წამოიშალნენ ყველანი, გამოუდგნენ გამტაცებელს,

მაგრამ დაწინავებული ბიჭი საკმაოდ დაშორებოდა და, დარწმუნებული თავის სირბილზედ, მხიარულად მიითამაშებდა.

— არიქა, გივარგი, არიქა, თორემ ქუდი წაილო! — მიუბრუნდა ერთი ბიჭი მეორეს, რომელიც იქავ ჯგუფობაში გარბოდა და ეკუთვნოდა მსხდომარეთ მხარეს.

— ონისეს სახლის კაცი არ იყოს, თავად ვიცოდი, მაგრამ ეხლა რაი ვქნა? — უპასუხა ყმაწვილმა ბიჭმა.

— რაი ონისე? — იკითხა პირველმა და გაჯავრებით დაუმატა: — რა დროს ონისეა, ღვთის მადლსა, ხედავ, ქუდი წაილო!

— სისხლი გვმართებს და მორიდება გვინდა.

— აუ! — გაიკამათა პირველმა: — სისხლი კი არა, ისა სთქო, ვერ დავეწევი და შერცხვენისა მეშინიან-თქო.

— აბა, მაშ მიცქირე! — დაიძახა გივარგიმ და გადახტა.

გადახტა და გაიძაბა, გაიძაგრა და იქამდის თავს ძალა მიაყარა, რომ ნეშტვები სისხლისაგან ამოებურცა. მალე დაეტყო, რომ სირბილში გივარგი სჯობნიდა, რადგანაც წინ წასულს თანდათან ჰკრეფამდა.

— არიქა! — თანაგრძნობით უძახდა ხალხი და აქეზებდა.

— გაიქე, გუგუაუ, გაიქე! — მიჰყიეინებდნენ მეორენი ქუდის წამღებს.

გუგუამ მოიხედა, თვალი შეჰკრა, რომ ვიღაცა დაახლოვებია, გაიღიმა და რბოლას მოუმატა.

ორნივ მირბოდნენ, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდათ, ორნივ გაჩუმებულიყვნენ და ცდილობდნენ გამარჯვება ერთმანერთისთვის არ დაეთმოთ, მაგრამ გივარგი თანდითან უახლოვდებოდა.

გუგუა ჩინებულად გარბოდა, მარდად იცვლიდა ფეხებს, დაღალვა არ ეტყობოდა, მაგრამ მეორე წამოსწვდა და თავმოწონებულმა შესძახა:

— სად წახვალ? — გაიშვირა ხელები და სწორეთ იმ დროს, როდესაც ხალხმა დაიძახა: „დაიჭირა, დაიჭირა!" — გუგუა განზედ გაუსხლტა და მეორის გაწვდილი ხელები აიცდინა; გიორგიმ თავი ველარ დაიმაგრა და მიწაზედ გაიშხლართა.

ხალხმა სიცილი დააყარა და უკან მოცქერილმა გუგუამ დაცინვით წამოიძახა:

— ბიჭაუ! მიწაზედ რაი ეგდო?.. წილი მეც მერგების!

წაქცეული გაწითლდა, მარდად წამოხტა და მალე ისევ წამოეწია. გამარჯვებით გათამამებულმა სცადა წელანდელი ხერხი ეხმარა, მაგრამ მეორეც გაფრთხილებული დაუხვდა. გუგუას გაბრუნებაზედ, ახალუხის ბოლოები ქარმა გაუფრიალა და გივარგის პირ-

დაპირ ხელში მისცა. დაჭერილმა რამდენჯერმე გაიბრძოლა, მეორემ არ გაუშვა და ახალუხი გაიხა.

— ეხლაც დაიკვეხე, გუგუაუ! — თავის რიგობაზედ გიორგიმაც ჩაიცინა და მკლავები მოხვია.

გუგუამ მხოლოდ ეხლა დაინახა, ვინც ებღაუჭებოდა და მოსისხლე იცნო.

— გივარგი! კარგია! — შეუტია დაჭერილმა და დაუმატა: — რას პირით მოსდიხარ?

— რაიც პირი მაქვს! — იმავე კილოთი მიუგო დამჭერმა.

— სისხლი გმართებსთ, არ იცი? მორიდება წესია და ადათი!

— ჩვენ კი არა, თქვენა გმართებსთ... თქვენ გაგვიწბილეთ ოჯახობა, ძმა დაგვაკარგვინეთ და მე უნდა მოგერიდო?

— გამიშვი! — დაუყვირა გუგუამ და ორივე ხელი გულში ჰკრა.

ორნივ ყმაწვილები, მაგრამ თავმომწონე და საკმაოდ გულადნი იყვნენ, ორთავეს მთის ჩვეულება და ხასიათი სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა; უეჭველი იყო, რომ ისინი მშვიდობიანად ველარ გადარჩებოდნენ; მაგრამ, საბედნიეროდ, მათგანს არც ერთს იარალი ზედ არა ჰქონდა, რადგანაც თამაშობაში იარაღის შემოხსნა სავალდებულო იყო.

— გამიშვი, გამიშვი! — დაუყვირა ისევ გუგუამ და ხელი გაავლო.

— არ გაგიშვებ, — უპასუხა გივარგიმ და ორთავ ერთმანერთს ხელი გაავლეს, შეუთამაშდნენ, შემოტრიალდნენ და განიყარნენ.

განს გასულები რაოდენსამე ხანს ერთმანერთს თითქოს თვალით ზომავდნენ და შემდეგ ისევ ერთმანერთს მიუახლოვდნენ, დაჰკრეს, დაიწყეს ჩხუბი და ცემა.

ხალხს, რომელიც მათგან საკმაოდ შორს იყო, ვერ მოეაზრა მათი ჩხუბის მიზეზი, როდესაც ერთბაშად იქავ მოესმა ყიჟინა, ხმაურობა, მუქარა და იარაღის ჩხარა-ჩხური. გუგუას და ონისეს ნათესაობისთვის ეს მცირედი შემთხვევა საკმარისი ყოფილიყო, რომ იარაღით ხელში ერთმანერთს დასტანებოდნენ.

მოჩხუბარნი ერთმანერთზედ მიდიოდნენ და ხალხს მათ დასამშვიდებლად ცოტა ჯაფა არ მოუნდა; ყველა გამშველებლად ჩაიჭრა, ყველა ამშვიდებდა, იჭერდა და მხოლოდ მშვიდობიანობა გამშველებელთ სიმრავლემ დაიცვა.

აღელვებული ხალხი საჩხუბრად აღარ გაუშვეს და ჩხუბის შედეგი კი მხოლოდ ორიოდ კაცის სუბუქად დაჭრა იყო.

ამას ბევრად არაფრადა სთვლიდნენ, რადგანაც ნასვამის ხალხი-

საგან ბევრად უფრო მომეტებული უბედურება იყო მოსალოდნელი.

გაიმართა შუაკაცობა, დამშვიდება, ჩაერია თემის სახელი.

ხალხი რაოდენადმე დაწყნარდა, მაგრამ მხიარულება კი აღარსად ისმოდა; საქეიფოდ მოსულნი — შუაკაცებად გადიქცნენ და ერთხმად დაიძახეს: „თემის ყრილობით გადაწყდეს, თემმა გაარჩიოს ეგ ორი გვარეულობა“.

ყველამ აშკარად დაინახა, რომ უამისოდ დიდი ცოდობრალი დატრიალდებოდა და თემობასაც დიდი ზარალი მიეცემოდა.

ამ დღიდგან ამ საქმეს ხალხმა მოჰკიდა ხელი და ერთის კვირის შემდეგ სამების საბჭოში თემის ყრილობა გაიმართა და შემდეგი გადაწყვეტილება დაადგინა:

„მაყვალა, როგორც მიზეზი ყველა ამ უბედურებისა, მოღალატე ქმრისა და მოვალეობისა, შემრცხვენი თემობისა და სახლისა, გამწბილებელი ოჯახობისა და ნათესაობისა, — შეკრულ იქნას და განდევნილ ხევიდგან.

„ონისე, როგორც დიაცის გამწბილებელი და მეზობლის ოჯახობის შეურაცხმყოფელი, შემრცხვენი ქუდოსანთ სქესისა, დამრღვევი თემის წესისა, გამტეხი მეზობლის სახლისა, — შეკრულ იქმნას და განდევნილ ხევიდგან.

„გელა, როგორც მეზობლის და მოძმის სისხლის დამღვრელი. მიზეზი ცოლის ყოფაქცევისა, დამნაშავე თემის მშვიდობიანობის დარღვევით, გამტეხი თემის პირისა (რადგანაც თემის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ცოლი ძალად დაიბრუნა), — შეკრულ იქნას და განდევნილი ხევიდგან.

„სამთავ ჩაესვათ სათემო სამანი, სამნივ თემისაგან მოწყვეტილ და შეჩვენებულ იქმნენ.

„დღეის იქით, — გააგრძელა თემის ნების დადგინების გადმომცემმა: — მოწყვეტილმც იქნებიან ჩვენის თემიდგან, მოშორებულხი ჩვენის კერიდგან, ჩვენის მიწიდგან და წყლიდგან... მათ აღარ ეღირსების არც ჩვენი ცრემლი, არც ჩვენი სამარე, არ შაეხება არც ჩვენი სალმრთო, არც ჩვენი საწირი. წყეულიმც იქნება, ვინც მაგათ ხელს გაუწვდის, მოწყურებულს წყალს მიაწვდის, შეციებულს დაათბუნებს და შებრალებულს ჰყოფს; წყეულიმც იქმნება და განდევნილი თემისაგან“.

— ომენ! — გაისმა ამ სიტყვებზედ ხალხის ხმა და გრგვინვასავით შეარყია ჰაერი. ძლევამოსილი დიდება ისმოდა ამ გადაწყვეტილებაში.

ყველა ჰგრძნობდა რაღაცა იდუმალებას, რაღაცა ძალას, რო-

მელსაც ანგარიშმიუცემლად ემორჩილებოდა, ემონებოდა და ყმად უხდებოდა.

ხალხი მიეხვია მიწას, მოთხარა ღრმა ორმო და ამისთანა შესაძრწუნებლის შემთხვევის მოსაგონებლად მაღალი ჴაჴის ქვა სამნად ჩასვა.

ამ დღიდგან გადამტერებული ორი გვარეულობა თემის შუაკაცობით შერიგდა და ორ მოსისხლეთ მაგიერ, ორს, ძმობით დაკავშირებულს, ერთმანერთისთვის თავგადადებულს, სახლობად გადაიქცა.

ხალხი დამშვიდდა, გამართა საღმრთო და საოჯახო ლხინის დროს გელას და ონისეს გვარეულობაში უფროსნი ძმად გაიფიცნენ, უმცროსები უფროს დედაკაცებს ძუძუზედ კბილს ადგამდნენ და შვილობილად უხდებოდნენ და ამგვარად საერთოდ ნათესავდებოდნენ.

განდევნილთათვის ძნელი ასატანი იყო თემის გარდაწყვეტილება, რადგანაც ამ დღიდგან ყოველისფერს ჰკარგავდნენ და თვით სულის მოსაბრუნებელი საშუალებაც კი ესპობოდათ...

მათ თემობაში ადგილი აღარა ჰქონდა და ამისთვის დაწყვეტილის, მოკლულის გულით გამოესალმნენ თვით წვრილს კენჭეპსაც კი, რომელთაც მათთვის ეხლა ფასი დასდებოდა და ისე ტკბილი, სანეტარო შექნილიყო.

## XIII

ქვეყნის ამაოებით თავმობეზრებული მოძღვარი ონოფრე, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ხალხს განშორებოდა და განდეგილად სცხოვრებდა ბურსაჭირის კლდეებში. მისი სახელი, გონივრობით და გულკეთილობით, სიწმინდით და თავგანწირულებით, მთაში შორს გავარდნილიყო. დაუზარებელი მლოცველი განუწყვეტლად მარხულობდა, არა თუ მხოლოდ ხორცით, არამედ ყოფაქცევითაც, რათა ხორცის შეწუხებით სული ღირსეულს სიმაღლემდის აეყვანა და მოძღვრის საპატიო სახელი დაემსახურებინა. ის იდგა უბრალოს გამოქვაბულს კლდეში, რომელიც ორს ოთახად განიყოფებოდა; სადგურის მორთულობას შეადგენდა ტახტად შეკრული სიპი ქვა, თავისგანვე უბრალოდ გაკეთებული ხის სტოლი და რამდენიმე სკამი.

ამის გარდა ჰქონდა ქვისგან აშენებული საკურთხეველი, რომელზედაც ჯვარი და სახარება ესვენა. კედლებში რამდენსამე ადგილს გამოთხრილს თახჩებში ელაგა სხვადასხვა ბალახები, თიხის

ჭურჭელი და სხვა იარაღი, რომელიც ექიმობის დროს სჭირდებოდა ხოლმე. ყოველთვის მარტოდ-მყოფელი სახორციელო ნაკლულევანებას სულიერის სიმდიდრით ივსებდა და სიღარიბეშიაც ახერხებდა თავის ცხოვრებით და მდგომარეობით კმაყოფილი შექმნილიყო. მუდამ მლოცავი, სულიერს განწმენდაში მყოფი, დაუზარებლად სამწყსოში მხოლოდ მაშინ გამოვიდოდა, როდესაც ვინმე ავადმყოფი სულით ან ხორცით მის სამსახურს მოითხოვდა. ამ შემთხვევაში, ღვთიურ სითბოებით აღსავსეს, დარწმუნებულს თავის მოქმედების სიწმინდისა, — მოხუცებულს ძალა ეძლეოდა განსაცვიფრებელის ბეჯითობისა და მუყაითობისა. ავადმყოფთან ის იყო ექიმი, დამყუჩებელი ტკივილისა, მოძღვარი და მჩვენებელი გზისა მართალთასა და მოამბე, მომგონებელი კაცთა დიდებისა.

ონოფრე ემსახურებოდა ხალხსა, სცხოვრობდა მისთვის და მაშინაც კი, როდესაც ყველასაგან განმარტოებული უზენაესს სულით უერთდებოდა, არ ივიწყებდა მოძმეთ, გულმხურვალე მოციქულად შექმნილი, სცდილობდა ქვეყნის კეთილდღეობისთვის. არასოდეს მამა ონოფრეს არ ენახა განსაცდელში მყოფი კაცი ისე, რომ თავის თავზედ ზრუნვა არ გადავიწყებოდა, პირველადვე სხვის შველის გულისთქმა არ გაღვიძებოდა.

ამგვარი კაცი, არ შეიძლება, რომ ხალხს არა ჰყვარებოდა, რწმუნება არა ჰქონოდა მისი და ამისგამო სულით თუ ხხეულით მრავალ დაერდომილთათვის მოძღვრის დანახვაც კი საკმარისი იყო გასამხნევებლად.

ხალხი უზიდავდა მას საზრდოს, როგორც მისთვის თავდადებულს, აფასებდა, მის სამსახურს და მით აკმაყოფილებდა მის გაურყვნელს და მარტივს მოთხოვნილებას.

მოძღვარს თავის თავი იქამდის მოკრძალებით ეჭირა, რომ ნების ნებად არც ერთს ცხოველს, არც ერთს ქმნილებას, ბუნებისგან გაჩენილს, ხელს არ ახლებდა, არ მოუსპობდა სიცოცხლეს და ცოდვათა სთვლიდა ქვეყნის საერთო მშვენიერებისგან მის გამოკლებას.

ერთხელ თავის მოგზაურობის დროს მან ნახა მთიელი, რომელიც გაცხარებული კეკლუცად ამართულ ხესა სჭრიდა და მით დაშვენებულს ადგილს საუკეთესო სურათს აკლებდა.

მთიელმა მოძღვარს თვალი შეჰკრა, მოიხადა ქუდი და მოწიწებით ლოცვა-კურთხევის მისაღებად მივიდა.

— შენდობა, მამაო! — გაუშვირა ხელები მთიელმა.

— შენდობილმც იქნები, შვილო! — უპასუხა მოძღვარმა, მაგრამ ხელი კი არ მისცა სამთხვევლად.

მთიელმა, უეჭველია, დიდს უბედურებად ჩასთვალა ამგვარი

შემთხვევა, რადგანაც ონოფრეს საქციელი წყრომად მიიღო და, ვინც გიყვარს, ვისაც თავის ცხოვრებით პატივი დაუმსახურებია, მისი წყრომა ადვილი ასატანი არ არის.

— მამაო, მომეცი ხელი, გემთხვიო.

— მოიცა, შვილო!.. — უპასუხა მოძღვარმა, მაგრამ ხელი მაინც არ მისცა და გაჩუმდა.

მთიელი გაფითრდა, იქამდის საგრძნობელი იყო ონოფრეს მოქმედება მისთვის.

— რა დავაშავე, მამაო? — ჰკითხა მან და, ცოტა სიჩუმის შემდეგ, განაგრძო: — მგონია, უქმი არ გამიტეხია, მარხვას არ შევრეულვარ.

— ცოდო მარტო ეგ არ არის.

— მაშ რა ვქენ, მამაო?

— შენ მოუსპე სიცოცხლე იმას, ვისაც ღმერთმა ქვეყნის დასამშვენებლად მიანიჭა იგი.

— ვისა, მამაო? — მთლად დაიბნა მთიელი.

— აი, შეხედე, — გაიშვირა მოძღვარმა ხელი და უჩვენა ნახევრად გადაპრილი ხე.

— რას მიბრძანებ, მამაო? ხეს ყველა სჭრის, — ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა მთიელმა, თუმცა აღშფოთება ეტყობოდა.

— და ყველა ცოდოს სჩადის, ვინც გაუჭირვებლად სიცოცხლეს უსპობს შემოქმედისაგან გაჩენილს... ვინც ეგრე იქცევა, ის აკლებს ქვეყანას ლაზათს და ლაზათის მიმცემს სიცოცხლეს... ეგეცა ხარობს, შვილო, და სცოცხლობს... რად წაართვი სიხარული, რად მოუსპე სიცოცხლე?

— შემინდე, მამაო! — მოიხარა თავი მთიელმა, რომელსაც მოძღვრის საუბარი ჯერ კარგად ვერ შაეგნო, მაგრამ მისმა ნდობამ, მასზედ რწმუნებამ დააჯერა, რომ მშვენიერის ხის მოჭრით მართლა ცოდვასა შვრებოდა.

— შეშა აღარა გვქონდა და გზასთან ეგ ხე უფრო მარჯვედ იდგა.

— ვიცოდი, რომ შეშად გინდოდა... შენი ურემი ვნახე და ნახევრად სავსე იყო... შეშად რადა სჭრი მაგას, როდესაც ღმერთის მაგისთვისაც უზრუნვია? უფალი უხვია და გონიერი... ტყისთვისაც ხარკი არ აუცდენია... უზენაესის განგებით ტყე ხმელს შეშას გიმზადებს და წაიღე, რამდენიც გინდა...

— გზასთან მარჯვედ იყო და... — სცადა მთიელმა კიდევ თავი გამართლებინა.

— მარჯვედ?.. მარჯვედგან რომ შენ წაიღებ, შენს შვილს რა-

ლას ეუბნები, რომელსაც შრომას უძნელებ... მარტო სიმარჯვისთვის არა გაქვს ნება მცენარესაც არის სიცოცხლე მოუსპო.

ამგვარად კარგა ხანს ელაპარაკა მოძღვარი და, სანამ სრული ლოცვა-კურთხევა არ აღირსა, სანამ არ დაარწმუნა, არ ჩააგონა, რომ ამგვარი შეუნანებლად დაუზოგველობა ქვეყნის სიმდიდრისა, მართლა, ცოდვა არის.

ასე სცხოვრებდა მოძღვარი, ასე ასწავლიდა თავიანთის სიმდიდრის გაფრთხილებას, შებრალებას თვით იმ ქმნილებათაცა, რომელთაც არამც თუ ლაპარაკი, არამედ დაკვნესებაც არ შაეძლოთ.

აი ეს მამა ონოფრე იყო ის გულმხურვალე მლოცველი, ის გულკეთილი მზრუნველი, რომელმაც ხალხისაგან განდევნილი და სიცოცხლისგან განწირული მაყვალა თოვლიდგან ამოიღო, სიკვდილს გადაარჩინა და თავის ქოხქვეშ შეიფარა.

ეს დედაკაცი საკმაოდ წვალებულიყო, რომ ადვილად გამობრუნება შესძლებოდა, მით უფრო, რომ მის გულს განუშორებელი სევდა მოსვენებას არ აძლევდა, და ამისთვის ონოფრემ მთლად თავისი ყურადღება, ექიმობის ცოდნა და მზრუნველობა მას მიაქცია. მოძღვარი აშკარადა ხედავდა, რომ ქალს, გარდა სხეულისა, სულიც დამძიმებოდა და მას განწმედა და განსპეტაკება ეჭირვებოდა; მაგრამ გონიერი, გამოცდილებით განვითარებული მოხუცი ყოველთვის არამც თუ ხელს, არამედ სიტყვას, თვით შეხედვასაც კი არიდებდა, რომ უნებურად მტკივანს ადგილს არ შეხებოდა, წყლულისთვის გმინვა და კვნესა არ დაეწყებინებინა და მით დასაახლოებელი გული არ განეფრთხო.

მას კარგად ესმოდა, რომ მძიმე ცოდვით დატვირთულს სულს მხოლოდ გამოთქმა მისცემდა შემსუბუქებას, მაგრამ ისიც აშკარად იცოდა, რომ ამ გამოთქმას აუცილებელის სარგებლობისთვის უეჭველად შენანებაც უნდა თან მოჰყოლოდა.

უამისოდ მარტო გამოთქმა, ასარება შეუნანებლად ვერ აგრძნობინებდა იმ ამაღლებულს იდუმალების ძალას, რომელსაც სულიერ ხორცამდის დალუპულის აღდგინება და ჩათხრილის, ჩაწყვდიადებულის გულის შუქით განათება შეუძლიან.

მოძღვარი არ სცდილობდა წაცდენით დაეწყებინებინა ლაპარაკი ცოდვილისთვის, როგორადაც ამ ხანში ონოფრე მაყვალას სთვლიდა, არამედ ათასის მაგალითებით უნდოდა გული მოელბო მისთვის, თავის თავად მოეყვანა შენანებაში და უანგარო რწმუნების ძალა გულის სიწრფელით ნათლად დაენახვებინა.

როგორც ღვთის მლოცველს და უანგარო ქრისტიანელს, ონოფრეს სწამდა, რომ ღმერთის უნებურად თმაც არ შეიძროდა თავზედ.

რასაკვირველია, ამგვარი კაცი მაყვალას გადარჩენას და მასთან მთაში შეხვედრას განგებას მიაწერდა. კაცობრივის გულკეთილობის გრძნობის გარეშე, მოძღვარს უბედური ისე მიეღო, როგორც ღვთისაგან დანიშნულს, რომელსაც გულმოდგინე სამსახურით მაშვრალი სული უნდა გამოეხსნა. განდეგილი ლოცულობდა, უქადაგებდა ჯვარცმის წინაშე და ნათლად უხატავდა იმ კაცის ცხოვრებას, რომელმაც ხორცი განუტევა და სისხლი დაანთხია მოსატევებლად ცოდვათა.

ერთს შაბათს საღამოს მოძღვარი ლოცვაზედ დადგა; დაჩოქილი მაყვალა გულმოდგინედ ღმერთს ევედრებოდა, როდესაც მოძღვარმა უკანასკნელად შეავედრა მეუფეს ღარიბნი ღატაკნი და დავრდომილნი ხორცითა და სულით, ქვრივნი, ობოლნი და უსავანონი, უკანასკნელად წარმოსთქვა „ამინ“, უკანასკნელად დაიწერა პირჯვარი, — როდესაც მწარე და კაცის შემზარებელი ქვითინი შემოესმა.

მოხუცმა მოიხედა და დაინახა, რომ დაჩოქილი მაყვალა, პირმიწას გაერთებული, სტიროდა და გოდებდა. მოძღვარი დაალქერდა, სახე გაუბრწყინდა და რწმუნებით ჯვარცმას ხელი მოჰკიდა. შემდეგ წყნარად მიუახლოვდა მტირალს და გამარჯვებულის ხმით წარმოსთქვა:

— ემთხვიე, შვილო!.. ზეციერი მამა შეგიწყნარებს, ჯვარი პატიოსანი შვებას მოგცემს... ილოცე, ილოცე, შვილო, რამე თუ ლოცვა განსწმედავს სულსა და მძიმეს ტვირთს შეუმსუბუქებს... იესო ტკბილი ქვეყნად მაშვრალთათვის იყო მოსული, მათ დასახსნელად გასწირა თავი და უკვდავმა სიკვდილი მიიღო.

— მამაო, მიშველე! — საბრალოდ წარმოსთქვა ქალმა და გულმხურვალედ განაგრძო: — არ ვიცი ლოცვა, არ ვიცი სიტყვა, რომ ღმერთს შევკადრო.

— ლოცვა მრავალსიტყვაობაში არ არის. — რწმუნებით და თანაგრძნობით უთხრა მოძღვარმა: — ყოველი სიტყვა, გულის სიწმინდით წარმოთქმული, ყოველი ამოსუნთქვა ზეციერის მამისაგან მიიღება, შვილო... არა სიტყვათა სიმრავლე იხსნის სულსა განსაცდელისაგან, არამედ გულისა სიწმიდე განანათებს გზასა უფსკრულსა ჯურღმულისასა.

— ო-ო, მამაო! — შვებით ამოიოხრა ქალმა და თვალები გაუბრწყინდა: — მაგ სიტყვების გაგონებაზედ გული მინათდების ზეციერი მამა შეისმენს ჩემს ვედრებას! ჩემგან დაღუპულთ ისევ გზას მისცემს.

— საკვირველ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი

შენნი! — წარმოსთქვა მოძღვარმა და მტკიცედ დაუმატა: — არა არის ცოდვა, რომელიც სრულის მონანების შემდეგ არ მიეტევოს!...

— დიდება მის ძალას და სულგრძელობას! — წარმოსთქვა ქალმა და აღგზნებული თვალები ჯვარცმას მიაპყრო.

ორნივ ასე იდგნენ გაჩუმებულნი, გაუნძრევლად და აღტაცებულნი. ორნივ განშორებულნი ამ სოფელს, სულით შაერთებოდნენ მოწყალე შემოქმედს, რომელიც მწუხარებაში იმდენს შვებას აძლევდა და დაკარგულს კვლავ სასარგებლოს წევრად უბრუნებდა ხალხს.

ერთბაშად მაყვალა გაფითრდა და შეკრთა; თვალი ველარ გაუსწორა ქვეყნისთვის წამებულის სურათს და აღშფოთებით თავი დახარა; მან დაიფარა თვალებზედ ხელი და კარგა ხანს ასე სულის კვეთებაში დარჩა. მას მოაგონდა ონისე, მოაგონდა გელა, რომელნიც მსხვერპლად მიეცა ხორცის ფუფუნებისთვის, მოაგონდა მთელის თემობის შერყევა, მათი ზნეობის და ჩვეულების დარღვევა მხოლოდ წუთის სიამოვნებისათვის, და გული მწუხარებამ გაუგმირა. პირველად იგრძნო ასე სამძიმოდ თავისი დანაშაული, პირველად ჩასთვალა თავისი თავი სრულს ცოდვილად. ჩასთვალა და იქამდის შეძრწუნდა ამ გრძნობით, რომ თავს მიტევების ღირსად აღარ ხადიდა და ღვთისადმი ლოცვით მიმართვა უზენაესის შეურაცხყოფად მიიღო.

— შვილო, რა მოგივიდა? — ჰკითხა ქალის გულისხმას მიხვედრილმა მოძღვარმა და ლმობიერად თავზედ ხელი დაადო.

— მამაო! — მუდარებით და ხმის კანკალით წარმოსთქვა ქალმა: — სული მიშფოთავს... მოუსვენრობას ვგრძნობ; ველარ ვლოცულობ!..

— ღირსეული რწმუნება ვერ მოგიპოებია, და მშვიდობაც სრული ვერ იქნება!.. თუ ცოდვა გაწევს რამე, მიანდე შენს მოძღვარს, იგი გიშუამდგომლებს ზეციერის მამის წინაშე.

დედაკაცმა მწარედ ამოიოხრა, შეხედა მოძღვარს, მაგრამ მაშინვე თავი დახარა.

— შვილო!... ვისაც მონანიება უნდა, მეტი რწმუნება და ნდობა უნდა ჰქონდეს!.. არ მენდობი?

— გენდობი, გენდობი, მაგრამ ლაპარაკი მიძნელდების, მიჭირდების.

— შვილო! შენა ხარ უმოწმოდ უზენაესისაგან დანიშნულს შუამავალთან... ამ წუთებში შენთან კაცი არ არის... არის მხოლოდ მოძღვარი, რომელიც მოისმენს იმას, რაც ზეციერს მამას უნდა გა-

დასცეს და ესხმება მხოლოდ მაშინ, როდესაც მასთან სულით იქნება შაერთებული... სხვა შემთხვევაში მოგონება გაგონილისა მიღალატებს, ნახული დამავიწყდება, ენამჭევრობა დამიდუნდება. ისმინე, რამეთუ ჰო — ჰო არის და არა — არა!

— მამაო, მჯერა, მრწამს შენი სიტყვები, როგორც ღმერთისა.— წარმოსთქვა მაყვალამ და დაწვრილებით, თავიდგან ბოლომდის უამბო თავის თავგადასავალი.

მოძღვარი მოუსმენდა სრულის ყურადღებით, თანაგრძნობით და მის უბედურებას უერთდებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ ამ წუთებში მოძღვრის მძიმე მოვალეობას აღსრულებდა და ქალის სიტყვებს განსაკუთრებითს ყურადღებას აძლევდა. ონოფრე თავის მოვალეობათა სთვლიდა, გარდა უბრალო მოსმენისა, ეშველა გაჭირვებულისათვის, მიეცა დასუსტებულის სულისთვის შვება და დაუძლურებულის, იმედგადაწყვეტილისათვის ხელახლად ნუგეში ცხოვრებისთვის საჭირო ყავარჯენად მიეშველებინა.

მოძღვარმა დახრილი და ფიქრით მოცული თავი აიღო, მიაპყრო თვალები ღვთისმშობლის ხატს და კარგა ხანს შეჰყურებდა. ეტყობოდა, რომ ლოცულობდა, ევედრებოდა მას, რათა შეძლება მისცეს, რომ ქალს გზა მართალთა დაანახოს და შერყეული ძალა ხელახლად აღუდგინოს.

— ცოდვილი ვარ, მამაო, და შემინდე! — წყნარად და გულის ცახცახით წარმოსთქვა ქალმა, როდესაც მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა.

მოხუცმა ერთი ხელი თავზედ დაადო, მეორე მაღლა აიშვირა და თვალებ ზეცისკენ აპყრობილმა, წყნარად წარმოსთქვა:

— ყოვლად წმინდაო მეუფეო!.. მხილველო ადამიანის გულისაო!... შენ უწყი ყოველისფერი... შენ მოწყალე და ლმობიერი ხარ... შეუნდე ცოდვილთა, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ!

ამ სიტყვებით მოძღვარმა ჯვარი მაყვალას ტუჩებთან მიუახლოვა და დედაკაციც რწმუნებით ემთხვია.

არც ერთს სიტყვაში, არც ერთს მოძრაობაში, არც ხმაში, არც კილოში მოძღვარს საყვედურის წარმოთქმის სურვილი არ დასტყობია და მისთვის უალერსა ისე ტკბილად, ისე მიელხო მაყვალას გულს სარწმუნოება.

რამდენადაც ძნელია მდგომარეობა, როდესაც გულს ნაღველი ვერ ამოუღვრია, იმდენად დამამშვიდებელს ნექტრად შეერგო უბედურს მაყვალას ახლად გაღვიძებული გრძნობა.

ამ დღიდგან, ამ წუთებიდგან მაყვალამ სიცოცხლე შესაძლებლად ჩასთვალა და შესაძლებლად დაინახა — ქვეყნისათვის და

ხალხისათვის თავის ცხოვრებით სარგებლობა მოეტანა. მალე შეეჩვია სამკურნალო ბალახების ცნობას და მოძღვართან ერთად ჰკრეფავდა, აგროებდა და შველოდა სნეულთათვის წამლების მომზადებას.

## XIV

ერთს ბნელსა და ავდრიანს ღამეს, როდესაც თითქოს ცა გახეთქილიყო და მიწას წალეკას უპირებდა, — ჭექა-ქუხილს ისეთი გრიალი გაჰქონდა, რომ კაცს ყურთასმენა ეკარგებოდა, წამდაუწუმ გაიელვებდა, თითქოს დედამიწას ცეცხლი ავარდაო, გაკვესებასავით რამდენჯერმე იფეთქებდა და ისევ შთაინთქებოდა, წყვდიადი უფრო მომეტებულის ძალით ჩამოაბნელებდა. სიტყვით, ღამე იყო ისეთი, რომ თვალში მიტანილს თითს ვერ დაინახავდით და ჩამონგრეულს, ნიაღვართან არეულს კლდეებს საჯოჯოხეთო გრიალი გაჰქონდა. ამას ემატებოდა გამედგრებული ქარიშხალი, რომელიც მაღალ ხეებს თავს ახრევინებდა, ძირიანათ ჰგლეჯდა და მცირე ხანს ჰაერში ტრიალის შემდეგ სადმე უფსკრულში გადასტყორცნიდა. ბუნება გამხეცებულიყო და ქვეყანას აღმოსაგველად შებრძოლებოდა.

ამ დროს მოძღვარი და მოწაფე მიმსხდარიყვნენ კერასთან, სადაც ცეცხლი გაჩაღებული იყო და გამოქვაბულს ანათებდა.

მაყვალა რაღაცა ბალახებს არჩევდა და მოხუცს კი მუხლებზედ მოქნილ-მოზელილი სუფთა ტყავი გადაეფარა; ზედ დაედო ერთი სიპი ქვა და მეორეთი ბალახებს ფშვნეტავდა და აფქვილებდა.

— მრავალძარღვაი კმარა, — უთხრა მოხუცმა და დაუმატა: — ახლა მელისკუდაი მომე.

— ბატარაი მეტი გავაკეთად, თორემ დაჭრილი ბევრი მოდის! — უპასუხა ქალმა.

— გვეყოფის. — მოკლედ მიუგო მოძღვარმა და განაგრძო:

— ამით თუნდა დუნიას უწამლებ. — ქალი წამოდგა და სხვა ბალახი მიუტანა.

მოხუცი ისევ თავის საქმეს შეუდგა და ქალი კი სატოლე ქსელს ჩაუჯდა და ქსოვა დაუწყო. ჩამოვარდა ისევ სიჩუმე, რადგანაც სახლში ყველანი გაჩუმდნენ და გარედაც თითქოს ბუნებაც მოღალულიყო და შაესვენა.

ერთბაშად ბოროტად დასწივლა ქარმა, იელა და ყველაფერი გაანათა, თითქოს ჰაერს ცეცხლი წაეკიდაო და მოისმა გამედგრებული გრგვინვა; წამოვიდა შხაპუნა მოუსვენარი კოკებრივი წვიმა და მას მოჰყვა გადმონგრეულის მთის გრიალი, გაქანდა თავქვე ხეო-

ბაში და საერთო დაყრუებულს ხუილში ხანგამოშვებით მეტის სიძლიერით ისმოდა ფრიალოზედ გადავარდნილის ლოდის დაცემა.

ქალი შეკრთა, პირჯვარი გადაიწერა და წარმოსთქვა:

— ტიალი, რა ღამეა?!

— ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი! — წარმოსთქვა მოძღვარმა და დაუმატა: — ბეჯითად უბედურებას რასმე მოახდენს.

— დაიხსენ, მეუფეო, ყოველი სული გაჭირვებისაგან! — სთქვა ქალმა.

— ამინ. — დაუმატა ონოფრემ და ისევ საქმეს შეუდგა.

ავდარი არა სწყნარდებოდა და ქარიშხალი ზუზუნს უმატებდა, თითქოს ხალხი უნდა დაერწმუნებინა, რომ არ მოღალულიყო და ძალა კიდევა ჰქონდა.

— ცა გასკდა, თუ რაი მოუვიდა? — გაწყვიტა სიჩუმე მოძღვარმა.

— გონჯა გაავდარდა, — მიუგო ქალმა და განაგრძო: — წყლები ადიდდების და შენ კი წასვლა გინდა.

— რაი ვუყოთ?.. სულ უფლის ნებაა. — დამშვიდებით წარმოსთქვა ღვთიურმა: — ავდარი ვერ დამადნობს და დაჭრილებს კი შველა უნდა.

— თუ კი შენ მოჰკვდები, — დაიწყო ქალმა, მაგრამ მოძღვარმა გააწყვეტინა:

— ჯერ სხვა და მერე შენი თავი... იზრუნე სხვისთვის, რათა სხვანიც შენთვის მზრუნველნი იქმნენ... ღმერთი დიდია და გულმოწყალე... ღმერთი დიდია და გულ-ლმობიერი, — რწმუნებით სთქვა მოხუცმა და ბალახს სრესა დაუწყო.

— ამაღამ წახვალ? — ჰკითხა მცირე სიჩუმის შემდეგ მაყვალამ.

— ამაღამ... რაი გინდოდა?

— არც რა... მაგრამ.. — შაფერხდა ქალი.

— მაგრამ რაი-და?

— გათენებამდის მოგეცადნა.

— რაისთვი?

— იმისთვი რო... — აღარ გაათავა ქალმა.

— სთქვი-და, რაღა! — მცირე მოლოდინის შემდეგ უთხრა მოძღვარმა.

— ბნელა და გზას ვერ გაიგნებ.. ავდარი გზას დახრამამდა, ხევებში წყალი ლორღს ჩაიტანდა და მთიდგანაც ქვა გორავს.

— ძნელია, მაგრამ უნდა წავიდე... ჩემის მიზეზით რო დაჭრილი ვინმე მოკვდეს, უფალს რაი-და პასუხი მივცე?

— აბა, რაი გითხრა! ღვთის პირით ლაპარაკობ... — სხვა ველარა

მოახერხა-რა მაყვალამ და მხოლოდ ეს-ღა დაუმატა: — უფალმა ხელი მოგიმართოს!

— შვიდია, მაყვალაუ, დაჭრილი... შვიდი კაცი მიმელის, ისე, როგორც სულის ცხონებას... იქნება შვიდივე ცოდვით დატვირთული სული მოძლვარს-ღა მიელის. შემიძლიან დარჩენა?

— არა, არა, ღვთის მადლმა!.. წადი, წადი, ნუღარ იგვიანებ... მე თავადაც რო შემეძლოს, გამოგყვებოდი!

მოხუცმა გაბრწყინვებული სახით შეხედა და თვალებზედ სიხარულის ნათელი დაადგა. მივიდა ქალთან და თავზედ ხელი დაადო.

— მეუფეო! — წარმოსთქვა იმან: — ღირს არს მუშაკი სასყიდლისა. მოხედენ!

შემდეგ მივიდა ჯვართან, რამდენჯერმე მუხლი მოუყარა გადიწერა პირჯვარი და წასასვლელად მზადება დაიწყო.

სანამ მოხუცი სამგზავრო ტანისამოსს იცვამდა, მაყვალა ტყავის პატარა ჩანთაში ულაგებდა წამლებს და ჭრილობისთვის საჭირო იარაღს.

— აბა, ქალაუ! მორჩი, თორემ მიგვიანდების.

— აი, მზადაა.—უპასუხა ქალმა და ჩანთა ქამარზედ ჩამოჰკიდა.

შემდეგ გაუშვირა ხელები, დახარა თავი და მოძლვარს ლოცვაკურთხევა სთხოვა.

— შვილო, ილოცე ცოდვილთა და მწუხარეთათვის... ზრუნვა ხალხისთვის უბედურს შვებას მისცემს. — უთხრა მოხუცმა და პირჯვარი გადასწერა.

ქალი ემთხვია ხელზედ, კარებამდის მიაცილა ონოფრე და უკანასკნელის გამოსალმების შემდეგ წყნარად და გრძნობით წარმოსთქვა:

— ღმერთო, შენ მოხედე დაჭრილებს, ღმერთო, ხელი მოუმართე მათთვის მზრუნველთა, ღმერთო, მშვიდობით მიჩვენე ჩემი მოძლვარი!

ქალმა გადიწერა პირჯვარი და ოთახს ლაგება დაუწყო. მალე მოასურნელა იქაურობა და, საკმაოდ მოღალულმა, ძილის მოახლოვება იგრძნო. შეახვია ცეცხლი, გაიხადა ტანთა და ის-იყო ხელი აიღო, პირჯვარი უნდოდა გადაეწერა, როდესაც გაუნძრევლად გაშეშებული დარჩა.

მას მოესმა, თითქოს კარს ვიღაცა მოაწვაო, მაგრამ მაშინვე ქარის წივილი გაისმა და დაწყნარებით წარმოსთქვა:

— ტიალი, რა ღამეა?! ღმერთმა ქნას, რო მშვიდობიანად გაიაროს!

გადიწერა პირჯვარი და თვალები მოხუჭა. მაგრამ საკვირველი

ეს იყო, რომ ძილი ერთბაშად გაუკრთა და ათასმა საგონებელმა წაილო.

ქალი ვერ მიმხვდარიყო, რა მიზეზით არ ეძინებოდა, რადგანაც ამ წუთის წინეთ კინაღამ ზეზეურ წაიქცა, იქამდის დაღალვასა და მოსვენების საჭიროებასა გრძნობდა.

ეს არ იყო შიში მარტოობისაგან აღძრული, რადგანაც მაყვალა მარტოობაში ერთხელ არ ყოფილიყო და არა ერთხელ პირისპირ შეხვედროდა განსაცდელს.

ეს არ იყო არც მეტისმეტად დასუსტებულის ადამიანის ძილის გაკრთობა, რომელიც ძარღვებს უდუნებს და სასარგებლო განსვენების საშუალობას უსპობს. მაშ რა უნდა ყოფილიყო:

ამას თითონ მაყვალაც ვერ გეტყოდათ. ისა გრძნობდა მხოლოდ, რომ ძილი უნდოდა და ვერ დაეძინა; დამშვიდება უნდოდა და გული რაღაცა გამოურკვეველს ცახცახში იყო. მოელოდა რაღაცას, მაგრამ რას?

მაყვალა დიდი ხანია ქვეყნისთვის მკვდარი იყო, განშორებოდა სოფლის ვნებას და, თუმცა ქვეყნად დადიოდა, მაგრამ ქვეყნის ფუფუნებისთვის აღარ ეცალა.

ამ ქალს მოეკლა, ჩაემარხა ყოველისფერი, რაც კი ხორცს სიტკბოების ნეტარებას აძლევს, უარეყო კაცის უტკბილესი მოთხოვნილებანი და, ხორცის მომკვლელი, სულის ამაღლებას და დიდებას შესდგომოდა.

მაშ რაღა უნდოდა?..

არ იცოდა, მაგრამ მოლოდინი კი ჰქონდა რიღასიცა და ეს მოლოდინი არ იყო გულის ნაზად მრხეველი, მისი დამყვავებელი და ნეტარების მქადნელი.

ის ელოდა რაღაცას, რომელიც გულსა ლევდა, უსიამოვნობას აღუძრავდა და, გამოურკვევლობაში ჩავარდნილს, რაღაცა უბედურება თითქოს ყურთან ბოროტად დასჩხაოდა.

მაყვალა უძლური შექნილიყო სულით; მაგრამ კიდევ მოისმა კარების მოწოლის ხმა. გაჩუმდა... არავინ არის... ამოისუნთქა მაგრად და ძალად გამოიწვია ის, ვინც ისე გაშორებოდა.

წუთს შემდეგ ქალი დაწყნარებით სუნთქავდა, რადგანაც დამშვიდებულს განსვენებას მისცემოდა.

დაწყნარდა ყოველისფერი და გაჩუმდა, მხოლოდ ქარი არ ისვენებდა და მაღლად ამართულს ასის წლის ხეებს თავს ახრევინებდა. ხანდისხან მთებს შეწყვეტებული წამოტრიალდებოდა და გამედგრებული გამოქვაბულის კარს მიაწყდებოდა. ქუხილი აღარ ისმოდა, მაგრამ მოქმუხვნილს ცაზედ ჯერ კიდევ ელავდა და ანათებდა

წარსულის ავდრით მოოხრებულს მიდამოს. თვით პირუტყვებიც კი თავთავიანთ სოროში მიმალულიყვნენ და გზაზედ გამოხედვაჯერ ვერ გაებედნათ.

ერთბაშად იელა კიდევ და ქოხის კარი გაშუქდა. გამოჩნდა მოჩვენებად ცოცხალი კაცი, რომელიც ნაბადში გახვეულიყო და იქავ კლდეს მიჰკუნჭოდა. მობრუნდა, მოტრიალდა ქარიშხალი და ისევ ქოხის კარს მიუვარდა. მის ძალას, თუ სხვა რომელსამე შემთხვევას, ველარ გაუძლო კარებმა, გაიღო და, აქამდის შეუმჩნეველი, ნაბდიანი განქრა. მიწა გაუსკდა და თან ჩაიტანა, თუ ფრთოვანს მავნეთ გადაქცეული ქარს გაჰყვა, — კაცი ვერ იტყოდა.

ჩაბნელდა და ჩაიხურა. ბუნებამ ისევ გამძვინვარებით ღრიალი დაიწყო, ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცვივდა და ქარმა გლოვიარის გოდება და ზუზუნი დაიწყო... მცირე ხანიც და მას შეუერთდა კივილი ღონემიხდილის ქალისა... ხმა ქარმა გაიტაცა ყღრიალით და, ვინ იცის, საით გადაქმანჯა. კიდევ ხმა კივილისა და ზედ მოჰყვა დამაყრუებელი დაჰექება, იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში გაეხვია...

## XV

მეორე დღეს დილით ყველაფერი დამშვიდებული იყო და შეუბრალებელს გამძვინვარებულს ბუნებას გული მოებრუნებინა. მოწმენდილი ცა გაკრიალებულიყო და მზის სხივი მთის წვერებს შესთამაშებდა. მართალია, მოოხრებული და განადგურებული დედამიწა მწუხრად გამოიყურებოდა, მაგრამ მზე მხიარულად ამოდიოდა და თითქოს ნუგეშის მისაცემად დასძახოდა:

— ნუ სწუხარ! კიდევ შევიძლებ შენს გათბობას, შენს გამშვენიერებას.

მთის სურნელოვან კეკლუცთ, მოსრესილთ, წარსულის ღამის შეუწყალებლობით, მისწდომოდა ეს ხმა და იმედით გაბრწყინვებულთ ნაზი თავები წამოეყოთ, გახარებული სახე გამოეჩინათ. ქოხის ქვევით ფერდოზედ გამოჩნდა რამდენიმე კაცი, რომელნიც გამოქვაბულისაკენ მოდიოდნენ. მათ შორის იცნობდით მოძღვარსაც თავის გათეთრებულის წვერითა და თმითა, რომელთაც მზის სხივი ვერცხლის ფრად აბჰყვრიალებდა.

ყველამ მოაღწია ქოხთან მახლობლად მდგარს ხესა, რომლისთვისაც ქარიშხალს თავისი ნიშანი დაედო და იქ დასხდნენ.

ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა იმ საედემო ადგილას, რადგანაც სევდა-მომცველის ღამის შემდეგ გაკაშკაშებულს დღეს ფასი

უორკეცდებოდა. მართალია, ბუნება წუხელ მკაცრად მოჰქცეოდა ყველას, შეუბრალებლად დაეჩაგრა ყველაფერი, მაგრამ წყრომა დღეს მოწყალებად გადაექცივა, მობუზულ-დაღვრემილი მიწა კეკლუც პატარძლად მოერთო.

ყველანი ლაქლანდარობდნენ, ხუმრობდნენ და კეკლუცად გალიმებულს ბუნებას სიამოვნებით შესცინოდნენ. მათ შორის მხოლოდ მოხუცი დაღონებულიყო, დაფიქრებულიყო და რაღაცა უგუნებლობაში ჩავარდნილიყო.

— თუ არ დაიღალე? — მიუბრუნდა ერთი მთიელთაგანი, რომელმაც მოწყენა შეამჩნია.

— არ ვიცი, ღვთის მადლმა, და უგუნებოდ კი რასმე ვარ, — უპასუხა მოძღვარმა.

— ავადმყოფებთან როდის-ღა წახვალ? — ჰკითხა ვიღაცამ.

— ამაღამ არა უნდათ-რა და ხვალ, თქვენ რომ დაბრუნდებით, ერთად წავიდეთ. — სთქვა მოძღვარმა, შესდგა მცირე ხანს და განაგრძო: — მაინც შორი გზა გაქვსთ და აქ კი ძალუმ წყარო არის, მაი, ცოტა შენაყრდით, თორემ გზაში მოგშივდებათ.

— არა, შენი კვნესა-მე, არ გვინდა... სულ... მუდამ ჩვენი პატივისმცემელი ხარ. — უპასუხეს თანამგზავრებმა.

— რაი პატივისცემა!.. პატივცემული მე ვარ თქვენგანა, რო თქვენის წყალობით ვცხოვრობ.

— ეგ კი არა, შენ რომ პირი დაგებანა და წყალიც ბატარაი დაგელია, ღვთის მადლმა, გულს გიპოვიდა, — ურჩია ერთმა.

— უზმოზე რაი-ღა წყალისაა? — წარმოსთქვა მეორემ.

— დალევით კი არ დავლევ და პირს კი დავიბან, — სთქვა მოხუცმა და მივიდა წყაროსთან, რომელიც იქავ მხიარულად გადმოჩუხჩუხებდა.

მოძღვარს სახე უხურდა და ცივის წყლის მიკარებამ რაოდენიმე სიამოვნება აგრძნობინა, მაგრამ გული მაინც ვერ გაუხსნა.

— ღვთის მადლსა, ერთად შევჭამოთ რამე... თქვენთან მეც გულს გადავაყოლებ, თორემ გონჯად რასმე ვარ.

— შენ იცი, შენა. — ხათრი ველარ გაუტეხეს ონოფრეს, რომელმაც სიამოვნებით წამოიძახა:

— აი, ეხლა კარგად შევიქნები! — და გასწია შინისკენ.

მოხუცმა შეაღო გამოქვაბულის კარი და გაუკვირდა, რომ მაყვალა არ მიეგება. იფიქრა, რომ მეორე ოთახში იქნებაო და იქით გასწია. შეიხედა და დაინახა, რომ ქალი თავის საგებელში იწვა და ნაბადი თავზედა ჰქონდა წახურული.

— მაყვალაუ!—წყნარად წამოიძახა მოხუცმა:—მაყვალაუ, გძინავს?

მოძღვარი დააცქერდა, რადგანაც ქალი არ ინძრეოდა და შებრალებით წარმოსთქვა:

— ბეჩავს, უთუოდ წუხელის არ ეძინა... იყოს, იყოს, არ გავაღვიძებ.

ამ სიტყვებით წყნარად და სიფრთხილით გავიდა ისევ პირველს ოთახში და საუზმის მზადება თავად დაიწყო; წუთს შემდეგ შინაური არაყი, პური, ყველი და მოხარშული ლორი მიჰქონდა სტუმრებისკენ.

ხალხმა იცოდა, რომ მოძღვარს ვიღაცა უბედური ქალი ჰყავნდა შეფარებული, მაგრამ მისი ვინაობის გამოკვლევას ვერავინა ჰბედავდა.

— აქ ერთი ქალაი მყავს, უპატრონოა ბეჩავი და თავი ჩემს ქოხს შემოაფარა, — მისვლის უმალ დაიწყო ონოფრემ: — წუხელის ავდარმა თუ არ მოასვენა, მარტოკაი იყო და ეხლა კი დასძინებია.

— ბეჩავი, — უპასუხეს სხვებმა, ჩამოართვეს ხორაგით სავსე ხონჩა და მინდორზედ დადგეს.

— მეტად ხშირი ეძინა, და ველარ გამოვაღვიძე, — დაიწყო ისევ მოძღვარმა: — თორემ, ღვთის მადლმა, უკეთ დაგიხვდებოდით.

— ღვთის მოწყალება მრავალია, შენი კვნესა-მე, შენს შეწუხებას ღირსნი არა ვართ... რაი გვინდა ამაზედ მეტი?—ერთხმად უპასუხეს სტუმრებმა და ყველანი ხონჩას გარს შემოუსხდნენ. დაიწყეს პურის ჭამა და რამდენჯერმე მოიარა ყანწმაცა. არყით სავსე ჭურჭელი საკმაოდ მოზრდილი იყო, „შინაური" საკმაოდ მაგარი და გამამხიარულებელი სასმელი გამოდგა, მოძღვარი — გულით ქართველი და, მაშასადამე, წესიერად მომლხენი; ყველა შეწითლდა, შეზარხოშდა და სახე გაუღიმდა.

პირველს ჭურჭელს მოჰყვა მეორე, მეორეს — მესამე, და გაიმართა „სმურები; ე. ი. ლექსებად სიტყვის წარმოთქმა, რომელიც ისე ალაზათიანებს მთიელთ სუფრას და სიცოცხლეს აძლევს.

საუზმე სადილათ გადაიქცა, სადილი — სამხრათ და, როდესაც აიშალნენ, მზე საკმაოდ გადახრილიყო.

გუდამაყრელები მთაში მიდიოდნენ; სასოფლო საბალახე უნდა აეღოთ და, რაკი იქიდგან ხვალ უნდა დაბრუნებულიყვნენ, მოძღვარმა პირობა მისცა, რომ დაუცდიდა და უიმათოდ სოფელში არ წავიდოდა.

სტუმრები გამოესალმნენ მასპინძელს და თავის გზას გაუდგნენ; მასპინძელმა კი აალაგა ჭურჭელი და სახლისკენ გასწია.

ონოფრეც, ცოტა არ იყოს, შეზარხოშებულიყო და ამისთვის წყნარად ღიღინებდა, როდესაც გამოქვაბულში ფეხი შედგა.

— აჰუ, მაყვალაუ! — კარებიდგანვე დაიძახა იმან, რადგანაც წელანდელსავით ქალი ეხლაც არ მოეგება, და ეგონა, რომ ეძინა: — ამდენი ძილიც გაგონილა?.. ბეჩაუ! მზე გადიწვერა.

რადგანაც ქალმა კიდევ პასუხი არ მისცა, მოძღვარი შევიდა იმ ოთახში, სადაც წელან მწოლარე ქალი ნახა და შესვლის უმალვე შესდგა და ყურება დაუწყო.

მაყვალა ისევ ისე გაუნძრევლად იწვა, რომ ამას იტყოდით ერთის გვერდიდგან მეორეზედაც კი არ გადაბრუნებულაო, ხელიც კი არ გაუქნევიაო.

— ქალაუ, რაი მოგივიდა?.. ავათ თუ არა ხარ? — სცადა გამოლაპარაკება მოძღვარმა.

პასუხად ისევ სამარის მსგავსი სიჩუმე ჩამოვარდა. ქალი არ შეინძრა.

— მაყვალაუ... მაყვალაუ! — გაფითრდა მოხუცი და ცივმა ოფლმა დაასხა. — მაყვალაუ! — გაიმეორა იმან და რაღაც აღშფოთება იგრძნო.

გაოცებული და რაოდენადმე შეშინებული მოხუცი მიუახლოვდა საგებელს და ნაბადი მოუთმენლად გადახადა და უკან მოწყვეტებულს, მუხლები ჩაეკეცა, გაფითრდა, გაქრქოლდა და პირისახეზედ ხელები დაიფარა. მთელს მის არსებას დაეტყო წარმოუთქმელი მწუხარება.

მოხუცმა დაინახა სისხლი, რომელიც მაყვალას მკერდზედ და პერანგზედ შეშრობოდა და შეამჩნია გულს ახლოს საკმაო ღრმა და განიერი იარა.

მოხუცს სასმელიც კი სწრაფად გამონელდა, იქამდის ძლიერი იყო ზარი, რომელიც მას დასცემოდა. გონებადაკარგულს, ტვინი ენთებოდა, თვალთ უბნელდებოდა, გული ელეოდა, ეწურებოდა და ღონე ველარ მოეკრიბა.

გონებადაკარგული, თავდავიწყებული, ისა ჰგრძნობდა, რომ საშინელი უბედურება ეწვია, მაგრამ კარგა ხანს ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის, — რაში მდგომარეობდა ეს უბედურება. შემდეგ, როდესაც მცირეოდნად გამოფხიზლდა, შესძლო ხელახლად დაენახა გულის გამგლეჯი სურათი, მის შესახებ მოაზრება დაიწყო.

იმის წინ იდო გვამი მით უფრო თანაგრძნობის ღირსისა, რომ უბედურს უკვე ეგრძნო დანაშაული, ცოდვა მოენანებინა და, ბოროტ გზას მოშორებულს, გზა მართალთა ამოერჩია.

მოძღვარი ჩასცქეროდა შეწუხებული და გულმოკლული მაყვალას პირისახეს, რომელსაც თვალები ღია დარჩენოდა და დამცინველი ღიმილი ტუჩებზედ დასთამაშებდა, თითქოს მით საყვედურს ეუბნებოდა ხალხსა მათის უსამართლობისათვის.

მოხუცს თმა ტყრშიალით აღმა აეშალა და მწუხარე, სევდამოცულის თვალებიდგან ცრემლი ნაკადულათ გადმოედინა. აშკარად დაინახა, რომ ვიღაცის უწმინდურს ხელს მაყვალასთვის სიცოცხლე მოესპო, მზე დაებნელებინა!.. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ის ულმრთო, შეუბრალებელი მტარვალი, რომელმაც ასეთი უკაცური სისასტიკე გამოიჩინა.

მოძღვარმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალაც და შეიქნა ისევ ის, რაც ყოველთვის იყო ხოლმე. მის გულს ახალი სევდა მისწვდა, რადგანაც ერთის ნაპოვნის მოკვლით მწყემსი ჰკარგავდა მეორე ცხოვარსა, რომელიც ონოფრეს გულისთვის მაყვალასთანავე საყვარელი და საზრუნველი უნდა ყოფილიყო.

ონოფრემ აღაპყრო ხელები და ცრემლით დალორთხილი თვალები მიაქცია ჯვარცმას და წყნარად, მაგრამ გრძნობით, წარმოსთქვა:

— მეუფეო, სასუფეველსა შინა, წმიდათა შორის, მიიღე მხევალი შენი მაყვალა!.. მიუტევე შეცოდებანი ცოდვილთაცა, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ!

წარმოსთქვა ეს სიტყვები მღელვარებით, გრძნობით და პირველად, მხოლოდ პირველად გაურბინა თავში აზრმა — ჰქონდა მას უფლება მაყვალას მომკვლელისათვის უზენაესის წინაშე ეშუამდგომლა, თუ არა, და გაჩუმდა.

დიდ ხანს არ აშორებდა თვალებს მაცხოვრის ხატს, რომელიც იქავ კედელზედ ეკიდა, დიდ ხანს შესცქეროდა მოწყალების გამომთხოვნელის თვალებით და ამღელვარებულის სულის კვეთება სახეს ათასგვარად უცვლიდა.

ბოლოს გადიწერა პირჯვარი და რაოდენადმე იმედმიცემული წამოდგა და მტკიცედ წარმოსთქვა:

— არა არს შეცოდება, რომელიც ცრემლით არ იყოს განბანილ და მონანებით განწმენდილ.

ონოფრემ გახადა ცხედარს, გაბანა და მოასურნელა; გამოიტანა მეორე ოთახში, დაასვენა სკამზედ, აუნთო წმინდა სანთლები და დაჩოქილმა ისევ ლოცვა დაიწყო.

ლოცულობდა ამ დედაკაცის სულისთვის, ლოცულობდა მის მომკვლელისთვის, ლოცულობდა იმ ხალხისთვისაც, რომელთა მკაცრმა გადაწყვეტილებამ სუსტი ქმნილება ამ მდგომარეობაში ჩააგ-

დო, იმ ხალხისთვისაც, ვისაც სახალხო წესთა და დებულებათათვის ხელი შაეხო.

ამ წუთში მოძღვარი მტრებს არა ხედავდა, მის თვალწინ იდგნენ ვნებით მოცულნი, სულით დავრდომილნი ავადმყოფნი, რომელთათვისაც მოძღვარი ისე გულმხურვალედ განთავისუფლებას, გონების განათლებას ითხოვდა.

ინოფრე ლოცულობდა მხურვალედ და მიტევებაში წარმოუთქმელს სულგრძელობას გამოიჩენდა; განშორებული ცოდვილს მიწას და მის მცხოვრებთ, შაერთებოდა ზეციერს მამას და, ამაღლებულს სულით, კაცთა ვნებანი აღარ მიჰკარებოდა.

გაიარა კარგა ხანმა, სადილობა გადავიდა, შემოღამდა კიდეც, მაგრამ მოხუცი ისევ იმ ვედრებაში იყო, ისევ იმ ლოცვაში და ხორცდავიწყებული, სულს ასაზრდოებდა.

ერთბაშად გარედგან ძახილი შემოესმა, მოძღვარი შეკრთა და ხმაზედ მთაში საბალახის ასაღებად წასული მწყემსები იცნო. გადიწერა პირჯვარი, გადასწერა ცხედარსაც და წყნარად გავიდა.

მოძღვრის დანახვის უმალ მთიელები მხიარულად მოეგებნენ და მშვიდობასა ჰკითხავდნენ. მოხუცმა შეხედა სევდა-მოცულის თვალებით და წყნარად წარმოსთქვა:

— ხალხო, სიცილის დღე აღარა მაქვს... გული სევდამ დასთრთვილა და დაადუღრალა.

— რაი ანბოვია, რაი ანბოვი?! — მისცვივდნენ გუდამაყრელები თანაგრძნობით.

— ქოხში მკვდარი მისვენია. — მოკლედ წარმოსთქვა მოხუცმა და თვალებში ცრემლები მოერია.

— მკვდარი? — გაოცდნენ მთიელები და წუთის სიჩუმის შემდეგ ერთმანერთს კითხვას აღარ აცლიდნენ: — ვინაა, სადაურია, რამ მოკლა?

— იქ ასვენია, ჩემო ძმანო! საბრალო მსხვერპლი ვიღაცა გზადაკარგულის ბოროტმოქმედებისა... ჩვილის და უღონო ქმნილებისათვის, რომელსაც თავის დაცვა ვერ შესძლებია, სამარცხვინო ხელს სიცოცხლე მოუსპია... მოკლული — დედაკაცია...

— დედაკაცი! — მომეტებულად გაკვირდნენ მოსულები, რადგანაც დედაკაცის მოკვლაზედ უმეტესი დამცირება დამნაშავისა არ ესმოდათ.

ჩამოვარდა სიჩუმე, რადგანაც ამგვარმა შემთხვევამ ხალხი მეტისმეტად გააბრაზა. ყველა იქ მყოფი ავაზაკის მოქმედებას ისე უყურებდა, როგორც პირად თავის შეურაცხყოფას და გულით ისურვებდა დამნაშევისთვის გადაეხადნა.

— მოგიკვდეს ჩემი თავი! — წამოიძახა ერთმა: — მოგიკვდეს, რომ იმ დროს ვერ შევხვდი!

— აი, ბედნიერაი შეხვდებოდა! — ნატვრით დაუმატა მეორემ და პირისახეზედ ყველას ისეთი აღშფოთების ბეჭედი დაეტყო, რომ კაცს შესახედად შეზარდებოდა.

— მამაო, გვითხარ, ვინ მოჰკლა? გვითხარ! — ერთხმად წამოიძახეს მთიელთა და ხანჯლებს ხელი გაივლეს.

— არ ვიცი, შვილო!.. ცოდომორეულს, უბედურს ვერ მოვასწარი.

— არა, არა, მოძღვარო... შენა მალავ, იფარავ... მომკვლელმა ჩვენ მოგვაყენა სირცხვილი... სათემოდ ჩვენ მოგვეხვია თავზედ და დამნაშავე უნდა ვიპოვნოთ... ქალის სისხლი გადახდევინებას ითხოვს, თემის შერცხვენა — თავის გამართლებას... მოგვეც ჩვენი შემრცხვენი, რომ ვალი გადავუხადოთ.

— ძმანო!.. არა სისასტიკითა, სისხლითა და ხმლითა მოიქცევიან ცოდვილნი, არამედ შთაგონებითა შეინანებენ ცოდვათა თვისთა.

— მღვდელო!.. ღვთის კაცი ხარ და ღვთის სიტყვით ლაპარაკობ... მაგრამ მაგ საქმის დამალვა არ იქნების! ცოდობრალი მოხდა და მომხდენი კი არა ჩანს... ყველას გული წაგვიხდების ერთურთზედ... ერთმანერთზედ ეჭვი გვექნების... ნდობა დაიკარგების და მეზობლობა დაირღვევის... გვითხარ, ვინ მოჰკლა?

— არ ვიცი.

— შემოგვფიცე.

— მე არ ვფიცულობ, რამეთუ ჩემი ჰო — ჰო არის და არა — არა. — უპასუხა მოხუცმა, გაიმართა წელში და ისეთის ღირსებით და ძლევამოსილებით შეხედა, რომ მთიელებმა თავი დახარეს და კითხვის გამეორება ვეღარ გაბედეს.

დარწმუნდნენ, რომ მოძღვარი მართალს ეუბნებოდა, მათ წინ გაეშალა გული და იმდენი სიგულადე შერჩენოდა, მომკვლელის სახელი რომ სცოდნოდა კიდეც — პირდაპირ ეტყოდა: — „მე ვიცი მომკვლელის სახელი, მაგრამ არ გეტყვით, არ გეტყვით, რამეთუ არა კაცია მსაჯული ცოდვილთა, არამედ მეუფე, მჯდომარე მარჯვენასა მამისა თვისისასა“.

— ქალი ვიღა არის? — იკითხა ბოლოს ისევ იმ მთიელმა, რომელიც დანარჩენებზედ მოხუცებული იყო და მასთან მყოფებზედ უფროსობდა.

— დავრდომილი, განწირული სოფლისაგან, რომელმაც თავშესაფარებელი და სულის დასამშვიდებელი ბინა ჩემს ქოხში იპოვა...

ის იყო ცოდვილი, მაგრამ დიდსულოვანი... ხანგრძლივის შენანებით მან დაიმსახურა სასუფეველი... ვილოცოთ განსვენებულის სულისთვის, რამეთუ დაკარგული ხელახლად იპოვა იესომ. — მოძღვარმა დაიჩოქა და მის მაგალითს დანარჩენებიც მიჰყვნენ.

ყველამ მოიხადა ქუდი, გაკმინდა ხმა, გაჩუმდა და გაჩქურდა; რა სიტყვებით მიემართათ ღმერთისადმი, არ ისმოდა; მხოლოდ მათ სახეს რაღაცა დიდებულების ბეჭედი დასტყობოდა და თვალებში საიმედო ძალის მომცემი რწმუნება გამოხატვოდათ.

კარგა ხანი იდგნენ ამ სიჩუმეში; განძრევითაც კი არავინ განძრეულა, როდესაც მოძღვარი წამოდგა და წყნარად წარმოსთქვა:

— ძმანო, განქრა ერთი სანთელი, რომელმაც სიცოცხლითვე მოასწრო ქრისტიანობის ლამპარი სარწმუნოებით გაეშუქებინა... გარდაიცვალა ქრისტიანე და მიშველეთ, ქრისტიანობის უკანასკნელი წესი შევუსრულოთ.

— გვიბძანე, შენი კვნესა-მე, გვი!

— მიწისგან გაჩენილი, მიწასვე მივაბაროთ.

რამდენიმე საათს შემდეგ ვიწრო და ღრმა სამარე, ნოტიო, შავის მიწისა, მზად იყო.

გამოასვენეს წყნარად და მოკრძალებით ოდესმე სიცოცხლით სავსე მაყვალას გვამი და ერთის წუთით დაასვენეს სამარის პირს, რომ მოძღვარს უკანასკნელი სალამი ეთქვა, მოძმენი უკანასკნელად გამომშვიდობებოდნენ, და ჩაასვენეს საუკუნო სამყოფელოში.

— მიწა ხარ და მიწად იქეც, — მოისმა უკანასკნელი სიტყვები და საფლავი მალე გაივსო, გაიჭედა მიწით, რომელმაც მაყვალა სამზეოს საუკუნოდ გამოასალმა...

ამ დღიდგან, თითქმის ყოველდღე მზის ჩასვლისას, ნახავდით საფლავის პირს ქუდმოხდილს, დაჩოქილს მოძღვარს, რომელიც უზენაესს ევედრებოდა განსვენებულის სულისთვის და შესთხოვდა, რომ მისი მომკვლელი მოებრუნებინა და მიეცა ძალა შეეგნო, მოენანია შეცოდება თვისი.

## XVI

მაყვალას მოკვლა მეტისმეტად შემაძრწუნებელი შემთხვევა იყო, რომ ამაზედ ხმა მთელს მეზობელ თემობას სწრაფად არ მოსდებოდა და საზრუნველ-სალაპარაკოდ არ გახდომოდა.

ქალის მკვლელობა გუდამაყრის ხეობის თემის მაზრაში მოხდა და მთის კაცისათვის ასეთი წარმოუდგენელი შერცხვენა ამ ხალხს საჯაროდ დაედო.

ხალხი ჰგრძნობდა თავის მდგომარეობას, ცდილობდა დამნაშავე

ალმოეჩინა და სირცხვილი თავიდგან მოეშორებინა. თუნდა ესეც არ ყოფილიყო, იმ ხანში თავიანთ საქმეებს ჯერ კიდევ ხალხი თითონ განაგებდა და, მაშასადამე, მოვალე იყო დამნაშავე ალმოეჩინა და ღირსეული სასჯელი მიეყენებინა.

იმ ხანში თემობას ჯერ კიდევ ხელში ეჭირა ხალხის მართვა, რადგანაც ახლად შემოღებულს წესებს ჯერ კიდევ ფესვები ვერ გაედგა, ვერ გამაგრებულიყო და, თავის სურვილისავე წინააღმდეგ, ხელს ყველგან ვერ აწვდენდა. ის ჩაერეოდა ხოლმე მხოლოდ იმ საქმეებში, რომელიც გარეშე პირთა მეოხებით მათ ყურს მისწვდებოდა ხოლმე.

მაყვალას მოკვლის საქმე მხოლოდ ხალხში დარჩა და მისი გამორკვევა და გარჩევაც მას მოეხვია თავზედ. მაგრამ არც გულმოდგინე მეცადინეობა, არც გონივრული განკარგულება მათ არა შველოდა; დამნაშავე არსადა სჩნდებოდა, თითქოს ან მიწას ექნა მისთვის პირი, ან წყალს ჩაეყლაპა და ყველასთვის საუკუნოდ საიდუმლოებით დაფარულიყო.

ჰქონდათ მცირედი ეჭვი გელაზედ, ონისეზედ, მაგრამ ამგვარს საქმეში კაცზედ ბრალის მიტანა, მხოლოდ მცირედის ეჭვით, მეტად ძნელი იყო და საბუთი კი არა ჩნდებოდა-რა.

ხანი მიდიოდა წყნარ-წყნარად, ხალხი ძრწუნვით ითხოვდა ავაზაკის პოვნას და გადახდევინებას, მაგრამ საქმე იოტის ოდნათაც წინ არ მიდიოდა.

ერთს დროს თემობამ გელა და ონისეც კი დაიბარა, რომ მათთვის ეკითხნათ ამ საქმის შესახებ, მაგრამ გაგზავნილი კაცები უკან ხელცარიელნი დაბრუნდნენ, რადგანაც ვერც ონისე და ვერც გელა ვერ ეპოვნათ.

ეჭვი დარჩა ეჭვად, ხანმა და დრომ კი შემაძრწუნებელი შემთხვევა წყნარ-წყნარად გადაავიწყა.

ცხოვრებამ ჩვეულებრივი მდინარეობა მიიღო, როდესაც ერთს ზაფხულის საღამოს მოძღვარი ონოფრე თავის ქოხის კარებზედ გამოსულიყო და დაღონებულის სახით გუდამაყრის ხეობას გასცქეროდა.

საქონელი, რომელიც მწყემსებს მთაში მიჰყავნდათ, უცხოდ შეფენილიყო ზურმუხტოვანს ფერდოებზედ და მზის შუქზედ თეთრად ბიბინებდა. ცხვარი მიეზიდა ნოყიერს, სურნელოვან ბალახს და გაწაძებულიყო. აქა-იქ ფერდოების თავზედ მოჩანდნენ ნაბადწამოსხმული და ქუდგვერდზედ მოგდებული მოდარაჯე მწყემსნი, რომელნიც ხანგამოშვებით ქვას დასწვდებოდნენ და ემმაკად გადაქცეულს თხას, მუდამ კლდეებისკენ მიმბრძოლავს, მოსაბრუნებლად

ესროდნენ, დასჭყივლებდნენ და ჭყივილის შემდეგ მაღლად, ზარსავით უზადო წკრიალას ხმით შემღერდნენ:

მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არავინა მყავს მობანე,
მაისის წვიმავ, წამოდი
გული სევდისგან გაბანე,
ნიავო, წყნარად დაჰქროლე,
ფოთოლს ტაშ დააკვრევინე,
სწორის არ გამტანს, უფალო,
ცხვირი სადმ წააკვრევინე.

მას ხმას მოსცემდა მეორე, მეორეს მესამე და ერთმანერთს შელაღებულნი, შაირით ბაასს გამართავდნენ, ლექსთა გამოთქმით გაჯიბრებულნი აღარ ისვენებდნენ. მათგან ყველამ იცოდა, რომ იქავ მეზობლად ქალებიც იყვნენ და ამისთვის უწმაწურს სიტყვებს ყველა ერიდებოდა.*

ონოფრე გასცქეროდა ამ მხიარულს, სიცოცხლით და მოაზრებით სავსე ხალხსა, რომელთა გულის ლაღობა ვერც მთის ბუნების სიძნელეს დაეჩაგრა, ვერც რომელსამე სხვა გარეშე ვითარებასა.

შესცქეროდა მოხუცი და თავისი სიყმაწვილე აგონდებოდა.

ონოფრეს სიცოცხლის გაზაფხული გამოევლო, ენახა აღშფოთებული, მჩქეფარე წუთები, გამოეცადა გულისა და სულის მღელვარება, სიტყვით, ის მთრთოლარე მდგომარეობა, როდესაც სისხლი სდუღს და გადმოდის, როდესაც თვით სიცოცხლეც კი განსაცდელს სიამოვნებით ეძლევა, განქრა მთრთოლარე ყმაწვილობის ცეცხლი, მის მაგივრად გული გამოცდილებას მოეცვა, დაენახა სოფლის ამაოება და, განშორებული ყველას, შესდგომოდა იმის სახელს, რომელიც საწყალთ მოსარჩლის სინონიმად გადაქცეულიყო. თავის პირადობის უარმყოფელი, ჯმუხი მოხუცი დაჰკვირვებოდა ქვეყნის ცხოვრებას, მის ვნებათა და ამაოებათა. მოაგონდა ის წუთებიც, როდესაც პირველად გაუბრწყინდა სხივი დიდებულის აზრებისა და პირადი განცხრომა ქვეყნის ბედნიერებისთვის ზრუნვას შესწირა.

ამ ფიქრებით მოცული გაჰყურებდა მეცხვარეებს და მათის სი-

---

* უნდა ვსთქვათ, საზოგადოდ მთის ხალხის სასახელოდ, რომ მათ შორის უწმაწური ლაპარაკი და ლექსი ძალიან იშვიათია. ათასში ერთხელ, ისიც დამთვრალს თუ წამოსცდება უმართებულო სიტყვა. თვით ჩხუბშიაც კი არ იციან უშვერი გინება და ერთმანერთს მხოლოდ ლაჩრობას, ტოლ-სწორის გაუტანლობას და მთხრობლობას აყვედრიან, რომელსამე მარცხს მასხარად აუგდებელს არ გაუშვებენ, მაგრამ სამასხაროდ გამოთქმულს ლექსში საგინებელი სიტყვები ძნელად არის ჩართული.

ხარულით თითონაცა ხარობდა, მაგრამ ხალხის მხიარულებით ვერა კმაყოფილდებოდა, მათთვის უმეტესს ბედნიერებას და დიდებას ითხოვდა.

მას ჰქონდა წარმოდგენილი ხალხის კეთილდღეობის იდეალი და გულის კვნესით ხედავდა, რომ მისი სამწყსო სხვადასხვა მიზეზების გამო მეტად დაშორებოდა სასურველს მდგომარეობას; ეკლიანს, ხლართულად მის მიმავლობას ათასი შემთხვევა წინ გადასდგომოდა და ცხოვრების კანონიერს მდინარეობას ხელს უშლიდა.

სანამ ფიქრი მოხუცისა ამ წმინდა საგანს ეხებოდა, ქვემძრომის, თვით თვალთუხილველის ფერფლის ვნებაც კი არ განიზრახებოდა მისგან, მაგრამ, როდესაც გონება მის მიმართულების ხელის შემშლელთ მიუბრუნდებოდა, წინაპართ წმიდა მამათა მაგალითებით გამხნევებული მებრძოლად გადაიქცეოდა; ჯვარითა და ცეცხლით ვნებას წინაღუდგებოდა, სამართლიანებისთვის თავი დასდებოდა, რათა ხალხისთვის თავგანწირულების დიდებულება დაეხახვებინა. რამდენადაც მის გულში მთის შვილები თანასაგრძნობელს ღირსებას იჩენდნენ, რამდენადაც სიცოცხლის ძალა და ხასიათის სიმტკიცე მეტად ეტყობოდათ, იმდენად მოძღვარსაც მეტის ძალით მოსწყურებოდა მათთვის გზა გაეკვლია, გაეწმინდა ძეძვისა და ეკლისაგან.

მზე გადიწვერა და მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს; ხმაურობა თანდათან სუსტდებოდა და ღამის უფსკრული მიდამოს ქურდულად ეპარებოდა. შესწყდა მოძრაობა; მთვარე ღრუბელს ძოჰფარებოდა; ბნელით მოცულს მთის ფერდოებზედ მწყემსებს ცეცხლები გაეჩაღებინათ, უცნაურად დაკლაკნილს ადგილებს შუქი მისწდომოდა და სამაცდუროდ განათებულიყო. ათასში ერთხელ ძაღლის გამუდმებული ყეფა ბანს მისცემდა ხოლმე მგლის ყმუილს; წყნარი ნიავი იტაცებდა ხმაურობას, აწვდენდა მთის ხვეულებს და ატრიალებდა. შორის ტყიდგან დათვის ბურდღუნი მოისმოდა.

მოხუცი ჩაფიქრებული, თავჩაკიდებული ისევ წელანდელს ადგილას იჯდა, ზრუნვამოცულს, თვალებში თითქოს ღამის სურათი გადმოსახოდა და გაჩირაღდნებულს გოლიათთ გასცქეროდა. ფიქრი ზღვად გადაჰქცეოდა, ტალღებსავით მიქან-მოქანავდა. სხვადასხვა სურათები გემსავით, რიგრიგად მოცურავდა და ერთს მეორე შესცვლიდა. გუნებაში იძახდა: „რატომ არ ძალმიძს ყველა გავაბედნიერო, ყველას განსაცდელი ავაცდინო?!“

მოძღვარი მთლად თავის ფიქრებს მისცემოდა, როდესაც ერთბაშად რაღაცა მოუსვენრობა იგრძნო და თვალები ცას მიაქცია. სწორედ იმ დროს, როდესაც თავი აიღო, შეამჩნია, რომ ერთი ვარ-

სკვლავი სხვებზედ მეტად გაბრწყინვებულიყო, ციმციმებდა და თითქოს მოძრაობაში მოდიოდა; ვარსკვლავმა ერთბაშად იფეთქა, გაშუქდა და, ციდგან მოწყვეტილი, სწრაფად თავქვე წამოვიდა; მოძღვარი წამოხტა, გადიწერა პირჯვარი და წყნარად წარმოსთქვა:

— უფალო, დაიხსენ სული ცოდვილისა და მიიღე მფარველობისა შინა შენისასა! * — ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, რომელსაც მოისმა თოფის ხმა და მის ახლომახლოდ თითქოს რაღაცა დაეცა.

მოხუცი შეკრთა, გაფითრდა და გასწია იქითკენ, საიდგანაც თოფის ხმა მოსწვდა.

ღამე იყო ბნელი და მოხუცს გზის გარჩევა უჭირდებოდა, მაგრამ, ადგილს შეჩვეული, მაინც მტკიცედ მიაბიჯებდა. ერთბაშად მოესმა კვნესა და შესდგა, კისერი გაიძაბა, ყურთან ხელი მიიფარა და სმენად გადაიქცა. მოხუცს კიდევ მოსწვდა კვნესის ხმა და აშკარად გაიგონა:

— ტიალო! გულს მაინც მომხვედროდი!

ონოფრე გაბრუნდა იქითკენ, საიდგანაც ლაპარაკი მიესმა და, ცოტა სიარულის შემდეგ, ცის ტატნობაზედ ვიღაცა კაცი გაარჩია. ის წამომჯდარიყო, გაეხადა მარცხენა მხარე ტარავალისა და, როგორც ეტყობოდა, დაზიანებულს მკლავს იხვევდა.

ერთბაშად მთის წვერს მოხვეული შავი ღრუბელი განშორდა და მთვარე ტყვეობიდგან განთავისუფლებული გამოსხლტა და შუქი პირდაპირ დაჭრილს მიაყარა. მოხუცმა შეხედა მას და შესდგა. იქამდის შესაზარებლად ეჩვენა დაჭრილის სახე, რომ სიტყვა გაუწყდა.

უცნობს წვერი და თმა გაჰბურძგნოდა, ტანისამოსი შემოსძარცოდა და ნაფლეთებად-ღა ეკიდა, გამხდარი სახე უცნობისა გაფითრებულიყო და შავი, პატარა თვალები სადღაც ჯურღმულში ჩაჰკარგოდა და არაჩვეულებრივად ნაღვერდალსავით ულაპლაპებდა.

რაწამს უცნობმა მიახლოვებულს მოძღვარს თვალი შეჰკრა, ფეხზედ წამოიჭრა, დაავლო თოფს ხელი და გასაქცევად მოემზადა.

— შესდეგი, უბედურო! — მბრძანებელის კილოთი შესძახა მოძღვარმა და კაცი იმ ადგილზედვე გაწამდა, გაჩქურდა და ისე დარჩა.

ონოფრე მიუახლოვდა და მზრუნველიანად ჰკითხა:

— დაჭრილი ხარ?

— არა, არა, თოფი გავარდა და ტყვიამ გამკენწლა.

---

* ხალხში რწმუნება:ა, რომ ყოველ კაცს თავისი ვარსკლავი ჰყავს და მის სიკვდილთან ერთად ვარსკვლავიც უნდა განქრეს.

მღვდელმა წადგა ფეხი, რადგანაც იარის გასინჯვა და შეკვრა უნდოდა, მაგრამ უცნობმა შეჰკივლა და ისევ გასაქცევად მოემზადა.

— არ მომეკარო, არ მომეკარო, — ხმამაღლად დაიძახა უცნობმა და შემდეგ უფრო დაწყნარებით დაუმატა: — ღირსი არა ვარ.

მღვდელი შესდგა, შეხედა და ჩააკვირდა; დაჭრილმა ვეღარ გაუძლო მის თვალების ძალას, დახარა თავი და წნორის ფურცელსავით ცახცახი დაიწყო; სცადა — გასცლოდა, მორიდებოდა მოძღვრის თვალებს, რომელიც შეუბრალებელს ტყვიაზედ მეტად აშინებდა და აწუხებდა, მაგრამ მუხლები აუცახცახდა, ჩაეკეცა და მიწაზედ დასცა.

მოძღვარი მივიდა და დაჭრილს საშველად ხელი მოჰკიდა; იარა საშიში არ იყო, მაგრამ ბევრის სისხლის დენას დაესუსტებინა. მოხუცი შეუდგა თავის საქმეს და მალე შეუხვია ჭრილობა.

— შენდობა, მამაო, — წყნარად, თითქმის ჩურჩულით, წარმოსთქვა დაჭრილმა.

მღვდელი მიუახლოვდა, ამოიღო უბიდგან პატარა ჯვარი, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა, და ტუჩებთან მიუახლოვა.

— არა ჩემის სახელით, არამედ ცოდვათა მოტევებისთვის ჯვარცმულის სახელით, შენდობილმც იქმნები, შვილო!

— არა, ეგრე არა! — წარმოსთქვა უცნობმა და, აღშფოთებულმა, ჯვარს თავი მოარიდა.

მოძღვარმა შეხედა და აშკარად დაინახა, რომ უბედურისთვის რაღაცა გრძნობას სახე უწყალოდ დაეპრანჭა და, თუ მტკნარ გიჟს არ დამსგავსებოდა, სულით ავადმყოფი მაინც უეჭველად უნდა ყოფილიყო.

— მაშ რა გინდა, რა მოგდის, შვილო?.. იქნება ჭრილობა გაწუხებს?

— არა, არა! — მოუსვენრად ცრემლმორეულის ხმით წარმოსთქვა ავადმყოფმა.

— მაშ რა გაწუხებს?.. მითხარ.

— მაზიარე.

— ზიარებას მომზადება უნდა, შვილო.

— მაშ მომამზადე, მომამზადე... ჩქარა! — მოუსვენრად წარმოსთქვა დაჭრილმა და დასუსტებული მიილუშა.

— ღმერთი დიდია, შვილო! მითხარ, რა მოგსვლია, რა გამძიმებს? — აჩქარდა მოძღვარიც, რადგანაც ავადმყოფი მეტად სუსტდებოდა და ეშინოდა — ბევრის სისხლის დენას მთიელის მორჩენა შეუძლებელი არ გაეხადა და უზიარებლად ქრისტიანის სიკვდილი კი ძომაკვდინებელს ცოდვად მიაჩნდა.

დაჭრილი წვალობდა, რადგანაც ლაპარაკი უნდოდა დაეწყო, მაგრამ სიცხისგან გამშრალი პირი ვერ გაეღო და ყავარ-ყავარ დახეთქილს ენას ვეღარ იმორჩილებდა. ონოფრემ შეამჩნია გაჭირვება და იქავ ახლოდგან მათარით წყალი მოუტანა, გაუღო პირი რქის კოვზით და რამდენიმე წვეთი ჩააყლაპა.

რაკი ავადმყოფმა გამცოცხლებელის სისველის მიკარება იგრძნო, პირი მალე გაულბო და თითქოს ძალაც მოემატა. ამასთანავე იგრძნო წარმოუთქმელი წყურვილი, მაგრამ მოხუცმა უპასუხა:

— მოითმინე, შვილო! მაგ ყოფაში მყოფს წყალი გაწყენს.

— ვიწვი, ვინთები, გულ-მუცელი მეხრაკება!—უნუგეშოდ წარმოსთქვა დაჭრილმა და ხვეწნით დაუმატა:—წვეთი მხოლოდ, ერთი წვეთი!

— კარგი, შვილო, კარგი! ოღონდაც დამშვიდდი! — უპასუხა მოძღვარმა და მათარიდგან კოვზით ამოიღო წყალი.

მოიხსნა ქამარზედ მობმული ქისათ გაკეთებული ბატის ფრთა საიდგანაც წამოყარა დაფქვილებული გამხმარი კოწახური და წყალს აურია. შემდეგ მიუტანა ავადმყოფს პირთან და უთხრა:

— აი, დალიე და მეტს კი ნუღარ ითხოვ.

უცნობს თვალები გაუბრწყინდა და მსუნაგად ჩაყლაპა რამდენიმე წვეთი სიმჟავისა.

— ოჰ! — სიამოვნებით წარმოსთქვა ამან, მოლულა თვალები და მიელულა.

მოძღვარი თავს ადგა და ელოდა, სანამ ავადმყოფი ძალას კიდევ მოიკრეფდა და ლაპარაკს შესძლებდა, მაგრამ თავდავიწყებაში ჩავარდნილი დაჭრილი განსვენებას ეძლეოდა.

ერთბაშად მას სახე დაეპრანჭა, შუბლი შეეჭმუხნა და მწარედ დაიგმინა; გაიძაბა და წუთს შემდეგ ცახცახი დააწყებინა. ონოფრე მიხვდა, რომ ეს შედეგი იყო ჭრილობისა და საიმედო ნიშანს წარმოადგენდა; ამის გამო მოიხადა ნაბადი, დახურა უცნობს და იქვე გვერდით ხმაგაკმენდილი მოუჯდა.

კარგა ხანს გასტანა ამ მდგომარეობამ, მაგრამ არც ავადმყოფი მოდიოდა გონსა და არც მოძღვარს მოსწყენია მზრუნველობით ყურება. ონოფრე იჯდა დაფიქრებული და მდუმარებით სავსე თვალებით ჩასცქეროდა მწოლარის სახეს; ხანდისხან წყნარად მიიტანდა ავადმყოფის გახურებულს შუბლთან ხელს და მშობლიურის მზრუნველობით წარმოსთქვამდა:

— მადლობა ღმერთს!.. ციებამ გაუარა და სიცხე კი ძალიან ძლიერი არა აქვს...

ცოტა ხანს შემდეგ ავადმყოფმა მოუსვენებლობა დაიწყო და

მოძლვარმა საჩქაროდ შუბლზედ ხელი დაადო; სახე რამოდენადმე შაექმუხნა, აღშფოთება დაეტყო და წყნარად წარმოსთქვა:

— სიცხემ მოუმატა, მაგრამ არა უშავს-რა, ოფლი მოუვიდა, — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იმან და ხვირთქლად გადმონადენი ქირის ნაკადული გადასწმინდა.

ავადმყოფს, უეჭველია, რაღაცა აწუხებდა, ელანდებოდა, რადგანაც სახის გამომეტყველება განუწყვეტლივ ეცვლებოდა და ტუჩებს ხან სიამოვნების ღიმილი, ხან წარმოუთქმელის ტანჯვის გრძნობა დასთამაშებდა. ბოლოს რამოდენადმე გააღო პირი, ტუჩები აუთამაშდა და მოძრაობა დაიწყო, თითქოს ლაპარაკს აპირებსო. მოისმა ჩურჩული რაღაცა გაუგებარის სიტყვებისა და სმენად გადაქცეულმა მოხუცმა ყური ავადმყოფის ტუჩებს მიუახლოვა.

გამეორდა ჩურჩული და მოხუცი შეკრთა, თუმცა ვერც ყურის მოშორება მოახერხა და ვერც წამოდგა.

— მაყვალა, მაყვალა! — აშკარად გაარჩია მოხუცმა.

ონოფრე გველის ნაკბენსავით წამოვარდა, გაფითრდა და ისე გაშეშებული დარჩა.

ამ სახელის გაგონებამ მწარე ფიქრები აღუძრა თავში და მეტისმეტად შხამიანი მახვილი შაეხო მის გულს.

უცხო კაცი, ამ მდგომარეობაში მყოფი, ახსენებდა მაყვალას სახელს, იმ მაყვალას სახელს, რომელმაც ისე ბეჩავად, შეუწყნარებლად დალია სული! ვინ იყო ეს კაცი? რა იყო საერთო უბედურის და უცნობის სახელში კავშირი, — ამის გადაწყვეტა მოძღვრისთვის ადვილი არ იყო, მაგრამ გული კი მოუსვენრად უცემდა და თითქოს რაღაცა წარმოუდგენელს უბედურების გაგონებას ექადოდა.

— იქნება ეს არის?! — ერთბაშად გაუელვა მოხუცს თავში, დაეცა მუხლებზედ და, მთლად სმენად გადაქცეული, ავადმყოფს დააკვდა; მაგრამ დაჭრილი დამშვიდებულიყო, გაჩუმებულიყო და თანასწორის სუნთქვით განსვენებას ეძლეოდა. ერთი სიტყვა, ერთი ამოოხვრა არ გაუგონია ონოფრეს, რომელსაც ეჭვის ან გამართლება, ან გამტყუვნება შესძლებოდა და ისე კი სწყუროდა მისი გაგება!

ბოლოს ინანა იმგვარი მძიმე ეჭვის მიტანა იმ კაცზედ, რომლის გასამტყუნებლადაც არავითარი საბუთი არა ჰქონდა და უბედურის შესახებ აზრი მხოლოდ სიცხემორეულის ავადმყოფის ბოდვაზედ დაეფუძნებინა.

შეინანა, მხოლოდ ფიქრიც კი მიუტევებელს ცოდვად ჩასთვალა. დაიჩოქა, აღაპყრო ხელები ცისკენ და გრძნობით წარმოსთქვა:

— მეუფეო, შემინდევ, რამეთუ კაცი ვარ.

## XVII

ღამის წყვდიადისთვის განთიადს ნისკარტი ეკრა და ფერი ეცვლევინებინა; წყნარი, დაშვიდებული, სიო წინამორბედი განთიადისა, წყნარად არხევდა და აღვიძებდა მინდვრის კეკლუცთ; ტკბილად ჩასჩურჩულებდა და ამზადებდა დღის დამამშვენებელის დასახვედრად. ცა მტრედის ფრად მოქცეულიყო და მიდამოს ნაზის შუქით გადმოჰფენოდა. ფრინველნი, ჯერ კიდევ ძილით მოცულნი, დღის მოლოდინით ჰკრთებოდნენ, სიო-ნაგრძნობნი შეერყოლდებოდნენ, იბერტყებოდნენ და დროგამოშვებით სტვენით შეჰყეფდნენ შემოქმედს.

მოძღვარი ისევ იმ ადგილს თავშიშველი და თმა-გაწეწილი იდგა, ისევ ღმერთს ევედრებოდა, რომ მოეტევებინა მისთვის მიზეზ-მიუცემლად იმ მაღალის ღირსების შეხება, რომელიც კაცის პირადობას ეკუთვნის. მოძღვარი თავის თავს დამნაშავედა ჰგრძნობდა და სამზღვარი არ ჰქონდა მის მოცადინეობას, რომ შეცდომა გამოესყიდა. ავადმყოფი, რომელიც ისევ იმ ადგილს იწვა, სადაც მოძღვარმა ნაბადი დახურა, ერთბაშად შეინძრა და თვალი გაახილა.

— სადა ვარ? — წარმოსთქვა იმან და იქაურობა მოათვალიერა.

— აქა ხარ, შვილო, აქა! — მიაშურა მოძღვარმა და დაუმატა: — ჩემთან, შენს სულიერს მამასთან, რომელიც გვერდითა გყავს და ზრუნავს შენთვის.

— მღვდელი! — წარმოსთქვა იმან და ისევ თვალები დახუჭა.

— მღვდელი კი არა, შვილო! ძმა და მამა, რომელსაც თავი შენთვის და შენის სამსახურისთვის მიუცია.

დაჭრილმა ისევ გაახილა თვალები და მადლობით ყურება დაუწყო.

— ჰო, ჰო! — წარმოსთქვა მთიელმა: — მახსოვს, მახსოვს.. მართალია, ძმა ხარ, მამა და გული მიყურჩდების შენს ხმაზედ... იმედი მეძლევის.

— როგორა ხარ, შვილო?

— გონჯად, — ბეჩავად წარმოსთქვა დაჭრილმა.

— რადა, რადა?.. უკეთობა გეტყობა!

— გონჯადაც იმადა ვარ, რომ უკეთობა მეტყობა!.. რაი სასიცოცხლე ვიყავ, ღვთის მადლსა!

— რათ ამბობ მაგას, რათა, შვილო?.. მაგ სიტყვებით ხომ ღმერთს აწყენინებ.

— სიცოცხლით რაღას ვაამებ?

— თუ ეხლა არა, შემდეგში შევიძლიან აამო.

— შემდეგში? — იკითხა იმან და მწარედ ჩაიცინა; — შემდეგში! ეჰ, ჰე, ჰე, ჰე!

დაჭრილი გაჩუმდა და მოძღვარსაც აღარა უთქვამს-რა, ორივე თითქოს ერთმანერთს ელოდნენ, რომ ლაპარაკი დაეწყოთ, თუმცა ორთავეს გული სავსე ჰქონდა ლაპარაკის დაწყების წადილით.

— გუშინა... გუშინ დამპირდი... — გაჭირვებით და ქშენით დაიწყო უცნობმა, მაგრამ ვეღარ გაათავა და გაჩუმდა.

აშკარად ეტყობოდა მთიელს, რომ სურვილის წარმოთქმა უძნელდებოდა და გაუბედაობა კი პირში სიტყვას აწყვეტინებდა.

— რას დაგპირდი, შვილო?.. მითხარ, ნუ მერიდები. — დამყვავებლის და ტკბილის ხმით გაამხნევა მოძღვარმა.

— დამპირდი, რომ... — შესდგა მთიელი, მაგრამ მაშინვე, თუმცა ჩუმად, მაგრამ მტკიცედ და მკაფიოდ, დაუმატა: — დამპირდი, რომ მაზიარებდი.

— მართალი ხარ, შვილო! დაგპირდი... მე მინდოდა გუშინვე აღმესრულებინა შენი სურვილი, რადგანაც საშიშს შდგომარეობაში იყავი, მაგრამ მეტისმეტმა დასუსტებამ ძილი მოგგვარა და ჩემი განზრახვა აუსრულებელი დარჩა..

— დღესა, დღესა, მამაო? — აჩქარდა ავადმყოფი, გაუბრწყინდა თვალები და აჩქარებულმა ქშენამ მოუთმენლობა დაატყო.

— დღეს გაზიარებ, შვილო... ღმერთმა უკედ განსაჯა, რომ დღემდის დაგვაცდევინა.

— როგორ?

— დასუსტებულს მოგცა განსვენება, სული დაგიმშვიდა და ღონე მოიკრიბე... დღეს აღსარებასაც მეტყვი.

— აღსარება? — ერთბაშად წამოიძახა ონისემ, გაფითრდა და სახეზედ ხელი დაიფარა.

— რა არის, შვილო, რა მოგივიდა?

— უნდა ყველაფერი გითხრა, უნდა ჩემის პირით გიანბო?

— მე კი არ უნდა მითხრა, ზეციერ მამას უნდა გაუხსნა შენი გული, შვილო!.. მე მხოლოდ მოწამე ვარ და შუამდგომელი.

— არ შემიძლიან! — მწარის ამოქშენით ძლივს წარმოსთქვა ავადმყოფმა და სულიერმა ბრძოლამ სახე დაუპრანჭა.

— მომკალ, გული გალახვრე — და ვერ ვიტყვი!... — კარგა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იმან.

— შვილო! ცოდო გამჟღავნებული სჯობს. — უთხრა მოძღვარმა და დაუმატა: — ან რასა მალამ მის წინაშე, ვინც ყველას გულის მხილველია...

— არ შემიძლია, არა! — პირზედ ხელის დაფარებით გაიმეორა

უცნობმა და ხმაში ცრემლების მორევა დაეტყო: — მოგონებაც კი სულსა მხდის, ღვთის მადლმა, და ლაპარაკი რაიღა იქნების!

— შვილო! არა არის საიდუმლო, რომელი არა გამოცხადდეს... შენს წინა დგას მოძღვარი, მზრუნველი შენის სულისთვის... რა უწამლოს ექიმმა, თუ მიზეზი სნეულებისა არ უწყის?..

— მართალია, მაგრამ რაი ვქნა, რო მიძნელდების?!

მოძღვარი დააცქერდა და, სახეგაბრწყინვებულს, თვალებმა ლაპლაპი დაუწყო; მას რაღაცა ცვლილება დაეტყო და რწმუნებით აღტაცებულმა დიდებულებამ ძლევამოსილად გაჰხადა. თვით ხმაც კი შეეცვალა: მოურბილდა და მიმლხობელ-სანდო გაუხდა. ნაზი, წყნარი და მომხიბლავი კილო მოძღვრისა იმავე დროს იყო ხმა დიდებულისა, ძლევამოსილისა, რომელიც იმორჩილებს ქვეყანას, თავს ადრეკინებს დიდსა თუ პატარას და, დამთრგუნველი უსამართლობისა, მაღალის რწმუნების ლამპარს გულში აღუგზნებს.

— შვილო! — წარმოსთქვა მოძღვარმა და რაოდენსამე ხანს გაჩუმდა.

მომაკვდავს დამსგავსებული, დავრდომილი, ძალას და ღონეს მოკლებული ავადმყოფი შეკრთა, მან გაიგონა ხმა, რომელმაც ყურს მშობლიურად უალერსა, გულს საიმედო რწმუნება აგრძნობინა და დაიმორჩილა. ის ჩავარდა იმ გამოურკვევს მდგომარეობაში, როდესაც კაცი უანგაროდ ეძლევა რომელსამე გრძნობას და ანგარიშმიუცემლად ემორჩილება ხმის ძალას, მის ღვთაებრიობას... ავადმყოფმა იგრძნო, რომ ამ ერთს, ერთადერთს სიტყვას, წარმოთქმულს გულის სიწრფელით და ძლევამოსილებით, მის არსებაზედ გავლენა ჰქონდა, გავლენა განუსაზღვრელის ძლიერებისა.

— შვილო! — განიმეორა მოძღვარმა და განაგრძო: — გაუხსენ გული ძმასა და მამას, რომელიც შენს ტკივილში ჰგრძნობს თავის ტკივილს და შენს მწუხარებაში ხედავს თავის მწუხარებას; გაუხსენ, შვილო, გული, გაუხსენ მას, რომელიც შენს განშორების დროსაც შენთან არის და შენთან ერთადა ჰგრძნობს სატანჯველს, გმინვას გულისას და გოდებას შეწუხებულის სულისას... ირწმუნენ! შვილნო და ძმანო!.. ირწმუნენ ფარისეველნო და ურწმუნენო, რომ ვისიც გული ერთხელ იგრძნობს მოძმეთ სიყვარულის დიდებულებას,, მისი გული საუკუნოდ გადაებმის ხალხის გულს, გადაებმის და მას შემდეგ ყოველი დაკვნესება მათი სახმილის ცეცხლად გაისმის მათთან დაკავშირებულის გულში, ყოველი ტკივილი თვითეულისა მძაფრად მოედება მათთვის თავგადადებულს... ირწმუნე შენცა, შვილო, და გამიხსენ გული, რამეთუ შენთან ერთად მეცა ვგრძნობ განუქრობელს ცეცხლს, მეც ვიტანჯები და სული მიშფოთავს!... გა-

მიხსენ გული, შვილო!.. რამეთუ შენს წინაშე დღეს მე ვარ უზენაესის მაგიერ; მიყვარხარ მისგან მოძღვრებულის სიყვარულით და მისის სახელით შემძლიან სულს მივცე შვება და გულს — მოსვენება... ირწმუნე, რამეთუ შევუდექ უფალსა და მით დაგიახლოვდი!

— მღვდელო, მღვდელო! — კარგა ხანს სხვა ვეღარა მოახერხარა დაჭრილმა, რომელსაც მღუღარება გადმოსდიოდა. — რაი გიყო, რითი გადგიხადო ბეჩავმა მაგ სიტყვებისთვის?!.. ბეჩავს ონისეს ერთი სიცოცხლე-ღა შერჩენია და შენამც მტლედ დაგედების!...

— ონისე!? — შეკრთა მოძღვარი და გონება ერთს წუთში ათას მოგონებას შაეხო: — ონისე... მაყვალა... — გადუბმელად წარმოსთქვა მოძღვარმა და ღრმა საგონებელში წავიდა.

მას მოაგონდა უცნობის წუხანდელი ბოდვა, როდესაც მან მაყვალას სახელი ახსენა; მოაგონდა ისევ სურათი ამ ქალის მოკვლისა, მოაგონდა მთელი ჯოჯოხეთი, რომელიც გამოიარა ამ შემთხვევის დროს და გულმა ისევ კვნესა დაუწყო. შემდეგ გაახსენდა წუხანდელი ეჭვი, რომლისთვისაც თავი გაიკანონა და მთელი ღამე მოსანანიებელს ლოცვაში გაატარა; მოაგონდა და ამ აზრმა ღლესაც ისევ გონებაში გაურბინა, ისევ მოუსვენარი ეჭვი გულს შემოეხვია და უწყალოდ ღრღნა დაუწყო.

კარგა სიჩუმის შემდეგ, მოძღვრის მოძრავი სახე, რომელიც ამ დუმილის დროს წამდაუწუმ იცვლებოდა, დამშვიდდა. მოხუცმა ამოიოხრა, რამდენჯერმე გადისვა შუბლზედ ხელი, გადაიწმინდა ხვირთქლად გადმოდენილი ქირის ნაკადული და მივიდა ონისესთან, რომელიც უცრემლოდა ქვითინებდა და წარმოუდგენელს მწუხარებაში იყო. მოძღვარმა მოჰკიდა ხელი, აულო თავი და წყნარად უთხრა:

— შვილო, მე გავიგონე შენი სახელი და, როგორც კაცს, მეშინიან შენი ამბის შეტყობისა... მაგრამ, ვინ მისწვდება ზეციერის მამის ლმობიერებას!... სთქვი, სთქვი შენი აღსარება.

ონისე შეკრთა, აღელდა და მცირე სიჩუმის შემდეგ საჩქაროდ და წარმოუთქმელის აღშფოთებით ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო.

ჩამოვარდა სიჩუმე, იქაურობა მოიცვა იდუმალებამ. ონისეს თავი დაეხარა და მთლად თავის საგონებელს მისცემოდა. მოხუცის სახე არა ჩნდა, რადგანაც, მის წინ მყოფს, ქვაზედ დაედო თავი და ისე მოისმენდა უბედურის გულის პასუხს. აშკარადა სჩანდა, რომ აქ რაღაცა განსაკუთრებით დიდებული, განსაკუთრებით ძლიერი ხდებოდა და მის სიძლიერის წინაშე ყველა გაჩქურებულიყო, ყველას თავი მოეხარა.. თვით დილის ნიავიც კი შემდგარიყო, რომ საიდუმლოების იდუმალება არ შაერყია, უნებლიედ მოტაცებული

სიტყვა უცაბედად მთასთან, ხესთან, ყვავილთანაც არის არ მიეტანა და მით არ დაერღვია აღსარების საიდუმლოების დიდებულება.

ამ სახით მოძღვარი ისმენდა ონისეს მოქმედების ამბავს და, როგორც მოძღვარს, ესმოდა მხოლოდ მისთვის, რომ ერთადერთს უზენაესისთვის გადასაცემად ხსომებოდა. ამ წუთებში ონოფრე ჩვეულებრივი მომაკვდავი არ იყო აქა და მისგან მოსმენილი კაცთათვის გამჟღავნებული ვერ შეიქმნებოდა.

ყოველი სიტყვა, ყოველი ხმის ამოღება ონისესი, ეტყობოდა, რომ მოძღვრის გულს გახურებულს შანთად ეხებოდა; სწვამდა, სდაგამდა და წარმოუდგენელს ტკივილს აგრძნობინებდა, ხანდისხან მოხუცს ისე ძლიერად მოხვდებოდა ონისესგან წარმოთქმული სიტყვა, რომ შემკრთალი ცახცახს დაიწყებდა.

კარგა ხანი იყო, რაც გაათავა მთიელმა თავისი საიდუმლო, კარგა ხანი ელოდა დამამშვიდებელს მოძღვრის ხმას, მაგრამ მოხუცი ისევ ისე იდგა გაუნძრევლად, თითქოს ქვიდგან გამოჭრილი სურათი არისო.

ბოლოს, ონოფრემ აიღო თავი და პირისახე გამოუჩნდა. მდუღარე ცრემლს დაელორთხა მწუხარებით და ზრუნვით დაღარული ლაწვები და გაფითრებულს სახეს განუსაზღვრელის ტანჯვის ბეჭედი დასდებოდა.

რა უთხრა ონისემ, რა შეატყობინა მოძღვარს, ეს ყველასთვის საიდუმლოდ დარჩა, მხოლოდ საქმის სიმძიმის მიზეზით მოძღვარი პირველად დააფიქრა ამ კითხვამ: ჰქონდა მას შენდობის უფლება, თუ არა?

— საბრალოვ, რა ჰქენ? — პირველად მიეცა მოძღვარი თავდავიწყებას, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა და გადაიქცა იმად, რადაც უნდა ყოფილიყო. ონისეს წინ იდგა მზრუნველი დავრდომილთათვის და გულშემატკივარი მლოცველი უბედურთათვის. ის აღსრულებდა უწმინდესს წესს ქრისტიანობისას და აგონებდა იესო ჯვარცმულს, რომელმაც დაანთხია სისხლი და განუტევა სული ტანჯულთა და შეწუხებულთათვის.

როდესაც მოძღვარმა ჩვეულებრივი წესი წმინდა საიდუმლოს მიღებისა გაათავა, გაბრწყინებულის სახით მივიდა ონისესთან და გულითადის თანაგრძნობით ცხოვრებისთვის ახალის გზის ამორჩევა მიულოცა.

— შვილო! გახსოვდეს დღევანდელი დღე, — უთხრა იმან დამრიგებელის ხმით: — დღეს დაკარგული გზოვა ზეციერმა მამამ და მისი გული ხარობს, რომ დაუბრუნდი განბანილი ცრემლით და განწმენდილი შეხსენებით... ეცადე დღეიდგან არ დაივიწყო შენი მეუ-

ფე, რომელიც ზრუნავს შენთვის და ძალას მოგცემს, რომ კაცად გაჩენილმა კაცის მოვალეობა შეასრულო მომავალში... დღეის შემდეგ აჰყვავდეს ხე და გამოსცეს ნაყოფი ჭეშმარიტებისა...

— მამაო, მამაო! — წარმოსთქვა ონისემ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო და დასვენება ეჭირვებოდა: — კარგი ხარ, კარგს მეუბნები, ღვთის მადლმა, და ონისე მოკვდების შენთვის.

რამდენადაც მოხუცი ტკბილად, დაწყნარებით და სიყვარულ-ალერსიანად ელაპარაკებოდა, იმდენად ონისეს გული ჩვილდებოდა და მორჩილი ხდებოდა; მაგრამ მასთანვე ერთად წარმოუდგენელს აღშფოთებას და ტკივილსა ჰგრძნობდა. მთიელის აზრით, თავის დანაშაულისათვის ყოველგვარის გადახდევინების ღირსი იყო, ჰფიქრობდა, რომ ყოველ კაცს მასთან მიკარება უნდა ზიზღებოდა და დღეს კი მის წინ იდგა ფრიად პატივსაცემი მოხუცი, გაბრწყინვებული ციურის სხივით, დიდებულის და ძლევამოსილის გამომეტყველებით, რომელიც მშობლიურად ექცეოდა, კაცადა სთვლიდა და განუსაზღვრელს სიყვარულს უცხადებდა.

რითი დაიმსახურა ამგვარი მოპყრობა ყოვლად ღვთიურის კაცისა — კარგად ვერ შეეგნო ონისეს და სწორედ ამისთვის მოძღვრის მოქმედება ერთსა და იმავე დროს წარმოუთქმელს ნეტარებასაც აგრძნობინებდა და სულის შემტაცებელს ტკივილსაც.

იმ წუთებში ონისესთვის ბევრად უფრო ადვილი ასატანი იყო — გაეგონა კიცხვა, ჯავრობა, გადახდევინების ქადილი, რადგანაც თვით მისი გული ჰკიცხავდა თავის საქციელს. ონისე ჩვეულებრივი კაცი იყო, ჩვეულებრივს პირობაში აღზრდილი და, როგორც უმეტესობას, მასაც არ ესმოდა დიდებულება მიტევებისა, ნაყოფი მისგან გამოცემული.

— შვილო!.. ახლა მოსვენება გეჭირვება, უფალმა იზრუნა შენთვის და პირველს თავშესაფარებლად ჩემთან გაგიჩინა ბინა!.. წავიდეთ, შვილო, ჩემს ქოხში... დაასვენე ხორცი და სული... ვიცხოვროთ ერთად, ერთადვე ვეცადნეთ აღძრულის გრძნობის შემაგრებას და ერთად ვილოცოთ ხოლმე. როდესაც მოკეთდები, ძალა და ღონე მოგეცემა, დაგილოცავ გზასა, შვილო, და წადი... წადი, სადაც გინდა, საითაც გული გაგებრძოლება... ქვეყანა დიდია და ადგილს ყველგან იშოვნი. მაგრამ ერთი გახსოვდეს... გახსოვდეს ყველგან და ყოველ ჟამს... სადაც უნდა იყო, როგორც უნდა იყო... უბრალო დღიური ლუკმის მუშად რო დარჩე, თუ შეიქნე მბრძანებელი მბრძანებელთა ზედა, — ნუ დაივიწყებ, რომ კაცი ხარ და შენს გარს მყოფნიც შენისთანავე კაცები არიან!.. შენსავით მათაც გული აქვთ, რომელიც შენს გულსავით მოძრაობს, შენს გულსა-

ვით ჰგრძნობს... დაიხსომე სიტყვა და განახორციელე იგი... „მოგვიტევენ ჩვენს თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენცა მიუტევებთ თანანადებთა მათ ჩვენთა“...

ამ მოძღვრობის დროს, ვიდრე ენამჭევრის და ტკბილმოსაუბრის მოძღვრის სიტყვები ტკბილად, წყალსავით მომდინარებდა, ონისე აღტაცებით ყურს უგდებდა. ყველაფერი გადავიწყებოდა და საღმრთო კანონთა შესწავლას მისცემოდა, იმ საღმრთო კანონთა, რომელშიც იმდენი კაცობრიობა გამოითქმოდა. მაგრამ, როდესაც ონოფრე გაჩუმდა და მთიელი თავის ქოხისკენ მიიწვია, ონისეს მღელვარება დაეტყო, თავი დახარა და მთრთოლარეს ხელებით ჩოხის კალთას ძებნა დაუწყო.

— წავიდეთ, შვილო! — გაუმეორა მოძღვარმა.

— ვერ წამოვალ. — წყნარად წარმოსთქვა ონისემ და ისევ გაჩუმდა.

— რას ამბობ? — გაუკვირდა მოხუცს: — რატომ ვერ წამოხვალ?

— არ ვიცი, არა, შენაი ჭირაიმე! მაგრამ, ღვთის მადლმა, ვერ წამოვალ. — მიუგო მთიელმა და ხმაში ისეთი მუდარა დაეტყო, რომ მოძღვარს შეებრალა.

— იქნება მე მერიდები?

— მოკვდეს ონისე, თუ შენ გერიდებოდეს! — ისეთის გულის სიწრფელით წამოიძახა იმან, რომ ონოფრეს ეჭვი სრულიად მოუსპო.

— მაშ რატომ არ მოდიხარ? — წუთის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ მოხუცმა.

— იმიტომ... — შესდგა ონისე და მაშინვე ისევე აჩქარებით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო: — არ შემიძლიან... არ იქნების, მარტოდ დარჩენა მინდის!

ონოფრე დააცქერდა და კარგა ხანს ასე უყურებდა. ონისეს თავი დახრილი ჰქონდა, თვალები დაშვებული და, თუმცა მოძღვარს ვერა ხედავდა, მაგრამ აშკარად კი ჰგრძნობდა მის ცქერას და თვალების ძალას.

— სად წახვალ? — ბოლოს ჰკითხა ონოფრემ.

— აქავ, მთებში.

— რა გაცხოვრებს, ონისე, რა?

— ნადირი ბევრია... ვინადირებ და ვიცხოვრებ...

— იქამდის მაინც დარჩი, სანამ მოკეთდები.

— რაი მიჭირს, შენაი ჭირაიმე!.. ბატარაი სისხლმა დამასუსტა და ორს დღეს კარგად შევიქნები...

— მაგ ორ დღეს მაინც დარჩი.

— შენაი ქირაიმე! — დაუჭირა ხელები მოძღვარს და ხვეწნით ლოშნა დაუწყო: — ნუ, ნუ მეტყვი... თუ კიდევ მითხარ, შენს სიტყვას ვერ წაუვალ... გული კი მელევის, სკდების და მეც ბეჩავი ვარ!.. გამიშვი, მთად წავიდე... ბატარა ხანს მარტოდ ვიქნები... ვინადირებ... ჯიხვს მოვკლავ... გულს გადავაყოლებ... ღვთის მადლმა, შენთანაც ჩამოვალ ხოლმე... გული უშენობასაც ველარ გაძლებს... გამიშვი, გამიშვი, ნუ მიჭერ, აგრემც შენთვის ჩამოვდნები...

— შენ იცი! — ოხვრით უპასუხა მოხუცმა და დაუმატა: — „საგძარი“ მაინც წაიღე.

— არა მინდა-რა, ღვთის მადლმა.

— არ შეიძლება, უნდა წაიღო, თუ ჩემი წყეინება არ გინდა.

— აუ!.. შენი ნებაა.

მოხუცმა მთელი გუდა აუვსო საგძრით, აჰკიდა და უკანასკნელად უთხრა:

— წადი, ონისე, წადი, არ გიჭერ, მაგრამ, თუ ხშირად არა მნახე ხოლმე, იცოდე, ძალიან, ძალიან მაწყენინებ... ეს გული შენია და ნუ დააჯავრებ.

— ონისე მოკვდეს, თუ კვირაში ორჯერ არ განახო! — უპასუხა მთიელმა და დაიჩოქა: — დამლოცე.

მოძღვარმა დაადო თავზედ ხელი და მტკიცედ წარმოსთქვა:

— მეუფეო, აჰა, შენანებული და დაბრუნებული შენს წინაშე! ნუ არიდებ მოწყალე თვალსა... ნუ მოაკლებ შენს მფარველობას... მიეც მეტი ძალა, რათა ადიდოს სახელი შენი და შეიძლოს ხალხსა და ქვეყანას ემსახუროს.

ონისე ემთხვია ხელზედ და წყნარის სიარულით განშორდა. მოძღვარი კი კარგა ხანს უყურებდა მიმავალს და მხოლოდ მაშინ გამობრუნდა, როდესაც მთიელი ქედს გადაეფარა.

— ბეჩავი!.. მართლაც ძნელი იყო იმისთვის აქ ცხოვრება! — წარმოსთქვა მოხუცმა და სახლისკენ გასწია.

## XVIII

ონისესთან განშორების შემდეგ მოძღვარი ჩვეულებრივზედ მეტად დაფიქრდა, დალონდა; აშკარად დაეტყო, რომ გონებას რაღაცა განსაკუთრებითი დუმილი უმღელვარებდა. ისეც ხშირად მლოცველმა, ეხლა კიდევ უფრო მოუმატა ღვთის ვედრებას და მთელი ღამეები ჯვარცმის წინ დაჩოქილი გულმხურვალე ვედრებაში ატარებდა ხოლმე.

აშკარადა სჩანდა, რომ მაზედ ემოქმედნა ონისეს აღსარებას და

მისგან აღიარებული ბევრს ზრუნვას, მოაზრებას და გამორკვევას ითხოვდა. უეჭველია, მთიელისგან ნათქვამი მეტად მძიმე და ძნელი რამ უნდა ყოფილიყო და მის მისატევებლად მოხუცის გული ლოცვას და ძალის მოპოებას საჭიროებდა.

მოძღვარს კარგად ესმოდა, რომ ცოდვათა მისატევებლად, სულის დასამშვიდებლად და ხასიათის გასამაგრებლად მხოლოდ აღსარების თქმა და წმინდა საიდუმლოს მიღება არა კმაროდა; გამოცდილი და ნიჭიერი მცოდნე კაცის გულისა მოწაფეს მხოლოდ მაშინ ანებებდა თავსა და თავისუფალ ცხოვრების ნებას აძლევდა, როდესაც სრულიად დარწმუნდებოდა, რომ ერთხელ გრძნობას მოსულმა, არამც თუ გაიგონა მაღალი სწავლა და კაცის მოვალეობა, არამედ სრულიად შთაიგონა, რწმუნებად გადაექცა და ძვალსა და რბილში გაუჯდა. უამისოდ მას არ ესმოდა მაღალი მნიშვნელობა და სარგებლობა არც ერთის საქრისტიანოს მაღალთა დებულებათა და დარწმუნებული იყო, რომ ყოველი გვარი წესის აღსრულება უნაყოფოდ დარჩებოდა.

ის იყო ექიმი სულით დავრდომილთა და თავის ავადმყოფს დამშვიდებულად ჩასთვლიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულიად განკურნვილს იხილავდა, როდესაც სენმორეულს მსხვერპლს სრულიად განთავისუფლებულს იხილავდა.

მოძღვარი ონისეს თუმცა გრძნობაზედ მოსულს ხედავდა, დარწმუნებული იყო, რომ ყოველი ამოსუნთქვა, ყოველი სიტყვა, ყოველი შენანება იყო ნაყოფი გულის სიწრფელისა, მაგრამ მასთანვე ისიც იცოდა, რომ მთიელს ბევრი სატანჯველი გამოევლო, გულის ტრიალი და მოუსვენრობა ენახა, ბრძოლასა და სინანულს მისი სული და სხეული მეტად დაეჩაგრა, დაესუსტებინა და ამ ყოფაში მყოფს კი ათასს შემთხვევასთან ბრძოლისთვის კარგა ხანს წამლობა ეჭირვებოდა.

ონოფრეს უნდოდა ავადმყოფის სიახლოვე, რომ მის ცხოვრებისთვის თვალი არ მოეშორებინა, მშობლიურის მზრუნველობით და მოვლით გაემაგრებინა სხეული და მხოლოდ მაშინ დაენებებინა თავი, გაეშვა თავისუფლად, როდესაც ბრძოლისთვის სრულიად მომზადებული შეიქნებოდა, როდესაც შესძლებდა — ცხოვრების შეუბრალებელ ტალღებს მტკიცედ დახვედროდა, მასთან ბრძოლას მოახერხებდა.

ონისემ არ იკისრა მოძღვართან ცხოვრება, უარჰყო მისი წინადადება და, ალბათ, მიზეზიცა ჰქონდა რამე, — მაგრამ ამან აღაშფოთა უბედურთათვის მზრუნველი, მათს შეწუხებისათვის გულმტკივნეული.

ყოველთვის ამგვარის ფიქრების შემდეგ მტკიცეს და ბეჯითს ონოფრეს, კაცს, რომელსაც ძალა ჰქონდა და გრძნობდა თავის სიძლიერეს, რწმუნება ისევ უბრუნდებოდა და იმედი ხელახლად ეძლეოდა. ის ამბობდა: „არ ინებებს უფალი, რომ ერთხელ გრძნობაზედ მოსული ხელახლად განიშოროს და განსაცდელში ჩააგდოს! ერთხელ გრძნობას მოსულს გზა ხელახლად დააკარგვინოს და განსაცდელს მისცეს!“ და იმედმოცემული გავიდოდა წყაროსთან, სადაც მოწაფეს მოთმინებით ელოდა ხოლმე. ონისემ არ მოატყუა მისი მოლოდინი. მთიელი ყოველს დანიშნულს დროს იქ დახვდებოდა და მოწიწებით სთხოვდა შენდობას და ლოცვაკურთხევას.

მოხუცი აღტაცებით უქადაგებდა, სიყვარულიანად ესაუბრებოდა, და მოლაპარაკების შემდეგ დაყვავებულს დაითხოვდა.

როდესაც ისინი ერთად შეიყრებოდნენ, კაცი ვერ გაარჩევდა, რომელი იყო მათში უფროსი, რადგანაც აქ არც მბრძანებელის კილო ისმოდა და არც დამონებულის, შეშინებულის პასუხი. მოხუცი უამბობდა, მოჰყვანდა მაგალითები, უხსნიდა მთიელისთვის ძნელად გასაგებსა და ცხოვრების მოვლენათა სხვადასხვაგვარის მოაზრებით ურკვევდა, მაგრამ იმას კი არასოდეს არა ცდილობდა, რომ რომელიმე აზრი, შეხედულება, მსმენელისთვის გაუგებრად, თავს მოეხვია; არამც თუ ამას მოძღვარი არა ცდილობდა, არამედ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მოწაფე სასაუბროდ გამოეწვია, გაეგო მისი შეხედულობა შესახებ იმ საგნისა, რომელზედაც ელაპარაკებოდა. და ყოველს საშუალებას ხმარობდა აზრი გამოერკვია, გასაგები გაეხადა და მისი მიღება სრულის გაგებით მოეხდინა. ისინი ლაპარაკის დროს გეჩვენებოდნენ მამად და შვილად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არც ერთი მათგანი მეორეზედ არავითარს უფლებას არ იჩენდა და, თუ ერთი ჩაგონების მზრუნველობაში იყო, მეორე შეგნებას სრულის ყურადღებით მეცადინეობდა.

ონისე ყოველს ორს, სამს დღეში ერთხელ ჩამოდიოდა მოძღვართან და, როგორც კარგს მეთოფურს, ურიცხვი ნანადირევი ჩამოჰქონდა. ონოფრე სიამოვნებით მიიღებდა და, — რადგანაც ლორებს და ძეხვებს უმზადებდა ზამთრისაგან, ანუ სხვა რომელიმე შემთხვევით გაჭირებულ მგზავრებს, — უხაროდა, რომ მთიელი, რითიც შეეძლო, ხალხს ემსახურებოდა და თავის ნაშრომს შეწუხებულთ უზიარებდა.

მთიელსაც ერთხელ არ გაუტარებია გულში, რომ მოძღვართან სასყიდელი მიჰქონდა; არამც თუ ამას არა ფიქრობდა, არამედ გულითადს სიხარულს ეძლეოდა, რომ თუმცა მცირედით, მაგრამ მა-

ისც თავის ოფლით ნაშოვნი გაჭირვებულთ შემსუბუქებას აძლევდა. მთიელის ცხოვრების შესახებ მოძღვრის შეხედულება საიდუმლო არ იყო, რადგანაც მოძღვარი პირდაპირ ეუბნებოდა, რომ იმისი მოქმედება ქვეყნის სამსახური იყო და ეს გარემოება ონისეს ძალას უმატებდა და ამხნევებდა.

რასაკვირველია, რომ ამგვარის რწმუნების გაღვიძება იმედგადაწყვეტილის არსებისთვის მცირე სანუგეშოდ არ იყო, მცირე შემწეობას არ აძლევდა. დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნად ამაოდ არა გდია, მისი არსება უქმი და უნაყოფო არ არის და, ერთხელ კეთილის ჩამდენს, მომავლისთვის გული უხალისდებოდა.

სიტყვით, მოძღვრის შიში ონისეს მომავლის შესახებ თითქმის სრულიად გაიფანტა და მზრუნველი გული დაკმაყოფილდა ონისეს საქციელით.

ერთადერთი შემთხვევა იყო, რომელიც მოხუცს ხანდისხან კიდევ აღაშფოთებდა ხოლმე, მაგრამ ჰფიქრობდა, რომ დრო და ხანი მასაც სრულიად განაქარვებდა, გაანიავებდა და ჯერედ კიდევ მთიელის ჩვილს, თონთლო ბუნებას სრულიად აღადგენდა, გაამაგრებდა და წელში გამართამდა და მისი ცხოვრება ჩვეულებრივს მდინარეობას მიიღებდა; მაგრამ იმედი იმედათა რჩებოდა და ამ მხრივ უმჯობესობა თავს არ იჩენდა.

საქმე ის იყო, რომ ონისე, თუმცა დამშვიდდა, დაწყნარდა და უწინდელი აჩქარება აღარ ეტყობოდა, მაგრამ ყველა ეს კარგამყოფის კაცის თვისებას არ მიემსგავსებოდა და ყველაფერში გადაჭარბება ეტყობოდა. მუდამ დაფიქრებული და დაღვრემილი დადიოდა, მისგან გაღიმება არ შეიძლებოდა და ხშირად კრთებოდა, თითქოს ვიღაცამ შეაშინაო. სახეზე ფერი არ მოსდიოდა და, მუდამ გაცრეცილს, ხანდისხან თვალები აემღვრეოდა, აზროვნობის, სიცოცხლის გამომეტყველება დაეკარგებოდა.

მოძღვრის გამოცდილს თვალს არ გამოეპარა ეს შემთხვევა, შეამჩნია არაჩვეულებრივი გაყუჩება და ხმაამოუღებელი დარდი, რომელიც გულს ბურუსსავით გარს ეხვეოდა და მის გასაფანტველად წამალი ვერ ეპოვნა. აშკარა იყო, რომ მის სულსა და გულში ზადი რამ უნდა დარჩენილიყო, რომელიც სწამლავდა, ნაღვლავდა და აჭლექებდა ონისეს არსებას... მაგრამ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი? ეს არ იცოდა მოხუცმა და მის გამოცნობისთვის ცოტას არა ფიქრობდა.

ონოფრე ხედავდა, რომ ონისეს რაღაც საიდუმლო ჰქონდა, კიდევ რაღაცა დარჩენილიყო, რომელსაც მის ცხოვრებაზედ გავლენა ჰქონდა. თითონ მალავდა ამ საიდუმლოს და მოძღვარს კი პირდა-

პირ დალაპარაკება არ უნდოდა, რომ საქმე არ წაეხდინა, მაგრამ ასე თავის მინებებაც არ შეიძლებოდა.

მოხუცი მოელოდა, რომ, დღეს თუ ხვალ, ონისე უეჭველად თითონ გაუხსნიდა გულსა და ყველაფერს შეატყობინებდა, მაგრამ ხანი ძიდიოდა, მთიელი თანდათან დნებოდა და მწუხარების მიზეზს კი არ ამბობდა.

ონოფრემ ნახა, რომ მისი მოწაფე მეტად ჩამოილია, თვალები ჩაუცვივდა, ხანგამოშვებით, ხან რაღაცა არაჩვეულებრივის ცეცხლით გაუბრწყინდებოდა, ხან სრულიად ჩაუქრებოდა, აემღვრეოდა და, სიცოცხლეს მოკლებული, უსაგნოდ დააცქერდებოდა რასმე. ამის გარედ დასჩემებოდა უმიზეზოდ სიტყვების წამოსროლა, რომელიც მათ ლაპარაკს არ შაეხებოდა და, უთავბოლოდ დარჩენილი, გაუგებარი ხდებოდა.

მოხუცმა შეხედა და იმ გადაწყვეტილებამდის მივიდა, რომ ამ კაცს თავის გულში თავისი საკუთარი ცხოვრება გაუჩენია, თავადაც მას ჩაბრუნებია და მას შთაუნთქავს მთელი მისი არსება.

ონისეს ეჭირვებოდა მშველელი ხელი, რადგანაც ის იდგა უფსკრულის ნაპირზედ და ერთი, მხოლოდ ერთი ნაბიჯი-ღა ეყოფოდა, რომ სამუდამოდ შთანთქმულიყო.

მოძღვარი და მოწაფე წყაროს ნაპირას ისხდნენ და ორნივ გაჩუმებულიყვნენ, რადგანაც ონოფრე მთიელის მდგომარეობის შესახებ ფიქრით იყო გართული და ონისე კი, როგორცა სჩანდა, ცდილობდა თავისი მდგომარეობა მოძღვრისთვის არ შაემჩნევინებინა.

ონოფრეს შუბლი ხან იჭმუხვნებოდა, ხან ისევ იშლებოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ გასაჭირს მდგომარეობაში იყო. მას გადაეწყვიტა, რომ პირდაპირ მთიელისთვის გამოეკითხა ამ დღეში ჩავარდნის მიზეზი, მაგრამ არ იცოდა, დაწყება საიდგან უფრო სახერხული იქნებოდა და არჩევდა.

— შვილო, ონისე! — ბოლოს გაწყვიტა იმან სიჩუმე: — რათა ხარ აგრე დაღონებული?.. რად გახდი და რად დაკარგე ფერი?.. შეუძლოდ ხომ არა ხარ?

— ვინა, მე? — ერთბაშად წამოიძახა მთიელმა, მთლად გაწითლდა და აღშფოთებული ქშენა დაიწყო.

— ჰო, შვილო, შენა... სწორე გითხრა, შენი მდგომარეობა მაწუხებს.

— მე კარგადა ვარ... მე არა მიჭირს-რა! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოძოსთქვა იმან და ქშენას მოუმატა.

— არა, შვილო!.. შენ რაღაც გემიზეზება. რაღაცა გიღრღნის, გიკლავს გულსა და მოსვენებას არ გაძლევს!.. ხედავ, გახდი, და-

ღონდი. და ცოცხალის ადამიანის ფერი აღარა გაქვს... მითხარ, შვილო, რა მოგდის?

— რაი გითხრა?...

— მე იმედი მქონდა, რომ მშობლად მიყურებდი; მეგონა შენი ნდობა დავიმსახურე-მეთქი, დარწმუნებული ვიყავ ყველაფერს მეტყოდი და...

— და რაი?... მე კი დაგიმალე განა? — გადიხარხარა ონისემ.

მღვდელმა შეხედა და გაოცდა. მთიელს სახე დაჰპრანჭოდა, თვალები ამოსჯდომოდა და სისხლი მორეოდა, თვით სიცილიც არ იყო სიცილი კარგა მყოფის კაცისა.

— ონისეუ, შვილო!... შენს გულს ზადი შეჰპარვია და მითხარ, თორემ ბოლოს ინანებ და გვიან-ღა იქნება... გაუხსენ შენს მშობელს გული, ჩაახედე შიგა, რომ მიზეზი იცნოს და გიშველოს...

— ჩემს გულში, ჩემს გულში! — ბრაზიანად წამოიძახა მთიელმა და დაუმატა: — რაია ჩემს გულში, რაია, რაიცა ვიცოდი, გითხარ... ახლა ტყუილს კი ველარ მოვიგონებ.

— შვილო, შვილო! — წარმოუთქმელს მწუხარებით და წყენით წარმოსთქვა მოხუცმა: — რად ჰკუწამ მაგ პასუხებით იმ გულს, რომელიც შენ გეკუთვნის, შენია და შენთვის ილევა?

ონისე ერთბაშად შეკრთა, გაჩერდა და ორივე ხელით თავი დაიჭირა. ჩამოვარდა სიჩუმე... მოისმოდა მხოლოდ მთიელის გულისცემა, რომელსაც თითქოს ბუდიდგან ამოვარდნა განეზრახა, მოხუცი უყურებდა შემბრალებელის თვალებით და აშკარად ეტყობოდა, რომ სიბრალულს დაემღეურა.

— მღვდელო, მღვდელო! — გულის გასაგმირად დაიძახა ონისემ და მუხლებზედ დაეცა: — შემინდევ, მაპატიე, შემიბრალე... ბეჩავი ვარ!... არ ვიცი, რას ვჩადი, რას ვშვრები... თავი მისკდების... გულს ცეცხლი ეკიდების... რაი ვქნა, როგორ ვქნა! თავი მოვიკლა, როგორ მოვიკლა?..

— შვილო, დამშვიდდი... მოიგონე ღმერთი!.. — უთხრა შეწუხებულმა ონოფრემ და დაუმატა: — რას შვრები... რად აძლევ მაცდურს სულსა?..

— ჰა? სულსა?... მაცდურს?.. აბა რაი ვიცი, რა?.. ღვთის მადლმა, არ ვიცი და გული კი სკდების, ინთების და ცეცხლი ეკიდების.

— რა მიზეზია?

— მიზეზი? — იკითხა იმან ბეჩავად და წუთის სიჩუმის შემდეგ აჩქარებით განაგრძო: — არ ვიცი, არა!.. დამეხსენ, ღვთის მადლსა!..

მოხუცმა შეხედა და წყნარად უთხრა:

— ონისე, მოდი, შინ წამომყევ!.. ამაღამ დაგასვენებ და კარგად შეიქნები.

— ვერა, ვერა! — დამშვიდების შემდეგ აღელდა ისევ და ხელები გაასავსავა: — ახლა კი მთაში წავალ.

— მთაში რას გააკეთებ?.. ცოტა დაისვენე და ისე წადი.

— არა მიჭირს-რა, შენაი ჭირაიმე!.. ეხლა მოვეგონდი. — დაწყნარებით უპასუხა მთიელმა და გრილი წყალი სახეზედ შეისხა: — მშვიდობით, მღვდელო!

— მოიცა... რა გაჩქარებს? — დაფაცურდა მოძღვარი.

ონისემ შეხედა და ტუჩები გაუღიმდა; სახეს იდუმალება დაეტყო, გადიხარა თავი მოხუცისკენ და ჩუმად წარმოსთქვა:

— მეძახიან.

— რას ამბობ, ვინა?

— სუ-სუ! — ტუჩებზედ თითების დადებით წარმოსთქვა იმან და ფრთხილად გასწია.

— ონისე, ონისე!

— რაი გინდა? — უპასუხა იმან, შესდგა და თავი მოიბრუნა: — დანიშნულს ვადაზედ კიდევ მოვალ, ცხო რაიღა გინდა?..

მღვდელი მიუახლოვდა და სალაპარაკოდ მოემზადა, მაგრამ ონისემ ისევ გააჩუმა.

— სუ-სუ!.. მოვალ-მეთქი, მოვალ... ბეჯითად მოვალ!.. — გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ტყეს შაეფარა.

მოხუცს ვერ მოესწრო თავის თავისთვის კარგად ანგარიში მიეცა ყველა ნახულისა, როდესაც მთიელი ისევ უცბად გამოვიდა, დაეცა მის მუხლებთან და მდუღარე ცრემლებით ხვეწნა დაუწყო:

— დამლოცე, დამლოცე, ღვთის მადლსა. შენი ლოცვა ჩემთვის ღვთის წყალობაა! დამლოცე და ისე წავალ.

— უფალო, მოხედენ და იხსენ განსაცდელისაგან! — ძლივს წარმოსთქვა მოძღვარმა, როდესაც მთიელი მარდად წამოხტა, საჩქაროდ ემთხვია ხელზედ და, წუთ შემდეგ, ღამის უფსკრულში შთაინთქა.

## XIX

გაიარა დღემ, მეორემ, კვირამ... თვემ და ონისე აღარსად გამოჩნდა. ამაოდ დადიოდა მოძღვარი წყაროზედ, ამაოდ შესთხოვდა უზენაესს — მთიელი ერთხელ კიდევ გაეცდევინა თვალწინ. ამაოდ ელოდა ამ სანატრელს წუთებს, — ონისე არსადა სჩანდა!

ამ მოლოდინში მიდიოდა ონოფრეს დღეები და წუთით წუთს

თანდათან შიში და აღშფოთება ემატებოდა. მისი ფიქრი სულ მუდამ ონისეს დასტრიალებდა გარშემო და მისი მდგომარეობა ათასნ შემაძრწუნებელს სურათად ეხატებოდა თვალწინ; წარმოუდგებოდა, რომ განსაცდელში, რომელსამე გაჭირვებაში იყო, მშველელი ხელი ეჭირვებოდა და მისი ლმობიერი გული განშორების გამო იტანჯებოდა, ჰსურდა ეშველა და ხელი კი ვერ მიეწვდინა.

ამ მდგომარეობაში იყო მოძღვარი, როდესაც სული-წმინდის დღესასწაულმა მოაღწია და განთიადთან ერთად მოხუცი ცისკრად დ დგა. დიდსხანს ლოცულობდა თავის განმარტოებულს ქოხში, ხალხს დაშორებული მოძღვარი, დიდხანს და გულმხურვალედ შესთხოვდა უფალს გზა-დაკარგულთათვის ცხარეს ცრემლით, მათ შველას, ნუგეშინის ცემას და გამხნევებას ევედრებოდა. მოხუცმა გაათავა ცისკარი, უკანასკნელად გადაიწერა პირჯვარი და გარედ გამოვიდა, რომ იმ გორაზედ გამოსულიყო, სადაც ყოველ ბედნიერს დღეს ცისკრის შემდეგ წირვამდის დროს ატარებდა.

საკმაოდ მოზრდილს და რგვალს ტაფობას, თითქოს განგებ, დარაჯად გარს შემორტყმოდნენ უზარმაზარი გოლიათნი და წმინდა ადგილს უწმინდურის ფეხის მიკარებისგან იცავდნენ. ტაფობის შუა ადგილს მოჩანდა რგვლად ამაღლებული პატარა გორაკი, რომელსაც ფერდოები შამოსილი ჰქონდა ვერხვის ტყითა. ხეები, სწორედ ამართულნი, ასულიყვნენ გორის თავამდის და იქ, თითქოს განგებ, გაჩერებულიყვნენ, რომ კაცის თვალისთვის საედემო წალკოტი არ დაეფარათ. ამ მაღლობის სათაური იყო ტიტველი და მოწმენდილი; აქ ტყის ადგილი დაეჭირა ნაზს, თვალის დამყვავებელს, მწვანე ჩახუჭუჭებულს ბალახს, რომელთა შორის თავები გამოეყოთ მთის სურნელოვანთ კეკლუცთა და ნაზად გვერდზედ მოეხარათ. შუა ადგილს ამართულიყო მუხის ჯვარი, ხანისა და ავდრისგან გათეთრებული, მზის სხივზედ ვერცხლად კრიალებდა და კაცს სასოებას უღვიძებდა. თითქოს თვით იქ რგულს ხეებსაც კი ეგრძნოთ მისი სიწმინდე, ცოდვილ დედამიწიდგან აეგლიჯათ და თავზედ შედგმულს ედემს დიდებას ეუბნებოდნენ. ჯვარის ქვეშ მოჩანდა კაცის ხელით ამაღლებული, ბელტებ შემოწყობილი მიწის გროვა და ზედ დადებული უზარმაზარი ნახეთქი დიდის კლდისა. იქ არავინ დადიოდა, არავინ ეკარებოდა ამ ადგილს, გარდა ონოფრესი და იმ ნიავისა, რომელიც ათასში ერთხელ ყვავილთ მყუდროების დასარღვევად ცელქად ჩაიჭრებოდა ხოლმე. ეს ადგილი ამოერჩია ონოფრეს მაყვალას საფლავად და აქ გამოდიოდა ყოველ ბედნიერ დღეს მიცვალებულის მოსახსენებლად.

მოძღვარი დღესაც აქ მიდიოდა, აქ უნდა მოეგონებინა სიცო-

ცხლითვე ხალხისგან განდევნილი და სიკვდილს შემდეგაც მარტო დარჩენილი.

მოძღვარი, რომელმაც მაყვალას სიცოცხლეში იმდენი სიტკბოება გააცნობინა და განუსაზღვრელი კაცობრიობა უჩვენა, თავის მოწაფეს სიკვდილის შემდეგაც თავს არ ანებებდა და მის სულის მოსახსენებლად ლოცვაში მთელს საათებს ატარებდა. მაყვალას სახელთან არ ივიწყებდა უბედურის ამ დღეში ჩამგდების სახელსაც და ზედ ურთობდა ქვეყნის კეთილდღეობის შეთხოვნას უზენაესის წინაშე.

ონოფრე უახლოვდებოდა წმინდა ადგილს, — რომელისთვისაც თავის მზრუნველობის ნაყოფი და შემდეგ მსხვერპლი ბოროტმოქმედის ხელისა მიებარებინა, — გველსავით დაკლაკნულის ბილიკით, რომელიც ტყეში იმალებოდა და გორის თავზედ გაჰყვანდა. ის მოდიოდა წყნარად, დაფიქრებული და გზიდგან ფრთხილად იშორებდა კეკლუცად ˚ გადმოზნექილს გაფოთლილს ტოტებს. მოძღვარი ცდილობდა, რომ შტოების გაწევის დროს, უცაბედო მოძრაობითაც არის, გაფურჩქვნილის ფოთლებისთვის არა ევნო-რა და მით საედემო მშვენების ჰარმონია არ დაერღვია.

მოძღვარი გასცდა ხვეულებს, გადაიარა წყაროც, რომელიც იქავ გორიდგან ჩამოჩუხჩუხებდა და ხელი გაავლო იმ უკანასკნელის ხის ტოტს, რომელიც ველიანს მაღლობს აშორებდა. გასწია, აიღო ფეხი გადასადგმელად, მაგრამ გაოცებული სწრაფად შეფერხდი.

ონოფრე იდგა ისე˙ გაუნძრევლად, თითქოს იმ ადგილს გახევებულაო და ჩაცივებით გაჰყურებდა თოვლსავით უმტვერო თეთრს ჯვარსა.

იმის გაოცების მიზეზი იყო ვიღაცა კაცი, რომელიც მოძღვრისკენ ზურგშემოქცეული დაჩოქილი იდგა და ცივს სამარეს მხურვალეს ცრემლებით გათბობას უპირებდა. უცნობი ჩაჰკვროდა საფლავის ქვას და ზედ დასწებებოდა; ცახცახით ლოშნიდა და მდუღარე ნაკადულით ლორთხავდა. ათასში ერთხელ მედგრად, ძლიერად ამოიხვნეშებდა და იმედდაკარგულის კვნესით სიპს ქვას თავს ახეთქებდა.

სურათი იყო მეტად დიდებული, გოდება — მეტად მტკივნეულის გულისა, რომ მოძღვარს ამ იდუმალების დარღვევა გაებედნა. ნუგეშმოკლებული ტიროდა მდუღარედ, მწარედ და გრძნობის გამოსათქმელად მხოლოდ უსიტყვოს გმინვას ამოახდენდა. ხმა იყო ცხარე, მწვავე, ხმა ნამდვილად აღგზნებულის გულისა, რომელსაც იტაცებდა ნიავი, მიჰქონდა თრთოლით და ბეჩავის ძახილისთვის კლდეთა და ღრეთა წანად ზარს აძლევინებდა.

თითქოს მწუხარების წინაშე თვით ბუნებასაც მოეხარა თავი და ყოველი ქმნილება გაჩუმებულიყო, გაწამებულიყო, რომ მწვავი ხმა მტკიცედ შთაებეჭდათ, ეგრძნოთ მისი ძალა და ყრუდგამეორების შემდეგ ცრემლად დაფრქვეულიყვნენ. თითქოს თვით ცაც კი შეჯერებულიყო უბედურის მწუხარებით და მწარედ შეჭმუხვნილი, ადგილ-ადგილ ჩაშავ-ჩაკუპრებული ტყვიისფრად გადაქცეულიყო. დაიწყო წყნარი და ჩუმი ნამვა, რომელიც ყმაწვილის ქალის ჩაწყვდიადებულს თვალთაგან გადმონადენს ცრემლს მიემსგავსებოდა.

კაცმა წუთით აილო თავი, დაიკრიფა გულ-ხელი და ჩასისხლებულის თვალებით დააცქერდა შავსა და ცივს მიწას, რომელიც ყრუდ რჩებოდა ალგზნებულის გულის ხვეწნისადმი. შემდეგ დაეცა ისევ, დაეკონა საფლავს და გამწარებულმა გაშმაგებით კოცნა დაუწყო. ეტყობოდა, ნაღველი უიმედობისა უნდოდა ამოეღვარა, მოეშორებინა თავიდგან, მაგრამ ყოველ კოცნაზედ, ყოველ განძრევაზედ ვარამი თანდათან ემატებოდა, თანდათან უძლიერდებოდა. ბიჰი დაოსდა, დასუსტდა და გაწამდა, გაწამდა და რაოდენსამე ხანს ასე დარჩა. ბოლოს წამოიწია, წყნარად წამოდგა ფეხზედ და კვალად საფლავს დაუწყო ცქერა, წადგა რამდენიმე ნაბიჯი და ჯვარს მიენდო. უცნობს სახე გამოუჩნდა. მოხუცმა დაინახა და განცვიფრებით წამოიძახა:

— ონისე!

დიაღ, ეს გახლდათ ონისე, ონისე, რომელიც სტიროდა თავის დაუვიწყარს მაყვალას, სტიროდა თავის გაჩენის დღეს და ჰკრულავდა თავის ჩაბნელებულს გულს, რომელსაც მოსვენება წაერთო, სიცოცხლე გაემწარებინა და საშუალებას არ აძლევდა, წუთითაც არის, თავდავიწყებას მისცემოდა.

მაყვალა, რაც კი თავი ახსოვდა ონისეს, იყო მისი სიცოცხლის შემადგენელი ნაწილი და, მის სიკვდილთან ერთად, ესეც სრულს სიცოცხლეს ველარა ჰგრძნობდა. ყველგან და ყველაფერს მისთვის რაღაცა აკლდა, სისრულეს ვერ შეადგენდა. მაყვალა იყო ონისესთვის ყოველისფერი და, მის სიკვდილთან ერთად, უბედურს მთიელს აღარაფრისთანა აღარა დარჩენოდა-რა, რომელსაც მისი შეალერსება შესძლებოდა, მისთვის მზე გაეშუქებინა და ქვეყნისთვის ფასი დაედო.

ის იდგა გაყინული, გაციებული, ტუჩებმოკუმული და იგონებდა იმ ქმნილებას, რომელიც, ბნელს ჩაწყვდიადებულს სამარეში ჩაჰედილი, დღესაც ყველას, ყველაფერს, თავის თავსაც კი ერჩივნა.

თემისგან განშორებულს, თავის მიწა-წყალიდამ დაკარგულს ონისეს მაყვალასთან შეყრის იმედი-და ასულდგმულებდა, მისი სიცოცხლე მხოლოდ მასთან ტრფიალის იმედზედ ეკიდა და ეს უკანასკნელი ძაფიც მაყვალას სიკვდილს შაეწყვიტა... რაღას უნდა ესულდგმულებინა მომავალში დაკარგული?

ეს კაცი მთელი კვირაობით დადიოდა, ხვდებოდა ღრესა და ტყესა, ხვდებოდა მთასა და ველსა და, გართობის მაგივრად, მხოლოდ ნაღველს იგროვებდა, იგროვებდა და ცრემლად დასანთხევად ამ უწმინდესს ადგილს მოდიოდა.

ასე დადიოდა ხოლმე მთიელი მოხუცის უკანასკნელს შეხვედრამდის, აქ იკლავდა ჯავრსა და ბოროტს, აქა სღნებოდა, ილეოდა და წვეთ-წვეთად ისპობდა სიცოცხლეს.

ონისეს, რომელსაც ყოველისფერი შაეტყობინა მოძღვრისთვის. გაეშალა გული და შიგ ჩაეხედვინებინა, მაინც კიდევ შერჩენოდა ერთი საიდუმლო კუნჭული, რომელსაც ონოფრე ამჩნევდა, ისეთის ხერხიანობით უვლიდა გარს და შეტყობას სურვობდა... მაგრამ მთიელი უფრთხილდებოდა მას, უფრთხილდებოდა ისე, როგორც მარჯვენა თვალსა და ყოველის ღონისძიებით მეცადინეობდა ყველასთვის, თუ შესაძლებელი იქნებოდა, თვით ღმერთისთვისაც კი დაფარული შეექნა. მას ეშინოდა, რომ ონოფრეს მისი საქციელი ცოდვათ არ ჩაეთვალა და არ აღეკრძალა ის უკანასკნელი სიტკბოება, რომელსაც მაყვალას საფლავთან ტრფიალში პოულობდა.

აქ დადიოდა ონისე, აქა სღნებოდა, აქა სტოებდა თავის ჯანმრთელობას; ეს იყო ის საიდუმლო, რომელიც მოძღვარს ისე უნდოდა შაეტყო და მოწაფე კი ისეთის გამუდმებით და სიფრთხილით მალავდა.

მძიმე განსაცდელი, რომელიც ონისეს ეტვირთნა, იყო არშიყობა აღგზნებულის გულისა ცივის, ჩაწყვდიადებულის სამარესი, ალერსი უსულოსა და უგრძნობელის გვამისა, გამოსალაპარაკებლად გოდებით ჩაძახილი აწ ყრუდ-გადაქცეულის, მიწად ქმნილის, ოდესმე გულის გამხარებელის ქმნილებისადმი!...

გოდება და ტირილი, მუდამ წადილი შეუძლებელისა, განუწყვეტლივ მოგონება დაკარგულის ედემისა მთიელს აღშფოთებდა, ღალავდა და წყნარ-წყნარად ძალასართმევდა; ამას ემატებოდა წადილის დაუკმაყოფილებლობა და უბედური უცეცხლოდ იწვებოდა, იდაგებოდა და განწირულებამდის მიდიოდა.

ონისემ იგრძნო სიძნელე თავის მდგომარეობისა, იგრძნო, რომ ყოველი მიკარება მაყვალასი, ყოველი მიკარება იმ მხარისა, იმ

ადგილისა, იმ ედემის კუნჭულისა, სადაც ერთხელაც არის სატრფოს ამოესუნთქა, შეუბრალებელს გულის მკუწველად გადაჰქცეოდა, იგრძნო, რომ მათ სიახლოეს ველარ გასძლებდა და გადასწყვიტა — გაქცეულიყო, წასულიყო, გადაკარგულიყო ისეთს ადგილს, სადაც ამ შავად და ბნელად გადაქცეულის ადგილების ხმა ყორანსაც ველარ მიეტანა.

დღეს, სულისწმინდის მოფენის დღესასწაულს, ონისე უკანასკნელად მოსულიყო იდუმალს საფლავთან, სურნელოვანის ყვავილებით შაემკო მკაცრად გამომზირალის სიპის ქვის სახე, რომელიც ისე შეუბრალებლად, მძიმედ და უგულოდ დასწოლოდა ნაზის ქმნილების სამარეს.

ონისემ უკანასკნელად დახარა თავი, უკანასკნელად ჩააკვდა სამარეს და, თრთოლვა-მორეული, თითქოს ზედ დაეწება, გაწამდა და დიდს ხანს დარჩა ისე გაუნძრევლად, თითქოს სული შავს მიწას დაანთხიაო.

ბოლოს წამოხტა, ორიოდ ნაბიჯი გადასდგა, გაჩერდა და გულხელი დაიკრიფა. მან იგრძნო რალაცა ძალა, ძალა მიუწდომელი, და განუსაზღვრელი, რომელიც მას სამარისკენ იზიდავდა, იზიდავდა ისეთის სიძლიერით, რომ განძრევაც კი ველარ მოეხერხებინა. ერთბაშად კისერი წყნარ-წყნარად მოელრიჯა, მოიბრუნა თავი ჯვარისკენ და, მწარედ, მწარედ დალრეჯილი წარმოუდგენელის მწუხარებით, გაშეშდა.

მოძღვარს დღეს პირველად მიეცა საშუალება — ონისეს სახეს დაჰკვირვებოდა და პირველად იგრძნო ის აუტანელი ჯოჯოხეთი, რომელსაც სამფლობელოდ მოხევის გული ამოერჩია. ონოფრემ თვალები დახუჭა, რადგანაც მეტი ცქერა ველარ შესძლო უბედურების გამომხატველის პირისახისა; ონისე იდგა დალვრემილი, გაფითრებული და ნუგეშ მოკლებული; ის მოხრილიყო, თითქო მძიმე ლოდი დასწოლიაო და მის შეუბრალებელს სიმძიმეს ჩაუკეცვინებაო, ჩაუჭუჭკავს და ლომებრივი შეხედულობა მედგრად დაუჩაგრავსო. იდგა უაზროდ, სიცოცხლეს მოკლებული და ჩაჰკვირვებოდა ერთს ადგილს; ჩაჰკვირვებოდა, მაგრამ ვაი ამ ცქერას!.. აქ სჩანდა კვნესა დაობლებულის სულისა, აქ იყო შენანება თავის სიცოცხლისა, აქა სჩანდა ხვეწნა, მუდარა გატეხილის კაცისა, რომელიც დამონებოდა შეურყეველს ძალას და არსად, არავისგან შველას არ მოელოდა. ონისე იდგა ისე, თითქოს მიწა გახეთქილაო და მის შთასანთქავად პირი უქნიაო, თითქოს ცა ჩამონგრეულა და სამუდამოდ ჩაქოლვას უპირებსო.

მაგრამ არა, მე ვერ ავწერ მის სახეს, მისი გამომეტყველების

სიძლიერეს. უნდა ნახოს კაცმა, ნახოს და იგრძნოს მისგან აღძრული შთაბეჭდილება, რომ გაიგოს, დაინახოს რამდენის ურიცხვის ხაზებით დაღარჰ მთიელის სახე გულიდგან გადმონახეთქს მწუხარებას.

მხოლოდ მთას შეუძლიან მიანიჭოს ადამიანს ეს გრძნობიერება და მხოლოდ მთის შვილს შეუძლიან გამოიჩინოს მისი ძალა; ის ძალა, რომელმაც თვით მოხუცს, იმის გაფოლადებულს გულსაც კი მუხლი მოადრეკინა, თავი მოახრევინა და ძლევამოსილებით სავსე ენამჭევრობა გააწყვეტინა.

ამ წუთებში მოხუცს შაეძლო მხოლოდ ცქერა, ხილვა და, ძლიერის სურათით დამორჩილებულს, ბედ-გაშავებულისადმი თანაგრძნობა.

ერთბაშად ონისე შეკრთა, გასწორდა და თავი მაღლა აიღო.

— მშვიდობით! — წარმოსთქვა იმან გულდამდუღვრილმა: — მშვიდობით, მაყვალაუ!.. რა გიჭირს, ბედნიეროვ, შენ მოკვდი და მოისვენე!.. ვაიმე... ვაიმე, რომ ცოცხალსაც აღარ მეცხოვრების და სიკვდილ ტილაც აღარ მომერგო!.. მშვიდობით, მაყვალაუ!.. მშვიდობით!!.. ველარ გავძელ სიახლოვე... მაგრამ... ვაი წასვლას და ვაი არ წასვლას!

მთიელი დააცქერდა საფლავს, დააცქერდა და თვალებს თითქოს კუპრი მოერია და ცხარე, მდუღარე ნაკადულმა გადმოჰხეთქა.

— მიყურე.... მიყურე-და, ვაჟკაცი ვტირი! — წამოიძახა ერთბაშად, გაალრჭიალა კბილები და გულში მჯიღის შემოკვრით მწარედ წარმოსთქვა: — ოხ-მე!..

მთიელი გაბრუნდა, წატორტმანდა და ძალა-მოკლებულმა, დაჭრილს ლომსავით, ლასლასით გასწია.

— ონისე, ონისე! — ძლივს მოახერხა მოძღვარმა: — ონისე, შესდეგ, შე უბედურო!

მოხევე შეკრთა, წუთს შეფერხდა, მაგრამ მაშინვე ნაბიჯს მოუმატა და ისე გასწია.

— დაიცა, სად მიხვალ? — გაავლო ხელი მოხუცმა, რომელიც რამდენსამე გადახტომის შემდეგ წამოეწია.

მოხევე შესდგა და აზრმოკლებულის თვალებით შეხედა; შემდეგ იდუმალებით ტუჩებზედ ხელი დაიდო და წყნარად, ნიავსავით ფრთხილის ხმით წარმოსთქვა:

— სუ, სუ!.. დაიცადე... აგერ მეძახიან და უნდა წავიდე.

— რას ამბობ, შვილო, ვინ გეძახის?

— სუ-უ! — გაიმეორა იმან: — სუ, თორემ დააკრთობ და გაიქცევა.

მთიელი ჩაფიქრდა, გაჩუმდა და კისერი ისე გაიძაბა, თითქოს ვიღაცას ყურს უგდებსო. ერთბაშად შეკრთა, თვალები სივრცეს გაუშტერა და უთავბოლო სიტყვების წამოსროლა დაიწყო:

— მაყვალაი!.. მაყვალაი ვინაა?.. — წარმოსთქვა დაფანტვით, რამდენსამე ხანს გაჩუმდა და ერთბაშად მოძღვარს მწუხარებით მოუბრუნდა: — მითხარ, მითხარ, ღვთის მადლსა, მაყვალაი ვინაა?.. არ იცი, განა?.. ჰო-ო... მე კი ვიცი... ვიცი, ღვთის მადლმა... ის უფლის ნათლულია... რაი?...

— შვილო, შვილო!... — დაიწყო მოძღვარმა, მაგრამ იძულებული შეიქნა ისევ გაჩუმებულიყო, რადგანაც მთიელმა პირზედ ხელი დააფარა.

— სუ-მეთქი... მეძახიან! — თანდათან აჩქარდა და ტყისკენ გასწია.

მოძღვარს შაეშინდა, რომ შეშლილი არ გასხლეტოდა და ხელი გაიწოდა დასაჭერად, მაგრამ მთიელმა ისეთის საზარელის ხმით დაიკივლა და სახე ისე უწყალოდ დაეპრანჭა, რომ ონოფრე უკან მოაწყდა.

სანამ მოძღვარი გონს მოიკრეფდა და ანგარიშს მისცემდა თავის თავს, ონისე ტყისკენ მიდიოდა და გადასავარდნს ადგილს უახლოვდებოდა.

— შესდეგ, შე უბედურო! — წამოიძახა გულგახეთქილმა მოძღვარმა, მაგრამ გვიან-ღა იყო.

მთიელმა იშვირა ფეხი და ტყეში ჩაერია.

მღვდელი გაქანდა იქითკენ და, როდესაც გორია კიდეს მიაღწია, ორგახ-სამგან, შტოების შუა მთიელის ჩრდილი დაინახა.

ონისე გადარჩა ძნელსა და საშიშს ნახტომს, მაგრამ დიდს ხანს ივლიდა სამზეოზედ?

## XX

გაიარა დღემ, მეორემ, კვირამ, თვემაც და გულჩათუთქულმა მოხუცმა ონისესი ველარა გაიგო-რა. თემობას მოშორებულს, ხალხისგან დავიწყებულს და მზრუნველ გულს მოკლებულ ონისეს არავინ ეძებდა, არავინ ზრუნავდა მისთვის.

მხოლოდ ერთადერთი გული არ ისვენებდა, ერთადერთს გულს არ ავიწყდებოდა უბედურის სახელი და იხსენებდა თავის ლოცვებში. ეს გახლდათ დალონებული მოხუცი, რომელიც არ გაუშვებდა არც ამვლელს, არც ჩამომვლელს, რომ მთიელის ამბავი არ გამოკითხა, მაგრამ პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე იყო: „არა, არ გვინახავს, არა გაგვიგია-რა!..“

თუმცა კარგა ხანს ონოფრემ თავის მოწაფის ამბვისა ვერა გაიგო-რა, მაგრამ სასოებას არა ჰკარგავდა და იმედს ექლეოდა, რომ უზენაესი ქრისტიანის სულს არ დაჰკარგავდა: ოდესმე მთიელის არამც თუ გადარჩენას გაიგონებდა, არამედ სრულიად მორჩენასაც. იმედმა არ უმტყუნა და მის ყურს გულდასამშვიდებელი ხმა მოსწვდა.

ერთ დღეს პირიქითელი ხევსურები ჩამოვიდნენ და ბურსაჭირის გამოქვაბულის კლდის წყაროსთან დაისვენეს. როგორც ეტყობოდა, მგზავრები დაღალულები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც თვალისმოტყუებასთან ერთად ცხენებსაც ბორკილები შეუყარეს და ბალახზედ მიუშვეს.

მოხუცმა შეჰკრა თვალი უცნობებს და, ჩვეულებისამებრ, აიღო ხონჩა ხორაგით გაჭედილი, შინაური არაყი და მათკენ გამოსწია. სტუმრები დასხდნენ პურის საჭმელად, მოძღვარიც გვერდით მოუჯდა და, წუთს შემდეგ, გონიერს, ტკბილს მოსაუბრეს ხევსურნი ყურს უგდებდნენ, მგზავრებს თუმცა მოძღვარი თავის დღეში არ ენახათ, საკმაოდ დაშორებული იყვნენ ამ ადგილების მიწა-წყალს, მაგრამ წმინდა მამის სახელი მაინც მისწდომოდათ. რაკი შეიტყეს ონოფრეს ვინაობა, ისეთი მოკრძალებით სავსე პატივისცემა აღმოუჩინეს, როგორც უფალს ეკადრებოდა. მათ შორის საუბარი გაიბა, და, როგორც ყოველთვის მთაში არის ხოლმე, ლაპარაკი მხნეობას, ვაჟკაცობას და ნადირობას შეეხო.

ერთმა მგზავრთაგანმა მოიგონა „მოხნიაი“ (მოხევე) მონადირე, რომელიც დიდი ხანია, რაც იმათ მთაში ჩასახლებულიყო და მას აქეთ ქისტებს დედას უტირებდა.

— თიკნის ყური აღარ იკარგებოდის, რაც ის მოხნიაი მოვიდა... — წარმოსთქვა ხევსურმა და აღტაცებით გააგრძელა: — მაშინვე დაედევნების, გზას ჩაუსაფრდის და მთის არწივს მტერ ვეღარ წაუვიდის.

— საკურველ არისა! — დაუმატა მეორე ხევსურმა: — კაცს არ მიეკარებისა, სახლში არ შევიდისა, ნადირსავით სულ მთად სულობსა და იწმინდებისა. *

— როგორი სახისაა? — ჰკითხა მოძღვარმა და გულის ძგერით ყური მიაპყრო.

— თუ გითხარ, მოხნიაი, — უპასუხა ხევსურმა, შემდეგ აღუწერა მისი ტანი, შეყრილობა და შეატყობინა, რომ ან ავად უნდა

* როდესაც დეკანოზებმა დროშას ხელი უნდა მოჰკიდონ, ერთის თვით განშორებულნი სცხოვრობენ და მარხულობენ, ამაზედ იტყვიან, რომ იწმინდებაო.

იყოს, ან „მოვნე“ დაცემული და ან ხატისაგან დამიზეზებული, რადგანაც ვეძას ნადენს მიწასავით გაყვითლებულა..

ონისეს წინანდელი ჩვეულება არ მოეშალა, რადგანაც სულ დაღონებულ და მოწყენილ დადიოდა, თითქოს ლაშთ გართხმა ეზარებისო.

— სახელად რა ჰქვიან?—იკითხა თანდათან ალტაცებაში შესულმა და გულაძგერებული სმენად გადაიქცა.

— ონისეი... მოხნია, ონისე არის, გადალმეველი...

ამ სიტყვების გაგონებაზედ მოძღვარი აინთო, აღეგზნო სიხარულის ცეცხლით და ღმერთს მადლობა მისცა, რომ არ ინდომა უბედურის განწირვა და დაღუპვა; რომ მისი ცხოვრება ხალხისთვის ისევ სასარგებლო შრომას მიმართა.

მას ონისე სრულს გიჟად მიელო, მაგრამ ის მხოლოდ ყოველ წუთის მოუსვენებლობას მეტად მოექანცა, დაესუსტებინა და განუწყვეტელს სატანჯველს და ფიქრს ჰკუაც რაოდენადმე მოეღალა.

იმ ადგილებს განშორებულს მთიელს, სადაც ყოველი სურათი სატრფოს მოგონებას მწვავად აღუძრავდა, რაოდენსამე ხანს შესვენება საკმარისი გახდომოდა, რომ გონება დაემშვიდებინა და, თუმცა მწარე, მაგრამ შესაძლო ცხოვრება დაეწყო.

მართალია, მას სრული განცხრომა ვერ ეპოვა, მაგრამ, რაკი გულის მომწამლავს, გამბრაზებელს ადგილებს მოშორებოდა, ცხოვრებაც უფრო თანასწორი შეჰქმნოდა და მასთან ერთად სულსაც მოესვენა იმდენად, რამდენადაც მის მდგომარეობაში მყოფს და მისის ბუნების მქონე კაცს შაეძლო.

მზე გადიხარა, აგრილდა, და მთიელები წავიდნენ; მოძღვარი შინ დაბრუნდა გამხიარულებული. იქამდის ალტაცებაში მოსულიყო ონისეს კარგამყოფობის გაგონებით, რომ მაყვალას საფლავთანაც კი ასულიყო და ეხარებინა განსაცდელში მყოფის გადარჩენა.

დღეს მოძღვარი თავის თავს დაჯილდოებულადა სთვლიდა, რადგანაც კეთილს ბოროტებაზედ გაემარჯვა და მაცდური დამარცხებული შექმნილიყო.

მოხუცს სახე უბრწყინავდა და ის-ის-იყო ემზადებოდა მაცხოვრის წინაშე დაჩოქებას, რათა უზენაესისათვის სამადლობელი ლოცვა გადაეხადა, როდესაც შემოესმა ცხენის ფეხის ხმა. მოძღვარი გაჩუმდა და ყური დაუგდო. ხმაურობა შესწყდა; აშკარა იყო, რომ ცხენი მის კარებზედ გაჩერდა.

— ვინ უნდა იყოს? — წარმოსთქვა მოხუცმა და სიტყვები ჯერ არ გაეთავებინა, როდესაც გარედგან ძახილი შემოესმა.

მოძღვარი გარედ გამოვიდა და ერთი მთიული დაინახა, რომელიც ქუდმოხდილი მისკენ წყნარად მიდიოდა.

ცხენი, რომელითაც ეს კაცი მოსულიყო, ქოხისგან საკმაოდ მოშორებით დაეყენებინა, რადგანაც ეს ადგილები წმინდა ადგილებად ჰქონდათ მიღებული და ცხენით მისვლა შეურაცხყოფად ჩაითვლებოდა.

მთიული მივიდა მოძღვართან, ემთხვია ხელზედ და თავი დაუკრა. მოძღვარმა პირჯვარი გადასწერა და ჰკითხა:

— ვინა ხარ, შვილო?...

— იასაული გახლავარ.

— ვინ გინდა?

— თქვენთან გიახელ.

— ჩემთან?.. ჩემთან იასაულს რა ხელი აქვს? — გაიკვირვა მოხუცმა.

— მენა შენი კვნესა-მე, ნაჩალნიკის იასაული გახლავარ.

— კეთილი, მაგრამ მაინც არ მესმის რა გინდა?... საქმე გაქვს რამე?.. ხომ არავის დაეძებ?

— არა, შენი კვნესა-მე! დავეძებ კი არა, შენთან გიახელი.

— ჩემთან?! — გაიოცა მოძღვარმა: — რისთვის?

— ნაჩალნიკი გიბარებს, შენი კვნესა-მე!

მოხუცს ეგონა, რომ სმენამ უღალატა, იქამდის შეუძლებელად ეჩვენა იასაულის სიტყვები. ნაჩალნიკთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდა-რა და არ იცნობდა, მაშ რა უნდოდა?

— უთუოდ შეგცდა, ჩემთან არ იქნები, შვილო...

— არა, შენმა მადლმა! პირდაპირ შენთან გამომგზავნა.

— ნამდვილად?—განიმეორა ონოფრემ და ეჭვნეულად შეხედა.

— ჰო, შენი კვნესა-მე, შენთან.

— რისთვის?

— აბა რა ვიცი? — მოკლედ მოუჭრა მთიულმა.

— უეჭველია, სხვასთან ვისთანმე გაგზავნიდა, ვერ გაგიგია და ჩემთან კი მოხვედ.

— არა, ღმერთის მადლმა!... სით შემცდებოდა? მთვრალი ხომ არ ვიყავ, რომ ვერ გამეგო... სამჯერ მიბრძანა თქვენი სახელიც კი დაუმატა: თავი არ დაანებო, უეჭველად ჩამოიყვანეო.

— მაშ საჭირო საქმე იქნება რამე?

— ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი.

— საკვირველია! — წარმოსთქვა კიდევ მოძღვარმა და დაუმატა: — მოიცადე, შვილო, ჯოხს ავიღებ და წავიდეთ.

როდესაც მოხუცი გამოვიდა, იასაულმა თავისი ცხენი მიართვა და, თუმცა მოძღვარი შეჯდომას არ უჯერებდა, მაგრამ მთიული არ მოეშვა და დააყაბულა.

ისინი მიდიოდნენ ჩქარა და შეუსვენებლივ, რადგანაც მთიული იძახდა, რომ მოძღვარს ძალიან საჭირო საქმისთვის იბარებდნენ. მთელი ღამე მიმავლობაში გაატარეს და დილის ათი საათი ძლივს იქნებოდა, როდესაც სოფელს ანანურს, სადაც ადგილობრივი მმართველი სცხოვრებდა, ძლივს მიაღწიეს.

მოძღვარი დაუყოვნებლად იახლა თავის დამბარებელს, — კაცს მოხუცებულს, გამხდარს და პატარა ტანისას; მას აშკარად ეტყობოდა, რომ ზაფრა აშლილი უნდა ჰქონოდა, რადგანაც სიყვითლე თვალებშიაც ჩასვლოდა და ხაიათის ძაფის მსგავსი ხაზები ბადესავით თითქოს ზედ გადაჰფარებოდა. უფროსი მოუსვენრად დადიოდა, ხანგამოშვებით ახველებდა და, თუნდა მიზეზიც არ მისცემოდა ხშირად აღელდებოდა ხოლმე.

ონოფრეს შესვლის უმალ მასპინძელი მოეგება და ცდილობდა გონივრებასთან ერთად მიხვრა-მოხვრაც ლაზათიანი გამოეჩინა; ძაგრამ მისი მეცადინეობა ამაოდა რჩებოდა, რადგანაც მთელი სიცოცხლე სამხედრო სამსახურში გაეტარებინა და მაშინდელი მხედართ ცხოვრება და მიმართულება კაცს ყოველს ლაზათიანობას აკარგვინებდა. ის მოეგება, მოესალმა, გაუღიმა მოწყალედ, მაგრამ ისე კი, რომ თავისი ღირსებაც არ დაეკარგა და მით მთიელისთვის დაენახვებინა, რომ იგი მბრძანებელის წინა სდგას.

— მობრძანდით, მობრძანდით, — შორიდგანვე დაუძახა მასპინძელმა და მოხუცი შემოვიდა.

დაბალი ოთახი, სადაც ისინი იყვნენ, რაოდენადმე დანოტიოებულიყო და უსიამოვნო სუნი აეშვა; მას მიმატებოდა დაობებულის ქაღალდების სუნი და ჰაერი მოეწამლა. ამგვარს მოწყობილებას შეუჩვევარი მთიელი უსიამოვნო მდგომარეობასა ჰგრძნობდა და, ისეც ფიქრით მოღალულს, თავბრუ ეხვეოდა.

მოძღვარი შევიდა, მოიხადა ქუდი, გადაიწერა პირჯვარი და თავი დაუკრა თავის წინ მდგომს მასპინძელს, რომელიც ღიმილით შეჰყურებდა მოხუცის დაწყნარებულს და მშვიდობიანს მოძრაობას. ის არ იცნობდა ძველს მთიელებს და ამისთვის ონოფრეს ყოფაქცევა და თავის დაჭერა აკვირვებდა.

— თქვენა ხართ მამა ონოფრე? — მიუახლოვდა უფროსი და ჰკითხა მთარგმნელის პირით, რომელიც იქავე ახლდა.

— დიაღ, მე გახლავართ.

— თქვენთანა სცხოვრებდა ის მოკლული ქალი... ისა... ისა...

ახ, ღმერთო ჩემო, რა ერქვა? — მიუბრუნდა იქავ სტოლთან მჯდომარს, ოთხად მოკეცილს, მწერალს, რომელიც ფთის კალამს ქაღალდზედ აკენესებდა და უსიამოვნოდ აწრიპინებდა.

— იმასა ჰქვიან, იმასა ჰქვიან... — გადაშალა მწერალმა ქაღალდები, წამოდგა და ერთბაშად წამოიძახა: — მაყვალა, თქვენო აღმატებულებავ.

— ჰო, ჰო, მაყვალა.

ამ სახელის გაგონებაზედ მოძღვარი შეკრთა, გაფითრდა და პირში სიტყვა გაუწყდა.

— პასუხს ველით. — მოკლედ უთხრა უფროსმა: — მიბრძანეთ.

მოძღვარმა შეხედა, გასწორდა, გაიმართა წელში და მიუგო:

— დიაღ, მაყვალა ჩემთანა სცხოვრებდა.

— მღვდელთან დედაკაცი! — მხრების აწევით მიუბრუნდა მთარგმნელს და უთხრა: — ჰკითხეთ, მაგასთან რას აკეთებდა და რად იყო?

თარჯიმანმა მოძღვარს გადასცა კითხვა და შემდეგი პასუხი მიიღო:

— ის იყო დავრდომილი სულითა და ხორცით... განწირული ხალხისგან... ჩემი ქოხი ყველა დავრდომილთათვის თავშესაფარია.

ონოფრე შეჰყურებდა იმათ და ყველაფერი ეუცხოებოდა, უკვირდა, „რისთვის მკითხამენ, რა უნდათ ჩემგან, რა უნდათ შეიტყონ?" — ფიქრობდა გუნებაში და გადაწყვეტილი პასუხი ვერ მიეცა... ერთბაშად შეამჩნია, რომ ყოველს სიტყვას, რომელსაც ის წარმოსთქვამდა, სტოლთან მჯდომი მწერალი ქაღალდზე სწერდა ხოლმე.

— მაშ იმისი მასპინძელი შენ იყავი? — ჰკითხა მმართველმა იმავე დაცინვის კილოთი, რომლითაც პირველს შემოსვლაზედ მოძღვარს დახვდა. მოხუცმა იგრძნო, რომ რაღაცა განსაკუთრებული ხდებოდა, მიხვდა, რომ მის ლაპარაკს არ ერწმუნებოდნენ და გაწითლდა.

— კაი მასპინძლობა გაუწევია! — თავისთვის წამოიძახა უფროსმა და ერთბაშად მღვდელს მიუბრუნდა:

— ვინ მოკლა?

— ვინ მოკლა? — გაიმეორა კითხვა მოძღვარმა და წყნარად უპასუხა: — ცოდვილმა, რომელსაც სასჯელი არ ასცდება, თუ არ მოინანია.

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ სახელი ბოროტმოქმედისა? მითხარ, რა ჰქვიან?

მოძღვარს თავის სიცოცხლეში ტყუილი არ ეთქვა და ეხლა

ისეთს მდგომარეობაში ჩავარდა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა. მოხუცი ჩაფიქრდა, საგონებელში ჩავარდა.

— სახელი-მეთქი! — გაუმეორა კითხვა სახლის პატრონმა ბრძანების კილოთი.

— არ ვიცი. — მტკიცედ უპასუხა მოხუცმა.

— არც ეჭვი გაქვს ვიზედმე?

— არა.

მასპინძელმა იჭვნეულად შეხედა, რამდენჯერმე გაიარა-გამოიარა და ჰკითხა:

— როგორ მოხდა, რომ შენს ქოხში, სადაც სცხოვრებდი, ქალი მოკლეს და შენ კი სრულიად ვერა გაიგე-რა?..

— როდესაც ეს უბედურობა მოხდა, მე შინ არ ვიყავ.

— ზღაპარია!.. — მხრების აწევით წამოიძახა გამომძიებელმა.

— ნამდვილს ვამბობ. — უპასუხა ონოფრემ და ისეთის თვალით შეხედა, თითქოს არ ესმოდა, როგორ არ მიჯერებენო.

— წაუკითხეთ ჩვენება მთიულებისა, — უბრძანა უფროსმა მწერალს, და იმანაც აღასრულა ბრძანება.

აი რას აჩვენებდნენ ის გუდამაყრელები, რომელთაც ქალის მოკვლის დროს მთელი დღე მოძღვართან ერთად გაეტარებინათ:

„მთელი დღე ერთად ვიყავით. მღვდელი შედიოდა თავის ქოხში და გამოდიოდა... იქიდგან გამოჰქონდა საჭმელ-სასმელი და ერთად ვსადილობდით... შემდეგ ჩვენ მთაში გავემგზავრენით... მეორე დღეს ჩამოვედით და ონოფრემ გამოგვიცხადა, რომ დედაკაცი, რომელიც მასთანა სცხოვრებდა, ვიღაცას მოუკლავსო“.

— სრული ჭეშმარიტებაა, — წარმოსთქვა მოხუცმა: — ეგრე იყო.

— სახლში პირველად რომ შეხვედი, რა ნახე? — ჰკითხეს იმას.

— მაყვალა თავის სარეცელში იწვა, ნაბადი ჰქონდა თავზედ წაფარებული და მეგონა, რომ ეძინა...

— კარგი, პირველში, ვსთქვათ, გეგონა, შემდეგ?.. როდესაც მეორედ, მესამედ შეხველ?.. მოწმეები ამბობენ, რომ იმათ მთელი დღე შენთან გაატარეს და შენ კი რამდენჯერმე შესულხარ სახლში... დედაკაცი რომ არ იღვიძებდა, არ გაგიკვირდა?... არა სცადე გაღვიძება?.. საეჭვოდ მაინც არ გეჩვენა ქალის გამუდმებული ძილი?

— მაყვალა ისეც ავადმყოფი, დასუსტებული იყო, ბევრსა ლოცულობდა, დაუცხრომელად მუშაობდა... წინა ღამე გონჯი, ავდრიანი იყო... ქარიშხალი იქაურობას ანგრევდა; ძალზედა ჰქუხდა და სწვიმდა; ქვეყანა წარღვნას აპირებდა... ვიფიქრე: ღამე გაუტეხიამეთქი... შემბრალდა, და ველარ გავაღვიძე... ძილი დასუსტებულისთვის უკვდავება იყო.

— წარმოუდგენელია!

— წარმოუდგენელია თუ არა — არ ვიცი, მაგრამ ასე კი იყო. მასპინძელი დააცქერდა და ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა:

— მთელი დღე და ღამე ქალი იწვა და თქვენ ისიც არა ჰკითხეთ, წყალი ხომ მაინც არ სწყურიან?

— რა კითხვა უნდოდა? თუ მოსწყურდებოდა, თავადაც დალევდა. — მოკლედ მოუჭრა მოხუცმა, რომელსაც ამდენი ლაპარაკი მოსწყინდა და მოუთმენლად დაუმატა: — ეგ ყველა კარგი, მაგრამ სამწყსოსთვის თავი დამინებებია, ავადმყოფები უპატრონოდ დამიგდია და უნდა მივხედო... მიბძანეთ, რა გინდათ ჩემგან?

უფროსმა გაკვირვებით შეხედა და უსიამოვნოდ ჰკითხა:

— გიჟი ხომ არა ხარ? არ იცი, რომ იმ ქალის სიკვდილს შენ გაბრალებენ?

— როგორ? — მოძღვარსაც გაკვირვების რიგი ერგო: — რა სთქვით?

— ისა, რომ იმ ქალის სიკვდილს თქვენ გაბრალებენ და, სამწუხაროდ, ყველა საბუთები, რაც კი ეხლა ხელში გვაქვს, ეჭვს აძლიერებს.

— ვინ არის ცოდვილი, რომელმაც მაგ საზიზღრობაში ცილის დაწამება გაბედა? — გაიმართა ონოფრე და თვალებიდგან თითქოს ნაწინწკლები გადმოსცვივდა.

— ნუ სჯავრობთ... თქვენ გამტყუნებენ, პირდაპირ თქვენ.

— ვინ არის!.. მოვიდეს, გაბედოს, პირდაპირ შემომხედოს!

მოძღვარმა მაღლა აიღო თავი და სახეზედ ისეთი მრისხანება დაეტყო, რომ თვით მასთან მოლაპარაკეც კი რაოდენადმე გაწითლდა და მოიკუნტა. კაცი, რომელიც დანაშაულსა ჰგრძნობს, მისგან ამგვარად რწმუნებით ლაპარაკი შეუძლებელი იყო, და უფროსმა იფიქრა, რომ მოძღვრის სიმართლე შესაძლებელი არისო.

— თვით მოკლულის ქმარი ამტკიცებს მაგას. — უთხრა მცირე სიჩუმის შემდეგ და განაგრძო: — ბრალდებულად თქვენა გხდისთ და კანონი მოვალეა სიმართლე აღმოაჩინოს.

— თქვენ მართალი ხართ: კანონმა სიმართლე უნდა აღმოაჩინოს, იგი ვერ მიჰყვება პირმოთნეობას...

— მაშ რას იტყვით?.. როგორც გეუბნებით, ის ამტკიცებს, რომ ქალი თქვენ მოჰკალით.

— ამტკიცებს? — იკითხა მოძღვარმა მწუხარებით და, ცოტა ფიქრს შემდეგ, წარმოსთქვა: — მაშ მოვიდეს და პირში მითხრას.

— მოიყვანეთ გელა.

— გელაა?! — წამოიძახა მოხუცმა და წამალსავით იფეთქა: — გელა აქ არის, გელა, მაყვალას ქმარი?

— დიაღ, აქ გახლავს და ეხლავ თქვენ წინ წარმოადგენენ.

— მაღალო ღმერთო! — მიაქცია თვალები ზეცას ონოფრემ და თავი შეიკავა: — მოვიდეს, მოვიდეს ცოდვილი... მე მსურს ჩემის თვალებით ვნახო და ყურებით გავიგონო, რასა იქს და რას იტყვის?

გაეღო კარები და ოთახში გელა შემოვიდა; მისი სახე რაღაცა ურცხვის, ნამუსგატეხილის სიამპარტავნით ლაპლაპებდა, თავი მაღლა აეღო და საერთო შეხედულობა თითქოს იძახდა: „შემომხედეთ — მე ვარ, ვინცა ვარ!“ მთიელი შესდგა კარებთან, როგორც გამამტყუნებელი, რომელიც თავის სამართლიანობაში დარწმუნებული არის და შუბლშეჭმუხვნილი გაჩუმდა.

მოძღვარიც იმის წინ იდგა დამშვიდებული, თუმცა თვალები გაბრწყინვებოდა, თმა ოდნავ აჰბურძგნოდა და პირისახეს ფერი დაეკარგა; ონოფრე იდგა გულხელდაკრეფილი, თავი აეღო მაღლა, სახე გამოეჩინა და მობეზღარს პირდაპირ უყურებდა.

პირველში გელამ გაბედა — შაეხედა მისთვის და რაოდენსამე ხანს მოხუცის ცქერას გაუძლო, მაგრამ მალე აღშფოთება დაეტყო და დაფანტვით აქეთ-იქით ყურება დაიწყო. ისა ჰგრძნობდა რაღაცა უხილავს ძალას, რომელიც მასზედ მოქმედებდა, არ უსვენებდა და გამოურკვეველს აღშფოთებაში შეჰყვანდა. აქ იყო ნათლად გამოხატული სურათი დიდებულებისა, რომლისთვისაც სიმართლის რწმუნებას ძლევამოსილების ბეჭედი დაესვა და მისგან გასრესილი, დამცირებული, რომელსაც გრძნობა გაღვიძებოდა და ესმოდა თავის შეცდომილება. პირველი ემსგავსებოდა ამაღლებულს, ამაყს სულს, რომელსაც საფრად ჭეშმარიტება ამოერჩია და რომლის მომტვრევა შაეძლო ძალას და არა მოხრა, მოზნექა; მეორე მხარეს იდგა სულით დაცემული, რომელიც ჰგრძნობდა თავის დამარცხებას და უნუგეშო თვალებით მშველელს, შემწეს ეძებდა.

მოძღვარმა წარსდგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა და წყნარად, გრძნობიარეს ხმით წარმოსთქვა:

— მართლა მე მაბრალებ მაყვალას სიკვდილს? — უთხრა იმან და გაჩუმდა.

გელამ ოდნავ თავი აიღო, აღშფოთდა, მოუსვენრად და მძიმედ ამოიქშინა და ისევ თავი ჩაჰკიდა.

მოხუცმა შეხედა და აღგზნებული ცეცხლი გულს ლახვრად მოხვდა. გელა ცილსა სწამებდა და, მაშასადამე, სცოდავდა; სცოდავდა ისეთის ცოდვითა, რომელიც კაცს ამცირებდა, ართმევდა ადამიანის ღირსებას და თვით პირუტყვზედაც კი დაბლა აყენებდა. ონოფრე

იყო მოძღვარი, მზრუნველი მამა თავის შვილებისა და დამცირებულის დანახვამ გულს ფეთქა დააწყებინა. გელაც თუმცა ჰგრძნობდა, რომ მართალი არ იყო, მაგრამ ერთხელ წამოროშილის უარის თქმა ველარ მოეხერხებინა.

უფროსი იდგა და ელოდა, რით გათავდებოდა მათი საქმე. ძლიერს შთაბეჭდილების მომხდენს სურათს უფროსის გონებაც მოეცვა და, ყველაფერს გადავიწყებული, შესცქეროდა. გაიარა კარგა ხანმა, როდესაც ეს უკანასკნელი გამოერკვია, დაფაცურდა და გელას მიუბრუნდა.

— რას გაჩუმდი? სთქვი!

გელამ აიღო თავი და ნუგეშმოსპობილი თვალები ხვეწნამუდარით შეაქცია უფროსს.

— რა ვსთქვა? — წყნარად წარმოსთქვა იმან.

— როგორ თუ რა სთქვა?.. რისა გეშინიან?.. გაიმეორე ის, რაც ერთხელ კანონის წინ გითქვამს.

მოძღვარმა წარსდგა რამდენიმე ნაბიჯი და წყნარად, დაყვავებით უთხრა:

— სთქვი, აღიარე... მსაჯულთა ქვეყანასა ზედა სიმართლის შეტყობა ჰსურთ — შეატყობინე.

გელა გათრთოლდა, ხელებმა ცახცახი დაუწყო, მაგრამ სიტყვა მაინც ვერ მოახერხა. უფროსმა შეხედა და მისი საქციელი უბრალო შიშად ჩასთვალა. გელა ერთგულად ემსახურებოდა, ყოველგვარს ბრძანებას დაუყოვნებლივ და მტკიცედ უსრულებდა და უფროსს უნდოდა გამოსარჩლებით სასარგებლო შრომაზედ წაექეზებინა. ამისთვის მიუახლოვდა იასაულს, დაუყვავა და უთხრა:

— რისა გეშინიან... რატომ არ ამბობ?.. ცოლი მოგიკლეს, და სრული უფლება გაქვს, კანონიერი უფლება, რომ დამნაშავე აღმოაჩინო... გესმის?.. ცოლი, საყვარელი ქალი მოგიკლეს!

ამ სიტყვებზედ შეკრთა მთიელი, შუბლზედ ხელი გადისვა და წამოიძახა:

— ჰო, ჰო, ცოლი მომიკლეს, ღვთის მადლმა, და მე თავადაც ქვეყანას გამომაკლეს.

— თუ იცი რამე, სთქვი შვილო!.. სთქვი, რამეთუ ზეციერს მამას არა დაემალება-რა...

გელა ერთბაშად გამოიცვალა, სახე დაეპრანჭა და შუბლი შაეჭმუხნა; თვალები ბოროტების ცეცხლით გაუბრწყინდა და გულს მორეულმა ნაღველმა სახე სიმწარით აუვსო.

— გინდა, რო ვსთქვა? — წარმოსთქვა იმან და მწარედ განაგრძო: — აგრე!.. შენ მოჰკალ მაყვალაი, შენგამეტი ვერვინ მოჰკლამ-

და... შენს სახლში იყო სტუმრადა... მასპინძელი შენ იყავ, და სისხლიც შენზედ არის.

ამ სიტყვების დროს გელა ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა და თვალებში სისხლი ეროდა. ლაპარაკის დროს ეტყობოდა, რომ მღელვარება ყელსა სწდომოდა და ლაპარაკის ნებას აღარ აძლევდა.

— შვილო, შვილო!.. შენ ამბობ მაგას? — ძლივს წარმოსთქვა გელასთვის უფრო შეწუხებულმა, სანამ თავისთვის: — მოიგონე, შვილო, რომ ზეცაში არის კიდევ მსაჯული, რომელსაც არა დაემალება-რა...

— რაი-ღა არ დაემალება? — შეჰყვირა მთიელმა, რომელსაც სიბრაზე თანდათან გონებას აკარგვინებდა: — შენ მოჰკალ, შენა და ცხო არავინა!.. შეგიბრალო?.. რაისთვი?.. განა მე კი შემიბრალა ვინმე?.. სახლი გამიწბილეს, ყველას გამაშორეს, მომკლეს, დამტანჯეს... და როცა გული გატყვრა... სული მოკვდა და ეხლა შეგივალად... არა, ღვთის მადლმა, ეს გული თქვენ მოკალით და არც ვის არ შეგივალებსთ... შენა ხარ, შენა, მომკვლელი, მღვდელო! ტყუილად ნუღარ იმალები.

— ნუ ჰგმობ ღმერთსა და ნუ დამორჩილებიხარ ეშმაკს.

— შენ მოჰკალ, შენა, მღვდელო! ტყუილადა ცდილობ, თავს ვეღარ დამალავ...

— მე მივიღე გაყინული და გავათბე... ვნახე ცოდვილი და მოვაბრუნე... რა სარგებელი მექნებოდა მისი მოკვლით?

— მაყვალაი მთხოვრად დადიოდის, — უსირცხვილოდ უპასუხა გელამ: — ბევრი ფული ჰქონდა ნაშოვნი და მოჰკალ იმისთვის, რომ იმის სარჩო დაგესაკუთრა... მოჰკალ და ახლა კი გეშინიან?

— შენამც თემის შეძულებული... — თავდავიწყებით წამოიძახა მოძღვარმა, მაგრამ მაშინვე შესდგა და წყნარად განაგრძო: — მეუფეო, შეუნდევ, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ.

ონოფრე გამობრუნდა, დაიკრიფა გულხელი და დადგა. მისი თვალები ელვარებდა და გული იძახდა:

— უფალს ჩემი გამოცდა ჰსურს და მის მოწყალების ღირსიც არა ვარ!

— რას იტყვით, მღვდელო? — ჰკითხა უფროსმა.

— რა ვსთქვა, რა მეთქმის? — მიუგო მოხუცმა და ხელით გელაზედ უჩვენა: — ეს კაცი მამტყუვნებს, და კანონმა უნდა გამასამართლოს.

— ღღესვე თბილისს უნდა გაგზავნოთ, აქ თქვენი გასამართლება არ შეიძლება.

— აღსრულდეს ნება უფლისა... მის განზრახვას წინ ვინ წაუდგება?

— გირჩევდით კი რომ გულწრფელად ყოველისფერი აღგეარათ, კანონი ისე სასტიკად აღარ მოგექცეოდათ.

— მე მყავს უმაღლესი მსაჯული, რომელიც ყველას გულთამხილავია... როდესაც მის წინაშე წარვსდგები, პირზედ ღიმილ-მოსული ვეტყვი: „მეუფეო, მიუწყე კეისართა კეისრისა და ღმრთისა — ღმერთსა“.

ამ სიტყვებს შემდეგ მის ბაგეთ სიტყვა აღარ წარმოუთქვამთ, თუმცა ყველა იქ მყოფი ცდილობდა წამოეცდინათ რამე, რომელსაც მაყვალას მკვლელობის საქმის განათება შესძლებოდა.

გელა, რომელიც თემისგან განდევნის გამო დიდხანს სხვადასხვა ადგილებში დადიოდა და ხან ვის შეაფარებდა თავსა, ხან ვისა, — ამ უკანასკნელს ხანში ისევ მთიულეთს მოვიდა და ანანურის აღმსრულებელთან, რომელიც მთელს მთის ხალხზედ მბრძანებლობდა, იასაულად დადგა.

მართალია ხალხი განდევნილს, როგორც საერთო სხეულიდგან მოკვეთილს, არ იკარებდა და მისგან შინ დაბრუნება, ოჯახობის ხელახლად გამართვა შეუძლებელი იყო, მაგრამ, მთავრობისგან დაფარული, თავის სოფლის ახლომახლო ცხოვრებას კი ახერხებდა.

ხალხისგან განდევნილი, რომელსაც ყველა ერიდებოდა, ხმას არავინა სცემდა, რომელთანაც მეზობელნი პურის ჭამასაც კი უკადრისობდნენ, — თანდათან ბრაზდებოდა და, ისეც წინადვე გაბოროტებულს, ეხლა გადახდევინების წადილი თანდათან ემატებოდა. გელა შეუწყალებლადა სდევნიდა ყველას და ვაი იმის ბრალი, ვისაც უბედური შემთხვევა მას ხელში ჩაუგდებდა. იასაული არამც თუ დაინდობდა, არამედ დანაშაული სრულიად ყურადსაღებიც რომ არა ყოფილიყო, ყოველს საშუალებას ხმარობდა — გაეზვიადებინა, გაედიდებინა და საქმის ათასგვარ გაძვრენ-გამოძვრენით ცდილობდა უფროსთათვის ყურადსაღებ შემთხვევად დაენახვებინა.

მაშინდელი მდგომარეობა მართველთ საშუალებას არ აძლევდა საქმე ბეჯითად გამოეკვლიათ, საქმე ზედმიწევნით შაეტყოთ და ამისთვის ბევრჯელ საქმის გადაწყვეტა მხოლოდ გელასთანა ხალხის სიტყვებზედ ფუძნდებოდა.

ბევრის დედა აატირა ამ კაცის ენამ, ბევრის ცოლს გაუშავა მზე, ბევრის ობლები დაყარა უპატრონოდ და მათთვის ზრუნვა მეზობლებს მოახვია თავზედ; ბევრჯელ ესმოდა გმინვა და გოდება, წყევლა და კრულვა მათგან, ვისთვისაც გელას დაშხამულს ენას გულში საწამლავი ჩაესხა, მაგრამ მათი მდგომარეობა ნამუსდაკარ-

გულს კაცს სიმღერად ესმოდა, ძალას უმატებდა და თანდათან მეტად სწყურდებოდა მათი გადახდევინება.

თითქოს სიტყვის ტუჩებზედ გამყინავს ტყვიასაც კი დაეკარგა თავისი თვისება, და გელა გადაუხდევინებელი რჩებოდა. ამ ხანში გელას უყვარდა მაყვალა თუ არა, ვერ გეტყოდათ, მაგრამ მისდამი გაბრაზება კი იმდენი ჰქონდა, რომ, — რა დროსაც უნდა შეჰყროდა, რა მდგომარეობაშიაც უნდა მიესწრო, — მკერდს გაუპობდა, გულს ამოუღებდა, გაუმაძღრად უკანასკნელ წვეთამდის სისხლს ამოსწოვდა და მაინც ვერ გაძღებოდა.

ერთბაშად მაყვალა მოკლეს და ხმამ მთელი მთა მოირბინა, ყველგან გავრცელდა. გელას, რომელიც გადახდევინების წადილს გაემხეცებინა, ეს ხმა არ უამა, რადგანაც სიკვდილის მიზეზი სხვა გამხდარიყო და თითონ ვერ დამტკბარიყო მისი მთრთოლარე გულის ხელებში ჯიჯღნით.

მაყვალას სიკვდილმა ვერ დააკმაყოფილა მისი პირუტყვული შურისძიების წადილი და, რადგანაც ეს ქალი ხელიდგან გამოაცალეს, იასაულის მტრობა პირდაპირ მომკვლელზედ გადავიდა.

გელამ ბევრი ეძება, მაგრამ ბოროტმომქმედი ვერ იპოვა და უფრო მომეტებულად გაბრაზდა, გამმაგდა და დაუწდომელი შეიქნა.

— ონოფრემ გამომაცალა ხელიდგან! — გაუელვა ფიქრმა და მთელი წადილი გადახდევინებისა მოძღვარზედ გადავიდა.

ამ დღიდგან ის შეიქნა დაუძინარი მტერი მოხუცისა და მას საშუალება არ შეუშურვებია, რომ ონოფრეს დასაღუპად არ მოეხმარა, რომ ნამუსს, ან სინიდისს არამც თუ შაეყენებინა, არამედ, წუთითაც არის, შეეფერხებინა.

ეხლა, როდესაც დაჭერილი მოძღვარი ციხეში იყო და მის საქმეს მსაჯულნი არჩევდნენ, ისიც აქვე ტრიალებდა და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა, საქმე თავის წადილისამებრ გაეთავებინა.

## XXI

საზიზღარი და ენისაგან წარმოუთქმელი მკვლელობა მოხდა; დედაკაცი, რომელსაც წინააღმდეგობის და თავის თავის დასაცვავი საშუალება არა ჰქონდა, ვიღაცა სულით დაცემულის ავაზაკობის მსხვერპლად შექმნილიყო. ამ საქმემ მთავრობის ყურამდის მიაღწია და დამნაშავე გადაუხდევინებლად ვერ დარჩებოდა.

ყოველსავე მოაზრებას ამ საქმის შესახებ დამნაშავედ მოძღვარი ონოფრე გამოჰყავნდა; თუმცა, მართალია, ერობა ერთხმად ღა-

ღადებდა, რომ მისგან ამ საშინელების მოხდენა შეუძლებელი იყო, მაგრამ გელასაც არ ეძინა და მათ ჩვენებას ხერხიანად აქარწყლებდა. მაშ ვინ იყო დამნაშავე? ვინ მოკლა მაყვალა? ონისემ?.. მთავრობისგან შედგენილს ქაღალდებში აღნიშნული იყო, რომ ეს კაცი ქალის მოკვლაზედ ბევრით ადრე გადაცვალებულიყო და თითონ გელა კი ამ საგანზედ გაჩუმებულიყო, რადგანაც იქაც საკუთარს მსხვერპლს იმზადებდა... იქნება, თითონ გელამ მოკლა? — იმანაც არა, რადგანაც გელა ხელმწიფის სამსახურში იყო და, როდესაც მაყვალა სამზეოს გამოასალმეს, გელა რაღაცა საქმისათვის მთავრობასთან დასაჯილდოებლად გაგზავნილი იყო და თბილისში იმყოფებოდა.

მოძღვრის გარდა მასთან არავითარი დამოკიდებულება არავისა ჰქონია, უცხო ძე ხორციელი მოხუცის ქოხში არ შედიოდა და, თემისგან განდევნის გამო, თვით ქალიც ვერავის ეჩვენებოდა.

აშკარა იყო, რომ მომკვლელიც ამის მეტი არავინ უნდა ყოფილიყო. ამ რწმუნებას მით უფრო ყველა ეძლეოდა, რომ ონოფრე ყველას და ყოველს კითხვაზედ ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა: არ ვიცი, ვინ მოკლა მაყვალა, მე არ ჩამიდენია ბოროტმოქმედება!“

დამშვიდებული და დაწყნარებული მოხუცი აუჩქარებლად იმეორებდა ამ სიტყვებს და დანარჩენი კი ყველა უფლის მზრუნველობაზედ მიენდო. მან იცოდა, რომ მართალი იყო. ცილი, რომელსაც სწამებდნენ, მიაჩნდა უზენაესისაგან გამოცდად და დარწმუნებული იყო, რომ მოვალეობის აღმსრულებელი დაუჯილდოვებელი არ დარჩებოდა.

დიდი ხანი იყო, რაც მოხუცი ციხეში დაემწყვდიათ, რაც განუწყვეტლივ მასთან გამომძიებელნი დადიოდნენ და ათასის კითხვებით თავს აბეზრებდნენ; სასულიერო წოდებას აეყარა მისთვის მღვდლობის სახელი და განედევნა თავის წოდებისგან, მაგრამ მოხუცი იდგა მაგრად, კლდესავით და იძახდა: „უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მომხედავ მე!“ და ამ სიტყვებით გაფოლადებული გული, რწმუნებას შეთვისებული მოძღვარი იდგა შეურყევლად, ძლევამოსილად და თავის სიმაღლიდგან ჭიანჭველად მონაჩენს ხალხს გადმოჰყურებდა.

რწმუნება ჰქონდა მტკიცე, სული ამაღლებული და ხასიათი ქვითკირად შედუღებული. მისთვის თითქოს არავითარს ძალას მნიშვნელობა არა ჰქონდა, ყოველს იერიშს, მის რწმუნებაზედ მიტანილს, ბურჯად ახვედრებდა რწმუნების შეუდრკენელობას და დღემდის მსაჯულთ მეცადინეობა ამაოდ ზედ ელეწებოდა.

მან იცოდა, რომ ადვილად შეიძლებოდა ხელი ვისთვისმე მოეკიდა, მაგრამ ამგვარი საქციელი კაცის დამამცირებელი იყო. იცოდა, რომ ამგვარი მოქმედება ამცირებს ქვეყნის ბედნიერებისათვის მზრუნველის სახელს და მიწა რომ ჩასტეხოდა ფეხქვეშ, ცა რომ ჩამონგრეოდა თავზედ, ერთს სიტყვას არ გააწყალებდა ამის შესახებ, ერთხელ წარბის შეხრითაც არ გამოიჩენდა, რომ სხვის დასჯით თავად უნდოდა სასჯელი აეცდინა. გულის ხმა არ წასჩურჩულებდა: „სთქვი რამ და თავს უშველე!

ასე მიდიოდა მოძღვრის ცხოვრება და მის სულს მცირედ ზადი არ დასტყობოდა, იოტის-ოდნად არ შერყეულიყო, თუმცა, თავისუფლებას დაჩვეული, წმინდა ჰაერში აღზრდილი და მუდამ ვისთვისმე მზრუნველი მოძღვარი, ვიწროსა, მყრალსა და ბნელს ციხეში იყო დატყვევებული.

ყველაფერს განშორებოდა, ყველაფერი დაშორებოდა, რაც ოდესმე მის გულს ნათლად ამუქებდა და სულს, ციურის ლამპარით განათებულს, გუნდრუკს უკმევდა. თუმცა მოხუცი, აღჭურვილი რწმუნებით, გამოცდილებით და გონების განათლებით, ხალხს ბევრად წინ გასცდენოდა, სჯეროდა, რომ სამართლიანობა ოდესმე თავს იჩენდა, ნათელი ბნელზედ გაიმარჯვებდა, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ არც ერთი ცვლილება ქვეყანაზედ უმსხვერპლოდ არა ხდებოდა და თავის თავის გამართლებაზედაც დიდი იმედი არა ჰქონდა.

„ადამიანი იმიტომ არის ადამიანი, რომ შეცდომა მისი წესია, უამისოთ კაცი ღმერთი იქნებოდა!“ იტყოდა ხოლმე ხშირად მოხუცი და ეს შეხედულება აძლევდა იმ განუსაზღვრელს ძალას შენდობისას და მოტევებისას, რომელიც ჩვეულებრივის კაცის თვალს და გონებას გაოცებდა.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, მაინც ცხოვრების გამოცვლამ იმოქმედა ხანშიშესულის ონოფრეს აგებულებაზედ, და მისი კარგადმყოფობა შეირყა.

ონოფრე თუმცა სამოცდაათს წელიწადს გადასცილებოდა, თმა და წვერი მთლად გასთეთრებოდა, მაგრამ მარტივს ცხოვრებას, მთის ჰაერს და თავის ცხოვრებით კმაყოფილებას დღემდის ჯანმრთელად და ღონემოუკლებლად შაენახა. ამ მოკლეს ხანში კი თვალები ჩასცვივნოდა, თვალის ძირები ჩაშავებოდა და სახეს ავადმყოფის ფერი დასდებოდა. თეთრი, ხშირი წარბები შუაში მეტად დანაოჭებოდა და გაშლილი მაღალი შუბლი ფიქრსა, დუმილსა და ნაღველს დაეღარა.

ასეთი იყო მოხუცი, როდესაც, სამარის მსგავს სიჩუმეში მყო-

ფი ოთხს ვიწროს, დაბალს და ნოტიოს კედელს შუა მყოფს, მოესმა მძიმე ხმაურობა. ეტყობოდა, რომ მომავალს ნალურსმი ჩექმები ეცვა და მისი მოძრაობის ხმა ყრუ და გულის სევდით მომცველად გაისმოდა. ვიწრო და გრძელი, ქვით მოგებული დახურული გამოსავლელი ჯურღმულად გათხრილს ხვრელად ეჩვენებოდა; ყოველი განძრევა, ყოველი ხმის ამოღება, დახველებაც კი ამ სიბნელეში რამდენჯერმე უსიამოვნოდ ერთგვარად მეორდებოდა, და განუწყვეტლივი ერთგვარობა კი თავს აბეზრებდა, გულს უშფოთებდა და სიცივის ჟრიამულად უვლიდა მთელს სხეულში.

მოხუცი იჯდა თავის საპატიმროში და ყური ვერ მოეშორებინა უსიამოვნოს ხმისათვის, თუმცა ყოველს ღონისძიებასა ხმარობდა სხვა რომელსამე საგანს დაჰკვირვებოდა და მით შესაზარი ხმა გადაევიწყებინა.

არ გაიარა დიდმა ხანმა, როდესაც უცნობი ონოფრეს კარებთან მოვიდა, გაავლო დიდს კლიტეს ხელი და ჯაჭვების ჩხარი-ჩხურით კარები გაალო.

— წამოდი, — უთხრა ბრძანებით მცველმა, რომელიც მოხუცის წინ შესდგა და აზრი თავის გადმოქნევით დაუბოლოვა.

— სადა? — ჰკითხა მოხუცმა და წამოდგა, მაგრამ ბევრის ჯდომით ფეხები დაბუჟებოდა და, რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიეყუდა.

— მაგას იქ გეტყვიან,—მკაცრად მიუგო მცველმა და ისევ თავის გადაქნევით და გაჯავრებით ხმა შეუმაღლა: — გამოიარე, გამოიარე!

— მოვდივარ, მოვდივარ მხოლოდ ცოტა ფეხთ დამიბუჟდა.

— მე რა გიყო, რო დაგიბუჟდა?.. გამოიარე.—დაუყვირა იმან.

ონოფრემ შეხედა, ამოიოხრა და ხმაამოუღებლივ გადმოდგა ფეხი; ჯერ კოჭლა-კოჭლაობით წავიდა, შემდეგ გასწორდა და თუმცა სწორედ გაიარა, მაგრამ მუხლებში დასუსტება დაეტყო. მცველი გაუძღვა წინა, მოხუცი მისდევდა უკან და ორნივ ციხის ერთს ოთახში შევიდნენ, სადაც ერთი კაცი იჯდა დასიებულ-გაწითლებულის ცხვირით და სქელის, გრძელის, ყორნის ფთასავით გაშავებულის ულვაშებით.

მოძღვრის შესვლა იმან თითქოს ვერც კი შეამჩნია და ბოლოს დაუძახა ერთს მცველთა მეუფროსეს, ჩააბარა ტუსაღი, მისცა ორი თოფიანი დარაჯი და ყველანი სამსჯავროში გაგზავნა, სადაც ონოფრეს საქმის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოსცხადებოდა.

სამსჯავროში დიდხანს არ ალოდინეს, რადგანაც საქმე აშკარა იყო და მაყვალას მკვლელი მოხუცის მეტი არავინ იქნებოდათ.

ამ სიტყვით წარმოუთქმელის ავაზაკობისათვის ონოფრეს გამოუცხადეს: „აეყაროს ღირსება, პატივი და ოცდაოთხის წლით გაიგზავნოს კატორგაში. მაგრამ იქმნეს მიღებული მხედველობაში ონოფრეს ხნიერება და შუამდგომლობა გაეწიოს მათი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა გადაწყვეტილი ვადა ნახევრად შეუმცირდეს...“

ეს სიტყვები მოხუცს ზარსავით თავში დაეცა და ჟრიამულით ფეხებამდის გაუარა... მას მოაგონდა მთა, თავისი ქოხი, ჰაერი, იმ ადგილების ცა და ღრუბელი, სადაც ნიავი მშობლიურად უალერსებდა!.. მოაგონდა თავისი მრევლი, რომელსაც ისე მუყაითად ემსახურებოდა, ისეთის მშობლურის გულის ტკივილით თავს ევლებოდა; მოაგონდა თავისი შრომა და ოფლი, რომლითაც თავისი წარსული ცხოვრება მოერწყო, და წაბარბაცდა... გული გათრთოლდა, შეიკუმშა და შემდეგ განზედ გასულმა კვნესა დაიწყო... ყველას უნდა მოშორებოდა, ყველას უნდა გამოსალმებოდა, სადაც კი შობილიყო, აღზრდილიყო და სიცოცხლე გაეტარებინა. ყველა უნდა დაჰკარგოდა, რასაც კი გული ელხვებოდა, ადნებოდა და შესთამაშებდა!.. ყელში მობჯენილმა სისხლმა ხრიალი დააწყებინა და წუთს შემდეგ თვალთაგან მდუღარე ცრემლად გადმოედინა.

მოხუცის არსებაში კაცმა გაიღვიძა და მისი გული კაცის ვნებამ გააფორთხალა.

ონოფრე შესდგა, ამოიქშინა რამდენჯერმე, მოიწურა ცრემლები, გასწორდა და თავმაღლააღებულმა იქაურობას თვალი მოავლო.

— კრებულნო!... ღმერთია გულთამხილავი, რომ დამნაშავე მე არა ვარ... დღეს განმაშორეთ ჩემს მოძმეთ, ჩემს მიწა-წყალს, ჩემს წინაპართ საფლავს... დღეის იქით მარტოდ, ობლად, სრულს ობლად ვიქნები, სრულს ობლად დავლევ ჩემს სიცოცხლეს... მოვკვდები და მოძმეთ ცრემლიც არ ეღირსება მარტოდ გამქრალს გულსა... ჩემის ქვეყნის ღრუბელიც კი ვერ მოაღწევინებს ჩემს ქვეყანაში მოკრეფილს წყალსა, რომ ცრემლის მაგიერ იმან მაინც დანამოს მკერდი... მომაშორეთ ყველას, ყველაფერს, რაც კი კაცს სადიდებლადა აქვს, რაც ადამიანს აცხოველებს, კაცის სახელს აძლევს... და მსაჯეთ, მაგრამ, ვიმეორებ, შესცდით-მეთქი, და ამ შეცდომისთვის მოგიტეოსთ უზენაესმა!.. — აქ მოხუცს ხმა აუმაღლდა, სახე გაუბრწყინდა და ხელებ-მაღლა-აღპყრობილმა დიდებულად წარმოსთქვა:

— მეუფეო, ცხოვრებისა ჩვენისაო! მიუტევე შემცდართა, რამეთუ არა იციან, რასა იქმენ!..

*

აღარ განვლო ამ დღიდგან დიდმა ხანმა, როდესაც თეთრს დუქანთან ჩხარი-ჩხური მოისმა და მზის სხივზედ შუბებმა ლაპლაპი დაიწყო.

თბილისიდგან ტუსაღნი მოჰყვანდათ, რომელნიც დუქნის ახლოს შეასვენეს. უმეტესი წილობა პყრობილთა საციმბიროდ იყვნენ გაგზავნილნი და წყლისფერს ხალათებს, რომელიც მათს ტანთსაცმელს შეადგენდა, ზურგზედ ოთხკუთხად ყვითელი მაუდი ჰქონდა მიკერებული ზედ წარწერით: „ციმბირში“.

ყველა გაჩუმებულიყო, ყველა დადუმებულიყო, თითქოს ყველას ეგრძნო სიძნელე თავის ქვეყნის განშორებისა. მათი დაღვრემილი, გაცრეცილი სახეები ამტკიცებდა, რომ გულს გლოვის პერანგი ჩაეცვა და კაცთათვის დამალულის იდუმალებით გულშივე ჩაიტიროდნენ.

სხვებისგან განცალკევებით, გზისთვის დამტვრეულს ქვის ხროვაზედ იჯდა ერთი ტუსაღთაგანი, რომელსაც ორივ ნიდაყვი მუხლებზედ დაეწყო და დახრილი თავი ხელებზედ ისე დაებჯინა, რომ სახე აღარ უჩანდა.

ხანგამოშვებით თრთოლა და კანკალი უმტკიცებდა, რომ ან აციებდა, ან ცეცხლმოდებულის გულის მოძრაობას აჰყოლოდა და მასთან ერთად თრთოდა, ცახცახებდა.

უცნობმა ერთბაშად თავი აიღო, მიაპყრო ღმერთს თვალები და მტკიცედ, გულმხურვალედ ერთხელ კიდევ წარმოსთქვა:

— მიუტევე, მამაო, რამეთუ არა იციან, რასა იქმენ!

## XXII

წვერის სპარსთ-ანგელოზობა იყო, — ხატობა მთელს მთაში განთქმული და სახელგავარდნილი. ეს დღეობა ეხლაც დიდს ძალს ხალხს მიიზიდავს ხოლმე, რადგანაც ორი სოფელი, სნო და სტეფანწმინდა, მლოცველთ მასპინძლად უხვდებიან და ერთიერთმანერთს პურადობასა და სტუმრის დახვედრაში ეცილებიან.

ეს ხატები ასვენია ყუროს მთის გადმოსწვრივ სამხრეთით, ერთს ამაღლებულს ჩონჩხიანს გორაზედ, რომელიც მიუდგომელს სიმაგრეზედ ამართულა, ისეც ძნელად საველელს და მისადგომს კლდეებში.

ძველს დროში აქვე ინახებოდა სახალხო საუნჯენი, შეწირულობანი და საერო ქვაბები ლუდისა, არყისა და საკლავის მოსახარში. ეს წმინდა ადგილები ხალხისაგან მით უფრო პატივსაცემლად იყო გამხდარი, რომ იქ ესვენა სათემო დროშები, რომელთანაც ხალხს

თავისი წარსული ბედ-იღბალი შაეერთებინა, რომელნიც არა ერთხელ და ორჯელ ამოვლებულიყო მთიელთ სისხლში თავის ქვეყნის, სარწმუნოების და ეროვნების დაცვისათვის ადრინდელს არეულობის დროსა.

აქ შეფარებული დაჰრილი ჯიხვი მონადირისაგან ხელშეუხებელი რჩებოდა, რადგანაც წმინდა ადგილს ველარავინ გადალახავდა; ამ წმინდა ადგილებს მიღწეული დევნული მტრის დევნისაგან სრულიად თავისუფლდებოდა, რადგანაც წვერის სპარს-ანგელოზს თავის ფრთა გადაეფარა. ეს იყო ხევის უმაგრესი ადგილი და უმთავრესი საგანძე, სადაც ურიცხვი შეწირულებანი მლოცველთა ინახებოდა. *

რა თქმა უნდა, რომ ეს ადგილი ცოტა ხალხს არ მოიზიდავდა და ცოტა საკლავს, საწირს და ზედაშეს არ მოიტანდა.

თუმცა ამ ადგილს ეკლესია არ იყო, მაგრამ მისი ადგილი ეჭირა ნიშსა, რომელიც თეთრის ბროლის ქვით აეშენებინათ და მზეზედ ვერცხლად ბრჭყვიალებდა. ოთხ-კუთხად აყვანილი ნიში სათაურში ვიწროვდებოდა და ზედ სათაურზედ ოქროთი ნაწერ-ნახატი რკინის დიდი ჯვარი ედგა.

მას ჰქონდა გალავანი აშენებული ჯანგნარევის ქვით, რომელიც ოქროსავით ბზინავდა და მის თავზედ ურიცხვი დროშები გაფრიალებულიყვნენ.

სხვადასხვა ფერად აჭრელებული ხალხი მიდიოდა და ზოგი ჯვარს იხსნიდა ყელიდგან, ზოგი ბეჭედს იძრობდა თითიდამ, ზოგი — ვერცხლის უღელს, რომელიც, შეთქმისამებრ, მთელს წელიწადს ყელზედ ეტარებინა; სხვებს მიჰქონდათ კიდევ თასები, აზარფეშები, შანები და სხვა ძვირფასი ნივთები თელებით მოჭედილი. ყველა სასოებით მუხლს იყრიდა და მოკრძალებით ჯვარს შეაბამდა თავის საწირავს. გაისმოდა დროშის ზარის ჟღრიალი და დეკანოზებისგან დამწყალობნება შემწირავისა, რომელიც უკანასკნელს ნივთს საზოგადო სიმდიდრეს უმატებდა.

— სწყალობდეს! — დაიძახებდა ხალხის მმართველი, დეკანოზებზედ უფროსი ხევისბერი და ჰაერი დაიფარებოდა გრგვინვასავით ხალხის ძლიერის ხმით; ამა ხმას მოჰკრავდა ხელს სუბუქი ნიავი, გაიტაცებდა ზრიალით და ყოველ მთას, ყოველს ხეობას, ყოველ კენჭსაც კი აგონებდა — ვინ რა შეწირულება გაიმეტა ღმრთისა და ეკლესიისათვის.

* წვერის სპარს-ანგელოზის ეკლესიაში მოუვიდათ ორი ხატი. ერთი მათგანი არის შემოსილი ნაკვერის ვერცხლით. მეორესაც ვერცხლის გვირგვინი აქვს. აგრეთვე სხვა ეკლესიებსაც ახალი ხატები მოუვიდათ.

ამ ადგილს ერთობა, ერთი-ოჯახობა იქამდის თავს იჩენდა, რომ დაკლული საკლავები, ქადები სულ ერთ ადგილას, ნიშის ახლოს, მოჰქონდათ. აქა ჩუხჩუხებდა საერთო საარაყე ქვაბები, რომელშიაც საერთოდ იხარშებოდა მთელ-მთელი ცხვრები და, მომზადების შემდეგ, იმის გაურჩევლად, რომელი საკლავი ვისგან იყო მოტანილი, ხალხის რიცხვზედ უწილადდებოდა. ამ კერძს ერქვა ხატის წილი და მას ძუძუ მწოვარასაც ვერ დააკლებდნენ, რადგანაც მით ერთის ოჯახობის მონაწილეობა მტკიცდებოდა.

ბევრნი იყვნენ ხატობაში ისეთნიც, რომელთაც ან ადგილის სიშორის, ანუ სხვა რომელისამე მიზეზის გამო ხატში სრულიად არა მოეტანათ-რა, მაგრამ აქ ერთი ოჯახი იყო, ცარიელად მოსული — მისი წევრი და მას არა თუ მიიწვევდნენ, არამედ ვერაფერს დააკლებდნენ, რადგან თავის ხატის წილის მოთხოვნა ყოველთვის შაეძლო.

დაამწყალობნეს ხალხი, დეკანოზებმა საკლავის მომტანს ჩვეულებისამებრ შუბლზედ სისხლის ჯვარი გაუკეთეს და ხალხი ნიშის მოშორებით ველზედ შეგროვდა; სადილი ჯერ არ მომზადებულიყო და ხალხს ჯვარულისა და დიდების შემდეგ ტაშფანდურა გაემართა. გახურდა „გოგონა" და გაბრწყინდა ყმაწვილი გოგო-ბიჭების თვალები. მღერაში მომთქმელ-მოლექსენი ცდილობდნენ, ერთმანერთზედ უფრო მწვავს, გულის ამღელვებელს და ძლიერს სიტყვებს იგონებდნენ. თამაშობით შეხურებულნი ყმაწვილნი შეწითლებულიყვნენ და თვალ-გაკუკუნებული გოგოები „საგულოს" დაეძებდნენ, რომ კეკლუცის ღიმებით მოეხიბლათ, თვალის ჩაკრენტით გაებედნიერებინათ.

უფრო მოხუცი დარბაისელი ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილიყო და ზოგნი თავთავიანთ ბინებში ისხდნენ, ზოგნიც ერთის ბინიდგან მეორეში ესტუმრებოდნენ, რათა შემთხვევა არ დაეკარგათ და, ვინ იცის, რამდენი ხნის უნახავ ნათესავებთან დამტკბარიყვნენ და დრო გაეტარებინათ.

ყოველს ბინაზედ მრავალი ჰქონდათ: შინაური არაყი, ლუდი და სტუმრის მისვლისათანავე გაიმართებოდა თასების გზავნა და „სმური", გალექსული სიტყვის შესხმა მისულისადმი.

ყველაფერი რიგზედ მიდიოდა, როდესაც სამი კაცი შემოჩნდა ქვევით გვერდოზედ. სამივ გაჩქარებული მოდიოდნენ და ეტყობოდათ თავისათვის ძალა მიეყარათ, რადგანაც, უეჭველია, დასცხოდათ და ქუდები „ქალას" მხრივ ისე დაეხურათ, რომ ქუდის სათაურებს მზე მოეჩრდილა. სამთავეს ჩოხის კალთები გადაეწიათ, რომ მუხლებს დრეკისა და მოძრაობის დროს ნაკლები ძალა დასდე-

გომოდა. ისინი თვალთათვის სამდევროდ მოდიოდნენ და ამის გამო ხალხის ყურადღება მიიქციეს.

— ვინ იქნებიან... ძალუმ ჩქარა კი მოდიან.. ეგენი უსაქმოდ არ იქნებიან... — ლაპარაკობდნენ აქა-იქ ხალხში და მომავალთ ყველა მოუთმენლად ჩასცქეროდა.

ბიჭებმა მოაღწიეს სერსა, ამოხდნენ და ხალხმა იცნო ისინი. სამნივ სიონლები იყვნენ. მათ მოსვლის უმალ ხალხს შეუფერხებლივ „წყალობა ხატისა“ შეუძრახეს, მიიღეს პასუხად — „თქვენიმც მწყალობელია“ და ხმა გაუცემლივ ნიშისკენ გასწიეს. როდესაც წმიდა ადგილს მიუახლოვდნენ, დაყარეს ჯოხები, ქუდები, წარსდგეს რამდენიმე ნაბიჯი და პირჯვრის წერით დაიჩოქეს. დეკანოზებმა შეჰკრეს თვალი ახლად მოსულებს, აიღეს დროშები და დაამწყალობნეს. ბიჭები ადგნენ, ავიდნენ ნიშთან და დროშის წინ მუხლის მოხრისა და შევედრების შემდეგ საწირ-სანთელი ნიშის კედელში დატანებულს თახჩაში შეაწყეს.

დეკანოზებმა დროშები თავთავის ადგილას დაასვენეს და ერთმა მათგანმა ახლად მოსულებსა ჰკითხა:

— რაი ანბოვი იყო, რომ ისე ჩქარა მოდიოდით?

— გონჯი ამბოვი, ღვთის მადლმა! გონჯი... — უპასუხა ერთმა.

— რაი ანბოვია, რაი ანბოვი? — მიეხვივნენ დანარჩენი დეკანოზები.

— რაი-ღა რაი ანბოვი, ონოფრეი დაჰკარგეს.

— ვინ ონოფრეი, რას უბნობ!

— აუ! ონოფრეი არ იცი? მღვდელი, აქიმი, ბურსაჭირის ქოხში რო სცხოვრებდა...

— რას უბნობ, ბიჭაუ!.. ვინ დაჰკარგა, როგორ? — აღელდნენ იქ მყოფები.

— რაი-ღა ვინა, ციმბირს გაგზავნეს.

— რაიო? — განუმეორეს კითხვა, რადგანაც ამგვარს შემთხვევას ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოიდგენდა.

მათს საუბარში ხალხი ჯერ მონაწილეობას არ იღებდა, რადგანაც ნიშს საკმაოდ დაშორებულნი იყვნენ და ლაპარაკი არ მისდიოდათ.

— ონოფრე გაგზავნეს-მეთქი, ციმბირჩიგა. — გაიმეორა მოსულმა.

— ონოფრე... ციმბირჩიგა?! — დაიწყო ერთმა.

— იმას ვილა გაგზავნიდა, „უფლის ნათლული“ იყო, — დაუმატა მეორე დეკანოზმა.

— ტყუილი იქნების... მოაჭორებდა ვინმე და... — წარმოსთქვა

მესამემ და ამბის მომტანს მიუბრუნდა: — სირცხვილი არაა, ბიჭაუ, რო, სადაც რაი გაიგონა, პირში აღარ დაგადგების?.. გაიგონებ ქორასა და ხალხი უნდა არიო.

— რაი არიაო? — წყენით უპასუხა სიონელმა: — ქორად კი არა, მე თავადა ვნახე, აი ემ თოლებითა. — თვალებზედ ხელები დაიდო.

— შენ ნახე? — გაიკვირა ყველამ.

— ჰაი, ჰაი, რომ მე ვნახე...

წუთს ყველანი გაჩუმდნენ, თითქოს მეხმა დაჰკრა და ყველას სული გააქმენდინაო, მაგრამ მაშინვე ისევ აყაყანდნენ და ერთიერთმანერთის შორის დაიწყეს კითხვა:

— სადა ნახე, როგორა, მართლა მიჰყვანდათ, რას ანბობდა, როგორ იყო?

— დაფერხდით, დაიცადეთ, ყველას გეტყვით.

— იყუჩეთ, იყუჩეთ! — დაუმატა უფროსმა დეკანოზმა და ყველანი სმენად გადაიქცნენ.

— სტეფანწმინდას ჩაველ, — დაიწყო ამბის მომტანმა: — ხატში წამოსვლა მინდოდა და სანთელი არ მქონდა... ის იყო გამოვედ დუქანჩიგათა და ბორკილების ჩხარა-ჩხური მომედინა. გავიხედე და ტუსაღები ბუზსავით ირეოდნენ... მე ვთქვი ჩემ გულში: „სად დაუხვეტიათ-მეთქი, ამდენი, ცხვრები ხომ არ არიან-მეთქი...“ ერთბაშად გავიგონე: „შვილო მამუკაო!“ გამიკვირდა, ვინ ამძრახდამეთქი... მივიხედე და ონოფრე კი იყო... ბეჩავი! ტუსაღის ტანისამოსში, ბორკილები ჰქონდა ფეხებჩიგა! და ძლივს-ღა მოიზლაზნებოდა... გავქანდი, მინდოდა ხელზედ მემთხვია, მაგრამ მცველმა თოფის ყონდახი დამკრა და არ მიმიშვა... აბა, ონოფრეს ვინ არ იცნობს.. ვის არ ახსოვს იმის სიკეთე?... აი მე თავადაც, დაჭრილი რო ვიყავ, სიკვდილს გადამარჩინა, ღვთის მადლმა!.. უნახავი საით დავდგებოდი?.. სამანი მანეთანი მქონდნენ... წაველ ნაცვალთანა, შევეხვეწე... ორანი იმას მივეც და ერთაიც რუსასა... სალაპარაკოდ მიმიშვეს...

— რაი გითხრა, რაი? — მოუთმენლად ჰკითხეს მამუკას.

— მაყვალაის სიკვდილი მე დამბრალდაო... გელამ მიღალატაო... ნამუსი დაკარგა და უფალი გმოო... მაგრამ ბეჩავი, სულ იმას იძახდა: შესცდა და ღმერთმა აპატიოსო!

— აი ბეჩავ ონოფრე! — ჩაიკრა მუხლებში უფროსმა დეკანოზმა ხელი და მწუხარებით დაუმატა: — მოგიკვდა შენი ვაჟიაი!... შენ დაიკარგა და მე კი მზეს ვუყურებდე?... ხალხი, ხალხმა რაიღა ქნა? — დააბოლოვა იმან.

— რას იქმოდა?.. ყველა დალონდა და ყველა ჩაგონდა... უნდოდა მშვიდობა ეთქვა და არ მიუშვეს... ძალუმ ჯარი ეხვია...

— ონოფრე რაღას შვრებოდა?...

— არ იცი, რასა იქმოდა?—კითხვით მიუგო მამუკამ:—ხალხსა ლოცავდა.

— მოიცა-ღა, მოიცა! — გააწყვეტინა მეორე დეკანოზმა: — დალაგებით, დაწვრილებით, გვიამბე.

მამუკამ აღასრულა დეკანოზის სურვილი.

— მოკვდეს თემობა, თუ ეგ საქმე ეგრე ჩაავლია! —წამოიძახა უფროსმა დეკანოზმა, წამოავლო დროშათა თავს ხელი და ისე ძლიერად განრისხებით შეანძრია, რომ ზარების ქლერით ჰაერი შეირყა.

ხალხში სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი, რადგანაც ეგრძნოთ, რომ მოსულებს, უეჭველია, უსიამოვნო ამბავი რამ მოეტანა და შეტყობას ელოდნენ. ზარის ხმამ შეაკრთო, შეაძრწუნა და ტანში ჟრიამულად გაურბინა.

— სმენა იყოს, სმენა!... — აგუგუნდა ხალხი და ნიშისკენ გაემართა.

დეკანოზები თავთავის ადგილზედ იდგნენ, თავთავიანთ დროშები ეპყრათ და ქუდმოხდილებს ნიავი ბამბასავით თეთრს თმასა და წვერს urhevda უხრევდა.

ხალხი შემოგროვდა ნიშის მაღლობის გარშემო და მოუთმენლად ყაყანებდა. შეინძრნენ დროშები და ურიცხვი ზარების ქლრიალი გამეორდა. მას მოჰყვა უფროსის დეკანოზის ხმა: — „სმენა იყოს და გაგონება!" და ხალხი გაჩქურდა, გაწამდა და სული განაბა. თვით ძუძუმწოვარა ბავშვების ჩხავილიც კი ალარსად მოისმოდა, თუმცა სალოცავათ მრავალი მოეყვანათ.

ჰაერიც შესდგა და შეგუბდა, თითქოს იგრძნო, რა სამწუხარო ამბავიც უნდა გაეგონა თემობას; მზეს დარცხვა და იქავ მყოფს ღრუბელს მოეფარა, რომ ხალხის მწარე დღე არ ენახა.

— ხალხო! — გაისმა ამ სამარის მსგავს სიჩუმეში და მედგრად გაირბინა ხალხში: — ხალხო! მზე კრთება და ბნელდება სირცხვილისაგან... ცა გაიპო და მრისხანება ზარსავით დაგვეცა თავსა, გასკდა დედამიწა და თან ჩატანას გვიპირებს... ხალხო! თქვენა გყვანდათ მოძღვარი, რომელიც თქვენთვის თქვენზედ მეტსა ზრუნავდა, თქვენა გყვანდათ მამა, რომლის მაგალითიც გზას გიშუქებდათ... თქვენა გყვანდათ მოძმე, რომელიც ღვთიურს ჭეშმარიტებას გასწავლიდათ... თქვენა გყვანდათ ღვთიური და ის უბრალო ჭიასაც არ ავნებდა... ის იყო თქვენი სახელი, თქვენი სიამაყე, თქვენ შე-

გეძლოთ ამაყად გეთქვათ: ეგ ჩვენია, ჩვენს მთაში ნაშობი და აღზრდილი, მთა ამაყობს, თემი ბედნიერია, რომ მაგგვარი კაცი ჰყავს, ჩვენში აღზრდილი და ჩვენში დაბადებული... ხალხო, მოიგონეთ, ვისა გტკივებიათ გული და შვება ვის მოუცია... ვინა ყოფილხართ დაჭრილი და ვის განუკურნვიხართ; ვინ ყოფილხართ დაცემული სულით და ვის აღუდგენიხართ?

— ონოფრე, ონოფრე!..—დაიძახა ხალხმა გრგვინვასავით ერთხმად.

— გული ხარობს, რომ თქვენთვის მზრუნველი დაგხსომებიათ!.. მაგრამ იცით, რა შეემთხვა იმას?

— რაი შეემთხვა, რაი?

— ონოფრე გაგშორდათ, გაგშორდათ საუკუნოდ და ხალხი მოაკლდა მის მზრუნველობას.

— როგორ, რას უბნობ?.. გაგვაგებინე-და, ღვთის მადლსა!

— ონოფრეს დაბრალდა მაყვალას სიკვდილი და გაგზავნილ იქმნა ციმბირს.

იმ წუთას, მეხი რომ დასცემოდათ იქ მყოფთ, იმ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა, რა შთაბეჭდილებაც დეკანოზის სიტყვებმა მოახდინა. ხალხი გაჩუმდა და გაწამდა; ბუზს რომ გაეფრინა, მისი ფრთების მოძრაობის ხმასაც კი გაიგონებდით.

— ხალხო! — გაისმა ისევ იმ დეკანოზის ხმა: — ონოფრეს დაღუპვაში თქვენც წილი გიძევსთ... თქვენ გაწვებათ კისერზედ ცოდვათ, ონოფრე მომკვლელი ვერ შეიქნებოდა, თავადაც იცით...

— ვერა, ვერა, აგრემც შეგვეწევა წვერის სპარს-ანგელოზი!.. მაგრამ ჩვენ რაითა ვართ დამნაშავენი?

— ქალი მოკლეს და მომკვლელი არ იპოვეთ.

— მართალია, მართალი, ღვთის მადლმა! — ერთბაშად აყაყანდა ხალხი, მაგრამ დროშის წკრიალმა ისევ გააჩუმა.

— მაშ ვეცადნეთ, ვეცადნეთ, დამნაშავე ვიპოვოთ და მით ჩვენი ძმა, ჩვენი მამა, ჩვენი თავმოსაწონი მოძღვარი დავიხსნათ.

— ვიპოვოთ... დავიხსნათ! — აიშალა ხალხი და კარგა ხანს მოუნდა დროშის ზარებს ჟღრიალი, სანამ ისევ მშვიდობა ჩამოვარდებოდა.

— დავარისხოთ, ვინც ყველა ღონისძიება არ იხმაროს მკვლელის პოვნისთვის.

— დავარისხოთ, და!

დეკანოზი წამოდგა, დააჟღრიალა დროშა და მაღალის, ძლიერის ხმით წამოიძახა:

— სმენა იყოს და გაგონება!. ღმერთო, წვერისა სპარს-ანგე-

ლოზო, დარყისა წმინდაო გიორგივ, ივანე ნათლისმცემელო, ზედანიშისა წმინდაო გიორგივ, ლომისა მთავარ-მოწამეო, ოქროს ბურთუსოვანო, ხარხის წმინდაო გიორგივ, ნინო წმინდავ, პირიმზევ, ბეთლემის ღვთისმშობელო, ნაღვარევის წმინდაო გივარგივ, ლუდის ყველა-წმინდავ, წმინდაო სამებაო... გთხოვ მე და შემოგბღავი ამ ხალხის პირით, რომ ვინც ჩვენ თემობაში არ ეცდება მაყვალას მომკვლელის პოვნას, არ ეცდება ჩვენის მოძღვრის, ჩვენთვის თავდადებულის გამოხსნას, შენი რისხვა გააყოლე ყველგან და გამარჯვებულს ნუ ავლევ.

— ომენ, შენს მადლსა! — იგრიალა ხალხმა ისე, რომ ხმის მიმცემმა მთებმაც კი თითქოს ზანზარი დაიწყეს.

— ვინც ეს ჩვენი ფიცი გატეხოს, უფალო, მაღალო ღმერთო, ოჯახობაში სიტკბოებისა და გემრიელობის მაგიერ, სიცოცხლემც გაუმწარდების!

— ომენ, შენს მადლსა!

— გულით საყორელისგამც მოტყუებულ დარჩების და ძალა კი ნუ ექნების — გადაუხადოს!

— ომენ, თქვენს მადლსა!

— მტერთან შებმულსაც ხმალ ტარშიმც გადუტყდების!

— ომენ, თქვენს მადლსა!

— წყალში შესულს ავეანდამც გაუწყდების!

— ომენ, შეხს მადლსა!

— სამარის მაგიერ მგლის კერძათამც გახდების!

— ომენ, შენს მადლსა!

— სამანი! — დაიძახა დეკანოზმა და დააქღრიალა დროშა.

— სამანი! სამანი! დაიძახა ხალხმაც და მიეხვია საქმეს. ყველანი მოჰყვნენ დროშების ქღრიალს და მანამ არ შეუყენებიათ, სანამ ხალხმა სამანის საქმე არ გაათავა.

## XXIII

როდესაც ისინი მორჩნენ ამ სახალხო ჩვეულებას, დასდვეს პირობა, რომ საქმეს მტკიცედ შესდგომოდნენ და ონოფრესათვის უეჭველად ეშველათ. გუდამაყრის თემობასაც შეატყობინეს თავიანთი განზრახვა და გადაწყვეტილება. მათ უამათ ხევის გადაწყვეტილება და თანამონაწილეობის წადილი მით უფრო სიხარულით გამოაცხადეს, რომ ქალის მოკვლა მათ თემობაში მოხდა და სირცხვილიც ყველაზედ მეტი მათ მოეხვია თავზედ.

ამ მიზეზის გამო გადასწყვიტეს, რომ ბურსაჭირის ტაფობაზედ,

როგორც შუა სამაზრო ადგილზედ, გაემპრთათ სამი თემობის ყრილობა: ხევისა, სნოსი და გუდამაყრისა.

ერთს დღეს ბურსაჭირის ღელისკენ ორივე მხრიდგან ხალხი დაიძრა. დანიშნული იყო თემის ყრილობა და ხალხი შედიოდა იმ გორაზედ, სადაც მომხდარი ავაზაკობის ნიშნად ონოფრეს გატიალებული ქოხი მოჩანდა. აქ ალარავინ დადიოდა, რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ გამოქვაბულს მავნე სული დაეპატრონაო, ღამღამეობით აანთებენ ცეცხლსა და ტაშ-ფანდურას გამართამენო. თუ კაცი ჩაიგდეს, აუცილებლად ფათერაკს წაჰკიდებენო, და ეს ხმა კი ხალხის რწმუნებამ შეითვისა და სრულს ჭეშმარიტებად მიიღო.

მალე გასცდნენ ამ ადგილებს და გავიდნენ გუდამაყრელები ბურსაჭირის ღელეში, სადაც მოხევენი უკვე მოსულიყვნენ.

ყველანი მოგროვდნენ, შეიყარნენ, აკლდა მხოლოდ ჯმუხა ჯალაბაური, ყველაზედ ხნიერი მთელს სამს თემში და ყველაზედ სახელგანთქმული მოსამართლე.

— ასე რად დაიგვიანა ჯმუხამა? — იკითხა ვიღამაც.

— აბა რაი ვიცი, შენაი ჭირაიმე! — მიუგო მეორემა: — იქნებ უქეიფოდ არის.

— დაბერდა ბეჩავი, თორლავ, დაბერდა და დაზარმაცდა.

— ჰაი, ჰაი, რო დაბერდა!.. ბატარაი ხნისა კი ალარაა.

— მოდის, მოდის! — ერთბაშად მოისმა და ვაკეზედ გამოჩნდა გაბადრულის თეთრის წვერით მოხუცი, რომელიც წყნარად მოდიოდა და ჯოხზედ ებჯინებოდა. მისი ჭკვიანი და აზროვნობით სავსე სახე გულკეთილობასაც გამოსთქვამდა და, ეხლა მოკუკული დიდრონი თვალები, უეჭველია, ოდესმე მოკუკუნენი, სიცოცხლის ცეცხლით აღსავსენი უნდა ყოფილიყვნენ.

ხალხი მიეგება, როგორც უფროსს, ყველასგან პატივცემულს და საყვარელს კაცს. ჯმუხამ მადლი გადუხადა და წარმოსთქვა:

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭალარა;
შინ საქმეს ველარ ვაკეთებ,
გარედ ვარგივარ ალარა!

— რაისთვი, რაისთვი, ჯმუხავ? — უთხრა ერთმა მოხუცებულმა: — შენი სიცოცხლე ჩვენთვის ღვთის წყალობაა... შენგნითა ვართ გარიგ-დარიგებულნი... შენ გოსწავლი ჭკუასა.

— ნუ, შენი კვნესა-მე, ჯმუხაისი, ნუ! გულს ნუ გაგვიტეხ! — დაუმატა მეორე მოხუცმა და ლექსადვე უპასუხა:

გაგვიძელ, ბერო მინდიავ!
მუხლი მოიბი მგლისაო;

ჩაგვიყოლივნე უნცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისა.

— აბა მაშ მომყევით, — უპასუხა ჯმუხამ და დაუმატა: — დღეს ბევრი გვაქვს საცდელი, ბევრი, ღვთის მადლმა! — და გასწია ბინად ამორჩეულის ადგილისკენ.

ხალხი დალაგდა, დაიწყო ლაპარაკი იმ საშუალებაზედ, რომელიც უნდა მიეღოთ მკვლელის აღმოსაჩენად.

ყველა ცხარობდა, ამბობდა თავის აზრს და თავისი გამორჩეული საშუალება მოჰყავნდა, მაგრამ, როგორც ამგვარს შემთხვევაში ყოველთვის არის ხოლმე, ერთი მეორეს არა ჰყაბულდებოდა და საქმე გრძელდებოდა.

— მოიცადეთ-და!—დაიწყო ჯმუხამ და ხალხი გაჩუმდა:—„შიბ დაბარებული გარედ არ გამოდგებისაო“, ნათქომია, და მართალიცაა... აქ რაიც გინდა სთქვათ, საქმის დროს ისე უნდა მოიქცეთ, როგორც თითონ საქმე მოითხოვს... ჩვენ ის დებულება უნდა დავდოთ, რომ ქალი თუ კაცი, დიდი თუ ბატარაი... სულ, სულ, სულ, რაიცა ვართ სამ თემობაში, უნდა გამოვიდეთ და, როგორც ჭკუა გაგვიჭრის, როგორც ღმერთი ჩაგვაგონებს, ისე გამოვუდგეთ მომკვლელის კვალსა... ეგრე არა, ნინიაუ, შენი კვნესა-მე?! — გადუბრუნა თავი მეზობელს, რომელმაც თავის ქნევით უპასუხა:

— ეგრეა, ღვთის მადლმა!

— ეგრე არაა, ხალხო და ჯამაათნო? — მოუბრუნდა ხალხსა.

— ეგრეა, ეგრე!.. აქ დარიგება არ გამოდგების.

— მაშ რაი-და?.. შევუდგეთ საქმესა...

— შევუდგეთ, შე, შენი კვნესა-მე!

— ხალხნო და ჯამაათნო!.. გწადისთ დამნაშავის პოვნა?

— გვწადის ღვთის მადლმა! ეგრე გვწადის, როგორც მშიერს გაძღომა, ბერს — სულის ცხონება.

— აბა, მაშ მაგას დიდი ლაპარაკი არ უნდის. წადით, დაიმალენით და ძებნას შეუდექით... გაწყდეს ის თემი, რამაც ერთის კაცის პოვნა მოინდომოს და ვერ იპოვას... ხმა ღვთისა და ხმა ერისა ერთი არისო, და ძალაც ერთი უნდა იქმნას... აბა, ვოჟებო!.. ბატარაი გაინძერით და საქმე მალე გაკეთდების... ქვეყანას ქვეყნისა შეუძლიან!..

მოხუცს ჯერ ლაპარაკი არ გაეთავებინა, როდესაც მოლაპარაკეთ შუა ვიღაცა კაცი შევიდა, მოიხადა ქუდი, დააგდო დედამიწაზედ და ცალს მუხლზედ დაიჩოქა.

ჯმუხას სიტყვა ნახევარზედ გაუწყდა; ყველანი გაჩუმდნენ და ახლად მოსულს გაოცებული შეჰყურებდნენ. იმის დაგლეჯილი და

ხას ქერქით მიკონკილ-მოკონკილი ტანისამოსი ხორცს ძლივს-ღა ჰფარამდა. ადგილ-ადგილ, სადაც კანი გამოსჩენოდა, იმისთანა სიგამხდრე ეტყობოდა, რომ იტყოდით — ძვლები გადაეთვლებაო. გამხდარივე სახე გაჰყვითლებოდა, პირზე კანი დასჩვილებოდა, დასთონთლებოდა, მოსდუნებოდა და, ძალას მოკლებული, როგორღაც უსიამოვნოდ ჩამოშვებოდა. პირისახე მკვდარსავით გაჰფითრებოდა და სევდიან-შეშინებული თვალები გაუბედავად გამოიხედებოდა. ქუდის ხმარებას, როგორც ეტყობოდა, დიდი ხანია გადასჩვეოდა და ამისთვის გრძელი თმა და წვერი გაბურძგნოდა. შესთელოდა და საზარელს, უსიამოვნო შეხედულობას აძლევდა, გულხელ-დაკრეფილი, ერთ მხარ ჩამოგდებული ისე დაჩაგრულად, უიმედოდ და ბეჩავად გამოიყურებოდა, რომ მისი ნახვით კაცი შეძრწუნდებოდა.

ვინ იყო, საიდგან მოსულიყო, ან ამ კრებაში რად შემოსულიყო, — არავინ იცოდა, ვერავინა სცნობდა. მეტად დაცემული, დამცირებული, გასრესილი იყო, რომ მის მნახველს გულში სიბრალული არ გაღვიძებოდა. საცოდავი იდგა დაჩოქილი, თითქოს შენდობას ითხოვსო.

— ბიჭაუ! ვინა ხარ? — გაოცებიდგან პირველი ჭმუხა გამოვიდა და კითხვა მოახერხა.

— ვინა ვარ?! — წყნარად, მაგრამ ასეთის ხმით წარმოსთქვა უცნობმა, რომ მსმენელთ სხეულში ჟრიამულმა გაურბინა...

ახლად მოსულს ეტყობოდა, რომ გულის ვარამს საკმაოდ დაეხაშმა, ძლივს-ღა ქშენამდა, ხმა უსწორ-მასწოროდ უკანკალებდა.

— მე ვარ ცოდვილი და ღირსი სასჯელისა... — წარმოსთქვა და ხმა ჩაუწყდა, რამდენჯერმე სცადა ამოხველებით ხმა ამოეწმინდა, მაგრამ ნახველის მაგივრად ნაკუთ-ნაკუთი სისხლი ამოვარდა პირიდგან.

ავადმყოფი მისწვდა მკერდსა, დაიკლაკნა ტკივილისაგან და სახე დაეპრანჭა.

ხალხი იქამდის შეაპყრო განცვიფრებას და ავადმყოფის მდგომარეობის თანაგრძნობას, რომ ხმის ამოღება ვერავის გაებედნა.

— ღირსი ვარ სასჯელისა-მეთქი, და... იმად მოვედ, რომ დამსაჯოთ... რაისთვი გინდათ ჩემი სახელი... სახელი დაკარგული მაქვს... ჩემი სახელი დიდი ხანია მოკვდა და დაიმარხა... სახელი რად გინდათ?.. ვინ ვიყავ, თქვენთვის რაი ხელსაყარია?.. მე მოვკალ მაყვალი, მე დავღუპე ონოფრე და ცხო რაი-ღა გინდათ?

ამ სიტყვებთან ერთად ბიჭი მთლად დაიგრიხა და ხალხში კი ძრწუნვის და გაშტერების გუგუნი გაისმა.

— რას გაჩუმდით? გაგიკვირდათ?.. ეჰ, ჰე, ჰე, ჰე!.. — მწარედ

ჩაიცინა იმან: — მიყურეთ, მიყურეთ, ნახეთ, კაცს სადამდის შეუძლიან მივიდეს! ღვთის მადლსა, ნუ გაჩუმებულხართ!.. — ერთბაშად მღელვარებამ ძალა მისცა და საჩქაროდ დაიწყო: — დამკარით, მომკალით! ღვთის მადლმა, ღირსი ვარ და ეგრე ჩუმად კი ნუ ხართ!.. იქნება სიკვდილის ღირსიც აღარა ვარ?.. იარაღს წავბილწავ, რომ მომაკართ?.. ქვა მაინც აღარ გეპოვებათ, ქვა, ქვა!.. — გაბრაზებით დაიწყო ღრიალი და თავში ცემა.

— ბიჭაუ! შესდეგ, რაი მოგსვლია?

— გამიშვით, გამიშვით! — გაცოფებული იძახდა საცოდავი: — ღემდის ცხოს ველოდი და არ იქნა... არ მოვკვდი, არვინ ჩამაძალლა... თქვენც აღარა მკლავთ.... მაშ რაი ვქნა, რა?

— გვიამბე დაწვრილებით, როგორ იყო? — კარგა ფიქრისა და ჰვმუნვარების შემდეგ იკითხა ჯმუხამ, რომელსაც ოფლი გადმოსდიოდა შესაზარის სურათის ცქერისაგან.

— რაი-ღა გითხრა, ბეჩაო?! ხომ გითხარით, რომ მე მოვკალ, ცხო რაი-ღა გინდათ? მე მოვკალ და სისხლი აიღეთ. სახელიც გინდათ?... ონისე ვარ.

— ონოფრეს იცნობდი? — ერთბაშად ჰკითხა ჯმუხამ.

— ონოფრეს... ონოფრეს როგორ-ღა არ ვიცნობდი.... ღვთის ნათლული იყო... იმანაც იცოდა ჩემი ცოდო... იმას ყველაფერი ვუთხარი...

— ხალხო, სმენა იყოს და გაგონება! — დაიძახა ჯმუხამ და სახე გაუბრწყინდა.

— იმან მაზიარა... აღსარება უთხარ... არა დაუმალე-რა...

— იმან იცოდა, რომ შენ მოჰკალ, არ გამოგაცხადა... შენ დაგფარა და თითონ თავი მსხვერპლად მისცა?!

— ის არ იტყოდა... ღმერთიური იყო, ღმერთიური, განა კაცი იყო! თავად მითხრა, აღსარება არ გაიცემაო... ლუკმა-ლუკმა რომ დამჭრან, ვერ მათქმევინებენო და... და არცა სთქვა.

— დიდება შენს სახელს, უფალო! — გადიწერა პირჯვარი ჯმუხამ: — დიდება შენის სახელის მადიდებელს, დიდება შენის სიტყვებით გაძლიერებულს!

ხალხს უკვირდა ონოფრეს მოქმედება და ღირსმოსაგონებელს სიმტკიცეს, სასახელოს ვაჟკაცობას და სამაგალითო მოქმედებას გულში იბეჭდამდა ისე ძლიერად, რომ მისი აღმოფხვრა ათას შემთხვევათ ჯერ კიდევ ვერ შესძლებია.

— ბიჭაუ! განშორდი ხალხსა! — ბრძანებით წარმოსთქვა ჯმუხამ კარგა ფიქრისა და დუმილის შემდეგ.

— რაისთვი? — ისეთის შესაწყალის ხმით იკითხა უბედურმა, რომ ყველას შებრალება აღუძრა გულში.

იმას ესმოდა, რომ ხალხისთვის საზიზღარი შექნილიყო, მოშორებოდა მასა და მეტისმეტად ამცირებდა კრების ცქერა, მის შორის ყოფნა.

— თემმა შენს საქმეზედ უნდა მოილაპარაკოს.

— მე რაი-და მოსარიდებელი ვარ, შენაი ჭირაიმე, ვიქნა აქა, რას დაგიშლით, ვინ დამერიდების?

ხალხში გაიმართა ჩურჩული, და ბეჩავს გამოუცხადეს, რომ სანამ თემის თავნი მოლაპარაკებაში იქნებიან, გარეშე პირი ვერ დაესწრობათ.

დამნაშავე განშორდა, და კრებაში ლაპარაკი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა უყონ უბედურს მთიელს, რომელიც თავად, ძალდაუტანებლად მოვიდა და ისე გულწრფელად აღიარა ყოველისფერი.

სჯა დიდხანს გრძელდებოდა, რადგანაც ერთის მხრით საზარელს სურათად ეხატებოდათ დამნაშავის მოქმედება და მეორეს მხრით მისი ბეჩაობა და დაცემა გულს ულბობდა, აბრალებდა, და პატივების სურვილი სიმკაცრეს ხელს უშლიდა.

მათ წინ იდგა დავრდომილი, რომელიც ოდესმე თემის თავმოსაწონი, სასახელო იყო, ის ონისე, რომელიც მოძმეთათვის თავგადადებული მტერს ტყვიად მოხვდებოდა და შიგ გავარდებოდა; ეხლა გალახული, ძოგლილი, დაოსებული, რომელსაც მზის სხივიც კი შეზარებოდა.

მოლაპარაკება გათავდა, და ჯმუხამ ისევ დაუძახა ონისეს, რომელიც გულის ცახცახით მოვიდა და შუა ადგილას დაიჩოქა. მთლად სმენად გადაქცეულს ჯმუხასთვის თვალები ვერ შაექცია, თუმცა წარმოუთქმელის წადილით უნდოდა იქ მყოფთა სახის-მეტყველებაზედ შაეტყო, რა გადაწყვიტეს მის შესახებ.

— ონისე!.. შენს მაგიერ ჩვენი მოწყალე და პატრონი დაიკარგა...

— დამკალით და წამლად დამადეთ, თუ ეშველების რამე! — საჩქაროდ წამოიძახა ონისემ.

— თემმა გადასწყვიტა, რომ ნამდვილი დამნაშავე ეპოვნა...

— და აგერ... აქა ვარ, თქვენაი ჭირაიმე!... თავად უფალმა მომიყვანა, ღვთის მადლმა!

— თემსა ჰსურდა ნამდვილი დამნაშავე მიეცა მთავრობისათვის და უბრალოდ დასჯილი კი გადაერჩინა.

— თემი გონიერია, ადიდას უფალმა!

— მოიცა, ბიჭავ! — გააწყვეტინა ჯმუხამ... — ხალხმა გადაწყვე-

ტილება შესცვალა... შენ არ გაგცემს... ხალხი, თემობა ითხოვს, რომ ონოფრე დააბრუნონ, ხალხს აჩუქონ. თემის თხოვნას წინ ვერავი გადუდგება...

— არა, თქვენაი ჭირაიმეთ!.. მე მიმეცით, მე გამგზავნეთ,... თუნდა გზაჩი მოვკვდე, გამგზავნეთ.

— ეგრეც მკვდარი არა ხარ, ბეჩაო! — უპასუხა ჯმუხამ და დაუმატა: — თემს რომ გაძლიერებული ენახე, გაუტეხელი, თავმოუხრელი — ჰაი, ჰაი, რო გიჩვენებდა ძალასა: მოგგრეხდა და მოგტეხამდა... მაგრამ ეხლა ხელს არ გახლებს... არ გახლებს, მაგრამ თემობაჩიც ვერ მიგიღებს... წადი, იცხოვრე, იცხოვრე, სადაც გინდა, როგორც გინდა... შენ ერთხელ მოსწყდი თემობას და ვეღარ შეუდუღდები...

— ბეჩაუ! — დაიკვნესა ონისემ: — ვითომ მიბრალებთ?.. საით ვიცხოვრო, რაღამ მომასვენოს?... ონოფრე ჩემს მაგიერ იკარგებოდეს, და მე კი მზეს უცქეროდე?.. მოკვდეს ონისე, მოკვდეს, რომ მაგას უბედამენ...

— იყუჩე ბოლოს!.. თემი დალოცე, რომ სიცოცხლეს გარჩენს. თემმა ისურვა შენი დარჩენა და უნდა დარჩე... დარჩეს, თემო?

— დარჩეს, დარჩეს! — გაისმა ძლიერი ხმა მთელის ხალხისა.

ონისე გაქრქოლდა და სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა: მეტად ძვირფასი გასაგონი იყო, ყველას მოსხლეტილის გულისაგან გაგონება, რომ მას კიდევ რაღმე აფასებენ, კიდევ რაოდენადმე სიყვარულს უჩენდნენ. ის დაეცა მუხლის თავებზედ, მთრთოლარეს ხელებით ჯმუხას ჩოხის კალთას დაეძებდა, რათა დაელორთხა და მადლობის გრძნობით დაელოშნა.

— არა, ხალხო, არა, ჯმუხავ! არა, აგრემც თქვენს ჭირს დავდევ!... არა ვარ თქვენი წყალობის ღირსი... ეგ წყალობა დიდია, მაგრამ ძნელი, მეტად ძნელი... არა ვარ ღირსი, არც იმ პურისა, რომელსაც მომაწვდენს... ვინც ლუკმას მომიშვერს, ის ლუკმა ალალი იქნების და მე კი არამი!.. ყელ ვეღარ ჩაუშვებს... ჯმუხაისი! შენაი კვნესა-მე... ხალხო, თემო!... აგრემც თქვენს ჭირს დავლევ... არ მინდა, მაგად არ მოვსულვარ.

— მაშ, რისთვის მოხველ, რა გინდა?

— იმად, რომ დამნაშავე ვარ... კაცი დაიკარგა ჩემის მიზეზით, და მიშველეთ — დავიხსნა.... მიშველეთ, თემი ხართ, დიდი შეგიძლიათ... დავიხსნათ და თუნდა ჩამქოლეთ.

ხალხი გაჩუმდა, იმან იგრძნო სრული სამართლიანობა ონისეს მოთხოვნისა; იგრძნო მისი მდგომარეობა, სინიდისის გაღვიძება და სატანჯველი; მიხვდა და სიტყვა გაუწყდა.

— მე მიყვარდა მაყვალაი, — დაიწყო ისევ ონისემ სულის კვეთებით, — მიყვარდა, ვფიქრობდი, იმედი მქონდა ბედნიერება მეწვევა-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი... გული გაგიჟდა, გაბრაზდა, სისხლი ამერია... მაყვალაი ცხოსთვის ვერ დავთმე და მოვკალ!.. მეგონა მოვკლავ-მეთქი, და მოვისვენებ მაინც, მაგრამ უფალი დიდი ყოფილა!.. დღენი მომეწამლა, სიცოცხლე გამიშავდა და გულს მეტი შხამი ჩაესხა... დავდიოდი, ვჭამდი, ვსვამდი, მეძინა, თუ მეღვიძა — ვერ გამეგო... ყველა შავად, ნაღვლიანად და მწარედ მეჩვენებოდის... წყალი, წყალ-ტიალას რაღამ შეუცვალა გემო?! მზისთვის ვერ შემიცქერია, მთვარესთვის ვერ მიმიხედნია, მრცხვენის... მრცხვენოდის... ჩემი ჩრდილის დანახვაც კი მარცხვენდის... ონოფრე შემხვდა... მაზიარა... ყველა გავაგებინე, ყველა ვუთხარ ალსარებაში... იცოდა ჩემი თავგადასავალი... გითხართ და ვამბობ. ვამბობ თავმთელი და თავგატეხილი, ონოფრე არაა დამნაშავე, ონოფრე ცამდის მართალია, მე ვარ, მარტო მე, დამნაშავე, და იმას უშველეთ!.. უშველეთ-მეთქი, და აჰა ჩემი გული!...

ონისე ისევ მუხლებზედ დაეცა და ხელების მოკვრით მკერდი გადაიღეღა; ტუჩები ჯერ კიდევ რაღაცას მოძრაობდნენ, სახე შეშლილი, გამწარებული ჯერ კიდევ რაღაცას ლუღლუღებდა; ხალხსაც გაექმინდა ხმა, გაჩუმებულიყო; ნახულის და გაგონილის წინაშე თავი მოეხარა...

ერთბაშად კრება შეინძრა, ერთ მხარეს მდგარნი ორად გაიპო და ვიღაცა კაცი, ჩასისხლიანებულის თვალებით, ვეფხსავით გადმოხტა... მივიდა პირდაპირ ონისესთან, დასტაცა მხარი და წამოაყენა.

— ბიჭაუ! შემომხედე... — დასჭყივლა იმან: — შენ წამართვი მშვიდობიანობა... სახლი გამიწბილე, დამჭერი... მაყვალაი გიყვარდა?... ღვთის მადლმა, რომ მეც მიყორდა, შენზედ მეტად მიყორდა... შენ მოკალ მაყვალაი, მაყვალაი ჩემი იყო და... თემს რასა სთხოვ? შენ მოკალ ჩემი, და სისხლსაც მე ავიღებ!

ონისემ შეხედა და გაიღიმა.

— მომკალ, მომკალ! — დასძახა იმან გახარებულმა და მკერდი უფრო მეტად გადაიწია.

ხალხი გაშტერებული იდგა და ვერ გამოერკვია, რა ხდებოდა; ყველანი გაჩუმებულიყვნენ, გაყუჩებულიყვნენ ისე, როგორც ქარიშხალს წინედ ჰაერი, რომელიც გრგვინვად გადაქცევას აპირებს.

— მოგკლამ, მოგკლამ, ღვთის მადლმა! — ერთბაშად მოისმა და ხანჯალმა ჰაერში იელა, გათრთოლდა და გაიკრიალა.

ხალხი შეირყა, გაქანდა იმ მხრისკენ, მოეხვია მოჩხუბართ და შეჯგუფდა, ბჟრთად შეიკრა. რამდენსამე წუთს ასე გაუშლელად

ღელავდა და გამოურკვეველს მოძრაობაში ტალღასავით მიქან-მოქანავდა; გაიშალა, გაიფანტა და ხმამაღლად ყვირილი დაიწყო:

— სიკვდილი მოღალატეს, სიკვდილი!..

იმ ადგილზედ, სადაც პირველად შეჯგუფებულიყვნენ, დარჩენილიყო რამდენიმე კაცი, რომელთაც გაბრაზებული, ფერმიხდილი და სახე არეული გელა ეჭირათ; და იქავ, იმათ ფეხებთან, ეგდო ონისე. გელას ხანჯალს მკერდი გაეპო მისთვის. ონისე სიკვდილს ებრძოდა და მწარეს ტკივილისაგან სულთ მობრძავი უწყალოდ იგრიხებოდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, ცდილობდა წამომდგარიყო, მაგრამ ძალა თანდათან აკლდებოდა და მისი მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა. ბოლოს, შეკრთა, ორივე ხელები გაპობილს მკერდთან მიიტანა და ფერდაკარგულმა, მთრთოლარე ტუჩებმა ჩუმად, ნიავსავით წყნარის თრთოლით, მკაფიოდ წარმოსთქვა:

— უფალმა შეგივალოს, გელაუ!

კიდევ ერთხელ შეკრთა, გაიზმორა, გაიჭიმა, დაიკვნესა და საუკუნოდ გაუნძრეველი დარჩა...

მეტად ძნელი და შესაძრწუნებელი სურათი იყო, რომ მისი მნახველი ხალხი გულგრილად დარჩენილიყო; ძალღონეს მოკლებული, უიარაღო კაცი, თემს შემოხვეწებული, თემის, ყრილობის დროს, თვალწინ მოუკლეს! — გელას გაბედულობა მეტად საზიზღარი იყო, საკმაოდ დასამცირებელი კრების თავმოყვარეობისთვის, რომ უიარაღო კაცის მკვლელისთვის გულგრილად შაეხედათ.

— მოვკლათ, დავახრჩოთ, ჩავკუწოთ! — იძახდა ხალხი და მისი ხმა ჰაერში ცის გრგვინვად გაისმოდა.

ყველა მზად იყო მონაწილეობა მიეღო ამ კაცის წვალებაში და ყველა ცდილობდა, რომ უმეტესი სატანჯავი მოეგონა მისთვის.

ერთადერთი ჯმუხა იყო თავჩაკიდებული, მწარედ ჩაფიქრებული და ხმა ამოუღებლად მწარე ფიქრს ეძლეოდა.

ერთბაშად აიღო მან თავი და მჭმუნვარება მოცული სახე გამოუჩნდა. აშკარად ეტყობოდა, რომ მის გულს სევდა ლოდად დასწოლოდა, ძალას ატანდა და თავის სიმძიმის ქვეშ უწყალოდ სრესავდა.

— თემო! — დაიძახა ერთბაშად, და მისმა ხმამ თრთოლით გაირბინა ჰაერში.

ყველა სწრაფად გაჩუმდა, გაქვავდა და სმენად გადაიქცა.

— საძირკველი შეირყა და ცა ჩამონგრევას აპირებს.. ხალხი წახდა და თემის პირი ირღვევის... ნახულით თოლთ მიბნელდების, გაგონილით სმენა მეკარგების!.. რაი ვთქვა?.. რაი გითხრათ?.. — ცრემლებ ქვეშ წამოიძახა ჯმუხამ და ქუდი მოიხადა. ჭმუნვარებით

სავსე პირისახე მოხუცისა მთლადა თრთოდა, შუბლი დანაოჭებოდა და ცეცხლმოდებულის გულიდგან ამოხეთქილი ქშენა სულს ძლივსღა აქცევინებდა.

— რაი ვთქვა?.. რაი გითხრათ-მეთქი?—გაიმეორა იმან და ორი მდუღარე ცრემლი მარგალიტსავით გადმოეკიდა ქუთუთოებზედ: — ვხედავ — ვიღუპვით!.. ჩვენობა აღარაა... ვიტირა, თავს ვიცა... შეუნდო შემცოდეთა, თუ შევაკვდე?!. თქვენ თავად ნახეთ, რაიც ჩაიდინა გელამა... მაგის სიკვდილი რაი გახდა?.. ერთაის მოკვლა თემისთვი არც მადლია და არც სახელი.. კაცისკვლა არც უფალს იამების...

— არ იქნების, არა! — ერთხმად, თითქოს ერთის კაცისგან გაისმა თემის ძახილი: — გელა მოკვდების.

— სუთ-ღა, გაჩუმდით! — მაღლა შეჰყვირა ჯმუხამ და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა:—გული მეუბნების ნუ მოვკლავთ, ნუ მოვკლავთ-მეთქი, მაგრამ გუნება ცხოსაც მეუბნების...

— სიკვდილი, სიკვდილი გელას!

— იქნება სჯობდეს... არ ვიცი!.. იქნება ცოდო-ბრალი, რაიც ჩვენში ტრიალებს, მსხვერპლს ითხოვდეს... მე აღარ ვიცი, ხალხო, და რაი ვქნათ?..

— გელამ შეგვარცხვინა, გელამ გაგვაწბილა, გელას სიკვდილისგან ვერც ვინ ვერ იხსნის!.. — აყაყანდა ისევ ხალხი.

— ჩაგონდით, ხალხო!.. ცოდო-ბრალს კიდევ ცოდო არ მიუმატათ... ღმერთმა ხელი აიღო ჩვენგანა და მეტად ნუღარ შევრისხავთ!

— სიკვდილი, სიკვდილი!

— კარგი...—წარმოსთქვა ჯმუხამ, მაგრად მოიწმინდა თვალები და დაუმატა: — გელა რო ჩემი ღვიძლი შვილი ყოფილიყო, ღვთის მადლმა, მე თავად, ჩემის ხელით გავუპობდი მკერდსა, ამოუღებდი გულსა და უკანასკნელს წვეთამდის გამოვწურავდი იმ სისხლს, რომელსაც ჩვენობა აღარ ეტყობა... გელა უცხოა. მარტო თავს ვერ ვენდე, გულს ვერ დავუჯერე... თქმულია „ხმა ღმრთისა და ხმა ერისაო“.. იმად დაგეკითხეთ. გელა მოკვდეს. თქვენ გინდათ და მეც თქვენთანა ვარ... უთქვენოდ სულსაც ცხონება არ უნდის... გელამ გვიღალატა, გელამ თემის პირი გატეხა, გელამ ხალხი შეარცხვინა, — მაშ მოკვდეს გელა!

— მოკვდეს, მოკვდეს! — აჩქარდა ხალხი.

— და მოკვდეს ისე, რომ მაგის სიკვდილი დამრჩოთ სახსოვრად დარჩეს.

— ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ! — იგრიალა ხალხმა და ხელში ქვა-

აღებული მიეხვია გელას. ავარდა მტვერი ხალხის მოძრაობისაგან და ყოველისფერი დაფარა, მოისმოდა რაღაცა დაყრუებული გრგვინვა, გრიალი, ქვების ჩახი-ჩუხი. ბოლოს, ყოველისფერი შესწყდა, გაყუჩდა და გაჩქურდა. ხალხი გამოვიდა ავარდნილის კორიანტელიდგან, რომელიც ჯერ ჰაერში ტრიალებდა და იმ ცოდვის ადგილისკენ აღარ მიუხედნია, ისე გასწია შინისკენ, დარწმუნებული, რომ თავისი ვალი აღასრულა.

დაცარიელდა კრების ადგილი. ყველა დაწყნარდა და დამშვიდდა. მხოლოდ ავარდნილი მტვერი ჯერ კიდევ ირეოდა. ერთბაშად დაჰბერა ქარმა და ისიც გაანქრია... მის მაგიერ იქ გამოჩნდა ერთს ადგილს მიგროვებული ღორღი, რომელშიაც ხალხისგან ჩაქოლვილი გელა იყო ჩამარხული. ეს გახლდათ საქოლავი თემის მოღალატისა და ხალხისთვის მოსაგონებელი თავიანთ წარსულისა.

განვლო რამდენმამე წელიწადმა და აღწერილის თემობის მოძღვარის ონოფრეს განთავისუფლების შესახებ შემდეგი ცნობა მოუვიდათ:

„ონოფრეს ეპატია დანაშაული, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ მოხუცს ვეღარ მიუსწრო: ქაღალდის მიღებამდის იგი უკვე გარდაცვლილიყო“.

[1885]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

# ციკო

ეს ნაწარმოები ავტორმა დაბეჭდა 1883 წ. ჟურნალ „ივერიაში“ (№ 1). აქედან ამონაბეჭდები ცალკე წიგნად იქნა გამოცემული. მეორედ დაიბეჭდა 1891 წ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა I ტომში.

მოთხრობის სიუჟეტად ავტორს ნამდვილი ამბავი აქვს აღებული, ციკოც რეალური პიროვნება იყო, რომელიც ჩვენს დროში გარდაიცვალა. საინტერესო ცნობები აქვს შეკრებილი ამ ციკოს შესახებ გ. ნათაძეს; თავის მემუარებში ის წერს: მოხუცებულობაშიაც კი ციკოს ეტყობოდა, რომ ის „ახალგაზრდობაში საოცარი სილამაზისა უნდა ყოფილიყო. ცოტა მოღუნული, მარდათ მოარული, წითლად ლაქლაქი გაჰქონდა. უწინდელ სილამაზეს დაღი დაემჩნია ციკოზე. მუდამ მხიარული და მომღიმარი, რიხიანი და ჭახჭახით მოლაპარაკე, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე.

ციკო ლუდუშაურიანთ (ტუხიეთ) ქალი იყო, სტეფანწმინდელი და იჭაურივე ფიცხელაურიანთ (გოჩიანთ) რძალი. მის ძმას, ტუხიეთ ვანკას, ცოლად ჰყავდა, ალ. ყაზბეგის ერთ-ერთი აღმზრდელთაგანი, სალომე. პატარა სალომე მზითვად მოჰყვა თარხნიანთ ქალს კეკეს, სანდროს დედას...

ციკო თავის რძალ სალომესთან ერთად ხშირად იყო ყაზბეგიანთას, მიხეილის ოჯახში, და მასთან ერთად არწევდა სანდროს აკვანს. ციკო ძალიან ამაყობდა, რომ დიდი ღენერლის შვილს, სანდროს აკვანს არწევდა და ზედ ტკბილ ნანას დასძახებდა. საგანგებო ლექსიც კი გამოსთქვეს ქალებმა სანდროს აკვანზე დასამღერებლად. ამ ლექსში გაშოთქმული იყო სანდროს სითეთრე, თავთუხის გამტკიცული პურივითა, ამისთვის ხშირად „გამტკიცულს“ ვეძახდით პატარა სანდროსო, სთქვა ციკომ.

ბოლო ხანებში ციკო კავკავში ხშირი სტუმარი იყო ჩემი. მისი მოსვლა, საამური, ალერსიანი ხუმრობა ახარებდა და ამხიარულებდა ხოლმე ჩემს ოჯახს. მისი მომტაცებელი, ვასილი ჩოფიკაშვილიც, მის ახლოს მეზობლად სცხოვრობდა კავკავში და ესენი ყოველდღე ჰხედავდნენ ერთმანეთს.

— ციკო, რაზე დაალონე ბეჩავი კაცი და არ გაჰყევ ცოლად ხალიეთ (ჩოფიეთ) ვასკას?—გავეხუმრებოდი ხოლმე მე ციკოს.

— მაიხაფროს ერთი აქედან, ეგეთი გონჯი რაღათ მინდოდა?!..

ციკო ბოლოს ძალიან მოხუცდა, ცოტა შეირყა კიდეც გონებით და არეულად დაიწყო ლაპარაკი. მისმა ძმისწულმა ტუხიეთ იაგორამ წაიყვანა სტეფანწმინდაში და იქ გარდაიცვალა.“*

ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ ნაწარმოების გუგუას პროტოტიპი ვასილ ჩოფიკაშვილი ყოფილა, ციკო არ გაყოლია ცოლად მის მომტაცებელს და არც თავი

* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება № $\frac{2132}{4}$, გვ. 139, 141–142.



სხედან: (მარცხნიდან მარჯვნივ) ციკო და მისი ქმარი, დგას ციკოს მული.

დაუხრჩვია, როგორც ალ. ყაზბეგს აქვს გადმოცემული. იაგორ ლუდუშაურის ცნობით, ალ. ყაზბეგს გორჯასპ ლუდუშაურად თავისი მამა, მიხეილ ყაზბეგი, ყოლია გამოყვანილი.

მოთხრობამ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო კრიტიკის ყურადღება. ბოსლეველმა (ესტატე ქელიძე) ვრცელი რეცენზია უძღვნა ამ მოთხრობას 1883 წ. გაზ. „შრომაში“ (№ 12, გვ. 1—3), სადაც წერდა: „ეს პატარა, ლაზათიანის ენით დაწერილი მოთხრობა, სადაც დაცულია მოხევეთა ლაპარაკის კილო, ბევრი კარგი მხარეებით არის შემკული... მოთხრობაში აქა-იქ მკითხველებს შეხვდება მარგალიტივით სწორად, ხელოვნურად დაწერილი სურათები, რომელიც ამტკიცებენ, რომ ავტორისათვის ბუნებას არ მოუკლია პოეტური ნიჭი და ფანტაზია“, ხოლო ამაზე რამდენიმე დღით ადრე, იმავე გაზ. „შრომამ“ (№ 9, გვ. 3—4) გულთბილი რეცენზია უძღვნა „ციკოს“.

## ნ ი ნ ო

პირველად დაიბეჭდა 1883 წ. „დროებაში“ (№ 9). მეორედ—1892 წ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა IV ტომში.

## ბ ე რ დ ი ა

ავტორის სიცოცხლეში ორჯერ დაიბეჭდა, პირველად გაზ. „დროებაში“ 1883 წ., № 22, 24 და მეორედ 1892 წ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა IV ტომში.

## ც ი ც ი ა

პირველად დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1883 წ. № 91—257. მეორედ 1891 წ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა III ტომში.

გაზ. „დროებაში“ ამ მოთხრობას ბოლოში ავტორის მიერ გაკეთებული აქვს ასეთი შენიშვნა: „ოდესმე და სადმე მკითხველს შევატყობინებთ ციციას მომავალ ბედზე“-ო (№ 27, გვ. 3). ჩანს, ეს განზრახვა ავტორს სისრულეში ვერ მოუყვანია.

## მ ტ რ ე დ ი

ეს პატარა მოთხრობა ავტორმა დაბეჭდა 1883 წ. დეკემბერში ჟურნ. „ნობათში“ (№ 1). ავტორის სიცოცხლეში ეს მოთხრობა მეტად არ დაბეჭდილა. მეორედ ის 1905 წ. დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის თხზულებათა კრებულში.

ალ. ყაზბეგის არქივში დაცულია თბილისში გამოცემულ რომელღაც რუსულ გაზეთიდან ამოჭრილი და ცალკე ქაღალდზე დაწებებული შემდეგი ცნობა: „В одной боснийской газете пишут, что в газете „Сремский Хрват“ разсказывается, как в одной деревне задарского округа, прошлой осенью осталась ласточка и прозимовала в доме некоего Jobura; в хорошую погоду она вылетала на волю, а в дурную сидела в углу в кухне. Пришла весна, а с нею прилетели и ласточки, некоторыя из них навестили свою прозимовавшую подругу и началось между ними сильное щебетание, после которого прозимовавшая ласточка вцепилась себе когтями в горло и

мертвая упала на пол. Разсказывающий эту историю предполагает, что прилетевшия ласточки в таком увлекательном виде рисовали свое путешествие, что она с отчаяния, что лишена была такого удовольствия, лишила себя жизни“ (S=3997|5).

თუ ეს ცნობა „მტრედის“ დაწერამდე იყო გამოქვეყნებული, მაშინ შეიძლება დაისვას კითხვა, ხომ არ მისცა ამ ცნობამ ბიძგი ავტორს აღნიშნული მოთხრობის დაწერისათვის?!

მოთხრობამ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. აი რას სწერს სტეფანე ჭრელაშვილი ამ მოთხრობის შესახებ ჟურნ. „ივერიაში“ 1884 წ. 1 №-ში: „შესანიშნავია ბ. მოჩხუბარიძე თავის მშვენიერს, მალხაზსა და ლამაზ მოთხრობაში, რომელსაც სახელადა ჰქვიან „მტრედი“. ამ პატარა მოთხრობაში დაცულია ყოველგვარი ღირსება ხელოვნურად შედგენილის ამბისა, თავის უმთავრესი ინტერესით, თავის დრამატიზმით. თემა საბავშოა... თითონ სურათი ლაზათიანი. მაგრამ ერთი ცოდვა მაინც ამ მოთხრობასაც გამოჰყოლია თანა. ეს ცოდვა გახლავთ—ნამეტანი გრძელი წინადადებანი, ასე რომ ყმაწვილი ვერ შესძლებს მთელს პერიოდების აკრეფას, რომ აზრიდამ აზრზედ გადავიდეს. მაგრამ ამ ნაკლულოვანების მიუხედავად, ბ. მოჩხუბარიძეს შვენივრად ესმის ყმაწვილის გულის პასუხები, იცის, რითი და როგორ აათამაშოს მისი გულის სიმები. მოქცევაც თავის „პატარა მეგობრებთან“, მკითხველთან, სწორად მოსაწონი აქვს და აქედგან უნდა გვქონდეს იმედი, რომ მოჩხუბარიძე, როგორც დახელოვნებული და ნიჭიერი ტალანტი, მოერევა ნაჩვენებ ნაკლულევანებას და არ მოაკლებს ქართველ ბავშვებს ნამდვილს მეგობარს თავისის კალმით. ბ. მოჩხუბარიძეს შეუძლიან, ცოტა მეცადინეობით, მართლა ძვირფასი და საყვარელი მწერალი გახდეს ჩვენი პატარა მკითხველებისათვისაც“.

ასეთივე გულთბილი რეცენზია უძღვნა ავტორის სიცოცხლეში ამ მოთხრობას იაკობ გოგებაშვილმაც („დროება“, 1884 წ., № 12).

## განკიცხული

„განკიცხული“ პირველად დაიბეჭდა 1884 წ. ჟურნ. „ივერიაში“ (№№ 1—2), მეორედ 1891 წ. ა. ყაზბეგის თხზულებათა II ტომში. მოთხრობის 14-ე და 15-ე თავები „ივერიაში“ ცენზურას აუკრძალავს, რის გამოც ავტორი იძულებული გამხდარა ნაწარმოებისათვის ასეთი შენიშვნა გაეკეთებია: „ამ ორ თავს ვტოვებთ, რადგანაც მათი დაბეჭდვა ამ ჟამად მოუხერხებლად მიგვაჩნიაო“ („ივერია“ 1884 წ., № 2. გვ. 53). აკრძალული თავები საცენზურო კომიტეტის საქმეებში არ შენახულა და არც ავტორის პირად არქივშია დაცული.

მოთხრობას დიდი აღტაცება გამოუწვევია მკითხველებში. „განკიცხულის“ წაკითხვით აღფრთოვანებულ ჩვენს ბელეტრისტს დავით კლდიაშვილს, ბათუმიდან ავტორისათვის 1884 წ. 14 აპრილს შემდეგი წერილი მიუწერია:

დიდად პატივცემულო ალექსანდრე მიხეილის-ძევ!

სულით და გულით მოგესალმები! თქვენი „განკიცხული“ მშვენიერებაა, რომელიც ყოველივე ჩვენგანს, ქართველს, გვაძლევს უფლებას თვითკმაყოფილებით ვთქვათ: „ჩვენთვის ყოველივე არ მომკვდარა, ჩვენ ისევ ვცოცხლობთ და კვლავ დიდხანს ვიცოცხლებთ!“ მე აღტაცებული სიხარულით წავიკითხე ეს მშვენიერი ფურცლები. რამდენი ნაცნობი სოფიო წარმოსდგა ჩემ თვალთა წინაშე! რამდენი ჩაგრული, გაწამებული მარი აღსდგა ჩემს მეხსიერებაში!

თქვენი მარი, სხვათაშორის, უფრო ბედნიერია სხვა მის ბედში მყოფთა შორის. ბევრი მათგანი სრულიად გარიყული რჩებიან ცხოვრებიდან, ისე იქცევიან უსიტყვო მანქანებათ რეგვენ მტარვალების აუტანელ ავტორიტეტის ქვეშ. თქვენი მარი ძლიერია სულით, მას რამდენადაც ძალუძს იბრძვის. თუმცა ყველა ბრძოლებიდან დამარცხებული რჩება, მაგრამ მასში არის ძლიერი სული, რომელიც ვერ თავსდება იმ ვიწრო ჩარჩოებში, რომელშიაც ის უნდა ჩასვედონ. დიალაც, ქართველ ქალს, მით უფრო რომ ის ახალი თაობის ქალია, არ შეეძლო გამხდარიყო ეგოისტ სოფიოს მონა-მორჩილი. ეს უგულო, უზნეო დედაკაცი ვერ დაიმორჩილებს თავის დღეში ვერც ერთ მარის, როდესაც ამ უკანასკნელს იმისთანა მომხრე ყავს, როგორც ლევანი; პატიოსანი, ჭკვიანი, პრინციპის კაცი,— ლევანი ყოველთვის იქნება მფარველი სუსტის ძალის,—მარის. მე ვგონებ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან დავალებულია მწერლისაგან, რომელმან დახატა ისეთი ტიპები, როგორც ლევანი და მარი. ღმერთმა ქნას, რომ ეს ვალი კიდევ გადიდდეს, ყოველ წლივ გვემატებოდეს მაგნაირი ვალები! დაე გულზე გასკდნენ სოფიო და პორფირუშკა, რომ მათი ვინაობა დაუფარავად გამოაშკარავდეს, რომ პირველის უკიდურესი, უსაზღვრო ეგოიზმი, გარყვნილობა, უზნეობა, უგულობა ესრე ცხადი შეიქნა; მეორემ თავისი დღე ინანოს, რომ ქვეყანამ შეიტყო (ამისი ხომ ეშინოდა) მისი უხასიათობა, მისი სიმდაბლე, მისი ტვინთხელობა. მე გამახსენდა ან. ფურცელაძის „ვაი მართალთა“. მას რაღა ისევე თემა აქვს, რაც „განკიცხულსა“, მაგრამ ხელობა, ხელობა და ხელობა... სად „ვაი მართალთა“, სად „განკიცხული“?! ნაკვეთობამ, დაჭიმულობამ, არაბუნებრიობამ გააფუჭეს ყოველივე „ვაი მართალში“. დიაღ, მხატვრულობა, ნატურისადმი ერთგულება— აი რის გარეშეც არაფრად არ ვარგა ლიტერატურული ნაწარმოები. აი სწორედ ამ მხატვრულობით, რეალობით და ტიპიურობით გვიტაცებს „განკიცხული“. გაუმარჯოს „განკიცხულს“, გაუმარჯოს მის დამწერს, მრავალჟამიერ-მრავალჟამიერ!!!

ალექსანდრე მიხეილის-ძევ, გთხოვთ უარს ნუ მეტყვით და მაცნობეთ ორი გამოტოვებული თავის შინაარსი. იმედი მაქვს უარს არ მეტყვით. იმედი მაქვს, რომ ნათაძის სახელზედ, ან პირდაპირ ჩემ სახელზედ მოვა წერილი, რომელიც დააბოლავებს იმ აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩემზედ და სხვეპზედ აქაურებზედ „განკიცხულმა“. თუ არ გეწყინებათ, იმასაც მოგახსენებ, რომ თქვენს ნაწერებში, რომლები[ც] მე თითქმის ყველა წაკითხული მაქვს, ერთი ვერ აჯობებს „განკიცხულს“. „განკიცხული“ ჭეშმარიტად წმინდა თხზულებაა უმაღლესი მხატვრობისა, წმინდა ხელოვნებისა. ღმერთმა ქმნას, რომ ამისთანა თხზულებები ხშირად ჩნდებოდნენ ჩვენს ლიტერატურაში. უფალმა გააძლიეროს ყოველ[ი] მარჯვენა, რომელი ესრე ასაჩუქრებს თავის ქვეყანას.

თუ თხოვნას ამისრულებთ და ისრე დამავალებთ, რომ შემატყობინებთ იმ ორ გამოშვებულ თავების შინაარსს, ძრიელ მადლობელი ვიქნები. ჩემი ადრესი „ივერიის“ რედაქციაშია. შეგიძლიანთ დაწერილი წერილი ჩადოთ „ივერიის“ ჩემს ნომერში და ისრე გა[მო]გზავნოთ. სულით და გულით ველი და დარწმუნებული ვარ, რომ უარს არ მივიღებ.

ვშთები თქვენი მარადის პატივცემელი დ ა ვ ი თ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი. *

---

* ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყ. s=3978|1, ა პ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ალ. ყაზბეგი, 1941 წ. გვ. 62–64. წერილის დასაწყისი და ზოგი შიგა ადგილიც დაწერილია რუსულად.

ალ. ყაზბეგს საპასუხო წერილი გაუგზავნია დავით კლდიაშვილისათვის, რომელშიდაც მიუწერია: „ნეტავი შენისთანა თანამგრძნობი მომეტებულად მყავდესო, ბევრი ისე მექცევა, თითქო არც კი ღირდეს ჩემი ნაწერების წაკითხვაო“.*

სამწუხაროდ, დავ. კლდიაშვილი არ აღნიშნავს „განკიცხულის“ აკრძალული თავების შინაარსი აცნობა თუ არა მას ალ. ყაზბეგმა. საფიქრებელია, სიფრთხილის გამო, წერილით არ ეცნობებია.

„განკიცხული“ ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებაა. მასში ავტორს რეალური პირები ყოლია გამოყვანილი: პორფირუშკად ავტორის მიერ მონათლულია პორფირე ბარ—შვილი, სოფიოდ—ელისაბედ ყაზბეგი და ლევანად—თვითონ ავტორი, ალ. ყაზბეგი. ალ. ყაზბეგს შეყვარებია თავისი ნათესავი ქალი, მაგრამ ნათესავები ამხედრებია მას და შერთვის ნება არ მიუციათ. ქალი კი გაუთხოვებიათ პორფირე ბარ—შვილზე. ალ. ყაზბეგს ეს თავისი რომანი აღუწერია „განკიცხულში“, რასაც ადასტურებენ ამ საქმის ახლო მცნობი პირები ნინო თარხნიშვილისა (ბიბო ყაზბეგის ქალი), ნიკო ამირეჯიბი, იაგორ ლუდუშაური და სხვ. ელენე ანდრონიკაშვილი შეკითხვია ალ. ყაზბეგს, ნუთუ მართალია რაც „განკიცხულშია“ აღწერილიო, ამ შეკითხვაზე ალ. ყაზბეგი ჩაფიქრებულა, თავი ჩაუღუნია და უპასუხნია: მართალია, ცხოვრებიდან მაქვს აღებულიო (ელ. ანდრონიკაშვილის მოგონებიდან, გადმომცა ი. ლოლაშვილმა).

ყურადღებას იპყრობს „განკიცხულში“ დასახელებული შვეიცერის რომანი, რომელსაც კითხულობს თხზულების გმირი ლევანი, ე. ი. თვითონ ავტორი (გვ. 173). შვეიცერი, ჟან ბაპტისტი (1833—1875 წ.), გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე (ლასალისტი) იყო. წერდა ლექსებს და კომედიებს. მასვე ეკუთვნის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის რომანი „Lucinde, oder Kapital und Arbeit“, რომელიც დაიბეჭდა 1864 წ. მაინის ფრანკფურტში. ეს რომანი თარგმნილი იყო რუსულად, მაგრამ 1872 წ. ხმარებიდან იქნა ამოღებული. შემდეგ ერთი ნაწილი ხელახლად იქნა გამოცემული „ემმა“-ს სახელწოდებით და დიდი წარმატებით სარგებლობდა მაშინდელ რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენტთა შორის (БСЭ ტ. 62).

ეტყობა, ალ. ყაზბეგი გაეცნო ამ რომანს რუსულ თარგმანში, რუსეთში ყოფნის დროს.

ამ რომანის შესწავლამ შესაძლებელია ზოგი რამ გამოარკვიოს ალ. ყაზბეგის შემოქმედებიდან, რაზედაც მივაპყრობთ მკვლევართა ყურადღებას.

„განკიცხული“ ცალკე წიგნადაც გამოვიდა 1884 წ. ეს არის ჟურნ. „ივერიიდან“ გაკეთებული ამონაბეჭდი, რომელიც. დავ. კლდიაშვილის ცნობით, „ხულის მოსამართავად“ მიუცია ილია ჭავჭავაძეს ალ. ყაზბეგისათვის. ამ მიზნით გაუკეთებია ილიას „ციკოს“ და „მოძღვარის“ ამონაბეჭდებიც. უკანასკნელი რამდენიმე ასი ამონაბეჭდი გაუკეთებია ილიას და ფასად მანეთი დაუწერია, „გერგებაო“ უთქვამს ილიას ავტორისათვის.**

თავის წიგნებს ალ. ყაზბეგი უგზავნიდა გასასყიდად ნაცნობ-მეგობრებს. რამდენიმე ცალი ს. მგალობლიშვილისათვისაც გაუგზავნია გორში.

* და ** დ. კლდიაშვილი, თხზულებანი, 1947 წ. გვ. 647.

„ძმაო სოფრომ! გიგზავნი ოცდახუთს „ელისო“-ს * და იმედი მაქვს მათი გასყიდვა არ დაგზარდება, დანარჩენს წიგნებსაც ამ მოკლე ხანში გამოგიგზავნი. „განკიცხული“ თუ არ ისყიდება, ხუთი ეგზემპლიარი დაიგდე ყოველ შემთხვევისათვის და დანარჩენები კი გამომიგზავნე“, წერდა ალ. ყაზბეგი ს. მგალობლიშვილს, ხოლო ერთ-ერთ მომდევნო წერილში „განკიცხულის“ შესახებ კვლავ აგონებდა ს. მგალობლიშვილს, „რა ჰქენ, გაიყიდა რამე თუ არაო?“ „მაშინდელ დროს, გადმოგვცემს ს. მგალობლიშვილი, წიგნები აგრე რიგად არ იყიდებოდა, მიგზავნიდა თავის მოთხრობებს ძლივს-ძლიობით ვყიდდი. ყიდვაში ირაკლი რამიშვილი მეხმარებოდა. ის ასაღებდა გორის ვაგზალზე გამვლელ-გამომვლელზე და ისე თითო-ოროლა მანეთს ვაწოდებდით სანდროს.“ (ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ. გვ. 116-117).

## ხევისბერი გოჩა

პირველად დაიბეჭდა 1884 წ. გაზ. „დროებაში“ (№№ 171—238). მეორედ დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის თხზულებათა IV ტომში 1892 წ.

ავტორის განცხადებით, ეს რომანი მისთვის „სიტყვით-სიტყვამდე“ უამბნია ფრიად მოხუცს მოხევეს ლინჯა ხულელს (გვ. 314). **

ამ ლინჯა ხულელის პორტრეტს ალ. ყაზბეგი იძლევა „ელგუჯაში.“ მისი სიტყვით, ლინჯა იყო „მთაში განთქმული მეფანდურე და მკუამახვილი, გრძნობით სავსე მოლექსე... ყველასაგან პატივცემული და საყვარელი სტუმარი. ტკბილი მოსაუბრე, ამაღლებულის გრძნობით აღსავსე, მოაზრებული... ყოველ სიმის ჩაკვრაზედ ფანდურს ისეთს ხმას აღებინებდა, რომელიც კაცს გულს უწურავდა, ქრუ-

---

* „ელისოს“ რუსულად გადათარგმნა განზრახული ჰქონდა ალ. ხახანაშვილს. ამის შესახებ ალ. ყაზბეგს ის სწერდა: 1887 წ. იანვრის 12 მოსკოვიდან: „ჟურნალმა „Русская мысль“ მთხოვა, რამე გადამეთარგმნა რუსულად. მე თქვენი „ელისო“ ვარჩიე, რადგანაც ხელთა მქონდა. ამ თარგმანს ვამზადებ და ამიტომ გთხოვთ კიდევ გვაცნობოთ, როდის დაიწყეთ წერა, სად მიიღეთ განათლება და სხვ... „ელისოს“ არ დავბეჭდავთ, ვიდრე თქვენგან ნება არ მოგვივა“ (s-3977|ბ.). როგორც ჩანს, ალ. ხახანაშვილს განზრახვა ჰქონია „ელისოს“ რუსულ თარგმნისათვის დაერთო ცნობები ავტორის შესახებაც. ეს თარგმანი არ დაბეჭდილა, საფიქრებელია ცენზურული პირობების გამო.

მურიეს განზრახვა ჰქონდა ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“ ფრანგულ ენაზე გადათარგმნა, ამისათვის ის დაეძებდა მთარგმნელს. სპეციალური განცხადებაც კი გამოაქვეყნა გაზ. „დროებაში“ 1884 წ. 23- №-ში, ხოლო ეგევე გაზეთი თავის მორიგ №-ში (236) აცხადებდა: „ნათარგმნის ენა, თუ წმინდა ფრანცუზული არ იქნება, თვით ბ. მურიე ჰკისრულობს მის შესწორებას. ამას დავუმატებთ ერთს გარემოებასაც: ჩვენ გვითხრეს, რომ იმავე ავტორის მოთხრობა „ელისო,“ რომელიც ამ მოკლე ხანში ცალკე პატარა წიგნად გამოვიდა, ერთს ახალგაზრდას გადაუთარგმნია რუსულად და აპირობს მის დაბეჭდვასო.“ შესაძლებელია ამ უკანასკნელ ცნობაში ალ. ხახანაშვილი იგულისხმებოდეს. ასეა თუ ისე, არც ფრანგული და არც რუსული თარგმნები იმ დროს არ გამოსულა.

** წინა გამოცემებში ლინჯა ხულელის ნაცვლად ლინჯა სულელი წერია, რაც კორექტურული შეცდომაა, რომელიც მომდინარეობს პირველ ნაბეჭდიდან („დროება“).

ანტელს ალუძრავდა და ოფლს დაასხამდა“ (ალ. ყაზბეგის თხზულებანი I ტ, 1948 წ., გვ. 136). ამ ლინჯამ „კვნესა ჩართულის, მწუხარე, გულის ჩამთუთქავის ხმით“ დასძახა ფანდურზე რამდენიმე ლექსი ავადმყოფ სვიმონ ჩოფიკაშვილის სანახავად მისვლისას.

ამავე ლინჯა ხუცესისაგან ჩაუწერია ალ. ყაზბეგს შემდეგი ლექსი:

გლოვა მთიელთა

ალზდევ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია,
გრძლად ძილსა ჩვეულ როდი ხარ,
მიგვიხმნე უნჯნი ყმანია.
არ გნახოს მტერმა ძაბუნად,
ვსდევნოთ, ვაკვეცნოთ თმანია,
ვართ ბრძოლად მათდა მოსულნი,
ზოგთაგან ოთხნი ძმანია.

გაშალე დროშა მძლეველი,
წვერ მახვი, მტერთა ზარია,
მოყმეთა ნახონ ფრიალი,
მუნ მოსკდეს მთა და ბარია,
განვჰფანტოთ მტერნი ჩვეულებრ.
ვასვათ სასმელი მწარია!..
მქუხდეს მაჭარი, შაშხანა,
ვით ხევით მეხის გვარია.

განიფრთხე ძილი, ზე ალზდევ,
შთაიცვ წვრილთვალა რკინისა,
ალიღე ხელთა მაჭარი,
მტრისა გამბნევი ტვინისა;
წინ მივალთ შენი მეჭურნი,
ვითა მეგონნი ლხინისა,
შევსვავთ სისხლსაცა მტერთასა,
უტკბეს კახეთის ღვინისა!

მტერს წინ წარვიგდებთ დიაცებრ,
უკუ იხედონ ველარა,
ყოვლთვის ყოფილა ეს ესე,
ვინც ჩვენზედ დაიკვეხა რა.
წარუღებთ სრულად საუნჯეთ,
მთად ვგზავნით, დიაცებარა,
არ განილვიძებ, ბატონო,
მოყმეთა რომლდა გვეხარა?

ალვივოთ, ძმანო, ფარ-ხმალნი,
ვისმინოთ ჩაჩქანთ ჩხერანი;
დავსხდეთ, დავიწყოთ ღრეობა,
უყვარდის ჩვენი მღერანი,

ცხენი მზად უდგას გმირთ-გმირსა,
კაზმული უცხო მერანი,
არ განილვიძებს, მოსულ არს,
ბედისა ჩვენის წერანი.

ამ ლექსს ალ. ყაზბეგისაგან შემდეგი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „ეს ლექსი გამიგონია ხევში ლინჯა ხულელისაგან, რომელიც სხვა ლექსებთა შორის ამ გლოვასაც მოსთქვამდა ხოლმე და ყოველთვის იმ ადგილზედ ათავებდა, რომელზედაც მე შევწყვიტე. ნაბეჭდში ეს ლექსი გაგრძელებულია, მაგრამ თავზედ ბევრად სუსტი. მკითხველი თავადვე ჰგრძნობს კითხვის დროს, რომ ბოლო ან მოკერებულია ან გადაცვლილი. მასთანვე ლიტერატურაში ნათ...“ ამის შემდეგ ხელნაწერს, რომელზედაც ამ შენიშვნის გაგრძელება ყოფილა, ორი ფურცელი აკლია. შემონახულია შენიშვნის ბოლო ნაწილი, რომელიც იკითხება ასე: „[სუ]რათია ჩვენის ცხოვრებისა, სულისა და გულის მოძრაობისა, ჩვენის ცხოვრებისა და მდგომარეობისა და ამისათვისაც შეადგენს ნამდვილ პოეზიას, რომელმაც, გარდა რეგვენისა, ყველა უნდა მიიზიდოს.“ მ ო ხ ე ვ ე.*

ლინჯა ხულელის მიერ ნათქვამი ლექსი ეკუთვნის გოდერძი ფირალიშვილს რომელიც ავტორმა დაბეჭდა 1821 წელს პეტერბურგში („საზოგადო მდივნობაა).“ სათაური ამ ლექსისა არის: „თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა.“ ეს ლექსი ისე პოპულარული გახდა, რომ ერთხანს ის ხალხურ ლექსად მიაჩნდათ.**

ალ. ყაზბეგს ლინჯა ხულელის თქმული ლექსი შეუდარებია ფირალიშვილის ტექსტისათვის და ხელნაწერში აღუნიშნავს განსხვავებანიც. ასე მაგ., ლინჯას 13-ე და 14-ე სტრიქონები ფირალიშვილს 15-ე და 16-ე სტრიქონებად აქვს, 15-ე და 16 ე კი 13-ე და 14-ე სტრიქონებად. ამას გარდა, ფირალიშვილის ლექსს აქვს გაგრძელება, რომელიც შეიცავს თექვსმეტმარცვლიან ტაეპისაგან შემდგარ 7 სტროფს. (ნახ. „ანთოლოგია,“ ტ. II, 1928 წ., გვ. 297—298).

ალ. ყაზბეგი უფრო მაღლა აყენებს ამ ლექსის პირველ ნაწილს (ლინჯას თქმულს). ლინჯა ხულელმა ეს ლექსი, ალბათ, ზეპირგადმოცემით შეითვისა, თუმცა ძალიან მჭიდრო კავშირში კი იმყოფება დედანთან.

ეტყობა, ალ. ყაზბეგი დაახლოებული ყოფილა ლინჯა ხულელთან და მისი რეპერტუარის მცოდნეც.*** ალ. ყაზბეგი მთქმელების მძებნელი და მათთან დაახ-

---

* ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყ. s-3997|26 ფ. 2v—4r. ლექსს ბოლოში ალ. ყაზბეგის ხელით მიწერილი აქვს „მთიელთ სახალხო ლექსი.“

** ამ აზრისა იყო ალ. ყაზბეგიც: „ამ ლექსს, წერს ის (s-3997|40), ზოგი გოდერძიშვილს მიაწერს, მაგრამ ეს აზრი შემცდარი უნდა იყოს, რადგანაც მას (ე. ი. ლექსს) სხვადასხვა ვარიანტებით [ვხვდებით].“ ალ. ყაზბეგს გოდერძი ფირალიშვილის ლექსიც ჰქონია გადმოწერილი (s-3997|32 ბ).

*** ხულელი, ხულელიძიდან არის წარმოებული. ხულელიძეები ცხოვრობენ ხევის ორ სოფელში: გაიბოტენში და თოთში. გაიბოტენი მდებარეობს თერგის კიდეზე. მარცხენა მხარეს, ხოლო თოთი ცოტა ზემოთ გაიბოტნიდან. ამ ლინჯას სოფლად, ირაკლი ჩქარეულის ცნობით, სოფ. გაიბოტენს ასახელებენ. მაგრამ ზოგის ცნობით, ლინჯა სოფ. თოთიდან ყოფილა. ეს უკანასკნელი ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს: ალ. ყაზბეგი თოთში აძოვებდა ცხვარს და ალბათ ამ დროს გაიცნო

ლოების მოტრფიალე რომ ყოფილა, ამას ადასტურებს ასოცი წლის მოხუცი დიმიტრი ღუდუშაურიც. „სანდროსთან ერთად ჯიხვებზე სანადიროდ ვიყავი, გადმოგვცემს დ. ღუდუშაური, ბევრი ვსდიეთ ნადირს, მაგრამ ვერაფერი ვერ მოვკალით. უნდა გამოვბრუნებულიყავით უკან, რომ თოფის ხმა მოგვესმა, ჩვენც იქითკენ გავსწიეთ, საიდანაც ეს ხმა მოვიდა. ვხედავთ, ერთს ხევსურს ორი ჯიხვი მოეკლა და დიდის ტანჯვით ხან ერთ ჯიხვს ამოიტანდა ხოლმე კლდეებზე, ხან მეორეს. ჩვენ მოვეხმარეთ ამოტანაში... იქვე ცეცხლი დავანთეთ და მწვადები შევწვით. სანდრომ ხევსურს რაღაც ამბავი გამოჰკითხა. ხევსურმა რაც იცოდა, ყველაფერი გვიამბო და ბოლოს დაუმატა. ერთი მეცხვარე ფშაველი ამოვიდა ბალიაურთან და ისეთ ლექსებს დამღერის ფანდურზე, რომ ღვთის მადლმა, ტირილი მოგივაო. სანდრომ სთქვა: თუ ის არ ვნახე, ვერ მოვისვენებო. მე სტეფანწმიდას დავბრუნდი, სანდრო კი ხევსურს გაჰყვა. სამი წელი ისე გავიდა, რომ სანდროს ველარ შევხვდი. ერთხელ ქალაქში მიდიოდა თურმე სანდრო. გზათ ჩემთან მოვიდა, ერთმანეთი მოვიკითხეთ. ბოლოს სანდრომ ჩვენი ერთად ნადირობა და ფშაველი მელექსე გაიხსენა. სანდრო ძალიან ლოცავდა იმ ფშაველს—„თვალები ამიხილაო"—ამბობდა. სანდრომ რამდენიმე ლექსი და ზღაპარი მითხრა ფშაველის ნაამბობებიო". *

არსებობს „ხევისბერი გოჩას" ხალხური ვარიანტები. ჩვენს ხელთ არის ამ თქმულების ხევში ჩაწერილი ორი ვარიანტი, პირველი ჩაწერილია გ. თევდორაძის მიერ და დაბეჭდილია 1940 წ. (გაზ „ლიტერატურული საქართველო", № 7, გვ. 4; ამის შემოკლებული ვარიანტი დაბეჭდა დ. ბენაშვილმა 1939 წ. „ალ. ყაზბეგი" გვ. 219—221), მეორე ვარიანტი ჩაწერილია ირაკლი ჩქარეულის მიერ 1948 წ., 17-V (გადმომცა ქს. სიხარულიძემ). თითოეულ მათგანს მნიშვნელობა აქვს რომანის შესასწავლად და ამიტომ ვბეჭდავთ ორივეს, რომლებიც ცნობილია „ჩაძინებულის" სახელწოდებით.

## I

ხევში ყოფილა ერთი სახელოვანი მოხევე, სახელად გუგუა. როდესაც გუგუა მოხუცებულა, თავისი საბრძანებელი მოსწრებული ვაჟის ვანისესთვის უანდერძებია. გარდა ამისა, მას ხევი სამად გაუყვია და მათი მეთაურობა სამ ღირსეულ და განთქმულ მოხევისთვის დაუკისრებია. ერთ-ერთი მათგანი გუგუას ზემოხსენებული ვაჟი ყოფილა, რომელსაც მამამ უფრო მნიშვნელოვანი მხარე ჩააბარა.

გავიდა ხანი და სოფელს უეცრად მტერი მიადგა. ხევის სამეული თავ-თავის მხარეს ჩაუდგა დასაცავად.

ქაბარჯინას კარჩხლოვანი მწვერვალი სქელი ნისლით იყო დაფარული, როცა ხევის მეთაურნი დანიშნულ ადგილებისკენ გაემართნენ. მამაცნი მტერს ყოველ წამს მოელოდნენ. ამ განსაცდელის დღეს ვანისეს გზაში შეხვდა თავისი შეყვარებული მართა, რომელიც მას დობილად ერგებოდა.

როდესაც მართამ ჯვარი დაიწერა, ვანისე მას მეჯვარედ ჰყავდა. მეჯვარემ დაარღვია ხალხის ადათი და შეიყვარა პატარძალი, რაც მოხევური წესით დაუ-

---

და დაუახლოვდა ლინჯას. ხევში ლინჯას დინჯას უწოდებენ, მაგრამ ალ. ყაზბეგს „ელგუჯაში" და ხელნაწერშიც ის ლინჯად ჰყავს მოხსენებული. ეს სახელი არცერთი ფორმით დღეს არ ცოცხლობს.

** დ. ბენაშვილი, ალ. ყაზბეგი, 1939 წ. გვ. 22—23.

შეებელია და სამარცხვინო. მეჯვარე ძმად ითვლება, პატარძალი — დად, ვანისეს გულმა კი სხვანაირად განსაჯა — პატარძალი შეიყვარა. ქორწინების ჟამს ვანისე მეფეს არ მიუჯდა გვერდზე: ვანისემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და თავის მაგიერ ბიძაშვილი დასვა ეჯიფედ. მაყრიონში სიჩუმე ჩამოვარდა, ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, სირცხვილით თავი დახარეს, ქალებმა კი მითქმა-მოთქმა და ჩურჩული გააბეს. ქორწილის მხიარულება მოწყენილობად შეიცვალა. ეს ამბავი გუგუასაც მისწვდა. იგი მეტად დაღონდა. სთქვა: როგორ შეიძლების ჩემმა შვილმა თავის მეფეს ხმალი თავათ არ ახსნასო. ამაზე სოფლის საპატიო პირებმა მიუგეს დაღონებულ მამას: გუგუავ, ნუ სწუხარ, ვანისე რომ ძალიან შეწუხებული არ იყოს, ხომ იცი, ვაჟკაცია და თავათ მოვიდოდა აქაო. გუგუამ დაუთმო სოფლის თავკაცებს და შვილს აპატია ქორწილში მიუსვლელობა.

საქორწილო მხიარულებამ პირი იბრუნა მაყრიონისაკენ და მალე ფანდურის ტკბილი ხმაც გაისმა. ჯიხვის ყანწები ხელიდან ხელში გადადიოდა. სვამდნენ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს.

წყნარი და კაშკაშა ღამე იყო. პირბადრი მთვარე დინჯად მისცურავდა ცის ზურმუხტოვან სივრცეში. ხან-გამოშვებით მისი უხვი ანარეკლი ხეიმით შეითამაშებდა ხოლმე ნეფე-დედოფლის სახეზე. ბოლოს, შეზარხოშებული მაყრები სუფრას მოსწყდნენ და ეზოს მწვანე შეფენებაზე მილაგდნენ მოსასვენებლად.

გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ სოფლად რაღაც ხმაური ატყდა. თრუსოს ხეობის მხრიდან ხევს მტერი მისდგომოდა. ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მხრისკენ ვანისე გაემართა. საერთოდ კი ხალხი დაირაზმა მტრის შესახვედრად. ორი დანარჩენი მეთაურის ჯარიც დაიძრა დანიშნულ ადგილებისაკენ.

სწორედ ამ დღეს მართა თავისი ამხანაგებით ხილობაზე წავიდა იმ განზრახვით, რომ თავის შეყვარებულს შეხვედროდა. თან ხაჭაპურებიც წაიღო. როცა მთაში ავიდნენ, ცოტა გზას უგანეს. აგერ მართამ ვანისეს მოჰკრა თვალი და მისკენ გაემართა. ვაჟმა შორიდან იცნო თავისი შეყვარებული, მიატოვა ჯარი გაეშურა მართასაკენ, გადაეხვია და უთხრა: გინდაც ცოდვა იყოს ჩვენი მეჯვარეობისა, მაინც მიყვარხარ და ჩემი უნდა გახდეო. შეყვარებულნი თავდავიწყებას მიეცნენ. მართა ვანისესთან დარჩა, ხოლო მისი ამხანაგი ქალები შინ დაბრუნდნენ. ვანისემ ჯარის ბელადობა დაივიწყა და პირად განცხრომას მიეცა. ჯარს კი მისი იმედი ჰქონდა — თავისებურად გვიწინამძღვრებსო, მაგრამ მეომართ იმედი გაუცრუვდათ. შეყვარებულებმა ყველაფერი დაივიწყეს და იქვე, ბუსნოვან ველზე, ტკბილად ჩაიძინეს.

·მტერი კატის ნაბიჯით ეპარებოდა ვანისეს ბანაკს. მოწინააღმდეგის მთავარი ჯარი სოფელ ალმასიანში იდგა. მტერმა მალე გაიგო ვანისეს ამბავი, უეცრად თავს დაესხა მის ჯარს და ძალზე დააზიანა. მალე სოფელს ვანისეს დამარცხების ამბავი მოედო, იმავე დროს იმ ორი (?) მამაცის გამარჯვების ხმაც გავარდა.

ეს რომ ვანისეს მამამ გაიგო, საშინლად გაბრაზდა. იგი ხალხს სთხოვდა: გამიშვით მე, მოხუცი, ჩემ შვილთან და მე ჩემი ხელით მოვსჭრი თავს, ან აქ მომიყვანეთ და თქვენი თვალის წინ გაუსწორებ სამართალსაო. ხალხი არ დაეთანხმა გუგუას.

ამასობაში ვანისემ კაცი აფრინა მამასთან, იგი კრძალვით სთხოვდა გუგუას: დრო მომეცი ჩემი შეცდომა გამოვასწოროო. მამამ არ შეიწყნარა ვანისეს თხოვნა, მაგრამ ხალხმა დაადროვა.

ვაჟკაცის გულში ბოღმა-ვარამი დუღუბდა, იმავე ღამეს გაეშურა ვანისე მტრის გასამუსრავად. მტერი ნარუანას მთაში ზეიმობდა გამარჯვებას. ვანისე სწრაფად

გადავიდა ნარუანს, დამშეულ ძერასავით დაერია მტერს და ასოცდაშვიდი კაცი მოუკლა.

მეორე დღეს, როდესაც ქაბარჯინას და ქაჭიანას მწვერვალებმა მზის ოქროს პერანგები ჩაიცვეს, მართას ქმარს მისცეს ხელში ხმალი და ვანისესთან გაგზავნეს. მას შვილის მოყვანა დაავალა გუგუამ, თან დააბარა: ან მომიყვანე ვანისე, ან მომიტანე მისი თავიო. მართას ქმარმა გადაიკიდა მხარზე ხმალი და ვანისეს მოსაყვანად გასწია.

სიონის ტყის ბუჩქნარში მთის ბელურებს ერთი ჟრიამული გაემართათ. გრძნობით მთვრალი ვანისე განცალკევებული ბუჩქის ძირას გაშხლართულიყო და სიზმარში ბოდავდა. მართას ქმარი მივიდა მასთან, ფრთხილად გააღვიძა მძინარე და უთხრა:

— ვანისე, ადექი, მამაშენი გუგუა გიბარებს.

ვანისე მძიმედ წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა და უპასუხა:

— არა, ნათლიმამ, მე შევძაგდი ღმერთს და სიცოცხლე აღარაფრად მიღირს. მამაჩემმა ხმალი მოგცა, რათა ჩემი თავი მიუტანო.

— რას ამბობ, ნათლი, განა შეიძლება შენისთანა ვაჟკაცი წაიქცეს?! მაგრამ რაღაც მეც მითხრეს, აზრში მოვდივარ, რომ შენ მართლა დამნაშავე ხარ. რადგან შენ ეგ გაბედე, ხალხში თავი მომჭერი, აი ჩემი ხმალი და ბარემ მეც მომჭერ თავი.

ამაზე ვანისემ უთხრა:

— ხომ იცი, ჩვენ გვრწამს ღმერთი. მე ასოცდაშვიდ მტერს მოვსჭერ თავი და ამიტომ გთხოვ, ეხლა მე მომკვეთო თავი შენი ხელით.—თან ამოიღო ხმალი და გადააწოდა მართას ქმარს.

ქმარმა უპასუხა:

— ვანისე, მართლა ღირსი ხარ, შე ძუძუ ძაღლო, სიკვდილისა, რადგან ერთი ქალისათვის ასი კაცი დაღუპე. წალმა არ დაგჰკრავ ხმალს, უკუღმა დასაკრავი ხარ!—და თვალის დახამხამებაზე თავი გააგდებინა.

ქაბარჯინას მწვერვალის წაისრულზე ძერა შემჯდარიყო. ყელმოღერებული სადღაც შორს იცქირებოდა. გარშემო მდებარე სხვა მწვერვალებს შავი ნისლის ძაძა ჩაეცვათ.

როცა გუგუას შვილის მოკვეთილი თავი მიუტანეს, გულგაბზარულ მამას კრუნჩხვა დაემართა. ორივე დამუჭული ხელი შუბლთან მიიტანა, ძალზე დაბარბაცდა და დამბლადაცემული ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა, მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი. მან მწუხარედ წარმოსთქვა:

— კაცი დავბერდი, საქართველოსთვის ათასჯერ თავი გამიწირავს, მრავალჯერ დავჭრილვარ, უზომო სისხლი დამიღვრია და ამ ბოლო დროს უნამუსო შვილმა ვანისემ შემარცხვინა ჩემს საყვარელ თემში. არა, არა, აღარ დამანახოთ მაგისი გასისხლიანებული თავი, შორს ჩემგან! შორს! ნადირს მიუგდეთ ვაჟკაცის შემრცხვენელის თავი, ნადირს!—და გულდამწვარი მოხუცი იქვე მიეგდო ქვაზე.

მზე ღრუბლიან დაისში ჩაიძირა.

მართას ქმარი ცხვარში წავიდა ფიქრთგასართველად. მართა თერგის ნაპირზე გადამდგარიყო და თავის სიცოცხლის უკანასკნელს წუთებს ითვლიდა.

## 2

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა სტეფანწმინდით ძაუგამდე საცალფეხო გზა მიდიოდა, დარიელის ხეობაში სცხოვრობდა კაცი, რომელსაც ერთადერთი ნუგეში გააჩნდა, რომელსაც სახელად რქმევია ვანისიაი. დიდი ხანი ყოფილა რაც ეს კაცი, სახელად გუგუნა, დაქვრივებულა. მას აღარავინ არ დარჩენია, გარდა ვანი-

სიაისი. ამ ერთადერთ ნუგეშზე ამაზდიოდა მზეცა და მთორეცა. ისე არ დაწვებოდა თურმე, რომ ღმერთი არ ეხსენებინა და არ დაელოცა თავისი ვანისიაი.

გუგუნას ჰქონია ხევის ოთხ სოფელში ძალიან დიდი მამული.* როცა გუგუნა გამყინვარებულა,** მოუხმია სოფლის რჩეული ვაჟკაცები და უთქვამს, სანამ ცოცხლები ხართ, თქვენს საბრძანებელს სხვას ნუ აბრძანებინებთო. ორ-ორი ვაჟკაცი მიუმაგრებია თვითეულ სოფელში თავის კუთვნილ მიწაზე და შეუფიცავს გუგუნასათვის: სწორებჩიმც გამაერჩევა, მზემც დაუბნელდება, ხატებიმც შაღრისხავენ, ვინც შენს მცნებას უღალატოსო.

არ გაუვლია დიდ ხანს, როცა იმ სოფელში, რომელიც ვანისიას მიაკუთვნა მამამ, ჯვარს იწერდა მისივე ამხანაგი გაგაი. ქალი უნდა მოეყვანათ მეორე სოფლიდან, რომელსაც რქმევია თოთი. გაგამ ეჯიფედ ამოირჩია ვანისიაი. ნეფიონიც წასულან. ქალის სახლში დიდი ქორწილი გადაუხდიათ. იქედან რომ წამოსულან, საუბედუროდ, ვანისიას თვალი შეუვლია დედუფლისათვის. ვანისიას მოსწონებია და, სახლში მოსვლის დროს უარი უთქვამს მაყრებისთვის ეჯიფის მოვალეობის შესრულებაზე, რადგან ქალის ყურებით სულ ბნდებოდაო. ვანისიას ქორწილი მიუტოვებია და წასულა სახლში. გუგუნას ვანისიას ეს საქციელი არ მოსწონებია, რადგან უფიქრია, სირცხვილი მეც შემეხებაო.

ქორწილის შემდეგ დატრიალებულა ცუდი ამბავი. ხალხში ხმებმა იგრიალა, რომ მტერი მოგვესიაო. გუგუნამ თავისი შვილი ვანისიაი, დასჯის მიზნით გაგზავნა ისეთ ადგილას, სადაც უფრო საშიში იყო მტრისაგან. ვანისიაი მარტო წასულა ნაროვანს და წაუღია ერთი ვირით ტყვია-წამალი და პური. ეს გაუგია დაქორწინებულ ქალს, რომელსაც რქმევია მათიკო და გამოსდევნებია უკან. მათიკო წასულა ყირვანწყაროს გზით და გადასულა შუბთას ფერდობზე და იქ ჩამომჯდარა. ვითომ არც კი იცოდა ვანისიაის ნაროვანს წასვლა.

ვანისიაი მიდიოდა გზაზე ღიღინით და პირდაპირ მჯდომარე ქალს კი წასდგომია თავს. ქალი ვითომ შეკრთა მოულოდნელობისაგან. ისინი მიეცნენ განცხრომას და დროს ტარებას. ვანისიას გადაავიწყდა, რომ ამხანაგები იმას მიელოდნენ, რადგან ტყვია-წამალი და პური უნდა მიეტანა. ამასობაში ჩამობნელებულა კიდეც. ვანისიას გადაუწყვეტია, რომ დილით წავალო, ოღონდ ამაღამ შენთან გამათენებიეო [უთქვამს ქალისთვის], ქალიც დათანხმებულა.

ნაროვანს რომ აღარ მივიდა ვანისიაი დანიშნულ დროზე, შუაღამისას გამოუგზავნიათ კაცი, თუ რატომ დაიგვიანა ვანისიამ.

სოფელში გაიგეს, რომ მათიკოც წასულა სადმე. მათიკოს ქმარი გაგაი გამოჰკიდებია საძებრად. პირდაპირ წასულა იმ გზით, რა გზითაც წავიდა ვანისიაი.

მზე უკვე ამოსული ყოფილა, როცა ის მიადგა მძინარე ვანისიასა და მათიკოს. ორივენი ერთი ხანჯლით მძინარენი გაუწყვეტია.

ვანისიაის თავი წამოუღია და მიუტანია გუგუნაისთვის. გაგას გუგუნაის წინ იმავე ხანჯლით თავი მოუკლავს. გუგუნაი შეშინებულა და ქვიდან შემცდარა. წასულა და მკვლელობის ადგილზე ქოხი აუგია. ასეთ ყოფაში გარდაცვლილა ისიც.

იმ ადგილს, სადაც მკვლელობა მოხდა, ხალხს შეურქმევია ჩაძინებული, ნიშად ვანისიას მოგონებისათვის. დღესაც ხალხში ამავე სახელით იხსენიებს მკვლე-

* მთქმელის ცნობით ეს სოფლებია: სნო, გერგეტი და სიონი. მეოთხე ვერ აიხსენა.

** ე. ი. გათეთრებულა, დაბერებულა.

ლობის ადგილს. ეს ადგილი მდებარეობს საცალფეხო გზის ნაპირას. პატარა ვაკეა, ცოტა ჩაღრმავებული. რამდენჯერაც კი იქ აგვირეკია ცხვარი საძოვარზე ამბობს ჩამწერი, იმდენჯერ მოუგონებია[თ] ვანისიაი და მათიკო ამ სიტყვებით: „ბიჭაუ, არ გინდოდა ეხლა ვანისია ამამძვრალიყო, როგორ გულები დაგისკდებოდაო.“

ღინჯა ხუცელმა, ალბათ, ამ თქმულების ვარიანტი უამბო ალ. ყაზბეგს, რომლის საფუძველზედაც უკანასკნელმა შექმნა აღნიშნული რომანი. ხოლო თქმა იმისა, რომ „ხევისბერი გოჩა“ ავტორს სიტყვა-სიტყვით ღინჯა ხუცელისაგან ჰქონდეს გაგონილი, გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს. ეგების ეს ცნობა ალ. ყაზბეგმა ცენზურის „თვალის ასახვევად“ დაურთო რომანს ისე, როგორც ამას ჩადიოდა ვაჟა-ფშაველა ზოგიერთ თავის ნაწერის შესახებ.

## ელეონორა

„ელეონორა“ ორჯერ დაიბეჭდა ავტორის სიცოცხლეში, პირველად 1884 წ. „დროებაში“ (№№ 246—280), მეორედ 1892 წ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა IV ტომში.

## მოძღვარი

„მოძღვარი“ უკანასკნელი სრულყოფილი ნაწარმოებია ალ. ყაზბეგისა, რომელიც მან სიცოცხლეშივე დაბეჭდა 1885 წ. ჟურნ. „ივერიაში“ (№№ 7—12), აქედან რამდენიმე ასეული ცალი ამონაბეჭდის სახით ცალკე წიგნად იქნა გაკეთებული და გავრცელებული. მეორედ დაიბეჭდა 1891 წ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა III ტომში.

ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ამ რომანის „დაწერის საგანი ყაზბეგს ერთმა ქართველმა პატრმა მისცა თვით ჩემს თვალ წინ. ამ პატრმა ილაპარაკა პოლშის ერთ ისტორიაზე და, სხვათა შორის, ერთ მღვდელზე, რომლის მსგავსი სურათები პრიშევსკისაც აქვს აღწერილი. ამას დაუგდო ალ. ყაზბეგმა ყური და აქედამ ჩაეწერგა საგანი „მოძღვრის“ დაწერისა. ეს თვით ალ. ყაზბეგმა აღიარა აშკარად“ („ლიტერატურული მატიანე“, № 3—4, გვ. 301). ეს ცნობა მთლად სწორი შეიძლება არ იყოს, მაგრამ ქართული ხალხური ლექსები, თქმულებები და ზღაპრები რომ მოხდენილად გამოუყენებია ავტორს ამ ძვირფასი რომანის წერისას, ეს კი აშკარაა.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ დიმ. ღუდუშაურის მოგონება, თუ როგორ გაიგო და მოძებნა ალ. ყაზბეგმა ფშაველი მთქმელი. ამ ფშაველ მთქმელისაგან ალ. ყაზბეგს ლექსებს გარდა, ზღაპრებიც მოუსმენია. ერთ-ერთი ზღაპარი ეხებოდა თურმე „ერთ მონადირეს, ქალმის თასმით რომ დაეკიდა კლდეს“. ალ. ყაზბეგს უთქვამს დ. ღუდუშაურისათვის, რომ ეს ზღაპარი „მოთხრობაში უნდა გამოვიყენოო,“* რაც შემდეგ, მართლადაც, გამოუყენებია „მოძღვარში“. ამ რომანში ავტორს გადმოცემული აქვს, თუ როგორ დაამღერა მეფანდურემ ლექსი „ბანდულის საბამლით“ ჩამოკიდებული მონადირის შესახებ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მწყემსებზედ და კერძოდ ონისეზე. ალ. ყაზბეგს ლექსის ნაცვლად მისი შინაარსი აქვს გადმოცემული (გვ. 387—388). მოყვანილი შინაარსის მიხედვით, ირკვევა, რომ

---

* დ. ბენაშვილი, ალ. ყაზბეგი, 1939 წ., გვ. 23.

ალ. ყაზბეგი ამ შემთხვევაში გადმოგვცემს ჯარჯი მონადირის თავგადასავალს, რომლის შესახებაც მშვენიერი ხალხური ლექსია გავრცელებული. მოგვყავს ამ საინტერესო ლექსის მოხეური და ხევსურული ვარიანტები.

მოხეური ვარიანტები

1

ჯარჯი, ნუ დასდევ ჯიხვებსა, ჯიხვთა არ გიყონ ხიანი,
არ დაიშალა ჯარჯიმა ჯიხვ უნდა მავკვლა რქიანი.
ჯორაბზე გადაეპარა, ჯარჯი ფეხ წრიაპიანი,
ახალა თავის ყირმული, ყირმული სპილოს ძვლიანი.
წინ ჯიხვი, უკან ჯარჯიმა კლდეს გადიტანეს სრიალი,
ორხაოს ქალას გავიდეს, ორხაოს პერანგიანი.
ყურშავ, შინ წადი ოხერო, შე შავის პატრონისაო,
ნუ ეტყვი ჩემსა დედასა ქოქობას გადმოვარდნასა,
თეთრი უყორდა ჩიქილა, შავად დაიწყებს ღებასა.
გათენდი თუ გათენდები, დიდო ღამეო, სთვლისაო,
გაწყდი, თუ წყდები, ბანდულო, შე შავის ფურ-ბერწისაო.*

2

ჯარჯი, ნუ დასდევ ჯიხვებსა, ჯიხვთა არ გიყონ ზიანი.
არ დაიშალა ჯარჯიმა, ჯიხვ უნდა მავკლა რქიანი.
ჯორაპზე გადაეპარა ჯარჯი ფეხ-წრიაპიანი,
წრიაპთ უმტყუნეს ჯარჯისა, ღლე დაუბნელეს მხიანი.
წინ ჯიხვმა, უკან ჯარჯიმა კლდეს გადიტანეს ხრიალი.
ქოქობათ კაცი ჰკიდია მაგარი საბანდითაო.
გასწყდი თუ სწყდები, საბანდო, შე შავო ფურ-ბერწისაო
ყურშავ, შინ წადი, ტიალო, შე შავო პატრონისაო.
არ უთხრა ჩემსა დედასა ქოქობათ გადმოვარდნილის.
თეთრი უყორდა ბეჩავსა, შავად დაიწყებს კმაზვასა.

. . . . . . . . . . .

იმავ დღეს მერდინიანამ ცხოკაცს გამაჰკრა კბილია,
არად ჩააგდა ვაჟკაცი სულ არ დაიფრთხო ძილით.**

ჯიხვი მოეკლა ჯარჯოსა

(ხევსურული ვარიანტი)

ჯარჯო ჩახედავს ჯიხვებსა: რა მშვენიერი წვანანა—
რქა რქაზედ გადაუდებავ, ანჯილოზებსა ღგვანანა,
მაგრამ კი მონადირესა ჯიხვებმაც ბევრას ანანა.
წრიაპით ციცაბო კლდეზედ ძვირად დაუსვა ჩავლამა.
ჯიხვი მოეკლა ჯარჯოსა, გადალმა ფიცარს კლდეშია,
იქ გაატყავა ჯიხვიცა, მონახა დიდი ეჩია,

* ს. მაკალათია, „ხევი“, 1934 წ., გვ. 155.

** ჩაწერილია ბ. წიკლაურის მიერ 1948 წ., 16/IV. სოფ. ცდოში. ტექსტი მომაწოდა ქს. სიხარულიძემ.

ცეცხლი დაანთა, წვადსა წვამს, რაც მონადირეთ წესია,
წყალიც კლდეშივე ჩამოსწვეთს, შიგ არეული ლეფშია.
საკთუმლად ლოდი დაიდო, დაწვა და სძინავს ეხშია.
სიზმარი ნახა ჯარჯომა: ეღრანს, უდაუბურს ტყეშია.
დევებსა ცეცხლი დაენთო, რაღაც მიუვალს ხევშია,
წვავდეს მთელ-მთელა ირმებსა, თვითონ ეპირა ხელშია.
დიდის კოკითა ღვინოს სმენ, წყლად მიმდინარსა ხევშია.
ცეცხლ უნთავ, ალი ცას სწვდება, ირგვლივ სხვაც დევთა ჯარია.
ბოლოს დროს რაღაცაზედა, ომი მოუხდათ მწარია,
იმათ ფარ-ხმლების ჩხერამა, სულ შესძრა მთა და ბარია.
დევების ყრილობაშია ერთი ცხრა თავიც სტანია,
ძირით დასწვდა და მუხები და ის დევთ ჯარში დარია,
სისხლის მორევი გაკეთდა, შიგა ყრავთ დევთა მკვდარია.
გამოეღვიძა ჯარჯოსა, შემკრთალსა, გულმწუხარესა,
გამოვა ეხის კარზედა, თვალს ავლებს არემარესა,
ცა ვარსკვლავებით სავსესა, გაუნათებავ მთვარესა,
ველარსად ხედავს დევებსა, ვერც იმათ ომსა მწარესა.
მარტო ბუის ხმა არღვევდა იქაურს არემარესა.
შავიდა ეხში ჯარჯოი, დაწვა და ფიქრით სავსეა:
ტყუილი სიზმარ არ იყო, რაც ეხლა ძილში ვნახია,
ალბად წყეულმა მაცდურმა დამიგა რამე მახია.
ან ბედი არის ჩემ თავსა, ან ეშმაკების საფრთხია,
რატომ დროითვე არ წაველ, რადა ამ ეხში დავდია!
ჯარჯოსა, ფიქრით სავსესა, დასძინებოდა ისევა,
რაც წელან ნახა სიზმარი, იმასვე ხედავს კიდევა,
ცხრათავიანი ყვიროდა, მთა-ბარი ერთობ ინგრევა,
აკვირვებს მათი შეხვედრა, მათი ხმალდახმალ მიწევა.
ადგა და ცხრათავიანმა მოთხრა დაიწყო მიწისა,
იქ დიდი ორმო გქონიყო, ახადა დიდი სიპიცა,
ხელი ამოჰკრა, ამოჩნდა ლამაზი თმები გიშრისა.
ჯარჯომაც იცნა ლამაზი, თმები საყვარლის თვისისა.
გული რას შვრება, იფიქრეთ, გული ვაჟკაცის მქისისა.
უყურებს შორი-ახლოთა, ამოეფარა ხის ძირსა,
არ იცის მხლით სცას ცხრათავსა, არ იცის მოკლას ისრითა.
ორივე მოკვლა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავს შიშითა,
ქვეყანა მოიშხამება, რომ მოკლას, დევის სისხლითა.
დევმა ქალ ამოიყვანა, ჯარჯომ იმარჯვა ხმალია,
გადუხტა დევთა ყრილობას, არ დააცალა ხანია,
სულ წინწინ შეხვდა ცხრათავსა, ვისაც ხელთ ჰყვანდა ქალია,
მეცხრეს თავს ჩამოუქნივა, შუა გარდატყდა ხმალია.
უხმლოდ მივარდა ცხრათავსა, პირ მიალეწა ფარია.
გამოეღვიძა ჯარჯოსა, გონება დაბნეულია,
ოფლიც სულ სისხლი ეგონა, დევთაგან დათხეულია.
ხმალი უქნევავ კლდისთვისა, ფრანგულიც დამტვრეულია.
ბევრი უბრძოლო კლდისთვისა, ფარიც სულ დანჯღრეულია.

დაბრუნდა ჯარჯი სახლშია, სიზმარს შესჩივის ყველასა,
აბა, ვინ ეტყვის ჯარჯოსა, ამბავს მის გულის მწველადა.
სატრფო იკითხა ჯარჯომა, პასუხს აძლევენ ვერასა,
შიშისგან თავ-ბრუ დაესხა, ვერავინ ანძრევს ენასა.
ჯარჯომ გაიგო, მისთვისა რაც უქნავ ბედისწერასა,
ჯარჯომ სიათა აიღო, ადგა, გაიჭრა ველადა.
იმ კლდეში დადის უფროოე, რაც სიზმარ ნახა ძველადა.
თუ შეხვდა ცხრათავიანსა, საქმეს დაუხვამს ცერადა,
თუ პურის ჭამა მოუნდა, ჯიხვს იქვე მოჰკლავს ხელადა.
ჯარჯივ, ნუ მისდევ ჯიხვებსა, მოგინელებენ ტიალნი,
არ დაიჯერა ჯარჯომა, ჯიხვ მაინც მოჰკლა რქიანი.
— ჯიხვნი და დევნი ერთნია, ორთავ მე მიყვეს ხიანი!
წინ ჯიხვმა, უკან ჯარჯომა კლდეზე გადილეს ხრიალი,
ომაროს ქალას გავარდა ჯარჯი ფეხწრიაპიანი.
ვინ ეტყვის ჯარჯოს დედასა, ჯარჯო წევს პირსისხლიანი?
რად სტირის ჯარჯოს დედაი?
შვილს სტირის, თავის ჯარჯოსა, ჯიხვებისაგან მკვდარსაო.
თვალი შეასწრო ყორანსა, წვერებზე დამავალსაო:
— რად იარები, ყორანო, დაბლა რადა ხრი თავსაო,
რას ეთელები ხევრურა, რათ იცერები ნხარსაო?
წინწინ შენ ღნახავ, ტიალო, ველზე დამრჩალსა მკვდარსაო,
მიხოლ და მასზე დასჯდები, დაიწყებ სისხლის სმასაო.
იქნება შენ ხრავ, ტიალო, იმ ჩემის ჯარჯოს მკლავსაო.
იქ დადის ჯარჯოს დედაი, ჯარჯოც იპოვეს მკვდარია,
კლდეზეიდ გარდავარდნილი, ჯარჯოს დაჭრილი ტანია,
თავ-პირი გადაფლეთილი, ყორნის დათხრილნი თვალნია.
დედამ რომ ნახა, იტირა, ცრემლი დაღვარა ცხარია.
აქნამდე ჯარჯოს იმედი, აწ პატრონობენ სხვანია,
გაოხრდა ჯარჯოს სახლ-კარი, ქავი და ქავის ჯარია.
წამოასვენეს ჯორჯოი, სტირის ქალი და რძალია,
და ჩაასვენეს კუბოში, დააკრეს კელაპტარია.
ზედ თეთრი ძეგლი ააგეს, შორით სწვდებოდა თვალია,
ძეგლზედ ჯარჯოის სახსოვრად, დააკრნეს ჯიხვის რქანია;
ერთ მხარეს ჯარჯოს სიათა, მეორეს მხარეს ხმალია,
ომის დროს ხელში ნაქონი ზედ დააფარეს ფარია,
ზედ დააწერეს ქაღალდი: „ჯარჯო, ჯიხვთაგან მკვდარია". *

აი ამ ლექსთა ვარიანტი დაამღერა, ალბათ, მეფანდურემ, როდესაც ონისე მწყემსებთან ვახშამს შეექცეოდა.

ზოგი საჭირო ცნობა რომანისათვის ავტორს პ. კარბელაშვილისაგანაც მიუღია. უკანასკნელი ამის შესახებ თავის მოგონებაში წერს: „ახლაც თვალწინ მიდგა საწყალი სანდრო, პატარა მაგიდასთან მიმჯდარი, მხრებჩავარდნილი, თავჩაღუ-

* ნათქვამი ს. არხოტში გ. ჯაბუშანურისა, ჩაწერეს ი. მეიშვილმა და ბ. ფირცხალავამ („საუნჯე" II, 1936 წ., გვ. 112—120).

ნული... წერს და წერს. ზოგჯერ აიმართებოდა მჯდომარე და შემეკითხებოდა: „გეთაყვა, პოლე, მითხარი: მღვდელს საზიარებელი მოწყობილობა მუდამ თან დააქვს?“ ეს იყო მაშინ, როცა თავის უკვდავ „მოძღვარსა“ წერდა და მე, როგორც ყოფილ სემინარიელს, დაწვრილებით მაამბობინებდა მღვდელთმოქმედების საქმეს“ (გაზ. „ახალი ხევი“, 1948 წ., № 56, გვ. 2).

რომანის წერისას ავტორს გამოუყენებია სიმონ გიგაურის ნაამბობი ფოლკლორული მასალებიც.

რომანის ნაწილებს ალ. ყაზბეგი დაწერის უმალ აქვეყნებდა. წერდა მას ავტორი თბილისში, გორში და საერთოდ იქ, სადაც ყოფნა მოუხდებოდა. რამდენიმე თავი გორში დაუწერია ს. მგალობლიშვილის ოჯახში. „ენკენისთვეში ჩემს სანახავად ამოვიდა თბილისიდან სანდრო, წერს ს. მგალობლიშვილი, დიდად მიამა მისი ნახვა, მისი წყლიანი, ალერსიანი ბაასი... მე ჩემი საყვარელი და დიდი სტუმარი მოვასვენე მეორე ოთახში. საწერ მაგიდაზე ქაღალდები დამაწყობინა. დილით შევედი, გაწეწილი იჯდა მაგიდასთან და ქაღალდის ნახევები ხრილივით ქონდა შემოყრილი. მე უჩუმრად გამოვბრუნდი და კარები რომ გამოვაჯახუნე, შეიტყო, მიმიხმო.

— სოფრომ, რამდენიმე თავი დავსწერე „მოძღვარისა“, გიგოს თუ არ მივაშველე დღესა, დამალრჩობსო (გიგო ყიფშიძე, რომელიც „ივერიის“ გამგებელი იყო). ჩემთან ჩემს სახლში, ორი ნომერის მასალა დასწერა“.*

დარჩენილია ამ რომანის ვარიანტული ავტოგრაფების ნაწილი (s-3987), რომლებიც დაბეჭდა ალ. აბაშელმა 1924 წ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა II ტომში (გვ. V—XXV).

გამოქვეყნებისთანავე „მოძღვარს“ მკითხველთა სერიოზული ყურადღება მიუპყრია და უგრძვნიათ მისი ავტორის დიდი შემოქმედებითი ენერგია. აი რა საინტერესო ცნობას გვაწვდის ამის შესახებ ანტონ ფურცელაძე, რომელიც ერთხანს „არც გულითა და არც გონებით არ იყო ყაზბეგზე კარგი აზრისა“. თავის მოგონებაში ის წერს: „წამიკითხა ყაზბეგმა თავისი პიესები და არ მომეწონნენ, წავიკითხე იმისი ბელეტრისტიკული ნაწერის გარჩევა** და ამ გარჩევიდამ უფრო ცუდს აზრზედ დავდექ.

ამგვარს აზრსა და შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ ვიყავ ყაზბეგზედ, როდესაც მე მომიხდა ერთხელ, სამსახურის გამო, წასვლა ერევანს. ეს იყო ზამთარში თუ, არ მახსოვს, ზამთრის პირად. მაშინ ბაქოსკენ ჯერ რკინის გზა არ იყო. ტფილისიდამ ერევნამდის უნდა მევლო ფოსტის გზით. ორი კვირე მეტი უნდა ერევნის გზასა და თვით ერევანში დავრჩენილიყავ. გზათ სტანციებში და უცხო ქალაქ ადგილას გოსტინიცებში მარტო გდება დიდათ მოსაბეზრებელია. უნდა რამე აიჩინო გასართობი. მაშინ არ წამეკითხა ჯერ სახელოვანი რუსის ბელეტრისტის ტურგენიევის ბოლონდელი ნაწერები. წავიღე ისინი თან. დარჩენილი მარტო, გაურთობლად ყრუ სტანციებში, მე მთელი ჩემი გულის ყურით და გონებით დავეწაფე ამ ნაწერებს. მაგრამ წარმოიდგინე, მკითხველო, ჩემი, რუსებისა არ იყვეს, „რაზოჩაროვანიე“. ტურგენიევი, ეს სახელი და დიდება რუსის მწერლობისა, ჩემს თვალში უცებ გადმოეშვა თავისი მაღალი საფეხურიდამ, ჩაკვირვებით წაკითხვამ, წაკითხვამ იმ ხანსა და გამოცდილებაში, როდესაც ავტორი-

---

* ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 115.

** იგულისხმება ლელოს (იონა მეუნარგიას) წერილი „ელგუჯას“ შესახებ („დროება“, 1881 წ., № 269. გვ. 1—3).



12

ალ. ყაზბეგის „მოძღვარის“ ავტოგრაფი



ალ. ყაზბეგის „მოძღვარის“ ავტოგრაფი

ტეტს აღარა აქვს შენს გონებაზედ ისრეთი ძალა და გავლენა, როგორც ნორჩობის დროს, მე დამარწმუნა, რომ ტურგენიევს არა აქვს შეგნება ახალთა აზრთა, ცხოვრების ახალთა მოთხოვნილებათა, ახალთა მომქმედთა პირთა, რომელნიც ასულდგმულებენ მომავალს, აცხოველებენ პროგრესისა და წარმატების სურვილს, აღძრამენ აზრთა წადილთა და საქმეთა. მისი გონება ვერ მისწდომია დიდს აზრს, დიდთა მომქმედთა პირთა, დიდს ბუნოვნებას. ხელოვნების მხრივაც-კი, როგორც პლასტიკი ხუდოჟნიკი, რომლითაც ის ასრე ქებული იყო, აღარ მეჩვენა ისრე დიდებულად, როგორც მეჩვენებოდა წინად. ამ წაკითხვიდამ ტურგენიევი მეჩვენა მოშურნეთ, ცილის მწამებლად იმ საქმისა და პირთა, რომელნიც ამ ხანებში ასულდგმულებდნენ სიცოცხლისა და წარმატების მოსურნე რუსეთს.

დავბრუნდი თბილისს. თან ჩამომყვა სწორედ ერთად-ერთი მანეთი.

იმავე დილით მიველ ჩემს სამსახურში. იქ დამხვდა სანდრო ყაზბეგი. დამინახა თუ არა, მტაცა ხელი.

— კაცო! რატომ არა ჰყიდულობ ჩემს თხზულებასა! — შემძახა იმან საყვედურით.

— რა თხზულებას? — შევეკითხე მე.

— „მოძღვარს".

— განა გამოვიდა? სად იყიდება?

— აი, აქა მაქვს! — და მომაჩეჩა წიგნი ხელში.

— რა ჰღირს?

— მანეთი.

ამოვიღე ის ერთად-ერთი მანეთიც და მივეცი.

წავიღე წიგნი და ვიფიქრე, მოდი ერთი და შევუდგები წაკითხვასა. ჩაუჯექ იმავე საღამოთი წიგნს. შევუდეგ კითხვას მოღალულ-მოქანცული პერეკლადნოებით თრევისაგან, ორი სამი კვირის ნამგზავრი, როდესაც აღარც გონებას ჩაკვირვებისა, აღარც ჯანს სიფხიზლისა ძალა აღარა აქვთ. შევუდექი კითხვას, შემდეგ დიდებული ტურგენიევის წაკითხვისა, რომელსაც იმოდენა წუნი დასდო ჩემმა გონებამ, შევუდექი ვისი ნაწერების კითხვას? — ქართველი მწერლისა, ისიც ვისი? — ყაზბეგისა, რომლისაც წასრული და გონების გახსნილობა ასრე კარგათ ვიცოდი მე და რომელიც ასრე უწყალოდ მდევნიდა მეცა და ჩემთა ნაწერთაც. შევუდექი კითხვას, დარწმუნებული, რომ მესამე გვერდზედვე შევდგები და გადვისვრი წიგნს. მაგრამ! მაგრამ, დავიწყე კითხვა და ჩემი გონება თანდათან რაღაცა უცნაური მოთილისმური ჯაქვით ჩაეკრა წიგნს და წავიდა მის აზრთა და მხატვრობათა სიღრმეში. სტრიქონები სტრიქონებს, გვერდნი გვერდთ გასდევდნენ, და მე დამავიწყდა ძილიც, მოსვენებაც. მე აღარ ვიყავ ჩემს საწერს სტოლთან: ჩემი მოჯადოებული გონება, თვით მთლათ ჩემი არსება გადავიდა იმ ცხოვრებაში, იმ ბუნებაში, იმ აზრთა მიმდინარეობაში, რომელთაც გვიხატავდა ავტორი და რომელნიც სულ ახალ-ახალი სანახაობებით, სხვადასხვა ცვლილებით უფრო და უფრო იტაცებდნენ ჩემს გონებას. ამ დროს მე თვით გავხდი მმოძრავი და მმოქმედი პირი ამ ჯადოქრის კალმით დახატული ცხოველი სინამდვილისა, მე თვით გავხდი მოწამე და თვალით მნახველი ყველა მისი, რასაც გვიხატავდა და გვეუბნებოდა ავტორი; მე ვხარობდი მომქმედთა პირთა სიხარულით, ვიტანჯებოდი მათი სატანჯველით. მესმოდა ყურთა ზუზუნი და წუწუნი ზამთრის სუსხიანი ქარისა მთის ფრიალოებსა და ხეობებში, ტანში მივლიდა სიცივის ჟრუანტელი, როდესაც დევნილი ქვეყნით მაყვალა ნახევრად ტიტველ-შიშველი ეძებს და სცდილობს

მოეფაროს მყუდროს, შეწუხებული ზამთრის ტეხვრისა და სიცივისაგან. ვხედავდი მთიულთა ცხოვრებას, მათს ძველად დარჩენილს ქართულთ ადათ-ჩვეულებათა, რომელთაც მარტო თავისუფალს, ბატონობისაგან დაუჩაგვრელს მთის ერშიდა შეუნახავს თავი. ვხედავდი მთიულთა ზნე-ხასიათს, მათს შეხედულობას ცხოვრებაზედ. დაიკარგა ჩემთვის ძილი. მოატანა გათენებამ და გავათავე წიგნიც.

გავათავე წიგნი და ჩავფიქრდი.

მე, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს მწერლობაში ვითვლები დიდ წუნია მწერლად, რის გამოც ასრე უწყალოდ ალიმართა ჩემზედ უცხო და მეცნიერი, უნიჭო და ნიჭიერი. აქ კი უცებ ჩემს აღტაცებას, ჩემს განცვიფრებას აღარა ჰქონდა საზღვარი... იმავე დილით გავექანე ყაზბეგისაკენ. ის დამიხვდა რედაქციის კარებთან. მე აღტაცებით ვეცი იმას და დავუწყე კოცნა. სანდროს სიამოვნებისაგან მოერია თვალებში ცრემლი. იმას არა სჯეროდა, რომ მე, ანტონ ფურცელაძე, იმისი ნაწერებით ასეთს აღტაცებაში შევიდოდი. ბოლოს მე და სანდრო დავახლოვდით და დავმეგობრდით. სანდრო გახდა ჩემი პატივისმცემელი, როგორც მე მისი."
(გაზ. „ივერია", 1893 წ., №№ 52, 53).

ასე აცვლევინა „მოძღვარმა" ანტ. ფურცელაძეს თავისი უარყოფითი აზრი ალ. ყაზბეგის შემოქმედებაზე. შემდეგ ისინი უფრო დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. ავტორსაც, „მოძღვარი", უცნაურად ყვარებია, განსხვავებული აღელვებით ალაპარაკდებოდა ხოლმე, როცა მოთხრობის შესახებ სიტყვა ჩამოვარდებოდაო, გადმოგვცემს დავ. კლდიაშვილი.*

**P. S.** წინამდებარე ტომით ამოიწურა ალ. ყაზბეგის დამთავრებული რომანები და მოთხრობები, რომლებიც ავტორმა სიცოცხლეშივე გამოაქვეყნა.

ალ ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ, 1905 წ., მისი სახელით გამოქვეყნდა მოთხრობა „მეფის რაში" (ჟურნ. „ჯეჯილი", № 5—6), ეს არის ალ. ყაზბეგის მიერ ჩაწერილი ხალხური ზღაპარი, რომლის ვარიანტები კარგად არის ცნობილი.

ალ. ყაზბეგს ჩვეულებად არ ჰქონდა დაწერილ თხზულების შენახვა. ის თავის ნაწერებს დაწერისთანავე აქვეყნებდა, და თუ „მეფის რაში" არ გამოაქვეყნა, ალბათ, იმიტომ, რომ განზრახვა ჰქონდა ამ ზღაპრის ლიტერატურულად დამუშავება ანდა რომელიმე თხზულებისათვის მისი გამოყენება. ამიტომ არ შემოვიტანეთ ამ ტომში „მეფის რაში".

ამ ტომში მოთავსებული თხზულებების ავტოგრაფები არ შენახულა, რის გამოც ტექსტის დადგენისას ვხელმძღვანელობდით ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნებული ნაწერებით, რომლებიც პირველად პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა („დროება", „ივერია", „ნობათი"), ხოლო მეორედ (გარდა „მტრედისა"), 1891-92 წ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა ოთხტომეულში. არსებითი განსხვავება ამ ორ გამოცემას შორის არ არის. მათი სხვაობანი ჩვენს გამოცემასთან, მოცემული იქნება IV ტომში ვარიანტების სახით.

* დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, 1947 წ., გვ. 647.

## პირველი ტომის
## დამატებანი და შესწორებანი

I. გვ. V. „მამის მკვლელის" ხელნაწერი S-5046 ავტოგრაფად არის დასახელებული: ნამდვილად კი, როგორც ირკვევა, ეს ხელნაწერი თუმცა წარმოადგენს ავტორისეულ ნუსხას, მაგრამ არა ავტოგრაფს.

ალ. ყაზბეგს „დროებაში" დაბეჭდილი „მამის მკვლელი" გადაუწერინებია ხევისთვის და შემდეგ საკუთარი ხელით ნაუსწორებია. ალ. ყაზბეგს ბოლოხანებში გადამწერლები რომ ყოლია, ამას ადასტურებს ზ. ჭიჭინაძეც, რომელიც ალ. ყაზბეგისათვის გადამწერად უმთავრეს ბეჭდილ მწიგნობარს ჰქონია, გვერდით ხურგულამდე. უცნაურია ალ. ყაზბეგს სხვა ხალხებშიც ჰყოლიათ თურმე.*

„მამის მკვლელის" ეს ნუსხა (S-5046), ალბათ, უცნობი გადამწერისაა, რომელსაც ავტორმა თავისი ხელოვნების ბოლო ჟამს შეაძლო ხელი და ხშირად რედაქცია გაუკეთა. ამას შემდეგ ალ. ყაზბეგი აღარ შეხებია თავის ნაწერებს. ამიტომაც ხელნაწერებში „მამის მკვლელის" აღნიშნული ნუსხა და გამოქვეყნებული მისი ბოლო ვარიანტი, რომელიც შეიძლება მეტად არის ავტორის მიერ ნასწორები.

II. „ელგუჯაში" ერთ ადგილას (გვ. 45) ნახმარია ფრაზა მთიულებს—რას ხართ იქმნენ? მთიულები მიუგებენ:—ჩვენ ბატონყმობის ხელიდან გამოვიდით მეფისავე!" ეხლა დაბეჭდილი როგორც მარტო ნაბეჭდი („დროება" 1881წ.), ისე 1891 წლისა და მომდევნო გამოცემებში, მაგრამ აქ ასეთი კორექტურული შეცდომებით გვაქვს საქმე. უნდა იყოს „ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა ს ვ ე ლ ე ბ ი", როგორც ეს დაბეჭდილი აქვს ალ. ყაზბეგს „ელგუჯას" 1884 წ. გამოცემაში.

ბატონყმობის ხელიდან მოიყვანეთ (დღეგრძელ რითმი).

III. „ნამწყემსარის მოგონებანში" (გვ. 462, სტრიქონი 10 ქვ.) დაბეჭდილია: „მარამს ჩ ა მ ჩ ა ს ავდით". ეს ალბათ არის ძველი გამოცემიდან, ნამდვილად კი უნდა იყოს „მარამს ხ ა მ ხ ა ს ავდით". ხ ა მ არის ადგილი დუმისებლებს, თურმე მარჯვენა მხარეს, ფერის მთის გადაღმა.

IV. „შენიშვნებში" (გვ. 481) მოყვანილია ლექსი „გორიდა და ფშავლების" შესახებ. ეს ლექსი არ შეეხება „მამის მკვლელში" მოხსენებულ იმერს მოღვაწეს კ ო ბ ა ს. აღნიშნული ლექსი უფრო ახალია და იგი გამოუქვეყნებელია. ხალხი მცნობრივ ფშავმოყვარეობის და კობამოყვარეობის ნიადაგზე წარმოქმნილ ბაზრებს.

კ ო ბ ა, იგივე მოღვაწეთა, როგორც გადმოგვცემენ, ყოფილა ხალხის სტუმართმოყვარე, ვიწრო კობა, ლექსით შექმნილი გმირი. სამწუხაროდ, დღემდე, ისე როგორც ალ. ყაზბეგის მრავალი სხვა გმირზე, ლექსი აღარ შემონახულა და მხოლოდ გადმოცემებით ვიცით მისი ვინაობა და გმირული საქმეები.

ს. ყ.

* „ლიტერატურული მატიანე", № 3—4 გვ. 302.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ა

ა კნინობით-მოფერებითი ნაწილაკი: ღმერთ-ა-ი 257, 3; ბედნიერ-ა-ი 442, 3; თოლ-ა-ი 22, 15; შვილ-ა-ი 348, 18; ქალ-ა-უ 30, 15; ბალღ-ა-უ 113, 29; ორ-ა-ნი 492, 29; ცხორ-ა-ნი 348, 20; სამ-ა-ნი მანეთ-ა-ნი 494, 29.

აბაიმე, აბაიმე-და 229, 32; 75, 31 გაკვირვების შორისდებული.

აბჟუტებული ცეცხლი 404, 38 მბჟუტავი ცეცხლი.

აბრაგი 84, 30 ყაჩაღი.

ადამის გვერდი 372, 35 წყევლაა.

ადიდახ 500, 38 ადიდოს (კავშირებითის მწკრივი).

ადლი 191, 27 საზომი ერთეულია (უდრის ოთხ მტკაველს).

ავარდნილი გული 255, 34 აღელვებული, აჩქროლებული გული.

ავი ენები 12, 13 ბოროტი ენები, ბოროტი ხმები.

ავლევ 495, 9 ატარებ.

ავჟანდა 495, 21 უზანგები.

აზარფეშა 489, 26 ვერცხლის გრძელტარიანი სასმისი.

აზნაურშვილთაგანი 117, 6 აზნაურიშვილთაგანი.

აზრთვნობა აზროვნება. აზრთვნობით 191 13.

ათერა, ათერია 55, 25 ქალის სახელია.

ათერია, ათერა 55, 18 ქალის სახელია.

ათ-ხელად 112, 17 ათჯერ.

აიფხორა 158, 18 გაიბერა, გული მოუვიდა.

ალალი 319, 13 რაც კაცს სამართლიანად ეკუთვნის, კანონიერი.

ალთაფა 190, 27 წყლის პურჭელია სპილენძისა.

ალიონის აწევა 306, 8 განთიადი, რიჟრაჟი.

ამბთვი 406, 39 ამბავი.

ამინ 277, 14 (ბერძნული ამენ) ჭეშმარიტად, ნამდვილად.

ამ კვირია 105, 13 ამ კვირას.

ამოერჩივა 70, 20 ამოერჩია.

ამოიყურყუმელავა 47, 27 ამოიყურყუმალავა.

ამოსაცვივნები: სახლკარ-ამოსაცვივნები 26, 10 წყევლაა: სახლკარ-ამოსაცვენი.

ამოსჩქროლდა: ოტკის სუნი ამოსჩქროლდა 53, 26 არყის სუნი ამოუვიდა, ამოუქროლდა (პირიდან).

ამოქოლილი 163, 22 ქვებით ამოვსებული

ამოჩნდა 100, 29 გამოჩნდა (დაბლიდან მომავალი).

ამოჭედა 131, 25 იარაში მარილი ჩაყარა.

ამ სიტყვიზედ 40, 32 ამ სიტყვების თქმის დროს.

ამძრახება ალაპარაკება. ამძრახდა 492, 22.

ამხედრება ცხენზე შეჯდომა. ამხედრდა 291, 19.

ანანური 475, 7 სოფელია დუშეთის რაიონში.

ანბავი 26, 11 ამბავი.

ანბობ 26, 13 ამბობ.

ანბთვი 81, 14 ამბავი.

ანგარიშმიუცემლად 370, 7 თავდავიწყებით.

ანზორა 104, 31 კაცის სახელია.

ანძალი 233, 3 ანძა, ამართული ძელი.

აპეკუნი 169, 6 (რუს.) მზრუნველი, მეურვე.

აპრაკუნე 117, 9 მეტსახელია კაცისა.

არაბული 366, 34 გვარისსახელია.

არამი: არამი იყოს ჩვენი პურ-მარილი თქვენზედ! 64, 10 არ შეგერგოთ ჩვენი პურმარილი.

არაუ 59, 23; 366, 10 არა.

არ გრცხვენიხთ 114, 37 არა გრცხვენიათ.

არეკოდეთ (ბატკნები) არეკეთ (ბატკნები) (თხოვნით-ბრძანებითი).

არცავინ 154, 9 არავინ.

არც რა, არც-რაი 385, 22; 35, 14 არაფერი.

არცისკანა 50, 30 ნაკვერცხლის ალები, მაშა.

არწია 104, 20 სოფელია ჩრდილოეთ კავკასიაში.

არხოტი 270, 23 ხევსურეთის თემი, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა.

ახო 359, 25 სხეულის ნაწილთაგანი.

ასწეწიყო 299, 12 ასწეწოდა.

ატლახი 251, 35 მბზინავი ქსოვილია.

1. აუ 113, 16 მწუხარების შორისდებული.

2. აუ 81,21 გაკვირვების შორისდებული.

3. აუ 80, 39 საყვედურის გამომხატველი შორისდებული.

აქამომდის 297, 1 აქამდის.

აქეთით ნახე -ით.

აქიმი 491, 24 ექიმი.

ალალბაში 94, 29 ურმების ქარავანის მეთაური.

ალგეარსთ 482, 3 აგელიარებინათ.

ალება (თავისა) აწევა (თავისა). თავი ავარ ალო 85, 14.

ალკრძალულია 144, 2 აკრძალულია.

ალსრულებდა 49, 14 ასრულებდა.

აშფრებდა 51, 3 აჩქარებდა.

აცვინული 377, 34 აცვენილი.

აწოწილი 42, 30 გამხდარი და მაღალი კაცი.

ახალუხა 421, 37 ახალუხიანი.

ახლადდართული (სამწყემსო) 102,16 ახლადაცმული (შამფურზე) სამწვადეები.

ახრეშდნენ 128, 7 უხახუნებდნენ, ასრესდნენ (რქებს).

1. აშუ 78, 34 ზიზღის შორისდებული.

2. აშუ 380, 2 წყენის, გულნატკენობის გამომხატველი შორისდებული.

3. აშუ 144, 3 გაკვირვების შორისდებული.

4. აშუ 439, 3 დაძახების შორისდებული.

## ბ

ბაზიერი მეშევარდნე, მექორე. აქედან: ბაზიერობა 11, 28.

ბაკანი 83, 14 „ხის ჯამი" (ყაზბ.).

ბალვან 63, 8 (რუს.) ბრიყვო, რეგვენო, ყეყეჩო.

ბალკონი 12, 22 (რუს.) აივანი.

ბალნიცა 153, 29 (რუს.) საავადმყოფო.

ბანდული 280, 2 „მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირები წვრილი ღვედითა აქვს დაწნული; თვით ამ ღვედებს საბანდს ეძახიან" (ყაზბ.).

ბარემ, ბარემდის 115, 31; 51, 27 ოლონდაც.

ბარგაკიდებული ცხენები 290, 3 დაბარგული ცხენები.

ბარიშნა 207, 32 (რუს.) ქალიშვილი.

ბარტყა-ბურტყი ფეხების მძიმედ ცემა (მიწაზე, იატაკზე). ბარტყუნ-ბურტყით 51, 31.

ბარული ურემი 94, 16 დიდი ურემი.

ბატარა ბატარაი 85, 9; 69, 24 პატარა.

ბატარძალი 251, 16 პატარძალი.

ბაშლუყი 51, 8 ჩაბალახი, ყაბალახი.

ბახუსი 42, 36 ღვინის ღვთაება (ძველ ბერძენთა და რომაელთა მითოლოგიით).

ბეგი 89, 1 შემაღლებული ადგილი.

ბეგობა 297, 33; 289, 24 იგივეა, რაც ბეგი (ნახე).

ბედავ 158, 15 ბედავ.

ბედენა 73, 37 განსხვავება, სხვაობა.

ბედ-გაშავებული 470, 11 ბედშავი, საწყალი.

ბედშაო 57, 17 ბედშავო.

ბედჩავი 73, 3 ბედშავი, ბეჩავი.

ბედჩაო 75, 26 ბედშავო, ბეჩავო.

ბელადი 127, 25 მეთაური, წინამძღოლი ომში.

ბექია 67, 24 კაცის სახელია.

ბერდია 58, 30 კაცის სახელია.

ბეხედკა 178, 25 (რუს.) ფანჩატური, ფარდული, ტალავარი.

ბეჩავად 370, 24; 413, 24 საწყლად, საცოდავად (შდრ. ბეჩავი).

ბეჩავი ბედშავი, საცოდავი, საწყალი. ბეჩავები 51, 27. აქედან: ბეჩაობა 500, 17.

ბეჩირაი 303 8 კაცის სახელია (ოსებში).

ბეჯითად 90, 11 დანამდვილებით; გარკვევით.

ბინა 345, 25 „ბინას ეძახიან ყველა იმ ადგილს, სადაც ღამე ცხვარს აყენებენ ზაფხულის განმავლობაში ბევრჯელ. თვეში რვაჯერ იცვლება ამგვარი ბინა“ (ყაზბ.). აქედან: დაბინავებული ცხვარი.

ბიძიშენის 181, 39 ბიძაშენის.

ბიჭავ 379, 3 ბიჭო. „მთაში ქალი კაცს სახელს ძნელად დაუძახებს, საზოგადოდ ბიჭობით ელაპარაკებიან“ (ყაზბ.).

ბიჯი 47, 18 ნაბიჯი.

ბნელა (საწოლი) 262, 26 ბნელი (საწოლი).

ბორგი 105, 8 „ბორგ ჩეჩნურად მგელია და ბალღებს არა იშვიათად ამ სიტყვებით ეალერსებიან“ (ყაზბ.).

ბოქაულიჩი 415, 20

ბოხჩა 153, 24 ფუთა, ნაკრავი.

ბრთხილად 395, 27 ფრთხილად.

ბრუ 59, 29 (თავ)ბრუ.

ბუარი 96, 9 ბორბალა, ფართო ფოთლიანი მცენარეა (შდრ. ფშაური ბუარი: ა. შანიძე, ვაჟას ლექსიკონი: III, IV).

ბუგრიანი 258, 34 ყაზბეგი ამ სიტყვის ასეთ განმარტებას იძლევა: „მუწუკებიანი, ქაჩალი, უხეირო.“ ამჟამად მოხეურში ეგ სიტყვა ესმით, როგორც მკბენარიანი, ტილიანი (ეს მნიშვნელობა დადასტურებული აქვს აგრეთვე ა. შანიძეს როგორც ხევში, ისე მთიულეთსა და ფშავში: „ხევსურული მასალების ლექსიკონი,“ წელიწდეული, I-II, სიტყვასთან: ბუგრი. ქიზიყურშიც, როგორც ხც. შენგელაიასეული გადმოცა, ბუგრი მკბენარს ნიშნავს). საბა ორბელიანს ბუგრი ესმის, როგორც მსხმო მუწუკი. დ. ჩუბინაშვილი ამავე გაგებას უჭერს მხარს, ოღონდ ბუგრიანი ზნეკულებით განმარტებული აქვს როგორც вшивая болезнь (უახლოვდება დიალექტებში დაცულ მნიშვნელობას). თუ ვახუშტი ბატონიშვილს ბუგრი მუწუკად ესმოდა, მაშინ ტექსტში ნახმარი გამოთქმები: მუწუკი და ბუგრი, ბუგრი-მუწუკი („აღწერა სამეფოსა საქართველოსა,“ თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა: 125, 39; 80, 1 უნდა გავიგოთ, როგორც სინონიმური პარალელიზმი.

ბუკი 375, 35 საყვირი, რქის ნაღარა.

ბუმაჟნიკი 177, 20 (რუს.) საფულე ქისა.

ბუნდად 127, 39 ბუნდოვნად.

ბუნტი კაცი 66, 3 ხელისუფლების წინაალმდეგ მებრძოლი, არეულობის მოთავე, ბუნტის ამტეხი.

ბურსაჭირის მთა, ბურსაჭირის ფრიალო 55, 4; 343, 15 გუდამაყრის ხეობაშია.

ბურჯი დიდი კოშკი — ციხე-სიმაგრე. ბურჯის თავებზედ 335, 29. აქედან: ბურჯად აზვავდრებოდა 484, 38 მტკიცე სიმაგრედ აზვავდრებოდა.

ბუსურმანი მუსლიმანი. ნართაული სახელია ქართველებისა ცარიზმის მოხელეთა სიტყვახმარებაში (ყაზბეგის მიხედვით). ბუსურმანები 52, 6.

ბძანება 39, 39 ბრძანება.

ბჭეები 30, 38 თემობის მიერ არჩეული მოსამართლეები, მოთათბირენი, მრჩეველნი.

ბჭყვინვა 86, 19 ბრწყინვა. ბჭყვინავდა 190, 19 ბრწყინავდა, ელავდა.

ბხუუ 79, 4 ბუს (ჭოტის) ხმა.

## გ

გა შემოკლებული „გამოიარე.“ მოხეური კილოს წესია: როდესაც წინადადებაში (ან მომიჯნავე წინადადებებში) სიტყვა (ზმნა) მეორდება, იგი ხშირად პირველი მარცვლითაა წარმოდგენილი „გამოიარე, გა“ 366, 23.

გაახპიტებული 219, 3 ძალზე გაგულისებული, გაათრებული, გაანჩხლებული, საჩხუბრად მომზადებული (სიტყვიდან—ახპიტი მეტისმეტად შხამიანი გველი).

გააცინა 372, 28 გაცინო (კავშირებითის მწკრივი).

გაბჟუება (ხელებისა) დაბრუშება ხელებისა). გაბჟუებდა 112, 3.

გაბრაზიანებული 168, 19 გაბრაზებული.

გაგდება (დამბაჩისა) გარჭობა დამბაჩისა ქამარში. გაიგდო 131, 1. აქედან: გაგდებული (დამბაჩა წელში) ქამარში გარჭობილი დანბაჩა.

გადაიცვალა 361, 27 გარდაიცვალა.

გადალახვა (თავმერდინისა) შელახვა, გაწბილება (თავმერდინისა). გადავლახავსვ 36, 12.

გადალევა (გულისა) დასუსტება (გულისა). გადალია (გული) 151, 6.

გადაეფარა (ქედს) 458, 27 მიეფარა (ქედს).

გადარეხვენ (გოდრებზე) ?, 7 ხელი ჰკრეს და დასცეს (გოდრებზე).

გადატაბიკებული ხამინდი ნახე ტაბიკი.

გადაუბრუნებლად (ბრუნდებოდა სიტყვა) 261, 25 შეუბრუნებლად, შეუცვლელად (სრულდებოდა სიტყვა).

გადაქმანჯვა 436, 15 გადაკარგვა.

გადალმეველი 473, 8 გადაღმა მხრისა.

გადაწყვეტილების გადახვლა გადაწყვეტილების დარღვევა. გადაწყვეტილების გადავალ 142, 1.

გადაწვერვა (მზისა) გადახრა მზისა ცის დასავლისკენ, მზის ჩასვლის მოახლოვება. გადაწვერა (მზე) 352, 16; (მზე) გადაწვერილი იყო 136, 12.

გადმოცვივნული 401, 25 გადმოცვენილი.

გადმოხე 251, 29 გადმოდი, ჩამოდი (ხევიდან).

გაერევის 27, 21 გაერევა.

გაეწთდა (კისერი) 127, 30 წინ გაეწვდინა კისერი.

გავაძლობ 402, 20 გავაძლებ.

გაზდამ 417, 35 გაზრდამ.

გათარაშება 107, 7 გათარეშება, განავარდება.

გათქვირებული (საქონელი) 350, 8 ძალზე დასუქებული (საქონელი).

გაიგნო ენა 272, 28 ამოიდგა ენა, აამოძრავა ენა.

გაიკამათა 273, 1; 396, 2; 422, 11 შეედავა, სიტყვით შეეტოქა, არ დაეთანხმა.

გაიკამკამებდნენ (მნათობნი) 398, 27 ნახე კამკამი (მნათობთა).

გაიძრო (ხანჯალი) 137, 2, ამოიღო ხანჯალი (ქარქაშიდან).

გაკრეფა (ცხვრისა) წასხმა (ცხვრისა). გაიკრიფა (ცხვარი) 351, 1.

გაიმქვრევიან (ზოგირთნი წვრილს ნამად) 127, 4 იშლებიან, ნაწილდებიან (ზვირთნი წვრილ ნამად).

გაიტრიალა (ცხენი) 109, 16 გაატრიალა (ცხენი).

გაიძაგრა 422, 14 თმა აებურძგნა.

გაკითხვა მოწყალების მიცემა მათხოვრისათვის. აქედან: გაკითხული 348, 35.

გაკითხული ნახე გაკითხვა.

გაკირცხლვა გაქირდვა, გაკიცხვა. გაუკირცხლა 22, 9; გაუკირცხლავ 52, 34.

გაკნაჭული ტანი 243, 35 ძალიან გამხდარი ტანი.

გალაღებული 115, 5 გახარებული.

გალეული 12, 39 ძალზე გამხდარი, დალეული.

გალიქებული 94, 23 ძალზე მთვრალი, დალეული.

გამედგრება 396, 32 გამძვინვარება გაანჩხლება. აქედან: გამედგრებული ქარიშხალი 399, 28 გამძვინვარებული ქარიშხალი; გამედგრებული (გრგვინვა) 432, 34 გამძვინვარებული გრგვინვა.

გამოპრწყვინავდა 83, 7 ბრწყინავდა, გამოკრთოდა.

გამოეთქა 141, 30 გამოსკდა.

გამურტვლა წაბილწვა, დასვრა, გატიალება. გამიმურტლა 347, 37.

გაწბილებული ნახე გაწბილება.

გამჯავრე 115, 7 გამჯავრებული.

განქრა, განქრება 161, 22; 31, 5 გაქრა, გაქრება.

განჰქრა 185, 24 გაქრა.

გარაზმული 306, 17 დარაზმული.

გარბი 72, 35 გარბიხარ.

გარდახწყვიტა 116, 8 გადაწყვიტა.

გარდაიწყვიტა 115, 39 გადაიწყვიტა.

გარდაქცეულიყო 223, 17 გადაქცეულიყო

გარედ 45, 3 გარდა.

გარდიხარხარა 395, 38 გადაიხარხარა.

გარდმოხე 72, 7 გადმოდი, ჩამოდი (ზევიდან).

გარიგ-დარიგებულნი 496, 35 გარიგებულ-დარიგებულნი.

განკურვნილი 459, 18 განკურნებული.

გასყიდვა გაყიდვა. გასყიდეთ 159, 27. აქედან: გასყიდული 415, 16.

გატიალება განადგურება, გავერანება, აოხრება, არარად ქცევა. გაატიალებს (სოფლებს) 40, 31. აქედან წყევლა: გატიალდი 131, 19; გაგატიალოს (ღმერთმა) 79, 7.

გაუზდელი 13, 15 გაუზრდელი.

გაუპოხავი ურემი 148, 4 საპოხწაუსმელი ურემი.

გაუშავებდნენ (მუკს) 418, 38 უდრის თქმას: (მუკს) დაუბნელებდნენ.

გაფრთხილებული (ხარ-ლაღი 27, 29 ფრთხილი (ხარ-ლაღი).

გაღებისაა: რაი კარების გაღებისაა 8, 18 რა დროს კარის გაღებაა, რა საჭიროა კარის გაღება.

გაღუება გალევება. გააღუებს 393, 19 აქედან: გაღუებული 129, 7 გალევებული.

გაშავება დღისა სიკვდილი. გაუშავებია დღე 65, 24; გაგიშავებდნენ დღეს 35, 18.

გაჩალხული საქმე 16, 27 გაჩარხული საქმე, მოგვარებული, მოხერხებულად გაკეთებული საქმე.

გაჩქურება გაწუმება, ხმის გაკმენდა. გაჩქურდა 443, 5; გაუჩქურდა 165, 14; გაჩქურებულიყო 131, 12.

გაძაზვა გაგრძელება, გაჭიმვა. გაიძაზა (კისერი) 471, 1; გაიძაზა (გოგორგი) 422, 14. აქედან: გაძაზული გაგრძელებული, გაჭიმული: გაძაზული (კისერი) 128, 10; გაძაზული (თოხი) 377, 13.

გაძაზული ნახე გაძაზვა.

გაძეძგვა (გულისა): გაუძეძგავდა 147, 27.

გაძიძგვნა ხარბად ჭამა. გაძიძგნა 96, 18.

გაძრვა: გასძრავს (ხელს) 288, 20 გააძრევს (ხელს).

გაწამებული ნახე გაწამვა.

გაწამვა სულის განაბვა; სულმოუთქმელობა, ძალზე გაყუჩება, გარინდება. გაწამდა 381, 37; 400, 25; 447, 37; 467, 17; 494, 19. გაწამებულიყო 444, 36. აქედან: გაწამებული 377, 28; 257; 24 გაყუჩებული, სულმოუთქმელი, გარინდებული.

გაწბილება 419, 32 წაბილწვა, გარყვნა, შეურაცხება. გაიწბილებს (ქალს) 25, 17 გაიწბილებს (სახლს) 120, 38. აქედან: გაწბილებული 424, 17.

გაწყვიტა (ხმაურმა) 364, 28 დაარღვია (სიჩუმე).

გახევებული 382, 19 გაშეშებული, უძრავად მყოფი.

გახრეკა ხის გაშიშვლება, შტოების გაცლა. აქედან: გახრეკილი გაშიშვლებული, შტოებშემოცლილი. გადატანით: ღარიბი, არაფრის მქონე (ასეთი გაგება ტექსტშიც: 15, 8).

გახრეკილი ნახე გახრეკა.

გელაისი ნახე ისი.

გენია 326, 16 დიდი ცეცხლი.

გერგეტი 275, 38 სოფელია ყაზბეგის რაიონში (სოფ. ყაზბეგთან).

გერგეტულა 275, 5 სიმღერაა.

გეყოფის 371, 11 გეყოფა.

გვერდთ 490, 35 ფერდობი.

გვეცხოვრების 10, 7 გვეცხოვრება.

გვიანება 331, 3 დაგვიანება.

გვი შემოკლებული „გვიბრძანე." მოხეური კილოს წესია: როცა წინადადებაში, ან მომიჯნავე წინადადებებში სიტყვა(ზმნა) მეორდება, იგი ხშირად პირველი მარცვალითაა წარმოდგენილი: „გვიბრძანე, შენი კვნესა-მე, გვი" 443, 15.

გვწადის 497, 27 გვწადია.

გზაჩი ნახე -ჩი.

გზიურ (წასვლა) 111, 22; 393, 39 როდესაც ადამიანი დანიშნულ ადგილისაკენ პირდაპირ გაემართება, პირდაპირ გზას აიღებს, იტყვიან გზიურ წავიდაო.

გიაური ურწმუნო, ურჯულო (მუსლიმანის თვალსაზრისით). გიაურები 111, 18.

გივარგი 422, 3 გიორგი.

გილხინას 346, 38 გილხინოს (კავშირებითის მწკრივი).

გინახივარ 397, 34 გინახავარ.

გიყორდი 370, 28 გიყვარდი.

გიხლანძავხთ 190, 32.

გლეხების სადილობა 90, 18 დააწლოვებით შუადღის 12 საათზე სადილობა.

გლეხების ვახშმობა 405, 14 ადრე ვახშმობა, მზის ჩასვლისთანავე.

გობნები 147, 37 მრავლ. რიცხვი სიტყვისა: „გობანი—ელეიბი, ძირს საგები" (ყაზბ.).

გოდერძიანთი 49, 24 იგივე გოდერძიშვილი.

გოდერძიშვილი 361, 3 გვარისსახელია.

გომბიო 12, 28 დიდი ბაყაყი.

გონთ-გამოხვლა შეშლა, ჭკუის დაკარგვა. გონთ-გამოხვლეხარ 300, 15.

გონჯი 261, 2 ცუდი. გონჯად 437, 31 ცუდად.

გორდა 291, 4 ერთგვარი ხმალია.

გორი 348, 4 გვარი.

გორჯახა 11, 3 კაცის სახელია.

გოხწავლი 496, 35 გვასწავლი.

გრუზი 282, 30 ხუჭუჭი თმა.

გუგუა 8, 35 კაცის სახელია.

გუდამაყრის ხევი 343, 2 (დუშეთის რაიონში). აქედან: გუდამაყრელნი 286, 9.

გუდუნა 50, 30 ამოგუნდავებული პური, პურის კვერი.

გუდურ-გუდურა 420, 35 ჯგუფური თამაშია.

გულის გადალევა ნაზე გადალევა (გულისა).

გულის პოვნა გულის გამოკეთება, მადის მიცემა, „გულის ჩაწდენა." გულს გაპოვნიხ 347, 7.

გულქეთილად 72, 29 სიყვარულით, მზრუნველად.

გუფთა 159, 7 დაკეპილი ხორცი.

გქონდათ 38, 32 გქონდეთ (კავშირებითის მწკრივი).

## დ

დაარიგოლე 251, 1 დაარიგე (თხოვნით-ბრძანებითი).

დაბანგული ეშხით მთვრალი (სიტყვიდან—ბანგი მათრობელა მცენარე). დაბანგულებხართ 298, 6.

დაბინავებული ცხვარი ნაზე ბინა.

დაბრმები 346, 26 დაბრმავდები.

დაბუზვილი მობუზული. დაბუზვილეხ 350, 12.

დაბურვილი 343, 6 დაბურული.

დაგერშილი 68, 11 დაგეშილი.

დაგვეკვეთა (ცხელი ტყვია) 57, 17 აღგვეკვეთა, აგვეკრძალა.

დაგიბრმა თოლი 23, 26 წყევლაა: დაგიბრმავდეს თვალები.

დადაი 85, 18 როცა მოტირალი შევიდოდა ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, დაიძახებდა: დადაი (ჭირისუფალი მოთქმითვე უპასუხებდა: ვაი).

დადურალება საქონლის სატკივარია: დახრომა დიდი სიცივისაგან. დადურალდა 441, 21 (ნახმარია გადატანითი მნიშვნელობით).

დაებლაუჯა 9, 6 დაებღაუჭა.

დაელმებული 316, 21 გაელამებული.

დაეხირება 83, 20 დაეხეტება.

დავა გაუხდათ 133, 12 დავა შეექმნათ.

დაზიარება (ცხვრისა) ზიარადყოლა (ცხვრისა). დაზიარებანით 270, 26; აზიარებს 71,7 აქედან: დაზიარებული 270, 26 ზიარი.

დათბუნება დათმობა, გათბობა. დათბუნებს 424, 34.

დათვიას ტყე 274, 27 ტყე გერგეტის (ნ.) მთაში.

დაირეკა (ცხენები და ხარები) 96, 33; 149,28 გარეკა (ცხენები და ხარები).

დაკვლაშვილი 166, 36 დაგრეხილი.

დაკოკრებული ტუჩები 251, 33 კოკორისებური ტუჩები.

დაკრთობა შეკრთომა, დაფრთხობა. დაკრთობ 470, 38. აქედან: დამკრთალი 393, 5 შემკრთალი, დამფრთხალი.

დაკრულვა დაწყევლა, შეჩვენება. დაუკრულეს 348, 24.

დაკუხვა (კოცნისა) დამიკუხე (კოცნა) 316,39.

დალალები 324, 7 გრძელი ნაწნავები.

დალევა: დამლევ 324, 9 გაგანადგურებ, მოგსპობ. დამილიეს 300, 18 გამინადგურეს, მომისპეს.

**დალორთხილი** ნახე ლორთხვა,

**-დამ -ადან** (თანდებული): სადამ 12, 17; მცხეთადამ 186, 12; მასრადამ 397, 38; მანადამ 394, 5; სარქმლადამ 399, 30; გულადამ 387, 10.

**დამკრთალი** ნახე დაკრთომა.

**დამირჩა შენი თავი** 72, 25 დალოცვის ფორმაა, უდრის თქმას: „მიცოცხლოს შენი თავი."

**დამრჩოთ** 504, 38 დარჩენილთ.

**ლუბამთ** 53, 8 დამლუპავთ.

**დამყარებული** მტკიცე, საფუძვლიანი. დამყარებული (სახე) 276. 29; დამყარებული (ლაპარაკი) 179, 28.

**დამყვავებელი** ნახე დაყვავება.

**დამწყალობება** 277, 6 დალოცვა ხატობაში („წყალობა მოგცეს..."). აწყალობებენ 277, 1; დაუწყალობნია 134, 30.

**დამჩოლფოტებელნი** ნახე დაჩოლფოტება.

**დაოხება** დაქანცვა, დასუსტება. დაოხდა 353, 9. აქედან: დაოხებული 112, 33 ქანცგამოლეული.

**დაოხებული** ნახე დაოხება.

**დაოღრო-ჩოღროებული ადგილი** 355, 4 ოღრო-ჩოღრო ადგილი.

**დაჟღრიალება** ზარებჩამოკიდებული დროშის დარხევის ხმა. დაჟღრიალდა 141, 24.

**დარგვალებულა** 86, 30 დამრგვალებულა.

**დარიელა** 93, 11 დარიალი (ხეობაა თერგზე).

**დარიხხვა** შერისხვა. დაგარისხოთ 494, 34.

**დახაჯავთ:** ნუ დახაჯავთ 312, 35 ნუ დასჯით.

**დასიცილი** 186, 23; 175, 20 დაცინვა.

**დასწყიახ** 393, 37 დასწყევლოს (კავშირებითის მწკრივი).

**დასხლეტა** 130, 22 სასხლეტზე—თოფის გამოსაკრავზე—თითის გამოკვრა.

**დაუგდო** (გზა) 421, 19 (გზა) მისცა.

**დაუნდო** 90, 27 დაუნდობელი.

**დაფათრვა** გაფატვრა. დაუფათრავ 161, 7; დაფათრავდა 353, 19.

**და ფანდაგ რახტ** 291, 30 „გზა მშვიდობისათ" [ოსურად] (ყაზბ.).

**დაფანტვა** დაბნეულობა, თავდაკარგულობა. დაფანტულით 396, 22 გონებადაბნეულად; დაფანტა 384, 9. აქედან: დაფანტული 211, 3 გონებადაბნეული.

**დაფანტული** ნახე დაფანტვა.

**დაფერვა** შეფერვა, შეფერადება. დაუფერავენ 127, 34.

**დაფერხება** დაჯდომა. დაფერხდით 492, 14.

**დაფრთხობილი** 307, 30 დამფრთხალი.

**დაფქული** 386, 12 დაფქვილი.

**დაღალულხარ** 393, 31 დაღლილხარ.

**დაყვავება** მოალერსება, დამშვიდება. დაყვავა 360, 20. აქედან: დამყვავებელი 18, 34; დაყვავებული 344, 31.

**დაყვავებული** ნახე დაყვავება.

**და ყუტა რახტ** 296, 32 კეთილად წარიმართოს თქვენი საქმე [ოსურად].

**დაყორულება** სიტყვიდან: ყორული ნაკრძალი სათიბი ადგილი (შიგ არავის უშვებენ დათქმულ დრომდის). დაყორულდა 37, 16.

**დაშალტვა** შემოხვევა, შემოჭერა თოკისა. დაშალტა 357, 39.

**დაჩემებული** 86, 10 „ყველა ცხვრის პატრონს ამორჩეული ჰყავს რამდენიმე ყოჩი, რომელიც ცხვარში ან მატყლით და ან ჭიდაობით ირჩევიან" (ყაზბ.).

**დაჩოლფოტება** დაბრიყვება, დაჩაგვრა, დაშინება. აქედან: დამჩოლფოტებელნი 268,1 დამბრიყვებელნი, დამჩაგვრელნი.

**დაძალადებული** (არაყიანი) 83, 24 (არაყით) ძალზე მთვრალი.

**დაძენძვა, გაძენძვა** დაშლა, დაწეწვა. ხქენძავდა 417 შლიდა, წეწავდა.

**დაწინავებული** 422, 1 წინწასული, წინგასწრებული.

**დაჭდევება** ჭდეების გაკეთება ჯოხზე ფიცის აღსანიშნავად. დაჭდია 138, 27.

**დაჯავრება** დაჯავრიანება, ჯავრში ჩავარდნა. დავჯავრებ 458,17 ჯავრში ჩავაგდებ, დავაჯავრიანებ.

**დაჯაღლვა** მორევა, დამორჩილება, დაჩაგვრა, ჯობნება. ხჯაღლდობდა 366, 37 ჯობნიდა, ჩაგრავდა.

**დებულება** (ხალხისა) 31, 1; 31, 3 (ხალხის მიერ) გამომუშავებული წეს-ჩვეულებანი, ტრადიცია.

**დედაის გული** 348, 13 სასიყვარულო-

მოფერებითი ფორმაა მიმართვისა.
დედაისი ნახე-ისი
დევნული 233, 9 დევნილი.
დეკანოზი 138, 18 ხატის მსახური.
დენშიკი 59, 4 ოფიცრის მოსამსახურე.
დიალერ 105, 16 [ჩეჩნურად] „ღმერთმანი" (ყაზბ.).
დიამბეგი 26, 7 საპოლიციო მოხელე რევოლუციამდელ რუსეთში. აქედან: დიამბეგობა 363, 25.
დიაცი 9, 39 დედაკაცი, ქალი. დიაცურად 141, 23 ქალურად.
დიბის საბანი 321, 3 ოქრომკედით ნაკერი ან ნაქსოვი ფარჩის საბანი.
დილილმე 164, 37 სიხარულის შორისდებული.
დონეში ჩავარდნა 255, 34 თავის (ნორმალურ) დონეზე დადგომა.
დოინჯის შემოყრა ხელის წელზე შემოდება. დოინჯი შემოყარა 351, 20.
დოლის თავი 18, 15 „პირველი მამალი ბატკანი" (ყაზბ.).
დუნია 137, 34 მთელი ქვეყანა.
დურალი 157, 27 საქონლის სატკივარი, გამოწვეული დიდი სიცივისაგან, დაზრომა (მდრ. დადურალება).

## ე

ები 83, 20 ეს.
ეგზეკუცია 44, 2 დამსჯელი რაზმების ჩაყენება მოსახლეობის კარ-მიდამოში მთავრობის წინააღმდეგობისათვის (რევოლუციამდელ რუსეთში).
ედემი 344, 7 სამოთხე.
ეკამკამებიან ნახე კამკამი.
ელხვებოდა (გული) 487, 17 (გული) შეტრფოდა, მიურჩოდა. ელხვებოდეს (გული) 73, 26 შეტრფოდეს, მიურჩოდეს გული.
ემ 402, 5 ამ.
ემდენაი 394, 1 ამდენი.
ენით დახახელება თქმა, დასახელება. ენით დასახსნელი 91, 23.
ერდო 84, 7 ბანზე—შუა ცეცხლის თავზე—დატოვებული ღია ადგილი, საიდანაც კვამლი ამოდის და სინათლე ჩადის.
ერთმანერთი 38, 4 ერთმანეთი.
„ერთმანერთის შურახ", „ერთმანერთის შურახით" 86, 9; 104, 28; 375, 10. „ერთმანეთის შურით", ერთმანეთის ჯიბრით.
ერივა 421, 30 ერია.
ერობა 39, 3; 39, 35 ხალხის სათემო ყრილობა.
ეფხია 10, 11 კაცის სახელია.
ელიჯინა ნახე ლიჯინი.
ეწყინების 71, 35 ეწყინება.
ეპვნეულად 474, 26 იქვნეულად, იქვით.
ეხლანის 32, 26 ახლა.
ეჰ, ჰე, ჰე 73, 21 ოხვრის შორისდებული.

## ვ

ვარადა 299, 24 სიმღერაა, რომელიც აგებულია ვარადა—სიტყვის განმეორებაზე.
ვარამი 165, 38 დარდი, სევდა.
ველიანი 67, 8 ბალახოვანი ადგილი, ველი. ველიანი მდელოები 466, 22 ბალახოვანი მდელოები.
ვერვი 501, 2 ვერვინ. —
ვეძა „გოგირდის მჟავე წყალს ეძახიან, რომელიც მიწას აყვითლებს" (ყაზბ.).
ვიხოკოროდიევ 118, 3 (რუს.) მაღალკეთილშობილებავ.
ვიტირა 504, 6 ვიტირო (კავშირებითის მწკრივი).
ვიქნა 413, 5 ვიქნე (კავშირებითის მწკრივი).
ვილა 115, 35 ვინლა.
ვილაცანი 84, 12 ვილაცეები.
ვიყვე 180, 2 ვიყო.
ვიცა 504, 6 ვიცე (თხუმა გიცე) (კავშირებითის მწკრივი).
ვიწროები 127, 1 ხეობა.
ვოჟი 115, 3 ვაჟი. ვოჟები 114, 39 ვაჟები.
ვო, ხიუ ხანიბა 92, 3 ვოი, ხიუს [სოფელია] სალოცავო! [ოსურად].
ვფიცავ დამბადებელს 329, 26 ფიცის ფორმაა.

## ზ

**ზადი** 485, 9 ნაკლი.
**ზაკონი** 121, 19 (რუს.) კანონი.
**ზალიანი** ხალიაშვილთა გარეულობისა. *ზალიანი ქალი* 25, 34; *ზალიანი გუგური* 9, 35.
**ზარდაცემული** 157, 12 თავზარდაცემული, შეშინებული.
**ზაფრანა** ყვითელი ყვავილია. *ფერი ზაფრანად გადაექცა* 412, 30 გაყვითლდა.
**ზაფრის ამლა** 475, 11 ღვიძლის ავადმყოფობა, რომელიც სიყვითლეს იწვევს.
**ზედაშე** 489, 13 შესაწირავი ღვინო.
**ზედსიძე** 70, 7 ჩასიძებული.
**ზეზეურ** 159, 36 ზეზე, ფეხზე დგომით.
**ზოვი** 153, 36 ზავი.
**ზურგიელი** 59, 7 ერთნაირი თევზია.
**ზღრუბლი** 334, 33 ზღურბლი.

## თ

**თაბუნი** ჯოგი, რემა. აქ: 1. (165, 37) მტრედების გუნდი, 2. (280, 32) ქალთა კრება, ქალთა ჯგუფი.
**თავად** 80, 27 თვითონ.
**თავგადასახადი** 114, 3 თავგადასავალი.
**თავგადაგლეჯილი** 299, 1 ქუდმოხდილი, თავშიშველი.
**თავისქვეითა** 337, 12 თავნება ადამიანი, რომელიც ყოველთვის იმდაგვარად იქცევა, როგორც მას მოეპრიანება.
**თავლა** 94, 30 საჯინიბე, ცხენების დასამწყვდევი.
**თავმერდინი** 36, 11 შინამრეწველური აბრეშუმის ქსოვილი—მერდინი, რომელიც გამოყენებულია თავსაბურავად.
**თავნი** 157, 15 სარგებლობის მომცემი ძირითადი თანხა.
**თავხირუყო** 303, 8 საკუთარი სახელია (ოსთა).
**თავჩაკრული ცხენი** 95, 4 ცხენი, რომელსაც თავსა და წინა ფეხებში საბელი აქვს ჩაბმული, რათა სამოვრად გაშვებული არ გაიქცეს.
**თალეები** 148, 20 რკინის სალტეები.
**თანდითან** 432, 25 თანდათან.
**თაო** 80, 23 თავო („ბეჩაო ჩემო თაო")-
**თახჩა** 475, 37 კედელში დატანებული თარო.
**თეთრ-ყირმიზი** 251, 35 თეთრი და წითელი (ყირმიზი) ფერების შეხამება.
**თემი** მთელი ხევის ხალხი. აქედან: *თემობა* 383, 23.
**თემისაგან მოწყვეტა** ადათ-ჩვეულებათა დამრღვევის გაძევება თემიდან და სხვაგან გადაკარგვა. აქედან: *თემისაგან მოწყვეტილი* 424, 26.
**თემის თავები, თემის თავნი** 278, 35; 500 10 თემის (ნ.) ამორჩეული თავკაცები, რომლებიც მონაწილეობდნენ თემის საბჭოში სათემო საკითხების გადასაწყვეტად.
**თემის კაცი** 278, 36 *იგივეა, რაც* თემის თავები, თემის თავნი (ნ.).
**თემის პირი** თემის (ნ.) ადათი, ტრადიცია, თემის გადაწყვეტილება. *თემის პირის გატეხა* თემის ადათის, გადაწყვეტილების დარღვევა. *თემის პირი გატეხა* 28, 32. აქედან: *თემის პირის გამტეხი* 424, 23.
**თემის ყრილობა** 17, 17 თემის (ნ.) სახალხო ყრილობა.
**თემობა** 363, 23 ნახე თემი.
**თემოხხობა** 470, 19 თემობა, თემის ტრადიცია (ნახე თემი).
**თემურყო** 91, 13 კაცის სახელია.
**თვალ-გაჟუჟუნებული** 490, 23 თვალჟუჟუნა.
**თვალებდახუჭვილი** 196, 8 თვალებდახუჭული.
**თვალთათვის სამდევროდ** 491, 1 თვალთა მისადევნებლად, გამოსაჩენ ადგილას.
**თვალი შეუვარდა** 70, 22 მოეწონა.
**თვალმოჟუჟუნე** 345, 13 თვალჟუჟუნა.
**თიბა** 375, 10 თიბვა.
**თიბვის თავი** 72, 18 „თიბვის წინ სოფელი ყოველთვის სამლოცველს აკეთებს და ამას ჰქვიან „თიბვის თავი" (ყაზბ.).
**თოვლები** 330, 1; 330, 16 დიდი თოვლი.

თოლი 71, 37 თვალი. თოლები 20, 39 თვალები.

თოლიკა, თოლიკე 284, 35; 285, 1 კაცის სახელია.

თოლმაჯი 153, 14 თარჯიმანი, მთარგმნელი (ТОЛМАЧ). აქედან: თოლმაჯობა 11, 11 თარჯიმნობა, მთარგმნელობა.

თოლყური 161, 3 თვალყური.

თონთლო 461, 17 რბილი, ნაზი.

თორო 115, 29 თორემ.

თორლა 496, 19 კაცის სახელია.

თოფ-ტიელა 311, 21 ნახე ტიელა.

თოშლებოდა 256, 25 ცვდებოდა, იყინებოდა.

თროთოლარე 76, 20 მთრთოლვარე.

თრუსოს ხეობა 290, 8 მდებარეობს ყაზბეგის რაიონში (მდ. თერგის სათავეებში).

თუ 87, 39; 133. 4; 437, 9, 383, 36 ხომ.

თქვენაი პირაიმეთ 501, 4 თქვენი პირიმე.

ი

იამშჩიკი 66, (რუს.) მეეტლე.

იასაული 472, 10 სასამართლოს მოხელე (მეფისდროინდელ რუსეთში).

იახლა 40, 22 ეახლა.

იდუმალად 325, 3 საიდუმლოდ, ფარულად, ჩუმად.

იდუმალებით 92, 6 საიდუმლოდ, ფარულად, ჩუმად.

იელა 313, 32 იელვა.

იზდები 72, 29 იზრდები.

-ით გამოსვლითი ბრუნვის ნიშანი: -დან: საფლავით 34, 34 საფლავიდან; ძაუგით 156, 33 ძაუგიდან; ჩიჩნით 407, 4 საჩიჩნოდან.

იმად 27, 8 იმიტომ.

იმედის გადაწყვეტა იმედის დაკარგვა. იმედი გადაწყდა 130, 29. აქედან: იმედგადაწყვეტილი 256, 22 იმედდაკარგული.

ინკვიზიცია 216, 38 კათოლიკური ეკლესიის სასულიერო სასამართლო, რომელსაც გამომუშავებული ჰქონდა გამოძიებისა და დაკითხვის უსაშინელესი ფორმები.

ირჩივე 90, 26 ირჩიე.

-ისი დაბოლოება (ნანათესაობითარი სახელობითი), რომელიც ერთვის საკუთარ სახელებს, ხოლო საზოგადო სახელთაგან ისეთებს, რომელნიც საკუთარ სახელთა როლში გამოდიან: დედა, მამა, პაპა, ნათლია... და რომელიც სიტყვას სასიყვარულო - მოფერებით მნიშვნელობას ანიჭებს. ოსიკაისი 251, 11; ცოცაისი 80, 24; მეკვალაისი 349 11; გოლაისი 365, 1; ქორდუშოისი 68, 21; დედაისი 34, 13; მამაისი 72, 38 (თავდაპირველად უნდა ყოფილიყო: დედაის(ი) პირაიმე ||მზემა|| კვნესამე; ნაყვალაის(ი) პირაიმე ||მზემა|| კვნესამე და ა. შ. შემდეგ მომდევნო სიტყვები დაიკარგა და დარჩა ნანათესაობითარი სახელობითის ფორმა: დედაისი, მეკვალაისი... ამჟამად ისი ფუნქციურად მტოლება კნინობით-მოფერებით სუფიქსებს: დედაისი-დედიკო, ხუმთაისი-ხუმთაიკე და მისთანანი.

იფარფარონ 38, 31 იფარფაშონ.

იქამდის 378, 29 იმდენად.

იქმონენ 481, 29 შვრებიან.

იყავნ 360, 2 იყოს.

იყვეს 138, 25 იყოს.

იწმინდებისა 472, 32 „როდესაც დეკანოზებმა დროშას ხელი უნდა მოჰკიდონ, ერთის თვით განშორებულნი სცხოვრობენ და მარხულობენ. ამაზედ იტყვიან, რომ იწმინდებაო“; (ყაზბ.).

იჭუპკიბოდნენ 357, 11 იკუნჭებოდნენ.

იჯიბა 16, 37 „ჩაიჯიბა“, მყისვე ჯიბაში ჩაიდო.

კ

კაბინეთი 170, 18 კაბინეტი.

კავკავი 123, 38 ქალ. ძაუჯი-ყაუს ძველი სახელია.

კათხა 138, 36 ხის სალუდე (ან სალვინე) ჭურჭელია.

კაი 86, 14 კარგი. აქედან: კაი--კაი მოთხრობა 38, 9.

კალის სტვირი 114, 26.

კამათად 76, 38 მკაცრი სიტყვით.

კამარის შეკვრა დაოთხებით გაქცევა (პირუტყვისა). აქ: სწრაფად გაიქცა, მოკურცხლა (ბიჭმა): შეკრა კამარა 421, 37.

კამკამი ციმციმი, კაშკაში. გკამკამებიან 127, 15.

კანძი გაკვანძული და შეგრეხილი მატყლი—ერთი ცხვრის ნაკრეჭი. კანძ მატყლად 293, 13.

კაპარი „ქატოსაგან გაკეთებული სასმელია“ (ყაზბ.). კაპრით 6, 36.

კარგია 371, 11 კარგი, კეთილი, „გეყოფა.“

კარტოხა 7, 14 „კარტოფილი“ (ყაზბ.).

კატორგა 487, 3 ადგილი, სადაც ასახლებდნენ სასჯელმოსახდელებს (რევოლუციამდელ რუსეთში).

კაცობრივი 429, 2 ადამიანური.

კაცობრიული 238, 17 ადამიანური.

კედა 378, 13 კეტი კარების ურდული.

კეკლუცად ამართული ხე 476, 32 მოხდენილად, ლამაზად ამართული ხე.

კვერი 50. 15 მრგვლად გამომცხვარი პური.

კვიტანციები 13, 20 (რუს.) ქვითრები.

კილოები (თვალისა) 286, 30 თვალის კუთხეები.

კინწირო 19, 7 თხემი, წვერი (კლდისა, მთისა...)

კნეანა 12, 38 (რუს.) თავადის ცოლი.

კნიაზი 48, 9 (რუს.) თავადი.

კობი 253, 20 სოფელია ხევში (ყაზბეგის რაიონი).

კოკებრივი წვიმა 432, 35 კოკისპირული წვიმა, თავსხმა.

კომლი 418, 23 კვამლი, ბოლი.

კოჭლა-კოჭლაობით 486, 28 კოჭლობით.

კრეჭიაშვილი 316, 9 გვარისსახელია.

კროობა 325, 9 კროომა.

კრძალული ხასიათისა 169, 14 მოკრძალებული ხასიათისა.

კუზმა 239, 12 კაცის სახელია.

კუთ-კუთად 350, 13 ნაჭერ-ნაჭრად.

კუპრი 470, 21.

კურატი სამსხვერპლოდ შეწირული უღელდაუდებელი ხარი. მრავლობითში: კურატები 325, 34.

კუშეტკა 173, 2 კუშეტი, ტახტი.

## ლ

ლაზათით სავსე (ქალები) 250, 1 შნოიანი და ეშხით სავსე ქალები.

ლაჟლანდარობა 148, 17 ლაზლანდარობა, ხორხოცი. ლაჟლანდარობდნენ 437, 5.

ლარსი 91, 18 სოფელია თერგზე (ყაზბეგის რაიონი).

ლასლასი 262, 25 დასუსტებული ადამიანის სიარული.

ლაში 108, 20 ბაგე, პირი.

ლაშთ გართხმა 473, 4 პირის გაღება (ბაგეების გახსნა).

ლახვრად გარბენა გულში ლახვარივით გარბენა გულში. ლახვრად გარბოდა გულში 407, 7.

ლახვრად მოხვედრა გულში ლახვარივით მოხვედრა გულში. ლახვრად მოხვდა გულში 47, 11.

ლებიო 7, 20 ლობიო.

ლევა: ნუ მლევ 23, 27 ნუ მსპობ, ნუ მანადგურებ.

ლექსი 50, 28; 50, 32 ზღაპარი.

ლიჭყი 351, 33 „ნესტის გამო მოლიპული“ (ყაზბ.).

ლოდინისა აღარაა 411, 9 ლოდინი არ გვარგებს, რა დროს ლოდინია.

ლომისა სალოცავია მთიულეთში. ლომისას მოიხსე 291, 12; შეგეწევა ლომისა 384 26; ლომისას მადლმა 288, 24.

ლორთხვა, დალორთხვა დასველება. ლორთხვიდა 466, 30; დალორთხა 501, 24. აქედან: დალორთხილი 439, 16 დასველებული.

ლორი 61, 31 შაშხი, გამხმარი ხორცი.

ლოშნა უმგვანოდ კოცნა, მტლაშამტლუში. ლოშნიდა 53, 28.

ლული 390, 25 რული, თვლემა.

## მ

მა 38, 8 მაშ.
მაგდენად 69, 34 იმდენად.
მადლი გადუხადა 102, 3 მადლობა გადაუხადა.
მადლობას ვაძლევ (უფალს) 365, 6 მადლობას ვუხდი (უფალს).
მაი 347, 29; 348, 13; 351, 17; 372, 30 შემოკლებული „მაიტა“ (ანდა „მაიცა“). მნიშვნელობით უდრის თქმას: „მოდი, ერთი...“ (იხმარება ფრაზაში).
მალაყს გადასვლა 163, 8 ყირაზე გადასვლა, ყირამალა გადასვლა.
მალ-მალ 151, 20 ჩქარ-ჩქარა, მალიმალ.
მალხაზი 363, 33 აქ: ცქრიალა.
მანდილი 28, 6 შინამრეწველური აბრეშუმის ქსოვილია, რომელსაც ქალები ჩვეულებრივ ხმარობენ თავსაბურავად (შდრ. თავმერდინი).
მანდილის გადალახვა 35, 4 ძველი ჩვეულებით, თუ დედაკაცი მანდილს ჩააგდებდა ორ მოჩხუბარს შუა, ხმალდახმალ შეტაკებულნი ხმლებს ქარქაშში ჩააგებდნენ. მანდილის გადალახვა სააუგო საქმედ ითვლებოდა. გადატანით მანდილის გადალახვა გამოხატავს ნამუსზე ხელის აღებას, ქალისადმი შეურაცხყოფის მიყენებას, ადათის დარღვევას.
მანქანება 398, 35 უხილავი ძალის მზაკვრული მოქმედება, ხრიკი.
მარი 170, 8 ქალის სახელია.
მარტოშკამი 90, 15 ერთი კაცის დასაჯდომი პატარა სკამი; საპატიო სკამია. შემ. ეწოდება რამდენიმე კაცის დასაჯდომ გრძელ სკამს (скамейка).
მარხოჩი ნახე -ჩი.
მარჯანი ძოწი, ზღვის წითელი ქვა. მარჯანისფერი 321; 11 წითელი ფერისა.
მარჯვე 37, 4 ახლო, ადვილი მისადგომი.
მასრა 107, 24 სათოფისწამლე, ვაზნა.
მასუკან 84, 37 მას შემდეგ.
მაყარი სასიძოს მიმყოლი ქორწილში. მრავლობითში: მაყრები 254, 23.
მაყვალა, მაყვალაი 348, 10; 348, 11 ქალის სახელია.
მაყრიონი 149, 7 მაყრები ერთად (ნახე მაყარი).
მაშინის 57, 21 მაშინ.
მაშურებდა 202, 3 მაჩქარებდა.
მახაცი შალი 357, 25.
მახია 49, 24 ქალის სახელია.
მახლობ 55, 26 მახლობლად.
მახუტა 70, 22 კაცის სახელია.
მაჰმადი 319, 22 მაჰმადიანური რელიგიის (ისლამის) დამაარსებელი.
მგზავრადა ვარ 144, 1 გზას ვადგავარ, ვმგზავრობ.
მგლის ძუნძული 113, 5 იგივე, რაც მგლური სიარული (ნ.).
მგლური (სიარული) ჩქარი, სწრაფი სიარული, ძუნძულით სიარული, თითქმის რბენით სიარული („მთაში ჩქარს სიარულს ეძახიან მგლურსა;“ „გადაუქნევდა მათრახს თავის ერთგულ ცხენს, რომელიც მიაჩაფჩაფებდა იმგვარის ძუნძულით, რომელსაც მთაში მგლურს უწოდებენ და ამგვარად სიარულიც გზას ძალიან ამოკლებს“ (ყაზბ.). ის მგლო- ლი გაქცეულიო, მგლურად 392, 16.
-მდინ მდის, -მდე, თანდებული: ხვალამდინ 60, 34; ხვალამდის; იქამდინ 58, 11. იქამდის; ყურამდინ 108, 27 ყურამდის; კარებამდინ 182, 11 კარებამდის.
მეზობლებისთვი 251, 8 მეზობლებისთვის.
მეთოფური 460, 31 თოფის მსროლელი.
მეკომური 37, 7 მოსახლე.
მელური 42, 31 მელიის თვისებებისა: ეშმაკური, ცბიერული.
მემცხვარე 396, 34 მეცხვარე.
მერდინი 383, 15 შინამრეწველური აბრეშუმის ქსოვილი.
მერდინის გადალახვა იგივე, რაც მანდილის გადალახვა (ნ.). მერდინი გადალახვანა 31, 14.
მერჯვის (გული ხამელდება) 349, 38 მიმირჩის, მიხმობს.
მეფაიტონე 183, 16 (რუს.) მეეტლე.
მეჩქარებაზ 69, 26 მეჩქარება.
მეჯლისი, მეჯლიში 318, 26; 117, 28 ნადიმი, წვეულება, პურობა.

მჩეს კარგად მოეარა 89, 6 კარგად გათენებულიყო, კარგა ხანია მზე ამოსულიყო.

მთორე 251, 13 მთვარე.

მთროთლარე 76, 24 მთრთოლვარე.

მთხრობელი 121, 9 ნახე მთხრობლობა.

მთხრობლობა 91, 32 დასმენა, ენის მიტანა, ჯაშუშობა. მოხრობელი 121, 9 დამსმენი, ენის მიმტანი, ჯაშუში.

მიანზე 365, 37 მიამბე.

მიალწივა 86, 14 მიაღწია.

მიგვიანდების 393, 28 მიგვიანდება.

მიდღეში 133, 29 მუდამ, ყოველთვის.

მიელხო 431, 33. მიეთვისა (სიტყვა-სიტყვით: მიედნო)

მიკონკილ-მოკონკილი 498, 1 დაკონკილი, დაფლეთილი, დაძველებული.

მიილუშა ნახე მილუშვა.

მილუშვა 401, 20 ჩათვლემა, თვალების მილულვა, მოდუნება, მოშვება, მოთენთვა. მილუშა 360, 26; 448, 34.

მიმავლობა მსვლელობა, სიარული, მიმავლობაში 475, 6.

მინდის აგება მინდის აღება. მინდს აუგებ (წინსვლას) 386, 19.

მინდის 457, 27 მინდა.

მირჩივე 73, 26 მირჩიე.

მისდიხარ 414, 10 მიდიხარ.

მიყარს 75, 32 მიყვარს.

მიჩხლართულ-მოჩხლართული 49, 13 მიხლართულ-მოხლართული (დახლართული), მიგლეჯილ-მოგლეჯილი.

მკვირცხლი თოფის სროლა 298, 26 ხშირხშირი, გახურებული თოფის სროლა.

მო შემოკლებული „მოშლი". მოხეური კილოს წესია: როდესაც წინადადებაში, ან მომიჯნავე წინადადებებში სიტყვა (ზმნა) მეორდება, იგი ხშირად პირველი მარცვალითაა წარმოდგენილი: „მოშლი? მო თქვენაი ქირაიმე" 411, 31.

მოაზრება 257, 26 მოსაზრება. მოიაზრეს 100, 22 მოისაზრეს. აქედან: მოაზრებული 28, 11 მოსაზრებული.

მოათთლიერე 367, 36 მოათვალიერე.

მოანგარიშება გამოანგარიშება, მოზომვა. მოანგარიშეს 168, 10. აქედან: მოანგარიშებულად 107, 36 გამოანგარიშებულად, მოზომილად.

მოასწრობ 384, 36 მოასწრებ.

მოალწივა 100, 29 მოაღწია.

მოაყინულა 164, 6. გაყინა, მოყინა.

მოახლე 200, 17 მოსამსახურე.

მობეზღარი 479, 16 დამბეზღებელი, ენის მიმტანი.

მოგლეჯა თავებისა, ქუდისა ქუდის, თავსაბურავის მოხდა. მოიგლიჯეს თავები 168, 4; მოიგლიჯა ქუდი 310, 14 (შდრ. თავმოგლეჯილი).

მოგლილი 500, 22 გათელილი, განგმირული.

მოგცას 393, 10 მოგცეს (კავშირებითის მწკრივი).

მოდგომა (ცხვრისა) მწყემსვა (ცხვრისა). მოუდგა ცხვარს 362, 35.

მოევგონდი 464, 6 მოვსულიყერდი, გონზე მოველ.

მოვის პერანგი 321, 9 აბრეშუმის ქსოვილის პერანგი.

მოვნე 35, 27 მავნე, მავნე სული.

მოიმუმკა (ნაბადი) 257, 17 მაგრად შემოიხვია, შემოიკრა, შემოიტმასნა (ნაბადი).

მოკვეთა ადათის დამრღვევის გაძევება თემიდან, მოცილება. აქედან: მოკვეთილი 462, 18.

მოკვეთილი ნახე მოკვეთა.

მოკმაზვა მოკაზმვა, მორთვა. მოკმაზულიყო 131, 17.

მოკმაზულობა 345, 17 მოკაზმულობა, მორთვა.

მოკუჟული (თვალები) 231, 33; 496, 24 სანახევროდ მოხუჭული, შევიწროებული (თვალები).

მოკუტვა მოხრა, დაპატარავება. მოიკუტა 146, 25.

მოლეკურე ქალები 250, 1 ლეკურის მოცეკვავე ქალები.

მოლულული თვალები 400, 35 სანახევროდ დახუჭული თვალები, მითვლემილი თვალები.

მომსპობიყო 237, 5 მომსპობოდა.

მომთქმელ-მოლექსენი 490, 20 ლექსების მთქმელნი.

**მონაგარი** 413, 32 შრომით მოპოვებული სარჩო, ქონება.

**მონაჩენი** 484, 33 ვინც ჩანს.

**მოჟუჟუნე თვალები** 250, 17 ჟუჟუნა, ალერსიანი თვალები.

**მორთულ-შეკმაზულები** 137, 14 მორთულ-მოკაზმულები.

**მოსატყუარი** 156, 30 მოსატყუებელი.

**მოსდებიყო** 257, 8 მოსდებოდა.

**მოსისხლე** 81, 27 ვინც სისხლი უნდა აიღოს, შურის მაძიებელი.

**მოსრულობა** 5, 16 მოსულობა, თვალტანადობა.

**მოსწოლიყო** 312, 27 მოსწოლოდა.

**მოსხლეტა** (თუმისგან) ტყდება, რაც მოკვეთა. აქედან: მოსხლეტილის გულისგან 50, 21.

**მოუსწვრია** 276, 16 მოუსწრია.

**მოუშვნეტა** (თვალებისა) მოწმენდა; მოსრესა (თვალებისა), მოიფშვნიტა (თვალები) 265, 22.

**მოქადნე** 339, 4 მომასწავებელი.

**მოქასურება:** მოუქასურა 292, 1 მოულაქუცა.

**მოყივნება** 301, 10 შერცხვენა, სახელის გატეხა, „თავის მოჭრა." მოყივნებისა 311, 30.

**მოშუშვა** შეწვა, მოხრაკვა, მოხალვა. მოუშუშია 396, 7.

**მოცაღინება** 164, 35 გარჯა, ცდა.

**მოწითანო** 355, 24 მოწითალო.

**მოწყალის თვალით** 35, 24 მოწყალების თვალით.

**მოწყვეტებული** 439, 20 მოწყვეტილი.

**მოწყობილი** (ცხვირის ნესტოები) 400, 3 მოხდენილი (ცხვირის ნესტოები).

**მოხედენ** 434, 11 მოხედე.

**მოხელება;** მოიხელა 352, 4 მიუსწრო, შეხვდა, ნახა.

**მოხილე ქალები** 280, 20 ხილის მკრეფავი ქალები.

**მოხნიაი** 472, 23 „მოხევე" (ყაზბ.).

**მოხშუოდა** 242, 3 მოშხუოდა.

**მოჯანყე** აჯანყებული, მოჯანყეთ 45, 4.

**მომმუროდა** (ტუჩები) 355, 25 მომურული ჰქონდა(?).

**მრავალძარღვა** 131, 34 ბალახეულია.

**მრჩენოდა** 243, 1 დამრჩენოდა.

**მსწრაფლად** 109, 11 მსწრაფლ.

**მტკნარი გიჟი** 448, 23 ნამდვილი, უეჭველი გიჟი.

**მუჟიკი** 52, 17 (რუს.) უბირი, შეუსმენელი გლეხი.

**მურთუზ, მურთუზა** 92, 23; 94, 14 კაცის სახელია.

**მუხლის კვერები** 21, 30 მუხლის თავები.

**მუხლის ყრით** 20, 33 დაჩოქილად, ჩოქვით.

**მღერობდა** 147, 19 მღეროდა.

**-მც** მცა·ნაწილაკი (ვერ იგუებს კავშირებითის მწკრივს): მიწამც 397, 4; თვალიმც 387, 38; ცრემლიმც 413, 7; ტარშიმც 495, 19; სიყვარულისგამც 495, 16.

**მიწურვა** (დღისა) 77, 17 (დღის) დასრულება, დასაღამოვება.

**მჭვირვალი** 400, 33 გამჭვირვალე.

**მხევალი** 440, 19 მონა.

**მხეტებელნი** 18, 1 მოხეტიალენი.

**მხვევი მცენარეები** 343, 8 ხვიარა მცენარენი.

**მჯილი** 470, 23 მუშტი.

## ნ

**ნაამაგდარევი** 410, 18 ნაამაგდარი, ვისაც ამაგი მიუძღვის.

**ნაბძანები** 236, 16 ნაბრძანები.

**ნადირობ** (წასვლა) 392, 31 სანადიროდ წასვლა.

**ნავრუზ** 292, 7 კაცის სახელია.

**ნაზირი, ნაზირ-ვეზირი** 117, 3; 116, 37 ზედამხედველი, უფროსი.

**ნაზუქი** 12, 24 ერთნაირი ნამცხვარია.

**ნათქომია** 497, 13 ნათქვამია.

**ნაიახაულარი** 365, 35 ყოფილი იასაული (ნ.).

**ნაკვერი ვერცხლი** 489, 38 გამოკვერილი ვერცხლი.

**ნაკლულევანება** 49, 16 ნაკლოვანება,

**ნაკონკი ტანისამოსი** 39, 13 დაკონკილი, დაგლეჯილი ტანისამოსი.

**ნაკუთ-ნაკუთი** 12, 35; 498, 26 ნაკვეთ-ნაკვეთი, ნაპერ-ნაპერი, ნაფლეთებად ქცეული.

**ნალბანდი** 120, 15 საქონლის ნალის დამკვრელი, მენალე.

**ნამგალა** ნახე ნამგალაობა.

**ნამგალაობა, ნამგალობა** 374, 26; 367, 28 ამხანაგობა მწყემსობაში („ამხანაგობა": ყაზბ.). *ნამგალა* 384, 31 ამხანაგი მწყემსობაში, მწყემსი-ამხანაგი.

**ნაროვანის ულელტეხილი** 283, 25 ულელტეხილია ხევში (ყაზბეგის რაიონი), სოფ. სიონთან ახლოს.

**ნაფასური** 159, 28 საფასური, ღირებულება.

**ნალვარევი** 352, 18 „ქვეშეთის ცოტა ქვემოდგან არის ერთი ეკლესია, რომელსაც ნალვარავი [ნალვარევი] ჰქვიან" (ყაზბ.). ქვეშეთი სოფელია მთიულეთში (დუშეთის რაიონი).

**ნალეველა** 185, 36 ნალეველი.

**ნაჩალნიკი** 116, 36 (რუს.) უფროსი.

**ნაცვალი** 39, 3 სოფლის მამასახლისის თანაშემწე (რევოლუციამდელ რუსეთში).

**ნაძენძი** 190, 18 სიტყვიდან *ძენძვა, გაძენძვა* დაშლა, დაწეწვა. *ნაძენძი*—დანაშალი, მტვრად ქცეული.

**ნაწნევი** 93, 13 ნაგემები (*იწნის*—იგემა).

**ნაწინწკლები** 381, 34; 478, 21 ნაპერწკლები.

**ნახამ** 72, 19 ნახავ.

**ნახევარხმად** 176, 10; 397, 16 ხმადაბლა.

**ნახევი** 75, 36 ნახე.

**ნებაუნებლიედ** 289, 13 ძალაუნებურად.

**ნებაუნებლივ** 74, 25 ძალაუნებურად.

**ნებისნებად** 308, 27 თავისი ნებით, ძალდაუტანებლად.

**ნეკტარი** ნექტარი (*ბერძნულად:* ტკბილი სასმელი). *ნეკტარის* 85, 27.

**ნეშტვები** 294, 33; 422, 15 ძარღვები.

**ნეშტოები** 231, 34 (ცხვირის) ნესტოები.

**ნიადაგ** 73, 1 მუდამ, ყოველთვის.

**ნივრის ხინკალი** „ცომში გამოხვეული დანაყილი ნიორი, წყალში მოხარშული" (ყაზბ).

**ნიშანწაულებელი არა ბრუნდება** 110, 6 ისე არა ბრუნდება, ვინმეს ჭრილობა არ მააყენოს, ტყვია არა ჰკრას (შდრ. ნიშნის დადება).

**ნიში** 459, 15 რომელიმე წმინდანის სახელობის პატარა ნაგებობა, სადაც თავს იყრიდნენ მლოცველები.

**ნიშნის დადება** ჭრილობის მიყენება. *ნიშნი... არ დადვა, ხირცხვილი აქნებოდა* 110, 4 ჭრილობა რომ არ მიეყენებინა (ტყვიით)...

**ნოქაველა** 54, 9 ჟონავდა, წვეთ-წვეთად მოედინებოდა.

**ნუგეშინის ცემა** 103, 18 ნუგეშისცემა.

## ო

**ობლიხშვილი** 349, 7 გვარისსახელია.

**ოდნათი** 257, 6 ოდნავ.

**ოდნობა** 395, 12 ოდენობა.

**ოზდანი** მოხეურში ამჟამად ეს სიტყვა არ იხმარება; იციან ღრმად მოხუცებმა და ისიც ბუნდოვნად (ნათელ განმარტებას ვერ ვღებულობთ). საერთო დასკვნა ასეთია: *ოზდანი* დარდიმანდ, ბოჰემური ხასიათის კაცს ეწოდება, რომელიც კარგი მხედარიცაა. მოვიშველიოთ ერთი ადგილი „ციციადან: „ძველი, დაგლეჯილი სახელოებ-მოხეული ჩოხა აშკარად ამტკიცებდა, რომ ეს ან ძალიან ღარიბი უნდა ყოფილიყო ან „ოზდანი," ე. ი. ისეთი კაცი, რომელსაც ჩვეულება ჰქონდა მაშინდელის ჩვეულებით ტანისამოსის კოხტაობას ზიზღით უყურებდა. კარგი ცხენი და კარგად მოწყობილი იარაღი, ეს იყო მათი იდეალი და ამ მხრით, მართლადაც წუნს ვერ დასდებდით. ამგვარი „ოზდნები" ისევ ის ძველი რაინდნი იყვნენ, გაცვივდებოდნენ აბრაგად და მოუსვენარი გული სად არ დაახეტებდა ყოველგვარის ფათერაკის საძებნელად" (84, 25). „ოზდანი" უკავშირდება „უზდენ" — სიტყვას:

უზდენებად იწოდებოდნენ უმაღლესი წოდების წარმომადგენლები (უფრო ზუსტად: ერთი შტო მაღალი წოდების ინსტიტუტისა) ჩრდილოეთ კავკასიაში. ქართულში ამ სიტყვას ოდნავი ფონეტიკური ცვლილება განუცდია და გადატანითი (განზოგადებული) მნიშვნელობა მიუღია. უზდენებს 84, 29.

**ოთხკუთხა** 162, 13 ოთხკუთხოვანი.

**ოთხკუთხივ** 242, 33 ყველა მიმართულებით, ოთხივე კუთხიდან.

**ომენ** 101, 38 ნახე ამინ.

**ონისე** 249, 27 კაცის სახელია.

**ო-ო** 15, 11; 188, 12 გაკვირვების შორისდებული.

**ო-ო** 153, 37 მწუხარების შორისდებული.

**ო-ომენ** 293, 34 ნახე ომენ.

**ო-ოხ** 99, 29 მწუხარების (ამოოხვრის) შორისდებული.

**ორ-გზით** 139, 21 ორჯერ.

**ოტკა** 53, 24 (რუს.) არაყი.

**ოქროყანა** 291, 13 სოფელია მთიულეთში (დუშეთის რაიონი).

**ოქროხ ბურთუხოვანო** 495, 2.

**ოხ-მე** 470, 24 ოხვრის შორისდებული.

**ოშო** 392, 32 გაკვირვების შორისდებული.

**ოშ, შო, შო** 395, 7 გაკვირვების შორისდებული.

**ოშ-შ** 302, 22 მწუხარების (ოხვრის) შორისდებული.

## პ

**პალატები** 223, 8 აქ: სავადმყოფოს ოთახები.

**პამპულობა** მასხარაობა, უმგვანო ქცევა. პამპულობდა 117, 23.

**პანჩური** 15, 11 პანღური.

**პაპაპა** 324, 4 დაცინვის შორისდებული.

**პაპიდა** პაპის და. მრავლობითში: პაპიდები 179, 1.

**პაჭიჭი** პაიჭი, წვივზე შემოსაკრავები. პაჭიჭებით 96, 29.

**პირბადე** 252, 31 თხელი ნაქსოვი-ბადე, ქალის პირზე ჩამოფარებული, პირსაბური.

**პირველში** 100, 32 პირველად.

**პირის მზე** 351, 27 „პირიმზეს მთიულები თამარ-დედოფალს უწოდებენ და წმინდანად სთვლიან" (ყაზბ.). პირის მზის მსგავსი 351, 27.

**პირიქითელი ხევსურები** 472, 7 გადაღმელი (არხოტელი) ხევსურები (არხოტელები, თავის მხრივ, თავხევსურეთის მკვიდრთ უწოდებენ პირიქითელებს).

**პირმიწას გაერთებული** 429, 16 მიწაზე დამხობილი.

**პირქვედასამხობი** 26, 24 საწყევარი სიტყვაა.

**პირქუში** მწყრალი და სასტიკი გამომეტყველობისა, თავპირი რომ ჩამოსტირის, შავად რომ გამოიყურება. პირქუშმა 76, 17.

**პირძალლი** 123, 23 სალანძღავი სიტყვაა.

**პირშროლა** 415, 10 პირშრული.

**პრისტავი** 156, 6 ბოქაული, პოლიციის მოხელე (მაზრისა, უბნისა) მეფისდროინდელ რუსეთში.

**პროტოკოლი** 14, 31 (რუს.) ოქმი.

**პურ-ნაჭამი** 96, 12 დანაყრებული.

**პყრობილი** 112, 17 შეპყრობილი, დაპატიმრებული. პყრობილობს 112, 17.

## ჟ

**ჟინჟღლავდა** 351, 1 სცრიდა, წვრილად წვიმდა.

**ჟრიანტელი** 287, 25 ჟრუანტელი.

**ჟუჟუნი** (თვალებისა) 97, 20 ცქრიალი, ციმციმი თვალებისა, მოალერსე გამოხედვა. აქედან: ჟუჟუნა (თვალები) 135, 14 ცქრიალა, მოციმციმე, მოალერსე თვალები.

**ჟღავილ-ჟღუილი** 289, 22 ჟრიამული, ღრიანცელი.

**ჟღრიალი** ზრიალი, ჟღარუნი, ზარის მიერ გამოცემული ხმა. ჟღრიალებდა 294, 17.

## რ

**რად** 160, 35 რატომ, რისთვის.
**რამე** 57, 3 რაღაც(ა).
**რაისთვი** 27, 5 რისთვის.
**რაისი** 30, 7 რისი.
**რაი-ღა არ მოგეკაროთ** 23, 18 როგორ არ მოგეკაროთ.
**რაი ხუმრობისაა** 113, 29 რა სახუმროა, რა დროს ხუმრობაა.
**რიღასიცა** 435, 24 რაღაცასი.
**რაოდენადმე** 100, 15 რამდენადმე.
**რაოდენიმე** 35, 30 რამდენიმე.
**რა რიგი** 11, 35 როგორი.
**რატომა** 326, 3 რატომ არა?
**რატრატი** უთავბოლოდ ლაპარაკი, როშვა. რატრატებ 144, 7.
**რასმე** 81, 30 რაღაც(ა).
**რას პირით მოხვიხარ** 423, 7 რა პირით მოდიხარ?
**რაცრაცი** 205, 25 ბარბაცი, მთვრალის ან დასუსტებული ადამიანის სიარული. რაცრაცებდა 222, 8.
**რგვალი** 168, 14 მრგვალი. რგვლად 410, 31 მრგვლად.
**რგული ხეები** 465, 29 დარგული ხეები.
**რისათვინ** 178, 31 რისთვის, რატომ.
**რისასიცა** 165, 23 რაღაცასი.
**რო** 82, 12 რომ.
**როდესღაც** 5, 7; 37, 2 ოდესღაც.
**როდის** „ჩვენ როდის გილალატებთ" 29, 13 ჩვენ როდი გილალატებთ.
**როდისმე** 39, 35 ოდესმე.
**რომი** 59, 7 სპირტის მაგარი სასმელია.
**როტა** 153, 31 ასეული (ჯარისკაცთა). გადატანით: დიდძალი ხალხი.
**რუმბი** დიდი ტიკი. რუმბებით 94, 17.
**რწმუნება** 348, 19 რწმენა.

## ს

**საბან-გობანი** 83, 36 ქვეშსაგები, საბანი და ლეიბი.
**საბანდი** 387, 33 წვრილი ღვედები, რომლებითაც ამოწნულია ბანდულის (ნ.) ძირები („ბანდული—მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირები წვრილი ღვედითა აქვს დაწნული, თვით ამ ღვედებს საბანდს ეძახიან": ყაზბ.).
**საბჭეო** 363, 29 ადგილი სადაც იკრიბებოდნენ ბჭეები—თემობის მიერ არჩეული მოსამართლეები, მოთათბირენი, მრჩეველნი—ბჭობისათვის. ასეთი ადგილი იყო სამების ეკლესიასთან—გერგეტის მთაზე, სოფ. ყაზბეგთან.
**საგანძე** 489, 10 განძის შესანახი ადგილი.
**საგებელი** 388, 12 (ქვეშ)საგებელი.
**საგულე** 384, 18 „ახალუხის მაგიერი, ქალების ტანსაცმელი" (ყაზბ.). დედაკაცის ერთიანი გრძელი კაბა გულამოღებული.
**საგულთ** 387, 6; 490, 23 სატრფო.
**საგძალი** 82, 7 საგზალი.
**საგძარი** 468, 8 საგზალი.
**სადგური** სადგომი. ღამის სადგურში 446,21.
**სადმ** 445, 10 სადმე.
1. **სანამ** 273, 5 ვიდრე.
2. **სანამ** 273, 5 მანამ.
**სადაგი** (გულისა) 193, 21 დამწველი (ნუ-ლია).
**სადგური** 178, 8 სადგომი (ადგილი).
**სავაგლახო** 388, 31 სამწუხარო, სავაებო, საუბედურო.
**სავანე** 275, 22 ბინა.
**სათაური** 19, 14; 465, 23; 489, 16 ზეგანი, ვაკე მაღლობი (პლატო).
**სათემოდ** 34, 18; 56, 30 მთელი თემის (ნ.) მასშტაბით. სიტყვას განზოგადებული მნიშვნელობა აქვს და გულისხმობს იმავე შინაარსს, რაც მოცემულია სიტყვაში: „საქვეყნოდ," „საქვეყნოდ შერცხვენა," „საქვეყნოდ გამოცხადება" და ა. შ.
**სათიბე** 37, 31 სათიბი.
**საით** 26, 35; 59, 34; 71, 38; 339, 17 როგორ (საიდან).
**საკიდელი** 308, 36 კერიის (შუა ცეცხლის) ჯაჭვი ქვაბის ჩამოსაკიდებლად, ნაჭა.
**საკინძე, საკინძი** 370, 7; 321, 9 საყელოს ღილი.

**საკლავი** 20, 25 „საკლავს ცხვარს ეძახიან“ (ყაზბ.). მრავლობითში: საკლავები 325, 33.

**საკურველ არისა** 472, 30 საკვირველია.

**სალამი ქალამი** 248, 24 მისალმება და ერთმანეთის მოკითხვა.

**სალექსოდ (სალექსედ) გახდომა საქმისა** ლექსის გამოთქმა ვინმეს მოქმედების (უმთავრესად, საავგო საქმიანობის) შესახებ. ყბადაღება, „თავის მოჭრა.“ სალექსოდ გაგიხდა საქმე 113, 15; სალექსოდ თავს ნუ გაიხდი 73, 23; სალექსოდ საქმე გაგვიხდეს 30, 29.

**სამანი** 142, 4 როცა სათემო ყრილობა შერისხავდა და დასწყევლიდა თემის ალათის დამრღვევს და თემიდან დამნაშავის გაძევების განაჩენს გამოიტანდა, ნიშნად ამ გადაწყვეტილებისა, გრძელ ქვას ჩაარჭობდნენ მიწაში, რასაც სამანი ეწოდებოდა (ხალხის ძახილზე: სამანი, სამანი დამნაშავესო!).

**სამება** 352, 18 ეკლესია გერგეტის (ნ.) მთაზე, სოფ. ყაზბეგთან ახლოს. სამების სამკო 424, 11 სამების ეკლესიასთან იკრიბებოდნენ სათემო საქმეებისათვის; იქ იყო თემის თავყრილობის, ბჭეების ბჭობის ადგილი.

**სამზეო** 471, 27 სააშკარო.

**სამზღვარი** 312, 7 საზღვარი. სამზღვარგარეთ 186, 13 საზღვარგარეთ.

**სამკაპიანი შამფური** 334, 14 სამთითა შამფური.

**სამოწყალე** სამოწყალო. მრავლობითში: სამოწყალენი 194, 17.

**სამოწმოს მიცემა** გასამრჯელო მოწმად დადგომისათვის. სამოწმო მისცა 71, 12.

**სამტვეროს ტყე, სამტვეროს მინდორი** 314, 24; 283, 20 ხევშია, ს. კობთან.

**სამეფო სახლი** 267, 2 „ჯალაბოპის (ნ.) საერთო სახლი“ (ყაზბ.).

**სამშობლო** 363, 19 გათხოვილი ქალისათვის სამშობლოა თავისი მშობლების სახლი, ნათესაობა (თავისახლი).

**სამწყსო** 303, 26 მრევლი.

**სამხრობა, სამხარი** 76, 12; 438, 32 ვერის ჭამა მესამეჯერ დღეში (მზე რომ გადაიხრება).

**სანათებელი** 378, 34 სანათი, სანათური.

**სანანურადა** 31, 15 სანანებლად.

**სანახავი** 131, 27 „სანახავს უკეთებენ იარაში უწმინდურების გამოსატანად და ბალღამის სამუშაოდ. აგრეთვე სანახავიარას პირს არ აკვრევინებს, ჭრილობას ძირიდგან აწყებინებს რბენას“ (ყაზბ.). სანახავადა 131, 27.

**სანგალი** 298, 34 ტყვიის საფარი, ბარიკადი.

**სასხეთი** 39, 32 ოსეთი.

**სარმა** 341, 25 ჭიდაობაში ფეხის ფეხზე გამოკვრა.

**სარქალი** 70, 38 „მწყემსებში პირველი ანუ მოთავე“ (ყაზბ.).

**სასძლო** 30, 20 სარძლო.

**სახწრაფო** 146, 15 მასრების ჩასალაგებელი ჩანთა.

**სახხლეტი** 79, 20 თოფის გამოსაკრავი, რომელსაც თითი ებჯინება.

**სატოლე ქსელი** 432, 29 ტოლის (ნ.) მოსაქსოვი ქსელი.

**საულავით** ნაცვ -ით.

**საქალეთი** 149, 36 გადატანით: ქალები, ქალთა საზოგადოება.

**საქვეითო ბილიკი** 93, 15 საცალფეხო ბილიკი.

**საქვეყნოდ გახდომა** საზოგადოებაში შერცხვენა, საჯაროდ შეურაცხყოფა, „თავის მოჭრა.“ საქვეყნოდ ნუ გამხდი 120, 6.

**საქრმო** 360, 34 საქმრო. მრავლობითში: საქრმოები 179, 2 საქმროები.

**საყველაწმინდო** 254, 18 ქეიფის დამთავრებისას უკანასკნელი სადღეგრძელო.

**საყორელი** 388, 4 საყვარელი.

**საჩქაროზედ** 397, 31 საჩქაროდ.

**საცა** 120, 16 სადაც.

**საწირი** 489, 13 შესაწირავი.

**საწმენდად გახული** (ხევისბერი გოჩა) 275, 15 ნაცვ იწმინდებისა.

**საწოლა საწოლი** 33, 34; 262, 26 დასაძინებელი ოთახი.

**სახალხო ყრილობა** 17, 18 იგივეა, რაც სათემო ყრილობა.

**სახელი** 150, 30 სახელო. (ჩოხის) **სახელით** 150, 33 (ჩოხის) სახელოთი. მრავლობითში: **სახლები** 236, 1 სახელოები.

**სახვეწრად** 36, 17 სალოცავად.

**სახლები** ნახე სახელი.

**სახლობა** 47, 25 ოჯახი.

**სახმილი** 453, 35 ქურა, ღუმელი.

**სენ** 125, 25 შენ [ოსის გამოთქმით].

**სენა** 219, 37 „სარდაფის მაგიერი, ანუ საკუჭნაო“ (ყაზბ.), რომელიც ან მიდგმულია სახლზე, ან მოთავსებული სახლის ზედა ნაწილში.

**სენაკი** 372, 5 მომცრო ოთახი.

**სენ ცემი (თაი)** 125, 15 შენ ჩემო (თავო) [ოსის გამოთქმით].

**სიბედშავე** 153, 26 სიღარიბე, სილატაკე, სისაწყლე.

**სით** 474, 32 ნახე საით.

**სითბოება** 163, 38 სითბო, მცხუნვარება.

**სიქვდილ ტიალა** ნახე ტიალა.

**სიობლე** 18, 5 ობლობა.

**სიონი** სოფელია ხევში (ყაზბეგის რაიონი). **სიონის კლდეს** 283, 21.

**სისხლი არ ვუყარე** 130, 30 სისხლი არ „გამოუშვი“ (ყაზბ.).

**სისხლის დამართება** სისხლის დადება. **სისხლი დაუმართოს** 419, 7; **სისხლი მართებს** 141, 5.

**სიტყვით** 164, 8 „ერთი სიტყვით...“

**სიტყვით-სიტყვამდე** 38, 37 სიტყვა-სიტყვით.

**სიტყო** 72, 39 სიტყვა.

**სიფრო** 133, 8 სუფრა, ტაბლა. მრავლობითში: **სიფროები** 254, 11.

**სიყვარულიანად** 406, 17 სიყვარულით.

**სიყმაწვილკაცე** 261, 2 ყმაწვილკაცობა,

**სიყორული** 420, 4 სიყვარული.

**სმური** „პურის ჭამის დროს თასს მიუტანენ და ლექსით შესხმას ეტყვიან“ (ყაზბ.). მრავლობითში: **სმურები** „ე. ი. ლექსებად სიტყვის წარმოთქმა“ (ყაზბ.) 438, 30; 264, 25.

**სნო** 488, 27 სოფელია ხევში, სნოს წყალზე (ყაზბეგის რაიონი). **სნოს ხეობა** 55, 4 ხეობა სნოს წყალზე.

**სოდომად გადაქცეულიყო** 350, 30 გადატანით: გავერანებულიყო, გაპარტახებულიყო.

**სოსლანა** 104, 32 კაცის სახელია.

**სოტნა** (რუს.) ასეული. **სოტნის უფროსი** 44, 1. აქედან: **სოტნიკი** 37, 27 ასისთავი.

**სოტნიკი** ნახე სოტნა

**სოფლის პირის გატეხა** 43, 25 იგივეა, რაც თემის პირის გატეხა (ნ.).

**სოფელო!** 9, 28 ხალხო! სოფლის მცხოვრებნო!

**სპიჩკა** 111, 21 (რუს.) ასანთი.

**სრავალი** 386, 34 ადგილი, სადაც აფენენ, აშრობენ, ახმობენ დასაფქვავ ხორბლეულს.

**სტანცია** 184, 7 (რუს.) რკინიგზის სადგური.

**სტაქანი** 22, 38 (რუს.) ჭიქა.

**სტეფანწმინდა** 57, 9 სოფ. ყაზბეგის ძველი სახელია.

**სტოლი** 326, 5 (რუს.) მაგიდა.

**სტუმარი ღვთისაა** 105, 25 ჩვეულებრივი თქმა იმის გამოსახატავად, რომ სტუმარი, თუნდაც უცნობი, უნდა მივიღოთ და პატივი ვცეთ.

**სუბუქად** 423, 38 მსუბუქად.

**სუდარა** 382, 9 მკვდართ შესამოსელი.

**სუთ** 50, 28 სუ! (აქ მიმართავენ ბევრს).

**სულაყუფებული** სალანძღავი სიტყვაა: **სულაყუფებულო დედაკაცო** 16, 11.

**სულთი ჯახოტ** 92, 11 სახელ-გვარია (ჩეჩნისა).

**სულით ხორცამდის დაკარგვა** 388, 10 სავსებით დაკარგვა, დაღუპვა, მკვდარიც რომ ვერ ნახონ.

**სულის მოქცევა** სულის მოთქმა, მოსულიერება. **სულის მოქცევით** 34, 15; **სული მოექცია** 377, 21; **სულს მოქცევდა** 34, 21. 377, 12 სული შეებერა.

**სურვობდა** 468, 16 ისურვებდა.

**სცხოვრებდა** 428, 7 ცხოვრობდა.

**სძენძავდა** ნ. დაძენძვა.

**ხწორი** 446, 9 თანატოლი, ტოლ-ამხანაგი.

**ხხვაფრივ** 163, 22 სხვანაირად.

**ხჯალდობდა** ნაზე დაჯალდვა.

## ტ

**ტაბაკი** 386, 35 პატარა თაბახი. საინისებური ხის ჭურჭელი (ხმარობენ პურის სარკვევად და საჭმელის მოსართმევადაც). აქედან: გატაბაკებული სიმინდი 386, 35 ტაბაკით ავსებული (სიმინდის ტომარა).

**ტაგანა, ტაგანაი** 45, 28; 267, 32 წყლის სასხმი კასრი.

**ტალმა** 180, 35 მოსასხამი.

**ტარაფალი** 28, 38 ტანისამოსი.

**ტახტი** 190, 27 ტახტი.

**ტატნობა** ტატნობი, კიდური (ცისა): ცის ტატნობიმე 67, 17

**ტაფობა** 344, 1; 420, 31; 465, 16 დაცემული, ჩავარდნილი, დაბლობი ადგილი ტყეში, მთაში.

**ტაშ ფანდური** 267, 21 ცეკვა-თამაში (ტაში და ფანდური).

**ტახტა** 416, 8 კედის წინ და უკან ამოშვერილი ნაწილი. მრავლობითში: ტახტები 106, 32.

**ტიალა, ტიალი** საწყევარი სიტყვაა: ამოსაგდები, დასაქცევი, დასაღუპავი, წყეული. ხიკელ-ტიალი 470, 17 წყეული სიკვდილი; ტიალი 391, 27; მრავლობითში: ტიალები 56, 24 (შდრ. ტიელა, ტიელი, გატიალება).

**ტიელა, ტიელი** საწყევარი სიტყვაა: ამოსაგდები, დასაქცევი, დასაღუპავი, წყეული. თოკ-ტიელი წყეული თოკი; ტიელ დუნიაზე (ცხარე) 76, 1 უპატრონოდ თავის ანაბარად დაყარე ცხვარი (შდრ. ტიალა, ტიალი, გატიალება).

**ტილი** 155, 34 „მატყლისაგან გაკეთებულს საბნზე შალს ეძახიან" (ყაზბ.).

**ტოლ-ხწორი, ტოლ ხწორები** 445, 36; 31, 23 ტოლები, ტოლ-ამხანაგები.

**ტოტი** ცხოველის ფეხი, თათი. ტოტებ (ქედმ) 316, 5.

**ტროიკა** 58, 34 (რუს.) სამცხენა ეტლი.

**ტუხტუხი** გამალებული სვლა მოკლე ნაბიჯით. ტუხტუხით 229, 15.

**ტუტუნი** 237, 17 ბუტბუტი.

**ტყრშიალი** (თმისა) 78, 39; 353, 3; 439, 5 შრიალი თმისა (?).

## უ

**-უ** წოდებითი ბრუნვის ნიშანი (ხმოვანფუძიანებთან): პავლია-უ, 8, 3; გოჩია-უ 32, 18; ბერდია-უ 56, 36; ციცია-უ 71, 13; და-უ 152, 27; ონისე-უ 370, 30.

**უამა** 358, 15 ეამა, ესიამოვნა.

**უბნობ** 130, 37 ამბობ.

**უბრალოა** 313, 6 ბრალი არ მიუძღვის, დამნაშავე არაა.

**უზადო** 445, 2 უნაკლო.

**უკამკამებდა** 251, 38 ნაზე კამკამი.

**უკან:** ცოტა ხნის უკან 86, 2 ცოტა ხნის, შემდეგ.

**უკაცური** 63, 26 არაადამიანური.

**უმალ** დაერთვის ზმნის საწყის ფორმას და გამოხატავს მოქმედების თანადამიერობას, ერთდროულობას: ასვლის უმალ 81, 12 ასვლისთანავე; წამოწევის უმალ 132, 17 წამოწევასთანავე; დახუჭვის უმალ 185, 1 დახუჭვისთანავე.

**უნდის** 115, 4 უნდა.

**უნებლივ** 115, 9 უნებლიეთ.

**უნიშნოდ** გაშვება ნიშანდაუდებლად გაშვება (ნაზე ნიშნის დადება). უნიშნოდ არ გაუშვებ 378, 23.

**უნძრახად** 393, 19 ხმისამოუღებლად, დაულაპარაკებლად. უნძრახი რკინის ბეჭედი 393, 11 რკინის ბეჭედი, რომელიც გამოწრთობილია ხმისამოუღებლად, დაულაპარაკებლად.

**უპატიურება, უპატიურობა** 33, 2; 32, 6 შეურაცხყოფა, არაპატიოსნურად მოპყრობა.

**ურა** 53, 15 (რუს.) ვაშა.

**ურდული** 8, 29 კარების დასაკეტავი ჯოხი. ურდულგაყრილი 83, 11 ურდულგაყრილი (კარები).

ურიადნიკი ყაზახთა უნტერ-ოფიცერი (მეფისდროინდელ რუსეთში). მრავლობითში: ურიადნიკები 39, 8.

ურცხო 418, 30 უცირცხვილო.

უსავანო უბინაო, მიუსაფარი, მრავლობითში: უსავანონი 429, 12.

უქცია 68, 15 (გზა) უქცია, გაუსხლტა.

უღელებდა (სისხლს) 253, 24 უღელვებდა, უმღვრევდა (სისხლს)

უყორხარ 137, 35 უყვარხარ.

უცაბედო 270, 5 უცაბედი, უეცარი.

უხიაკი 374, 9 თავისნება, ჯიუტი.

უხოკდა 390, 7 უკაწრავდა.

უშ, უშ, უშ 129, 33 ტანჯვის, ამოოხვრის შორისდებული.

## ფ

ფაიტონი 145, 36 (რუს.) ეტლი.

ფალია 78, 1 წამლის ჩასაყრელი ნაწილი ტალიან თოფში.

ფარდახტი წყლის მისხურება. [ჩანჩქერი] „ფარდახტად ედებოდა... ველებს“ 18, 25 ჩანჩქერი ესხურებოდა, ეშხეფებოდა ველებს.

ფარეშა 411, 8 კაცის სახელია.

ფარეხი 345, 22 ცხვრის სადგომი.

ფარვანა 316, 7 პეპელა.

ფარღალალა 160. 23 სახლი, რომლის კედლები დრიჭეებიანია და ჰაერი თავისუფლად შემოდის.

ფასანაური 361, 5 სოფელია მთიულეთში (საქართველოს სამხედრო გზაზე).

ფაჩიფუჩი 83, 16 ოდნავი ხმაურობა, ჩქამიერება.

ფაცერი კალათა, რომელშიც აგროვებენ თევზებს. მრავლობითში: ფაცრები 184,30.

ფერხულის დაბმა ფერხულის ჩაბმა, ფერხულის თამაში. ფერხული დაბმათ 191, 3.

ფეხებ იგა ნახე -ჩიგა.

ფთილა დასართავი ბამბა, ჯოხზე ახვეული. მრავლობითში: ფთილები 325, 36.

ფილთა 131, 27 დაგრეხილი გასანთლული ძაფი (დებენ იარაში, რომ პირი არ შეიკრას).

ფიხი 111, 15 ფიჭვის გამონადენი შავი წებო.

ფიჩიტაური 249, 26 გვარისსახელია.

ფიწალო 337. 32 პიტალო, სიპი კლდე ფრიალო კლდე, მაღალი კლდე.

ფლატო 350, 39 წყლისაგან ჩამონგრეული ადგილი (კლდეზე).

ფოშტა ფოსტა. ფოშტის ქაღალდი 205, 1. აქედან: ფოშტალიონი 208, 33. ფოსტალიონი.

ფრიალო 343, 18 მაღალი, ციცაბო (კლდე).

ფუნჩულა ლოყები 331, 16 გასუქებული ლოყები.

ფუნთუშა „ერთგვარი პურია, რომელსაც ღუმელში აცხობენ“ (ყაზბ.). მრავლობითში: ფუნთუშები 254, 11.

ფშრუკუნი 50. 9 გადატანით: ბავშვის წყრომა-ტირილი.

ფხელშე 5, 1 სოფელია ხევში (ყაზბეგის რაიონი). აქედან: ფხელშელი 28, 11.

## ქ

ქადაგი 21, 23 ადამიანი, რომელიც ხატის (ჯვარის) სახელით ლაპარაკობს და მის ნება-სურვილს აუწყებს ხალხს, როგორც წინასწარმეტყველი და ხატის (ჯვარის) მესაიდუმლე.

ქადილი 456, 22 დაქადნება, დამუქრება.

ქალა შავა, ქალა-შავაი 73, 12; 77, 32; 82, 18; 90 7; 250, 33; 261, 17 შავთვალწარბა ქალი. დიალექტში ეგ სიტყვა საერთოდ ლამაზი ქალის სინონიმადაა გადაქცეული.

ქამანდა 400. 2 ნადირთა დასაჭერი თოკი. აქედან: ქამანდარი ნადირთა შესაპყრობი თოკის კარგი გადამგდები. გადატანით: საერთოდ კარგი მსროლელი. მრავლობითში: ქამანდრები 108, 13; ქამანდარნი 279, 4. ქამანდრობას „კარგად სროლა“ (ყაზბ.).

ქამანდარი ნახე ქამანდა.

ქაჩები 120. 16 ჩლიქები.

ქედანი 250, 13 გარეული მტრედი.

ქედობა 289, 19 ქედი,

ქეჩი 415, 17 „მამალი რამდენიმე წლის თხა. რომელიც წინ სიარულს დაჩვეულია და ცხვარს გზას უჩვლევს" (ყაზბ.); „ისეთი თხაა, რომელიც წინ სიარულს დაჩვეულია" (ყაზბ.). მრავლობითში: ქეჩნები 86, 11.

ქვეშე 1ᵉ6, 21 სოფელია მთიულეთში (დუშეთის რაიონი).

ქვის გადაწევა 420, 35 თამაშია.

ქიტესა 18¹, 12 კაცის სახელია.

ქორებრივი თვალი 250, 25 ქორისებური თვალი.

ქორლუყუ 69, 32 კაცის სახელია.

ქორლუყუთისა ნახე -ისი.

ქრისტიანელნი 428, 38 ქრისტიანები.

ქუბი 279, 2ʰ ჟოლო (малина).

ქუდოსანი 152, 7 მამაკაცი (ქუდის მატარებელი).

ქშიტინი: „მოისმა სტვენის მსგავსი ქშიტინი" 129, 19.

## ღ

-ღა ნაწილაკი, რომელიც უმთავრესად ერთვის ზმნას ბრძანებით კილოში: მოიხედე-ღა 37, 22; შეხედე-ღა 20, 35; მოიცა-ღა 72, 28; მიყურე-ღა 470, 22; მომიგდე-ღა 152, 22; მაიტა-ღა 253, 20; მითხარი-ღა 113, 38 (მოხეურში იხმარება აგრეთვე ზმნასთან კითხვითს წინადადებაშიც. ნახე I ტომი).

ღაბაბი .ᵉ6, 24 სიმსუქნე ნიკაპს ქვეშ.

ღვედი 108, 1 ერთმანეთში შეგრეხილი, დაწნული ტყავის თასმები.

ღვია მცენარეა (ბუჩქებში იზრდება). ღვიის ხეები 134, 24.

ღინჯა 314, 35 კაცის სახელია.

ღირღიტი 79, 17 გულდაგულ თვალთვალი, ზვერვა, ცქერა, ლოდინი.

ღიჯინი მომაბეზრებელი, უთავბოლო, დაუსრულებელი ლაპარაკი. ღიჯინის 58, 39.

ღმერთი ღლარა გყავს? 378, 27 უდრის თქმას: „ღმერთი არა გწამს"? (საყვედურის გამოხატვის ფორმაა).

ღმერთმან იცის 120, 33 ღმერთმანი.

ღმერთიური 499, 27 ღვთიური, ღვთისნიერი

ღონემოკრეფილი 143, 10 ღონემოსული, ღონეზე მოსული.

ღორღი 343, 5 წვრილი ქვები ერთად თავმოყრილი, ქვა-ღორე. მრავლობითში: ღორღები 93, 20. აქედან: ღორღებიანი ბილიკი 35ʾ, 4.

ღუოდა 399, 21 ღვივდებოდა, იფურჩქნებოდა.

ღუდუშაური 11, 3 გვარისსახელია.

ღუტუნი ხიცინი. უღუტუნებდა 181, 2 უხიცინებდა.

## ყ

ყადრი ფასი, ღირებულება, ღირსება, პატივისცემა.

ყაელი დრო, ვადა. ყაელის გასვლა 270, 26 ვადის გასვლა.

ყალანი 12, 2 გადასახადი.

ყალხზედ 107, 8 ყალყზე.

ყანობი 28, 2 სოფელია ხევში.

ყაფაზა 329, 22 გალია.

ყაჲი 256, 5 აბრეშუმის პარკი.

ყბედად გადაქცეული 394, 18 აყბედებული, ბევრი მოლაპარაკე.

ყელის-ქრა მუშაობა 45, 6 გამალებული, გახურებული მუშაობა.

ყველა 502, 12 ყველაფერი.

ყინვარი 18, 21 მყინვარი.

ყირვანწვერი 274, 18 მყინვარწვერი.

ყირიმი 19, 36 თოფია, რომელიც, ალბათ, ყირიმიდან შემოდიოდა ჩვენში (ა. შანიძე).

ყისინა „პლედის მაგვარი წამოსასხამი, თბილი და სუბუქი, უფრო საბანსა ჰგავს, სანამ სხვა ტანთსაცმელს" (ყაზბ.). მრავლობითში: ყისინები 103, 26.

ყმად დაგეწერები 120, 39 ყმად დაგიდგები, გემონები, შენი მორჩილი ვიქნები.

ყმაწვილქალები ქალიშვილები, გაუთხოვარი ქალები. აქედან: ყმაწვილქალობა 361, 1.

ყნოსიერი 18, 25 საამოდ საყნოსავი.

ყოველთვისინ 204, 7 ყოველთვის.

ყოვლისფერი 41, 31 ყველაფერი.

ყონდახი 492, 26 (თოფის) კონდახი.

ყოყმოობდნენ 111, 19 ყოყმანობდნენ.

ყოჩი 350, 9 ნერბი, დაუყვერავი ცხვარი, მრავლობითში: ყოჩები 86, 10.

ყულანა 76, 23 „წინსაფარი“ (ყაზბ.).

ყურვილა 164, 33. მრავლობითში: ყურვილები 164, 33.

ყურთმაჯები გადასაკეცი სახელოები. ყურთმაჯების შეკრით 328, 37 სახელოების აკეცვით.

ყურის მთა 488, 30 მთა სოფელ ყაზბეგთან.

### შ

შაბაშ 127, 12 ყოჩაღ! ვაშა! მოსაწონია!

შაეფარების 349, 24 შეეფერება.

შავთვალა 25, 28 ქალის სახელია.

შავხილი 279, 26 მთის ხილი, ძალიან შავი.

შალდაყი 96, 31 „მაღალი და ნოყიერი“ ბალახი (ყაზბ.).

შალთაი-ბალთაი 362, 38 ფიგურალური თქმა უცხო ენაზე დამახინჯებულად ლაპარაკის აღსანიშნავად (შეიძლება წარმომდგარია რუსული სიტყვიდან—болтай-болтать).

შამაია 59, 7 თევზია.

შამპანსკი 232, 34 (რუს.) შამპანური ღვინო, შუშხუნა ღვინო.

შანა შენაღოცი რამ, უმთავრესად ყელზე შებმული (ფული ან სხვა ნივთი). მრავლობითში: შანები 325, 34.

შაღავათი 255, 32 შეღავათი.

შე შემოკლებული „შევუდგეთ.“ მოხეური კილოს წესია: როცა წინადადებაში (ან მომიჯნავე წინადადებებში) სიტყვა (ზმნა) მეორდება, იგი ხშირად პირველი მარცვალითაა წარმოდგენილი: „შევუდგეთ, შე, შენი კვნესა-მე“ 497, 25.

შეაღელვა: „ქარმა დაჰქროლა ბუროსი შეარყია, შეაღელვა“ 398, 36.

შეგაერთათ 262, 4 შეგაერთოთ (კავშირებითის მწკრივი).

შევაჯერო 115, 25 დავაკმაყოფილო, გული მოვიგო.

შევრეულვარ: „მარხვას არ შევრეულვარ“ 427, 10 მარხვა არ დამირღვევია, მარხვა არ გამიტეხია.

შეზარხოშება ცოტათი შეთრობა, შექეიფიანება. შეზარხოშდნენ 22, 39.

შეიბერტყა „...შეიბერტყა, გასწორდა და გაათამაშა ცხენი მათრახის შემოკვრით“ 293, 2.

შეიშურვებ 413, 30 დაიშურებ.

შეკვრა 142, 14 მოლალატის, თემის ადათჩვეულებათა დამრღვევის დაწყევლის ცერემონიალი. შეკრულ ქვას 424, 17.

შეკმაზვა შეკაზმვა. შეკმაზა 372, 22 შეკაზმა: აქედან შეკმაზული ცხენი 161, 21 შეკაზმული ცხენი.

შეკუმშვილი, შეკუმშილი 164, 22; 343, 15 შეკუმშული.

შელაღებულნი (ვროსმანეთს) 445, 11 (ვროსმანეთთან) შეთამამებულნი, შემხიარულებულნი.

შემბრალდა 397, 29 შემებრალა.

შემცნევა შემჩნევა. შეამცნია 56, 22 შეამჩნია.

შემომელაქუცუნა 175, 14 მომელაქუცა, პირში მომეფერა.

შემოჩნდა 490, 34 გამოჩნდა (ქვევიდან მომავალი).

შემტაცებს: გულს შემტაცებს 247, 1 გულს მილონებს, სევდას მგვრის.

შენაი მუხლების პირაიმე 122, 1 შენი მუხლების პირიმე.

შენაი პირაიმე 69, 23 შენი პირიმე.

შენანდა 19, 24 შეენანა, დაენანა.

შენგამეტი 480, 39 შენს მეტი (შდრ. გურული დიალექტის ანალოგიური ფორმები: შენგამეტი; პურისგამეტი პურის მეტი...; წამლისგამეტი წამლის მეტი... შესაძლოა მომდინარეობდეს — გან თანდებულიანი ფორმიდან: შენგან მეტის პურისგან მეტი..

შენი რისხვა არა მაქვს 157, 22 ფიცის ფორმაა.

შეფუფუნებდა 315, 21 ალერსით შეჰყურებდა, შეტრფოდა.
შესატყობლად 414, 31 შესატყობინებლად.
შეუდრეკნელი 390, 13 შეუდრეკელი, მტკიცე.
შეუშურვებია 483, 24 დაუშურებია.
შეძრახვა შეძახება. შეუძრახს 410, 33 შეუძრახავს 491, 8.
შეუხედლივ 33, 35 შეუხედავად.
შექუჩება მოგროვება. შექუჩდა 138, 13.
შეყრილი: ხასწორით შეყრილი 5, 25 სწორი მოყვანილობისა. აქედან: შეყრილობა 472, 36 მოყვანილობა.
შეყრილი ხალხი 290, 27 თავშეყრილი ხალხი.
შეშიბზე 153, 4.
შეშუბება 42, 35 შესიება.
შეჭურვილი 400, 1 იარაღასხმული, შეიარაღებული.
შეხვედრიყო 376, 4 შეხვედროდა.
შინაობა 117, 28 ოჯახი, ოჯახის წევრები.
შინაური 438, 25 შინაური არაყი (შდრ. შინაური არაყი 71, 17)
შიშაქი 91, 35 „ბატკნობიდან გამოსული დედალი ცხვარი" (ყაზბ.); „უშობელი ცხვარი" (ყაზბ.); „ასაკ-მოსული, ჯერედ უშობელი დედალი ცხვარი" (ყაზბ.).
შტრაფი (რუს.) ჯარიმა. მრავლობითში: შტრაფები 157, 9.
შუაკაცი 28, 12 შუამავალი. აქედან: შუაკაცობა 140, 14 შუამავლობა.
შუკუნა 378, 4 „კედელში დატანებულს ხვრელს ეძახიან, ამ ხვრელში შედის ურდული და იკეტება კარები" (ყაზბ.).
შურთხი 274, 16 გარეული ინდაური. მრავლობითში: შურთხები 164, 21.

## ჩ

ჩაგონდით 504, 22 გონება მოიკრიფეთ, გამოფხიზლდით.
ჩავკუწოთ 503, 23 ჩავკუწოთ, ავკუწოთ (კავშირებითის მწკრივი).
ჩავლევა. ნავალევ, ნავალია, 71, 39, 499, 9 ჩაატარა.
ჩავქოლავთ 504, 39 ჩავქოლოთ (კავშირებითის მწკრივი).
ჩათუთქვილი 242, 36 ჩათუთქული.
ჩაიქნივა 24, 26 ჩაიქნია.
ჩაკვდომა ღრმად ჩაჯდომა (მტერისა...). ჩაკვდეს 86, 26.
ჩაკრინტვა (თვალისა) (თვალის) ჩაკვრა. ჩაკრინტეთ 490, 24; ჩაუკრინტდნენ 250, 4; ჩაუკრინტა 388, 6.
ჩალამვა ლამში ჩაფლობა, ლამით დაფარვა. ჩალამულიყავ 246, 23.
ჩალხი 361, 29 ჩარხი.
ჩამთლალვა ჩამორეკვა (საქონლისა) ჩამოულალავს 84, 32.
ჩამოქვიშრული კლდეები 317, 30 ჩამონგრეული ქვიშარნარევი კლდეები.
ჩამოცვივნულიყვნენ 109, 26 ჩამოცვენილიყვნენ.
ჩამოხე 130, 38 ჩამოდი, გადმოდი (ცხენიდან).
ჩანელება (ცეცხლისა) განელება (ცეცხლისა). ჩანელდა 52, 3.
ჩანჩქარი ჩანჩქერი. მრავლობითში: ჩანჩქარები 18, 23.
ჩარდახი: ჩარდახიანი გადახურული ურემი 147, 36.
ჩასათვლელი: შენთან რა ჩასათვლელი ვარ 103,3 შენთან რა მისათვლელი ვარ, შენთან რა მოსახსენებელი ვარ.
ჩახაცეცხლები 51, 16 აქ იგულისხმება არაყი.
ჩასისხლებული 68, 26 დასისხლიანებული, ჩასისხლიანებული.
ჩაფარი სოფლის პოლიციის ყველაზე დაბალი თანამდებობის პირი (რევოლუციამდელ რუსეთში). მრავლობითში: ჩაფრები 37, 20.
ჩაფხატი ჩაფხუტი, მუზარადი (რკინის საომარი ქუდი). მრავლობითში: ჩაფხატები 143, 26.
ჩალმეთი 318, 1 სოფელია ხევში.
ჩაშარვალებულნი 339, 31
ჩაჩქანი 286, 21 მუზარადი (რკინის საომარი ქუდი).

ჩაცვივნა 92, 14 ჩაცვენა. აქედან: ჩაცვივნული 5, 17 ჩაცვენილი.

ჩაცვივნული ნახე ჩაცვივნა.

ჩახა-ჩუხი 505, 3 ქვების ცემისაგან გამოცემული ხმა.

ჩაშბურთდა (გული) 390, 18 დაბურვოდა, ჩაბნელებოდა (გული).

ჩე 115, 3; 347, 18; 406, 34 შემოკლებული „ჩემო."

ჩემო ყველავ 77, 9 სასიყვარულო-საალერსო მიმართვის ფორმაა.

ჩერ-ბიცი (ჩერქეზული) გვარისსახელია ჩერ-ბიცაანთ.. 104, 32.

-ჩი იხმარება-ში თანდებულის ნაცვლად. მარხვაში 7.20 მარხვაში; მთაში 95; 21 მთაში; თემობაშიც 501, 9 თემობაშიც; გზაში 501, 5 გზაში.

ჩიბარი 109, 5 ნახე ჩიბარი, ჩიბარი, ჩიბარი, ჩიბარარი.

ჩიბარი, ჩიბარი, ჩიბარი, ჩიბარარი 108, 37 „ხმა, რომელზედაც ყაზახები ჩერნურს თამაშობენ ხოლმე" (ყაზბ.).

-ჩიგა იხმარება-ში თანდებულის ნაცვლად; მთაჩიგა 386, 18 მთაში; ციმბირჩიგა 491, 34; ციმბირში; ქვეყანაჩიგა 492, 24.

ჩირალი 51, 5; 58, 29 „ქვარი" (ყაზბ.).

ჩიტირეკია 43, 35 აცუნცრუცებული, ზერელე, დარბაისლობას მოკლებული.

ჩომბახი 415, 7 ჩომახი, მეცხვარის კომბალი.

ჩონჩხები 18, 20 ცად აწვდილი წვეტები კლდისა. აქედან: ჩონჩხიანი გორა 483, 31.

ჩუმქრი თოვლის ნამქერი. აქედან: ჩაჩუმქრა 314, 32 თოვლის ნამქერმა დაფარა; ჩაუჩუმქრავს 357, 8 თოვლის ნამქერს დაუფარავს.

## ც

ცემი 125, 37; ჩემი ცემს მხემ 125, 10 ჩემმა მზემ (ოსის გამოთქმით).

ცეცალი 52, 31 ცეცხლი (რუსის გამოთქმით).

ცეცხლა-პირას 81, 21 კერიის პირას, ცეცხლის პირას.

ცვარი გაეგდო (ლამეს) 79, 36 დაეცვარა (ლამეს).

ციბრუტი 142, 8 ბურღი.

ციგლივი 403, 12 კაშკაშება, ელვარება, ბრწყინვალება. აქედან: მოციგლივებდა 225, 8, ელვარებდა, კაშკაშებდა.

ციკო 5, 24 „ქალის სახელია მოხევეებში" (ყაზბ.).

ციმბირჩიგა ნახე -ჩიგა.

ციცია 68, 4 ქალისსახელია. ციციასი ნახე -ისი.

ცოდო 427, 12 ცოდვა.

ცოტათიც არის 188, 6 ცოტათი მაინც, ოდნავ მაინც.

ცოტაც არის 194, 7 ნახე ცოტათიც არის.

ცხენ ტიალაც 394, 2 ნახე ტიალი.

ცხვები 45, 12 სხვები.

ცხო 7, 32 სხვა.

ცხოგან 153, 32 სხვაგან.

ცხოთა 51, 22 სხვათა.

ცხორი 72, 10 ცხვარი.

## ძ

ძალა მიეყარათ 490, 36 ძალა დაეტანებინათ.

ძალი სიმი, ლარი. მრავლობითში: ძალები 387, 26 სიმები, ლარები.

ძალიამი 10, 21 ძლიერი, ძალოვანი.

ძალუამ 19, 34 ძალიან.

ძალუმ 357, 36 ძალიან. აქედან: ძალუმი 365, 8.

ძაუგი 415, 14 ქალ. ძაუ-ჯიკაუ. ძაუგით ნახე-ით.

ძეძვი 446, 19 ჯაგი, ეკლნარი ბირგვი.

ძენძა, ძენძნა 370, 16; 379, 1 შლა, წეწვა. აქედან; ძენძი 76, 25 დაშლილი, დაწეწილი.

ძე ხორციელი 484, 13 ადამიანი.

ძიძია 250, 24 ქალის სახელია.

ძმობახა 368, 36 უდრის თქმას: „თუ ძმა ხარ".

ძოლან 1. წელან: 32, 8; 2. ამას წინათ: 85, 17.

ძრიელად 207, 22 ძლიერად. ძრიელის 249, 18 ძლიერის.

ძუ-ვეფხი 316, 4 დედალი ვეფხვი.

## წ

წა შემოკლებული „წავალ“. მოხეური კილოს წესია: როცა წინადადებაში (ან მომიჯნავე წინადადებებში) სიტყვა (ზმნა) მეორდება, იგი ხშირად პირველი მარცვალითაა წარმოდგენილი; „წაველ, მაყვალავ, წა!“ 380, 15.

წავალის 372, 3 წავა.

წაკიდება ფათერაკისა ფათერაკის შემთხვევა. ფათერაკი წაკიდებოდა 416, 18 ფათერაკი შეემთხვეოდა: ფათერაკს წაკიდებოდა 403, 23 ფათერაკი შემთხვევია.

წამოზეზევდა 384, 5 ზეზე წამოდგა, წამოიჭრა.

წამოჭარხლებული ლოყები 47, 11 წამოწითლებული ლოყები.

წამოუკვერდა: „ლოყები წითლად წამოუკვერდა“ 270. 15 კვერივით გაუხდა, ამოებურცა (?).

წამოიწივა 390, 37 წამოიწია.

წამოიჭუჭკა (ნაბადი) 395, 22 შემოიხვია, მოიტმასნა (ნაბადი).

წამოხადეგი 25, 8 წარმოსადეგი, მოსული.

წახქდა 64, 30 წასკდა.

წვალებულიყო: „ეს დედაკაცი საკმაოდ წვალებულიყო“ 428, 14 ამ დედაკაცს საკმაოდ ეწვალებინა.

წვერის სპარს-ანგელოზი 80, 9 სალოცავია წვერის მთაზე სოფ. სიონთან (ყაზბეგის რაიონი) (ნახე სპარს-ანგელოზი).

წვნიკი თოვლი 250 თოვლის წვრილი ფიფქი.

წილები იყარეთ 133, 29 წილი იყარეთ.

წილი 21, 4 ნაწილი.

წილობა 488, 5 ნაწილი.

წინათკენ 127, 30 წინ, წინისკენ.

წინები მრავლობითი რიცხვი სიტყვისა „წინ“. წინებისაკენ 110, 21.

წიჭანა 150, 21 „ხის პატარა ბაკანი, ჯამი“ (ყაზბ.).

წიწკები 162, 24 წვრილი ტოტები, ფიჩხი.

წკავწკავი 102, 8 შეშინებული ძაღლის ან ტურის წკმუტუნი.

წკირი 52, 29 ფიჩხი, წვრილი ტოტი ხისა.

წნორი ტირიფი. წნორის ფურცელი 85, 26.

წრიაპები 19, 39 მთაზე სასიარულო ფეხქვეშ ამოსაკრავი რკინა, კაცს რომ ფეხი არ დაუსხლტეს.

წუთით წუთს, წუთით-წუთზედ 388, 9; 68, 13 ყოველწუთიერად.

წყალ-ტიალა 502, 9 ნახე ტიალა.

წყევა 138, 17 წყევლა.

წყვეტება 46, 28; 237, 38 განსაცდელი.

წქვეტით: ხელების წქვეტით 145, 33 ხელების ქნევით

## ჭ

ჭართლელნი 286, 8 სოფ. ჭართლის (მთიულეთშია) მკვიდრნი.

ჭაშნიკი 94, 20 მცირე რაოდენობა სასმელისა გემოს გასასინჯად.

ჭაჭი „გალიპული ქვა, რომლისგანაც ასპიდის ფიცრებს ამზადებენ“ (ყაზბ.). კლდის ნატეხი ბრტყელი ქვა. ჭაჭიდან 70, 37; ჭაჭის ქვა 425, 1. მრავლობითში: ჭაჭები 20, 16.

ჭახჭახი 254, 39 ძვლების მტვრევის ხმა.

ჭდე დახდეთ 139, 23 (ნახე დაჭდევა).

ჭედილა 415, 12 მამალი ცხვარი, ერთ წელს გადაცილებული. მრავლობითში: ჭედილები 254, 12.

ჭიანური 134, 35 საკრავია (სიმებიანი)

ჭისკარი 74, 6 ჭიშკარი.

ჭკა „პატარა ჭილყვავი“ (ჩუბ.). მრავლობითში: ჭკები 164, 31.

ჭკები ნახე ჭკა.

ჭმუნვარებამოცული 346, 7 დამწუხრებული, დასევდიანებული.

ჭროლა თვალები 12, 36 ჭრელი თვალები.

## ხ

ხაბიზგინები 267, 29 ტაფაზე ერბოში გამომცხვარი ხაჭაპურები.

ხადიდა 409, 28; 430, 21 ხდიდა („თავს მთვალედ ხადიდა"; „თავს მიტევების ღირსად ხადიდა").
ხავარი არ აეკრიფა ჭრილობას 131, 35. არ დასიებულიყო ჭრილობა (სიტყვიდან—ხავარი სიმსივნე).
ხაზიაიკა 62, 30 (რუს.) დიასახლისი.
ხაზუა 250, 35 ქალის სახელია.
ხაოიანი 85, 23; 159, 37, 190, 27; 258, 13 მეტისმეტად წვრილი ძაფი (აბრეშუმისა). ზოკის განმარტებით: ფერადი საქსოვი ძაფი.
ხამი შინამრეწველური ტილო, ქსოვილი. ხამის პერანგი 276, 27.
ხანდარჩო: „...სახე ხანდარჩოდ გარდაექცია" 266, 31.
ხანდოსხეველნი 286, 8 ხანდოს ხევის (თიულეთშია) მცხოვრებნი.
ხარ-ლალი 19, 1 „რამდენიმე წლის მამალი ჯიხვი" (ყაზბ.).
ხატი 19, 18 სალოცავი ადგილი, ან ვის სახელზედაც ლოცულობდნენ. აქედან: ხატობა 105, 13.
ხახამა 279, 26 ტყის ხილია წითელი ფერისა.
ხდის ხეობა 109, 2 ხდე ხეობაა ყუროს მთის გადაღმა, რომელიც დარიალის ხეობას უერთდება.
ხევის ანგელოზები 79, 29 მთელი ხევის სალოცავები.
ხევის ჯვარ-ანგელოზნი 312, 19 მთელი ხევის სალოცავები.
ხელისმომკიდე 250, 31 მეჯვარე (ქორწილში).
ხელმარტოობა 367, 16 მარტოხელობა.
ხელსაყარი 498, 35 ხელსაყრელი.
ხელ-ცისკენ-გაპყრობილი 339, 16 ცისკენ ხელაპყრობილი.
ხელწიფე 11, 4 ხელმწიფე.
ხეური ჯვარ-ანგელოზი 254, 19 მთელი ხევის სალოცავები.
ხვრინვა ამოსტეხა 60, 12 ხვრინვა ამოუშვა.
ხვრეში 260, 27 წვრილი.
ხილობ (წასვლა) 82, 29 ხილის მოსაკრეფად (წასვლა).
ხინკალი 7, 15 პურის ცომში გამოხვეული და მოხარშული დაკეპილი ხორცი.
ხმა გაუცემლივ 33, 35 ხმის გაუცემლად.
ხმამაღლივო 411 33 ხმამაღალი.
ხონჩა 433, 18 ტაბლა.
ხორხოშელა 160, 14 სეტყვა, ხოშკაკალა.
ხრეშა 86, 12 სრესა, ხახუნი.
ხუილი 205, 19 წყლის ჩხრიალის ხმა.
ხულელი 314, 35 გვარისსახელია.
ხშირი ეძინა 438, 19 ღრმად ეძინა.

## ჯ

ჯათია 353, 2 კაცის სახელია.
ჯალაბაური 496, 13 გვარისსახელია.
ჯალაბობა 344, 29 ოჯახი, ოჯახის წევრები.
ჯამაათი შეკრებულება. უმთავრესად იხმარება აქ კონტექსტში: „ხალხო და ჯამაათო!" 293, 16.
ჯანგი „გოგირდ-ნარევი სპილენძი. მთაში ყველგან ძრავლად მოიპოვება" (ყაზბ.) აქედან: ჯანგ-ნარევი ქვა 489, 19.
ჯერედ 30, 36 ჯერ, ჯერ კიდევ.
ჯერი 69, 12 „ფქვილი, საჭმელი" (ყაზბ.); სადილი ან საჭმარი მინდვრის მუშისათვის.
ჯვარი, ჯვარობა 403, 21; 470, 30 ნახატი.
ჯვარული 262, 8 სიმღერაა (ჯვრისწერის დროს მღერიან).
ჯილავი 130, 16 ალვირის რგოლი.
ჯილჯილი დამახინჯებულად ლაპარაკი სხვა ენაზე (რუსულად). ჯილჯილებდა 117, 35
ჯიხვი ჯიხვის რქისაგან გაკეთებული დიდ ყანწსაც უწოდებენ. მრავლობითში: ჯიხვები 334, 10.
ჯიჯლნა 483, 14 ჯიჯგნა. სჯიჯლნიდა 53, 24 სჯიჯგნიდა.
ჯმუხა 496, 13 კაცის სახელია.

## ჰ

ჰა 69, 4 მოწოდების შორისდებული.
ჰააა 28, 14 მოწოდების შორისდებული.
ჰე, ჰეი 329, 6 მოწოდების შორისდებული.
ჰაი, ჰაი, 26, 39 დადასტურების შორისდებული.
ჰკითხამდეთ 15, 17 ჰკითხავდეთ.
ჰკრთომოდა: „ფერი ჰკრთომოდა" 350, 3 შემკრთალა, ფერი უცვლია.
ჰარიალალე-თარიალალო 362, 13 სიმღერაა.
ჰიუჲ, ჰიუჲ 43, 13 სიამოვნების, აღტაცების გამომხატველი შორისდებული.

* *

მხატვრული ლიტერატურის ძეგლის აკადემიური გამოცემის ლექსიკონი, ერთი მხრით, უნდა ახსნიდეს მკითხველისათვის გაუგებარ სიტყვებს და, მეორე მხრით, უნდა იქნეს აღნუსხული ისეთი ლექსიკური ფორმებიც, რომელთა მნიშვნელობა კონტექსტითაც ნათელია, მაგრამ მათი ლექსიკონში მოქცევა აუცილებელია მწერლის ლექსიკური თავისებურებების შესასწავლად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ენობრივი ძეგლის მიმართ, გარდა წმინდა პრაქტიკული ინტერესებისა, თეორიული, სპეციალური (ლექსიკოლოგიური) ინტერესები აღიძვრის, და აკადემიური ლექსიკონი ვალდებულია დააკმაყოფილოს ყველა ეს მოთხოვნილება.

ამით აიხსნება, რომ ლექსიკონში გათხატულებას პოულობს ისეთი ფორმაც, რომელიც შეიძლება თავისთავად გასაგებიც იყოს, მაგრამ სალიტერატურო ენის კუთვნილებას არ წარმოადგენს, და ამდენად ღირსია საგანგებო აღნიშვნისა. აქვე შემოდის საკუთარი თუ გეოგრაფიული სახელები. საკუთარი სახელების ლექსიკონში მოთავსება გამართლებულია არა მათი განმარტების აუცილებლობით, არამედ იმის რეგისტრირებისათვის, თუ მოცემულ ტომში რა საკუთარი სახელებია (არა საყოველთაო გავრცელებისა) მოქცეული. ონომატოლოგიური ძიებებისათვის ამგვარი მასალის თავმოყრას მნიშვნელობა აქვს. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ სათანადო ლექსიკონს საენათმეცნიერო კვლევისათვის დამოუკიდებელი ღირებულებაც გააჩნია, როგორც ლექსიკური მასალის დოკუმენტირებული შესწავლის შედეგს.

წინამდებარე ლექსიკონის ძირითადი მარაგი ქართული ენის მოხეური დიალექტის სინამდვილეს განეკუთვნება.

ყველა გასამარტავი სიტყვა (დიალექტური წარმოშობისა) ჩემ მიერ საგანგებოდ შემოწმებულია ადგილობრივ. ხევში. გამოირკვა. რომ ალ. ყაზბეგი კარგად ასახავს თავისი დედა-კილოს ლექსიკურ თავისებურებებს. შეინიშნება მხოლოდ ზოგიერთი მაგალითი სხვაობისა. ბევრი განმარტება თვით ყაზბეგისა აქ დაზუსტებულია და შევსებული.

ზმნები დალაგებულია საწყისის მიხედვით; პრაქტიკული მოსაზრებით, ზოგჯერ ცალკე ერთეულებად მოცემულია ზმნის პირიანი ფორმებიც (როგორც ტექსტში გვხვდება), განსაკუთრებით ის სიტყვები, რომელთაც საწყისი ფორმა არ უხერხდებათ.

ყოველ სიტყვა-ერთეულს უზის ნომერი—წიგნის რომელ გვერდზე გვხვდება მოცემული სიტყვა (პირველი ციფრი აღნიშნავს გვერდს, მეორე სტრიქონს). აღინიშნება არა ყოველი გვერდი, სადაც სიტყვა გვხვდება, არამედ მხოლოდ ერთი (დოკუმენტაციის მიზნით). რამდენიმე გვერდი მითითებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიტყვას ნიუანსური მნიშვნელობა აქვს, ანდა სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად საჭიროა სხვადასხვა კონტექსტის ჩვენება. თუ სალექსიკონო ერთეულს ნომერი არ უზის, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფორმით ეგ სიტყვა არ გვხვდება ყაზბეგთან, ხოლო ნაწარმოები ფორმა (ტექსტში დადასტურებული) განხვავებული შრიფტითაა დაბეჭდილი ბუდეში და მიწერილია გვერდის ნომერი.

შემოკლებანი: ნ.—ნახე. შდრ.—შეადარე, რუს.—რუსული, ყაზ.—ყაზბეგი.

შოთა ძიძიგური

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი
ალექსანდრე გომიაშვილი
შალვა რადიანი
სიმონ ჩიქოვანი (პ/მგ. რედაქტორი)
გიორგი ჯიბლაძე

# ს ა რ ჩ ე ვ ი


ციკო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5
ნინო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 49
ბერდია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 55
ციცია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 67
მტრედი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 162
განკიცხული . . . . . . . . . . . . . . . . . . . 168
ხევისბერი გოჩა . . . . . . . . . . . . . . . . 248
ელეონორა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 315
მოძღვარი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 343

შენიშვნები — სოლომონ ყუბანეიშვილისა . . . . . . . . 507
ალ. ყაზბეგის ლექსიკონი — შოთა ძიძიგურისა . . . 533



АЛЕКСАНДР КАЗБЕГИ

Полное собрание сочинений. Том II
(На грузинском языке) Изд-во „Сабчота Мцерали"
19 Тбилиси 48

* *

მხატვარი: ლ. ქუთათელაძე ტექრედაქტორი: შ. დემეტრაძე

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/11 1948 წ., წიგნის ზომა 6×10, ნაბეჭდი
ფორმა 32,2 სააღრიცხვო ფორმა 35,25 ტირაჟი 10.000

შეკ. № 1056 უე—14292

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალი"-ს სტამბა, თბილისი, პლეხანოვის 181

ფასი 25 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა